

6 0 3 ၁ ၃ ၁ ၈ ၂ ၁ ၂ ၁ ၁ ၀ ၆ ၀



ნიკოლოზ გაბაონი

არაგვი  
სამეცნიერო

რომანი

<https://www.facebook.com/groups/EI.Biblioteka/>

# კარი პირველი

იმადგილებში იგი გახლდათ ნამდვილი ბატონი,  
ნამდეილი ფეოდალი. გლეხებს ცემა-ტყეპით  
უმასპინძლდებოდა, ხოლო მათ ცოლებს, თუ  
ისინი პირმმეენიერნი იყენენ, იტაცებდა.

კლოდ ტილლიე, „ჩემი ძას ბენუამენი“

## 1. პირველი ღამე

საყდარი ლრმა ხეობაში, მაღალ გორაკზე იყო ამართული.

ნინ მდინარე ჩაუდიოდა.

რაც უფრო მაღლა მიდიოდა ადამიანი, მით უფრო ხშირდებოდა ტყე. ჭალის ტყეში, დაბლობზე, თეთრი ვერხვი, ოფი, გრძელყუნწა მუხა, იფანი, ნეკერჩხალი, პანტა, მაჟალო და თელა იყო გახშირებული, მთის ფერდობებზე — რცხილა, უხრავი, მუხა, ცაცხვი და ნიფელი. საყდარი გარემოს ზემოდან ამაყად დაჰყურებდა, მაგრამ მდინარის ნაპირებიდან და სოფლის მინდვრებიდან სულ არა ჩანდა, თვალში არავის ხედებოდა. ტყით დაბურული ხეობა ნადირის ბუნაგად იყო გადაქცეული.

საყდარი ბერთუბნიდან ისე შორს იყო, რომ იქამდე მამლის ყივილი ვერ აღწევდა. მის დანგრეულ გალავანში ხალხი მხოლოდ აგვისტოში იკრიბებოდა ხატობაზე. მარიამობას არავინ აკლდებოდა. სხვა დროს კი აქ მონადირე და მნექმესი თუ გაივლიდა ხოლმე.

ბერთუბნის ზვიად ფეოდალებს ლეთისმშობლის პატარა საყდარი სულ არ აგონდებოდათ, ნირვა-ლოცვას კი კარის ეკლესიაში და დიდ საგვარეულო ტაძარში იხდიდნენ.

მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს აგურით ნაგები საყდარი ყიზილბაშობის დროს იყო მიტოვებული და გავერანებული. სამკვეთლოს და სალაროს კედლები დრო-უამს მოერღვია და ჩამოექცია კიდეც. რამდენიმე სარკმლილა იყო გადარჩენილი, ფრესკების უმეტესობა კი — ნეიმის ნელით გადარეცხილი. კედლებზე და კამარებში საწყალობლად მოჩანდნენ უტანო, უთავო და უხელფეხო ანგელოსები, ნინასნარმეტყველები, მოციქულები, მახარებლები და ნმინდანები. ზოგან ხელის მტევანი მოჩანდა თითებზე დახვეული გრძელი თეთრი გრაგნილებით და გადასული ასომთავრული ნარჩერებით, ზოგან — თვალის გუგები და ნარბები, ზოგან — მხოლოდ ფეხის ტერფები ფერად-ფერადი სანდლებით, ზოგან — გულდასმით შემოსილი ნეივები და ბრჭყვიალა

დასამაგრებლებით შემკული მუხლისთვის, ალაგ-ალაგ კი გადასული სალებავების ნაცრისფერი ზოლები ჩანდა.

მეჩვიდმეტე საუკუნის ნესისამებრ, ერთი კედელი მთლიანად ფეოდალებს, მათი ნადირობის, ომებისა და ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების სცენებს ჰქონდა დათმობილი. მაგრამ იმდროინდელი მხატვრების ისე-დაც მშრალი, უსიცოცხლო ფიგურების მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი სტოვებდა მთლიანობის შთაბეჭდილებას. თითქმის გადარეცხილი იყო ის ფრესკაც, რომელზედაც, შერჩენილი ნარჩერების მიხედვით, საყდრის ქტიტორი ზაალ გერმანოზიშვილი, მისი თანამეცხედრე ნათელა და ძე-ვითი იყვნენ გამოსახული, მათი შესამოსელი და თავსაბურავები ოქროთი უნდა ყოფილიყო შესრულებული, მაგრამ ახლა ამის არავითარი კვალი აღარ ჩანდა.

თეორსა და ნათელ საღებავებს მუქი ფერები ჭარბობდა. მონაცრის-ფრო-მიხაკისფერი და მოშავო-ლურჯი ტონები საყდრის შინაგან ხედს მოღუშულს ხდიდა, ხუროთმოძღვრის განზრახვის მოუხედავად, მის სივრცეს საოცრად აპატარავებდა და ჩუქურთმასაც დანახატსაც იმ ელვარებას უკარგავდა, რომელიც მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ყველა ფრესკაზე იყო აღბეჭდილი.

1832 წლის გაზაფხულზე, ერთ ავდრიან ლამეს, ამ მიტოვებულ საყდარში ფარული ქორნინების ნესი სრულდებოდა.

ჯვარს თხუთმეტი წლის ბიჭი და ცამეტი წლის გოგო ინერდნენ.

იოსება და ნათია.

იარალ გერმანოზიშვილის ყმა და მოახლე.

მექორნინეთ განგებ ბნელი და ავდრიანი ლამე ამოერჩიათ, რათა პირველი ლამის სირცხვილს გაჰქიცეოდნენ.

მლვდელი, ნეფე-პატარძალი და ორი მეჯვარე ანთებული სანთლებით საკურთხეველს გარშემო უვლიდნენ.

მოშორებით პატარძლის მამა იდგა, ცალ ხელში იმასაც თაფლის სანთელი ეჭირა და დროგამოშვებით სასოებით პირვევარს ინერდა.

ცანგალაანთ ნათია და ფანდურაანთ იოსება აკვნებშივე იყვნენ დანიშნული და სულ ერთად იზრდებოდნენ, სანამ გოგოს სასახლეში ბატონის ასულის მანანა გერმანოზიშვილის მოახლედ ნაიყვანდნენ. ბიჭი დადარდიანდა. გულჩათხრობილი გახდა. თან იმასაც ამჩნევდნენ, რომ ბატონი ნათიას სულ თავს დასტრიალებდა, თვალს არ აშორებდა და „პირველი ლამის უფლების“ აღსასრულებლად თადარიგს იჭერდა.

უამიანობის დროს დახოცილი მშობლების ბიჭი ყველას ებრალებოდა, განსაკუთრებით — მანანა გერმანოზიშვილის გამდელ გაიანეს, რომელიც ბიჭს არც მზრუნველობას აკლებდა, არც სიყვარულს, მაგრამ როცა გოგოს მამამ, სოფლის ნალბანდმა და თავკაცმა, ფარული ქორნინების განზრახვა მლვდელს და ორ მეზობელ გლეხს გაანდო, გაიანეს არაფერი უთხრა,

რადგან ამ უქმროდ და უძეოდ გადაგებულ ქალს მზე და მთვარე მანანა გერმანოზიშვილზე ამოსდიოდა და ბატონების ძალლივით ერთგული იყო.

პატარძალი ნიბლისასავით იყო განაბული.

ნეფე ამაყად და თავმომწონედ იდგა.

პატარა, მაგრამ ნაზი და პირმშეენიერი გოგო თავის ნეფეს მხრებამდე ძლივს სწვდებოდა.

ბიჭი კი ახოვანი იყო და გასაოცრად ლამაზი.

გამხიარულებულ მეჯვარეებს ნეფე-პატარძლის თავებზე მაღლა, სულ მაღლა აენიათ გრძელტოტებიანი სოფლური გვირგვინები.

მათ შიშის ნატამალი არ ეტყობოდათ. ისინი მუდამ მხარში ედგნენ ნალბანდს, რომელიც ალოობას და კალოობას რვა სოფლის ხარ-კამეჩს სჭედდა, სოფლიდან სოფელში გადადიოდა და კარს ყველგან პატივისცემით ულებდნენ.

პატარძლის მეჯვარე მენისქვილე იყო. ბრგე და თვალტანადი ახალგაზრდა გლეხი.

ნეფის მეჯვარე — ტანმორჩილი და თვალცულლუტი ბიჭი, მენახირე.

მღვდელი, შუახნის მამაკაცი, ლონიერიც ჩანდა, ღვთისნიერიც და ნარპ-შეუხრელიც. ისეთივე მეტყველი სახე ჰქონდა, როგორიც იოანე ნათლისმცემელს, რომლის თავიც საყდრის გადმონგრეული კედლის თავზე ეკიდა და ჩამოვარდნაზე იყო.

საყდარში ბნელოდა.

გარეთ ავდარი ბობოქრობდა, მრისხანედ ხმაურობდა ხევში მდინარე და მექორნინეებს საყდრიდან მშვიდობიანად გასვლის რწმენას უძლიერებდა.

ისინი სხვა რამესაც ვარაუდობდნენ, როცა ავდრიან ღამეში ღვთისმშობლის საყდარში მოდიოდნენ.

გიორგი XII-ის სოპბათ-იასაული და ნიახურის ბრძოლის მონაწილე იარალ გერმანოზიშვილი, როცა რუსეთის ნინაალმდევ რამდენიმე აჯანყება მარცხით დამთავრდა, განზე გადგა, სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილთან გაქცეული თავისი ვაჟი დავითი უკან დააბრუნა და გავლენიანი თავადების დახმარებით ჰუსართა პოლკში შეიყვანა.

შინ ფეხმოუცვლელად იჯდა, ნამებულს თამაშობდა და ყველგან „პეტერ-ბრუხელი იასაულები“ ელანდებოდა. სულ დაჭერაზე ლაპარაკობდა, მაგრამ არავინ იჭერდა. პოლიტიკისაგან მოცლილი თავადი ან ნარდს თამაშობდა, ან ტაბლას უჯდა, ან მაჯამებს ნერდა, ან ნირვაზე გლეხის ლამაზ გოგოებზე თვალი ეჭირა, ან სასახლის მოახლეებს და პირისფარეშებს ელაციცებოდა.

მექორნინეთ სწორედ იმის იმედი ჰქონდათ, რომ იარალ გერმანოზიშვილი ქოშებს აღარ იძრობდა და შინიდან გარეთ ცხვირს აღარ ჰყოფდა.

მღვდელი მაინც ჩქარობდა.

პატარძლის მამასაც ყური საყდრის კარებზე ედო.

გარეთ ავდარი ძლიერდებოდა.

საყდრის სარკმლებში ელვა იელაკნებოდა.

ჰქუხდა.

შემინებული პატარძალი ნუკრივით თრთოდა.

როგორ ელევა ერთი ნამით საყდარს ანათებდა, უთავო, უტანო და უხელუებო ანგელოსების და ნმინდანების ნაგლეჯებით მოფენილი საყდრის კედლები შემ-ზარავ შთაბეჭდილებას სტოვებდა, განსაკუთრებით — შიშით აკან ქალებულ პატარძალზე, რომლის გამხნეებას ნეფე ამაռდ ცდილობდა.

— მოდი, მკერდში ჩაიკარი შენი შეიღები! — მოესმა მღვდლის სიტყვები ნალბანდს.

ნალბანდი გატეხილი ნაბიჯით გაემართა ახლად დაქორნინებულებისაკენ, თუალებიდან ორად-ორი კურცხალი ჩამოენურა, ქალს მოეხვია, გულში ჩაბუ-ტა და გაბზარული ხმით ძლიერ აღმოხდა:

— შვილო, ნათა, შენ დაგენაცელოს მამილო!

მერმე სიძეს გადაეხვია და გულმხურვალედ გადაკოცნა.

## 2. გათოკილი მექორინენი

ყმის ყველაფერი, სულს გარდა, ბატონისაა.

ვანტანგ VI

მექორნინეთა სიხარული დოდხანს არ გავრძელებულა.

გარეთ თითქოს ცხენის ჭიხვინი გაისმა.

ყველამ ყურები ცევიტა.

— ქარია! — უდარდელად ნამოიძახა ნეფის მეჯვარემ.

— ქარია! მაშ, არადა! — კვერი დაუკრა პატარძლის მეჯვარემ.

— არა, არა, ბატონია! — აჩქარებით ნარმოთქეა ნინათგრძნობით შემფო-თებულმა ნალბანდმა.

გარედან მკაფიოდ მოისმა ადამიანთა არეულ-დარეული ხმები, ბოლოს ჟივილ-ხივილიც.

— ბატონია! — დაადასტურა მღვდელმაც და სახე მოეღუძა.

საყდრის რეინის კარს იარალ გერმანოზიშვილი მუშტებსა და ნიხლებს უმენდა, თან ყვიროდა და იმუქრებოდა.

— არ გაულო კარი! — უთხრა ნალბანდს მენისქვილემ.

— არამც და არამც! — მიაყოლა სიტყვა მენახირემ.

ნალბანდმა მღვდელს შეხედა.

— რა ვქნათ, პავლე მღვდელო?

— რა ეი ამ ავდარში თავზე დაგვადგა, — თქვა მღვდელმა, — კუტივით შინ დაგდებულმა ბუხარიც დასთმო და ქოშებიც, ვეღარსად წავუკალთ.

ნალბანდმა კარის ურდული გამოსწია.

იარალ გერმანოზიშვილი ღრიალით შევარდა საყდარში. მას თან შინაყ-მებიც შეჰერენენ ანთებული მაშალებით. დაბნელებული საყდარი წითლად

განათდა. ახლა უფრო მეაფიოდ გამოჩენდა ჩამორეცხვილი ფრესკები, აქა-იქ გადარჩენილი ანგელოსების, წინასწარმეტყველების, მოციქულების, მახარობლების, წმინდანების და ფეოდალების გამოსახულებანი.

იარაღ გერმანოზიშვილმა ავად შეათვალიერა მექორნინენი.

მღვდელს მიადგა და მიახალა:

— პავლე მღვდელო! ბატონის ურჩობა გაიოზ რექტორმა გასწავლა?

იარაღ გერმანოზიშვილი მუდამ ირონიით ლაპარაკობდა თელავისა და ან-ჩისხატის სემინარიებზე, სადაც ლვისმეტყველებას რუსეთის სემინარიების პროგრამებით ასწავლიდნენ.

მღვდელმა მშვიდად მიუგო.

— მე უფლის ნება შევასრულე, თავადო!

— უფლის? რომელი უფლის? — ვერ გაიგო იარაღ გერმანოზიშვილმა, დაიბნა და პირი დააღო.

— ქორნინება ზეცაში ხდება! — უფრო მტკიცე ხმით მოაგონა მღვდელმა.

— ვეუო და! — გაბრაზდა იარაღი, — აქაოდა რუსთ ხელმწიფემ ყმობიდან ამოგიყვანა, რუს სალდათს ვახტანგ მეფის სამართალი გაათელინა, ყმები უნდა ამიბუნტო?!

„რა კარგი ვქენი, — გაიფიქრა მღვდელმა, — რომარც მაგას ვენდე და არც მაგის ვაუს დავითს“.

მღვდელს ახლაც უბეში ჰქონდა გადამალული ფილადელფიოს კიკნაძის ნერილი, რომლის შინაარსს მხოლოდ სანდო აზნაურებს და თავადებს უკითხავდა. იარაღი ნეფის მეჯვარეს მიუბრუნდა.

— შენც გამყიდე, ქიტესავ?

ქიტესამ ახალუხის სახელოთი ცხვირი მოიხოცა, მაგრამ თავი მაინც არ ჩაქინდრა.

— ბიჭო, ფილო! — მოინდომა გახუმრება იარაღმა, — შენ ნახირშიარ უნდა იყო, აქ რა გინდა?!

ფილომ ცულლუტად გაილიმა, მაგრამ მარჯვენა ხელით მაღლა ანეული გრძელტოტებიანი სოფლური გვირგვინი დაბლა არ დაუშვა.

იარაღი ცუდად ანთებული ნაფოტივით ქრებოდა, სიბრაზე თანდათან უნელდებოდა და ჩამოშვებულ ლოკებზე გულუბრყვილო ლიმილი ეფინებოდა. ნეფეს დააცექრდა და ერთხელ კიდევ გაუკვირდა:

— ბიჭო, სოსიკო, შენ უფრო ლამაზი ხარ თუ შენი ცოლი?

პატარძალი შეათვალიერა და ნაკლული კბილებით ბილნურად გაულიმა.

— შენ რაღა ღმერთი გავინყრა, თევდორე, სოფლის თავკაცა და ჭკუის დამრიგებელს?! — გულნრთელი საყვედურით მიმართა პატარძლის მამას იარაღმა. ნალბანდი მუხლებზე დაეცა, ბატონს შეჰლალადა:

— ნუ ნაგვახდენ, ბატონო, შენი მუხლების ჭირიმე!

პავლე მღვდელი უფრო მოილუმა და პირქვედა მხობილ ნალბანდს თვალი აარიდა.

მეჯვარეებმაც განზე გაიხედეს.

ფანდურაანთ იოსებმაც თავი ჩალუნა.

იარალ გერმანოზიშვილი თითებით დიდხანს აწვალებდა გრძელი თეთრი ულვაშის ბოლოს, დიდხანს უყურებდა მის ნინ მუხლებზე დაცემულ ნალბანდს, სიამოვნებას ჰგვრიდა მისი ყმური მორჩილება და მრგვალი, ოდნავ შეშუპებული პირისახე სულ უფრო და უფრო ლმობიერი უხდებოდა, ისევ საყვედურით უთხრა თავის ყმას:

— კარგი კაცი ხარ, თევდორევ, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ ის, რაც ბატონისაა, იმას ნინ რათ უდგები? ღმერთი გინყენს. არ გაგიგონია, ეეისარსა კეისრისაო! ასე არ არის, პავლე მღვდელო?

რაյი იარალ გერმანოზიშვილმა მღვდლის დაგრძელებულ სახეზე ერთდროულად რისხვაც ამოკითხა და ზიზღიც, კვლავ ნაეკიდა სიბრაზის ცეცხლი, წელანდელივით აყვირდა, აღრიალდა და მოურავს გადასძახა:

— პატარძალი გარეთ გაიყვანეთ!

ნეფემ პატარძლისაუენ გაინია, მაგრამ მკლავებში მყისვე ბატონის შინაყმები ჩააფრინდნენ.

— ეგენი გათოეთ და აქ დაყარეთ, — გასცა განკარგულება იარალმა,  
— ამ ავდარსა და ღამეში სად უნდა ვათრიოთ? გათენდება და ყველაფერს დაწვრილებით მოვეითხავთ, პავლე მღვდელსაც სამართლის იმ მუხლს ვაპოვნინებთ, სადაც ყმის ყველაფერი, სულს გარდა, ბატონის ეერძად არის დადგენილი, — თქვა და საყდრიდან გააბოტა.

შინაყმებმა მექორნინეთ საყდრის რკინის კარები გადაუკეტეს.

იარალ გერმანოზიშვილი ძლივს აბობლდა თავის ცხენზე და მოურავს, რომლის მკლავებზე გულწასული ნათია იყო გადასვენებული, ყველას გასაგონად ხმამალლა დაუყვირა.

— გეზი ფონისაუენ დაიჭირეთ!

მაშხალებიანი შინაყმები ნინ გაიძლოლა და ცხენი ადიდებული მდინარისაკენ დაძრა.

### 3. დახსნილი გლანდები

— ჟა, დიდება მონყალესა, ჩემი საქმე არის ესა! არსენას ლექსი

გათოკილი მექორნინენი მდუმარენი ეყარნენ საყდრის ცივ ფილაქანზე. ერთხანს მხოლოდ ფანდურაანთ იოსება ბორგავდა, წრიალებდა და თითქოს ბოდავდა კიდეც. მღვდელს შეეცოდა და დაუყვავა:

— მოისვენე, ბიჭო, ყველა ის ლოცვა თქვი, მე რომ გასწავლე, გულზე მოგეშვება.

რაკი სასულიეროსთან ერთად საერო ლიტერატურაც კარგად იცოდა, გამინვე დასძინა: - ჭირსა შიგან გამავრება ისე უნდა, ვით ქვით კირსა.

— ჰაი, ჰაი, რომ ეგრეა! - ამოგმინა მენისქვილებმ.

— ეგრეა, მაშა! - ალტყინებით აიტაცა უფროს ვების სიტყვა მენახირემაც და თანაგრძნობით გადახედა ყურებჩამოყრილ ნეფეს.

— არა, ნახეთ, ხალხო, ამ ულვთობატონმა არც ლომეკაცის ნაშიერი დაინდო!

— ალმუოთებით ნარმოთქვა მღვდელმა.

გლეხებმა თავები გადააქნ-გადმოაქნიეს. ლომეკაც ფანდურაშვილი გერმანიზინთ ალამდარი იყო, ერეკლე მეფის ომების მონაწილე, მათ ყველგან ახლდა და ერთგულად ემსახურებოდა.

აქამდე თავჩაქინდრულმა, ღრმა ფიქრებში ნასულმა თუ დარეტიანებულმა ნალბანდმა მუხლის თავებიდან თავი აიღო და სიძეს გასძახა:

— აბა, ერთი ჩემკენ ზურგით მოჩოჩდი, სოსიკო!

თევდორე ნალბანდმა, რომელსაც ხარ-კამეჩის დასაჭედად ათასჯერ პქონდა გაკვანძული და გახსნილი საბლები, ჯერ თითების ნელი და ფრთხილი, ხოლო შემდეგ აჩქარებული მოძრაობით სულ ადვილად გაუხსნა თოკის ბლანდები საგულდაგულობების ნეფეს. სოსიკომ სიმამრს თოკის ყველა ხლართი ხანჯლით გადაუჭრა და მღვდლისაკენ დაიხარა. სიმამრმა ხელით შეაჩერა.

— არა, ეგენი ეგრე იყვნენ, მაგათ ცოდო-ბრალს ნუ დავიდებთ. — სიძეს მხარზე ხელი დაადო და უთხრა: — იცი, რა უნდა გააკეთო?

— ვიცი! — კბილებში გამოსცრა სიძემ და მყისვე ჰკითხა სიმამრს: — შენა?

— მენა? — თევდორემ თვალიდან ცრემლი მოინმინდა და ძლივს ამოლერდა: — მენა? მენა?.. მენათია უნდა დავმარხო, ცრემლი დავაყარო. გვირგვინი პავლე მღვდელმა უკურთხა, ანდერძსაც ეგ აუგებს!

— რას ამბობ, თევდორე! — შესძახა შეძრნუნებულმა ნეფემ.

— ჩემი შვილია, ჩემი გაზრდილი, შერცხვენილი თავს არ იცოცხლებს.

— თავიროგორ უნდა გაიმეტოს ბლარტივით გოგომ... — აუკანკალდა ხმა გულმაგარ მენისქვილეს.

— ნათიას სიკვდილი როგორ იფიქრე, კაცო! — დაიყვირა თავგზადაკარგულმა მენახირემ და ხმაში ცრემლი გაურია.

— რაღას ვიზამთ? — დინჯად ნარმოთქვა ნალბანდმა, — ნათიას ველა-რაფერს ვუშველით, თავლაფდასხმული სოფელში არ გამოჩინდება. მაგრამა... არც ბატონს შევარჩენთ ავკაცობას.

თუ პავლე მღვდელს პატარძლის მამის ნელანდელმა თავის დამცირებამ ზიზლის მსგავსი რაღაც გრძნობა მოპევარა, ახლა ანთებული თვალებით ალტაცებით უყურებდა მას. თქმით კი კრინტს არა სძრავდა, რადგან ღვთის მსახურს მკვლელობის ნაქეზება არ შეეძლო.

სიმამრმა სიძე გადმონგრეულ კედელთან მიიყვანა და ერთხელ კიდევ დაარიგა:

— მოსახდენს რომ მოახდენ, ნურც თრიალეთის გზას დაადგები, ნურც დომანურს. ქალაქის გზას დაადექი, იქ ძებნას არ დაგინუებენ.

თოკების გრეხასა და ნალების ჭედვაში გაწაფული თითები ერთმანეთში მაგრად ჩატდო, ხელის გადაჭდობილ გულებზე სიძეს ფეხი შეადგმევინა და თან მხარიც მიაშველა.

როცა ფანდურაანთ იოსება ჩამონგრეული ეედლის ხვრელში გადაძრომას ცდილობდა, ზურგით ჩამოშლილ ფრესკას მოედო და კიდევ უფრო ჩამოანგრია.

იოანე ნათლისმცემლის თავი ზრიალით დაენარცხა საყდრის იატაკზე და ჭოჭმი გაიშალა.

## 4. გვვლელი

**მაგრამ განგებამ დანერა მათი საქმე იმ ფურცელზედ,  
რომლისგანაც არა იწმინდება რა უსისხლოდ.  
გრიგოლ რჩეულიშვილი, „ანუკა ბატონიშვილი“**

ფანდურაანთ იოსებს გზას ელვა უნათებდა. თითქმის სირბილით ჩარბოდა თავდალმართში. ამ მიდამოებს კარგად იცნობდა, რადგან აქაურ ტყეში თევდორე ნალბანდთან ერთად ნალირობდა, მდინარეზე კი ბადესა შლიდა.

დაუბრკოლებლივ ჩაირბინა საურმე გზა, რომელიც მარიამობას ჩარდახიანი ურმებით იყო გაჭედილი. ფონს მიადგა, გალმა გავიდა და სოფლის გზას შეუყვა. სამღებროსთან გაშეშებული გაჩერდა. უცებ მოაგონდა, რომ როცა მექორნინენი სოფლიდან გადიოდნენ, ძველი საბაჟოს ნანგრევებთან ბატონის მოურავი დალანდა, მაგრამ ბედნიერებისაგან თავბრუდახვეულმა ამას ყურადღება არ მიაქცია. ყოყმანობდა, ვერაგზით ვერ იხსენებდა — მოეჩვენა თუ ნამდვილად ის იყო. ჯერ თხუთმეტი ნლისაც არ იყო, მაგრამ სხვა გლეხებივით კარგად იცნობდა ავკაცობით განთქმულ მოურავს, რომელიც გერმანოზიშვილის ყმებს ზურგზე ბოლს ადენდა.

ბატონიც, ალბათ, იმან შეაგულიანა.

იარალი დარში გარეთ არ გამოდიოდა, ავდარში რა გამოიყვანდა?!

არც გზას მოერიდა, არც მდინარეს, ჭალას, ტყეს და ლეთისმშობლის საყდრის ალმართებს.

არა, სამღებროსთან ნამდვილად მისმა ლანდმა გაიელვა და ისე სწრაფად გაქრა, რომ ვერავინ იფიქრებდა, ძეხორციელი იყო თუ ჩრდილის უბრალო თამაში ნანგრევების კედელზე.

ასეთი ფიქრები უტრიალებდა თავში ბედდამწვარ ჭაბუკს.

სიბრაზე უარესად შემოენთო. შურისძიების გრძნობა გაუორკეცდა. ფეხს აუჩქარა.

სოფელს ღრმა ძილით ეძინა.

სიჩუმეს მხოლოდ ძალლების ყეფა და გნიასი არღვევდა.

გლეხების ქოხმახები და მიწურები რომ გამოჩნდა, ფანდურაანთ იოსებმა ნაბიჯი შეანელა, ყურადღება დაძაბა. არსაიდან არც ჩქამი მოისმოდა, არსად არც ცეცხლი ბუუტავდა.

თევდორე ნალბანდის სახლიდან მეაფიოდ მოესმა დედაკაცის ჭირილი. გაუკვირდა. შეჩერდა.

ნალბანდის სახლში დედაკაცთაგან არავინ ცხოვრობდა. ნათიას დედაც უამიანობის დროს იყო გარდაცვლილი. ჯერ ისევ ჭარმავი ნალბანდი ცოლს არ ირთავდა. დაობლებულ ნათიას, ისევე როგორც იოსებს, გაიანე უვლიდა და პატრონობდა.

ფანდურაანთ იოსები მყისვე მიხვდა, რომ ნალბანდის სახლში მისი ნათლია მოსთქვამდა და ვიშვიშებდა.

გაიანე ცხარე ცრემლსა ლვრიდა და ურვით იძახდა:

— ეს რა მიყავი, ბიჭო, სოსიკო! ყელი რაზე გამომჭერი?! ნათიას ვიღა უმ-ველის, მაგრამ შენ რომ რამე დაგემართოს, მე რაღა მეშველება!

ფანდურაანთ იოსებს გული აუჩუყდა.

მოდუნდა.

მაგრამ მას გაიანეს ჭკუის დარიგებანიც გაახსენდა.

მისი ნათლია ხშირად ეუბნებოდა ხოლმე:

— ბიჭო, სოსიკო, გაიანე შემოგევლოს! უფლისა და ბატონის ნებას წინ არ უნდა დავუდგეთ. ღმერთმა ზოგი ბატონად გააჩინა, ზოგი ყმად. მამაზეციერმა ასე იჩება.

ფანდურაანთ იოსებს ახლა პავლე მღვდლის ნათქვამიც აგონდებოდა. ეს ლვთისნიერი კაცი, როცა გერმანოზიანთ დიდი ტაძრის გალავანში გლეხებს შორის იჯდა თავის გაცვეტილი ანაფორით, სულ სხვა რამეს ლაპარაკობდა. უფლის სიყვარულს ისიც ქადაგებდა, მაგრამ ბატონის მორჩილებაზე კრინტს არა სძრავდა. პირიქით, სახარებიდან მაშვრალთა განკითხვის და ხელისა-პყრობის მაგალითებს ასახელებდა.

იოსებს თვალნინ ისევ ერთბაშად დაბერებული და კიდევ უფრო გათეთრებული თევდორე ნალბანდი დაუდგა.

საჩქაროდ გასცდა სოფლის ქოხმახებსა და მიწურებს და ბატონის სასახლის გზას დაადგა.

სასახლეში ნავალიც იყო და გარშემოც უტრიალებდა, რადგან სულ იმას ცდილობდა, შორიდან ან ახლოდან ნათიასათვის მოეკრა თვალი. ხან სად უხუდებოდა და ხან სად.

სად არ უთვალთვალებდა!

ბატონიანთ წყაროსთან, როცა ახალგაზრდა ქალბატონი ვერხვებთან სეირნობდა, წირვაზე ტაძარში, როცა ბატონის ასული ხატებთან დაჩოქილი გულმხურვალედ ლოცულობდა, ნათია მას მლოცველებში თვალით დაეძებდა.

ფანდურაანთ იოსები ბატონის სასახლეშიც ხშირად დადიოდა, ვითომებული გაიანეს სანახავად და მოსაეითხად. მხოლოდ მისმა ნათლიამ იცოდა, რომ ეს რონობის გამო არ მიდიოდა. თანდათან შიში იპყრობდა, რადგან ნათიას ბატონი ისეთი თვალით უყურებდა, რომ მისგან იმასვე მოითხოვდა, რასაც გლეხის სხვა ლამაზი ქალებისაგან თხოულობდა.

თან იმასაც გრძნობდა, რომარც ქალის მამა და არც მისი საქმრო იმას ვერ ატანდნენ, რასაც ზოგიერთები იტანდნენ.

მისი შიშის მიზეზიც სწორედ ეს იყო.

ამიტომ თავის გაზრდილს და ნათლულს ნამდაუნუმ ამას ეუბნებოდა:

— ბატონი იმისთვისაა ბატონი, რომ ჩვენისთანებზე იბატონოს, ჩვენ იმისთვისა ვართ ყმები, რომ ბატონს ვემსახუროთ. ღმერთს ასე გაუჩენია და ყველა ქრისტიანი ადამიანი ისე უნდა მოიქცეს, როგორც ზეცაში დაუდგენიათ.

პავლე მღვდლის ნათქვამს ფანდურაანთ იოსები კარგად იმახსოვრებდა, ნათლიის ჩამოკრულებს კი ივინყებდა, მხოლოდ ხანდახან ტეტიური გულუბრყვილობით ნამოსცდებოდა ხოლმე ის, რასაც მას გაიანე ეუბნებოდა. ნაცადი, ათასნაირ ჭირში გამოვლილი ნალბანდი სწრაფად ულებდა ალლოს ბატონიანთ გამდელის ნათქვამის აზრსაც და მნიშვნელობასაც. ამან ეიდევ უფრო დააჩქარა ფარული ქორნინების განზრახვა.

როცა ფანდურაანთ იოსები ბატონის სასახლეში გაიანესთან მიდიოდა ან მისგან ბრუნდებოდა, სასახლის კიბეებზე, ტალანებსა და დერეფნებში იმდენსანს ტრიალებდა, სანამ მანანა გერმანოზიშვილს და მის მოახლეს არ ნაანყდებოდა ხოლმე. ახალგაზრდა ქალბატონი მას განცვიფრებული აშტერდებოდა. მისი სილამაზით მოხიბლულს ტუჩები ეპობოდა და თვალები ენისლებოდა, რაღაცით შემფოთებული სწრაფად პირჯვარს ინერდა და უფრო გარბოდა, ვიდრე მიდიოდა.

იოსებმა ქურდის სიფრთხილით აიარა სასახლის ჩაბნელებული კიბევბი. დერეფნებში ლანდივით კედელზე აკრულმა იარა და ბატონის საწოლ ოთახს დაუბრკოლებლივ მიალნია. კარი ჩაუკეტავი დახვდა. ნელა მიანვა და ჩუმად გააღო. საწოლ ოთახში, ბუხრის თავზე, თითბრის ძველებურ შანდალში ერთადერთი სანთელი ნკაპუნით ინვოდა, ბნელ ოთახში მხოლოდ საწოლი იყო ნახევრად განათებული. გაშიშვლებული და თმაგანენილი ნათია საწოლთან სატაკზე უმნეოდ გართხმულიყო, თავი ხის მრგვალ საკარცხულზე დაედოდა გულამოსკენით სლუკუნებდა. ბატონისარეცელზე გაშვართულიყო. როკინა თავი სასოფტმალზე უდარდელად მიედო და ხვრინავდა.

ახალგაზრდა გლეხი ზიზღმა და სიძულეებილმა გააკაუა, ნამუსახდილი ცოლის დანახვამ კი უფრო მეტად აღანთო შურის საძიებლად. მის გულს ამ დროს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, რომ ჩუმი ხმით მტირალმა ნათიამ უნებლივთ თავი მაღლა აიღო და გაშტერდა. მის ნინ მისი უბედური ნეფე ხანჯალამოლებული იდგა. ბედერული ქალი სირცხვილმა დასწვა და ქმარს თვალი ვერ გაუსწორა.

იოსები ერთი ნახტომით სარეცელოან გაჩნდა, ბატონს თავზე დაადგა და ჩასძახა:

— ბატონი!

იარაღ გერმანოზიშვილმა გვიან გაახილა განითლებული თვალი და განცვიფრებისაგან პირი ლია დარჩა. ნამოინია, მაგრამ იოსებმა დაყვირება და ნამოდგომა არ დააკალა, ორლესული ხანჯალი მექრდში ჩასცა და იქვე გაათავა. მერმე სისხლიანი ხანჯალი სასთუმალზე გულმოდგინედ გაწმინდა, რათა ცოლისათვის კალთაში ჩაედო, მაგრამ როცა მისეენ მოტრიალდა, დაინახა, რომ მას დანინდული დანა ეჭირა ხელში, იოსები მიხვდა, აიმღვრა, თვალებზე ცრემლები მოაწვა და ოთახიდან გავარდა.

როცა მეცვლელი დერეფანში მირბოდა, ერთ-ერთი ოთახიდან ჭანმაღალი გოგო გამოვიდა ანთებული სანთლით ხელში და უცნობის დანახვისთანავე შიშნარევი ყვირილი მორთო:

— ქურდი... ქურდი...

ბატონის ასული იყო, მანანა გერმანოზიშვილი.

იოსები ბნელ კიბეზე კისრისტებით დაეშვა.

მეცვლელი გაიქცა.

თავი ტყეს მისცა.

მდევარი ხელცარიელი დაბრუნდა.

## 5. ბერების მსახური

ეს იყო ძველი სათნო ჩვეულება, რომელსაც უმეტესად ლამაზი ფეხების

მქონე ასულები გულმოდგინე კეთილსინდისიერებით ასრულებენ: მლოცველი ქალები დასანყისშივე ნინდებსა და ფეხსაცმელებს იხდიან და ფეხშიშველი წმინდა დავითის ეკლესიაში მიეშურებიან.

ფრიდრიხ ბოდენშტედტი, „1001 დღე“

უძეილო ქალების ნყაროსთან მამადავითის მონასტრის ბერები შიმშილით გულშეღონებულ ჭაბუქს ნაანყდნენ. მნირი ეგონათ, შორიდან მომაეალი მოგზაური, მლოცველი. ნყალი აპურეს, მოასულიერეს. სათუთად ასწიეს და სენაჟში შეიტანეს, როცა უცნობმა ჭაბუქმა შიმშილი და ნცურვილი მოიკლა, ბერებმა ვინაობა გამოჰეთხეს. მნირმა კეთილ ბერებს მადლობა გადაუხადა და დასძინა: თქვენთან ღვთისადმი ლტოლვამ მომიყვანა, ძალზე შორი მხრიდან მოვდივარ და ამ ჭაძრამდის დიდი გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით ძლივს მოვალნიერ. ბოლოს ბერებს შეეხვენა, თავიანთ წმინდა ოჯახში მიეღოთ და მსახურად დაეყენებინათ. ბერები დათანხმდნენ, რადგან შეებრალათ და თანაც ძალზე მოენონათ ჭაბუქის გამხდარი და ფერმიხდილი, მაგრამ ლამაზი და სანდომიანი სახე. მას მოხდენილი ჭანი ჰქონდა, საუცხოო ნვერ-ულვაში

და გრძელი, დიდი ხნის მოუკვეცელი თმები. მნირი სახითა და გარევნობით  
გერმანელების ქრისტეს ჰგავდა, მჭმუნვარეს, მაგრამ ძალ-ლონით აღსავსეს.

ახალგაზრდა მნირი დაუზარებლად ემსახურებოდა მონასტრის ბერებს.

წყაროდან კოკებით წყალს ეზიდებოდა. სენაკებს ჰგვიდა. ტაძარში დამწ-  
ვარ სანთელს აგროვებდა. ლამისმთევლებს სუფრის გაშლაში შეეღლოდა და  
როცა მთანმინდის შემოლამება დგებოდა, დაღლილი და დაქანცული ტაძრის  
გალავანთან ჯდებოდა და ქალაქის სუსტი ცეცხლის კრთომას ვარინდებული  
გასცეროდა.

ფანდურაანთ იოსები დიდხანს, დიდხანს იჯდა ხოლმე გალავანთან, თავ-  
ჩაქინდრული და გულნალველიანი. მისი მუდამ დალონებული, ნატანჯი და გაფ-  
ვითლებული პირისახე ყველას ყურადღებას იქცევდა. ყველა გაკვირვებული  
უყურებდა. ჭაბუკს სულ არ უხდებოდა ბერის შავი სამოსი. ლოცვის დროს  
მოუხერხებლად იჩიქებდა და ამ დროს ზორბა მოჭიდავეს უფრო ჰგავდა,  
ვიდრე ლვთისმოსავ მნირს, თუმცა იგი ყოველთვის გულმხურვალედ ლოცუ-  
ლობდა ხატების წინ პირქვე დამხობილი და თვალებიდან ლაპალუპით ჩამოს-  
დონდა ცრემლები. დუდუნით ნარმოსთქვამდა პავლე მღვდელთან ნასნავლ  
ლოცვებს და არაფერი ეშლებოდა. ბერებს მოსნონდათ ლოცვებით გართული,  
გულჩათხობილი და მუდამ დაღვრემილი ჭაბუკი, არც ერთ მათგანს ფიქრა-  
დაც არ მოსდიოდა, რომ ეს უცნაური მნირი გამოქცეული გლეხი იყო.

ბერების ახალგაზრდა მსახური მამადავითში სალოცავად მოსულთიჭვნეუ-  
ლად ათვალიერებდა, წარბებს ქვემოდან ფრთხილი მზერით იყურებოდა,  
თხხივ კუთხივ თვალი ეჭირა და გარე-გარე დაიარებოდა, თითქოს ხალხში  
ყოფნა და ურისამული აწუხებსო. სამაგიეროდ, თითო-ოროლა მლოცველს და  
ლამისმთევლს, რომელთაც შეთქმული ცხვარი მამადავითში დასაკლავად  
აჰყავდათ, ხალისით ხვდებოდა და რასაც ეუბნებოდნენ, ყველაფერს უსიტყ-  
ვოდა კეთებდა. ეს დამტრთხალი და რაღაცით შემინებული ჭაბუკი ადამიანებს  
შორისახლო უტრიალებდა, მათთან კი იშვიათად მიდიოდა.

გულშემოყრილი ყმანვილი ბერებმა იმ ადგილზე იპოვნეს, სადაც გარყვნი-  
ლი დედაკაცის მიერ შეურაცხყოფილმა მამა დავითმა კვერთხი დაჟერა და  
წყარო გააჩინა. აქ დროული და ჯერ ისევ ახალგაზრდა ქალები მოდიოდნენ.  
წყაროს წყალს ენაფებოდნენ და ლმერთს შვილის წყალობას ევედრებოდნენ.  
ფანდურაანთ იოსები უფრო ხშირად ამ წყაროსთან იყო. აქ მამა კაცთავან არა-  
ვინჩანდა, რადგან ქალების რიტუალის დარღვევას ერიდებოდნენ. ბალახებში  
გაშოტილ მნირს კი ყურადღებას არავინ აქცევდა. ლვთის შვილად თვლიდნენ  
და ზოგჯერ პურით და ყველით უმასპინძლდებოდნენ.

მაგრამ მნირი მოვალე იყო, დროდადრო იქ, მალლა, ტაძრის გალავანში  
კოკით წყალი აუტანა და ეკლესის მსახურებთან ერთად კენჭები დაერიგებინა  
გასათხოვარი და უშვილო ქალებისათვის. ძველისძველ ჩვეულებას ქალები  
იმით ასრულებდნენ, რომ ეკლესიას გარშემო სამჯერ უვლიდნენ და ბედის  
გამოსაცდელად კენჭებს კედლებზე აკრავდნენ.

ყოველ ხუთშაბათს მამადავითის დაკლაკნილ ბილიკებზე ერთიმეორეს თეთრი ბატებივით მისდევდნენ თავდახრილი, თეთრ ჩადრებში გახვეული და ფეხშიშველი მლოცველი ქალები. ამ დღეს ტაძრის ეზო გასათხოვარი ქალწულებით და უშვილო დედაკაცებით ივსებოდა. სწორედ ხუთშაბათ დღეს ახალგაზრდა მწირი მოფარებულებში დაბორისალებდა ან სენაკში იყო ჩაკეტილი. ბერებს ასე ეგონათ, ის პირმშვენიერი, ლონიერი და ნარმოსადეგი ჭაბუკი ქალებს იმიტომ ემალება, რომ ცდუნებას არ აჰყებს და დედაკაცის გამოსული არ ნაინყმიდოსო. მისი ლამაზი პირისახის და ახოვანი გარეგნობის შემყურებებს სხვა არაფერი შეიძლებოდა ეფიქრათ.

ერთ საღამოს ტაძრის გალავანში მანანა გერმანოზიშვილი გამოჩნდა. მას თან გაიანეც ახლდა. შავებში ჩაცმული გადია და თეთრკაბიანი ყმანვილი ქალი ტაძარში შევიდნენ, სანთლები დაანთეს, ილოცეს, მერე ტაძარს გარშემო შემოუარეს და ჩრდილოეთ ედლისკენ გაემართნენ. გერმანოზიშვილის ასულმა მორცხვად მიაკრა თეთრი კენჭი კედელს და მეტად გაუხარდა, რომ კენჭი კედელზე მავრად დამავრდა და დაბლა არ ჩამოვარდა. ეს ნესი გასათხოვარი ქალის რიტუალი იყო ქორნინების დასაჩქარებლად. თავადის ასული ამ ნესს ისევე ასრულებდა, როგორც გლეხების, ვაჭრების და ხელოსნების ქალები ასრულებდნენ.

გახარებულ მანანას ბაგეზე ბედნიერების ღიმილი უკრთხოდა და სათნო სახეც ოდნავ შეფაკლოდა. აღტაცებული გაიანე მას შეფრთვით შესცეკე-როდა და ტუჩების ცმაცუნით ლოცვებს ბუტბუტებდა.

სწორედ ამ დროს ჩვეულებრივზე უფრო დაღონებული ბერების მსახური ქვის პატარა კიბეზე ამოდიოდა. წყლით სავსე კოკა მხარზე ჰქონდა შედგმული. როცა მან გალავნის ფოლორცზე ფეხი შედგა, უცებ მანანას გამდელს მოჰკრა თვალი და მაშინვე იცნო. ქალბატონი და გამდელი ზურგით იდგნენ. იოსებს ფერი ეცვალა და შეტორტმანდა. ზურგით გალავნის კედელს მიეყრდნო, რათა უეცრად მუხლმოკვეთილი არ ნაქცეულიყო. როდესაც მანანამ თავი მისკენ წყნარად მოაბრუნა, იგი ტყვეიანაკრავივით მოსწყდა ფოლორცს და კიბეზე ისე დაეშვა, როგორც იმ საბედისნერო ღამეს ბატონის სასახლის ბნელ კიბეებზე.

როცა გონებადაკარგული იოსები დაბლა ჩარბოდა, მან კინაღამ გადაჰყარა კიბის ვინრო საფეხურებზე მდგარი მლოცველი ქალები. ისინი დროზე გადგნენ განზე და შიშით პირვევარი გადაინერეს, თითქოს ავი სული მოელანდათო.

იარაღ გერმანოზიშვილის მკვლელი ქვევით თავქუდმოგლეჯილი გარბოდა და ისეთი სახე ჰქონდა, რომ ბილიკებზე გამნკრივებული თეთრჩადრიანი ქალები გაკვირვებით და შიშით გზას უთმობდნენ.

ბერებმა დამტვრეული კოკა იპოვნეს. მსახური კი ცამ ჩაყლაპა.

— უბრალო კოკის გატეხვამ ისეთნაირად იმოქმედა იმ ღვთისნიერ ყრმაზე, რომ იძულებული გახდა, ჩვენგან გაქცეულიყო?! — გაკვირვებით და სინაულით თქვა მონასტრის წინამძღვარმა. — განა თიხის დამტვრევისათვის მას ვინმე გაუნყრებოდა?

ბერებმა გვიან გაიგეს, რომ მათი ყოფილი მსახური მთანმინდის შუაბან დებში მოწყალებას თხოვლობდა და სახლის იაქთალებთან ხელგაშეერთობა იდგა.

## 6. გლახა

დამავინყდა, რაცა ვიყავ ოდესშე  
და ან მხოლოდ დამშთა ესე ჩემს პედად.  
გრიგოლ ორბელიანი, „მუშა ბოჭულაძე“

ახოვანი და ბრგე აღნაგობის ჭაბუკი გლახა მხოლოდ ზიზღსა და გაოცებას ინვევდა მთანმინდელებში.

თითო-ოროლა გულკეთილი ადამიანი თუ ჩაუგდებდა გროშს უფერულ პინაში, რომელიც მას მუდამ ხელში ეჭირა.

— ეი, ვირგლავ! — უყვიროდნენ გლახას თავმობეზრებული გამვლელები,  
— ნადი, იმუშავე. ხელი გაანძრიე. ნუ მუქთახორობ. გრცხვენოდეს, ბიჭო!  
არავინ იბრალებდა.

მამაკაცები დასცინოდნენ. დედაკაცები ნყევლიდნენ. გოგოებს მისი ლამაზი სახე მოსწონდათ, მაგრამ გლახას თავს როგორ გაუყადრებდნენ? ბანებზე გადმომდგარი შოლტივით გოგოები მას ქოქოლას აყრიდნენ, თან ცელქი ეისკისით იძახდნენ: „ზარმაცობა თუ მკლავს უხუთავს, ქვრივ დედაკაცს მაინც შეუჩნდეს, ეგ ცოცხლად დასამარხი, ეგა!“ გოგოები სიცილით იხოცებოდნენ და თან ცდილობდნენ, ეს სიტყვები ყურებდაცევეტილ დედებს, ბებიებს, მამიდებს, დეიდებს და ძალუებს არ გაეგონათ. დეიდები, ბებიები, მამიდები, ძალუები, დედამთილები, სიდედრები და რძლები იქვე, ბანზე, პანიასკამებზე ისხდნენ, ჭორიკანობდნენ, თითისტარებს გაჩქარებით ატრიალებდნენ, თავებს უემაყოფილოდ აქნევდნენ და „იპის“ ნამოძახებით ხელს იქნევდნენ ზორბა გარევნობის გლახასაკენ, რომელიც იაქთალთან საცოდავად ატუზული დალონებული იდგა.

უბნის თავმომწონე ბიჭები ამრეზით ჩაუვლიდნენ ხოლმე ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე გლახას. ბავშვები ამასხარავებდნენ, ათასგვარ სასაცილო სახელს ეძახდნენ, აბრაზებდნენ და ძალლებს უსევდნენ. მიუხედავად ასეთი დამცირებისა, გლახა ამოჩემებულ უბანს არ შორდებოდა. ხალხით გაჭედილ ქუჩებს, მოედნებს, ბალებს, ბაზრებს და ქარვასლებს ერიდებოდა. მარტო ვინრო და ბნელ შუკებსა და ქუჩაბანდებში დაეხეტებოდა, მუდამრაღაცით შემინებული, დამფრთხალი და მშირი, დაღლილი და ძალლებისაგან დაკბენილი.

ოსები ღამეს ცისქვემ ათენებდა ან გადმოხურული აივნის ქვეშ ეგდო და ეძინა. ცივ, ნაწვიმარ და თოვლიან ღამეს კი ეზოების თბილ თონეში ატარებდა. ძალლ-უმაღურად ცხოვრობდა. მოწყალებით ნაშოვნ ლუკმას ლოლნიდა

და ნყალსაც კი თხოულობდა. ბევრჯერ გაუჩერებია კეთილ მეთულუხების თავისი ცხენი და მისთვის ჯამში ნყალი ჩაუსხამს. მისი საქციელით ყველანი გაკვირვებული იყვნენ. უკვირდათ, რომ საღ-საღამათი ჭაბუკი შიმშილით თავს იქლავდა და ხელის გამეერას არ თაკილობდა. ვინ იყო? სადაური? არავინ იცოდა, ზოგნი ამბობდნენ, სულელი არისო, მაგრამ მთანმინდელებს მისი შეძლილობა არ სჯეროდათ. „რა ბრძანება! უქნარა და ბედოვლათი გახლავთო!“ ერთმანეთს კვერს უკრავდნენ დედაბრები და რძლები, როცა საღამ-საღამოობით ბანებზე აღიოდნენ და ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ საჭორიკანოდ სხდებოდნენ.

იარაღის ვაუი დავითი მას ოსმალეთის გზებზე დაეძებდა და საშინელი, მტანჯველი სიკვდილით ემუქრებოდა. იოსები დავითს გლახის სამოსში ემალებოდა. სავსებით გამოცვლილიყო, მაგრამ მაინც ეშინოდა, ყველგან მდევარი ელანდებოდა და ფრთხილობდა. რადგან ბუნდოვნად მაინც გრძნობდა, რომ მისი გარევნობა, გლახის ძონების მოუხედავად, ირგვლივ მხოლოდ ეჭვს ალვიძებდა. გამუდმებულ შიშსა და შიმშილს ჯერ ვერ მოედრიკა მისი მაგარი აგებულება, ჩეიდმეტი წლის ნაგლეხარი ჯერ კიდევ არ იყო გადაქცეული ჯანგატეხილ, დასუსტებულ, დავრდომილ მათხოვრად. მის სახეზე მხოლოდ შიშიიყო ალბეჭდილი. მას ეშინოდა, ეშინოდა ბატონის ვაუის შურისძიებისა და თმა ყალყზე დაუდგებოდა, რომ სცოდნოდა — ფანდურაანთ იოსები ზოგჯერ დავით გერმანოზიმვილის სახლის აივანსა და ფანჯრებს ჩაუვლიდა ხოლმე.

ახალგაზრდა ნაგლეხარს მათხოვრობის რცხვენოდა. გულს უკლავდა ბრბოს ძახილი: „ვირგლა! ეი, ვირგლა!“ ებილთა ღრჭენით ებრძოდა შემოსულ ძაღლებს და ისე გარბოდა, უკან კი ქვის სროლა, ღრიანცელი, ყვირილი და ძაღლების ყეფა მისდევდა. რომელიმე სახლის იაქთალთან სულს ძლივს იბრუნებდა, კვნესოდა და ოხრავდა, მაგრამ არავინ იყო მისი გამეითხავი. მტვერში ამოგანგლული, სახეგათხუპნული, გასისხლიანებული, ტანსაცმელჩამოგლეჯილი და დაფხრენილი, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ისევ გასაქცევად ემზადებოდა.

დევნილმა და მოუსაფარმა არ იცოდა რა ექნა ან როგორ მოქცეულიყო, სად ნასულიყო და ვის მიჰკედლებოდა. არც ის იცოდა, თუ ვინ ან რა იხსნიდა მას ამ ყოფისაგან.

დარეტიანებული დაეთრეოდა ყველაზე ბნელ, ყველაზე ვინრო და მიმაღლულ შუჟებსა და ქუჩაბანდებში.

მის მრავალგზის მნახველებს ეს უკვირდათ და ხელებს შლიდნენ, რადგან ის მხოლოდ მთანმინდის მეჩხრად დასახლებულ ქუჩებში დალასლასებდა და აქ თხოულობდა მონყალებას. ქვევით კი, ქალაქში, გლახები ხალხმრავალ ადგილებს, ეკლესიებს, დუქან-პაზრებს ეტანებოდნენ და მონყალებასაც იქ უფრო შოულობდნენ. თან შაბათის მაღლის მორნმუნე მედუქნეები გლახას ისე არ გაუშვებდნენ, რომ მის სანთლით განათებულ თეფუშზე ხურდა ფული არ დაეყარათ.

ასე იქცეოდა შაბათ დღეს მოგებით ნასიამოვნები ყველა ვაჭარი, მეტაურნი და ხელოსანი.

ეს უცნაური გლახა კი შაბათ-კვირასაც არ სცილდებოდა მთანმინდას, სადაც არც დუქანი იყო, არც სახელოსნო.

მალე მან ყველას ისე მოაბეზრა თავი, რომ მოწყალებას მისთვის აღარავინ იმეტებდა.

## 7. დელგავი

სადაც წვიმს, იქ დარიც გამოვა.  
გრიგოლ რჩეულიშვილი, „თამარ ბატონიშვილი“

სექტემბრის მიწურული იყო.

უღრუბლო ცა ცხრათვალა მზით იყო გაკაშკაშებული.

მიუხედავად უამრავი ბალებისა, ვენახებისა და ნალკოტებისა, ცხელი, თეთრი ქალაქი მზის ალმურში თეთრად ინვოდა. სექტემბრისათვის უჩვეულო პაპანაქება იდგა. სულის შემხუთავი ბული ზეცაში ოქროს მტვერივით იყო გაბნეული. ადამიანს სუნთქვა უჭირდა და ჩრდილს ეძებდა.

შიმშილისაგან მისუსტებული გლახა დიდობის ჩრდილში მიგდებულიყო ხილის ბალის მაღალ ღობესთან. პირქვე გართხმულს გაბურდვნილი თავი ყვითელ-მწვანე, ნახევრად გამხმარ ბალახში ჩაედო და ჩასძინებოდა. ძილში იშმუშნებოდა, კვნესოდა, ბუტბუტებდა, ხან ვიღაცას ულიმოდა და უცინოდა, ხანაც ვიღაცას უწყირებოდა, უტევდა და ემუქრებოდა.

მზე შუბის ტარზე შედგა.

შუადლისას ცის დასავლეთ კაბადონზე ღრუბლის პატარა თეთრი ქულა გამოჩნდა, მთის გრეხილზე იგი შეუმჩნევლად ამოცოცდა. თანდათან გადიდდა, გაიზარდა, დამრგვალდა, გაფართოვდა, ნონოლა გახდა, ბოლოს მოკრალებულ ზეცაში გაიშალა და თოვლის ზეინივით დაინგრა. ცარგვალი ერთბაშად მოუსვენრად მსრბოლავი ღრუბლებით გაივსო. ჩრდილი სინათლეს სდევნიდა. ერთ მხარეს მზე რომ ჩახჩახებდა, მეორე მხარეს უკვე ბნელოდა. ავჭალის მწვანე ჭალები დაბნელებული იყო, შაიტახტის ტერასიანი ბალები კი ისევ მზეზე ეკიდნენ.

დასავლეთის მხარეს თვალნათლივ გამოისახა წვიმის ფარდები. იქით უკვე წვიმდა. მრუმე ღრუბლები გასქელდნენ და მზის შარავანდედს ყველგან გზები მოუჭრეს. აქამდე მხიარულმა ბუნებამ მოიწყინა და გაინაბა. წვიმის ნინ ქალაქი გაურკვევლად ხმაურობდა და ყრუდ დუდუნებდა. ბებერმა თუთებმა ტოტები სატირლად ჩამოუშვეს. მერცხლებმა სულ დაბლა იწყეს სრიალი. ამღვრეულ ზეცაში რომელილაც მტაცებელი ფრინველი გაჩქარებით მიფრინავდა. ამოვარდნილმა ბორიომ მთანმინდას თბილი სუნი მოჰყერა.

ალაგ-ალაგ ნინნკულა დაინყო. თვალი გარეუევით ამჩნევდა წეიმის მსხვილსა და გრძელ წვეთებს, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებით შეუიღით ცვიოდნენ გაცხელებულ მინაზე. წეიმის წვეთები მრავლდებოდნენ, ერთდებოდნენ, განიერ ზოლებად ლაგდებოდნენ და ეს მოძრავი ზოლები თვალის დახამხამებაში ყველგან წეიმის ფარდებს ქსოვდნენ. წეიმა უკვე გაჩქარებით და უინიანად მოდიოდა. წყლის ჩხრიალი და ხმაური მატულობდა. უეცრად დალვრემილი ზეცა ელვამ გააპო. ქვეყანა გაანათა, ქუხილმა დაიგრვეინა, ჰაერი შეირყა, სამგორთან მეხი გავარდა. ერთი წამით ძრნოლის მომგვრელი დუმილი დამკვიდრდა. მერე ცის ოთხივე კაბადონი ბნელში ჩაიღუპა, ცამ დაბლა ჩამოიწია და მთელი ქალაქი კოკისპირულ წეიმაში ჩაიძირა.

გლახა თოფნა კრავივით წამოვარდა ზეზე.

საშინელ დელგმაში გამოლვიძებული ერთხანს ერთ ადგილზე გიუივით დარბოდა. მის თავზე ცა გრგვინავდა. ხეები საზარლად შრიალებდნენ. თუთის ფოთლებში წეიმის ნყალმა გამოხეთქა და თავლია გლახა სულერთიანად განუნა. ცივმა წეიმამ გამოაფხიზლა, ჩაბნელებულ ზეცას საყვედურით ახედა და ფართოდ გალებული თვალებიდან ლოყებზე სიმნრის ცრემლები ჩამოედნა. აქეთ-იქით გაიხედა, მაგრამ ახლომახლო ძეხორციელი არ ჩანდა, არც სახლი იდგა სადმე. ბოლოს კომბალი მოიმარჯვეა და ქალაქის მიმართულებით ჯიუტად გააპოტა.

ისებს წეიმა უმონყალოდ სწუნავდა, შიშველი ფეხები წეიმის ნყალსა და ტალახში ეფლობოდა. ყველგან გუბეები და ტბორები ხვდებოდა, გაჭირვებით მიალაჯებდა და გაჩენის დღეს წყევლიდა. წინ კი არსვინ და არაფერი ჩანდა. არც ადამიანი, არც სახლი, არც ყორე და კედლის ნაგლევი, არც რამე თავშესაფარი. სიბნელე და წყედიადი სულ უფრო და უფრო მატულობდა. ღამდებოდა. გარემო განუჭვრეტი ხდებოდა. დროგამომვებით მოკუპრულ ზეცას ელვა ბზარავდა და ჩაბნელებული ქალაქი ალიონივით ნათდებოდა.

წეიმა ძლიერდებოდა.

ადიდებული ნიაღვრები მამადავითის მთიდან ლოდებს ყურისნამლები ზათქით მოაქანებდნენ. ნიაღვრებში მოხვედრილი გლახა ძლივსლა იგნებდა გზას. ირგვლივ არაფერის დანახვა არ შეეძლო. ნიაღვარში მუხლებამდე მდგარი განნირულივით ყვიროდა, მშველელს ეძახდა, მაგრამ მშველელი არსად ჩანდა. მოზვავებული ლოდები მას ნარამარა აქცევდნენ, ისევ ფეხზე დგებოდა, თვალების ცეცებით წინ მიდიოდა, მაგრამ ფეხებში მოხვედრილი ლოდი ისევ დაბლა ანარცხებდა. გლახას თანდათან ძალა ელეოდა და სასონარკვეთილს ასე ეგონა, ღმერთი და ადამიანები შეთქმულიყვნენ, რათა იგი ნიაღვრებში ამოეხრჩოთ. მხოლოდ სიცოცხლის ნყურვილს და თავის გადარჩენის ნადილს მიჰყავდა იგი თავდაღმართში, რომლის ბოლოს უკვე მოჩანდა ნაგებობათა ბნელი სილუეტები, ზოგი სახლის ფანჯრებში კი წითლად მბუუტავი ცეცხლიც კრთხოდა. იქ მას ადამიანები ეგულებოდა, თვალი იქით კენჭენდა მიჰყრობილი და ცდილობდა, როგორმე ადამიანებთან მიეღწია.

დაღმართის ბოლოს გლახა ქუჩაზე გამოვიდა. ქუჩის ორსავე მხარეს ახლად აშენებული ორსართულიანი სახლები იყო აღმართული. ამ სახლების დაგმანული დარაბებიდან გამოსული მკრთალი სინათლე გლახას, ავად თუ კარგად, გზას უნათებდა.

შეა ქუჩაში, მხარმარჯვნივ, ერთ-ერთი სახლის მეორე სართულზე ოთხი ფანჯარა მკვეთრად იყო განათებული. აქ ოსებმა ვარკვევით დაინახა გრძელი და განიერი ხის აივანი, რომლის ქვეშ გაჩერება და სულის მოთქმა შეეძლო. დალლილ-დაქანცული იმ სახლთან ვაინაჩრობით მიფართატდა, აივნის ქვეშ კედელს მიეყუდა, ლრმად ამოხვნეშა, გული თან ამოაყოლა, თავი სველ აგურებს მიადო და თვალები დახუჭა.

აივნის ქვეშ ჭოჭი იდგა, მაგრამ წვიმა არ ჩამოდიოდა. გლახა სულს ითქვამდა და თანდათან გონჩე მოდიოდა.

მოსულიერებულს შიმშილმა თავი მოაგონა, ორი დღე იყო, რაც პური არ გაეტეხა და პირში ნანილი არ ჩაედო. ძალლივით შიოდა. შიმშილით სასომის-დილს გულიულონდებოდა და თონიდან ახალამოყრილი ცხელ-ცხელი პურები ელანდებოდა. თანდათან თვლება და ბურანი ეუფლებოდა, მის გარშემო აღარც წვიმდა, აღარც ბნელოდა. იგი ოქროსფრად მობიბინე პურის ყანაში დააბოტებდა, ხანაც ვენახში ვაზებს ეხვეოდა და ბავშვივით გახარებულს ხელებში დიდრონი ცხელი პურები და ყურძნის გრძელი, მნიშვე მტევნები ეჭირა. ამ საამურმა ზმანებამ ისე მოადუნა, რომ თვლემამორეულმა ძირს ზღართანი მოადინა. კვნესით და ბურტყუნით ნამოდგა ფეხზე. ხელიდან გავარდნილი კომბალი აიღო და ისევ კედელს მიეყუდა. ქუჩას თვალი გააყოლა, სახლებს თვალიერება დაუნყო, ადამიანებს თვალით ეძებდა, მაგრამ ახლო-მახლო არც ვინმე ჩანდა, არც ვისმეს კარი იყო გაღებული.

წვიმა თანდათან კლებულობდა. ნიალვარი, ნელან ომახიანად რომ ღრიალებდა, ახლა ხმას უკლებდა და უკვე ნაკადულივით მიჩრიალებდა. სიარული ნელანდელივით ძნელი არ იყო, მაგრამ სად შეეძლო ნასვლა მიუსაფარ გლახას?

ოსები აივნის ქვეშ თავჩაქინდრული იდგა და ადგილიდან არ იძვროდა.

## 8. მეჯლისის ნინ

მეჯლისებზე და მთავარმართებლის სასახლეში გამართულ დღესასწაულებზე სამოსის ისეთი ნაირფეროვნებაა და ისეთი ფულუნება, რომლის მსგავსი თვით კონსტანტინოპოლისა და პარიზში არსად მინახავს. ფრიდრიხ ბოდენშტედტი, „1001 დღე“

ანაზღად სახლის სადარბაზოს კარი ჭრიალით გაიღო. იქიდან ვიღაც მამაკაცი გამოვიდა და აივნის ქვეშ დაყუდებული უცნობი რომ დაინახა, ხმამაღლა დაუყვირა:

— ვინა ხარ?

გლახას ენა მუცელში ჩაუვარდა, შიშმა აფტანა.

— ვინა ხარ? — გაიმეორა სახლიდან გამოსულმა და მისკენ ნამოვიდა. იმსებმა გაქცევა მოინდომა, მაგრამ ფეხები არ დაემორჩილა.

— არ გეყურება, კაცო? — უფრო აუმაღლა ხმას უცნობმა მამაკაცმა და მაშინვე დასძინა: — იქნებ ქართული არ გესმის? სომეხი ხარ? თათარი თუ რუსი?

პასუხი აღარ დააცალა, დაკვირვებით ახედ-დახედა და უთხრა:

— სულერთია, ვინც უნდა იყო. ბრგე ჩანხარ და ნამდვილად გამოდგები. ჩემს ქალბატონს არ უნდა, ქოშები და კაბა წვიმის ნყალში დაუსველდეს. ამაღლ კრისტიანული ბალში არის დაპატიჟებული. შენ ჩვენი ლამაზი მხარზე უნდა შეისვა და სასახლეში წაიყვანო. ამისთანა ავდარში სხვას მაინც ვერ ვიპოვნი, ძან იღბლად არ შემხვდი! აბა, მოემზადე!

გლახა დუმდა.

მსახურმა გაკვირვებით აათვალიერა და ჰეითხა:

— კაცო, ყრუ ხარ თუ მუნჯი? ნაიყვან-მეთქი კნიაუნას?

გლახა ხმას არ იღებდა. მისი დუმილი მსახურმა თანხმობად მიიღო, სადარბაზო კარის კენ გაიხედა.

იქ დავით გერმანოზიშვილი იდგა.

იმდროს თბილისის ქუჩები ვიწრო, მოუკირნებულავი და იკრიბოკრო იყო. წვიმის დროს ქუჩებში აუდებელი ტალახი, ლაფი და ჭოჭი დგებოდა. ევროპელი მოგზაურები თბილისში სამ რამეს ამჩნევდნენ: ლამაზ ქალებს, აბანოებს და გაუვლელ ტალახიან ქუჩებს. გამვლელები კედელ-კედელ დაიარებოდნენ, ქვიდან ქვაზე ხტებოდნენ, ფეხშიშველა პატარა ბიჭების დახმარებით ლოდებზე გადებული ფიცრებით ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარზე გადადიოდნენ და ისე სველდებოდნენ, როგორც მეთევზეები. ეტლი ქალაქში სპილოსავით იშვიათი იყო. ამიტომ სტუმრები მეჯლისებში ფეხით მიღიოდნენ, ანდა ცხენებზე და მუშის კურტნებზე ისხდნენ, განსაკუთრებით ავდარში, როცა წვიმდა ან თოვდა.

იმ სახლში, რომლის აივანს ფანდურაანთ იმსებმა თავი შეატარა, დიდი ფაცაფუცი იდგა. თხუთმეტი წლის მანანა გერმანოზიშვილი მეჯლისში ნასასვლელად ემზადებოდა და ირთვებოდა. ღელავდა, უინიანობდა, კაპასობდა. მოახლეს რამდენჯერმე სილა გაანნა და აღელვებულმა, შეცვლილი ხმით დაუყვირა: „კაბას რიგიანად არ მაცმევ და გინდა, მთავარმართებლის მეჯლისში უძნო გამოვჩინდეო“. აცრემლებული მოახლე თავადის ასულს მუხლისჩოქვით გარძემო უვლიდა, ყველაფერს უსიტყვოდ უკეთებდა და უსრულებდა, მაგრამ გაღიზიანებული ქალბატონის დაწყნარებას მაინც ვერ ახერხებდა.

იმ საღამოს მანანა გერმანოზიშვილი მაღალი ნრის საზოგადოებაში პირველად უნდა გამოჩინილიყო. მთელი დღის განმავლობაში სარკესთან ტრიალებდა, თავისი მშვენიერი სახის ცქერით ტკბებოდა და ნორჩი, გამოუცდელი გული საამომდელვარებით ევსებოდა. რამდენიმე საათის შემდეგ იგი ბართნ როზენის სასახლეში უნდა ყოფილიყო.

სალამოხანს უეცრად კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. მანანა დალონდა. არ უნდოდა წვიმაში დასველებოდა თეთრი ფრანგული ატლასის კაბა დანატიფად ნაქარვი, პატიოსანი თვლებით შემკული ნითელი სპარსული ფეხსაცმელები. ანრიალებული თავადის ასული ხან ფანჯარასთან იდგა, ხან მაღალ ვენეციურ სარკესთან. გარეთ კი განუწყვეტლივ წვიმდა. მანანა ვერც ჯდებოდა, ვერც დგებოდა. ნამდაუნუმ ფანჯრებთან მირბოდა და მოუთმენლად ელოდა წვიმის გადაღებას. ჭექა-ქუხილი აფითრებდა, ნარბს უკრავდა, უფრო მოუსვენარს ხდიდა. ყოველ გაელვებაზე შეშინებული აჩერდებოდა ძმას, ვეებერთელა ტახტზე მხარ-თეძოზე ნამოწოლილ კავალერიის ახოვანსა და ბრგე ოფიცერს, რომელსაც მღელვარების ნიშანწყალი არ ეტყობოდა. იგი დამშვიდებული (ძმის ეს სიმშვიდე აუტანელი იყო მანანასათვის) სწერდა გრძელტარიან ჩიბუხს, რომლის ანთებული თავი ძვირფას ნოხზე იდო. თავადს მუნდირის შესაკრავები გახსნილი ჰქონდა, თოვლივით თეთრი პერანგი მოუჩანდა, მარცხენა ფეხი ირიბულად ჩამოეშვა ტახტიდან და დეზის თვალი იატაკისთვის მავრად დაებჯინა. „ისეთნაირად წევს, თითქოს საყვარელს ელოდებაო“, — ფიქრობდა გაბრაზებული მანანა, თან ცდილობდა, ძალიან არ აღელვებულიყო, რათა მეჯლისში ფერმურთალი არ გამოჩენილიყო.

წვიმა გადაღებას არ პირებდა. მანანა მოთმინებას ჰყარგავდა.

სახლის ერთ-ერთ ოთახში, კუთხეში დასვენებული ხატების წინ მანანას გამდელი, შავებში ჩაცმული დედაბერი მუხლმორთხმული ლოცულობდა და ღმერთს წვიმის გადაღებას ევედრებოდა.

საათი წყნარად რეკდა.

მანანამ ათა დათვალა. სახეზე უსასოობა გამოეხატა.

— დრო არი, ნავიდეთ. — მოაგონა მას დავითმა.

— ვიცი, მაგრამ ჯერ ისევ წვიმს.

— არა, ეტყობა, წვიმამ გადაიღო. ეხლა შეიძლება ქუჩაში გავიდეთ.

— რას ამბობ, დავით! — შესძახა მანანამ, — იმოდენა ნიალვრის შემდეგ ჩემი ლამაზი ფეხსაცმელებით როგორ ვიარო? მეჯლისში გალუმპული ხომ არ მივალ?

— მაშ, რა ვქნათ? საათმა ათჯერ დარეკა. გვაგვიანდება.

— ადრე რომ წავსულიყავით, წვიმას გავასწრებდით, — საყვედურით მიმართა მანანამ ძმას, — ნასადილევს დიდხანს გეძინა, შენი გალვიძება ვერ გავბედე. მაგრამ რა ვიცოდი, თუ იმ მზიან ამინდს ესრეთი ავდარი მოჰყვებოდა.

— მეჯლისში ადრე მისვლა მიღებული არ არის, — ცივად უპასუხა დავითმა. — გამოუცდელობას ნუ შეიმჩნევ, კნიაუნავ. პატარა ალარა ხარ. დღეიდან ახალი ცხოვრება უნდა დაიწყო. ეჰ, ვინ იცის, ეს ავდარი რას გვინინასნარმეტყველებს?

— ნუ მეუბნები მაგას, დავით! მეც ვიფიქრე ეგა, მაგრამ ძალით დავთრგუნე მავნაირი ფიქრი. პატარაობიდანვე მეჯავრებოდა წვიმა და ქარიშხალი... მამაჩვენიც ხომ იმ წყეულ, ქარიშხლიან ლამეს მოჰკლეს... მე მეშინია, დავით!

მანანა გაჩერდა. სახე უფრო მოელჩუბდა. დავითმა მკაცრო ხმით უთხრა:

— შიშს ნუ ახსენებ, კნიაუნავ, გახსოვდეს, რომ შენ ჩემი დაი ხარ.

მანანას შერცხვა, განითლდა. და-ძმანი ერთხანს მდუმარედ შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ბოლოს, დუმილი ისევ მანანამ დაარღვია, დავითს მიუახლოვდა და მოეხვია.

— სანამ ჩემს გვერდით მეგულები, დავით, არაფრის არ შემეშინდება.

დავითი მოლბა, სინაწულით ნარმოსთქვა:

— ვნანობ, რომ დილით, ყაზარმაში, ცხენების მოყვანა არ დავავალე დენძის. დარმა შემიყვანა შეცდომაში. ეხლა ეს გვიან არის. პო, ჩვენი მსახური ბებერი რომ არ იყოს, ცხენის მაგივრობას გაგინევდა.

— დავით! — აღტაცებით ნამოიძახა მანანამ და ხელი ხელს შემოჟერა. — ეგ რა კარგი აზრი მოვივიდა! ერთი ევირის ნინათ ფანჯრიდან დავინახე, როგორ იჯდა ენეინა მაჭატა მუშის კურტანზე, „ჭორების ბოლინია“ კურტანზე ისე კოხტად იჯდა, თითქოს ცხენის უნავირზე მჯდარიყოს. ხელში გაშლილი ქოლგაც ეს სასაცილოდ ეჭირა. სიცილი ნამსკდა, მაგრამ ეხლა მე თვითონ დოდი სიამოვნებით მოვიყალათებდი რომელიმე ლონიერი ქალაქელის მხარზე.

დავითმა ზარი დარეკა.

ოთახში ხნიერი მსახური შემოვიდა და კარებთან მოკრძალებით გაჩერდა. დავითმა მოკლედ აუხსნა, რა უნდა გაეექთებინა მას. მსახური ხმისამოულებლად გატრიალდა კარების უნდა და თან თავის თვეის ნაიმუხლენა: „ამ ნაუდრევ დამეშივს ვიჰუვნიო“. დავითმა მუნდირი შეიკრა, ხმალი ნელზე ჩამოიკიდა, ჭუდი დაიხურა, ნამოსასხამი მოისხა და დეზების ნკრიალით ფეხდათვეს მიჰყა მსახურს, რათა საკუთარი თვალით დარწმუნებულიყო იმ ადამიანის ლონები, რომელსაც თავისი მხრით თავადის ასული სასახლემდის უნდა მიეყვანა.

მსახური აივნის ქვეშ გლახას შეეფეთა, საყელოში ხელი ჩასჭიდა, დავითისენ მოიხედა და მოახსენა:

— თავადო! აი, ვინ ნაიყვანს კნიაუნას!

დავით გერმანოზიშვილი მათ მიუახლოვდა. წვიმით განუწული ახოვანი მამაკაცი ცხენივით დაათვალიერა. მისი განიერი მხარბეჭიმოენონა, თვალში მოუვიდა, თათმანიანი ხელი მხარზე მეგობრულად დაჰკრა და უთხრა:

— ლონიერი ჩანხარ. შენი მხარი კავკასიურ უნავირს სჯობია. მართალს ვამბობ, არ გეხუმრები. მაგ მხარით კნიაუნა სასახლემდის უნდა ატარო. ამაში მე თეთრს მოგცემ. — დავითმა გაკვირვებით შეხედა გლახას და ჰეითხა:

— რისთვისა თრთი, ბიჭი! უჲ, საბრალო! წვიმაში ხარ დამბალი განა?! ალბათ გცივა ეიდეც. არა უშავს, ჩემი მსახური ძველ ჩოხას გამოვიტანს. ლაზარე! ამ კაცს ჩოხა გამოუტანე და მანანას მოუხმე. მე აქ დავიცდი.

მანანა უკვე მზად იყო. ქართულ კაბაზე თეთრი შალი კოხტად ნამოესხა. სახეზე გამჭვირვალე პირბადე ჩამოეფარებინა, რათა წვიმის ნინნელები არ შესხმოდა, ხელში ქოლგა აეღო და ცალი ხელითაც გაუთავებლად პირკვარს ინერდა. მსახურმა ჩოხა მკლავზე გადაიგდო, გზის გასანათებლად

სამსანთლიან შანდალს დაავლო ხელი და თავადის ასულს ნინ გაუძლვა. გამდელი თავის ქალბატონს უკან დაედევნა. შეპხაროდა, შესციცინებდა, ისიც პირჯვარს იწერდა და ხელაპყრობით ლოცულობდა.

როცა მსახური ჭუჩაში გავიდა, ძლიერმა ქარმა მანდლის სანთლები ჩაუქრო, მაგრამ მანანამ გლახის ძმნების დანახვა მოასწორო, ამრითა და ზიზღით ნამონძახა:

— ფუჟ! ეგ გლახა ყოფილა!

დავითს არ უნდოდა ხელიდან გაეშვა მხარბეჭიანი ახალგაზრდა გლახა, მანანას მოუპრუნდა და გადაულაპარაკა:

— ჰო, გლახა არის... შენს მოსვლამდის ვარცხვენდი. ხედავ, გაჩუმებულა და სირცხვილით თავი ვერ აუნევია.

მსახური უკანვე შეპრუნდა სადარბაზო კარში, კიბის უკანას ქნელ საფეხურზე დაიჩიქა და ცდილობდა ხელახლად აენთო სანთლები, მაგრამ ვერაგზით ვერ მოეხერხებინა.

დავითმა მსახურს აღარ მოუცადა, თუმცა სიბნელეში გლახას ძლივს ამჩნევდა, მის მხარზე ფრთხილად აიყვანა მანანა, თან დაეხმარა ბეჭზე კარგად გამაგრებულიყო, გაძლილი ქოლგა მიანოდა და გააფრთხილა, მაგრად ჩაევლო დაქირავებული მზიდავისათვის თმებში ხელი.

მანანამ კისკისით ჩავლო ხელი გლახის გრძელ, დიდი ხნის მოუკვეცელ თმებს, სადავესავით ჩაბლუჭა, მარჯვენა ხელით კი გაძლილი ქოლგა დაიჭირა. გლახა ნელი ტატით დაიძრა. თავადის ასულმა გულიანად გადაიკისკისა და მხიარულად შესძახა: „აჩუ!“

თავადი გლახას გვერდში ამოუდგა, დას ხელი მიაშველა და ფხიზლად ეჭირა თავი, რათა სიარულის დროს დაბლა არ ჩამოვარდნილიყო.

ჭუჩაში გამოსულმა მსახურმა მათ თვალი გააყოლა და უნებლიერ ნამონძახა:

— ეჲ, თუ ჩვენი ლამაზი დაბლა ჩამოვარდა და ტალახში გაიშლართა, მაშინ ნახე მეჯდოს!

ამ სიტყვების გაგონებაზე განრისხებულმა დედაბერმა მას წყევლა-კრულ-ვის ისეთი კორიანტელი დააყარა და ისეთნაირად აიკლო, რომ დაბნეულმა მსახურმა აღარ იცოდა, სად გაქცეულიყო.

## 9. თავადის ასულის გზიდავი

ეტლი თბილისში იშვიათი იყო.

ქართველი და უცხოელი მოვ ზაურების ჩანაწერებიდან

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. იოსები მხოლოდ მაშინ მოვიდა გონზე, როცა მანანა გერმანოზიშვილი უკვე მის მარჯვენა მხარზე იჯდა. ანგარიშმოუცემლად მიდიოდა, რაღაც მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ ვერ

გმიშვლარიყო, რატომ და რისთვის. ყველაფური ისე სწრაფად და მოუკლოდნელად მოხდა, რომ მას არც რისმე მოსაზრება შეეძლო და არც რამე გადაწყვეტილების მიღება. ვ ზამი მას ქალის ნერიალა კის კისი და განუწყვეტელი „აჩე“ ესმოდა. მის გვერდით კიდაც მამაკაცი ბოხი ხმით ლაპარას კობდა. ეს ნაკნობი, სადღაც გავონილი ხმა გაბრუებულ იოსებს თანდათან აფხიზლებდა. მისი გონიერის თვალი და ყურიუკე გარკვევით არჩევდა სავნებსა და ხმებს, ამჩნევდა ჭურაში აღმართულ სახლებს, იშვიათ გამვლელებს. გრძნობდა, თუ როგორ სცემდა პირისახეში ლამის ცივი ქარი, რომელიც მას ისევე აფხიზლებდა, როგორც ქალის კის კისი და გვერდით მიმავალი მამაკაცის რობროხი. იოსებს თვალებიდან ბინდი გადაუყარა. ყველაფური ცხადად გამოჩინდა. მის მხარზე ნებივრად მოკალათებული მანანა გერმანოზიშვილი კის კისებდა, ხოლო იქვე, სულ ახლოს, მხარმარცხნივ, დავით გერმანოზიშვილი მოსდევდა დეზების ნეარუნით. „როგორ გადავურჩე ჩემს მდევნებულებს, — ფიქრობდა გაოცებული იოსები, — რატომ არავთარ ყურადღებას არ მაქცევს დავითი? რატომ მანანა თავის კის კისს არ შენყვეტს და კულით არ ეტყვის თავის ძმას: „მე ჩვენი მამის მკვლელის მხარზე ვზივარო“. ნუთუ ისეთნაირად დაბრმავდნენ, რომ ველარა მცნობენ?!“

იარაღ გერმანოზიშვილის მკვლელი ვერც დავითმა იცნო და ვერც მანანამ. ფანდურაანთ იოსები, რომელსაც დავით გერმანოზიშვილის კაცები ისმალეთის საზღვრებზე და ავაზაკების ბუნავებში დაეძებდნენ, ან სიბნელემ გადაარჩინა, ანდა ხანგრძლივმა ნანნალმა და შიმშილმა ისე გამოცვალა, რომ იარაღის შვილებმა ველარიცნეს. გერმანოზიშვილებს ამაყი და თავმომნონები ყაჩალების ბრძოში ან ისმალეთში ეგულებოდათ. ამ გასაცოდავებულმა და საწყალობელმა გლახამ კი არც ძმას და არც დას არავთარი ეჭვი არ აღუძრა. დავითი მას არავთარ ყურადღებას არაქცევდა. მკლავამართული ფხიზლად იყო, რათა თუ უცემ მანანა გადმოქანდებოდა, დროზე შეემველებინა ხელი.

მანანა კი ხუმრობდა, კის კისებდა, ცელქობდა. ნაწვიმარ ღამეში მხარულ სიტყვებს ჰეთანტავდა. ცივი, საემაოდ ძლიერი ქარი უბერავდა, მაგრამ თავადის ასული უშიშრად იჯდა გლახის მხარზე. ძმას სიცილით ეუბნებოდა: „თავს ისე ვვრძნობ, როგორც ნიუნელი ჰესარი თავის ჭურაზე! დავით, შენ ჭკვიანი ცხენი დამიქირავე!“ დავითიმენიდრულად შეკრეჭილულვაშებში ილიმებოდა და თანდას აფრთხოლებდა, გლახის მხარზე წყნარად მჯდარიყო, რათა ქარს არ დაეძალა და დაბლა არ ჩამოევდო. მაგრამ მანანა სიცილს ვერ იმავრებდა, ანცად ირნეოდა. თოთქოს ცხენის ტახტაზე ზისხ, „აჩე!“ — დაიძახებდა და სიცილი ნასკდებოდა ხოლმე. დავითიც რობროხით აძლევდა ძანს და ვინმე გამვლელს ეს ერთიმეორეზე ანონილი, მოხარხარე ადამიანები რომ დაენახა, გიურებად ჩათვლიდა.

გამოფხიზლებულ იოსებს მანანას სიცილი გონიერას უმღვრევდა. გულში ჩხველეტდნენ მისი დამცინავი და დამამცირებელი ნამოძახილები და თუმცა იგი შიძითა და შიმშილით იყო დაძაბუნებული, ბატონის ნებიერი ასულის შეურაცხმულელმა სიცილმა ერთბაშად გააღვიძა მასში ადამიანური თავმოყვარეობა და მოელი მისი არსება შურისძიების გრძნობამ განმსჭვალა. მას უცემ თვალწინ

დაუდგა ნათისა ნამტირალევი სახე დაწინდული დანით ხელში. თევზდორეს მოქანდაკება კი განუწყვეტილი ყურძინასძახოდა: „მოჰკალი მოჰკალი! რაღას უყურება? ევრერამ გავადედლა, ბიჭო?“ იოსები შეტორტმანდა. გაჩერდა. მანანა კინაღამ გადმოვარდა მისი ბეჭიდან და შეშინებულმა დაბალი ხმით შეჰკულა.

დავითი ზიზლით მიუბრუნდა გლახას:

— დაიღალე? მე ლონიერი მეგონე. გამაგრდი. შორს აღარა ვართ.

მანანამ კვლავ სიცილი ასტეხა.

— გადავრჩი! მაგრამ რანაირად დადის? მთვრალი ხომ არ არის, დავით?

— დალმართი მშვიდობიანად ჩავიარეთ. მთავარი სწორედ ეს იყო, — უპასუხა დას დავითმა და შეეხუმრა. — ვოგო ხარ, მსუბუქი და ადვილად გიძლებს. დედაკაცი რომ ყოფილიყავი, ახლა ალბათ ტალახში ეგდებოდი შენი ოქრონაკერი კაბითა.

ფანდურაანთ იოსების გონებაში კვლავ გაიღვიძა შერისძიების წადილმა. შეუმჩნევლად გაისწორა კომბალი, რომელიც მას მარცხენა ხელით ეჭირა და მინაზე მიათრევდა. იოსებს ახლა მხოლოდ ერთი განზრახვა ამოძრავებდა. უნდოდა მხრიდან ჩამოეგდო მანანა, ხელი ეკრა დავითისთვის და ორთავენი იქვე ამოეხოცა. მას ხმლით შეიარაღებული მონინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ ამის არ ეშინოდა. ასე ეგონა, რომ იგი ადვილად გაუსწორდებოდა დავითს, თუ მას მოულოდნელად თავს დაესხმოდა და ხმლის გამოყენების საშუალებას არ მისცემდა. მანანას მხოლოდ ყვირილი შეეძლო, მაგრამ მის ყვირილს ამ ბნელ ღამეში იშვიათად თუ ვინმე გაიგონებდა. იოსები ახლა იმაზელა ფიქრობდა, თუ როგორ წაექცია დავითი, რათა მას ხმლისთვის ხელი არ ეტაცნა და მისთვის არ შემოეტია. მან კარგად იცოდა, რომ მისი მტერი გამოცდილი მხედარი იყო და თუ მარჯვედ არ მოიქცეოდა, არ დაასწრებდა და კომბლით თავს არ გაუხეთქავდა, გერმანოზიშვილების დახოცვის განზრახვა ძვირად დაუჯდებოდა. მაგრამ გვიანდა იყო ყველაფერი. ისინი ბნელი ქუჩიდან ნიკოლოზის ახმაურებულ მოედანზე გამოვიდნენ. იოსები ისევ მოდუნდა. ისევ დაუთრგუნველმა შიშმა შეიპყრო. სასახლის წინ აუარებელი მსახური მიდი-მოდიოდა, მაღლა ანეული ფარნებით ხელში.

იოსებმა თავისი უცნაური სამსახური შეასრულა. უვნებლად მიიყვანა თავადის ასული სასახლემდის.

მანანა ძმის დახმარებით მსუბუქად ჩამოხტა გლახის მოქანცული მხრიდან სასახლის კიბის განათებულ საფეხურზე.

დავით გერმანოზიშვილმა გლახას არც შეხედა, ხელში ვერცხლის გროში ჩაუდო, დას მკლავი მიაგება და მათ ამაყად გაიარეს ორ ნიუბად მდგარი მსახურების მოკრძალებით დახრილ თავებს შუა.

# კარი მეორე

## 1. გევლისი

სამოსთა და სამკაულთა ბრნყინვალება; სანთელთა ქრთომა, სურნელოვანი ნელსაცხებლები; უთვალავი შიშველი მკლავი, მშვენიერი მხრები, თაიგულები, როსინის არიები, სულს რომ ეფონებიან, ჩიჩერის სურათებით — აღტაცებისაგან  
თაედაეინყებული ვარ.  
„უზერის მგზავრობა“

კავკასიის გამგებელი და მხედართმთავარი ბარონი როზენი მედიდური იერით ხვდებოდა მეჯლისის სტუმრებს, მხოლოდ რჩეულებს უნვდიდა ხელს და მიმქრალი, ძლივს შესამჩნევი ლიმილით აძლევდა მათ სალამს.

მთავარმართებლის სასახლეში დიდყაცობას მოეყარა თავი. აქ იყვნენ: ქართველი მთავრები და თავადები, სომები მელიქები, თათრის ხანები და სულთნები, ჩერქეზი ბეგები, კავკასიაში სიმდიდრისა და სახელის მოსახვეჭად ჩამოსული დიდმოხელენი, გენერლები, ევროპელი კონსულები და მოგზაურები.

სასახლის დიდი დარბაზი უამრავი ჭალით იყო გაჩირალდნებული.

ქოროზე სამხედრო მუსიკა უკრავდა.

„კადრილს“ ფიცხი „მაზურკა“ ცვლიდა.

პირმშვენიერი ბანოვნები მკრთალი, მაგრამ ბედნიერი ლიმილით და ტანის კეკლუციონებით მისდევდნენ კავალრებს და მოხდენილად ტრიალებდნენ. მოცეკვე ქალ-ვაჟი ერთმანეთს ულიმოდნენ და მონიწებით უკრავდნენ თავს.

ხანში შესული გოროზი მანდილოსნები ლორნეტიდან ათვალისწინებით ან მონონებით ათვალიერებდნენ ქალწულებს და მსაჯულებივით ამბობდნენ:

— La connaissez-Vous? Elle est jolie!

ან:

— On peut bien voir la beaute mais non pas l'esprit.<sup>2</sup>

მეჯლისში მყოფნი ერთმანეთში სიცილით და ხმაურით ირეოდნენ, ერთმანეთს მოურიდებლად აცქერდებოდნენ, სინჯავდნენ, თვალით ზომავდნენ და აფასებდნენ.

ვის არ ნახავდით აქ, ვის არ შეხვდებოდით!

ბაირონივით დალვრემილი, მბზინავ შავ ფრაკში გამონყობილი შულერი და ყალბი თავადი მარმარილოს სვეტთან გულხელდაკრეფილი იდგა და დიდ

<sup>1</sup>იცნობთ მას? ძალიან ლამაზია (ფრანგ.).

<sup>2</sup>მშენიერება კარგად ჩანს, მაგრამ არა გონიერება (ფრანგ.).

მოხელეთა ცოლებს ერთი ნამით გულგრილად უსწორებდა თვალს, მაგრამ მთელი თავისი არსებით მათი ყურადღების მიქცევას ცდილობდა.

დუელისტი, პირტიტველა, ხუჭუჭმიანი ჭაბუკი ოფიცერი გამომწვევი იერით დადიოდა მეჯლისში, ნამდვილად კი ქალალდში ნაგებულ ფულს ნადვლობდა. მას ერთმა პირლამაზმა გოგომ მდაბალი კნიქსენი გაუკეთა, მაგრამ ოფიცერმა თავი განზე მიაბრუნა — გოგო ლარიბი აზნაურის ქალი იყო და უმზითვო.

მელოტთავიანი და ჭალარათმიანი ბობოლები, პატარანი, როგორც ქოდრისკაცები ან მალები, როგორც გოლიათები, მსუქნები ან გამხდრები, მაგრამ ყველანი იმპერატორ ნიკოლოზ პირველისა და მესამე განყოფილების შეფის ბენენდორფის მსგავსნი ვირტუოზი დალაქის ნყალობით, ციბრუტივით ტრიალებდნენ, ფრანგული თავაზით ეამბორებოდნენ მანდილოსნების გამოწვდილ ხელებს და თან ჩრდილოეთის კაფანდარა ქალებს კავკასიულებისაკენ უთითებდნენ: „უყურეთ, რა გაოცებული იყურებიან ეს მთხელი ველურებიო“.

დაუდგრომელ ჰაჯი-მურატს, რომელსაც მეჯლისში ჰამზათბეის მოქველა ჩააწეოთ ეს ყურში, ხან ზიზლი ეხატებოდა ვაჟეაცურ სახეზე და ხან განცვიფრება, რომელიც გულუბრყვილო აღტაცებით ეცვლებოდა. იგი ახოვანი, არაჩვეულებრივად ტანმსუქანი რუსი მანდილოსნის გვერდით იდგა. ქალი ჰაჯი-მურატს თვალს ვერ აშორებდა და უხალისოდ უსმენდა მჭლე, პირყვითელა და ახმახი გარეგნობის სწობს, რომელიც მთიელ ვაჟეაცს „გაუხედნავ ველურს“ უწოდებდა.

საფრანგეთის კონსული ლეტელიე, ბურუუა, მეფის ქვეშევრდომი, ცულუტად ილიმებოდა, ყველას თავაზიანად ესაუბრებოდა, უფრო ხშირად კი ახალგაზრდა ქართველი თავადების მახლობლად ტრიალებდა და მათ რალაცას ჩურჩიულით ელაპარაკებოდა.

მაღალი და პირხმელი ინგლისელი მოგზაური მალიმალ მონოკლს ისწორებდა და გულდასმით ათვალიერებდა ბარონ როზენის ყველაზე ახალგაზრდა ადგუტანტს. „ნუთუ ვერ მოვისყიდი?“ — ფიქრობდა ბრიტანელი.

საერთო მხიარულებაში თითქმის არავითარ მონანილეობას არ იღებდნენ აჯანყების შემდეგ თბილისში გადმოსახლებული პოლონელი ჰანები. ისინი სერიოზული და მოწყენილი სახით იდგნენ მკვეთრად განათებული კედლის გასწვრივ. მათ შორიახლო ყურდაცქეტილი დაბორიალობდა „სევერნაია პჩელას“ თანამშრომელი, მსხვილი და ნითური მამაკაცი. გუბერნატორი ზავილეისე და ალექსანდრე ჭავჭავაძე ძველი მეგობრებივით შეხვდნენ ერთმანეთს და ისევ საჩქაროდ დაშორდნენ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს უკან „სევერნაია პჩელას“ თანამშრომელი აედევნა.

ქართველი თავადები უგუნებოდ ბრძანდებოდნენ ან ნაძალადევი მხიარულება აღბეჭდოდათ სახეზე. უგერგილოდ უყურებდნენ თავიანთი ვაჟებისა და ასულების მხიარულ გართობას და იმ ადამიანებს ჰგვანდნენ, რომელთაც

მთელი თავისანთი იმედები და კარგოდათ და ახლა ამ იმედების აღორძინებაზე ნუგეშითა და ეჭვით ოცნებობდნენ.

— პოი, რა მზაკვრები არიან ეგენი! — ეუბნებოდა ერთი ხნიერი თავადი თავის ახალგაზრდა თანამოსაუბრეს, გვარდიის კაპიტანს, რომელსაც სახეზე ზოზლი აღბეჭდოდა, თვალებში კი სიძულვილი, — უყურე, რამდენი მოლალატე მოყვანეს ამაღლაშ.

ხნიერმა თავადმა ყმანვილს თვალით დაანახვა დარბაზის დიდი კედლის გასწვრივ, სადაფის სავარძლებში უძრავად მსხდარი ხანები, სულთნები და ბეგები. მათი თეთრი ჩალმები, ინით ნითლად და მწვანედ შეღებილი წვერები და ფრჩხილები ყველას თვალში ხვდებოდა. რუსეთის ახალი ვასალები დუმილით მარცვლავდნენ ქარვის გრძელ კრიალოსანს, უშნოდ ახამხამებდნენ თვალებს ჭალების თვალისმომჭრელი სინათლის გამო და თავიანთ სავარდლებში გაქვავებულნი, ერთ წერტილს უაზროდ მისჩერებოდნენ.

მოხუცებულ მუსლიმანებს მგრგვინავი მუსიკა აცვიფრებდა, გაოცებით შესცეკეროდნენ უცნაურ ცეკვას და შეკავებული წყრომით აბრუნებდნენ განზე თავებს, რათა თვალი მოერიდებინათ მოცეკვავე ქალ-ვაჟებისათვის, ერთიმეორისათვის ხელებირომ ჩაევლოთ, დარბაზის პრიალა იატაკზე გიუებივით მიჰეროდნენ და მერე ერთიმეორეს ურცხვად ეხუტებოდნენ. ჩალმიან დარბაისლებს არც ის მოსწონდათ, რომ დედაკაცებს შეპუდრული სახეები, თეთრი მკერდი და გაშიშვლებული მხრები აშკარად გამოეჩინათ, თვალები ვნებიანად უბრნყინავდათ და უსირცხვილოდ უნვდიდნენ ხელებს ყველა გამვლელ-გამომვლელს. „ოჟ, ილლაჟ, რა სანახაობაა!“

მაგრამ ისინი ოქროთი იყვნენ მოსყიდულნი ან ხიშტით დამორჩილებულნი. უნდა აეტანათ, შერიგებოდნენ და შეჩვეოდნენ.

სამაგიეროდ, ახალგაზრდა მუსლიმანები თამამობდნენ. ისინი ამაყად და თავმომწონედ იდგნენ, ლამაზ ქალებს თვალს არ არიდებდნენ და ჩოხებში გამოწყობილნი ქედმალლურად უყურებდნენ ევროპულად ჩაცმულ მამაკაცებს.

მაჰმადიან ყმანვილებში ყველაზე მეტად თვრამეტი ნლის ომარ ჰაიდარ-ბეგი გამოირჩეოდა. ტანადი და მკვირცხლი ჭაბუკი, მისი შავი ხუჭუჭა თმით შემკული თავი და ლამაზი, ვაჟკაცური პირისახე სტუმრების საერთო ყურადღებას იქცევდა.

ომარ ჰაიდარ-ბეგს თეთრი, მოკლე ჩოხა ეცვა, მისი წელი ბეჭედში ამოვიდოდა. წელზე ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს წვრილი ქამარი შემოეჭირა და ზედ ოქროსავე, განთქმული ქოჩაბური ხანჯალი ჩამოეკიდა. უნაგირზე გაზრდილი ჩერქეზის სიარული ცოტათი დაუხვენელი იყო, მაგრამ ეს მის კენარ ტანს არ აუშნოებდა. მას ყმანვილკაცისათვის შეუფერებელი მკაცრი იერი მიეღო. ამ სიმკაცრეს კიდევ უფრო აძლიერებდა ხშირი, ერთმანეთზე გადაბმული ნარბები, ორბის ცხვირი და შავი ლამაზი თვალების ზვისადი გამომეტყველება. ჭაბუკა განგებ მიეღო მხედრის მკაცრი და სასტიკი იერი, მაგრამ ზოგჯერ თავიავინყდებოდა და ბიჭივით წითლდებოდა. აგრიალებული

მუსიკა, უამრავი ჭალების, კანდელაბრების და ხომლების ურიცხვი სანთლების ლაპლაპი და აუარებელი ლამაზი ქალების სიახლოვე მომაჯაფოებლად მოქმედებდა მასზე და თვალები ველური აღფრთხოვანებით უბრძყინდებოდა მას ყველანი აღტაცებით უყურებდნენ. განსაკუთრებით, თეორეტიკობისა, ნოტაცხვირიანი და თვალუშურუნა რუსი ბანოვანები, რომლებიც თვალის ერთო გადავლებით ფასსა სდებდნენ ტანჯენარ და პირმშვენიერ ჭაპუქს.

ომარ ჰაიდარ-ბეგი მორცხვობდა. ქალების ალერსიანი თვალები აფრთხობდა. ბარონ როზენის ამალაში თავისი ჩამომავლობისა და გარევნობის გამო ჩართული (მისი მამა, გავლენიანი ჩერქეზი თავადი, ყაზი-მოლას კაცებმა მოჰკელეს) მეჯლისში თავს უხერხულად გრძნობდა. მისთვის აქ ყველაფერი უცხო და გაუგებარი იყო, გან-განზედაიარებოდა და ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა.

## 2. ნარმათება

ტურფა ქართველი გოგო, მთლად გაფურჩქვნილი, ლოყვებნითელა მისი ქვეყნის ქალების მსგავსად, როს მხურვალენი გამოდიან თბილისის  
ნუართებიდან.

ტომას მური, „ლალა რუს“

დარბაზში დაგვიანებით მოსული დავით გერმანოზიშვილი და მისი და მანანა შემოვიდნენ.

დავით გერმანოზიშვილი ნაცნობებს თავს უკრავდა და ერთი ნაბიჯით ჩამორჩენილი დას უკან მოჰყვებოდა. მანანას გული ძალზე უცემდა. დელავდა, დარცხვენილსა და შემკრთალს ნატიფი სახე შეუფაკლდა. დავითს უნდოდა ნაცნობ თავადებში გარეული იყო, მაგრამ განცვიფრებამ ერთ ადგილზე გააჩირა. ყველა მანანას უყურებდა. წყვილ-წყვილად მოსეირნენი შედგნენ. მოცეკვავენი უშნოდ აირივნენ და თავები მისკენ მოაბრუნეს. გასათხოვარი ქალების დედებმა ალელვებით და შერით მოიმარჯვეს ლორნეტები.

- რა ლამაზია!
- რა ტურფაა!
- რა მშვენიერი! —

გაისმოდა აღტაცებული ნამოძახილები.

დავით გერმანოზიშვილმა ამაყად ასწია თავი. მისკენ ნელი ნაბიჯით მოდიოდა თვითონ მთავარმართებელი. თუმცა თდნავ დაბნეულ დავითს განზე არ გაუხედავს, მან გუმანით მაინც გარკვევით დაინახა, თუ როგორ დააბნეულა შურმა ორბელიანების, ამილახვრების, ჭავჭავაძეებისა და ერისთავების ასულების მწყაზარი სახეები.

— მე ვერ ვმალავ ჩემს აღტაცებას, — ნარმოთქვა ბარონმა როზენმა და მლელვარებისაგან უფრო დამშვენებული მანანა ცამდე აიყვანა, — თქვენ ჩემი მეჯლისის მშვენიერი დედოფალი ხართ!

ამ სიტყვების გამო კოხტა მაია სავარსამიდე, რომელიც აქამდე საერთო ყურადღებას იქცევდა აღმოსავლური სილამაზით, კინალამატირდა და შენუბებული მოესვენა თავისი ნათესავის, ხნიერი კნეინას მკერდს. კავალრის ნიჩ რას de seule-ის მდგომარეობაში მყოფ ეკატერინე ჭავჭავაძეს სახე აელენა და ბაგეებიდან ანცი ლიმილი სწრაფად გაუქრა. ლამაზი თავადის ასულები განზენ გადგნენ და პირველობა მანანა გერმანოზიშვილს დაუთმეს. დამფრთხალი გოგო ერთბაშად ვერ მიხვდა თავის გამარჯვებას, მაგრამ ეს მას კიდევ უფრო მშვენიერსა და მიმზიდველს ხდიდა.

— იარალ გერმანოზიშვილისათვის ბოლინია დაუბადებია ორბელიანის ასულს, — ამბობდნენ მანანას სილამაზით მოხიბლული ქართველი მოხუცი თავადები.

— Elle est charmante! — ნამონახა მისი ყურებით აღტაცებულმა ერთმა განდილოსანმა, — C'est la plus belle brune que I, on puisse voir<sup>1</sup>.

— რამდენი ლამაზი ქალია ამ მეჯლისზე, — ეუბნებოდა ლეტელიე თავის პოლონელ თანამოსაუბრეს, — მაგრამ ეგ გოგო ლამაზთა შორის ულამაზესი გამოჩინდა. ასეთი ლამაზი შავგვრემანი ქალი მე არსად მინახავს!

მაღალმა და პირხმელმა ინგლისელმა ირონიული ლიმილით გადახედა მანანა გერმანოზიშვილის სილამაზით მოხიბლულ საფრანგეთის კონსულს და აქამდე პირშეერულმა და მდუმარემ გრძელი მონოლოგი ნარმოჟევა:

— კარგი არ არის, როდესაც დიპლომატისა და მხედარს ქალი ხიბლავს და იტაცებს. მგრძნობიარე გული სისუსტის ნიშანია. დედაკაცი ცდუნებათა ნყაროა, — ზიზღით და დაცინვით ამბობდა ნისლოვანი ალბიონის შვილი, — ნაპოლეონი ევვიპტიდან უვნებლად დაბრუნდა, რადგან იმ ლამეს ადმირალ ნელსონს ლედი ჰამილტონის სარეცელში ძილი მოუნდა. ვნების ერთმა ლამემ, ვატერლოომდე სულ სხვანაირად დაწერა ევროპის ისტორია და გეოგრაფია! ჰმ, ეგ ქალი ძალიან ლამაზია, ლამაზია მაგის სამშობლოც, მაგრამ ეს უკანასკნელი, ჩემი აზრით, მხოლოდ იმიტომაა ლამაზი, რომ საუკეთესო ხიდია, რომელზედაც ინგლისური საქონლით დატვირთული ქარავნები გაივლიან!

— და ფრანგების განათლება! — ჩაურთო სიტყვა ლეტელიემ.

— განათლებაში ფრანგები ყოველთვის რევოლუციის გულისხმობენ. — ირონიულად განაგრძო ინგლისელმა მოგზაურმა, — ჩვენ, ინგლისელებს კი, მხოლოდ გზა გვეტირდება, ოლონდ გზის გასწვრივ, მის ორსავე მხარეს, სილარიბედა სიბნელე უნდა სუფევდეს, რათა ლონდონში კარგად და მდიდრულად იცხოვრონ. წუ აჩეარდებით, ჩემო კეთილო ბატონო, ამ ქვეყანაში მხოლოდ ორი ათასი წლის შემდეგ გახდება გასაგები ფრანგების რევოლუცია.

— სერ, თქვენ მხოლოდ გზაზე მიდიხართ და, ეტყობა, აქეთ-იქით არ იხედებით, — უპასუხა მას ლეტელიემ ნახევრად სერიოზულად, ნახევრად

<sup>1</sup> მშვენიერია (ფრანგ).

<sup>2</sup> ეს ყველაზე ლამაზი შავგვრემანია, რომლის მსგავსი არ შეიძლება სადმე ვნახო (ფრანგ).

ხუმრობით, — რევოლუცია საქართველოში უკვე მოხდა, როცა ქართველება ქალმა დეკოლტიანი კაბა ჩაიცვა.

ამ სიტყვებზე ლეტელიემ ეკატერინე ჭავჭავაძისაკენ გაიხედა.

ინგლისელმა მხრები აიჩეჩა და მიმქრალი ლიმილით გაემართა სავარძლებ-ში მსხდომი ჩალმიანი მოხუცებისკენ. იგი ფრთხილად ადგამდა ფეხს, რათა სიარულის დროს ფეხსაცმლის ძირზე გაკრული საიდუმლო ქაღალდები არ დასჭმულწნოდა. „კნოკეის“ მკვიდრმა მდუმარე და უძრავ ხანებს, სულონებს და ბეგებს ნამდვილი მუსლიმანური სალამი მისცა, ფართოდ გაშლილი ხელის თო-თები შებლთან და გულთან მიიტანა, ვითომჩემი თავიდა გული თქვენს ფერხთა ნინაშე დამიდვიაო და ნელშიც მუედინივით მოხხარა. მაჰმადიანი დარბაისლები სამოვნებით შეინძრნენ თავიანთ სავარძლებში და ჩალმიანი თავები ოდნავ დახარეს, ინგლისელმა სუფთა არაბულით გაუბა მათ საუბარი.

მანანა გერმანოზიშვილი მორცხვად დაეყრდნო ბარონ როზენის მკლავს. მთავარმართებელმა მეჯლისის დედოფალი გაბადრული სახით გაასეირნა და მთელი დარბაზი შემოატარა. დიდხანს, დიდხანს ვერ აშორებდნენ თვალს მანანა გერმანოზიშვილს მისი სილამაზით მოხიბლული მაყურებლები. თვით დავით გერმანოზიშვილი გაკვირვებული აფახულებდა ნამნამებს, დის არაჩ-ვეულებრივ, ღვთაებრივ სილამაზეს იგი მხოლოდ ახლა აქცევდა ყურადღებას და ისედაც ამპარტავანს, კიდევ უფრო ამაყად და ზვიადად ეჭირს თავი.

— რა ლამაზია!

— რა ტურფაა!

ესმოდა მას ჩურჩულით ნათქვამი ან თავშეკავებული, აღტაცებული წა-მოძახილი.

სახელსა და პატივს მონყურებული თავადი გულში გერმანოზიშვილების ასულის გამარჯვებას ზეიმობდა.

### 3. ომარ ჰაიდარ-ბეგი

დარბაზის შუაგულში მოცეკვავეთა გუნდები ირევიან, გარშემო კი კედლების გასნერივ ჩამნკრივებულან ამაყი აზიელი სტუმრები, ვერცხლის ქამრებზე მოელვარე ხანკლებით, თითქოს საომრად გამზადებულანო.

ფრიდრიხ ბოდენშტედტი, „1001 დღე“

ცეკვა ცეკვას ცვლიდა.

ვეებერთელა მტევნებივით დაკიდებულ ჭალებს ქვეშ განუწყვეტლივ ტრის-ლებდნენ მოცეკვავე წყვილები.

მეჯლისის სტუმრები ერთობოდნენ, მხიარულობდნენ.

ყველაფერი ეს გამოუცდელი მანანა გერმანოზიშვილის გულს სიამითა და სიხარულით ავსებდა. იგი ყელმოლერებული დაიარებოდა სასახლის დიდ

დარბაზში, მთავარმართებლის მელავზე მსუბუქად დაყრდნობილი. ყმანვილი კაცები მას ძორიდან შეღროინდეთ შესტროფოდნენ. მანანა ხედავდა და ამჩნევდა ამას და უზომო სიხარულს განიცდიდა. მეჯლისში პირველად მყოფს და საერთოდ, ქალაქში საცხოვრებლად ახლად გადმოსულს (მამა მას სოფელში ზრდიდა და გუვერნანტების მაგირმდაბიო გამდელი ჰყავდა მიჩნილი) თავი ლირსეულად ეჭირა, ოდნავდა იმჩნევდა მღელვარებას, ყველას და ყველაფერს ხარბად უკეირდებოდა და თავის გამარჯვებაში დარწმუნებული ამპარტავნული მედიდურობით იმსჯვალებოდა.

მანანა გერმანიზიმვილი თვალით ცხოვრობდა. იგი აღტაცებული შესცეკროდა ნაირნაირად ჩაცმულ მეჯლისის სტუმრებს, ჩახჩახა ჭალებს, თეთრი მარმარილოს სვეტებს, ედლებსა და სვეტებზე გამნკრივებულ კანდელაბრებს, ძეირფასი ნოხებით მოვებულ მარმარილოს მძიმე კიბეებს, ფოლორცებთან და კედლებთან მდგარ ახმახლაქიებს, რომელნიც უძრავად გაშემებულიყვნენ და მდაბლად დაეხარათ თავი; ცნობისმოყვარეობით უყურებდა მოცეკვავე ქალ-ვაჟებს, მუშტრის თვალით უთვალთვალებდა მოხდენილ ქალნულებს; ათვალიერებდა მედიდურ მანდილოსნებს, გენერლებს, ახალგაზრდა ოფიცირებს, ბატონ კაცებს, იხიბლებოდა ბატალიურ სცენათა ოქროსჩარჩოებიანი სურათებით, იმპერატორის პორტრეტებით, ვრცელი და ბრნყინვალე დარბაზებით, კოპნია ოთახებითა და ბუდუარებით, ლუდოვიკობის ყველა დროის და სტილის ავეჯით, კედლის უძველებელი ვენეციური სარკეებით, მაღალი ფანჯრების გრძელი ფარდებით, ოქროს, ვერცხლის, აღმასის, ბროლის, მარმარილოს და ბრინჯაოს კრთომით, ვეება, ფართო და განიერი სარკმლებით, რომელთა იქით ნელან დოდი ნვიმა მოდიოდა, ახლა კი ნყნარი ამინდი იდგა; თეალსა სჭრიდა მანდილოსნებისა და ქალნულების ფერად-ფერადი კაბები და სამკაულები; თავბრუს ჸევევდა მარგალიტების, იაგუნდების, ლალებისა და ფირუზების ელვარება და გულს საამურად უჩქროლებდა. „აი, სად შეიძლება ბედნიერი ვიყო, აი, სად შეიძლება უზრუნველად და ბედნიერად ვიცხოვრო“, — ამბობდა იგი თავის გულში.

მანანა გერმანიზიმვილი რუსახალგაზრდა ოფიცირებს უთვალთვალებდა. ოცნებით მათ ძორის ყველაზე ლამაზისა და მდიდარს ცოლად მიჰყვებოდა, ქმართან ერთად საცხოვრებლად პეტერბურგში მიღიოდა, იქ მისი სჯულიერი მეუღლე გენერალი ხდებოდა, თვითონ კვირაში ერთხელ იმპერატორს და დედოფალს თავს უკრავდა, საკუთარ სახლში კი, ბედნიერი და კმაყოფილი, ფორტეპიანოზე დაკვრით ერთობოდა, რუსულ და ფრანგულ ნიგნებს კი-თხულობდა (ფორტეპიანოზე დაკვრაც, რუსულში განაფვაც და ფრანგულის შესწავლაც, მისი აზრით, სულ ადვილად შეეძლო პეტერბურგში ცხოვრების დროს), ნევის პროსპექტზე მდიდრული ეტლით დასეირნობდა, ხოლო დროგამშვებით მეჯლისებს მართავდა, სადაც პეტერბურგის დიდკაცობა და ელჩები ჰყავდა დაძატიუებული.

თავადის ახალგაზრდა ასულს თავისი მომავალი ცხოვრება ისევე ეხატებოდა, როგორც სინამდვილეში მისი მამიდის, კნეინა მზეხათუნის ცხოვრება ნარიმართა.

რუს თფიცერზე გათხოვილი მზეხათუნი, უყვებოდნენ ნათესავები მანანას, იარალ გერმანოზიშვილმა გულიდან ამოირეცხა, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილთან გაქცეული დავით გერმანოზიშვილი მზეხათუნს სიკვდილით დაემუქრა, მაგრამ ბოლოს ორთავე მის მზეს ფიცულობდა.

ოცნებას მანანა გერმანოზიშვილს ისიც უძლიერებდა, რომ განუწყვეტლივ გარს ეხვეოდნენ და თავს დასტრიალებდნენ აღფრთოვანებული ყმანვილკაცები.

ყველგან აჩრდილივით მას თან დასდევდა ომარ ჰაიდარ-ბეგიც.

მისი სილამაზით ყველაზე მეტად ჩერქეზი ჭაბუკი იყო მოხიბლული, როდესაც ჩოჩქოლმა, რომელიც მანანას დარბაზში შემოსვლამ გამოიწვია, ომარ ჰაიდარ-ბეგი მისკენ მოახედა, იგი ერთ ადგილზე გახევდა და წამნამები ისე ახამხამა, თითქოს ძლიერი სინათლის შარავანდედმა ერთბაშად თვალი მოსჭრაო. ქრისტიანი გოგოს სილამაზემ მაპმადიანი ყმანვილის გული მყისვე დაატყვევა და პირველი მღელვარებით ააძვერა.

— რა ლამაზია... რა ლამაზია... — ბუტბუტებდა ომარ ჰაიდარ-ბეგი და გულის ბაგაბუგი ვერ დაეწყნარებინა. მერე მთელი საღამო ფეხდაფეხ დასდევდა ყელმოლერებულ, აღფრთოვანებულ და გასხივოსნებულ მეჯლისის დედოფალს, რომელიც ყველასთვის კეთილდიმილს იმეტებდა და ომარ ჰაიდარ-ბეგს კი ვერ ამჩნევდა. ჩერქეზმა ყმანვილმა არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ხან ფერმიხდილი სვეტზე იყო მიყუდებული, ხანაც გაბრაზებული და განითლებული შორიდან უბლვეროდა მანანას კავალრებს. მისი მღელვარება ერთმა ხნიერმა ჩერქეზმა შეამჩნია, არ ესიამოვნა მუსლიმანი ჭაბუკის ასეთი სისუსტე, მასთან მივიდა, მხარზე ხელი მოჰკიდა, შეანჯლრია, მის გამოფხინლებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ ჭაბუკი გაოგნებული იდგა, უეცრად შემონთებულ სიყვარულს მისთვის გონება წაერთვა.

— ნუ უყურებ, — მკაცრი ხმით უთხრა ომარ ჰაიდარ-ბეგს თანამემამულემ,  
— ნუ უყურებ იმ ქალს. შენ მაპმადიანი ხარ, ის კი ქრისტიანია!

ჭაბუკს ზიზღი გამოეხატა სახეზე. ბებერ ჩერქეზს თვალები შეანათა და უბრძანა:

— მომშორდი!

ჩერქეზს შეურაცხყოფამ ხანჯლით დაჩეხილი სახე აუნთო და განრისხებულმა მუქარით თქვა:

— გახსოვდეს, აულებში შენ მოღალატეს გეძახიან. ეხლა გინდა ნინაპერების სარწმუნოება ფეხით გაძექელოდა გისურის ლაშაზ გოგოში გასცვალო? ოჟ, ალლავ! სირცხვილი სად არის?!

— მომშორდი! — უფრო მრისხანედ გაიმეორა ომარ ჰაიდარ-ბეგმა და ხელის ტლანქი მოძრაობით ბებერი ჩერქეზი გვერდიდან მოიშორა. შეყვა-

რებული ჭაბუკი მთვრალივით დადიოდა მეჯლისის სტუმრებს შორის და ნამდაუნუმ ფეხი ეცვლებოდა, რადგან მისი თავდავინყებული ტრფიალის საგანს ახლა მთავარმართებლის გარყვნილი ადიუტანტი დაასეირნებდა. „ოჰ! შენც ისე გაგრყვნიან ამ სასახლეში, როგორც მე გამრყვნეს!“

— ნამოიძახა გულში ომარ ჰაიდარ-ბეგმა და შეუმჩნევლად ქარქაშიდან ხანჯალი ამოსნია. ვიღაცამ ქარქაშიდან ამონეულ ხანჯალზე მიუთითა და მოაგონა, რომ ასეთ საზოგადოებაში ხანჯალის მჭრელი ფხის გამოჩენა უზრდელობად ჩაეთვლებოდა. დარცხვენილმა ომარ ჰაიდარ-ბეგმა შეუმშული მუშტი გაშმაგებით დაჲკრა ხანჯალის თავს და მევეთრი ტკაცუნი გამოალებინა. მისეუნ გაევირვებით მოიხედეს. ომარი განითლდა, დაიბნა და უარესი რამ ჩაიდინა — მეჯლისის სტუმრებს ზურგი შეაქცია, თავი უკან გადაიგდო, ხელისგულები პირთან მიიტანა და ქოროზე მემუსიკებს ასძახა:

— ჰეი, მე ცეკვა მინდა!

ამ ყვირილზე მოსეირნენი და მოცეკვავე ნყვილები ისე შედგნენ, როგორც ფაიფურის ფიგურები ძველებური საათის ნინ ჩერდებიან.

დირიუორი ერთ ადგილზე გაშეშდა.

საერავების ხმა არეულ-დარეულად მინყდა.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამონვა.

ყველა მთავარმართებელს მიაჩერდა.

#### 4. ცეკვა

ქალები მოხიბლული შესცეკერიან მშვენიერ ჭაბუკს, მის მსუბუქ მოძრაობას მოწონების ლიმილით აჯილდოებენ, მართლმორწმუნე მუსლიმანები კი პირქუშად უყურებენ — ეს ერთადერთი ცეკვა ამ ჭაბუკს ტახტის ფასად დაუჯდება. ფრიდრიხ ბოდენშტედტი, „1001 დღე“

ბარონი როზენი შუბლშექმუხვნილი იდგა და დუმდა. ყველანი გაჩუმებული იყვნენ. უხერხული დუმილი დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს მოლუმულმა მთავარმართებელმა მაღლა აიხედა და ქოროს მოაჯირიდან გაოცებული და შეშინებული სახით მაცეკერალ დირიუორს თავი დაუქნია.

ევროპული მუსიკის შემდეგ აღმოსავლურმა ჰანგმაუცნაური ბგერა გამოს-ცა ევროპულ დარბაზში, მაგრამ სულ მაღლ ნაცნობი, სასიამოვნო და ამაღლ-ვებელი გახდა. კავკასიელები ამოძრავდნენ, გამოცოცხლდნენ, ტუჩებზე სიამის ლიმილმა გადაურბინათ. ვალს-კადრილის ახალგაზრდობამ მოედანი დასცალა და დამცინავად განზე გადგა.

ახალგაზრდა ჩერქეზს მგელივით აენთო თვალები. მხრები შეათამაშა, მკლავები ღონივრად გამალა, ორიბულად გაიხედა განზე, წრე ჯერ წყნარი ცეკვით შემოხაზა, მერე დარბაზში ისე გაქანდა, თითქოს ხმლებით დაედევნენ. პირმოლუშული მთავარმართებლის ნინ ცალ მუხლზე დაეცა, მაგრამ თავი არ მოუდრიკა, სწრაფადვე წამოდგა და ვრცელ დარბაზს ქორივით შემოუქროლა. უცებ განიერი სრიალი დაამოკლა. ეს მაშინ, როცა მუსიკაში მაღლიდან მვლოდიური დაბალი ხმები გადმოაფრქვია. სწორედ ამ დროს ფეხის ცერებზე შემდგარი მოცეკვავე მსუბუქი რხევით გაჰყვა ცახცახა ჰანგებს. მისი ტანი წყნარად ირნეოდა და როცა მუსიკა ისევ ჭირვეული, ხმიანი, მედგარი და მგრგვინავი გახდა, მოცეკვავეც გახელდა, ერთ ადგილზე თავბრუდამხვევი სისწრაფით დატრიალდა და დაუოკებელი აღმაფრენით თავდავიწყებული დიდხანს, დიდხანს ტრიალებდა ცერებზე ტრიალებით შეპყრობილი და ფიცხი მუსიკით აღმოდებული. მერე თითქოს დამშვიდდა, მაღლიანი ლიმილით გაიღიმა, ვიღაცას თეალით დაუწყო ძებნა, მიაგნო, იპოვნა, თვალი მიაპყრო, ვეღარ მოაშორა, ცეკვით მიუახლოვდა, გაჩერდა და თავი მოკრძალებით მოუდრიკა. მანანა გერმანოზიშვილი აღტაცებით უყურებდა ომარ ჰაიდარ-ბეგის ცეკვას. ცეკვაში გამოწვევა არ იუცხოვა, გაუსარდა კიდეც. გრძელი მკლავებით კამარა შეკრა და ცქრიალით გასრიალდა. ტანმალალი გოგო წარნარი, ძლივს შესამჩნევი რხევით მიცურავდა ვრცელ დარბაზში, მას თან აღტაცებული ჭაბუკი მისდევდა, ცეკვით შესტრფოდა, შეპხაროდა, ხვაშიადს უმხელდა, ცეკვით გადასცემდა თავის გულის წადებს, თავის სიყვარულს და სიხარულს, მაგრამ მოკრძალებულს და დარცხვენილს სატრფოს კამარის შერლვევა ვერ გაებედა.

უეცრად მანანა მოხდენილად შემოტრიალდა. ჭაბუკი ჩამოიშორა, უკან ჩამოიტოვა და... გაიყოლა (ქართველებმა სიამით გაიღიმეს). ქალი მიჰქოდა და ვაჟს იგი მიუნვდომელი ეგონა.

მოცეკვავენი არ იღლებოდნენ.

მეჯლისის სტუმრები ამ უმშვენიერესი სანახაობის ყურებით ტკბებოდნენ, მაგრამ თავიანთ აღტაცებას მხოლოდ ჩურჩულით გამოთქვამდნენ:

- რა წყვილია!
- რა ლამაზები არიან!
- აი, ჰარისი და ელენე!

ბარონიროზენი ისევ მოლუშული იდგა. ამიტომ ვერავინ ბედავდა ხმამალლა ეთქვა ის, რასაც ამ მშვენიერი წყვილის ყურებით განიცდიდა.

ომარ ჰაიდარ-ბეგი მზადიყო სატრფოს ფეხებში ჩავარდნოდა და თაყვანი ეცა მისთვის, მაგრამ ამ წამიერმა განზრახვამ ვაუკაცი სირცხვილით დასწრა. თავს სისუსტე უსაყველურა, ცბიერად მომლიმარე ქალს ახლა კი გაბედულად მიუახლოვდა და ქართულად მიაძახა: „მიყვარხარ!“ ქალი შეკრთა, გაოცებით მოხედა ძალზე გადაფიტრებულ ყმანვილს, წყრომით თვალები დაუდიდრონ-

და, იუკადრისა, უცნაურად და მოულოდნელად გამიჯნურებულ ჭაბუკს დაკოხილი შებლი უჩვენა, სრიალი შეამოკლა და ცეკვა შეწყვიტა. ომარ ჰაიდარ-ბეგმა გულისტკივილით გააყოლა მას თვალი და მოკლე ჩამოვლის შემდეგ თვითონაც შედგა.

მაყურებლებმა ვერაფერი შეამჩნიეს, მათ მკრთალი, თავდაჭერილი ტაშით შეაქს ქრისტიანი ასული და მუსლიმანი ჭაბუკი.

მთავარმართებელმა თავისთან მიიხმო ძალზე აღელვებული ომარ ჰაიდარ-ბეგი, ქებაც და კმაყოფილებაც ბრძანებასავით მიახალა:

— ყოჩალ! მაგრამ ხვალ ერევნისკენ ნახვალ, იქ ცხენოსანთა პოლკში დარჩები და ჩემს განკარგულებას მოუცადე.

ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ მთავარმართებელი მას წელანდელი ხეპრული ყვირილისათვის სჯიდა, მაგრამ მანანას უკმეხობით გულნატკენმა ჭაბუკმა უდრტვინველად მიიღო ეს მკაცრი სასჯელი.

ბარონი როზენი ოდნავ დაბნეულ და რაღაცნაირად ჩაფიქრებულ მანანას მიუბრუნდა, ლმობიერად გაუღიმა და დაარიგა:

— გახსოვდეთ, სილამაზე ძალა არის. ისარგებლეთ და გამოიყენეთ!

მანანა გერმანოზიშვილს ცათაფრენა შეუდგა.

დავით გერმანოზიშვილიც სიხარულით ძლივს იდგა ფეხზე. მთავარმართებლის ყურადღებით თავბრუდახვეული ბევრს უკვე აღარ კადრულობდა, გავლენიან რუს ოფიცრებში ტრიალებდა და ყველას თვალებში შესცეკროდა. სამავიეროდა, ქართველ თავადებთან შეხვედრას გაურბოდა, მათ ახლოს არ ეკარებოდა. ესენიც ცივად უყურებდნენ დავით გერმანოზიშვილს, არ ენდობოდნენ და ერიდებოდნენ.

— მოლალატეა და მეორედაც მოლალატე იქნება, — ამბობდნენ „პირველი ლამის განკარგულების“ მომლოდინე შეთქმულნი.

ომარ ჰაიდარ-ბეგის და მანანა გერმანოზიშვილის თვალები ბევრჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ვაუი დალონებული იყო, ქალი — ალენილი. „ლმერთო! — იძახდა გულში მანანა და ამაოდ ცდილობდა აფორიაქებული გრძნობების დაწყნარებას, — ლმერთო! რისთვის მოიყვანე ეს მუსლიმანი ჭაბუკი მთავარმართებლის სასახლეში? მე იგი მომწონს, მაგრამ სარწმუნოება მიკრძალავს, მისი ცოლი გავხდე. მომწონს, მომწონს, და ვგონებ, სიყვარულს უნდა ნიმნავდეს ის, რასაც მე ეხლა განვიცდი“. ამგვარი ფიქრით გართულ მანანას კელავ გაახსენდა თავისი მოულოდნელი მიჯნურის მუსლიმანობა და ლრმადმორნ-მუნემ ტუჩების ნელი ცმაცუნით ჩუმად ლოცვა ნარმოთქვა.

შუალამე გადასული იყო.

მეჯლისის სტუმრები ნელ-ნელა იშლებოდნენ.

მანანა და დავით გერმანოზიშვილები მთანმინდის ბნელ აღმართს შეუდგნენ. ძმა ლილინით მიღიოდა, და ჩუმად მისდევდა და სულ არ აგონდებოდა, რომ ნითელი სპარსული ფეხსაცმელები წვიმის წყალში უსველდებოდა.

## 5. პეივნა გოსტაშაპიშვილი მუშის კურთაზე

იმ ღამეს ბეჭისნერის თამაში დაუკავშირდა,  
ძველი რვეულიდან

იოსები დიდხანს იდგა მთავარმართებლის სასახლის წინ თავჩაქინდრული  
და გარინდებული.

თითებით ვერცხლის აბაზიანს სრესდა და არ იცოდა, რა ექნა მისთვის.  
ამ ფულით დამშეული გლახა პურს, ყველს და ლვინოს იყიდდა, მაგრამ ჩან-  
და, რომ მას ძალიან არ ახარებდა ეს მოულოდნელი გასამრჯელო. ზიზლით  
დასცეკეროდა სამარცხვინო სამსახურში ალებულ თეთრს, თავმოყვარეობის  
გალვიძებული გრძნობა სულს უმდვრევდა, გულს სტკენდა, აბაზიანი კი მის  
მოუსვენარ თითებს ისე სწავდა, თითქოს ხელში გავარვარებული ნაკვერ-  
ჩხალი სჭეროდეს.

იოსებს დავით გერმანიზიშვილის მიერ მიცემული ფულის გადაგდებაუნ-  
დოდა, მაგრამ ყოყმანობდა, ვერ იმეტებდა, ბევრჯერ ზიზლით შემართა ხელი  
ფულის გადასაგდებად, მაგრამ მწვავე შიმშილმა ხელი ჰაერშივე გაუჩერადა  
კანკალით უკანვე დააშვებინა.

— ღმერთო! — ამოიკვნესა საპყარმა, — რითვინა მტანჯავ?!

თავგზააბნეულ გლახას სასახლის მცველი ჯარისკაცების გუნდმა ჩექმების  
ბრახუნით ჩაუარა, უნტერ-ოფიცერმა გაუჩერებლად მას ხმლის ყუა გვერდში  
გაუთაქუნა და მრისხანედ დაუყვირა: „ნაეთრიე აქედან“. გლახა მოიბუზა,  
ლასლასით გაჰყვა სასახლის ბალის ბნელ კედელს. ქვითკირის მაღალი კედლის  
გადალმა აღმართულ, წყვდიადით მოცულ ხეებს ქარიშხლისაგან დალენილი  
ტოტები და ფოთლები დაბლა ჩამოეყარათ; უცებ გლახამ ფეხი რაღაც მა-  
გარ საგანს წამოჰქრა, წაიფორხილა, თავი ვეღარ შეიმაგრა, სველ ტოტებში  
ზღართანი მოადინა და ხელიდან აბაზიანი გაუვარდა. და თუ წელან ფულს  
გადაგდებას უპირებდა, ახლა მისი დაკარგვის ზარი დაეცა, შიმშილი უარესად  
შემოენთო, სული შეუგუბდა, თვალები დააჭყიტა და ხელების ფათურით და  
მუხლებზე ფორთხვით დაუწყო ძებნა დაკარგულ ფულს. თანდათან ისეთი  
სასოწარკვეთილება იძყრობდა, რომ გაგიუებას ცოტალა უკლდა. ქშინავდა,  
ოხრავდა, გაუგებარს ბურტყუნებდა, ტოტებს და ფოთლებს გამნარებული  
ჰქეედა, მინას ნადირივით ჰსუნავდა, წვიმის წყლის ნაგუბარში ხელებს გა-  
ჩქარებით აფათურებდა, მაგრამ ფულს ეშმაკი გადაეფარა. აღარსად ჩანდა.

სასომიხდილი გლახა ფეხზე ვეღარ ნამოდგა, ნაცემივით დაემხო ტლაპოში,  
სული ყელში მოებჯინა და ქვითინი აუვარდა.

— ეი, მანდ ვინა ტირის?

აზლუქუნებულ გლახას თავზე უცნობი მამაკაცი წაადგა ანთებული  
მაშხალით ხელში. ის გზის გამნათებლად მოუძღოდა ორ მუშას, რომელთა

კურტნებზე შუახნის თავადი და ახალგაზრდა კნეინა მოკალათებულიყვნენ. ისინი სასახლეში მიღიოდნენ.

— მთვრალია? — ჰეითხა მსახურს კნეინა მაგდა გოსტაშაპიშვილმა.

— მაშ, რა იქნება, ვეუო? — დაასწრო მსახურს მისმა ქმარმა, თავადმა ანდუყაფარმა. — გახეთქილა და უგონოთა გდია.

— კარგ ხეირს კი დააყრის ამ ნვიმა-ქარიშხალში ძილი, — გადაიკისკისა კნეინა გოსტაშაპიშვილმა.

გაშხალიან მსახურს გლახა შეეცოდა, მისი ნამოყენება მოინდომა.

— ადე, გაცივდები.

გლახა ხმას არ იღებდა. მსახურმა მაშხალა დაბლა დაუშვა, დაიხარა, გლახას ფოთლებში ჩარგული სახე ააწევინა, სველი ტოტები მოაშორა.

— ნინ გაგვიძებ, ბიჭი! — დაუყვირა მსახურს კნეინამ, — რას ჩააცივდი, ვიღაც ოხერია. სასახლეში გვაგვიანდება. გზა გაგვინათე.

— ქალბატონო, ამ საცოდავს ფული დაპნევია. ერთითეთრი ფოთლებიდან გამოგორდა.

— ეხლა ფულები აუკრიფე! — გაჯავრდა ქალბატონი, — გასწი, თორემ ლამის ქარმა ჩამომაგდოს.

მსახურმა ლონიერი მკლავით გლახა ფეხზე ნამოაყენა, ფული ხელში მიაჩერია და მაღლა ანეული მაშხალით ბატონებს ნინ გაუძლვა.

გონზე მოსულმა გლახამ სასახლისაკენ მიმავლებს მადლიერი თვალი გააყოლა, ფული მაგრად ჩაბლუჯა მუშტმი, თითქოს ვინმე ნართმევას უპირებსო, და მოედნისაკენ ნაფრატუნდა. გზაზე კიდევ რამდენიმე კურტნიანი მუშა შეხვდა, კურტნებზე მსხდარი კნეინებით. „ამაღამ მე მარტო არა ვყოფილვა-რო“, ფიქრობდა იგი, როდესაც მაშხალიან კაცებს ხვდებოდა. მათი შემყურე ისები თანდათან წყნარდებოდა და მშვიდდებოდა.

პოლიციის სახლთან ჩვეულებრივ ფარანი ენთო, ახლა კი საშინლად ბნელოდა. მოედანზე არავინ ჩანდა, სოლოლაკის ხევიდან მოვარდნილი ნიაღვარი ხმაურით მიექანებოდა მტკვრისაკენ. ბაზრიდან ჩქამი არ მოისმოდა. მხოლოდ ემიგრანტი ფრანგების და გერმანელების ყავახანებიდან და ორცხობილა პურის დუქნებიდან გამოდიოდა მონითალო სინათლე. ერთ-ერთ ყავახანაში უცხოელებს მოეყარათ თავი, ცეცხლთან ისხდნენ, მასლაათობდნენ, ღვინოს შეექცეოდნენ და ჩიბუხს აბოლებდნენ. მოედანზე მაშხალიანი კაცი გამოჩნდებოდა თუარა, ყველანი ფანჯრებთან მირბოდნენ, მუშის კურტნებზე მსხდართ უყურებდნენ და სიცილით იხოცებოდნენ.

— რა საუცხოო ეტლები აქვთ! — ამბობდა ერთი.

— კარში ძალლი არ გაიგდება, მაგათ კი მეჯლისი მომინდომეს! — კვერს უკავდა მეორე.

— მაგათ ჭკუა ვინ მისცა?! — ყვიროდა დიდთავა შვაბი, — ქარში მაშხალები აუნთიათ და ნაპერნელებსა პფანტავენ. მეშინია ჩემს დუქანს ცეცხლი არ გაუჩინონ.

— ხალხო, მაშეალა გამოჩინდა! — დაიძახებდა ხოლმე რომელიმე და ყველანი ფანჯრებთან გროვდებოდნენ სეირის საყურებლად.

იოსები ამ მხიარულ ყავახანასთან მივიდა. პურის ყიდვა უნდოდა, მაგრავ გარსონმა დაუტატანა და იქაურობას მოაშორა.

## 6. მეტენა

**იცი, მარამა თასს კი მაძლეე მღიმარეს სახით,  
გრიგოლ ორბელიანი, „მუხამბაზი“**

თავჩალუნული გლახა სომხის ბაზრისაკენ წაფრატუნდა. აქ, როგორც იყო, გაბედა და ერთ მივარდნილ სამიკიტნოში შიშით და რიდით შევიდა. შევიდა და თან წანვიმარი ღამის ნესტი და სიგრილე შეიტანა. მეიხანის შეზარხოშებულმა სტუმრებმა გლახას განცვიფრებით მიაპყრეს თვალი, გაკვირვებით ახედ-დახედეს, მერე ერთმანეთს მიაცეკერდნენ და თვალებით ჰკითხეს: „ეს აჯამი ვინ შემოვიდაო“. გლახა საცოდავიც ჩანდა და სასაცილოც. ახლადმოსულს გლახის ძონძებზე უხერხულად გადაეცვა ძველი ჩოხა, რომელიც ისე ედგა, როგორც ბოსტნის საფრთხობელას ძველ-ძვული. ჩოხის კალთებიდანდა ძონძებიდან წურნურით ჩამოსდიოდა წვიმის წყალი. ფეხშიშველი სიარულის დროს სველ კვალს ჭოვებდა აგურის ნითელ ფილაქანზე; თმა გასჩეჩოდა, სახე ჭალახით მოსვროდა და სულერთიანად დამბალი და ამოგანგლული უფრო მოჩვენებასა ჰგავდა, ვიდრე ხორცმესხმულ ადამიანს. ამიტომ იყო, რომ სამიკიტნოს სტუმრები მას თვალს არ აშორებდნენ და გაკვირვებული უყურებდნენ.

კომბლიანმა გლახამ მეიხანაში მყოფთ ფრთხილად თვალი მოავლო, დახლ-თან ჭორტმანით მივიდა, თვალებდაჭყეტილ მიკიტანს დახლზე ფული დაუდო და მორიდებით უთხრა:

— პური მომეცი... ერთი ჯამი ღვინო... ყველი... ნიორი ან ხახვი...

მიკიტანმა ფული დახლში ჩააგდო, ხურდა დაუბრუნა და როცა გლახას თუნგიდან ღვინოს უსხამდა, თანაგრძნობით ჰკითხა:

— სად განუნულხარ ეგრე?

გლახამ არაფერი უპასუხა. ხურდა ფული დაძონძილი ახალუხის კალ-თაში გამოჟერა, ღვინით სავსე ჯამზე მრგვალი თონის პური დადო, ზედ ყველის დიდი წაჭერი და ხახვის თავები დააწყო, მარცხენა ხელით ჯამი აიღო (მარჯვენათი კომბალი ეჭირა) და სამიკიტნოს ყველაზე ბნელი კუთხისაკენ გაემართა. უზარმაზარ რუმბთან საწყლად მიჯდა და თავი რომ დაიმარტოხელა, გამოცოცხლებული თვალებით თავის ღარიბულ საჭმელს დააცეკერდა. მერე პურს სვაევივით ეცა და ისე ხარბად ჩაეპიჩა, რომ სამიკიტნოში მყოფთ, მას ნიაზით რომ უყურებდნენ, სიცილი წასკდათ.

— ნელა ჭამე, — დაუყვირა ერთმა შეზარხოშებულმა მოქალაქემ, — უკან ხომ არავინ მოგდევს?

შემთვრალებმა გადაიხარხა. ვიღაცამ წყრომით გააჩუმა ისინი.

— რას იცინით, ოხრებო! ვინ იცის, რამდენი დღის მშიერია.

გლახას შერცხვა, წამონითლდა, თავი უფრო დაბლა ჩალუნა და პურს ნელა დაუწყო ღეჭვა; გრძნობდა კი, რომ მეტი მოთმენა აღარ შეეძლო. მას ხელში კური ეჭირა, ნამდვილი პური, ცხვირნინაც ღვინით პირთამდე გავსებული ჯამი ედგა. გლახა ყურადღებას აღარ აქცევდა მისი ყურებით გამხიარულებულ მოქალაქეებს. თავაუღებლივ გაჩქარებით ლრღნიდა პურს, ჩქარ-ჩქარა კვნეტდა ხახვის თავებს, გაურჩევლად, ფურცლებიანად იდებდა პირში, სულმოუთქმელად ამოძრავებდა ყბებს და მაგარ კბილებს. როცა ცოტათი დანაყრდა, თვალები სიამით დახუჭა, ჯამი ნელ-ნელა ასწია, პირზე მოიყუდა, ნყურვილი ველარ მოიკლა, ბოლომდე გამოსცალა და როცა ცარიელი ჯამი ისევ ფილაქანზე დადგა, ის უკვე მთვრალი იყო. სიმთვრალემ გამბედაობა მოუმატა, თავი მაღლა აილო, თვალებქვემოდან გამოიხედა, ფრთხილად მი-იხედ-მოიხედა და სამიკიტნო დაკვირვებით მოათვალიერა.

სამიკიტნოს ჭერში გვერდჩატეხილი დიდი ფარანი ეკიდა და შიგ სამი ქონის სანთელი იწვოდა. ირგვლივ უფრო ბნელოდა, ვიდრე სინათლე იდგა. ღარიბი და ხელმოკლევაჭრები და ხელოსნებირუმბებსა და კასრებს შორის ისხდნენ, ღვინოს ჯამებით სვამდნენ, ზედ მნვანილს, ყველ-პურს აყოლებდნენ და ტკ-ბილად მუსაიფობდნენ. მთვრალი ცოტა ჩანდა. ეტყობა, ავდრის დროს ისინი ამ მეიხანაში თავის შესაქცევად შემოსულიყვნენ.

გლახას დიდხანს აკვირდებოდა ერთი, ორმოცდაათ წელს გადაცილებული, მნითური და თეთრულვაშებიანი მამაკაცი. ბოლოს ველარ მოითმინა, გლახასთან მივიდა, გვერდით მოუჯდა, კეთილი ღიმილით გაუღიმა და უთხრა:

— ბიჭო! არ მომწონს, რომ შენისთანა ჩასპანდი გლახად დაეთრევა, ღმერთს მარჯვენა მოუცია და მოიხმარე.

გლახა განითლდა, უცნობს პირი მოარიდა.

— შეგრცხვა განა? სახელად რა გქვიან?

— გიგლაი, — იცრუა იოსებმა.

— ჰოდა, რა უნდა გითხრა, ჩემო გიგლა. — განაგრძო ხნიერმა მოქალაქემ.

— ყური კარგად დამიგდე, რასაც გეტყვი. ჩემი ხნის კაცს ტყუილიც დაეჯერება, არათუ მართალი. ქუჩა-ქუჩა ნანნალი ხელს არ მოგცემს, რათ უნდა გაფუჭდე ტყუილ-უბრალოდ? მე კუკიელი მენვრილმანე ვარ, ფირუზა მქვიან. მოდი, დახლიდარად დამიდექი და ცხოვრებაში კაცს გაგხდი. თუ ჩემი რჩევა ჟუაში დაგიჯდება, მითხარი.

— მენა...

— ვიცი, — საჩქაროდ მოუგო მენვრილმანემ, მისკენ დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა, — ვიცი ვინცა ხარ, მაგას რა მიხვედრა უნდა? სხვებისთვის ბედასლი, ზარმაცი ან გიუ ხარ, ჩემს თვალში კი გამოქცეული ყმა ხარ. რათ

შეგეშინდა? მენდე, ისე მენდე, როგორც შვილი მამას ენდობა. მე თვითონ ყმა ვიყავი, უღვთო ბატონს გამოვექაცი და ეხლა მეწერილმანედა ვარ. ღვთის მადლით არა მიჭირს-რა, ვცხოვრობ და ერთ ლუკმა პურს მეც ვშოულობ. ჩემი ნუ გეშინიან. შვიდ ნელინადს დაგმალავ და მერე ხმას ვერავინ გავცემს.

— არა, მალვა ვერ მიძველის, — ნაღვლიანად უპასუხა გლახამ, — თუ დამიჭირეს, გამოკავენ და მომკლავენ.

— რათა? ეგეთი რა დააშავე?

გლახა გაჩუმდა. დუმდა. შიშით და ეჭვით უყურებდა უცნობს და გულში ნაწილი: „ნეტავი ენა მომტეხოდა და ამ კაცთან არაფერი მეთქვაო. ეინ იცის, ვინ არის და რა ხაფანგს მიგებსო“. სიფრთხილეს მიჩვეული იოსები უცნობი კაცის ჭალარამ და ალერსიანმა სიტყვამ აცდუნა, ადამიანთაგან დევნილს ამ კაცზე რატომდაც გული შეუვარდა, რაღაცნაირად მიენდო, ნამალევი ოდნავ გამოუჩინა, მაგრამ ამ ცოტამაც დააფრთხო და თავზარი დასცა.

იოსებმა გვიან შეამჩნია, რომ უცნობს ლმობიერი, მაგრამ ცულლუტი ფირუზი თვალები ჰქონდა.

— მაშ, არ გინდა ჩემს დუქანში იმუშაო? — ხელახლად ჰეითხა კუკიელმა მეწერილმანემ.

— მინდა, როგორ არ მინდა. ძალიანაც მინდა, მომბეზრდა, გლახის გუდის თრევა, კარდაკარ ტანტალი და შიმშილი, მაგრამ ჩემისთანა კაცითვინ არ გათენდება...

— ვინც მარჯვე და ყოჩალია, იმისთვის ყოველთვის გათენებულია, — ნამოიძახა მეწერილმანემ და ცბიერად გაიღიმა.

ხელში ღვინით გალიცლიცებული ჯამი აიღო, თავის საცოდავად მოკუნტულ მეინახეს გაუცინა, გუთნისდედა, ყანის მომელი, ყურძნის დამწურავი, ჭკვიანი და პატიოსანი მამაკაცი, გამრჯე და ნამუსიანი დედაკაცი ადლეგრძელა, ჯამს პირი მოუქცია, თეთრი ულვაშის ვრძელი ბოლოები და სულთად გაპარსული ნიკაპი გამოაჩინა, დაცლილი ჯამი ცალ ხელში შეაგდო, შეათამაშა და გლახას მხიარულად გადასძახა.

— აბა, გიგლა, ალავერდი შენთანა ვარ!

გლახამ უსიტყვოდ გამოსცალა თავისი ჯამი და ისევ იატაკის წითელ ფირუზანს დააშტერდა.

— ამაღამ სად უნდა წახვიდე? — ჰეითხა გლახას მეწერილმანემ.

— აბა რა ვიცი, სადმე დავეგდები...

— ატა, ტა! — გაასავსავა ხელები ფირუზამ, — ამისთანა ღამეში თავშესაფარს სად იპოვნი? ჩემთან წამოდი, კუკიაში, წისქვილებთან ვცხოვრობ.

გლახას უარი უნდოდა ეთქვა, მაგრამ ფირუზამ სიტყვის თქმა აღარ დააცალა; ფეხზე წამოაყენა, საყელოთი დაითრია გაძალიანებული, ათასნაირად შეარცხვინა, ერთხელ გაუჯავრდა კიდეც, გამოლანდა და გულმოსულმა ისეთნაირად გათათხა, რომ სამიკიზნოს გამხიარულებულმა სტუმრებმა ერთი ღრიანცელი და ხარხარი ატეხეს. დამფრთხალი გლახა იძულებული გახდა,

მორჩილად გაჰყოლოდა, რათა მოქეიფეთა ხარხარისა და დაცინვისათვის როგორმე თავი დაეღწია.

მეწვრილმანე და გლახა სამიკიტნოდან გავიდნენ.

გარეთ ბნელოდა.

ფირუზას ლვინო მოჰკიდებოდა, მაგრამ არ ბარბაცებდა. ოლროჩოლრო ქუჩაში თამამად მიდიოდა და ხან „მუხამბაზურს“ მღეროდა, ხანაც გაუთავებლად ლაპარაკობდა. ლვინით გონებადამძიმებული და გამოშტერებული იოსები ამ ყბედ კაცს მორჩილად მისდევდა.

## 7. ოქროს ქისა

**ნასიბ ოლსუნ! დაე, ალსრულდეს ბედისნერა!**  
**ა.ბესტუშევ-მარლინსკი, „მოლა-ნური“**

ქუჩის მოსახვევში უცებ ხმლების ჩახაჩუხი მოესმათ. სამი ლანდი ერთ თეთრ ლანდს ებრძოდა. ხმლები საბედისნეროდ წკრიალებდნენ და ფოლადის გამონაკრთომი ნაპერწელები წყვდიადში აქეთ-იქით იფანტებოდნენ. თავდამსხმელები სიბნელეში ეარგად არ ჩანდნენ. იმას, ვინც მათგან თავს იცავდა, თეთრი ჩოხა ეცვა და ბნელ ლამეში გარკვევით მოჩანდა მისი ტანის სწრაფი მოძრაობა. მისევნ სამი ხმალი იყო მიმართული. მიუხედავად ამისა, იგი დიდი ოსტატობით იცავდა თავს, გარდიგარდმო ხტოდა და თავის ხმალს დროზე ახვედრებდა ჰაერში შხუილით მოქნეული მტრების ხმლებს. ერთ-ერთ თავდამსხმელს მისთვის ზურგიდან რომ მოევლო, იგი განგმირული დაეცემოდა, მაგრამ თავდამსხმელები წინიდან უტევდნენ და, ჩანდა, არ უნდოდათ თეთრჩოხიანი ზურგიდან მოვლით, ვერაგულად მოეკლათ.

ბრძოლა ფიცხი და უთანასწორო იყო.

— არიქა! კაცსა კლავენ! — ყვირილი მორთო ფირუზამ და იმნამსვე გამოფხიზლდა, — გიგლავ, იმ უბედურს როგორმე უშველე, თავი კი არ შეაკლა... ჰეი, ასასო, ასასოო...

ყვირილმა მებრძოლნი უფრო გაახელა, ბრძოლა უფრო ცხარე გახდა. თავდამსხმელები გააფორებით ეკვეთნენ თეთრჩოხიანს, რათა მისთვის საჩქაროდ მოელოთ ბოლო, სანამ ხალხი თავს მოიყრიდა. მაგრამ თეთრჩოხიანი საოცარი მხნეობით იგერიებდა სამი გაავებული კაცის შემოტევას. მარჯვედ იცდენდა მათს ხმლებს, თავი ვაჟკაცურად ეჭირა, ხმას არ ილებდა და არც მშველელს ეძახდა.

სამთავე უხმოდ იბრძოდა.

შეშინებულმა ფირუზამ გლახა შუა ქუჩაში მიატოვა, თვითონ კი ერთი სახლის იაქთალში შევარდა.

ფირუზას ყვირილით ნაქეზებულმა გლახამ თავისი გრძელი კომბალი მოიმარჯვა. ერთ-ერთ თავდამსხმელს მისარვით დაეძგვერა, კომბალი მაჯაჭა ლონივრად დაჰკრადა ხმალი ხელიდან გააგდებინა. უიარალო გაიქცა. მეორე თავდამსხმელს გლახამ კომბლით თავი გაუხეთქა. მესამე თეთრჩოხისანმა, მოკლა.

— ვინა ხარ? — ჰერთხა თავის მშველელს ომარ ჰაიდარ-ბეგმა.

— მდაბიო. — უპასუხა გლახამ.

— ვინც არ უნდა იყო, შენ ჩემი მშველელი ხარ. სიცოცხლე შენი დახმარებით შევინარჩუნე. არც მე დაგრჩები ვალში. აჲა, დაიჭი, შენა გქონდეს ჩემი ოქროთი სავსე ქისა.

გლახამ ქისა ჩამოართვა ომარ ჰაიდარ-ბეგს, რომლისთვისაც ჰამზათ-ბეის მკვლელები მიეგზავნა, რათა რუსების ერთგული ჩერქეზი თავადი თავიდან მოეშორებინა. ომარ ჰაიდარ-ბეგი ჩერქი ნაბიჯით გაძორდა იქაურობას. გლახა გამტერებული იდგა. ოქროთი გატენილი ქისა მეტად მძიმე იყო ღატაკის ხელში.

— ე რა ჭერხვებივითა ყრიან ეს ღამის ავაზაკები, ესა! — ნამოიძახა სამალავიდან გამოსულმა ფირუზამ, როცა გლახას მიუახლოვდა.

— იმ კაცმა ოქროები მაჩუქა. — უთხრა მას გლახამ.

— ოქრო?!

— ჰოდე, ოქროები. — გაიმეორა გლახამ და გაოცებულ მეწვრილმანეს, რომელმაც შორიდან ომარ ჰაიდარ-ბეგის სიტყვები ვერ გაიგონა, ქისა გაუწოდა. ფირუზამ ქისა მონინებით ჩამოართვა. თითებით ოქროები მოსინჯა, ყურთან მიიტანა, შეაჩხარუნა. ოქროს გაკმენდილმა ჩხრიალმა ხარბი კაცივით გაახარა. მას ძუნწივით უთრთოდა ის ხელი, რომლითაც ოქროებით პირთამდე სავსე ქისა ეჭირა.

— ხედავ, გიგლა! — შესძახა აღტაცებულმა მეწვრილმანემ და გლახას ყურთან რამდენჯერმე გადაუბრუნა ქისა. — შიგ ოქრო ძლივს იძვრის. სავსეა. გამოტენილია. ეს ქისა უნდოდათ იმ ღამის მძარცველებს? ვერ მოგართვით. ანგარიში შეგეძალათ. ავკაცობამ ცუდად ჩაგიარათ.

ფირუზამ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, შუბლზე ხელი შემოირტყა და ნამოიძახა:

— აქრალას ვუდგავართ? ნავიდეთ, განსაცდელში არ ჩავცვივდეთ.

მას ახლა უფრო ქისის დაკარგვის ეშინოდა, ვიდრე განსაცდელის.

ქუჩის ბოლოდან ვილაცები მორბოდნენ, სახლების დარაბები ხმაურით ილებოდა, ფანჯრებიდან და აივნებიდან ყაყანი მოისმოდა, ეზოებიდან — შეშინებული ადამიანების ყვირილი. ფირუზამ გლახა სახლის იაქთალთან სწრაფად მიიყვანა, მასთან ერთად ვიღაცის ბნელი ეზო გადაჭრა, სადღაც რომელილაც ბალის ღობეზე გადაძვრნენ და სამშვიდობოზე გავიდნენ.

გზაზე მეწვრილმანე ტიტინსა და გლახის შეგონებას მოჟყვა:

— ეს ქისა შენია, როგორც გინდა, ისე მოიხმარე. გინდა ეხლავე დამტოვე და შენი გზით წადი, გინდ ჩემს სანვრიმალოში შემოდი და გამიამხანავდი.

გლახამ ქისა უკანვე დაუბრუნა მნყალობელს და ამით ავრძნობინა, რომ ადამიანის სიკეთეს ადვილად არ ივინყებდა, თანაც ოქროზე ისეთი ნარმოდგენის არ იყო, როგორც თბილისის ბაზრების განუნკებული გლახები, რომლებიც გათხოვრობასთან ერთად მევახშეობასაც მისდევდნენ. მან არც ოქროს ფასი იცოდა, არც გამოყენება. დევნილსა და დატანჯულ გლეხეაცს ისევ ღამის გეხრეობა და მეგუთნეობა ერჩივნა.

## 8. პუკია

**სოფელი კუკია ქალაქის ფარგლებში მოექცა. გაჩნდა ახალი უბანი.  
თბილისის ისტორიიდან**

ლაპარაკის დრო არ იყო.

ფირუზამ ფეხს აუჩქარა.

გაგიგლავებული იოსები ძუნძულით უკან დაედევნა.

მტკვრისაკენ მოუხვიეს, ყაბახს გასცდნენ, ნაზარაანთ ლასტის ხიდი გაირეს და კუკიაში, წისქვილებისაკენ გაემართნენ.

— ეს კუკიაა, — გადაულაპარაკა ფირუზამ გლახას, — წინათ სოფელი იყო, ეხლა ქალაქშია. სანვრიმალოც და სახლიც აქა მაქვს. ცოლთან ერთად ვცხოვრობ, უშვილო ვარ და ვინძლო ერთმანეთს გამოვადგეთ.

მენვრილმანის შეშინებული ცოლი მოუთმენლად მოელოდა დაგვიანებულ ქმარს. კოკისპირული წვიმითა და ქარბორბალათი დაფეთებულ მარტოხელა დედაკაცს წმინდა გიორგის ხატის წინ თაფლის სანთლები დაენთო და დაჩოქილი ლოცულობდა. კარების ჭრიალზე დედაკაცმა ლოცვა შეწყვიტა, თავი შემოსულებისკენ მოაბრუნა, საშინლად გამხდარ შავ სახეზე ჯავრი გამოეხატა, წინდის ამარა ფეხზე ნელ-ნელა ნამოდგა, ღმერთს პირჯვრისნერით მადლობა გადაუხადა ქმრის შინ მშვიდობიანად დაბრუნებისათვის, მაგრამ მას მაინც ლანძლვა და ნყევლა-კრულვა დაახვედრა. გაბრაზებული ნამოვიდა მისკენ, მის წინ გაანჩხლებული შედგა და დაუყვირა:

— სად ეთრიე აქამდე?

— მალხაზას მეიხსანაში, — მშვიდად მიუგო ქმარმა.

— აი, მეხი და დარდუბალა შენს თავსა, აპა! კაცო, ამისთანა ავდარშიც არ უნდა მოიშალო ლოთობა? რა დროს ლვინის სმა იყო? ლამის არის ცა თავზე ჩამოგვექცეს, ხალხი შიმით ლოცულობს და შენ ლვინის რუმბებს ჩაუჯექი? მავოდენა თავში, დავიჯერო, ერთი ბენო ჭეუა აღარა გაქვს?

— კარგი, გეყოფა, გაათავე, უეჭველად ვირზე გინდა შემსვა?

— ქა, გაგონილა ესეთი ამბავი?

— მალე მორჩიები ლანძღვას? — სიტყვა ბანზე აუგდო ქმარშა.

ცოლი უარესად გაკაპასდა.

— განა არ ვიცი, რომ მგლის თავზე სახარებას ვკითხულობ?! შენთან საყვედურებით ვერაფერს გავხდები, შე ლოთო, შენა! არა, არა! ეს მეიხანებსადა აშპაზხანებში თრევას არ მოიშლის. ლმერთო, რა ცოდო მქონდა, რომ ამ ლვინის ბოლონოს ხელში ჩავვარდი? ერთი დღეც არ გამიხარია ამ ლოთბაზარსას ხელში, სულ ჩხუბში და დავიდარაბაში ვარ მაგასთან და არ იქნა...

უცებ გაკაპასებულმა დედაკაცმა ყვირილი და ლანძღვა შეწყვიტა. მან თვალი მოჰკრა თავჩალუნულ, ტალახში ამოთხვრილ, ჩამოძენძილ და ჩამოფლეთილ გლახას, რომელიც ტანდაბალ და დამრგვალებულ ფირუზას ზურგს ამაოდ ეფარებოდა. განცვიფრებულმა დედაკაცმა თვალები დააჭყიტა და გულწრფელად გაკვირვებულმა ნამოიძახა:

— ქა, ეს ტურტლიინი ვილაა?

ქმარმა დინჯად უპასუხა:

— ეგ იაკობხანზე უფრო მდიდარია.

დედაკაცმა ტუჩიები აიბზუა, ქმარს გაჯავრებით მიახალა:

— იპ, დამთვრალხარ და ხუმრობის გუნებაზე დამდგარხარ. აბა, ჩემო კაცო, ჭუუა მოკურიბე და ეგ მატანტალა კარში გაისტუმრე. ჩემი სახლი ღამის გასათევი არ გახლავთ. თვალი მაგას დაუდგება. საიდანაც მოთრეულა, იქითკენ ნაეთრიოს!

მენვრილმანემ ცოლს ხმა არ გასცა, ქურის ნინ გაშლილ ქეჩაზე ჩაიმუხლა და ქისიდან ოქროები გადმოყარა. ოქროს ფულები ნერიალით ცვიოდნენ შავ ქეჩაზე და ყვითლად ბზინავდნენ ქურის ნითელ ალზე.

მენვრილმანემ იქედნური ღიმილით აპხედა ცოლს და უთხრა:

— დედაკაცო, ეს ოქროები ამ გლახისაა!

დედაკაცი გამტერებული და გაჩუმებული იდგა. სიღატაკით და დუხჭირი ცხოვრებით ნაადრევად დაბერებულს თვალები იმ ოქროებივით უბრნყინავდა. მერე რამდენჯერმე პირჯვარი გადაინერა, პირზე ღიმილი მოადგა და ოქროს საკვირველ პატრონს მორიდებით დაუნყო ყურება.

— ლიზავ, ჩვენს სტუმარს ხელ-პირი დააბანინე, — უთხრა შას ქმარშა. — ხვალ კი ძუძუს თავზე კბილი დაადგმევინე.

— ეხლავე, ფირუზჯან! — ნამოიძახა აღტაცებულმა დედაკაცმა.

მენვრილმანემ ოქროები გულმოდგინედ გადათვალა. ამასობაში მისმა ცოლმა გლახას ტაშტში ცივი წყლით ხელ-პირი დააბანინა, სველი, დაგლეჯილი ჩოხა-ახალუხი გახადა და ქმრის ძველ-ძველები უფრო გადააცვა, ვიდრე ჩააცვა, რადგან ზორბა და მხარბეჭიან ნაგლეხარს და ნაგლეხარს ვერც ქმრის პერანგი მოარვო, ვერც ახალუხი და ვერც ვაჭრის კაბა. თან გახარებული თავს დასტრიალებდა და ალერსიანად ეუბნებოდა:

— პირი ამით შეიმშრალე, აქეთ მობრძანდი, აქ დაბრძანდი.

დედაკაცი ნუხდა, რომ სახლში არც არაყი ჰქონდა, არც ყველი, არც პურის ნაჭერი. ფირუზა ცოლს მშიერს ინახავდა. რადგან საწვრილმანოს შემოსავალი არ ჰქონდა.

— ფირუზჯან, არაყი ხომ არ მოგიტანოთ? კიდობანში ძველი პურიდა ცოტა ხრამულიც დაგვრჩა. — ყასიდად თქვა დედაკაცმა და ცარიელი კიდობნისაერ გატრიალდა.

— ჩვენ არაფერი გვინდა, — გაიცინა ფირუზამ, — ნადი, დაიძინე. დილით კი კუსპარა დალაქს დაუძახე. ცოტას ვიღაპარა კებთ, მერე ჩვენც დავწვებით.

ახალი ოჩეუბები<sup>1</sup> ქურასთან დასხდნენ, საბანი მუხლზე გადაიფარეს და შეცივებული ფეხები გაჩაღებულ მანგალს მიუშვირეს. ხან ბრძენივით ჩაფიქრებული, ხან ხუმარასავით პირმომცინარე ფირუზა დიდხანს ლაპარაკობდა ვაჭრებსა და ვაჭრობაზე, ოქროს ძალასა და მნიშვნელობაზე.

სახლის დაბალი აივნის ქვეშ ქანდარაზე შესკუპებულმა მამალმა ყივილს მოუხშირა.

<sup>1</sup> ოჩეუბი ქალაქურ ლექსიური სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა იყო კომპანიონი, ამხანავი.

# კარი მესამე

## 1. უძილო ღამე

ეს ქალი ამაღამ წყნარად ვერ დაიძინებს,  
ონორე დე ბალზაკი, „ფერაგუსი“

ძველებურ ქართულ დარბაზში ძილქუში ჩამონვა. დედაბოძზე ჭრაჟი საცოდავად ხრჩოლავდა. ფირუზა მაღალი ხმით ხვრინავდა განიერმოაჯირებიან კაკლის ტახტზე. მის გვერდით, კედელთან, მისი ცოლი მოკუნტულიყო. გლახა იატაკზე ქურასთან დაგლევილი ნაბდის ქვეშ ეგდო და ქვასავით ეძინა.

მხოლოდ მენვრილმანის ცოლი ფხიზლობდა. ძილგამკრთალი, უსიხარულო ნარსულს იგონებდა. თვალწინ ედგა თავისი გაჭირვებული ცხოვრების ულიმლამო დღეები. მწარედ აგონდებოდა ლოთი, მოჩხუბარი და ავსიტყვა ქმრის ხელში გამოვლილი დამცირება და შეურაცხყოფა. ქმრის ლოთობის მიზეზად ცოლი სილარიბეს თვლიდა. „ჩემი ქმარი ლოთობას მოიშლის და ხასიათებსაც ადვილად გამოიცვლის, რომ ქარვასლაში დუქანი დაიქირავოსო. ჩვენს საწვრილმანოში ხელმოკლე მუშტარი თუ შემოხედავს. ქარვასლებში კი ქვეყანა დაითხო“, — ფიქრობდა მენვრილმანის ძილგამკრთალი ცოლი.

ნამდაუნუმ მდიდარი ღატაკის (ასე უნოდებდა იგი თავისი ქმრის უცნაურ სტუმარს) ოქროები ელანდებოდა, რაღაცნაირად ხვდებოდა, რომ ამ ოქროს ფულებში მის ქმარსაც ედო ნილი. გულში იმედმა გაუფაჩუნა. ალელდა, ანრიალდა. აფორიაქდა, მის თვალებს ძილი აღარ მიეკარა, მთელ ღამეს გულმხურვალედ ლოცულობდა და მაღიმალ პირჯვარს იწერდა.

ცოლს ქმარი უყვარდა, მაგრამ მისი ეშინოდა კიდეც, თუმცა ჩხუბში ტოლს არ უდებდა. ყოველდღე ჩხუბობდნენ, თავისი კი მაინც ქმარს გაჰქინდა. გარეთ მუდამ ხუმარა და ოხუნჯი ფირუზა შინ ყოველთვის გაჯავრებული და დაბლვერილი იჯდა, ბუზლუნებდა, ილანძლებოდა და იგინებოდა. „ცხოვრებამ დაჩაგრა და ჯავრს ჩემზე იყრისო, — ამართლებდა ცოლი ქმარს, — ფირუზას სხვები ასმევენ და აჭმევენ, თორემ თვითონ გროშიც არა აქვს შუბლზე მიიკრასო. რა ქნას საწყალმა? არც გლეხობაში ჰქონია იღბალი, არც ხელოსნობაში და არც ვაჭრობაშიო“.

ფირუზაც სოფლიდან გამოქცეული გლეხი იყო. დიდხანს იმაღებოდა ქალაქში და უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა, რათა ბატონი თავზე არ დასდგომოდა. ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ერთი მიყრუებული ქუჩის რიგში თერძის დუქანში შევიდა და ოსტატს შეგირდობა შეეხვენა. ოსტატმა გულ-

დასმით აათვალ-ჩაათვალიერა და რაკი შეზარხოშებული კარგ გუნებაზე გრძანდებოდა, უარი არ უთხრა, შეგირდად აიყვანა და ლამის ვასათევად დუქნის კუთხე მიუჩინა, პირობის ქალალდი იქვე დანერეს. ფირუზამ დანერილს სიამოვნებით დადო გამურული თითი და იმ დღიდან თერძის ხელობის შესწავლას შეუდგა.

ასე გახდა ლამისყანიდან გადმოვარდნილი ლვთისო ლეგაშვილის შეგირდად გრაკლიდან გამოქცეული გიორგა ზანდარაშვილი.

ახალ შეგირდს პირველ წელინადს დუქანი უნდა დაეგავა და დაესუფთავებინა, მეორე წელინადს უთო გაეჩალებინა, მესამე წელინადს წემსსა და ძაფს მისცემდნენ, მეოთხე წელინადს მაკრატელს ჩააბარებდნენ და დუგმების დაკერებას ასწავლიდნენ, მეხუთე წელინადს ქარგლად იმუშავებდა და ბოლოს, თუ გროშებს მოაგროვებდა, ოსტატი ბალში ნაიყვანდა, ამქრის ხალხს შეჰქოდა, მღვდელს დაუძახებდა, უსტაბაში ქარგალს ლოკაზე სამჯურ სილას შემოჰკრავდა და ოსტატად დალოცავდა.

ფირუზა-გიორგა გახარებული იყო. ქალაქში შეგირდობდა და ცხოვრობდა. ქუდი თავზე ეხურა, და რადგანაც ბატონის კაცების ეშინოდა, გადაწყვიტა დუქნიდან ცხვირი კარში არ გაეყო, შვიდ წელინადს პატიოსნად ემუშავნა, მერე კი, ვახტანგ სჯულმდებელის კანონების ძალით, თავისუფალი იქნებოდა და, როგორც თვითონ ფიქრობდა, ბატონი ბუზსაც ვერ აუფრენდა ცხვირზე.

ფირუზა მამლის ყივილზე დგებოდა. დუქანს აკრიალებდა, ენით ლოკავდა. ყველაფერი კოხტად ჰქონდა დალაგებული და სუფთად შენახული, დაუზარებლად მუშაობდა და ირჯებოდა. მუდამ უკმეხ, დალვრემილ, გაუცინარ და სიტყვაძუნწ ისტატს თვალებში ძალლივით შეჰქოდებდა და მის ლიმილს და ყურადღებას ისე მოელოდა, როგორც ძალლი გადაგდებულ ლუკმას.

მისი საჭმელი ხმელი პური, ლობით და ცივი ნყალი იყო. უფულოს მარაქაში არავინ რევდა. ამიტომ თერძის შეგირდი გულისფანცქალით მოელოდა ხოლმე გაზაფხულის დღესასწაულს, როდესაც მათი ამქარი გაშლილი დროშების ფრიალით მიდიოდა ვერის ბალებში სალხინოდ, „რიგის პურისათვის“ და „არითვანასათვის“.

ფირუზა წელზე ფეხს იდგამდა, რათა ოსტატის ყურადღება დაემსახურებინა. ოსტატი ათასში ერთხელ ხელს უქებდა, და თუ გუნებაზე იყო, გროშსაც გადაუგდებდა ხოლმე. ასე მისდევდა დღე დღეს, კვირა — კვირას, თვე — თვეს, წელინადი — წელინადს, სანამ ფირუზა ოსტატის გოგოს მოჰკრავდა თვალს. იმ დღიდან ფირუზა თავის ქერქში აღარ იყო, თერძის სახლის აივანს თვალს არ აშორებდა და იმ გოგოს გამოჩენას მოუთმენლად უცდიდა.

უძილობით დალლილ მეწვრილმანის ცოლს თავისი და ფირუზას თავვადასავალი ახსენდებოდა და გულამომჯდარს თვალზე ცრემლი ერეოდა.

## 2. თეოტიური ლიტერატურა

ეს ბებერი იყო გამხმარი, როგორც ჩაჩინი, შავი, როგორც მუგუზალი, ლავრენტი არდა ზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაძეილი“.

თერძის გოგო იმ დროს თოთხმეტი წლის იყო, ტანმორჩილი და გამხდარი. სახელად ლიზა ერქვა. ისეთნაირი შავი იყო, ისეთნაირად ყარაჩი, რომ ტოლები მეტსახელად თეთრი ლიზას ეძახდნენ. ულამაზო და უსახური ლიზა თავისებურად კეკლუცობდა და იპრანჭებოდა. ქალი ქალობას არ იძლიდა. თეითონ მიჭრიტინა ეჯავრებოდა, მაგრამ უბნის ლამაზ გოგოებს ათასნაირ ნაკლს ამჩნევდა. მათზე ჭორაობდა და ენამოსნრებული, ვინმე ამოჩემებულს ისეთ სასაცილო სახელს შეარქმევდა ხოლმე, რომ ყველა ცდილობდა, თეთრი ლიზა არ გაეჯავრებინა და მას ყბაში არ ჩაეკრინდა. სამაგიეროდ, ამ ულამაზო გოგოს მშვენიერი ხმა ჰქონდა. ათასნაირი სიმღერა იცოდა, ხუმრობა, სიცილი და ლაპარაკი უყვარდა, მეზობლებში სიარული, ქალალდის თამაში და გართობა. ყოველ ლხინში მას აკვრევინებდნენ ხოლმე დაირას. თეთრმა ლიზამ ცეკვაც კარგი იცოდა, სიმღერაც, დაკვრაც და ჭრა-კერვაც.

თეთრი ლიზა თერძის პატარა ქონების და დუქნის ერთადერთი მემკვიდრე იყო. დუქანი იმას დარჩებოდა, ვინც თერძის სიძე გახდებოდა. ფირუზამ სწორედ ამას მიაქცია ყურადღება და გუნებაში თერძის ქალის ცოლად შერთვა გადაწყვიტა. ის უკვე მაკრატლით მუშაობდა და ახლა თვითონაც თავში უფაჩუნებდა უთოს გამჩალებელ შეგირდს, რომელიც ყოველ დილით ციხის უბნიდან დუქნის დასაგველად მოდიოდა.

ყოველ ცისმარე დღეს ფირუზა თსჭატის ადგილის დაჭერას და მისი დუქნის დაპატრონებას ოცნებობდა. მოსვენება დაჟკარგა. თავის განზრახვას ყოველნაირად სწონიდა და თადარიგს იჭერდა.

თერძის გოგოს ხან ნინ დაუდგებოდა და მდაბლად თავს დაუკრავდა, ხან შორიდან უყურებდა და თვალს არ აძორებდა. და რაკი თეთრმა ლიზამაც შეამჩნია და მიხვდა, რომ ის მასხრული გარეგნობის ბიჭი შორიდან მეარმიყებაო, გუნებაში გაეცინა — ალხანას თავის ჩალხანა არ დაელევაო. გაიპრანჭა, ნარბები უარესად დაიშავა, სახეზე ფერ-უმარილი ნაიცხო, მაინც ვერ გათეთრდა, მაგრამ გული არ გაიტეხა, მოირთო და მოიკაზმა. ხან აივანზე იდგა, ხან ფანჯრიდან იყურებოდა, ხან კიბის მოავირზე იყო გადმოყუდებული, რომ იმ მწითურ ბიჭს დაენახა, თვითონ კი მისთვის ჩუმად ხელი დაექნია.

თეთრ ჩადრში კოხტად გახვეული თეთრი ლიზა თავის მამის დუქანს ნინ ისე ჩაუვლიდა ხოლმე, რომ სულ ნელში იმტვრეოდა და თავისი უშნო სახის ერთადერთ სამკაულს — შავ თვალებს, თერძის შეგირდს ისეთნაირად უშუუნებდა, რომ ფირუზა სიცილს ძლივს იმაგრებდა და გაოცებული ფიქრობდა: „ეგ ქალი რომ ლამაზი ყოფილიყო, ნამდვილად ქვეყანას არშიყობით ამოაგდებდაო“. ფირუზა და თეთრი ლიზა ერთმანეთს გამოელაპარაკნენ და პირველი

გუსაიფის შემდეგ, სადაც მოახელთებდნენ, იქ ხვდებოდნენ ერთმანეთს და გულის ხვაშიადს უმხელდნენ.

თეთრი ლიზა თავის მიჯნურს უფრთხილდებოდა, მის შენარჩუნებას ცდილობდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ბიჭებთან ვალაზღანდარებული იყო, როგორც ქალს, ზედ არავინ უყურებდა, გათხოვება კი თეთრ ლიზასაც ისევე სწყუროდა, როგორც ყველა მის ტოლ გოგოს.

თეთრი ლიზას „ბაიათები“ და „მუხამბაზები“ უფრო ეშიანი და მომხიბლავი გახდა, ხოლო მისი ხმა — ვერცხლის ზარივით ნერიალა და სუფთა. ფირუზა გამარჯვებას ზეიმობდა, ოსტატი უკვე სიმამრად მიაჩნდა და გაყოყლოჩინებული თვით ქარგლებს მედიდურად უყურებდა, რის გამოც ერთმა მათგანმა დრო უხელთა, დუქნის იაქთალთან მიაგდო და „ჭუა ასწავლა“.

ფირუზა მაჭანკალს დაეძებდა, რათა ოსტატთან მიეგზავნა და ქალის ხელი ეთხოვნა, მაგრამ ბედმა უმუხტოლა და თავი ციხეში ამოაყოფინა.

ერთ ღამეს ოჩხუბებმა ძალზე მთვრალი ოსტატი მოიყვანეს. თერძი გაჭირვეულდა და დუქანში მოინდომა ღამის გათენება. დუქანში ღამლა მობით ახლაც ფირუზას ეძინა. მან მთვრალი ოსტატი თავის ლოგინში მოასვენა, თვითონ კი გათენებამდე ფხიზლობდა. დილით, გამოლვიდებისთანავე, ოსტატმა ჯიბები მოიჩრიკა, ფერმა გადაჰკრა და ყვირილი მორთო: „თეთრით გატენილი ქისა დავკარგეო“. „სად დაკარგეთო?“ — მიამიტად ჰკითხა ფირუზამ. „წუხელ აქ რომ ვწვებოდი, კარგად მახსოვს, ჯიბები მედო, ახლა კი არსად ჩანსო“. ყვიროდა ოსტატი და თან იჭვნეულად ათვალიერებდა ფირუზას, რომელსაც ფერფური მისდომდა და გულუბრყვილოდ იძახდა: „წუხელის პირში ენა არ გედგათ, ისეთნაირად იყავით მთვრალი და ალბათ ჯიბგირებმა ამოგაცალეს“. ოსტატმა პოლიციას დაუძახა და ფირუზა დააჭირინა.

თეთრ ლიზას მეხი დაეცა. ატირდა და აქვითინდა. დღედაღამ ცრემლშეუშრობლად ტიროდა. გამნარებული ქალი ლვიძლ მამას გულქვას და ცილისმნამებელს უწოდებდა. თეთრი ლიზა დარწმუნებული იყო, რომ მისი მიჯნური უდანაშაულოდ იტანჯებოდა მეტეხის ციხეში. მეზობლებში სულ ალალმართალ ფირუზაზე ლაპარაკობდა, მამას სწყევლიდა, ტიროდა და მოსთქვამდა. მეზობელი გოგოები აშოშმინებდნენ და არიგებდნენ, მაგრამ მის გულს წუგები არ ეკარებოდა. ყოველდღე ციხის ნინოდგა, რათა რკინისგისონი სარქმელში როგორმე ფირუზასთვის მოეკრა თვალი.

თეთრმა ლიზამ იცოდა, რომ გაბოროტებული მამა ადვილად დაამტკიცებდა ფირუზას დანაშაულს. მოსამართლეები დაუჯერებდნენ, ფირუზას ქისის მომპარავად ჩასთვლიდნენ და დიდი ხნით ციხეში გამოამწყვდევდნენ. ამ შერცხვენის შემდეგ ფირუზა როგორლა გამოჩნდებოდა ხალხში ან თეთრი ლიზარა პირითლა გაჰყვებოდა მას ცოლად? თერძის ქალმა ბევრი იფიქრა და ბოლოს ერთი ოინი მოივონა.

მან მეტეხის ციხესთან კლდეზე მდგარი სახლის მრგვალ აივანს დაადგა თვალი. სახლის პატრონთან ავიდა და შეეხვენა: „აგრემც ღმერთი გიშველის,

ფულს მოგცემ და შენმა გახარებამ, ნება მომეცი ყოველ საღამოს აქ მოვიდე  
და დაირით ხელში ვიმღერო". „რაღა ჩემი აივანი ამოირჩიე, გოგო? — ჰეთხე  
გაევირვებულმა სახლის პატრონმა, განა სასიმღეროდ უკეთესი ალაგეჭა  
არ არის?“ თეთრ ლიზას ტირილი ნასედა და ტირილით უთხრა: „მინდა ჩემი  
სიმღერით ჩემი საწყალი ტუსალი გავართო“.

ყოველდღე, ქუჩებში და აივნებზე ხმაური და ლრიანცელი მიწყდებოდა თუ  
არა, თეთრი ლიზა დაქირავებულ აივანზე ადიოდა დაირით ხელში და გულის  
მომკვლელ ბაიათებს მღეროდა. ქუჩაში გამვლელები ცნობისმოყვარეობით  
ჩერდებოდნენ და აივანზე გადმომდგარი ქალის სიმღერის მოსასმენად გრო  
ვდებოდნენ. ციხის რეინის გისოსზე მომდგარი ტუსალებიც ქალის სიმღერით  
გულს ირთობდნენ და იოხებდნენ. მათ შორის ფირუზაც იყო. ისიც ჯავრიანი  
გულით ისმენდა აშულის სიმღერას, რომელშიაც უიღბლო სატრფო ცხარედ  
მოსთქვამდა თავის უნუგეშო სიყვარულს. ეს ამბავი თერძს მიუტანეს, თერძი  
საშინლად განრისხდა, შინაურები მილანძლ-მოლანძლა — ქალს თავი ვერ  
დაუჭირეთო, შინ დაბრუნებულ ქალს სცემა და დაემუქრა: „კარგად ვიცი,  
ვისთვისაც მღერიხარ და თუ შენსას არ დაიშლი, მოვიცლი, მოგივარდები და  
იმ აივნიდან თმებით ჩამოგათრევო“. მამა ქალს ოთახის კარს უკეტავდა, მა-  
გრამ მოხერხებული თეთრი ლიზა ფანჯრიდან გადმოდიოდა და ფოსტლების  
ფრიალით თევზის აღმართისკენ გარბოდა. თერძს გაევირვებისაგან პირი ლია  
რჩებოდა: „ეგ ალქაჯი დაკეტილი ოთახიდან როგორ გადმოდისო“. ხელებს  
ასავსავებდა. ლანძლვა-გინებით თვითონაც ციხისკენ გარბოდა და როცა  
ის მრგვალაივნიანი სახლის კიბეებზე ხვნეშით ადიოდა, გაფრთხილებული  
თეთრი ლიზა ავლაბრისკენ გარბოდა.

თეთრმა ლიზამ ყველგან, ახლომახლო ქუჩებში სახელი გაითქვა. ყვე-  
ლას მოსწონდა მისი სევდიანი სიმღერები. გულდამნვარი ქალი მხოლოდ  
სიყვარულს უმღეროდა. მრგვალი აივნის ქვეშ გამოფენილი შეყვარებული  
სიმღერის თითოეულ სიტყვას ოხვრით ხვდებოდნენ და ნამნამები ცრემლით  
ენამებოდათ. თერძის ქალს კი თავისი დარღი ჰქონდა. ის სიმღერებში ისეთ  
სიტყვებს აპარებდა, რომლის აზრი მხოლოდ ფირუზას უნდა გაეგო. აშულურ  
სიმღერებში მომღერალი ქალი ზოგჯერ ასეთ რამეს გაურევდა ხოლმე: „ჩემს  
სიმღერას ყური კარგად დაუგდე, საყვარელო! გესმის რასაც გეუბნები? გა-  
გონე რა გითხარი? ჩემი სიტყვა შენს საშველად არის ნათქვამი. ჩემმა სიმღერამ  
შენ ციხის კარები უნდა გაგილოს“. ფირუზა მალე მიხვდა, თუ რისთვის ადიოდა  
მისი სატრფო მრგვალ აივანზე. მიხვდა და მის ყოველ სიტყვას ბურთივით  
იჭერდა. ხან ამ სტრიქონში, ხან იმ სტრიქონში, ხან სიმღერის დასაწყისში,  
ხან შუაში და ხან ბოლოში გადაკრულად დამღერებული სიტყვებიდან მან  
შემდეგი უსტარი შეადგინა: „საყვარელო! მსაჯულებთან ასე თქვი: იმ ლამეს,  
როცა ქისა დაიკარგა, მე ქისის პატრონის ქალის ოთახში ვიყავი, იმის აღერსით  
გარმული, მრცევენიან, რასაც ვამბობ, მაგრამ რა ვქნა? ქურდობას გაბრა-  
ლებთ და ციხეში დალპობით მემუქრებით-თქო. ქისას როგორ მოვიპარავდი,

როცა ლაშე სიყვარულში შემომათენდა-თქო. ამას მეც დაგიმოწმებ და მაგ ტანჯვისაგან დაგიხსნი".

სასამართლოში ფირუზამ სწორედ ისე იღაურაკა, როგორც თეთრმა ლი-ზამ დაარიგა. თეთრმა ლიზამაც დაუმოწმა და სახეზე სირცხვილის აღმური აუვიდა. თერძი სახტად დარჩა. მოსამართლეებმა და სასამართლოში მყოფმა მეზობლეებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აუტყდათ. თერძი რაღას იზამდა? სასამართლომ ფირუზა უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა. თავ-გზადაკარგული თერძი უნმანურად იგინებოდა, ქალი ლანძლვით სახლიდან გაავდო, თავის დუქნიდან კარში აღარ გამოდიოდა და ნუნუნებდა: „საკუთარმა ქალმა საქვეყნოდ შემარცხვინა და ქუდი მომხადაო".

ფირუზამ და თეთრმა ლიზამ ქალაქებრეთ, ნმიდა ბარბარეს ეკლესიაში იქორნინეს, კუკიაზე, ნისქვილებთან ოთახი დაიქირავეს და ერთად ცხოვრებას შეუდგნენ.

### 3. სამნაირი პირჯვერის ნერა

კაცის ენაზედ ვერ ვპოებ სიტყვასა, რომ გამოვთქო,  
როგორ შამიყვარდა ის ოქრო!  
ლავრენტი არდა ზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი"

ფირუზა ქორვაჭრობით ცხოვრობდა, თერძის ქისას საკუთარი ნაშოვარიც დაუმატა. თაბახი იყიდა, თავზე დაიდგა და ეინტოურად ჩაცმული ქუჩაში მწვანილის გასაყიდად გამოვიდა.

დილ-დილობით მწვანილს ჰყიდდა, შუადლისას ბაზარში ქორვაჭრობდა, ლაშე პატარა კალათაში ხრამულს აღავებდა, ქუჩა-ქუჩა დადიოდა და მხიარულად გაჰყვიროდა: „ხრამული, აბა, კარგი ხრამული". თეთრი ლიზა ზამთარში ნინდებს ქსოვდა, შეძლებულ მეზობლებს სარეცხს ურეცხავდა, ზაფხულობით პატარა ბოსტანში მწვანილი მოჰყავდა, ქათმებს უვლიდა და კვერცხით ვაჭრობდა. ამით ისიც ორიოდე გროშს შოულობდა, მაგრამ ფულს მხოლოდ ფირუზა იბარებდა, ცოლს გროშს არ უტოვებდა, ხარბსა და ძუნნს ზოგჯერ პურის ყიდვაც „ავინყდებოდა".

მალე ფირუზამ ვირი იყიდა. გოდრები აჰებიდა და ხილით ვაჭრობა დაინყო. მხიარულსა და ხუმარას მუშტრები ბლომად ჰყავდა. გაზაფხულიდან შემოდგომამდე გრძელი სასწორით ათასნაირ ხილს სწონიდა, თან მუშტარს აცინებდა. მუდამ პირმომცინარე და ენანყლიანი ფირუზა ყველას უყვარდა. მარტო სახლში თეთრ ლიზასთან იჯდა ცხვირჩამოშვებული; ჩხუპობდა, ბუზლუნებდა, იღრინებოდა ან ნუნუნებდა და დღენიადაგ სიძვირესა და უფულობას უჩიოდა. გათხოვების შემდეგ თეთრმა ლიზამ მხოლოდ რამდენჯერმე დაამღერა, გაჭირვებულმა ცხოვრებამ სიმღერები სულ მთლად დაავინყა. შიმშილით გა-

ბეზრებული ქალი ან ქმარს ეჩხებებოდა, ან მეზობლებს ლანძღავდა. ფირუზა კიარავის არც ნათლობას, არც ქორნილს და არც ქელებს არ აკლდებოდა. პური ყველგან მუქთად სჭამდა, ყველგან სუფრის თავში იჯდა, დროსტარება ყველა-ფერს ერჩივნა და მალე მთელმა უბანმა მეტსახელად „ლხინის ჰაპა“ დაარქვა. თეთრი ლიზა კიოთხ კედელს შეაიყო გამომწყვდეული და, ნინათ მეზობლებში ტუნტულს ჩვეული, ახლა მარტო ქათმებს ელაპარაკებოდა, რადგან ყველა მეზობელთან ნაჩხებებული იყო და ყველა მომდურებული ჰყავდა. ფირუზა მისი გულის გასახეთქად სწორედ ასეთ მეზობლებში დადიოდა მოსალხენად და დროს გასატარებლად. გაქნილმა ქორვაჭარმა კარგად იცოდა, რომ თუ ვინმეს არ აამებდა და კვერს არ დაუკრავდა, მუქთად ჰყრს არავინ აჭმევდა.

ერთ დღეს ხართუებში, აბანოების აღმართზე, ფირუზა სუფ-სარქისის ეკლესის მნათეს შეხვდა. მნათემ ფირუზა გააჩერა, სალამ-ქალამით მოიკითხა და ბოლოს უთხრა:

- ფირუზ, გინდა, ფული იშოვნო?
- ჰარუნ გეურქ! — მხიარულად შესძახა ფირუზამ, — მე ჯერ სიფთა არ ამიღია, შენ კი უკვე გადაკრულში ხარ? ვაჲ! ეკლესიას ამისთანა ლოთი მნათე უნდა ჰყავდეს?
- ტუტუცო! გაიგონე, რა გითხარი? მე შენ გეუბნევი, გინდა თუ არა ფული აიღო?

ფირუზა მნათეს თვალებში მიაცქერდა და გაუცინა:

- განა ვირს ამისთვის არ დავდევ?
- ჰამე? ვირი რა შეუძია? თუ შენ ფული გინდა, ერთი რამე უნდა ქნა.
- რა უნდა ვქნა? — დაინტერესდა ფირუზა.
- სულ უბრალო რამე. თავზე წყალი უნდა დაისხა, ბლომად ფულს აიღებ.

ფირუზას უკვირდა, რომ მნათეს არც ელიმებოდა, არც ეცინებოდა, არც ხუმრობის გუნებაზე იყო... ასე ეგონა, მთერალია და მასხრად მიგდებსო. მნათეს ენა გამოუყო და ვირს სახრე გადაჰქინა:

- ნადი, ნადი! გაიარე! ვისთვისაც არ მიგიყიდია, ისევ იმას მიჰყიდე. აღალი იყოს იმაზე!

მნათემ ფირუზას საყელოში ხელი სტაცა, გააჩერა და სხაპასხუპით მიაყარა:

- მოიცა, სად გარბისხარ? აკი გითხარი, მარტო ერთი რამე უნდა ქნა.
- რა უნდა ვქნა? სოვდაგარ ფერშანგოვს შევუვარდე?
- არა, მაგას ვინ ამბობს? შენ მარტო ერთი რამე უნდა ქნა, — მნათემ აქეთ-

იქით მიიხედ-მოიხედა და ფირუზას ყურში ჩასრურჩულა: — ჩვენს ეკლესიაში მოინათლე და ქისას ფულით გაგივსებთ.

ფირუზამ თვალები დააჭყიტა, ვერაფერი გაიგო.

— რჯული გამოიცვალე, ისე ვაჭარი ვერ გახდები, ვერ გამდიდრდები, — ეუბნებოდა მნათე.

ამ დროს ეკლესიებში ნირვა გამოვიდა. ყველგან ზარების რექვა გაისმა. ფირუზამ ქუდი გაისწორა და იკითხა:

- მაშ, სომხურად რომ პირჯვარი დავინერო, ტერტერები ფულს მომცემენ?
- მოგცემენ, მაშ! მეც მაგას არ გეუბნევი?
- რამდენს მომცემენ, პარუნ გეურქ?
- ხუთ თუმანს. ხუთი თუმანი ცოტა ხომ არ არის?!
- ფირუზა ჩაფიქრდა.
- ცოლიც რომ მოვნათლო?
- იმაშიც ხუთ თუმანს მიიღებ, მაშ! — გაუხარდა მნათეს.

ერთი კვირის შემდეგ ფირუზა და თეთრი ლიზა სუფ-სარქისის ეკლესიში მოინათლნენ. ტერტერებმა მათ გრძელი თეთრი პერანგები ჩააცვეს, ხელში ანთებული სანთლები დააჭერინეს, შუბლზე მირონი სცხეს და თავისებუ-რად დააწერინეს პირჯვარი. რამდენიმე დღის განმავლობაში თეთრი ლიზა ხიზილალიან პურსა სჭამდა. ზედ ლვინოს აყოლებდა, ნასიამოვნები ქმარს უცინოდა. ფირუზას ულვაშებში ეღიმებოდა. მალე ცოლი ისევ ხმელ პურზე დასვა და თავისი მონათვლაც დაავინყდა. ლვთისმოშიმი თეთრი ლიზა ახლა ქართველების და სომხების ეკლესიებში დადიოდა სალოცავად. ფირუზას კი არც ღმერთი აგონდებოდა და არც იმის ეკლესია.

ცოტა ხნის შემდეგ ფრანგის ქუჩაზე, კათოლიკეთა საყდართან ფირუზას კათოლიკე პატრიმა გზა გადაუჭრა და ჰეითხა:

- ქართველი ხარ, ყმანვილო?
- ჲა? — ფირუზას თავის მონათვლა გაახსენდა, მაგრამ არაფერი თქვა და პატრის სწრაფად უპასუხა, — ჲო, ქართველი ვარ.
- რომელ ეკლესიაში დადიხარ?

ფირუზას ფერი ეცვალა. ენა დაება. პატრიმა კითხვა გაუმეორა.

- ქართველების... — ცალი ყბით მიუგო ფირუზამ.
- ჩვენს ეკლესიაში რომ იარო, ფულიანი გახდები.

ფირუზამ ახლაც ისე დააჭყიტა თვალები, როგორც სუფ-სარქისის მნა-თესთან.

— მაშ, ბატონო, თქვენებურად პირჯვარი რომ დავინერო, ამაში ფული მერგება?

— გერგება, ოლონდ ფრანგი უნდა გახდე.

ფირუზამ კეთა მოიფხანა, ჩაფიქრდა.

— იფიქრე და პასუხი აგერ იმ წითელ სახლში მომიტანე, თოქზე ჩაქუჩია ჩამოკიდებული, სამჯერ დაჰკუარ და კარს მაშინვე გაგილებენ.

როდესაც ფირუზამ ცოლს კათოლიკების ეკლესიაში მონათვლა შესთავაზა, თეთრმა ლიზამ ერთი ალიაქოთი ატეხა:

— შე ღმერთგამნყრალო, შენა! ეხლა გინდა სამ ეკლესიაში მატარო და დავთრები სულ დამიბნიო? თქვენი ჭირიმეთ, სად გაგონილა?! ეს კაცი ღმერთით ვაჭრობს და ღმერთსა ჰყიდის. ქა, პირჯვარს არასოდეს არ იწერს, არ ლოცულობს, ჯერ სანთელიც არ დაუნთია და ორნაირად ვითომც პირჯვრის დაწერაში ორგან ფულს იღებს. არა, არა, მე მაგის გამკეთებელი პირჯვრის დაწერაში ორგან ფულს იღებს.

აღარა ვარ, შენ კი როგორც გინდა, ისე მოიქეცი, ქა, გაგონილა ქრისტიანი კაცი სამნაირ სახელს ატარებდეს? მაშ, მეც თრი ქმარი მყოლია: გიორგადა გეურქა, მესამეც ის მეყოლება, რასაც ფრანგები დაგარქმევენ.

— შენც ხომ ორი სახელი გქვიან? — სიცილით ეუბნებოდა ფირუზა.

— მაშ, მაშ! ლიზა დამინუნეთ და რიცხიმე დამარქვით. მესამე სახელად რაღას მარქმევთ?

— პატრიმა ასე თქვა, შენს ცოლს სახელად ლურია მოუხდებათ.

— ქა, ეგ ლური რაღა არის, ფრანგებს ქრისტიანული სახელი აღარა აქვთ?

ფირუზა ვერც ხვეწნით, ვერც მუქარით ვერაფერს გახდა. ცოლი ვერ დაიყოლია. ვერც ხიზილალიანი პურით მოხიბლა. ცოლმა წინ მყისვე ამასწინანდელი ხანმოკლე გამასპინძლება დაუხვედრა. ამიტომ ფირუზა იძულებული გახდა მარტო წასულიყო კათოლიკეების ეკლესიაში და იქ მესამედ მონათლულიყო.

ქორვაჭარი ფირუზა პატრებმა ფილიპე ფორენელმა და ბარლამო განდილიმ პაპა პიო VII-ის სამწყსოში შეიყვანეს, რამდენიმე ოქრო აჩუქეს და კათოლიკურად გადააწერინეს პირჯვარი, მაგრამ ფირუზა არც ქართველების, არც სომხების და არც ფრანგების ეკლესიაში არ დადიოდა. ოღონდ ეს იყო, ქართველებთან ქართულად ინერდა პირჯვარს, სომხებთან — სომხურად, ფრანგებთან — ფრანგულად.

ფირუზას მეზობლები დღიური ქირით და ხელოსნობით მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველები იყვნენ, ვაჭრობით კი უპირატესად სომხები და ფრანგები ვაჭრობდნენ. ისინი ერთმანეთს ქიმპობდნენ, მტრობდნენ, არ ინდობდნენ და თუ სადმე სომხურად ან კათოლიკურად მონათლულ მართლმადიდებელს მოახელებდნენ, რუსეთის ხელისუფლებასთან აბეზლებდნენ. მეჩვიდმეტე საუკუნეში დაწყებული ეს ბრძოლა ახლაც გრძელდებოდა.

ფირუზა არხეინად იყო, რადგან მისი მონათლის გამო კრინტს არც სომხის ტერტიურები სძრავდნენ, არც კათოლიკე პატრები. მან იცოდა, რომ ძალა სომები ვაჭრების ხელთ იყო, კათოლიკე პატრებს კირუსეთის მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა, ავინწროებდა და სდევნიდა, ამიტომ ფირუზა უფრო ხმირად სომებს ვაჭრებში ტრიალებდა, კათოლიკეებთან კი წყალობის მისალებად დადიოდა.

#### 4. საცვრილოანო

შენს სახლში ათი წელიწადი არის, არა მიჭამია რა,  
ყველისა და პურის მეტი.  
გიორგი ერისთავი, „ძუნნი“

ძილგამჯრთალ თეთრ ლიზას სხვა ამბებიც გაახსენდა. მისმა ქმარმა ბოლოს პატარა სახლი აიშენა და კიდევ უფრო პატარა საწვრილმანო გახსნა. მაგრამ საწვრილმანოს ცოტა მუშტარი ჰყავდა. ფირუზა უფრო ქორვაჭრობით ცხო-

ერობდა, ვიდრე სანვრილმანოს შემოსავლით. ცოლს მოგებულს უმაღლავდა და გამდიდრებაზე ოცნებობდა.

თეთრი ლიზა ფიქრით, დარდით, შიმშილით და ლოცვით მოილალა, ლანდს და ემსგავსა. ისედაც უმნო, კიდევ უფრო დაუმნოვდა. სამაგიეროდ, ფირუზა დამვენდა, კისერი გაისქელა, საუკეთესო ქუდი დაიხურა, ძვირფასი კაბა ჩაიცვა და ნელზე გობაკებიანი ვერცხლის მძიმე ქამარი შემოირტყა, რათა ხალხმი გამოჩენილიყო.

სანვრილმანო ფირუზას ცოლის ანაბარად პქონდა მიგდებული, თვითონ გთელ დღეს ბაზრებსა და ქარვასლებში ატარებდა, ლამდამობით ეი სხვისი სუფრის თავში იჯდა და გათენებამდე ქეიფობდა.

წმინდა შიოს დღეს, როდესაც დიასახლისები განჯინებიდან და თაროებიდან თაგვებს წერპლებით ერეეებოდნენ, მენვრილმანის ცოლი გულხელდა უფრო იჯდა და თავისითვის ფიქრობდა: „რა მაბადია მე სანყალს, რომ თაგვები შემომეჩვიონო“. ამიტომ წმინდა შიოს ბიჭი არასოდეს ჩერდებოდა პურის გამოსართმევად მის კართან.

ნინათ ენაჭარტალა თეთრი ლიზა ახლა ხმაგაემენდილი ფუსფუსებდა სახლის ეზო-კარმიდამოში და თავის ბედზე მნარედ მოსთქვამდა.

— კაცო, ღმერთი ინამე! მეც მომხედე, შემიბრალე, შიმშილით ლამის სული გამძვრეს, ლამის ხამი კაბა ტანიდან გამვარდეს, გადაფლეთილს აღარ ვიცი, სად დავადო საკერებელი. სამნაირად პირჯვარს განერინებენ და შენ თვითონ ერთხელ მაინც ქრისტიანულად დაინერე პირჯვარი. ჰოვსილა აღარა მაქვს, ფეხზე ვეღარ ვდგები. შენ რომ ლოთობ, მე ცხელი კერძი მაინც მაჭამე.

ქმარი დინჯად, დანყნარებული ხმით ეუბნებოდა და არიგებდა:

— რა ვქნა, ლიზაჯან? ლარიბი მენვრილმანე ვარ. აბა, მენვრილმანობით ვინ გამდიდრებულა, რომ მე გავმდიდრდე? ჩვენ კიდევ რა გვიჭირს? ხმელ პურს მაინც ვჭამთ, აბა, ერთი უბანში მიიხედ-მოიხედე, რა ქრისტეს ტირილი დგას ლარიბების სახლებში!

ცოლი ქმრის საყვედურს გარეთ არასოდეს ამბობდა. პირიქით, აივანზე გამოსული ან ეზოში მოფუსფუსე მეზობლების გასაგონად ქმარს ხმამაღლა ქურკურით ეუბნებოდა:

— ქა, ფირუზან! ეს რამდენი თევზი მოგიტანია? სიცხეა და მეშინიან, არ აგვიყროლდეს. ხიზილალას ჯანი გავარდეს, გელაქნურსა და ორაგულს რა უნდა ვუყო?

ფირუზას ეცინებოდა და უნებლიერ მრგვალ აივანზე დაირით ხელში გად-მომდგარი ქალი აგონდებოდა. ცოლი არ უყვარდა, მაგრამ ჭკვიან და გამრჯვე დედაკაცად თვლიდა და მხოლოდ ამ მხრივ სდებდა მას ფასს, თუმცა ცოლის გარჯა და ფუსფუსი აინუნშიაც არ მოსდიოდა.

თეთრი ლიზა ჩიოდა და ჭიროდა, მაგრამ არავინ იყო მისი გამეითხავი. ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო და მობეზრებულმა ქმარს გადაწყვეტით უთხრა:

— კაცო, მაგ გულში ქვა ხომ არ გიდევს? ჰედავ, დავსნეულდი, სახეზე ადამიანის ფერი აღარ მაღევს, დავიქანცე, დავიღალე, მეტი აღარ შემიძლიან. კაცის საქმეს მე მაინც ნუ მაკეთებინებ. ბიჭი დაიჭირე. ხელსაფეხვავი იმას დაატრიალებინე, შეშა დააჭრევინე, სახურავზე აყრილი კრამიტი გაასწორებინე, ნისქვილშიც ის გაგზავნე, დახლთანაც ის დააყენე. მე ეი დამეხსენ და დამასვენე. ჩემი საქმე მარტო ცოცხი და აქანდაზია!

ფირუზამ ცოლს შეხედა. მან მხოლოდ ახლა დაინახა საშინლად გამხდარი, დალეული, გაძვალტყავებული, უარესად გაშავებული და საფრთხობელად გადაქცეული თეთრი ლიზა. შეფიქრიანდა, კეთა მოიფხნა და ცოლს მოჯამავირის დაქირავებას შეპირდა. იმ დღიდან ფირუზა გაფაციცებით დაეძებდა ისეთ ბიჭს, რომელიც ცოტას მოითხოვდა და ბევრს იმუშავებდა.

მალხაზიას მეიხანაში ფირუზა ახალგაზრდა, ჯან-ლონით სავსე გლახას წანყდა, ის მას მთანმინდაში ბევრჯერ ჰყავდა ნახახი და ყოველთვის გაკვირვებული უყურებდა. წუხელ ერთხელ კიდევ მოუვიდა თვალში, ვინაობა გამოჰკითხა, ალერსიანი სიტყვით გაიამხანავა და თავისთან შინ ნამოიყვანა, რათა ის თეთრ ლიზას შეშველებოდა. მაგრამ გზაში ყველაფერი სწრაფად შეიცვალა. გლახამ თავისი ვაუკაცობით ოქროთი სავსე ქისა მოიპოვა. ამან ფირუზას თავდაპირველი განზრახვა შეაცელევინა. განუწყვეტლივ ოქროს ფულების მფლობელზე ფიქრობდა და თავში ათასგვარი აზრი და ფიქრი უტრიალებდა.

თეთრ ლიზას ეი ასე ეგონა, ეს უცნაური, გლეხურად ჩაცმული მდიდარი ყმანვილი გამოვლილ ტანჯვა-ნვალებას დაავინყებინებდა და ბედნიერ ცხოვრებას აგემებინებდა.

დატანჯული დედაქაცის დაღლილ გულში იმედი ხმიანდებოდა და გულმხურვალედ მლოცველს თვალზე თანდათან რული ეკიდებოდა.

## 5. მდიდარი გლახა

მე დავტრიალდი ქალაქში, რომ მომეყვანა მოქმედებაში ერთი აზრი,  
რომელიც ვზარდე ჩემს გონიერაში.  
ლავრენტი არდა ზიანი, „ხოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“

თეთრი ლიზა უთენია ადგა.

არა ბნელოდა, მაგრამ ჯერ ისევ მკრთალი, მტრედისფერი სინათლე იდგა.

ცოცხით დარბაზის ტალახიანი ფილაქანი დაგავა, ნაგავი აქანდაზზე შეაჭურა, იქაურობა მიალაგ-მოალაგა, დაასუფთავა და მოაკრიალა. გარეთ თავის ქნევით გადახედა ავდრისაგან აოხრებულ ბალჩას. ქარიშხლიან დამეში ტოტებდალენილი თუთა, ფშატი, უნაბიდა ბრონეული გაძარცული მგზავრებივით იდგნენ. დიდი წვიმით დასველებული ფოთლებიდან ჯერ ისევ მარგალიტებივით ცვიოდნენ მსხვილ-მსხვილი წვეთები. თეთრმა ლიზამ ნუნუნით

გოათვალიერსა კარ-მიდამო, ლაფში და გუბეებში დიდონი ქვებიჩაყარს, რათა სანვრილმანოს მუშტრებს ფეხი არ დასველებოდათ. მერე სამოვარი დადგა. დარბაზის კარის ზღურბლზე ჩამოჯდა, ნიკაპქეშხელი ამოიდო და ჩაფიქრდა.

— ლიზა! — დაუძახა ქმარმა.

მენვრილმანეს ტანისამოსიჩაუცვა. ქურასთან სამთეხა სკაშზე ჩამომჯდა-რიყო და მუხლის თავზე ჩიბუხს აწყობდა. დარბაზში მის ძახილზე შემოსულ ცოლს ჩიბუხის ტარით ანიშნა, მასთან მისულიყო, საღათას ძილით მძინარე გლახას ცალი თვალით გადახედა და თქვა:

— ჟა, ძან ქისა არ მოგვიტანა ამან!

დედაკაცს გამხდარ სახეზე ქმაყოფილების ლიმილმა გადაურბინა და თავი ოდნავ დაუქნია.

— ჰოდა, უნდა გავუფრთხილდეთ, ტკბილი სიტყვა გავაგონოთ, — განა-გრძო მენვრილმანემ, — შენ თვითონ ნახე მაგის ოქროები. ჩვენი სანვრილმა-ნოსათვის ურიგო არ იქნება. შენ კი წუხელრაღმერთი გაგინყრა? რაზე აუშვი იალქნები? ჯერ მე გამაპატიოსნე, მერე მაგას მოსდექი. ახი არ იქნებოდა, თავის ოქროებით მოეკურცხლა.

— რა ვიცოდი, ფირუზჯან, აბა, რა ვიცოდი, მე თვალდამდგარმა, — ვიძ-ვიშით ნარმოთქვა თეთრმა ლიზამ.

— ეხლა ხომ იცი, ვინც არის?

— ვიცი, გლახურად აცვია, მაგრამ მდიდარი არის. ფირუზჯან, განა მაგის ვინაობას არ მეტყვი?

— რატომაც არა. ეგ ბიჭი ჩემი ძმისნულია.

— რას ამბობ, ქა! — ნამოიძახა თეთრმა ლიზამ და გაკვირვების ნიშნად თითო ტუჩზე დაიდო.

— ჸო, დაკარგული იყო და ვიძოვნე.

— შენ ძმა რომ არა გყავდა...

— ნადი, უბანშიცათქვი, რასაც ეხლა ამბობ, — თვალების ბრიალით შეანუ-ვეტინა ცოლს ფირუზამ, — რატომ მიხვედრა არა გაქვს, დედაკაცო? მთელმა უბანმა უნდა იცოდეს, რომ ეგ ჩემი ახლო ნათესავია, სულერთია, ძმისნულია თუ ბიძაშვილი. გაიგე? მე ეგ ნათესავად მერგება, ზანდარაშვილია. ყურები გამოიბერტყე და კარგად დაიხსომე.

— გავიგე, ფირუზჯან, გავიგე. რათა ჯავრობ? გაუგებარი რა არის? — უქმაყოფილოდ ნაიდუდუნა თეთრმა ლიზამ და წუნუნს მოჰყვა, — ეჱ, ქმარი თუ ცოლს არ ენდობა, ის რაღა ცოლქმრობა არის?

— მაგით რა გინდა სთქვა?

— ფირუზ, თუ ამ კაცის სადაურობა არ შევიტყვე, ვეღარ მოვისვენებ. ეგ ან ქურდი მეგონება, ან დიდი ყაჩალი და შიშით გავთავდები.

— თქმით გეტყოდი, მაგრამ მეშინიან, არსად არაფერი ნამოგცდეს.

— მითხარი და ენა მომჭერი.

— რას ამბობ, დედაკაცო? განა თქვენი ამბავი არ ვიცი? ქალი ყბედობი-სათვის არის გაჩენილი.

— შენ თუ ქალები არ გათათხე, ისე ვერ მოისვენებ, — უსაყვედურა ქმარის  
თეთრმა ლიზამ და ცნობისმოყვარეობით შეიყრობილმა ერთხელ კიდევ შეს-  
თხოვა, — მითხარი და ჩემს სალოცავებს გეფიცები, ერინტს არსად დავძრავ.

— გეტყვი, რა გაენყობა, — ფირუზამ ცოლს და კვირვებით შეხედა, მრგვალ  
აივანზე გადმომდგარი ქალი მოაგონდა, მაგრამ საიდუმლო მაინც გაანდო: —  
ეგ მდიდარი გლახა გამოქცეული ყმა არის.

— გამოქცეული? — შესძახა თეთრმა ლიზამ და ფერინაუვიდა, — ხიფათს  
არ გადავეყაროთ... მაგის ოქროებს რა თავში ვიხლით, თუ...

— არ გითხარი, ნურაფერს მკითხავ-მეთქი! — დაუყვირა შეშინებულ  
ცოლს გაჯავრებულმა ფირუზამ და მაშინვე ხმას დაუდაბლა, რადგან ნაბადში  
გახვეული გლახა კვნესით გადაბრუნდა, — სუ! რაც შენი საჟითხავი არ არის,  
იქ ცხვირს ნუ ჰყოფ, არაფერიც არ იქნება, თუ წინდახედულად მოვიქცევით.  
თუ გინდა წმინდა წიერლოზში გაიქეცი, ილოცე, ჩვენი ციდან ჩამოვარდნილი  
შვილობილი ღმერთს შეავედრე. მართლა, გზაზე კუსპარას დალაქხანას ჩაუ-  
ვლი და ბარემუთხარი, თავისი იარაღით აქ ამოვიდეს. ჩემი დახლიდარი უნდა  
მოვაქრისტიანო. ეგრე გაუკრეჭავი და გაუპარსავი ხომ არ ივლის?

— მერუგანა მარტო ევ არის საჭირო? ევ რომ გაიღვიძებს, მშიერი უნდა დაუსვათ?

— მაგის ხასიათი ჯერ არ ვიცი. არც ის ვიცი, ყაირათიანია თუ მუცელ-  
ღმერთა. მაგასაც ვნახავთ, ჩენთან იცხოვრებს და გავიგებთ. მშიერი რომ  
ადგება, ამას კი თქმა არ უნდა, — ფირუზამ ჯიბეში ხელი ჩაიყო, იქიდან  
წვრილი ფული ამოიღო და თეთრ ლიზას გაუნოდა, — გზაზე არაყი იყიდე,  
ცოტა ყველი, ცოტა თევზი. ჩაიც შაქრით დავალევინოთ. ერთი ნატეხი შაქარი  
სანვრილმანოდან გამოიტანე. ეხლა უჯრაში, იცოდე, ოცი ნატეხი შაქარია.  
ჩვენ კი ჩვენებურად იოლად წავალთ.

თეთრ ლიზას ცათაფრენა შეუდგა. მის სახლში არაყი, ღვინო და თევზი  
ჯერ არავის ენახა. უშვილო ცოლ-ქმრის ოჯახმა არც სტუმარი იცოდა, არც  
სტუმრის დახვედრა და გამასპინძლება. ფირუზას მუდამ სხვები ჰპეატიუებდ-  
ნენ, თვითონ კი არასდროს არავის ჰპატიუებდა.

## 6. ალალი გიძაშვილი

ხალხის საშუალო კლასი და ლარიბ-ლატაკნი ერთმანეთის გეერდით იმდენად  
მჭიდროდ ცხოვრობენ, რომ არ შეიძლება არ იცოდნენ ერთმანეთის  
ურთიერთობანი და მეზობლების ვინაობა, მათი კოვზი და ციცხვი.  
ა. ბესტუშევ-მარლინსკი, „მოლა-ნური“

გლახას დიდხანს ეძინა.

ფირუზას შეებრალა და არ გააღვიძა.

ეკლესიდან მობრუნებული თეთრი ლიზა თითო-ოროლა მუშტარს სან-  
ვრილმანოში ხვდებოდა.

მენვრილმანე და დალაქი ქურასთან ისხდნენ და მასლაათობდნენ. ტან-მორჩილი, მაგრამ მკვირცხლი დალაქი სხაპასხუპით უყვებოდა ფირუზას წუხანდელ ამბებს: ჯერ სეტყვამ და მერე კოკისპირულმა წვიმამ ბევრ სახლში ფანჯრის შუშები ჩაამტვრია, — ამბობდა ენაგაკრეფილი დალაქი, სამგორ-თან მეხმა კაცი მოკლა, ანჩისხატთან თავგახეთქილი, მძიმედ დაჭრილი და ერთოც მოკლული კაცი ნახეს, ადიდებულ მტკვარს აკვნიანი ძუძუმნოვრები მოჰქონდა, ერთი მათგანი მეჩანგლე ლოპიანამ ჩანგლით ნაპირზე გამოა-თრია, აკვნიდან ცოცხალი ბავშვი ამოიყვანა და გულში ჩაიხუჭაო.

ფირუზა დალაქს ნიაზით უსმენდა, თან „ნტს... ნტს...“ — იძახდა და ამასო-ბაში გლახის თავგადასავალი ისეთნაირად ჩამოქნა, რომ თვითონაც დაიჯერა და სხვებიც ადვილად დააჯერა.

— მაშ, ეგ შენი ალალი ბიძაშვილია? — ეკითხებოდა დალაქი.

— მაშ, მაშ, ჩემი ბიძაშვილია. ბიძაჩემსაც გიორგა ერქვა, მეც იმისი სახელი მქვიან.

— ვაჟ, ეგ კი არ ვიცოდი, ფირუზჯან! მაშ, შენ გიორგა ხარ?

— არ იცი, ტუტუცო, რომ ფირუზას სახელით კაცს არც ერთ ეკლესიაში არ მონათლავენ? ფირუზა ქალაქელებმა დამარქვეს.

— უჰ, გენაცვალე მაგ ფირუზ თვალებში! — ნამოიძახა დალაქმა, რომელ-საც ენის ტარტალთან ერთად მლიქვნელობაც ეხერხებოდა.

— დიდი ხანია გასული, მაგრამ კარგად მახსოვს, — განაგრძო მენვრილ-მანემ, — როცა ეს ბიჭი — გიგა ზანდარაშვილი მამაჩემმა, კარგი კაცი იყო ცხონებული და მამიჩემის უმცროსმა ძმებმა, ისინიც ძაან კარგები იყვნენ, ერთ მდიდარ სოვდაგარს მიაბარეს სოვდაგრობაში გასანვრთნელად. იმ სო-ვდაგარსაც, სახელი აღარ მახსოვს, ეგ ძალიან ჰყვარებია. ალერსით ზრდიდა და შვილივით უვლიდა თურმე. ამას ქალაქელი ვაჭრები გვატყობინებდნენ ხოლმე, მაგალითად, ოჰანეზა. შენ არ გეხსომება, ბასრაში მოკვდა, კიდევ ოსეფა, ის სანყალიც სტამბოლში დამარხეს, აგრეთვე ცალთვალა მიკირტი-ჩა, კარგი ვაუკაცი იყო, აშტრახანში მოკლეს. ერთი სიტყვით, შინაურებმა ვიცოდით, რომ ჩვენი გიგა ხან სპარსეთში იყო, ხან ოსმალეთში, ხან მისრის ქვეყანაში, ყველგან ქარავნებს დასდევდა და მდიდრდებოდა. მერე მაგის ამბის მთხოვნელი აღარავინ გამოჩინდა, ვინ რას გვეტყოდა, როცა მაგის ასავალ-დასავალი სულმთლად დავკარგეთ. დანარჩენი, სწორედ წუხელ, თვითონ მაგისგან შევიტყვე. ეჰ, რა მუხთალია ჩვენი წუთისოფელი! მოდი, თითოც დავლიოთ, თორემ ლამის არის ცრემლებმა დამახრჩონ. გაამოს, კუსპარჯან! ერთხელაც, რაღა ბევრი გავაგრძელო, სპარსეთიდან ქარავნე-ბით მოდენილან, დღის ბოლოს დასასვენებლად აქლემებიდან ჩამომხტარან, პური უჭამისათ და დაუძინიათ. ახლოს თურმე ყაჩალები ყოფილან ჩასაფრე-ბული, თავს დასხმიან, ქარავანი გაუძარცვავთ, მსახურები ამოუხოციათ და ის კეთილი სოვდაგარიც მოუკლავთ. ჩემს ბიძაშვილს არეულობით და ღამის სიბნელით უსარგებლია, აქლემებს ფეხებს შუა გასძრომია, გაქცეულა,

უდაბნოში უვლია და ამით უშეელია თავის თავისთვის. სად არ უხეტიალია, სად არ ყოფილა, სად არ მისულა, რა ქალაქი არ უნახავს, ვის კარზე არ დაუკაუნებია, მაგრამ გამკითხავი არსად შეხვედრია. ნაცნობი ვაჭრები თურმე პირს არიდებდნენ და ვითომც ვერა სცნობდნენ, რადგანაც იმათ იმ სოვდავრის ვალი მართებიათ. რასიზამდა ან რა უნდა ექნა? უფულოდ ვინ სად ცხოვრობს? ქუჩაში მათხოვრობდა და ამით ირჩენდა თურმე თავს. ბოლოს, როგორც იყო, ქალაქამდე მოულწვევია. მაგრამ რა გინდა? არც ნაცნობი, არც ნათესავი, არც ხმის გამცემი არავინ ჰყავდა. მე მეძებდა და ვერ მპოულობდა. გიორგა ზანდარაშვილს შენ არ იცნობ და ქუჩაში გამელელებს საიდან ეცოდინებოდათ? („შენ ეგა სთქეი, ფირუზჯან და!“ — თავი დაუქნია დალაქმა, რომელიც სულგანაბული უსმენდა მეწვრილმანეს). სადმე ფირუზა როგებსენებინა, მაშინვე მიპოვიდა, მაგრამ რას მოიფიქრებდა? გუშინ მალხაზას მეიხანაში ალალბედად ნავანყდით ერთმანეთს, გულმა რაღაცნაირად გამაგებინა. რაღაცნაირად შემომკვნესა, მივედი, გამოველაპარაკე, გამოვკითხე, გამოვემცნაურე და აკირჩევი ლვიძლი ბიძაშვილი აღმოჩნდა! დანარჩენი, ვინც გუშინ იქ იყო, ყველამ იცის.

— ვაჲ, ფირუზჯან, აზირ რა იღბალზე შესულხარ იმ მეიხანაში! — ხმაჩახლეჩით ნამოიძახა დალაქმა და შუათითით თვალებიდან ცრემლი მოინმინდა.

ფირუზამ სახე ფართოდ გაშლილ ბალდადში ჩამალა და ცოტა ხნის შემდეგ ცრემლებით დასველებული პირისახე დალაქს დაანახვა. თეთრ ქუთუთოებზე მსხვილი ცრემლები ეკიდა და ისეთი სათნო სახე ჰქონდა, რომ გაკვირვებულმა თეთრმა ლიზამ პირჯვარი გადაინერა.

## 7. გასამრჯელო

საზოგადოების ნახევარი თავის ცხოვრებას  
სხვის თვალთვალში ატარებს.  
ონორე დე ბალზაკი, „დეიდაშვილი ბეტტი“

ვერც მეწვრილმანებ და ვერც დალაქმა ვერ შეამჩნიეს, როგორ ამოჰყო თავი ნაბდიდან გლახამ.

გაოცებული აქეთ-იქით იხედებოდა და ვერ მიმხვდარიყო, სად იმყოფებოდა.

დიდი ხნის შემდეგ ჭერქვეშ მოხვედრილი გონზე ეერმოსულიყო, თვალებს იფშვნეტდა და იქ მყოფთ გაკვირვებით აცეერდებოდა. გვიან მოავონდა ნუხანდელი თავგადასავალი და როცა ფირუზა იცნო, შორიდან სანყლად გაულიმა. სწორედ ამ დროს დალაქმა გრძელთმიან გლახას მოჰკრა თვალი და შეჰყვირა:

- ვაჲ, ეგ ხომ ბერია?
- შენმა მაკრატელმა და სამართებელმა ისევ სოვდაგრად უნდა აქციოს, დინჯად მოუგო ფირუზამ.

— ვაჲ, თავზე თმა კიარა, მუხრან-ბატონის ყანა ამოსვლია. ამ ყანის მომკაში, — სიცილით ამბობდა დალაქი, — აბაზიანზე ნაკლებს არ ავიღებ.

ფირუზამ არც თავი დაუქნია, არც არაფერი თქვა. დალაქი გლახას გიუბრუნდა:

— აბა, ჩასპანდო! ადე, მოემზადე, ისეთნაირად გაგალამაზო, ჭურაში რომ გაირო, გოგოები ბანებიდან და აივნებიდან გადმოცვივდნენ.

დალაქმა ხელში მაკრატელი აათამაშა. გლახას თავზარი დაეცა. მკვირცხლდალაქს თავისი უცნაური მუშტრის ზოზინიარ მოენონა, მასთან მიირბინა, ნაბადი გადააძრო, ნამოსნია, ქვემოდან საჩქაროდ სამფეხა მიაშველა, ზედ ბავშვივით დასვა და მის გრძელ თმას ხელი ჩასჭიდა. იოსებს ჭანში გაურუოლა.

— ამიხდა, ამიხდა! — დაიყვირა დალაქმა და მისი ნაყვავილარი, შავგვრემანი სახე მქუხარე ხარხარმა გაანათა, — წუხელ... წუხელ... სიზმარში. ეპისკოპოსს კურეჭდი... ისეთი გრძელი ნანნავები ჰქონდა, როგორც ამასა... ხა, ხა, ხა... სად ეპისკოპოსი და სად გლახა?! ამიხდა, ამიხდა... ლვთის ნინაშე სიზმრის ცოტა მემინოდა, ეხლა კი ფიქრი არ არის...

ფირუზა თალღითურად იღიმებოდა. ნაზით უყურებდა პატარა, ბზრიალა-სავით მოძრავი დალაქის „იმ საფრთხობელას“ გარშემო სირბილს, მისი მაკრატლის გარდი-გარდმო სრიალს იმის საცოდავად ჩამოკანტურებულ თავზე. უყურებდა და ძლიერ იმაგრებდა სიცილს. მაგრამ არ უნდოდა დალაქს აჟყოლოდა და ისედაც დამფრთხალი ნაგლეხარი თუ ნაგლახარი უარესად დაეფრთხო. ამიტომ ჩიბუხის ტარს კბილებით აწვალებდა და თან თავისთვის ფიქრობდა: „მაგ მწვანე ბიჭის გახედნას დიდი ჯაფა და მოთმინება დასჭირდება, თორემ რასა ჰგავს? ეკლესიაში ხატები დაეკარგება. მაგისთანა ტეტია დოდი ხანია არსად შემხვედრია“.

ფანდურაანთ იოსები იმ დასჯილ მღვდელსა ჰგავდა, რომელსაც მოედანზე ძალით კრეჭენ. დალაქი მის გარშემო ციბრუტივით ტრიალებდა, ხარხარებდა და თან ყვირილით ეუბნებოდა.

— თავი სწორედ დაიჭირე. ეგრე... წუ ინძრევი... ვაჲ, რა განუხებს? რატომ ერთ ადგილზე ვერ გაჩერებულხარ? ბიჭი! ეგ ნანნავები ხომ არ გენანება? მეორედ ესე აღარ გაიზარდო თმები, თორემ აბაზს აღარ დავყაბულდები... ხედავ, როგორ გალამაზებ? აბა, ეხლა ამ სარკეში ჩაიხედე. მოგნონს შენითავი? მაიცა, მაიცა, ცოტაც დამაცადე... იცი, რა უნდა გითხრა? ეგ დევის ბეჭები და თვალ-ნარბი ჩემი რომ იყოს, მედუქნე შაქროს ლამაზი ცოლი ლამ-ლამობით ფანჯრიდან თოკს ჩამომიგდებდა, ვითომ თოკს ამოჟყევი და ჩემთან ამოდიო. შენ რას იტყვი, ფირუზუნან?

ფირუზამ მრუში კაცივით გაიცინა, მაგრამ ბრძენივით წარმოოქვა:

— რას იზამ? ლამაზი ცოლის პატრონს ოთხი თვალი და ოთხი ყური უნდა ჰქონდეს. ათადან-ბაბადან ესე ყოფილა.

— მაშ, მაშ... მერე ის ქალი რა ლამაზი რამ არის, — იძახდა ლირფი ლიმი-ლით ღნიოში დალაქი, — იმის დიდორონი თვალები კაცლის მურაბებია... იმის ტუჩ-კბილი... ალუბალი და მარგალიტი...

— ზოგმა ლამაზმა ქალმა, — ამბობდა სალერლელაშლილი ფირუზა, — ზედადგარზე ქვაბის შედგმა არ იცის, ლოგინში ნახე, რაც არის!

— იუ! გენაცვალე სიტყვაში!

თეთრმა ლიზამ ხელები გაშალა და ორთავეს ქოქოლა დააყარა.

— აი, გავინყრეთ ქალების მადლი. ქა, ეს ჩათუქესანიც რომ ქალებზე ლა-პარსკობს, რატომ ლმერთს არ გაეცინება?!

— მე ვარ ჩათუქესანი, ლიზაჯან? განა პატარა და უშნო რო ვარ, თვალი ლამაზებზე არ მოჩება?

— კარგი, გეყოფა, გაათავე, ეგ ბიჭი არ გადარიოთ, ისედაც თავის ქერქში არ არის.

დალაქმა ფირუზას ახლო ნათესავს მაკრატლით სწრაფად შემოაჭრა წერი და როცა სამართებელს ქამრის ღვედზე ფხა გაუსინჯა, იოსებს შიშმა სახე მოუღრიცა, მაგრამ მისი შეშინებული გამომეტყველება მყისვე საპნის სქელმა ქაფმა დაფარა. მას მხოლოდ დიდორონი, უაზროდ მაცქერა-ლი თვალები და შუბლზე გაბმულად დამსხდარი ოფლის მსხვილი კოკრები მოუჩანდა. დალაქი აჩქარებით ხსნიდა მას ნილაბს, რომლითაც იგი, მისი გულუბრყვილო აზრით, დავით გერმანოზიშვილის მდევრებს მოხერხე-ბულად ემალებოდა. მის გულს ბაგაბუგი გაჟქონდა, თავს დალუპულად თვლიდა და იმ საათს წყევლიდა, რა საათსაც ამ ყბედ მენვრილმანეს გადაეყარა.

დალაქმა მას წვერი სუფთად მოპარსა, სარკეში ჩახედა და ჰქითხა:

— რას იტყვი? ხედავ, როგორ გამოგცვალე?

იოსები დუმდა, ხმას არ იღებდა. ფირუზამ ფულის ქისა გახსნა, იქიდან ორი თითით ორი კაპიკი ამოილო და დალაქს გაუნოდა. დალაქი შეყოყმანდა.

— სულ ეს არი, პაპაჯან?

— მეტი რომ მქონდეს, დაგიჭერდი? აიღე, ეგეც ხელმწიფის მოჭრილია. ალალი იყოს შენზე.

დალაქმა ხმა აღარ ამოილო. უსიტყვოდ აკრიფა თავისი იარაღი, ფირუზას და მის ნათესავს თავი უხმოდ დაუკრა და დაძმარებული გავიდა ოთახიდან. მაგრამ ქუჩაშიისევ გამხიარულდა, ჯერ ბაზარში გავარდა, მერე დიდ სასწორ-თან სალაყბოში ხალხში გაერია და ფირუზა ზანდარაშვილის დაკარგული ნათესავის პოვნის ამბავი ყველას გააგებინა.

## 8. ტეტია და მაცვრილებანი

ქარიშხალმა გადაიარა.  
ონორე და ბალზუკი, „პერცოვის ცოლი ლანუე“

ფირუზამ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა წუხანდელი გლახა, ახლა სავსებით რომ გამოცვლილიყო. მის ნინ ძალზე გამხდარი, ფერმიხდილი, ლოყებჩავარდნილი, მაგრამ საოცრად ლამაზი ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა. ფირუზა თვალებს არ უჯდერებდა და როგორც ეს გაკვირვების დროს იცოდა ხოლმე, უნებლიერ კეფა მოიფხანა.

— კარგად გაგალამაზა, სულერთისანად გამოგცვალა, — თქვა ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, — კუსპარა ფახიფუხა და ყბედია, თორემ ისე სანყალი და საცოდავი კაცია. არა უშავს, ცხოვრება ჭუას ასწავლის. ვერა ნახე, რანაირად ჩამოუშვა ცხვირი, გასამრჯველოდ ორი კაპიკი რომ მივაჩეჩე?

ოთახში გაიარ-გამოიარა და ისევ გიგას მოუბრუნდა:

— ვაჭრობის თავი და თავი ის არის, აბაზიანი ორ კაპიკად იყიდო და ხუთშაურად გაყიდო. ეგრე რათ მიყურებ? ლაპარაკით დაგლალე? კარგი. გვეყოფა, დანარჩენი სხვადროს იყოს. ლიზას ტახტზე სუფრა გაუშლია. დროა მოვუსხდეთ.

ფირუზამ გიგას ტაშტში ხელ-პირი დააბანინა და როცა ლიტრიდან ნყალს უსხამდა და თან მის მხარბეჭს აღტაცებით უყურებდა, გუნებაში ფიქრობდა: „აქედანვე ეტყობა, რომ უბნის თვალი იქნება, შენ ეგა თქვი, რამდენ მდიდარსა და მზითვიან ქალს დარჩება მაგაზე თვალი! არა, სანვრილმანო მაგის საქმე არ არის, ეგ ქარვასლის პატრონი უნდა გახდეს, მაგრამ ჩემს ნინ არასოდეს გავუშვებ, უსტაბაშად ყველგან და ყოველთვის მე უნდა ვიყო, მარტო მე, მე, ფირუზა ზანდაროვი“.

მენვრილმანემ ფეხებიდან ქოშები გაიძრო, ნინდის ამარა ტახტზე ავიდა, მუხლით მოიკეცა, პატარა ლურჯ ჭიქებში არაყი დაასხა, დაილოცა, გადაპერა და გიგასაც გადააკვრევინა. მერე პური გაგლიჯა, თევზი კუდით დაითრია და ისე მადიანად შეექცა, რომ დამშეულმა იოსებმა („გიგას“ ნარამარა ძახილი მენვრილმანის ოჯახში მას ჯერ არ ესმოდა და ეუცხოებოდა) სირცხვილი დათმოდა პურის ჭამაში თავის ჯერ ისევ უცნობ და უცხო მწყალობელს აპყვა. თან ის უკვირდა და უხაროდა, რომ ოთახში იჯდა, თავზე ჭერი ეხურა და თვალების ცეცებით კი არ იღმურდლებოდა, როგორც ნინათ, მათხოვრობის დროს, არამედ ადამიანურად იღებდა და ჭამდა იმას, რაც სუფრაზე ელაგა. ახლა ის მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ რას მოუტანდა ხვალინდელი დღე.

თეთრმალიზამ მესამედ ადუღებული სამოვარი შემოიტანა. გიგამ თვალები დააჭყიტა, რადგან ნინათ სამოვარი არსად ენახა. ფირუზამ ტეტიას გაოცება შეამჩნია და განუმარტა:

— ეს რუსების ერთი რამ მანქანა არის. შიგ წყალს ასხამენ, აღუღებენ და შარბათივით ცხელ წყალს ისე სვამენ, როგორც ჩვენებული კაცი — ლვინოს.

ტეტიამ ცხელი წყლით პირი გამოიფუფქა, სახე სანყლად დაელრიჯა. ფი- რუზამ არ გაიცინა, ისე უთხრა:

— არა უშავს, შეეჩევი, — ცოლს გაჯავრებული მიუბრუნდა, დაუყვირა და დაუტატანა: — დედაკაცო, სანვრილმანო უპატრონოდ გაუშვი?

კართან ატუზული თეთრი ლიზა თმადავარცხნილი და სუფთად წერგა- პარსული ყმანვილი კაცის ყურებით სტკბებოდა, მის ლამაზ პირისახეს თვალს ვერ აშორებდა. მან ქმრის გაჯავრებას ყურადღება არ მიაქცია, აღტაცებულმა ნამოიძახა:

— ფირუზჯან! ეგ რა კარგი ვაჟუაცი რამ არის, მაგისთანა ჩვენს უბანში სხვა არავინ დადის.

— ვაჟუაცია, მაშ! ისევ ჩემი თაოსნობით არის, რომ ჩვენს სახლში ამისთანა ვაჟუაცი გაჩნდა. შენ ხომ შვილი არ მაღირსე! აბანოში რომ არ დავდიოდე, უბანში არ გამევლებოდა.

— უი, დამიდგეს თვალები! — შეჰყვირა თეთრმა ლიზამ და ეს შავი სახის დედაკაცი ჭარხალივით განითლდა, ვერაფერი მოახერხა, ვერაფერი თქვა და დარეტიანებული ოთახიდან ისე გავარდა, თითქოს ფეხის ქუსლებზე ნაკვერ- ჩხლები დააყარესო.

— სანვრიმალოს, სანვრიმალოს მიხედე, ჩვენც მალე გამოვალთ! — მიაყოლა ცოლს ფირუზამ, ჩიბუხის თავი ხითხითით გადმობერტყა ფილა- ქანზე და ლუკმებით ლოყებგამოტენილ გიგას დაკვირვებით მიაცერდა. მის წინ პირნავარდნილი ტეტია იჯდა.

## 9. სასწორთან

ვიყავი აბანოში, გავლამაზდი, ისე გამოვიცვალე,  
რომ ვერავინ მიცნობდა.  
ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“

როდესაც გიგა დანაყრდა და ჩაისაც გემო გაუსინჯა, ფირუზამ იგი დიდი ამბით შეიყვანა თავის სანვრილმანოში, ცოლი მაშინვე დაითხოვა: „სახლს მიხედეო“. დახლიდარს ხელში გირები მისცა და ანონვა ასწავლა. ეს იყო პირველი გაკვეთილი, რომელსაც მენვრილმანე ფირუზა ზანდაროვი იარალ გერმანოზიშვილის ნაყმევს, იოსებ ფანდურაშვილს აძლევდა.

სანვრილმანო პატარა იყო, ლარიბული. დახლის უკან სართულებად დანყობილ ყავისფერ უჯრებში შექარი, ბრინჯი, მიხაკ-დარიჩინი და ხმელი ხილი ეყარა. დახლის წინ მარილით, სისირით და ლობიოთი ნახევრად გავ- სებული ტომრები ენყო. იქვე ქვამარილის რამდენიმე ნატეხი ეგდო. შავად

შექვარტლულ ჭერში ნივრის თეთრი ასხმულები, ხახვის გრძელი ფოჩები და ნისული ნინაკის ჯაგნები ეკიდა. ჭერიდან ეშვებოდა ოთხ გრძელსა და წერილ, ბუზების ჯდომისაგან გაშავებულ ჯაჭვზე ჩამოკიდებული მოთეთრო ფერის აბაურიანი ლამპარი. ეს ლამპარი მხოლოდ ზამთარში ინთებოდა, როცა ადრე ბნელდებოდა და მედუქნებს ჯერ კიდევ ვაჭრობის ნება ჰქონდათ.

— შენი სარბიელი აქედან უნდა დაინყოს, — უთხრა თავის გამოუცდელ დახლიდარს ფირუზამ. თვითონ დახლის ნინ დაჯდა, იდაყვით დაზგის კიდეს დაეყრდნო. ჩიბუხი გააბოლა და ენა აღარ გააჩერა. განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და თან დახლიდარის შემჯრთალი სახის მოძრაობას აკვირდებოდა. სანვრილმანოში მუშტარი იშვიათად შემოდიოდა. ამიტომ ფირუზას ლაპარაკის ხელს არავინ უშლიდა.

— შენ ჭირნახული კაცი ხარ, განსაცდელი გინახავს, — ეუბნებოდა მენვრილმანე პირდალებულ ტეტიას, — კაცი გაჭირვებაში ინვრთნება, ცხოვრებისათვის მუხლი უმაგრდება. მაგრად დადექ, ნურც ნურავის მოერიდები, ნურც ნურავის შეგემინდება. თუ შენ მუშტი არ მოუქნიე, იცოდე, სხვები მოგიქნევენ, ოლონდ თავს უნდა გაუფრთხილდე, კაცს თავი ჰქონდეს, თორემ ქუდს რამდენიც უნდა, იმდენს იშოვნის. რაც გითხარი, დაიხსომე, გამოგადგება.

მენვრილმანე ფირუზა დაუღალავად ლაპარაკობდა, მაგრამ იმ დღეს დახლთან გატრუნულმა ფანდურაანთიოსებმა ბევრი ვერაფერი გაუგო თავის ჭუების დამრიგებელს.

სანვრილმანოში რამდენჯერმე თეთრმალიზამ შემოხედა, უნდოდა გიგას-თვის ალერსიანი სიტყვა ეთქვა, მაგრამ გამნერალმა ფირუზამ უკანვე გააგდო: „აქ რას ტრიალებ, სადაც არის ზარბაზანი გავარდება, სადილის თადარიგი დაიჭირეო“. სანყალ დედაკაცს ჭირის ოფლმა დაასხა, რადგან ნელინადი ნელინადს ისე მისდევდა, რომ ცხელი კერძის გემო რა იყო, არ იცოდა და სადილების კეთებაც დიდი ხნის დავინუებული ჰქონდა. სახტად დარჩენილმა ერთბაშად ვერ მოისაზრა, როგორ მოქცეულიყო, რა გაეკეთებინა. სიხარულისაგან თვალგამტერებული თავგზააბნეული დაფარფატებდა და ხან რას ანყდებოდა, ხან რას. მენვრილმანის ცოლი შეუმცდარი გუმანით გრძნობდა, რომების ოჯახში რაღაც იცვლებოდა, გამოვლილი ტანჯვა-ნვალება წარსულს ბარდებოდა და მისთვისაც ახალი ცხოვრება ინყებოდა.

საღამოთი ფირუზამ გიგა აბანოში წაიყვანა. პირდაპირ აქაფქაფებულ აუზში შეაგდო. გერმანოზიშვილის ნათრევ-ნანამებმა ნაყმევმა გოგირდიანი ცხელი წყლით ძველი, ასკეცად დადებული, დანით ასაფხეუი ჭუჭყი ჩამოირეცხა და აუზიდან ახლად დაბადებულივით ამოვიდა.

ჟუჟის უბანმა ნელ-ნელა შეაჩვია თვალი მენვრილმანე ფირუზა ზანდა-როვის ნათესავს, ლამაზსა და ბრგე, მაგრამ გულჩახვეულ და მორიდებულ ჯელს, რომელიც მუდამ თავჩალუნული დადგოდა და არავის არც უყურებდა, არც ესალმებოდა.

# ფარი მეოთხე

## 1. შიგი

„რა კარგი უაუკაცი იყო, ზეზეურ ჩამომხმარსა?“  
არსენას ლექსი

ფირუზამ ძლივს გამოიყვანა თავისი დახლიდარი საწვრილმანოდან. ჯერ ახლომახლო ქუჩები შემოატარა და უბნის მედუქნები გააცნო, მერე ბაზარში ნაიყვანა.

საყდარი, ბაზარი და აბანო ის ადგილები იყო, სადაც ქალაქელები თავს იყრიდნენ, ერთმანეთს ხვდებოდნენ, ეცნობოდნენ და ახალ ამბებს გებულობდნენ. ბაზარში ხალხის ზომზიმმა დახლიდარს თვალები აუჭრელა და დააფრთხო. ფირუზა გაუჯავრდა.

— რა გემართება, ბიჭო? რისი გეშინიან? რატო მაგ ტანის მაინც არა გრცხვენიან?

— რა ვქნა, ფირუზჯან? ვერა ხედავ, ქალაქელებთან ერთად ბაზარში რამდენი სოფლელია?

— სოფლელებს შენთან რა ხელი აქვთ?

— მეშინიან, ჩევენებურ ვინმეს არსად გადავეყარო ან დავით გერმანოზიშვილი არსად გამოჩნდეს.

— ტუტუცო, განა არიცი, რომ ქართველი თავადები და აზნაურები ბაზარში არ დადგიან, თუ გზა არ შეეძლათ?

— აბა, ეგ მე საიდან ვიცი.

— ეხლა ხომ იცი! სოფლელების ფიქრი კი ნუ გაქვს. თუ სოფლელი ძალიან მურტალი არ არის, არ დაგაბეზღებს. გლეხები გლეხებს უდგანან, რადგან ყველანი ერთ უღელში არიან შებმულნი.

— ეგ მეც ვიცი, განა! მაგით გადავრჩი, თორემა უკვე დაჭრილი ვიყავი.

— ტეტიურად ნუ უქცევ, — ისევ გაჯავრდა ფირუზა, — ქალაქურად ილაპარაკე.

დახლიდარიც ცდილობდა ქალაქურად ელაპარაკა, რადგან ხვდებოდა, რომ ეს უფრო დაიცავდა მას დავით გერმანოზიშვილისა და მისი მდევრებისაგან, ვიდრე ბერის სამოსი და გლახის ძონძები. მაინც ნამდაუწუმ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— რომ მიცნონ, მაშინ რა ვქნა?

— ბიჭო! მაგ ქალაქურ კარტუზს ქვეშ ვინ გიცნობს, მე ძლივს გცნობილობ. დახლიდარი თავისას არ იშლიდა, მეწვრობლმანეს ეხვენებოდა:

— სანვრიმალოში მირჩევნია, ფირუზჯან, აქ როგორც გინდა, ისე მიმსახურე.

— ქაჩლის თავზე დალაქობას ვერ ისწავლი, სანვრიმალოში სოვდაგრობას. ადე, ნავიდეთ. სანვრიმალოს ლიზაც მოუვლის.

დახლიდარი ბუზლუნით და ბურტყუნით მისდევდა მენვრილმანეს, მაგრამ ჭურის მოსახვევებსა და მუკაბანდებში ეკარგებოდა და ისევ სანვრილმანოს კენ გარიბოდა. დამფრთხალი და მეშინებული ადამიანებს ერთდებოდა, ხალხს გაურბოდა. ფირუზა ხან უყვავებდა, ხან უჯავრდებოდა, ხანაც მოთმიწებიდან გამოსული დასკინოდა და მასხრად იგდებდა:

— ეი, ქედან! ეგრე უშნოდ ნუ იზღაზნები, სახლის იქთაღებს ნუ ეფარები, ნუ გეშინიან, თავზე კრამიტი არ დაგეცემა.

ზამთარმა თოვლი ჩამოჰყარა. ახლა მენვრილმანე და მისი დახლიდარი უფრო ხშირად შინ ისხდნენ და გარეთ იშვიათად გადიოდნენ. ჩაფიქრებულ გიგას ფირუზა ათასგვარ მომხდარსა და გაგონილ ამბებს უყვებოდა მდიდარსა და განთქმულ სოვდაგრებზე, რომელთაც თავიანთი ქონება ავკაცობით შეეძინათ. „თუ ვაჭარი თალღითი არ არის, სჯობიან მონასტერში ბერად აღიკვეცოს, კიდრე დახლში ჩადგეს და გაუქლიბავი გირით სწონიდესო“, — სერიოზული სახით ამბობდა ფირუზა.

დახლიდარი გაოცებით და სიტყვის შეუბრუნებლად უსმენდა ავკაცობის მასწავლებელს, რომლის თქმით, ვერაგობით და ორგულობით შეიძლებოდა ღატაკნი გამდიდრებულიყვნენ, ხოლო მდიდარნი გაღატაკებულიყვნენ. უსმენდა და ყურებს არ უჯერებდა: ეს სად მოვხვდი, ვის ხელში ჩავვარდიო.

ახალ ნელინადს თეთრმა ლიზამ გიგას სახელზე „ბედის პური“ გამოაცხო. პურის ცომი კარგად გაფუუვდა, არ დავარდა და საუცხოოდ გამოცხვა. გახარებული თეთრი ლიზა ფეხზე აღარ იდგა, გიგას ტიტინით უუბნებოდა:

— კარგი ნიშანია, შენმა მზემ, ყველაფერი აგისრულდება, რასაც ინატრებ.

— აუსრულდება, თუ მარაქაში გაერევა და სანვრიმალოდან გარეთ ცხვირს გაჟყოფს, — დასძინა ფირუზამ.

გაზაფხულზე მენვრილმანემ დახლიდარს ბაზარში წაყვანა მოუნდომა, დახლიდარი ისევ გაჯიუტდა. ფირუზა გაჯავრდა.

— შენ მე როგორ მიყურებ?! მუქთად პურს ვის აქმევენ, რომ შენ გაჭამო? უნდა გავისარჯვნეთ, ხელი უნდა გავანძრიოთ, ისე ლუკმას ვერ ვიშოვნით.

— ფირუზჯან, სანვრიმალოში ცოტა რამეს მეც ხომ ვაკეთებ? — გაუბედა დახლიდარმა.

— სანვრიმალო ხელს არ მოგვცემს, ქარეასლებშია ჩვენი ადგილი. რამ-დენჯერ უნდა გითხრა? ადე, ნელში გაიმართე, ჯიჯინისთვის სადა მცალიან?!

ფირუზას სადარდებელი არა ჰქონდა რა. თუ გიგას დაიჭერდნენ, ოქროს ქისა მას დარჩებოდა, თუ გადარჩებოდა, მის ოქროს ფულებს მაინც როგორც სურდა, ისე მოიხმარდა.

## 2. განვითან

ფული უნდა იყოს მოძრაობაში. ფულმა ფული უნდა მოიგოს,  
ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკი მეჯლანუაშვილი“

ყოველ ცისმარე დღეს ისინი საწვრილმანოს თეთრ ლიზას აბარებდნენ,  
თვითონ კი იქითკენ მიდიოდნენ, სადაც ხალხი მრავლად ირეოდა და ზიმზიმი  
გაპქონდა.

დუქან-ბაზრებში სიარულით დალლილნი ნაშუადღევს დასასვენებლად  
მეიხანაში ან ყავახანაში შედიოდნენ. ყავახანის სპარსულად მოხატულ კე-  
დელზე ჩამოკიდებულ ქირმანშალზე გამოცანას კითხულობდნენ, გამოცანის  
გამომცნობს სხვებთან ერთად ტაშს უკრავდნენ და ყავახანის ნაირ-ნაირი  
სტუმრების გონების გამნვრთნელ მუსაიფს ყურს უგდებდნენ.

ფირუზას მიამიტ დახლიდარს ყველაზე მეტად ყარაგოზას თეატრი  
უყვარდა, სადაც ჭკვიანი ყავაჩი ჩრდილებით მაყურებლებს თეატრალურ  
მისტერიებს უჩვენებდა. ჩრდილების თეატრში იგი გონივრულ დიალოგებს  
გატაცებით უსმენდა, მოსნრებულად ნათქვამს იხსომებდა და ადამიანების  
ონბაზობაზე გულიანად იცინოდა.

ვის არ იცნობდა მენვრილმანე ფირუზა. თავის დახლიდარს ის დიდი აშ-  
ბით უჩვენებდა, აცნობდა და უხასიათებდა: ქარვასლების მფლობელებს,  
დოდვაჭრებს, მდიდარ და შეძლებულ სოვდავრებს, გამდიდრებულ მედუქ-  
ნეებს, სირაჯებს, მიკიტნებს, ამქრების უსტაბაშებს, ჩარჩებს, ქორვაჭრებს,  
სახელმოხვეჭილ ხელოსნებს, განთქმულ მოქრივეებს, აშულებს, ჯიბგირებს,  
თალღითებს, სამიკიტნოების როსკიპებს და ავლაბრის კახპებს.

თბილისის ბაზრები, ქარვასლები, მოედნები, აღმართ-დალმართები და  
ხელოსნების გრძელი რიგები ათასნაირი გარეგნობის, ჩაცმულობის და ხე-  
ლობის ადამიანებით იყო სავსე. ფირუზა ყველას იცნობდა, ყველა ფირუზას  
სცნობდა. მენვრილმანე სალმის მიცემას ვერ ასწრებდა.

- ლხინის პაპას გაუმარჯოს! — ეძახდნენ მას აქეთ-იქიდან.
- გაგიმარჯოთ.
- ეგ დადა ჯეელი ვინ არის?
- ჩემი ნათესავია, ბიძაშვილი.
- ჰომ! — აგონდებოდათ გიგას მაყურებლებს კუსპარა დალაქის ნაამ-  
ბობი.

თვითონ ფირუზა თავისი „ალალი ბიძაშვილის“ გამოლაპარაკე ერიდებოდა,  
ფრთხილობდა და ჭკვიანურად დუმდა, რადგან „სოვდავრის ნაშეგირდალმა“  
არც სომხური იცოდა, არც სპარსული და არც თურქული. ამ ენებზე თითქმის  
ყველა ქალაქელი ვაჭარი ლაპარა კობდა, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის  
ქალაქებში ნავალი სოვდავრები.

ერთ დღეს ფირუზამ თავის დახლიდარს კოხტაობა შეატყო. მის ნინ ქალაქურად განეკული ყმანვილი იდგა. კარტუზიანი ქუდი გვერდზე კოხტად ჰქონდა ჩატეხილი, კინტოური ნითელ-ნინნ კლებიანი პერანვის საყელო დარღმანდულად გადადედილი, ნელზე ლვედის უბრალო ქამარი შემოჭერილი, ლურჯი, მოკლე ხალათის ბოლოები მრავალეცად გადაფენილი, ხოლო განიერ შარვალზე დაბალყელიანი, გარმონივით დაკეცილი, კარგა მაგრად გაცვეთილი, მაგრამ გულმოდვინედ გაპრიალებული ჩექმები ეცვა, ნინათ ჩაცმა-დახურვაში დაუდევარ გიგას ახლა შნო და ლაზათი დასტყობოდა. ფირუზამ სულერთიანად გამოცვლილ დახლიდარს ჩუმად ახედ-დახედა, გაეღიმა. არაფერი თქვა, გაჩუმდა და პირველი გამარჯვებით გახარებულს, მისი განვრთნის ხალისი უფრო მოემატა.

კარგ ვაჭარს ნერა-კითხვაც უნდა სცოდნოდა. ფირუზამ ამასაც მიაქცია ყურადღება. დახლიდარს ნერა-კითხვის მასნავლებლად დიაკვანი დაუქირავა. გიგას ხელში ძროხის ბეჭი მისცეს ასოების გამოსაყვანად.

— შენთვის განა არ მითქვამს, რომ ნინათ მე ხელოსანი ვიყავი? — ტრაპა-ხობდა ფირუზა, — ხელოსანმა ნერა-კითხვა უსათუოდ უნდა იცოდეს. ამხანაგობის ნიგნის ნასაკითხად, ამქარში გასარევად. ვაჭარზე ხომ ნურაფერს იტყვი. უნიგნურ ვაჭარს, იცოდე, ანგარიში დაეკარგება. ყველა ჭევიანი ვაჭარი ყოველდღე თავის დავთარში ნერს თავნსაც და სარგებელსაც, მოგებასაც და ნაგებასაც. საწვრიმალოს დუქნად რომ გადავაკეთებ, მეც დავთარს დავიჭერ.

ფირუზა დახლიდარს მტკევარში ცურვასაც ასნავლიდა. ქალაქელმა ცურვა უნდა იცოდეს, ამბობდა ცხოვრების ავანჩავანს გაცნობილი მენვრილმანე. თუ ვინიცობაა, ნავიდან ან ტივიდან წყალში გადავარდა ან გადააგდეს, ნაპირს მშვიდობით მიაღწიოსო.

ახალგაზრდა და ღონიერი დახლიდარი მას ახლომახლო გორსაკებზე ერივის საჩვენებლად დაჰყავდა. ყველა ჯეელს, თუ სულმთლად დავრდომილი არ იყო და ხელ-ფეხი დახუთული არ ჰქონდა, უბნის სახელი უნდა დაეცვა, რადგან უბანი უბანს ებრძოდა და ყველა უბანი თავს თავისი ფალავნით იწონებდა. ამიტომ ფირუზა თავის ბრგე დახლიდარს აქეზებდა, კრივი კარგად ესწავლა: „სახელს დავიგდებთ, უბანში პირველები ვიქნებით, პირველს ყველა თავს უკრავს, მეორეს კი მხოლოდ სხვისი ქუდი და ქოშები უჭირავს ხელშიო“. გიგა მალე კარგი მოკრივე დადგა და კუკის მთელ უბანს სახელი გაუთქვა. ჭირიანთ ხევიდან ავჭალის ხევამდე მუშტისისე იქნევდა, დაღლა არ ეტყობოდა. წულურეთში, ავლაბარში, ხარფუხში და გარეთუბანში ახლა ყველამ იცოდა მოკრივე გიგა ზანდაროვის სახელი. ფირუზასაც სწორედ ეს უნდოდა, რადგან სადაც გიგას სახელს ახსენებდნენ ხოლმე, იქ ფირუზაზეც ლაპარაკობდნენ.

მენვრილმანემ თავის დახლიდარს მხოლოდ ერთირამ დაუმალა: თუ ქართველი თავადები და აზნაურები ბაზარში, მართლაც, იშვიათად დადიოდნენ, სამაგიეროდ, კრივს დიდი ხალისით და ინტერესით ესწრებოდნენ.

ფანდურაანთ იოსები თანდათან გაინაფა დახლიდარობაში, ქალაქურ  
ცხოვრების ავანჩავანსაც აღლო აუდო.

მენვრილმანე და დახლიდარი ხან სად იყვნენ, ხან სად ობებსა და „პურის  
რიგს“, ნალლსა და ყევნობას არ აკლდებოდნენ. ხელოსნების და ნვრილი  
ვაჭრების ძეობებს, ნათლობებს, ქორნილებს, დასაფლავებას და ქელეხებს არ  
უშევებდნენ. ფირუზასთან ერთად ნაიოსებარი გიგა ქალაქელებში ტრიალებდა  
და მათ წეს-ჩვეულებებს, ლაპარაკის კილოს და მიხრა-მოხრას ითვისებდა.  
ამასობაში ნაგლებეკაცარი თუ ნაგლახარი ისე გამოიცვალა, რომ თავის თავს  
თვითონ ვეღარ სცნობდა.

### 3. გაელაქელებული ტეჟი

ეს შუმარა თეჯნისი არის საიათნოვას ნათქომი,  
ბევრი არ იქნება ამისი ცალი.  
თეიმურაზ ბატონიშვილი

მას თანდათან გადაავინყდა დავით გერმანოზიმვილიც და მისი მდევარიც.

დროც თავისას აკეთებდა. გიგას წერ-ულვაში გაუსქელდა, გაუმუქდა,  
დავაუკაცებული უფრო დამშენდა და ქალაქელ დარდიმანდად გადაიქცა.

კოხტად და სუფთად იცვამდა. მოკლეფეხებიან ფირუზას გამონაცვალ  
შარვალ-ხალათს თეთრი ლიზა მაქრატელს ხან სად უგდებდა და ხან სად,  
რათა ბრგე გიგასთვის როგორმე მოერგო.

ერთხელ ბაზარში გაქალაქელებული ტეტია თავის თანასოფლელს პირის-  
პირ შეეფეთა, მაგრამ ბერთუბნელმა გლეხმა მას არავითარი ყურადღება არ  
მიაქცია. გახარებული გიგა იმ დღეს იმდენს ხუმრობდა და იცინოდა, რომ  
გაკვირვებულმა თეთრმა ლიზამ ქმარს ჩუმად სიტყვა გადაუკრა:

— აი, ნახავ, თუ ჩვენმა ტურლუნამ მალე ცოლი არ შეირთოს!

ფირუზამ ცოლს შეუბლვირა.

— მე მაგას იმიტომ კი არ დავდევ, რომ ჩემს დაუკითხავად ცოლი მოი-  
ყვანოს, არა, არა! არ გამოვა. არ იქნება! მაგის ცოლმა ჩვენ მზითვები და  
ქონება უნდა მოვეიტანოს. მზითვის სიაც მე უნდა გამასინჯოს. ესეც იცოდე,  
თუ მე ზობლებში ვინმეს ქალი მოსწონს, არ აჰყვე და არ მოუნონო, თორემ  
ორთავეს სახლიდან გაგყრით. კარგად იცი, ასეთ რამეებზე ხუმრობა არ  
მიყვარს.

— ქა, მაშ, ცას ხომ არ შეაბერდება? ვერა ხედავ, როგორ გაიფურჩქნა?

— ვხედავ და სწორედ ამიტომ გეუბნები. ფასი უნდა დავსდოთ და ფასი  
უნდა დავიდოთ. გარშემო სულ ლარიბი მე ზობლები გვყავს. მაგის ფანდი აქ  
ალარავინ არის. გასართობად და გულის გადასაყოლებლად კი, ვინც უნდა,

ისა ჰყავდეს. ეგ მაგის საქმეა, მე არ მეკითხება, კაცმა რომ თქვას, ამისთვის  
შორს ნასვლა არ დასჭირდება. არ გინახავს, როგორი თვალებით უყურებს  
ხაბაზის ცოლი მაიკ?

— რას ამბობ, ეა? ეგ ბიჭი ხიფათს გინდა გადაჲყარო?

— რის ხიფათი, რა ხიფათი. ხაბაზი შინ მარტო დასაძინებლად ბრუნდე-  
ბა. იმას ცოლისთვის სად სცალიან? სამაგიეროდ, იმის ცოლია მოცლილი.  
იმის მაგივრად, რომ ხელში ნემსი და ძაფი ეჭიროს ან რთავდეს და ქსოვ-  
დეს, გიგას ავლა-ჩავლას საათობით უცდის. თუ წვიმს, მაშინ ფანჯრიდან  
იყურება.

— შენ მარტო მაიკ გცოდნია, — უთხრა მას ცოლმა, — მე უფრო ბევრი  
ვიცი, დურგლის ქალი ანა, ზეინკლის ძმისნული თამრო, მეთულუხჩის ნაშვი-  
ლები მარუა, მეკურტნე სოფრომას ქალი ანასტასია, რომელი ერთი მოვთვა-  
ლო? ყველას თვალი რჩება ჩვენს გიგაზე, მაძ!

ფირუზამ ხელები უკმაყოფილოდ გაშალა:

— მეც მანდა ვარ, დედაკაცო! ღარიბ-ღატაკების გაუთხოვარ ქალებს რა  
თავში ვიხლით! დღედაღამეს განა იმიტომ ვასწორებ, რომ თავი დურგლებს,  
ზეინკლებს, მეთულუხჩეებს და მეკურტნეებს გავუყადრო? შენ რას ამბობ?  
ვის სახელს ეძებ?

— შენ ხომ არ უნდა შეირთო ცოლი, მაგან უნდა შეირთოს, — გაჯავრდა  
თეთრი ლიზა.

— თერძის ქალო, ყურში შეუშვი, ცხვირზე დაიკერე, უბრალო ხალხში მე  
აღარ გავერევი, არც მაგას გავრევ.

— ძალიან მაღლა ნუ მიდიხარ, ძალიან მაღლა ნუ იყურები, თორემ ძირს  
ზღართანს მოადენ. ეგ რა! ნუმრის ერთი იქნება?! ვითომ ჯერ არ მოგსვლია?!

— რას მიჰქარავ, დედაკაცო? — გაბრაზდა ფირუზა.

— უკადრისას ეგ მოსდევს, — თავი გამოიაშრა თეთრმა ლიზამაც, — ნუ  
გვონია ციხის ნინ აივანზე კიდევ ავიდე და შენი გულისთვის ხელში დაირა  
დავიჭირო. ტყუილია, აღარ გამოვა! შენს ხელში ხმაც ჩამეხლიჩა და სიმღე-  
რის ხალისიც დამეეარგა.

ფირუზამ ცოლის დანდობა არ იცოდა, მოუპრუნდა და პირში მიახალა:

— ვიცი, ვიცი, შენ მამა არ დაინდე და მე დამინდობ?

თეთრი ლიზა ისე გახდა, ხმა ვერ ამოიღო, სიტყვა ვერ დასძრა. ფირუზამ  
ულვაშებში ჩაიცინა, არხეინად ქუდი თავზე დაიხურა, ოთახის ქარი გააღო  
და ღიღინ-ღიღინით თავის გზას გაუდგა. უკვე კარგა შორს იყო, როცა გონზე  
მოსულმა თეთრმა ლიზამ ყვირილი მორთო:

— ეგ რა მითხრა? ეგ როგორ გამიბედა? ან მე როგორ შევარჩინე? ვერ  
უყურებთ, მაგ ფეხმოლრეცილს! მაგ რუმბივით გასიებულ ლოთ-ბაზარას!  
არა. მერაღა ღმერთი გამინურა? რატო ჩემებურად არ გავთათხე? ქა, ღვიძლი  
მამა სასამართლოში გამაყიდინა და ახლა აქეთ არ მედავება?

გააძრებული თეთრი ლიზა აივანზე გავარდა, მაგრამ მაშინვე გაჩუმდა. ეზოს ლობიდან მეზობლის დედაკაცები იცქირებოდნენ. გიგა ბოსტანში საქ- მიანობდა. ნაგლეხაცარს გული ისევ ბოსტნისეენ და ბალჩისეენ მიუწევდა. თეთრმა ლიზამ დედაკაცებს შეუბლვირა და გიგას გადასძახა:

— გიგაჯან, შენმა გახარებამ, კოჟით მტკვრიდან წყალი ამოიტანე, ნუუ- კილოთ ლამის პირი გამიშრეს. დასწუევლა, დღეს რანაირად ცხელა! ლვინ წყურეილს უერ მიულავს და ისეთნაირად მათრობს, რომ ფირუზა ტყუილუ- ბრალოდ გავლანდე. სანყალი სახლიდან გაიქცა.

დედაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს და ჩაიფრუტუნეს.

ერთ დღეს მენვრილმანე ფირუზამ ხელოსნები მოიყვანა და თავისი პა- ტარა სანვრილმანო დაანგრევინა. სანვრილმანოს ადგილზე კი დიდი დუქანი ნამოჭიმა. დუქნის ფანჯრებში გაქონილი გამჭვირვალე ქალალდის მაგიერ შუშები ჩაასმევინა, კარები და დარაბები მღებავებს მწვანედ შეალებინა. დახლის თავზე ვიღაცის ნაცოდვილარი სურათი: თეთრ ცხენებზე შემსხდარი ნითელქუდიანი მხედრები ჩამოედა. დუქანში მრავალნაირი საქონელი გაჩნდა და მუშტრების რიცხვმაც ერთბაშად იმატა.

ფირუზა უკეთესად მოირთო და მოიკაზმა. ცოლიც მორთო და დახლი- დარიც. ჩაცმა-დახურვას სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, რათა ზანდაროვები ყველგან გამოჩენილიყვნენ და ზანდაროვებზე ყველგან ულაპარაკნათ, მაგრამ სასმელ-საჭმელში ფულს ახლაც არ იმეტებდა. თვითონ ლხინში იჯდა ან მეზობლებს თავზე იმ დროს ადგებოდა, როცა სუფრასთან სხდებოდნენ. თეთრ ლიზას და გიგას აშიმშილებდა. ზანდაროვების სახლში ცხელი კერძი იშვიათად კეთდებოდა. ზაფხულობით ნიორსა და ძმარში მო- თუთქული დანდური, ზამთრობით კერქის შეჭამადი მათი სადილიც იყო და ვახშამიც. ცარიელ პურს ლოლნიდნენ და ყელში გაჩხირულ ლუკმას მტკვრის წყალს აყოლებდნენ. გულკეთილ თეთრ ლიზას ბრგე გიგა ეცოდებოდა. კვერ- ცხებში ალებული ფულით ათასში ერთხელ ხან თევზს უხარშავდა, ხან ცხვრის ხორცს უხრაკავდა. თვითონ იოლად მიდიოდა. მეზობლების ნამცეცებს ახლოს არ ეკარებოდა. ამიტომ კურდლლის დაბენვილ ქათიბში უფრო გამხდარიც ჩანდა და უფრო შავიც. იხტიბარს შაინც არ იტეხდა. ბატონკაცურად მიმავალ ფირუზას გასძახებდა ხოლმე:

— ცხვირსახოციდაგავინყდა, ფირუზან, დამაცა. ფლავს დამი მოვხადო. ეხლავე მოგირბენინებ!

მეზობლების ჯიბრზე დაირაც გაიხსენა. თეთრი ლიზა დაირაზე უკრავდა, ფირუზა — თავის საყვარელ თარზე. ხან ცოლი მღეროდა, ხან ქმარი, ხან ორთავენი. ხმაშენყობილად მღეროდნენ ქალაქურ სიმღერებს. გიგა ფანჯა- რასთან იჯდა, იმასაც უხაროდა, მაგრამ მხოლოდ თავისთვის ლილინებდა, რადგან სმენადახშულს სიმღერა არ გამოსდომდა. ერთი-ორჯერ მოინდომა მომღერალ ცოლ-ქმარს თვითონაც აპყოლოდა, მაგრამ იმათ მაშინვე გააჩე- რეს და გააჩუმეს.

— ბიჭო! სოფელში ოროველა ან ურმული მაინც ვერისნავლე? — იცინოდა ფირუზა.

დარცხვენილი გიგა წითლდებოდა, თეთრი ლიზა ეფაფრებოდა და გულს უკეთებდა:

— ქა, ქალაქში მომლერლების და დამკურელების მეტი ვინ არის? მაგას სიმღერა რათ უნდა!

ეუკიელი მედუქნის სახლის გალებული ფანჯრებიდან ყოველ საღამოს სიმღერის ხმა გამოდიოდა.

— ზანდაროვებს სტუმრები ჰყავთ! — ამბობდნენ გამვლელ-გამომვლელები.

— ბულბული ვარ, ვარდზედ ფარა ალალი, — გატაცებით მღეროდა ფირუზა.

— ბიბინ ჩიქარდ ურიზადა ჯალალი,<sup>1</sup> — განაგრძობდა თავისი კრიალა ხმით თეთრი ლიზა.

— იუთურმიშამ ჯავაპირი ჰალალი,<sup>2</sup> — თარის სიმების ძლიერი უღარუნით ართმევდა სიტყვას ცოლს ფირუზა.

— მადა ჩუპეს ბადეშხანენ დუსარან!<sup>3</sup> — ამთავრებდა თეთრი ლიზა.

გთელს უბანს ეფინებოდა საიათნოვას ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და სპარსული სტრიქონები, რომლებიც ერთმანეთს მოხდენილად ენაცვლებოდნენ.

ცოლ-ქმარი უფრო ხშირად საიათნოვას იმ აზერბაიჯანულ ბეითს მღეროდა, რომელშიაც სიტყვების თამაშის მეტი სხვა არაფერი იყო, მაგრამ შემარა თეჯნისის ხმაზე ისეთნაირად ამღერებდნენ და ისეთ ცეცხლს უკიდებდნენ, რომ ყველა ლხინისა და ქეიფის გუნებაზე დგებოდა:

ბუ ნაზანი, ბუ საღიდურ

ბუ დურ დურ,

ბუ ჰაკიდურ, ბუ გიოპარი

ბუ ია ზარ,

ბუ ინჯიდურ, ბუ მარჯანდურ

ბუ დურ დურ,

ბუ ჰაკიდურ, ბუ გიოპარი

ბუ ია ზარ.<sup>4</sup>

— ზანდაროვებს ქეიფი აქვთ! — ამბობდნენ გამვლელ-გამომვლელები. სოროში შუალამისას ზანდარაანთ ციცქნა სახლს ძილქუში ეუფლებოდა. სოროში მშერი თაგვი ფხაკუნიბდა.

<sup>1</sup> ვაპრა არი, რანაირი ჯალალი (სპარს.).

<sup>2</sup> გადავყლაპე მარგალიტი ჰალალი (აზერბ.).

<sup>3</sup> გადავაგდე ბადაშხანი მადანი (სომხ.).

<sup>4</sup> ეს ლამაზია, ეს საღია, ეს უბრალოა, ეს აყიყია, ეს მარგალიტია, ეს კი — ოქრო, ეს მარჯანი, ეს ბროლი, ეს მარგალიტი ან ოქრო (თარგმანი გ. შავულაშვილის).

## 4. აღმოსავლური სატირიკონი

აივნიანმა ქალაქმა ძილს მისცა თავი.  
ი. პოლონეჟი, „ძველი საზანდარი“

ზოგჯერ ზანდაროვების სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ანთეპული ლამპის გარშემო შემომსხდარნი ყურადღებად იყვნენ გადაქცეულნი. გიგას ნინ „შვიდვეზირიანის“ ხელნაწერი ნიგნი ჰქონდა გადაშლილი და თავის კანტურით ათასნაირ ამბავს, ათასნაირ თავგადასავალს კითხულობდა. ფირუზა და თეთრი ლიზა სულგანაბული უსმენდნენ, ცოლს ქალების ოინები და მზაკვრობა აევირვებდა, ქმარი ჭკვიანი კაცების ხერხსა და ლონეს უკვირდებოდა. შიგადაშიგ აღტაცებით ჩაურთავდა ხოლმე სიტყვას:

— კარგად მოქცეულა. კაციცეგა ყოფილა! ოი, მაგის დედა და მამა ვაცხონე! იუ, რა კარგად გააცურა მეფის ნაზირ-ვეზირები!

ან:

— მარა ეგონა? მაშარადა, შერჩებოდა! მაგისთანა ამხანაგად რათ უნდოდა? ამხანაგი რომ კარგი ყოფილიყო, ღმერთსაც ეყოლებოდა!

თეთრი ლიზა ნამდაუწუმ პირველას იწერდა, როცა იმ ქვრივი ქალის ამბავი აგონდებოდა, რომელიც გარდაცვლილი ქმრის საფლავზე ჯერ მნუხარებისა-გან თავს იკლავდა, მერმე კი ჩამოხრჩობილი კაცის ყარაულს ლამე თავისთან გაათევინა და სახრჩობელიდან მოპარული ბოროტმოქმედის მაგიერ საყვარელს ქმრის საფლავიდან ამოთხრა და იმავე სახრჩობელაზე ჩამოკიდება შესთავაზა, რათა იგი სასჯელისაგან ეხსნა. თეთრი ლიზა ტუჩზე თითს იდებდა, გადაფითრებული გაიძახოდა:

— იმ ჯანდამნვარმა ქმარი ეგრე როგორ გაიმეტა?

ფირუზა იცინოდა.

— რასაც ქალი გააკეთებს, იმას კაცი როგორ შეძლებს? ვერა ნახე, იმ ქვრივმა ქალმა რა გააკეთა! მოდი ეხლა და ქალს ენდე!

თეთრი ლიზა ხმას ვერ იღებდა, რადგან იმას ლაპარაკობდა, რაც იმ ხელნაწერ ნიგნში ენერა.

რა თქმა უნდა, არც მას, არც ფირუზას და არც გიგას არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რომ ეს ურუანტელით მოსმენილი ამბავი რომაულ „სატირიკონშიც“ ისევე იყო აღნერილი, როგორც აღმოსავლურ „შვიდვეზირიანში“.

თეთრ ლიზას „შვიდვეზირიანი“ ეჯავრებოდა, სამაგიეროდ, „ყარამანიანი“ უყვარდა. ზანდაროვების ნიგნის თაროზე „ყარამანიანის“ უზარმაზარი ხელნაწერიც იდო. ქალაქელებს მოსნონდათ დევ-გმირების ფათერაკიანი თავგადასავალი. ქალს ისე არავინ არ გაათხოვებდა, რომ მზითევში „ყარამანიანი“ არ გაეტანებინა: ფირუზას კი ბაზარში ჰქონდა

ნაყიდი. გაძუნნებულ მედუქნეს ხელიდან გროშს ეერავინ გააგდებინებდა, მაგრამ საინტერესო ნიგნისთვის ფული არ ენანებოდა. ამულური სიმღერების თითო რვეულში თითო შაურს აძლევდა. უზალთუნებით იყო ნაყიდი „ქოროლლიანი“, „ყარაბოლლიანი“, „ქალვაუიანი“, „ვარმაყიანი“, „შუშანიერიანი“, „მირიანიანი“, „ალლუზიანი“, „ბარამიანი“, „ბეჟანიანი“, „დავრიშიანი“... ამ ნიგნებს ფირუზა თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ხან თვითონ ეითხულობდა ხმამალლა, ხან გიგას აეითხებდა. ერთად ისხდნენ და „ყარამანიანის“ ფურცლების შრიალში ხან აღტაცება ეხატებოდათ სახეზე, ხან გაოცება, ხან გაფაციცებული ნიაზი და ყურადღება. გიგა აღელვებული ეითხულობდა:

„ჰეი, ყარამან, — შესძახა მდევმა, — სიკვდილისათვის რომ აქ არ მოსულიყავი, ნუთუ შენს ქეეყანაში სიკვდილი აღარ იყო? ყარამანმა მარჯვენა ხელი მარცხენას გვერდს შემოავლო, მარცხენა — მარჯვენას და ისეთი საზარელი ხმით შესძახა, რომ მსმენელნი უსულოდ იქმნენ, ცხენი, გარტორქანი და სპილონი დაფრთხენ, დანყევიტეს საბამნი და მინდორს გარბოდნენ, ლაშქარნი ისე შემინდნენ და შეიძალნენ, რომ მეორედ მოსვლა ეგონათ...“

თეთრ ლიზას მეტისმეტი მღელვარებისაგან ტუჩიზე დორბლი მოსდიოდა. როცა გიგა თავისი ბოხი ხმით ამაყად დაიძახებდა ხოლმე: „სეილან ჯადო და ქელან ჯადო ეეშაპებზე შესხდნენ და გველები მათრახებად დაიჭირეს“, განსაცვიფრებელი და მოულოდნელი ამბებით გაოგნებული დედაეაცი ამქვეყნად აღარ იყო.

ფირუზა იცინოდა. თან იჭვნეულად გაიძახოდა:

— ევ არის რაღა, დავიჯერე! გაგონილა? შეიძლება? კარგი ერთი და!

ცოლი ქმარს ახლაც პირში სწვდებოდა. ბრაზმორეული ეუბნებოდა:

— ქა, რაც ნიგნში წერია, ისიც აღარა გჯერა? არ იცი, რომ ჯადოს ყველაფერი შეუძლიან! სანთლის ცულით რეინის კუნძის დაჩიხვა, თუ ზედ ქალის თმას დაახვევენ, ანდა ალვის ხეზე ნყლით გავსებული თასის ცვარის დაუქცევლად ატანა, თუ შიგ ბეჭედს ჩააგდებენ.

ეს მაგალითები თეთრ ლიზას „ყარაბოლლიანიდან“ მოჰქონდა. ფირუზას კი „ყარამანიანის“ და „ყარაბოლლიანის“ მაგალითები ჭუის საზრდოდ არ მიაჩნდა და უფრო ხშირად გიგას „შვიდვეზირიანს“ აკითხებდა. „შვიდვეზირიანში“ ხორცულებები ადამიანები მოქმედებდნენ და ყოველდღიურ ცხოვრებაში იმას აკეთებდნენ, რაც, მისი აზრით, ყველა ადამიანს უნდა ეკეთებინა, რათა სხვას არ დაუწავოდა და ნიხლებს ქვეშ არ მოექცია.

ზამთრის გრძელლამეებში, როცა გარეთ ბარდიდა და მტკვარი იყინებოდა, ზანდაროვები გვიანობამდე ისხდნენ და მანამდე უგდებდნენ ყურს ადამიანთა საოცარი თავგადასავლის თხრობას, სანამ თვალებზე რული მოეკიდებოდათ და მთენარება აუტყდებოდათ.

## 5. ბაზარი

პატარა და უნესრიგო, ესაა ის ადგილი, სადაც მუდამ თავმოყრილის  
მრავალრიცხოვანი და ქრელი ბრძო, სადაც არასოდეს არ წყდება  
ხმაური, ურიამული და სადაც რასების ისეთი აღრევაა, რომლის  
მსგავსის ნარმოდგენას არ იძლევა არც ალეირი, არც კაირო,  
თავადი გაგარინი

ფირუზა თავის დახლიდართან ერთად დუქანში ტრიალებდა, კვირა დღეს კი  
ბაზარს არ აცდენდა, არც ქარვასლებს ტოვებდა უნახავად და მოუკითხავად.  
დუქანს თეთრ ლიზას უტოვებდა და დახლიდართან ერთად მტკვრის გაღმა  
გარბოდა.

ეგზარხოსის მოედანზე, სალაყბოსთან, ისინი დარბაისელი და ჭუუადამ-  
ჯდარი მოქალაქეების ბასას ისმენდნენ. იქვე გებულობდნენ ახალ ამბებს.  
მთავარი მაინც ვაჭრობის ყურება იყო. თათრის მოედანზე ყაფანს გარშემო  
უტრიალებდნენ. ხან შეითანხაზარში იყვნენ დარჭობილი, ხან დახურულ  
ბაზაზხანაში, ხანაც შუაბაზარში. დიდი და პატარა სირაჩხანის აღმართებზე  
ქარავნებს უხვდებოდნენ, რათა დროზე გაევოთ მექარავნეებს, საიდან რა  
საქონელი მოჰქონდათ მოედანზე, პოლიციის შენობის მახლობლად, იმ ფა-  
რანთან ჩერდებოდნენ, რომლის ქვეშ სოვდაგრები იკრიბებოდნენ და სავაჭრო  
გარიგებებს ახდენდნენ.

ბაზარში გიგა ქორვაჭრების და ჩარჩების ონებს უყურებდა. ისინი სო-  
ფლელებს ქალაქის მისასვლელებთან ხვდებოდნენ, მოტანილს ჩალის ფასად  
სტაცებდნენ, თვითონ კი შეა ბაზარში ორმაგად და სამმაგად ჰყიდდნენ,  
ყველაფერს აძვირებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. სოფლელებს არც თაღ-  
ლითები აძლევდნენ გზას. გულუბრყვილო გლეხებს ყველგან ფულის მახეს  
უგებდნენ. ქალალდის „ოთხი სალდათით“ ღატაკეისას უცარიელებდნენ, მერე  
ყველანი ერთად მოტყუებულ და გამასხარავებულ ტეტიას ყურისნამღები  
ხარხარით დასცინოდნენ და ისეთნაირად აფრთხობდნენ, რომ სასაცილოდ  
აგდებულმა გლეხმა არ იცოდა, საით მოეკურცხლა, საით გაქცეულიყო.

გუშინდელ ნაგლეხეკაცარს გლეხები ებრალებოდა, შველით კი ვერა შვე-  
ლოდა. ჩარჩიდა თაღლითი მოტყუებაში მარდი იყო, მაგრამ ბებუთის ხმარება  
უფრო ემარჯვებოდა. გიგა გულისძვერით უყურებდა, თუ როგორ აჭრიდა  
ჯიბეს ცხვირანეულ მოხელეს ხელმარდი ჯიბგირი. „ესენი პატარა ქურდები  
არიან, დიდი ქურდები კი ქარვასლებში სხედან“, — ეუბნებოდა თავის განც-  
ვიფრებულ დახლიდარს ცბიერად მომლიმარე ფირუზა, რომელიც მას განგებ  
სწორედ ამგვარ სცენაზე ნააყენებდა ხოლმე. ისინი ბაზარში მაშინ გამოდიოდ-  
ნენ, როცა მოედანზე ბაირალს მაღლა სწევდნენ და ვაჭრობა ჩაღდებოდა.

ბაზარში ამ დროს სიარული ძნელი იყო, რადგან აუარებელი მყიდველი  
და გამყიდველი მიღი-მოდიოდა, ყველგან ადამიანთა თავების მორევი ჩნდე-

გოდა; ყეინებივით გამურული მენახშირეები ერთ ადგილზე თითქოს განგებ აჩერებდნენ ნახშირის ტომრებით დატვირთულ თავიანთ სახედრებს და გზებს ისეთნაირად კრავდნენ, რომ ყველა მათ უყვიროდა, ლანძღავდა და ავინებდა. სახედრებს შორის „გროშუა ბიჭები“ დარბოდნენ, ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ და ყვირილით ერთმანეთს მუშტრებს სტაცებდნენ, რათა ნახშირის ტომრები თვითონ მოეგდოთ მხრებზე და მუშტრის სახლებში მიერბენინებინათ. ბაზრის ქვითკირის მაღალ ეკლესითან აქლემები იდგნენ და დროვამოშვებით კისრებზე ჩამოკიდებულ ზარებს ან კარუნებდნენ. განუწყვეტლივ გაისმოდა მექლემების, მენახშირეების, მეურმეების, მედროვეების, მემანვნეების, „გროშუა ბიჭების“ და ფეხზე მოვაჭრეების ყვირილი, ლრიანცელი და გნიასი. ყურთასმენა აღარიყო. ფარდულებთან, დახლებთან, დუქნებთან ყურისნამლები ყაყანი და ურიამული იდგა. ტანდაბალი ფირუზა ბრბოში ლობემძვრალასავით დაძვრებოდა. ხალხის ჭეჭყვაში ხან იკარგებოდა, ხან ისევ ზემოთ ექცეოდა, აქეთ-იქით ეხეთქებოდა, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა და თან ვეება გიგასაც მიათრევდა.

ფინიას სპილო დაჰყავდა.

სპილო ახლა, არა უმავდა რა, წელვამართული დადიოდა, აღარც გლეხურად დაიზლაზნებოდა. აღარც ტეტიურად უქცევდა, ოლონდ მეტისმეტად გულკეთილი იყო. ფირუზა ჯავრობდა:

— გაიგე, ბიჭო! დოყლაპიობა ხელს არ მოგცემს!

ნაიოსებარი პირდაღებული შესცეკეროდა, ფირუზა წინ ულაგებდა ადამიანთა ურთიერთობისა და ვნებათალელვის მაგალითებს. ბაზრის მილეთის ხალხზე უთითებდა და ეუბნებოდა:

— აქ სარფას ყველა სხვის ხარჯზე ეძებს!

მოშიებულნი ჯვარის მამის ლავაშებში ცივად მოხარშულ, ნიორნყალში გაელებულ ხორცს ახვევდნენ და მადიანად ილუკმებოდნენ. ამ დროს უფრო ეშლებოდა ლაპარაკის საღერღელი კუკიელ მედუქნეს. დახლიდარს უმტკიცებდა:

— ნამუსის ქუდი მოსაჩვენარად სჭირდებათ, თორემ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, კაცი კაცს არ დაინდობს. ასე არის, ასე ყოფილა და ჩვენ რომ აქედან ნავალთ და სხვებიმოვლენ, მაშინაც ასე იქნება. ამბობენ, პირიანი და გულმარნავალთ და სხვებიმოვლენ, მაშინაც ასე იქნება. ამბობენ, პირიანი და გულმარნავალი კაცები საიქიოს ანგელოზებთან ერთად სხედანო. არ ვიცი, ვერაფერს გეტყვი, ჯერ იქიდან ბარათი არავის მოუტანია.

ნათქვამსა და ნალაპარაკევს ყოველთვის ერთი და იმავე სიტყვებით ამთავრებდა:

— ოთხივ კუთხივ თვალი და ყური დაიჭირე, თუ გინდა ფეხქვეშ არ მოგიგ-დონ და ზედ არ მეგადგნენ.

დახლიდარს ოთხივ კუთხივ თვალიც ეჭირა და ყურიც. ოლონდ გულწრფელად გაკვირვებული თვალებს აფახულებდა. ფირუზა მას იმის საწინააღმდეგოს ეუბნებოდა და უმტკიცებდა, რასაც ადამიანები ყოველდღიურ მდეგოს ეუბნებოდა და უმტკიცებდა. თვითონ ფირუზასაც სამს ან ურთიერთობაში ამბობდნენ და ამტკიცებდნენ. თვითონ ფირუზასაც სამს ან

ოთხს კაცში პირზე ის ეკერა, რაც ყველა პატიოსან მოქალაქეს: ერთმანეთის დანდობა და სიყვარული.

ფირუზა დროს ტყუილად არ კარგავდა და ქორვაჭრობდა. ყველაფერზე ხარბი თვალი ეჭირა. მუქთად ნაშოვნი ან იაფად ნაყიდი უზომოდ ახარებდა. თუ სადმე გახვრეტილ, ტალახიან გროშს იპოვნიდა, ისე მონიწებით დაიხრებოდა და აიღებდა ხოლმე, ისეთი სიამოვნებით დაჰყურებდა და ისეთნაირად გახარებული იდებდა ჯიბეში, რომ მის შემყურე თავმოყვარე დახლიდანს სირცხვილით პირი უნითლდებოდა.

## 6. ქარვასლები

დილიდან საღამომდე არის ერთი გნიასი და ვაჭრობა, ენათა უჩვეულო სიჭრელე, სახეთა და სამოსელთა ნაირფეროვნება, რომლის მსგავსს გერმანიის ქალაქებში დიდი ბაზრობის დროსაც ვერსად ნახავთ.  
ფრიდრიხ ბოდენშტედტი, „1001 დღე”

ფირუზა და მისი დახლიდარი უფრო ხშირად ქარვასლებში ატარებდნენ დროს.

თბილისი იმთავითვე თავისი ქარვასლებით იყო განთქმული. ყველაზე კეთილმოწყობილ ქარვასლად არნრუნის ქარვასლა ითვლებოდა, იარაღის რიგში, სიონის ტაძრის მახლობლად. ამ ქარვასლას საუცხოო შადრევანი ჰქონდა. სწორედ აქ, 1837 წელს, ჩირალდნებით და შილინგებით გაჩირალდნებული ქარვასლის აღმოსავლურად მორთულ დარბაზებში, თბილისის სოვდაგრობამ ნიკოლოზ I-ს საარაკო ვახშამი გაუმართა. არნრუნის ქარვასლის პირდაპირ ბატონიშვილების ძველის-ძველი ქარვასლა მდებარეობდა, სადაც თავრიზიდან, გილანიდან, არდებილიდან და რეშტიდან ირანული და შუაზიური საქონელი მოჰქონდათ. სარქისოვის ქარვასლაში, რიყეზე, ნუხიდან და ყარაბაღიდან მოტანილი აზიური ტანსაცმელით ვაჭრობდნენ. ასევე ცნობილი იყო სედინოვების ქარვასლა ბნელ რიგებში, ბებუთოვების და სარაჯევის ქარვასლები სომხის ბაზარში. ყორმახზამ მელიქოვის ქარვასლას ღარიბების ქარვასლას ეძახდნენ, რადგან ის ღარიბულად იყო მონცობილი და შივ მხოლოდ ღარიბი მეღუქნები ვაჭრობდნენ. უფრო გვიან გაჩნდნენ შიოვევის ქარვასლა აბანოს ხიდთან, მირიმანოვის — თათრის მოედანზე, შემდეგ იაკობ ზუბალოვის და პარსელ ტერმოსესოვის ქარვასლები და ვანქის ქარვასლა ვანქის ტაძრის შორიახლო. ამ ქარვასლებში ვაჭრობა დუღდა და გადმოდულდა.

ქარვასლების ქვემო და ზემო სართულების დუქნებთან, გადმოხურულ ბნელ გალერეებში და ურიცხვ კიბეებზე აუარებელი ხალხი ირეოდა. ყველან აღებ-მიცემობის ფუსფუსი და გნიასი იდგა. დუქნების ნინ პატარა ბიჭები მუშტრებს კალთებს აგლევდნენ და თავ-თავისი საქონლის ქებას

გაუკიოდნენ. ყველგან ნაირ-ნაირად ჩაცმული ხალხი მოჩანდა. ქარვასლებში ყოველ ცისმარე დღეს მოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის და ხალხის ვაჭრები ცხენების, ჯორების და აქლემების ქარავნებით. დარიალის გზაზე ცხენიანი ჩალვადრები იყვნენ გაბმულნი, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ძველ გზებზე აქლემების ქარავნები მოდიოდნენ: ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, რუსები, სომხები, ებრაელები, თურქები, სპარსელები, მთიელ-დაღესტნელები, ბუხარელები, ჩინელები, ავღანელები და ინდოელებიც, რომლებსაც შორეული ინდოეთიდან აქლემებით ინდური საქონელი მოჰქონდათ, ბაქოში საღვთო ცეცხლებს თაყვანს სცემდნენ და მერე ქალაქ თბილისისკენ მოისწრაფოდნენ.

ქალაქში ყოველ განთიადზე ზარების რეკვიტ შემოდიოდნენ აქლემების ქარავნები აზიელი ვაჭრებისა, ხოლო ქართლელი მეურმეები ყოველდღე სახე ურმებით ეზიდებოდნენ რედუტ-კალეში კონსტანტინეპოლიდან, ლონდონიდან, მარსელიდან და ჰამბურგიდან ხომალდებით მოტანილ ევროპულ საქონელს. დარიალის გზაზეც მიღი მიღმზე იყო გაბმული ჩალვადრების ცხენებისა და რუსული პოვოსკებისა. მათ უმთავრესად რუსეთის ფაბრიკებში დამზადებული ტილო და ფართლეული მოჰქონდათ. სოვდაგრები ქარვასლებში გაფაციცებით ვაჭრობდნენ. გამდიდრებულნი სოლოლაკის ბაღებს უნიკალოდ სჩეხდნენ და იტალიური სტილის მრავალსართულიან სახლებს აშენებდნენ.

ამ ქარვასლებში უნდა განვრთნილიყო გერმანოზიშვილების გამოქცეული ყმა.

— ყველაფერის დაკვირდი, ყველაფერი დაიხსომე, ვაჭრობაში ხელი გამართე, თორემ ბოლოს სხვები ქარვასლის კიბიდან გადავაგდებენ და დაგავორებენ!  
— მოავონებდა ხოლმე სმენად და ყურებად გადაქცეულ დახლიდარს ფირუზა.

მართლაც, სოვდაგრის ბაასი დაუწერელი სავაჭრო წიგნი და ბუღალტერიის ლექცია იყო, ქარვასლა კი ნამდვილი კომერციული სასწავლებელი.

ფირუზა თავის დახლიდარს ხელოსნების და წვრილი ვაჭრების დუქნებშიც დაატარებდა. ერთი ხელობის ხელოსანს, რომელიც ერთდროულად წვრილი ვაჭარიც იყო, ცალკე რიგი ეკავა. რიგების მიხედვით იყვნენ ცალ-ცალკე ქუჩებში ჩამნერივებული: ოქრომჭედლების, მექოშეების, მექორვალების, თერძების, ჭონების, ბაყლების, მეთევზეების, ხარაზების, ყაზაზების, ბაზაზების, სარაჯების, ყაჯრდუზების, მექუდეების, ყასბების, ხაბაზების, მეჩონგურების, დაბაღების, მლებავების, მხატვრების, მეჭურჭლების, მჭედლების, მექვაბების, ჩილინდრების, მკალავების, მეთოფეების და ხმლის მკეთებლების დუქან-სახელოსნები. ყველა ხელობის ხელოსანს თავისი ამქარი ჰქონდა, სკუთარი უსტაბაშებით, იქითბაშებით და ბაირაღებით. ბაირაღებზე თოშეული ხელობის მფარველი ფირი ანუ წმინდანი იყო, გამოხატული.

დუქან-ბაზრებსა და ქარვასლებში სიარული, ფირუზას სიტყვით, თვალს უხელდა „ბერყენა ჯეელს“, რომელიც სოფლელი უკვე აღარ იყო, მაგრამ ჯერ მოლად არც ქალაქელად იყო გამხდარი.

„ბერიუნაც“ გაგონილს და დანახულს ისე იხსომებდა, როგორც შეეძლო. ბევრი რამ მაინც არ ესმოდა, არ გაეგებოდა, ბევრი რამეც აკვირვებდა და თვალს უცვიფრებდა, მთავარს კი უკვე მიხვედრილი იყო: თუ ნინათ ფულის მნიშვნელობას იგი ბუნდოვნად ხვდებოდა, ახლა ფულის ძალა და ყოვლის შემძლეობა მისთვის სავსებით ცხადი იყო. ბაზრისა და ქარვასლების ადამიანები ფულზე ლოცულობდნენ, ფული კერპად გაეხადათ, ფულს ელტვოდნენ, ფულისკენ მისწნრაფოდნენ, ფულის გამო ერთმანეთს მტრობდნენ, ფული თესდა შულლსა და შურს, მტრობასა და სიძულვილს, ბოროტებასა და დანაშაულს, განსაცდელსა და უბედურებას, მაგრამ არავინ არაფრის ნინაშე არ იხევდა, რათა ფული მოეხვეჭა და ხელთ ეგდო. გამოუცდელმა დახლიდარმა ისიც შეამჩნია, რომ სუსტს ყოველთვის ძლიერი სძლევდა, ღარიბს — მდიდარი, მოკრძალებულს უსირცხვილო სჯობნიდა, მორიდებულს — თავხედი, გულწრფელს — მატყუარა, პატიოსანს — თაღლითი, პირიანს — ფიცის გამტეხი, პირლიას — მარჯვე და მოხერხებული, პურადსა და შემბრალეს — ხარბი და გაუმაძლარი. ქალაქში გადმოვარდნილი ნაგლეხარისთვის ეს ისეთი მოულოდნელი აღმოჩენა იყო, რამაც მთელი მისი ტეტიური სულისკვეთება მძაფრად შეარყია, შეამფოთა, განაცვიფრა და ღრმად ჩააფიქრა.

ნაგლეხაცარის ნარმოდგენა ცხოვრებაზე ვერ ეგუებოდა და ურიგდებოდა იმას, რაც ქარვასლების პირქუშ თაღებს ქვეშ ხდებოდა. სამავიეროდ, რაღაც ნაცნობს და მშობლიურს ღარიბი მეზობლების ქოხებში პოულობდა. ღარიბები პატიოსნად შრომობდნენ და ცხოვრობდნენ. სულ პატარა სიხარულს და ბედნიერებას ერთმანეთს უზიარებდნენ, ნაქცეულის ფეხზე ნამოყენებას ცდილობდნენ და რითაც შეეძლოთ და როგორც შეეძლოთ, ხელს უმართავდნენ. ბუნებით კეთილსა და გაურყვნელ გიგას გული უფრო ღარიბებისკენ მიუწევდა, მაგრამ ნინ ყოველთვის ფრთხილიდა ყურებდა ცქვეტილი ფირუზა უდგებოდა, ღარიბი მეზობლებისაკენ გზას უკრავდა და მხოლოდ ქარვასლებში დაატარებდა.

დროსაც თავისი გაჰქინდა. მისი დახლიდარი ახლა მორცხვად და გაუბედავად აღარ იდგა სასწორთან, თუმცა მუმტრის ნონაში მოტყუებას მაინც ვერ ბედავდა, ვერც ფირუზასავით პირზე ღიმილით, ქათინაურებით და თავაზიანი სიტყვა-პასუხით ახერხებდა ნონის მოსაკლებად სასწორის თეთვებზე გიჩების დარახუნებას, არც ჩურგენზე ეჭირა თვალი. მუმტრებსაც პირმომცინარე და ენანცყლიანი ფირუზა მოსწონდათ, შუბლშეკრულ დახლიდარს კი „უცხვირ-პიროს“ ეძახდნენ. ყველაზე უკმაყოფილო მაინც ქალები იყვნენ, რომელთაც ლამაზ დახლიდარს ვერასვზით პირჯვარი ვერ დაანერინეს და თავიანთკენ ვერ მოახედეს.

ფირუზა ბუზლუნებდა და იღრინებოდა. არ მოსწონდა, რომ მისი დახლიდარი გულკეთილი და ხათრიანი იყო.

გიგას დაჩაგრული ებრალებოდა, ღარიბი და გაჭირვებული ეცოდებოდა, თუ საქმე მოითხოვდა, მეზობლისთვის ცეცხლში შევარდებოდა, ამხანავის-თვის ნყალში გადავარდებოდა, არასდროს მეგობრისათვის მიცემულ სიტყვას

არ გატეხდა და პირობას არ გადაუხვევდა. გლახებს კი ისე არ გაუშვებდა, რომ  
გონიყვალება არ მიეცა.

— მე რომ აქ არ ვიჯდე, დახლში ხურდა ფული არ დამრჩებათ! — ბურ-  
ტყუნებდა ფირუზა.

მაგრამ კვირაძალზე ისიც გროშს ავდებდა იმ თევზზე, რომლის კიდეზეც  
თაფლის სანთლები ლაპლაპებდნენ. ამ დღეს გლახებისათვის მონიყვალების  
მიცემა მედუქნების წესად ითვლებოდა. ამის გამო ფირუზა ხმას არ იღებდა.  
სამაგიეროდ, უფრო ხშირად თვითონ იდგა დახლში და ხურდა ფულსაც უფრ-  
თხილდებოდა. დახლიდარი ზოგჯერ ღრმად ჩაფიქრდებოდა ხოლმე, თვალს  
ერთ ნერტილს უშტერებდა და დიდხანს რაღაცაზე თუ ვიღაცაზე ფიქრობდა.

არავინ იცოდა მისი მჭმუნვარე ფიქრების მიზეზი.

ფირუზას კი ბატონკაცურად ეჭირა თავი. მასხრული გარევნობის მოუხედა-  
ვად, დარბაისლური მიხრა-მოხრით დადიოდა. ნაბიჯებს ნელა ადგამდა, თუმცა  
ჩვეულებრივ მოძრავსა და სწრაფად მოსიარულეს, დინჯი ტაატით სიარული  
უჭირდა. უბნის ლოთები და უსაქმურები მასთან ლაზლანდარობას ვეღარ  
ბედავდნენ, აღარც თვითონ აძლევდა მათ ამის საბაბს. მიუხედავად ამისა,  
ფირუზას ძველებური მაინც ბევრი რამ შერჩა. ქუჩაში მოხდენილ ქალს ისე  
არ გაატარებდა, რომ თვალი არ შეევლო, პატარა ბიჭებს მსუნაგი თვალებით  
ათვალიერებდა და ამ დროს ქვედა ტუჩი ოდნავ უკანკალებდა. თუ გაჭირვე-  
ბულ კაცს ხელში კოჭის ძაფს ან სხვა რამეს დაუნახავდა, გაჩერდებოდა და  
ერთ საათს ევაჭრებოდა, რათა შემდეგ თავის დუქანში ძვირად გაეყიდა.

## 7. ნათიას გახსენება

ყველაფერი, რაც იყო, აღარ არის, რაც იქნება, ჯერ არ დამზგარა.

აღლურედ დე მიუსსე, „საუკუნის პირმშოს აღსარება“

დუქნის საქმე ნინ მიღიოდა. დაკვირვებული და მუდამ თვალლია ფირუზა  
სწრაფად გებულობდა, ვის როდის რა სჭირდებოდა. რაც კი უბანს უნდოდა,  
მის დუქანში ყველაფერი იყო. დუქნის თაროები ნარჩევი და ნაირ-ნაირი სა-  
ქმნლის ქეეშიზნიქებოდა. ძალიან ძვირად არაფერს ჰყიდდა, რათა მუშტრები  
მიეზიდა, ნაგებით კი არაფერს აგებდა. ამიტომ მუშტარიც მადლიერი ჰყავდა  
და თვითონაც სუქდებოდა, ქონს იკიდებდა, მოგებულით მდიდრდებოდა და  
ფულთან ერთად სახელსაც იკეთებდა.

ფირუზას დუქანი ახლა დიდ მეტოქეობას უწევდა უბნის ყველაზე შეძლებულ  
მედუქნეშაქროს, რომელიც ლამაზიცოლის წყალობით თავის ჭუაზე აღარ იყოდა  
რაც დრო გადოოდა, სულ უფრო და უფრო ენენებოდა ოჯახისა და დუქნის საქმე.

თებერვლის ერთ საღამოს, როცა გარეთ თოვდა და ბარდიდა, მედუქნე  
შაქრო გაფითრებული შევარდა ფირუზას დუქანში და შეცხადებულივით

დაემხო დახლუბე. — რა დაგემართა, კაცო? — ყალბი შემტოთებით პკითხა ფირუზამ და დიდმინიშვნელოვნად გადახედა თავის დახლიდარს.

შაქრომ მძიმედ აიღო თავი, ჩახლეჩილი ხმით ძლივს ამოთქვა:

— მევალე თავზე დამადგა და თან პრისტავიც მოიყვანა... დუქნის ასაწერად... სულ ოცდაათი თუმანი მმართებს... ეს ფული დეზად ვერსად ვიშოვნე... ფირუზჯან, იქნებ შენ როგორმე გამიმართო ხელი, შენს იქით გზა აღარა მაქვს.

ფირუზა ჩაფიქრდა. თავგზადა კარგულმა მედუქნემ მას მოლოდინით და მუდარით ალსავსე თვალები მიაჲყრო.

— ნადი შენს დუქანში, — უთხრა მას ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ფირუზამ, — ნადი, მეც მალე მოვალ, ფულს იქ ჩაგაბარებ.

შაქრომ მადლობის მაგვარი რაღაც ჩაიბურტყუნა და დუქნიდან ქუდმოგლეჯილი გავარდა. ფირუზამ დამცინავი თვალები თან გააყოლა, სიამოვნებით ნარმოთქვა:

— ჩემი სიტყვა ახდა. მაგას ლამაზი ცოლი ჭკუის ასავალ-დასავალს ისე დაუბნევს, რომ ვალის ორმოში ამოჲყოფს თავს. ველარ ამოვა! — შესძახა ხმამაღლა ფირუზამ და იქედნურად გაილიმა, — თავზე სულთამხუთავივით დავადგები, საძრაობას არ მივცემ, ყელში თოკს ნაუჭერ. ველარს ფერი ვერ უშეველის. გაკოტრდება და მაგის დუქანი ჩვენ დაგვრჩება. გიგა, შენ ახლა ქალალდი დაამზადე:

„ჩყ... ნელსა თებერულის ოცსა დღესა მე მედუქნე შაქრო ელიზბარის ძე ქადილაშვილმა ვისესხე ოცდაათი თუმანი მედუქნე გიორგა (ფირუზა) იასონის ძე ზანდარაშვილისაგან და მოვალე ვარ გადაუხადო თავნითავის სარგებლით ამა ნლის მარიამობის ოცსა დღესა“. მოკუა, ერთი სარგებელზე დავთიქრდე, დარიბებზე ნაკლებს ხომ არ გამოვართმევ? ეხლა დაწერე, რასაც გეტყვი. დაწერე? აქ მომეცი. ჩემი ფულები დღეიდან სხვის დუქნებშიც იმუშავებენ. მაშ ჭკვიანი არა ვარ?

გიგამ მორჩილად გაულიმა და ფაქიზად დაკეცილი თამასუქის ქალალდი გაუნოდა.

ფირუზამ დუქნის ორივე კარი ჩაკეტა. დახლიდარს ლამპარის პატრუქი ჩაანევინა და როცა საკმაოდ დაბნელდა, მისი დახმარებით მარილის მძიმე ტომრები განზე გადაათრის, ჩაიმუხლა, დანის ნვერი ფილაქნის ხაზებს გაუგდო, სამი ფილაქანი ამოაძრო, ხელი შიგ ჩაჰყო და მინაში ჩადგმული ქილიდან მუჭით ვერცხლის და ოქროს ფულები ჩხრიალით ამოილო. ფირუზას დახლიდარის არ ეშინოდა, რადგან მან ჯერ კიდევ ეარგად არ იცოდა ვერცხლის და ოქროს ნამდვილი ფასი. სამაგიეროდ, თავის მონახვეჭს და მონაგებს თეთრ ლიზას უმაღლავდა. მას ხშირად აგონდებოდა სასამართლოში სახტად დარჩენილი თერძი და საქმეს ისე იჭერდა, რათა მუდამ სხვები მოეტყუებინა, თვითონ კი არასდროს მოტყუებული არ დარჩენილიყო.

გადათვლილი ფული მან ტყავის ქისაში ჩაალაგა, ფილაქნები თავ-თავის ადგილზე ჩაგდო, ზედ ისევ მარილის ტომრები მიალაგ-მოალაგა, კარი გაალო და დუქნიდან გავიდა, დახლიდარმა თვალი გააყოლა, უსიამოვნოდ შეიშმუშნა და თითქმის შიშით ნარმოთქვა:

— ეგ კაცი არავის ინდობს და თუ დასჭირდა, არც მე დამინდობს. მაგრამ გაგას სადღა გავექცევი? ისევ ის სჯობს, სულ თვალ-ნარბში ვუყურო და რასაც მეტყვის, უსიტყვოდ შევუსრულო.

ლამპრის პატრუქი აღარ ამოსნია, დახლოთან ჩამოჯდა, იდაყვებით დაზგას დაეყრდნო, მარცხენა ხელისგული ყბის ქვეშ ამოიდო და, როგორც ეს მარტოდმყოფობის დროს იცოდა, თვალი ერთ ნერტილს გაუშტერა. ლამპრის პატრუქი დვრინვით ქრებოდა, დუქანში სულ უფრო და უფრო ბნელდებოდა. გნელში დარჩენილ დახლიდარს ფირუზაც დაავინყდა, თეთრი ლიზაც, დუქანიც, პაზარიც, ქარვასლაც და ქალაქიც.

ფიქრი ფიქრს აედევნა. განცდილი — განცდილს.

მას ჯერ კიდევ შეეძლო მეხსიერებაში ბერთუბნის ალდგენა, სოფლელების გახსენება, მაგრამ იმასაც კარგად გრძნობდა, რომ ნარსული თანდათან დავიწყებას ეძლეოდა.

სოსიკოს გიგა ავიწყებინებდა.

თავის სოფლელებს არსად არ ხვდებოდა. არც ქუჩაში, არც პაზარში. თუ კინმეს სადმე დალანდავდა, კისრისტეხით გარბოდა, სახლის იაქთალებს კუარებოდა, იმალებოდა.

მხოლოდ ერთხელ შორიდან პავლე მღვდელს მოჰკრა თვალი. ავლაბარში, ყაზარმებთან, ტუსალებს შორის იდგა, ხელებზე და ფეხებზე ბორკილები ედო, თავზე ტუსალის მრგვალი ქუდი ეხურა, ტანთ ტუსალისავე გრძელირუხი ფარავა ეცვა. მაღალი და მხარბეჭიანი, მაღლა ანული თავით ამაყად მიაბიჯებდა. ტუსალებს უმთავრესად თავადნი და აზნაურნიაცილებდნენ. „თბილი ციმბირიდან“ ისინი „ცივ ციმბირში“ ისტუმრებდნენ თავიანთ ნათესავებს, მამებს, შვილებს, ძმებს, ქმრებს, საქმროებს. ბორკილების ჩხარა-ჩხურს და თოფიანი ჯარის კაცების გადაძახება-გადმოძახებას შიგადაშიგ ქალების ყრუ ქვითინი ერთვოდა. გიგა თვალებს არ ამორებდა პავლე მღვდელს. ტუსალთა ეტაპს იქამდე სდია, სანამ ისინი ტრიალ მინდონზე არ გავიდნენ და გზის მტვერში არ გაეხვივნენ.

ამის გახსენებამ ერთხელ კიდევ ააფორიაქა. თვალნინ ნათლად დაუდგა თავისი სოფელი.

ქორნინების ლამე.

ნათია.

დახლზე დაემხო, თავი მკლავებში ჩარგო და ქვითინი აუვარდა.

— რა გატირებს, ბიჭო? — დაუყვირა დუქანში დაბრუნებულმა ფირუზამ.

— ნათია მომავონდა.

— ვინა?!

დახლიდარმა ხმა არ გასცა, განზე გაიხედა.

მედუქნეს ნაგლეხკაცარის თავგადასავალი მოაგონდა და შებლი უკმაყოფილოდ შექმუხნა. დუქნიდან სახლის აივანზე გავიდა და სამოვართან მოფუსფუსე თეთრ ლიზას რაღაცაზე ნაეჩხუბა.

ნაიოსებარმა თვალებიდან ცრემლები მოინმინდა.

# კარი მეხუთე

## 1. გაშინეურებული უთვისტომო

ამან თავის მხიარულის გულით და ყბედობით მცირედ  
შემიმსუბუქა ნაღველი.  
გრიგოლ რჩეულიშვილი, „თამარ ბატონიშვილი“

ფანდურანთ იოსები თანდათან გაუშინაურდა ფირუზას და თეთრ ლიზას. აღარ უკუირდა დახლში ჯდომა, აღარც ახლად შერქმეული სახელი „გიგა“ ეხა-მუშებოდა. ვინმეს მისთვის იოსები რომ დაეძახა, თავს მძიმედ მოაბრუნებდა და გაკუირვებით მოიხედავდა. გიგას დაძახებაზე კი პირზე ლიმილი ეკერა და სალაშს არავის უგვიანებდა.

ახალ სახელს იგი ისევე მიეჩვია, როგორც თავის ქალაქურ ქუდს, ტანსაც-მელს, თვითონ ქალაქელებს, ქალაქური ცხოვრების წესებს და ზნე-ჩვეულე-ბებს. გასაოცარი აქ არაფერი იყო. უთვისტომოს აღარც საკუთარი ნარსული გააჩინდა, აღარც სახელი, აღარც გვარი, აღარც ძველი სოფლური ცხოვრება, ხელოსნებსა და ვაჭრებში მოხვედრილი სულერთიანად გამოცვლილიყო და გარდაქმნილიყო. ძველი თანდათან დავინყებას ეძლეოდა, ახალი გარემო და ცხოვრება კი მისთვის სულ უფრო და უფრო ჩვეულებრივი და მახლობელი ხდებოდა.

გიგა რატომლაც თეთრი ლიზას უფრო მიეჩვია, ვიდრე ფირუზას, ფირუზასი მას არა მარტო ერიდებოდა, ეშინოდა კიდეც.

გულკეთილ დახლიდარს თავისებურად უყვარდა მუდამ მოფუსფუსე და მშრომელი თეთრი ლიზა. დაუზარებელ დედაკაცს დუქანი ყოველთვის დაგვილ-დასუფთავებული ჰქონდა, ჭამ-ჭურჭელი დარეცხილი, დარბაზი, სახლის აივანი და პატარა ეზო მოკრიალებული, ბოსტანი და ბალჩა, სადაც რამდენიმე ხე იდგა, კარგად მოვლილი. უსაქმოდ არასდროს იყო. რეცხავდა, ხეხავდა, აკრიალებდა, აკერებდა, ქსოვდა. მთელი დღის განმავლობაში ცოცხსა და აქანდაზს ხელიდან არ უშვებდა.

ფირუზა კი ბოლთის ცემით ყბედობდა, ხელები ზურგზე ენყოდა ბატონეა-ცურად იყურებოდა. ხან ქალაქურ სიმღერას ღილინებდა, ხან ილანძლებოდა, ილრინებოდა და ყველაფერს ინუნებდა. ზოგჯერ გაჩუმებული დადიოდა, ამთქნარებდა და როცა სხვები მუშაობდნენ, თვითონ ტახტზე ეგდო და ეძინა, თუ კარგ გუნებაზე იყო, ულვაშებმი ილიმებოდა, ჩიბუხს აბოლებდა და გაუთავებლად ლაპარაკობდა. გაკეთებით თვითონ არაფერს აკეთებდა, სამაგიეროდ, მბრძანებლობა უყვარდა და სახლის პატარა აივანზე მოურა-ვივით იყო გადმომდგარი.

დუქანში და ეზოში მხოლოდ თეთრი ლიზა და გიგა საქმობდნენ, მაგრამ გაერთებულს ფირუზა ორთავეს უნუნებდა. განსაკუთრებით თეთრ ლიზას არ ინდობდა, სიტყვას არ შეარჩინდა ხოლმე, ყოველთვის იმას ამტყუნებდა, ლანძღავდა, აყვედრიდა და ექლესიაში დასანთებისანთვის გროშს რის ვა-ვაგლახით იმეტებდა.

არც თეთრი ლიზა რჩებოდა ვალში. ისეთი ნყევლა და ლანძღვა იცოდა, თავის გარშემო სულ ბურიანგელს აყენებდა.

ცოლ-ქმარი ან ჩხუბობდა, ან ერთად მღეროდა. მათი ყურება გიგას პარველად აცვიფრებდა, მერე კი ამასაც მოეჩვია. წაჩხუბებულ ცოლ-ქმარს შორიახლო აღარ უტრიალებდა, თავისი საქმის ექთვბას თავაულებლივ განავრძობდა, გულში კი ყოველთვის თეთრ ლიზას უჭერდა მხარს.

როცა საღამოობით ცოლ-ქმარი თავიანთ სიმღერებს მღეროდნენ, გიგასაც უხაროდა, რადგან ჩხუბი და უსიამოვნება არ უყვარდა.

## 2. პუკიელი ჭატმანი

მუხთალს ამ სოფელს გსურს  
ვისაცა იყო ბედნიერ,  
სიყვარულითა და ლვინით  
ჩემებრ დაითვერ!  
ვრიგოლ ორბელიანი, „მირზაჯანს ეპიტაფია“

ლრმადმორნმუნე თეთრი ლიზა ყოველ დილით ექლესიაში წირვა-ლოცვას არ აკლდებოდა. სწორედ ამ დროს ფირუზა ყოველთვის შინ იყო. ბოსელში, საღაც წინათ ვირი ჰყავდა დაბმული, მას ხან ეშვიანი დედაქაცი შეჰყავდა, ხან სრულიად ნორჩი, ახლად ტანაყრილი გოგო. ბოსლიდან გიგას ხშირად ესმოდა დედაქაცების ვნებიანი ხითხითი, გოგოების თავაწყვეტილი ეისეისი, თვითონ კი სირცხვილით ინვოდა და დახლის ყველაზე ბნელ კუთხეში ჯდებოდა, რათა ეზოში გამოჩენილი დედაქაცი ან გოგო არ დაენახა.

ერთხელ იმ ბოსლიდან თვალტანადი ქალი გამოვიდა. გიგამ ის დუქნის პატარა ფანჯრიდან შეამჩნია და თვალი ვეღარ მოაშორა: როცა ფირუზა ბოსლის კართან თავის სამფეხა სკამზე ჩამოჯდა და ქალი ეზოს ჭიშერისა აერნ გაემართა, გიგამ დუქანი მიატოვა და სახლის აივანზე გამოვიდა.

— მა-კა! — მიაძახა მიმავალ ქალს ფირუზამ, — ფრთხილად იყავი, ფეხი ტლაპოში არ ჩაგივარდეს, თორემბაზაზი რევაზა ფაქიზი კაცია, ტურტლიანს არ მიგიღებს.

ქალმა მისკენ სახე მოაბრუნა, გაუცინა და შემოსძახა: — არა, ფირუზ! მე ეხლა ბაზაზთან არ მივდივარ, ავათ არის და იმ თვალდამდგარს წამოდგომის თავი აღარა აქვს. ჩემი თილისმები იმასთან აღარა ჭრის. მე ეხლა მენახშირე

იაგორასთან მიედივარ. აი, იმასთან, ავადმყოფი ცოლი და ბევრი ვიწი რომა, ჰყავს.

— ერთა! — გულიანად გადაიხარხა ფირუზამ, — იმ გამურულ ვიწ გლასთან? ის ხომ შეიდი კამეჩისოდენაა! ბარაქალა, ქალო, ბარაქალა! მაგრავ ქალაქში ვიღა დაგრჩა?

— მთავარმართებელი, ფირუზჯან, მთავარმართებელი! — სიცილით წამოიძახა მაჟამ.

— ეგ კი შენგან ძალიან შორსაა! — შეაგება გაღნიოშებული სიცილი ფირუზამ.

— ვითომრატომაო? მთავარმართებელი ჩემგან არც ისე შორსაა, როგორც შენა გვონია. ამას წინათ მირზაჯანამ დამიბარა ენიაზების ქეიფში (შაქრი კახეთში იყო ნათესავებთან). მთელი ლამე იმათთან გავატარე. მთავარმართებლის ადიუტანტი გვერდიდან არ მიშორებდა. მეც ქორფა ულვაში სულ დავუნინკნე. ისე გავხადე, ხან ჭიროდა, ხან იცინოდა. მირზაჯანას კოცნით სულ ლოყები დააგლიჯა, ეს მზეთუნახავი სად იპოვე, საიდან მოიყვანეო.

— ეგ არის, დაგიჯერე!

— თუ არა გჯერა, მირზაჯანას ჰქონდე.

მირზაჯანას ფირუზა ერიდებოდა, მისი ეშინოდა. არც ის ეჭაშნიკებოდა, რომ „ლხინის პაპას“ მტკერის გაღმა მადათაშვილს ეძახდნენ, მტკერის გამოღმა ზანდარაშვილს.

— დათაც იქ იყო, — სცადა ფირუზას დაინტერესება მაჟამ.

— დათა?

— ყორლანაშვილი.

ფირუზას თვალები გაუბრნებინდა, შედარების საბაბი მიეცა.

— აი, ლაზათიანი მოქეიფე, დარღიმანდი ვინ არის. კაცსაც რა უშავსა!

— რას ამბობ, ფირუზ?! — გაუკვირდა მაჟას, — ქეიფსა და ეშყში მირზაჯანას ტოლს ვინ დაუდებს?

ფირუზამ ისევ წარბი შეკრა.

— მირზაჯანა მედიდურია, ამპარტავანი. ყველამიცის, რომ მთავარმართებლის კაცია. ენიაზებში ტყუილუბრალოდ არა ტრიალებს, შენისთანა ქალები სწორედ იმათთვისა სჭირდება. რას იზამ? საცა დაგისტვენს, იქუნდა დაერჭო. მაგრამ არ დაგავინყდეს, შენი მასწავლებელი ვინ იყო.

— მახსოვს, ფირუზ, მახსოვს. მაგას როგორ დავივინყებ? ლარიბი დედ-მამის შვილი, ჭუჭუიანი და ტალახიანი, შენ შაქარყინულით მომატყუე. როგორ არ მახსოვს? თეთრმა ლიზამ ზურგი ბევრჯერ ჯოხით ამიჭრელა, მაგრამ მაინც შენთან მოვრბივარ.

ფირუზას მაჟას ნათქვამი იამა, გაიბადრა. მერე ისევ სერიოზული სახე მიიღო და სერიოზულად უთხრა ქალს:

— მაშინ ცამეტი წლისა იყავი. თოთხმეტისას უკვე ქმარი გყავდა. ეხლა კი ოცდაათი წლის ქალი ხარ. დრო არის, ნელ-ნელა იალქნები დაუშვა.

— მეც იმიტომ ვჩერობ, თორემ ვინ იცის, ხვალ რა დღე დამიდგება? შენ კაცი ხარ, არც ხანი გიშლის ხელს და არც მოლრუცილი ფეხების გრცხვენიან. მე კი პატარა ნაოჭზეც ვკანკალებ. ქალები მალე ვძერდებით. სიბერის მეტი ქვეყანაზე არაფრის არ მეშინიან.

— ეგ ეგრეა, მაგრამ ძალიან თამამობ, ძალიან დარდიმანდობ. თუ ფრთხილად არ მოიქცევი, ან ქმრის ნერა გახდები, ან საყვარლის.

— ჩემი ქმარი შექრუა ხასიათით ოქრუა! — ლექსივით დაამლერა მაკამ და უდარდელად გაიცინა, — მცემს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ იმისთანათ არავის ვუყვარვარ. სასიკვდილოდ არ გამიმეტებს. ორი ქმარი გამექცა, ბებერიც და ჯეელიც, ეგ კი არა მშორდება, უჩემოდ გაძლება არ შეუძლიან,

— მაკამაც სერიოზული სახე მიიღო და სერიოზულად განაგრძო, — საყვარლის ხელით სიკვდილს კი ჩემისთანა ქალისთვის სხვა არაფერი სჯობს. ბებუთების ტრიალშიც ბევრჯერ მოვხვედრილვარ, მაგრამ შიში რა არის, ჯერაც არ ვიცი.

— შენი შვილი სად არის? — ჰეითხა უცებ ფირუზამ მაკას.

— არ ვიცი, სად არის, ვისთან არის, რასა კეთებს, როგორ არის. ამას ნინათ ორთაჭალის ბალში მოვეარი თვალი, თავის ტოლებში ქეიფობდა. მომენტისა. თვალტანადია, კოხტა, ლამაზი, ეგ ჯეელი ქმრისგანა მყავს, მამასავით თამამია, იმისი მიხრა-მოხრა აქვს, თვალ-ნარბი კი ჩემი გამოჰყვა. შორიდან უყურებდი, რადგან იმის ამხანაგებში ბევრი ჩემი აშოლლანიც იყო.

— ჰო, კარგი ბიჭია, — თქვა ფირუზამ, — აფსუსია მაგის გაფუჭება. ჯიბ-გირებში და ქურდებში ყოფნა ხეირს არ მისცემს.

— რა ვქნა, ფირუზ, ვეჯავრებიდა ჩემი დანახვა არ უნდა. ქა! — წამოიძახა სიცილით მაკამ, — ამ ლაპარაკში მენახშირე იაგორიასთან წასვლა არ გადა-მავინყდა?

ფირუზას თავი დაუკრა, თეთრი ქალალაიას კალთა მკლავზე გადაიგდო, გატრიალდა და წავიდა.

### 3. ხაბაზის ცოლი

იგი არასოდეს არ იცინოდა (მას კარგი კბილები არა ჰქონდა), მაგრამ უსაზღვრო სინაზისა და სიტკბოების ღიმილი დასთამაშებდა მშვენიერ

ბაგეებზე, ლოყების ნასვრეტებსა და სანდომიან ნიკაპზე.  
უ. თეკერეი, „ჰენდენისის ისტორია“

გიგა აივანზე ველარ გაჩერდა, პატარა კიბე ჩაირბინა და ეზოდან ქუჩაში, სახლების გასწვრივ მიმავალ ქალს თვალი გააყოლა. დიდხანს უყურებდა ხან მას, ხან მზით განათებულ კედლებზე სწრაფად მოძრავ მის აჩრდილს. ქუჩა-ბანდის ბოლოში ქალი თვალს მიეფარა, მაგრამ გიგა ისევ იქითკენ იყურებოდა,

გარინდებული და სახეალენილი იდგა. ფირუზამ ცალი ყბით ახედ-დახედა, კარგა ხანს უყურა, გაეცინა და ბოლოს ჰქითხა:

— შენ სპარსული იცი?

გიგამ გაკვირვებით მოხედა მისკენ.

— მე სპარსულიც ვიცი, სომხურიც და თათრულიც. რუსულსაც, არა უშავს, ლაზათიანად ვამტვრევ. პორა, სპარსულად ნათქვამისა: როცა ახალგაზრდა კაცი მარტოკა სძინავს, დედამიწა ცას შესტირისო. ბიჭი! რას უყურებ? მიხედ-მოხე- დე, თვალი გაახილე, ვერა ხედავ, რაც შენ დახლოან და სასწოროან დაგაყენე, ჯერჩემი ძველი სანვრიმალო, მერე ჩემი დუქანი, ქალებით გაივსო. ზოგს ვითომ ნინაკა სჭირდება, ზოგს — დარიჩინი, ზოგსაც — მარილი. ისიც მართალია, რომ ქალები გლანძლავენ, გთათხავენ, დაგცინიან და ყველაფერს გინუნებენ, მაგრამ ფიქრი ნუ გაქვს, ეგ ქალების ალერსია, აბა, შენ უარის ვინ გეტყვის?!

გიგას შერცხვა, განითალდა.

— არ მიყვარს, როცა კაცი ყაყაჩოსავით ნითლდება, — გაჯავრდა ფირუზა და თავი უკმაყოფილოდ გაიქნ-გამოიქნია, — ეგ ქალებს უხდებათ. პო, რას ვამბობდი? უბანში ბევრ ქალს მოსწონხარ. მაგ ქალს კი ნუ უყურებ, შენი ფანდი არ არის, მაგას თავისი ამქარი ჰყავს. შენ პირლია ქმრების ცოლებს მიხედე. ჩვენს უბანში ცოტა ვინმე გამდიდრდა, ცოტა ვინმე გაკოტრდა? ესეც იცოდე, როცა ქალს ყელში ქონი ანვება, თვალი ყოველთვის გარეთკენ უჭირავს.

ფირუზა გაჩირდა.

სახლის აივანზე ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა და გიგას შორიდან დაუძახა:

— გიგაჯან! დუქნის კარი რომ ღია დაგრჩენია, რასა ფიქრობ? რამდენი ხანია დუქანში ვტრიალებ, შენ კი არსადა ჩანხარ.

ფირუზას ჩაუცინა, გიგას ხმადაბლა უთხრა:

— ეგ ხაბაზის ცოლი მაკუთა, ვერ უყურებ, გარეთ ფოსტლების ამარად გამოსულა. იფ, რა ფამფაშა დედაკაცია! არა, ეგ ტყუილუბრალოდ არ არის მოსული.

აივნიდან ისევ მოისმა ხაბაზის ცოლის ძახილი:

— გიგაჯან, როდემდის უნდა მალოდინო, მეჩეკარება და მოცდის თავი არა მაქვს.

ფირუზამ ისევ გაიცინა, მაგრამ გიგას ყასიდად დაუყვირა:

— ბიჭი, მუშტარს მიჰედე, აქ რას დარჭობილხარ ლობიოს სარივითა!

გიგამ დუქნისკენ გაალავა. ქალი მას აივანზე უცდიდა ცულლუტი ღიმი-ლით. დახლიდარმა გვერდზე ჩაუარა, ზედ არ შეხედა და დუქანში შევიდა, ქალიც თან შეჲყვა.

— გიგაჯან, — უთხრა მას ალერსით ხაბაზის ცოლმა, — მაგ ასხმულიდან ერთი ნითელი ნინაკა მომიგლივე. უჸ, რა ცხელა დღესა, მთელი ქალაქი სი-ცხისაგან იწვის.

გიგამ ჭერში ჩამოკიდებულ ასხმულას ნინაკა მოაგლივა, სასწორის თე-ფშზე დადო და თავი ჩალუნა. ქალი სულ ახლოს მივიდა სასწოროან, ბაგეზე

ისევ ნელანდელი ცულლუჭი ლიმილი დასთამაშებდა, ფერადი ჩითის კაბა ლულის ლაქებით დასველებოდა, მეტრი განგებ გადაელელა და თეთრი, დოლონი ძუძუების ჩალრმავებული ნაეცი მოუჩანდა. ქალის ცხელი სუნთქვა, ლულისა და ნივრის სუნი გიგას შიგ ცხვირში სცემდა, მაგრამ თავს მაღლა არ ილებდა, სასწორის თევზს დასცეკროდა და მოთმინებით უცდიდა, როდის ათლებდა ქალი თეთვიდან ნინა კას. ქალმა მარცხენა მკლავი სასწორის თევზის კენაციო, თეთრი, ფაფუჟი ხელი ზედ დადო, დიდხანს გააჩერა, ტუჩები გაეპო და ებილების თეთრ მწკრივში ორი, ძლივს შესამჩნევი ღრუჯოლი გამოუჩნდა. გისი პატარა მოძრავი ცხვირის გარშემო იშვიათი ჭორფლები მოუსვენრად ამოძრავდნენ, ფართოდ გაღებული თაფლისფერი თვალები დაებინდა და მოლოდინად გადაექცა. ასე დიდხანს, დიდხანს გაგრძელდა, ბოლოს, ქალს ბავედან ღიმილი გაუქრა, ნარბი შეიკრა, გულმოსულმა ნინა კას ხელი დასტაცა, ნერილი კაპიკიანი სასწორის თევზზე რახუნით დასვდო, საკინძეგავავრებით შეიკრა, კარების კენ გატრისალდა და დაცინვით შემოსძახა:

— აი, არა ქენ დალლარ! შენც ვითომ ფირუზას ნათესავი ხარ, რაღა! — გადაიკისეისა და დუქნიდან გაიქცა.

დუქანში ფირუზამ შემოჰყო ცხვირი, ტუჩებზე ლირფი ლიმილი უთამაშებდა, გაღებული კარიდან ქუჩაში გაჩერარებით მიმავალ ხაბაზის ცოლს უყურებდა, ტანის ახოვნობას უქებდა და ალტაცებით ამბობდა:

— იფ, იფ, რა კარგაა ამოლტილი, რა ფუნჩელა, რა ფაშვაშა. მთელი ჭურა უჭირავს, მაგრამ ხედავ, რა კონტად და მარტად მიგოვგმანობს. ეტყობა, გაბრაზებულია, მიზეზიცა აქვს. არა უშავს, დაბრუნდება, აუცილებლად დაბრუნდება.

ფირუზამ დუქნის ზღურბლთან დაგდებული ნინა კა აიღო, სათუთად ხელი გადაუსვა, მტვერი მოაშორა, დახლზე დადო და ისევ დახლიდარს მოუბრუნდა:

— ბეც აქ დაუტოვებია. მეტი რაღა გინდა?

მაიკო თეთრ ლიზას დაუმევობრდა, ხან ზედადგარზე ქვაბს უდგამდა, წყალს უცხელებდა და სარეცხს წურავდა, ხან მატყლის რეცხვაში, გაშლაში, გაშრობაში, დაპენტვასა და გაჩეჩევაში შველოდა, ხანაც საბნებს ულიანდა-გებდა. თან მუდამ თბილი პურები და ნაზუქები მოჰქონდა. თეთრი ლიზა და ფირუზა ერთმანეთს თვალს უკრავდნენ და ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ. გიგა ხაბაზის ცოლის ოინებს და ხრიკებს ამჩნევდა, მაგრამ მისგან თავი შორს ეჭირა, თვალში არ მოსდიოდა, ერიდებოდა და გაურბოდა. სამაგიეროდ, მაკას დანახვაზე ფირუზას დუქნიდან და სახლიდან ფეხი აღარ მოიცვალა. და იმ დღიდან ფირუზას დუქნიდან და სახლიდან ფეხი აღარ მოიცვალა. როცა მედუქნის ცოლი ეკლესიაში ნირვის მოსასმენად მიდიოდა, ხაბაზის ცოლი სახლის აივანზე იჯდა და თეთრ ლიზას ზაფხულში ზამთრის ნინდებს უქსოვდა. ფირუზა ჯავრობდა, ბუზლუნებდა, რადგან ხაბაზის ცოლის გამო უქსოვდა. ფირუზა ჯავრობდა, ბუზლუნებდა, რადგან ხაბაზის ცოლის გამო უქსოვდა. ფირუზას ბუზლუნი და ბუზრტყუნი მაიკოს აინუნში არ მოსდიოდა. მას სულ სხვა სადარდებელი პქონდა. გიგა ზედ არ უყურებდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, როგორ მოენონებინა მისთვის თავი.

ხან სიცხის მომიზეზებით ფლოსტებს იხდიდა და ფეხშიშველი დაჭიოდა დუქნის გრილ ფილაქანზე, ხან კაბის ბოლოებს მუხლის თავამდე იწევდა და ჩამოშვება ავინყდებოდა, ხან მსუქან თეთრ მკლავებს აჩენდა, ხან საკინძე შეუკრავი რჩებოდა და მკერდვადალელილი იჯდა. ქალს არაფრისა რცხვენოდა, მაგრამ ფირუზას დახლიდარს მაინც ვერაფერს უხერხებდა. დახლთან თავისთვის მჯდარი გიგა ან თვლემდა, ან ჭერს შესცეკროდა და ბუზების გადაფრენა-გადმოფრენის ყურებით ერთობოდა. გულმოსულმა ფირუზამ ხაბაზის ცოლს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ დუქანი თეთრ ლიზას ჩაბარს, თვითონ კიდახლიდართან ერთად ბაზრებსა და ქარვასლებში სიარულს მოუხშირა.

ასე მისდევდა დღე დღეს, კვირა — კვირას.

მაიკოს ლოდინით გული ულონდებოდა. გიგა კი არსად ჩანდა, და როცა ხელთ თეთრი ლიზა შერჩა და გიგას დანახვაც კი სანატრელი გაუხდა, მოთ-მინების ფიალა აევსო, ველარ მოითმინა, სრულიად უმიზეზოდ ჭავრი თეთრ ლიზაზე ამოიყარა, გამოლანდა, ცოლ-ქმარს მუქთახორები და მატყუარები უნდა, გიგა ცვედანად მონათლა, დუქნის კარი გაიჯახუნა და იმ დღიდან ზანდაროვების სახლიდან ფეხი ამოიკვეთა.

ზანდაროვებმა გვიან გაიგეს, რომ ხაბაზის ლამაზი ცოლი ახლა მტკვრის ნაპირზე ნისქვილის ნავის ცხვირზე იჯდა და ბრგე მეწისქვილეს დახეულ ჰერანგს უკერებდა.

— მაიკო დასანუნი ქალი არ არის, არ დაიკარგება, — ამბობდა ფირუზა,  
— რა ვუყოთ, რომ იმის მეწისქვილე ფქვილმია ამოგანგლული, სამაგიეროდ, ჩვენს დახლიდარს ზეთი ჩამოსდის სახეზე.

— ქა! — ნამოექომაგა გიგას თეთრი ლიზა, — მაშ, ყველა შენსავით მასხა-  
რა უნდა იყოს? ვერ უყურებ, ჩვენმა გიგამაც გამოიდარა. ბოლო დროს სულ  
ილიმება და პირი უცინის.

მართლაც, გიგა ოცნებაში ვიღაცას ულიმოდა, ვიღაცას უცინოდა, ღიღი-  
ნებდა და მხიარულ გუნებაზე იყო.

მაკა ისევ გამოჩნდა ზანდაროვების ეზოში.

#### 4. ნიღეცვლილი ფირზა

აშიკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმარებს, ხოლო სიყვარულს გული  
მისი ვერ მიიკარებს!  
ნიჟოლოზ ბარათაშვილი, „ჩემთ მეგობართ“

გიგამ თავს ძალა დაატანა, გაბედა და მაკას ქუჩაბანდის ბოლოს გზა  
გადაუჭრა. ქალმა ნიაზით მოხედა, ურცხვად გაულიმა, მხარი გამომნევევად  
შეათამაშა და გზა კეკლუცი რხევით განაგრძო, უკან აღარ მოიხედა, მაგრამ

შეუვარებული ყმანვილი შორიახლო აიდევნა და თავის სახლის კარამდე მი-იყვანა. ისევ მოიხედა, ისევ ურცხვად გაულიშა, სახლში შევიდა, ცოტა ხნის შემდეგ ფანჯარას მოადგა, თავი გადმოჰყო, გიგას სიცილით დაუქნია ხელი და გადმოსძახა:

— როცა ამ ფანჯარაში თეთრი, წითელნინნ ელებიანი ხელსახოცი ეკიდება, კარებზე დააკაკუნე და მაშინვე გაგიღებენ.

გიგამ არ იცოდა, ფეხით მივიდა დუქანში თუ მიფრინდა.

შინ ლაპარაკს არავის აცდიდა, ენად გაიკითხა, თან ვიღაცას ულიმოდა, ფირუზას ყურს აღარ უგდებდა და სულ თვითონ ლაპარაკობდა. ფირუზამ თვალი ცნობისმოყვარეობით შეავლო:

— გიყვარს ვინმე, ბიჭო?

— როგორ მიხვდი, ფირუზუან?

— რა მიხვედრა უნდა? ეგრე გატუტუცებული წინათ როდის იყავ?

გიგამ გაიცინა.

— ვინ არის?

— მაკა!

ფირუზამ წარბი შეიკრა, არ ესიამოვნა, ფათერაჟის შეეშინდა და დახლი-დარი გააფრთხილა:

— ერთხელაც გითხარი, ეგ ქალი შენი ფანდი არ არის, მაგის აშოღლანებთან შენ ვერ მოხვალ. თავი გაანებე.

— არ შემიძლიან, — შეუპოვრად დაუბრუნა სიტყვა მაკას ახალმა საყვა-რელმა.

ფირუზამ კეთა მოიფხანა. დახლიდარი პირველად უბრუნებდა მას სიტყვას. არ მოელოდა, არც ეჭაშნიერ. ცხვირი ჩამოუშვა, ჩაფიქრდა. ჩხუბის გუნებაზე დადგა, მაგრამ თავი შეიკავა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: სიტყვის შებრუნების გამო გამოდავებოდა თავის დახლიდარს თუ მაკას გამო დაეტუქსა.

ფიქრობდა და ანგარიშობდა.

ფირუზა კარგად იცნობდა მაკას, მის ქმარს, მის საყვარლებს და აშოღლანებს. მაკა არა მარტო თავისი ავხორცობით იყო განთქმული, არამედ მზაკ-ვრობითა და დაუნდობლობითაც იყო ცნობილი. თუ ვინმე მობეზრდებოდა ან ვინმეს ჩამოშორებას მოინდომებდა, არაფრად ულირდა მისი განირვა, ყველას თვალს უხვევდა, ყველას ატყუებდა, საყვარლების ქიშპით ერთობოდა და ამით ამაყობდა კიდეც. ასეთ დროს ყველაზე საშიშარი მოტყუებული ქმარი ან მიტოვებული საყვარელი იყო.

დახლიდარს კი ადვილად ვერ გაიმეტებდა.

მას ფირუზა არც ჯამაგირს უხდიდა, არც მოგებაში უდებდა წილს. ოქროს ქისაზე არც თვითონ ძრავდა კრინტს, არც დახლიდარი იღებდა ხმას. არც მისი ჩაცმა-დახურვა უჯდებოდა ძალიან ძვირად, რადგან ის გამონაცვალი ტანისა-მოსითაც იოზად მიღიოდა. ამას გარდა, გიგავაცილებით იმაზე მეტსაკეთებდა, ვიდრე მასზე ფირუზა ხარჯავდა. ასეთ დახლიდარს ადვილად ვერ იშოვნიდა.

ამიტომ უნდა მოევლო მისთვის და გაფრთხილებოდა. მის დახლიდარსაც ის არ უნდა დამართოდა, რაც მაკას პევრ საყვარელს უკვე გადახდენოდა.

მთელი ლამე ფირუზა მაკაზე ელაპარაკებოდა გიგას, მაგალითი ულეველი ჰქონდა და გატრუნულ დახლიდარს ნინ ულაგებდა, ხან მტკვარში გადაგდებული და დამხრჩვალი ქორია ყასაბი გაიხსენა, ხან უგზო-უკვლოდ დაკარგული მოკრიე მუშტია, ხან ნისქეილებთან მოკლული და დილით ნაპოვნი ბაყალი ელიზბარა, ხან ნმინდა ნიკოლოზის მღვდლის უმცროსი ბიჭი, ჭორფლიანი ჭუცნა, რომელიც მედუქნე შაქროს დანით მძიმედ დაეჭრა, ხან ვინა და ხან ვინ.

გიგა გასუსული უსმენდა. მაკას საყვარლების ხსენებაზე შუბლი ეჭმუხნებოდა, უსიამოვნოდ იშმუშნებოდა, სწყინდა და ბუნებით გაურყვნელი სატრფოს ბინიერებას ვერ ურიგდებოდა; ბოლოს უხმოდ წამოდგა და თავის ლოგინზე უფრო მიეგდო, ვიდრე დანვა.

ფირუზამ ხელები მოიფშვნიტა, ულვაშებში კმაყოფილებით ჩაიკინა: — მაკას გულიდან ამოირეცხავს. თავმომწონეა, თავმოყვარე, ნაყარნუყარს ეგ არ მიეტანება. სანახევროდ სოფლელია. ქალაქურია მბების ჯერ არაფერი გაეგება... კაცმა რომ თქვას, მეც, ვინ იცის, როდის დამენევა, ჯერ შორი გზა აქვს გასავლელი.

რამდენიმე დღის შემდეგ ბოსელში მაკამ ფირუზას ცხვირნინ თეთრი, ნითელნინ კლებიანი ხელსახოცი აუფრიალა და სიცილით უთხრა:

— ეს შენი დახლიდარის ნიშანია, ფირუზ, არ მეგონა, თუ შენისთანა ქალიდევნიას ამისთანა გამოუცდელი ნათესავი ეყოლებოდა. არა, ეგ ზანდაროვი არ არის! — ყურში რაღაც ჩასჩიურჩულა და ხმამაღლა გადაიხითხითა იმის მოლოდინში, რომ ფირუზაც აპყვებოდა, მაგრამ ფირუზა დაბლვერილი იჯდა. მაკამ გაკვირვებით ახედ-დახედა, ფირუზას მაკასთან შორიდან მოვლა არ უყვარდა და უფრო უბრძანა, ვიდრე უთხრა:

— სახლიდან გამოაგდე, პირტიტველა ლანირაკთან საქმის დაჭერა არ გიხდება.

მაკამ მყისვე დაუბრუნა:

— არც შენ გიხდება შაქარ-ყინულით და ალჯანაბადით პირმოთხუპნულ გომბიოებთან კოტრიალი, მერე საყვედური როდის გითხარი? მე რა, შენზე ნაკლები ვარ?

ფირუზამ სიტყვა ბანზე აუგდო და მოკლედ მოუჭრა:

— თუ შენსას არ დაიშლი, შაქროს თავზე დაგაყენებ.

— ეგ არის, შემაშინე! სანამ მინდა, ხელიდან არ გავუშვებ.

— კარგად იცი, მაკა, რომ ამისთანებში ხუმრობა არ მიყვარს.

— არც მე ვხუმრობ, ფირუზ. თუ ნინ დამიდგები, არ დაგინდობ.

ფირუზამ ნარბი არ შეიხარა, მაკას დამცინავად გადახედა, ირონიულად ჰეკითხა:

— მაინც რას მიზამ?

— არ დაგავინყდეს, ფირუზ, რომ მე მირზაჯანა მფარველობს, ქალაქში შარს ვინ ეძებს, რომ მე დამჭირდეს იმის ძებნა? ვაჭარ ხალხში განა ცოტა

საბაბია და მიზეზი კაცის გასაფუჭებლად? — ეუბნებოდა მაკა ფირუზას, თან გრძელი ყელსაბამის თეთრ მძივებს ეთამაშებოდა და პირი უცინოდა, — თუ მოვინდომე, ყველას დაგაჭერინებთ, შენცა, თეთრ ლიზასაც და თქვენს პარტიტველა გიგასაც. ქა! — ნამოიძახა აღტაცებით მაკამ, — ეს რა კარგი სახელი მოვიგონე. დღეიდან ამ თეთრ, ნითელნინნ კულებიან ხელსახოცას პირტიტველა გიგას დავუძახებ!

ფირუზა ისე გახდა, რომ ცხრანაირად ფერმა გადაჟერა და კანკალი აუვარდა. მთავარმართებელთან დაახლოებული მირზაჯანასი არა მარტო თავადებს და აზნაურებს, არამედ ვაჭრებსა და ხელოსნებსაც ეშინოდათ. ნირნამხდარი ფირუზა თავის სამფეხა სკამზე ისე იჯდა, თითქოს ზედ ვინმემ ლურსმნით დაუკრაო. მაკამ გაუცინა:

— აბა, ფირუზ, ეხლა ჩემი ფეხსაცმელები ჩამაცვი ნამოდგომა მეზარება.

ხმელ თივაზე გადანოლილმა მაკამ ფირუზას ორივე ფეხი გაუშვირა. ფირუზა ზლაზვნით ადგა, ცოტა ხანს იყოყმანა, მერე სწრაფად დაიჩოქა მაკას ნინ, ჯერ ერთი ფეხსაცმელი ჩაცვა ფეხზე, მერე — მეორე და ისე კოხტად და ლამაზად შეუკრა ყაითნები, რომ მაკას სიცილი წასკდა:

— ყაითნების შეკვრაზე გეტყობა, ფირუზ, რომ ეგ ხელობა დიდი ხნის ნინათ გაქვს ნასნავლი.

ფირუზამ მორჩილად გაულიმა, მიელაქუცა, გათამამდა, მუხლისთავებზე ხელები გადაუსვა, მაგრამ მაკამ უკმაყოფილო მოძრაობით მოიშორა, გაჯავრებული ნამოდგა ფეხზე და თავის ძველ საყვარელს შეუტია:

— გვეყოფა, რაც ვიმასხრეთ, ეხლა შენთვის აღარ მცალიან!

ფირუზა მოიკუნტა. მაკას ზიზღი გამოეხატა სახეზე. ამ მეტისმეტად გარყვნილ ქალს ერთი ლირსება ჰქონდა, — მხდალი და მშიშარა მამაკაცები არ უყვარდა. ფირუზამ ძლივს გაუბედა:

— კიდევ როდის მოხვალ, მაკა?

მაკამ დამცინავად შეავლო თვალი, აგდებულად გადმოუგდო ზიზღნარევი სიტყვა:

— რა კი სახეზე მურიჩამოგისვი, აქალარ მომესვლება, — გატრიალდა და ნაეგდა.

ფირუზა მიხვდა, რომ ვეღარც ხვენნა უშველიდა, ვეღარც დადევნება.

## 5. ტრიიალი

ვინცა გნახოს, კვლავცა გნახოს, არ იქმაროს, კიდევ გნახოს.  
გრიგოლ ორბელიანი

როცა თეთრი ლიზა ეკლესიიდან დაბრუნდა, ხოლო გიგა — ქარვასლიდან, მათ ფირუზა ვეღარ იცნეს. მედუქნე ერთბაშად დაბერებულიყო, ჩიბუხიანი ხელი უკანკალებდა, გრძელი თეთრი ულვაშების ბოლოები უცახცახებდა,

სახეზე ფერი არ ედო და დამფურთხალი, შეშლილივით იყურებოდა. შეშტოთ ბული თეთრი ლიზა ქმარს მივარდა, შეანჯღრია, ვიმვიმით დაეკითხა:

— ფირუზჯან, ეგ რა მოგსვლია? ეგ რანაირად გამხდარხარ?

ფირუზამ თავიდასანყლა, ხელები უმწეოდ გამსლა და ძლიერ ამოლუდებულა.

— დალაქს დაუძახეთ... ნურბლები დამაყაროს... გაზაფხული დადგა და ეს დროზე უნდა მომგონებოდა...

გიგა კუსპარა დალაქთან გაიქცა. თეთრი ლიზა წალოს ეცა და ლოგინი გადმოილო. გასავათებულ ფირუზას კისერზე ნურბლები დააყარეს და მოაბრუნეს, მაგრამ ვერც ფეხზე წამოაყენეს, ვერც გუნება გამოუკეთეს, ლოგინს ლესავდა და ადგომა ალარ ახსენდებოდა.

კვირის ბოლოს ფეხზე დადგა, მაგრამ ცხვირს მაინც მინაზე დაათარევდა, რაღაცნაირად გულნაღელიანს და დაზაფრულს თეთრი ლიზა უკან დასდევდა და წამდაუნუმ კატისნამალას წვეთებს უსხამდა სათითისოდენა ჭიქაში.

ფირუზას მაკას დაკარგვა ენანებოდა, ცამეტი ნლის ჭუჭყიანი და პირმო-თხუპნილი გოგოს გახსენებაზე თავის ახალგაზრდობაც აგონდებოდა, მაგრამ უფრო მეტად თავისი დახლიდარის ბედი ანუხებდა.

თუ გაბოროტებული მაკა მოინდომებდა, ნაყმევ-ნაგლეხარ გიგას მირზაჯანას დააჭერინებდა, პოლიცია გამოძიებას შეუდგებოდა და მასაც, როგორც გამო-ქცეული გლეხის მფარველს, ზედ მიაყოლებდა. ნარამარა აგონდებოდა მაკას მიერიჭვნეულად წათქვამი: „არა, ეგ ზანდაროვიარარის“ და ძილს უფრთხობდა.

ფირუზამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, რათა მაკა არ გაეღიზიანებინა. მაკას ახალ გატაცებას წინ ალარ დაუდგა, თუმცა საშიშროება გიგას ამ მხრი-ვაც ემუქრებოდა.

ფირუზა მაინც ფრთხილობდა და იმის თადარიგს იჭერდა, რათა გამოუც-დელი დახლიდარი ხიფათს არ გადაჰყუროდა. გიგას ფეხდაფეხ ისე დასდევდა, რომ იმას არაფერი შეემჩნია. როცა თავზე ქუდჩაკეცილი, ყელზე მერდინ-გადაგდებული გიგა მაკასთან მიდიოდა, ფირუზა დუქანს ცოლს აბარებდა, თვითონ კი შაქროს დუქნისკენ გარბოდა, რათა ის ლაპარაკით გაერთო და შინ წასვლა არ მოჰვონებოდა.

მაკა ერთგულ მოახლეს ყარაულად აყენებდა. საყვარელს ყელზე ეხვეოდა, უსურვაზივით ეტმასნებოდა, გულისთქმას ცხელი ეოცნით უღვიძებდა. ათასი კაცის ხელში გამოვლილმა და ათასნაირად წაცადმა და გამოცდილმა ქალმა კარგად იცოდა, როგორ მოეხიბლა და მოეჯადოებინა ახალგაზრდა და სრულიად გამოუცდელი საყვარელი. არშიყნი ტახტზე სხდებოდნენ სალალობოდ და საალერსოდ. მაკა ისე მარდად და ისეთი ვნებიანი მიმზიდველობით იხსნიდა საკინძის დუგმებს და კაბის ლილებს, რომ მის საყვარელს ზედ ანთებული თვალირჩებოდა. დაროცა თეთრგვრემანი, მაყვლისფეროთვალება, თმაგიშერა, ჭანნაკეთიანი და გრძელფეხა მაკა მის წინ შიშელდებოდა, თავბრუდახვეულ გიგას ამქვეყნად ყველაფერი და ყველაფერი ავინყდებოდა. შემდეგ შმაგური ალერსით და მტლაშამტლუშით მოქანცულნი ერთმანეთს მცხრალი და

დალუილი ღიმილით შესცეკროდნენ. ვაუი სატრფოს გრძელ ნაწნავს ეთამა-  
შებოდა, ხელზე იხვევდა და ზილფებზე დასხმული ვარდისნყალი ოდნავ თავს  
უბრუებდა, ქალი მთქნარებით ეკითხებოდა:

— მართლა დადიოდი მაშრიყის ქვეყნებში? მაშ, ეგეთი ფერმიხდილი სახე  
რათა გაქვს? შენი გარეგნობაც სოვდავრისა არ არის. მაგნაირი სუფთა პირი-  
სახე მაღრიბულად ჩაცმულ კნიაზებსა აქვთ.

მაკას მირზაჯანას ქეიფების სტუმრები აგონდებოდა და უნებლიერ უდა-  
რებდა მათ მედუქნის საოცრად ლამაზ დახლიდარს. თავდავინყებული გიგა  
თავის თავგადასავალს მაკას ისე უყვებოდა, როგორც ეს მას თავის დროზე  
ფირუზამ დაასწავლა. მაკა მაინც ეჭვიანად აქნევდა თავს:

— ესეც არ იყოს, სად შენა და სად ფირუზა?! აბა, ორთავენი ზანდაროვები  
როგორ იქნებით?

მაკას ჩამოკრულებით ნათქვამი გიგას უკვირდა, მაგრამ ყურადღებას არ  
აქცევდა. არც დაფიქრების დრო ჰქონდა.

მაკა ისეთი ცხარე კოცნით ისტუმრებდა ახალგაზრდა საყვარელს, რომ  
მისი გემო ვაუს ფირუზას დუქნამდე მიპყვებოდა, სულსნრაფი მოუთმენ-  
ლად თვლიდა საათებს, რათა სატრფოს სახლთან ხელახლა მისულიყო, მის  
ფანჯარაში თეთრი, ნითელნინნკლებიანი ხელსახოცი დაენახა და მასთან  
სალერსოდ ასულიყო.

ერთხელ მაკამ თავის საყვარელს მოულოდნელად ჰქითხა:

— რას იზამ, ჩემმა ქმარმა რომ მოგვასნროს?

— რა უნდა ვქნა? — მიამიტად უპასუხა საყვარელმა.

— მაღალი მყევხარ და სხვებსავით თახჩაში ვერ დაგმალავ.

გიგამ იუკადრისა და ჩექმის ყელში ჩადებულ ბებუთს გადახედა. მაკამ  
გულგრილად უთხრა:

— მაგისთანებით ვერ გამაკვირვებ, შენ ის მითხარი, ჩემთვის რატომ არა-  
ფერი მოგაქვს? რატომ არაფერს ყიდულობ?

გიგა დაიბნა, სატრფოს თხოვნის დაკმაყოფილება არ შეეძლო, რადგან  
ჯიბეში არასდროს გახვრეტილი გროშიც არ ედო.

## 6. ჩხუბი

ოჳ, სიმდიდრევ, სიმდიდრევ! შენ დაგდევს უკან ყოველი ქვეყნიერი  
ბედნიერება! შენ გიჭირავს ხვლში სიყვარულიცა და სიმძულვარეცა.  
გრიგოლ რჩეულიშვილი, „შეძლილი“

შინ უგუნებოდ დაბრუნდა.

დიდხანს უტრისალებდა აივანზე მჯდარ ფირუზას, რომელსაც იდაყვები  
დასტანდაზზე დაეყრდნო, ჩიბუხს აბოლებდა და ბოსტანში მომუშავე თეთრ  
ლიზას უყურებდა.

გიგა გვერდით ამოუდგა, თავი მოიქექა, ცხვირზე ხელი წაიკლო, დაახველა, ხმაში ხრინნი გაუჩნდა და როგორც იქნა, ამოთქვა:

— ფირუზჯან, თუ ძალიან არ გენყინება, იმ ოქროს ქისიდან ერთი ოქრო მომეცი.

ფირუზა სკამზე ისეთნაირად შეტოვდა, თითქოს მოულოდნელად ვინმეგ თავში კეტი დაჰკრაო. პირი დააღო, გაუკვირდა, მაგრამ მაღლე მიხვდა, თუ საიდან უტევდა მას მაკა. გაბრაზდა და დახლიდარს დაუყვირა:

— რის ქისა, რა ქისა? დალოცვილო, ის ოქროს ქისა, განა, რამდენ ხანს უნდა გვყოფნოდა? აბა, ერთი კარგად იანგარიშე, რამდენი ხანია გასული, რაც ჩვენთანა ცხოვრობ? აბა, ერთი კარგად დაფიქრდი და გასინჯე! ან ჩაცმას არ უნდა ფული, ან დახურვას, ან ჭამას, ან სმას, ან აპანოს, ან დალაქს, ან ფოსტას, ან მოხელეს, ან მალსა და მახტას! რომელი ერთი მოვთვალო! დაულეველი რა არის, რომ შენი ქისა არ დაცარიელებულიყო? განა რამდენი ფული იყო იმ ოქროს ქისაში?

გიგამ ეს ახლაც არ იცოდა, ამიტომ ფირუზას ვერც ვერაფერს ეტყოდა.

ქმრის ყვირილზე თეთრმა ლიზამ ყურები ცქვიტა, ბარი ხელიდან გააგდო, აივანთან ახლოს მივიდა და ფირუზას დახლიდართან ჩხუბით ლაპარაკს ყური დაუგდო.

ფირუზამ სწრაფად შენყვიტა ოქროს ქისაზე ლაპარაკი, დარცხვენილ დახლიდარს გამომცდელი თვალებით დააცქერდა და ჩაეკითხა:

— მაინც რათ გინდა ოქროს ფული?

— ქალალაია მინდა ვიყიდო... — სვენებ-სვენებით წარმოთქვა ყაყაჩოსავით განითლებულმა დახლიდარმა.

ფირუზა შეხტა და შემოტრიალდა.

— ქალალაია?! მერე დედაკაცი ხომ არა ხარ, რომ ქალალაია მხრებზე მოისხაან მკლავზე გადაიგდო? ლიზავე, გესმის რას ლაპარაკობს ჩვენი პატიო-სანი შეიღლობილი? — იღრინებოდა და იკბინებოდა ფირუზა, — შენ პირდაპირ მითხარი, გუნებაში რაცა გაქვს, რა შორიდან უვლი? მაშ, შენ შენსას აღარ იშლი, რაღა! ბოზურობაში გინდა ფული ხარჯო და მედუქნე შაქროსავით გამაკოტრო?

— მაშ, მაშ! — კვერს უკრავდა ქმარს თეთრი ლიზა, რომელსაც უკვე გაგებული ჰქონდა მაკასთან გიგას ურთიერთობის ამბავი და ქმარზე უარესად იყო შენუხებული, — ჩვენს უბანში შაქროზე შეძლებული მედუქნე სხვა ვინ იყო? მაგრამ, დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, გროში არ ექნება, რომ შუბლზე მიიკრას.

— შენ ეგა თქვი და! — თავს უქნევდა ფირუზა ცოლს, — მაგრამ რათ გინდა; ამას ეგ, ეტყობა, მაგალითად არ გამოადგება, მერე რისი იმედი აქვს? ჩემი დუქნის? არა, არა! ჯერ ისე არ გავგუებულვარ, რომ ქალალაიას სასყიდლად ხელი ჩემს დახლში ჩაგაყოფინო, როცა საკუთარი დუქანი გექნება, მაშინ ვინ დაგიშლის, ბაზაზები ჩამოიარე და რომელი ქალალაიაც არ მოგენონება, შენც ის იყიდე.

— მაშ, მაშ! მაშინ დამშლელი ვინ უყოლება? — თუთიყუშივით იმეორებდა ფირუზას სიტყვებს თეთრი ლიზა.

— ჰოდა, ჩემი უკანასკნელი სიტყვა ეს არის, — განავრძო ცოტათი დაწყნარებული მედუქნებ, — მე და ლიზას ამ საჭმეზე ხელი დაგვიძანია, შენ კი, როგორც გრძდა, სე მოიქცი.

ფირუზამ ქუჩაბანდისკენ გაიხედა, ორივე ხელი ფართოდ გაშალა, შუბლი კინაღამ დასტანდაზს დაკრა და ასეთნაირად თავის დაკვრას დამცინავად ზედ დააყოლა:

— საიდანაც არ მოსულხარ, გზაც იქით დამილოცია!

დახლიდარმა არც ქუჩაბანდისკენ გაიხედა, არც გუდა-ნაბადი აიკრა, სიტყვა აღარ დასძრა, ოთახში შევიდა, ფანჯარასთან ჩამოჯდა და შორიდან თვალი იმ აღმართს გაუსწორა, საიდანაც მედუქნე შაქროს სახლისაკენ მიმავალი ქუჩა იწყებოდა.

## 7. გევედრა დავით გერმანოზიგვილთან

მარკენიკ საბილიარდო სახლია, იქ რუსი ოფიცირები

თამაშობენ და ხმაურობენ.

ფრიდრიხ ბოდენშტედტი, „1001 დღე“

დალონებული და უფრო მეტად გაპირყვითლებული გიგა გაოგნებული და-ფოდა, მაკას დავინცება არ შეეძლო, ხელცარიელი კი საყვარელთან მისვლას ვერ ბედავდა, ტყუილად ეკიდა მედუქნე შაქროს სახლის ფანჯარაზე თეთრი, ნითელნინჯელებიანი ხელსახოცი.

გულის გადაყოლებას გიგა თავის ახალგაზრდა მეგობრებში ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, მაკა განუწყვეტლივ თვალწინედგა, თავისთან ეძახდა, ამას ზედ ისეთი რამ დაეკრო, რამაც ისედაც აფორისქებული ყმანვილი კაცი კიდევ უფრო ააფორიაქა.

რიყეში ერთ გადმოკარგულ გერმანელს ყავახანა და საბილიარდო ჰქონდა გამართული, იქ მისვლა-მოსვლა არასდროს წყდებოდა, ყავახანა მუდამ ოფიცირებით იყო სავსე. მათი ცხენები ყავახანის წინ ჯარისკაცებს აღვირებით ეჭირათ და საათობით უცდიდნენ თავიანთ უფროსებს, რომელნიც ფულს ჭირვეულ კარტს და ბილიარდის ბურთს სწირავდნენ.

იმ დღეს გიგა თავის ამხანაგებთან ერთად აბანოში დროს გასატარებლად მიდიოდა, შეა ქუჩაში ხელიხელგადახვეულნი სიმღერით მოდიოდნენ და თან, რათქმა უნდა, თვალი აივნებზე რჩებოდათ, მზიანამინდში აივნებსა და სახლის ბანებზე გამოფენილ რძალ-გოგოს შეჰეროდნენ და მტრედებს უფრენდნენ. გერმანელების ყავახანას რომ მოუახლოვდნენ, გიგა მეხდაკრულივით ერთ ადგილზე გახევდა და ფერი ეცვალა, ყავახანიდან გაბოროტებული სახით

დავით გერმანოზიშვილი გამოვიდა, ნაბატონარი და ნაყმევი ერთი ნამით ერთმანეთის პირისაპირ აღმოჩნდნენ.

ფანდურაანთ იოსებს თუ ზანდარაანთ გიგას, მან უკვე აღარ იცოდა, ვინ იყო და რაიყო, ძველი შიში ახალი ძალით შემოენთო და ამხანა გების მხრებიდან მკლავები ცივად ჩამოილო, სხვებიც გაჩერდნენ. დავით გერმანოზიშვილს ფეხს და ფეხს მოჰყვებოდა გადაფითრებული რუსი ოფიცერი, რომელსაც მარცხენა ლოყაზე გარტყმული სილის კვალი ემჩნეოდა. მათ თან კიდევ ორი ოფიცერი მოსდევდა, ყველანი საჩქაროდ ცხენებზე შესხდნენ, ქუჩაში გააჭენეს და მაღლე თვალს მიეფარნენ.

ყველაფერი ერთ ნამში მოხდა.

— რა მოხდა? — დამტკრეული რუსულით ჰკითხა ვიღაცამ რუს ჯარისკაცს.

— დიდი არაფერი, — თქვა ჯარისკაცმა, — კარტის თამაშის დროს აფიცერები შელაპარაკდნენ და ჩხუბი მოუვიდათ. იმან, ვისაც სილა გაარტყეს, დუელში უნდა ჩამოიბანოს თავისი სირცხვილი.

— მაშინი ერთმანეთის დასახოცად ნავიდნენ?

— ჰო. იქიდან მარტო ერთი დაბრუნდება, — გულგრილად უპასუხა ცნობის მოყვარე მოქალაქეს ჯარისკაცმა.

გიგა დაფიქრებული იჯდა ანთებული მაშალის ქვეშ. უგუნებოდ იყო, დალვრემილი და მოწყენილი, არც ქეიფში ერეოდა, არც სიცილ-ხარხარში, არც მეზურნეთა დასტის სიმღერებს უგდებდა ყურს. სუფრის მეინახეებმა მისი გამხიარულება სცადეს, მაგრამ სევდის მიზეზი რომ ვერ გაუგეს, ყიუინა დასცეს: „შეყვარებული ხარო. გვითხარი, ვინ არის, სადა ცხოვრობს, ვისი ქალია, რომ მივუცვივდეთ და შენიდამდა გველი მოვიტაცოთ“. შუბლდაჩრდილული გიგა გონების თვალით ხედავდა ორ ოფიცერს, რომლებიც ერთმანეთს დამბარებს უმიზნებდნენ. ამ ორიდან სასიკვდილოდ განწირული მხოლოდ დავით გერმანოზიშვილი ეცემოდა. გიგამ აბანოში ვერ გაძლო. დიდხანს დაეხეტებოდა გერმანელის ყავახანის ნინ, მან მხოლოდ მეორე დღეს გაიგო, რომ თავად გერმანოზიშვილს მოწინააღმდეგე მძიმედ დაეჭრა, თვითონ კი უვნებლად გადარჩენილიყო. გიგას საშინლად ენყინა. ისევ ფრთხილად უნდა მოქცეულიყო, საეჭვო ადგილებისათვის შორიდან მოევლო და იქ არ გამოჩენილიყო, სადაც თავადები და ოფიცირები იყრიდნენ თავს. უკვე დიდი ხანი იყო, რაც თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ მარმარილოს ნყაროზე ჯერ ნყალი არ დაელია.

ფირუზას მაღლე თვალში მოხვდა მისი დაფეთებული, მოუსვენრად მაცქერალი სახე, რომელზეც სასონარკვეთილი შიში და ძრნოლა აღბეჭდილიყო. მედუქნემ ეს თავისებურად ახსნა, იქედნურად გაელიმა და დახლიდარს ნიშნის მოგებით ჰკითხა:

— რაო, დახლიდარო, შაქრო დაგაყენეს თავზე?

დახლიდარმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— მაშ, რა მოხდა? რა დაგემართა? რამ დაგაფრთხო?

გიგამ სივრცეს უფრო უთხრა, ვიდრე ფირუზას:

— დავით გერმანოზიშვილს შევხვდი.

ფირუზას პირკატა ეცა. არ მოელოდა, თვითონაც დატურთხა, დახლიდარს ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა, საქმის ვითარება ყოველმხრივ ანონ-დანონა და გამოსავალს ძებნა დაუნეო, რათა დახლიდარიც ვადაერჩინა და თვითონაც გადარჩენილიყო.

ლაპარაკი არ უნდოდა: თუ დავით გერმანოზიშვილი გიგას მიაგნებდა, არც მას ჩაუვლიდა უბრალოდ გამოქცეული ყმის სოვედავრის ნაშეგირდა-ლად გასაღება. ყველაფერი ოხრად დარჩებოდა, ნამოვნიც და ნაქურდალიც, სახლიცა და დუქანიც.

სწორედ ამიტომ ფირუზა მთანმინდის ქუჩებში ხეტიალს შეუდგა. მან კარგად იცოდა, სად იყო გერმანოზიშვილის სახლი, რადგან როდესაც თავზე თაბახდადგმული ხილითა და ხრამულით ვაჭრობდა, ამ სახლშიც ჰყავდა მუშტრები.

ნანახი ჰყავდა დავით გერმანოზიშვილიც, მისი და მანანაც და მათი ხნიერი გამდელიც. ფირუზას სწორედ ამ დედაკუთან შეხვედრის და გამოლაპარაკება უნდოდა, ოღონდ იმას ფიქრობდა, ჯერ ისევ ცოცხალი იყო თუ არა მუდამ ჰყებში ჩაცმული და ფეხშიშველი დედაბერი.

ბედმა მალე გაულიმა.

ერთ საღამოხანზე გერმანოზიშვილების სახლის აივნიდან ნაცნობმა დედაუაცმა ვადმოსძახა:

— გამარჯობა, ფირუზ.

— გაგიმარჯოს, გაიანე, — თავაზიანი სალმით ახედა აივანზე გადმომდგარ დედაბერს ფირუზამ, ქუდი მოუხადა და თავი მდაბლად დაუკრა.

— ეაცო, სად დაიკარგე, რა ინა დაიდე ფეხზე და ჩვენს უბანში ალარ გამოჩინდი? ან შენი თაბახი სად არის, ან შენი ვირი?

— აღარც თაბახი მაქვს, აღარც ვირი მყავს. ჯერ ვმეწვრილმანეობდი, ეხლა მელუქნეობით ვირჩენ თავს.

— ყოჩალ! დაგტყობია კიდეც. მთვარესავით გაბადრულხარ, გეტყობა, არც ზუთხი გაკლია, არც ხიზილალა, — დედაბერმა უქბილო პირი გამოაჩინა და ფირუზას გაუკინა...

ნასიამოვნებმა ფირუზამ თავი ისევ მდაბლად დაუკრა.

— ისე ეკიყველას გვაგონდები, — განაგრძო გერმანოზიშვილების გამდელმა, — განსაკუთრებით კნიაზ დავითს! ეხლაც იგონებს ხოლმე შენი ქორფა ბოლოკების კონებს და ვემრიელ ხრამულს.

ფირუზამ დრო უხელთა, დედაბერს ასძახა:

— კნიაზი დავითი როგორ ბრძანდება?

დედაბერს ჩრდილმა ვადაურბინა სახეზე, დაღონდა, ფირუზას თავის კანტურით და წუნუნით ჩამოსძახა:

— რაღა როგორ ბრძანდება! კინალამ ჩხუბში რუსის აფიცერი შემოაკვდა, ან აპატიეს და ისევ დალისტანში გაგზავნეს იქაურ ჯარებში საომრად.

ფირუზას ისე გაუხარდა, რომ უნდოდა თავდალმართში ეისრისტებით და კეპულიყო, ეუკიაზე გავარდნილიყო და ეს ამბავი თავის დახლიდარისათვის ეხარებინა, მაგრამ თავი შეიკავა და დედაბერს ყასიდად ჰქითხა:

— შენ როგორლა ხარ, გაიანე? რასა იქ, როგორა ცხოვრობ?

— როგორ უნდა ვიყო? ფეხები მტკიცა და ბაზარში ვერ ჩავდივარ. მსახურად კი ისეთი ზარმაცი და ცუდლუჭი იმერლის ბიჭი გვყავს, დილით ნასული ბაზრიდან სალამოს ძლივს ბრუნდება. მე და ჩემი პატარა ქალბატონი სანახურიდ მშივრები ვართ. მალე სოფელში წავალთ, იქ დავრჩებით, სანამ კნიაზი დავითი დაბრუნდება, მოგვხედავს და გვიპატრონებს.

ფირუზამ გასაგები გაიგო, დედაბერს ისევ თავი დაუკრა, თავდალმართს ჯერ ტატით დაადგა, მერე თანდათან ნაბიჯს მოუჩეარა, ბოლოს მოკურცხლა და ეს ხანდაზმული მამაკაცი თითქმის სირბილ-სირბილით მივიღა კუკიამდე. დუქანში შევარდა და გიგას ახარა:

— სამახარობლო და მაღარიჩი შენზეა! საქმე სწორედ ისეა, როგორც შენ გაგიხარდება — დახლს მოუჯდა და გივას ყველაფერი უამბო. გახარებული გიგა ფირუზას გადაეხვია და „შენიჭირომეს, შენ შემოგევლეს და შენ გენაცვალეს“ ძახილით უკოცნიდა ლოყებს, კისერს, დიდი თავის მოტვლებილ აღგიღუბს, ყურებს, გადღრენილ ცხვირს, თვალებს და არიცოდა კიდევ რა ექნა, როგორ და რანაირად გადაეხადა მისთვის მადლობა. გულაჩუყებულმა ფირუზამ ხელი აუქნია:

— მოიცა, მოიცა-მეთქი, შენ მე მაյა ხომ არა გვინივარ?!  
გაიცინა და დახლიდარიც გააცინა.

## 8. პაურთხილება

დავინახე, რომ უფსკრულის ზედ კინნირაზე ვიდექი და ერთ წამს კიდევ რო დავრჩენილიყავ ამ კინნირაზედ, ნიავი გარეუნილებისა გადამაგდებდა უფსკრულში.  
ლავრენტი არდა ზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშეილი“

თითქმის ერთდროულად გიგამ სხვა სიხარულიც განიცადა. ქუჩაბანდის ბოლოს მაյა მას ნინ დახვდა და თავისთან ნაიყვანა. ფირუზას ეს არ გამოეპარა. დახლიდარს გადაჭრით მოსთხოვა:

— მაյას თავი გაანებე, რამდენჯერ უნდა გითხრა? შენი ფანდი არ არის. გიგამ ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა:  
— მიყვარს, ფირუზჯან!  
— დაივინყე. ერთიც ვნახოთ, იმის ქმარს ვინმემ ყურში სიტყვა ჩაუგდო, მაშინ რასა შვრები?  
— მაგისთანების არცა მშინებია, არც მეშინიან! — ამაყად უპასუხა გიგამ. ფირუზამ გაკვირვებით ახედა:

— მაშ, დავით გერმანოზიშვილის რათ გემინიან?

— გერმანოზიშვილის... გერმანოზიშვილის... — აპნა გიგა და პირი გაუყვითლდა, — ის ჩემი ბატონია, მე იმისი ყმა ვარ, რასაც უნდა, იმას მიზამს. ძალა და სამართალი იმის ხელშია. მარტო რომ შემხვდეს, ნარბს არ შევუხრი, გაგრამ რომ დამიჭიროს, გაჩენის დღეს მანყევლინებს. შაქრისთანა ვერ შეგმინებს, ჩემი ფანდია.

ფირუზა ჩაფიქრდა. მან მაკასაგან იცოდა, რომ გიგასთვის ის პირველი დედაკაცი იყო. ამიტომ გიგა არაფრის ნინაშე არ დაიხევდა, რათა საყვარელი ქალი შეენარჩუნებინა და მეტოქეები ჩამოეცილებინა. სამაგიეროდ, მაკა არ დათმობდა თავის საყვარლებს და არც ისინი დათმობდნენ მაკას. ხიფათიც ამის გამო იხლართებოდა. გიგასთვის ქმარზე უფრო საშიშარი მაკას საყვარლები იყვნენ. ფირუზას სწორედ ეს ანუხებდა და აფიქრებდა. დახლიდარს ჭკუას არიგებდა, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა. გიგა ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— მიყვარს, ვერ დავთმობ!

ფირუზა თეთრ ლიზასაც იშველიებდა ხოლმე, როცა გიგას მაკას ამბებს უყვებოდა.

— თუ ჩემი არა გჯერა, ლიზას ჰეითხე, რამდენი კაცი დალუპულა მაკას ნყალობით, რამდენი გაფუჭებულა, რამდენი გალარიბებულა და ცოლ-შვილი ულუქმაპუროდ დაუგდია. არ მითქვია? ეგ კაცს გვერდში ისე არ დაიყენებს, თუ ხელში არაფერი დაუნახა. ბრჭყვიალა რამისთვის სადაც გინდა, იქ გაგორდება, ბაჯალლო ოქროსთვის კი — ნულარ იჟითხავ! უბნის ქალებს შელოცვილი ავგაროზები თათრის მოლებთან დააქვთ, რომ იმათ ქმრებს მაკამ თვალი არა ჰერას. რატომ არ მაფასებ, დედაკაცო? ხატს, მე და ჩემმა ღმერთმა, ცხრა სანთელი უნდა დაუნთო, რომ თათრის უბანში არ დაგარბენინებ!

თეთრმა ლიზამ პირიდან ალჯანაბადის კურკა გამოიღო, რათა მისი სიტყვები ქმარს კარგად გაეგონა:

— მოიმწვანილე და ეხლა მაგას მეუბნევი? ავგაროზები მე სხვებისთვის მჭირდება!

ფირუზას გაცინება უნდოდა, მაგრამ არ გაეცინა, პირიქით, ცოლს შეუტია:

— ჩემს გათათხვას ისევ ის გირჩევნია, შვილობილს უშველო! ის დროა, მაგის გულისთვის თათრის უბანში გარბოდე!

— მაშ, მაშ, — ვიშვიშით ნარმოთქვა თეთრმა ლიზამ, რომელიც ხელისგულზე ალჯანაბადს იღავებდა, ორი თითით კენკავდა და პირს იტკბარუნებდა, — მაგისმა სიცოცხლემ, დამე დარდით არა მძინავს.

თეთრ ლიზას ერთი ავგაროზი თათრის მოლასთან ქმრის სახელზე ჰქონდა ნაღებული, მეორე — გიგას სახელზე. ამიტომ დამშვიდებული იყო და ალჯანაბადის ჭამით იყო გართული. ქმრის ლაპარაკს მხოლოდ ცალი ყურით უგდებდა.

მაგრამ გიგას სიყვარული და მაკას გატაცება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ფირუზას დარიგებანი და თეთრი ლიზას თათრის უბანში მოლასთან სირბილი.

ერთხელ ხიდის ყურეში მეტივე ასლამაზამ ფირუზა გააჩერა, ხელი მოჰკიდა, განზე გაიყვანა და უთხრა:

— შენი დახლიდარი კარგი ყმანვილი ჩანს, ცუდს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მაკასთან რა უნდა? საცოლე ბიჭია, მაკას ფანდი არ არის. ან შენ რათ გინდა, ან იმას რათ უნდა უბრალოდ გაფუჭდეს? მაკას ჩემისთანა თავზე ხელალებულები ეტანებიან ან ფულიანი ბაზაზები და ბაყლები, რომელთაც დაბერებული ან ავადმყოფი ცოლები ჰყავთ, ესენი საშიშნი არ არიან. არც მე ვახლებ ხელს, კინტოებს და პაუარნი დარდიმანდებს კი მოერიდოს და თავი შორს დაიჭიროს.

ფირუზამ გაიოცა, გაიკვირვა:

— რას ამბობ, კაცო, ჩემს დახლიდარს მაკასთან რა უნდა?

ასლამაზას გული მოუვიდა:

— კარგი ერთი, პაპაჯან, ყველა შენ გინდა გააცურო? როგორ ვვონია, სხვებს ჭკუა არა გვაქვს? სწორედ გუშინ მითხრა მაკამ, რომ ეგ ამბავი შენც კარგად იცი. ჰო, ამასაც გეტყვი, შენი ლამაზი დახლიდარი გუშინ მაკამ სახლიდან გამოაგდო. მაგისთანა უფულო ჩასპანდები მაკას ერთი-ორჯერ სჭირდება, მალე ბეზრდება და ხიფათიც სწორედ ამ დროს ინყება.

ფირუზამ ეს ყველაზე კარგად იცოდა, წუნუნს მოჰკვა:

— ბევრჯერ დავუშალე, მაგრამ არ დამიჯერა. ეგ ისეთ მაღალ ჯორზეა შემჯდარი, რომ ადვილად დაბლა ფეხს ვერ დაადგმევინებ.

მეტივე ასლამაზამ გაიცინა:

— აკი წელან ამბობდი, არაფერი ვიციო?

— დალოცვილო, მაში ბაირალს ხომ არ გამოვაკრავ და ხალხს არ შევყრი? ეგ მარტო ჩემი დახლიდარი კი არ არის, ნათესავიც არის.

— ჰო, მართლა, — მოაგონდა ასლამაზას, — გუშინ მაკა იმასაც ამბობდა, ერთი მირზაჯანას უნდა გამოვაკითხინო, ეგ აყლაყუდა დახლიდარი ფირუზას სანკრიმალოში როგორ მოხვდაო? პაპაჯან, მაკა შენ რაღათ გემტერება?

— ჭკვიანი კაცი ხარ და არ უნდა მეკითხებოდე. განა ჩემი დახლიდარისათვის რომ არ დამეშალა, მაკა გადამეციდებოდა?

— ჰო, ეგეც მართალია, — თქვა მეტივე ასლამაზამ, ფირუზას თავი დაუკრა და მტკვრისაკენ გაუხვია.

ფირუზა კი ისევ დიდხანს იდგა ხიდის ყურესთან დაფიქრებული და დაძმარებული. საქმე სახუმარო აღარ იყო. მირზაჯანას ჩარევა ზანდაროვების ოჯახურ საქმეებში დავით გერმანოზიშვილსაც გამოაჩენდა, მაგრამ დახლიდარზე გაჯარებულმა და გულმოსულმა ფირუზამ ერთი შეცდომა დაუშვა. მან მეტივე ასლამაზას ნამინბიდან სწორედ საამისოდ ნათქვამი გამოტოვა. სამავიეროდ, მაკას სახლიდან გიგას გამოვდების ამბავი დაიხვია ხელზე, რათა ამაყი და თავმოყვარე დახლიდარისათვის გული მოეცალა და თავზე ცივი წყალი გადაესხა. გიგა ისეთნაორად გაბრაზდა და ქალაქურად ისე უნმანურად შეიგინა, რომ თეთრი ლიზასატად დარჩიდა ნამოწილდა კიდეც. ფირუზა კი სიხარულისაგან კინალამ ფეხზე ნამოხ

ჭა. მის წინ სწორედ ისეთი დახლოდარი იყვა, როგორიც მას დიდი ხანია უნდოდა ყოფილოყო. სადღა იყო დარცხვენილი, დამიკროსალი და შემინებული ტეტია? ამ ჯაჭა, ეს ფირუზამ ახლა კარგად იცოდა, საითაც სურდა, იქნო ნაიყვანდა. მისი ხელიდან გაშვება აღარ შეიძლებოდა, მას პატრიონია და გაფრთხილება სტირდებოდა. მით უფრო მეტი მონდომებით შეუტის გაჯიუტებულ გიგას, არ ერიდებოდა და ნამდა უწყმ ეუბნებოდა:

— გეყოფა, ხელი აიღე, ნუთუ არ გეყოფა, რაც ზანდაროვებს სირცხვილი გვაჭამე? დავიჯერო, ქვეყნის დალდალანი არ მოგბეზრდა?

— აკი გითხარი, ვერ დავთმობ-მეთქი, — ჯიუტად იმეორებდა შეყვარებული დახლიდარი.

— თავი გაანებე, თორემ სახელი გაგიტყდება, — უმტკიცებდა მოთმინებიდან გამოსული ფირუზა, — სოვდაგრები დაგინუნებენ, პატიოსანი ოჯახიდან ქალს ცოლად არავინ მოგცემს.

გიგა თავისას არ იძლიდა. მასზე არც ფირუზას სიტყვა ჭრიდა, არც მუქარა მოქმედებდა.

ძუნნი და ფულს დახარბებული მედუქნე როგორმე რომ ესიამოვნებინა, გიგამ ერთ დღეს ყომარში მოგებული ფული მოუტანა. ფირუზა ისეთნაირად აენთო, ისეთნაირად აყვირდა და ისეთნაირად გაუნითლდა სახე, რომ თეთრ ლიზას შეეშინდა, მის ქმარს წვეთი არ დასცემოდა. ფირუზამ გიგას ფული თავზე გადააყარა, ზედაც არ დახედა, ყვიროდა და ილანძლებოდა:

— არა, ამ გლეხუჭას ვერ უყურებთ! ხედავთ, რანაირად დაატრიალა საქმე ამტეტიამ! მაშ, სოვდაგრობას ყომარბაზობა გირჩევნია? კინტო გინდა გახდე, თაბახი გინდა დაიდგა თავზე? ავარების ამქარში გინდა მოხვდე? მე და ჩემი საწყალი ცოლი იმისთვის ვიდგამო წელებზე ფეხს, რომ ჩვენს მონაგარზე ლითები და გარყვნილები აპარპაშო? აი, რა იცის კახპებში თრევამ. დაიკარგე აქედან, თვალით აღარ დამენახო, კინტოებთან და ავარებთან საქმე არა მაქვს. ეგ ფულები მაკას ნაულე, ზიზილპიპილებისთვის დასტირდება. რაღას უდგახარ? გატრიალდი და ჩემი სახლიდან გაეთრიე. ბევრი ვითმინე, მაგრამ მეტს აღარ მოვითმენ.

ყვირილმა ფირუზა კინალამ დაახრჩო. შემინებულმა თეთრმა ლიზამ ქმარს ცივი ნყალი მოურბენინა.

ორი კვირის განმავლობაში მედუქნე და დახლიდარი ერთმანეთს ხმას არა სცემდნენ, ცხვირს უწევდნენ.

თეთრი ლიზა მუხლებს ითქვეფავდა და ვიმვიშებდა:

— ქა, მაშ თილისმები არა აქვს იმ კახპების უსტაბაშს? ხედავ, რანაირად გამობა კაბის ბოლოზე ჩვენი გიგა! რამე ხომ არ აჭამა იმ ჯანდამნვარშა.

ამ დროს ფირუზა გაბრაზებული ხმით ერთსა და იმავეს ამბობდა:

— მაკას დავინყება ადვილი არ არის! — ამბობდა და თვალნინ უდგებოდა შემპარა და დაუდევარი, მაგრამ თან თავნება და ბოროტი მაკა.

## 9. განერცხული დედა

ჯერ მღვდელი მოვა, მერმე ჯალათ,  
ვიქტორ პიუვო, „უკანასკნელი დღე სიკვდილმისჯილოსა“

იმ დღეს მახათას მთაზე ახალგაზრდა ქურდი უნდა ჩამოეხწიოთ. მთელ ქალაქს იქ მოეყარა თავი. ახლომახლო სოფლებიდანაც ბევრი იყო მოსული სეირის საყურებლად. ტევა აღარსად იყო. ყველა სახრჩობელისაკენ მონევდა. ყველას უნდოდა ახლოდან დაენახა ქურდების განთქმული მეთაური და კაცისმკვლელი.

ფირუზა და გიგა დილაადრიან ასულიყვნენ მახათას მთაზე და სახრჩობელის ნინ დამდგარიყვნენ. მეღუქნეც და დახლიდარიც თანაგრძნობით და სიბრალულით ათვალიერებდა თექვსმეტი ნლის ყმანვილს, ქურდს და მევლელს, რომლის შავი ხუჭუჭი თმა და დახატული პირისახე ერთი ნამით ყველას ავინწყებინებდა, რომ მათ ნინ სიკვდილით დასასჯელი იდგა. ტანადაც მშვენიერს ნაბლისფერი მოკლე ჩოხა დარდიმანდულად ეცვა და ისედაც კოხტას კიდევ უფრო აკოხტავებდა. დოშლულიანი ატლასის ახალუხის ლილები გაეხსნა, ქალსავით თეთრი ყელი გამოეჩინა და ისე ამაყად და გაბედულად იდგა, გეგონებოდათ, ქეიფში მეინახეებს შორის იმყოფებაო. მის გვერდით ნითელხალათიანი ბრგე ჯალათი თოქს სანთლავდა და თავის საქმით იყო გართული. სიკვდილით დასასჯელი ხან თავის ჯალათს უყურებდა, ხან მოგუგუნე ბრბოს. დედაკაცებს ყრმა ებრალებოდათ და ტიროდნენ: „ვაი, შენს დედასო!“ როცა განაჩენი ნაიკითხეს, შემოსილმა მღვდელმა ნესის ასრულება მოათავა, ჯარისკაცებმა დოლები ააბრახუნეს და ჯალათმა ხელი წაატანა, სიკვდილით დასასჯელი ნაპარბაცდა და გადაფიტრებულმა ძლივს ამოთქვა:

— დედაჩემი მაჩვენეთ, მინდა დედაჩემი ვნახო.

უკანასკნელი თხოვნა შეუსრულეს.

როდესაც გზის პირზე ის დროშკა გამოჩნდა, რომლითაც სიკვდილით დასასჯელის დედა მოჰყავდათ, ხალხი ერთ არსებასავით შეინძრა, ამოძრავდა და გრიალით დაიძახა:

— მოჰყავთ... მოჰყავთ.

დროშეციდან ნირშეცვლილი მაკა გადმოვიდა.

— დედიჯან! — შორიდანვე შემოპბლავლა ჩამოსახრჩობმა შვილმა. — დედი!

ერთი ვრძნობით შეკრულ ბრბოს ელდასავით დაურბინა ამ განწირულმა ძახილმა, სული შეურყისა და აუფორისება.

— დედი! — უთხრა სახრჩობელასთან მისულ მაკას უბედურმა შვილმა, — ძუძუ ამოილე, მინდა უკანასკნელად ვაკოცო.

გაკამ პირველად თავის სიცოცხლეში ძლივს მოახერხსა საკინძის ღილების გახსნა. ხელები უკანეალებდა, თითები ებლანდებოდა, წვალობდა. ბოლოს მთრთოლვარე ხელით ათასი კაცის ხელში ნასრესი ჭურუ ამოილო, ჭურუს თავი შვილს პირში ჩაუდო და მის ხუჭუჭებს უცრემლო თვალებით დააცქერდა. შვილმა კოცნის მაგიერ დედის ძუძუს თავს ისე მაგრად მოუჭირა კბილები, რომ ტეივილისაგან გამნარებულმა დედაკაცმა შემზარავი კივილი მორთო. იგი ლონიერმა ჯალათმა ძლივს გამოგლიჯა ხელიდან დამნაშავეს, რომლის-თვისაც მტანჯველაზრს თუ ფიქრის სახე დანადარტყმულივით დაეგრიხა. მაკა გულწასული დაეცა სიკვდილმისჯილი შვილის ფერხთით.

- ეს რა ჩაიდინე? — პეითხა ბოროტმოქმედს პროკურორმა.
- ეს დედაკაცი დედა კიარა, გველი იყო! — უპასუხა ჭურდების მეთაურმა,
- მაგის ძუძუებმა რძის მაგივრად შხამი მანოვნინეს. აი, ვინ გამხადა ჭურდი!
- ჯალათმა კიბე და მარყუჟი მოამზადა.

როცა გულწასული მაკა მობრუნდა, მისი შვილი უკვე სახრჩობელის თოქზე ეყიდა.

ყველა ბოროტ დედას წყევლიდა.

გარინდებული ბრბო ჯერ მხოლოდ მდუმარე სიძულვილით უყურებდა ლამაზსადა აშოლტილ დედაკაცს, რომელიც საკუთარი შვილის უბედურების მიზეზი გამხდარიყო. მისი შვილი სახრჩობელის ტომარაში წვალებით იხრჩობდა, ის კი ქირმაშალში გახვეული იდგა. გამტკარებული, პირმოკუმული, თვალებდაბურული, ცრემლდამშრალი. ირგვლივ იგი მხოლოდ ზიზღსა და სიძულვილს ამჩნევდა. სურდა იქაურობას საჩქაროდ გასცლოდა. მოუსვენა-რი თვალებით ბრბოში გამცილებელს დაეძებდა. უცებ მან თავის საყვარელს მოჰკრა თვალი, გაუხარდა, თავის ოდნავიდაქნევით ანიშნა, „ჩემთან მოდიო“, მაგრამ შეძრნუნებულმა გიგამ მყისვე პირი მოარიდა, სახე განზე ზიზღით მიაბრუნა. მაკამ შუბლი შეჭმუხნა და ტუჩი მოიკვნიტა.

ბრბოში ჯერ ყრუ დუდუნი გაისმა, მერე აღელდა, ახმაურდა, აზვავდა; აღმფოთებულ ბრბოს რისხვა და წყრომა შურისძიების აზრს უნერგავდა. ჰერში პირველმა ქვამ გაიზუზუნა. ქვა შიგ სახეში მოხვდა მაკას, გაამნარა და თავი დაალუნინა, პირველ ქვას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, მესამეს — მეოთხე. მაკამ სახეზე ხელები აიფარა, ტეივილი აღარ ახსოვდა და შიშით ფიქრობდა: „არ დავმახინჯდეო“. ხალხი გრიალით დასწვდა ქვებს, მაკას ჩასა-ქოლად მიესია, მაგრამ ოფიცრებმა დროზე გასცეს ბრძანება, ზარდაცემულ დედაკაცს ჯარისკაცები შემოერტყანენ და თოფების ჩახმახები ააჩხარუნეს.

ბრბომ უკან დაიხია, მაგრამ ქვა ხელიდან არავის გაუგდია.

მაკა ჯარისკაცებმა სახლამდის მიაცილეს. ქმარმა ის ხმისამოულებლად მიიღო, რადგან ცოლი გაგიუებით უყვარდა.

ამ ამბის შემდეგ ფირუზას დახლიდარი დაფიქრებული დადიოდა. თავისი სიყვარულის რცხვენოდა. ამხანაგები ცივ სალამს აძლევდნენ, თითქოს მის

მეგობრობას თაკილობენო. ფირუზა არაფერს ამბობდა. დუმდა. გულში კი უხაროდა: „რა სათქმელია! მაკასთან როგორლა მივა? ქუდს მოხდიან. ვირზე შესვამენ!“

გიგამსატრფოს სახლიდან ფეხი სამუდამოდ ამოიკვეთა, მაგრამ მას მაინც დიდხანს ანვალებდა და ტანჯავდა სიყვარულის და სიძულვილის ამაღლელვებელი გრძნობა.

# კარი მეექვსე

## 1. სოვებარ ზერშანგოვის ასული

ეპუარაულობ ერთის ვისმეს კარებსა, ერთს მოაჯინს, ორ პატარა  
ფანჯარას; ეგებ ჩემი მზე იქიდან აღმოჩინდეს!  
გრიგოლ ორბელიანი, „დიმიტრი ონიკაძეილის დარჯები“

გიგა ზანდაროვი სოვდაგარ ფერშანგოვის დედისერთა ასულს პირვე-  
ლად ვანქის ტაძრის მახლობლად შესვდა. ცუგრუმელა და ეშხიანმა გოგომ  
რატომდაც ნათია მოაგონა. გული გაუნათდა, რაღაცნაირად აუძგერდა და  
იმას, ვინც მას თავის პირველ სიყვარულს აგონებდა, თვალი აღარ მოაშორა.  
გოგოს ფეხდაფეხ მიჰყვა, უკან აედევნა.

სოვდაგრის ქალი მშობლებთან ერთად ვანქიდან ბრუნდებოდა, კვირა  
დღეს ნირვის მოსასმენად გამოსული ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს ხარბი  
შეჟრითათვალიერებდა. მზიანი ამინდი და სადლესასწაულოდ ჩაცმული მლო-  
ცველები ამხიარულებდა. კვირიდან კვირამდე სახლში ჩაკეტილს გალიიდან  
გამოშვებული ჩიტივით უხაროდა. თეთრი ჩადრით შნოიანად მოჩრდილული  
კონტად მიგოგმანობდა. უკან დარბაისელი დედ-მამა მოჰყვებოდა: ლიპიანი  
მელქო და ფამფაშა ანუშა.

ახალგაზრდა ზანდაროვი ფერშანგოვის ქალს პირისპირ შეეფეთა. მათი  
თვალებიერთინამით შეხვდნენ ერთმანეთს. გოგოს ჯერ ანცილიმილი მოადგა  
ანულ ბაგეზე, მერე წარბი შეიკრა და მოხიბლულ გიგას გვერდში ჩადრის  
შარიშურით ჩაუარა. გაბლენძილმა და პირმოლუშულმა ფერშანგოვმა თავი  
ოდნავ დაუკრა მედუქნე ფირუზა ზანდაროვის ახალგაზრდა ნათესავს. ამან  
კი მოკრძალებული სალამი მისცა სოვდაგარს და მის მეუღლეს.

იმავე სალამოს იმ გოგოზე შეყვარებული გიგა ანჩისხატის ქუჩაზე, ფერ-  
შანგოვის სახლის პირდაპირ, ბნელი ხეების ქვეშ დადგა და თვალი სახლის  
გაღებულ ფანჯრებს მიაჰყრო: „იქნებიმ კეკლუცმა ფანჯრიდან გადმოიხედოს  
და ერთხელ კიდევ დავინახოო“. სახლის ერთ-ერთ ოთახში ვიღაც ჭანურს  
უსავდა და მხიარულ სიმღერას მღეროდა: „ის გოგო მღერის... ის გოგო  
მღერის...“ — არნმუნებდა თავის თავს გიგა და მისი ხმაც ისევე მომხიბვლელი  
შეუნებოდა, როგორც მთელი მისი ცქრიალა აღნაგობა.

ის პატარა გოგო უყვარდა და ღამეებს იმის სახლის ფანჯრებთან ათენებ-  
და. თავისი გულის საიდუმლო ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მან ფირუზას  
გაუმხილა.

— ვინ არის, ვისი ქალია? — ნიაზით ჰკითხა ფირუზამ და დახლიდარს  
სახუში მიაცქერდა.

— ფერშანგოვის გოგოა.  
— შუშანიკა? — ნამოიძახა ფირუზაშამ.  
— იმ ქალს შუშანიკა ჰქონან, ფირუზან?  
იმ დღიდან ეს სახელი გიგამ საგულეზე დაიკერა და ალერსი და მუსაიტე  
გაუბა.

— მელქუა ფერშანგოვს დედისერთა ქალი ჰყავს. იმის ცოლმა ჩემი ცო-  
ლივით ბევრი ბალახბულახი დალია, მაგრამ ერთი ქალი ძლივს გაუჩნდა. ყო-  
ჩალ, ბიჭი, ყოჩალ! — ეუბნებოდა გახარებული ფირუზა დახლიდარს და თან  
სოვდაგრის ქალს აქებდა — ასლი საშენოა! მერე რა გოგოა! კოხტა, ლამაზი,  
ახატულ-დახატული. იმის მზითვებს ასი ბიჭი უნდა. ქრთამს ნულარ იკითხავ!

— იმისი მზითვი იმისი ლამაზი პირისახეა. მე სხვა არაფერი მინდა, —  
მყისვე დაუბრუნა დახლიდარმა.

— ტუტუცო! — გაბრაზდა ფირუზა, — მიამიტი რათა ხარ? ეგრეგულდან-  
დობილი და გაუხედნავი როდემდის უნდა იყო? ფიე! ესეც მეორე მაგალითი!  
გაგონილა, მეორედაც კაცი ყურებამდე იყოს შეყვარებული? კაცად როდის  
უნდა იქცე? — თავის ნათქვამის თვითონვე შეეშინდა, მოლბა და დახლიდარს  
დაყვავებით უთხრა, — ყური დამიგდე და რასაც არ გეტყვი, გულისფიცარზე  
დაიწერე. ის ქალი რომ ცოლად შეირთო, ფერშანგოვის მთელი ქონება, დუქ-  
ნები და მაღაზიები ჩვენ დაგვრჩება. მაშინ ზანდაროვებს ნინ ვინ დაუდგება?  
შენ შენი გულის მურაზზე იფიქრე, მე კი იმის მზითვების საქმე მომანდე.  
არხეინად იყავი. ხვალვე ისეთი გაქექილი მაჭანკალი ვაფრინო ფერშანგოვებ-  
თან, რომ თავისი ენითა და მატრაბაზობით სოვდაგრის ქალი კვირის თავზე  
გვერდით დაგიყენოს. მაში სამშაბათს ლიზა აბანოში გავგზავნოთ და ის გოგო  
გავსინჯოთ. მზითვიანი ქალი კარგია, მაგრამ ჩვენს სახლში ნამუსიანი და  
საღ-სალამათი რძალი უნდა შემოვიდეს.

ზანდაროვებმა გიგას ძველ-ძველები გახადეს და საუკეთესო თერძთან  
ახალი ტანისამოსი შეაკერინეს.

ფარეზად გამოაწყვეს, განიერი ბურნუთისფერი შარვალი ჩააცვეს თავი-  
სი ხონჯრითა და ჩურჩუბალებით, გრძელი, მხრებში ოდნავ დავინროებული  
შავი ჩოხა ვერცხლის ქამარში ჩაკეცილი ცალი კალთით და საგულდაგულოდ  
შეერილი ნალები ყელზე მიკრული სოსნისფერი ტყავით. კარტუზიანი ქუდის  
მაგიერ ბოხოხი დაახურეს, ნვერი მოაშვებინეს და ზედ ნვეტზე კუსპარა და-  
ლაქს მაკრატელი ოსტატურად დაარტყმევინეს, რათა მას მეტი სიდარბაისლე  
დასტყობოდა.

გიგას გამოსაჩენად გაძუნებულ მედუქნეს ახლა ფული არ ენანებოდა და  
საჭიროზე მეტს იმეტებდა დახლიდარის „თავის მოსანონებლად და ხალხის  
ყბაში ჩასავარდნელად“. თერძის ქალიც ისეთნაირად გამოიპრანჭა, რომ მის  
დანახვაზე ფერშანგოვებს ტუჩები არ აებზუებინათ.

მორთულ-მოკაზმული გიგა მნუხრის დადგომისთანავე ფერშანგოვის  
სახლისკენ გარბოდა და უსაზღვროდ ბედნიერი იყო, როცა ფანჯარაში შუშა-

ნიუს ნახულობდა. თან ცდილობდა, გოგოს არ შეემჩნია, ხეებს ეფარებოდა და გამვლელებსაც ერიდებოდა. შეყვარებულ ყმანვილს ასე ეგონა, არასოდეს არც ერთი ქალი ასე მძაფრად არ მყვარებია.

ფირუზამ დიდხანს ითათბირა თეთრ ლიზასთან და ცოლს აბანოში ხმირ-ხმირად სიარული დაავალა, რათა სანამ ფერშანგოვებს მაჭანკალს მოუგზავნიდნენ, შუშანიკა მუშტრის თვალით დაეთვალიერებინა.

## 2. პანო

მათი თავმოყრის ერთადერთი საერთო ადგილი აბანოა.  
ფრიდრიხ ბოდენშტედტი, „1001 დღე“

თბილელი მანდილოსნები აბანოში ისე მიისწრაფოდნენ, როგორც ევრო-ეული ქალები კონცერტზე ან ოპერაში.

სამშაბათი ქალების დღე იყო. ამ დღეს ციხის აბანოს მიდამოები თე-თრისადრიანი დედაკაცებით თეთრდებოდა. აუზებთან ან ამოლრმავებულ კლდესთან ფეხმოკეცილნი ისხდნენ: დედები და ასულები, დედამთილები და სოდედრები, დები და რძლები, მულები და მაზლისცოლები, დეიდები და გამიდები, ნათლიდედები და ნათლულები, მსხვილფეხობა და ნურილფეხობა. აბანოში ყველანი თავიანთი ქულფათებით მოდიოდნენ, პანანინა ბიჭები და გოგონები ერთმანეთში იყვნენ არეულნი. აბანოს სპარსული სტილის თაღები ზოგადი და გამოსახულების ლაპარაკით, ყაყანით, ყვირილით, სიცილით, კისკი-სით, სიმღერით და ჩხუბით. ზოგი ჩიბუხს ნევდა და ზოგი ბურნუს. ზოგნიც ქარჯის ან გიმრის კრიალოსნებს მარცვლავდნენ. მასლაათობდნენ. ქალალდს და ლოტოს თამაშობდნენ. დაქიმითებულივით ჭამდნენ ხმელ ხილს: ნუშს, ნულლს, შაქარყინულს, ქიშმიშს, ფუსტულს, ჩირს, ნიამფურს, ბატიბუტს, ალვანაბადს და ქალზბადამს. ქმრები, ვაჟები, მაზლები, მძახლები, ქვისლები, ცოლისძმები და სიძეები გარედან თარფს თარფზე უგზავნიდნენ თავიანთი ოჯახების მანდილოსნებს „გული გაიხარეთ“. თუ ტიტლიკანა და დასაპნილ ქალებში ბევრი ჭინკას ჰგავდა (პუშკინი და დიუმა მართალს ამბობდნენ), ბევრიც თავისი სილამაზით ლომს ფერხთით დაინვენდა.

თეთრი ლიზა ყოველ სამშაბათს მიდიოდა ციხის აბანოში და მოუთმენლად მოელოდა ფერშანგოვის ცოლ-შვილის გამოჩენას.

— ქა, რა ფეხზე ინა დაიდეს! რატომ საბანაოდ არ მოვლენ? — ბუტბუტებდა თავისთვის თეთრი ლიზა და ლოდინით გული ელეოდა.

ფერშანგოვის ცოლი ანუშა ქალების საზოგადოებას ერიდებოდა. გულმშობა, ხალხში ყოფნას ვერ იტანდა. გული უფრიალებდა და ფერი მისდი-მოსდიოდა. არც ის სიამოვნებდა, როცა მობანავე დედაკაცები ერთმანეთს ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდნენ და მისკენ ტუჩის აწევით იყურებოდნენ. ანუშას

რცხვენოდა, რომ ერთადერთი შეიღის და ისიც ქალის დედა იყო, მაგრამ ამა  
ნოში წაუსვლელობაც არ იქნებოდა.

აბანოში წასასვლელად ფერშანგოვის სახლობაც ისე აიყრებოდა ხოლმე,  
როგორც ყველა მოქალაქის ოჯახი. ბოხჩებით და კალათებით, ჩაიდნით და  
სამოვრით, ჭიქებით და ფინჯნებით, თეფშებით და ლამბაქებით, შემწვარით  
და მოხარშულით, ნაზუქით და ნუგბარით.

როცა ფერშანგოვის ცოლ-შეიღი აბანოში გამოჩნდა, ნახევრად ტანგახ-  
დოლი თეთრი ლიზა აუზის კიდეზე იჯდა, ხელში კრიალოსანს ათამაშებდა და  
თავის კანტურით თვლებოდა. ჩურჩულმა და ჩოჩქოლმა, რომელიც დედოშობი-  
ლა ქალებმი სოვდაგარ ფერშანგოვის ოჯახის გამოჩენამ გამოიწვია, თეთრ  
ლიზას თავი მაღლა აალებინა, მაგრამ მათი გამოჩენით გამოწვეული სიხარული  
არაფრით შეიმჩნია, მთენარებას მოუხმირა, ცალი თვალით კი მოჩიტული  
გოგო სწრაფად შეათვალიერა. მოენონა და გაინაბა.

მოახლემ ტანისამოსის გახდა დაუწყო თავის ახალგაზრდა ქალბატონს. თმა  
ჩამოუშალა და როცა კაბის ქობა ყრუ შრიალით დაეცა ქალწულის ფერსთით,  
ყველამ მის შემცველ სხეულს მიაპყრო თვალი. გოგოს სირცხვეილის ალმური  
აუვიდა სახეზე. დარცხვენა და კდება უხდებოდა და ხალხში მიუჩვეველი,  
ცოტათი თრთოდა კიდეც.

თეთრმა ლიზამ ცხენის დალალის ხარბი თვალი დაადგა გაშიშვლებულ  
ქალწულს. გამხდარი არ იყო, მაგრამ ფერშეკრთალი გამოიყურებოდა. შეი-  
ძლება იმიტომ, რომ სახლში ჩაკეტილს ჰაერი და მზე ენატრებოდოდა. ახლა კი  
სახე შეფაქლოდა, თვალგამტერებული იდგა და შავი დალალები მხრებზე  
და ზურგზე უნესრიგოდ ჩამოჰყროდა.

შუშანიკი მისმა ტოლმა გოგოებმა სიცილ-ხარხარით ჩაითრიეს აუზში.  
მორცხვი გოგო ცელქმა დობილებმა ცულლუტი სიტყვით გააცინეს. ამ გაცი-  
ნების დროს თეთრმა ლიზამ მისი თეთრი და სწორი კბილები დაათვალიერა.  
მერე ზოზინით ადგა თავის ადგილიდან, ფეხაკრეფით მივიდა გოგოების  
აუზთან, მთენარებით მიტრიალ-მოტრიალდა და უეცრად მათ აუზში ჩაუხ-  
ტა. გოგოები წივილ-კივილით გახტნენ განზე. შავი, დალრეჯილი დედაკაცის  
მეზობლობა იუკადრისეს. შუშანიკა ღარქვეშ იდგა, თვალები დაეხუჭა და  
მაღლა ანეული სახე ნელთბილი წყლის თვის მიეშვირა. გოგოების ყვირილზე  
დიდრონი თვალები განცვიფრებით გაახილა, ტკბილად მოცინარე დედაკაცს  
გაულიმა, მოკრძალებით განზე გადგა და ღარი დაუთმო. მაგრამ თეთრი  
ლიზა კიდევ უფრო ახლოს მივიდა მასთან, ზედ მჭიდროდ მიეკრა, ალერსით  
სახელი ჰკითხა. როცა გოგომ თავისი სახელი უთხრა, თეთრმა ლიზამ ძალზე  
ახლოს მიიტანა პირი მის პირთან და ცხვირის ნესტოებით მისი ნასუნთქი  
შეისუნთქა: „ამ ტურფას პირში ავი სუნი არა ჰქონდესო“. მერე გაეხუმრა,  
ამოზნექილი მკერდის მკვრივ ძუძუებზე სიცილით თითები მოუცაცუნა,  
იღლიებქვეშ ხელი შეაპარა და მის მოქნილ კისერსაც შეავლო ხელი. გოგო  
გაოცებული უყურებდა უცნობ დედაკაცს. უკვირდა და ვერ მიმხვდარიყო,

რა უნდოდა მისგან ამ საოცრად შავ და უსახურ ხნიერ ქალს, რომელსაც შეიძიშის გახდა დავინყებოდა და ისე იდგა აუზში. თეთრმა ლიზამ მას ყველაფერი ხუმრობაში ჩაუტარა, ტკბილი და ალერსიანი სიტყვებით გაიგინაურა და მუსაიფი გაუბა.

აუზიდან ერთად ამოვიდნენ. თეთრი ლიზა თავის ტანსაცმელს ეცა, კაბის ჯიშიდან ქიშმიშ-ლაბლაბო ამოილო და გოგოს გაუნოდა. შუშანიკემა ესეც იუცხვა, მაგრამ უარი არ უთხრა, მორცხვად მადლობა გადაუხადა. თეთრმა ლიზამ ალერსიანად დაუბრუნა:

— მადლობა რა საჭიროა? მიირთვი, ღმერთმა შეგარგოს!

თეთრ ლიზას ეს იმის გამოსაკვლევად სჭირდებოდა, თუ როგორი მტამელი იყო ფერშანგოვის ქალი.

შუშანიკას მოახლე თვალსარ აშორებდა თეთრ ლიზას. მისახვედრს მაშინვე გხვდა. როცა ახალგაზრდა ქალბატონმა მას თავისი გრძელი თმა დასავარცხნად დაანება და თვითონ სიამოვნებით ჩაიხედა ვერცხლის მიწვრიტინაში, მოახლემ ყურში ჩასჩურჩულა:

— შუშანიკ, მალე მაჭანკალი მოვა მამაშენთან.

— ვისგან, ვარდისმონა? — ნიაზით ჰერთხა ქალბატონმა და ბაგეზე ცბიერები დიმილმა გადაურბინა.

— აი, იმ შავი დედაკაცისაგან, — სიცილით უპასუხა ვარდისმონამ და მათკენ მაცერალი თეთრი ლიზა დაანახა. გოგო მყისვე მიხვდა ყველაფერს, ნარბიუკმაყოფილოდ შეიკრა და იმ დალრევილ დედაკაცს ბავშვურად გულმოსულმა შეუბლვირა. თეთრმა ლიზამ აინუში არ ჩააგდო ეს გაბუტული გამოხედვა. ისევ თავისი აუზის ეიდეზე ჩამოჯდა. პირში ხან ქიშმიშს იყრდა, ხან ლაბლაბოს. სოვდაგრის ქალს აღტაცებით უყურებდა და შორიდან უცინოდა.

შუშანიკამ მას პირი აღარ უჩვენა. მაგრამ აღარც თეთრ ლიზას ჰქონდა რამე გამოსარკვევი. იმავე საღამოს გიგას ახარა: „შენი შუშანიკას ტანიდან შეუდაბელი მოვარე ერთად ამოდისო“.

მეორე დღეს მაჭანკალმა სოვდაგარ ფერშანგოვის კარზე დააკაკუნა. დონჯმა და სიტყვაძუნნმა სოვდაგარმა მაჭანკლის გაუთავებელი ყბედობა ბოლომდე მოთმინებით მოისმინა და ერთი საათის შემდეგ ძლივს გაიგო, რომ მას ქალის ხელსა სთხოვდა: „ლამაზი ყმანვილი, კუკიელი მედუქნის ფირზა ზანდაროვის ნათესავი, ჯერ თვითონაც მედუქნე, მაგრამ ქარვასლებში კარგად ცნობილი გიგა ზანდაროვი“. სოვდაგარმა მაჭანკალს არც „ჰო“ უთხრა, არც „არა“. ფიქრისთვის დრო მოითხოვა. გახარებული მაჭანკალი ქალადასას ურიალით მიფრინდა ზანდაროვებთან და ლოდინით გულგადალეულებს მაჭანკლურად ჩაუბულებულა: „პირველად დიდად გაიოცა და დიდ უარზეც დადგა, ღარიბიათ. სამი საათი ველაპარაკე, მაგრამ ვერაფერს გავხდი, პირჯვარი ვერ დავაწერინე. აქაოდა, სად მე და სად ისინიო, მე მდიდარი სოვდაგარი ვარ, ის კი მედუქნის დახლში დგასო. მისი თანხმობის ძებნაში, თქვენმა

მზემ, ფოსტლები და მუნიციპალიტეტები. მაგრამ არა უშავს, ბოლო კეთილი აქვს. ჩვენი ლამაზი და იმათვი ეყულული, ჩემი გამოისობით მალე გვირგვინებს დაიდგამენ თავზე. თუ ეს ასე არ მოხდეს, მაშინ მოდით და პირში ჩამაფურთხეთ. ფუს! ფუს! ფუს!"

გიგა მას ახალ ქოშებს შეჰქორდა, ფირუზა — თავშალს, თეთრი ლიზა კი — „შავ ქვას და ნაცარ-ცხელს", სანამ საქმეს საქმეზე არ მიიყვანდა.

### 3. ნიმუში

შენი ათი თუმანი და ისიც ოცდაათი, შეადგენს ორმოცხა.  
მაშინ, ჩემო ბეჭის ვარსკვლავო, ჩვენ შევძლებთ ჯვარის ნერასა  
და შემდეგ ვაფრობასაცა.  
გრიგოლ რჩეულიშვილი, „ანუკა ბატონიშვილი"

მაჭანკალი ხან ფერშანგოვთან იჯდა, ხან ზანდაროვებთან, მაგრამ სოვ-  
დაგარი არა ჩემარობდა.

ფერისცვალობის დღეს მოსული მაჭანკელის ამბავი ცოლს მან მხოლოდ ნყალეურთხობის დღეს შეატყობინა. ანუმა დაიბნა. არ იცოდა, რა ეთქვა. ქალის გათხოვება ჯერ არ უნდოდა. შეუძლია მხოლოდ მეთექვსმეტე ნელინადმი იყო გადამდგარი. ამას გარდა, მას არც სასიძოს ქართველობა მოსწონდა, სომხის მღვდლების ეშინოდა და ერიდებოდა. ქმარს გაუბედა და უთხრა: „შეუძლია რომ ქართველების ეკლესიაში ჯვარი დაინეროს, ტერტერებს მოვიმდურებოთ". „მეტიმიზეზიარა გაქვს?" — ჰეითხა ქმარმა ისეთი ეილოთი, რომ ცოლი მყისვე მიხვდა, რომ ოჯახის უფროსი სასიძოს არა სწუნობდა და ქალის გათხოვებაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

ფრთხილ, ნინდახედულ და ანგარიშიან სოვდაგარს თვალში მოსდიოდა ახალგაზრდა ზანდაროვი. ქარვასლებში სოვდაგრები მას მუდამ აქებდნენ და დარწმუნებით ამბობდნენ: „ეოჭებში ეტყობა, რაც არის. ეხლა უბრალო მედუქნეა და ბოლოს ნახამთ, მილიონებს დაუნყებს ლაპარაკსო". ასეთ ხმებს ფირუზა ზანდაროვის დახლიდარზე თვითონ ფირუზა და მისი ის დამქაშები ავრცელებდნენ, რომელთაც იგი ბაზრის დახლზე თითო არაყს ალევინებდა ხოლმე. კუეიელ მედუქნეს ასეთები ბლომად ჰყავდა: ლოთი ივანე, წუნია გეო, მეტიჩარა საქულა, მშიშარა სოსანა, ფეხზემოვაჭრე ოს-კანა, ცოლგაყრილი აბრამა, ბეცი ალავერდა, ცალფეხა იასონა, უკბილო ნყალობა... ამ იოყსულებს, ტრაბახობდა ფირუზა გიგასთან, რასაც ეტყვი, იმას ილაპარაკებენ.

სოვდაგარ ფერშანგოვს მხოლოდ ის არ მოსწონდა, რომ ახალგაზრდა ზან-  
დაროვი გულეეთილი და ხელგაშლილი ჩანდა. დარდიმანდობდა, ქეიფობდა,  
კრივი და გართობა უყვარდა. „ესეც არაფერი, რას იზამ? სალთია, გულის

ბუხარი მარტო თავისთვის აუნთია, — ნონიდა და ზომავდა ლრმად ჩაფიქრებული სოვდაგარი, — ბოლოს მოიტეხინებს, ოჯახი დაადინჯებს, ცოლ-შვილი გორეილად გაუხდება. კრივისა და ართურმასთვის სადღა ეცლება?“ სოვდაგარს ისიც გაახსენდა, რომ ახალგაზრდა ზანდაროვის ნათესავი ფირუზა გასომხებული ვაჭარი იყო, თუმცა, ესეც კარგად იცოდა მან, რომ ის არც ქართველების და არც სომხების ეკლესიაში არ დადიოდა. „ესეც ანგარიშმი უნდა ჩავაგდოთ, — აღნიშნავდა თავისთვის სოვდაგარი, — შეიძლება ისეც გოხდეს, რომ შუშანიკამ გრიგოლ ზანდაროვზე სომხების ეკლესიაში დაინეროს ჯვარი. ჩემი ცოლი ანუშა მართალია, ტერტერები ტყუილად რატომ უნდა მოვიმდუროთ“. ქარვასლებში ყველას გიგა ზანდაროვის ამბავს ეკითხებოდა, თვის განზრახულს კი არავის უმხელდა.

დიდხანს ფიქრობდა, დიდხანს ნონიდა და ანგარიშობდა. ხან ყოყმანი ეტყობოდა, ხან — მტკიცე გადაწყვეტილება. შუშანიკას თექვსმეტი წელი ისე შეუსრულდა, რომ ვერც მაჭანკალმა და ვერც ფირუზამ ფერშანგოვს ვერაგზით „პო“ ვერ ათქმევინეს. ბოლოს, როგორც იქნა გადაწყვიტა და ზანდაროვები ქარვასლაში, თავის მთავარ მაღაზიაში დაიბარა. დიდი ვაჭრობის შემდეგ ძლივს მორიგდნენ და ქრთამზე შეთანხმდნენ. მზითვის გრძელი სია ჩამონერეს. სოვდაგარი მელქო ფერშანგოვი თავის ქალს შუშანიკას ოქრო-ვერცხლს, თვალ-მარგალიტს, მდიდრულ ავეჯს, ნოხებს... და აქანდაზსაც და მაშასაც კი ატანდა მზითვებში.

ქალს არავინ არაფერი ჰქითხა.

ჩვეულების მიხედვით, ნიშნობის ბეჭდები ქალ-ვაუის დაუსწრებლად გავალეს.

გულნაღვლიანშა ანუშამთავის ქალს ერთი კვირით ადრე შეატყობინა, რომ მას ლამაზსა და მდიდარ კაცზე ათხოვებდნენ. შუშანიკა შეკრთა, ათრთოლდა, დედას შემინებული თვალები მიაპყრო.

— დედი, ვიცი მატყუებ! დედი! მეხუმრები, არა?

ანუშამ ამოიხსრა, კაკლის პანია ყავისფერი კოლოფი გააღო, იქიდან ოქროს ბეჭედი ამოილო და ქალს თითზე გაუკეთა. შუშანიკმა ტირილი მორთო. დედამ ჯერ სევდიანად გაილიმა, მერე თვითონაც ლაპალუპით ჩამოსცვიდა ცრემლები თვალებიდან. შუშანიკმა საყვარელ დედას ხელები ყელზე შემოხვია, ცრემლებით დანამული ლოყები დაუკოცნა და სლუკუნით უთხრა:

— დედი, მე გათხოვება არ მინდა.

— შენი ნება არ არის, შვილო! — თანაგრძნობითა და სიბრალულით უპასუხადედამ, რომელსაც დაუქალებელი შეილი გასათხოვრად არ ემეტებოდა, გული ეთანაღრებოდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ადათსა და ჩვეულებას წინ ვერ დაუდგებოდა.

— ბედს ვერსად გავექცევით, შვილო. ბედის წიგნი ზეცაში ინერება, ქორნინებასაც ღმერთი ახდენს, — თქვა და ოთახიდან გავიდა.

## 4. სიყვარულის ცხრაკლიტული

მაგრამ საჭ ენახო შენი ლიმილი, სიხარულითა გამოჩენილი?  
ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ჩოგურე“.

მარტო დარჩენილმა შუშანიკმა გულამომჯდარი ტირილი მორთო. ბალა შებში ჩამხობილი იმ ბავშვივით ტიროდა, რომლისთვისაც ცელქ დობილებს სათამაშო გაეტეხათ. ზლუქუნებდა, ცრემლებით ასველებდა ბალიშებს, სხეული ნაციებსავით უთროთოდა, გაბუტულივით გულუბრყვილო სიტყვებს იძახდა და ვიღაცას თავს აბრალებდა. ტიროდა და ტიროდა. ტირილმა მოქანდა. ცა. თავი ძლივს ასწია სასთუმლიდან. ხმიანი ტირილი შეწყვიტა, ასლუკუნდა, მერე გაჩუმდა, გაინაპა, თვალი გაუშტერდა და ჩაფიქრდა.

მას სხვა უყვარდა.

სიყვარულს ცხრაკლიტულში გზა ეპოვნა და სოვდაგრის გოგოსთვის მიეგნო.

შუშანიკისათვის სიყვარული, ისევე როგორც ყველა მისი ასაკის გოგოსთვის, საოცნებო, სასურველი, სიხარულისა და სევდის მომგვრელი რაღაც გაუგებარი, მაგრამ, ამავე დროს, ამაღელვებელი გრძნობა იყო — ნმინდა და შეუბლალავი, თავანკარა და აუმღვრეველი. ამ გრძნობას მას ერთგული მოახლე, გულლია, მუდამ მხიარული, ხუმარა და გულკეთილი ვარდისმონა უნერგავდა თავისი ჭიანურით და ზარივით ნერიალა სიმღერებით.

ვარდისმონას მშვენიერი ხმა ჰქონდა (გიგას ქუჩაში მისი დაკვრა და სიმღერა ესმოდა). გატაცებით მღეროდა ბესიების, საიათნოვას და სტეფანე მეურვალის ლექსებს რასტის, შიქასტას, თასლიბის, საპარის, სიგაზაბულის და მუხამბაზის ხმაზე.

მუთაქებში მოკეცილი შუშანიკი სულგანაბული უგდებდა ყურს, ოცნებობდა და სივრცეში ვიღაცას ულიმოდა. იქვე, სპარსულ მრგვალ სკამზე, ვარდისმონა იჯდა ჭიანურით ხელში, ახალგაზრდა ქალბატონს სიმღერებით ართობდა და შეყვარებული ქალ-ვაუების ამბებს უყვებოდა. მოხიბლული და მოჯადოებული შუშანიკი გულის ძეერით ისმენდა ვისისა და რამინის, ლეილასი და მეჯნუნის, ტარიელისა და ნესტანის საკვირველი სიყვარულის ამბებს და საოცარ თავგადასავლებს. ხელში მოუშორებლად ეჭირა მიჭვრიტინა, თავის სახეს, თვალ-ნარბს, დალალებს და სამკაულებს ეალერსებოდა, საყურეს ეთამაშებოდა და კეკლუცობდა. ხანგამოშვებით ვარდისმონა და იმის სიმღერა აგონდებოდა, გამოფხიზლებულს პირს ლიმილი მოსდიოდა და მოახლეს უცინოდა, მაგრამ მალე ისევ ოცნებას ეძლეოდა და მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას, ვინც მისი მიჯნური უნდა გამხდარიყო.

შუშანიკეს ცხოვრების არაფერი გაეგებოდა. უპაეროდ და უმზეოდ იყო გაზრდილი. ოთხ კედელს შუა გამომწყვდეული ადამიანებს მხოლოდ სიმღერებიდან და იმ ზღაპრებიდან იცნობდა, რომელთა მიხედვით, უფლისნული გლეხის ქალს ირთავდა ცოლად, მდიდარი ვაჭრის შეილი — დედინაცვლის ხელში დატანჯულ ობოლს, ხოლო მოხერხებული მეღორე ან ბატების მდევნელი ჭურით მეფის კარისკაცებს სჯობნიდა და საცოლეს მეფის ასულებში ან სეფე-ქალებში პოულობდა.

ასეთნაირ ზღაპრებს უყვებოდა ხოლმე თავის ქალბატონს ვარდისმონა, როცა დამღამობით მის სარეცელთან იყოჩაცულიდა მოყოლილ ზღაპარს ძილისპირულით ამთავრებდა.

სიმღერა სიმღერას ცვლიდა, ზღაპარი — ზღაპარს, არაკი — არაკს.

სოვდაგრისგამოუცდელი ქალითანდათანისეხვეოდა საოცნებო ბურანში, როგორც გაუფრთხილებელიდა ნინდაუხედავი მწერიდედა ზარდლის ქსელში ეხვევა.

ვარდისმონამ ახალგაზრდა ქალბატონს წუმი შეანახვინა. ქალალდსაც უშლიდა და თავისებურად მარჩიელობდა. სუფ-სარქისის ღამეს კი თვითონაც წუმი შეინახა და ქალბატონსაც შეანახვინა (სათითოთ მარილი ჭამეს და ისე დაიძინეს). მეორე დღეს, დილით, ახალგამოღვიძებულ ქალბატონს ვარდისმონამ ნიაზით ჰერთხა:

— შუშანიკ! წუხელის რა ნახე სიზმარში?

შუშანიკმა ეშმაკურად გაიღიმა, მოახლის დაინტერესება მოინდომა.

— იცი, რა ვნახე?

— რა ნახე? მითხარი და გამახარე, ჩემო მზეთუნახავო!

— წუხელ სიზმარში, — დაინყო შუშანიკმა, — ერთი მაღალი, ლამაზი, ოქროსქოჩირიანი ყმანვილი ვნახე, ოქროს ჭურჭლიდან წყალი დამალევინა და წყურვილი მომიკლა.

— შენ გენაცვალოს ვარდისმონა! — შესძახა გახარებულმა მოახლემ, — ბეჭნიერი სიზმარი გინახია. ოქროს ჭურჭელი სიმდიდრესა ნიშნავს.

— მართლა, ვარდისმონა? ვერცხლისა რომ მოეტანა?

— შეძლებული ქმარი გეყოლებოდა.

— ხის რომ მოეტანა? — თქვა შუშანიკმა და მოახლეს გამომცდელი თვალებით დააცქერდა.

— უნინ დღეც გამქრობა! უბედური და ღარიბი იქნებოდი.

— სიზმარში მე ხის ჭურჭლიდან დამალევინეს წყალი.

— წუ მცდი, გენაცვალე, ტყუილად გულს რათ მიკლავ?! — საყვედურით მიმართა შეშინებულმა მოახლემ დაფიქრებულ ქალბატონს და ნათქვამი არ დაუჯერა. „მდიდარი სოვდაგრის ქალთან საბედო უეჭველად ოქროს ან ვერცხლის ჭურჭლით მოვიდოდაო. აბა, რა სათქმელია, რაც ეხლა შუშანიკმა თქვაო“. გადაიკისკისა. ქალბატონს ალერსით დაუნნა თმები და თავისი ტკბილი და მხიარული სიზმრები უამბო.

## 5. დოპილები

„რა არის შენი ბედნიერება, ჩემო კოხტა გოგონავ?“ „ჩემი სახეა ჩემი ბედნიერება, ბატონი“, — თქვა მან. „მაშ თუ ეგრეა, ცოლად შეგირთავ, ჩემო კოხტა გოგონა“. „თქვენ ეინა გყითხავთ, ბატონი,“ — უპასუხა მან, ინგლისელი ანონიმი

მაისში, ამალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ვარდისმონამ თავისი ახალგაზრდა ქალბატონი მშობლების დაუკითხავად მეზობლებთან გადაიყვანა. იმ დღეს გასათხოვარ გოგონებს ვიჭავის წყლით თავიანთი მომავალი ბედი უნდა გამოეცნოთ.

შუშანიკა ამ მხიარულ გოგონებში ყოფნა უხაროდა. მათს სიცილ-კისეისა, ცულლუტურ სიტყვა-პასუხს, ერთმანეთის მოსწრებულად გაეილვას და დაცინვას თვითონაც ჰყვებოდა და ცელქობდა.

ლარიბების შუბლგახსნილ ქოხში მდიდარი სოვდაგრის ქალი ტყეში გაშვებული ჩიტივით დანავარდობდა. ხან ერთ გოგოს უცინოდა, ხან მეორეს.

პანაწინა ოთახი ათასნაირი მინდვრის ყვავილებით, ბალახებით და ბუჩქნარის ტოტებით იყო გავსებული. უნესრიგოდ ეყარა დიდფურცელა, ნვრილფურცელა, გრძელფოთლიანი და დაქბილულფოთლიანი ყვავილები, ბალახის დეროები და ტოტები. თავდალუნული გოგონები გაფაციცებით არჩევდნენ ყველაზე პირცეკვიტა, ყველაზე კოპნია, ყველაზე ფერად, ყველაზე მხიარულ ყვავილსა და ბალახს, რათა გრძელ-გრძელი ყვავილნულები და ლამაზ-ლამაზი გვირგვინები დაეწნათ.

შუშანიკიც სხვებთან ერთად თავის ყვავილნულს ვაინაჩრობით აკეთებდა, თან იხტიბარს არ იტეხდა და იღიმებოდა. უცებ მან ოსურნელა სველი ხელით გასრისა, მყისეე თითები გაუსივდა და გაუნითლდა. ვარდისმონამ თვალი შეასწრო ოსურნელასაც და ქალბატონის დალრეჯილ სახესაც. სიცილით უთხრა:

— ოსურნელა მოგხვდა, შუშანი? ეგ უფრო ენერგი იზრდება, აქ საიდან გაჩნდა? ხედავ, რა კარგი ნითელი თეთრნარევი, მტევანივით მოგრძო და ბრტყლად დაქბილული ყვავილი აქვს?

შუშანიკი თავის დასიებულ და განითლებულ თითებს გულზიზლიანად დასცექეროდა, ყვავილნულს ხელს ალარ ჰეიდებდა. ვარდისმონა გაუჯავრდა.

— გოგო, ეგრე რამ შეგაშინა? ისე გააკეთე, როგორც სხვები აკეთებენ. ოსურნელასთანა ბალახი კი გადააგდე, რათ გინდა? ქა, ურო, უბრალო და კარგი ბალახი ერთმანეთისაგან ვერ უნდა გაარჩიო?

გოგონებმა ერთად გადაიკისეისეს. შუშანიკა შერცხვა, განითლდა, ნამნამზე ცრემლი აუბრჭყვიალდა. ვარდისმონა თავის პატარა ქალბატონს მოეხვია და გადაკოცნა.

— გეხუმრები, შუშანიკუჯან! აბა, შენ ეს საიდან გეცოდინება, მარტო საყდრისა და აბანოს გზაზე დადიხარ!

გართლაც, ყვავილ-ბალახებიდან და ხეებიდან შუშანიკს მარტო ეზოს ურ-  
ჩხა ბალახი, ვარდი, იასამანი, ნარგიზი, ფშატი, უნაბი და თუთა ჰქონდა ნანახი.

— ყველა ბალახს, ყველა ყვავილს, — ეუბნებოდა ვარდისმონა თავის ქალ-  
გატონს, — თავ-თავისი სახელი აქვს. ზოგი ადრე გაზაფხულზე მოდის, ზოგი  
შემოდგომაზე, ზოგიც ზამთარ-ზაფხულ ყვავილობს. ეს ყველა ქალაქელმა  
გოგომ კარგად იცის, რადგან ხან შინდის საკრეფად დადასინ ტყეში, ხან პანტის  
დასაბერტყად. მაშ, მაშ! პუმპულა ბურბურაში არ აერევათ!

— პუმპულა რა არის, ვარდისმონავ, ბურბურა რასა ჰქვიან? — მიამიტად  
იქითხა შუშანიკმა.

გოგონებმა ისევ გულიანად გადაიკისკისეს. ვარდისმონამაც ჯერ თავისი  
მსხვილი კბილები გამოაჩინა, მერე შუშანიკს მიესიყვარულა:

— აბა, როგორ გითხრა? რომელი ერთი ჩამოვთვალო? აი, მაგალითად, ზოგ  
ბალახს დანისკუდა ჰქვიან, ზოგსაც ბარისპირა და გობისცხვირა!

— გობისცხვირა?! იხ, რა სასაცილოა! ნეტავი რომელი ბალახია ეგრე  
სასაცილო?!

— ეგ რა არის! მაგაზე სასაცილო სახელები ჰქვიათ ბალახებს და ყვავი-  
ლებს. გოგოებო, მომაგონეთ, თორემ ამის ხასიათი რომ ვიცი, აღარ მომეშვება.

— ვირისგვერდა! — დაიძახა სულ უფროსმა გოგომ და ხერხივით დაყო-  
ფილი კბილები ისე დაკრიჭა, პირი გახევაზე გაუხდა.

— იჳ, შენ მომიკვდი, შენა! — სიცილით გასძახა ვარდისმონამ, — ეგ საიდან  
მოგაგონდა? განა არა, ფოთოლი შენსავით და კბილული აქვს. ვირისგვერდას,  
შუშანიკ, ლურჯი ყვავილი აქვს, ლურჯი ფერადის სალებავად იხმარება.

— კიდევ რა სახელები იცი, ვარდისმონავ?

— კიდევ? დათვისაგებელა, დევსურა, ვაცისწვერა, თეკნისყურა. ეს მხალია,  
საჭმელი, როცა მოიხარშება, უფრო გამნვანდება.

— კიდევ, კიდევ.

— კიდევ, ქათმისქოჩორა, ღორისქადა, ბუმბულია, ყვითელი ყვავილი  
აქვს, ბოლოს ბუმბულსავით გახდება. ყვავისეუდა, გრძლად იზრდება, ერთი  
ლერო აქვს ბუსუსიანი; ჩიტისფეხაც ერთ ტოტზე იზრდება, თავთავს ფოჩი-  
ვით იკეთებს, ჩიტის ფეხსავით დაყოფილს; ცხენისოფლა მაღალი ბალახია,  
ფოთოლი ტირიფისას უგავს, ყვითელი ყვავილები აქვს; ცანცარაც ნახევარ  
ადლზე იზრდება, ეს თავსაშვებელა ბალახი ნვრილი და გრძელფოთლიანია.

— კიდევ რა სასაცილო სახელი იცი, ვარდისმონავ?

— კიდევ?.. ცხვირსატეხელა.

შუშანიკი სიცილისაგან ჩაბჟირდა.

— კიდევ... კიდევ...

— თავცეცხლა.

— ხა, ხა, ხა, ხა!

— უგვირების საყვარელი ბალახი! — დაიძახა ვარდისმონასავით აყლაყუ-  
და, მაგრამ კოკიროჭინა და კევიღეჭია გოგომ.

— კოდევ... კიდევ...  
— პაპისყვერა! — ნამოძახა ლაშებიანმა, ფანჯრის რათაზე ჩამოშუდარწმუნებული გოგომდა ბილნურად გაიღომა. სხვებმა მორცხვად დახარეს თავი და გაიღუნდა სნენ. ვარდისმონამ ჯერ ნარბი შეჰქრა, მერე მთელ სახეზე სათნო ლიმილი გადაეფინა, შუშანიკს მიესიყვარულა და განაგრძო:

— მე უფრო, შუშანიკჯან, ზამთრის ბოლოს და გაზაფხულის ყვავილები მიყვარს, ბუჩქისძირებსა და ტყისპირებზე ლამაზად რომ ყელყელაობენ, მნვანეყვავილებიანი ხარისპარია, ლალისფერი ყოჩივარდა, შენსავით მორცხვი ცისთვალა, ამ ლაშებიან ფეფულასავით ურცხვი და ლნიოში, მაგრამ ამაზე კოხტა ცხენისკბილა, ენძელები, ლურჯთვალა იები, ჩიტისთავა, კესანე, ფერისულა, ბოლა და სხვა ნაირ-ნაირი ყვავილი და ბალახი. ნუთუ ამათი სახელები არც დედას უთქვამს, არც მამას?

— მაგან თუ ბალახის სახელები არ იკის, არც ფხალეული ეცოდინება? — თქმა ერთმა მოლეულმა, ძალზე გამხდარმა, თვალებმაცაცადა სახეჭორფლიანმა გოგომ.

— საიდან ეცოდინება, — შეუტის მას გაჯავრებით ვარდისმონამ, — შვილთან, მთელი ქალაქის მტვერი კაბის ბოლოთი გაქვს მოხვეტილი და ამას ედრები?

— შენ გული რაზე მოგდის? შენ ვინ გეკითხება? — გაჯავრებითვე შემოუტია ჭორფლიანმა გოგომ, — მაგას, ნიძლავსა ვდებ, ქვაბის ზედადგარზე შედგმა არ ეცოდინება, ფხალეულის მოდულებას ნულარ იტყვი!

— ჩხებისთავო, აქაც აღარ ჩერდები? — გაუწყრა ყველაზე უფროსი გოგო ჭორფლიანს და თან უკვე გაცხარებული ვარდისმონას დაშოშმინება მოინდომა, — ვარდისმონავ, შენ რაღა მოგივიდა, რა სულ მურნა ბალახს და თოვლში ამოსულ ყვავილებს უსახელებ სოვდაგრის ქალს, ფხალეული ვერ დაუსახელე, რომ სახლში ნახოს და დაიხსომოს?

— შენც ლაპარაკობ, რაღა! — ხელები გაშალა ვარდისმონამ, — დიდმარხ-ვაში რამდენჯერ მომიხარშია კორდისენა, მაგრამ აბა ჰერითხეთ, როგორია ან რანაირი ფორთოლი აქვს. მაგას ზედადგართან ვინ მიუშვებს, ან მწვანილს ვინ გაარეცხინებს, სოვდაგრისაზიზ-მაზიზი ქალია! ნაცარქათამა მაგან რაიცის!

— მაშ, არც შავეა კალა ეცოდინება? — ჩაერივნენ ლაპარაკში სხვა გოგოებიც.

— არც ომბალო, — თქვა მაღალ-მაღალმა და პირსმელა გოგომ.

— არც თავყვითელა, — დასძინა მსუქანმა და ლოყებნითელა გოგომ.

— შავეა კალა რაღაა? — მიამიტად იკითხა შუშანიკმა. გოგოებმა ერთმანეთს გადახედეს და ჩაითრუტუტუნეს.

— შავეა კალაც ბალახია, — განუმარტა ვარდისმონამ თავის გულუბრყვილო ქალბატონს, — პურში აურევენ, რომ კარგი სუნი მისცეს...

— პური რისგანდა კეთდება? — აღარ დააცალა ლაპარაკი ვარდისმონას ყველაზე უმრნემესმა და ყველაზე ცქრიალა გოგომ, თან ყელიც მოიყარყარა და ჭრელი, ხშირნამნამებიანი თვალებიც ეშმაკურად ააციმციმა.

ვარდისმონამ ახლა კი ვეღარ მოითმინა, მას თავში მაგრად ჩაუფაჩუნა და თან დაუტატანა:

— შენი მასხარად ასაგდები, ვინ არის? თორემ შენ რა, ეგ არის, სამყურას მოხყურასაგან გაარჩევ.

ტანდაბალმა გოგომ აყლაყუდა ვარდისმონას სერიოზული სახით ახედა და სერიოზულად უთხრა:

— თხყურა ჯავარა ბალახივითაა, ღეროზე ოთხი ფოთოლი აქვს, ყვა-  
კლო მოგრძო, მომტევნო და მონითანო. სამყურაზეც, თუ გინდა, ეხლავე  
თამასუქს გამოგინერ! — გაბრაზდა უცებუმრნემესი გოგო და ვარდისმონას  
ხმა აღარ ამოაღებინა, ზედიზედ მიაყარა, — შენ ვინ მოგცა ნება, რომ თავში  
ჩამარტყა? ობოლი ხომ არა გვინივარ, შე ბოსტნის საფრთხობელა, შენა! თავი  
რომ ლამის ცასა ჰერა, ეგ გათამამებს, განა არ იცი, რომ თავში ჭკუაც უნდა  
გვიაროს! ერთი ამას უყურეთ, რანაირად ითხლიშება, თავის ჭკუაში რანაი-  
რად დამცეკერის. აი, მეხი კი დაგაყარე! შენ ისევ ის გირჩევნია, შენს პირზე  
რდეშეუმრობელ ქალბატონს მოუარო. შენ ცოტა ჭკუით მოიქცი, თორემ თუ  
გავ შენს ბუნუნებს ვეცი, ხელიდან ვერავინ გამაშვებინებს!

— ერთი ამ სასიკვდილეს უყურეთ?! — გაკაპასდა ვარდისმონაც, — ჯერ  
გინას არ ასცილებია და თვალებში უკვე ასი ეშმაკი უზის!

— სასიკვდილეც და დასამინებელიც შენა ხარ. შე ვირაქლემა, შენა!

— ქა, შენ მაგას ვის უბედავ?! — გაინია ვარდისმონაშ ნორჩი გოგოსკენ.

— ხომ არ გინდა, ეგ დაბებჯილი ქალალაია შემოვახიო?

გაინია მისკენ ნორჩიმა გოგომაც. ყველაზე უფროსი გოგო უმრნემეს გოგო-  
სა და ვარდისმონას შუა ჩავარდა, ერთმანეთს ძლივს დააშორა და დააშოშმინა.  
მერე გოგონებს მოუბრუნდა:

— ეხლა ის დროა, ვიჭაკის ნყლის მომტანი დავასახელოთ.

გოგოებმა დიდი ამბით ამოირჩიეს თავიანთ შორის ვიჭაკის ნყლის შემ-  
გროვებელი. მას შვიდ სხვადასხვა წყაროზე უნდა ჩაესხა წყალი საგანგებო  
ჭურჭელში და უკან ისე უნდა მოეტანა, რომ წვეთი არ დაექცია.

## 6. ვიზუალი სიმღერები

ორი კვირის მთვარეო,  
ნათელ ბრნყინვალე არეო,  
ანგელოზ მინყივ ფარეო,  
სიცოცხლეს შენგან მოველი,  
უკვდავება ხარ ცხოველი!  
დიმიტრი თუმანიშვილი, „ახალ აღნავო სული“

ოთახში დარჩენილმა გოგონებმა სიცილ-ხარხარი შესწყვიტეს. გაწუმდნენ.  
ყველამ პირზე კლიტე დაიდო. ნყლის შემგროვებელი გოგოს დაბრუნებამდე

<sup>1</sup> ვიჭაკური სიმღერები ორგანულად იყო დაკავშირებული თბილისურ ფოლებორ-  
თან. აღნერილია გაზ. „კავკაზში“ XIX ს-ის 40-იანი წლების დასასრულს.

ხმა არავის არ უნდა ამოელო. თუ ვინმეს სიტყვა წამოცდებოდა ან გაიცინებდა, ვიჭავის წყალი თავის ძალას და კარგავდა და არჩეულ გოგოს ხელახლად მოუხდებოდა წყაროების დავლა.

ცოდო იყო! შვიდი წყარო ერთ ადგილზე ხომ არ გადმოსჩუხჩებდა!

საამო სანახავნი იყვნენ ეს ნორჩი, ახლად ტანაყრილი, თოთხმეტ-თხუთმეტი ნლის გოგონები, თავდახრილნი და მღუმარენი, ჭრელ-ჭრული უბრალო ჩითის კაბებით ერთმანეთის გვერდით რომ ისხდნენ და გაფაციცებით არჩევდნენ და წნავდნენ ყვავილ-ბალახებს.

შუმანიკი ცემუტავდა და დუმილს ვეღარ ითმენდა, რადგან ტიტინი და სიცილი სწყუროდა. ვარდისმონა მას თვალს ანიშნებდა, ენისთვის კბილი დაეჭირა და არ გაეცინა.

კარი გაილო. ოთახში წყაროებზე ნასული გოგო შემოვიდა წყლით გავსებული ჭურჭლით ხელში. მას თან ბრმა დედაკაცი შემოჰყვა. დედაკაცი პატარა, ექვსიოდე ნლის გოგონას მოჰყავდა და გზას უკვლევდა.

გოგოები ვიჭავის წყლის პირგანიერ დოქს შემოეხვივნენ და ყვავილწნულებით და გვირგვინებით მორთეს. მერე წყალში ყველამ თავისი ნიშანი ჩაავდო: ბეჭედი, საყურე, გულქანდი, მძივი, შუბლის ქინძისთავი, სამაჯური და სხვა-დასხვანაირი უბრალო სამკაული, ვისაც რა გააჩნდა და რისი პატრონიც იყო.

ბრმა დედაკაცმა ჭიანურზე დაამდერა:

წყალი მოდის, მოჩუხჩებებს,  
ტალღას მოაქვს ორი ვაშლი,  
ვულის სატრფო ამომილებს,  
გამომარჩევს ყველა ქალში.

მომლერალი დედაკაცი გაჩუმდა. დარიგებულმა გოგონამ დოქში ხელი ჩა-  
ყო და იქიდან მავთულივით წვრილი სამაჯური ამოილო. სამაჯურის პატრონი  
გოგო განითლდა. დობილებმა სიცილი დააყარეს: „ამ არდასარჩენს ბაზაზის  
შეგირდი მიხაյლ მისცემს ვაშლსა, აბა სხვა ვინ იქნება?!”

მომლერალმა განაგრძო:

ბალჩამია ვარდი ჰყვავის,  
ქვეშ ბალახი იზრდებაო,  
გოგოვ, თვალი რაზე გრჩება?  
კოხტა ვაჟი გჭირდებაო?!

გოგონამ ბეჭედი ამოილო. ბეჭდის პატრონს ლოყები აუნითლდა და დარცხვენილმა თავი ჩაღუნა. „აი, არა ქენ! — ატეხეს სიცილი გოგონებმა, — ხედავთ, თავს როგორ იყატუნებს? თვალები ისეთნაირად უციმციმებს, რომ, დაიხსომეთ, გაისად ქურქჩი იასონას ბიჭს აგორავებს კალთაში“. გო-

გოგი დიდხანს იცინოდნენ, ხუმრობდნენ და აურიამულებული გაჩუმებას  
არ აპირებდნენ.

მომღერალმა თავისი თავი მოაგონა:

ქერის პური გამოვაცხე,  
მომეჩვენა ხორბლისათა,  
ახ, სადა ხარ, სატრფოვ, სადა,  
რომელ მხარეს, რომლისათა?  
დაბრუნდება, გაიხარებ,  
მოეხვევი, ყელზე ეოცნით,  
ჰაქრის სიტყვას მოგახსენებს,  
კირს აგივსებს ცხარე ეოცნით!

გოგონამ ვიჭავის ნელის ჭურჭლიდან ქარვის მძივი ამოილო. მძივის პა-  
ტრონმა ტირილი დაინყო. მისი მიჯნური ქართულ მილიციაში ჩანერილიყო  
და მთიელებს ებრძოდა. დობილები მისცვივდნენ: „რა გატირებს? ღმერთს ნუ  
სცოდავ, ქარვი სიმღერა ამოგივიდა. მოგივა და პირს დაგიკოცნისო“.

მომღერალმა ახალი სიმღერა წამოინყო:

მთის ბილიუებს ამოვყევი,  
საყდარი დგას მწვანეებში,  
გვირგვინი აქ დამილოცეს,  
ქვევით დავყავ წვალებაში.  
თვალზე მადგას მწარე ცრემლი,  
დედი! შუბლზე მანერია!  
მაგ ტირილით რას მიძველი,  
ბედის ნიგნში ეს წერია!

მომღერალი დედაქაცი გაჩუმდა. უსინათლო ნითელი თვალებიდან ცრე-  
მლის კურცხალი ჩამოენურა. იმ გოგოებმა, რომელთა ნიშნები ჯერ ისევ  
დოქტი ელაგა, ერთმანეთს შიშით გადახედეს. გოგონამ ხელი ნეალში ჩაჰყო.  
გოგოები ფერნასული ისხდნენ და მლელვარებით მოელოდნენ ნელიდან ნიშ-  
ნისამოლებას. გოგონამ შუშანიკის გულქანდი ამოილო. შუშანიკი გაფითრდა,  
თვალზე ცრემლი მოერია. შენუხებული ვარდისმონა სიყვარულით მოეხვია  
მას და თვითონაც დადარღიანდა. ცრუმორნმუნე გოგოებმა თანაგრძნობით  
დაუწყეს ყურება სოვდაგრის განებივრებულ ქალს, რომელსაც ვიჭაურმა  
სიმღერამ უბედურება უნინასწარმეტყველა. ვარდისმონა ამაოდ ამშვიდებდა  
დანაღვლიანებულ ქალბატონს.

მომღერალმა დედაქაცმა თავშლის ბოლოთი ცრემლი მოინმინდა და კილო  
გამოცვალა:

დავნან, დაურთევი ყვავილი,  
თავზე გვირგვინი დავიდგი,  
ოქრო და ვერცხლი მაჩუქეს,  
სრა-სასახლენი დავიდგი.

ამ სიმღერას შუბლის ქინძისთავი ამოჰყვა. მისმა მფლობელმა სიამით გაიღიმა. ვოგოებს დობილის ბედი არ შემურდათ, მივარდნენ, გადაეხვივნენ, ალალი გულით გადაჟუოცნეს, მაგრამ ხუმრობით მაინც გაჟკენნლეს: „ვერ უყურებთ, ამ ფშატიაკურთხეს როგორ ყველაფერში ბედი აქვსო“.

ბრძა დედაკაცმა კვლავ დაამღერა:

ყვავილებს ვერეფ კალთას ვივსებ,  
რაში ვაქნევ ან რათ მინდა?  
ჩემსა მიჯნურს ქორნილი აქვს,  
პატარძლისთვის ხომ არ მინდა?

სიმღერას წითელი ლალის საყურე ამოჰყვა. ეს საყურე თოთხმეტი წლის ცქრიალა ვოგოს ეკუთვნოდა, მას შიშით თვალები დაუდიდრონდა, წამნა-მებზე ცრემლები დაეკიდა და ისეთი საბრალო პირისახე გაუხდა, რომ მისი შემყურე ვოგოები ატირდნენ და ის პატარა ვოგო, რომლისთვისაც მიჯნურს უნდა ელალატნა, სათითაოდ გულში ჩაიხუტეს და ცრემლიანი თვალები დაუკოცნეს. ყველაზე უფრო მეტად მას გულაჩუყებული ვარდისმონა ეხ-ვეოდა, სულ თვალ-ნარბს უკოცნიდა და ნეღანდელ თავის ავსიტყვაობას გულნრფელად ნანობდა.

სოვდაგრის ქალს იქვეულმა ვეღარ გაუძლო. შინ დალონებული დაბრუნდა. შუმანიკა დრომ დავინყა ვიჭაკური სიმღერა.

## 7. მიზნერის უსტარი

კარგა ხანს იჯდა იდაყვზე თავჩამოკიდებული, ფიქრებში გატაცებული.  
ლავრენტი არდა ზიანი, „მორჩილი“

შუმანიკა თავისი მამის მაღაზიის ნოქარი უყვარდა.

ისინი მოულოდნელად შეხვდნენ ერთმანეთს. ის დღე სამუდამოდ დაამახ-სოვრდა შუმანიკა.

ურთხელ სოვდაგარმა თავისი ნოქარი თავისიანებთან გაგზავნა ანჩისხატის ქუჩაზე იმ დავთრისათვის, რომელიც მას შემთხვევით მაგიდაზე დარჩენოდა. ფილიპეს სადარბაზო კარები ვარდისმონამ გაუღო, მაღლა აიყვანა და იმ ოთახში შეიყვანა, სადაც დავთარი იდო. ოთახში სამნი ისხდნენ: სოვდაგრის

დედა, გამხდარ-გამხდარი ხნიერი დედაკაცი, ანუშა და შუშანიკი. სამთავენი ქარგვით იყენებ გართულნი.

ფილიპე ყველას იმერული თავაზიანობით მიესალმა, ფერშანგოვის ქალი კი ერთი წამით ქურდულად შეათვალიერა. შუშანიკმაც წარბებს ქვემოდან ცნობისმოყვარეობით გამოხედა. ფილიპე ლამაზი, მოხდენილი გარევნობის ქრა ყმანვილი იყო. ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სოვ-დაგრის ქალს იგი თავდავინყებით შეჟყვარებოდა.

ანუშამნოქარს დავთარი გადასცა. როცა ის წავიდა, ვარდისმონას გაუწყოა:

— გოგო, ის უცხო კაცი ოთახში რომ არ შემოგეყვანა, არ იქნებოდა?

— მატაოცი<sup>1</sup>, მატაოცი, — წაიდუდუნა დედამთილმა.

შუშანიკი კი გულში ლოცავდა მოახლეს.

სოვდაგრის ქალმა იმ ლამაზი ნოქრის სახე დაიმახსოვრა. იმაზე ფიქრი დაწყო. იმ ვაუის სიყვარული გულში ჩაუვარდა და აფორიაქდა. იდუმალ ოხ-ვრა-გოდებას სწორედ ისე მოჰყვა, როგორც ეს ვარდისმონას სიმღერებსა და ზღაპრებში სიყვარულის ალში დადაგულ კაცებს და ქალებს ემართებოდათ.

ვარდისმონა მალე მიხვდა, რა გრძნობაც ჭანჯავდა მის ახალგაზრდა ქალბატონს. ჩააცივდა და როცა გამოსტეხა, სახტად დარჩა. მოახლე ყურებს არ უჯერებდა. მას ამბად თუ გაეგონა მდიდარი ქალის მიერ ლატაკის შეყვა-რება და ქმრად შერთვა. შენუხდა, დაიბნა, ქალბატონს არჩევანი არ მოუწონა, დაარიგა და იმ ყმანვილის გულიდან ამორცხვა ურჩია, შუშანიკმა ჭირილი მორთო: „ოჲ, ჩემო საყვარელო ვარდისმონავ, მე მხოლოდ შენი იმედი მქონ-და და შენცა მღალატობ, მაშ რაც შენს სიმღერებში მოვისმინე, ყველაფერი ტყუილი იყო? მაშ სიყვარული არ ყოფილა ქვეყანაზე?“

დიდხანს იტირა და მოახლეც აატირა.

მოახლე ქალბატონზე ექვსი ნლით უფროსი იყო, ოცდაორი ნლის შინაბერა. სიყვარული თვითონაც გამოცდილი ჰქონდა და სხვების სიყვარულის მომსწრედა მნახველიც ბევრჯერ ყოფილა. ქნეინებისა და დიდვაჭრების მოახლედ ნამყოფს, ზოგი რამ საკუთარი თვალით ენახა, ზოგიც გავონილი და მოსმენილი ჰქონდა, ზოგსაც თვითონ ეხმარებოდა და შველოდა, თავისი მოხერხებით და გამჭრია-ხობით ხელს უნყობდა. ძველი რომანების და ნოველების ძიძებივით ახერხებდა შეყვარებულთა შეხვედრას და დაახლოებას, მაგრამ პირზე კლიტის დადებაც იცოდა. ბუნებით გულკეთილს სხვისი ბედნიერება, სიხარული და სიყვარული ახარებდა. ერთგულება და თავდადება მისგან ისევე განუყრელი იყო, როგორც სიკილი და სიმღერა. შუშანიკი მას საკუთარ თავზე მეტად უყვარდა. ამიტომ, თუ საქმე მოითხოვდა, მზად იყო, მისთვის თუნდ ცეცხლში შევარდნილიყო.

ვარდისმონას ძილი გაუერთა. ფიქრობდა და ვერაფერი მოესაზრებინა. ჭიანური ჭირივით შესძულდა, რადგან ქალბატონის უცნაური გატაცების მიზეზად თავის სიმღერებს თვლიდა.

<sup>1</sup> მომეტიჩირო, მეტიჩირა.

შუმანიკა კი თანდათან ზაფრანისფერი ედებოდა, დარდობდა, საჭმელს პირს აღარ აკარებდა, გახდა, გაყვითლდა, მოსთქვამდა და ტიროდა.

რაკი უარით და დარიგებით ვერაფერს გახდა, ვარდისმონამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. სერიოზულად შეფიქრიანებული ქალბატონის ნებას აჰყვა.

როდესაც მან ფილიპეს პირველი ბარათი მიუტანა, ნოქარი გაოცდა, არ მოელოდა. პირველად ისიც კი იფიქრა, მასხარად მიგდებენო, მაგრამ ახალმა ბარათმა ეჭვები გაუქარნყლა, გაამხნევა და ფრთები შეასხა. სატრფოსაგან ბარათი ბარათზე მოდიოდა. ნოქარი სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა.

მარტოხელა, უსახლეარო, ქალაქში იმერეთიდან გადმოხვენილი ნაყმევი და ახლანდელი ნოქარი სიმდიდრით განთქმულ სოვდაგარ ფერმანგოვის ქალს უყვარდა. სიყვარული, რომელიც ქალის კარჩაკეტილობით, გამოუცდელობით და სატრფიალო სიმღერებით იყო გამოწვეული, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ამას გოგოს ცრემლებით დანამული ბარათები ადასტურებდნენ. თვითონ ფილიპეს სულ სხვა რამ აინტერესებდა. ის სოვდაგრის ქონებაზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე მის ქალზე, რომელსაც გულში დასცინოდა და სულელს უნოდებდა. მათ მხოლოდ ერთხელ ნახეს ერთმანეთი, სამაგიეროდ, ხშირ-ხშირად ცვლიდნენ ბარათებს ვარდისმონას დახმარებით და შემწეობით.

ამ ბარათებში ისინი ერთმანეთს სამუდამო სიყვარულს ეფიცებოდნენ, თან საშინელ ნყევლას უთვლიდნენ იმას, ვინც ამ სიყვარულს ბოლოს მოუღებდა. შუმანიკი ფილიპეს უმტკიცებდა, რომ მის გარდა სხვა კაცს ცოლად არავითარ შემთხვევაში არ გაჰყვებოდა. ამაში ვარდისმონაც არწმუნებდა ნოქარს და თავის მხრივ ეუბნებოდა: „რაკი ქალბატონი გამიგიუე, ხათრიჯამი ბრძანდებოდე, შენთან გაჭირვების და ნაკლებობის ატანა ურჩევნია, სხვასთან ფუფუნებით ცხოვრებასო“. ფილიპესაც სჯეროდა. ამას ყოველი ახალი ბარათი ამტკიცებდა. ოღონდ თავისი ნარჩატება თვითონვე უკვირდა და თავბრუ ეხვეოდა. კმაყოფილებით იგრეხდა კოკორა ულვაშებს და ცხვირანეული დაბრძანდებოდა.

მაგრამ სოვდაგრის გოგოს უცნობი კაცის ბეჭედი ეკეთა თითზე.

სწორედ იმ დღეს, რა დღესაც შუმანიკა დედამ თითზე ნიშნობის ბეჭედი გაუკეთა, ვარდისმონა ფილიპესთან იყო გაგზავნილი მოკითხვისა და სიყვარულის ბარათით. შინ ფილიპეს პასუხით დაბრუნდა. შუმანიკა ხმის კან კალით ნაიკითხა მოწერილი ბარათი, ზედ ცრემლები დააწვიმა და დაალპო. მოახლე გაოცებული უყურებდა ატირებულ ქალბატონს.

— შენ შემოგვევლოს ვარდისმონა! — ნამოიძახა მან გრძნობით, — რა იყო? რა დაგემართა? მაგ ნიგნში ისეთი რა ჩასწერა იმ.. არა, ნეღანვე შეგატყე, ნამტირალევი სახე გქონდა. დიდედა ხომ არ ნაგეჩხუბა? ვინმემ ხომ არ გაწყენინა?

— ის სიყვარულს მეფიცება... მე კი... მე კი... — სლუკუნებდა შუშანიკი და ცრემლებთან ერთად სიტყვებსაც ყლაპავდა, — ხედავ, თითზე სხვისი ბეჭედი მიეთია.

— უ ჩემს თვალებს!

— დარღით აღარ ვიცი, რა ვქნა!

— როდის დაგნიშნეს გოგო? ვისზე დაგნიშნეს? რა კაცია, ვინ არის? ახალგაზრდა არის თუ ბებერი? — ზედიზედ მიაყარა კითხვები ვარდისმონამ შუშანიკს.

— აბა, რა ვიცი, ვინ არის? არც სახელი მიკითხია და არც გვარი. ვინც უნდა, ის იყოს. მე რაში მეკითხება? მე ჩემი ფილიპე მიყვარს და მეყვარება! ოჟ, ვარდისმონავ! მიშველე, გევედრები, ამ ჭირიდან დამიხსენი და სამუდამოდ შენი მონა გავხდები.

— მე რა შემიძლიან? რომ არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე? მე რით უნდა გიშველო?

შუშანიკი უარესად ატირდა.

— ნუ, ნუ, შენ შემოგევლე! — ამშვიდებდა და უყვავებდა ქალბატონს მოახლე და თვითონაც იმდუღრებოდა, — ნუ ტირიხარ, გენაცვალე! შენ ოლონდ მიბრძანე და, თუ გინდა, ადიდებულ წყალში გადავვარდები.

— ვარდისმონავ! ჩემო საყვარელო, ჩემო კარგო ვარდისმონავ! მე ეხლა ნერილს დავწერ და შენ ფილიპეს ნაულე.

— ეხლავე? ამ ნუთში?

— ჰო, ჰო. მეტს ნულარ დავაგვიანებთ.

— ხვალისთვის რომ გადავდოთ, რა მოხდება? განა ეხლა იქიდან არ მოვდივარ? არ იცი, რომ დედაკაცის ნარამარა ქუჩაში სიარული არ შეიძლება? მეზობლები ეჭვს აიღებენ. ფრთხილად უნდა ვიყოთ.

— ჰო, ვარდისმონავ! ოლონდ ეს თხოვნა შემისრულე და... რა ვიცი... მაგ შენს სიკეთეს, სანამ პირში სული მიდგას, არასოდეს არ დავივიწყებ! თუ ეხლავე არ შევატყობინეთ ფილიპეს ჩვენი უბედურების ამბავი, მერე გვიანლა იქნება.

— ჰო, რა გაეწყობა! აღაც რომ შემხვდეს ქუჩაში, წიგნს მაინც მივუტან ფილიპეს. საწყალს ფერი კი ეცვლება, მაგრამ რაკი დაგნიშნეს...

— გაჩუმდი! — დაუყვირა შეშინებულმა ქალბატონმა მოახლეს და სიტყვა აღარ დაამთავრებინა, — ფიცს არც მე გავტეხ და არც ფილიპე. ამ ბეჭედს რა ჟესა აქვს? ეხლავე მოვიხსნი, აქ ეგდოს, რა მენაღვლება?!

შუშანიკი ნერილის ნერას შეუდგა. აღელვებული საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა, ნვალობდა, ქალალდს ქალალდზე ხევდა, ხელში ბატის ფრთის ყალაში უთროთოდა და ცრემლებს ვერ იმაგრებდა. დიდი ხნის შემდეგ, როცა დამთავრებულ ნერილზე ქვიშის დაპნევა მოათავა, შუათითი ანაზღად სამელნეს მოხვდა და ზედ ანნლის მელანი გადააქცია.

— შენ მოგიყვდეს ვარდისმონა! — შეჰყვირს მოახლეობა, — გულს რათ იძორო?  
ტექ? რათ იძორო? და მშვიდებით დაწერე, გენაცვალე! ნუღარ ტირიხარ, იქნება  
რამე მოვახერხოთ? ჭა, ცოტაჯერ მომხდარა ესეთი ამბავი, მაგრამ წინასწარ  
გული არავის გაუხეთქა.

შუმანიკი მა ძლივს მოახერხს ნერილის დაწერა, მოახლეს გადასცა და უთხრა:

— აპა, დაიჭი! ფრთები შეისხი და გაფრინდი. ჩემს საყვარელს მიუტანე და  
ჩქარა პასუხი მომიტანე.

სოვდაგრის ქალი ყველაფერს, რაც კი ახალგაზრდა და ლამაზი ნოქრის  
სიყვარულთან იყო დაკავშირებული, დაუფიქრებლად და ანგარიშმიუცემლად  
აკეთებდა.

ვარდისმონამ თავისი ქალბატონის ნერილი ნოქარს გადასცა, ნალვლიანად  
შეხედა და ქალალაიას ბოლო ცრემლის მოსაწმენდად მოამზადა, რადგან  
აქაც ოხვრასა და გოდებას მოელოდა, მაგრამ სახტად დარჩა. წყენის მაგიერ  
ფილიპეს სახეზე რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება გამოეხატა. შუმანიკის  
ნერილს დიდხანს ატრიალებდა ხელში. დაფიქრებული იდგა. მერე სატრფოს  
მოახლე მოფარებულში დამალა, თვითონ საათის დრო გაიგო და პასუხის  
ნერას შეუდგა. ნოქარი სოვდაგრის ქალს ნერდა: „შუმანიკ, ჩემო ქალბატო-  
ნო! ვინ დაგვატეხა თავზე ამისთანა უბედურება? ვინ ჩადგა ჩვენს ცოდვაში?  
ვისზე დაგნიშნეს? წითელქარებიან ბეხრევზე, ხომ? ვაი, შენი და ჩემი ბრალი,  
შუმანიკ! მეკითხები, რა გზას დავადგეთო! არ იცი, მამაშენის ხასიათები?  
არავითარ შემთხვევაში თავისი ქალის ბეღნიერებას არ ინდომებს, სიკეთეს არ  
გვიზამს. ანი ამას გევედრები მუხლებდაჩოქილი, ჩემო სამოთხის მტრედო და  
ჩემო სიცოცხლევ! გეიქეცი სახლიდან, მომატაცებიერ შენი თავი. ნუ შეგეშინ-  
დება. დედაშენი ანუმა, კარგად იცი, უშენობას უერ ეიტანს, თავს მეიკლავს,  
ტირილით ყველას თავს მოაბეზრებს. მამაშენსაც მეტირა გზა ექნება? ბოლოს  
შეგვირიგებენ და გვირგვინს დაგვილოცავენ. ანი ამას გეხვენები: საღამოს  
ჩასრომს სამოხატვილები და თქვენი კედლის საათიდან გუგულირომ გამოხტება,  
ადექი და ჩუმად სახლიდან გამოდი. ჭურის მოსახვევში მე ვიდგები და იმნამსვე  
საყდარში გევიქცევით. გუგულირვაჯერრომ დეიძახებს, მაშინ გამოდი. შენი  
მონა და ბოლომდის ერთგული ფილიპე“.

ფილიპემ ნერილი დაკეცა, სახლის იაქთაღთან დამალულ ვარდისმონას  
გამოუტანა და თან დაარიგა, არამც და არამც ნერილი არავისთვის ცოცხალი  
თავით არ დაენებებინა.

— ვიცი, ვიცი, ფილიპეჯან, მამალს კუდი სად დავუმალო! — ეშმაკური  
თვალის ჩაკერით და სიცილით უთხრა ვარდისმონამ ნოქარს, ქალალაია თავზე  
მოიხურა, ფილიპეს ერთხელ კიდევ შესცინა, თავის დაკვრით გამოემშვიდობა  
და ჩქარი სიარულით გაიარა პატარა ბნელი ჭურაბანდი.

ფილიპემ ნყალჩამდგარი თვალი გააყოლა და ჩაიცინა:

— ქე სჯობიან მის ქალბატონს.

ფერშანგოვს დაეთხოვა და წმინდა ბარბარეს მღვდელთან გაიქცა.

## 8. პასუხი

— არა, არა! რად მინდა ბრილიანტები! — სოქვა კეკემ, — ეს კოცნა, ეს დაუბრილოებელი კოცნა — ესენი არიან უძვირფასესნი ბრილიანტნი, რომელითაც კი ქალი შვენდების. გრიგოლ რჩეულიშვილი, „მემლილი“

ფერდაკარგული შუშანიკი კარებშივე მიეგება მოახლეს, რომელსაც სირბილის გამო ოფლის ხვითქი ჩამოსდიოდა შუბლზე.

— ნახე ფილიპე? — დაუყოვნებლივ მიაძახა ქალბატონმა.

— ვნახე, მაშინას ვიზამდი; მთელ ქალაქს გადავაბრუნებდი და იმას მაინც ვიპოვიდი. აი, შენი ნიგნის პასუხი.

შუშანიკმა ძლივძლივობით ნაიკითხა ნერილი, უარესად აღელდა და სახეზე შიში გამოესახა.

— რასა გწერს? — ნიაზით ჰეითხა ვარდისმონამ.

— მწერს, სახლიდან გაიქეციო...

— ეგ რა თქვი, შუშანიკუჯან! ეგ როგორ იქნება! დედ-მამის სახლი რომ დასტოვო, ვისთან უნდა ნახვიდე? ფილიპეს რა აქვავია, რომ შენ შეგინახოს? შენ ის როგორ მოგივლის, თუ მამამ მხარი არ მოგცა? იმას ისევ ის ურჩევნია, აღას მაჭანეალი გამოუგზავნოს, მაგრამ...

მოახლე გაჩუმდა, ქალბატონს სიბრალულით შეხვდა.

— აღა არასდროს ყაბულს არ იტყვის, თანაც უკვე დანიშნული ხარ.

— მაში, რა ვქნა? როგორ ამოვიდე ამ ცეცხლიდან?

— შე სანყალო, იმის სიყვარული გულიდან უნდა ამოიღო. სხვა გზა არა გაქვს. აზიზად გაზრდილი ხარ, ყაირათხა და გაფირვებას ვერ აიტან.

იმედნართმეული შუშანიკი დრმად ჩაფიქრდა. დიდხანს ფიქრობდა თვალგაშტურებული. მერევარდისმონას ყელზე მოეხვია, თვალები დაუკოცნა და ჰეითხა:

— მითხარი, ჩემო საყვარელო ვარდისმონავ, გიყვარეარ?

— ქა, რა საჟითხავია? მაში არ მიყვარხარ?

— აბა დაიფიცე!

— ქა, რა ფიცი გინდა? განა სულ შენი ბედნიერების ნატვრაში არა ვარ? ოდონდ შენა მყვანდე კარგად, მე თუნდ სულაც ნუ ვყოფილვარ!

— მაში, თუ ეგრეა, ერთი თხოვნა უნდა ამისრულო.

— ორი იყოს, მითხარი.

— ამაღამ მე სახლიდან უნდა გავიქცე.

— უიმე!

— თუ მართლა ჩემი სიყვარული გაქვს, ხელი შემინე.

— რა ვქნა, შუშანიკუჯან! მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ამ საქმეში ხელს ვერ შეგინყობ, ჩემი ხელით ვერ დაგლუხავ. შენ რომ უბედური გნახო, იმ დღესვე თავს მოვიკლავ.

- მაშ, ჩემი სიკუდილი გინდა?
- უნინ დღეც გამქრობია!
- მაშ, იცოდე. თუ სხვა კაცს შემრთეს, თავს ჩამოვიხრჩობ ან წყალში გადავვარდები.

- ფუჟ! ფუჟ! ფუჟ! ეშმაქს მიაფურთხე. ეგ როგორ ამოსთქვი?
- ვარდისმონავ, მიშველე! — მუდარით შეპლალადა შუშანიკმა, დაუჩიქა და მუხლებზე მოეხვია.

— ადექი, ადექი, აბა, მაგას რას სჩადიხარ? — ამბობდა დაბწნეული მოახლე და ქალბატონის ნამოყენებას ცდილობდა, — რა ვქნა? რა ვიღონო? რა თავში ქვა ვიხალო? ახ, ნეტავი ფილიპე არასოდეს გენახა. ნეტავი იმ დღეს ფეხი მოსტეხოდა და ჩვენს სახლში არ შემოსულიყო.

— ფილიპეც რომ არ ყოფილიყო, იმ ნითელქარებიან ბებერს მაინც არ გავყვებოდი.

ვარდისმონამ თვალები დააჭირტა.

— ქა, ეს რა ცოდვის კითხვა! მაგისთანა ანგელოზი ბებერს როგორ უნდა მიგცენ? ვთქოთ, მამაშენს თვალები დაუბრმავდა, დედაშენი რატომ არაფერს ამბობს? რას გაჩუმებულა? ქა, ეს ტურფა გოგო ბებრის საჯიჯვნად უნდა გახდეს?

ვარდისმონა ალმწოთებული ლაპარაკობდა, იწყევლებოდა და ფერშანვოვების სახლში ყველას ქოქოლას აყრიდა.

— ყური დამიგდე, ჩემო კარგო და ერთგულო ვარდისმონავ, — ეუბნებოდა ქალბატონი, — ამაღამუეჭველად უნდა გავიქცე. ნუ გემინია, არ დავიღუპები. ჩემი დედ-მამა უჩემობას ვერ აიტანს, შემირიგებენ, მაპატიებენ. შენს სიკეთეს კი არასოდეს არ დავივიწყებ, გვერდიდან აღარ მოგიშორებ, შენს მოახლედ გავხდები, შენ კი ჩემს ქალბატონად დაგსვამ. სულ მუდამ შენს ალერსში და ტრფიალში ვიქნები, ოლონდ რასაცა გთხოვ, ის შემისრულე. სუ! უარს ნუ მეუბნევი. საღამოთი ჩაის დასალევად რომ დავსხდებით და ჩვენი დიდი საათიდან გუგული გამოხტება, მე ავდგები და ოთახიდან ჩუმად გავალ. შენ ეცადე ჩემა დედ-მამამ არაფერი შეამჩნიოს. შენებურად იყბედე. ალიაქოთი რომ ატყდება, იცოდე, არაფერი ნამოგცდეს.

— რას ამბობ, ხომ თოჯზე ჩამომჟიდეს!

— ამისრულებ, რაც გითხარი?

— ძნელი საქმე არის, აშკარად ვეუბნევი, მაგრამ... რაკი შენ თავს არ უფრთხილდები, მე რაღა მეთქმის? მხოლოდ ამას გირჩევ, შენზე უფროსი ვარ, ცხოვრებას უკეთესად ვიცნობ, ბოხჩა შეკარი და შიგ ოქრო-ვერცხლი ჩაყარე. თუ ვინიცობაა...

— არა, არა! — ზიზლით შეაწყვეტინა შუშანიკმა და ლოყები შეუფაკულდა, ეს ქურდობა არის!

— მამაშენი დიდი სოვდაგარია, — ცივი ხმით დაუბრუნა ვარდისმონამ და შუბლი მოელრუბლა.

- მერე რა არის, რომ დიდი სოვედაგარია?
- დიდი სოვედაგარი დიდი ქურდიც არის! — ვარდისმონას მღელვარები-საგან ხმაჩაეხლიჩა, გაფითოდა და სვენებ-სვენებით განაგრძო, — მამაჩემიც სოვედაგარი ყოფილა, მაგრამ იმის ამხანაგს იმისთვის ღვინოში საწამლავი ჩაუყრია და მოუწამლია. ნლის თავზე დედაჩემი დარდმა ინაცვალა. მე ღვთის აგარად დავრჩი. ნათესავები ძალლუმადურად მზრდიდნენ. ცოტა რომ ნამო-ვიზარდე, ხან ვისთან ვეგდე მოახლედ, ხან ვისთან... მერე მამაშენმა მნახა, შენს მოსავლელად მომიყვანა თქვენს სახლში... მამაჩემს თურმე იცნობდა, ჯერ იმის მექარავნედ ყოფილა, შემდეგ ამხანაგად...

შუშანიკი განცვიფრებული უყურებდა ვარდისმონას. მას თავის მოახლის მუდამ მხიარული, ცხენისთავიცით დაგრძელებული სახის ნალვლიანი გამო-მეტყველება უფრო აռცებდა, ვიდრე მისი უნინდელი ცხოვრების და თავგა-დასავლის მოსმენა. პირველად ხედავდა იგი ვარდისმონას დანალვლიანებულ სახეს, მოლრუბლულ შუბლს, თვალს არ უჯერებდა და თავის თავს გაკვირ-ვებული ეკითხებოდა: „ნუთუ ეს ჩემი ღრეჭია მოახლე არისო“. ვარდისმონამ სევდიანად დანცებული თავისი ამბავი სევდიანად დაასრულა:

- ასე დამაობლეს, თორემ მეც ქალბატონად გავიზრდებოდი. ჩემი ნათ-ლობის სახელი ეკატერინეა.

ვარდისმონა ფანჯრისკენ შეტრიალდა, რაფას დაეყრდნო და ქუჩაში გადაიხედა, რათა ქალბატონს მისი ცრემლები არ დაენახა. იქ, ქუჩაში, ტანა-ზიდულ თელებს ვიღაც ახოვანმა და ლამაზმა კაცმა ჩაუარია და მორიდებით ამოხედა სოვედაგრის სახლის ფანჯრებს. „ახალგაზრდა ზანდაროვია. მაგის-თანა ერთიც არ დადის მტკვრის გალმა-გამოლმა“, — თავისთვის თქვავარდის-მონამ, როცა ის შნოიანი ყმანვილი ერთ-ერთ ხეს მოეფარა. ფერშანგოვების მოახლე ნარმოდგენითაც ვერ ნარმოიდგენდა, რომ ახალგაზრდა ზანდაროვს მისი ქალბატონის ბეჭედი ეკეთა თითზე.

უცებ მას რაღაც მოაგონდა, შეცბუნდა, მოტრიალდა, სახიდან ღრუბელი გადაიყარა, მნარე სიცილით გაიცინა და სიტყვა ბანზე ააგდო.

- მაშ, გუგული რომ საათიდან გამოხტება, შენ სახლიდან უნდა წახვიდე? გოგომ თავი დაუუქნია.

## 9. გუგული კედლის საათიში

**ნახე, რომელი საათია? ჩვენ ჩქარა მოგვიხდება ეკლესიაში წასვლა.  
გრიგოლ რჩეულიძეილი, „შეძლილი“**

ფერშანგოვის სახლობა ჩაის დასალევად საღამოს რვა საათზე სხდებოდა. იმ საღამოსაც ჩვეულებრივ შემოუსხდნენ მრგვალ მაგიდას. მაგიდაზე ვერ-ცხლის კოხტა სამოვარი თუხთუხებდა. სამოვართან ანუშა იჯდა და ოჯახის

ნეკრებს ფინჯვნებში ჩაის წყალს უსხამდა. გაბლენძილი ფერშანგოვი ჩუმად იჯდა, ხმას არ იღებდა, არავის არავითარ ყურადღებას არაქცევდა და შუბლმოლუშული შეექცეოდა თხლად დაჭრილ პურსა და ყველს. დროვამოშვებით ორივე ხელით ჩაის განიერ ლამბაქს იღებდა, პირთან მიჰქონდა, სქელი ტუჩებით უბერსვდა და ნელ-ნელა ხვრეპდა დაშაქრულ ჩაის. მისი დედა შექრის ნატეხს კვნეტდა და ყლუპ-ყლუპით სვამდა ჩაის მნვანედ გალიცებული ფინჯნიდან. ანუშა ცხელი ნყლით გავსებულ ფინჯანს ხან ქმარს სთავაზობდა, ხან დედამთილს.

დარცხვენილი შუშანიერი არავის არ უყურებდა.

ვარდისმონა ფეხზე იდგა და იმას უცდიდა, თუ რითი დაასაქმებდნენ ჰა-ტონი ან ქალბატონი. თან თვალებდაჭყეტილი შესცემოდა კედლის საათს და იქიდან გუგულის გამოხტომას ყოველ წამს მოელოდა, რადგან საათის ცნობა არ იცოდა.

რვას ერთი ჩარექილა უკლდა. შუშანიერი საათის ისრების ნელი, წყნარი და შეუმჩნეველი მოძრაობა გულს უნყალებდა. მოლოდინი კიდევ უფრო აღელ-ვებდა ისედაც აღელვებულ გოგოს. მისი მოუსვენარი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა. ვარდისმონაც ჭირის ოფლში ინურებოდა. შუშანიერი ცახცახით მოელოდა ნიშანს, რომელიც მისთვის საათიდან გამომხტარ გუგულს უნდა მიეცა.

სრულ რვა საათზე ეედლის საათის პანია კარი გაიღო, იქიდან გუგული გამოხტა და მხიარულად დასძახა „კუ... კუ... კუ... კუ... კუ... კუ... კუ...“

შუშანიერი ტორტმანით წამოდგა. უკანასკნელად გადახედა თავისიანებს და ფარფატით გაემართა ქარებისკენ. ვარდისმონამ მთვრალივით მოფარ-ფატე შუშანიერი რომ დაინახა, მყისვე ფერშანგოვს მიუბრუნდა და ხმამალლა დაუყვირა:

— აღაჯან! იცი, რა დიდი ჩხუბი მოხდა დღეს კუკიის უბანში? შენ ქარვას-ლაში იყავი და ერ გაიგებდი.

— რაო? რა მოხდა? — იკითხა ნიაზით სოვდაგარმა, ორივე ხელით ტუჩებ-თან მიტანილი უშველებელი ლამბაქი უკანეე ჩამოილო, მაგიდაზე დადგა და მოახლეს ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა. რძალ-დედამთილმა ერთმანეთს ნარბის ანევით გადახედეს. ისინი მიხვედრილი იყვნენ, რასაც იტყოდა მათი ენაჭარტალა მოახლე.

— ისეთი ცუდირამე მოხდა, ისეთი ამბავი დატრიალდა, — ამბობდა თავის ქნევით ვარდისმონა, — ისეთი ღვთის რისხვა, ისეთი...

— ვახ, ეგეთი რა მოხდა? ისეთი, ასეთი. აღარ იტყვი?

— აღაჯან, ამ ამბავზე ყველას დაღდალანი გააქვს და ჯერ შენ არ იცი? მაშ ქარვასლაში შენთვის არაფერი უთქვიათ?

— რომ ეთქვათ, განა შენისთანა ტუტუცს ვეკითხავდი?

— ნეღანაც გეტყოდი, აღაჯან, მაგრამ ამის თქმას შუშანიერთან როგორ გავძედავდი?

— მაშ, შენც ეხლა მითხარი.

- გეტყვი, აღაჯან, რატომაც არ გეტყვი? აღაჯან, შენ შაქროს არ იცნობ?
- რომელი შაქრუა?
- აი ისა, ჩუღურეთის აღმართზე რომ ცხოვრობს.
- არ ვიცი.
- როგორ არა, აღაჯანი აი ისა, ერთხელ ქარვასლაში თავი რომ დაგიკრა.
- არ მახსოვს.
- როგორ არა, აღაჯან! ქუდი მოგიხადა და გამარჯობაც გითხრა.
- არ ვიცი.
- მაშ, არ იცი, აღაჯან, ვინ არის?
- მითხარი და მეცოდინება.
- ტოჩი, ტოჩი როგორ აგინერო? აი ისა, ბოზბარიქა ცოლი რომა ჰყავს.
- ვაჟ, მაჟას ქმარს ამბობ?
- ჰო, ჰო, — თავის ქნევით და თითის ჩაკვრით მიეშველა მოახლე.
- ევრეიტყოდი, რაღა! იმას შაქრუას არ ეძახიან, იმას მაჟას ქმარს ეძახიან.
- ჰოდა, აღაჯან, რაკი იმის ცოლიცა გცნობია, ეხლავე სუსველაფერს გაგა-  
ებინებ. იმის ცოლი, შენც კარგად გეცოდინება, ქმრის ცხვირნინ საყვარლებს  
იჩინს, მაგრამ ვინ რას ეტყვის? თავის ამოლლანებით და აანგნებით ყველანი  
შიშმი ჰყავს. ჰოდა, იმას ვამბობდი. რას ვამბობდი, აღაჯან?
- იმას ამბობდი, მე ძალიან დიდი ტუტუცი ვარო.
- მე, აღაჯან?
- ჰო, შენა.
- ეგ მე არ მითქვამს.
- ქა, ეს მატაოცი აღარ გაჩუმდება?! — წამოიძახა გამნერალმა დედამ-  
თილმა.
- მაშ არ გითხრა ის ამბავი, აღაჯან?
- მითხარი, იმე ამეს კი ნუღარ შერები.
- ჰოდა, იმას ვამბობდი. მედუქნე შაქრუა ნათლულმი ნასულა, მექა-  
რავნებსაქლემებით ნავთი მოუტანიათ და დუქნისათვის უნდა ეყიდა თურმე.  
იქიდან რომ დაბრუნებულა, გზაზე ვიღაცას უთქვია: „შენს ცოლს სახლში  
საყვარელი ჰყავსათ“. შაქრო ცეცხლივით ანთებულა, შინისკენ გაქცეულა, ბე-  
ბუთი უძვრია, ოთახში შევარდნილა და ცოლისთვის საყვარელთან მიუსწრია.  
კურო საცვლების ამარა აკოშკიდან გადამხტარა და გაქცეულა. შაქროს  
ცოლზე უყრია ჯავრი, ბებუთით მისი სახე დაუჩეხია და დაუყვირია: „კახპავ,  
ნადი, ეხლაც იბოზეო!“ მაშ! ესეთი ამბავი მომხდარა. გასისხლიანებული მაჟა  
ტახტზე რომ ეგდო, იმის საცვლებიან კუროს თურმე მთელი უბანი, დიდი და  
პატარა უეან ყვირილით მისდევდა და არცხვენდა.
- გაირყვნა, გაირყვნა ქვეყანა, — ანუნუნდა დედამთილი.
- ჰო, ეგ ამბავი ხომ მეც ვიცოდი, — თქვა ფერმანგოვმა.
- იცოდი, აღაჯან? აკი გითხარი, მთელ ქალაქს ეგლა აქვს სალაპარაკოდ.  
ის კი არა, იმ კახპასთან ლამაზი ყმანვილი ზანდაროვიც დადენილა...

— მიჰქარავ! — დაუღრისალა ფერშანგოვმა მოახლეს. ანუშას „ვუი“ დასცდა და გადაფითრდა, დედამთილმა ნიშნის მოგებით ჩაილიმა, ვითომ „სახელოვანი სიძე გიმოვნიათ“. პანანინა თუნუქის კოლოფიდან ბურნუთი ისეთნაირად მოსწია, რომ გაუთავებელი ცხვირის ცემინება აუტყდა. ცრუმორნმუნე ანუშამ პირვევარი დაინერა. ფერშანგოვმა დედას შეუბლვირა, თვალების ბრიალით ისევ მოახლეს მიუბრუნდა, დაემუქრა და გააფრთხილა:

— მეორედ ეგ სიტყვა აღარსად ნამოგცდეს. ჩემ სიძეს ცილი არ დასნამო, თუ არ გინდა, ენით ჩანგალზე ჩამოგეიდო!

— სიძე? — გაკვირვებით იკითხა ვარდისმონამ და მავიდასთან მსხდართ განცვიფრებით თვალი მოავლო, — ქა, ზანდაროვი ვისი სიძეა?

— განა დღეს შუშანიკის ხელზე ბეჭედი არა ნახე? — ძლივს გაბედა სიტყვის თქმა ანუშამ.

ვარდისმონას ფერი ეცვალა. გაშრა. დოდხანს ვონება ვერ მოიკრიბა. როცა თვალებიდან ბინდი გადაეყარა, მიხვდა, და გაიგო, კინალამ თავში ხელები ნაშინა. „პმ, სადაური ბებერია ზანდაროვი! — ბუტბუტებდა თავისთვის, — უბნის თვალია! ლამაზი და სარისატიანი ყმანვილია! მოტყუედი, შუშანიკ, შენ შემოგევლოს ვარდისმონა, ბედი კარზე მოგადგა და ხელი ჰქარი, შესცდი და თავიდალუპე, მეც შემაცდინე და დამლუპე“. მოახლეს სინანულით გული ეკუმშებოდა, როცა ერთმანეთს ადარებდა ცულლუტ ფილიპეს და ჩასპანდ გიგა ზანდაროვს.

სასიძოს ნამდვილი ვინაობა აღრერომ სცოდნოდა, ყველათერს ფიცულობდა ვარდისმონა, განზრახულს შუშანიკსაც დააშლევინებდა და თვითონაც არავითარ შემთხვევაში ხელს არ შეუწყობდა.

გვიანდა იყო ურვაც და თავში ცემაც.

შუშანიკს და ფილიპეს ვერავინ დაენეოდა, ვერც ვინმე მიაგნებდა სადმე.

## 10. აფორიაქებული ოჯახი

შეუძლებელია აინეროს იმ კაცის მნუხარება და ტანკვა: მთელი ლამე კვნესით, ოხვრით გაათენა. ათი ნლის სიცოცხლე მოაკლდა იმ ერთ ლამეს.

ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“

ვარდისმონა უხალისოდ შეუდგა ჩაის ჭურჭლის ალაგებას. ვერ ისვენებდა. გული ვერ დაემოშმინებინა. საყვედურებით იკლებდა თავის თავს. თვალზე ცრემლი ადგებოდა და ნალვლიანად ფიქრობდა: „ნეტავი მაცოდინა, რა ყოფაშია ჩემი აზიზი და ნებიერი შუშანიკიონ“.

ანუშა ქალის დასახედად შევიდა მის ოთახში. ქალი იქ არ დახვდა. დერეფანში გამოვიდა და ძახილი დაუნყო: „შუშანიკ! შუშანიკ!“

ვარდისმონას ხან ახლოდან, ხან შორიდან ესმოდა მისი ძახილი, გული უკვდებოდა და ცრემლები ახრჩობდა. თავჩაქინდრული შიმით და ძრნოლით

უცდიდა ალაქოთს, რომელიც მაღე ამ მუდამ ნინარსა და მდუმარე სახლში უნდა ამოვარდნილოყო.

ანუმამ ქალი რომ ვერსად იპოვნა, სასადილო ოთახში გულგახეთქილი შევარდა.

— მელქო, შუშანიკი არსადა ჩანს!

გაშვადა არის? — გულგრილად გადმოუგდო ქმარმა. ფერშანგოვის კამზე გემდგარიყო, ჭერზე ოთხი ჯაჭვით ჩამოკიდებული ლამპრის პატრუექი ბოლომ-დეჩენსა, ლოყები გაეპერა და სულის ერთი შებერვით პირებდა მის სრულ ჩა-ქობას. ცოლის ტრიკლი რომ მოესმა, პატრუექი ისევ ამოსნია. ოთახი განაცდა.

— მელქოჯან, ჩვენი შუშანიკი დაკარგულა.

— ვაჲ, რა გატირებს, დედაკაცო? ალაქოთს რაზე შევრები? მოხედ-მოხე-დე, სახლის გარეთ სად იქნება?

— გული ცუდს მეუბნევა, მელქოჯან, — ვიშვიშებდა ანუშა.

გაღალ-მაღალი და ხმელ-ხმელი, შავებში ჩაცმული დედამთილი რძლის უკან იდგა, ხელში კრიალოსანს ათამაშებდა, შეშინებულ რძალს ანეული ტუ-ჩით დამცინავად უყურებდა და თან შვილს თვალებით ეუბნებოდა: „დასწყე-ვლოს ღმერთმა, ეგ შენი ცოლი რას არ მოიგონებს, აბა, შენ თითონა თქვი, ამ შუალამისას შუშანიკი სად წავიდოდა?“ ჩიტივით პატარა თვალები ძილისთვის ებლიტებოდა, მაგრამ კრიალოსანში მარცვალს მარცვალზე აგდებდა, რათა რული არ მოჰკიდებოდა და სეირისთვის ეცქირნა.

ფერშანგოვი ქალის ოთახში შევიდა. მერე ყველგან შეიხედა. ოთახები, დერეფნები, ტალანები, აივნები და კიბეები მოიარა, სახლის პარმალზე გავი-და, ეზოს კუნჭულებიც გულდასმით მიათვალიერ-მოათვალიერა, თან უკვე შეფიქრიანებული ყვიროდა: „შუშანიკ, გოგო, შუშანიკ!“ ხმას არავინ სცემდა. სოვდაგარს თანდათან შიში იპყრობდა, შეწუხებული ფიქრობდა: „სად არის? სად წავიდოდაო?“ შუშანიკს ქალაქში ნაცნობი არავინ ჰყავდა, თუნდაც ჰყოლოდა, მშობლების დაუკითხავად ლამე ეს არა, დღისითაც გარეთ არსად ფეხს არ გადადგამდა. ფერშანგოვს შორეულ ნათესავებთან მისვლა-მოსვლა არა ჰქონდა, ნაჩხუბებულნი უმძრახად იყვნენ. გოგოს არც მეზობლებში უშ-ვებდნენ, ლატაკებმა არ გარყვნანო. მოუხედავად ამისა, მოახლე მეზობლებში აფრინეს. მედიდურმა ფერშანგოვმაც იკადრა და თითო-ოროლა ნათესავს ჩამოუარა.

სოვდაგარიც და მოახლეც შინ ხელცარიელი მობრუნდნენ.

შუშანიკი ცამ ჩაყლაპა.

ანუშას გული შეულონდა. შეშფოთებული დედამთილი რძალს მივარდა, ნყალი ასხურა, ყურები დაუსრისა და ერთი-ორჯერ ლოყებზე სილაც შემო-ჟერა. მოახლეს ხელში ცივინყლით სავსე ბადია ეჭირა და ტოროდა. სოვდაგარი გამტკნარებული იდგა.

დედამთილი ვერაფერს გახდა, ანუშა ვერაგზით ვერ მოაბრუნა. ფერ-შანგოვს დაკარგული ქალი გადაავინყდა, დამფრთხალმა მოახლე დალაქის

დასაძახებლად გააქცია. დედამთილი მაინც თავისას ცდილობდა. ნახშირი და შავტარისანი დანა მოამზადა და შეშინებულის ლოცვა „გულო, დადექ საფულესა“ ჩაუბუტბუტა გულნასულ რძალს, რომელსაც სხვა დროს ავ სიტყვას არ აკლებდა.

დალაქი ნურბლების ქილით მოვიდა. ანუშას კისერზე ნურბლები დასხა. სისხლი გამოაშვებინა. თვალები აახელინა. ენა ამოადგმევინა. ანუშა მთელი ლამის განმავლობაში შფოთავდა და სარეცლის ირგვლივ შემოხვეულ მახლობლებს ევედრებოდა: „ჩემი შუშანიკი მაჩვენეთ... სად დამალეთ... რატომ არ მაჩვენებთ... ერთხელ კიდევ დამანახეთ... ნუ მტანჯავთ, აგრემც ყველას ღმერთი გიშველითო“.

ფერშანგოვებმა ლამე თეთრად გაათენეს.

მეორე დღეს მელქო ფერშანგოვმა პოლიციას შეატყობინა თავისი ქალის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ამბავი. პოლიციაში მდიდარ სოვდაგარს დიდი თანხა მოსთხოვეს, რათა დაკარგული ქალი სხვადასხვა ადგილებში ყველანარი საშუალებით ეძებნათ. სოვდაგარმა ქისა მაშინვე არ გახსნა და მზის ჩასვლამდე მოცდა ამჯობინა.

სანამ სოვდაგარი პოლიციაში იჯდა და მზის ჩასვლას უცდიდა, მის სახლში უცნობმა კაცმა ნერილი მიიტანა. არც დედამთილმა, არც რძალმა და არც მოახლემ კითხვა არ იცოდა. ატირებული ქალები ნერილს დასცეკეროდნენ, კოცნიდნენ და მოუთმენლად მოელოდნენ მელქოს დაბრუნებას.

— ამ ნიგნმა იცის, სად არის ჩემი შუშანიკი! — ტირილით იძახდა გამნარებული დედა.

— იცის, იცის! — ბანს აძლევდა მოახლე და ცერისოდენა ცრემლებს აფრქვევდა.

— რატომ ანა-ბანა არ ვიცი მე თვალდამდგარმა?! — ურვით ამბობდა დედამთილი და მუხლებს ითქვეთავდა.

რამდენიმე საათის შემდეგ ერთბაშად დაბერებული, ნელში მოხრილი და ძალზე დაღვრემილი ფერშანგოვი შინ დაბრუნდა. მას კარებშივე მისვებეს ნერილი. ფერშანგოვმა მყისვე იცნო ქალი და თვალები აუნყლიანდა. მერე საშინლად გაოცებულმა, გამტერებულმა და თავზარდაცემულმა ძლივს ჩაიკითხა მონერილი ბარათი: „ჩემო საყვარელო დედ-მამავ! პირველად თქვენგან მოვითხოვ პატიებასა და შენყალებას. ნუხელ ნმინდა ბარბარეს ეკლესიაში ჯვარი დავინერე ნოქარს ფილიპეზე და ეხლა იმისი გვირგვინის ცოლი ვარ. ეს საქმე სიყვარულმა ჩამადენინა. ბედნიერი ვარ და იმედი მაქვს თქვენი გულკეთილობისა, რომ არ დამკარგავთ. თქვენი ბოლომდის მოსიყვარულე შეილი შუშანიკა მამრაძე“. ფერშანგოვს ნერილი ხელიდან გაუვარდა. ანუშამ ცივად შეჰქივლა. დედამთილმა „ვუის“ დაძახებით მრავალგზის შემოიკრა ტუჩებზე მარჯვენა ხელის ორი თითი. შეცტუნებული ვარდისმონა თვალს ვერავის უსწორებდა...

— ვაიგონეთ, ხალხო?! — ნარმოთქვა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ფერშანგოვმა.

ხმა არავინ ამოილო.

ფერშანგოვი თავჩამოვარდნილი იდგა. სახეზე ისეთი ფერი ედო, რომ მოახლეს ეშინოდა: „საცაა ეს კაცი ჩვენს ფერხთით გაგორდებაო!“  
ქალები თანდათან გონიერ მოდიოდნენ.

— თავი მოგვეჭრა, — დაიკვნესა ანუშამ, — ზანდაროვებს რაღა პირით შევხედოთ?

— ფიქ! დანიშნული ქალი სახლიდან გაგვექცა. ქა, ეს რა სირცხვილი ვჭამეთ?! — დამცინავ-გამჯილავად ნარმოთქვა ფერშანგოვის დედამ და გესლის დასანთხვევად მოემზადა.

ამ ზარში და ზახილში ვარდისმონამ ფრთხილად სიტყვა ჩააგდო.

— ალავ!

ფერშანგოვი მოახლეს უაზროდ მიაშტერდა.

— ალავ! — განაგრძო ვარდისმონამ ბორისიკით და მორიდებით, — შუშანიკს ხომ იმ იმერქლის ხელში არ დავტოვებთ? პატრონობა უნდა.

— მე ქალი ალარა მყავს, — გამყინავი ხმით გამოაცხადა ფერშანგოვმა.

— შიმშილით მოკვდება.

სოვდაგარმა, თითქოს ამ სიტყვებს უცდიდაო, უცებ თავი აიწყვიტა და აყვირდა:

— ვვრა ჩემი საქმეა? რა ჩემი სადარდებელია? არა, მე დამეკითხა, სახლიდან რომელიქა? ჲა? თავირათ მამჭრა, ეგრეთინთათ რათა ქნა? მაკა არის? — ყვიროდა ჩახლეჩილი ხმით სოვდაგარი. მისი ყვირილი ყველას უცნაურად ეჩვენებოდა, რადგან ეს იყო პირველი აღმფოთებული ყვირილი საერთოდ მშვიდი, პირშეკრული და გულჩათხრობილი ადამიანისა, რომელიც მდუმარედ და აულელვებლად ულებდა ბოლოს თავის მეტოქებს ქარვასლებში. — მოკვდეს! მოკვდეს! რაღათ უნდა თავი ცოცხალი? ინვნიოს შიმშილი, მაშინ მოვაგონდები, მაშინ დამაფასებს...

— მელქო... — სუსტი ხმით დაუძახა გაბოროტებულ ქმარს ანუშამ.

— ჲამე?

— მაშ ჩემი ნანინატრად გაზრდილი შუშანიკი იმ მგლის ხელში უნდა დავტოვოთ?

— მაშ, რა ვქნა, წავიდე და დავუჩოქო? გესმის თუ არა, რასაც მთხოვ, დედაკაცო? არა, მე ვუთხარი, გაიქეცი-მეთქი? მე ჩავაგდე იმის ხელში? — ისევ აყვირდა სოვდაგარი, — მთელ ქალაქში ქუდი მომხადა, ულვაში გადამინია და შიგ ჩამაფურთხა! მაშ!

სოვდაგარს ისედაც პირქუში სახე განცდილმა შეურაცხყოფამ და დამცირებამ კიდევ უფრო დაუბნელა, ჩამქრალი, ბურნუთისფერი თვალებირისხვის ცეცხლმა გაუნათა, მერე თავზე ორივე ხელი წაივლო, ოთახში მოუსვენრად გაიარ-გამოიარა, თავს აქნევდა, ხელებს შლიდა და ხან გაკვირვებით და ხან გაჯავრებით მოსთქვამდა და იძახდა:

— ვაჲ! ვაჲ! ვაჲ! ეს რა მოხდა? ეს რა თავს ლაფი დამესხა? ჩემი ქალი ანგელოზი მეგონა; ვამბობდი, თუ ბუზს ვერ ააფრენს-მეთქი და საყდარში

ფოსტლების ამარა არ ვაიქცა?! მერე ვისზე დაინერა ჯვარი? იმ ბემურვათ იმერელზე. ვიცი, ვიცი, რა აზრიც უდევს იმას თავში! იმ ეშმაკს უნდა ჩემი ქონება თავისი ქნას? უნდა მე, განთქმულმა და პატივცემულმა მოქალაქეებ და სოვედაგარმა მელქუა ტიგრანის ფერმანგოვმა ის ლანირაკი სიძეთა ვქნა? მე შენ ძალლს არ მოგცემდი, არათუ ქალსა!

მელქო გაჩერდა. ბალდადი გაშალა. პირისახიდან ოფლი მოიწმინდა. თავისასანებს მუქარით გადახედა და გააფრთხილა:

— დღეის იქით იმ უნამუსო ქალის სახელი არავინ ახსენოს.

ანუშამ მუხლები დაიჩეჩევა. მაგრამ ვერც ხმა ამოილო, ვერც ხმიანი ტირილი გაბედა. ქმრის მოშიშარს თვალებიდან უსიტყვოდ ჩამოსდიოდა ცრემლები. ამაოდ უყურებდა დედამთილს და ამაოდ მოელოდა მისგან თანაგრძნობას. შვილიშვილის შეპრალებას და მის საშველად ხელის განვდენას.

დედაბერი პირმოკუმული იჯდა მაღალ იტალიურ სავარძელში, პატარა თავი სავარძლის ზურგისთვის მიეყრდნო და მტაცებელი ფრინველივით იყურებოდა. შავი მოსახვევი კიდევ უფრო პატარას ხდიდა მის დამჭერას; ჩიტის თვალები ნახევრად დაეხუჭა, მარჯვენა მკლავის ძარღვებით დაჭმუჭნული ხმელი ხელი სავარძლის საყრდენის ჩუქურთმიან თავზე დაედო, ხოლო ერთ ადგილზე გაქვავებულ მის მარცხენა ხელში გრძელი კრიალოსანი უძრავად ეკიდა. გესალიანი ფიქრებით დაბნელებული დედაბერი ავად იმზირებოდა. რძალს მისი სიჩემე უკვირდა, მაგრამ გალურსული ვარდისმონა მიხვდა, რომ შუშანიკის დიდებას შვილიშვილი უკვე გამოეტირებინა, უკანასკნელი ცრემლი შეემშრალებინა და ახლა მის გასაკიცხად ემზადებოდა.

— მელქო, — უთხრა მან შვილს, — შენ იცი, რომე და შენი ცოლი ბევრჯერ წავკიდებივართ...

— რა დროს ეგ არის? — საყვედურით შეაწყვეტინა შვილმა.

— მათქმევინე. ბევრჯერ გვიჩხუბნია, მაგრამ ერთმანეთისათვის არ გვიმტრია. კარგად ვიცი და დარწმუნებულიცა ვარ, შენი ცოლი პატიოსანი დედაკაცია და უნამუსოს არ გაზრდიდა. მაგრამ შენი სახლის ქალები ყველანი დამნაშავენი ვართ, რომ ციდისტყაველა გოგოს ვერ მოვუარეთ.

— მართალია, — დაეთანხმა შვილი და უფრო ჩაფიქრდა.

— შუშანიკი სახლიდან არ გადიოდა.

— ეგეც მართალია.

— მარტო საყდარში და აბანოში დაგვყავდა, — განაგრძო დედაბერმა, — მეზობლებში გადასვლა ჩვენს დაუკითხავად როგორ შეეძლო! ის იმერელი ნოქარი კი ერთხელის მეტად არ მოსულა ამ სახლში. მაშ, სადღა ნახულობდნენ ერთმანეთს? ვინ გააქსუა შენი ქალი? ვინ შეაცდინა? ვინ გამოგვჭრა ყელი?

დინჯად მოლაპარაკე დედამთილმა თავის ჩიტის თვალები ვარდისმონაზე გადაიტანა.

ფერშანგოვმა ჯერ ვერაფერი გაიგო, მერე, როცა დედის ნათევამის აზრს მიხვდა, პირი სულელურად დააღო და უარესად გაშტერდა. უეცრად რისხვამ

სახე მოუღრიცა. მოახლეს მუქარით მიუბრუნდა. შეშინებულ ვარდისმონას ნელ-ნელა უახლოვდებოდა. გადაფითრებული მოახლე უკან იხევდა, კარე-გისკენ მიიჩნდა, თავს ისანყლებდა, ჩქარ-ჩქარა პირვევარს იწერდა, ამისმა გადლმა ამ საქმის არაფერი ვიციო, მე არაფერში ვურევივარო, „ჭირო ალალ-გართალოს“ ჩურჩულებდა და მუხლი ეკვეთებოდა.

- შენ იყავი იმათი მაჭანკალი? — მიახალა ფერშანგოვემა.
- არა, ალაჯან... განა მე... — ალუდლულდა ვარდისმონა.
- სადა ხვდებოდა შუშანიკა თავის საყვარელს? სად მისცა პირობა?
- არ ვიცი, ალაჯან... ღმერთმანი, არაფერი არ ვიცი...
- მაშ, ის ბემურვათი სული წმინდა ხომ არ იყო, რომ აკოშკიდან ეარნა ჩემ ქალთან? ჰა, მე ვინდა მომატყუო? ტყუილად რად ფიცულობ, სახეზედ განერია, რომ იმათი ნიგნები შენ დაგქონდა.
- წვინტლიანო გომბიოვ! — დაუყვირა მოახლეს მელქოს დედამ, — პურ-გარილის გამტეხო! პირშავო, უნამუსოვ! ჰმ, რანამუსი უნდა მოჰკითხო მაგის მამის შვილსა.

ამ სიტყვებმა ვარდისმონა ერთბაშად გამოაფხიზლა. შიშის ნასახიც ალარ შერჩა. თვალები აენთო, სახე აელანდა. ფერშანგოვს გაბედულად შეხედა, თვალი გაუსწორა და პირში მიახალა:

- მევიცი, ვინც არის უნამუსო! განა შენ მამაჩემს ღვინოში საწამლავი არ ჩაუყარე? ჭურდო!

სოვდაგარი ისეთნაირად შეტოვდა, თითქოს სახეში ტყვევა მოხვდაო. თე-თრი ქალალდისფერი დაედო. მერე სიბრაზემ სახე ჭარხალივით გაუნითლა. ძალა მოიკრიბა, ვენეციური მაღალი სარკის მაგიდიდან მძიმე ერთსანთლიანი შანდალი აიღო, მოახლეს მოუქნია. ანუშამ ცივი ხმით შეჰკიელა: „მოჰკლავო“. დედაბერი ოდნავ შეინძრა მაღალ იტალიურ სავარძელში და რძალს ზიზლით გადახედა.

ეარდისმონა უშიშრად უყურებდა მისი მხილებით დამფრთხალ და დარეტიანებულ სოვდაგარს. თვალს არ აშორებდა მისი ბნელი სახის ნაკ-ეთების მტკივნეულ მოძრაობას. ფერშანგოვმა მის ჩაციებულ მზერას ვერ გაუძლო, შემართული ხელი უკანვე ნელ-ნელა დაუშვა, შანდალი ხელიდან გაუვარდა და მის ფეხებთან, ხალიჩაზე ყრუდ დაეცა. გაგუდული ხმით ამოიხრიალა:

- რამდენ ოქროსაც მთხოვ, იმდენს მოგცემ... ოლონდ თვალიდან დამეკარგე...

ვარდისმონამ სიძულვილით შეხედა მას. მის წინ მისი მამის მკვლელი იდგა. ნათესავების მიერბავშვილბაში მისთვის ჩაგონებული ეჭვი გამართლდა. ახლა მან დანამდვილებით იცოდა ის, რაზედაც წინათ ეჭვით ფიქრობდა. მას ქრ-თამს აძლევდნენ, რათა მისი დუმილი ეყიდათ. ამ მოულოდნელმა მხილებამ ვარდისმონას ძალ-ღონე წართვა, მამის მკვლელის ყურებას ვეღარ გაუძლო, რთახიდან ქვითონით გავარდა ტალანში. კედელს მიეყუდა, მუხლი მოეკვეთა,

კედელზე ხელებმიყრდნობილი ჩამოცურდა და იატაკზე დაემხო, ტიროდა, მაგრამ მისი გამკითხავი არავინ იყო.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახიდან ფერშანგოვის დედა გამოვიდა, ვარდისმონას გვერდით პატარა ბოხჩა დაუდო და უთხრა:

— წალი, წაეთრიე! თავისუფალი ბრძანდები! ის ტყუილი კი არსად წამო, გცდეს, დაგცინებენ და გიუად ჩაგთვლიან.

შავებში ჩაცმული დედაბერი კიბის ფოლორცზე იქამდე იდგა, სანამ ვარდისმონა ქუჩაში გავიდოდა.

## 11. ჩამლილი ნიშნობა

მე შენ მიყვარდი, ჯერაც ეს ალი, ეგონებ, ჩემს გულში არ არს გამქრალი.  
გრიგოლ რჩეულიშვილი, „ყვედრება“

დილით ფერშანგოვი ზანდაროვებს ენვია.

მათ უკვე გაეგოთ თავიანთი სარძლოს სახლიდან გაქცევის და დაქორწინების ამბავი, მაგრამ თავი ისე ეჭირათ, თითქოს არაფერი იცოდნენ.

ფირუზამ და თეთრმა ლიზამ მელქოს დედა, ანუშა და საყვარელი სარძლო შუშანიკი დიდი ამბით მოიკითხეს და პატივისცემით მიართვეს სუამი დაბნეულ სოვდაგარს. ფერშანგოვი მოწყვეტილი დაეშვა შემოთავაზებულ სუამზე, ვერცხლის ქამრიდან ბალდადი წვალებით ამოაძრო, მშრალი თვალები მოინმინდა, თავი საბრალოდ ჩაჰკიდა და სვენებ-სვენებით ამოთქვა:

— ჩემი ქალი... შუშანიკი... გუშინნინ ღამეს... სახლიდან გაქცეულა...

— რას ამბობ? — ერთად შესძახეს ფირუზამ და თეთრმა ლიზამ.

ახალგაზრდა ზანდაროვს დანა პირს არ უხსნიდა. დაღვრემილი იჯდა ეედლის საათის ქვეშ.

როდესაც ცოლ-ქმარი ფართოდ დალებული პირით და ყალბი გაოცებით შესცეკროდნენ უძილობით და ჯავრით გალურჯებულ სოვდაგარს, ჩაფიქრებულ გიგას თავს ზემოთ გუგულმა მხიარულად დასძახა გაუთავებელი „კუ... კუ...“

ფერშანგოვმა საათს შეხედა.

— გუშინნინ სალამოს რვა საათზე გასულა სახლიდან.

— მერე სად გაიქცა! — ჰეითხა ფირუზამ.

— ჰმ, ნმინდა ბარბარეს საყდარში. ჩემს ნოქარს ფილიპეს ცოლად გაჟყოლია.

— გვეხუმრები განა, მძახალო? რათ გვატყუებ? ლილახანაში გამოიარე?

— ნარბის მხიარული ანევით ჰეითხა თეთრმა ლიზამ და შესცინა.

ფერშანგოვმა გაკვირვებით მოხედა იჭვნეულად მომცინარე დედაკაცს, საყვედურით უთხრა:

- ამისთანა რამეებით ხუმრობას არა შერებიან! ზანდაროვებმა დაიჯერეს. ითაკილეს. ცხვირები ჩამოუშევეს. ლაპარაკი ისევ ფერშანგოვმა დაიწყო:
- ეჟ, რაც მოხდა, მოხდა. რაღას ვიზამთ? ალბათ იქ, მაღლა, ბედის წიგნში ასე ჩაუწერიათ, რომა სოვდაგარ ფერშანგოვის ქალი უნდა სახლიდან გაიქცეს. მაბაშ! გათავდა. ჩემი თვალები იმას აღარ ნახავენ.
- ფირუზა გაბრაზდა, ჩხუბის გუნებაზე დადგა.
- სად გაგონილა, ადამიანო! — ყვიროდა განინმატებული მედუქნე, — კინა სთქვა? ფიქ! დანიშნული ქალი სახლიდან გაიქცეს?
- მაშ! მაშ! — ევერს უკრავდა ქმარს თეთრი ლიზა.
- ფერშანგოვი შიშით შეჰყურებდა ზანდაროვების უკმაყოფილო, გაბოროტებულ, გაჯავრებულ სახეებს.
- დალვრემილი გიგა ლაპარაკში არ ერეოდა.
- ფირუზას სოვდაგარი არ ეცოდებოდა, არ ინდობდა.
- ჯერ ხელზე დაგვიხვიერდა მთელი წელინადი გვალოდინე, ეხლა ამ ამბით მოდიხარ? თითით საჩვენებელი და სასაცილო რათ გაგვხადე?
- მაშ! მაშ! — ცხარობდა თეთრი ლიზაც, — შენმა ქალმა სახეზე მური ჩამოგვისვა, შეგვარცხვინა! საკოცნელი პირი საფურთხებლად გაგვიხადა! ქა, თავი სადღა გავყოთ?
- ფერშანგოვი გულწრფელად წუხდა, არ იცოდა, რა ეთქვა გაჯავრებული ზანდაროვებისათვის, რითი გაემართლებინა თავი. მათი გულისწყრომაც კარგად ესმოდა, მაგრამ თვითონაც ხომ შერცხვენილი და ქუდმოხდილი იყო? სოვდაგარს გული ბოლმით ევსებოდა, ბრაზი ახრჩობდა.
- გაუაპასებული თეთრი ლიზა კი ცეცხლზე ნავთს უსხამდა.
- ბეჭდის დაბრუნებისთანა სირცხვილი სხვა რაღა უნდა იყოს? — კი-თხელობდა თერძის ქალი, — ვითომ გიგა რა მასხარად ასაგდები იყო? ქა, იმ ტურტლიან ნოქარს აღარა სჯობდა?
- ფირუზამ მოკლედ მოსჭრა:
- გავათაოთ. ვიმვიში და ლაპარაკი რას გვიშველის? მელქოჭან, ქრთამი ჩვენ დაგვრჩება, შენ კი ღმერთმა ხელი მოვიმართოს. მშვიდობით ბრძანდებოდე!
- ახალგაზრდა ზანდაროვმა თითიდან ბეჭედი წაიძრო. ამის დანახვაზე ფერშანგოვს თავიც დავიწყდა და ქრთამიც. ბალდადიანი ხელით ლოყები გაისილაქა და ურვას მოჰყვა:
- ვაიმე, ვაიმე! რა სიძე დავკარგე და ჩემი ქალი ვის ჩაუვარდა ხელში...
- ხმა არავინ გასცა. ზანდაროვები მგლოვიარეებიერით ჩუმად ისხდნენ — გაბუტულნი და უკმაყოფილონი. ფერშანგოვი ამაოდ უცდიდა მათს თანა-გრძნობას, ნუგემის სიტყვას.
- გიგა ხელში ნიშნობის ბეჭედს ატრიალებდა, ხმას არ იღებდა, მაგრამ ეტყობოდა იტანჯებოდა, სატრფოს დაკარგვას ნაღვლობდა.

ფერშანგოვი ნამოდგა, გიგას ბეჭედი გამოართვა, ჯიბეში ჩაიდო, ყველას  
თავი დაუკრა და კარებისაკენ გაემართა.

არავინ არ გააცილა.

სოვდაგრის ნასვლისთანავე თეთრი ლიზა წუნუნს მოჰყვა:

— ქა, ეს რა დროება დაგვიდგა! დედ-მამის შიშით წინათ გოგო ბალეონზე  
როგორ გამოვიდოდა? ეხლა არის! ფოსტლებით გარბიან საყდარში, ოლონდ  
ვინმემ ხელი დაუქნიოს.

ფირუზას გაეცინა.

ცოლმა ქმარს ჯერ გაკვირვებით შეხედა, მერე, როცა მისი სიცილის მიზეზს  
მიხვდა, შეცებუნდა, ნამონითლდა. ორთავეს ერთად გაახსენდა სასამართლოში  
სახტად დარჩენილი თერძი, თეთრმა ლიზამ თავი ვეღარ შეიკავა „ფხუკუო“  
დაიძახა და სიცილი ნასკდა. ფირუზამ გულიანად გადაიხარხა.

გიგამ უარესად ჩაქინდრა თავი.

# კარი მეშვიდე

## 1. შერიგებული დოსტები

რაღაც საიდუმლო აზრშა განირბინა ანას ფიქრების სიბნელეში და  
რაღაც სხივმა იმედისამ განიელვა იმის გულში.  
გრიგოლ რჩეულიძეილი, „ძემლილი“

გამდიდრებული ფირუზა ზანდაროვი მდაბიო მეზობლებს აღარ კადრულობდა. გაყოყოჩდა, გამედიდურდა, გადიდეაცდა. გასქელებული კისერი ისე დაჰქონდა, თითქოს ქუდი ამძიმებსო. დოდვაჭრის ყურთმაჯებიანი კაბა ჩაიცვა, ყოშებიანი ახალუხი. უკეთესად მოირთო და მოიკაზმა.

გადარბაისლებულ კინტოს თავმომწონედ და ღირსეულად ეჭირა თავი. დარბაისლურად ოხუნჯობდა, მხოლოდ დარბაისლურ სუფრასთან იჯდა, დარბაისელ ადამიანებს ხვდებოდა და ელაპარაკებოდა. ქვემოურებს თავს ძლივს უკრავდა, ზემოურებთან ისევ ლაქუცობდა.

თავისი საყვარელი თარი სამუდამოდ დაკიდა კედელზე. არც თვითონ მლერობდა, აღარც თეთრ ლიზას ამლერებდა.

ერთი სიტყვით, „ლხინის პაპამ“ ხასიათები გამოიცვალა, დადინჯდა და დადარბაისლდა. წინათ თუ სხვებს აცინებდა, ახლა სხვები ცდილობდნენ მის გაცინებას.

გამოუსწორებელმა ქვანვიამ მარტო ძუნნობა შეინარჩუნა. შურითაც ძველებურად იხერხებოდა და სწყინდა, რომ მედუქნე იყო და არა სოვდა-გარი.

ვეღარც თეთრ ლიზას იცნობდით. ჩაცმა-დახურვას თერძის ქალმაც გაუგო გემო. თუ წინათ მუდამ ფეხშიშველი ჩუსტებს ეკლესიაში და ბაზარში სიარულისთვის ზოგავდა, ახლა სახლშიც მორთულ-მოკაზმული იჯდა. გარეთ თავ-დახურული, ჩიხტი-კოპით დადიოდა, როგორც ეს მდიდარი მედუქნის ცოლს ეკადრებოდა. ქუჩაში სეირნობა უყვარდა. არაჩვეულებრივად სიამოვნებდა, როცა ძველი ნაცნობები მოკრძალებით ჩერდებოდნენ და მონინებით უკრავდნენ თავს. დიდსა და პატარას თვითონაც სალამს აძლევდა. ამიტომ შინ დაბრუნებულს კისრის ძარღვები სტკიოდა ხოლმე.

სამაგიეროდ, გიგა დადარდიანდა, ისევ გულჩათხრობილი გახდა. ამხანა-გებსა და დოსტებს ერიდებოდა. განმარტოვდა. შუმანიკის დაკარგვას დარდობდა. ეზოს ან ბალის კუნფულში მიმჯდარი მნარე ფიქრებს გონებიდან ვერ იშორებდა. თავს ამქვეყნად ყველაზე უბედურ ადამიანად თვლიდა. ჯერ ნათია აგონდებოდა, მერე მაკა, დაბოლოს, შუმანიკი.

სიყვარულში სამჯერ დამარცხებულს სამივე დაკარგული ქალი ერთად უდგებოდა თვალნინ. თავის უილბლობას, მართალია, არავის არ შესჩიოდა, მაგრამ გამოვლილი და განცდილი სახეზე ენერა და ნაადრევად შეთეთოებულ საფეთქლებზეც ეტყობოდა.

ავი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ, ძილს უფრთხობდნენ, მთელი ღამე ჩაბნელებულ ჭერს შესცეკროდა. თვალს ვერ ხუჭავდა და მხოლოდ განთიადზე ერეოდა თვლემა უძილობით დაღლილსა და დაქანცულს.

გულმავინყი გახდა. დახლში ხშირად გარინდებული იდგა. ქუჩაში ნაცნობებისათვის სალმის მიცემა ავინყდებოდა.

ერთხელ მაიკომ გზა გადაუჭრა, გაულიმა და შემოსცინა, მაგრამ გიგამ ვერ შეამჩნია. თუმცა რომ შეემჩნია კიდეც, მაინც ცივად აუვლიდა გვერდს, პირს მოარიდებდა. შუბანიკი ისევ უყვარდა და ამიტომ ხაბაზის ცოლს ყურადღებას ვერ მიაქცევდა.

მის საერთო განწყობილებაზე მისი თავმოყვარე ხასიათიც ახდენდა გავლენას. ამხანაგების, თავისი ტოლებისა რცხვენოდა, რადგან შეურაცხყოფილს და დამცირებულს ასე ეგონა, ყველა დასკინოდა და მასხრად იგდებდა. გარე-გარე დაიარებოდა და ყველას თავს არიდებდა.

გულდამძიმებული დუქანს აღარ შორდებოდა.

ფირუზა ისევ აბუზლუნდა, თავისებურად ილანძლებოდა:

— ლაყეა, დონდლოა! ქალისათვის ეგრე თავს ვინ იკლავს?!

— ეი, მუდრეგო! კარგი, გეყოფა! — პირში სწვდებოდა ქმარს ცოლი, — ჰერი ბიჭობა შენიც მეყოფა!

ფირუზას შინ საჩხუბრად არ ეცალა. მედუქნე შაქროს გამო პოლიციაში და სასამართლოში დარბოდა. ცოლის დაჭრის გამო დაპატიმრებულ შაქროს მევალეებმა უფრო დაუმძიმეს მდგომარეობა. სასამართლოში მიცვივდნენ და თავიანთი ვექსილები წარადგინეს. ყველაზე მეტს ფირუზა ყვიროდა, ვექსილებს ჰაერში აფრისალებდა და სასამართლოში ვალისა და სარგებლის განალდებას მოითხოვდა; თან იმათვან, ვისაც შაქროს დახსნის იმედი აღარა ჰქონდათ, ვექსილებს ჩალის ფასად ყიდულობდა.

დახლში გიგას მაგიერ ფირუზა უფრო ხშირად თეთრ ლიზას აყენებდა. უფროსი ზანდაროვი დარდისაგან ჩამომხმარ დახლიდარს აღარ ენდობოდა. შეფიქრიანებული თეთრი ლიზა ყოველ საღამოს ციხის აბანოში დადიოდა, რათა მობანავე გოგოებში სალთო გიგასათვის მდიდარი და მზითვიანი ქალი ამოერჩია.

აბანოს კართან ერთ სამშაბათ დღეს როგორდაც მაიკო შეეფეთა. პირის მორიდება უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. ერთმანეთი დიდი ამბით მოიკითხეს და ერთმანეთს პირზე ისეთი სიყვარულით აკოცეს, თითქოს ჩხუბი არასდროს არ მოსვლოდეთ.

— როგორა ხარ, ლიზაჯან? რამდენი ხანია, არ მინახიხარ! — მოუქონა თავი მაიკომ.

— შენ როგორდა ხარ, მაიკოჯან? რა არის, რომ ალარსად გამოჩინდი? — იმავე ეილოთი მიუგურვურა თეთრმა ლიზამ.

— ქა, ჩვენ გიგას რა დაემართა? ამას წინათ შორიდან დავინახე და ვეღარ ვიცანი, — ეკითხებოდა შენუხებული სახით თავის ძველ დოსტს მაიკო, — გენმა მზემ, იმის ყურებით თვალები მეტეინა.

თეთრი ლიზა ჩუმად იყო.

სათქმელი ისევ მაიკომ თქვა:

— მაშარადა, მაკახეირს დააყრიდა, აშოლლანებს და უბნის ლოთბაზრებს რაზე აჰყვა? მაკარა მაგის საქმე იყო? არც სოვდაგრის ქალი გამოადგებოდა. ქა, დედამინაზე ძლივსა ჩანს. გიგას საბაზში დაეკარგებოდა.

თეთრი ლიზა ხმას არ იღებდა. ჭკვიანი დედაკაცი თავისი ოჯახის საქმეებში ცხვირს არავის აყოფინებდა.

ისევ მაიკომ განაგრძო:

— სწორედ რომ საკვირველია, გარყვნილ დედაკაცებზე და გაფუჭებულ გოგოებზე თვალი რჩება, პატიოსან დედაკაცებს კი გვნუნობს. შენ არ გენყინოს, ლიზაჯან, გიგაზე ერთი მხრით ახიც არის, რაც დაემართა.

თეთრმა ლიზამ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ფუნჩულა მაიკო. შავი სახე რაღაც ცუდლუტურმა აზრმა გაუნათა. ნართაულად უთხრა.

— ქა, მაკა და შუშანიკა ვიღას ახსოვს! შენ ეს მითხარი, როგორა ხარ, რასა იქ? რატომ ჩვენთან არ გადმოხვალ? მართალია, მე და ფირუზა შუადღემდე შინ არა ვართ, მაგრამ სადილად ყველანი დაგხვედებით.

მაიკო გადაკრულად ნათქვამს მყისვე მიუხვდა, თაფლისფერი თვალები გაუბრნებინდა. მაგრამ თეთრმა ლიზამ მეტი არაფერი თქვა. ვალის დადება არ უყვარდა. მაიკოს თავი დაუკრა და თავის გზაზე გატრიალდა.

## 2. მაიკო

კატინა ქართველი ქალია, თეთრი და მწყაზარი.  
ბარონი, „დონ-უუანი“

მეორე დღეს, დილით მაიკომ ფირუზას დუქანში შეიხედა. თეთრი ლიზა ეკლესიაში იყო, ფირუზა — ქარვასლაში. გიგა დახლთან იდგა. გვერდულად გადანოლილი მარჯვენა მკლავის იდაყვით დახლს დაყრდნობოდა, დანით ჩხირს თლიდა და ამით ერთობოდა. მაიკოს დანახვაზე უსიამოვნოდ შეიძმუშნა, შეუბლვირა კიდეც, მაგრამ მისი ბლვერა ქალმა აინუნში არ ჩააგდო.

ხაბაზის ცოლი ქორივით დატრიალდა დუქანში. ჯერ ერთ კარს გაუგდო ურდული, მერე — მეორეს. დუქნის ერთადერთი დარაბაც დახურა. მოტრიალ-

და და გიგას ყელზე ჩამოეკიდა. ყველაფერი თვალისძახამხამებაში მოხდა. გიგამ გონზე მოსვლა ვერ მოასწორო. ქალის თხელი კაბის შეხებამ ნამარხულევს ურუანტელად დაუარა ტანში, მისმა ცხელმა სუნთქვამ დაბნიდა და თავი დაახრევინა, ფართოდ გაღებულმა თაფლისფერმა თვალებმა დაატყვევა და მოაჯადოვა; ქალის გაპობილი ბაგები, მის ტუჩებს გაფაციცებით რომ ეძებნენ და ნეურვილის მოსაკლავად ეძახდნენ, ანდამატივით იზიდავდნენ თავისეუნ. ქალი ნელ-ნელა ეშვებოდა მარილის ტომრებზე და ვაჟსაც თან ითრევდა. დუქნის დაკეტილ კართან მუშტრები ყაყანებდნენ.

როცა მაიერ კაბას ისნორებდა და იბერტყავდა, გიგა მიხვდა, როგ ამიერიდან მისთვის ყველა ქალი სულერთი იყო. უყურებდა თავისი მოულოდნელი გამარჯვებით ოდნავ დაბნეულ მაიკოს და უნებურად მაკას ადარებდა. მამაკაცებთან ალერსში დაუდევარი მაკა თავის თილისმებს თანდათან აჩენდა, მამაკაცს შემპარავად აღიზიანებდა, უკანასკნელ გამოსათხოვარ კოცნას ბესავით ტოვებდა, იცოდა, რომ ეს ოდნავ დაუდევარი ამბორი მის საყვარელს ყველგან თან გაჰყვებოდა და უკან მოაბრუნებდა. მაიერ კი ყველაფერს ერთბაშად ნინ ალაგებდა, მამაკაცსაც ყველაფერს სწრაფად ავინწყებინებდა. ხაბაზის ცოლს ერთი უპირატესობა ჰქონდა — საყვარელს მთელი თავისი არსებით თავდავინწყებით ეძლეოდა, მაკა კი სიყვარულშიც ტყუოდა და თაღლითობდა, სამაგიეროდ, საყვარელს ისეთნაირად ეტმასნებოდა, რომ ამის გახსენება გიგას ახლაც თავბრუს ჰხვევდა.

ფირუზას დახლიდარს იმანაც გაუფუჭა გუნება, რომ მხოლოდ ახლა ეცა ცხვირში ნივრისა და ხახვის სუნი, რომელიც მაიერს ყოველთვის ასდიოდა, რადგან მთელი დღე ბრგე საყვარლის ნისქვილში იჯდა, სადილის გაკეთება ავინწყდებოდა და თათარიახნად ნაყრდებოდა.

გიგა გულგრილად დადგა დახლთან. უკანასკნელ გამომეტყველებით ქალს დუქნიდან ნასვლას აჩქარებდა.

მაიერმ გაკვირვებით აიჩეჩა მხრები. გიგას ხმა არ გასცა. კარის ურდული გაბრაზებით გამოსწია, აივანზე გავიდა, ნაცნობი ეზო გადასჭრა და ლობეს-თან გაუჩინარდა.

ამასობაში ფირუზამ სასამართლოში დაწყებული საქმე მოიგო. შაქროს დუქანი თვითონ იგდო ხელთ. მისი საჯაროდ ჩაქუჩით გაყიდული სახლის პატრონიც ის შეიქნა. გაძალიანებული მაკა პოლიციას სახლიდან გამოაგდებინა. შაქრო ციხეში იჯდა. დამახინჯებული ქალი არც მირზაჯანას სჭირდებოდა. მაკას არავინ მიეშველა, არავინ დაეხმარა. ყველას მიერ განკიცხული ხარფუხში დასახლდა საცხოვრებლად. სახედაჩეხილს და დამახინჯებულს მამაკაცები არ ეკარებოდნენ. მაკა იძულებული გახდა ხელში ნემსი და ძაფი აეღო. ლარიბ ქალებთან ერთად ჯარისკაცების საცვლებს კერავდა და ამით ირჩენდა თავს.

უბანმა შვებით ამოისუნთქა.

### 3. დამუნჯებული ხაბაზი

განძის დამგროვებელი ზიზღით უცქერის წუთისოფლის ნარმავალ ლხენას, რათა მარადიული განძი მოიხვეჭოს, რომელსაც არც ჩრჩილი სჭამს და არც უანგი და რომელიც სავსებით ზეციურია და ამავე დროს სავსებით ამქვეყნოური.

კარლ მარქსი, „პოლიტიკურომის კრიტიკისათვის“

უცნაური კაცი იყო მაიკოს ქმარი ბართლომე კურტანიძე. დინჯი, ჩუმი, მოუკარებელი. შრომა და გარჯა უყვარდა. ეს კუნძივით მაგარი, ჩაფსკვნილი, არაჩვეულებრივად ჯანმრთელი შუახნის მამაკაცი მთელი დღის განმავლობაში დაუზარებლად ფუსტუსებდა, მუშაობდა, აკაკუნებდა, აკეთებდა. ყველანაირი ხელობა იცოდა: კალატოზობა, დურგლობა, ხუროობა, ზეინკლობა.

ორსართულიანი სახლი საკუთარი ხელით ჰქონდა აშენებული. ან მუშაობდა, ან ეძინა. სხვა გასართობი მან არ იცოდა. ღვინოს და არაც ახლოს არ ეკარებოდა. თუთუნი ჭირივით ეჯავრებოდა. მუდამ საქმით გართულს ნიჩისოდენა ნვერზე ხელის გადასმა ავინწყდებოდა. მთელი დღე გაჩუმებული იყო, ერთ სიტყვას არ იტყოდა, მაგრამ მის ფხიზელ თვალს არაფერი გამოეპარებოდა. ოში პურისმცხობლები მთელი დღე ფეხზე დგომით დახოცილი ჰყავდა. თვითონაც სულ ცხელ თონეში იყო ჩაკიდებული. თონის გარშემო ფეხშიშველა ტრიალში ჯირკვებივით გაჩაჩხულ და გირებივით დამძიმებულ ფეხებს ძლივს დაათრევდა, თავს მაღლა არ იღებდა, მინას ჩასცეკროდა და დამუნჯებული დადიოდა. მუშახელს გროშის ფასად ქირაობდა, სამაგიეროდ, იმდენს ამუშავებდა, რომ დაღლილ-დაქანცული მუშები ფეხზე ველარ დგებოდნენ.

მოგებულსა და მოპოვებულს თანდათან აჩენდა.

ონელ-ნელა გააფართოვა. რამდენიმე ნლის შემდეგ მტკვრის გაყოლებით პურის ბელლები ჩაამწერივა. ხორბალს იაფად ყიდულობდა და ძვირად ჰყიდდა. ჯარისკაცების ყაზარმებს ფქვილით ამარაგებდა, ხოლო მათ ცხენებს — ქერით და თივით.

ფულს იგებდა და მდიდრდებოდა.

ყოველთვის გაუღიმარი, მხოლოდ მოუსავლიან და შიმშილიან ნლებში იყო კარგ გუნებაზე. ამ დროსაც ტუჩის ბოლოებში შეუმჩნეველი ღიმილი ენასკვებოდა. ეს იყო და ეს. გაცინებით კი არასოდეს არ იცინოდა. ფულის შოვნა ახარებდა, მაგრამ არ იმჩნევდა. მალე მდიდარი ალაფის სახელი გაუვარდა. მტკვარზე რამდენიმე ნისქვილი შეისყიდა. ახლა თავის ხორბალს თვითონ ფქვავდა, თვითონ აცხობდა და თვითონ ჰყიდდა. ფული ავლაბრის ყაზარმებიდანაც შემოსდიოდა, ნისქვილებიდანაც და ოებიდანაც.

მოუხედავად ამისა, მაინც ხელმოჭერილი იყო. ცოლ-შვილი უფრო ხშირად ხმელა პურზე ჰყავდა დასმული. თავადაც დაგლეჯილი დადიოდა და

თავისიანებსაც და ეკრებულ, დაბლანდულ და დაბებულ ძველ-ძვულებში დაატარებდა, მის ერთადერთ მოახლესაც ისეთი ძონძები ეცვა, ნინ მარტი უჩანდა, უკან — აპრილი.

მხოლოდ მაიკო მოითხოვდა კოსტად ჩაცმა-დახურვას. ნიორსა და ხახვზეც ხელი აიღო და ნუგბარს მიეტანა, რათა მის პირისახეს რძისა და ლვინის ფერი მომატებოდა და საყვარელს ლამაზი სჩვენებოდა.

მაიკოს არც დედამთილი ჸყავდა, არც მული, არც მაზლისცოლი, არც სხვა ვინმე ქმრის ნათესავი. არც ქმარი უშლიდა ხელს. მთელი დღე შინ რომ არ შესულიყო, არავინ მოიკითხავდა. ბავშვებს ოსი ძიძა უვლიდა. ძუძუს მათ თრ ნლამდე ანოვებდა. ის დილაობით კლდის უბნიდან მოჰყავდათ და სალამოს უკან ისტუმრებდნენ.

სახლს კურტანიძეებს ახალგაზრდა მოახლე, თეძოამოვარდნილი თვალ-მშვენიერისა ულაგებდა. ბაზარშიც ის დადიოდა და იშვიათად სადილსაც ის უკეთებდა. მაიკო მხოლოდ გვიან სალამოს ბრუნდებოდა გიგას დუქნიდან.

ქალბატონად გამხდარმა მაიკომ ქმარს წისქვილიდან ბრგე მენისქვილე გააგდებინა და წისქვილებისაკენ მიმავალი გზა სამუდამოდ დაივინყა, სამაგიეროდ, გიგას აღარ შორდებოდა. შუათანა ბიჭი მაიკომ ფირუზას დიდის ამბით მოანათვლინა. ნათელმირონობამ ახალგაზრდა ზანდაროვს ბართლომე კურტანიძის სახლის კარი გაულო. ახლა გიგა თავისუფლად დადიოდა თავის საყვარელთან. გიგას მაიკო არც უყვარდა, არც ეჯავრებოდა, მაგრამ უიმისოდ მაინც ვერა ძლებდა. ზოგჯერ ჩხუბობდნენ კიდეც.

გიგას მაიკოს უფროსი ბიჭი ათვალწუნებული ჸყავდა. შუათანას ცნობის-მოყვარეობით უყურებდა, მაგრამ არც ის უყვარდა. უმცროსს კი ხანდახან თავზე ხელს გადაუსვამდა ხოლმე და თუ კარგ გუნებაზე იყო, ეთამაშებოდა კიდეც. შუათანა ბიჭი ქერა იყო, ფირუზთვალება, ცქვიტი, მოძრავი, მხიარული. ეს პირმხიარული ქერა ბიჭი ამღვრეულ გიგას რატომლაც ფირუზას აგონებდა ხოლმე. მისი დანახვა და გიგას გუნების გაფუჭება ერთი იყო. ერთხელ ველარ მოითმინა და მაიკოს პირდაპირ უთხრა:

— მაიკოჯან, მენი შუათანა ბიჭი ძალიანა ჰეგავს ფირუზას. ჲა, ბიძაშვილად ხომ არ მერგება?

მაიკო ჯერ გაშრა, პირი დაალო, მერე გაცეცხლდა, გიგას მიადგა და დედის ხსენი არ შეარჩინა.

— ეგ პირიდან როგორ ამოგივიდა? ეგ როგორა სთქვი? შენ მე მაკა ხომ არა გვინვარ ან სოვდაგრის ყვიციანი გომბიო? გემივით ქალს ისეთი რა მჭირდა, რომ ფეხმოლერეცილ ფირუზასთან საქმე დამეჭირა? ჩემი პირდაუბანელი და ფქვილმი ამოგანგლული მენისქვილე მირჩევნია მუდამ პირგაპარსულ და გაქათქათებულ ფირუზას. განა არ იცი, ვინც დასამალავ ადგილებს მალ-მალე ატიტვლებს, ზედ წყალი უნდა დაისხას, რომ გარყვნილებით არ აყროლდეს. რატომ ლმერთი არ გაიცინებს, რომ მაკას ნაშეგირდალი აქეთ მედავება ყველა ზანდაროვი ერთ ქვაბში ხართ ჩასაგდები და ერთად გასაწყვეტი. ვითომ ვინა

გრძანდებით? ზემოდან რაზე გვიყურებთ და დაგვცეკერით? რაო? ფირუზას დავიწყდა რანაირად დარბოდა სხვის ნასუფრალზე ან თეთრმა ლიზამ დიდი ხანია ფეხი ტალახიდან ამოილო, ან შენ თვითონ დიდი ხანია, რაც ცხვირი გოხოცე? კარგად ვიცი, ვინცა ხარ და რაცა ხარ. ისიც ვიცი, რისთვის გჭირდები. შენთვის სულერთია, გინდ ჩემთან გივლია, გინდ მიკიტნების კაბპასთან. მე მეხვევი და ტიტლიკანა მაკა გაგონდება, მე მპრომტავ და სოვდაგრის კომშივით გაყვითლებული გოგო გელანდება, მაგას რა შეტყობა უნდა? გინდ ბართლომე მნოლია გვერდით და გინდ შენისთანა ვირგლა...

დაბნეული გიგა თავს იმართლებდა, ბუტბუტით ამბობდა:

— აბა, რა ვიცი, მაიკოჯან... მაშ ეგ ქერა ბიჭი თავისი ფირუზი თვალებით ჟისა ჰგავს?

მაიკო უარესად გაანჩხლდა. გიგას ისეთნაირი სიტყვებით ლანძღავდა, გაზრის დედაკაცებს შემურდებოდათ.

— შენ რომ კარგი და პატიოსანი კაცი იყო, მაგას იტყოდი? არა, არა, პატიოსანი ქალები შენი საქმე არარის, შენთვის მაკასთანა ქალებია ზედგამოჭრილი. შენი ფანდი სოვდაგრის კურკის ოდენა გოგოა. იფ! იმათი მამა ვაცხონე შენი გაპატიოსნებისათვის. სირცხვილით ქალაქში როგორ დადიხარ? საყვარელმაც დაგიყენა თვალები და საცოლემაც. მეც ეგრე უნდა მოგექცე, რომ ავი და კარგი გაარჩიო...

თავმოყვარე გიგამ შუბლი უკმაყოფილოდ შეიქმუხნა დაძველებული, მაგრამ ჯერაც მოუშუმებელი დარდის გახსენება გუნებას უფრესებდა. რცხვენოდა და ნითლდებოდა. შეურაცხყოფილმა გაალმასებულ საყვარელს ზურგი შეაქცია და კურტანიძების სახლიდან გაიქცა.

მაიკო ისევ გაანჩხლებული იყო, ამიტომ გიგას ვერ დაუძახა, ვერც დაე-დევნა. გვიან დანყნარდა და სიბრაზემ რომ გაუარა, ტირილი ნასკდა.

გიგა თავდავიწყებით უყვარდა.

მოსთევამდა და იცრემლებოდა, მაგრამ დიდი ხნით არც დარდი იცოდა, არც ჯავრი და მნუხარება. მალე გამოიდარა. გასართობად მეზობლებში გადავიდა. დედაკაცებს შორის ჩაჯდა, ჭორაობდა, ხუმრობდა, იცინოდა და თავისი ჭახჭახა სიცილით ყველას აცინებდა. დაბინდებისას გულმა ვეღარ მოუთმინა და ისევ გიგას დუქანს მიაშურა.

გიგა ცხვირჩამოშვებული დახლდა დახლთან. მაიკომ მას შორიდან გაუცინა, გვერდით ამოუდგა, მიეკრა და მიეტმასნა. ქალმა იცოდა, რომ ვაუს არ უყვარდა, მაგრამ რაკი სალთი იყო და სხვა ქალი არა ჰყავდა, ადვილად ურიგდებოდა იმას, ვინც მისთვის ერთადერთი დედაკაცი იყო.

მაიკომ ჯერ საყვედურით უთხრა:

— რა ვქნა, გამლანძღე და ცილი დამნამე და ეხლა შენ თვითონ იბუტები? — მერე ხმაში სითბო გაუჩნდა და თითქმის ალერსით განაგრძო, — საკვირველი კაცი ხარ, გიგაჯან. შენ რა, ჩემს თაფლისფერ თვალებს და მოქეროთმას ვერ ამჩნევ? არ იცი, რომ დედაჩემი ოსის ქალი იყო? ჩემზე უფრო ქერა

იყო საწყალი. შენ თვითონ კარგად იცი, მე ხომ ვიცი, და ვიცი, შეუათანაც და პატარაც შენებიარიან. დიდზეარაფერს ვამბობ, — მაიკოს ბრვე მენისქვილის გახსენება არ უყვარდა, — ეგეც შენი ბრალია, რაც მოხდა. დამინუნე და რა უნდა მექნა? ბართლომეს შემყურეს სხვა რა გზა მქონდა? არც ვაგონდები, არც მეუარება, ღვთის ნინაშე არც მე ვუფრთხობ ძილსა. ხო, იმას ვამბობდი. პატარა შენი ასლია, შეუათანა დედაჩემს და იმის ნათესავებს დაემსგავსა. გასაკეირი აქ რა არის? ფირუზაც შენი ნათესავია, ორთავენი ზანდაროვები ხართ, მავრამ ერთმანეთს არაფრით არა ჰგავხართ. შენ ცოტათო მოგრძოსახე გაქვს, სურათოვანი ცხვირი, დახატული თვალ-წარბი, მშვენიერი ტუჩ-ქბილი, შენი ქოჩორი კნიაზებს შეშურდებათ, შენს ახოვან ჭანს ყველა სიამოვნებით უცქერის. ფირუზას კი მთვარესავით მრგვალი სახე აქვს, მოთეთრო-მონითალო თმა ღარიბი კაცის ყანასავით დასეტყვილი, თავზე აქა-იქ გადაგლევილი, გადღრენილი ცხვირი და მართლა რომ მხიარული ფირუზი თვალები. შენსავით და კონტაქტი კი არ იყურება! ხანდახან ისეთნაირად იცქირები, რომ ადამიანს გულს გაუხეთქავ. მერე იმის ახოვნებას არ იკითხავ?!

! რომ მოვინდომო, ჯიბეში ჩავისვამ. შენთან ის როგორ მოვა! ჩვენს უბანში ისეთი სახლი სად არის, რომ შენ ან ფანჯრიდან გადაგაძვრინოთ, ან თახჩაში დაგმალოთ? მაშ, შენც ზანდაროვი არა ყოფილხარ?

გიგამ ენაზე იქმინა.

მაյას ეჭვები მოაგონდა და გაფრთხილდა.

#### 4. თვალმშვენიერისა

ერთხანს, როცა სვეტონთან ერთად მარტონი ვისხედით და ადამიანური სისუსტის გამო სიყვარულს უნდა დავწაფებოდით, სწორედ ამ დროს გაიღო კარადა, რომელიც ჩემ საუბედუროდ იმ ოთახში იდგა, იქიდან ქალი გამოვიდა და მოგვაძახა: — გამარჯობათ, ჩემო მეგობრებო.

მ. ჩულეოვი, „მოხერხებული მზარეული ქალი“

ზანდაროვების ქვემო დუქანში თეთრი ლიზა ვაჭრობდა, ზემო დუქანში — გიგა. ფირუზა კი ქარვასლამი იყო დარჭობილი.

დამეგობრებული თეთრი ლიზა და მაიკო კურტანიძე ერთად დადიოდნენ ეკლესიაში. ნირვის შემდეგ ფირუზას დუქანამდის ერთად მოდიოდნენ მასლა-ათით, აქ ერთმანეთს თავის დაკვრით ემშვიდობებოდნენ. თეთრი ლიზა ქმრის დუქანში შედიოდა, მაიკო კი თავის სახლისკენ მიმავალ აღმართს მიჰყვებოდა, რათა საჩქაროდ ჭანსაცმელი გამოეცვალა და გიგას დუქანში გადასულიყო.

იმ დღეს კუსპარა დალაქმა ფირუზას ნურბლები დააყარა. ხანში შესულ მოქალაქეებს ნესად ჰქონდათ ყოველ გაზაფხულზე კოტოშის მოკიდება. თეთრმა ლიზამ თავშეხვეული ქმარი ლოგინში ჩააწინა. თვითონ კი დუ-

ქანს მიხედა და წირვაც გამოტოვა, არც მაიკ ნავიდა წმინდა წიკლოზში წირვის მოსასმენად. ეკლესიაში მარტო წასვლა დაეზარა. ცოტა ხანს თეთრ ლიზასთან ლაპარაკით გაერთო, მაგრამ მუშტარი მატულობდა და მისმა დოსტმა მისთვის ვეღარ მოიცალა. მაიკმ მოინყინა, მთენარება აუტყდა, მობეზრდა, წამოდგა, ფირუზას დუქნიდან გამოვიდა და თავის აღმართს შეუდგა.

შინჩვეულებრივზე ადრე მივიდა. თავისი ოთახის კარი შეალო და ზღურბლზე გაქვავებული შედგა. მის დიდ ეკლის ტახტზე გიგა და თვალმშვენიერისა ერთად გორიაობდნენ. გატიტვლებულ საყვარელს და მოახლეს გაძტერებული უყურებდა და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. მერე, რაც ენაზე მოადგა, ყველაფერი თქვა, გაეპასებული ილანძღებოდა და იფურთხებოდა:

— იფ, იფ, იფ! რა სანახავები ხართ, თქვენს ყურებას არაფერი სჯობიან. აბანოა თუ პატიოსანი ცოლ-ქმრის სახლი?! ვერ უყურებთ ამ მაკას შეგირდს რა ყოფაშია?! იფ! იფ! იფ! ბართლომე კურტანიძის სახლი საპოზკუროდ გაუხდიათ. სირცხვილი რა უყავით? ნამჟესი სად დაპერგეთ? არა, შენისთანა ჩასპანდს ამ თეძოამოვარდნილ გომბიოსთან კოტრისალი ეკადრება? ავი და კარვი არ უნდა გაარჩიო? აი, მეხი კი დაგაყარეთ ორთავეს, აშა! — კუთხეში კედელზე გაერულ, სირცხვილით გათავებულ და აზლუქუნებულ თვალმშვენიერისას მიუბრუნდა და ახლა იმას შეუტია, — აიფარე, აიფარე, ეგ კურკა ძუძუები არავინ მოგტაცოს! თავმომნონე არავინ შემოგხედავს, ისევ ზანდაროვები თუ გეყოლება მუშტრად, ნამეტნავად ფეხებმოლრეცილი ფირუზა. თუ იმანაც დაგინუნა, იმისი პატიოსანი წათესავი ხომ აქ არის და აქ არის, ნუ გემინიან, ტყუილად ნუ ინირპლები, არსად გაგექცევა. ახი არ იქნება, მთელი უბანი ზედ დაგაყენოთ და ვირებზე შეგსვათ?

დარცხვენილ-დაბნეული გიგა თავჩალუნული იჯდა. ამასობაში თვალმშვენიერისამ კაბის გადაცმა მოასწორო, თეძოაითრია და ოთახიდან გავარდა.

მაიკ ისევ გიგას მიუბრუნდა:

— ჩემი ხომ არა გრცხვენიან, გიგაჯან? ნუ მოგერიდება, ჩაიცვი, მე ფანჯრისექნ მივტრიალდები.

როგორ ჩაიცვა ტანსაცმელი, გიგა შემდეგ ვერასგზით ვერ იგონებდა.

მაიკ ტახტზე ჩამოჯდა, საყვარელი ავდებულად შეათვალიერა და დაცინვით გადაუგდო სიტყვა:

— სად მიგეჩქარება, გიგაჯან? ცოტა დამაცადე, მაკასთან ხარფუხში ნერილს გაგატან. კარგი შეგირდი გაუზრდიხარ, ბარაქალა მინდა შევუთვალო.

მეტისმეტად ამაყი გიგა შეურაცხყოფას დადამცირებას ვერ იტანდა. დამცინავად მომლიმარე ალაფის ცოლს მან ისეთნაირად გადმოხედა, რომ მაიკის გულმა რეჩხი უყო. საყვარლის უსიტყვო გამოხედვაში ერთად ამოიკითხა ზიზლიც და სიძულვილიც. თან ამ გამოხედვამ მას უნინდელი გიგა მოაგონა, როცა უიმედოდ შეყვარებული ფირუზას დუქანში დარბოდა და თეთრ ლიზას ნაზუქებს უზიდავდა.

სერიოზულად შემტოთებულ ქალს საყვარლის და ეარგვის შიში შემოენობა, უნებლიერ მისკენ გაინია, მაგრამ გატიტვლებული ახალგაზრდა მედუქნე და თვალმშვენიერისა რომ გაახსენდა, გაჩერდა და პირიც წელანდელივით გაუმეხდა.

გიგა ზანდაროვმა უკან აღარ მოიხედა. გატრიალდა და გაიქცა. დერეფანი საჩქაროდ გაიარა, კიბე, რომლის ქვეშ თვალმშვენიერისა სლუკუნებდა, ბრავა-ბრუვით ჩაირბინა. ეზოსირბილით გადაჭრა. მაღალი, ბართლომე კურტანიძის მიერ ნაკეთები ჭიშკარი ჭრიალით გააღო და ქუჩაში იმ აზრით გავიდა, რომ ამ სახლში ფეხი არასოდეს დაედგა.

მარტო დარჩენილმა მაიკომ თვალებზე ხელები აიფარა და დიდხანს იყო ასე გარინდებული. თანდათან ცრემლიც უშრებოდა და გულისტკი-ვილიც უნყნარდებოდა. ოდნავ გონზე მოსული იმასდა ფიქრობდა, თუ როგორ დაებრუნებინა უკან გიგა ზანდაროვი. უიმისოდ გაძლება მას აღარ შეეძლო.

თვალმშვენიერისა სახლიდან გაავდო. მოახლედ კი ერთი ისეთი მიხრნნი-ლი დედაბერი აიყვანა, რომ ხელიდან ცოცხლიც უვარდებოდა და აქანდაზიც.

ტანლერნამისას (ასე ეძახდა ახალ მოახლეს ქალბატონი) მხოლოდ ბართლომე უბლვერდა.

## 5. მარცხი

— ერთის ყვავილით გაზაფხული არ იცნობა. საზოგადოდ სხვა არის და  
თვითეულად სხვა.  
გრიგოლ რჩეულიშვილი, „ქვრივის ლიმონები“

გიგა ზანდაროვმა კურტანიძეების სახლისაკენ მიმავალი გზა დაივინყა. მაიკო აღონდებოდა. სამაგიეროდ, არც ჩაუვლელ და არც აუვლელ ლამაზმანს ისე არ გაუშვებდა, რომ თვალი არ გაეყოლებინა. სულ აქეთ-იქით იხედებოდა. თავს ინონებდა და ფასს იდებდა. თვალების ცეცებაში დუქანიც ავინყდებოდა და ვაჭრობაც. ქალებს ახლა თამამად ათვალიერებდა, სწორედ ისე, როგორც ეს ფირუზამ იცოდა ხოლმე.

ქალების გამოხედვაც შეუმჩნეველი არა რჩებოდა.

ბაყლის ცოლმა დინჯად შეათვალიერა, ბაზაზის ცოლმა აივნიდან აღტაცე-ბით გადმოხედა და ქუჩაში მიმავალს დიდხანს თვალი გააყოლა. ერთი ლოთი მოხელის კაფანდარა ცოლმა შეა ქუჩაში ისე მოურიდებლად, ისე ურცხვად ჩაუერა თვალი, რომ ჯერ ისევ მორცხვი გიგა ყაყაჩოსავით განითლდა. დიდ-ვაჭრების ჩასუქებული ცოლები დაგმანული ფანჯრებიდან იჭყიტებოდნენ და მას შორიდან უცეკეროდნენ. ევროპული ყავახანების მოსამსახურე ქალები ხომ გზას აღარ აძლევდნენ. მდიდარი ოჯახების მოახლენიც მოჩრდილული

ჩატრებიდან უთვალთვალებრივ და მის გაცემა-გამოვლას გულისფარცქალით  
უცდიდნენ.

კარდისახარის შემოსცინა, ზამპახისულმა მორცხვად გაულიმა, მონავარიდა-  
სა მურგს უკან რაღაც აღერსიანი სიტყვა მიაძახა, მზისახარ გაეხუმრა, მთვა-  
რისახარ კი მის დანახვაზე ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა. გათამამებული  
გვერდი ზოგიერთ მათგანს ხან თაბორის ფერდობებზე იტყუებდა, ხან ოხრა-ხევის  
ჩანიქერთან და ხანაც შაოტახტის ხევხუვებში ეფიცებოდა სიყვარულს.

გან ღარიბი მეზობლების ლამაზ გოგოებსაც დაადგა თვალი, მაგრამ  
როცა იმაზე მეტი მოინდომა, რის დათმობასაც პატიოსანი გოგოები მხოლოდ  
ქარინების ღამეს აპირებდნენ, პირში ჩაღავამოვლებული დარჩა. ანასტასიამ  
შეუბლვირა, თამრომ ზიზღით ზურგი შეაქცია, ანომ ისეთნაირად გამოლანდა  
და გამოთათხა, როგორც ეს ქალაქელ ქალს ეხერხებოდა. მეთულუხის ქალმა  
გარუამ უარესი დამართა. როცა ის გიგამ სახლის ბნელ იაქთალთან მიაგდო  
და საკინძე ჩამოუწყვიტა, ერთი ისეთი გაუშალა, რომ ჩვენს არშიყს ფირუზას  
და უქნამდე ყბა ხელით ეჭირა. ახალგაზრდა მედუქნე დარნმუნდა, რომ ღარიბ  
და ხელმოვლე ადამიანებს პატიოსნებასა და ცხოვრებაზე საკუთარი ნარმო-  
დენა ჰქონდათ და რომ თვითონ ის ღარიბ ხალხს აღარ ეკუთვნოდა, მისგან  
მოკვეთილი იყო. ცხოვრებით კი ისე უნდა ეცხოვო, როგორც სოვდაგრები  
და მდიდარი მედუქნეები ცხოვრობდნენ.

ერთ დღეს დაეტილი დუქნის ნინ გიგას ფირუზა დაუხვდა. მორიდანვე  
დაუბლვირა, თავის ქნევას და საყვედურებს მოჰყვა:

— კარგი დახლი დაგვიდგება, თუ დუქანს დილიდან საღამომდე კლიტე  
დაადე. სადა ხარ? სად დაეთრევი? რას აკეთებ?

— საქონელს ქარვასლებიდან მოტანა უნდა, ისე როგორ ვივაჭრებ, ფი-  
რუზჯან! — იცრუა გიგამ.

ეს მისი პირველი ტყუილი იყო. მაგრამ არც შერცხვა, არც განითლდა.

— მეც მაგისტრისა ვარ მოსული, — უთხრა ფირუზამ, — საქონელს ყიდვა  
და მოტანა უნდა. სხვანაირად დუქანი ვერ იხეირებს. საქონელს კი უფულოდ  
ჯერ არსად ჰყიდიან. ეგეთი არც დუქანი, არც ბაზარი, არც ქარვასლა მე არ  
ვიცი. შენ თუ იცი, ნამიყვანე, მაჩვენე, მადლობას გეტყვი, — გიგას თვალებში  
შეხედა და იქედნური გალიმებით დასძინა, — რამდენი ხანია ანგარიში არ  
ჩავიბარებია. რატომ არ მეტყვი, რა მოიგე, რა ნააგე? იქნებ იმ ქარვასლიდან  
მუქთად მოგაქვს საქონელი?

გიგას მოაგონდა, რომ ქარვასლიდან საქონლის მოსატანად ფირუზასთვის  
უნდა გამოერთმია ფული. უხერხულად შეიძმუშნა. ფირუზამ მის შეცბუნებას  
არავითარი ყურადღება არ მიაქცია. მაღლა, ზეცაში აიხედა, ხელისგულით  
მზე მოიჩრდილა.

— ამ მზისგულზე რათ მაჩერებ, გინდა დამსიცხოს? — ისევ მქირდავად  
გაიღიმა და განავრძო — ზოგისთვის ისევ დილაა, გამრჯე ხალხისთვის კი  
დიდი ხანია შუადღეა! დუქანში შევიდეთ, დახლთან დავსხდეთ.

დახლთან ფირუზამ თავი დაისაწყლა, ანუნუნდა. სოვდაგრებმა სხვადასხვა  
ქვეყნიდან მოტანილი საქონელი დაძვირესო, მედუქნები იძულებული არსან  
ძვირად ნაყიდი იაფად გაყიდონ, რომ მუშტრები არ დაეფანტოთ; სახლის  
მდგმურები ქირის გადახდას ავვიანებენო; უბანში რამდენიმე ახალი დუქანი  
გაჩნდა და დახლში შემოსავალმა იკლო, მე თვითონ გამიჭირდა და აბა სხვას  
როგორლა დავეხმარებიო. ამიტომ ამიერიდან გიგა ფირუზასაგან ერთ გრძეს.  
საც ვეღარ მოიღებს, ზემო დუქანს თვითონ უნდა გაუძღვეს და მოუაროს,  
ნავაჭრი დაზოგოს, საკუთარი თანხა გაიჩინოს და ამ თანხით ქარვასლებში  
იაროს. ფირუზას კი ისედაც ბევრი საქმე აქვს. ნელ-ნელა ბერდება. თავსაც  
კარგად ვერ გრძნობს. ხან ფეხს იტკივებს, ხან ფერდს. თვალებიდანაც კარგად  
ვეღარ იხედება. ზოგჯერ თავიც უმძიმდება. კუსპარა დალაქი გაამდიდრა  
ნურბელების მოკიდებით, შეღავათი კი ჯერ არსადა ჩანს.

გიგა დაბნეული შესცეროდა მაისის ვარდივით გაფურჩქვნილ, ლოყებლა-  
ულაუა, თეთრ-წითლად გალვივებულ და კმაყოფილი ცხოვრებით გასისინებულ  
ფირუზას. სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდა და გაჩუმებული იდგა.

ფირუზამ უარესად დაისაწყლა თავი, ამოიოხრა, გიგას თავი დაუკრა და  
თავის გზას გაუდგა.

გიგა მარტო დარჩა. დუქნის მოვლა გაუჭირდა. საქონლის საყიდლად ხან  
ფული აკლდებოდა, ხან ფული სულ არ ჰქონდა.

ფირუზა ზემო დუქანში აღარ ადიოდა. ერთმანეთს შინ ან ქარვასლაში  
ხვდებოდნენ. ფირუზა არასდროს ეკითხებოდა, როგორ იყო, რას აკეთებდა,  
რითი ვაჭრობდა. დარბაისლურად ოხუნჯობდა ან დიდყაცურად მძიმედ ლა-  
პარაკობდა.

დამტრთხალ გიგას ნამდაუნუმ მედუქნე შაქრო ელანდებოდა. გაკოტრების  
ეშინოდა და თავის დუქნის დახლში ჩამდვრალი გარშემო შიშით იცეირებოდა.  
მისი დუქანი სულ უფრო და უფრო ღარიბდებოდა. მუშტარიც ეფანტებოდა,  
რადგან გაერთიანებულს ყველანაირი საქონლის ყიდვა აღარ შეეძლო.

ამას გარდა, ჯერ ისევ შაქროს დროს მიშვებულ დუქანს შეკეთება სჭირ-  
დებოდა. დუქნის სახურავზე კრამიტი დამტვრეული და აყრილი იყო. წვიმის  
დროს ჭერიდან ნყალი ჩამოდიოდა. დუქნის საშიშრად გადაწლილ ერთ კე-  
დელს გიგას ამხანაგებმა ბოძები შეუყენეს, მაგრამ სადაც იყო, გაბზარული  
კედელი მოირდვეოდა და დუქნის ეს მხარე მთლიანად ჩამოიქცეოდა. კედლის  
გასამაგრებლად აგური, კირი და გაჯი იყო საჭირო, მაგრამ უფულოდ დუქნის  
შესაკეთებელ მასალას გიგა ვერსაიდან ვერ მოიტანდა.

ფირუზა ყურებს არ იძერტყავდა.

გიგას ჯეელ დოსტებს კი იმდენი არა ჰქონდათ, რომ გაჭირვებაში ჩავარდ-  
ნილი ამხანაგისათვის ხელი გაემართათ.

ძლივს გამოდარებული გიგა ისევ გულჩათხრობილი გახდა. მარტოდ მარტო  
დარჩენილს და ჯიბეცარიელს თავი ლამის კედლისთვის ეხალებინა.

ამ მდგომარეობაში დახვდა თავის საყვარელ მაიკოს.

გიგას შესახებ მან ყველაფერი იცოდა, მაგრამ განგებ თავს არიდებდა. გასთან ხელახლა შესახვედრად მარჯვე დროს უცდიდა. მაკა გიგას დუქანში მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როცა, მისი აზრით, წვერგაუპარსავი მედუქნე ან სხდიდან მტკვარში უნდა გადავარდნილიყო, ან თავი ჩამოეხრჩო, ან სადმე სამუდამოდ გადაეარგულიყო. გამოჩნდა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს გიგას სანახავად კი არ იყო მოსული, არამედ წინაკის და დარიჩინის საყიდლად. დუქნის კარებიდანვე მიაძახა:

— ქა, ეგრერამ დაგიღრიჯასახე, გიგაჯან? ჩემი დანახვა დავიჯერო, ეგრე გენყინა!

გიგა კინალამ ნამოხტა. არ ევონა, თუ მაკა დანახვა ასე გაუხარდებოდა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ფირუზას და თეთრი ლიზას შემდეგ მისთვის ყველაზე მახლობელი ადამიანი მაკა იყო. თანაც ფირუზა მას აღარ სწყალობდა, თეთრი ლიზა კი ქმრის შიშით ხმას არ იღებდა. ერთხელ როგორლაც ქმარს თავიანთი გულეკეთოლი გიგა შეაცოდა, მაგრამ ფირუზამ შეუტია და ენა მუცელში ჩააგდებინა:

— უჩვენოთ როგორ ვერ უნდა გაძლოს! — ჯავრობდა ფირუზა, — ჩვენ ხომ ამ ქვეყანას არ შევაბერდებით. მაშინ რაღა უნდა ქნას? დედაეაცო, ჭუა მოკრიბე, დაფიქრდი. მაგას ჩემი მტრობა ერჩივნოს შენს მოყვრობას. ხელი გაანძრიოს, მიიხედ-მოიხედოს, ანგარიში ისწავლოს, ფულის ყადრი გაიგოს.

თეთრი ლიზა ქმარს ეთანხმებოდა და ამართლებდა. გიგას კი ევონა, რომ მისი ძველი ქომავი ახლა ათვალწუნებით უყურებდა.

## 6. შეგონება

ვაჭარმა თუ არ მოიგო, ცოდვაა.  
იფიქრეთ თქვენ თავზედა. თუ არას მოიგებთ, როგორლა ივაჭრებთ,  
როგორლა იცხოვრებთ?!  
ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“

დამარტოხელებული და გაჭირვებული გიგა მაკა ისე მოეჭიდა, როგორც ნყაღნალებული ხავსს ეჭიდებოდა. გული გადაუშალა და ყველაფერი დაწერილებით უამბო. მაკა მაც ყურადღებით მოუსმინა, მერე მორიდებით უთხრა:

— არ გენყინოს, გიგაჯან, მაგრამ პირდაპირ უნდა გითხრა, ვაჭრის ქუდი გახურავს, მაგრამ ვაჭარი არა ხარ.

გიგამ გაკვირვებით შეხედა.

— პატიოსანი ხარ, გულეკეთოლი, შემბრალე. ეს ვაჭრის თილის მები არ არის, ეს ენი არცერთ ბაზარზე არ იყიდება, — ეუბნებოდა მაკა გიგას და თან ცდოლობდა ისეთი არაფერი წამოსცდენოდა, რომ გაეპრაზებინა და ისევ ხელიდან დასხლოტომოდა, — მიყვარხარ და ამიტომ ჩემსავით სხვა არავინ გიცნობს. არ

გამიჯუავრდე, გიგაჯან, მაგრამ მე არა მჯერა და ვერც დავიკურებ, რომ შენ ნინათ  
სოველავრების ქარავნებს დასდევდი. სოველავრები ისე არ იქცევიან, როგორც შენ  
იქცევი. ვინდა ვაჭრები და ვანახო? შორს ნასვლა რად გვინდა! ფეხებმოლეცილი  
ფირუზა აქ არის? ან თუ ვინდა ბართლომე კურტანიძე ავილოთ. ყველას პატიო-  
სანი და ზრდილობიანი კაცი ჰეგონია, მაგრამ თუ დასტირდა, ვისაც ვინდა ყელს  
გამოსქრის. ორთავენი ჩემს თვალნინ გამდიდრდნენ. ვიღას ახსოვს მენვრილმანუ  
ფირუზა ან ხაბაზი ბართლომე კურტანიძე. ერთი — მდიდარი მედუქნეა, მეორე  
— მდიდარი ალაფი. აი, ვინ არიან ვაჭრები! შენ კი სულ სხვა ხარ. ფულის ყადრი  
არ იჭი, არ გაგევება. ანგარიშით არა ცხოვრობ. შენ გვინია, თუ უბრივი მოახლე  
გოგოებს თავშალი ან საკაბე არ უყიდე, ისე არ გაკუცნინებენ? — ვერ მოითმინა  
ფრთხილად მოლაპარაკე მაიკომ და გიგას მაინც უჩხვლიტა, — ამისათვის ფი-  
რუზას იაფი, თავვების დასაყრელი შაქარყინული ჰქონდა. შენი თავშლებით კი  
გაფუჭებული გოგოები კუკაზეც დადიან, კლდის უბანშიც და ციხის უბანშიც.  
ევ რა არის, ეგ ვთქვათ, კიდევ არაფერი. მაკას შეგირდისაგან გასაკვირველი არ  
არის, — ისევ უჩხვლიტა მაიკომ, — ამას წინათ დავინახე, მათხოვარს იმდენი  
ფული ჩაუყარე კალთაში, კინალამ თვალები ამიჭრელდა. ის მათხოვარი კი შენზე  
ლონიერია, თუ დასტირდა, მუშტით კამეჩის წაეჭცევს. აი, ვაჭარი ვინ არის! შენ  
კი ყველასთან ხათრიანი ხარ. ქალს სადაც უნდა, ლოგინს იქ გავაშლევინებს,  
თუნდაც თებო ამოვარდნილი ჰქონდეს, — ისევ უჩხვლიტა მაიკომ, რომ ერთი  
ბენოც არ გაიცინა, არც გაიღომა, — ლარიბი გეცოდება, მოტყუებულ გლეხს  
ესარჩლები და იმის გულისთვის ბაზარში ჩხებს მართავ, ყველასთან გულკა-  
თილობ. უბანში ყველას უყვარხარ, რაც მართალია, მართალია, ამაზე ვინ რას  
იტყვის? მაგრამ სარგებლობა სად არის? კარგი ბიჭის სახელი რათ ვინდა, თუ  
სახრავიც არ გაიჩინე? ლარიბების სიყვარული, ერთი მითხარი, სად ან რაში  
დაგჭირდება? შენ მდიდრებს უყურე. ისე მოიქეცი, როგორც ისინი იქცევიან.  
სახელი უკვე გაქვს, ვინ წაგართმევს, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, მაგრამ  
სახრავიც გჭირდება. ცხოვრების მთავარი ნიმანი სწორედ ეს არის, გიგაჯან!

გიგა გაეკირვებული უსმენდა მაიკოს, თუმც მის ნათქვამ-ნალაპარაკევში  
ბევრი რამიყო მისთვის ნაცნობი და გასაგები. დალაგებით მოლაპარაკე ქალი  
ახალს თითქმის არაფერს უუბნებოდა. მხოლოდ ის უკვირდა, რომ მაიკოსაგან  
იმასვე ისმენდა, რაც დიდი ხნის წინათ ფირუზასაგან ჰქონდა გაგონილი. არც  
ის მოსვლია ოდესმე თავში ფიქრად, რომ ბართლომე კურტანიძის ცოლი და  
მისი საყვარელი ჭევიანი დედაკაცი იყო.

— მე პატიოსნება და გულეეთილობა ხელს არ მიშლის, მაიკოჯან, მე  
უფულობა მიშლის ხელს, — მორიდებით უთხრა გიგამ, რადგან მის მიმართ  
თანდათან პატივისცემით იმსჭვალებოდა.

— მითხარი, გიგაჯან, პატიოსნებით და გულკეთილობით ფულს სად შოუ-  
ლობენ? მაგისთანა დუქანი რომელ ქუჩაზეა? ეგეთი ბაზარი რომელ ქალაქ-  
შია? ან ეგეთი ქარვასლა რომელ ქვეყანაშია? რაღას ვუცდით, წავიდეთ, იმ  
დუქნიდან, ბაზრიდან და ქარვასლიდან რაც გვინდა, ის მოვიტანოთ.

გაუკოს ამგვარი ლაპარაკი ეკვივასათვის იმდენად ნაცნობი იყო, რომ უნებულად ფრინუბა აკონდებოდა. სულ უფრო და უფრო გაკურვებით უყურებდა გამოცდილ, ცხოვრების ჯარდაგში გამოვლილ და ჭეუადამჯდარ ალათის ცოლს. თან სწყინდა და თაკილობდა, რომ მაიკოც მიამიტ და გულუბრიყვილო ადამიანად თვლიდა.

— კარგი, კარგი. ეგრეც ნუ გამატრიზავებ! — გაჯავრდა გიგა, — ისიც მეყოფა, რაც მაგისთან ებისათვის ფირუზასაგან მხვდება. უთქვენოდაც მოეირგებ ისეთ ქუდს, როგორ ქვეყანაშიც ვცხოვრობ. შენ ეს მითხარი, დუქნისათვის საჭირო ფული სად ვიშოვნო?

— ჰო, ეგ სულ სხვა საქმეა. მაშ, ფულზე ვილაპარაკოთ, — ფრთხილად შეუბრუნა კილო მაიკომ, რომელსაც გიგას მარტის ამინდივით ცვალებადი ხასიათი ხელისგულზე პქონდა გადაძლილი და წინასწარ თადარიგს იჭერდა, რათა მისთვის არაფერი ეწყენინებინა, მის თავმოყვარეობას არ შეხებოდა. ამიტომ მის ნათქვამს ხელი ჩასჭიდა და სწრაფად მოსჭრა:

— ფულს ადვილად მოევლება. შენ ოლონდ ვაჭრის ქუდი გაისწორე. ჩემი ქმრის სალარო ჩემს ხელთაა. ერთი პირობა კი არამც და არამც არ უნდა და-ვარღვიოთ: რასაც მოგცემ, უკანვე უნდა დამიბრუნო.

— მაგას რაღა თქმა უნდა, მაგრამ თუ ვაჭრის ქუდი კარგად დავიხურე, მაშინ რაღას იზამ? — გაიცინა გიგამ.

— მაგაზე არხეონად იყავი, — გაუცინა მაიკომაც, — ა, ნახავ, აქეთ შემეხვეულები. გიგამ ვერაფერი გაიგო. მაიკომ საჩქაროდ მიახვედრა:

— შენარ შეგიმჩნევისა, გიგაჯან, რომჩვენი ჩხუბის შემდეგ შენი დუქნის საქმე უკან წავიდა? რაც მე აქ ალარა ვტრიალებ, ხედავ, დუქანი როგორ გალარიბდა?

ასეთმა ფიქრმა წინათ გიგასაც გაუელვა თავში, მაგრამ მაშინ ამას თითქმის არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ახლა კი მისთვის სავსებით ცხადი ხდებოდა, რომ მაიკო მის დუქანში დახლიდარობით კარგ საქმეს უკეთებდა, რადგან დაუზარებლად შეელოდა და ეხმარებოდა. ახალგაზრდა, გამოუცდელი მედუქნე მხოლოდ ახლა ხვდებოდა და რწმუნდებოდა, თუ რას ნიშნავდა მის ცხოვრებაში მაიკო, რომელიც მას არც უყვარდა, არც ეჯავრებოდა.

## 7. სიყვარულის დასანყისი

უცრად მათში დავინახე თეთრკაბიანი და მეყვსეულად მან მიიღო  
ჩემნი ცნობანი.  
ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ლამე ყაბახზედ”

იმ დღეს გიგა ზანდაროვმა და მაიკო კურტანიძემ ერთმანეთს პირველად მიაგნეს და იპოვნეს. ბედნიერი მაიკო ნებივრად იწვა მარილის ცარიელ ტომრებზე, ალერსით დაღლილი საყვარლის შებლზე ჩამოვარდნილი ქოჩრის კულულის თამაშით ერთობოდა. ბოლოს გაიცინა და თქვა:

— მიმციას მომციაც უნდა. ეს ძველებმაც კარგად იცოდნენ, ახლანდე-  
ლებმაც კარგად იციან, ვინც ჩვენ შემდეგ მოვა, იმათაც კარგად ეცოდნებათ.

გიგამ ცნობისმოყვარეობით ჰქითხა:

— შენი მიმცია ჩემი ჭკუის დარიგებაა, ჩემი მომცია რაღა არის?

შენ კაცი ხარ, გიგაჯან, ამიტომ შენი მომცია უფრო ძვირად ელირება.

— მაინც რამდენად ფასდება?

— არა, რაც მე მინდა, ის ფულით არ დაფასდება.

გიგამ ვერაფერი გაიგო. არც მაიკომ განუმარტა მაშინვე. სათქმელი თუ  
სათხოვარი ნელ-ნელა შეაპარა.

— მარტო ერთი სიტყვაა საჭირო.

— ეგ რა სიტყვაა, — დაინტერესდა ახალგაზრდა მედუქნე.

— გეტყვი, მაგრამ შენც კარგად დაფიქრდი, პასუხი გულდაგულ  
ასწონ-დასწონე.

გიგამ მხრები აიჩეჩა. მაიკომ სერიოზული სახე მიიღო, საყვარელს უფრო  
შეევედრა, ვიდრე თხოვა:

— სიტყვა მომეც, რომ სანამ მდიდარი სოვდაგარი არ გახდები, ცოლს არ  
შეირთავ.

გიგა დაფიქრდა. პასუხი დააგვიანა. ბოლოს გადაჭრით უთხრა:

— მაგის ასრულება, მაიკოჯან, ჩემთვის ძნელი არ არის, მაგრამ ფირუზა  
და თეთრი ლიზა არ იზამენ. ისინი ჩემთვის მდიდარ სარძლოს ეძებენ. მომდუ-  
რებით კი იმათ ვერ მოვიმდურებ, ნელანაც გითხარი, ისედაც კარგი თვალით  
არ მიყურებენ.

— მარტო ეგ არის მიზეზი? — ჰქითხა მაიკომ.

გიგამ თავი დაუქნია.

— ეგ იმისთანა რამ არის, რომ პირობა არ მომცე?

— შენ ფირუზა და თეთრი ლიზა არა გცნობია, იმათ სხვანაირად ვერ  
შევირიგებ. ნათესავები არიან. მაგათ გარდა ქვეყანაზე სხვა არავინა მყავს.

— ვიცი, ვიცი, — შეანუკეტინა მაიკომ, — მაგრამ მაგასაც ადვილად  
მოევლება. შენ ფირუზას ოლონდ ბლომად ფული დაანახვე, როცა გინდა  
ფეხებში ჩაგივარდება. თეთრი ლიზა კი მე მომანდე. აბანოში ერთად დავდი-  
ვართ. საცოლეებს რამდენიც გინდა, იმდენს აგირჩევ, ცოლად კი არც ერთს  
არ შეგრთავ.

გიგა არასოდეს იფიქრებდა, რომ მაიკო ჭკუით თეთრ ლიზას აჯობებდა.  
ამიტომ დაუდევრად და დაუფიქრებლად მისცა საყვარელს პირობა. მაიკომ  
გიგა სამჯერ დააფიცადა სამჯერ ათქმევინა, რომ სანამ მდიდარი სოვდაგარი  
არ გახდებოდა, ცოლს არ შეირთავდა.

ფიცზე უფრო მტკიცედ მაიკოს ის ეჩვენებოდა, რომ სხვა დროს მისი გულ-  
გრილი, ხშირად შუბლებაუსნელი საყვარელი ახლა შეფრთვინვით შესცეკროდა,  
გაბრწყინებული თვალებით და გაცინებული პირით ეხვეოდა, ეალერსებოდა,  
თავს ევლებოდა, ხან კისერს უკოცნიდა, ხან ზილფებს, ხან საულვაშეს, ხან

უკრის ბიბილოებს, ხან მის გრძელ საყურებს ეთამაშებოდა, ხანაც ხუმრობით უკლიე ფარლალის მძივებს უთვლიდა. მაიკოს ერთი წამით შეძლი მოედრეუბლა. გიგამ შეატყო, ნიაზით ჰქითხა:

— რა დაგემართა, მაიკოჯან?

— არაფერი, გიგაჯან, ეგრევიცით ხოლმე ქალებმა. არა უშავს, გადამიარა. გიგამ იმნამსვე მუცელზე გახედა. მაიკომ გაიცინა, ხელები გასავსავა:

— არა, არა, რა დროს ეგენია, ბიჭები დასაზრდელი მყავს.

— აბა, რა ვიცი, — გაიცინა გიგამაც, — ლამის ყოველ ნელს თითო ბიჭი გამოაგორო!

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს. ყაისნალი და იმის ჯანი!

— მამ, რა მოგივიდა, მაიკოჯან?

მაიკომ სინანულით უთხრა:

— ჩემთვის ვიფიქრე, გიგაჯან, შენ რომ ყოველთვის ეგეთი მყოლოდი, მე რა მიჭირდა! მაյა წინ როგორ დამიდგებოდა.

გიგას პატარა ბიჭივით გაელიმა. მაიკომ ველარ მოითმინა და ისე აკოცა, როგორც დიდი ქალი პატარა ბიჭს ჰეოცნის ხოლმე.

როცა ისინი მარილის, სისირის და ლობის ცარიელი ტომრებიდან წამოდგნენ, გიგა მაიკოს ლამის კაბის გასწორებასა და დაბერტყვამი დაეხმარა. მაიკომ კინალამ ჩაითვრუტუნა. დროზე შეიმაგრა თავი. გამოცდილებით იცოდა, გიგას უგუნებობას ბევრი არაფერი სჭირდებოდა. დიდხანს, დიდხანს იხვევდა მარცხენა მელავზე გრძელ ქალადაის.

საოცრად ლამაზი მამაკაცის ყურებით ტკბებოდა. ახლა ის მისი იყო. მას ეკუთვნოდა. მის თაფლისფერ თვალებში კვლავ იელვა სიყვარულისა და ვნების ალმა. ფეხის წვერებზე შედგა და ერთხელ კიდევ მისწვდა საკოცნელად პირდალებულ გიგას. თვითონ მას მკლავების გაშლა აღარ აცალა.

გაიქცა და თან წაილო თავისი გამოუცნობი ლიმილი.

## 8. მსგავსება

ქალისათვის საყვარელი მამაკაცის სახის მოძრაობა ისევე ნაცნობია,

როგორც მეზღვაურისათვის გაშლილი ზლვა.

ონორე დე ბალზაკი, „კურტიზან ქალთა აღ ზევებს და დაცემა“

მაიკო გიგას დუქანში დატრიალდა. ჩამოფხავებულ დუქანს მალე დაეტყო მისი დაბრუნება. თაროებზე ისევ გაჩნდა ნაირ-ნაირი საქონელი. მუშტრებიც კვლავინდებურად მომრავლდნენ. მაიკო ამის გამო არაფერს ამბობდა. სამაგიეროდ, გაკვირვებული გიგა შეძლს თითით ისრესდა და თავს უტყდებოდა, რომ მაიკო კურტიზანიდე მიხვედრილობით, გამჭრიახობით და მოხერხებით არაფრით ჩამოუვარდებოდა ყველაზე მოხერხებულ ფირუზა ზანდაროვს.

ერთ მშვენიერ დღეს მაიკომ თავისი ქმარი ბართლომე კურტანიძე მოჰყვანა. დუქნის გადანოლილი კედელი დაანგრევინა. აგურები მოაზიდინა და ხელახლა ააშენებინა. სხვა კედლებშიც, სადაც კი შესაძლებელი იყო, ალიზი აგურით შეაცვლევინა.

მუშაობაში ქმარს ცოლი შველოდა. მაიკო ფეხში შველა მუშაობდა. მკლავებ-და კაპინებულს კაბის ბოლოები მუხლების თავამდე ჰქონდა ანეული, აკეცილი კალთები ქინძის თავებით დამაგრებული. გიგა მის თეთრ მუხლებს უყურებდა და უკვირდა, რომ ტანად, ძვალმსხვილ, უფრო სქელ, ვიდრე გამხდარ ქალს კოხტა ფეხებიდან ვრიღლი ფეხის კოჭები ჰქონდა, მაიკო კირს წყალში ურევდა, გაჯს სამნაირ საცერმი ცრიდა და თაბახით დაბალ ხარაჩოზე მდგარ ქმარს ანვდიდა. პირისახიდან ოფლს თავშლის ბოლოთი მალიმალ იწმენდდა, მაგრამ დაღლა არ ეტყობოდა. ბართლომესაც წურნურით ჩამოსდომდა ოფლი, რადგან მზიანი, ცხელი დღე იდგა. გიგა იმათ შორიდან უყურებდა და სიამოვნებდა, რომ მისთვის სხვები მუშაობდნენ.

მუშაობა ცოლ-ქმარმა საღამოთი და ამთავრა. ბართლომე კურტანიძე მნინ-საფარი მოიხსნა. კალატოზის, დურგლისა და მლესავის იარაღები აკრიფა და ტყავის თოფრა კში ჩაალაგა. ცოლმა ლიტრიდან წყალი დაუსხა და ხელ-პირი დააბანინა. სველი პირი ბართლომემ ბალდადით შეიმშრალა, ცალი თვალით გიგა ზანდაროვს გახედა. თავი ოდნავ დაუკრა, გატრიალდა და წავიდა.

გიგამ გაეკირვებით გააყოლა თვალი, ვერ მოითმინა და მაიკოს ჰკითხა:

— ნუთუ მაგ კაცმა არაფერი იცის?

— რაც მაგ კაცსა და მე მეხება, შენ იქ ცხვირს ნუ ჰყოფ, — უკმეხად უძა-სუხა საყვარელს მაიკომ, — ცოდნით კი ბართლომე კურტანიძემ ყველაფერი იცის. ოლონდ როცა სჭირდება, ყრუც არის და მუნჯიც.

— რათ გენყინა, მაიკოჯან? მე შენ შვილებზე გუითხე, მაგან იცის თუ არა, რომ შენი შვილები...

— ჩემი, შენი და სხვისი შვილების ნათლობის ქაღალდები ბართლომე კურტანიძეს აბარია. ყველანი კურტანიძეები არიან. სხვა საბუთებს ეგ არ თხოულობს. რასაც ყურმი ჩასძახიან, ის ბართლომეს არ ესმის.

— ბარაქალა, მაგარი კაცი ყოფილა.

— არცა სტყუიხარ. მაგარი კაცია. ვაჭრის ქუდი თავიდან არ გადმოუვარდება, მაგრად ჰეურავს, — გაბრაზებით დაუბრუნა მაიკომ, რადგან საყვარელს აგდებული კილო შეამჩნია, — არა, შენ ეგრერათ იხერხები? მადლობის მაგიერია?!

გიგა შეიშმუშნა, ვერაფერი თქვა. მაიკოს კი ბრაზი უფრო შემოენთო. ყველგან და ყველასთან ის ერთნაირად ეფაფრებოდა ქმარს, შეილებს და საყვარელს. ამიტომ გიგას ჩამოკრულად ნათევეამი არ შეარჩინა და არ დაინდო, დამცინავად აათვალიერა, საჩხუბრად მოემზადა.

— ჩემ ქმარს რაზე დასცინი? იქნებ გიკეირს, რომ აქ მოვიყვანე და შენი დანგრეული დუქანი გავაკეთებინე? ეს ჩემი თილისმაა და ამას ვერავინ

ნამართმევს, ვერც ქმარი, ვერც საყვარელი, ვერც დოზანა და ვერც დარღუბალა. შენ ჩემ ქმარს თავი გაანებე, თორემ თუ გამოვიაშრე, მაგ ლამაზ თვალებს დაგათხრევინებ და ნატისუსალზე დაგსვამ. ჩემი ქმარირა მასხარად ასაგდებია? ახალგაზრდა ხარ და უკვე ჰგებარ ბართლომე კურტანიძეს, ცოტაც მოვიცადოთ და სულ მთლად დაემსგავსები. პირნავარდნილი ბართლომე გახდები.

გიგა გაოცდა. პირი დაალო. ერთბაშად დაძონძილი ბართლომე კურტანიძე რომ ნარმოიდგინა, აილანძა, იუკადრისა. დაბლვერილმა კბილებს შორის გამოსცრა:

— ეგ საიდან მოიტანე?

მაიკოს თაფლისფერ თვალებში ისევ გაურკვეველი ლიმილი აუციმციმდა, მაგრამ გამომწვევი გამოხედვა დროზე ალაგმა. დაღლილი იყო, გიგასთან ჩხების თავი არა ჰქონდა. ორი თითით საყვარლის ნიკაპს სათუთად მოჰკიდა ხელი, იმის ტუჩებს საკოცნელად მისწვდა. შეურაცხყოფილი გიგა არ მოეშვა:

— მაინც რითი ვგევარ ბართლომე კურტანიძეს?

მაიკომ გაიცინა.

— არც გარეგნობით, არც ხასიათით არა ჰგებარ. ლმერთმა ნუ ქნას, იმასა-კითძილი შეგიყვარდეს და კედლისაკენ გადაბრუნებას დაეჩვით. მაშინ ხიდთან უნდა მივიდე და წყალში გადავვარდე.

ნელანდელი ნათქვამის ხუმრობაში ჩატარება მაიკოს არ გამოუვიდა. გიგა არ ეშვებოდა. თავის კითხვას ჯიუტად იმეორებდა. მაიკო გაბრაზებას ნანობდა, თვალი გასაქცევად ეჭირა.

— კარგი, გეყოფა, თავი დამანებე. დაღლილი ვარ, შენი თავი არა მაქვს. რა ვენა, ეგრე რათ ამიხირდი?

— სანამ არ მეტყვი, აქედან ფეხს არ მოგაცვლევინებ.

— ნეტავი ენა მომტეხოდა და მე ეგ არ მეთქვა. რითი ჰგებარ ბართლომე კურტანიძეს, ეს გინდა გაიგო? სულუბრალორამარის. რა კი გამიცანი, ვეღარ დამომობ, სანამ ჩემზე უკეთესს არ აღმოაჩენ. ეს არის და ეს. ამის მეტს აღარ გეტყვი, ჩემი ქმრის აშენებულ კედელზე თოკითაც რომ დამკიდო.

გიგამ ვერაფერი გაიგო, ვერაფერი მოისაზრა. არც იყო გასაკვირი, ვაჭრის ქუდითავზე ჯერ კარგად არ ეხურა. ცხვირი ჩამოუშვა, გაიბუტა. განზეგადგა.

მაიკომ ყურადღება არ მიაქცია. დამშვიდებული იყო. ლაპარაკი არ უნდოდა: ახლა იგი გიგა ზანდაროვისათვის ისევე აუცილებელი იყო, როგორც ბართლომე კურტანიძისათვის.

თავის გზას არხეინად გაუდგა.

გაბრაზებული გიგა თავის დუქანს გარშემო უვლიდა, მაიკოს თეთრი მუხლები ელანდებოდა, მის გაშვებას ნანობდა.

იმ ლამეს ძილი არ გაეკარა.

გათენებას მოუთმენლად მოელოდა, რათა დილით თავის საყვარელს ისევ შეხვედროდა.

## 9. საჭრი კაცის დიასახლისი

ცუდ არს: გეტრუი და გეტრფი, თუ გულიც არ მომყოლობს,  
ალექსანდრე ჭუჭავაძე, „მე შენ არ გეტყვი“

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მატულობდა საქონელი გიგას დუქანში, მოგებაც შესაბამისად იზრდებოდა. დახლის უჯრები ფულით ივსებოდა. მაიკო დაუზარებლად დახლიდარობდა. მოსწრებული სიტყვა-პასუხით და მხიარული სალამ-ქალამით ახალგაზრდა მედუქნეს მუშტარს უმრავლებდა. ზოგიერთს მასზე თვალიც ეჭირა კიდეც, რადგან მაიკოს თვალის აციმციმებაც უყვარდა და არშიყობაც.

ხელახლად ყურებამდე შეყვარებული გიგა ეინმე ჩასპანდთან მის ხანგრძლივ და გაბმულ საუბარს ვერ იტანდა, ბუზლუნებდა, ცხვირჩამოშევებული დადიოდა, ჩხუბის გუნებაზე დგებოდა. ხან მაიკოს დოინჯით დგომა აღიზიანებდა, ხან იმის გამო უბრაზდებოდა, რომ მრეცხავი დედაკაცივით კაბის ბოლოებს დაუდევრად მაღლა იწევდა და ერთი წამით თავის ლამაზ წვივებს აჩენდა. ხან იმას უსაყვედურებდა, რომ დახლზე დაყრდნობილი, მამაკაცებს გაუთავებლად ელაპარაკებოდა. ერთი სიტყვით, მამაკაცებთან საყვარლის კეკლუცობა ცუდ გუნებაზე აყენებდა. წინათბრგე მენის ქვილე არასდროს არ აგონდებოდა, ახლა წარამარა საყვედურით ახსენებდა მის სახელს მაიკოსთან ჩხუბის დროს. ალაფის ცოლს მისი ეჭვიანობა სიამოვნებას ჰგვრიდა, რადგან წამდვილი სიყვარულის გამოხატულება სწორედ ეს იყო, მაგრამ განგებ გაჯავრებული ეუბნებოდა:

— არ ვიცი, მაგას ცხვირში რათ მიბოლობ? მე რას მაბრალებ, შენ თავს დააბრალე. როცა შენ მაკასთან დარბოდი, მე წუმს ხომ არ შევინახავდი? მაშ, მარტო ბართლომეს დავაჯიჯვნინებდი თავსა?

გიგა არ უთმობდა, ახალ შარს სდებდა:

— ახალგაზრდა კაცები ჩემს დუქანში რათ მორბიან? ან შენ ყველას რათ უკრავ თავსა, პირში რათ უცინი? სამი შვილის დედა ხარ და კაცებთან მაგნაირად ლაციცი არ გიხდება.

მაიკოს გუნებაში ეცინებოდა, მაგრამ საყვარელს სერიოზულად ეუბნებოდა:

— რომ არ ვიცი, რა გინდა? ახალგაზრდა კაცები დავითხოვთ დუქნიდან? ბებრების და დედაბრების სიარულით რა დახლი დაგვიდგება?

გიგა მაინც არ ეშვებოდა, თავისას გაიძახოდა:

— კაცებს ცხვირი ცხვირზე რომ არ მიადო და ისე არ ელაპარაკო, დავიჯერო, არ იქნება!

მაიკო უფრო აღიზიანებდა, უფრო აბრაზებდა:

— რა ჩემი ბრალია, რომ ყველას ჩემზე რჩება თვალი? ყველა შენსავით ხომ არ დაბრმავდება. იქნებ კიდეც დაბრმავდე. მაშ, თადარიგი არ დავიჭირო!

გაიკოს ტრაბახი არ სჭირდებოდა, მართალს ამბობდა. რაც მაკა ეუეიის უბანში აღარ ცხოვრობდა, მაიკოს მაზანდა გაიზარდა. თუმცა მისი წარმატების მიზეზი მარტო ეს არ იყო: დაქალდა და დამშვენდა. ჩაცმა-დახურვას და მიხრა-მოხრას მეტი ყურადღება მიაქცია. იმასავით კოპნიად ქალადას გქავზე ვერავინ გადაიგდებდა, ვერც მასავით კეკლუცად გაივლიდა ქუჩაში. ელესამი და აბანოში ყველა მას უყურებდა. ქალები შეირით იხერხებოდნენ, გამაკაცები თვალს დიდხანს აყოლებდნენ. გიგაც მას სხვა ქალებისაგან არჩევდა და ასხვავებდა, მასთან შედარებით არაფრად მიაჩნდა ნიბლიასავით განაბული ნათია, სანდომიანი და კოხტა, მაგრამ მოლეული და პირყვითელი შუშანიე, ლამაზი და ლოყებხალიანი, მაგრამ პირხმელი მაკა თავისი ჩალურ-ჯებული თვალის უპეებით და გაცრეცილი საფეთქლებით. პირმწყაზარ, ქერათმიან თაფლისფერთვალება მაიკოს ნატიფ აღნაგობას რაღაცნაირი შუქი ეფინებოდა, ქათქათებდა და ბრნყინავდა. მისი ახლანდელი დედოფლური გარევნობა გიგას უნებლიერ აგონებდა ნინანდელ, ახლად შეღერებულ მაიკოს, რომელიც ხან ყვითელი და ხანაც წითელი ფოსტლებით მოზრბოდა ფირუზას დუქანში, ხელში ნაზუქები ეჭირა და გიგას გაფაციცებით (მხოლოდ ახლა ახსენდებოდა ეს მას) დაეძებდა. მას შემდეგ მაიკომ ტანი აიყარა, ხორცი ჩამოჰყარა, გახდა და ისეთნაირად ჩამოინაკვთა, რომ არც ერთ მამაკაცს მისთვის გულგრილად ყურება არ შეეძლო. გიგა მხოლოდ თავისი საყვარლის გარევნობით არ იყო მოხიბლული და აღტაცებული, მაიკოს ყველაფერში ამჩნევდა, რომ მას იგი გულწრფელად, გატაცებით, თავდავინყებით უყვარდა. მხოლოდ ამით ჰეგავდა მაიკო ნათიას, რომელიც გიგას ისევე ჰყავდა დავინყებული, როგორც ფანდურაანთ იოსების სახელი.

მაიკოს სიყვარული მას უფრო თამამს, ამაყსა და თავმომწონეს ხდიდა. ძალასა და მხნეობას მატებდა. მიუსაფრობისა და მარტოობის გრძნობას (უნინ განუშორებლად ადევნებული ყველგან თან რომ დასდევდა) ავინყებინებდა, სიცოცხლის ნყურვილს უღვივებდა და ცხოვრებაში გზის გაგნების რწმენას უმტკიცებდა. ამიტომ უყვარდა გიგა ზანდაროვს მაიკო ეურტანიე.

გიგასთან ჩხუბი მაიკოს დიდხანს არ შეეძლო. გამოდარებული და გამხიარულებული ელაციცებოდა, პირს უკოცნიდა და სიყვარულით ეუბნებოდა:

— იფ! იფ! რა ლამაზი რამა მყეხარ, გიგაჯან. ნეტავი შემეძლოს არც ქუჩაში გაგიშვა, არც ბაზარში, არც ქარვასლაში.

მაიკოს ჭახჭახა სიცილი (როცა თავისი ღრჯოლები ავინყდებოდა) გადამდები იყო. გიგაც უცინოდა და ეხუმრებოდა. მხოლოდ მაიკომ გაახსნევინა მას მუდამ და კოხილი შუბლი და ისეთნაირად გამოცვალა, რომ ფირუზას ყოფილ დახლიდარში ვერავინ ვერ აღმოაჩენდა თავჩალუნულ, დაღვრემილ, მორიდებულ და რაღაცით დამფრთხალ და შეშინებულ ყმანვილ კაცს.

გახურებულ ვაჭრობაში ჩატრეული ახალგაზრდა მედუქნე მაიკოს თავს ევლებოდა. მის დარიგებას ყურადღებით ისმენდა, მის სიტყვას ანგარიშს უწევდა. ულვაშებში ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა, როდესაც უაღრესად თავაზიანი

მაიკო მუშტარს მარჯვედ ატყუებდა და თან პარკს ისე ფაქტზად უკრავდა პირს, რომ მოხიბლულ მყიდველს მის მშვენიერ ხელებზე რჩებოდა თვალი. ამ დროს მას რატომლაც ფირუზა აგონდებოდა. მისი საზრიანობა აოცებდა და მხოლოდ ახლა ხვდებოდა, თუ რატომ უფრთხილდებოდა თავის ცოლს ბართლომე კურტანიძე.

## 10. ვაჭრის ქუდი

**ქალი ისევე ანარმოებს საყვარელი მამაკაცის დაკითხვას, როგორც  
მსაჯული დამნაშავისას.  
ონორე დე ბალზაკი, „კურტიზან ქალთა აღზევება და დაცემა“**

დუქნისათვის მაიკო გიგას იმდენ ფულს აძლევდა სესხად, რამდენიც მას სჭირდებოდა. სარგებელს არასოდეს არ იღებდა, არც მოგებაში იდებდა წილს, სამაგიეროდ, თავნის ერთ გროშსაც არ დაკლებდა. გიგამ ერთხელ დახლზე მას სესხის საკმაოდ მოზრდილი თანხა გადაუთვალა, ხურდა ფული კი დაუდევრად ხელით სასწორისკენ მისნია. მაიკომ ხურდა ფული მუჭით მოხვეტა, დახლიდან კალთაში ჩაიყარა, თითო-თითოდ ჩააგდო გახსნილ ქისაში, პირი თასმით წაუკრა და ქისა უბეში ჩაიგდო. მერე საყვარელს მიუბრუნდა:

— შენრა, ჩემი მოტყუება გინდა? მე შენ როდის გითხარი, მოტყუება ჩემზე ისნავლე-მეთქი! თუ შენოგაქვს, შენ სხვები მოატყუე, — ისეთნაირად მოილუშა, რომ გაოცებული გიგა ვერც მის საერთოდ მხიარული სახის გამომეტყველებას ცნობდა, ვერც მის თაფლისფერ თვალებს, რომელთაც ახლა ბრინჯაოსფერი გადაჰკრავდა. ფირუზასაც სწორედ ასეთი მოლუშული სახე ჰქონდა, როცა ატყუებდნენ ან ტყუედებოდა.

— მაიკოჯან, შენ რომ გიყურებდი, პირნავარდნილი ფირუზა მეგონე! — სიცილით უთხრა გიგამ, როცა მაიკოს თვალები ისევ მოესარკა და ტუჩებზე პირველმა ლიმილმა გადაურბინა.

— მე თუ, შენი თქმით, ცოტათი ბართლომე კურტანიძეს ვგევარ, — გამოაჯავრა გიგამ, — შენც ცოტათი ფირუზა ზანდაროვს ჰგეხარ. ის კი არ ვიცი, ეგ კაცი რათ გეჯვავრება?

მაიკომ ისევ წარბი შეიკრა, საყვარელს უხალისოდ დაუბრუნა:

— არც შემცდარხარ, რომ ეგ ჩემთვის შეგიტყვია. ოლონდ მავას თავისი მიზეზები აქვს. მაგ კაცის დანახვაზე ქორივითა ვტრიალებ, მეშინიან, არსაიდან მოგვიდგეს, არ გვიმტროს. არ გახსოვს შენი მაკას ქმარი? — დრო უხელთა თუ არა, ისევ უჩხვლიტა მაიკომ გიგას, — მედუქნე შაქრო რანაირად გააბა მახეში? ის მედუქნე არც პირველია და არც უკანასკნელი.

ამ განმარტების შემდეგ ახალგაზრდა მედუქნე დაფიქრებული დადოოდა. ერთხელ, როცა მაიკ ძალიან კარგ გუნებაზე იყო, გიგამ ფრთხილად ფულის სიყვარული უსაყვედურა. გიგა მაიკოსთვის გადაძლილი ნიგნი იყო, ამაზომ პასუხი არ დაუგვიანა.

— შენ არ გამოგიცდია, ღმერთმა ნურც გამოგაცდევინოს, რა მნარეა და-გადლებული პურის ჭამა. ობლობითა ვარ გაზრდილი და ეს მე კარგად ვიცი. ადამიანისულ იმას უნდა ცდილობდეს, სხვისი ხელის შემყურე არ იყოს, სხვას ხელი სამონაკალოდ არ გაუშვიროს, სხვას თვალებში არ უყუროს. საკუთარ კურს რომ გასტეხს, სამჯერ პირველარი გადაინერე, ღმერთს მადლი შესწირე. კოდა, როცა ფულის პატრონი ხარ, გულიც საგულესაა, ღონიერიცა ხარ, სხვებს ისე ათამაშებ, როგორც ჩვენი მასხარები სუფსარქისობას გაბმულ თოვზე თამაშობენ.

გიგა, როგორც ყოველთვის, ყურადღებით უსმენდა.

მაიკომ განაგრძო:

— მამა ადრე გარდამეცვალა. დედა რომ მომიკვდა, სულ პატარა ვიყავი. სამადლოდ ვიზრდებოდი. ბოლოს ნათესავებმა გადმოკარგულ ბართლომე კურტანიძეს ჰაიპარად მიმაჩერის. ობოლ-ოხერი თავიდან მომიშორეს. იმათი ფიქრითაც დაჩემი ფიქრითაც, ეს სიკეთე იყო. უპატრონოს და უმზითვოს სხვა ვინ მემირთავდა? რომ არ გავთხოვილიყავი, ეხლა ვარდისახარ ან თვალმშვენიერისა მერქმეოდა, მაგრამ, გიგავან, ზოგიერთივით თეძო ამოვარდნილი არ მექნებოდა, — ისევ უჩხვლიტა გიგას მაიკომ, მაგრამ არ გაიცინა, ისევ სევდიანად განაგრძო, — შენ გვონია დაყრუებულ და დამუნჯებულ ქმართან ცხოვრება ადვილი არის? ჩემისთანა ქალს ქმრად ბართლომე კურტანიძე უნდა მყოლოდა? ამიტომაც არის, რომ არც მამაჩემის და არც დედაჩემის ნათესავებს სახლში ფეხს არ ვადგმევინებ.

დაფიქრდა და მაშინვე დასძინა:

— ბართლომე კურტანიძე ოჯახში ცუდი კაცი არ არის, მაგრამ გარეთ ნამდვილი მგელივლეჯია. რა ქნას საწყალმა? გამოქცეული გლეხია, მგლების მეტი ცხოვრებაში სხვა არავინ უნახია. ცხოვრებაში მარტო ერთი კანონიაქვს: თუ თვითონ არ დაჩაგრა, სხვები დაჩაგრავენ.

გიგა მხოლოდ ახლა გებულობდა, რომ ბართლომე კურტანიძე იმერეთიდან გამოქცეული გლეხი იყო. მაიკოს ქმრის ნარსული ცხოვრება და თავგადასავალი ისეთივე იყო, როგორც საკუთარი ნარსული და თავგადასავალი.

თავისი ლაპარაკი გიგასთან მაიკომ, როგორც ყოველთვის იცოდა ხოლმე, მხიარული სიცილით დაასრულა:

— ფრთხილად იყავი, გიგავან, თავიდან ვაჭრის ქუდი არ გადმოგივარდეს!

ფირუზა დიდი ხნის შემდეგ ავიდა ზემო დუქანში. მაიკომ ის შორიდან დაინახა და შორიდანვე დიდის ამბით მოიკითხა:

— რისგან არის, ფირუზჯან! მობრძანდი, გიგა დუქანშია. თეთრი ლიზა როგორ არის?

დოლით მაიკოს თეთრ ლიზასთან ერთად მოესმინა წირვა ეკლესიაში. მაგრამ მისი მოკითხვა მაინც თავის მოვალეობად ჩატვალა. სიტყვის მასალის ფასი კარგად იცოდა.

ფირუზამ ყველაფერი გულდასმით დაათვალიერა. არაფერი თქვა. კმაყოფილება და სიამოვნება არ შეიმჩნია. მხოლოდ მისი ცუდლუტურად მომღომარე ფირუზი თვალები ამჟღავნებდნენ ხარბი კაცის სიხარულს. ცოტა ხანს იმასლა. ათა. ბაზრისა და ქარვასლების ამბებს ძუნნად მოჰყვა. მაიკოს თეთრი ლიზას დანაბარები გადასცა, სადილადაც დაპატიჟა. გიგას ამხანაგების მოკითხვა უთხრა. ნამოდგა, ორთავეს თავი დაუკრა, გატრისალდა და თავის დუქნისაკენ თავდალმართში დაეშვა.

გიგამ მხრები აიჩეჩა.

— მაიკოჯან, შენ არ შეამჩნიე, რომ ფირუზა ბოლო ხანებში ცოტას ლაპარაკობს? წინათ კი ლაპარაკს არავის აცლიდა.

მაიკომ გაიცინა. გიგას განუმარტა:

— ქორვაჭრის ხასიათი ხელს აღარ მისცემს. ქორვაჭრები ყაყანით და აურზაურით იკლებენ ბაზარს. დარბაისელი ვაჭრები დინჯები არიან, ყველაფერს ჭკუით ზომავენ. ცოტას ლაპარაკობენ და ბევრს ისმენენ. ბართლომე კურტანიძეც ამიტომ დაყრუცდა და დამუნჯდა. ახალგაზრდობაში კი მაგის იმერულით ყველას გული ჰქონია განყალებული. მართლა, გიგაჯან, შენ იცი, რომ წინათ ბართლომე კურტანიძე ქარქვეტით ვაჭრობდა? კინტოსავით თურმე თაბახი ედგა თავზე.

გიგას თეთრი ლიზას ნამბობი მოაგონდა.

— ფირუზასაც მაგით დაუწყის, ეხლა კი ყველგან თავს უკრავენ.

— ვიცი, ვიცი, მეც გამიგონია. საწყალი დედაჩემის ნათქვამია. ორთავენ შორს წავიდნენ, ფირუზაცა და ბართლომეც. ვაჭრის ჭუდის ტარებაც სწორედ ეს არის! მაგრამ ჯერ სადა ხარ! ვინ იცის, კიდევ რა საქმეებს დაატრიალებენ. ფეხებიდან მოცვეთილი ფირუზა კიდევ ბევრ ვინმეს გააბამს ბადეში. საწყალი შექრო, შენი მაკას ქმარი, — ერთხელ კიდევ უჩხვლიტა საყვარელს მაიკომ,

— ბუზი იყო, ეხლა ეგ ხარაბუზებზე ინადირებს. ქარვასლებში ტყუილად კი არ დაეთრევა, ტყუილად კი არ უტრიალებს მდიდარ სოვდაგრებს. ეჰ, რაც მართალია, მართალია! შენმა ციდისოდენა საცოლემ კარგი საქმე ჩაგიშალათ.

ყურადღებად გადაქცეული გიგა სულგანაბული უსმენდა.

თვალმზიანი მაიკო თავისი ორი გრძელი თითით ზარის საყურეს ეთამაშებოდა და პირზე სიცილი ეფინებოდა.

# ქარი მერვე

## 1. ოჩეუბი

**დაგინერეთ ამხანაგობისა და პირობის წიგნი. ხათრიჯამი  
ბრძანდებოდეთ.  
თბილისური დოკუმენტებიდან**

ქარვასლებში ფირუზას დღენიადაც გიგას ქება ესმოდა. ვაჭრობის საზრიანობას და მარიფიათს უქებდნენ. ფირუზა ხმას არ იღებდა. თავისთვის გუნებაში ეღმიებოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ ამ ახალგაზრდა მედუქნის უკან მაიერ კურტანიძე იდგა. თვითონ აღარსად აქებდა თავის ყოფილ დახლიდარს, სხვების ქებას უფრო მეტ ფასს დებდა.

საქმე ისეთნაირად შეტრიალდა, რომ თავის იოყვალებს ფირუზა ბაზრის დახლზე არაყს აღარ უდგამდა. სამაგიეროდ, ქარვასლებში, ვინც საამისოდ გამოსადეგი იყო, იმისთვის არც ახალი ბალდადი და არც ბუხრის ქუდი არ ენანებოდა.

მელქო ფერშანგოვი გიგა ზანდაროვს ისე არ დაინახავდა, რომ მძიმედ არ ამოეოხრა. თვალში მოსდიოდა თვალტანადი, მხარბეჭიანი, ლაზათიანი, შნოიანად ჩაცმული და ვაჭრობაში უკეე კარგად განაფული ყოფილი სასიძო. მაგრამ რაღას იზამდა? თავისი გზით დაფიქრებული მიდიოდა და უკვირდა, რომ სულ აღარ აგონდებოდა სახლიდან გაქცეული ქალი.

იმ დღეს გადაულებლად წვიმდა, წვიმით თავმობეზრებული სოვდაგრები ქარვასლის სართულებზე დაბორიალობდნენ და თავშესაქცევად ერთმანეთში მასლაათობდნენ.

კრო-ერთი მაღაზიის ნინ მელქო ფერშანგოვმა ფირუზა ზანდაროვი გააჩერა. ჯერ თეთრი ლიზა მოიკითხა, მერე იმ თვისა და ამ თვისა თქვა, წვიმიან ამინდზეც რაღაც ნაიდულუნა და ბოლოს სათქმელი უთხრა:

— ვბერდები, ფირუზჯან. ავადმყოფობამაც ხელიდამრია. სადღა შემიძლია მაშრიყის ქალაქებში სიარული. ახალგაზრდა, გამოცდილი მექარავნე მჭირდება. თქვენ გიგაზე გამიგონია, რომ ნინათ სოვდაგრის ქარავნებს დასდევდა თურმე, მაშრიყის ქალაქები და ქვეყნები მოუვლია. იმაზე კარგს მე სად ვიშოვნი? მოელაპარაკე, თუ ჭკუაში დაუჯდება, ძველ ხელობას მოჰკიდოს ხელი.

ფირუზა ყურადღებით უსმენდა სოვდაგარს. მის ნათქვამში ერთ სიტყვასაც არ კარგავდა, თან თვალები უბრნყინავდა.

სოვდაგარი პასუხს უცდიდა. ფირუზამ უარის ნიშნად თავი გაიქნია. სოვდაგარს გაუკვირდა.

— მე გიგა ზანდაროვისთვის სიკეთე მინდა, შენ ფინთი რამე არ იფიქრო.

ფირუზამ ლაქუცით შეანუვეტინა სიტყვა.

— ეგრა საკადრებელია, მელქოჯან. შენი გულკეთილობის ამბავი მთელშა ქალაქმა იცის, მაგრამ! მაგარი სწორედ ის არის, რომ გრიგოლ ზანდაროვმა (ფირუზამ პირველად უნდა მედუქნეს სოვდაგრის შესაფერისი სახელი) ქარავნის უფროსის შეგირდობა დიდი ხანია დაამთავრა. ახალგაზრდაა, მაგრამ შეძლებული მედუქნეა.

— დიდ ჯამაგირს დავუნიშნავ.

— შემოსავალი კარგი გვაქვს, შენ იმდენი რა უნდა მისცე?!

ფერშანგოვი მიხვდა, რომ ფირუზა ვაჭრობას იწყებდა.

— მაშ თქვენი პირობა რა არის?

— ოჩხუბობა, — ფრთხილად ჩავდო სიტყვა საუბარში ფირუზამ და თან დაკავირვებით შეხედა სოვდაგარს, რათა მისი სახის მოძრაობა არ გამოჰარებულა.

სოვდაგარს გაკვირვების ნატამალიც არ დაეტყო სახეზე. ლოყაზე ხელი მოისვა, ცალი ულვაშის ბოლო ორი თითით დაიჭირა, ჩაფიქრდა და თანამოსაუბრეს დაამტერდა. გაკვირვება დიდი ხნის შემდეგ გამოესახა სახეზე, ნაწყენმა მედუქნეს ქედმაღლურად გადმოუგო სიტყვა:

— ვაჲ, მდიდარი სოვდაგრის ოჩხუბად მედუქნები? სად გაგონილა!

ფირუზამ დაუყოვნებლივ მიაგება პასუხი:

— განა უნინ შენ თვითონ მედუქნე არ იყავი, მელქოჯან!

— ვიყავი, როგორ არ ვიყავი, უარს ვინ ამბობს. მაგრამ იცი, რამდენი ფული დავაგროვე, სანამ აქლემის ზურგზე დავჯდებოდი? ეგრე მაღლა ასვლა ჯერ თქვენთვის ადრეა. მართალია, მონათლული სომები ხარ, მაგრამ ნინათ ხომ ქართველი იყავი. ქართველი და სოვდაგარი? ფიც, მე არსად გამიგონია.

ფირუზამ მოაგონა.

— განა ჯულაბაანთ და ფორაქაანთ დავთარი არ ეჭირათ, არ სოვდაგრობდნენ? ან ზუბალაშვილი და სარაჯიშვილი რათ გავინყდება, მელქოჯან, განა ისინი მდიდარი ვაჭრები არ არიან? განა ვაჭრობით არ გამდიდრდნენ სააკაშვილი, ხარაზიშვილი, ქართველიშვილი, ნიკოლაძე? ან ჩვენი იმერელი ბართლომე კურტანიძე ავიღოთ. მდიდარი ალაფია, დაფასებული კაცია. ხელმნიფისაგან მედალიც მოუვიდა. ჯარისკაცებს პურს ის აჭმევს, იმათ ცხენებსაც იმის ქერს აჭმევენ, ყაზარმებსაც ის ინახავს. იმისთანათ ქალაქში ფულს ეხლა არავინ შოულობს. კიდევ გითხრა? ქალაქში და ქარვასლაში ყველას ვიცნობ.

იმერლის ხსენებაზე მელქო ფერშანგოვმა ერთი ნამით შუბლი შექმუხნა. მერე ისევ ფირუზას მიამტერდა. მედუქნე რაღაცის თქმას კიდევ აპირებდა. სოვდაგარსაც სწორედ ეს აინტერესებდა.

ფირუზამ ყურთმაჯა გაისწორა. ახლა მან აიღო საუბრის სადავე ხელში:

— დროება იცვლება, მელქოჯან, ეხლა სულ სხვა დრო არის. გიგას მაშროყმი ვერ გავგზავნით. თავს რათ აქნევ? მათემევინე. ჯერ ხომ არაფერი მითქვია. ჰო, იმას ვამბობდი. უბრალო ანგარიშია. ქალაქში ყველაზე მეტად ეხლა მაღრიბული საქონელი საღდება. ოსეფა ყორლანაშვილი, შენც კარგად იცი და

ჩეც კარგად მახსოვეს, აყროლებული პირით დადიოდა, მაგრამ ის სულძალლი მეფის ცოლს ჰყვარობდა. ეხლა კი ყველანი პირებს იხეხავენ, პენენიკობენ, ფრანცუზობენ. ვერ უყურებ, ქალაქში რამდენი ჩინოვნიკია, რამდენი ნასწავლი ხალხია, რამდენი ბობოლა, სუდია და პოლიციელი? ისინი და იმათი ცოლ-მვილი, ჩემსავით და შენსავით ან ჩვენი ცოლებივით და ქალებივით ხომ არჩაცვაშენ? იმათ მაღრიბული თავსაცმელი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი სჭრდებათ, მაღრიბული ავეჯი და სამკაულები. რაღა შორს მივდივართ, განაშენ თვითონ სახლში მაღრიბული სარკეები და სკამები არ ვიდგას? ან ეს ჩემი დღი ვერცხლის საათი მაღრიბული არ არის? თუ გაგზავნაა, გიგა მაღრიბის ჟაფრებში უნდა გავგზავნოთ. მაშინ ნახე, მეცადა ჩემს ნათესავსაც რა მოგება გვექნება. ეხლაც იტყვი, რომ ჩვენი მაღლა ასვლა ადრეა?

ყურადღებად გადაქცეული სოვდაგარი ფირუზას ნიაზით უსმენდა, მაგრამ თვითონ არაფერი უთხრა. ფანჯრებისკენ გაიხედა.

— კაცო, ეს რანაირად წვიმს. ლამის ქარვასლის კედლები ჩამორეცხოს! კარგად იყავი, ფირუზჯან.

— მშვიდობით ბრძანდებოდე, მელქოზან.

ფირუზას ხელში შერჩა გულისჯიბის ვერცხლის დიდი საათი. მიმავალ ფერმანგოვს ცოტა დაბნეული უყურებდა. ვერ მიმხვდარიყო, თანამოსაუბრე სოვდაგარს რა მოელანდა, რაზე შენყვიტა მასთან ლაპარაკი. გალებულ საათს დახედა, ხუფი ბრაზიანი ტკაცუნით დახურა და საათი ისევ გულისჯიბეში ჩაიდა. ქარვასლის კიბეებს ხელის თითების გაკვირვებული გამლა-გამოშლით დაჰყვა. უცებ შესა კიბეზე ისე შედგა, თითქოს რაღაც მოაგონდაო. ხელი შე-ბლზე შემოირტყა, ფირუზი თვალები გაუბრნებინდა, თავის თავს სხაპასხუპით მიაყარა:

— დაბრუნდება, უეჭველად დაბრუნდება. ამას რათ უნდა ლაპარაკი. მექარავნე განგებ მოიგონა. ნამდვილად ოჩეუბობა უნდა. აი, შე ბემურვათო, შე ღვთისპირიდან გადავარდნილო, პატიოსანი სოვდაგრების ამომგდებო, სიძუნწით და სიხარბით გამდიდრებულო. არა, მეც როგორ გავშტერდი! დაბერდი, ფირუზჯან? სოვდაგრული ლაპარაკი დაგავინყდა? არა, მაინც რანაირად ამხედ-დამხედა, რანაირად დამიტატანა, რანაირად შორს დაიჭირა! რას ვიფუიქრებდი! — გახარებული ფირუზა ქარვასლის კიბეზე თვალით ეძებდა ფერმანგოვს და ვერ პოულობდა, — შორიდან გინდა მომიარო? ვერ მოგართვი! გეტყობა, ფირუზა ზანდაროვს ჯერ კარგად არ იცნობ.

ქარვასლის სპარსულ ალაყაფთან, გადმოხურულ ფოლორცზე, გამლილი ქოლგის ქვეშ სოვდაგარი მელქო ფერმანგოვი წვიმის გადაღებას უცდიდა და თავისთვის ფიქრობდა:

— არა, რა კარგად, რა დალავებით, რა ჭევიანურად ლაპარაკობდა. ოჩეუბად სწორედ რომ სანატრელი კაცია. მაგრამ მე თვითონ რა ლმერთი გამინყრა? რატომ მე თვითონ ვერ მივხვდი? ეხლა სიმდიდრე, მართლაც, მაღრიბიდან მოდის. მაღრიბული საქონელი მატულობს, მაშრიყული კლებულობს. ამას რა

მიხვედრა უნდა? გამოშტერდი, მელქოჯან, ნამდვილად გამოშტერდი. ქალის სახლიდან გაქცევამ ჭერა დაგიფანტა, გზა-კვალი აგირია, გულში კი ამბობ, აღარ ვდარდობო. აი, თუ არა დარდობ! განთქმულ სოვდაგარს მედუქნებმა გაჯობეს. ნინათ კი შენ ყოველთვის კარგად იცოდი, როდის საიდან რა ქარი უბერავდა. ხან აშტრახანს უყურებდი, ხან ისფაპანს, ხან სტამბოლს. ეხლა ვენეტიკისკენაც გაიხედე. რა მოხდება? შენს ნინაპრებს იქით ნინათაც ხომ უვლიათ! რა იქნება, შენც გაბედო? ფირუზა მართალს ამბობს, დროებაც ეხლა სულ სხვა არის. თეირანიც და სტამბოლიც მოსკოვსა და ანგლიას თავს უკრავენ, ძალა აღარა აქვთ, ფრანციაც ხელებს იქნევს, მაშროყში მეც შუაში ჩამსვითო, თორემ საქონელი დამილპებაო. განა სოვდაგრები, როცა სადილად სხედან, სულ ამაზე არ ლაპარაეობენ? განა ეს გუშინდელი ამბავია? ამ ქალაქში ჩემს თვალნინ რამდენმა ფრანცუზმა გაიარა, რამდენი საქონელი გაატარეს და წაილეს სპარსეთისკენ. შენ სად იყავი, მელქოჯან, გეძინა თურა იყო? მარტო გილანურ მარგალიტზე და ქირმანშალზე რათ გეჭირა თვალი? რატომ მაშროყს არ ეშვებოდი? არა, ფირუზა ზანდაროვი ნამდვილად ჭკვიანი კაცია. ნინათაც ვამბობდი, ახლაც ვამბობ. ეხლა ამ საქმეს დიდი ჩიჩინი აღარ უნდა. ხელი ხელზე უნდა დაცერათ.

წვიმის გადაღება დაფიქრებულმა სოვდაგარმა ვერ შეამჩნია, ისევ გაძლილი ქოლგის ქვეშ იდგა ქარვასლის სპარსული ალაყაფის გადმოხურულ ფოლორცზე.

შინ სადილზეც, მათლაფაში, გაშტერებული იყურებოდა, კოვზი ხელში უჩერდებოდა და ზანდაროვებზე ფიქრობდა. მთელი საღამო თავის დიდ ფრანგულ სავარძელში გაუნძრევლად იჯდა და ფირუზას ნათქვამს სწონიდა, ანგარიშობდა.

ლამე ფიქრებში შემოათენდა.

გამტკნარებულ ანუშას ასე ეგონა, მისი ჩაფიქრებული ქმარი სახლიდან გაქცეულ ქალს იგონებდა და დარდობდა.

## 2. გარიბება

**მაშინ ხელი-ხელს დაჟკრეს და გაშორდნენ.**  
**ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“**

მეორე დღეს მელქო ფერშანგოვი და ფირუზა ზანდაროვი ქარვასლაში ერთმანეთის გვერდით ისხდნენ, სხვა სოვდაგრების ლაპარაკს ყურს უგდებდნენ, თვითონ ხმას არ იღებდნენ, ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ ორივე ერთსა და იმავე საქმეზე ფიქრობდა.

შუადღისას ერთმანეთს თავი დაუკრეს.

— კარგად იყავი, ფირუზჯან.

— გშეიღობით ბრძანდებოდე, მელქოზან.

ერთი კვირის შემდეგ მელქო ფერშეანგოვი ისევ შეხვდა ფირუზა ზანდართული ცოტა გამხდარი ჩანდა. ფიქრით და ანგარიშით თავი პქონდა დამძიმებული, არქეში სახე ეიდევ უფრო მეტად დალვრემილი.

ფირუზა განზე გაიყვანა და უთხრა:

— მოვილაპარა კოთ, ფირუზან.

ფირუზამ გამარჯვება არ შეიმჩნია. სერიოზული სახე მიიღო. თვითონაც მოკლედ მოსჭრა:

— ამ ქარვასლის თაღებს ქვეშ რა უნდა გადავწყვიტოთ, მელქოზან. ლაპარა კით დავილალეთ. ეხლა საბუთებით უნდა ვილაპარა კოთ. საღამოთი ჩვენსას გობრძანდი. ჩემი ანგარიშის ნუსხები და დავთრები ვნახოთ. იქ გავიგოთ, ოჩუბად გამოვდგები თუ არა. გიგაც შინ იქნება.

ფერშანგოვი უყოყმანოდ დაეთანხმა, წინადადება მოეწონა.

საღამოხანზე ზანდაროვებს ეწვია. თეთრი ლიზა პატივისცემით მიესალმა. ძვირ სტუმარს მიელაქუცა, ფიანდაზად გაეშალა. ფერშანგოვს ესიამოვნა, ყურთმაჯა თავმომწონედ გაისწორა.

გიგა ზანდაროვი ისევ იმ კუთხეში იჯდა, იმ დღეს თავჩაქინდრული ხელში ბეჭედს რომ ატრიალებდა და პირისახე ჩამოსტიროდა.

სრულიად გამოცვლილიყო. უფრო გალამაზებული და დამშვენებული გამოიყურებოდა. სადღა იყო მისი დაღონებული, ჩაფიქრებული და უძილობით გამხდარი სახე. მელქოს დარდით გათავებული თავის ცოლი გაახსენდა. ამოიხხორა. ზანდაროვებმა შეამჩნიეს, მაგრამ არაფერი თქვეს. ახლა არც ფერშანგოვს სჭირდებოდა ნუგეში.

მაგიდაზე დალაგებულ თეფშებზე ხმელი ხილი იყო დაყრილი. დოქით შარბათი იდგა. ბოთლებით — წითელი ღვინო. მწვანილებს შორის პატარა პურები ეყარა. იქვე ელაგა ჯამები წვნიანით, ნიორნყალში მოხარშული დედალი, შემწვარი ცხვრის ხორცი, ფიჩული და ხრამული.

მამაკაცები მაგიდას შემოუსხდნენ.

თეთრი ლიზა ფეხა კრეფით ოთახიდან გავიდა. ვაჭრები საქმიანი ლაპარა-კისა და ანგარიშის დროს ქალებს არ ისწრებდნენ.

ღვინო მოსინჯეს. ერთმანეთი დალოცეს, საჭმელი განინკნეს და ოჩუბობის საქმეზე ლაპარა კი დაიწყეს.

ფერშანგოვმა ქალალდი და სანერ-კალამი მოითხოვა. ფირუზას და გიგას ყურებზე სათვალიდან გადმოხედა:

— ყველაფერი ქალალდზე უნდა ვქნათ.

— ყურბანოლლუმ, მელქოზან! ყველაფერი ქალალდზე ჩამოვნეროთ.

— ნალდი ფული რამდენი გექნებათ? — იკითხა ფერშანგოვმა.

ფირუზამ პასუხი არ დაუგვიანა:

— შენზე ლარიბი ვარ, მაგრამ სოვდავარ სარდაროვზე მდიდარი.

ფირუზამ გიგას გადახედა, ანგარიშის ნუსხები და დავთრები მოატანინა.

დიდხანს ილაპარაკეს. გაცხარდნენ და დაწყნარდნენ. გაფიცხდნენ და დამშვიდდნენ. შუბლის კოპები შეკრეს და ისევ გახსნეს. ბევრი ქათინაური თქვეს და ლაპარაკეში მნარეც გაურიეს. იბუზლუნეს და ილაქუცეს. პირობის ქალალდი მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ დაწერეს. მაგრამ ისევ ალა პარაკდნენ და აყაყანდნენ. ბოლოს, როგორც იყო, პირჯვარი გადაიწერეს, ქალალდს თავისანთი სახელი და გვარი მოაწერეს და მოწმეების ხელის ჩასარ თველად ადგილები დატოვეს. მეორე დღეს ეკლესიაში მღვდელს ოჩხუბობის პირობის და „ამხანავობის წიგნის“ გარიგებას წააკითხებდნენ და ხელის ჩარ თვას სთხოვდნენ, შემდეგ ქარვასლაში განთქმულ სოფაგრებს დაუკლიდნენ და ისინიც ხელს ჩაურთავდნენ.

ამით დასრულდებოდა ფერშანგოვის და ზანდაროვების გარიგება.

ვახშამს ემაყოფილი მოუბრუნდნენ. ბლომად დალიეს. ყბები ალარ გააჩირეს. სულმოუთქმელად გამოძლნენ. ხმელ ხილს ებილი გაჟერეს და ისევ მასლაათს შეუდგნენ. იხუმრეს და ბევრი იცინეს.

კაცებს არც თეთრი ლიზა ჩამორჩია. ლაზათიანად გამოიძენდა და გამოიბრუუა. ენად გაიკრიფა. მოსნრებულად ხუმრობდა და კაცებს აცინებდა. დადინჯებული ფირუზა თავშეეავებულად ხითხითებდა. გიგა გულიანად იცინოდა. ფერშანგოვს სიცილი არ გამოსდიოდა და ცხენივით ხეიხვინებდა.

ყველანი ერთად თეთრ ლიზას აქეზებდნენ და მის ყოველ პილპილიან სიტყვას „აჯან! აჯან“ აყოლებდნენ.

ლვინომოკიდებულ დედაკაცს ერთი-ორჯერ ბილნი სიტყვაც წამოსცდა და საერთო ხარხარი გამოიწვია.

მელქო პირდალებული შესცეკეროდა.

— დედამთილობის მეშინიან, — ამბობდა წითელი ლვინით ნიკაპ-დანინნ კლული თეთრი ლიზა, — აი, ნახეთ, თუ რძალმა მეც ვირზე არ შემსვას!

— მოგიხდება, თერძის ქალო! — მიაძახა გაბადრულმა ფირუზამ.

თეთრმა ლიზამ ფერშანგოვს გაცვეთილი კბილები გაუკრიჭა.

— არ იცი, ავლაბარში რა მოხდა, მელქოჯან?

— არ ვიცი, ლიზაჯან! — ალერსიანადვე დაუბრუნა მელქომ.

— ერთ რძალს თურმე შიგ შუა ოთახში დიდი მუგუზალი დაუდვია. ქმარს გაჟევირვებია, უკითხნია: „ეგ რა არისო? ეგ რათ გინდაო?“ „არ მოგნონს, მიტოჯან?“ — უთქვია იმის ცოლს. „დედაკაცო, ეგ მუგუზალი შუა ოთახში ვის მოენონებაო?“ „ჰოდა, მაშინვე უპასუხნია ახლანდელ რძალს, მეც დედაშენი ეგრეარ მომწონსო, ეგეც მუგუზალივით არის ჩვენს სახლშიო, როცა დედაშენს გააგდებ, მეც მუგუზალს გადავაგდებო“. მაშ! ეგრე ეი ყოფილა!

— შენ მოკვდი, ლიზაჯან, აჲა, შენ მოკვდი! — როხოხებდა ფერშანგოვი.

თეთრმა ლიზამ უარესები მიაყოლა, ყველანი სიცილით დახოცა. ბოლოს მთქნარება აუტყდა. პირჯვრის გადაწერა გადაავინყდა, თავის საყვარელ ალჯანაბადისაუენ წაუვიდა ხელი, პირი გაივსო და თვალები ჩაბლიტა.

ოჩხუბები სუფრიდან ნაშუალამევს წამოიშალნენ.

### 3. დადარღიანებული მაიკო

ამ კითხვას მარკიზა ისე უტრიკალებდა გარშემო, როგორც ბეჭუინი  
მდიდარ ქარავანს უტრიკალებს.  
ონირე დე ბალზაკი, „პრინცესა კადინიანის საიდუმლოებანი“

ფირუზა ზანდაროვმა კარგადიდ მანძილზე გააცილა გაბლენძილი, კმაყოფილებით და ღვინით ცოტათი ატორტმანებული, მაგრამ მაინც მედიდურად ნინ მიმავალი ფერშანგოვი. ერთი ნაბიჯით ჩამორჩენილი ფირუზა გვერდში მონიერით მისდევდა, ერთგან ხელიც მიაშველა, რათა ნაფორხილებული სოვებარი ტლაპოში არ დაცემულიყო.

გზადმიმავალი ვაჭრობასა და სოვდაგრობაზე ლაპარაკობდნენ.

ფირუზამ თავისი ოჩხუბი სახლამდე მშვიდობიანად მიაცილა და უკან გაგობრუნდა. სახლის კარი ლილინით და ხელების ფშვნეტით შეალო.

— ყეყეჩი ყოფილა, — ამბობდა ფირუზა ფერშანგოვზე, — ყეყეჩია, მაშრა არის? სოვდაგარს ოჩხუბად მედუქნე რათ უნდა? საქმეს თავი და ბოლო არ უნდა გაუსინჯო?

გიგაგაკვირვებით მიაჩირდა. ფირუზამ შუა ოთახში ბუქნასავით შემოუარა და გახარებულმა დაიძახა:

— ქალის გაქცევა დასტყობია, ჩვენც ეს გვინდა! თქვენ რა, მდიდარი სოვდაგრის ქონებას ეხუმრებით?!

ამ დროს კედლის საათოდან გუგული გამოხტა და მხიარულად შემოსძახა თავისი „კუ... კუ...“

— ხედავთ, გუგულმაც დაგვიმოწმა. — აღტაცებით ნამოიძახა ფირუზამ და ტაში შემოჰკრა.

დილით თეთრი ლიზა წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში გაიქცა სანთლის დასანთვებად.

გიგამ სოვდაგარ ფერშანგოვთან ოჩხუბობის ამბავი მაიკო კურტანიძეს შეატყობინა. მაიკომ ჯერ მქირდავად გაილიმა, მერე მოიღრუბლა, დალონდა. მისთვის მიცემული პირობა გაახსენდა, თავისთვის ნალვლიანად ჩაილაპარაკა:

— ბერყენა სოვდაგარი ხდება! — ამ უსიამოვნო ფიქრს შიშნარევი წინათვრდნობა დაადევნა, — ან ფირუზა ზანდაროვს დაემგვანება, ან ბართლომე კურტანიძეს. უიმე, უნინ დღეც გამქრობია!

თითზე ებენა გვიანდა იყო. ეს გულმართალი და მიამიტი ყმანვილი თვითონაც ჟყავდა დაყენებული ფირუზა ზანდაროვის და ბართლომე კურტანიძის გზაზე. თუმცა მისთვის თავზე ვაჭრის ქუდი რომარ გაემაგრებინა (ესეც კარგად იცოდა გარევნულად შატაბუტა მაიკომ), მას ქალაქში არ ედგომებოდა, დაუკარგებოდა და დაეკარგებოდა.

თავისი აბრიალებული სიყვარულის ასეთი დასასრულის არც ატანის, არც გაძლების თავი არა ჰქონდა. ახლა სხვა მხრიდან უვლიდა საფრთხე მის თავდავინყებულ სიყვარულს.

ცხოვრების ჭირ-ვარაში გამოვლილი მაიკო კურტანიძე სულ მუდამ თა-დარიგს იჭერდა და ახლაც თადარიგის დაჭერას შეუდგა.

#### 4. მტკვრის გაღმა-გამოღმა

რამდენჯერ ეს მტკვარი ამ ადგილას, სადაც ეხლა ჩვენ ვლხინობთ, იყო  
მონამე იმათი სიყვარულისა.  
დანიელ ჭონქაძე, „სურამის ციხე“

ცოტა ხნის შემდეგ ფირუზამ ზემო დუქანი გაყიდა, რადგან მედუქნეობა აღარ ჭირდებოდა. მტკვრის გაღმა გასვლას აპირებდა. დროებით ქვემო დუქანი დაიტოვა. ისიც იმიტომ, რომ თეთრი ლიზა უსაქმოდ არ ყოფილიყო. სიმდიდრისა და შემოსავლის მიუხედავად, ფირუზას კანონად ჰქონდა დადე-ბული: მუქთად პური არავისთვის ეჭმია.

ახლა ფირუზა და გიგა ზანდაროვები მტკვრის გაღმა ქარვასლაში საქმობდ-ნენ, თეთრი ლიზა მტკვრის გამოლმა, ძველ დუქანში ვაჭრობდა.

მაიკო დანალვლიანდა. თავის საყვარელს იშვიათად ხვდებოდა.

გიგა მთელ დღეს ქარვასლაში ატარებდა. საღამოობით კი ბართლომე კურტანიძე ყოველთვის შინ იჯდა. პაემანი შეუძლებელი იყო.

ათასში ერთხელ, ისიც კვირაძალზე, გიგა მაინც ახერხებდა კურტანიძეებ-თან ასვლას.

ლამპით განათებულ დიდ მაგიდასთან მხოლოდ ორნი ისხდნენ და ლაპა-რაკობდნენ. ბართლომე ლაპარაკში არ ერეოდა. დაძინებამდე ბავშვებისა-თვის სათამაშოებს აკეთებდა. მაიკოს ბიჭებს — ალმასხანას, სპირიდონას და ალფეზას ძილი ეკიდებოდათ, თავებჩამოკანტურებულნი საცოდავად მიმსხდარიყვნენ კუთხეში და თვლემდნენ.

დედას შვილები არ აგონდებოდა.

ჩაის დალევის შემდეგ გიგას მაიკო ფირუზას დუქანამდის აცილებდა. გზად ბნელი ხეების ქვეშ ჩერდებოდნენ, სახლების იაქთალებს ეფარებოდნენ, სადაც მოახელთებდნენ, იქ კოცნაობდნენ. მაიკოს კარიც ავინყდებოდა და სახლიც. ზოგჯერ სიცილით ამბობდა:

— ქა, პატარა გოგოდ და ბიჭად გადავიქეცით. ასეთი აცუნდრუკება აღარც შენ გიხდება, აღარც მე. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ უკვე ვბერდებით.

„დაბერებულ“ მაიკოს ოცდასამი წელი უსრულდებოდა, ხოლო გიგას — ოცდაოთხი წელი.

# კარი მეცხრე

## 1. ფილიპი მამრაძის ოჯახი

გაჭირვება გვიახლოვდება.  
ონორე დე ბალზაკი, „ფაუინო კანე“

სოვდაგრობაში გიგა ზანდაროვმა ისეთი ფხა გამოიჩინა და ქარვასლაში ისეთნაირად დატრიკალდა, რომ მის შემყურე ფერშანგოვს გული ბოლმით ევ-სებოდა. იმ საათს წყევლიდა, რა საათსაც მან იმერელი ფილიპე მამრაძე თავის მაღაზიაში ნოქრად აიყვანა. „ის ცულლუტი იმერელი რომ არ გამოჩენილიყო, წინ რა დაუდგებოდა, ჩემი ქალი გრიგოლ ზანდაროვის ცოლი გახდებოდა, ჟუმანიკიც ბედნიერი იქნებოდა, ჩემი ცოლიც და მეც ბედნიერი ვიქნებოდი“, — ფიქრობდა გულგაბოროტებული სოვდაგარი.

ფილიპეს ფერშანგოვი ყველგან სდევნიდა, არ ახარებდა. სადაც ფილიპემ სავაჭრო ფარდული გახსნა, იქ ფერშანგოვმა გამართული დუქანი წამოჭიმა. საქონელს ჩალის ფასად ჰყიდდა და უარყოფილ სიძეს ადვილად აკოტრებდა.

ფილიპემ თავზე თაბახი შეიდგა, ქარქვეტით ვაჭრობა დაინყო. ხალისიანი და მხიარული, იმედს არ კარგავდა. ფულის მოგებისა სჯეროდა, გამდიდრებაზე ოცნებობდა.

სოვდაგარ ფერშანგოვის სახლს წინ გაუვლიდა ხოლმე და გაბმული ხმით ყვიროდა:

ქარქვეტა, ქარქვეტა, თქვენი გვარის განყვეტა.

სახლს გასცდებოდა თუ არა, ახლა კინტოსავით დაიძახებდა:

ქარქვეტა, ქარქვეტა,

აბა, კარგი ქარქვეტა.

ვინც სოვდაგრისა და იმის ნოქრის ამბავი იცოდა, ერთობოდა და იცინოდა. გაკინტოებული იმერლის მოსწრებული სიტყვა მოსწონდათ. ჭკვიანი, გამოცდილი და წინდახედული სომეხი ვაჭრები თავის ქნევით აღნიშნავდნენ:

— ეგ სიმღერა ცუდი ადამიანების გამოგონილია. ქართველები და სომხები ყოველთვის ტკბილად ვცხოვრობდით. ეხლა კი ნელ-ნელა წარბს ვუნევთ ერთმანეთს. მაშ როგორ გინდათ, ქალაქში გამოქცეულმა ქართველებმა ან ვაჭრობას უნდა მოჰკიდონ ხელი, ან ხელობას, წამეტნავად იმერლებმა. მეტოქეობა საქმეს აგვირევს.

გაბრაზებულმა ფერშანგოვმა ფილიპეს დაქირავებული ავარები დაადევნა, ავარებმა გულდანდობილი იმერელი სახლის იაქთალთან მიიმწყვდის, მაგრად მიბეგეს და დაემუქრნენ:

— თუ მაგ სიმღერას არ მოიძლი, იცოდე, თაბახს თავზე დაგამტვრევთ.

თაბახი თავდალმართში დაუგორეს, ქარქვეტა ფეხებით დაუსარისეს. მასში რად აიგდეს, დასცინეს, დიდხანს ატრიალეს, აბუქნავეს, ბოლოს პანლური ამოჟურეს, ნინ გაიგდეს და იქამდე სდიეს, სანამ ცემით დალურჯებული ფილისე მოისაზრებდა და უკანმოუხედავად მოჟურცხლავდა.

ფილისემ ვაჭრობაში წელი ვეღარ აითრია. გული გაუტყდა. ყურები ჩამო ჰყარს. ჯავრისაგან ლოთობა დაინუო. ცოლს აყვედრიდა, ზოგჯერ სცემდა კიდეც. მის მშობლებს უნმანურად ლანძღავდა და კინტოსავით იგინებოდა. გალოთებული და გაავებული ფილისე სოფდაგარ ფერშანგოვის ჯავრს უდანაშაულო ცოლ-შვილზე იყრიდა.

ოდესლაც ლამაზი და ეშხიანი შუშანიკი გაჭირვებამ და დარღმა მოიდნო. გახდა, ლოყები ჩაუცვივდა. ისედაც პატარა, კიდევ უფრო დაპატარავდა. ასეთი შთაბეჭდილება რჩებოდათ მის ნაცნობებს, როცა მდიდარი სოფდაგრის მობუზულ და წელში განყვეტილ ქალს უყურებდნენ. მის ოჯახში შიმშილიაბეზარი სტუმარივით ჩასახლდა და იქიდან ფეხი აღარ მოიცვალა. ცხოვრებაზე გულაღრენილი ფილისე ან ლოთობდა, ან ტახტზე ეგდო და ეძინა. ხანდახან თითო ლუკმას მოუგდებდა ხოლმე ცოლსა და შვილებს, შიმშილით რომ არ დახოცილიყნენ.

შიმშილით, სიცივით და სიტიტვლით დატანჯულ შუშანიკს ორი ნლის ბიჭუნა კალთას აგლევდა, ტიროდა და პურს სთხოვდა. აკვანში ძუძუმნოვარა გოგო იჭაჭებოდა, მაგრამ გაძეძავებულ დედას მისი გაჩერება არ შეეძლო, მშიერს რძე დამშრალი ჰქონდა.

შუშანიკი თავისი მამის იქითბაშის ბურნუთოვის სახლის ბნელ სარდაფში ცხოვრობდა. სანყალ ქალს მზის სინათლე ენატრებოდა. წესტის სუნი პირველად გულს ურევდა, მერე ამასაც მიეჩვია, თითქოს შიმშილსაც იტანდა, რადგან მხოლოდ შვილებზე ფიქრობდა და როგორც შეეძლო, თავის ქორფებს ისე უვლიდა. ცხოვრება უფრო ულმობელი აღმოჩნდა, ვიდრე დასაწყისში ფიქრობდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო აუტანელი ხდებოდა მისი მდგომარეობა. ფილისე ხშირად მთელი დღეებით იკარგებოდა და შუშანიკის გამკითხავი არავინ იყო. მშიერსა და დაღლილ-დაქანცულს აკვნის დარწევის თავიც აღარა ჰქონდა. აკვნის გამტერებული რწევა და ლინჭილების სუსტი ჩხაკუნი უძუძოდ გამვებულ ქორფას ძილს არ ჰგვრიდა, პირიქით, უარესად ჭირვეულობდა. ზოგჯერ ცრემლშეუშრობელ ქალს აკვნის დარწევაც ავინყდებოდა. ბავშვების ტირილი აღარ ესმოდა. გაოგნებული უაზროდ იყურებოდა. გამოფხიზლებულს ეი მთვრალი ქმრის გამოჩენა თავზარსა სცემდა.

შინ გვიან დაბრუნებული, ლვინით გალეშილი ფილისე ცოლს მუშტებს გამეტებით ურტყყამდა, გაბოროტებული არც ორი ნლის ბიჭუნას ინდობდა, თავზე, ლოყებზე სილას ულანუნებდა და აღრიალებდა. ხმაურზე აკვანში გამოლვიდებული გოგო თავის ყურისნამლებ ტირილს ძმის ტირილს უერთებდა. ცემისაგან სახედალილავებული შუშანიკი ქმარს ხელებში უვარდებოდა, რათა შვილებს გადაფარებოდა და ლოთის მუშტები მხოლოდ მას მოხვედრო-

და. ცხოვრების ფსკერზე დაშვებულ, უძატრონო და უნათესავო ფილიპეს აჩავრად არ მიაჩნდა ასევე მიუსაფარი და უძატრონო ქალის ცემა-ტყეპა. დღისანს ბორგავდა და ბობოქრობდა. მერე ტახტზე გაუხდელად ეგდო და ხვრინავდა. აյვანზე გადაფაფრებული შუშანიკი სულს ძლიერ იბრუნებდა და იმ ნამს წყევლიდა, რა ნამსაც მათი კედლის საათიდან გუგული გამოხტა და გას საბედისნერო ნიშანი მისცა.

ასე ცხოვრობდა მდიდარი სოვდაგრის ქალი, რომელსაც ნინათ მშობლები ცო ნიავს არ აკარებდნენ.

ერთ დღეს ფილიპე სულ არ გამოჩნდა. იმ დღეს შუშანიკი შვილებთან ერთად შემშილობდა. გათენდა. დიღლას შუადღე მოჰყვა. შუადღეს — საღამო. დაღამდა. შუაღამემაც მოატანა, მაგრამ ფილიპე არსად ჩანდა. ასე გაიარა ორმა თუ სამმა დღემ. მალე ევირაც მოიწურა. შუშანიკი შეფიქრიანდა. შეძინდა: „ვინე მოჰკლავდა მთვრალების ჩხუბში ან პოლიცია დაიჭერდაო“. ის ლამე ძლიერ გაათენა. უთენია ადგა. მხრებზე დაგლეჯილი შალი მოისხა. ბავშვები მეზობლის პატარა გოგოს დაუტოვა, თვითონ დაკარგული ქმრის საძებნელად ნავიდა. ამჟაზხანებსა და სამიერნოებში დადოოდა ლოთებს შორის და ყველას ქმრის ამბავს ეკითხებოდა. არავინ არათერი იცოდა. პოლიციაშიც ვერაფერი უთხრეს. ფილიპე ცამ ჩაყლაპა. არც არასოდეს გამოჩენილა.

გამოუცდელი და მარტოხელა შუშანიკი დაიბნა. ძრნოლამ შეიძყრო. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა გზას დადგომოდა, რით ერჩინა თავისი ქულფათები. თავის მოკვლასაც და ნყალში გადავარდნასაც ფიქრობდა, მაგრამ შვილები ეცოდებოდა. საბრალო ქალს ღარიბი მეზობლები, ბურნუთოვის სახლის მდგმურები, პირველ ხანებში თითო ლუკებს ანვდიდნენ, მაგრამ მალე მობეზრდათ. თვითონაც ნელებზე ფეხს იდგამდნენ და გაჭირვებით ცხოვრობდნენ. შუშანიკი მიხვდა, რომ ნანყალობევ ნამცეცებზე ხელი უნდა აეღო და საკუთარი შრომით ეცხოვრა.

## 2. ვარდისმონას გამოჩენა

არაფერი ისე საშინელი არ არის, როგორც სინამდვილე. ანორე დე ბალზაკი, „ონორინა“

სოვდაგრის ქალმა მრეცხაობა დაინუო.

სარდაფის ქვის იატაკზე ცეცხლი ენთო, ზედ დიდი ქვაბი იდგა. ცეცხლის ბოლოისა და ქვაბიდან ამოდენილი სქელი, ცხელი ორთქლის გამო მთელ სარდაფში განუჭვრეტი, მონითალო ნისლი იყო მოდებული. ადამიანს სუნთქვა უჭირდა. შავად შებოლილი, გამურული კედლები საზარლად იყურებოდნენ. ყველგან, სარდაფის ყოველ კუთხეში, შემაძრნუნებელი სიღარიბე და უილა-ჯობა იყო დასადგურებული.

პირგამურული, ფეხშიშველა ბიჭუნა, რომელსაც თავზე დიდი კაცის და ფხრენილი ქუდი ეხურა, დის აკვანს არწევდა და თავის დიდორონი, ნაღვლიანი თვალებით უყურებდა სახეაჭარხლებულ დედას, რომელიც სუსტი, გამხდარი ხელებით სარეცხის გობში კვნესით ნურავდა მდიდრების თეთრეულს. გარეცხილი პერანგები და ქვედა საცვლები შუშანიკს დიდი კალათით ეზოში მიჰქონდა და გარდი-გარდმოდ გაბმულ თოკებზე გასაშრობად ფენდა. პატარა ბიჭი თავისი პანანინა ხელებით ეპოტინებოდა კალათას, მაგრამ დედას უფრო ხელს უშლიდა, ვიდრე შველოდა. მერე ისევ სარდაფი, როცა ცეცხლი უკვე ჩამქრალი იყო, უთოს ფიცარზე მოხრილი, სიცხისაგან ოფლში განურული შუშანიკი ნელმოწყვეტილი აუთოებდა გამშრალ საცვლებს. პირმოკუმული, ჯანგატეხილი და გულჯავრიანი ქალი გრძნობდა, რომ მეტს ვეღარ აიტანდა და უდანაშაული შვილები ლვთის ანაბარად დარჩებოდა.

კეთილმა ადამიანებმა შუშანიკის გაჭირვებული ცხოვრების ამბავი მელქო ფერშანგოვს შეატყობინეს. სოვდაგარი შეყოყმანდა. ლაპარაკში ფირუზა ზანდაროვი ჩაერია, ოჩხუბს ურჩია:

— ნუ აჩქარდები, დამიჯერე. ცოტაცინვნიოს, მოუხდება, ჭუას ისნავლის. მერე სახლში მოიყვანე. მაშ, რას იზამ? შენი ქალია, ლვიძლი შვილი, ცის ქვეშ ხომ არ გაუშვებ!

სოვდაგარი თავის მრჩეველს დაეთანხმა, რადგან მის სიტყვას აფასებდა და ჭკვიან კაცადაც თვლიდა.

ფერშანგოვის ნაცნობი ვაჭრები თავის ქნევით უყურებდნენ გაცრეცილდა გაძვალტყავებულ შუშანიკს, რომელსაც ქუჩაში მხარზე შედგმული სარეცხის ვეებერთელა კალათა მიჰქონდა.

გუნებაში კი ფიქრობდნენ, რომ ისინიც ისე მოიქცეოდნენ, როგორც მელქო ფერშანგოვი სახლიდან გაქცეულ ქალს მოექცა.

როცა ერთხელ შუშანიკი ხვნებით, ოხვრით და ხველებით ადიოდა ერთი თავადის ბრნყინვალე კიბეზე, ნინ მოულოდნელად ვარდისმონა შეეფეთა. ვარდისმონამ თვალს არ დაუჯერა, პირველად ასე ეგონა, ვტყუვდებო, მაგრამ ჩამომხმარ და ჩამოძონძილ ქალში საშინლად გამოცვლილი თავისი ქალბატონი რომ აღმოაჩინა, თავში ხელები ნაიშინა, ლოყა ჩამოიკანრა. მიეშველა. მისი პატარა, სუსტი მხრიდან სარეცხის მძიმე კალათა გადმოილო. გადაეხვია და გადაკოცნა. ძეელმა მეგობრებმა ერთმანეთს შესტირეს და იქვე, კიბის საფეხურზე ტირილით ჩამოსხდნენ. თავზე კნეინა ნამოადგათ.

— ეს რა ამბავია? ეს რა ტირილია? — გაოცებული კითხულობდა ვარდის-მონას ახალი ქალბატონი.

მოახლემ კნეინას დაწვრილებით უამბო შუშანიკის თავგადასავალი. ამ ამბის მოსმენით განცვიფრებულ კნეინას სხვებთან გულმოდგინედ დამალული სიმართლე წამოსცდა:

— აბა, რას წარმოვიდგენდი, თუ ჩემი მრეცხავი იმ მდიდარი სოვდაგრის ქალი იყო, რომლის ვალებიდან ჩემი ოჯახი ვერ ამოვიდა და, ალბათ, ვერც

ჭრასთდეს ამოვა. მეცა და ჩემი ქმარ-შვილიც იმის ხელთა ვართ. ჩემო კარგი, გამაშენი ძალზე მდიდარი ვაჭარია, ნადი, ფეხებში ჩაუვარდი, პა-ტოება თხოვე.

— ნადი, გენაცვალე, ჩემი ქალბატონი მართალს გეუბნება. შენთვის სი-კუთხუნდა, — დაყვავებით და ალერსით ეუბნებოდა ვარდისმონაც, — ნადი, გამაშენს თავი შეაცოდე, შენი შვილებიც დაანახვე. მამა არის, მოვხედავს და შევიკრდომებს. დედაშენიც, ამას რაღა ლაპარაჟი უნდა, განა მე ეი კარგად არ უცნობ ანუმას! ხელს დაგდებს და მოვივლის. შენ უფრო დედის იმედი უნდა გქონდეს. იქ, დედის გული სულ სხვაა!

შუშანიკე უარის ნიშნად თავი გაიქნია. მამასთან შეხვედრის ეშინოდა. წასავლელად მოემზადა. ვარდისმონამ თავისი ყოფილი ქალბატონი მარტო ალა გაუშვა, ბურნუთოვის სახლამდის მიაცილა. კნეინამაც ნება დართო.

გზაში შუშანიკე გაოცებით უყურებდა და ნამდა უნუმ ვიშვიშით იძახდა: „შენ მოვიკვდეს ვარდისმონა! გოგო, ეგრერამ გამოგცვალა?“ ოდესლაც ეოხტა და კულუცი შუშანიკე ამ სიტყვებზე საწყლად იღიმებოდა.

### 3. სარდაჭი

— ეტყობა ძალიან ლარიბი იყო, რაკი სარდაფის კუთხეში ცხოვრობდა.  
თ. დოსტოევსკი, „დამცირებულნი და შეურაცხყოლნი“

როცა ვარდისმონა ბნელი და დანგრეული ეიბით ბურნუთოვის სახლის იმ სარდაფში აღმოჩნდა, სადაც შუშანიკე თავისი შვილებით ცხოვრობდა, ეინა-ლამ შეჰერებულა; ისევ ხელები გაშალა და ლოყები ჩამოიკანრა. გული ამოუჯდა და ისე აქვითინდა, თითქოს სარდაფში მიცვალებული ყოფილიყო დასვენე-და ბული. ტირილით დაოსებული უყურებდა შუშანიკის გამხდარ, ნაშიმშილებ, ბული. ტირილით და უარესად იმდუღრებოდა. მერე ხან პანანინა გაყეითლებულ შვილებს და უარესად იმდუღრებოდა. მერე ხან პანანინა ქრისტინეს ეოცნიდა, ხან პატარა ეოსტას — რომელსაც სალოები თითი პირში ჩაედო და ცნობისმოყვარეობით შეჰერებდა უცხო დედაჟაცს. ტირილი რომ ჩაედო და ცრემლები ფართოდ გაშლილი ქალალაის ბოლოთი მოინმინდა, მოათავა და ცრემლები ფართოდ გაშლილი ქალალაის ბოლოთი მოინმინდა, ვარდისმონა შუშანიკე მიუბრუნდა. მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მისი ყოფილი ქალბატონი გაუფლევნელ მთელ-მთელ კარტოფილს ხარშავდა ზედადგარზე მოდვმულ პატარა ქვაბში. ისევ ვიშვიშსა და ურვას მოჰყვა, მაგრამ თანდათან ხმაში სიმტეიცე დაეტყო.

— ნახეთ, რანაირად გვატრიალებს ნუთისოფელი, ნახეთ, სოვდაგრის ქალები რა დღეში ვართ ჩავარდნილი! მაგრამ არა უშავს, ღმერთი მოწყალეა. დღეიდან, რაცა მაქვს ან რასაც ვიშოვნი, თქვენთან მოვიტან. პური და ყველი ყოველთვის გექნებათ, ხანდახან ცხელ კერძსაც მოვახერხებთ. მაგრამ, შუშა-ნიკ, ფური დამიგდე, გოგო! მაშინდელივით არ მოვტყუვდეთ. მამაშენს პატიება

თხოვე.ჩემი ქალბატონი, ენეინა, მართალს გული ბოდა. ჭუკიანი დედა კაცია,  
გულებილი, ცხოვრებაში ჩახედული.

შუშანიკმა თავი გაიქნია.

— ვერ წავალ, ვარდისმონავ, რა პირით უნდა შევხედო მამაჩემს?

— რაც მოხდა, იმას რაღა ეშველება! ეხლა ხვალინდელ დღეზე უნდა ვი-  
ფიქროთ. შენს პატარა შეიიღებს პატრონობა უნდა.

ვარდისმონა დიდხანს ელაპარაკებოდა და არიგებდა შუშანის, მაგრა  
მისი თანხმობა მაინც ვერასვზით ვერ მიიღო.

მეორე დღეს, როცა ვარდისმონამ ენეინას სახლი მიულაგ-მოულაგა, ყვე-  
ლაფერი დაურეცხა და დაუსუფთავა, ისევ ბურნუთოვის სახლისენ შუშა-  
ნიკთან გაიქცა. თან პატარა კალათით სურსათ-სანოვაგე, თავადის ოჯახის  
ნასუფრალი წაულო. გზად დუქანშიც შეიარა და ბავშვებს ტკბილეული უყიდა.

— არ ვიცი, მეჩვენება თუ რა არი, მაგრამ დღეს უერთესად გამოიყურები,  
შუშანიკჯან! — მისვლისთანავე ატიტინდა ვარდისმონა, როცა თავისი ყოფი-  
ლი ქალბატონი დაევირვებით და გულდასმით შეათვალიერა.

— არც არის გასაკვირი, — მიუგო შუშანიკმა, — რაკი ჩემს ლრეჭია ვარ-  
დისმონას მოვაგონდი, აღარსაფერი მიჭირს, აღარ დავიკარგები.

ვარდისმონამ მსხვილი თეთრი კბილები გამოაჩინა, გაიღრიჭა.

— იჲ, ნეტავი შენა, ვარდისმონას ქათინაურები რათ სჭირდება!

შუშანის გადაეხვის, სიყვარულით უთხრა:

— მოგონებით როგორ არ მაგონდებოდით, მაგრამ რას ვიფიქრებდი?  
ქალაქში არ მეგულებოდით. ვიცოდი, რომ მელქო აქ არ დაგაყენებდათ. იმ  
ცუდლუტმა ფილიპემ მარტო ვაჭრობა იცოდა, სხვა რა ხელობა ჰქონდა? მეც  
ვიფიქრე, იქ წავლენ, სადაც ფერშანგოვის კაცები წინ არ დახვდებათ-მეთქი.

შუშანიკი დაფიქრებული უსმენდა.

— რათ დაფიქრდი, გენაცვალე?

— ეგრეც მოხდა, როგორც შენ გიფიქრის. ოღონდ სხვაგან არ წავსულვართ.  
ნეტავი მართლა სადმე წავსულიყვავით. ფილიპე სულ იმას ამბობდა, ყველა აქ  
მორბის, აქედან სად უნდა წავიდეთო? საიდან არ მოგვიდგა მამაჩემი, რა არ გვი-  
ყო, რანაირად არ გვიმტრო. ვინ იტყვის? ვინ მოთვლის? იქნებ ფილიპე მართლა  
ცუდლუტი იყო, მაგრამ ფუქსავატი არ ყოფილა. ცხოვრება უნდოდა, ირჯებო-  
და ეიდეც პირველად, არა უძავდა, როგორც შეგვეძლო, ისე ვცხოვრობდით.  
ორიოდე გროშს ფილიპეც შოულობდა. აღბათ, მალე ფეხზეც დავდგებოდით,  
მამაჩემმა ცხოვრების საშუალება არ მოგვცა. მეც გამაუბედურა, ფილიპეც და  
ჩემი შვილებიც, — შუშანიკმა თვალზე მომდგარი ცრემლი თავშლის ბოლოთი  
ისე მოინმინდა, როგორც ამას მოახლე ქალები აკეთებდნენ, — არავინ იცის, სად  
არის, სად გადაიკარგა ის ჩემი და ჩემი შვილების უბედურების მიზეზი.

ვარდისმონა თავის ქნევით უსმენდა, თან ორივე ხელით ქალადას გაშლი-  
ლი ბოლო ეჭირა ცრემლების დასაგუბებლად, მაგრამ აღარ ატირდა, პირიქით,  
მხიარულად წამოიძახა:

— ქა, დიდების ლაპარაკი ამათ რაში აინტერესებთ! თქვენ შემოგევლოთ ვარდისმონა, მოდი ერთხელ კიდევ დაგიკოცნოთ ეგ ლამაზი პირები.

ბავშვებს კანფეტები დაურიგა, თან ალერსით უუბნებოდა:

— მიმორთვით, ისიმოვნეთ, გაიხარეთ. იქნებ არც იცით, რომ ამ ნუგბარს კანფეტი ჰქვია, მდიდარი სოვდაგრის შვილიშვილებო?!

იპ, სოვდაგრები ჭირ-საც წაულია. ბებერი ქალის რატრატს რა ყურს უგდებთ! პირი ჩაიტკარუნეთ, ღმერთმა შეგარგოთ, ჩემო მტრედებო, ჩემო გვრიტებო, ჩემო კუდრაჭებო.

კოსტიას და ქრისტინეს კანფეტი, მართლაც, არასოდეს ენახათ. გემო რომ გაუსინჯეს, ვარდისმონას შესცინეს, გაუშინაურდნენ. პატარა კოსტა კალთებს აგლეჯდა, პანანინა ქრისტინე ლამის დედის მკლავიდან გადმოვარდნილიყო. ვარდისმონას თავისი პანანინა ხელებით ეპოტინებოდა და მისკენ მიინევდა. საფუასიანი კანფეტის საღებავით ტუჩები და ლოყები ორივეს წითლად და მწვანედ ჰქონდათ მოთხუპნული. ვარდისმონა სიცილით კვდებოდა.

სარდაფის კიბის თავზე ვიღაც გაპრანჭული დედაკაცი გამოჩნდა სარეცხის კალათით ხელში. ვარდისმონამ დაბლა ჩამოსვლა არ დააცალა, ქვემოდან ასძახა:

— მრეცხავი ბურნუთოვის სახლში აღარა ცხოვრობს, გატრიალდი, ჯანუმ, შენი სარეცხის კალათა უკან წაიღე.

ქალი გამტერებული უყურებდა.

— ხომ არ გაგიუებულხარ, დედაკაცო? მრეცხავი შენს გვერდით არა დგას თავისი პატარა გოგოთი? რას მაბრმავებ, რომ არ ვიცი?

— რა ვქნა, გეუბნები და არა გჯერა. ვისაც შენ ეძებ, ის სოვდაგარ ფერმა-გოვის სახლში გადავიდა. მე კი არ გაბრმავებ, შენ გემლება, დედიჯან!

ქალი გაბრაზდა.

— ქა, დედაშენი ვინ არის, მე თვითონ შვილად გერგები.

— მაშ, თუ დედაჩემობა არ გინდა, დეიდაჩემი იყავი, ჯანი გავარდნია. თუ ესეც არ განყობს, მამიდაჩემი, თუ ამასაც დამინუნებ, თავში ქვა გიხლია, ძალუაჩემი იყავი. იმასაც შენსავით ფერ-უმარილი ჰქონდა ლოყებზე წაცხებული და თავი ახალგაზრდად მოჰქონდა.

შუშანიკი ჩუმ-ჩუმად იცინოდა. სარეცხით მოსული ქალი გაცეცხლდა, გაკაპასდა.

— ქა, ვის დასცინით, თქვენი მასხარად ასაგდები ვინ არის? დასაცინი საკუთარი თავი გაქვთ! არა, მუშტარს ასეთნაირად უნდა დახვედრა? ამის იქით ჩემი ფეხი აქალარი იქნება. ალარც მეზობლის ქალები მოვლენ სარეცხით. შიმშილით სული ამოგძვრებათ, ისედაც წატისუსალი აგდით. აი, მაშინ კი დაგიდგებათ თვალები!

— ბებიაჩემიც სწორედ ეგრე იწყევლებოდა. აკი ამტკიცებდი, ახალგაზრდა ვარო, ვითომ შვილადაც მერგებოდი. გეგონა, ფერ-უმარილი გიშველიდა! დალალებს დამიხედეთ. თქვენი ჭირიმეთ, მაგისთანა დალალები ყველა დალაქთან იყიდება. ვერც ეგ გიშველის. შენი ბებიობა წყევლამ გამოაჩინა.

ქალმა კალათას ხელი დასტაცა და სარდაფიდან გველნაკბენივით ვავარ. და ვარდისმონამ გადაიხარხარა. შუშანიკმაც თავი ვერ შეიძმაგრა და სიცილი აუტყდა. კოსტაც, თუმცა დედაკაცების ჩხერის არაფერი ესმოდა, დედას აპყვა, ქრისტინესაც სახე უცინოდა, პირს სულელურად აღებდა და ხელებს აქეთ-იქით აქნევდა.

შუშანიკმა თითქმის შურით წამოიძახა:

- ნეტავი შენა, ვარდისმონავ, რომ დარდი არ იცი!
- გოგო, დარდის მეტი რა მინახავს ცხოვრებაში? ქალობა და კაცობა სწორედ ის არის, რომ დარდმა შენ ეს არ გაჯობოს, დარდს შენ აჯობო.
- ევ რა კარგა სთქვი, ვარდისმონავ! სად ისნავლე? ვინ გასწავლა? — ეკითხებოდა ამ სიტყვებით გამხნევებული შუშანიკი თავის ყოფილ მოახლეს. ვარდისმონამ პასუხი მცირე ხანს დაუგვიანა, სანამ შუბლზე ერთი წამით გამოჩენილი ნაოჭი გაუქრებოდა. სიცილნარევი ამოოხვრით უპასუხა:
  - ჩემმა უბედურმა ცხოვრებამ! — ორივენი გაჩუმდნენ.
  - ეგ ქალი, — დაარღვის დუმილი შუშანიკმა, — შეძლებული მედუქნის ცოლია. მაგისთანა კოპნიად ჩვენს ქუჩაზე ქალი არ დადის.
  - ვინც უნდა, ის იყოს. მე რა მესაქმება. ბართლომე კურტანიძის ცოლი ხომ არ არის!

მაიკო კურტანიძის ვინაობა შუშანიკმა არ იცოდა, არც აინტერესებდა. თავის ყოფილ მოახლეს მორიდებით საყვედური ძლივს გაუბედა:

- ნუ ჯავრობ, ვარდისმონავ, გასაჯავრებელი მე მაქვს. არ გენყინოს, მაგრამ მუშტარი დამიტვრთხე. მე მხოლოდ მრეცხაობით შემიძლია ცხოვრება.
- არ მოგბეზრდა, რომ სულ ერთსა და იმავეს იძახი? — ისევ შეუტია მოურიდებლად ვარდისმონამ, — გაიგე, გოგო, დედ-მამასთან უნდა გადახვიდე, შენი პატარა შეიღებით სოვდაგარ ფერშანგოვის სახლში უნდა იცხოვრო.

შუშანიკმა ხელები უმწეოდ გაასავსავა.

- მე მისაყვედურებ და შენ თვითონ სულ ერთსა და იმავეს ჩამძახი, ვარდისმონავ! მამაჩემზე ლაპარაკით ერთმანეთს გული გაუწიყალეთ. რამდენჯერ გითხარი, მამიჩემის სახლში მიმსვლელი აღარ ვარ-მეთქი?

ვარდისმონამ სიტყვა ბანზე აუგდო:

- გული თუ ვინმეს გაუწიყალდა, ისევ ამ პატარა გვრიტებს. შუადლე გადასულა, პური მომივდებოდათ. სადილად უნდა დავსხდეთ, ჯანუმ!

ვარდისმონა დაფაცურდა. კალათიდან საჭმელები ამოალაგა. დანჯლრეულ ტახტზე დიდი, ძველი ბალდადი გადაფინა, ზედ კნეინას სუფრიდან გადარჩენილი ქათმის და ძროხის ხორცის ნაჭრები დაალაგა. თონის პური გადაამტვრ-გადმოამტვრია და ბალდადზე მიყარ-მოყარა. ბოთლიდან ქრისტინეს თხის ჯამში ადულებული რძე ჩაუსხა, შიგ პური ჩაუფშვნა, თავის ხელით დაალევინა, რძეში ჩაფშვნილ პურის პატარ-პატარა ლუკმებს პირში თითებით უდებდა, თან ესიყვარულებოდა და ტიტინით პანანას ვითომ მადას ულვიძებდა, მაგრამ დამშეულ ბავშვს ნაქეზება არ სჭირდებოდა. კოსტა უკვე

ტახტზე იჯდა და მაღიანად ილუქმებოდა. სულ ბოლოს დიდებიც მიუსხდნენ ლარიბულ სუფრას.

ვარდისმონამ მეორე ბოთლიდან პატარა ჭიქებში ნითელი ღვინო დასხა. ერთი ჭიქა შუმანიეს მისცა, მეორე თვითონ დაიჭირა ხელში, თავისი ალერ-სიანი ხმით ნარმოთქვა:

— ჩვენი ხალხი პურმა და ღვინომ შეინახა. დალიე, შუმანიკჯან, მოგიხდება, ფერზე მოხვალ, — პირჯვარი გადაინერა და ჭამას შეუძგა. საჭმელს ისეთნაირად გაუსვა თავისი მსხვილი, თეთრი კბილები, ისეთნაირად იღმურძლებოდა, რომ ყოველთვის ცოტას მჭამელი შუმანიე, მამის სახლში საცოდავად რომ იყინებოდა ხოლმე, მას დამშეული გლეხის დედაკაცივით აჰყვა და რაც კი ხელში მოხვდა, ყველაფერი გადაზურთა.

#### 4. პურნუთოვის სახლის გდგმურები

მაშ, ვარენკა, სხვათა შორის, ისიც უნდა გითხრათ, რომ უსაძაგლესი დედაკაცია ჩვენი სახლის პატრონი, ამასთან, ნამდვილი ალქაჯია!  
თ. დოსტოევსკი, „საწყალი აღამიანები“

ნასადილევს ვარდისმონა ისევ შუმანიეს მოუბრუნდა:

— თავიც რომ მომჭრა, მაინც უნდა გითხრა, ამ საქმეზე ხელს არ ავიღებ, შუმანიე. შენს გაუბედურებაში მეცა მაქვს ბრალი. სანამ კარგად არა გნახავთ შენცა და შენ შვილებსაც, ვეღარ მოვისვენებ. თქვენს გაჭირვებას რომ ვუყურებ, თქვენმა სიცოცხლემ, ლამის თავი ქვას ვახალო.

შუმანიე ერთხანს დაფიქრებული იჯდა. მერე ვარდისმონას შეხედა, სევ-დიანად გაულიმა და უთხრა:

— შენ გავიკვირდება, ვარდისმონავ, მაგრამ ზოგჯერარცა ვნანობ, რაც მოხდა. გაჭირვებამ ცხოვრება და ადამიანები ახლოს გამაცნო. სწორედ გაჭირვებამ მაჩვენა ნამდვილი ცხოვრებაც და ადამიანების ნამდვილი მოქმედებაც. ბევრი რამ ვნახე, ბევრიც მე თვითონ გამოვცადე. რაც ნინათ, მდიდარი სოვდავრის სახლში არ ვიცოდი, ეხლა ვიცი. ჩემო საყვარელო ვარდისმონავ, შენ არ დაიჯერებ, მაგრამ სიმართლეს გეუბნები, შენთან დასამალირა მაქვს? არ ვიცოდი, რომ ქვეყანაზე ლატაკნიც, გაჭირვებულნიც, მშიერნიც, მნიურვალნიც, შიშველ-ტიტველნიც და უსახლეარონიც იყვნენ. ან საიდან მეცოდინებოდა? მეგონა, რომ ყველანი ჩემსავით ცხოვრობდნენ. ისიც გავიგე, რომ ქვეყანაზე დავრდომილნიც, ხეიბრებიც და ავადმყოფნიც ყოფილან. ესეც საიდან მეცოდინებოდა? ჩვენს სახლში ავად არავინ არასდროს არ გამხდარა. სწეულის ოხვრა, კვნესა, ტეივილებისაგან ტანჯვა, ოფლში ცურაობა, წუხილი და გოდება არ მენახა და ყველაფერი ვნახე. ისეთებიც შემხვედრია, რომელთაც წყლის მიმწოდებელიც არა ჰყავდათ ავადმყოფის დროს. ზოგსაც შიმშილი უფრო აღრე ულებდა ბოლოს, ვიდრე

სნულება. პურინულოვის სახლის რომელ სართულზეც, რომელ ოთახშიც განდა, იქ ნახავ, რაც მე ცხოვრებაში ვნახე. ჩვენ ზევით, პანან კინტელა და ჭავჭავან თავსებში მხოლოდ ღარიბი და ღატაკი ცხოვრობენ; ხელოსნები, რომელთაც ღუჯის იჯარის ფული არა აქვთ და, ქალაქში ახლად მოსულნი, ამქარში ვერ მოხვედრილან. ახალგაზრდა, უცოლმვილო ქარგლები, რომლებიც უფულობის გამო ვერც ისტატებად გამხდარან და ვერც ცოლები შეურთავთ; მოხუცებული მშობლები, რომელთაც ხელზე მოსამსახურე ბიჭებად და ვოვობად გამხდარი შეიღები ძლივს ინახავენ; დღიური მუშები, მხერხავები, მექურტნები, ქურდები და ჯიბგირები. ეხლა ვიცი, რომ ქურდობა და ჯიბგირობა მარტო გარყვნილება არ არის, გაჭირვება უფრო დიდი მიზეზია, ვიდრე ბუნებითი გარყვნილება. ჩემი მეზობელი ქურდო და ჯიბგირი ისეთ საღამს მოგცემს, გაგიკვირდება. სულაც არა მნიშნს, როცა ჩემს კოსტას ქუჩის პირზე ეთამაშებიან და მშიერს პურს აჭმევენ. თავს რათ აქნევ? კოსტა ჯერ თხოს წლისაც არ არის, მოსარიდებული რა მაქვს? როცა გაიზრდება, სახლიდან ფეხს არ გადავადგმევინებ. ჰო, იმას ვამბობდი — მამაჩემის სახლში ქუჩის ქალიარ ვიცოდი, რა იყო და ვინ იყო. ვინ ახსენებდა? ცხოვრებამ ეგეც გამაგებინა. ჩემს გვერდით ერთი ახალგაზრდა ქალი ცხოვრობს, მარგალიტა. ძალზე გულეკეთილია. მე რომ სიცხვანი ავადმყოფი ვიყავი, თავზე მაღვა და მივლიდა. ჰოდა, სანყალი მარგალიტა მეძავობით თავსაც ინახავს და მოხუცებულ დედასაც. ეხლა ისეთი აღარ არის, როგორც ნინათ ყოფილა, ავადმყოფობს, ჩემზე უარესად ახველებს და კინტოების სათრეველად არის გამხდარი. ღარიბი ადამიანი, ვარდისმონავ, თუ ცხოვრებაში ფეხი მაგრად არ უდგას, სულ შიმში არის, სულ აქეთ-იქით იყურება, არ იცის, ჭირი როდის საიდან გამოუვარდება. სხვების მაგალითუბიც ვიცი და ჩემს თავზეც გამოვცადე. ფილისემ რომ ლოთობა დაინყო და ძალიან გაგვიჭირდა, ერთი თათრის დედაკაცი, ქართულად შენსავით და ჩემსავით ლაპარაკობს, მერიამ ბეგუმი ჰქვია, მოვიდა, რა არა სთევა, საიდან რა არ დაინყო, რა არ მითხრა, და ბოლოს, პირდაპირ გამიმხილა: „ეგ ეშიანი, ლამაზი პირისახე ლოთი ქმრის ხელში რად უნდა გაიფუჭო? ამბობენ, ქმარი შიმშილით გულავს, აფსუს, ტურფავ! კარგი ყმანვილი ქალი ხარ, წამომყევი, ზრდილობიან და ფულიან კაცებს შეგახვედრებ, მავან-მავანი სახლის ოთახში ისე შეგიყვანოდა გამოგიყვანო, ვერც ქმარმა დაგინახოს და ვერც მეზობელმა. სხვადასხვა ხალხისთვის სხვადასხვა სახლებში მაქვს ოთახებიო“. ისე გავხდი, ხმა ვეღარ ამოვილე. გონს რომ მოვედი, შევუბლვირე, მაგრადაც გამოვლანდე. მაგრამ მაინც არ მომეშვა. მაგისთანა დედა კაცებს ხომ არაფრისა რცხვენიათ? ლაფიც რომ დაასხა თავზე, წარბსაც არ შეიხრიან. მიზეზი არ ელეოდა. ხან რა საბაბით მოდიოდა, ხან რა მიზეზით. სულ თავზე დამტრიალებდა და არ მშორდებოდა. ერთხელ მარგალიტამაც დაიფრინა, მაგრამ იმას რომ გაიგულებდა, ისევ ჩემთან მორბოდა, ისევ იმნაირის დამაქრულის ენით მელაპარაკებოდა. თავი მხოლოდ მაშინ დამანება, როცა ფილიპეს ლოთობამ, ცემა-ტყეპამ, შიმშილმა და გაჭირვებამ სახის ფერი დამაკარგვინა, დამაბერა

და დამატებით. ამან მიშველა, თორემ ფილიპე რომ დაიკარგა და ორ შეიღლთან ერთად სულ მარტო დავრჩი, ვინ იცის, მეც მარგალიტასავით გავმხდარიყავი, იმასთან ერთად ქუჩა-ქუჩა მევლო, ჯერაფიცრებსა და მოქეიფე ახალგაზრდა ვაჭრებში, მერე კინტოებთან. რათ მიყურებ, ვარდისმონავ, ეგრე შემინებული? ვისაც მოხუცებული და დავრდომილი დედ-მამა და პატარა შეიღლები ჰყავთ შესანახი, თავის მოკვლაზე არა ფიქრობენ. თეითონ ცხოვრება გაკეთებინებს იმას, რაც გეზიზლება და გულს გირევს. ეხლა ის აღარა ვარ და არც არასოდეს ვიქწები, შენ რომ ჭიანურით და სიმღერების დაკვრით ართობდი. ადამიანების საქციელმა და დუხტირმა ცხოვრებამ თვალები ამიხილა. ისიც ვიცი, რომ ქვეყანაზე სამართალს მდიდრები ანესებენ, მაგრამ ღარიბებს ამით რა შეღავათი აქვთ? ბურნუთოვს სახლის მდგმურები იმდენ ქირას ვაძლევთ, რომ ლუკმაპურისთვის თითქმის აღარაფერი ვერჩება. ის კი სულ ერთსა და იმავეს გაიძახის: „ცოტას მაძლევთ, მოუმატეთ და მოიტათო“. მამიჩემის იქითბაში ყოფილა, ამბობენ, იმის მაღაზიებშიც ბლომად ფულს იგებსო, მაგრამ მე პატივისცემით არ მექცევა, პირიქით, სახლის ქირას ერთ დღესაც არ გადამიცდენს. სიმსუქნისაგან ბურთივით არის დამრგვალებული, უშვილოა, ცოლიც თავისავით ხარბი და მსუნავი ჸყავს, იმდენს სჭამს, რომ ტანს ვეღარ დაათრევს, ეზოში და ქუჩაში ჩამოსვლა უჭირს, მდგმურებს აივნიდან ეჩხუბება, გადაცდენილ ქირას თხოულობს, პოლიციით იმუქრება. ოჟ, ვარდისმონავ, რომ იცოდე, როგორ შემჯავრდნენ მდიდრები! ვინ იცის, მამაჩემიც ბურნუთოვივით ექცევა საწყალ ხალხს! მდიდარი სოვდაგრის სახლში ცხოვრებაზე იმდენი ვიცოდი, რამდენიც ჩემმა საცოდავმა დედაჩემ-მა იცის. როცა შენს ჭიანურსა და სიმღერებს ყურს ვუგდებდი, ასე მეგონა, ადამიანებს მხოლოდ ერთმანეთი უყვართ და არა სძულთ-მეთქი. სულ სხვა ვნახე, სულ სხვა რამ განვიცადე.

ვარდისმონა ყურს უგდებდა შუმანიკს და საკუთარი თავგადასავალი აგონდებოდა. არ უკვირდა, რო? ნინათ გამოუცდელი და გულუბრყვილო ხოედაგრის გოგო ეხლა ცხოვრების ჭირ-ვარამში გამოვლილი დედაკაცივით ღაპარა კობდა. ის მიამიტი, ზოგჯერ ცელქი და მხიარული გოგო, გაზრდილი-ყო, დაქალებულიყო და თითქოს ნაადრევად დაბერებულიყო კიდეც. თმებში თეთრი ძაფები შეამჩნია, თვალებთან ნაოჭის ხაზები, გული მოუკვდა და ვიშვიშით ნარმოთქვა:

— შენ მოგიკვდეს ვარდისმონა! ეგ რა დღეში ჩავარდნილხარ? ეგ რა დღეები გამოგივლია, გოგო?

— ჴო, ჩემო საყვარელო ვარდისმონავ, — გაულიმა შუბლდაჩრდილულმა შუმანიკმა, — ბევრი მნარე ვნახე, ბევრი გაჭირვება გამოვცადე, მაგრამ გული არ გამქვავებია, პირიქით, ადამიანი უფრო მეტად შემიყვარდა. დანიხლულის და დაჩავრულის ღირსება ის არის, რომ სიბრალულიც ემატება და ნუვეშისცემაც უფრო მეტად ეხერხება, ვიდრე მდიდარსა და ნებიქრის! ღმერთმანი, ფული რომ მქონდეს, ღარიბებს და გაჭირვებულებს დავურიგებდი.

გულაჩუყებული ვარდისმონა შუშანიკას გადაეხვია, თვალები დაუკოცნა. იქ ვეღარ გაძლო, ქვითინი ყელში ებჯინებოდა და არ უნდოდა ბავშვებთან ხელახლა ატირებულიყო. სარდაფის კიბის საფეხურები აირპინა, კარს ხელი ჰქონა და გარეთ გავარდა. ჭუჩაში გასულს ტირილი ნასკდა. კედელს მიეყუდა, მაგრამ გული ვეღარ მოიბრუნა. გამნარებული ტირილით თავს იკლავდა. ერთობის დედა კაცი მის ახლოს გაჩერდა, სხვებიც მოუახლოვდნენ. დედა კაცი მის გარშემო გროვდებოდნენ და ტირილის მიზეზს ეკითხებოდნენ. აზლუქუნებულმა ვარდისმონამ ირგვლივ შემოხვეული დედა კაცი მის წრე გაარღვის და ქუჩას სწრაფი ნაბიჯით გაჰყვა. თითქმის მირბოდა. იქიდან პირდაპირ ექლესიაში გაიქცა, ხატების წინ დაიჩოქა და წმინდანებს შეჰდალადა:

— დედაოლვოთისაო, იუსო ქრისტევ მაცხოვარო, ღმერთობლიერო, მუხლომდრეკილი გევედრებით, ნუ გადაახდევინებთ სოვლაგარ მელქო ფერშანვოუს ცოდვას მის უდანაშაულო ქალს და იმის პატარა შეილებს, კოსტას და ქრისტინეს, გევედრებით და აღთქმასა ვსდებ, ფეხშიშველამ ვიარო ქალაქელების ყველა სალოცავში, ყველა ობაში.

ხატების წინ დაჩოქილი ვარდისმონა დიდხანს ლოცულობდა. მუხლის ჩოქით უვლიდა ყველა წმინდანს და ყველას სანთელს უნთებდა. ხელებაპყრობილი შუშანიკა და იმის შეილებს ღმერთისავედრებდა, რადგან სჯეროდა, რომ ყოვლისმხილველი ღმერთი მისი მამის მევლელს და მის ოჯახს სამაგიეროს უხდიდა.

## 5. რჩევა და გადაცევა ჰილება

რალა გითხრა, ნუთუ ეხლაც ვერ მიხვდი, რა ძნელია  
შოვნა ლუკმა-პურისა?  
გრიგოლ ორბელიანი, „მუშა ბოქულაძე“

ვარდისმონა ყოველდღე მირბოდა შუშანიკთან. ბურნუთოვის სახლის სარდაფში ჩარბოდა და ყოფილ ქალბატონს ერთსა და იმავეს ეუბნებოდა, „მამაშენთან წადი, შეილებიც თან წაიყვანე, პატიება სთხოვეო“. შუშანიკი აღარაფერს ეუბნებოდა, უარის წიშნად მხოლოდ თავს აქნევდა და მობეზრებული, ხელებს უკმაყოფილოდ შლიდა.

ვარდისმონა გაჯავრდა. რაკი დაყვაეებით და ტკბილი სიტყვებით ვერაფერს გახდა, თავის ყოფილ ქალბატონს სულ აღარ მოერიდა და გაბრაზებით დაუტატანა:

— თუ შენი თავი არ გეცოდება, ეს ანგელოზები მაინც შეიბრალე! მამიშენის ქონება მასხარა ფირუზიას და იმის კოპნია ნათესავს რათ უნდა დარჩეს?

ამ ადამიანებს შუშანიკი არ იცნობდა, საერთოდ არ იცოდა, რა ხდებოდა მშობლების სახლში, რას აკეთებდნენ და როგორ ცხოვრობდნენ მისი მახლო-

ბლები. მხოლოდ დედის ამბის გაგება სწყუროდა. დედის ნახვა ენატრებოდა. ერთხელ როგორლაც ნამოსცდა:

— ოჲ, ნეტავი დედაჩემი ერთხელ კიდევ მაჩვენა, ერთხელ კიდევ მოვეხვიო და პირისახე დავუკოცნო. მერე თუნდ მოვევდე, არ ვინალვლებ.

ვარდისმონა მყისვე მიხვდა, თუ საიდან შეეძლო მოველო სოვდაგრის გაჯუტებული ქალისთვის და უარი გადაეთქმევინებინა. მან ფერმანგოვების გეზობლებიდან ანუშას ლოგინად ჩავარდნის ამბავი იცოდა, მაგრამ შეშანის უმაღლავდა, არ უმხელდა, რათა დარდით და მძიმე შრომით ჩამომდნარი და გასავათებული ქალი კიდევ უფრო მეტად არ შენუხებულიყო. ახლაც ფრთხო-ლად შორიდან მოუარა.

— დედის სანახავად მაინც ნადი, როცა მამაშენი ქარვასლაში იქნება.

— არა, არა! მამაჩემი გაიგებს და ჯავრს დედაჩემზე იყრის.

ვარდისმონა აღარ მოეშვა.

— ეგრე როგორ იქნება? ნადი, ნადი. იქნება დედაშენი გუითხულობს. იქნება შენი ნახვა იმასაც ენატრება, იქნება ავათ არის და შენი და შენი შეილების ნახვით მომჯობინდეს.

შუშანიქმა დაკვირვებით შეხედა თვალებში ვარდისმონას, შეშფოთდა, აღელდა, მუდარით შესთხოვა ერთგულ მეგობარს:

— რამეს ხომ არ მიმაღლავ, ვარდისმონავ? დედაჩემი როგორ არის? ავად ხომ არ არის?

— იმის ავადმყოფობა მე არ გამიგია, — დაამშვიდა აღელვებული შუშანიქმი ვარდისმონამ, — მაგრამ დედაშენი, შენც კარგად იცი, უშენობას ვერ აიტანდა, ჯავრი და დარდი დარევდა ხელს. უნდა მიხვიდე, გენაცვალე, თავი უნდა დაანახვო, გული უნდა გაუმთელო, ანუგეშო. ქა, შენს მეტი ვინა ჰყავს საწყალ ანუშას!

— ხვალვე ნავალ, ერთ დღესაც აღარ გადავაცდენ. მამაჩემმა თმებითაც რომ დამითრიოს, მაინც ნავალ, — მტკიცე გადაწყვეტილებით ნარმოთქვა შუშანიქმა.

ვარდისმონას სიამოვნების ლიმილმა გადაურბინა კეთილ სახეზე, თქმით კი არაფერი თქვა, ახლა მის სიტყვაზე ძლიერი სოვდაგრის ქალის მტკიცე გადაწყვეტილება იყო.

მეორე დღეს ვარდისმონა დილიდანვე დაეთხოვა კნეინას, რათა შუშანიქმი და მისი შეილები ფერშანგოვებთან ნასასვლელად მოემზადებინა. ჯერ სარდაფის კიბის საფეხურებზე არ იყო ჩასული, შორიდანვე დაიძახა:

— არ დაგავინყდეს, შუშიქან, მამაშენს ფეხებში ჩაუვარდი, პატიება სთხოვე.

შუშანიქმი მისკენ ისე მოტრიალდა, თითქოს სახეში რაღაც მაგარი რამ დაჟერესო. სულშეგუბებულს ხმა ჩაეხლიჩა, ძლივძლივობით ამოთქვა:

— არასოდეს... არასოდეს... ფერშანგოვს და ბურნუთოვს პატიებას არა ვთხოვ, არც თავს შევაბრალებ. რისთვის უნდა ვთხოვო პატიება? იმისა-

თვის, რომ მეცა და ჩემი საცოდავი ქმარ-შვილი უბედური გაგვხადა? — ჩახლეჩილი ხმა თანდათან უსწორდებოდა და გულისნყრომით განათებულ თვალებში ზიზღი ემატებოდა, — არა! მე მაგის გამკეთებელი არა ვარ. ან იქნებ გვინია ფერმანგოვებმა და ბურნუთოვებმა ადამიანის სიბრალული იცოდნენ?

ვარდისმონა უხერხულად გაჩუმდა. მის ნინ ისევ გაკერპებული შუშანიკი იდგა. თან ამ დასუსტებული და დასწეულებული ქალის ხმაში ფოლადის ისეთი სიმტკიცე აღმოაჩინა, რომ შეეშინდა, ხელახლად უარზე არ დამდგარიყო.

კოსტას და ქრისტინეს მივარდა. ერთს კაბის ძონძები აუკრიფა, მეორეს ჭუდი გაუსწორა. ამასობაში შუშანიკიც დაწყნარდა და დამშვიდდა. ცალ ხელში ქრისტინე აიყვანა, მეორე ხელი კოსტას ჩასჭიდა და მამის სახლის კენ გაემართა. ვარდისმონა მათ შორისახლოდან აედევნა. შუშანიკზე უფრო მეტად ის დელავდა.

შუშანიკიც აღელვებული იყო, მაგრამ როგორც უძილობით ღამენათევი ვარდისმონა მოელოდა, არც კანკალებდა და არც ფერიფერი მისდომდა. მას იგი ახლაც ისევე საშინლად გაოცებული უყურებდა, როგორც ნელან, როცა გაკერპებული სოვდაგრის ქალი უცებ მის ნინ აელვარებული, გამგმირავი თვალებით აღიმართა. ახლანდელ შუშანიკს ძელი შუშანიკის ნიშანწყალიც არ ეცხო.

თამამად მიდიოდა იქ, სადაც თვითონაც არ იცოდა, როგორ დახვდებოდნენ და როგორ მიიღებდნენ. მხოლოდ მამინ, როცა ფართო მოედანს გასცდა, ნაცნობ ჭურაზე შეუხვია და შორიდან ნაცნობი დიდი სახლი დაინახა, ნებისყოფამ უმტყუნა, ანაზდად ძალა გამოეცალა, მეტისმეტად აღელდა, ცახცახმა აიტანა, გაჩერდა და რომ არ ნაქცეულიყო, იქვე მდგარ თელის ხეს მიეყუდა. თავისი მშობლების დიდ სახლს თვალცრემლიანი უყურებდა და იქ ტკბილად და უდარდელად გატარებული დღეები აგონდებოდა. მერე ძალ-ლონე მოიკრიბა, ჭურა გადაჭრა, ფერმანგოვის სახლის სადარბაზო კართან მივიდა და ზარის ტარს ჩამოსწინა.

## 6. მამასთან შეხვედრა

— აქ, მოილეთ მოწყალება, მამაჩემო... ნუ მეპყრობით ეგრე... მე უკვე  
ისედაც უბედური ვარ!  
ეუენ სიუ, „პარიზის საიდუმლოებანი“

კარი მსახურმა გაუდო. გაკვირვებით შეხედა ღარიბულად ჩაცმულ ქალს და იმის ბავშვებს, რომელთაც ათასნაირად დაკერებული ტანსაცმელი ეცვათ.

— მე დედაჩემი მინდა ვნახო, — უთხრა მსახურს შუშანიკმა.

მსახური მიხვდა. სოვდაგრის ქალის თავგადასავალი ქალაქში ყველამ იცოდა. შეყოყმანდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ფიქრობდა და ცხვირს იფხანდა. ბოლოს, თავისი ბატონის ქალი შვილებიანად სადარბაზო კარში შეი-

უკანადა უთხრა: „აქ მოიცადეთ“. მსახური ფრთხილობდა, რადგან სახლიდან გაქცეულ ქალს მშობლები ახლოს არ იკარებდნენ.

სარდაფში დაბადებულ და აღზრდილ ქოსტას თვალი მოსჭრა მდიდრულა სახლის ბრნყინვალე, ძვირფასი ნოხით მოგებულმა კიბემ. მის დედას კი იქ გატარებული უზრუნველი ცხოვრება თვალწინ დაუყენა. ამ კიბიდან გზა გხოლოდ ეკლესის სენ და აბანოს სენ მიდიოდა. მოუხედავად ამისა, სოვდავრის ნებივრად გაზრდილი ქალი თავს მაინც ბედნიერად გრძნობდა. ფანჯარაში ჯდომა, ქუჩაში გასვლა, გავლა-გამოვლა და ადამიანების თვალიერება უყვარდა.

მერე ყველაფერი შეიცვალა.

ამავე კიბემ იმ საბედისნერო ლამეს ცხოვრების ფართო შარაგზაზე გაიყვანა.

შუშანიკი ხუთი წლის ნინათ გავიდა ამ კარებიდან და ახლა ისევ აქ იდგა, უკვე გამოცდილი და ცხოვრებას ზიარებული, ულმობლად დასჯილი, ნაცუმ-ნაგვემი, შეურაცხყოფილი და დამცირებული.

კიბის ფოლორცზე მელქო ფერშანგოვი გამოჩნდა თავისი პირქუში, ნაოჭებით გაესებული სახით. საშინლად გამხდარი, გამოცვლილი და დაბერებული ქალი რომ დაინახა, შეტორტმანდა, გაოცება და სიბრალული ერთდროულად გამოეხატა სახეზე. შეძრნუნდა. ცალი ფეხი ძლივს ჩამოდგა ფოლორციდან კიბის საფეხურზე, თან ერთი ხელით კედელს მოეჭიდა. კიბის საფეხურებზე ნელ-ნელა, მძიმე-მძიმედ ჩამოდიოდა, პირზე „შვილო შუშანიკ“ ეერა და პირიდან არ ამოსდიოდა, ხელებს მოსახვევად შლიდა და ისევ დაბლა უვარდებოდა. დამრუშებული სახე სულ უფრო და უფრო ურბილდებოდა, ლმობიერი უხდებოდა, თვალზე ცრემლი ეკიდებოდა. საშინლად აღელვებულს ქვედა ყბა ჩამოვარდნაზე ჰქონდა და თავს მთვრალივით ატრიალებდა. შუშანიკიც აღელვებული უყურებდა მას და რწმუნდებოდა, რომ სადაც იყო, ერთმანეთს გადაეხვეოდნენ და ერთად აქვითინდებოდნენ. ყველაფერი პატარა კოსტამ გააფუჭა. ქერა და ლურჯთვალება ბიჭუნამ ფერშანგოვს თავისი ნოქარი ფილიპე მოაგონა. ფილიპე თითქოს დაპატარავებულიყო და ცულლუტი, მხიარული ლურჯი თვალებით მოტყუებულ სოვდაგარს დასცინოდა. ფერშანგოვს სახე ისევ პირქუში გაუხდა, დაუბნელდა, მის შავად ჩალრმავებულ თვალებში რისხვამ გაიელვა, ქალს გაბოროტებული დაადგა თავზე და დაუყვირა:

— აქ რა გინდა? რისთვის მოსულხარ? დედ-მამის შემარცხვენელს აქ რა საქმე გაქვს? ნადი, ნადი შენს საყვარელთან. მეორედ ჩემმა თვალებმა აქ აღარ გნახონ.

მსახურის განრისხებული მიუბრუნდა და გააფრთხილა:

— ეგენი ქუჩაში გაჟყარე და თუ კიდევ შემოგიშვია, ჩემთან გექნება საქმე, — ქალს ზურგი შეაქცია, კიბეს ხვნეშით აჟყვა, ნინა ოთახებში ლან-ძლვა-გინებით შევიდა.

ლოგინად ჩავარდნილმა ანუშამ სუსტი ხმით იკითხა:

- რა მოხდა? მელქუა რათა ჯავრობს?
- დაუზოგველია დედამთხოლმა იმნაშვე მიახალა:
- შენი პატიოსანი ქალი მობრძანდა თავისი იანგნებით და მელქუამ ყველანი յარში გაპყარა.

შუშანიკის ხსენებაზე ავადმყოფს ჩაცვივნული თვალები გამოუცოცხლდა, სასოფუმლიდან წამონევას შეეცადა, ხვენნით იძახდა:

- ჩემი შუშანიკი აქ იყო... მომიყვანეთ... მაჩვენეთ... შუშანიკი... შუშანიკი...
- მის დასამშვიდებლად დედამთილმა ქილაში ხელი ჩაჰყო და იქიდან წურბელა ამოიყვანა.

## 7. ყოფილი საქმრო

„როდესაც გადავხტი დროშეიდან, მე შემომესმა შემდგომი სიტყვები: რა ახალგაზრდაა, რა ჭკვიანია, სახეზე ეტყობა, რაც არის!“  
ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“

შუშანიკი დიდხანს გახევებული იდგა თვალებზე შემშრალი ცრემლებით. უცხო მამაკაცის ყვირილით შეშინებული ქრისტინე იჭაჭებოდა. დამფრთხალი კოსტა დედის კალთას ებლაუჭებოდა და ზედ ეკვროდა. ამ საცოდაობის ყურებით მსახურს გული ენვოდა. ერთ ადგილზე უხერხულად გაჩერებული ხან თავს იფხანდა, ხან ცხვირს. მერე, როგორც იყო მოახერხა, ქალს კარი გაუღო და ხელით ანიშნა, გარეთ გადიო.

ამ დროს ვიღაც ახალგაზრდა კაცმა კიბე სწრაფად ჩამოირჩინა და შუშანიკს ალერსიანად მიმართა:

— დამშვიდდი, შუშანიკ, მამაშენი აღელვებულია და იმიტომ გაგიჯავრდა. ნუ გეშინიან, მე დაგეხმარები. მართალია, დამინუნე, გულიც მატკინე, მაგრამ ეხლა ამას ნუღარ მოვიგონებთ.

შუშანიკი მიხვდა, შერცხვა, წამონითლდა, თავი დახარა.

მის წინ წითელქარებიანი ბებრის მაგიერ მოხდენილი ყმანვილი კაცი იდგა. დიდვაჭრის კაბაში გამოწყობილს, ყურთმავებიმხრებზე მოხდენილად გადაეგდო და ისევე ახოვანი და ლამაზი იყო, როგორც მისი ქალწულობის სიზმრების ის ვაჟი, რომელიც მას, მარილიანი კვერებით დაპურებულს, ძილში ეცხადებოდა ხოლმე.

დაბნეული თვალებს არ უჯერებდა, რაღაცნაირი სინაწული იპყრობდა და თავისთვის ფიქრობდა: „ვარდისმონა მართალი იყო, მამაჩემს ფეხებში უნდა ჩავვარდნოდი და პატიება მეთხოვა. აი, თურმე როგორ საოცრად ლამაზ ყმანვილს მრთავდნენ ქმრად ჩემი მშობლები, იმათ ჩემთვის კარგი სდომებიათ, მე კი ეს არ ვიცოდი“.

გრიგოლ ზანდაროვი სიბრალულით უყურებდა სოვდავრის ქალის განაწამებსახეს. თან გულის სილრმეში ეღიმებოდა, რომ ამ ნააღრევად დაბერებული, გამხ-

დარიდა გაყვითლებული ქალის ოთახის ფანჯრებს უწინ გულისძვერით შესცემისადაც დახეზე მიყუდებულს, იმ ფანჯრების ცეკვაში დამე თავზე ათენდებოდა.

ზანდაროვმა შუშანიკა ასიგნაციები გაუწოდა.

— ჯერჯერობით ეს იქმარე. ზარაფთან დაახურდავებ. ჩემი იმედი გქონდეს.

შუშანიკა მადლობით შეხედა თავის ყოფილ საქმროს, მაგრამ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— გმადლობთ, ბატონო. მე თქვენი ვინაობა გავიგე, მაგრამ არც თქვენი სახელი ვიცი, არც გვარი. ნუ გეწყინებათ. ღარიბად ვცხოვრობ, მაგრამ მონაბეჭდას არა ვთხოვლობ.

ფირუზა ზანდაროვის ნადახლიდარმა და მელქო ფერშანგოვის ახლანდელმა ოჩხუბმა გაკვირვებით შეათვალიერა მდიდარი სოვდაგრის ქალი, რომელსაც არც მამის სიძუნნე გამოჰყოლოდა და არც სიხარბე.

ვარდისმონა შორიდან მიეგება შუშანიკა, შორიდანვე მიაძახა:

— რა ქენი, შუშანიკ?

— გამლანძლა, გამომაგდო.

ვარდისმონა აპილპილდა, აენთო, ცეცხლი წაეკიდა.

— გამ არ შეგიბრალა? არც ეს პატარები შეიცოდა? ქა, თათარი ხომ არ არის? — ალმუოთებით შლიდა ხელებს ვარდისმონა და თან ფერშანგოვს ნკუევლიდა, — მინამ უყოს პირი და თან ჩაიტანოს ამისთანა მამა, აჟანდე! ჯი-გარი ეგრე რამ გაურეცხა? ქა, ცხრა უცხოს შეიბრალებენ, გაიკითხავენ და ცრემლს შეუშრობენ, იმან საკუთარი სიყრმის შვილი არ უნდა შეიბრალოს? სათათრეთში ვართ? აღამაშემადხანობაა?

— სხვამ შემიბრალა, იმან კი...

— ვინ სხვამ?

შუშანიკა სახე აუნითლდა.

— იმ კაცმა ფული მაძლია, მაგრამ მე უარი ვუთხარი.

— ვინ კაცმა, გოგო, აღარ იტყვი!

შუშანიკა თავის ყოფილ მოახლეს თვალი თვალში გაუყარა და საყვედურის კილოთი უთხრა:

— აკი ის კაცი ნითელქარებიანი ბებერი იყო?!

— შენ გრიგოლ ზანდაროვი ნახე? — ჰერთხა შეცებუნებულმა ვარდისმონამ და მიხვდა, რომ მისი ყოფილი ქალბატონი მხოლოდ ახლა გებულობდა სი-მართლეს. სინდისის ქენჯნამ ერთბაშად გაიღვიძა მასში, ანრიალდა, სიტყვა ვეღარ დასძრა.

— ოჟ, ვარდისმონავ! — ნამოიძახა შუშანიკა, — ნეტავი იმ საღამოს ჩვენი სახლის კედლის საათიდან გუგული არ გამოსულიყო.

— ქა, იქნება მოგენონა?

შუშანიკი გაჩუმებული იდგა, სევდიანად იღიმებოდა. ვარდისმონამ სიცილი ვეღარ შეიმაგრა, შუშანიკა გადაეხვია, გრძნობით გადაკოცნა, მსხვილი თეთრი კბილები გამოაჩინა და სიცილით უთხრა:

— აბა, მე რა ვიცოდი, თორუემ იმ გუგულს, სანამ დაღამდებოდა, საათოდან  
გამოიყვანდი!

სიცილი სწრაფად შეწყვიტა, ისევ სერიოზული სახე მიიღო, შუშანიქს  
ნიაზით ჰკითხა:

- ეხლა რა უნდა ვქნათ, შუშანიქ?
- შენც კარგად იცი, ვარდისმონავ, მე მარტო ერთი ხელობა მაქვს.
- ისევ მრეცხავად უნდა დადგე?

— ჴმ. შენც მეტს ალარ შეგანუხებ, კნეინა არ გაგინურეს, ძალიან ხშირად  
მორბიხარ ჩემთან. რომ დაგითხოვოს, ვინ შეგინახავს?

ვარდისმონამ შეუბლვირა, გაუწყრა:

— შენ ჩემი დარღი ნუ გაქვს, იცოდე, რომ გვერდიდან ალარ მოგშორდები.  
შუშანიქმა ისევ სარეცხის გობში ჩაჟყო ხელი.

სხვა გამოსავალი არ იყო.

ვარდისმონაც დარწმუნდა, რომ მხოლოდ კნეინას სახლიდან მოტანილი  
ნასუფრალით ვერ შეინახავდა შუშანიქს და იმის შვილებს. ფული საჭირო იყო  
ქირის გადასახდელადაც, ნავთის საყიდლადაც, ნემსისთვისაც, ძაფისთვისაც  
და შეშისთვისაც. უამისოდ ვერც სარდაფუში იცხოვრებდნენ, ვერც ლამპარს  
აინთებდნენ, ვერც დახეულ ტანსაცმელს დაიკერებდნენ, ვერც ზამთარში  
გათბებოდნენ.

ერთგული და თავდადებული ვარდისმონა შუშანიქს ხშირად გვერდში  
ედგა, სარეცხის დარეცხვაში შველოდა. გარეცხილი თეთრეული იმას გაჰ-  
ქონდა ეზოში და თოკზე გასაშრობად ფენდა, ცხელი უთოც უფრო ხშირად  
იმას ეჭირა ხელში.

სარდაფის კიბის ფოლორც ზე ისევ გამოჩნდა შეძლებული მედუქნის კოპნია  
ცოლი. ვარდისმონას ნიშნისმოგებით გადმოსძახა:

— ძალოვან! მრეცხავი ფერშანგოვის სახლიდან ისევ ბურნუთოვის სახლ-  
ში გადმოვიდა? გადმოსულან მაშ, გადმოსულან! თანაც ერთის მაგიერ ორი  
დედაკაცი დამდგარა მრეცხავად.

— შვილო! — სერიოზული სახით უთხრა მას ვარდისმონამ, — ბებური დე-  
დაკაცების დაცინვა გაუზრდებოდა ქალებმა იციან, — თქვა და ცალი თვალით  
გადახედა ტახტზე მჯდარ ქრისტინეს, რომელსაც ხელში ნაჭრებისაგან გაე-  
თებული დედოფალა ეჭირა და ისევ სერიოზული სახით განავრძო, — ადექი,  
ქრისტინეჯან, შენი ტოლი მოვიდა. მიდი, გენაცვალე, ამ პატარა გოგოს ეთამაშე.

მედუქნის კოპნია ცოლმა ნარბები ასწია.

ვარდისმონამ ვიღაც ვაჭრის ცოლის განიერი შეიდიში, ნყალში ახლად  
ამოვლებულს დასაწურად რომ ახვევდა, ჰაერში ღონივრად გაიქნია. იალქა-  
ნივით გაშალა, მარდად დაპერტყადა ნუნწკლები მედუქნის ცოლს შიგ სახეში  
შეასხურა და განუნა.

შუშანიქმა თავი სარეცხის გობზე დახარა, რათა მისი სიცილი კოპნია ქალს  
არ დაენახა.

## 8. სიცდისის ქანქა

გაჩუმდი, გაჩუმდი, საბრალო გონებავ.  
ა.ბესტუშევ-მარლინსკი, „ის მოკლული იქნა“

ქალთან შეხეედრის შემდეგ ფერშანგოვიერთა დაგილზე ველარჩერდებოდა. ხან გარინდებული იჯდა, ხან მოუსევენრად ბოლთას სცემდა.

ფირუზა ზანდაროვი მას შენუხებული და დალონებული სახით შესცეკროდა.

სოვდაგარი ამას ვერ ამჩნევდა. ფიქრებით იყო გართული. ცალკე ცოლის ჯავრი ჰკულავდა, ცალკე — ქალის.

ფირუზამ ოჩხუბს დრო უხელთა, ნინ დაუდგა და საყვედურით უთხრა:

— ეგრა გიქნია, მელქოჯან? ეგ როგორ მოვიციდა? ქარვასლაში გრიგოლმა მითხვა. გავიგე თუ არა, შენთან გამოვიქეცი.

სოვდაგარი მას უაზრო თვალებით მისჩერებოდა. თანდათან გონზე მოდიოდა. ფიქრებისაგან გამორკვეული ოჩხუბის ქიმუნჯების აზრს ნელ-ნელა ხედებოდა.

ფირუზა ზანდაროვი უკმაყოფილოდ თავს აქნევდა, მოურიდებლად კიცხავდა და არცხვენდა:

— კაცო, ეგ როგორ იქნება? ვინა სთქვა? სად გაგონილა? ჭკვიანი კაცი ხარ და მაგნაირი საქციელი არ გეეადრება. განა სიყრმის შვილს ეგრე მოექცევიან? ცალკე ქალს მეხი დაატეხე თავზე, ცალკე ცოლს გული გაუხეთქე, ერიპა! ეგ როგორ შეიძლება! ავია თუ კარგია, შენი შვილია, შენი სისხლი და ხორცია, ისევ შენ უნდა გაუნიო ქომაგობა. ხალხს ლაპარაკის საბაბს რათ აძლევ? იტყვიან, მდიდარია, მაგრამ შვილსა და შვილიშვილებს შიმშილით ჰკულავსო! დიდალი ქონების პატრონია, მაგრამ ქალი თავისი შვილებით ბურნუთოვის სახლში უპატრონოდ უგდიაო. ხალხის ყბაში რათ ვარდები? თითით საჩვენებელი რაზე ხდები?

ფირუზას სახეზე პატიოსანი კაცის აღშფოთება ეხატებოდა და ოჩხუბს ისეთი საყვედურით უყურებდა, რომ ფერშანგოვმა მის გამკიცხველ ყურებას ვერ გაუძლო, თვალი მოარიდა, შერცხვა, თავი დალუნა. ოთახში ისევ მოუსვენრად გაიარ-გამოიარა. ბალდადი გაშალა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, თავის მართლებას მოჰყვა:

— ქვეყანამ იცის, რომ ჩემი ბრალი არ არის... დამნაშავე არა ვარ...

— მერე ვინ ხერი გეუბნება, დამნაშავე ხარო? განა მე არ ვიცი? — კილო ფრთხილად შეაბრუნა ფირუზამ, — მაგრამ, შე კაი კაცო და კაი კაცის შვილო, ქვა ააგდე და თავი შეუშვირე! ნულარა ჯიუტობ. ეშმაქს მიაფურთხე. დრო არის, შუშანიკას მიხედო, დაუყვავო, ხელი გაუმართო. მამა ხარ, მამა!

იმ სანყალს ისიც ეყოფა, რომ უსინდისო ქმარმა მიატოვა და ჯანდაბაში, გადაიკარგა.

ფერშანგოვმა ქუდი დაიხურა. ნასასვლელად მოემზადა.

შეშფოთებულმა ფირუზამ იმნამსვე მიაძახა:

— სად მიდიხარ, კაცო?!

— ბურნუთოვთან. იმანიცის, სადაც ცხოვრობს შუშანიკა, ნავალ და დედას მოვუყვან.

— კაცო, რას ლაპარაკობ? შენ შენს ჭკუაზე ხარ თუ არა? ეხლა იქმიდი და იქ გაუხეთქე გული. გრიგოლმა სახლამდე მიაცილა, — იცრუა ფირუზამ, — ექიმი თავზე დააყენა. არ დააცლი მოსულიერდეს? აბა, ოჩხუბო. დაფიქრდი, თუ მართალი არა ვარ.

ფერშანგოვმა ისევ მოიხადა ქუდი. თავის დიდ სავარძელში ჩაჯდა, ამოიოხრა, თავი ჩაქინდრა.

ფირუზა ზანდაროვი მას თვალს არ აშორებდა. ნირშეცვლილი, ჯან-გატეხილი, დაბერებული სოვდაგრის ყურება ახარებდა. გულმოდგინედ დაკეცილ ტუჩებზე სიამოვნების ღიმილი შეუმჩნევლად უკრთოდა, სახე კი ისევ დალონებული ჰქონდა, ბალდადიც ხელში ეჭირა ერთადერთი ცრემლის მოსანმენდად. უყურებდა და გრძნობდა, რომ მისი აღარ ეშინოდა. ოჩხუბობის საქმეში პირველი ის ხდებოდა, რადგან ამ დარდით და მწუხარებით გათავებულ კაცს, რასაც მოისურვებდა, იმას გააქე-თებინებდა.

ერთხანს სავარძელში გაპაპაჯვერებული იჯდა და თავჩაქინდრული სოვ-დაგრის ყურებით ტკბებოდა. მერე ოჩხუბს გასეირნება შესთავაზა.

— სადმე გავიაროთ, მელქოჯან, გავერთოთ. გულიდან ჯავრი გადავიყა-როთ. ეგრეც არ შეიძლება, შე კაი კაცო! ჯავრსა და დარდს გაძლება უნდა. ავადმყოფი ცოლი მოსავლელი გყავს, მოხუცებული დედა შესანახი, უმნეო შვილი და პატარა შვილიშვილები საპატრონებელი.

არასოდეს არც ერთი ადამიანისათვის ფერშანგოვს ისეთი მადლიერი თვალებით არ შეუხედავს, როგორც მან მისი მდგომარეობით დალონებულ და შენუხებულ ფირუზა ზანდაროვს შეხედა. მისმა თანაგრძნობამ, ნუგეშის სიტყვამ გული მოუფხანა, მალამოსავით მოედო მის ანენილ ფიქრებს და გულისტკივილი გაუყუჩა.

ფირუზამ სოვდაგარს ხელი სათუთად მოკიდა, როგორც ოჩხუბსა და მეგობარს შეეფერებოდა, გარეთ სუფთა ჰაერზე გაიყვანა. ქუჩას ნელ-ნელა გაჰყვნენ. ფირუზა განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, მაგრამ გულჯავრიან ფერშანგოვს არაფერი ესმოდა. ვერც იმას ამჩნევდა, რომ ფირუზა ზან-დაროვი ერთი ნაბიჯით მის ნინ მოდიოდა, თვითონ კი მორჩილად უკან მისდევდა.

ფერშანგოვი მხოლოდ ცოლსა და ქალზე ფიქრობდა. აღარც ქარვასლა ახსოვდა, აღარც სოვდაგრობა, აღარც ოჩხუბი და ოჩხუბობის საქმე.

## 9. სიულის სარეცელთან

— არა, არა... სისულელეა... არაფერია! ეს უბრალო თავმრუდახვევაა, ეს გულისნასვლა როდია. სადაური გულისნასვლაა!  
თ. დოსტოევსკი, „დანაშაული და სასჯელი“

ოდესაც ფაშტაშა ანუშასაგან ადამიანის ლანდილა იყო დარჩენილი. დღე და ლამ ქალს მისტიროდა. იმის ნახვა ენატრებოდა, მისთვის ვიშვიშებდა და მოთქვამდა, მაგრამ მის ხვეწნასა და მუდარას ყურს არავინ უგდებდა.

ფერშანგოვის ოჯახში მხოლოდ სოვდაგრის დედა უყურებდა უდარცელად ყველაფერს, რაც კი მის გარშემო ხდებოდა, მაღალ იტალიურ სავარძელში იჯდა, კრიალოსანს არხეინად მარცვლავდა და რძალს ერთხელ კარგ სიტყვას არ აღირსებდა. რძლისთვის თავს მხოლოდ იმით იწუხებდა, რომ მის სარეცელზე მარჩიელების ავგაროზებს ეკიდებდა და ავადმყოფს ექიმბაშების ბალახბულას ასმევდა. ავადმყოფის სანახავად მოსულ დედაკაცებთან მასლათი უყვარდა. იტალიური სავარძელი რძლის სასთუმალთან დაადგმევინა და თუ მომსვლელთაგან არავინ გამოჩენდებოდა, საათობით ისევე მდუმარე და გაშეშებული იყო, როგორც მის დამჭერარ ხელზე ჩამოკიდებული გრძელი კრიალოსანი.

თეთრი ლიზა თითქმის ყოველდღე ფერშანგოვების სახლში იჯდა. ან ნულ-ლს კვნეტდა, ან გაუთავებლად ლაპარაკობდა.

— რა ბრძანება! — ნარბის ანევით ამბობდა ხოლმე, — უნინ გასათხოვა-რი ქალი ქუჩაში უბრალოდ როგორ გავიდოდა? ეხლა არის! გოგოები ბიჭებს კბილებს ათლევინებენ. გენაცვათ, აღარაფრის აღარ რცხვენიათ.

— მაშ! მაშ! — კვერს უკრავდნენ დედაკაცები.

— ძეველს დროში ქალები კი არა, კაცებიც პატიოსნები ყოფილან, — განა-გრძო თეთრმა ლიზამ, — მამაჩემმა თურმე მეცხრე კაკალზე გამაკეთა.

დედაკაცებმა თეთრ ლიზას გაკვირვებით შეხედეს, მაგრამ მას სერიოზული სახე ჰქონდა, არც იღიმებოდა, არც იცინოდა.

— როგორ თუ მეცხრეზე? — ცნობისმოყვარეობით ჰკითხა დედაბერმა და განცვიფრებულმა კრიალოსნის მარცვლა შენყვიტა.

თეთრმა ლიზამ პირში ნულლი ჩაიდო, ღეჭვა დაუნყო, მოუთმენლად მა-ცერალ დედაკაცებს თვალი მოავლო, თითით დამდნარი ნულლი კბილებში გაისწორა და პირის ცმაცუნით შეუდგა გამოუცდელი თერძის ამბის მოყოლას.

— მამაჩემი რომ უსტაბაშს ოსტატად დაულოცნია, მამინვე ცოლი შეუ-რთავს. ქორნილის მეორე დღეს ბებიაჩემმა, ღმერთმა გაანათლოს სულით, კარგად მახსოვეს, ღვთისნიერი და კეთილი დედაკაცი იყო, დედაჩემს თურმე მოფერებით ჰკითხა: „შვილო, ნუხელ როგორ ისია მოვნეო?“ „მეზურნეები კარგად უკრავდნენ“, — უპასუხნია საწყალ დედაჩემს. „არა, შვილო. მე მაგას არ გეკითხები, შენი ნეფის ოთახში რომ იყავი, იქ რა ამბავი იყო?“

„რა უნდა ყოფილიყო, დედიჯან, — უკითხნია პატარძალს, — მაშინვე ლამპა ჩავაქრეთ და დავიძინეთო, შეიდიში გაუხდელი დამრჩა, ცხელოდა და ცოტა ამან შემანუხაო”, — მიამიტად თურმე უთქვია პატარძალს. „უი, დამიდგეს თვალები მაშ, ქმარმა არ გაეოცა”. „არა, დედილო, ორთავეს არხეინად გვეძინაო”. „არა სცოდნიაო”, თავში ხელის შემოკვრით ნამოუ- დახია სიდედრს, მაშინვე სიძესთან გაქცეულა და დაურიგებია: „შეილო, ბალიშის ქვეშ კაკლებს დაგილაგებ, შენს ცოლს ჩაუნექი და რამდენჯერაც ბალიშ ქვემოდან კაკალი გამოილო, იმდენჯერ...” „გოგო, მათიკო, — დაუ- ტატანა თეთრმა ლიზამ ბავშვიან ქალს, რომელსაც სიცილი ახრჩობდა და თეთრ ლიზას შიგ პირში შესცეკეროდა, — ეგ რანაირად ხითხითებ? თითქოს ყელში თევზის ფხები გქონდეს გაჩრილი. ადექი, შვილო, დედაკაცებში რას ჩამჯდარხარ? გარეთ გადი და მაგ ქორფას ძუძუ მოანოვე. იჰ, რანაირად ცხელა დღესა!”

მათიკო ადგილიდან არ დაიძრა, თუმცა დედაბერმა შეუბლვირა და თვა- ლებიც გადაუბრიალა.

— მერე, ლიზაჯან, მერე? — არ აცლიდნენ ერთმანეთს სახედანით ლებული დედაკაცები და თეთრ ლიზას ამბის დამთავრებას ეხვენებოდნენ.

თეთრმა ლიზამ კარგა ხანს ალოდინა ისინი. თითები პირში ჰქონდა ჩაყოფი- ლი და ლრძილებიდან ზედ გაგლესილ ნულლის ნაშთებს იშორებდა. თექვსმეტი წლის მათიკო მას ბაგეგაპობილი შესცეკეროდა, პირზე წყალი ადგებოდა, თვა- ლებზე ვნების ბინდი ეკროდა, ქორფა ბიჭი დავინყნოდა და აქოთქოთებულს ხან სწორად ეჭირა, ხან თავდაყირად. ქორფამ ტირილი მორთო. ავადმყოფმა დაიკვნესა. არავინ ყურადღება არ მიაქცია.

თეთრი ლიზა გაჩუმდა. ახალი ნულლი თითით გაასუფთავა, პირში ჩაიდო, მათიკოს გაუცინა.

— ქა, ეგეც იტყვის რალა! — ტუჩების აბზუებით თქვა ბაყლის ცოლმა, — ბალიშიდან კაკლის გამოლებარომ შველოდეს, ჩემი უხასიათო მაზლის ცოლი დღესაც უშვილოდ კი არ ივლიდა.

თეთრმა ლიზამ და მათიკომ ერთად გაიცინეს.

— რათა ჯავრობ, ეფემია? — ალერსიანი სახით მიუბრუნდა ბაყლის ცოლს თეთრი ლიზა, — თუ შენ ვერა ხვდები, მათიკოს პკითხე, ის გეტყვის. აი, კიდევ მაგალითი, ქალებო! რასაც ოცი წლის გათხოვილი ქალი ვერა ხვ- დება, იმას ერთი წლის გათხოვილი ქალი მიხვდა. ეხლაც არა გჯერათ, რომ ეხლანდელმა გოგოებმა ყველაფერი იციან? ქა, ასეთნაირად გაქსუებული გოგოები უნინდელ დროებაში ვისმეს გახსოვთ?

— გვითხარი, ლიზაჯან, ლოდინით გული ნუ გაგვინყალე, — იხვენებოდნენ დედაკაცები.

— ქა, აღარ იტყვი, შენ რალა დაგემართა? — ბრძანების კილოთი თქვა ყურადღებად გადაქცეულმა დედაბერმა, რომელსაც მოთმინება აღარ ჰყო- ნიდა და ამბის დასასრულის მოლოდინში კრიალოსანი ორივე ხელით ეჭირა.

— ცხონებულმა ბებიაჩემა, — სწრაფად მოაბა ბოლო დაწყებულ ამბავს თეთრმა ლიზამ, — თავის სიძეს თურმეასე უთხრა: „გაინძერი და ბალიშიდან სული გამოილე, გაინძერი და ისევ ბალიშის ქვემ ხელი შეკუავო. ნუ გემინიან, არც ხელი გეტუინება, არც თავიო”. ვოვო, მათიკო, ეგრე რომ ხითხითებ, ბიჭი მესაუიდან არ გადმოგივარდეს! ადექი, შვილო, ფანჯარასთან მიდი, ხედავ, რამდენი მტრედები დაფრინავენ ზეცაში, მიდი, გული გადააყოლე.

მათიკო არც ახლა დაიძრა ადგილიდან, დედაბერმა მას ისევ შეუბლვირა და საჩუბრადაც მოემზადა. თეთრ ლიზას არ უნდოდა მისი გაჯავრება, დედაუცებს ნარბების ანევით გადახედა და ამბავი მოკლედ დასასრულა:

— მეტი რაღა გავაგრძელო, ქალებო, მეცხრე კაკალზე მოსახდენი თურმე გოხდა.

დედაუცებმა ერთხმად გადაიხარხარეს.

დედაბერი თავის მალალ იტალიურ სავარძელში ისეთნაირად შეინძრა და ხელები ისე გაშალა, რომ ქრისტიანი გაუნყდა. დაბნეული მძივები მათიკომ აუკრიფა.

ავადმყოფმა ამოიოხრა. საერთო სიცილ-ხარხარში მისი ოხვრა ვერავინ გაიგონა.

თეთრმა ლიზამ ხელსახოცით პირი მოინმინდა, თვითონაც გაიცინა და მხიარულად დაუმატა:

— მაშ, მამაჩემი რომ გამოცდილი ყოფილიყო, ხომ ესეთი დალრეჯილიც არ გამოვიდოდი!

ამ სიტყვებზე დედაუცებს ისეთი ხარხარი აუტყდათ, რომ ავადმყოფის ოთახში ყურთასმენა აღარ იყო. მათს ხარხარს, ლრიანცელს და ხორხოცს თითქოს ყველაფერი ბანს აძლევდა და თვით ფარდებჩამოფარებული ფანჯრების მინებიც ზრიალებდნენ.

მოხარხარე დედაუცებს შორის მოხვედრილი მათიკოს ქორფა ბიჭი ჩაბუირდა. დედამ ის ჩქარ-ჩქარა გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ლოყებზე სილა შემოარტყა, მოაბრუნა, და ისევ თეთრ ლიზას მიაცეკერდა, სასაცილოს კიდევ რამეს იტყვისო.

ავადმყოფმა დაიკვნესა, ამოილულულა:

— მათიკო... შენს გახარებას... ერთი წყალი დამალევინე...

მათიკომავადმყოფს ტოლჩით წყალი მოურბენინა, თავის ხელით დაალევინა.

დედამთილმა რძალს ალმაცერად გადახედა და თავის ქნევით ნარმოთქვა:

— თეთრი ლიზა მართალს ამბობს, თქვენზე დიდი ვარ და კარგად მახსოვს, ნინათ კაცებიც და ქალებიც პატიოსნები იყვნენ. ეხლა რაცა ხდება, უნინ როგორ მოხდებოდა. რაღა შორის წავიდეთ! ჩემი შვილიშვილი ფლოსტების ამარა არ გაიქცა საყდარში! განა ის სახლში შემოსაშვებია!

— იჲ, რა ბრძანებაა!

ისეთნაირად უერავდა კვერს თეთრი ლიზა, რომ გამტკნარებული ანუშა უკანასკნელ იმედს კარგავდა.

# კარი მეათე

## 1. გველის ღობა

ყური ვუგდე, იდუმალ, მივხვდი იმის აზრსა, შევადგინე პლანი  
იმის დასაცემად.  
ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“

ქარვასლაში ფირუზა ზანდაროვი მელქო ფერშანგოვს სულ ერთსა და  
იმავეს ეუბნებოდა:

— კაცო, ეს რა ცოდვის კითხვაა! გუშინნინ შუშანიკა შემხვდა ქუჩაში. სა-  
რეცხის მძიმე კალათას ძლივს მიათრევდა. გული დამემდუღრა. შენი რომ არ  
შემშინებოდა, მივეშველებოდი. ამ დილით კიდევ ბურნუთოვმა მითხვა, ვიღაც  
კწეინას შენი ქალის დაუთოვებული პერანგი დაუწუნებია და ისეთი ალიყური  
უჭმევია იმ უღმერთოს, რომ საწყალი ქალი თურმე ეხლაც ყბაა ხვეულიდადის.  
ეს კიდევ რა არის! ხშირად თურმე მშირ-მწყურვალიც იძინებს თავის პატარა  
შვილებთან ერთად. ვინც იმათი ამბავი იცის, ასე ამბობენ, ჩალით გატენილ  
ტომრებზე ნვანან და ლამლამობით ჭრაქიც არ უნთიათო. კაცო, ღმერთს შე-  
ხედე, პირჯვარი დაიწერე, ეშმაკს მიაფურთხე!

როცა ამგვარი ამბებით შეძრნუნებული ფერშანგოვი თავის ქუდს ხელს  
ჰკიდებდა და ქალთან ნასასვლელად თავზე იხურავდა, დამფრთხალი ფირუზა  
მას კალთებში აფრინდებოდა და ლაპარაკის კილოს ცვლიდა:

— მოიცა, კაცო, სად გარბიხარ? რომ არ გესმის, რას რისთვის გეუბნები?  
აჩქარება საქმეს ვერ უშველის. ცოტაც მოიცადე. ცოტა კიდევ გამოსცადოს  
და, დამიჯვერე, დედ-მამას სალოცავად გაიხდის. რა გეჩქარება? ახალგაზრ-  
და ქალია, იმის გათხოვებასაც მოესწრები. მდიდარი კაცი ხარ, უარს ვინ  
გეტყვის?

დაბნეული სოვდაგარი თვალებს გაკვირვებით ახამხამებდა, ფირუზას  
გაოცებით ეკითხებოდა:

— მაშ, ასეთ ამბებს რათ მიყვები? მაშ, იმის თავს რათ მაბრალებ?

ფირუზაც გაოცებით შლიდა ხელებს, აფორიაქებულ სოვდაგარს მოხერ-  
ხებულად უბნევდა გზა-კვალს.

— ღმერთმანი, არ ვიცი, როგორ გითხვა, როგორ გაგაგებინო? შენ გადაწყ-  
ვეტილება მიიღე, საქმის დაბოლოება კი დროს მიანდე. ჩემი სიტყვის აზრიც და  
რჩევაც მუდამ ეს იყო.

ფირუზას რჩევა-დარიგება დარდით და ჯავრით დაბნედილ ფერშანგოვს  
ჭკუაში უჯდებოდა. ყოველთვის ყველაფერში ეთანხმებოდა. ეჭეი არაფერში

ექსდოოდა, რადგან ოჩხუბობის პირობის ნიგნში ყველაფერი ნინასნარ ჰქონდა გათვალისწინებული. გამოცდილმა სოვდაგარმა იცოდა, რომ ზანდაროვები გას იქნან ვერ მოუვლიდნენ, საიდანაც თვითონ უვლიდა ხოლმე თავის მეტოქებს. ამ მხრივ ფერშანგოვი დამშვიდებული იყო. მას მხოლოდ ცოლის და ქალის ბედი ანუხებდა.

ქარვასლაში, ფერშანგოვის მთავარი მაღაზის უკანა თათახში, ზანდაროვის ხშირად ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

— ეითომ უკვე დარდობს? — ჰეითხა ერთხელ უფროს ზანდაროვს უმოროსმა.

— დარდობს რომელია, კაცი აღარ არის, გათავებულია. მუშტის ოდენა გახდა!

— ჴო, სულ ერთიანად გამოიცვალა, საწყალი.

ფირუზამ გრიგოლს შეუბლვირა, დატუქსა:

— გეცოდება? გამოუცდელობას ნუ იმჩნევ, ეგ სოვდაგრობის ნიშანი არ არის. მაგალითებირამდენიც გინდა, იმდენი ვიცი. ჯერ შენ დაბადებული სად იყვი, მე რომ ქარვასლებში დავდიოდი?!

ფირუზას დატუქსვას გრიგოლი თვინიერად იტანდა, არც ახლა შეიმჩნია წყენა, სიტყვა ისევ ფერშანგოვზე ჩამოაგდო:

— თუ ქალს მართლა დარდობს, მაშ, მალე სახლშიც მიიყვანს.

— მე რომ ერიჭაში არ ვუდგე, ეგ აქამდიც მოხდებოდა. მაგრამ ვერა, ვერ ელორსება იმის ნახვას. მაგას ეხლა ელდა უნდა, ელდა! ერთმა ფარატინა ქალალდმა მავანი ქეთხუდა აქლემების ქვეშ გააგორა. ჰმ, ელდა!

უკანასკნელი სიტყვა ფირუზამ თითქმის ხმამაღლა წამოიძახა. გრიგოლმა შემფოთებით გაიხედა კარებისკენ, ეშინოდა, რომ ბედის თამაშით განებიერებულ და გათამამებულ ფირუზას ზედმეტი რისკი არ გაეწია. ეშინოდა, რადგან ქარვასლის დატოვება და ისევ დუქანში დაბრუნება არ უნდოდა. თანდათან უძლიერდებოდა ფულის სიყვარული, გამდიდრების წყურვილი და სახელის მოხვეჭის სურვილი. მაგრამ სიფრთხილეს ფირუზას ეერავინ ასწავლიდა. სადაც ხიფათს დაყნოსავდა ხოლმე, იქ გაცლას ვერავინ მოასწრებდა. მთვარესავით პირგაბადრული, სახეუინულლიანი, ფირუზთვალება, პირმომცინარე და სალმიანი ფირუზა ქარვასლებში უფრო ქეთილ ადამიანად მიაჩნდათ, ვიდრე მუდამ პირქუში, გულჩათხრობილი და უკმეხი ფერშანგოვი. მრავლის მნახეველნი ახლა მხოლოდ იმას უცდიდნენ, თუ როდის წააქცევდა კრიუანგი, ხარბი და გაუმაძლარი სოვდაგარი მიამიტად მოტყუებულ კუკიელ მედუქნეს და ზედ მის ახალგაზრდა და ლამაზ ნათესავსაც მიაყოლებდა.

ოთახში ფერშანგოვი შემოვიდა. ზანდაროვები გაჩუმდნენ. ანგარიშის ნუსხებზე თავები დალუნეს. სოვდაგარი მათ თავის დაკვრით მიესალმა. თავის მაგიდასთან მივიდა. დავთარი გადაშალა, მაგრამ რაღაცაზე დაფიქრებულს

დავთრის ყდა ხელში შერჩა. დიდხანს გაუნძრევლად იდგა, მერე ბოლოის ცე-  
მას მოჰყვა. ოჩხუბებს თავის დაკვრით გამოემშვიდობა და ოთახიდან გავიდა.

უმცროსში ზანდაროვმა თვალი გააყოლა, მხრები გაევირვებით ასწია და  
თქვა:

— მაზანდის და ანგარიშის ნუსხები ავინყდება. სადაც არის, ვაჭრის ქუდი  
თავიდან გადმოუვარდება!

უფროსი ზანდაროვი ალტაცებით მიაცერდა თავის შეგირდს, ფირუზი  
თვალები გაუბრნყინდა, ნიაზით ჰქითხა:

— შენ ეგ სიტყვა ვინ გასწავლა?

— ბაზარში ვისწავლე, სხვაგან სად უნდა მესწავლა?

გრიგოლმა მაიკო კურტანიძე არ დაასახელა. ფირუზას კურტანიძეები არ  
უყვარდა, მაიკოს კი არ ენდობოდა. ფირუზამ გაიცინა:

— აი, ეხლა კი ქალაქურად უქცევ, ყოჩალ, ბიჭო! მე მიმადლოდე, ეაცად მე  
გაგხადე!

გრიგოლმა არაფერი უპასუხა. ნიხრის, მაზანდისა და ანგარიშის ნუსხებს  
მოუბრუნდა.

ალარც ფირუზას ეცალა მისთვის, გუნებაში შეშფოთებული ფიქრობდა:  
„ნეტავი ჩემი ოჩხუბი სად წავიდა? სეირნობა იმას არ უყვარს, ქარვასლას  
არ შორდება, თუ დავთრები არ გასინჯა, ისე ფეხს არ მოიცვლის. მაშ, სად  
გაქანდა? სად წავიდა?“ ფირუზამ კეთა მოიფხანა. მერე ქუდი დაიხურა და  
თვითონაც ოთახიდან გავიდა.

გრიგოლმა მას თვალი გააყოლა, დავთრის ფურცლებზე ხელები დაანყო და  
ჩაფიქრდა.

## 2. გველის ღობე (გაგრძელება)

— სანთელი აინთეთ, დამენახვენით, გამაძლეთ თქვენი ყურებით,  
გამიგრილეთ დამნვარი გული! რალას აგვიანებთ! სანთელი, ჩეარა  
სანთელი აანთეთ!  
ლავრენტი არდა ზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“

ქუჩაში გასული ფირუზა ფერშანგოვს დაედევნა. ისე მისდევდა, რომ არც  
ახლოს მისულიყო მასთან და არც თვალიდან დაეკარგა.

ბოლო ხანებში ფერშანგოვი ბურნუთოვის სახლს შორიდან უტრიკალებდა,  
შორიდან უვლიდა. ფირუზას ეჭვი გამართლდა. თავს საზრიანობას უქებდა,  
ქარვასლიდან დროზე გამოსვლას უნონებდა. სოვდაგარმა ბურნუთოვის  
სახლისკენ მიმავალი ქუჩისკენ გაუხვია, აშეარა იყო, ფერშანგოვი ბურნუ-  
თოვის სახლისკენ მიდიოდა.

ფირუზას უნდოდა ქუჩა გადაერბინა, ოჩხუბისთვის ნინიდან მოევლო, მაგრამ გვიანდა იყო. სოვდაგრის კენ მისი საკუთარი ქალი მოდიოდა. უფროს ზნდაროვს კინაღამ გული გადაუტრიალდა, როცა ქუჩაში მომავალი შუმანი დაინახა.

ახლა მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩებოდა: თუ მამა-შვილი ერთმანეთს გამოელაპარაკებოდნენ, ფირუზა დაუყოვნებლივ მათთან გაჩნდებოდა, ლა-კარაჟში ჩაერეოდა და ნათესაური გრძნობის მოზღვავებას ხელს შეუძლიდა. ჟუმანის მამასთან შეარცხვენდა, უსაყვედურებდა, ლაპარაჟს არც ერთს არ დაუკლიდა და იმდენს იზამდა, რომ მოტყუებულ სოვდაგარს მოუნელებელი შეურაცხყოფა და დამცირება გახსენებოდა. მაგრამ მანამდე მამა-შვილს ერთმანეთთან ლაპარაჟი არ უნდა მოესწოროთ. თავიდა თავი ეს იყო. თუ ისინი ერთმანეთს უსიტყვოდ გადაეხვეოდნენ და შერიგდებოდნენ, ასეც ვარაუდობდა ფირუზა, თვითონაც ოჩხუბს გადაეხვეოდა და ქალთან შერიგებას მოულოცავდა. უფროსი ზანდაროვი იმითაც იყო განთქმული, რომ მასავით არავის შეეძლო ბალდადის გაძლა და ცრემლების დალვრა. ახლაც ყოველი შემთხვევისათვის ბალდადი ხელში ეჭირა. თუ საქმე მის სანინაალმდეგოდ შეტრიალდებოდა, დაუყოვნებლივ ლვინის მოსატანად გაიქცეოდა და შინ დაბრუნებული სოვდაგრის ქალის სადლევრძელოს დალევდა; მარცხს დროებით შეურიგდებოდა, ფერშანგოვის უკან ისევ ერთი ნაბიჯით ჩამორჩენილი ივლიდა, სანამ მარჯვე დრო დაუდგებოდა და ოჩხუბს ახალ მახეს დაუგებდა.

უფროსმა ზანდაროვმა ვითარება ყოველმხრივ ანონ-დანონა. სახლის მოფარებული კუთხიდან შუა ქუჩაში გავიდა.

მაგრამ მამა-შვილის შეხვედრა სულ სხვანაირად მოხდა, ვიდრე ფირუზა ფიქრობდა ან ვარაუდობდა.

სოვდაგარი შვილისკენ გაუბედავი ნაბიჯით მიდიოდა. სახეზე ხან ყოყმანი ეხატებოდა, ხან მტკიცე გადაწყვეტილება. ენაზე ისევ „შვილო შუმანიკ“ ადგებოდა და პირიდან არ ამოსდიოდა. ხელებს ისევ მოსახვევად შლიდა და უკანვე უვარდებოდა. მამა-შვილმა ერთმანეთს უცხოსავით ჩაუარეს, ერთმანეთს პირი მოარიდეს, ხმა არ გასცეს, სოვდაგარმა გზა განაგრძო. არც გაჩერდა, არც უკან მოიხედა. მხოლოდ შუმანიკი მოტრიალდა, მხრიდან კალათა ჩამოილო და ფეხებთან დადგა. დიდხანს უყურა ნინ მიმავალ მამას, რომელსაც თავი მხრებში ჩაეძვრინა და ფეხებს ძლივს მიათრევდა. ასე დაბერებული მამა მას არ ახსოვდა. თავი გადაიქნია. მოსახვევის ბოლოთი თვალზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა. კალათა ისევ მხარზე შეიდგა და გზა განაგრძო.

გაკვირვებულ ფირუზას ბალდადი ხელიდან გაუვარდა. გვიან მოაგონდა მისი ალება. ერთ ადგილზე გაშტერებული იდგა. ისეთნაირად იყო დალლილი, რომ სიხარულს თითქმის არ განიცდიდა. ამიტომ არც დაულილინებია, არც დაუმდერებია, როგორც ეს დიდი საქმის მოგების დროს იცოდა ხოლმე. შუბლიდან ოფლი ბალდადით მოიწმინდა, გატრიალდა და ქარვასლის კენ გასწია.

### 3. გველის ღობე

(გაგრძელება)

შეჩერდით, ბატონი, ღვთის გულისათვის! თქვენ მე დამღუპავთ  
ალექსანდრე დოუმა, „პენრი III და მისი კანი“

ქუჩის მოსახვევში ფერშანგოვი ჯერ შეტოვდა, მერე ნაბარბაცდა. გული  
ხელით დაიჭირა, თვალებზე ბინდი გადაეკრა, ცხვირით ჰაერს დაუწყობისა,  
სუნთქვა გაუჭირდა. გამვლელებს საწყლად შეხედა, თვალებით დახმარებას  
და შველას თხოულობდა, მაგრამ მდიდარ სოვდაგარს მოკრძალებით ყველა  
გვერდს უვლიდა, შორიდან აძლევდა სალამს. ახლო ნაცნობი ქუჩაში არა-  
ვინ ჩანდა. ერთ ადგილზე გაჩერებულმა სოვდაგარმა, როგორც იყო, გული  
მოიბრუნა. ქუჩის პირზე სახლების კედლებს ლასლასით გაჰყვა, შინ ძლივს  
მიუართუატდა. სადარბაზო კართან ჩამოკიდებული ზარის ტარი გაჭირვებით  
ჩამოსწია. კიბეზე მხარში შემჯდარმა მსახურმა აიყვანა. მშიერი იყო, მაგრამ  
შინ მისულმა პურს პირი არ დააკარა. ჯერ შეამცივნა, მერე ცხელმა ოფლმა  
დაასხა. შეშინებულმა მსახურს ტანსაცმელი გაახდევინა და ლოგინში ჩანვა.  
ყველას გაუეეირდა, რადგან სამოც ნელს მიღწეული მელქო ფერშანგოვის  
ავადმყოფობა ჯერ არავის გაეგონა.

ახლა ერთ ოთახში ავადმყოფი ცოლი ინვა, მეორე ოთახში — ავადმყოფი  
ქმარი. დედაბერმა შეიღლსაც ექიმბაშები და მარჩიელები მოუსია ავგაროზე-  
ბით და ბალახბულახებით. სოვდაგარი თავის ტკივილს უჩიოდა, მისმა  
დედამ ეს შაკის დააბრალა, შუბლზე დედაბრული ხელით დაბლაჯნილი და  
გამოლოცვილი ქალალდი დააკარა და ხილაბანდი მაგრად შეუკრა. უარესად  
გაავებული დედაბერინამდაუწუმრძალს სწყევლიდა, შვილის ავადმყოფობას  
მას აბრალებდა.

თეთრი ლიზა ყოველ სიტყვაზე დედაბერს თავს უქნევდა. ცეცხლზე  
ნავთს ასხამდა.

ფირუზა ზანდაროვიც ყოველდღე ფერშანგოვების სახლში იჯდა. მთელ  
დღეს ავადმყოფი ოჩხუბის გვერდით ატარებდა, სარეცელთან უჯდა და  
განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. მხოლოდ მაშინ ჩუმდებოდა, როცა ოთახში  
ვინმე შემოდიოდა.

ავადმყოფის თავთან, შავი ხის პატარა მრგვალ მაგიდაზე სამელნე იდგა,  
სამელნის გვერდით სანერ-კალამი და სუფთა ქალალდების დასტა იდო.

უფროსი ზანდაროვი ლაპარაკის დროს ხელს ხშირად იშვერდა ხოლმე ამ  
მაგიდის კენ, თან ათასნაირ მაგალითს იმონმებდა და ფერშანგოვს ერთსა და  
იმავეს ეუბნებოდა:

— ავად ვინ არ გამხდარა და მორჩინილა, მელქოჯან, მაგრამ თადარიგი  
უნდა დაიჭირო. არავინ იცის, ცხოვრებაში უის რა მოელის, ამ ნუთისოფელს  
ვინ შეაბერდა, რომ ჩვენ შევაბერდეთ? სიკვდილ-სიცოცხლეა, დღესა ვართ,

ხეალ აღარ ვიქნებით. არ გაგიგონია, დღეს დიადემაში, ხვალ სუდარაშიო. უკადჟოფობა, ამას რაღაც თქმაუნდა, მალე გავიკლის, მაგრამჩემსავით ხნიერი კაცი ხარ, ანდერძი უნდა დაწერო. მე ხომ ფეხზე დავდივარ, მაგრამ ანდერძი უცხვდნერილი და დაბეჭდილი მაქვს. არც თეთრი ლიზა დამვინყებია და არც ჩემი ჯარვი ნათესავი გრიგოლ ზანდაროვი. შენც ისე მოიქეცი, როგორც მე გორჩიე, ნოტარიუსსაც ისე დაანერინე. აბა ერთი მითხარი, მელქოზან, ჩემი სოტყვაშენთან რაში გამტყუნებულა? ამდენი მოგება, არ ვიცი, წინათ გქონდა თუ არა, მაგრამ ეხლა ქარვასლაში ჩვენისთანა ფულს არავინ არ იგებს. დავთარი აქ არ არის? ანგარიში აქ არ არის?

ფერშანგოვითავს უქნევდა თავის ოჩხუბს. უფროსი ზანდაროვი მართალს ამბობდა. მოგებით სოვდაგარი კმაყოფილი და გახარებული იყო. სოვდა-გრიბაში ფირუზას ღალატი ფიქრადაც არ მოსდომდა. აქ მას, მისი აზრით, ყველა გზა შეკრული ჰქონდა. ამიტომ ოჩხუბს ყურადღებით უსმენდა, ოლონდ ფიქრისთვის დროს თხოულობდა. თან შიშით იხედებოდა შავი ხის პატარა, მრგვალი მაგიდისკენ. ანდერძის დაწერა არ უნდოდა, სიკვდილის ეშინოდა.

ქარვასლაში დაბრუნებულ ფირუზას უმცროსი ზანდაროვი ერთსა და იმავეს ეკითხებოდა:

- როგორ არის საქმე, ფირუზჯან?
- ლოგინი მაგრათ გავალესინეთ. ჯერ ეს არის. დანარჩენი მერე იყოს. ყოყმანობს, მაგრამ სად წაგვივა?

დიდ ხუთშაბათს ფერშანგოვმა ნოტარიუსი თავისთან დაიბარა. მისი კარ-ნახით ნოტარიუსმა სუფთა ქალალდების დასტა შეავსო.

დაწერილი ანდერძი ფერშანგოვმა ჯერ მას მარცვალ-მარცვალ წააკითხა, მერე თვითონაც სათვალეები გაიკეთა, დაწერილი ყურადღებით ჩაიკითხა. ანდერძის ქალალდები ხელში დიდხანს ატრიალა და ბოლოს ბალიშს ქვეშ ამოდო. ფირუზა კინალამ შეხტა, როცა ფერშანგოვმა ნოტარიუსი დაითხოვა და ფიქრისთვის დრო მოითხოვა.

იმ დღიდან ფერშანგოვი, როცა კი მარტო რჩებოდა, ანდერძს გულდასმით კითხულობდა. ფირუზა ხმას აღარ იღებდა. ეშინოდა ზედმეტ ლაპარაკში რამე არ წამოსცდენოდა და სოვდაგრისთვის ეჭვი არ აელებინებინა.

ორი კვირის შემდეგ თვითონ ფერშანგოვმა გაიხსენა ნოტარიუსი. გაოცებულმა და ცოტა დაბნეულმა ფირუზამ იმნამსვე მსახური აფრინა მის მოსაყვანად.

დილით დაბარებული ნოტარიუსი მხოლოდ საღამოთი გაისტუმრეს. ფერშანგოვმა ახლაც ხანგრძლივი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ მოანერა ანდერძს ხელი.

გახარებული ფირუზა ქარვასლაში გრიგოლ ზანდაროვთან გაიქცა.

- ვის უმტკიცებს? — ჰერთხა გრიგოლმა.
- ვისთვის უნდა დაემტკიცებინა? ცოლს და ქალს დაუმტკიცა. დედასაც წილი დაუდო მემკვიდრეობაში.

— ჯობდა, დედისთვის დაემტკიცებინა, — თქვა დაფიქრებულმა გრი. გოლმა.

— ფერშანგოვის დედას ვერსაიდან ვერმივუდგებით, ორმოცინელინადის სოვდაგრის დედაა. მაგის ფიქრს შენ ვერ დამასწრებდი, ეგ რომ ჩვენთვის სასარგებლო ყოფილიყო. ფერშანგოვის ცოლი ქმრის საქმეში არ ერევა, ქალი ხომ სულ გამოუცდელია. მაგათ უკეთ მივუდგებით, ადვილად დავიყოლიებთ.

— შეილიშვილები?

— მაგის გადაწყვეტა ფერშანგოვმა ქალს მიანდო, ოლონდ ერთი პირობით, ნოქრად ნამყოფი ფილის ახლოს არ უნდა გაიკაროს.

ზანდაროვებმა ერთად გაიცინეს.

— აქეუნად შენ დაგნიშნა! — მოულოდნელად ჩაურთო ლაპარაკში ფირუზამ, რათა მის შეგირდს თუ ნაშეგირდალს მისი მთავარი გამარჯვება კარგად შეეფასებინა.

— ვინ ურჩია?

— ბართლომე კურტანიძემ და იმის ლრჯოლებიანმა ცოლმა მაიკომ. რას კითხულობ? განა ამისთვის არ დავრბოდი ყოველდღე ფერშანგოვთან?!

გრიგოლმა შუბლი შეჭმუხნა, მაიკოს გალანძლვა ითაკილა. ფირუზამ შეამჩნია, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. ხელები სიამოვნებით მოიფშვნიტა, კმაყოფილებით ნარმოთქვა:

— ეხლა კი სოვდაგარი ფერშანგოვი ვერსად გაგვექცევა, მალე სატირლად გავაშლევინებ ბალდად!

#### 4. ელდა

და კულადაცა მკითხავთ თქვენ, თუ რაისთვის არს კაცი უუნყლოესი ყოველთა იძვრისთაგან, პირსაზედა ამა ქვეყნისასა, ამად რომელ იგი  
არს ყოვლად უსამართლო.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, „ახლოით გაჩხრეუილი კაცი“

მელქო ფერშანგოვი მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ ნამოდგა ფეხზე. ქარვასლაში ზანდაროვები მას დიდი ამბით მიეგებნენ. სოვდაგარი მძიმედ, დიდვაჭრულად მიესალმა თავის ოჩხუბებს. მთელი დღე გაუნძრევულად იჯდა ანგარიშის ნუსხებთან და დავთრებთან. თითქოს ზედ დაჰკირკიტებდა, მაგრამ პირველივე ფურცელი ხელში ჰქონდა გაშემებული. დალვრემილი, თვალებ-ჩამქრალი და გაფითრებული გაქვავებულივით იჯდა. ფირუზამ რამდენჯერმე რალაც ჰკითხა, მაგრამ სოვდაგარმა ვერ გაიგონა. ფიქრებით იყო გართული. გრიგოლ ზანდაროვი თვალს არ აშორებდა მთავარი ოჩხუბის პირქუშ, ნაოჭებით გავსებულ, განაცრისფერებულ სახეს და თანდათან სიბრალული იპყრობდა. უნდოდა მასთან მისულიყო, მხარზე ხელი მეგობრულად მოეკიდა,

გამოყენების ზღვებინა, თანაგრძნობის სიტყვა ეთქვა, მაგრამ ფირუზასი ეშინოდა. თუ ისიც კარგად იცოდა, რომ მას ვეღარაფერს უძველებდა და ეს ოდესლაც ძლიერი და მეტოქეებისათვის საშიში სოფდაგარი ფირუზა ზანდაროვს ვე-ლისად გაექცეოდა.

ფირუზამ ჭუდი დაიხურა. გარეთ გავიდა. გრიგოლმა მას შემფოთებით გაა-ჭიათვალი. რაღაც ავის მოლოდინში ბატის ფრთა უკვე დანერილ სიტყვაზე გაუჩერდა, სტრიქონი ვეღარ გააგრძელა.

ცოტა ხნის შემდეგ ფირუზა ბლავილით შემოვარდა ოთახში. თავში ხელებს აუმდა და ბლაოდა.

— ვუი... ვუი... ვუი...

ფერშანგოვი დაფეხული ნამოვარდა, ხმა ძლივს ამოილო.

— რა იყო? რა მოხდა?

ფირუზა ჯიქურად მიადგა ენაჩავარდნილ ოჩხუბს და ულმობლად გიხალა:

— შეუბედურო! ეს არის, დამხრჩვალი შუშანიკა მეჩანგლეებმა მტკვრიდან გამოათარიეს. ვუი! ვუი! ვუი!

სოფდაგარმა ჯერ მარჯვენა ხელი გაიქნია ჰაერში, მერე მარცხენა ხელი გულისკენ ნაილო, სახე მოედრიცა, ყბა ჩამოუვარდა, თვალები უცნაურად გადაატრიალა და ოჩხუბების ფერხთით გაგორდა.

## 5. გევრვე

სოცოცხლე არის ბრძოლა შუქისა და წყვდიადის, მდაბლისა და დიადის, მშვენიერებისა და უხამსის. უგონიერესი ისაა, ვინც ამ ცხოვრების რიოშიდან ყველაზე მეტ მშვენიერებას გამოიტანს. ფრიდრიხ ბოდენშტედტი, „1001 დღე“

როცა ანუშამ ქმრის სიკვდილი გაიგო, მნარედ ამოიგმინა და სინანულივით დასკვდა გადაყვითლებული ბაგეებიდან:

— ბედნიერია მელქო, შუშანიკი ერთხელ მაინც ნახა...

შავებში ჩაცმული და მწუხარებისაგან უფრო მეტად გაშავებული დედამ-თილი რძალს რისხვით დაადგა თავზე და ყორანივით დასჩხავლა.

— ქმარი ამოიჭამე და ეხლა მაგას ამბობ? რაღა გიჭირს, რაც გინდოდა, მოახდინე. იმდენი ქენი, კრუსუნით და ოხვრით ჩემს მელქოს გული გაუხეთქე-ქა, აյი ავათ ბრძანდებოდი!

ექიმმა დედაკაცებს თვალით ანიშნა, გაავებული დედაბერი ოთახიდან გაეყვანათ. დედაბერმა თავი მაღლა ასწია. ექიმს ზიზლით გადახედა და ავად-მყოფი რძლის ოთახიდან ფოსტლების ფრიალით გაძუგმუგდა. თეთრი ლიზა ძუნძულით უკან გაჟყვა.

გრიგოლ ზანდაროვმა ბურნუთოვის სახლიდან, ფირუზას დავალებით, შუშანიკი მოიყვანა. ქალი მამის კუბოსთან მუხლებზე დაემხოდა გულსაკლავად ატორდა. განრისხებული დედაბერი ხალხს არ მოერიდა, ყვირილით ლანძლებას და წყევლას მოჰყვა:

— მამა ინაცვალე და ეხლა ტირიხარ? თვალებს ვის უბრმავებ? შენ აქ ვინ მოგიყვანა? რატომ სირცხვილით არ მოკვდი, როცა უბედური მამაშენის სახლში შემოხვედი. ღმერთმა არ გაგახაროს არც შენ, არც შენი შეილები. ისე დაიტანჯე, როგორც მე ვიტანჯები!

შუშანიკმა თვალებზე ხელები აიფარა. ყრუდ აქვითინდა. დედაკაცები მის დაშოშმინებას ცდილობდნენ, მხოლოდ თეთრი ლიზა უქნევდა თავს ფერშან-გოვის გაანჩხლებულ დედას, გვერდით ედგა და მის საამებლად ნუნუნებდა.

გაჯავრებულმა ფირუზამ ის განზეგაიყვანა, ხმადაბლა შეუტის, რომ სხვას არავის გაეგონა:

— გაგიუდი, დედაკაცო! ვის აპყოლიხარ, ვის ეგები ფეხქვეშ? მელქო ფერ-შანგოვის სიმდიდრის პატრონი შუშანი კია.

თეთრ ლიზას მეორედ თქმა არ სჭირდებოდა. იმნამსვე დედაკაცებში გაე-რია და გაკვირვებით ხელები გაშალა:

— ქა, ეს რა ბურიანგელი დააყენა! ცალეე რძალს უხეთქავს გულს, ცალეე შვილიშვილს. ისეთი რა მოხდა, რაც ჯერ არ მომხდარიყოს? რაც შესცოდა, ღმერთმა ისასკეცად გადაახდევინა. სანყალი ქალი მამის დასატირებლად მო-ვიდა. ქა, ქალზე უკეთ მამას ვინ დაიტირებს? რა კუყოთ, რომ უმძრახად იყვნენ.

პანაშვიდებზე თეთრი ლიზა შუშანიკს გვერდით ეჯდა, ფერშანგოვის გასვენების დროსაც იმის ხელი თავის ხელში ეჭირა, სასაფლაოზეც, როცა კუბოს სამარეში უშვებდნენ, მის გვერდით იცრემლებოდა და სასაფლაოდანაც დამნუხრებული ქალი სახლამდე მან მიაცილა.

დედაბერს ახლად დამარხული შვილი დაავინყდა და გაბრაზებული შორი-დან თეთრ ლიზას უბლვეროდა.

შუშანიკს უკან ვარდისმონა მოსდევდა.

დედაკაცებს ფირუზა და გრიგოლ ზანდაროვები სოვდაგრებთან ერთად მასლაათით მოსდევდნენ.

— შუშანიკს პატივისცემით უნდა მოექცე, — არიგებდა ფირუზა გრიგოლს, — ეცადე, თავი შეაყვარო, საქმეში გამოგვადგება. ვარდისმონასაც გაუშინ-აურდი. ქალბატონი, როგორც თეთრმა ლიზამ მითხრა, ძალიან ჰყვარების, იმის გულისთვის, თუ დასჭირდა, ცეცხლში შევარდება, წყალში გადავარდება.

გრიგოლ ზანდაროვმა წარბი უქმაყოფილოდ ასწია.

— ფირუზჯან, ჩემს თავს ისე არ დავახურდავებ, რომ მოახლეებს საარში-ყოდ თავი გავუყადრო.

· ფირუზას გაეცინა.

— არ მოგწონს, თორემ არც მაგ მოახლეზე იტყოდი უარს. ყური დამიგდე, მე შენ სულ სხვა რამეს გეუბნევი. მსახურების და მოახლეების დახმარებით

ბევრი საქმე გაკეთებულა. რასაც შენ ვარდისმონას ეტყვი, ის მაშინვე ქალბა-  
ფონს მოურბენინებს. ხელს რა გიშლის, რომ ვარდისმონასთან შუშანიკიაქო?

გრიგოლი გადაკრულად ნათქვამი სიტყვის აზრს მიხვდა და სახეზე ისეთ-  
ნაირად გადაეფინა იქედნური ლიმილი, როგორც ეს ფირუზა ზანდაროვს  
კონცეს მოტყუების დროს ემართებოდა ხოლმე.

## 6. ახალი მწერალება

**მარაშა ბეჭი უკვე ნილსა ჰყრის და პსნერს სახელთა თვისთა  
მსხვერპლთასა!  
გრიგოლ ორბელიანი**

შუშანიკი ავადმყოფ დედას თავს ევლებოდა. დღე და ღამეს მის სარეცელ-  
თან ასწორებდა. თან თავს აყვედრიდა, მე მოვუსწრაფე სიცოცხლე მამაჩემსაც  
და დედაჩემსაც, ეს პატიოსანი და გულკეთილი დედაკაცი, ამ მდგომარეო-  
ბამდე მივიყვანეო.

შვილის დაბრუნებამ და ალერსმა ანუშას გული გაუხარა, მაგრამ ფეხზე  
ვერ დააყენა. ქმრის უეცარმა სიკვდილმა უარესად გახადა. მისი დღეები და-  
თვლილი იყო. ექიმებმა ხელი დაიბანეს. მისი მორჩენის იმედი აღარა ჰქონდათ.  
ანუშა უსაყვედუროდ ეთხოვებოდა ამ წუთისოფელს. სანამ პირში სული ედგა,  
თავისიანებს ლოცავდა: ქალს, დედამთილს, შვილიშვილებს, ვარდისმონას...

იგი ჩუმად მიიცვალა. არავინ შეუნუხებია. წყნარად ამოიოხრა. თვალები-  
დან ორად ორი ცრემლი ჩამოენურა დამჭენარ ლოცებზე და სახეზე ნათელი  
რომ დაადგა, შუშანიკი მქუხარე ქვითინით დაემხო გაციებული დედის გვამს.  
დედამთილმა მიცვალებულ რძალს თვალები დაუხუჭა. თავის განუყრელ  
კრიალოსანში გლოვის ლოცვები გადათვალა და ბუტბუტით წარმოთქვა:

— შუშანიკ, ეხლა ჩვენ მარტო დავრჩით, ჩხუბის დრო აღარ არის!

შუშანიკმა მშობლების სახლში დაბრუნების შემდეგ პირველად შეხე-  
და მადლიერი თვალებით თავის დიდედას. მის უკან ვარდისმონა ცხარე  
ცრემლებით ტიროდა. დედაბერმა კრიალოსნის მძივებს ააყოლა ტუჩების  
ცმაცუნით წარმოთქმული ლოცვები.

ოთახში თეთრჩადრიანი დედაკაცები შემოდიოდნენ სამძიმრის სათქმელად,  
პირჯვარს ინერდნენ, ზოგიერთნი კი ისე იჩოქებდნენ, როგორც ეკლესიაში.

მალე თეთრი ლიზაც მოვარდა ტირილით და თავში ცემით.

ზანდაროვებმა ქარვასლაში გაიგეს ანუშას გარდაცვალების ამბავი. ფი-  
რუზამ ქუდი სიამოვნებით გაისწორა, კმაყოფილებით წარმოთქვა:

— ცოლი ქმარს გამოუდგა. ბებრუსუნაც მალე დაედევნება. შუშანიკაჩვენს  
ხელშია, ოღონდ ისე უნდა გავუფრთხილდეთ, ჩვენს მზეს ლოცულობდეს.  
სხვანაირად ფერშანგოვის ქონებას ვერ დავეპატრონებით.

გრიგოლმა არაფერი უპასუხა. თავი განზე მიაბრუნა, რათა ფლიდურად მომღიმარე ფირუზა არ დაენახა. ფირუზამ ეს შეამჩნია, მაგრამ არ ენყონა, გაიცინა და გრიგოლს ერთხელ კიდევ მოაგონა:

— ის, რაც ჩვენ მოვახდინეთ, ქარვასლაში ყოველდღე ხდება. რა ნავაგუთ? მე ფერშანგოვის ადგილი დავიჭირე ქარვასლაში, შენ ჩემი ადგილი დაიჭირე. მეტი ოჩხუბი არ გვინდა, არ გვჭირდება.

ქუდი დაიხურა, გრიგოლს მოუბრუნდა.

— ნავიდეთ. შუმანიკა მივუსამძიმროთ.

გზაზე დალვრემილ გრიგოლს ცალი თვალით ახედა, ხელი ჩაიქნია, უქმა ყოფილოდ გადაულაპარაკა:

— თუ შუმანიკი გეცოდება, დამცველად დაუდექი, ტყუილად ხომ არა ხარ მაგის აპეკუნი? — ლაპარაკის სალერლელი აეშალა და მის შეგონებას შეუდგა, — როცა დაობლებული ქალი დიდი სიმდიდრის პატრონი ხდება, ნათესავიც მტრად უხდება და ეკლესიაც. ეხლა მელქო ფერშანგოვის შორეული ნათესავებიც გამოჩნდებიან, ქონებაში წილის დადებას ეცდებიან, მაგრამ მაგათ ფერშანგოვის დედა დახვდება, თუ, რა თქმა უნდა, მალე თავის შვილს და რძალს არ გამოუდგა. კარგად ვიცნობ მაგ დედაკაცს. კერპი და თავნებაა. უფრო საშიშარი ეკლესია არის. მღვდელმთავრებს, მღვდლებს და ბერ-მონაზვნებს თვალი იმ ოჯახებზე უჭირავთ, სადაც მამაკაცები არ არიან. ქვრივ-ობლებს, მათი აზრით, დიდალი სიმდიდრის გაფრთხილება და მოვლა არ შეუძლიათ. ფული სოვდაგრებზე მეტად უყვართ. გასაკვირი აქ რა არის? განა ეკლესია-მონასტრებს ქარვასლები, ბაზრები, დუქნები, წისქვილები და მამულები არა აქვთ? ვახშის დადებასა და მომატებაში მონასტრის ბერებს ვინ აჯობებს? სულ იმას ცდილობენ, ქონებას ქონება მიუმატონ. ჯერ შენირვებით დაინყებენ, მერე, ვისაც შეუჩნდებიან, ქონების წილის დამტკიცება-საც მოსთხოვენ. სახეზე გატყობ, ხანდახან მე მამტყუნებ. შენ იმათ მიხედე, ვინც ღმერთის სახელით ვაჭრობს. მე ხომ ანაფორა არ მაცვია, დიდვაჭრის კაბით დავდივარ. ამით არც არაფერს ვამტკიცებ, არც თავს ვიმართლებ. შენ თვითონ ნახავ, როგორ გაავსებენ ფერშანგოვის სახლს ტერტერები და ბერ-მონაზვნები. აქ უკვე ჩვენს მარიფათზეა დამოკიდებული, რომ საწყალი შუშანიკი მღვდლებს და ბერებს არ გავაძარცვინოთ. ესეც იცოდე, როცა ადამიანს ცხოვრება უმძიმდება, ღმერთიც მაშინ აგონდება. ეს ეკლესის მსახურებმაც კარგად იციან.

უმცროს ზანდაროვს ღვთისმოშიმობა სოფლიდან ჰქონდა გამოყოლილი. დროგამოშვებით ეკლესიაში დადიოდა, სანთლებს ანთებდა და ლოცულობდა. მაიკო კურტანიძის გვერდით იჩიქებდა ხატების წინ. ოღონდ კარგად არ იცოდა, მაიკო კურტანიძის გამო უხაროდა ეკლესიაში სიარული, თუ იქ ღმერთისათვის საკუთარი თავის შესავეღრებლად დადიოდა. ერთი რამ კი მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცვული — ისე არ ადგებოდა და დაწვებოდა, რომ პირჯვარი არ გადაეწერა.

ფირუზას ეცინებოდა, რადგან თვითონ, იმის მიხედვით, თუ როდის ან კუსთან იყო საჭირო, პირჯვარს სამნაირად იწერდა.

— ეკლესიაში თეთრი ლიზაცი და ლრჯოლებიანი მაიკოც დარბის, — განვრძო ფირუზამ, — მაგრამ შენ თვითონ იცი, დახლში როგორები არიან! ყველაზე საშიში ის არის, თუ შუმანიკი ძალიან საწყალი გამოდგა.

გრიგოლ ზანდაროვს მოაგონდა, როგორ უთხრა მონაცემებაზე უარი შეუძლია, როცა მას, მამის სახლიდან გაქცეულს და უპატრონოს, ასიგნაციები შეაძლია. ისიც გაახსენდა, თუ როგორ მოთოქა მან თავისი მტკიცე ხასიათით გავეძული და გაანჩხლებული დიდედა, რათა ავადმყოფი დედა მისი ჩხუბისა და ნეევლისგან დაეცვა. გრიგოლმა ნაფიქრალი ფირუზას გაანდო. ფირუზა ჩაფიქრდა.

— ჰო, ეგ მეც შევამჩნიე. ჭკვიანი ქალი ჩანს, დაკვირვებული, ჭირგამოვლილი. თუ მაგისტრანთი ქალს თავს შევაყვარებთ, ჩვენს ნუსხებსა და ანგარიშებს ხელს ვეღარავინ შეუშლის.

როცა ზანდაროვები ფერშანგოვის სახლს მიუახლოვდნენ, ფირუზამ ბალდადი გაშალა, შუბლზე ხელი შემოირტყა, ზლუქუნ-ზლუქუნით შევიდა იმ სახლში, სადაც შეიდის თავზე მეორე მიცვალებული იყო დასვენებული.

კიბის საფეხურებზე, ტალანებში და დერეფნებში მიცვალებულის პატივ-საცემად მოსული ხალხი ირეოდა. ყველამ გზა დაუთმო მელქო ფერშანგოვის ოჩხუბებს. ფირუზას თვალებიდან მტკვარი ჩამოსდიოდა, თავის ნითურ, ცრე-მლებით დასველებულ ლაუღაუა სახეს ხან უკვე დამბალ ბალდადში მალავდა, ხან აქეთ-იქით იცქირებოდა და მხოლოდ ლირსეულებს უკრავდა თავს, იმათ, ვისიც ჯერ ეიდევე მინოდა ან მათგან სარგებლობას მოელოდა. უკან დალვრე-მილი და თავჩალუნული გრიგოლი მისდევდა.

იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა, ტევა აღარ იყო. ცხელოდა. მიცვალებულის თავთით და ფერხთით აუარებელი თაფლის სანთელი ენთო. სიცხის გამო ყველა ფანჯარა გაღებული იყო. ორ კელაპტარს შუა დიაკვანი მალალ საკურთხეველზე გადამლილ სახარებას გალობით კითხულობდა. ოთახში მხოლოდ დედაკაცები და ტერტერები იყვნენ. განუწყვეტლივ გაისმოდა ლოცვების დუდუნი და ზუზუნი, აბრიალებული სანთლების ტკაცა-ტკუცი. ტერტერების დანახვაზე გრიგოლს ფირუზას ნათქვამი სიტყვები მოაგონდა, თავი ასწია და იმას შეხედა, ვინც ოდესლაც გატაცე-ბით უყვარდა.

შუმანიკს დედის სიკვდილის სარეცელთან დაეჩინქა. ცრემლდამშრალს და ტირილით გაბრუებულს დაღლილი თავი სარეცლის კიდეზე დაედო. მის უკან ასასივით იდგა პირმოკუმული დედაბერი.

გრიგოლ ზანდაროვი თეთრი ლიზას გვერდით დადგა. იმან, რათა გრიგოლს გამოლაპარაკებოდა, ამოიოხრა და ჩუმად უთხრა:

— მაგ საცოდავს მთელი დღეა პირში ნაწილი არ ჩაუდვია, არც წყალი დაუ-ლევია. მე და ვარდისმონამ ვერაფერი გავაწყვეთ, ფეხზე ვერ წამოვაყენეთ.

გრიგოლმა თვითონაც უერგაიგო, როგორ მოხდა, შუშანიკეს მიუახლოვდა, მის ყურთან დაიხარა და მორიდებით ჩასჩურჩულა: „ჩემო დაო, ცოტა ხანს დაისვენე, ძალ-ღონე მოიკრიბე“. დედაბერი ოდნავ შეინძრა, ხელში კრისლო-სანი შეუთამაშდა. შუშანიკი მორჩილად ნამოდგა, გრიგოლს გაჟყვა. მათ უკან დედაკაცებმა ერთმანეთს გადაუჩურჩულეს:

— აი, ნახავთ, ჯეელი ზანდაროვი შუშანიკას ცოლად შეირთავს. აյი ერთხელ დანიშნულებიც იყვნენ! ეხლა რალა შეუშლით ხელს? გრიგოლ ზანდაროვი ლამაზი კაცია, შუშანიკი კი კატების ნათრევს დამსგავსებული, მავრამ ფერშანგოვის ქონებაზე უარს არ იტყვის.

დედაკაცების ნათქვამს ყველამ ხელი ჩასჭიდა. ჭორი ჯერ ფერშანგოვის სახლის ოთახებში, ტალანებსა და დერეფნებში, აივანზე და პარმალზე დაირხა, მერე ეზოში გავიდა, ეზოდან ქუჩაში, ქუჩიდან უბანს მოეფინა, დაბოლოს, მთელ ქალაქს მოედო.

როცა შუშანიკი მიცვალებულის ოთახში დაბრუნდა და ცხედრის სარეცელ-თან დაიჩინქა, დედაბერმაც მის გვერდით მოიყარა მუხლი, თავისი პატარა თავი შვილიშვილის თავთან ახლოს მიიტანა და ჩურჩულით ჰეითხა:

- გრიგოლმა რა გითხრა?
- მანუგეშა, წყალი დამალევინა.

— ეეთოლი და ზრდილობისანი ყმაწვილია. ფირუზაც კარგი კაცია, თავაზიანი, სალმიანი. ეგენი აფსუსები არიან თეთრი ლიზას ხელში. „ოპ, რა ცუდი ენა აქვს დიდედაჩემს“, — წყენით ნამოიძახა თავის გულში შუშანიკმა, რადგან მყისვე გაახსენდა მისდამი ყოველთვის ყურადღებიანი თეთრი ლიზა.

ამ დროს თეთრი ლიზა ერთი ფიქრით იყო გართული. დედაკაცების ჩურჩულით ნათქვამმა მის ყურამდეც მიაღწია, გაოცდა და დაიბნა. არ იცოდა, რა ეპასუხა ჭორიკანა დედაკაცებისათვის. ჩვეულებრივ ენაჭარტალა ქალის დუმილმა ჭორიც და ეჭვიც კიდევ უფრო გააძლიერა. თეთრმა ლიზამ ქმარს დაუწყო ძებნა. ფირუზა ზანდაროვი სოვდაგრებთან ერთად აივანზე იდგა. ცოლ-ქმარმა აივნის კუთხეში გააძეს ჩურჩულით ლაპარაკი.

— სულ არ მიევირს, რომ მაგას ლაპარაკობენ, — ეუბნებოდა ფირუზა თეთრ ლიზას, — მავრამ ბურნუთოვის სახლის მდგმური ზანდაროვებს რძლად აღარ ეკადრება!

ქუჩაში გამოფენილ ხალხში ფირუზამ აივნიდან ცოლს მარგალიტა დაანახვა.

— იმ ქალს ხედავ, ლიზაჯან?

— ქა, როგორ არა ვხედავ, კინტოები დაათრევენ, ეგ ყველამ იცის.

— ბურნუთოვმა მითხრა, რომ შუშანიკა მაგ ქალის დოსტი ყოფილა.

თეთრმა ლიზამ ნარბებიც ასწია და ტუჩებიც აიბზუა. ქმარმა გააფრთხილა:

— დედაკაცო, არამც და არამც, რაც გითხარი, ხალხში არ ნამოგცდეს, ფერშანგოვის დედასაც და ქალსაც პატივისცემით უნდა მოვექცეთ.

თეთრმა ლიზამ ჯერ დედაკაცებში დარხეული ჭორი გააქარნებლა, მერე დედაბერს შეურიგდა. დედაბერი გაკვირვებისაგან ისე გახდა, რომ ხელიდან

კრიალოსანი გაუვარდა. თეთრი ლიზა არ დაიბნა, კრიალოსანს დასწრედა და დედაბერს მონინებით მიაწოდა.

ფირუზამ ეს ფანჯრიდან დაინახა და მყისვე კედლისკენ მიტრიალდა, რათა შისი გაცინებული სახე არც ჭირისუფლებს შეემჩნიათ და არც სამძიმრისთვის გოსულთ. აივნის რიკულს გაჰყვა და სოვდაგრებს შორის ჩადგა.

მარგალიტა ისევ ქუჩაში იდგა, იმოდენა ხალხში, ალბათ, ისე არავინ არ განიცდიდა შუშანიკის მწუხარებას, როგორც მისი მოახლე ვარდისმონა და ქუჩაში მდგარი როსკიპი ქალი, რომელსაც ფერშანგოვის სახლში არავინ შეუშვებდა და ვერც თვითონ გაბედავდა შესვლას.

## 7. მარგალიტას გვარველი

მან ყვითელი ბილეთი იმის გამო მიიღო, რომ ჩემივე შვილები შიმშილით  
მეღუპებოდნენ, ჩვენთვის გასწირა თავი!  
თ. დოსტოევსკი, „დანაშაული და სასჯელი“

ტყვიისფერი ღრუბლები დაბლა ჩამოწოლილიყო. გაავდრებას აპირებდა. სუსხიანი ქარი უბერავდა. ხოჯევანქის სასაფლაოზე ხეები წელში იღუნებოდნენ. აბუზული ადამიანები მატურებს ეფარებოდნენ. ტერტერა საწყალობლად ღალადებდა, თან დროგამოშვებით მოქუფრულ ზეცას ავლებდა თვალს.

ყველაზე თვალსაჩინო ადგილას ფირუზა ზანდაროვი იდგა გაშლილი ბალდადით ხელში. თვალებიდან გაზაფხულის მტკვარივით შეუჩირებლივ სდიოდა ცრემლი; ისეთნაირად ზლუქუნებდა, რომ ყველას უნებურად ცრემლი ადგებოდა თვალზე.

გიგა შორიახლო ტორტმანებდა. სახეზე მინისფერი ედო და თავს მაღლა არ იღებდა.

თეთრ ლიზას ფერშანგოვის დედის მკლავი ეჭირა და ხელს არ უშვებდა, რათა მისი ადგილი სხვა დედაკაცს არ დაეჭირა.

გამტკნარებულ შუშანიკს ცრემლი გაშრობოდა. სასომიხდილი დაჟურებდა დედის ცხედარს. უკანასკნელად გაისმა მისი ჩახლეჩილი კივილი და გულისმომკვლელი ძახილი: „მაირიკ! მაირიკ!“

ჭირისუფლები დედაკაცებმა განზე გაიყვანეს და ერთი საფლავის გრძელ ქვაზე დასვეს.

კუბოს ფიცრებზე ბელტების რახარუხი ატყდა. შუშანიკმა თავი ხელსახოში ჩარიგო და მნარედ აქვითინდა.

უცებ ყრუ სიცილი გაისმა. მატურებს შორის დაფეხებული მარგალიტა დარბოდა. უკან კინტოები მოსდევდნენ. ისინი ჯერ ხმადაბლა ცდილობდნენ მის განზე გატყუებას, მერე ყიუინა დასცეს, ნადირივით დამფრთხალმა მეძავმა

არ იცოდა, როგორ ეშველა თავისთვის; სასაფლაოზე მოსულ პატიოსან ხალხს ვერ ეკარებოდა, გასაქცევი გზა კი შეერული პქონდა.

სოვდაგრები ავხორცული ღიმილით უყურებდნენ სეირს. დედაკაცები ქოქოლას აყრიდნენ მარგალიტას.

— რას იპრანჭები, ღამაზო?

— იქთ გაუხვივ და მორჩა.

ერთმა ახმახმა კინტომ მარგალიტას თავიდან ქუდი ვადაუგდო, ნელგე ხელი შემოხვია და ისე დაითრია, როგორც ყასაბი დასაკლავ ცხვარს ითრევს ხოლმე.

სოვდაგრებმა ხარხარი ატეხეს. სოვდაგრის ცოლებმა განითლებული სახეები განზე მიაბრუნეს.

შუმანიკმა დაიკვნესა და ნამოდგომა დააპირა. დედაკაცებმა ხელი სტაცეს.

ფერშანგოვის დედამ ავად ჩაილიმა და აბზუებული ტუჩებით თეთრ ლიზას გადმოხედა. ამანაც მისი გულის მოსაგებად თავი გადაიქნ-გადმოიქნია.

ანაზდად სოვდაგრებს „ვაჟ“ აღმოხდათ. გიგა ზანდაროვი ერთი ნახტო-მით ახმახი კინტოს ნინ გაჩნდა, მელავი ლონივრად გაიქნია და მაგარი სილა გაუშალა. მარგალიტა ხელიდან გაავდებინა. ახმახმა კინტომ ბრგე ვაუკაცს მტრულად ახედ-დახედა, მაგრამ ხელი ვერ გაანძრია. ერთმა ყვიციანმა კინტომ გიგას ნინ შემოურბინა, განვრილებული ხმით მიაძახა:

— დღე შენია, ღამე — ჩვენი, ჩასპანდო, არ გინდა, ქალაქის ქუჩებში გაი-რო?

გიგას კინაღამ გაეცინა, ხელი მაღლა ამართა. ყვიაიანმა კინტომ ელამი თვალი შიშით შეანათა, გაიძურნა და მატურებს შორის დაფანტულ კინტოებს თვითონაც უკან დაედევნა.

შუმანიკმა თავის ყოფილ საქმროს მადლობის ისეთი თვალებით გად-მოხედა, რომ გიგას რაღაცნაირად გაახსენდა თავისი უკვე დავინყებული სიყვარული.

— ჯერ ისევ გაუხედნავია, — ჩაიბუზლუნა ფირუზამ. სოვდაგრების გასა-გონად კი ხმამაღლა თქვა: — არ ვიცი, სხვის საქმეში ცხვირს რათა ჰყოფს?!

— ახალგაზრდაა, ფირუზან, ჯეელი სისხლი უდულს, — თანაგრძნობით უთხრეს სოვდაგრებმა, — დადინჯდება და ხელს უბრალოდ არ გაისვრის.

ხელად გაიმართა სოვდაგრული სჯა-ბასი და ამის შესაფერისი შენიშვნები.

— მაგან არ იცის, რომ სხვისი მაცხონებელი, უცხონებელი კვდება! — თქვა ერთმა.

მეორემ წყალობასავით გაიმეტა:

— მიიკითხ-მოიკითხავს და გაიგებს! ნათქვამია, კითხვის-კითხვით კაცი თეორანს ნავაო.

მესამემ გაიკვირვა:

— მაგას რა გზის გაგნება უნდა, გაგნებული აქვს და ეგ არის!

მეოთხემ დაუდასტურა:

— ქარვასლაში მაგასავით ვინ ირჯება!

სხვები თავიანთი აზრიდან ფეხს არ იცვლიდნენ, ყაყანით ერთსა და იმავეს გაძახოდნენ:

— სოვდაგარჩა ასეთ საქმეში უბრალოდ ხელი არ უნდა გაისვაროს!

წვიმაშ ნინნ კვლა დაიწყო. ტერტერამ ქოლგა მოიმარჯვა და თავდალმართისენ გაქანდა. სხვებიც სირბილ-სირბილით დაეშვნენ თავდალმართი.

ფერშანგოვის დედას სიარული უჭირდა. თეთრ ლიზას ისევ მისი მკლავი უჭირა, მავრამ ნეღანდელი მონინებით აღარ ექცეოდა, ჩქარობდა და აჩქარებდა, ახალი თავშლის დასველება ენანებოდა.

გუბრან-ბატონის ხიდის ნანგრევთან გალმა ნაეტიკებით გავიდნენ და ანჩისხატის უბნისკენ გაუხვიეს. თეთრმა ლიზამ უკან მოიხედა. ფირუზა სოვდაგრებთან ერთად მოდიოდა. გიგა არა ჩანდა. გაუკვირდა, თან ენყინა კიდეც. ნათლობებში, ქორწილებში და ქელეხებში თვალტანადი გიგას გამოჩენა ბავშვივით ახარებდა. ახალგაზრდა ლამაზ მამაკაცს ყველანი შეფრთინვით უყურებდნენ. დარდიმანდები თავს ევლებოდნენ და მის დოსტოპას ჩემულობდნენ. დედაკაცები ნერწყვს ყლაპავდნენ. გოგოები ყაყაჩოსავით ნითლდებოდნენ. გაბრნყინებული თეთრი ლიზა თავმომწონედ იჯდა, თავის ყალბ დალალებს ისწორებდა და თავვის სოროსავით დალებულ პირზე კმაყოფილი ლიმილი უციმციმებდა.

თეთრი ლიზა თან ფერშანგოვის დედას მიათრევდა, თან უკან იხედებოდა, თან ზეცას შესცეკეროდა და წვიმის იშვიათ ნინნ კლებს თავს არიდებდა.

— ქა, რა დაგემართა? — გაბრაზდა ფერშანგოვის დედა, — რისა გეშინია? ვითომ ჯერ წვიმაში არ გივლია?

— მე ჩემი დარდი არა მაქვს, მაირიკუან! — არ დააყოვნა პასუხი თეთრმა ლიზამ, — მეშინიან ფეხი არ დაგისველდეს.

— არხეინად იყავი, — გულგრილად დაუბრუნა დედაბერმა, — მეც შენსავით ბევრი ტალახი ვზილე! ჩემი რძალი ანუშასავით ჩემს დედ-მამას აზიზად და ნებივრად არ გავუზრდივარ.

თეთრი ლიზა შეკრთა. ახალდამარხულ რძალს დედამთილი არც ახლა აკლებდა ავ სიტყვას.

— „მინამ გიყოს პირი, აჟანდე!“ — გულში დაწყევლა თეთრმა ლიზამ, — ეგრერამ გაგიქვავა გული? საწყალმა ანუშამ ისეთირა დაგიშავა, რომ აღარც მკვდარს უსვენებ?“ — ისევ მონინება გამოეხატა სახეზე, — აქეთ გადაუხვიოთ, მაირიკუან, აქეთ ჯერ მინა არ დასველებულა.

წვიმაშ სწორედ მაშინ დაუშინა, როცა ჭირისუფლები და ქელეხის სტუმრები ფერშანგოვის სახლის დიდ ეზოში შელაგდნენ. შეუა ეზოში გაჩაღებულ ცეცხლზე შილაფლავის უზარმაზარი ქვაბი იდგა, ოხშივარი ასდიოდა და ბრინჯში ჩახარშული მსუქანი ცხვრის სუნსაფრქვევდა. დამშეულ სტუმრებს უარესად მოშივდათ. გრძელი აივნის ქვეშ ჩამნერივებულმა ბიჭებმა ხელები

გადაბანინეს, მათს მხრებზე გადაგდებულ ფესტემალებზე შეინმინდეს, კიბუ აქტრისალეს, ოთახებში შევიდნენ, გაშლილ სუფრას დინჯად შემოუსხდნენ, ამონოხერეს, მაგრამ ცალი თვალით სუფრას ხარბად დააცეკერდნენ და ჯერ მხოლოდ თითო ყლუპი ღვინო მოსვეს. სანამ ტერტერას სუფრის თავში დას- ვამდნენ, ზოგმა კიდეც გაჰკრა ხელი შავ ხიზილალას, ნაცრისფერ ხრამულს და ყვითლად დამდნარ ზურგიელს.

თეთრი ლიზა კაცების ოთახისკენ გაიქცა.

ფირუზას ყურში ჩასჩურჩულა:

— ქა, გიგა სადღა არის?

ფირუზამ ცოლს შეუბლვირა. თვითონაც უკმაყოფილო იყო და გაბრაზე- ბული. ეს მის ჩურჩულითვე ნათქვამში მკაფიოდ გაისმა.

— არ იცი, ვისთან ეგდება?

— ქა, ამ დროს ვისთან უნდა იყოს?

— ხელმწიფის ცოლთან! — გააჯავრა ფირუზამ, — არ იცი, ვისთან დაეთრევა?

— ქა, რაღა მაკადარალა მაიკო! — ნამოსცდა შეძფოთებულ თეთრ ლიზას,

— მეორედ ეგრე რამ გადარია?

ფირუზამ ცოლს თვალები დაუბრიალა.

— დედაკაცო, ეგ არსად ნამოგცდეს. უარესად თავი არ შევირცხვინოთ.

— მაგდენი მეცვიცი, ფირუზჯან, შენ ეს მითხარი, დედაკაცებს რა ვუთხრა?

ფირუზა მოლბა. ცოლს ცბიერად გაუღიმა, თან შეეშინდა, თეთრ ლიზას არაფერი ნამოსცდენოდა. სწრაფად გადაულაპარაკა:

— მოვა, დარღი ნუ გაქვს.

— შენ ეგ საიდან იცი? გითხრა რამე?

— დახლიდარი აღარ არის, სოედაგარია. ჭკუა გაუჭრის, — თქვა და ცოლს

ზურგი შეაქცია.

თეთრი ლიზა ფეხის ნეერებზე შეტრიალდა და ქალების ოთახისაკენ გატუსტუსდა.

## 8. მერიამ-ბეგუმის სახლის სტუმრები

ნაყიდი სიყვარულის ცდუნებანი უფრო მიმზიდველია, ვიდრე  
სინამდვილე.  
ონორე დე ბალზაკი, „დეიდაშვილი ბეტტი“

სოედაგრებთან ლაპარაკით გართულ ფირუზას გიგა შეუმჩნევლად გაუსხლტა. ვანქს ნინ რომ ჩაუარეს, ახალგაზრდა ზანდაროვმა ორბელიანე- ბის უბნისკენ გაუხვია. დაფიქრებული მიდიოდა. ბოლო ხანებში სულ რაღაც ანუხებდა, ტანჯავდა და ანვალებდა.

ფერშანგოვების ოჯახში დატრიალებული უბედურების მონაწილე და გონიერებულივით იყო. სინდისი ქენჯნიდა. ფირუზა ზანდაროვთან შეხვედრის დღეს წყევლიდა. შემანიკა თვალს ველარ უსწორებდა. მისი გოდება გულს უკლავდა და სულს უმღვრევდა. ცდილობდა მისგან შორს ყოფილიყო, რათა მისი ხმამაღალი ურვა და სასომიხდილი ძახილი „მაირი! მაირი!“ არ გაეგონა.

თავდავინყებას იგი მხოლოდ მაიკო კურტანიძესთან პოულობდა.

ახლაც მისეენ მიიღო ტვორდა, რათა მის აფორიაქებულ სულზე მაჯლაჯუნასაეთ დაწოლილი ნაღველი თუ ბოლმა გულიდან როგორმე გადაეყარა.

ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. ეშინოდა, ფირუზა არ დასწეოდა და უკან არ დაეპრუნებინა. ყაბახი გადაჭრა, იესე მეფის საფლავს გასცდა და მტკვრის ნაპირზე ორსართულიან სახლს მიადგა. სახლი კლდის ქიმზე იყო ამართული. მისი ავანი და ფანჯრები მტკვარს გადასცეკეროდა. ნინა მხარეს ნუშის ტევრი კერა, რომელიც გარეთუბნის მთელ სიგრძეზე იყო გადაჭიმული, შემაღლებულ ბეჭობს მიჰყვებოდა და ზევით, მარმარილოს წყაროსთან მთავრდებოდა. უკანა მხარეს გულლია სახლი მაღალი აკაციებით იყო დაბურული. ახლომახლო სხვა სახლი არ მოჩანდა, არც ვინმე ჭაჭანებდა სადმე. ამ სახლში სახეზე პირბადეაფარებული ქალები მოდიოდნენ, მარტო ან მამაკაცების თანხლებით. მამაკაცებსაც საყელოები ყურებამდე ჰქონდათ ანეული, ხოლო ქუდები — თვალებამდე ჩამოფხატული.

ქალაქგარეთ, განმარტოებით მდგარი სახლი მერიამ-ბეგუმს ეკუთვნოდა. მისი ვინაობა და ეროვნება არავინ იცოდა. მუსლიმანად ითვლებოდა, მაგრამ მეჩეთში არასოდეს დადიოდა. სომხურად, თურქულად, სპარსულად და არაბულად თავისუფლად ლაპარაკობდა. ქართულიც მშვენივრად იცოდა, ოლონდ ცოტა ენას უკიდებდა. რუსულად ბორძიკობდა, მაგრამ ნათქვამს კარგად იგებდა და თვითონაც კარგად აგებინებდა (მის მუშტრებს შორის, თავზე ხელალებულ ოფიცირებს გარდა, მაღალი ნრის მოხელენიც იყვნენ და თანდათან ინაფებოდა). მერიამ-ბეგუმი ყველას იცნობდა, ყველასთან გაშინაურებული იყო და ყველგან დაძვრებოდა, რათა ლამაზი ქალი და გოგო არსად გამორჩენოდა.

სტამბოლში, თეირანში, ისპაპანში, შემაშიდაასტრახანში ნაცხოვრებ ქალს ბარონ როზენის დროს დროგამოშვებით დილეგში სვამდნენ და სულთნისა და შამილის მსტოვრობას აბრალებდნენ. ბოლოს მირზაჯანას ჩააბარეს და ქართველ არისტოკრატებში დაატრიალეს. თავდაპირელად მას აბანოების უბანში ერთ მიყრუებულ სახლთან ენთო ნითელი ფარანი, შემდეგ გარეთუბნისკენ განვულ არისტოკრატებს თან გაჰყვა. ჯერ ისევ გაუკაფავ ნუშის ტევრში სახლი აიშენა. არავინ იცოდა, რითი და როგორ, თამამი იყო, ურცხვი და მოურიდებელი, შემპარავი და ცბიერი, ხარბი და გაუმაძლარი. მთელ ქალაქში ფოსტის ცხენივით დარბოდა და ქორფა გოგოებს პოულობდა იმათვის, ვისაც არმიყობა ეზარებოდა, ანდა სიყვარულს ფულით ყიდულობდა.

მაიკო კურტანიძე და გიგა ზანდაროვი შემთხვევით მოხვდნენ მერიამ-ბე-  
გუშის სახლში.

ბართლომე კურტანიძე ხარაჩოდან ჩამოვარდნილიყო და ფეხი ეღრძო.  
თავზე ბაჯიაშვილი ადგა და მეურნალობდა. გიგა მაიკოს ხშირ-ხშირად  
ნახულობდა, მაგრამ ერთმანეთს ვერ ეკარებოდნენ, საალერსო ადგილს ვერ  
პოულობდნენ. გიგა ალმოდებული თვალებით სჭამდა მაიკოს, გულში კი  
ბართლომე კურტანიძის დაუდევრობას აგინებდა.

არც ბართლომე იყო მოსვენებული. ბაჯიაშვილი ფეხზე შემოჭერილ ან-  
ტაშანს არ უხსნიდა, მოთმინებას ურჩევდა. ბართლომე ბუზლუნებდა, ჯიბის  
დანით ჩხირებს თლიდა და ამით ირთობდა თავს. მაიკოს სულ ცოცხი ეჭირა  
ხელში, ნათალს ჰგვიდა და ერთ კუთხეშიაქუჩებდა, რათა შემდეგ აქანდაზით  
გადაეყარა.

საყვარლის ყურება მაიკო კურტანიძეს აცინებდა და აფითრებდა კოდეც.  
კარებს უკან და მოფარებულებში კოცნა ახალგაზრდა ქალსა და კაცს ნყურ-  
ვილს ვერ უკლავდა. მაიკოს მხურვალე ტანი გიგას თავბრუს ხვევდა, იმის  
ძუძუების მიკარება თვალს უბნელებდა.

გახდა. გაფერმერთალდა.

მაიკოს გიგაც ეცოდებოდა და საჟუთარი თავიც, მაგრამ არ იცოდა, რა  
გზას დასდგომოდა.

გარეთ გადაუდებლად წვიმდა. ქალაქგარეთ ვერსად წავიდოდნენ. არც  
ზანდაროვების სახლში მიესვლებოდათ. გამდიდრებული და გადიდეკაცებუ-  
ლი ფირუზა ხალხის დალდალანს ერიდებოდა. თეთრი ლიზა სოვდაგრების  
ოჯახებში სარძლოს დაეძებდა თავისი მიამიტი მაზლიშვილისათვის.

ლოდინით მოძეზრებულმა გიგამ საყვარელს ძალლისუბნელი ზაქარას  
ოთახი შესთავაზა. მაიკომ შორს დაიჭირა. იმ ოთახში, დედამთილთან ერ-  
თად, ცხრა ძმას და ცხრა რძალს ერთ ტახტზე ეძინა. უარის სათქმელად სხვა  
რამეც მოიმიზეზა. მდიდარი ალაფის ცოლს ღარიბთა ქოხებში გამოჩენა არ  
ეკადრებოდა. თან ისიც გაიხსენა, რომ ღარიბები თავიანთი სახლის ზღურ-  
ბლზე მრუშობას ფეხს არ ადგმევინებდნენ. ძალლისუბნელი ზაქარას მსგავსი  
აძოლლანი ღარიბთა შორის თითო-ოროლა იყო, უმრავლესობა კი პატიოსანი  
ლუკმისათვის დებდა თავს და ცოლ-შვილში პატიოსნად ცხოვრობდა.

ეს გიგამაც კარგად იცოდა. თუმცა ღატაკი ქალის სილა ახლა მხოლოდ  
ბუნდოვნად აგონდებოდა. თავი ჩაპერიდა. გაოგნებულს ფირუზა გაუნყრა,  
ლანძლვითა და გინებით აიკლო. ქარვასლაში მაგრად დააბა.

ახლა მაიკო კურტანიძე აანრიალა გიგას უნახაობამ. მუდამ კრიალა სი-  
ცილი ტუჩებზე გაეყინა. გაბრაზებული ქმარს ნაეჩუბა, ფეხზე ნამოდვომას  
აჩქარებდა. ბაჯიაშვილი უარის ნიშნად თავსაქნევდა. დანის ნვერით სიპ ქვაზე  
თავის მალამოს ლესავდა, თან ულვაშებში მაცდურად ილიმებოდა.

ბართლომემ მაინც ნამოინია, მაგრამ ტკივილმა სახე დაუდრიკა, ბალი-  
შებზე უკანვე გულალმა გადავარდა. მეურნალს მუდარით შეხედა, ტკივილის

გაყუჩება სთხოვა. ბაჯიაშვილმა მხრები აიჩინა. ბართლომეს ისევ მოთმინება უჩინა... იარაღ-ნამლები ბოხჩაში გამოჰკრა, ცოლ-ქმარს თავი დაუკრა და არხეინად წავიდა.

მაიკომ ველარ მოითმინა. ერთხელ, საბამო ხანზე, ქარვასლიდან გამოპარული გიგა აივნის ბოლოში გაიყვანა, ნამონითლებულმა ნაუჩურჩულა:— ერთი სახლი ვიცი, გიგავან, იქა ვნახოთ ერთმანეთი.

ნამარხულევი გიგა დაუფიქრებლად დაეთანხმა.

მაიკო კურტანიძე ჩადრმი ისეთნაირად გაეხვია, რომ მხოლოდ ცალი თვალი და ორი ფეხსაცმელი გამოუჩნდა, ახალგაზრდა ზანდაროვი მას შორის სლოდან აედევნა.

ორივენი მერიამ-ბეგუმის სახლს მიადგნენ.

## 9. ეჭვიანობა

**ეჭვს ქვეშ დააყენეთ, თუ გნებავთ, თქვენი სიყვარულის საგანი, ქალი  
ან ძალლი. მაგრამ ნურასოდეს ეჭვს ქვეშ ნუ დააყვნებთ თვითონ  
სიყვარულს.**

**ალფრედ დე მიუსე, „საუკუნის პირმშოს აღსარება“**

როცა გიგა ზანდაროვმა მერიამ-ბეგუმის სახლში კარგად მიხედ-მოხედა და ცოტათი გონზე მოვიდა, ძველი ეჭვი განუახლდა, აბრიალებული ცე-ცხლივით შემოენთო და დასდაგა. საყვარელს ცერად დაუწყო ყურება. მაიკო კურტანიძემ უგუნებობა შეატყო. რაღაცნაირად ანრიალებული საყვარლის მიკიბულ-მოკიბული სიტყვებიდან იგი ზოგ რამეს გებულობდა, ზოგსაც გუ-მანით ხვდებოდა.

ფერშანგოვის ოჯახის უეცარმა დამხობამ მისთვის ყველაფერი გასაგები გახსადა. ახალგაზრდა ზანდაროვის უგუნებობა მან ფერშანგოვების ოჯახში დატრიალებულ უბედურებას მიანერა.

მაიკო კურტანიძეს ელიმებოდა, როცა გიგა ზანდაროვის ფერშანგოვის ქალის მეურვედ გახდომის ამბავი აგონდებოდა. აქაც ფირუზას ნახელავს ამჩნევდა. მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ ცბიერი მელიას ახალგაზრდა ნა-თესავი (მას გაგიუებით რომ უყვარდა) ამდენ ვერაგობასა და ბოროტებას ვერ გაუძლებდა, ვერ აიტანდა. ტანჯვას ამჩნევდა, მაგრამ ვერ უმსუბუქებდა.

საყვარელთან სოვდაგრული ლაპარაკი არ უნდოდა. ისიც ზანდაროვი იყო. ფირუზასავით ისიც ბართლომე კურტანიძის მეტოქედ ითვლებოდა. ამიტომ კურტანიძეების ანგარიშის და ნუსხების დავთარი მას იმისთვისაც დახურული ჰქონდა, ვისთვისაც თვით სიცოცხლესაც არ დაიშურებდა. სამაგიეროდ, საყ-ვარელს იდუმალ ჭმუნვას ვნებიანი ალერსით უქარვებდა. ამიტომ მორბოდა მასთან გიგა ზანდაროვი, ამიტომ მოილტვოდა მისკენ.

ქალი თავისი მიხვედრილობით ამაყობდა, თავისი ბასრი ჭკუის სჯერობა. ქალურ ალლოში გულდაჯერებული ვერც საყვარლის გვერდულად ჩურქ. ბას ამჩნევდა და ვერც იმას, თუ როგორ უბლვერდა იგი მერიამ-ბეგუმს. ამ გარეუნილი დედაკაცის მთელი გარეგნობა და მუდამ პირზე აკერებული ბილნი ღიმილი რეტს ასხამდა ახალგაზრდა კაცს, გუნებას უმდვრევდა. ეჭვს ისეთნაირად უძლიერებდა, რომ მზად იყო სატრფოს ყელში სცემოდა და აქვე მისთვის ყველაფერი ეთქმევინებინა.

ეჭვიანობის გრძნობა გიგას ფირუზასთან ერთად ჩადენილი ავეაცობის შე-გრძნებამ გაუნელა. თავიც დაავინყა და მაიკოც. ზარდაცემული დაიარებოდა. მომხდარ ცოდვას თუ დანაშაულს გაურბოდა, ემალებოდა.

ახლაც ამიტომ მირბოდა მაიკოსთან, რათა ყველაზე მახლობელ ადამიან. თან თავდავინყებას მისცემოდა, სულუბრალო რამეებზე ელაპარაკა, ოლონდ იმაზე არ ეფიქრა, რაც ტანჯავდა და აწვალებდა.

როცა გიგამ დაქირავებული ითახის კარი შეალო, უსიამოვნოდ შეიძმუშნა... ტახტზე მაიკოდა მერიამ-ბეგუმი ერთად ისხდნენ და კისეისებდნენ. მერიამ-ბეგუმი მაშინვე ფეხზე ნამოდგა, გიგას თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

მაიკომ საყვარელი შორიდან ყურადღებით შეათვალიერა.

— დამარხეთ? — ჰეითხა მან და თან თავის სიტყვას ირონიული პილპილი დააყარა.

გიგამ ხმა არ გასცა. ცხვირჩამოშვებული იდგა.

— ქა, რამ დაგამუნჯა? — შესძახა მაიკომ, — ბართლომე კურტანიძისაგან ხომ არ გადაგედო?

გიგამ არც ახლა გასცა ხმა. გაღებული ფანჯრისკენ მიტრიალდა. გადაეყუდა. მტკვარს გადახედა. მტკვარიც მასავით პირმოქუმული იყო, მღვრიე ზვირთებს მდორედ მოაგორებდა.

მაიკო მყისვე გვერდით ამოუდგა, მიეტმასნა, თავი მხარზე ნაზად დაადო. ამ ფანჯრიდან ერთად ყურება უყვარდათ. კუკის უბნისკენ იყურებოდნენ. ორთავე ერთსა და იმავეს ფიქრობდა. იქ, იმ უბანში, ნყლის ნისქვილების ზე-მოთ, იღებდა სათავეს მათი სიყვარული. პირზე მიამიტი ღიმილი უკრთოდათ და ერთმანეთს უსიტყვოდ ელამუნებოდნენ.

მაიკომ ფრთხილად შეავლო თვალი საყვარელს.

— ქა, რამ გაგაჯავრა, გიგაჯან?

გიგა მისკენ ჯიქურად მოტრიალდა, თვალი თვალში გაუყარა, მოულოდნელად პირში მიახალა:

— მერიამ-ბეგუმს შენ საიდან იცნობ?

მაიკო გაშრა. არ მოელოდა. ნაფიქრი და ნააზრევი ხუსულასავით დაენგრა. საყვარლის უგუნებობის მიზეზს მყისვე მიხვდა. თვითონვე დასცინა თავის ქალურ ალლოსაც და გუმანსაც, „ფირ! — ნამოიძახა გუნებაში ოდნავ შეშტოთებულმა მაიკომ, — ფირუზა ზანდაროვის გაზრდილის გულჩეილობა რა ტყუილად დავიჯერე!“

გიგა მას სუსხნანი სახით უყურებდა. მაიკომ ირიბულად გახედა. ეჭვიანობით დატანჯულ მის სახეს თვალი ჰქონდა. სიამოვნებისა და სიხარულის გრძნობამ ერთიანად აიტაცა, ტანში ურუანტელად დაუარა. გიგა ზანდაროვს უყვარდა, ნამდვილად უყვარდა, უყვარდა, რადგან ეჭვიანობით იტანჯებოდა.

ერთხელ კიდევ დარწმუნდა მაიკო, ერთხელ კიდევ გაიხარა.

— ამ დროს რაღაცნაირად მხიარულდებოდა. გიგასთან გათამაშება მოუნდა,

მისი გაჯავრება. პირზე გაევირვება აისახა.

— საიდან იცნობ-მეთქი? — მტკიცე ხმით გაუმეორა გიგამ.

მაიკო უარესად გაოცდა.

— არ ვიცი, ჩემგან რა გინდა, რას მეეგითხები?

— მერიამ-ბეგუმს სად შეხვდი? როდის შეხვდი?

— ქა, ეხლა ნათლობის ქალალდი მომთხოვე, შენ უკან რათ იხედები? ნინ იყურე. თუ აქ დამიჭერ, — გააღიზიანა მაიკომ, — ყოჩალ ეკაც დაგიძახებ.

ამ აგდებულად ნათქვამმა სიტყვებმა გიგას ეჭვს უფრო ძლიერი ცეცხლი წაუკიდა. სახე დაელრიჯა. ლამაზიდა მოხდენილი მამაკაცი უცნაურად დაუძნოვდა. ძლივს ამოთქვა:

— მითხარი-მეთქი...

— რა უნდა გითხრა, გიგაჯან? — მიესიყვარულა მაიკო. თან გულში გაიფიქრა: „იჰ, რა ტუტუცები არიან კაცები!“ მაგრამ ალელვებულ გიგას რომ შეხედა, შემინდა, თავისთავად წამოცდა:

— დიდი ხნის წინათ შევხვდი.

— როდის? სად? რათა?

— ერთ კაცს ვუნდოდი. მერიამ-ბეგუმმა მიპოვნა და იმ კაცთან მიმიყვანა. ზანდაროვი გაფითრდა.

— ვის უნდოდი? რომელ კაცს?

მაიკო წამოწითლდა.

— თავი დამანებე, არაფერსაც არ გეტყვი.

ზანდაროვმა ჯერ ზიზლით გადახედა მას, მერე ფანჯრის რაფაზე მიგდებულ ქუდს მისწვდა, გაქცევადაპირა. მაიკოს შიშმა სახე აულანდა, საყვარელს ყელზე ჩამოეკიდა, დაბნეულად ჰქითხა:

— სად გარბიხარ, გიგაჯან?

— მითხარი და დავრჩები.

— მრცხვენიან და რა ვქნა?

— მითხარი, მითხარი, რომელ კაცს უნდოდი.

— მირზაჯანას.

ზანდაროვს მიწისფერი დაედო სახეზე. საყვარელი ხელის კვრით მოიშორა, თავზე ქუდი დაიხურა და ზურგი ზიზლით შეაქცია. კარებისკენ გაემართა. რადგან ყველა ეჭვი დაიჯერა და მაიკოს სიყვარულსაც ჯვარი დაუსვა. მაიკო მისი ჩოხის კალთას მოეჭიდა, მუდარით შესძახა:

— მოიცა, გიგაჯან, მოიცა. ჯერ ხომ ყველაფერი არ მითქვია?

— კიდევ რა გაქვს სათქმელი? ამაზე მეტი რაღა უნდა მითხოვა? — თავის  
მოუბრუნებლად გადმოუგდო გიგამ. მის ხმაში ისეთი ზიზღი გაისმა, რომ  
მაიკოს კანკალი აუვარდა.

— გეტყვი, გიგაჯან, გეტყვი.

გიგა მოუბრუნდა. თვალებში ჩახედა.

— მითხარი.

— ჯერ ქუდი ფანჯარაზე დადე. ყველაფერს გეტყვი.

გიგამ ქუდი ფანჯარის რაფაზე მიაგდო, გულხელი დაიკრიფა, მაიკო კურ-  
ტანიძის აღსარების მოსასმენად მოემზადა.

— ჯანი გავარდეს, გეტყვი! — წამოიძახა დაწყნარებულმა მაიკომ, რადგან  
გიგას ქუდი ისევ ფანჯარის რაფაზე დაინახა, — მოდი, ტახტზე ჩამოვსხდეთ,  
გრძელი ამბავი მაქვს სათქმელი.

## 10. ხელმისაწვდომი სარჩის ამჩავი

იგი ლამაზი იყო, მაგრამ მის სილამაზეს სიცივის ელფერი  
გადაჰკრავდა; არც ერთი სახე ადამიანის ხასიათს ისე სასტიკად ვერ  
გამოამჟღავნებდა, როგორადაც მისი სახე ამჟღავნებდა.

ა. გერცენი, „განცდილი და ნააზრევი“

გიგა შორიდან მოუჯდა მაიკოს, ახლოს მიკარება არ უნდოდა. მაიკომ ეს  
შეამჩნია, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. მღელვარების ნატამალი აღარ  
ეტყობოდა, დაწყნარებული იყო და დამშვიდებული.

— სოვდაგრებმა ხელმწიფეს ქარვასლაში დიდი სადილი რომ გაუმართეს,  
ხომ გახსოვს?

ზანდაროვს გაუკეირდა.

— მახსოვს. ეგ რა შუაშია?

— სწორედ ეგ არის შუაში, გიგაჯან.

ზანდაროვმა წარბი ასწია.

— ხელმწიფეს, გიგაჯან, ლამაზი ქალები თურმე ძალიან ჰყვარებია, — და-  
წყო მაიკო კურტანიძემ, — იმისათვის რომ ესიამოვნებინათ, ქალაქში ლამაზ  
ქალებს ძებნა დაუწყეს. ამათი პოვნა მირზაჯანამ მერიამ-ბეგუმს დაავალა. სამი  
კნეინა შეარჩიეს და ერთი მდაბიო ქალი. მეოთხე სწორედ მე ვიყავი. აი, როდის  
შევხვდი მერიამ-ბეგუმს, გიგაჯან!

ზანდაროვმა არ დაიჯერა.

— ფიც! პატიოსან ქალებს, ისიც კნეინებს, მაგას ვინ აკადრებდა?

მაიკო კურტანიძე ისევ განითლდა, მაგრამ პასუხი არ დააყოვნა:

— პატიოსან ქალებს მაინცადამაინც არც ეძებდნენ. ხელმწიფეს ცოლს  
ხომ არა რთავდნენ? იმის გულის ბუხრისათვის უნდოდათ. პატიოსანი ქალი,

გიგაჯან, გაუხედნავ ცხენსა ჰგავს, გაუხედნავ ცხენზე ჯერ მეჯინიბეს სვამენ, მერე კი ვაუბატონებიც სხდებიან და მოსნონთ კიდეც. განა მაკა შენც ამიტომ არ მოგწონდა?! (ძველებურად უჩხვლიტა მაიკომ, მაგრამ არ გაიცინა, სერიოზული სახოთ განაგრძო), — ჰოდა, ოთხივენი მირზაჯანასთან მიგვიყვანეს.

— მერე, მერე, — დაინტერესდა ზანდაროვი.

— დოდხანს გვათვალიერა. ისე გვსინჯავდა, როგორც დალალები ცხენებსა სინჯავენ. რის დალალი, რა დალალი. შენც იცი, მირზაჯანა რითი სდებდა ქალს ფასა. გვიყურა და გვათვალიერა.

— მერე, მერე.

ზანდაროვი ახლოს მიუჩოჩდა მაიკოს. სახეზე ცნობისმოყვარეობაც ჰქონდა გამოხატული და რალაც ამაღელვებელი ამბის მოლოდინიც.

— მერე მე თითი დამადო. მე ამომირჩია.

ზანდაროვი აღელდა. აილენა.

— ქა, — გულწრფელი გაკვირვებით ნამოიძახა მაიკომ, — იმ მენისქვილეზე არა ეჭვიანობდი და ხელმწიფეზე ეჭვიანობ?!

ხელმწიფის ხსენებაზე ზანდაროვს რიდიც გამოეხატა სახეზე და ქვეშევრდომული აღტაცებაც. მაიკოს დაამტერდა. მის გვერდით ლამაზი ქალი იჯდა, პირმწყაზარი და თაფლისფერობალება. ზანდაროვი გაიბადრა. თავიამაყად მოიღერა. ახლა გულით უნდოდა თავის თავში ხელმწიფის ხარჭის საყვარელი აღმოეჩინა.

— მერე, მაიკო, მერე?

— მერე? დამინუნეს, გიგაჯან.

— როგორ თუ დაგინუნეს? — ენყინა ზანდაროვს.

მაიკო კურტანიძემ გულიანად გადაიკისკისა. თავისი ელვარე თეთრი კბილები გააკრიალა და ორი ლრჯოლი გამოაჩინა.

— აյი გითხარი, ცხენებივით გვსინჯავდნენ-მეთქი. პირები დაგვალებინეს, ჩემს ორ ლრჯოლს მოჰკრეს თვალი, ერთმანეთს სინაწულით გადახედეს და დამინუნეს. ეხლა ხომ გაიგე, საიდან ვიცნობ მერიამ-ბეგუმს?

— გავიგე, — იმედგაცრუებულის იერით ნარმოთქვა ზანდაროვმა.

მაიკო ისევ გამხიარულდა. ტახტზე გაგორდა და ცელქურად ნამოიძახა: „ვაჟმე, ჩემო კარალელო ჩალაო!“

ზანდაროვმა გაკვირვებით შეხედა.

— ეგ რალაზე სთქვი?

— შენი ძველი დუქნის ტომრები მომავონდა, გიგაჯან. ამ რბილ ლოგინს, თავი არ მომიკვდება, იმ დუქნის მარილის ტომრები მირჩევნია. რა ბედნიერი დღე იყო, გიგაჯან!

გიგამ ფართოდ გახელილი თაფლისფერი თვალები დაუკოცნა, მერე ნიაზით ჰკითხა:

— ეგ სიტყვები ვისი ნათქვამია, მაიკო?

— ეგ ყველა ქალაქელმა იცის, გიგაჯან. შაჟ-აბაზს თურმე ერთი კარალეთელი გოგო მიჰვარეს. აბრეშუმებში და ბუმბულებში ჩანვინეს. იმან კი ტირილი

მორთო და გულამოსკვნით ამოგმინა: „ვაჟმე,ჩემო კარალელო ჩალაო!“ ეგ  
ფეხებიდან მოცვეთილ ფირუზას შენთვის არ უამბნია?

— არა, არ უამბნია.

— მაშ, გიგაჯან! ასე კი ყოფილა. კარალეთელი გლეხის გომბიო შახის  
ხარჭად გახდა. ქვეყანაზე რა არა ხდება!

ზანდაროვი ისევ დაინტერესდა.

— მერე, შახს მოსწონდა ის გომბიო?

— მოსწონდაო? გოგო თურმე ჯერ კრთებოდა და რცხვენოდა, თან შიშით  
კანკალებდა. ხელმწიფის ლოგინში ყოფნა ხუმრობა ხომ არ არის! მერე ისეთ-  
ნაირად ჩაუგორდა, რომ სულ „პაუალუსტა“ აძახებინა.

— შახი სპარსულად ლაპარაკობს, მაიკო, — სერიოზულად გაუსწორა,  
ზანდაროვმა.

— ჰო, ეგ კი არ ვიცი, მაგას როგორ იტყოდა.

— ბეფერმაიდ, ბეფერმაიდ, — გაიხსენა ქარვასლაში ნასწავლი სპარსული  
ახალგაზრდა სოფელის გარმაზად.

— მართლა? ალბათ ეგრე იტყოდა.

— მერე, მერე, მაიკო? — აღარ მოეშვა ამ ამბით დაინტერესებული გიგა.

— მეტი რაღა უნდა იყოს, გიგაჯან? ხელმწიფის ლოგინშიც ისა ხდება,  
რაც მდაბიო კაცის ლოგინში, როცა გვერდით ცოლი უნევს ან საყვარელი.  
ჰო, მართლა, გამახსენდა. ის კარალეთელი გომბიო ხელმწიფეს ისეთნაირად  
გაუთამამდა, რომ ჯერ ერთი ულვაში აუგრიხა, მერე — მეორე. ხელმწიფეს  
გულეეთილად გაეცინა. თავის ერთი ლამის ხარჭას მამაშვილურად მოეფერა.  
ჰეითხა, შენი ქმარი რას აკეთებსო? რა ხელობის კაციაო?

ზანდაროვს გაუკეირდა.

— რას ამბობ, მაიკო, შახს ქმრიან ქალს ვინ ჩაუწენდა ლოგინში?

მაიკო შეერთა, ნამონითლდა, მაგრამ არ დაიბნა.

— დამვინცებია, გიგაჯან, მოიცა როგორ იყო? ჰო, მომაგონდა, შახმა იმ  
გომბიოს მამის ვინაობა ჰეითხა.

— ჰომ. ეგ სულ სხვა საქმეა, — სერიოზული სახით დაუდასტურა ზანდაროვმა.

მაიკო კურტანიძეს გაურკვეველი ლიმილი შეუთამაშდა ბაგეზე.

— მაგით დამთავრდა ეგ ამბავი? — ჰეითხა ნეღანდელივით დაინტერესე-  
ბულმა ზანდაროვმა.

— ეიდევ რა დამრჩა სათქმელი? ჰო, შახმა იმ გომბიოს მამას ხალათი გაუ-  
გზავნა. კარალეთელი გოგოს ამბავიც ამით მორჩა და გათავდა. ქაჭო იქა,  
ფქვილი აქა, ჭირი იქა, ლხინი აქა.

უცებ ზანდაროვს იმედი მოეცა, ბართლომე კურტანიძის მედალი გაახსენ-  
და. ფეხზე ნამოვარდა და ალტაცებით დაიძახა:

— ის კარალეთელი გოგო შენ იყავი, მაიკო? ხელმწიფესთან სულ ახლოს  
იყავი, განა! სულ ახლოს. ღმერთო დიდებულო! რა ბედნიერი ქალი ყოფილხარ,  
მაიკო! რა ბედნიერი!

ახალგაზრდა ზანდაროვმა აღაფის ცოლი ანაზდად სეფე-ქალის ელვარებით შემოსა და კინალამ ფეხებში ჩაუვარდა. სწორედ ისე, როგორც იმ დღეს ფირუზა ზანდაროვი ქარვასლაში ხელმწიფეს ფეხქვეშ უვარდებოდა. მაკო კურტანიძეს ჯერ მისი აღტაცება და სიხარული გაუკვირდა, მერე, როცა ამის მიზეზს მიხვდა, თავისი ნალაპარაკევის თვითონვე შეეშინდა, ბაგიდან გაურკვეველი ლიმილი დაუყოვნებლივ აღავმა. საყვარელს ცივი წყალი გადაასხა.

— რას ამბობ, გიგა, გაგიუდი?

— ოლონდ მითხარი, გეფიცები, არსად არ ვიტყვი, არსად არ გაგთქვამ. მაიკომ წყნარად მიუვო.

— ეგ რომ ეგრე მომხდარიყო, გიგაჯან, მე ცოცხალს ვინ გამიშვებდა? მტკვარში ვადამაგდებდნენ. ჩემმა ორმა ლრჯოლმა ვადამარჩინა, თორემ შენ ეხლა საყვარელის გვერდით არ იჯდებოდი.

ზანდაროვს ისევ ჩამოსცვივდა ხელები. მის თვალში მაკო კურტანიძემ კვლავ დაკარგა სეფე-ქალის ელვარება. მის ნინ ისევ აღაფის ცოლი იჯდა და სოვდავრის საყვარელი, ქალაქელი მდაბიო ქალი, რომელიც მას მაინც მიმზიდველად და მომხიბვლელად ეჩვენებოდა.

მაიკოს მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი მოსწყინდა. თაფლისფერი თვალები ვნების შუქმა გაუნათა. საყვარელს მსუნავი ტუჩები გაუწოდა.

გიგა ზანდაროვი ისევ რაღაცნაირად გაშტერდა. კვლავ მეაფიოდ მოესმა: „მაირიკ! მაირიკ!“ ზეზე ნამოიჭრა, თავში ხელები შემოკრა.

— კაცო, ეს რა დამემართა? როგორ მომივიდა? რას იტყვიან ფერშანგოვები? მეზობლები ან ნაცნობები?

მაკო კურტანიძემ ვერაფერი გაიგო. ტახტზე ნამოჯდა, გაკვირვებით ჰეითა:

— რა დაგემართა, გიგაჯან?

— შუშანიკის აპეკუნი მე ვარ. იმის დედის ქელეხშიც მე უნდა გამომეჩინა თაოსნობა. გულისტყივილს რათ ავყევი? ხალხს ყბაში რათ ჩაუვარდი?

მისი ნათქვამი მაკო კურტანიძემაც შეიცხადა, კვერი დაუკრა. ზანდაროვმა ქუდს დასტაცა ხელი, ოთახიდან გავარდა და ანჩისხატის უბნისკენ მოჰკურცხლა.

## 11. ხალასი ზანდაროვი

მშვიდობით, ხოდაბუნო, მშვენიერო და კარგო. ამას იქით ვეღარ გნახავ,  
ასე უნდა დაგეარგო.  
ალექსანდრე ჭავჭავაძე, „გუთნის დედა“

მექელეხენი ჯერ ისევ სუფრასთან ისხდნენ. შეზარხოშებულნი და გალალებულნი ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, თან გაჩქარებით თქვლეფდნენ ყველაფერს, რაც კი სუფრაზე მოჰკონდათ.

ახალგაზრდა ზანდაროვი სუფრასთან არ დაჯდა. სტუმრებს გარშემო უტრიკალებდა. ღვინისა და საჭმელების მომტანთ ყველაზე საპატიო სტუმრების კუნგან გზას უკელევდა, მასპინძლობდა და ვისაც სტუმრთა მოწის დიდი ნონა ჟქონდა, იმათ მონინებით უკრავდა თავს. ფირუზამ სიამოვნებით ჩაილობს. მანდილოსნების ოთახის ფართოდ გაღებული კარგდან თეთრი ლიზაც კისრის გრეხით იჭყიტებოდა და ბავეზე სიამის ღიმილი გადასდიოდა.

ჯარისკაციებით გაჭიმული უმცროსი ზანდაროვი ტოლუმბაშის სიტყვებს ყურადღებით უსმენდა. გვერდით თეფშებით ხელში ვარდისმონაშ გაუარა, ცრემლნარევი ღიმილით გაულიმა შუშანიკის ყოფილ საქმროს.

— შუშანიკი როგორ არის? — ჰეითხა გრიგოლმა.  
— თავის ოთახშია, უფალო გრიგოლ, თქვენი ძალიან, ძალიან მადლობელია.  
— რისთვის? — მოუხედავად ჰეითხა ახალგაზრდა ზანდაროვმა და თან ერთ განთქმულ სოვდაგარს, რომელიც მისენ იცეირებოდა და მეზობელ სოვდაგარს მისენ ანიშნებდა, მდაბლად თავი დაუკრია.

— მარგალიტასათვის.  
— ჴო, — თქვა გულგრილად გრიგოლ ზანდაროვმა და სახეზე უკმაყოფილების ჩრდილმა გადაურბინა.

როცა ხორავით გავსებული ხონჩით ვარდისმონაშ ისევე გვერდში ჩაუარა, გრიგოლმა ჩუმად გადაულაპარაკა:

— თუთის ქვეშ ვინა სხედან, ვის გაუშალეს სუფრა?  
— ბურნუთოვის სახლის მდგმურებს, — რაღაცნაირი სიამაყით უპასუხა მოახლემ.

გრიგოლს არ ეჭაშნიკა. წარბი უკმაყოფილოდ შეათამაშა.  
თავისი საქციელით შუშანიკ მამრაძე ფირუზასაც აკვირვებდა და გრიგოლსაც.

მელქო ფერშანგოვის გარდაცვალებიდან ჯერ შვიდი არ იყო შესრულებული, როცა ძაძით შემოსილი მისი ქალი ბურნუთოვის სახლის მდგმურებში გამოჩნდა. ღატაკებს ხელი გაუმართა, ხოლო სნეული ანუგეშა.

ზანდაროვებს არც ის მოენონათ, რომ გარდაცვლილი მამის ყველა ქალალდი, თამასუქი, ბარათი და ამხანაგობის პირობის ნიგნი მან ყურადღებით წაიკითხა და სრულიად მოულოდნელად მეურვისაგან თანხების თავისუფალი განკარგვის უფლება მოითხოვა. ზანდაროვებმა ვერაფერი ანამეს, შუშანიკ მამრაძის ეს მოთხოვნა თითქმის უყოყმანოდ დააკმაყოფილეს და გაფრთხილდნენ.

სოვდაგრის ქალი მაგარი კაუალი აღმოჩნდა.  
ჯიუტიც ჩანდა და კერპიც, მაგრამ მას არც ნინდახედულობა და სიფრთხილე აკლდა.

უფროსი ზანდაროვი კეფას იფხანდა და თადარიგს იჭერდა. უმცროს ზანდაროვს ამასვე ურჩევდა. ახლა მთავარი ის იყო, რომ შუშანიკ მამრაძეს არავითარი ეჭვი არ აღძროდა. ამიტომ დავთრებიც და ნუსხებიც მათისე ჟქონ-

დათ შედგენილი, რომ წყალი არ გაუვიდოდა. ამით ისინი არაფერს აგებდნენ, რადგან ქარვასლების მაღაზიებიდან და დუქნებიდან აუარებელი შემოსავალი შემოსდომდათ. მოგებაში ნილს ყოფილი ოჩხუბის მემკვიდრეს დაუკლებლად უდებდნენ, მაგრამ იმ აზრს ვერავზით ვერ ურიგდებოდნენ, რომ მას გული ლარიბ-ლატაკებისაკენ მოუნევდა და იმათ მფარველობას ჩემულობდა.

გრიგოლ ზანდაროვი ერთხელაც არ გასულა ეზოში, მხოლოდ მდიდარ და გავლენიან სოვდაგრებს დასტრიალებდა თავზე.

სტუმრებს თანდათან ლეინო ეკიდებოდათ. თვრებოდნენ. ყაყანებდნენ. სოვდაგრულად ირჯებოდნენ. სოვდაგრული ჩაბურზანა გააძეს. აღარც სიცილს ერიდებოდნენ, აღარც ხარხარს. ფირუზა ზანდაროვი დიდ სუფრაზე კარგად არა ჩანდა, მაგრამ მისი ხმა ყველგან გაისმოდა. წელან ცრემლებით დასველებული ბალდადი ახლა ყელზე დარდიმანდულად შემოეხვია. ხელებს იქნევდა, თვალებს ახამხამებდა და ყვიროდა:

— ეაცო, შენ რას ამბობ? მუშტიას კრიკი ვინ აჯობებდა? იმისი მკლავის მოქნევა ერთ რამედ ლირდა! კარგი ერთი და! მაგას გალაჯული იაგორა ნინ როგორ დაუდგებოდა?

საერთო ურიაშულში მკვდარი აღარავის ახსოვდა.

გიგა ზანდაროვს გული ისევ დაუმძიმდა. მაგრამ უკანასკნელად გაფარუნებულ სინდისის ქენჯნას ხელი სწრაფად აუქნია, დაუყოვნებლივ აღაგმა, რათა კვლავ მტანჯელი ფიქრები არ აძლოდა.

ახლა იგი ნამდვილი ზანდაროვი იყო, სწორედ ისეთი, როგორიც ფირუზას უნდოდა, რომ ყოფილიყო.

ყველაზე მეტად ახალგაზრდა ზანდაროვზე მაიკო კურტანიძე ფიქრობდა, ამიტომ ის ყველაზე უფრო სწრაფად ამჩნევდა მისი გულის ყოველგვარ მოძრაობას, გუნება-განწყობილებას, მის ყველანაირ ფერისცვალებას; ამჩნევდა, გრძნობდა, განიცდიდა და უკვე გული ეკუმშებოდა კიდეც. გიგას სიყვარულის გარეშე არსებობა მას არ შეეძლო. ამიტომ შიშითა და ძრნოლით ფიქრობდა ამ სიყვარულის მომავალზე. მერიამ-ბეგუმის სახლის განაპირა ოთახში ტახტზე ისევ თმაჩამოშლილი, პერანგაუკრეფავი იჯდა და ნაწვიმარ სივრცეს, სულ უფრო და უფრო ბინდბუნდმირომ იკარგებოდა, თვალგამტერებული გასცემოდა.

ოთახში მერიამ-ბეგუმმა შემოყო თავი, მაიკოს შორიდანვე შემოსცინა, გვერდით მოუჯდა, ჩურჩულით ჰკითხა:

— ნავიდა?

— ნავიდა, — უხალისოდ გაეპასუხა მაიკო.

მერიამ-ბეგუმმა მას ჯერრაღაც მიუკიბ-მოუკიბა. მერე სულ ახლოს მიჩონდა მასთან, ცხვირი ცხვირზე მიადო, ბილნურად გაულიმა და უცებ ისეთი რამ ჩასჩურჩულა ყურძი, რომ მაიკო კურტანიძეს სახე აენთო. ფეხზე ნამოიჭრა. მოკატუნებული მერიამ-ბეგუმი თვალებით განვმირა, პირში ზიზლით მიახალა:

— ჩვენ აქ აღარ მოვალთ, ჯანუმ!

— რათა, მაიკოჯან, რა გენყინა?

- აქაურობა ძალიან აყროლებულია, ჯანუმ, ფაქიზი ცხვირი მაქვს.  
რის ოთახი დედოფალივით გადაჭრა და მერიამ-ბეგუმს კარი მიუჯახუნა.  
ახალგაზრდა ზანდაროვმა ვერასვზით ვერ გაიგო თავისი სატრიუოს გა-  
დაწყვეტილების მიზეზი.

არ იცოდა, ამის მიზეზი მისი გაუთავებელი ბუზღუნი იყო თუ მერიამ-ბეგუ-  
მის სახლის გზას მაიკო იმის გამო ივიწყებდა, რომ ბავშვის მიღება ბართლომე  
კურტანიძეს ფეხზე არტაშანი ახსნა.

# კარი მეთერთმეტე

## 1. მთკვრის გაღმა

ჩვენს ხალხს ფრანგული ჩითეული უფრო მოსწონს, ვიდრე ფერადი  
აბრეშუმის ქსოვილები.

მირზა ფათალი ახუნდოვი, „ძუნნის თავგადასავალი“

თბილისის ქარვასლებში ზანდაროვებმა სახელიც დაიგდეს და სახრავიც  
გაიჩინეს.

ახლად გასოვდაგრებულნი ტოლს არავის უდებდნენ.

გარდაცვლილი ოჩხუბის მაღაზიებსა და დუქნებს ახლა ისინი განაგებდნენ.

სუქდებოდნენ და კისერზე ქონს იყიდებდნენ.

ფირუზა ნინ ნასულებს ქუსლში უყურებდა, კვალდაკვალ მისდევდა,  
დანევას და გასწრებას ცდილობდა. სადაც პირველობას აღნევდა, იქიდან  
ფეხს აღარ იცვლიდა. გარშემო ქედმაღლურად იყურებოდა, მაგრამ რაკი  
ზემოდან ვერავის დააცეკერდებოდა, თავისი უპირატესობის გამოხატულებას  
მდიხრულ თავსაბურავსა და ტანსაცმელში პოულობდა, საუკეთესო თერ-  
ძთან შეერილ ყოშებიან ახალუხში და დიდვაჭრის ყურთმაჯებიან კაბაში.  
გაამპარტავნებული არც თავის ახალგაზრდა ნათესავს უშვებდა ნინ. ყოვლის  
მნახველი და გამოცდილი სიფრთხილის თადარიგს მაინც იჭერდა.

საათობით უჯდა გრიგოლის მიერ შედგენილ ნუსხებს ან მისი ხელით  
შევსებულ დავთრებს, თან ამას ისეთი გულმოდგინებით აეკთებდა, რომ მის  
ახალგაზრდა ოჩხუბს ეს კარგად შეემჩნია.

საქმეში ბეჯითიდა დაუზარებელი გრიგოლი ფირუზას მოსწონდა, მაგრამ  
არ ანებივრებდა.

ახალგაზრდა ზანდაროვი მთელ დღეს ქარვასლებსა და ბაზრებში ატა-  
რებდა. ერევნის მოედანზე სოვდაგრების ფარმის ქვეშ ჩერდებოდა და სოვ-  
დაგრულ გარიგებებში მონანილეობდა. ანგარიშში არასოდეს არ სცდებოდა.  
ყველაფერს სუფთა და მსხვილი ხელით ნუსხავდა, საქონელს თვალის ერთი  
გადავლებით ახარისხებდა, ნიხრი ზეპირად იცოდა, მაზანდის ანევ-დანევას  
სწრაფად იგებდა, მაღაზიებსა და დუქნებში მრავალრიცხოვანი ნოქრების  
მუშაობას თვალყურს ადევნებდა. ფირუზას ენაზე მაინც „შეასეთო, შეისეთო“  
ეკრა. როცა სხვები მხრებს გაკვირვებით იჩეჩდნენ, მქირდავად მომლიმარე  
დიდვაჭარს ყველასათვის ერთი ანდაზა ჰქონდა მზად: „შვილი მტრულად  
გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებაო“.

გრიგოლი ყველაფერს თვინიერად ითმენდა და იტანდა. უფროსი ზანდარო-  
ვის სიტყვას არასოდეს დაბლა არ უშვებდა, ყველა მის ნათქვამს ან დავალებას  
უსიტყვოდ და მორჩილად ასრულებდა.

ფირუზა კმაყოფილი იყო.  
ვაჭრობის საქმე კარგად მიდიოდა.  
კუთხიდან ისინი მტკურის გაღმა გავიდნენ და ფერშანგოვის დიდ სახლში  
ჩასახლდნენ.

ფირუზას გულის ნადილი აუსარულდა.

მტკურის გამოღმა (ამერიკულ ხიდთან და რიყეში) მხოლოდ რამდენიმე  
ახლად დაარსებული ქარვასლა იყო (იაკობ ზუბალაშვილის, ბარსებ ტერ-მო-  
სესოვის, სარქისოვის). მტკურის გაღმა მხარე კი ქარვასლებით და ბაზრებით  
იყო მოფენილი. აქ ჯერ კიდევ შეა საუკუნეებში არსებობდა აღმოსავლური  
ჭიპის განთქმული ბაზრები: ჩარსუდა რასთაზარი. ახლა კი ყველას თვალწინ  
ახალი, ბურუუაზიული ბაზარი იქმნებოდა, ხოლო სოლოლაკისა და გარეთუ-  
ბანში ევროპული ქალაქი შენდებოდა.

კომერციული აღლო ფირუზა ზანდაროვს არაჩვეულებრივად ჰქონდა გა-  
მახვილებული. სულ იმას უკვირდებოდა, თუ ვინ რითი მდიდრდებოდა. 20-იან  
წლებში, როცა თავისუფალი ტრანზიტი და შეღავათიანი ტარიფი ჯერ კიდევ  
მოქმედებდა, ბევრი, მანამდე ჯიბეოხერი ვაჭარი გამდიდრდა და დიდვაჭარად  
იქცა. სიმდიდრის ნყაროებს ევროპული საქონლით ვაჭრობა ჰქმნიდა. შეა  
ზღვაზე, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თურქეთის ტბად რომ იყო გადა-  
ქცეული, ახლა განუწყვეტლივ, ნაკადად მოედინებოდა ნაირ-ნაირი საქონელი  
ლონდონიდან, პარიზიდან, პამბურგიდან, ლაიპციგიდან და ბრიუსელიდან.  
თბილისთან ამ ქალაქებს ოდესა და რედუტეალე აკავშირებდა. ხოლო თბი-  
ლისიდან გზა თავრიზისაკენ მიემართებოდა. არავინ ერიდებოდა ზღვაზე და  
ხმელეთზე მოგზაურობის სიძნელეებს. გემით მოტანილ საქონელს ნავებზე  
ტვირთავდნენ, ცივის არხით მდინარე რიონამდე მიაცურებდნენ, შემდეგ კი  
გზას ორპირამდე აგრძელებდნენ. აქ ინყებოდა სახმელეთო გზა. საქონლით  
დატვირთული ურმები და აქლემები თბილისისენ მიემურებოდნენ. ათასნაი-  
რი დაბრკოლების მიუხედავად, ეს გზა ინტენსიურად მოქმედებდა. ამ გზამ  
(განსაკუთრებით 50-იან წლებში) ხელახლა გააშლევინა მხრები ქუთაისსა  
და გორს.

20-იან წლებში ევროპული საქონელი თბილისში ჯერ თვითონ ევრო-  
პელებს შემოჰქონდათ. ევროპიდან იყვნენ მოსული მარი, მოგენი, პერი  
და სხვა კომერსანტები. მაღა მათ თბილისელმა ვაჭრებმა მიჰპაძეს.  
კონსტანტინე სარაჯიშვილი პირველი იყო, რომელიც სავაჭრო მიზნით  
დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა. მას სხვა თბილისელი ვაჭრებიც მი-  
ჰყვნენ. ევროპული საქონლის ვაჭრობით გამდიდრდნენ სარაჯიშვილები  
და ზუბალაშვილები.

ვითარება ამ მხრივ საგრძნობლად შეიცვალა თავისუფალი ტრანზიტი-  
სა და შეღავათიანი ტარიფის გაუქმების შემდეგ. 1831 წელს შემოლებული  
მფარველობითი ტარიფი მიზნად ისახავდა რუსი ფაბრიკანტებისა და  
ვაჭრების ინტერესების დაცვას. მაგრამ რუსული ბამბის მდარე ქსოვილებს

იმ დროს არ შეიძლებოდა ეფექტური კონკურენცია გაეწია დასავლეთე-  
ვროპული ბაზის ქსოვილებისათვის, განსაკუთრებით კი ფუფუნების  
საგნებისათვის. ასტრახანის ტარიფს უნდა უზრუნველეყო იმპერიაში  
ოქრო-ვერცხლის დაგროვებაც. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტა-  
რიფი ევროპულ საქონელს აძვირებდა, მასზე მოთხოვნილება სულ უფრო  
და უფრო მატულობდა. არისტოკრატები და გამდიდრებული მოქალაქენი  
მოითხოვდნენ თვით ევროპულ ღვინოებს. დიდი რაოდენობით საღდებოდა  
შამპანური, მადერა, ბორდო. თბილისში თავს იყრიდა ის საქონელი, რომე-  
ლიც შემდეგ ჩრდილოეთ ირანის ქალაქებში იყიდებოდა. ამ თვალსაზრისით,  
თბილისი კავკასიისა და ჩრდილოეთ ირანის ეკონომიკური ცენტრის როლს  
ასრულებდა.

მაგრამ მფარველობითმა ტარიფმა იმის სრულიად სანინაალმდეგო შედეგი  
გამოიღო, რასაც მეფის მთავრობა ფიქრობდა და ვარაუდობდა. სატრანზიტო  
გზაში შორს, სამხრეთში გადაინაცვლა. ფართოდ გავრცელდა კონტრაბანდა  
და მისი თანმხლები ეპიდემიები.

თბილისელი და ქუთაისელი ვაჭრები ესწრებოდნენ „მაკარიევის იარ-  
მარკას“ ნიუნი-ნოვგოროდში, მაგრამ უფრო მომგებიანად ევროპული  
ფუფუნების საგნებით ვაჭრობა მიაჩნდათ. ამიტომ მეტ მნიშვნელობას  
ტრაპიზონ-ერზერუმ-თავრიზის გზას ანიჭებდნენ. ისინი კვლავ გამოჩ-  
ნდნენ ლონდონში, პარიზში, ჰამბურგში, ლაიპციგშა და ბრიუსელში.  
მფარველობითი ტარიფი მათ არავითარ დაბრუოლებას არ უქმნიდა, რა-  
დგან დასავლური საქონელი ჯერ ოსმალეთში შეჰქონდათ, ოსმალეთიდან  
— ირანში, ხოლო ირანიდან — ამიერკავკასიის ქალაქებში. თბილისელი  
ვაჭრები მოხერხებულად იყენებდნენ ტრაპიზონ-ერზერუმ-თავრიზის  
გზას. რუსეთის მთავრობას განსაკუთრებით აღიზიანებდა ის, რომ ამ გზით  
მარჯვედ სარგებლობდა ინგლისი და ტრაპიზონის ინგლისის საკონსულო  
კონტროლს უწევდა მას. მაგრამ რუსეთს არ შეეძლო არც კონტრაბანდის  
აღევეთა, არც თბილისელი ვაჭრების მონანილეობის აკრძალვა იმ გზაზე,  
რომლის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდებოდა ხოლმე იმ დროს, როცა  
საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო გზები ყრუვდებო-  
და და აქ ინტენსიური ვაჭრობა ფერდებოდა. სამხრეთის სატრანზიტო  
გზა არავითარ გავლენას არ ახდენდა ევროპული საქონლის ფართოდ  
გავრცელებაზე. პირიქით, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა დასავლეთ  
ევროპიდან შემოზიდული საქონლის რაოდენობა. ტრაპიზონ-ერზერუმის  
გზით თავრიზში შეტანილი საქონელი 5% ბაზის გადახდით თავისუფლად  
შეჰქონდათ ამიერკავკასიის ქალაქებსა და თბილისში. თბილისელი ვაჭრები  
ახლაც ისე მდიდრდებოდნენ ევროპული საქონლის ვაჭრობით, როგორც  
20-იან წლებში.

ერთ მშვენიერ დღეს ფირუზა ზანდაროვმა შებლზე დადებული თითო ჩა-  
მოიღო და გრიგოლის ევროპის ქვეყნებში გაგზავნა გადაწყვიტა.

## 2. მოგზაურობა

ენრიკე, პირიქით, ბევრს მოგზაურობდა: ნამყოფი იყო უცხოეთის  
დედაქალაქებსა და მრავალ განთქმულ ბაზარზე.  
რამონ დე მეზენერო რომანოს, „ქისა“

საზღვარგარეთ გასამგზავრებლად საჭირო ქალალდების მიღება ფირუზა  
ქრთამით დააჩქარა.

გრიგოლ ზანდაროვს ჯერ რუსეთი უნდა ენახა, ნიუნი-ნოვგოროდის ბა-  
ზრიბას დასწრებოდა, შემდეგ კი მაღრიბის ქვეყნებისაკენ ნასულიყო.

ერთ მშვენიერ დღეს ზანდაროვებმა მღვდელს დაუძახეს (მართლმადიდე-  
ბელს, რადგან გრიგოლი მართლმადიდებელთა ეკლესიაში იყო მონათლული  
და ნმინდა ნიკოლოზის საყდრის მრევლში ითვლებოდა), პარაკლისი გადახ-  
დევინეს და რუსეთში მიმავალ ახალგაზრდა სოვდაგარს გზა დაულოცეს.

თეთრმა ლიზამ მას ყელზე ავგაროზი შეაბა, ავგაროზს იგი ფათერაკისაგან  
და ავი თვალისაგან უნდა დაეცვა.

ახალგაზრდა ზანდაროვს დიდის ამბით აცილებდნენ: ფირუზა, თეთრი  
ლიზა, მაიკო კურტანიძე, ფერმანგოვის დედა, შუშანიკი თავისი პატარა შვი-  
ლებით, ვარდისმონა, ორიოდე ცნობისმოყვარე დედაკაცი მეზობლებიდან  
და რამდენიმე თბილელი სოვდაგარი. გრიგოლს მხლებლად, მცველად და  
მსახურად თან მიჰყავდა გოლიათური აღნაგობის ძალისუბნელი ზაქარა,  
რომელსაც ბებრუხანა დედა ბებრული ცრემლებით და ჩიტვიტით აცილებდა  
„ყინულეთში“.

ფირუზას აზრით, მოჩხუბარი და თავზე ხელალებული ზაქარა გრიგოლს  
კარგად გამოადგებოდა იმ გზებზე, რომლებზეც, თბილელი ვაჭრების სიტყ-  
ვით, ყაჩალთა ბრძოები დათარემობდნენ და მგზავრებს გასაძარცვავად თავს  
ესხმოდნენ.

საფოსტო ეტლი მარმარილოს წყაროსთან იდგა. ეტლის საფეხურზე შემ-  
დგარი ფირუზა გრიგოლს ერთხელ კიდევ ეუბნებოდა:

— ღვინის სმას მოერიდე, ქალებს ნუ აჲყვები, კარტს ნუ ითამაშებ, არავინ  
მოგატყუოს. ჰა, ქისებს თვალი არ მოაშორო!

თავმოყვარე გრიგოლი უხალისოდ აძლევდა პასუხს.

— ჯერ არაფერი დამიკარგია, ხამი არა ვარ.

— ჯორზე ნუ ჯდები, ბიჭო! — იძახდა ფირუზა, რომელსაც გრიგოლის უკმა-  
ყოფილება შეუმჩნეველი არა რჩებოდა, — ცხრა მთას იქით მიდიხარ! ვინ იცის,  
იქითრა ქვეყნებია, ვინ არიან, რა ხალხია? ვინმერომ მითხრას, მაღრიბში კაცებს  
თავები მუცლებს ქვეშ აბითო, უნდა დავიკურო. ოთხივე უთხივ თვალი დაფირე!  
ეცადე, ეუტრი არ ჩამოხვიდე.

— ვეცდები, ფირუზ, ვეცდები.

გრიგოლს არც თეთრი ლიზა ასვენებდა:

— გიგაჯან! თავს გაუფრთხოლდი, — ამბობდა ის სიყვარულით, — ავათ არგამიხდე ყინულებში. ქალებო! იქით თურმე ისეთნაირად ცივა, ადამიანები ზამთარ-ზაფხულ ტყავებში დადიან, მაშ! მეათათვეში თოვლი მოდის!

ამის გამგონე ზაქარას გადაბერებული დედა ნამდაუნუმ ჩიფჩიფებდა:

— უიმე და ვაგლახი... უიმე და ვაგლახი...

ფირუზას და თეთრ ლიზას უკან მაიკო იდგა პატარა ბოლჩით ხელში. „ნიძლავსა ვდებ, თუ შიგ ასიგნაციების დასტა არ არის“, ფიქრობდა ფირუზა. ასე ეგონა, გრიგოლ ზანდაროვსაც. მაიკოს გვერდით შუმანიკები თოვლი მოგვიად შეკრული ბალდადი ეჭირა. „სომხების საყვარელი ხილია“, ნაიბურტყუნა ფირუზამ.

მაიკომ და შუმანიკმა ძლივს გადასცეს თავიანთი ნობათები გრიგოლს, რომელსაც ყელზე თეთრი ლიზა ეხვეოდა და არავის ახლოს არ უშვებდა. გაბრაზებულმა მაიკომ თავის დოსტის ისეთი მუჯლუგუნი გაჰქირა, კინალამ ეტლიდან გადმოაგდო. გრიგოლს სწრაფად აკოცა ტუჩებში და ეტლის საფეხურიდან საჩქაროდ ჩამოხტა. შუმანიკი მორცხვად გამოემშვიდობა თავის მეურვეს.

პატარა ქრისტინე მეტლში მჯდარ გრიგოლს შესჭინა და მხიარულად შესძახა:

— მსვიდობით, ძია გიგა, მსვიდობით!

გრიგოლ ზანდაროვი ეტლიდან გადმოხტა, ქრისტინე ხელში აიტაცა, გულში ჩაიხუტა და გადაკოცნა. კოსტასაც თავზე ხელი გადაუსვა, სიყვარულით მიეაღერსა.

— ქა, ეგრერომ ბავშვები უყვარს, — აჩიფჩიფებდა ზაქარას დედა, — რატომ ცოლს არ შეირთავს?

შუმანიკი ნამონითლდა. მაიკომ კოპები შეერა. ვარდისმონა მოიღუშა, რადგან ჯერ კიდევ იმედს არა კარგავდა, რომ გიგა ზანდაროვი შუმანიკა ფერშანგოვს ცოლად შეირთავდა.

— მაშ, ქა! — ამბობდა ზაქარას დედა, — საფეთქლებთან უკვე თეთრი ასფეთქებია!

ეს იარალ გერმანოზიშვილის ნატყვიარი იყო.

გრიგოლი ისევ ეტლში ავიდა. ზაქარა მეეტლის გვერდით კოფოზე მოთავსდა.

— გარეუე! — უბრძანა მეეტლეს ფირუზამ.

— ხაბარდა! — დაიყვირა ფეხზე ნამომდგარმა მეეტლემ, პირჯვარი გადაინერა და ცხენებს დაუსისტიკინა.

გრიგოლმა შვებით ამოისუნთქა.

როცა ეტლი დაიძრა და ქვაფენილზე გავრიალდა, თეთრმა ლიზამ ისეთნაირად შევბებლავლა და ეტლისკენ ისე გაექანა, რომ ირმა დედაკაცმა ძლივს დაიჭირა.

— გამიშვით, ხალხო, ერთხელ კიდევ დამანახეთ მაგის ლამაზი პირსახე, — ბლაოდა თეთრი ლიზა, — ერთხელ კიდევ მაჩვენეთ ეგ ჩემი გულის მურაზი თქვენ რა იცით, ხალხო, საიდანდაც გადმოკარგული შვილიუით გავზიარდე. ისეთი ტურტლიანი იყო, მტკვარი ვერ გარეცხავდა, რომ გენახათ, გაგიყვირდებოდათ...

მაიკო კურტანიძემ წყნარად მოაბრუნა თავი მისკენ. თაფლისფერ თვალი დაბრძინები გაურკვეველი ღიმილი აუთამაძლა.

ახლა ფირუზამ მოჰკიდა ხელი ცოლს და მელავზე ისე მაგრად უჩქმიტს, რომ თეთრი ლიზა მყისვე მიხვდა თავის შეცდომას და ერთბაშად გამოფხილდა, დაუყოვნებლივ კილო გამოსცვალა.

— მაშ! მაშ! მთელი სპარსეთის მტვერი ზედ ედო! კარი რომ შემოალო, ფრუზამ თავისი ღვიძლი ბიძაშეილი ჯერ ვერიცნო, მერე დიდი ხნის უნახავები ერთმანეთს ისე გადაეხვივნენ, მაგათ გაყრას როგორ ვიფიქრებდი! ვიკეტიდა მეც ჩემთვის ვიმდულრებოდი.

ფირუზა ნელ-ნელა უშვებდა თეთრი ლიზას მელავს თავის ხელიდან და თან ფიქრობდა: „ქალმა არაფერი არ უნდა იცოდეს, რადგან ან სიყვარული ათქმევინებს, ან სიძულვილი“. ცოლი ისევ დედაკაცებს მიუვდო და ქუდი გაისწორა. გამცილებლები ქალაქისაკენ გატრიალდნენ.

შუშანიკეთ ამ დროს უნებლიერ მოიხედა და გაუკვირდა, რომ მაიკო კურტანიძე ისევ იმ ადგილზე დაუხვდა, საიდანაც ნელან ეტლი დაიძრა.

მაიკო ერთ ადგილზე გაუნძრეველად იდგა და მტვერავარდნილ გზისკენ იყურებოდა. შუშანიკეთ ვარდისმონას აღტაცებით უთხრა:

— რა მშვენიერი ქალია! სუფრაზე რომ ვისხედით, სულ მაგას ვუყურებდი. მერე რა მშვენიერი სიცილი აქვს!

ვარდისმონამ ხმა არ ამოილო.

ეტლი მოსკოვის ზასტავას გასცდა თუ არა, გრიგოლმა მაიკოს ბოლჩა გახსნა. და როცა შიგ ნაზუქები და ტებილი პურის პატარა კვერები აღმოაჩინა, გულისანად გადაიხარხარა. ზაქარამ გაევირებით მოიხედა. სოვდაგარმა სწრაფად რაღაც სასაცილო ამბავი შეთხზა და ისიც გააცინა.

გრიგოლმა შუშანიკეთს ბალდადს ხელი აღარახლოდა მგზავრობაზე ფიქრს შეუდგა.

### 3. გზა

დილით, ყაზბეგთან გავლისას, ჩემ თვალნინ საუცხოო სანახაობა გადაიშალა. თეთრი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრუბლები მთის მცენრეალს

გადადიოდნენ, და განმარტოებული მონასტერი, მზის სხივებით გაცისეროვნებული და ღრუბლებზე დაყრდნობილი, თითქოს პაერში მიცურავდა.

ა. პუშკინი, „არზრუმში გამგ ზავრება“

გრძელი გზა პქონდა გასავლელი.

ყოველ ვერსზე ორი კაპიკი უნდა გადაეხადა, მრავალი სადგური გაევლო და გახსნილი ქისა მუდამ ხელში სჭეროდა, რათა საფოსტო სადგურის ზედამხედველებს მისთვის სასწაულო გამოეცვალათ დალლილი ცხენები.

სოვედაგარსა და მის მსახურს ჯიბეებში გატენილი დამბაჩები ედოთ. დაწიალის მისადგომებთან, ორივე მხარეს, მთიელი „ყაჩალები“ დათარეშობდნენ, ახალჩერეკესკამდე მგზავრებს ქვემეხიანი ყაზახები იცავდნენ, ზანდაროვს თბილელი სოვედაგრებისაგან გაგონილი პქონდა, რომ „კავკასიელ ყაჩალებზე“ საშიშარნი გაღატაკებული და დამშეული აზნაურები იყვნენ. ისინი ავაზაკების ბრძოებს ქმნიდნენ, ვაჭრებს თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ და ზოგჯერ ხოცავდნენ კიდეც. ზანდაროვი დამბაჩით იყო შეიარაღებული, რათა საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლე და ქისა დაეცვა. გოლიათური აღნაგობის ძალისუბნელი ზაქარაც სწორედ ამიტომ ახლდა მას თან.

ეტლი გაჭირვებით მიდიოდა საქართველოს სამხედრო გზაზე.

გზა მეტად გრძელი იყო, აღმართ-დალმართიანი, მიხევეულ-მოხვეული, ვინრო და ლორლიანი, ალაგ-ალაგ მთის ნაკადულებით გადარეცხილი, მომქანცველი და დამღლელი.

მაგრამ ეტლით მგზავრობით დაქანცული აღტაცებაში მოჰყავდა თვალნარმტაცი ბუნების უმშვენიერეს სანახაობას.

ერთმანეთს ზედიზედ ცვლიდნენ მწვანე ხეობები, უფსკრულებზე თე-თრი თოკებივით დაკლაკნილი გზები. მაღალ მთებში ერთმანეთისაგან განცალკევებით მდგარი წითელკრამიტიანი კოხტა სახლები, მინდვრის ყვავილებით ათასფრად აბიბინებული ფერდობები, მწვანედ გადაშლილი მდელოები, რომელთაც, ხან სად და ხან სად, დაბურული ტყეები ცვლიდნენ, სალი და ჩალრმავებული კლდეები, მოჩუხჩუხე ნაკადულები, ჩხრიალა ჩანჩქერები, არაგვისატეხილი ჭალები, ხან მზის ლეჩაქში რომ ეხვეოდნენ და ხანაც თხელ ნისლში იკარგებოდნენ; გზის ნაპირებთან ერთმანეთში ჩახლართული ბუჩქნარი და ჯაგნარი, ციხე-კოშკი ნანგრევები. ალპური ქედები ცხვრის ფარებით და ტყაპუჭიანი მწყემსებით, გადარეული თერგი, კავკასიონის თეთრქუდებიანი მათუსალები. გრიგოლ ზანდაროვს არც არაფერი შეუმჩნევია, არც არაფერი დაუნახავს. მას ეტლში ეძინა, ზაქარა კი კოფოზე ფხიზლობდა.

თვალდახუჭულმა გაიარა მცხეთა, დუშეთი, ანანური, ფასანაური, კაიძაური, კობი, სტეფანნმინდა, ლარსი და დარიალი. თვალი არაფერზე გაუჩერებია, მხოლოდ ჩრდილი სიამოვნებდა, მზეში კი უსიამოვნოდ იშმუშნებოდა.

სამაგიეროდ, დიდის ყურადღებით ათვალიერებდა ქართულ ურმებს, რომლებიც მოსკოვური და ნიუნი-ნოვგოროდული საქონლით იყო დატვირთული. ურმების უკან ცხენებით მომავალ სოვედაგრებს თავაზიან სალამს აძლევდა. ბევრს თბილისის ქარვასლებიდან იცნობდა, ზოგსაც პირველად ხვდებოდა და ეცნობოდა.

- რა ამბავია ქალაქში? — ეკითხებოდნენ სოვედაგრები.
- მშვიდობა.
- საქონელს მაზანდა ხომ არ დაუფოლდა?
- არა, მაგრამ ძნელად საღდება.

— ემ...

- ფუთი რამდენად მოგაქვთ?
- ათ შაურად. ქართული ურმები ძვირად გვიჯდება.
- რესი ჩალვადრები რამდენს იღებენ?
- ღმერთმა არ იცის იმათი თავი! იმათაც დაგვიძვირეს პოვოსკები. სოვდაგარი სოვდაგარს სიმართლეს უმალავდა.

ზანდაროვმა და მისმა მსახურმა კავკასიონის ხაზი უკან მოიტოვეს. მალე სამხრეთ რესერის ერთოვეროვანი და დაუსრულებელი ველები დაიწყო. თბილისელებს აკრთობდა და ლლიდა ესუსა ზღვრო და სევდის მომგვრული ტრიალი ველები და თვალუნვდენელი ტრამალები. გულს უნყალებდათ უკიდეგანო ცაში ზანტად მცოცავი მძიმე, თეთრი ღრუბლები, ჭაობებზე დანოლილი ნისლის ბოლები, თეთრად შელესილი, ისლით გადახურული დაბალი სახლები, ბორცვებზე მოწყენილად გადმომდგარი სამრეკლოები და ქარის ნისქვილები, რომლებიც მათ შორიდან დიდ ფრინველებად მოეჩვენათ. ზაქარას სახე ჩამოსტიროდა, მოუსვენრად ნრიალებდა და ისე ენატრებოდა თბილისის ბალები და მტკვრის ნაპირები, როგორც დანიშნულებს ერთად სხდომა. ერთხელ, როცა დიდიხნის განმავლობაში არც ხეგამოჩნდა, არც ფრინველი, არც ძე-ხორციელი და ქარის ნისქვილებიც უსამანო სტეპში შორეულნი და მიუწვდომელნი ჩანდნენ, ზაქარამ უცქირა, უცქირა უთავბოლო ველს, ითმინა, ითმინა, ველარ მოითმინა და ტირილი ნასკდა.

— რა გატირებს, ბიჭო? — დაუყვირა გრიგოლმა.

მეეტლემ გაკვირვებით გადახედა აქვითინებულ გოლიათს.

— სად მივდივართ? რანაირი ქვეყანაა, — ალულლულდა ძალლისუბნელი ზაქარა, — არც ხე... არც ტყე... არც მთა... ადამიანებიც არსად ჩანან, თითქოს სადღაც მღერიან, მაგრამ ეს სიმღერაც უფრო ტირილსა ჰგავს...

— ცოტაც მოითმინე, მალე ჩავალთ, — დაამშვიდა სოვდაგარმა მსახური. მაგრამ გზაც ტრამალივით დაუსრულებელი იყო.

სადგური სადგურს ცვლიდა.

უკან რჩებოდნენ სადგურები, შლაგბაუმები, სოფლები, ქალაქები, მოსკოვი კი ისევ შორს იყო, ძალიან შორს.

მდიდარ სოვდაგარს გატენილი ქისის ნყალობით საფოსტო სადგურების ზედამხედველნი დასვენებულ ცხენებს უბამდნენ ეტლში და ფხიზელ მეტლეს სვამდნენ მისი ეტლის კოფოზე. ზედამხედველნი, ეგერები და ყურებში ფრთაგარჭობილი მწერლები ყოველთვის პატივისცემით ხვდებოდნენ მას და მონინებით უკრავდნენ თავს. ეს ახალგაზრდა სოვდაგარს ისეთ სიამოვნებას ჰგვრიდა, რომ გაამპარტავნებულს ოდნავ თავი უბრუვდებოდა. ფირუზა გვერდით არ ედგა, მაგრამ არაფრის არ ეშინოდა. ამის შეგნება მხნეობას მატებდა, მხიარულსა და ხალისიანს ხდიდა. მან იცოდა, რომ ფულის მფლობელი არსად არ დაიკარგებოდა, რადგან ყველგან შეეძლო ადამიანის საშსახური და მორჩილება ეყიდა.

ზოგჯერ მისი ეტლი შარავზიდან გადადიოდა, რათა კავკასიაში მომავალი ჯარისათვის ვზა დაეთმო. ამ დროს სოვედაგარი მოკრძალებით ფეხზე დგებოდა, პირჯვარს ინერდა და ქუდმოხდილი, მლიქვნელური ლიმილით შესცეროდა მხედრებს. ოფიცირები კავკასიელს ცხენებიდან უყვიროდნენ: „თქვენსკენ მოვდივართო“, „ვზა მშვიდობისა“, — ეუბნებოდა მათ თაყვანის-ცემით აღურთოვანებული ვაჭარი.

მტვერში ამოგანგლული, მოქანცული, ჩაფიქრებული ჯარისკაცები, რომლებიც თავიანთი ტანსაცმლით და მალალი ქუდებით დიდ სათამაშოებს ჰგავდნენ, დალერემილი სახეებით იყურებოდნენ ეტლში მდგარ ვაჭრისაკენ. დიდხანს გაისმოდა ჯარისკაცების ჩექმების მნიუბრი ბრახუნი, ცხენების ფრთიონა. ზარბაზნების სავორავების რახრახი, საომარი აბჯარ-საჭურველის უღარუნი. სოვედაგარიც დიდხანს გასცეროდა მზეში მოლაპლაპე შუბებსა და ხიმტებს და აღტაცებით ფიქრობდა: „მთიელებს ამოსწყვეტენ, შამილს ძელზე ჩამოჰკიდებენ, სპარსეთს და ოსმალეთს დაიპყრობენ და ინდოეთში ისე ჩავალ ჩემი ქარავნებით, არსად ბაჟს არ გადავიხდიო“. შუა რუსეთის გზებზე, თეთრი არყების დამამშვიდებელ შრიალში გრიგოლ ზანდაროვს თბილისის ქარვასლებში სოვედაგრების ნათქვამი აგონდებოდა, აგონდებოდა და ქვეშევრდომული აღმაფრენით იმსჭვალებოდა ხელმწიფისა და მისი ლაშქრის მიმართ.

რაც უფრო უახლოვდებოდა ზანდაროვი მოსკოვს, მით უფრო ხშირდებოდა სოფელები.

სოფელი სოფელს ცვლიდა, ქალაქი — ქალაქს.

ახლა ეტლი მნვანე, გრილი და შრიალა ტყეების გასწვრივ მიჰქროდა.

ძალლისუბნელმა ზაქარამ თანდათან გამოიდარა.

მისი ბატონი კი უფრო მეტად გახალისდა.

#### 4. რუსული სოფელის ნაცხობი სურათები

მარტო მე არა ვარ ერთადერთი ცოდვილი...

...სხვა გლეხებიც დადიან ბანდულებით, ქვეყნიერებაზე დანანნალებენ,  
სიმართლეს ეძებენ... მაშ!

ი. ტურგენევი, „მონადირის ჩანაწერები“

ზანდაროვი უცნობი ქვეყნის ადამიანებს და მათ ცხოვრებას ყურადღებით აკვირდებოდა. რუსეთის ლატაკ სოფლებში ისეთი სურათის მონმე ხდებოდა, რაც უნებლიერ საკუთარ ბავშვობასა და ყრმობას ახსენებდა.

ბევრჯერ ნაადგა იგი თავზე სოფლის მოედანზე დასასჯელად გამოყვანილ გლეხეაცებს, რომელთაც მათრახებით და როზგებით სცემდნენ ბატონის შინაყმები, საფოსტო სადგურებთან ქუჩის მტვერში განუკითხავად ეყარნენ

გაყიდული ფმა-გლეხები შიშველ-ტიტველ ცოლ-შვილთან ერთად. ყველაზე ყმებით ვაჭრობა იყო გამართული. ყმებს ფულითაც ყიდულობდნენ და სანა-დორო ძალებშიც ცვლიდნენ. ყველა სოფლიდან მოისმოდა გაბრაზებული ბატონების უშვერილანძლვა-გინება, ზორბა მოურავების ყვირილი და მუქანა, დაგეშილი ძალების ყეფა. შარვალჩახდილი ჭარმავი გლეხების ნკეპლებით ცემა ზანდაროვს რაღაც შორეულს, მაგრამ მაინც მნვავეს ავონებდა, გონე-ბას უმღვრევდა და ამ დროს ისეთი დალონებული სახე ჰქონდა, რომ ზაქარა განცვიფრებული უყურებდა. „რა ვქნა, განა ყმების ცემა-ტყეპას მარტო აქა ნახავო“. ქართლის სოფლებში ქორ-ვაჭრობისათვის მოტანტალე ზაქარას ბევრ ალაგას ენახა კაკლის ხის ტოტებზე თავდაყირა და კიდებული ყმები, მოურავის ნაცემი გლეხები, ავლაბრის სამიკიტნოებში გაყიდულ გლეხ კო-გოებს ხომ თვითონაც კარგად იცნობდა. ამიტომ აკვირდებოდა და თვალს უცვიფრებდა ის, რომ ასეთივე სურათები რუსეთის სოფლებში სოვდაგარ ზანდაროვს ნარბს უკრავდა.

ერთხელ ზედ შუა გზაზე, სოვდაგარი და მსახური ავაზაკებისაგან გაძარცულ ვაჭრებს ნაანყდნენ. ავაზაკებს მათთვის საქონელი და ცხე-ნები ნაერთმიათ. რუსი ვაჭრები იყვნენ. ტიროდნენ, ინყევლებოდნენ და იგინებოდნენ. ავაზაკები ნიღბებში ყოფილიყვნენ, მაგრამ ვაჭრებს მაინც ეცნოთ ახლომახლო სოფლებში მცხოვრვბი ყმანვილი აზნაურები. ზან-დაროვმა ტუჩი მოიკვნიტა, ბებუთის ოსტატ ზაქარას ენა მუცელში ჩაუ-ვარდა. მეტლემ ჯიბიდან არყის ბოთლი ამოილო, გადაჰქორა, პირჯვარი გადაინერა, ალვირები მოსწია, ცხენებს მათრახი მოუქნია და სულ ჭენებით გაიარა სახიფათო გზა. ისინი მხოლოდ შლაგბაუმთან დამშვიდდნენ და იმედი მოეცათ, როდესაც მათკენ მომქროლავი ცხენოსანი უანდარმები დაინახეს.

შიშით განადგურებული ზაქარა ჩურჩულით კითხულობდა:

— როდის ჩავალთ იმ საოხრეში?

გზა ისე გრძელი და დაუსრულებელი იყო, თითქოს ქვეყნის კიდეზე მი-დიანო.

ზანდაროვი მშიშარა არ იყო. ფულის დაკარგვის კი მას არ ემინოდა, რა-დგან თან ძალიან ცოტა მიჰქონდა, სოვდაგრებმი არავის ახსოვდა, როდის დაუხვედრეს ხმელეთის ყაჩალებს და ზღვის მექობრეებს ვაჭრებმა კრედიტი. ზანდაროვი მხოლოდ იმ საქონლის უშიშროებაზე ფიქრობდა, რომელიც მას მოსკოვიდან და ნიუნი-ნოვგოროდიდან დარიალის გზით თბილისში უნდა გაეგზავნა. აქაც, მისი ფიქრით, ფული გასჭრიდა, რადგან საქონლის მცველე-ბად კაზაკები შეეძლო დაეყენებინა. ნაყიდ საქონელს ზაქარაც უნდა გამოე-ყოლოდა, მაგრამ რაკი მასში ახალგაზრდა სოვდაგარმა მხდალი აღმოაჩინა, სერიოზულად იყო შემფოთებული.

ბატონი მსახურს გაკვირვებული ეკითხებოდა.

— კაცო, ეგ რა ყოფილხარ? დოსავით რამ გაგანყალა?  
ზაქარამ ჯერ იხტიბარი არ გაიტეხა, გრიგოლს შეედავა:  
— ვაჲ, დალოცვილო, იმდენი დაჭრილი ერთად რომ დავინახე, მაშა არ უნდა  
შემინებოდა?

გრიგოლმა უარესად შეპკრა წარბი, მსახურს საყვედური უთხრა და ზედ  
დაცინვაც მიაყოლა:

— არ მეგონა, თუ ეგეთი თოხლო იყავი. რა ვიცი, ქალაქში ყომარბაზობით  
სახლის კედლები ჩანგრეული გქონდა, ჩხუბში საკინძი ყოველთვის ჩამოწყვე-  
ტილი, თვალზეც ისეთი ფარანი გედო, მთელ ქალაქს ანათებდა.

ზაქარა გატყდა, სიმართლე წამოსცდა.

— რა ვქნა, გრიგოლჯან, ქალაქში ჩემი პაუარნი ამხანაგების იმედით ვი-  
ყავი. ავარების ამბავი არ იცი? თუ ვინმე მაგრად დახვდა, თვალი გაქცევაზე  
უჭირავთ.

— მაშ, ბებუთი რაღად გინდა?

— მშიმრებისთვის, გრიგოლჯან, გულადებს კი ვერიდებით. ვისიც შეში-  
ნებაც შეგვიძლია, ყოჩალებიც იმასთანა ვართ. თუ ზურგიდან არ მოვუარეთ,  
ისე პეტუთს როგორ ამოვიდებთ.

— ფირ...

— ჰო, გრიგოლჯან, ფახა-ფუხით ვიდებთ ფასსა. ჩვენი გართობაც ეს არის.  
ძალლის უბანში იმ ჭორფლიან გოგოებს ვანიოკებთ, კლდის ქვეშ, ალდგომის  
სამშაბათს, ჭორფლის მომშორებელ ჯოჯოებს შაქარს რომ უპნევენ. იცი,  
რამდენს ვიცინით ხოლმე, გრიგოლჯან!

— ეგ რა გართობაა?

— ჰო, გრიგოლჯან, ეგრეა. ყარაჩოლელები და პაუარნები ერთმანეთისაგან  
შორი-შორის არიან. მაგრამ გულადობა არც ჩვენ გვაკლია, — დაიტრაბახა  
ზაქარამ და პირისახიდან სახელოთი ოფლი მოინმინდა, — პაუარნები ვინ არ  
იცის, ხიდიდან მტკვარში ხტებიან და ნისქვილების ნავების ცხვირზე გამო-  
დიან. ამას ნიძლავზე აკეთებენ, ფულს ამით შოულობენ. ჩვენი ხელობა ეს  
არის, გრიგოლჯან.

— მაშ, საქონელი როგორლა განდო? — ჰეითხა მოლუმულმა გრიგოლმა.

— თუ ბევრნი ვიქნებით, იქა მნახე, ვინა ვარ. მენახშირე იაგორასავით  
ლონიერი ვხდები. გრიგოლჯან, შენ არ იცნობ მენახშირე იაგორას? აი, ისა,  
მაკას საყვარელი რომ იყო.

ზანდაროვი უცებ კარგ გუნებაზე დადგა, რადგან შეშინებული მსახურის  
აბდაუბდა ლაპარაკმა ქალაქი და ქალაქური ამბები გაახსენა.

ზაქარამ გრიგოლს მორიდებით მოჰედა და ლრეჭით უთხრა:

— არც მე მეგონა, გრიგოლჯან, თუ შენ ასეთი გულადი იყავი, ფირუზას  
სულ არა ჰეგეხარ.

გრიგოლმა გაიცინა.

— რას ამბობ, კაცო, ფინუზას ყველანი თავს უკრავენ, რისი და ვისი უნდა  
ეშინოდეს?

— ვგ, ეხლა, გრიგოლჯან, ნინათ სულ სხვა იყო. განა არ მახსოვს? თუ სადმე  
ჩხუბი მოხდებოდა, იქ „ლხინის პაპას“ ვიღა ნახავდა.

გრიგოლი ჩატიქრდა.

ფინუზა ზანდაროვის მას ეხლაც ეშინოდა, თუმცა მყისვე იმასაც მიხვდა,  
რომ ფინუზას და ზაქარას თავიანთი მსხვერპლი მხოლოდ სულელ და მშიშარა  
ადამიანებში შეეძლოთ ეპოვათ. თან უკვირდა, რომ ფინუზას შორიდან უკეთ  
ხედავდა, ვიდრე იმ დროს, როცა მის გვერდით იდგა, მას თვალებში შესცეკრო  
ხედავდა, ვიდრე იმ დროს, როცა მის სიტყვას თუ სურვილს უყოფმანოდ, სიტყვის შეუბრუნებლად  
და და ყველა მის სიტყვას თუ სურვილს უყოფმანოდ, სიტყვის შეუბრუნებლად  
ასრულებდა. თვალინინ ცხადად დაუდგა ქარვაჭარივით დაქიმითებული, ხარბი  
და გაუმატდარი აღმზრდელი. მას ისიც მოაგონდა, რომ ფინუზას საერთოდ  
არავინ უყვარდა, გული და ცარიელებული ჰქონდა, ხოლო თავი ეჭვებით სავსე  
გრიგოლი ამგვარ ფიქრებს გაჰყვა. პირველად იმ დღეს გაუელვა მას თავში  
იმ აზრმა, რომ ადრე თუ გვიან ის და ფინუზა, აღმზრდილი და აღმზრდელი,  
ერთმანეთს წინ დაუდგებოდნენ, ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ, ეს  
ისევე გარდაუვალი იყო, როგორც ამ გზის დასასრულს მოსკოვის გამოჩენა.

გრიგოლმა ნიკაპზე ხელი მოისვა, ფიქრი ფიქრს აედევნა, მოგონება —  
მოგონებას, აზრი — აზრს. რატომდაც ფინუზა აგონდებოდა, ფინუზაზე  
ფიქრობდა.

ძალლისუბნელმა ზაქარამ თავისი ლაპარაკით კიდევ უფრო ახლოს  
გააცნო ის, ვინც მას ყოველთვის ერთი ნაბიჯით უკან ტოვებდა და ბატო-  
ნივით თითო უქნევდა. ამ კაცს ქალაქელები ზურგს უკან დასცინოდნენ. ეს  
გრიგოლ ზანდაროვისათვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. ზაქარამ უნებლიერ  
მას ისიც გააგებინა, რომ თუ საქმე მოითხოვდა, ყოფილი მენვრილმანე და  
ახლანდელი დიდვაჭარი არც მას დაინდობდა. მაშინ გრიგოლ ზანდაროვს  
თვით ამ გოლიათური აღნაგობის ლაჩრის უნდა შინებოდა, რადგან ფინუ-  
ზა ზანდაროვს ადვილად შეეძლო მისი თავის იარაღად გამოყენება. მაშინ,  
გრიგოლ ზანდაროვი ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რათა გულდანდობი-  
ლისათვის ზურგიდან არ მოევლოთ, არ ნაექციათ და ქარვასლის კიბეებზე  
არ დაეგორებინათ.

ჩაფიქრებული სოვდაგარი წელში გასწორდა. სახეზე მტკიცე გადაწყვე-  
ტილება გამოეხატა: დღეიდან მას მხოლოდ საკუთარ თავზე უნდა ეფიქრა.  
ნდობით კი არავის ნდობა საჭირო არ იყო. სანვრილმანოდან ქარვასლამდე  
განვლილი გზა მას მხოლოდ ამას უკარნახებდა.

რაკი ზაქარამ ქალაქურ ამბებზე ლაპარაკი დაინყო, მოსკოვამდე აღარ  
გაჩუმებულა, გრიგოლი ყურადღებით უსმენდა. დროდადრო აქეზებდა კი-  
დეც, რათა ქალაქში მომხდარი ამბები დაწვრილებით გაეგო და გაევეთილად  
გამოეყენებინა.

## 5. მოსკოვის

მოსკოვის ლამე ლრმა ძილით სძინავს, მეორე დღეს კი ოთხივე უთხივ  
პირველას გადაინერს თუ არა, ფუნთუშა პურებით ბაზარზე  
მიბრძანდება.

6. გოგოლი, „1836 წლის პეტერბურგული ჩანაწერები“

შუადღე გადასული იყო, როცა გრიგოლ ზანდაროვი თავისი ეტლით მოს-  
კოვში შეგრიალდა.

მზიანი ამინდი იდგა.

ზანდაროვმა შორიდანვე დაინახა ურიცხვი ტაძრებისა და ეკლესიე-  
ბის მოკაშვამე ხახვისებრი გუმბათები და მზეში აელვარებული ოქროს  
ჯვრები.

თეთრქვიანმა და ოქროსთავიანმა ქალაქმა თბილელ სოვდაგარს თვა-  
ლი განუცვიფრა. ასე დიდ ქალაქში პირველად მოხვედრილი ყველაფერს  
აღტაცებული და მოხიბლული უყურებდა. მხოლოდ მოსკოვის გარეუბნე-  
ბის პირდაუბანელ ქუჩებში მოეჩვენა რაღაც მშობლიური და მახლობელი.  
სამაგიეროდ, მოსკოვის შუაგული მისთვის სრულიად ახალი სამყარო იყო.  
აქ სოვდაგარს თვალი მოსწყვიტა გრძელმა ქუჩებმა, ფართო მოედნებმა,  
სასეირნო ბალებმა, ცადანვდილმა სახლებმა და სასახლეებმა, ბულვარზე და  
კუზნეცების ხიდზე მოზიმზიმე ჩაცმულ-დახურულმა ხალხმა, ქვაფენილზე  
მიქროლავმა უამრავმა ეტლმა. ყველაზე მეტად ზანდაროვს ის აკვირვებდა,  
რომ ქუჩებში ეტლი ეტლს მისდევდა, ყველგან ეტლები ჩანდა, გამვლელებიც  
და ქუჩაზე გადამსვლელებიც ეტლებს ერიდებოდნენ, რათა გაჭენებულ ცხე-  
ნებს ფეხებში არ ჩავარდნოდნენ. გრიგოლს რაღაც გაახსენდა და გაეღიმა. აქ  
წეიმიან ამინდში ახალგაზრდა კაცის ლონიერი მხრები საჭირო არ იყო, რათა  
ქალბატონებს ფეხები წვიმის წყალში არ დასველებოდათ.

ეტლი გრძელსა და განიერ ქუჩას მისდევდა. ზანდაროვი ცნობისმოყ-  
ვარეობით ათვალიერებდა ერთიმეორეზე მიკრულ ქვისა და ხის სახლებს.  
თითოეული სახლი მისთვის, თავისი გარეგნობითა და ხუროთმოძღვრული  
იქრით, ახალი და უცხო იყო. ვენეციური, ფლორენციული, გოთური, შვეიცა-  
რული, ჩინური და ბოიარული სტილის შენობები ერთმანეთში უნესრიგოდ  
იყვნენ არეულნი. ასეთ სახლებს ზანდაროვი პირველად ხედავდა და ადვილად  
მიმხვედრი, მათ სხვადასხვა ქვეყნის ნაირ-ნაირად ჩაცმულ ადამიანებს უკავ-  
შირებდა. თანუნებლიერთა გონდებოდა თბილისის ერთსართულიანი, იშვიათად  
ორსართულიანი და კიდევ უფრო იშვიათად სამსართულიანი სახლები. ისიც  
უკვირდა, რომ თბილისური გრძელი აივნების მსგავსი რამ არსად არაფერი  
ჩანდა. მის ცნობიერებაში კი ქალაქი და აივნები ერთმანეთისაგან განუყრელი  
და განუმორებელი რამ იყო.

ზანდაროვი ფელდიეგერმა „ტორგოვი დომში“ მიიყვანა, ძველი ხის  
სახლების გრძელსა და ბნელ რიგებში. აქ მას თბილისელი სოვდაგრები  
დახვდნენ. ერთმანეთს გადაეხვივნენ, გადაკოცნეს და დიდის ამბით მო-  
კითხეს.

ძალლისუბნელი ზაქარა კინალაშ ბავშვივით ატირდა, როცა თბილისელი  
სოვდაგრები დაინახა და ქართული ლაპარაკი გაიგონა.

— თქვენი ჭირიმეთ, თქვენ გენაცვალეთ. თქვენ რომ გიყურებთ, ასე  
მგონია ჩემს მტკვარს ვუყურებდე, — იძახდა გახარებული ზაქარა და  
თან ხელის ჭუჭყიანი ცერებით თვალებიდან სუფთა მსხვილ ცრემლებს  
იწმენდდა.

სოვდაგრები ეხუმრებოდნენ.

— ვაჲ, ზაქარჯან, შენ აქ რა გინდა? შენ ეხლა ხიდზე უნდა იდგე და მტკ-  
ვარში ხტებოდე.

ხუმრობის გუნებაზე დამდგარი სოვდაგრები ზაქარას სერიოზულად  
ეკითხებოდნენ:

— ბიჭო! დედაშენმა ამ სიძორეზე როგორ გამოვიშვა?! დავიჯერო, არ  
გამოგეტირა?

ზაქარაც სერიოზულად პასუხობდა:

— ტირილი რომელია, ვერც ფირუზა აჩერებდა, ვერც თეთრი ლიზა. მეც  
იმ დროს რას ვიფიქრებდი, სად მოვდიოდი. სოლანლულში ეგონა, ხან თელეთში.  
იყო, არ მეგონა.

სოვდაგრები ხარხარებდნენ.

ახალგაზრდა ზანდაროვიც მათთან ერთად იცინოდა.

მერე დასხდნენ და ლაზათიანად, სოვდაგრულად ისადილეს. ზაქარა  
ისეთნაირად გამოათვრეს, რომ თავი ხან სოლანლულში ეგონა, ხან თელეთში.  
სოვდაგრები სიცილით იხოცებოდნენ.

მგზავრობით დაღლილ ზანდაროვს დასვენებაც დაავინყდა და ძილიც.  
სხვებთან ერთად ზაქარას ისიც ამასხარავებდა. ლვინოს ზედიზედ უსხამდა,  
აძალებდა და აქეზებდა, უგრძნობლად მთვრალ ზაქარას არაფერი ესმოდა.  
ამიტომ არავის ეშინოდა, რომ დაცინვის გასახსენებლად ის მათ სადმე ბებუ-  
თით ჩაუსაფრდებოდა.

როცა ღვინით გალეშილი ზაქარა იატაკზე გაიშხლართა და ხერინვა ამოუძ-  
ვა, სოვდაგრებმა საქმიანი ლაპარაკი დაინყეს.

ზანდაროვმა მათ დაწვრილებით გამოკითხა ყველაფერი, რაც კი მას  
აინტერესებდა. ისინიც ზოგ რამეს ეუბნებოდნენ, ბევრსაც უმალავდნენ.  
სწორედ მათგან გაიგო ზანდაროვმა, რომ მოსეკოვში მცხოვრები ერთი  
ქართველი აზნაური თბილისიდან ჩასულ სოვდაგრებზე ოთახებს აქირა-  
ვებდა. ზანდაროვი დიდი ხნით აპირებდა მოსეკოვში დარჩენას, ამიტომ მან  
უმჯობესად ჩათვალა საცხოვრებლად თავისი თანამემამულის სახლში  
გადასულიყო.

## 6. მოულოდნელი საჩუქარი

მე ფული მაქვს.  
გაბრიელ სუნდუკიანი, „დაქცეული ოჯახი“

მეორე დღეს, ქართველების პატარა ჭურაზე, ფარნაოზ ტაშირელს კარზე გრიგოლ ზანდაროვმა დაუკავუნა.

პენსიაზე გასული ფარნაოზ ტაშირელი ძველი ქართველი ემიგრანტის შთამომავალი იყო. უსაქმოდ დარჩენილი მოხუცი კაპიტანი ხელმოკლედ ცხოვრობდა. ამიტომ თავისი პატარა სახლის ოთახებს იმათზე აქირავებდა, ვინც თბილისიდან მოსკოვში დროებით ჩამოვიდოდა. ამით სამსახურიდან გადამდგარი კაპიტანი დამატებით შემოსავალსაც იღებდა და ქართულად ლაპარაკის შესაძლებლობაც ეძლეოდა. მისი ვაჟი, სასამართლოს უბრალო მოხელე, თბილელ სოვდაგრებს არზებს უნერდა და ზოგჯერ თარჯიმნობდა კიდეც. ამით ისიც თავის მცირე ჯამაგირს ორიოდე გროშს უმატებდა.

გრიგოლ ზანდაროვი და ფარნაოზ ტაშირელი ადვილად მორიგდნენ. ამას-თან, მრავალგან ნაომარმხედარს თვალში მოუვიდა და მოენონა თვალტანადი ახალგაზრდა სოვდაგარი. ზანდაროვმა თავისი ბარგი-ბარხანა „ტორგოვი დომიდან“ ზაქარია ტაშირელის სახლში გადაატანინა.

როცა სოვდაგარმა შუშანიერი ბალდადი გახსნა, რათა თავის მასპინძელს ხმელი ხილით გამასპინძლებოდა, სახტად დარჩა. ბალდადში ხმელი ხილის მაგიერ ასიგნაციების დასტა ელაგა. ზედ დაკეცილი ბარათი იდო. ბარათში ეწერა: „მოწყალეო ხელმწიფუე, უფალო გრიგოლ! მდიდარი ბრძანდებით და მოწყალება არ გჭირდებათ. ამიტომ ვკადნიერდები, რათა ამ ასიგნაციებით მცირედათ მაინც გადაგიხადოთ მადლობა თქვენის მზრუნველობისა და ყურადღების გამო. უარით ნუ გამანბილებთ, მიიღეთ და ლმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ. თქვენგან დიდად დავალებული შუშანიერ მამრაძე“. ასიგნაციების დანახვაზე ზანდაროვს ჯერ თვალები აუჭრელდა, მერე ცრემლებით დაენამა. მადლიერების გრძნობით გაიხსენა ძალზე გამხდარი, ნაადრევად დაბერებული, მაგრამ უალრესად კეთილი და სათნო ხასიათის შუშანიერი. ოქროს ქისის შემდეგ ამდენ ფულს იგი კვლავ ჯილდოდ შოულობდა. მაგრამ ფულის ფასი ახლა მან უკვე იცოდა. თუ მაშინ მის ოქროს ქისას ფირუზა დაეპატრონა, ახლა ეს ასიგნაციები მხოლოდ მას ეკუთვნოდა, მისი იყო, მასში ფირუზა ნილს ვერ დაიდებდა და მის შესახებ ვერც ვერაფერს გაიგებდა. ამის შეგნება მას ერთდროულად დამოუკიდებელსაც ხდიდა და ლონიერსაც. სიხარულისაგან გაბრუებულ ზანდაროვს ერთხელაც არ გახსენებია, რომ იგი გულუხვ საჩუქარს მოტყუებული და მისი მონაწილეობით გაუბედურებული ქალისაგან იღებდა.

მხოლოდ ერთი რამ ვერ აეხსნა მას: რა ამოქმედებდა შუშანიერს? დაგვიანებული სიყვარული თუ უბრალო ადამიანური მადლობა მისი ოჯახის

მზრუნველის და მფარველის მიმართ? როგორც მეურვე, იგი მხოლოდ იმას ხვდებოდა, რომ შუშანიქს ან ოჯახის თვალმარგალიტი უნდა გადაეხურდავებინა ასიგნაციებში, ანდა მოგების იმ ნილიდან აეღო, რასაც მას ოჩხუბობის პირობით ზანდაროვები უნიშნავდნენ.

აღელვებულმა ზანდაროვმა ოთახში გაიარ-გამოიარა. ფიქრებისაგან გაქარამ გამოარკვია. მსახური მას გაკვირვებით ეკითხებოდა:

— გრიგოლჯან, ეს როგორი ქართულით ლაპარაკობს ჩვენი სახლის პატრონი? ეგრე ჩვენში მღვდლებიც აღარ ლაპარაკობენ.

გრიგოლ ზანდაროვმა დინჯად განუმარტა:

— ღრმა ქართულით ლაპარაკობს, ზაქარ!

— ჰომო... — პატივისცემით წარმოთქვა ქალაქურ კილოზე გაზრდილმა ზაქარამ, რომელიც ძველი ქართველი ემიგრანტის მნიგნობრულ ქართულს თვალებდაჭყეტილი უგდებდა ყურს.

სადილად რომ სხდებოდნენ, ზანდაროვმა სამსახურიდან დაბრუნებული ვახტანგ ტაშირელი გაიცნო. თბილისელი სოვდაგრებისაგან მან უკვე იცოდა, რომ ფარნაოზ ტაშირელის ერთადერთი ვაჟი ცხოვრებაში სრულიად გამოუკლელი, მეტისმეტად პატიოსანი, მიამიტი და გულდანდობილი ყმანვილი იყო. თუმცა მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, „მღვდლის ოდენა იცოდა და კარგ არზებსაც წერდა“. იგი ჯერ მხოლოდ ოცი ნლისა იყო, მაგრამ მოსკოვის უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული ჰქონდა.

## 7. დიდ ქალაქი

საკვირველია, აქ ბალკონები არა პცოდნიათ.  
გიორგი ერისთავი, „ჩემი მოგზაურობა ევროპაში“

თავაზიანმა და ყურადღებიანმა ვახტანგ ტაშირელმა თბილელ სოვდა-გარს მოსკოვის ლირსმესანიშნაობანი დაათვალიერებინა. პირველად დონის მონასტერში წაიყვანა და ქართველ უფლისწულთა საფლავები აჩვენა. დოდხანს გატაცებით ლაპარაკობდა და ახსნა-განმარტებასაც დაუზარებლად იძლეოდა, მაგრამ ახალგაზრდა სოვდაგარს მალე ისეთი მთქნარება აუტყდა, რომ ვახტანგ ტაშირელმა გრძლად დაწყებულილაპარაკი რომელილაც სიტყვაზე შენყვიტა და მისი ისტორიული ცნობებით გაბრუებული თანამემამულე მონასტრიდან გამოიყვანა. სამაგიეროდ, საღამოთი თეატრში მას მხიარული კომედია უჩვენა. ზანდაროვმა ბევრი იცინა და ნასიამოვნებიც დარჩა. ოღონდ იმას თაკილობდა, რომ თეატრის მაყურებლები მის დიდვაჭრის კაბას ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ. ზოგიერთი კი სრულიად მოურიდებლად დამცინავად უყურებდა. მას ამის გამო ქუჩამიც არასვენებდნენ. გოგო-ბიჭები ისე დასდევდნენ, როგორც ქუჩის მუსიკოსს ან ჯამბაზს დასდევენ ხოლმე.

მხოლოდ „ტორგოვი დომში“ და კრემლის მახლობლად დიდ ბაზარზე არ უკირდათ მისი ჩაცმულობა, რადგან იქ მრავლად ტრიალებდა სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვანაირად ჩაცმულ-დახურული ვაჭარი.

დოდი ქალაქის ქუჩებში ხეტიალის დროს ზანდაროვი თვალით დაეძებდა ავნებს, მაგრამ ვერსად პოულობდა.

უკირდა და გარშემო გაშტერებული იყურებოდა.

თბილელი სოვდაგარი მოსკოვში ცველაზე მეტად მოსკოველების ღვთის-მოსაობამ გააკირვა. ყოველი ქუჩიდან და კუთხიდან მას დიდი და პატარა ზარების ატეხილი გუგუნი და ნკრიალი ესმოდა. ურიცხვი ტაძრების და ეკლესიების სამრეკლოები, მღვდელმსახურებისა და ნირვების დროს, ზარების გაუთავებელ პაექრობას მართავდნენ. ამ დროს გამვლელები სასოებით იწერდნენ პირჯვარს და ზეცაში იყურებოდნენ. გაკირვებულ ზანდაროვს თავისდაუნებურად ღრმადმორნმუნე თეთრი ლიზა აგონდებოდა. ყოველ ნაბიჯზე ივისამლოცველოებს, ნიშებს, ხატებს, გამყიდველებს, ბრძოში მოქადაგე მღვდლებს, დიაკუნებს, ბერებს, მონაზვნებსა და მწირებს ხედავდა. მდიდრულ ტაძრებში მდიდრული ეტლებით დადიოდნენ გენერლები და თავადები, ბრნ-ყინვალე მანდილოსნები და ბედნიერი ლიმილით გასხვოსნებული ქალწულები. მოსკოვში ლოცვა-ვედრების გარდა, თითქოს სხვას არაფერს აკეთებდნენ. ზანდაროვიც ხშირად შედიოდა ეკლესიაში, მაგრამ უფრო ცნობის მოყვარუობის დასაკმაყოფილებლად, ვიდრე სარწმუნოებრივი ლტოლვის გამო. დიდკაცობის ყურება უყვარდა. თაყვანის ცემით ხრიდა თავს მათ ნინაშე, მათი ზვიადი და გოროზი გამომეტყველებით მოხიბლული და დატყვევებული. ისიც სხვებივით ლოცულობდა და სანთლებს უნთებდა წმინდანებს, რომლებსაც ქართველი წმინდანებისაგან განსხვავებით, გრძელი თეთრი ხალათები და პრიალა შევი ჩექმები ეცვათ. ისინი ზანდაროვს რატომლაც რუს ვაჭრებს აგონებდნენ. გაკვირვებული შესცექროდა მათ, ყოყმანობდა და მათთვის სანთლის დანთება ენანებოდა, რადგან „ჩექმებიანი წმინდანების“ ძალა არა სწამდა.

თბილელ სოვდაგარის არც ის დარჩა შეუმჩნეველი, რომ რუსი ვაჭრები ოთახში შემოსვლისას, სკამზე დაჯდომისას და პურისჭამის ნინ პირჯვარს იწერდნენ და თავიანთ გრძელ, გაბარჯგულ წვერებში ლოცვებს ბუტბუტებდნენ. „სპეტაკნი და ღვთისმოსავნი არიანო, — ფიქრობდა ზანდაროვი, რომელსაც გუნებაში მათი მოტყუება ადვილ საქმედ მიაჩნდა, — ფირუზა რომ აქ იყოს, ყველას ჯიბეებს დააჭრიდაო“.

უყურებდა თეთრნვერა, შავნვერა და მნითურნვერა ვაჭრებს და იოლი ნარმატების რწმენით იმსჭვალებოდა.

რუსმა ვაჭრებმა მასთან საქმიანი მოლაპარაკება გამართეს. ზანდაროვმა მათგან ზოგი საქონელი ნალდ ფულზე იყიდა, ზოგის საყიდლად კი კრედიტის გახსნა მოითხოვა, კრედიტი, არწმუნებდა იგი მათ, საშუალებას მისცემდა, კიდევ დიდხანს დარჩენილიყო მოსკოვში საქონლის ასარჩევად და შესასყიდად. ვაჭრებმა და ფაბრიკანტებმა მისი თითქმის ყველა ნინადადება უყო-

მანოდ მიიღეს, რადგან კავკასიასთან (და კავკასიის მეშვეობით მახლობელ აღმოსავლეთთან) სავაჭრო ურთიერთობა სულ უფრო და უფრო სარტიანი და მომგებიანი ხდებოდა. ამას გარდა, ზანდაროვმა თავისი კომერციული შესაძლებლობანი მათ კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში დამტკიცებული საბუთებით, საგარანტიო მოწმობებით და სარეკომენდაციო ბარათებით დაუდასტურა. ფასების გამოც ადვილად მორიგდნენ.

„ასტრახანის ტარიფი“ და ოურქმანჩაის საზაო ხელშეკრულების სათანა-დო მუხლმა რუს ვაჭრებსა და ფაბრიკანტებს იმდენი მოაგებინა, რომ ფასების გამო დიდხანს ვაჭრობას საჭიროდ არ თვლიდნენ.

ზანდაროვი მოსკოვში თავს უკვე თამამად გრძნობდა. უცხო ქალაქში ყოფნა აღარ ეხამუშებოდა. ვაჭრებს და ვაჭრობას ეცნობოდა, ბაზრებში ყველაფერს გულდასმით აკვირდებოდა. „ტორგოვი დომის“ მრავალრიცხოვან სტუმრებს მევობრულ მუსაიფს უმართავდა. მართალია, რუსულად ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ სათქმელს ყველას აგებინებდა და სხვების ნათქვამსაც ადვილად გებულობდა. თან სომხურის, სპარსულის და ოურქულის ცოდნასაც იშველიებდა. მარტო თურქულის ცოდნის წყალობით მას რუსეთის ქალაქები და ბაზრები ისე შეეძლო შემოევლო, რომ არსად თარჯიმანი არ დასჭირებოდა.

როცა „ნმინდანებმა“ მისი მოტყუება სცადეს, საშინლად გაოცდა. ხიფათს ვაჭრულმა ალლომ და ფხიზელმა ჭკუამ გადაარჩინა. იგი მალე მიხვდა, რომ რუსი ვაჭრებიც ისევე ინერდნენ პირვევარს, როგორც ფირუზა ინერდა ხოლმე. მიხვდა და სიფრთხილეს მოუმატა.

ზანდაროვი რუს და უცხოელ ვაჭრებს უკვე კარგად იცნობდა, როცა ნიუნი-ნოვგოროდში ნმინდა მარკოზის განთქმულ ბაზრობას დაესწრო. აქ მას ბევრი რამ ნაცნობი და მახლობელი ეჩვენა, რადგან ბაზრობაზე უმრავლესობას აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მოსული ვაჭრები შეადგენდნენ.

ნიუნი-ნოვგოროდში მაშრიყი და მაღრიბი ერთად იყო ნარმოდგენილი. მაღრიბელი ვაჭრები აქედან ასტრახანამდე ვოლგას ხომალდებით უნდა გაჰყოლოდნენ, ასტრახანიდან კი შეუა აღმოსავლეთში ამიერკავკასიის ძველი სახმელეთო გზებით ან კასპიის ზღვით გასულიყვნენ. ასევე მაშრიყელი ვაჭრები ასტრახანიდან ნიუნი-ნოვგოროდამდე ვოლგას უნდა აჰყოლოდნენ. აქედან კი მაღრიბისაკენ მიმავალ ორ დიდ გზას დასდგომოდნენ, რათა თავიანთი საქონლით ბაზრის ან ჩრდილოეთის ზღვის ნავსადგურებში მისულიყვნენ.

ახალგაზრდა ზანდაროვს მხოლოდ ახლა ეცა თვალშივაჭრების განიერი მხარეში, მზითა და ქარით გარეუჯული სახეები, ცოცხალი, დაკვირვებული თვალები.

ნმინდა მარკოზის სვეტთან ღრმად ჩაფიქრებული ერთხელ კიდევ რწმუნდებოდა, რომ მოვ ზაურობა და ვაჭრობა მხოლოდ ლონიერი, მხნე, უშიშარი, გამძლე და ამტანი ადამიანების საქმე იყო.

# კარი მეთორმეტე

## 1. მამა და შვილი

**თვალთაგან დაშორებული სამშობლო გულთან ახლოსაა.  
მოსკოველი ქართველების წერილებიდან**

ტაშირელების ოჯახში ხშირად იგონებდნენ ხოლმე თავიანთ ნინაპარს, თბილისის რომელიდაც საყდრის მღვდელს და საუკეთესო კალიგრაფს, რომელიც 1724 წელს რუსეთს მიმავალ ვახტანგ VI-ს თან გაჰყოლოდა.

ტაშირელების ეს ნინაპარი მნიგნობრობდა და პოეტობდა ერდეც, როგორც მისი თანამედროვეების უმეტესობა, უბრალო აზნაურიდან დაწყებული, გვირგვინოსან მეფემდე. მაგრამ თუ იგი თავისი ორიგინალური ნაწარმოებებით საჭალო ნიჭის და შესაძლებლობის ადამიანად გამოიყურებოდა, სამაგიეროდ, არაჩვეულებრივად ლამაზი ხელით ნერდა მხედრულადაც და ხუცურადც. მოსკოვის ქართულ კოლონიაში ამ მხრივ იგი ერთი პირველთაგანი იყო.

მისი ხელით გადაწერილი მრავალი ორიგინალური და თარგმნილი თხზულება ახლაც ელაგა ტაშირელების პატარა სახლის ერთ-ერთი ოთახის თაროებზე. ფარნაოზ ტაშირელი მათ თვალისჩინივით უფრთხოლდებოდა, თუმცა თვითონ ნიგნების კითხვა არ უყვარდა.

ემიგრანტი მნიგნობრისა და ხუცურის ნაშიერნი მღვდლების მაგიერ მხედრები გამოვიდნენ. ისინი ქართველ ჰუსართა პოლკის ჩინებული კავალერისტები იყვნენ. მამაცურად ებრძოდნენ შვედებს, თურქებს, პრუსიელებს და ფრანგებს. ქართველი ემიგრანტების შთამომავალნი სისხლს ანთხევდნენ ერთმორნმუნე მეფის ტახტისათვის. იმპერატრიცა ელისაბედის რესკრიპტით რუსეთის ქვეშევრდომებად ჩარიცხულნი მხოლოდ რუსეთში ცდილობდნენ სახელის და დიდების მოხვეჭას. მიუხედავად ამისა, არც ქართულს ივინყებდნენ და არც მათთვის უკვე შორეულ სამშობლო ქვეყანას, თვით უცხოეთში ისინი გულნალვლიანად იგონებდნენ ქართლის მხიარულ გაზაფხულს, ისევე, როგორც მას მაგდებურგის კოშკის ქართველი ტყვე იგონებდა.

ტაშირელები მრავლდებოდნენ, რუსი აზნაურების ასულებს ცოლებად ირთავდნენ და მხედრებად იზრდებოდნენ.

ფარნაოზ ტაშირელი 1812 წლის სამამულო ომის ვეტერანი იყო. მას არ შეეძლო უცრემლოდ მოეგონებინა ბოროდინოს ველზე მძიმედ დაჭრილი გენერალი ბაგრატიონი, რომელსაც იგი მრავალ ბრძოლაში ახლდა და რომლის ვაუკაციობას ახლაც აღტაცებით იგონებდა. ფარნაოზ ტაშირელი იმით ამაყობდა, რომ თავისი ხმლით ერთგულად და თავდადებით ემსახურა ხელმწიფე-იმპერატორს.

ნაომარ, ნაჭირნახულევ და დაბერებულ აზნაურს ახლა ერთი სურვე-ლილა ასულდგმულებდა: სურდა ერთადერთი ვაჟი ვახტანგი ნინაპრების კვალს შესდგომოდა და ისიც იმპერატორის ერთგული ჯარისკაცი გამოსულიყო.

როგორც ეს უცოლოდ დარჩენილ ქერივ მამაკაცებს სჩვევიათ, ვაჟს მეკურად ზრდიდა, ალერსისა და სიყვარულის გარეშე. შინ იგი ნამდევილ ფელდფებელად იყო გადაქცეული. პატარა ვახტანგს ხან დამბარის ხმარებას ასწავლიდა, ხან ხმლის მოქნევას, ხან მანეუმი ცხენზე ჯდომას. სამაგიეროდ, ალერსიანი სიტყვა ერთხელაც არ ნამოსცდებოდა. ბავშვური გასართობები პატარა ვახტანგისათვის არ არსებობდა. მამას მისთვის მხოლოდ სამხედრო სათამაშოები მოჰქონდა. ტყვეის ჯარისკაცები, მხედრები, პანია ზარბაზნები, სათამაშო თოვლები და ხმლები, დოლები და საყვირები. თანატოლ ბიჭებთან თამაშს სასტიკად უკრძალავდა. დილაადრისან ეკლესიაში ნირვის მოსასმენად მიჰყავდა, მერე გიმნაზიაში ისტუმრებდა. საღამოობით ანთებული სანთლის შექმენები, მასთან ერთად მოსკოვში დაბეჭდილ ბაქარისეულ ბიბლის ეკლესიაში დაბეჭდილ, ხან მამა უჯდა ტექსტს, ხან შეიტყო. უფრო ხმირად შეიტყო ეკლესიაში, რადგან როცა ამას მამა აკეთებდა, ბავშვს თვალზე რული ეკლესიაში და ყვინთავდა.

ასე იზრდებოდა ტაშირელების გვარის ერთადერთი გამგრძელებელი.

ვახტანგი ისე გაიზარდა, რომ თეატრი ერთხელაც არ ენახა. მის მამას თეატრი სძაგდა და ახლოს არ ეკარებოდა. თუ სადმე სიტყვა მოიტანდა, იგი ყოველთვის გესლიანად დასცინოდა ხოლმე მსახიობ სანდუნოვს, ქართველი ემიგრანტის შთამომავალს და მოსკოვის აბანოების ახლანდელ მფლობელს, რომელსაც სცენაზე გაეთქვა სახელი და არა ომის ასპარეზზე, ნიმუშად და მაგალითად მხოლოდ ქართველი გენერლების ბრნყინვალე კარიერა ჰქონდა. საზოგადოდ კი ქართველის ერთადერთ მოვალეობად სამხედრო ცხოვრება და ომში მონაწილეობა მიაჩნდა.

დაბერებული სალდაფონი მუდამ ფხიზლად იყო, რათა მისი ვაჟი მავნე აზრებს არ აჰყოლოდა. ამიტომ გულმოდგინედ არიდებდა იმ ნაცნობ ოფიცირებს, რომლებიც რაღაცნაირად დეკაბრისტებთან იყვნენ დაკავშირებულნი, ანდა დეკაბრისტებს თანაუგრძნობდნენ.

მის ოთახში მხოლოდ ორი სურათი ეკიდა ხელმწიფე-იმპერატორის და კავკასიის მთავარმართებლად ნამყოფი გენერალ ციციანოვის. ოთახების კუთხეები ხატებით იყო გავსებული. ყოველ ბედნიერ დღეს ხატების ნინ გაუქრობლად ენთო თაფლის სანთლები. ხატებთან დაჩოქილი ფარნაოზ ტაშირელი ვაჟთან ერთად გულმხურვალედ ლოცულობდა. მის ნარმოდგენაში რომანოვების ტახტი და მართლმადიდებლური მისწრაფებები ქვეშევრდომული აზრის და მიზნის უმაღლესი გამოხატულება იყო, ადამიანთა კეთილგონიერი ცხოვრების, ლვთაებრივი ნესრივის და ქრისტიანული თანხმობის შეურყეველი დასაყრდენი.

გამას ერთი რამ გამორჩია მხედველობიდან. შეიღლი დიდხანს რჩებოდა ხოლმე იმ ოთახში, სადაც ტაშირელების წინაპართა ხელნანერი წიგნები იყო დაცული. ამ წიგნებში ვოლტერის ქართულად ნათარგმნი თხზულებაც იყო. ვოლტერმა კი ახალგაზრდა ტაშირელი მოსკოვის უნივერსიტეტში მიიყვანა. გართალია, ეს ჯერ კიდევ არ წინავდა სამხედრო სამსახურზე ხელის აღებას, მაგრამ ფარნაოზ ტაშირელი მაინც სერიოზულად იყო შეშფოთებული. სკოლასაც და უნივერსიტეტსაც იგი ეჭვის თვალით უყურებდა, რადგან განათლება მონარქიის და მართლმადიდებლობის მთავარ საფრთხედ მიაჩინდა. მაგალითად ევროპის განათლებულ ადამიანებს ასახელებდა, რომელთაც, შეძრნუნებით აღნიშნავდა ფარნაოზ ტაშირელი, თვით მეფეს გილიოტინაზე თავი გააგდებინეს.

შეფიქრიანებული აზნაური ნარამარა პირჯვარს იწერდა და ყველა ხატს ცალ-ცალკე უჩინქებდა.

## 2. განხეთებილება

თუ ბოროტება გვინდა რომ მოვსპოთ, მე მხოლოდ იმის მომხრე ვიქნები: მთელ ქვეყანაზე ერთად შევკრიბოთ და ცეცხლში დავნვათ ყველა წიგნი!

ა. გრიბოედოვი, „ვაი ჭკუისაგან“

ვახტანგ ტაშირელი მოსკოვის უნივერსიტეტში სწორედ იმ დროს სწავლობდა, როდესაც ყველა სტუდენტს პირზე ბესარიონ ბელინსკის სახელი ეკრა. მოსკოვის უნივერსიტეტის ამ თამამი ნასტუდენტარის „აღმაშფოთებელი საქციელის და გამომწვევი წერილების“ ამბავი ფარნაოზ ტაშირელის ყურსაც მისწვდა. შეშინებული და დამფრთხალი კაპიტანი შეიღს აფრთხილებდა, შორს დაეჭირა თავი იმათვან, ვინც ახალგაზრდებს თავისუფლების მქადაგებლად ევლინებოდნენ, ნამდვილად კი მონარქიის და მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო აზრებს ავრცელებდნენ.

ვახტანგ ტაშირელს არც ამხანაგი ჰყავდა, არც მეგობარი, არც თვითონ მიდიოდა ვინმესთან სტუმრად და არც მასთან მოდიოდნენ სტუმრები. მთელ დღეს შინ ატარებდა წიგნების თავაუღებლივ კითხვაში. გარეთ მხოლოდ იმისთვის გადიოდა, რათა უნივერსიტეტში ლექციები მოესმინა. ფარნაოზ ტაშირელს თანდათან ეჭვები უცხრებოდა, საფიქრებელი და შემაშფოთებელი თითქოს არაფერი ჩანდა. მამა თბილელ სოვდაგრებთან ლაპარაკით ერთობოდა, შვილი ლექსიკონებს უვდა და ევროპულ ენებს ეუფლებოდა.

ჭექა-ჭუხილი ცამონმენდილზე ატყდა.

როცა ერთხელ ფარნაოზ ტაშირელი ერთ ძეველ დაკარგულ საბუთს ეძებდა, შვილის ქალალდებში რილევევის ხელნანერ ლექსს წანყდა. ჩამოხრიობილი

დეკაბრისტის ლექსი მისი შვილის ხელით სუფთად იყო გადანერილი. მამას თავზარი დაეცა. ჩხრეკა განაგრძო და ზედიზედ აღმოაჩინა რადიშჩევის თხზულება, მარტი დეკუსტენის პასკვილი და რამდენიმე აკრძალული ნიგნი. მოხუცა კინაღამ დამბლა დაეცა. მისი შვილი იმ გზით მიდიოდა, რომლის ბოლოს სახრიობელა ან ციმბირის ყინულოვანი ულრანები უნდა დახვედროდა. ტაშირელების ნაშერი ამჟარის განსაცდელის ნინაშე იდგა, რადგან მესამე განყოფილების უფროსი გრაფი ბენკენდორფი ასეთი ნიგნების ნაკითხვისა თვის არავის ინდობდა.

გაბოროტებული აზნაური სკოლების და უნივერსიტეტების დამაარსებლებს სწყევლიდა. მისი ლრმა რნმენით, მხოლოდ განათლების წყალობით შემოდიოდა ერთგული ქვეშევრდომის ოჯახში ჩამოხრიობილი და ციმბირში გადასახლებული დეკაბრისტების აზრები, რომლებიც მას (ოც, როგორ სცდებოდა მოხუცი კაპიტანი!) სენატის მოედანზე სამუდამოდ დათრგუნულად მიაჩნდა. მის მეხსიერებაში მისი საკუთარი შვილი აცოცხლებდა 1825 წლის ამბებს. მას ხელში ეჭირა აკრძალული ნიგნები, რომელთაც თურმე (მაინც, აქამდე სად იყო გამოჩერჩეტებული ფარნაოზ ტაშირელი, ასე რამ დაუბრმავა თვალები?! ) მისი საკუთარი პირმშო კითხულობდა.

მოხუცი კაპიტანი არ ცდებოდა, როცა შვილის „გარყვნას“ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორებს და სტუდენტებს აბრალებდა, მაგრამ გულგაცეცხლებულს არ ახსენდებოდა, რომ მისი უმცროსი ძმა, ბორიდინოს ველზე დაღუპული ივანე ტაშირელი, ახალგაზრდობაში ვოლტერის ნიგნებით და ნაპოლეონის პიროვნებით იყო გატაცებული. მას არც ის მოჰვონებია, რომ თვით მისი მშობელი მამა, იზმაილის გმირი დიმიტრი ტაშირელი, ეკატერინე II-ის დროინდელ „ლიბერალიზმს“ და ვოლტერიანობას თავისებურ ხარკს უხდიდა. ეს რომ გახსენებოდა, მამინ მოსკოვის უნივერსიტეტის გვერდით თავისი უახლოესი ნინაპრების ბიბლიოთეკასაც დააყენებდა.

ამ მოულოდნელი აღმოჩენის შემდეგ ფელდფებელი ჯაშუშად გადაიქცა. შვილის ყოველ ახალ ნიგნს სინჯავდა, მის ქაღალდებს ქექავდა, მისი მაგიდის უჯრებს და კედლის თაროებს ჩხრეკდა, რათა ტაშირელების ოჯახში რადიშჩევების და რილევების აზრებისათვის გზა გადაეღობა.

შვილისთვის მამასთან ცხოვრება აუტანელი გახდა.

განხეთქილება სიძულვილში გადაიზარდა.

მამა-შვილის შერიგება შეუძლებელი იყო.

მათს გაყრას და განმორებას მხოლოდ ის უშლიდა ხელს, რომ ორნილა იყვნენ დარჩენილი, სხვა ნათესავი მათ არ ჰყავდათ და ტაშირელების გვარის უკანასკნელ ნარმომადგენლებად ითვლებოდნენ.

ვახტანგ ტაშირელი თავისი გზით მიდიოდა, ცხოვრებაში ახალ გზებს ეძებდა: მამა კი მის იმ გზაზე გაჩერებას ცდილობდა, რომელიც XVIII საუკუნეში პარეკებიანი ბობოლების და კარის კაცების მიერ იყო გატეკანილი.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ახალგაზრდა ტაშირელმა სასამართლოს უბრალო მოხელედ დაიწყო სამსახური.

ფარნაოზ ტაშირელს გულის ძარღვი ჩასწყდა.

მამაცი ტაშირელების უკანასენელი ნაშიერი მოხელედ იქცა და თოფის ნაშილის მაგიერ მელნისა და ქალალდების სუნი ასდიოდა.

მოხუცებულ აზნაურს არ შეეძლო გულგრილად ეცქირა თავისი ვაჟის სამოქალაქო სამოსისათვის, აღმფოთებული შვილს უსიამოვნო სცენებს უმართავდა და საყვედურებით იკლებდა.

შვილი დუმდა. მამას სიტყვას არასოდეს უბრუნებდა. პატივს სცემდა და როგორც მშობელი უყვარდა კიდეც.

სამსახურის შემდეგ მისი გამრთობინიგნები იყო. შეაღამედე კითხულობდა თავის საყვარელ ავტორებს: შექსპირს, ლესინგს, გოეთეს, შილერს, პუშკინსა და ლერმონტოვს. ფილისოფოსებიდან ჰეგელით იყო გატაცებული, ეკონომისტებიდან — ადამ სმიტით და რიკარდოთი. ისტორიკოსებიდან — ოლარის და გიზოს თხზულებებით. მოცულილობის უამს ქართულად თანამედროვე ეკრაპელი პოეტების და მწერლების ლექსებს და ნოველებს თარგმნიდა. დროგამოშვებით საკუთარი ნააზრევი და ნაფიქრალი ქალალდზე გადაჰქონდა, იშვიათად დღიურსაც წერდა და მას თავისი შთაბეჭდილებებით ავსებდა. მხოლოდ ამ მხრივ ავრძელებდა იგი ტაშირელების მნივნობრულ ტრადიციებს, ოღონდორიგინალური ნაწერების ახალ ფორმაში სრულიად ახალ შინაარსს დებდა.

შვილის მაგიდაზე ნიგნი ყოველთვის გადაშლილი იყო სასამართლო ქალალდების გვერდით. მამა კი მეორე ოთახში მოუსვენრად ბოლთას სცემდა. გადამდგარი კაპიტანი აღრენილი იყო იმის გამო, რომ სტანისლავის და ვლადიმერის ორდენებით დაჯილდოებული მხედრის ვაუი ნიგნების კითხვით თვალებს იფუჭებდა (მტერს ვეღარ შეებმოდა), გონებას ინამლავდა (ლალატის ჩასადენად), მელანს ხარჯავდა (მავნე აზრების გასავრცელებლად) და სანთლებს სწვავდა (ხელმოკლე ოჯახის გასაღატაკებლად). ხშირად მამა ბოლმას ვერ ერეოდა, ბრაზმორეული შვილს ოთახში უვარდებოდა, ლანძღავდა და უყვიროდა: „შენ ეხლა მეფისა და მამულისათვის უნდა იღვნოდე ხმლით ხელში, შენ კი მარატი გინდა გამოხვიდე? გილიოტინაზე ოცნებობ? ეჲ, რობესპიერ-ტაშირელი! რაღაც არ გამოდის, ერთმანეთს არ უხდება“. მოხუცი ყვირილიდან დაცინვაზე გადადიოდა, ნესტარიანი კალამბურებით ლაპარაკობდა და ლვარძლიანად იცინოდა.

ვახტანგი დუმდა.

დუმდა ნანყენი, გულნატკენი და დალონებული.

### 3. გაკვირვებული სოცდაგარი

ლმერთო ჩემო! ლმერთო ჩემო! რა ძნელია, იყო პატიოსანი ადამიანი,  
კლოდ ტილლიუ, „ჩემი ძის ბენუამენი.“

გრიგოლ ზანდაროვი, ტაშირელების ახალი მდგმური, ბევრჯერ შეესწრო  
მამის შვილთან ჩხუბს, გულში იგი მოხუც აზნაურს თანაუგრძნობდა, რად.  
გან არც მას მოსწონდა ახალგაზრდა ტაშირელის საქციელი. უკვირდა, რომ  
ყმანვილი კაცი დროს უფრო ხშირად ნიგნებით სავსე, ცივსა და ნახევრად  
ბნელოთახში ატარებდა. მისთვის არ არსებობდა არც ღვინო, არც ქალი, არც  
ქეიფი და დროს ტარება, არც ქალალდის თამაში და არც თანატოლებთან  
ერთად გართობა-მასლაათი. ზოგჯერ სასამართლოს ახალგაზრდა მოხელე  
სულელადაც მიაჩნდა (რადგან იგი მღვდელივით კითხულობდა ნიგნებს,  
მაგრამ ანაფორა არ ეცვა), ზოგჯერ კი მისდამი სიბრალულსაც იჩენდა.

საერთოდ, ცნობისმოყვარე გრიგოლ ზანდაროვი ცდილობდა ვარკვეული-  
ყო ვახტანგ ტაშირელის მიდრეკილებებსა და მისნრაფებებში, რადგან მისი  
მსგავსი ადამიანი არც დუქნებში ენახა, არც ბაზრებში და არც ქარვასლებში.

ის კი არა, თავისებურად მოსწონდა კიდეცეს თავმდაბალი, მორიცდებული და  
თავაზიანი ყმანვილი კაცი. რაღაცნაირად ხიბლავდა მისი არაჩვეულებრივად  
კეთილი სახე, როგორიც მის სოფელში, აგონდებოდა სოვდაგრად გადაქცეულ  
ნაგლეხკაცარს, დარბაისელსა და ჭკვიან გლეხებს ჰქონდათ, როცა ისინი გან-  
რისხებული ბატონის ლანძლვა-გინებსა მდუმარედ ისმენდნენ. საკვირველი ის  
იყო, რომ ამ დროს თვალწინ ნათას მამა თევზორე და პავლე მღვდელი უდგე-  
ბოდა. ფანდურანთ იოსები კი, ესეც ავონდებოდა გრიგოლ ზანდაროვს, ფიცხი  
იყო, გულჩექარი და შეურაცხყოფილი მალე იკიდებდა ცეცხლს, ალმოდებულის  
აძრიალებას კი მხოლოდ ერთი ნამი სჭირდებოდა. ზანდაროვს გულში გაელია:  
ახლა იგი ვაჭარივით დინჯი, აუჩქარებელი, ანგარიშიანი და საზრიანი იყო.

სოვდაგრისათვის გაუგებარი იყო მამა-შვილის უკმაყოფილებისა და  
გამნვავებული ურთიერთობის ნამდვილი მიზეზი. ამიტომ ნიაზით<sup>1</sup> ისმენდა  
მოხუცის მიერ ყვირილით წარმოთქმულ სიტყვებს და თვალს არ აშორებდა  
ახალგაზრდა ტაშირელს, რომელსაც გარეგნულად წყენის და ბრაზის ნიმანნ-  
ყალი არ ეტყობოდა.

სასამართლოს მოხელე დამშვიდებული იდგა მაგიდასთან, ხელი ნიგნის  
თავფურცელზე დაედო, ცალი მხარი მაღლა აენია, როგორც ბრისოს დავი-  
დის სურათში, ხოლო კეთილ სახეზე და გონიერ თვალებში თავისი აზრისა  
და შეხედულებების ღრმა რწმენა აღბეჭდოდა. მამა კი თითქმის ღრიალებდა  
შვილის დუმილის გამო, ბრაზისა ჰევრიდა მისი აუღელვებელი, ლირსებით  
სავსე გამოხედვა.

<sup>1</sup> ნიაზი — ინტერესი.

— ციხეში... შლისელბურგში... არა, საგუეთში უნდა ჩაგამწყვდიოს იმპერატორმა! — უყვიროდა შვილს რისხვისაგან ხმაჩახლეჩილი მამა.

— მე რადიშჩევი არა ვარ, — მშვიდი ხმით მოუგო შვილმა, — ჩემი გვარი ტაძირელია.

— პო... პო... შენც იმათთანა ხარ, ვინც ღმერთისა და ხელმწიფის დამხობის აზრსა სთესენ... შენც ღალატის განმზრახველებს თანაუგრძნობ...

— თუ თქვენ, უფალო ჩემო, ჩემს ბუნებასა და ხასიათს კარგად იცნობთ, გეცოდინებათ, რომ მე არ შემიძლია ღალატის ჩადენა.

— ნუ სტყუიხარ! შენ მოღალატეთა ფარული ბრბოს ნევრი ხარ...

— არ მესმის.

— ფრანჯ-მასონო!

— არა, უფალო ჩემო, გულუბრყვილო ქვისმთლელების დრო დიდი ხანია დასრულდა.

— მაშ, ვინა ხარ?

— ადამიანი, რომელსაც აკრძალული აქვს მოქალაქე იყოს, — ნუნარი ლირსებით უპასუხა ახალგაზრდა ტაძირელმა.

ზანდაროვი ხან გაცოფებულ მამას შესცეკროდა, ხან აუღელვებელ შვილს. მათი სიტყვების აზრი არ ესმოდა და ზაქარასავით თვალებდაჭყეტილი თავისთვის ფიქრობდა, არც მე მესმის მაგათი ლრმა ქართულიო.

ფარნაოზ ტაძირელმა შვილს თვალი თვალში გაუყარა, მიუახლოვდა, ხელიდან ნიგნი უხეშად გამოგლიჯა, სათაური წაიკითხა, ირონიულად გაიღიმა, ნიგნი ზიზღით მაგიდაზე დააგდო, ძველისძველ სავარძელში ჩაჯდა და დამცინავად მიმართა შვილს.

— ჩემო კარგო, უან-უაკ რუსოს კითხვა ცოტათო სახიფათო გახლავთ. ნუ გაოცებთ. 1814 წელს პარიზში მითხვეს, რომ მაგ ნიგნმა მარატი და რობეს-პიერი დაპხადა, რადგან შეუძლებელია ეს საზიზღარი მკვლელები დედის მუცლიდან დაბადებულიყვნენ. მომისმინე! შუბლს ნუ სჭმუხნი, როდესაც შენს კერძებს ნამდვილ სახელებს ვუწოდებ. დიახ. ვინ იცის, მაგ სოფლის ფილოსოფოსს რამდენი ყმანვილი აუყვანია ეშაფოტზე. ჩვენი დროის ყმანვილკაცობა ნიგნებმა ვარყვნა. ნიგნები კოცონებზე ისე უნდა დავწვათ, როგორც ინკვიზიცია მწვალებლებს სწვავდა.

— მამავ! — შესძახა ჭაბუკმა, — ნუ მაიძულებთ თქვენდამი პატივისცემა დაუთარებუნო ჩემს გულში.

მამამ ამრეზით შეხედა შვილს და მუქარით მიაძახა:

— ფრთხილად ბრძანდებოდე, თორემ თუ შენს ღალატში დავრნმუნდი, ვფიცავ რუსეთისა და ქართლის ნმინდანებს, აღარაფერი გამაჩერებს.

— ღალატად ის მიმაჩნია, როცა მოყვასი არ ებრალებათ, როცა დაჩაგრულს და განკიცხულს ხელს არ უწვდიან. თუ გონიერება უსამართლობას აღუდგა, ეს ღალატი კი არ იქნება, არამედ ადამიანის განთავისუფლება და სიკეთის შეწყნარება.

მოხუცი კაპიტანი სავარძლოდან წამოდგა, შეუპოვარ შეიღლს უანდარმის  
კილოთი მიმართა:

— როცა შენი ლალატის საბუთს აღმოვაჩენ, დაუყოვნებლივ მესამე გან-  
ყოფილებაში წარვადგენ. მე თვითონ ვიქნები შენი პატრული. მერე თავს მო-  
ვიკლავ, რადგან, ვიცი, გვარის შერცხვენას ვერ გავუძლებ. კარგად დაიხსოვე  
ჩემი სიტყვები. ომში გავთეთრდი და წიგნის კაცივით ყბედი არა ვარ. რაც  
მოგახსენე, იმას ავასრულებ კიდეც. იცოდე, იმპერატორის ჯარისკაცს ხელი  
არ აუკანებალდება.

ფარნაოზ ტაშირელი მხედრულად შეტრიალდა, შეიღლისაკენ აღარ მოხედა,  
კარივალოდა ოთახიდან ისე გავიდა, თითქოს ეს-ეს არის აღლუმზე ხელმწი-  
ფე-იმპერატორს ნინ ჩაუარაო.

ოთახში მძიმე დუმილი ჩამონვა. დუმილს მხოლოდ კედლის საათის ტიკტი-  
კი და შანდლის ტოტებში ჩარჭობილი სანთლების ალთა წკაპუნი არღვევდა. გარეთ ქარიშხალი მძვინვარებდა. ვახტანგ ტაშირელი დიდხანს იდგა ფეხზე,  
რაღაცნაირად განაბული და დაფიქრებული, ქარიშხლის ჭირვეული ხმაური  
მის ყურთასმენამდე ვერ აღწევდა, ვერც ზანდაროვის თანაყოფას ამჩნევდა.  
დიდხანს იდგა რაღაც დარდით თუ ფიქრით გარინდებული. მერე მონყვეტით  
დაეშვა სავარძელში, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნოდა სახე ხელებში ჩამალა.  
ოთახის კუთხეში მჯდარ ზანდაროვს მოეჩვენა, რომ იგი უხმოდ ჭიროდა.  
შეეცოდა დადარდიანებული ჭაბუკი, წამოდგა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა.  
შხარზე ფრთხილად ხელი დაადო. ვახტანგი შეკრთა, სავარძელი ხმაურით  
გასწია და ზანდაროვს გაკვირვებით შეხედა.

— ვახტანგჯან, — უთხრა მას ალერსიანად სოვდავარმა, — რათა ხარ  
ესეთი?

— როგორი? — ჰეითხა დაბნეულმა ვახტანგმა.

— აი ესეთი, როგორიც ეხლა ხარ, დალონებული და დაფიქრებული, თითქოს  
მთელი ქვეყნის ვალები შენ გემართოს. რა გაქვს სადარდებელი ან საფიქრა-  
ლი? თუ ფული გაკლია, მითხარი და ჩემი ქისა შენი ჭირის სანაცვლო იყოს!

— ზანდაროვი ვახტანგის ყურთან დაიხარი და ცულლუტურად მომლიმარემ  
ხმადაბლა ჩაულაპარაკა, — ჲა, გინდა „წითელ ფარნიან“ სახლში გოგოებს  
შევუცვივდეთ...

ვახტანგმა დაუფარავი ზიზდით შეხედა მას, მევახედ მიუგო:

— უფალო ზანდაროვო! დალლილი ვარ და მოსვენებას ვსაჭიროებ, გთხოვთ  
დამტოვოთ და... მეორედ მაგისთანარჩუნებით ნულარმომმართავთ, ღამე მშვიდობისა!

ზანდაროვი დაიბნა, განითლდა, ვერაფერი ანამა, რაღაც წაიდუდუნა და  
ოთახიდან გაიძურნა.

— ვირი ვიყო, თუ მაგას ჭეუა ჰქონდეს! — თითქმის ხმამაღლა წარმოთქვა  
მან ტალანში, მაგრამ გაცინებით არ გაუცინია. სახეზე მხოლოდ ღიმილმა  
გადაურბინა, რადგან ქალაქურმა წამოძახილმა ფირუზა და თეთრი ლიზა  
გაახსენა.

ვახტანგ ტაშირელმა წიგნის კითხვა ვეღარ შეძლო. თვალი გაუშტერდა. ფიქრმა გაიტაცა. მერე ქარიშხალს ყური მოუგდო. მის სულმიც ქარიშხალი იყო ამოვარდნილი და სახეზეც სულიერი ტკივილის გამონაკრთომი ეხატებოდა. ფანჯარასთან მივიდა. ფარდა გადასწია. ფანჯარა გაალო. აფორაჯებული სახე ლამის სიგრილეს მიუშვირა. გალებული ფანჯრიდან ოთახში ქარიშხლის ძლიერი ტალღები საშინელი ზრიალით და ზათქით შემოიჭრნენ და შანდალზე სანთლები ჩააქრეს.

ვახტანგ ტაშირელი გალებულ ფანჯარასთან იდგა და წყვდიადში ჩაძირულ ქალაქს გასცეკეროდა. წინ არაფერი ჩანდა, მხოლოდ ტაძრებისა და სასახლეების სილუეტები გარევეულად ალანძულიყვნენ ბნელ ლამეში. მძვინვარე ქარიშხალი, მისი ზათქი და ძახილი ისე აღანთებდა ნელან ფიქრებით მოდუნებულ ახალგაზრდა კაცს, როგორც მოედანზე ავარდნილ მეამბოხეთა ყიუინა რევოლუციის მეომარს. თავდავიწყებული ხელებს ბობოქარი ქარიშხლისაკენ იშვერდა და წყვდიადში გაუჩინარებულ ქალაქს უყვიროდა:

— ოჟ, ბატონებისა და მონების ქალაქი! ოჟ, მთვლემარე მონებო! ოჟ, მძინარე ხალხო! შენს გოლიათურ გულში უკვე დაანთეს თავისუფლების ნაპერნკალი, გაიღვიძე, აღსდევ და ხანძრად გადააქციე იგი. აბობოქრდი, როგორც ეს ქარიშხალი ბობოქრობს.

როცა ვახტანგ ტაშირელმა ფანჯარა დახურა და შანდალზე ხელახლად აანთო სანთლები, მისი გონიერი, მაგრამ მუდამ სევდიანი თვალები ცრემლებით იყო დანამული.

#### 4. „სილაგანელი იმპერატორი“

მოპკლეს, გასწირესა

მ. ლერმონტოვი, „პოეტის სიკვდილი“

ვახტანგ ტაშირელი ადრე დგებოდა და სანამ საათი სამსახურში წასვლის უამს დარეკდა, წერდა ან კითხულობდა. ოთახის კარი ამ დროს გასაღებით ჰქონდა დაკეტილი, რადგან ღვიძლი მამა ჯაშუშივით უთვალთვალებდა. ერთხელ მას თვალში მოხვდა ტანისამოსის კარადის დანის წვერით ნაწალები საკეტი. აკრძალული წიგნები სწორედ ამ კარადის ქვედა უჯრებში იყო დამალული. ვიღაცას ამაოდ ეცადა დაკეტილი უჯრების გალება, ვახტანგი მყისვე მიხვდა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს „ვიღაც“ და პირველად განიმსჭვალა მამის მიმართ ყრუ, შეუცნობელი სიძულვილით.

იმ დღეს მათი თვალები ერთმანეთს ხმლებივით შეხვდნენ, ორთავე გრძნობდა, რომ მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელი იყო. ვახტანგს გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა სხვაგან საცხოვრებლად გადასვლა, მაგრამ მიღებული

განზრახვის შესრულებას აყოვნებდა. მამა მოხუცებული იყო, ავადმყოფი და უძლური. მას შეიღის დახმარება სჭირდებოდა.

მამა-შეიღი ერთად სადიღობდა, მაგრამ ერთმანეთს ხმას აღარ სცემდა. ვახტანგ ტაშირელი სამსახურშიც ჩუმი, წყნარი და მოკრძალებული იყო. გულჩათხრობილი, მდუმარე და ჩაფიქრებული იჯდა სასამართლოს იმ მოხელეებს შორის, რომლებიც ადამიანთა უბედურებისა და ტანჯვის გულ-გრილ მაყურებლად იყვნენ ქცეულნი.

სასამართლოში ტაშირელი მოვალეობის გრძნობამ მიიყვანა. ცდილობდა დაჩაგრული ადამიანებისათვის ხელი გაემართა, დახმარებოდა. ქალაქის ლატაკებსა და გლეხებს არზებს უნერდა, მთხოვნელებს ყურადღებით უს მენდა, თუ ჯიბეში რამდენიმე გროში ეგდო, გაჭირვებულს უმოწყალოდ არ გაუშეებდა. სასამართლოს მლიქვნელი და მექრთამე მოხელენი პატიოსან და გულკეთილ ახალგაზრდას ვერ იტანდნენ, მართლმსაჯულებისათვის შეუფერებლად თვლიდნენ და მის სასამართლოდან გაძევებას ცდილობდნენ. ყველას სწყინდა, რომ ბეჯითი და დაუზარელი, კანონების კარგი მცოდნე და განათლებული ტაშირელი ამის საბაბს არ იძლეოდა.

იმ დღეს ვახტანგ ტაშირელმა სასამართლოში მისვლისას თავის ეთ-ლეგებს უჩვეულო ჩოჩქოლი შეამჩნია. ჩვეულებრივ შუბლგაყინული და მაგიდების გრძელ რიგში გაქვავებული მოხელეებირაღაცით იყვნენ გამხია-რულებული, დანითლებული სახეები უცინოდათ და რაღაცის მოლოდინში თავიანთ სკამებზე მოუსვენრად ცქმუტავდნენ. ყველა ვახტანგ ტაშირელს უყურებდა. ერთი დაბალ-დაბალი, მეტად სქელი, მუცელ-გადმოვარდნილი, დიდთავა და მელოტი მოხელე ტაშირელს მიუახლოვდა და შემპარავი ხმით ჰქითხა:

- თქვენ ჯერ არაფერი იცით, მონაცალეობატონო?
- რაო? არა.

ტაშირელმა არც ცნობისმოყვარეობა გამოხატა სახეზე, არც აბეზარ მოხელესთან მუსაიფის სურვილი. მოხელემ თეთრი, დაფანჩული წარბები მაღლა ასწია, მისკენ მაცეერალ, სულელურად თვალებდაჭყეტილ მოხელეებს ფლიდური ლიმილით მოხედა და ვახტანგს, რომელიც მის თანაყოფას ვერ იტანდა და კალამს ნერვიულად თლიდა, მიახალა:

- მაშ, არ იცით, რომ ლერმონტოვი დუელში მოჰკლეს?
- რა სთქვით? — შეჰყვირა ტაშირელმა. გაფიხრდა. საზიზლრად მომლი-მარე მოხელეს მიაჩერდა. მერე, როცა მოხელის ნათქვამისა ზრი მის გონებას მისწვდა, თვალებზე ცრემლი მოაწვა. „ნუთუ ეს მართალია... ნუთუ ეს მართა-ლია...“ — ჩურჩულებდა მწუხარებისაგან განადგურებული ყმანვილი კაცი.

ნამნამებზე ცრემლები აუბრჭყვიალდა.

მსუქანმა კაცუნამ გაკვირვებით შესძახა:

- თქვენ სტირიხართ?

მაგიდებს შორის ფრუტუნი გაისმა.

ტაშირელმა ცრემლები არ მოინმინდა. იგი საშინლად იყო გაფითარებული.

— ვინ მოჰკულა?

— აჲ, თქვენ გინდათ, გაიგოთ ვინ ჩააძალლა...

მოხელემ სიტყვა ველარ დაამთავრა, რადგან განრისხებულმა ვახტანგმა გას ლონივრად მოუქნია ხელი და მაგარი სილა გაანნა. მოხელენი დაიბრნენ: ასეთ რამეს მუდამ მშვიდი და ნყნარი ტაშირელისაგან არავინ მოელოდა. სილაგარტყმულმა მოხელემ დაღდასმული ლოყიდან ხელი ველარ მოიშორა და კედელზე მიყუდებულ ტაშირელს, რომელიც მძიმედ სუნთქავდა და სულს ძლივს იბრუნებდა, კაპასი დედაკაცივით დაუყვირა:

— თქვენ იმპერატორს გაანანით სილა. მე ხომ მისი სიტყვები გავიმეორე.

უცებ მსუქანი მოხელე შეჩეკვიფდა, შეკრთა, თავისი ნათქვამის თვითონვე შეეძინდა, საცოდავად მოიკუნტა და თითქმის ჩურჩულით განაგრძო:

— არა... არა... მე იმპერატორი არ მიხსენებია... როდის ვახსენე მე იმპერატორი...

პირმსუქან, მაგრამ ახლა საშინლად გაყვითლებულ მოხელეს ხმა ჩაუწყდა, თვალებზე ხელები აიფარა და ძალლივით აცახცახდა.

## 5. აზიალი დანდი

**ხახვის ფრანტები... ანგლიჩნები... პირზე ბრინჯეშეყრილები.  
გიორგი ერისთავი**

ვახტანგ ტაშირელი სამსახურიდან დაითხოვეს. მისმა მამამ ეს არ გაიკვირვა, შვილს ნიშნისმოგებით უთხრა: „მოხდა ის, რაც თავის დროზე გინინასნარმეტყველეთ. ეხლა კეთილი ინებეთ და თქვენს თავს ჩემს დაუხმარებლად მოუარეთ. ჩემი იმედი ნუ გექნებათ. მე თვითონ ძლივს მყოფნის პენსია, მაგრამ მდიდარიც რომ ვყოფვილიყავი, ხელმწიფის მტერს ხელს მაინც არ გავუმართავდი. მომავალი თვითან ბინის ქირა უნდა იშოვნოთ. სიბრალული ნებას არ მაძლევს ქუჩაში დაგტოვოთ. კარგად ვიცი, რომ „ფრანგული სენით“ ბრძანდებით ავად და თქვენი პოსპიტალი პეტრე-პავლეს ციხეა. იქ მალე ამოჰყოფთ თავს, თუ ნებისყოფას არ გამოიჩენთ და თვითონვე არ განიკურნავთ თავს“. ჯერ ფელდფებელად, ხოლო შემდეგ ჯაშუშად გადაქცეული მშობელი მამა ახლა მსაჯულივით კითხულობდა თავის განაჩენს.

ვახტანგ ტაშირელი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამსახურში აღარსად იღებდნენ. მას შიმშილით სიკვდილი მოელოდა. გულცივი მამა მისი ტანჯვის ყურებით ტკბებოდა და იმედოვნებდა, რომ სამსახურიდან გამოგდებული, განკიცხული და სასონარკვეთილებამდე მისული შვილი თავის შეცდომებს მოინანიებდა, მამას დაუჩოქებდა და პატიებას თხოვდა. მაგრამ მოხუცი კაპიტანი ცუდად იცნობდა საკუთარ პირმშოს. ახალგაზრდა

ტაშირელი სრულიადაც არ საყვედურობდა თავის თავს იმის გამო, რომ მან რუსეთის დიდი პოეტის შეურაცხმყოფელს გაანნა სილა. პირიქით, კმაყოფილი იყო და ამაყობდა კიდეც - - ერთდროულად იგი გენიოსი პოეტის მეცნიელსაც ანნავდა სილას. და როდესაც ახალგაზრდა ტაშირელმა ერთადერთი გამოსავალი აღმოაჩინა, აუღელვებლად შეუდგა განზრახულის ასრულებას. მან გულგრილად ჩამოიღო დამბაჩა კედლიდან, მაგრამ ბედმა მოინდომა, რომ გრიგოლ ზანდაროვი სწორედ იმ დროს შესულიყო მის ოთახში, როცა იგი გატენილი დამბაჩით იჯდა თავის სავარძელში. ვახტანგი განითლდა და გაბრაზებით წამოიძახა: „რა ჩვეულება არის სხვის ოთახში კარის დაუკაუჭნებლად შესველა“.

— ამ ჩვეულებამ სიკედილს გადაგარჩინა! — მიაძახა ზანდაროვმა.

— მხოლოდ ერთი დღით, — მნარე ღიმილით მოუგო ვახტანგმა.

— ვახტანგჯან, — უთხრა გრიგოლმა დაყვავებით, — კარგად ვიცი, რა მდგომარეობაძიცა ხარ. ძალიან მეცოდები... არა, კი არ მეცოდები... ნუ გენცინება, გენაცვალე! გული მნიდება, რომ შენისთანა ნასწავლი და ჭკვიანი კაცი ტყუკლუბრალოდ თავს იღუპავს. რათა? რათ გინდა, სული ეშმაკს ჩაუგდო? თავს რათ იკლავ? თუ შენი თანხმობაც იქნება, საქმეს გავიჩენ. აქედან ნემცების და ფრანცუზების ქვეყნებში უნდა წავიდე საქონლის სასყიდლად. ევროპეიციის და ჩვენი ქართულის მცოდნე დამტკირდება. მოდი, წამომყევი.

ვახტანგ ტაშირელის დაღვრემილ სახეს სინათლე მოეფინა. მაგრამ იმნამსვე ისევ მოელრუბლა. მოაგონდა, თუ რა დაბრკოლებებს უქმნიდა ნიკოლოზ I-ის მთავრობა იმათ, ვინც საზღვარგარეთ წასვლას ცდილობდა, თავის მადლობაც და ეჭვიც სოვდაგარს უთხრა და გაუმხილა:

— მაგისთვის მადლობის მეტი რა მმართებს, უფალო გრიგოლ, მაგრამ შემჩნეული კაცი ვარ, საზღვარგარეთ ეგრე ადვილად არ გამიშვებენ.

სოვდაგარმა არხეინად უთხრა:

— ქრთამი და მისი ჯანი!

ვახტანგი შეცბუნდა. გრიგოლმა დაასწრო:

— შენ არ გახდევინებ, ფულის დარღი შენ ნუ გაქვს.

— არა, უფალო გრიგოლ, ჩემი თქვენთან წამოსვლა ძალიან გაძნელდება, ესეც იცოდეთ, ფული ყოველთვის არ შველის საქმეს.

გრიგოლს გაუკერდა: „ეს კაცი სასამართლოში როგორ მუშაობდაო“.

გვერდით მოუჯდა და განუმარტა:

— თუ დიდკაცებს მივმართავთ, ეგ საქმე ჩაგვეშლება — ფირუზას ნათქვამი მოაგონდა და მთავრონებით განაგრძო. — დიდი საქმე პატარა კაცების შემნეობით კეთდება. ამდენი კანონები იმისთვის არსებობს, რომ ქისა მუდამ გახსნილი გვერდეს, მაში, ამოდენა მოხელეებმა რითი იცხოვრონ? სამსახურის კიბეზე როგორ აცოცდებიან, თუ დიდკაცებს თავის მხრივ ფეხქაშები არ მიართვეს?

ტაშირელი უმნეოდ ძლიდა ხელებს. არც ადამ სმიტის და არც რიკარდოს თხზულებებში ის არ ენერა, რასაც მას თბილელი სოვდაგარი ეუბნებოდა.

— ეგ მე მეითხე, როგორ უნდა გაკეთდეს, — განაგრძო ზანდაროვმა, — მე მარტო შენი თანხმობა მჭირდება.

— აյი მოგახსენეთ, უფალო გრიგოლ, მიმსახურეთ, თუ გამოგადგებით. ევროპის ქვეყნების ნახვა ჩემი სანატრელი ოცნებაა!

— მაშ, რაღას ვუცდით? ხელი ხელს დავურათ. მოვიცლი თუ არა, მაღრიბისკენ გავწევთ. ჯერ ქალაქში საქონელი უნდა გავგზავნო, ზაქარიას მავიერ კაცს ვეძებ. თანაც ეს ჩვენებური ვაჭრის ტანსაცმელი უნდა გამოვიცვალო, თორემ რაც აქ დაცინვა დამაკლეს, მაღრიბის ქვეყნებში შემისრულებენ.

ვასტანგმა გაიცინა.

— თქვენ მაგ ტანსაცმელშიც მოხდენილი ხართ, უფალო გრიგოლ.

— მუსიო ლეტელიე მარნმუნებს, რომ პარიული ტანსაცმელი უფრო მომიხდება.

მუსიო ლეტელიეს სამკერვალო კუზნეცების ხიდის სავაჭრო ქუჩის ფრანგულ მაღაზიებს შორის მდებარეობდა. ყოველგვარ „ფრანგულს“ ზანდაროვი აღტაცებით უყურებდა და ათვალიერებდა, უფრო ხშირად ფრანგი მკერავის ატელიეში იჯდა და მის მდიდარ კლიენტებზე თვალი რჩებოდა.

მალე მუსიო ლეტელიემ თბილელი სოვდაგარი პარიზულად გამოაწყო. ფრანგმა მკერავმა მას აზიური სამოსი გახადა და ევროპულად მორთო. მერე გაუთავებელი ქათინაურებით მიიყვანა „აზიელი დენდი“ კედლის დიდ სარკესთან. გრიგოლს თავი მოენონა. არაჩვეულებრივად უხდებოდა ფერადი რედინგოტი, თეთრი უილეტი და ზოლებიანი, ვინრო შარვალი. მუსიო ლეტელიე ათლეტური აღნაგობის კლიენტის გარშემო ფუსფუსებდა და ლრმა რნმენით ეუბნებოდა:

— თუ ლარიბი ხართ, აუცილებლად გამდიდრდებით, თუ მდიდარი ხართ, მილიონერი გახდებით.

— რათა? — ჰეითხა გრიგოლმა და პასუხის მოლოდინში ცალი წარბი მაღლა ასწია.

— იმიტომ, რომ ლამაზი მამაკაცი ბრძანდებით. იცოდეთ და დაიხსომეთ, თუ მოისურვებთ, ყველგან წარმატებას მოიპოვებთ. ლამაზი მამაკაცისათვის კარი ყველგან ღიაა. ღმერთმა მშვიდობით გამყოფოთ, ბატონო, ორე ვუარ!

ზანდაროვმა თავმომწოდე გაიღიმა. მან მუსიო ლეტელიეს ფული გადაუთვალა და შიგ ზედმეტიც გაურია, რადგან ახალგაზრდა მამაკაცები ყოველგვარ ქებას გულუხვად ასაჩუქრებენ.

# კარი მეცამეტე

## 1. ლაიცვიგის პაზრობაზე

ხუთჯერ ლეიფციხეს ვყოფილუან,  
გაბრიელ სუნდუკიანი, „დაქცეული ოჯახი“

გრიგოლ ზანდაროვი ევროპულ ქალაქს სანქტ-პეტერბურგში გაეცნ.

მოსეოვზე უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მასზე პეტერბურგმა მოახდინა. თვალი განუცვიფრეს თვალშეუდგამმა სასახლეებმა, ლარივით სწორმა და გრძელმა პროსპექტებმა, ნევის მძიმე ხიდებმა, გრანიტის სანაპიროებმა, ხომალდებმა, სპილენძის მხედარმა, თეთრმა ლამეებმა...

მაგრამ ზანდაროვის სხარტი ბუნებისა და ხასიათის თვისებას შეადგენდა, ყველაფერს ადვილად შესჩერდა და შეგუებოდა.

სანქტ-პეტერბურგის საუკეთესო სასტუმროში მცხოვრებ გრიგოლს ეცინებოდა, როცა ფერშანგოვების ორსართულიანი ქვის სახლი აგონ-დებოდა (ანჩისხატის უბნის ყველაზე დიდი სახლი). პეტერბურგელი კომერსანტების გვერდით ეი ფირუზა ზანდაროვი უბრალო ქორვაჭრად ეჩვენებოდა.

სანქტ-პეტერბურგის შემდეგ მან ვარშავაში ამოყო თავი, მერე ვენაში გაჩინდა, ბოლოს — ლაიცციგში.

ლაიცციგის ბაზრობაზე იგი თბილელ სოვდაგრებს წააწყდა, თანამემა-მულე მოქიმპეთა უცხო ქალაქში ნახვამ ისე გაახარა, თითქოს დიდი ხნის უნახავ გულითად მეგობრებს გადაჰყოდეს. ყველას სათითაოდ გადაეხვია და გადაკოცნა.

— თომაჯან, შენც აქა ხარ?! — იძახდა გახარებული ზანდაროვი — ვაჟ! ივანეს გაუმარჯოს!

თბილელი სოვდაგრები: თომა ფრიდონოვი, ივანე ხაზაროვი, ივანე პუგინოვი, ალადატოვი, სვერინიკოვი, ავეტისოვი, მანდენოვი, ეკუბოვი, ბაისაგოლოვი, ბუგდანოვი, ევანგულოვი, ამბრიცუმოვი, შიომევი და კარაჯევი გულთბილად ართმევდნენ ხელს თანამოქალაქე გრიგოლ ზანდაროვს. ძველი შედლი და ქიმ-პობა ერთი ნამით ყველამ დაივინყა.

— ვაჟ! გორელებიც აქმოსულან? — ნამოიძახა გრიგოლმა და ახლა გორელ სოვდაგრებს ალისანოვს და ალიევს გადაეხვია.

— ნუხელებიც!

ზანდაროვმა სოვდაგარ ნაზაროვს ქართულად აკოცა პირზე, პოპოვს კი რუსულად მიესალმა და ხელი ჩამოართვა.

— შემახელო, შენ ისევ კენტად დადიხარ? — სიცილით შესძახა ახალგაზრდა სოვდაგარმა შემახელ დიდვაჭარ ტარასევას. მერე თანამემამულებს გაბრნყინებული თვალები მოავლო და დარდიმანდულად შესთავაზა:

— ქალაქელებო, სადმე არ გავუხვიოთ და ნემეცების ლვინო არ გადავქრათ?

სომხის ვაჭრებმა ულვაშებში ჩაიცინეს. ერთმანეთს მქონდავი ლიმილით და თავების ქნევით გადახედეს.

გრიგოლმა გულწრფელად გაიცინა.

— დალოცვილებო, ევროპაში მოსულხართ, მაშ, გული და თვალი არ უნდა გახსაროთ?! ნუ კრიუანგობთ, ქისები გახსენით.

— აი, ვიჟ ვრაცუა! — ჩუმად ნარმოსთქვა ჰუგინოვმა. ბუგდანოვმა კი ზანდაროვს გაკვირვებით ჰეკითხა:

— მიკვირს, აქამდე კუტრი რატო არა ხარ?

— იმიტომ, რომ შნო მაქვს და ხანივითა ვცხოვრობ!

— ვაჟ, მართლა ქართველი ხარ, გრიგოლჯან, მაგრამ კნიაზი ხომ არა ხარ!

— სიტყვა ჩაურთო ბაისაგოლოვმა.

— კნიაზობა რათ მინდა? თუ მოვინდომე, ჩემს ქისაში ცხრა კნიაზის ჩავსვამ, თავს ნავუკრავ და ქამარზე დავიკიდებ! რას იცინით? განა თქვენი ქისები კი კნიაზების თამასუქებით არ არის გატენილი? ისინი თქვენი ფულებით დროს ატარებენ, თქვენ კი ყაირათში ამოგდით სული. თუ მოგების შნო გაქვს, და ხარჯვის შნოც უნდა გქონდეს. თუ კოჭი ალჩუზე გიჯდება, შენც ალჩუსავით უნდა იყო!

გრიგოლი ამ სიტყვებს სიცილით ამბობდა და ძუნნი სოვდაგრების გაბრაზებას ცდილობდა. ისინი თავის ქნევით უგდებდნენ მას ყურს და თან ერთმანეთს თვალს უკრავდნენ, თავადივით მფლანგველ ახალგაზრდა სოვდაგარს დასცინოდნენ.

თომა ფრიდონოვმა მას ფირუზა მოაგონა და უთხრა:

— ფირუზამ რომ შენი ამბები გაიგოს, საწყალს გული გაუსკდება ჯავრისაგან. იმან დროს გასატარებლად ხომ არ გამოგვზავნა ევროპეიცეი გორიდებში? რანაირი კუპეცი ხარ? ტანცის უჩიტელსა ჰეხებარ!

გრიგოლმა გულიანად გადაიხარხა. დანარჩენმა სოვდაგრებმაც გაიცინეს. მხოლოდ ივანე ჰუგინოვი იდგა კუშტად და ათვალწუნებით ათვალიერებდა „ფრანგულად გამოპრანჭულ“ სოვდაგარს. ხელმოჭერილი მელქო ფერშანგოვი ავონდებოდა და ჯავრი მოსდიოდა, რომ „სომხურად მონათლულ“ ფირუზასთან ერთად მის ქონებაზე ეს დარდიმანდი ქართველი ყმანვილიც იჯდა.

იქვე მდგარმა ვახტანგ ტაშირელმაც, რომელიც აქამდე ნიაზით აკვირდებოდა კავკასიელ სოვდაგრებს, გაიღიმა და თვითონაც ცნობისმოყვარეობით შეხედა გრიგოლ ზანდაროვს. ადამ სმიტის „ხალხის სიმდიდრით“ განსწავლული ტაშირელი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ მისი ნაცნობი ქართველი სოვდაგა

რო ევროპულად იყო ჩატარებული და თანდათან ევროპელ კომერსანტს ემსგავსებოდა. ევროპის თანამედროვე ისტორიის მოელენების განვითარება მისთვის გასაგებს ხდიდა, რომ დრო ამ კავკასიელ სოფდავრებსაც და მევახშევს ხვალინდელ ფაპრი კანტებად და ბანკირებად გადააქციერდა. მოუხედავად ამისა, მას მაინც აოცებდა გაუნათლებელი ზანდაროვის პრაქტიკული აღლო.

მოსკოველ აზნაურს ისიც უკვირდა, რომ ზანდაროვი თავს ხალვათად და თავისუფლად გრძნობდა ვეროპის დიდ ქალაქებში. ყველაფერში სწრაფად ერკვეოდა, ყველაფერს ადვილად ითვისებდა, იმასსოვრებდა და მოხდენილად იმეორებდა იმას, რაც, მაგალითად, დიდკაცურ მანერებთან იყო დაკავშირებული. არაჩვეულებრივად ცნობისმოყვარე ლირსშესანიშნავს და დასამახ-სოვრებელს დიდხანს გატაცებით უყურებდა, აკვირდებოდა და ცდილობდა მხედველობიდან არაფერი გამორჩენოდა.

ქუჩებში ხეტიალი უყვარდა, ადამიანების თვალიერება, სეირის ყურება, ხალხში ყოფნა. თვალი გაურბოდა სანახაობებზე, გატაცებით ეტანებოდა გასართობ ადგილებს. დიდხანს იჯდა ყავახანებსა და ლუდხანებში. უფრო ხშირად ოპერეტის თეატრსა და ცირკში იყო, ანდა, პატარა ბაღის ღია ესტრა-დაზე ცეცხლოვანი ჩარდაშის ცეკვას შესცეკეროდა გარნიზონის ოფიცირებთან და სქელებისერა ბურულებთან ერთად. დროს გასატარებლად და გასართობად ქისას არა ზოგავდა, მაგრამ ლამაზი როსკიპების დაუსრულებელი ნაკადით თვალაჭრელებული ცდუნებას მაინც ერიდებოდა. სამაგიეროდ, ხელიდან არ უშვებდა სასტუმროს ნინსაფრიან მოახლეს და იმავე სასტუმროში საეჭვოდ დამარტოხელებულ ქალბატონს. მეზობელ ოთახში ვახტანგ ტაშირელი სე-ნანკურის „ობერმანის ნერილებს“ კითხულობდა და თავისი საუკუნის ახალ-გაზრდა ადამიანის ბეჭზე ფიქრობდა.

სოფდავარი და თარჯიმანი სულ სხვადასხვა რამეს ელტვოდნენ და როცა ერთომეორის საქციელსა და ყოფაქცევას უყურებდნენ, ერთნაირად მხოლოდ გაევირვება ეხატებოდათ სახეზე. ოღონდ ერთი სერიოზულად იყურებოდა, მეორე კი — იწინიულად.

## 2. გლახა

ასი გლახა რომ იდგეს კარებზე, ყველას ხელში ჩამოვურიგებ.  
გაბრიელ სუნდუკიანი, „პეპო“

ქუჩაში მოულოდნელად ჩოჩქოლი ატყდა. სოფდავრებმა უცნაურ სანახაობას შეასწრეს თვალი. ცელქიბავშვები ქვების სროლითა და ყიუინით მოსდევდნენ გლახას, რომელიც ტორტმანით და ბურტყუნით თავდაღუნული მოდიოდა, მაგრამ უფრო ნაშიმშილესა და მოქანცულს ჰგავდა, ვიდრე მთვრალს. თავზე ნაპოლეონის დროინდელი გრენადერის ქუდი ეხურა, დაგლეჯილი ქუდის

კალთები ძლივს ფარავდნენ მის გაბურძვნულ ქერა თმებს. მნიშვნელი წვერი გასჩეროდა, გატალახიანებული, დაკონკილი ფარაჯა ეცვა. ლურჯ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, გასაქცევ გზას ეძებდა და ვერ პოულობდა, რადგან ანც ბავშვებს არ ებრალებოდათ, ყველგან გზას უჭრიდნენ, მის გარშემო ჭინჯებივით დახტოდნენ, ყვიროდნენ, უსტვენდნენ, იღმიჭებოდნენ და ლენჩ გლახას თავგზას უკარგავდნენ. ანაზღად ერთი ბიჭი გამოჩნდა ვეებერთელა ბანჯგვლიან ძალლთან ერთად. ძალლს ტყავის საყელურიდან გრძელი თასმა სწრაფად მოხსნა და გლახას ზედ სტვენით მიაგდო. მანანნალა განწირული-ვით ალრიალდა. ყვირილით და ძახილით წაქეზებული ძალლი მას ხან შიშველ კანჭებზე კბენდა, ხან მკერდზე ებობლებოდა და მის წაქცევას ლამობდა.

სოვდაგრები გერმანელ ბავშვებთან ერთად ხარხარებდნენ.

გრიგოლ ზანდაროვი საშინლად გაფითრებული იდგა და იმ გლახასავით ცახცახებდა.

რამდენიმე გერმანელი მოქალაქე და ვახტანგ ტაშირელი ლენჩ გლახას მიეშველნენ. ძალლი გააგდეს, ბავშვები დატუქსეს და შეარცხვინეს.

გრიგოლი ძალლისაგან დაკბენილ გლახას მიუახლოვდა, აკანკალებული ხელით ქისა გახსნა. იქიდან მუჭით ვერცხლის ფული ამოილო, გლახას გრენადერის ქუდი მოკრძალებით მოხადა და შიგ ჩაუყარა.

— ვაჟ!.. — ერთხმად აღმოხდათ სოვდაგრებს და გაკვირვებულებმა პირკვარი გადაინერეს.

ვახტანგ ტაშირელი ჯერ გრიგოლ ზანდაროვის სულგრძელობამ გააოცა, მერე აღელვებული მივარდა მას და ხელი მაგრად ჩამოართვა.

ივანე ჰუგინოვმა ხელები გაშალა, თავი გაიქნ-გამოიქნია, ვიშვიშით ნარმოთქვა:

— გაგონილა, ხალხო?! გინახავთ სადმე? ზანდაროვები ფერშანგოვის ნუალობით გამდიდრდნენ. მაგათ სომებმა უშველა. ღმერთმა აცხონოს მელქუა, უიმისოდ ეგენი რას გახდებოდნენ?

— მაშ! მაშ! ფირუზაც, არ გახსოვთ, ან ქალებს დასდევდა, ან ქეიფობდა. ჭკუა მაშინ მოემატა, როცა სომხურად მოინათლა, — იძახდა ხარფუხელი ევანგულოვი.

— კუტრი, კუტრი, გიუ ვრაცუა! — დაცინვით დაამლერა ჰუგინოვმა და ზანდაროვს ზიზღით ზურგი შეაქცია.

დანარჩენი სოვდაგრებიც უფრო მიიმალ-მოიმალნენ, ვიდრე ნავიდ-ნამოვიდნენ.

ზანდაროვი დიდხანს დაფიქრებული დადიოდა.

მთელი დღე მონყენილი და დაღონებული იჯდა სასტუმროში.

მხოლოდ საღამო ხანზე გავიდა სასტუმროდან. გამხიარულება მოუნდა. ხალხმრავალ ლუდხანაში შევიდა და ცივ-ცივ, არაყვარეულ ლუდს დაენაფა, რათა იმაზე აღარ ეფიქრა, რამაც რაღაცნაირად ააფორიაქა და სოვდაგრების ნინაშე ნონასნორობა დააკარგვინა.

### 3. იოსების ლანდი გარმანულ ლუდჩანაში

ჭავა სტომაქის მოთხოვნილებაა, სმა — სულისა,  
კლიფ ტილლიე, „ჩემი ძის ბენუამენი.“

ლუდხანა ხალხით იყო გაჭედილი.

შემთვრალებული სტუმრები იცინოდნენ, ხუმრობდნენ, ახალმოსულნი  
კი ჯერ მხოლოდ მდუმარედ შეექცეოდნენ აქაფებულ ლუდს მაღალყელიანი  
თხის ტოლჩებით. ზოგსაც ნინრაინული ღვინით გავსებული ორთომელა ედგა  
და ნელ-ნელა ყლუპით დაუსრულებლად აგრძელებდა მის დაცლას.

ხმაური, ყაყანი, ურიამული და ღრიანცელი თანდათან მატულობდა.

ბოლოს სიმღერაც გაისმა.

ზანდაროვმა გარსონს მოზელის ღვინო მოატანინა.

ღვინოს მიეტანა.

გერმანულის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ მთვრალების სიმღერას თავის  
კანტურით ჰყვებოდა.

მთვრალები ხან ხარხარებდნენ, ხან მღეროდნენ:

Bacchus sieh

Wie ich qlühe

Sieh den leeren Humpen an!<sup>1</sup>

ამას ყველა ყურისნამღები რეფრენით ამთავრებდა:

— Ewoe Bacche, Ewoe Bacche!<sup>2</sup>

ზანდაროვი ყოველ რეფრენზე გრძელფეხიანი ორთომელათი ღვინოს  
ცლიდა და თითოეულ სიტყვას ისევე უკანტურებდა თავს, როგორც სუფრულ  
მოძახილს:

— Ewoe Bacche, Ewoe Bacche!

ღრეობდნენ შეზარხოშებული მოქალაქენი, რომელთა შორის უნივერსიტე-  
ტის პროფესორიც იყო, ბიურგერიც, ხელოსანიც, ფრანგიც და მეძავი ქალიც.  
ზოგი დასასენებლად და დროს გასატარებლად იყო მოსული ლუდხანაში,  
ზოგი გროშის საშოვნელად.

— Sieh den leeren Humpen an!

გაისმოდა სულ უფრო და უფრო გამხიარულებული მოქალაქეების სუ-  
ფრული, მოქალაქეებისა, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში კრინტს  
არა სძრავდნენ და თავაუღებლივ მუშაობდნენ.

ზანდაროვიც თავის ორთომელას მაღლა სწევდა იმ დროს, როცა საერთო  
ურიამულში ერთი და იგივე რეფრენი კვლავ დაიგუგუნებდა ხოლმე.

<sup>1</sup> ნახე ბახუსი ვით ველტვი ღვინოს, ვით ვიდაგვი და ღვინით სავსეს ვცლი ორთომე-  
ლას! (გერმ.).

<sup>2</sup> სუფრული მოძახილი (გერმ.).

— Ewoe Bacche! Ewoe Bacche!

და სწრაფად ცლიდა, როცა მოძახილს ღრიანცელით მოსდევდა:

— Sieh den leeren Humpen an!

დვინო თანდათან ეკიდებოდა.

თვრებოდა.

ალეშებოდა.

დვინით რაღაცის ჩახრჩობას ცდილობდა და ვერახერხებდა. პირიქით, ნარსული უფრო ცხადად ელანდებოდა და ძველ, მივინყებულ ურვასა და ვარამს უარესად უშლიდა. ნაიოსებარი გრიგოლს ეთიშებოდა და ისევ ფანდურაანთ სოფლელ ბიჭად ხდებოდა. გლახის ძონძებით იმოსებოდა და სოვდაგრობა აეინყდებოდა. ნაშუადლევს დადევნებული იოსების ლანდი ისევ თავზე დაადგა, ნინ აეტუზა, მისი გვერდიდან ფეხი აღარ მოიცვალა. სხვისი სახელი და გვარი ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, მაგრამ ის შორეული, ცხრა მთასიქით დარჩენილი და დიდიხნის ნინათ დავინყებული იოსები თავს მაინც აგონებდა. ახლა მას მისი თავიდან მოშორება ისევე არ შეეძლო, როგორც ცხვირის პირიდან მოჭრა.

ამგვარი რამ დიდი ხანი იყო, რაც არ განეცადა.

საერთოდ კი, გლახის გამოჩენა, განსაკუთრებით თუ ნვიმდა კიდეც, მასზე ისე მოქმედებდა, როგორც მდინარეში ერთხელ გადავარდნილზე ხიდზე გავლა და წყლის დანახვა მოქმედებს.

გრიგოლ ზანდაროვი უფრო ღონიერი და ძლიერი იყო, უფრო გამოცდილი და ცხოვრების ჯარდაგში გამოსული, ვიდრე ის სოფლელი მიამიტი ბიჭი. მაგრამ ათასში ერთხელ მის ცნობიერებაში უკვე ნავლნაყრილი და ჩაბჟუტული იოსები ისეთნაირად იღვიძებდა, რომ გონებაც ეკარგებოდა და მის-თვის ჩვეულებრივ უცხო, მტანჯველ ფიქრებს რაღაც გაურკვეველი ძალით ემორჩილებოდა.

ასეთ დროს სევდაც ეუფლებოდა და ბრაზიც.

მაგრამ ახლა უფრო ბრაზნაკიდებული იყო, ვიდრე დასევდიანებული. დღევანდელი საქციელის გამო გული უბრაზდებოდა და რცხვენოდა. რცხვენოდა, რადგან მისი სისუსტის უნებლივ მოწმენი ნაცნობი სოვდაგრები იყვნენ. სოვდაგრები კი, ძალიან კარგად იცოდა ფირუზას ნაშეგირდალმა, არასოდეს არ ჰყვებოდნენ ადამიანურ გრძნობებს.

დვინოს იგი სევდის გასაქარვებლადაც მიეძალა და სირცხვილის დასავინყებლადაც.

— Ewoe Bacche! Ewoe Bacche!

ესმოდა ნაიოსებარ, ნაგლეხარ, ნაგლახარ ზანდაროვს და ორთომელას ორთომელაზე ცლიდა.

შუაღამე გადასული იყო, როცა დვინით უგრძნობლად გალეშილი სოვდაგრი „ოქროს ლომის“ სასტუმროში შეიტანეს.

## 4. ოქროშიადელი სნავლულის ღურჯი ბერეთი

მას ხუთი მილიონი აქვს, უნდა ათი პეტონდეს.  
ონორე დე ბალზაკი, „ნუსინგენის სახლი“

მაინის-ფრანკფურტში ერთი ოქროშიადელის მაღაზიაში ზანდაროვს ძვირფასი მანიაკი მოეწონა. ოქროშიადელმა მანიაკი ასი ათას მარკად და-ფასა და თან დასძინა, რომ ამ ნატიფ სამკაულს თავის დროზე უოზეფინს ატარებდა და პრინც შვარცენბერგის მეჯლისზე გაჩენილ ხანძრის დროს თავის გადამრჩენელს უწყალობაო. ზანდაროვმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია მის სიტყვებს, თავისთვის გაიფიქრა: „ეს დედაკაცი ვინმე დიდკაცის ცოლი ან საყვარელი იქნებოდა“. ასეთი განმარტებები მას იმდენად ხშირად ესმოდა ოქროშიადელების მაღაზიებში, რომ ეს ჯერ სამკაულების ფასის ან-ვის უბრალო ფანდად ჩათვალა, ბოლოს კი, დიაცების და მათი სამკაულების ურთიერთობას საკუთარი ახსნა მოუძებნა. მისი აზრით, დიდკაცების დაბე-რებული საყვარელები თავიანთ თვალ-მარგალიტს, ბეჭდებს, სამაჯურებს, ყელსაბამებს, გულქანდებს და მანიაკებს ისევე უნდა გამოთხოვებოდნენ, როგორც თავიანთ ახალგაზრდობას და სილამაზეს ეთხოვებოდნენ.

ასეთი დასკვნა დიდად არ იყო დაშორებული სიმართლეს. თუ დაბე-რებული ცოლების სამკაულები მემკვიდრეებს რჩებოდათ, ხანგადასული საყვარელების სამკაულები მევახშეებს და ოქროშიადელებს უვარდებოდათ ხელში. სამკაულები მრავალთა ცხოვრების უტყუარი მონმენი იყვნენ, ოდესლაც კეკლუცი ქალების აღზევებისა და დამხობის, ბედნიერებისა და უბედურების, სიხარულისა და მნუხარების მომსწრენი და თანადამხვ-დურნი. ხან დიბა-ატლასში გაბრნყინებული, ხან მევახშის ჩვრებში გამოხ-ვეულნი, ხანაც ვაჭრობის საგნად გამხდარნი პატრონებთან ერთად ისინი ქვეყნებსაც იცვლიდნენ. ევროპელი ოქროშიადელების მაღაზიებში ნაყიდი სამკაულების პატრონებად ზანდაროვის ნყალობით თბილისელი კნეინები და მდიდარი ვაჭრები უნდა გამხდარიყვნენ, რადგან უამისოდ თბილისში მზითვის გრძელი სია არ დაინერებოდა.

ზანდაროვმა ოქროშიადელს სამოცდაათი ათასი მარკა შეაძლია. ოქრო-შიადელმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

მანიაკის ყურებით გატაცებულმა ზანდაროვმა ოქროშიადელს ფრთხი-ლად გახედა და შეკრთა. ასეთი მახინჯი, ძრნოლის მომგვრელი სახე არასო-დეს ენახა. ოქროშიადელის დიდრონი ელამითვალები ერთმანეთზე გადაბმულ, ხშირსა და დაფანჩულ წარბებს ქვემოდან მომნუსხველად იყურებოდნენ და ადამიანს სულში უძვრებოდნენ. პერგამენტის მსგავსად გაყვითლებულ შუბლზე მსხვილი ნაოჭები დაჲკეცოდა, ისეთი დიდი, გრძელი და ჯიშიანი ცხვირი ჰქონდა, როგორც XIV საუკუნის გერმანელი მხატვრების გლეხეცებს აქვთ. მისი სქელი, გადმობრუნებული ტუჩები შეჭალარავებული ულვაშების

განჯველიანი ბოლოებით იყო დაფარული. არაჩვეულებრივად დიდი ცურების ბიბილოები ხუჭუჭ წერებში ჩამაღლულიყვნენ. წერილი თოკებივით დაგრეხილი წერები მკერდამდე სწოდებოდა და მხოლოდ გვერდიდან მოჩანდა მისი ვეება თეთრი საყელო. მასთან შედარებით დიდცხვერია, გონჯი და შეუხედავი ბართლომე ქურტანიძე ზანდაროვს სანდომიან ხანდაზმულ გამაკაცად მოეჩვენა.

ოქრომჭედელი ხავერდგადაკრული, ფართო და ლრმა, ჩუქურთმებიანი შავი ხის სავარძელში იჯდა: განიერი მუქთალხი ხალათი ეცვა, თავზე კი სწავლულის ლურჯი ბერეტი ეხურა. მის გვერდით მაგიდაზე მძიმე ნიგნი იდო, რომელსაც იგი მუშტრების შემოსვლამდე კითხულობდა. მთელი თავისი გარევნობით ხანდაზმული ოქრომჭედელი ბრძენსაც ჰგავდა და გულცივ ვაჭარსაც. მისი მკაცრი და მახინჯი სახის გამომეტყველებას კიდევ უფრო პირქუშს ხდიდა ნახევრად ბნელი მაღაზია, რომლის მრუმე სინათლეში თვალისმომჭრელად გრძელი ხანდაზმული აქრო და ვერცხლი, მარგალიტი და ბრილიანტი, სადათი და ალმასი, ზურმუხტი და ფირუზი. გრიგოლ ზანდაროვს გულს ურევდა მაღაზის უცნაური პატრონის მახინჯი სახის ყურება. ვახტანგ ტაშირელი კი მას ისეთი შევიდი ნიაზით უყურებდა, როგორც რობინე — მახინჯებს „De Nature“-ს უკანასკნელ თავში. თან შექსპირის შეილოკიც აგონდებოდა.

— ერთხელ კიდევ უთხარი, რომ მე სამოცდაათი ათას მარკას ვაძლევ მაგ მანისკმი, — მიუბრუნდა ზანდაროვი ტაშირელს, — თუ უარი სთქვა, გამოემშვიდობე და ჩეარა წავიდეთ ამ მაღაზიდან.

— მე თანახმა ვარ, — წარმოთქვა ქართულად ოქრომჭედელმა.

ზანდაროვმა და ტაშირელმა გაკვირვებისაგან პირი დააღეს.

— თქვენ ქართული იცით? — ჰერთხმა აქრომჭედელს ტაშირელმა, რომელსაც მყისვე დაავინყდა რობინეც და შეილოკიც.

— დიახ, ჩემო ბატონო! — უპასუხა თავდაჭერილი ლიმილით ებრაელმა ოქრომჭედელმა, — მე ხომ ევროპელი ვაჭარი ვარ! ელჩმა, მისიონერმა და ვაჭარმა აუცილებლად უნდა იცოდეს უცხო ენები. ჩემს კონტრაგენტებს მსოფლიოს ყველა კუთხეში შეხვდებით. მაპატიეთ, ბატონებო, თუ ჩემი ქართული გეხამუშებათ, ეს ენა მე ნიგნებიდან შევისნავლე და თქვენ პირველი ქართველები ხართ, რომლებსაც მე ქართულად ველაპარაკები. თქვენს ქეეყანას მე მისიონერებისა და სწავლული მოგზაურების თხზულებებიდან ვიცნობ. ამიტომ მეტად მოხარული ვიქნები, თუ ამ საღამოს სახლში სტუმრად მეწვევით. ჩემი მეუღლეც მადლობელი დარჩება. ქართველ ქალებს ის ინგლისელი პოეტების ლექსებიდან და პოემებიდან იცნობს. გთხოვთ პატივი დაგვდოთ და მობრძანდეთ. უცხოელ სტუმრებს მე ისე ვხვდები, როგორც საზოგადოდ ელჩებს ხვდებიან.

ტაშირელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. ზანდაროვმა თავის თარჯიშანს მიბაძა.

ერთმანეთს კარგი ნაცნობებივით დაშორდნენ.

— ეგეთი უსახური კაცი ჩემს დღეში არ მინახავს, — ეუბნებოდა გზაშის კოდაგარი თარჯიმანს, — ქართულად რომ დაილაპარაკა, კინალამ გავეჭტერდი. მაგ საშინელ კაცსა, ნიძლაესა ვდებ, უარესი შეხედულების ცოლი ეყოლება. ვახტანგჯან, ვინძლო ლამე არ დაგვესიზმრნონ და არ შეგვაშინონ.

სოვდაგარი იცინოდა. მხიარულ გუნებაზე იყო. ნავაჭრით ემაყოფილი და გახარებული.

— ეგ საშინელი კაცი მილიონის მფლობელია! — უთხრა ტაძირელმა.

— რას ამბობ? — ნამოიძახა ზანდაროვმა, რომელსაც თარჯიმის ნათ ჟეამშა შერთან ერთად ოქრომჭედლისადმი მოკრძალებული პატივისცემაც გაულვიძა.

— ეგ ოქრომჭედელი თვითონაც მდიდარია და ნათესავებიც მდიდრები ჰყავს, — ამბობდა ტაძირელი, — გოლდზაჟები განთქმული ბანკირები არიან.

ზანდაროვი დაეჭვდა, თარჯიმანს სიტყვა დამცინავად მოუჭრა:

— მილიონერები მაღაზიაში არ სხედან.

— ეგ კაცი მარტო მარგალიტებით არა ვაჭრობს, — განუმარტა ტაძირელმა, — მაღაზიაში მთელი ქვეყნიერების სოვდავრებს ხვდება და იმათთან გარიგებებს ახდენს. ჩემის აზრით, ამიტომ კითხულობდა თბილისის ქარეას ლების ამბებს.

— თუ ეგრეა, მაშინ უეჭველად უნდა ვესტუმროთ მაგ საკვირველ ოქრომჭედელს, — თქვა დაინტერესებულმა ზანდაროვმა, რომელიც მილიონერად გახდომას ოცნებობდა.

## 5. ფრაუ გოლდზაპის სალონი

შილერი და კოცებუ — სრულყოფილი და ღირსეული ნარმომადგენლები  
არიან: ერთი ყოველივე ნმიდათა-ნმიდის, ადამიანურისა, ამ ეპოქაში რომ იყო ნარმოქმნილი, მეორე ყოველნაირი ჭუჭყისა და  
საზიზლრობისა, ნარმოშობისთანავე რომ იხრნება და ლპება.

ა. გერცენი, „აზრები და ფიქრები“

ოქრომჭედელ გოლდზაჟის სახლის სასტუმრო დარბაზში სტუმრები ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. მასპინძელი ტყავის ღრმა სავარძელში ჩამჯდარიყო და ყურს უგდებდა რაბინს, რომელიც მას კავეასოს ებრაელებისადმი მიწერილი ნერილის ტექსტს უკითხავდა. ეს ნერილი სოუდაგარ ზანდაროვისათვის უნდა გაეტანებინათ საქართველოში და სწორედ ამ მიზნით იყო იგი მიწვეული ოქრომჭედლის სახლში.

ჯერ მხოლოდ თითო-ოროლა სტუმარი იყო მოსული.

კედლებთან მიდგმულ სავარძლებში მდუმარე მანდილოსნები ისხდნენ. ფანჯრებთან და დარბაზის კუთხეებში შეჯგუფული მამაკაცები შეთქმულები-

კით საუბრობდნენ. ოქრომჭედლის ახალგაზრდა ცოლი, ცისფერ თხელ კაბაში ჩაცმული ლამაზი ქერა ქალი, შეფრთუინვით უსმენდა ყმანვილ კაცს, რომელიც გარჯვენა მკლავის იდაყვით მაღალი სკამის ზურგს დაყრდნობოდა. მეტად ფერმერთალი სახის ახალგაზრდა მამაკაცს შუბლზე წაბლისფერი კულულები დაუდევრიად ჩამოჰყროდა. ტბის ტალღასავით კამკამა ლურჯ თვალებში კი იდუმალი სევდის გამონაკრთობი აღბეჭდოდა. იგი გატაცებით მოუთხრობდა რაღაცას ფრაუ გოლდზაკს და თხრობით გატაცებულს სხვების თანაყოფა ავინყდებოდა. ხან სევდიანად იღიმებოდა, ხან გულფიცხად ლაპარაკობდა. ამ დროს მისი მეტყველი თვალები სიძულვილის და ზიზღის ცეცხლით ნათდებოდნენ. ერთხელ ფრაუ გოლდზაკი იძულებული იყო თავისი ნაზი თეთრი ხელით მის ხელს შეხებოდა და წყნარი ძახილით გამოეფხიზლებინა.

— გოტფრიდ!

პოეტი გამოერკვა. გარშემო მიმოიხედა. აქ ყველა უცხო იყო მისთვის. მხოლოდ ეს კეთილი ქალი იყო მისი მეგობარი, მხოლოდ ამ ქალს ესმოდა მისი. ფრანკფურტელი ბანკირები და კომერსანტები მას „ებრაელების სირცხვილს“ უწოდებდნენ. გერმანელები — „თავხედურიას“, გერმანულ გაზეთებში ლანდავდნენ, ხოლო სინაგოგებში წყევლიდნენ.

უცხოელი სტუმრების მოსვლამ საერთო ცნობისმოყვარეობა გამოიწვია. მათმა გამოჩენამ სასტუმრო დარბაზში მონოტონური მყუდროება ერთი ნამით დაარღვია. სტუმრების მოწყენილი და მოღუშული სახეები გამოცოცხლდნენ და თითქოს ვინმემ ხელით ანიშნაო, ყველამ ერთსა და იმავე დროს მიაბრუნა თვი ახლად მოსულებისაკენ.

ოქრომჭედელი მათ თავაზიანად მიეგება და სანამ სტუმრებს გააცნობდა, ცოლს წარუდგინა. გრიგოლ ზანდაროვი ახლაც ისე გაშტერდა, როგორც ნელან, ოქრომჭედლის მაღაზიაში. სანამ გონზე მოვიდოდა, დაბნეული უყურებდა ამ საოცარ ცოლ-ქმარს და გაკვირვებული ფიქრობდა: „ნუთუ ეს ცისფერთვალება ანგელოზი ამ მახინჯის ცოლი არისო“. არანაკლებ განცვიფრებულ ვახტანგ ტაშირელს ოქრომჭედლის ლამაზმა და კაფანდარა ცოლმა გოეთეს ლოტე მოაგონა.

ზანდაროვი ოქრომჭედელმა და რაბინმა მეორე ოთახში გაიყვანეს. მათ თარჯიმანი არ სჭირდებოდათ. ვახტანგ ტაშირელი კი ფრაუ გოლდზაკის და პოეტ გოტფრიდის გვერდით აღმოჩნდა.

ახალგაზრდა ტაშირელი უზომოდ გაახარა პოეტ გოტფრიდის გაცნობამ. გოტფრიდიც მალე დაუახლოვდა ბაირონის და შელის თაყვანისმცემელ ტაშირელს. მათ სწრაფად გაუგეს ერთმანეთს და გულწრფელი საუბარი გააბეს. მათი საუბარი ლიტერატურას და ხელოვნებას ეხებოდა. პოლიტიკას მხოლოდ კოცებუს გახსენების დროს გადასწვდნენ. რუსეთიდან ახლად ჩამოსულმა ტაშირელმა თავი შეიკავა რაიმე ეთქვა რეაქციონერი მოლვანის და კომედიოგრაფის მკვლელობის გამო. მაგრამ გერმანელმა პოეტმა ალფროთოვანებით მოიგონა უშიშარი სტუდენტი ზანდი. იგი ბერძენი ტირანის მკვლელებს ჰარმო-

დიოს და არისტოგრაფონს შეადარა და ახალგაზრდა მიღანელებს ვისკონტის, თლურატის და ლამპუნიანს, რომელთაც გალეოცო სფორცა ტაძარში მოქლეს.

— კოცებუს თქვენს ქვეყანაში ორდენები უნდა მიეღო, იოჰან ელაისტი კი გაგიუებულიყო, — ეუბნებოდა გოტფრიდი ტაშირელს, — საერთოდ ჩვენს საუკუნეში ცხოვრება აუტანელი და მოსაწყენი გახდა, რადგან არ შეგვიძლია ადამიანური ლირსება უფრო მაღლა დავაყენოთ, ვიდრე ამას ჩვენი ყოველდღიური უფერული ცხოვრება მოითხოვს. თქვენ თვითონ განსაჯეთ, ჩემო კეთილო ბატონო! პატიოსნება ხასიათის სისუსტედ არის მიჩნეული, საკაცობრიო მისწრაფებანი კი — სიგიურედ, მოქალაქეობა აკრძალული გვაქვს, რადგან პოლიტიკურ პოლიციას ეშინიან რომელიმე გარეუბნის მანსარდიდან ახალი რობესპიერი არ ჩამოვიდეს მოედანზე. დესპოტური მმართველობის დროს პოლიცია და ეკლესია მუდამ დიდ სიფრთხილესა და სისასტიკეს იჩენს. გონიერი ადამიანისათვის ანმყო ცარიელია და ნკვდიადით მოცული, მომავლის განჭვრეტას კი შიშით და ეჭვით ცდილობს. ამიტომ ისევ ნარსულს ებლაუჭება. მართალია, ნიჭიერი პოეტების ლექსებში ბევრი ცრემლია გარეული, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ისინი მხდალები არიან? ბაირონი მისოლუნგში მოკვდა, შელი ზღვაში დაიხრჩო, თქვენი პუშკინი და ლერმონტოვი დუელში დაიღუპნენ. ისინი ახალგაზრდები დაიხოცნენ, რადგან არც იტალიელ მენალე პიეტრო არეტინოს ჰგავდნენ და არც ინგლისელ კარისკაცს ტენისონს, რათა სიმღერებით ევაჭრათ და გაყიდული სონეტებით ეცხოვრათ. ოპ, ეს სევდიანი საუკუნე! შთამომავლობამ მოგვიტევოს, თუ თავდავიწყებას გიურ გართობაში ვეძებთ, სიყვარულით და სიძულვილით აღტყინებულნი!

ფრაუ გოლდზაკმა კვლავ მოაგონა გოტფრიდს, ხმადაბლა ელაპარაკა, რათა სტუმრები არ შეეძფოთებინა.

— ჴო! — ნამოიძახა პოეტმა მწარე ლიმილით, — მე მავინყდება, რომ ჩვენ დუმილი გვაქვს დაკისრებული!

ვახტანგ ტაშირელმა მას თანამედროვე რუსული მწერლობა გააცნო. მერე ევროპელ მწერლებზე ჩამოაგდეს სიტყვა. პოეტმა გოტფრიდმა ალიარა, რომ მას ბალზაკი არ უყვარდა, სტენდალი არ ესმოდა, ხოლო ვიქტორ ჰიუგოს ლექსებსა და დრამებს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე მის რომანებს და პუბლიცისტურ წერილებს. „ჩვენ ისედაც უბედურნი ვართ, — ამბობდა გულისტკივილით პოეტი, — ამიტომ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, უკულმართი ცხოვრების მოვლენები და ყაჩალური თვისებების ადამიანები რეალური ფერებით გადავიტანოთ რომანებში. უნდა გამოვტყდე, რომ მე უორუ ზანდი უფრო მომწონს, მიუხედავად მისი მრავალსიტყვაობისა. ეს მწერალი ქალი, როგორც თვითონ ამბობს „ეშმაკის გუბეში“, ადამიანებს სანამდვილიდან კი არ იღებს, არამედ თავის საკუთარი შეხედულებიდან და ისე ხატავს, როგორც ნამდვილად უნდა იყვნენ ადამიანები, ანდა ყოფილიყვნენ მოწესრიგებულ საზოგადოებაში“.

ბელინსკის თაყვანისმცემელი ვახტანგ ტაძირელი გოტფრიდს არ ეთანხმებოდა და სანინაალმდევოს უმტკიცებდა. ამ საუბარში ფრაუ გოლდზაკიც ურთავდა მოსწრებულ შენიშვნებს და თავისი გონიერამახვილობით ალტაცებაში მოჰყავდა ახალგაზრდა ტაძირელი. და რაკი ვახტანგს სიყვარული ჯერ არ განეცადა, ნატრობდა თავისი მომავალი სატრიუ იმავე თვისებებით ყოფილიყო შემეული, რომლითაც ეს ჭკვიანი და სათნო ქალი ასე უხვად იყო დაჯილდოებული.

პოეტმა გოტფრიდმა ყურადღება მიაქცია გრიგოლ ზანდაროვის გარეგნობას და შენიშნა:

- მაგ ბატონს ძველი ბერძენის თავი აქვს.
- და ვაჭრის სული! — აღნიშნა ტაძირელმა.

გოტფრიდმა ირონიულად გაიღიმა.

— ეხლანდელ დროში სჯობია მაღაზის მფლობელი იყო, ვიდრე ლექსებს ნერდე, დარწმუნებული ვარ, ვაჭარი უფრო ბედნიერი ვიქენებოდი.

ფრაუ გოლდზაკმა მას საყვედურით შეხედა.

## 6. პეპერი ცოლ-ქმარი

ნუთუ ჩემი თავი უნდა გავყიდო ჩემი მშობლების გულისათვის?  
გაბრიელ სუნდუკიანი, „დაქცეული ოჯახი“

ამ დროს სასტუმრო დარბაზში მოხუცებული ცოლ-ქმარი შემოვიდა დიდის მოკრძალებით. მათმა მოსვლამ ფრაუ გოლდზაკს სახე გაუნათა, ფეხზე ნამოიჭრა, სიხარულით მიეგება მათ. დედაბერს პირზე აკოცა, ბერიკაცს შუბლი საკოცნელად მოუშვირა. ტაძირელი მიხვდა, რომ ისინი ფრაუ გოლდზაკის მშობლები იყვნენ. საერთო მისალმების შემდეგ დედაბერი და ბერიკაცი დარბაზის შორეულ კუთხეში დასხდნენ სავსებით განცალკევებით. ამ მორიდებული და უმწეო ცოლ-ქმრის შემყურე ვახტანგ ტაძირელს გული სიბრალულით ევსებოდნდა. დედაბერი გამეშებული იჯდა თავის სავარძელში, მხიარული ფერებით შესრულებული ჰოლანდიური სურათის ქვემ, დამჭერარი ხელები სავარძლის ხელსაჭიდებისათვის განწირულივით ჩაევლო და თხელი, გაცრეცილი ტუჩები ისე მტკიცედ მოეკუმა, გეგონებოდათ, თავისი ცხოვრების გრძელ მანძილზე ჯერ ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ. ბერიკაცს ეცვა ძველისძველი გახუნებული ფრაკიდა და გაცვეტილი შავი ფეხსაცმელები. ნახევრად უსინათლო თვალებიდან განუწყვეტლივ სდიოდა ცრემლი. მდიდარი ოქრომჭედლის ღატაკ სიმაგრს მაღ-მაღე მიჰქონდა ხელსახოცი თვალებთან, დიდხანს ინმენდდა ცრემლს და ყრუდ ახველებდა, როგორც მოხუცებს სჩვევიათ.

— ღმერთო ჩემო, რა საბრალონი არიან! — ნამოიძახა გულწრფელად შენუხებულშა ვახტანგ ტაძირელმა.

— ჰმ, გარევნობა ყოველთვის გვატყუებს, — გაბრაზებით ნარმოთქვა გოტფრიდმა.

ტაშირელს არ გამოეპარა, რომ ნელან მისმა თანამოსაუბრემ ფრაუ გოლ დზაკის მშობლებს ზიზლით ზურგი შეაქცია. ამიტომ ნიაზით ჰქითხა:

— ეგ რაზე ბრძანეთ, ბატონ?

— ბატონოჩემო, მაგ საბრალო მოხუცებმა საკუთარი ქალი ოქრომჭედლის ფულებზე გაყიდეს.

ეს სიტყვები დაუფარავი ზიზლით ნარმოთქვა გოტფრიდმა, მავრამ სათქმელი მოათავა თუ არა, სამინლად განითლდა, შეიძლება იმიტომ, რომ ასეთი რამ უცხო კაცთან ნამოსცდა, ანდა იმიტომ, რომ ფრაუ გოლდზაკი უკვე ახლოს იყოდა მისი სიტყვების გავონება შეეძლო. დიასახლისი მოშხიბულელი ლიმილით შეუერთდა მათ და ნელანდელი ადგილი დაიკავა. „მას არაფერი გაუგონია“, — გაიფიქრა ტაშირელმა, რადგან დიასახლისის კეთილსა და სუფთა თვალებში საყვედურის ნატამალიც ვერ ამოიკითხა. მავრამ მათი საუბრის ძაფი განყვეტილი იყო. სამთავენი მდუმარედ ისხდნენ. ტაშირელი ამჩნევდა, თუ როგორ არცხვენდა და ანამებდა თავის თავს გოტფრიდი მასთან ნამოცდენილი სიტყვების გამო. იგი ეტყობოდა, მნარედ ნანობდა ფრაუ გოლდზაკის უბედური ქორწინების ამბის ახლად გაცნობილ მამაკაცთან გამომუღავნებას.

ფრაუ გოლდზაკი უხმოდ ადგა. ფორტეპიანოსთან მივიდა, თითები კლავიშებზე გაასრიალა და აამეტყველა.

— მე საზიზლარი ვარ! — ყრუდ ნარმოთქვა გოტფრიდმა.

დაბნეულმა ტაშირელმა მხოლოდ ამის თქმა მოახერხა:

— მე მივხვდი... მე ყველაფერს მივხვდი...

— თქვენ კეთილი ადამიანი ხართ, უნდა მომიტევოთ.

გოტფრიდის ხმაში მუდარა გაისმა.

— ბატონო ჩემო! — მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა შენუხებულმა ტაშირელმა.

— ჴო, მთვრალებსა და პოეტებს არა სჯიან! — ნაძალადევი ხუმრობით სცადა აღელვებულმა გოტფრიდმა არანაკლებ აღელვებული ტაშირელის დამშვიდება.

ფრაუ გოლდზაკი ფაქიზად ასრულებდა ბახის პრელუდიებს და ბეთჰოვენის ვარიაციებს. სტუმრები სმენად გადაიქცნენ. ზოგნი მუსიკის ნრფელი სიყვარულის გამო, ზოგნი ზრდილობის საჩვენებლად და თავის გამოსაჩენად. ვახტანგ ტაშირელმა თვალები დახუჭა. მუსიკის ჯადოსნური ჰანგებით დატყვევებულს ნაკითხული ნიგნების ყველაზე ნატიფი სულისკვეთების და ამაღლებული მისნრაფებების ადამიანები აგონდებოდა. ოცნების მორევში გადაშვებული ცხოვრების სილამაზეზე და მშვენიერებაზე ფიქრობდა. ადამიანით ამაყობდა და ადამიანის მომავალი სწამდა. თან უკვირდა, რომ მუსიკა მას უფრო მეტად ამხნევებდა და უფრო მეტად უკაუებდა მომავლის რწმენას,

კიდრე ყველაზე საყვარელი ნიგნის ყველაზე ამაღლელვებელი სტრიქონები. თვალებდასუჭული უსმენდა მუსიკას და ვერ ამჩნევდა გრიგოლ ზანდაროვს, რომელიც ოქრომჭედელსა და რაბინს შორის ნემსებზე იჯდა მონუენილი და მობეზრებული.

გასპინძელმა ზანდაროვს ბევრი რამ გამოჰკითხა კავკასიაზე, თბილისის ქარგასლებზე, იქაურ მუშტრებზე და მათს მოთხოვნილებებზე, საქმიანი საუბარი ზანდაროვისთვისაც სასარგებლო აღმოჩნდა, მით უმეტეს, რომ ოქრომჭედელმა გოლდზაკების სახლის სახელით მას კრედიტის გახსნა შესთავაზა. ეს თბილელ სოვდაგარს საშუალებას მისცემდა დიდი რაოდენობით შეესყიდა სამკაულები. გასპინძელიც და სტუმარიც კმაყოფილი დარჩნენ. გამხიარულებულ ზანდაროვს სასტუმრო დარბაზში ერთბაშად შეეცვალა გუნება. ყველა მუსიკას უსმენდა ან თავი ისე ეჭირა, თითქოს მუსიკით ყოფილიყვნენ დაინტერესებული. თავის გასართობად ზანდაროვი ხან ვახტანგ ტაძირელს უყურებდა, ხან პოეტ გოტფრიდს. როცა გოტფრიდი ფორტეპიანოსთან მივიდა, მის კიდეს დაეყრდნო და დამკვრელ ქალს შეფრთვინვით მიაცეკრდა, ზანდაროვმა მრავალმნიშვნელოვნად ასწავ ცალი წარბი. ახალგაზრდა კაცის სახეზე გამოხატულ ქმუნვისა და სიხარულის სწრაფ ცვალებადობას ცნობისმოყვარეობით უცეროდა და თან თავისთვის ამბობდა: „მაგ კაცს ეგ ქალი უყვარს. სახეზე ეტყობა, რანაირად იწვის და იდაგება. ქალისას ვინ რას გაიგებს, მაგრამ ოქრომჭედლის ცოლსაც უნდა მოსწონდეს: მაშ, არადა, ამ ემმაკა გაუჩერდებოდა? ტყუილად კი არ ამბობს ფირუზა: „ბერიკაცის ლამაზი ცოლი გაღმა სხვა კაცსა ჰყავდაო“. გრიგოლმა ფირუზასავით ფლოდურად გაიღიმა და კინალამ ქალაქურად ჩაიღილინა. რა თქმა უნდა, მას არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ „ლამაზი“ დისახლისი ახლა მენდელსონის ვარიაციებს ასრულებდა. იგი ძლივძლივობით იშაგრებდა თავს, რათა თავისი უადგილო სიცილით ამ უცნაურ საზოგადოებაში არ შერცხვენილიყო.

ნაშუალამევს სასტუმროში სოვდაგარი თავის თარჯიმანს ეკითხებოდა:

— განა საკეირველი არ არის იმ ქალის საქციელი? თვალები სადა ჰქონდა, როცა იმისთანა ვეშაპზე თხოვდებოდა?

ვახტანგი დუმდა.

გრიგოლმა მისი დუმილი თავისებურად ახსნა:

— ეტყობა, ევ ლამაზი ქალი დიდი ვინმე კახპა არის!

ვახტანგი ნყრომით მიტრიალდა მისკენ, თვალი თვალში გაუყარა და გაფრთხილა:

— მეორედ არ გაიმეოროთ ეს საშინელი სიტყვები. მე ვიცი, რომ თავისი უბედური ქორნინებით მაგ ქალმა თავისი გაღატაკებული მშობლები ოქრომჭედლის ვალებიდან დაიხსნა.

— ღმერთმანი, მართალი ხარ! — ნამოიძახა გრიგოლმა და სიცილით მოიგონა თბილისური ქორნილების ბებერი ნეფეები და ნორჩი პატარძლები.

## 7. ო, ეს სევდიანი XIX საუკუნე

მე — ნაფიცი რეზონერი ვარ და არ მესმის ადამიანებისა, რომლებიც  
ხარხარებენ იმ დროს, როცა ხალხები სისხლში ცურავენ და გარშემო  
მაცეერალნი ვერ ამჩნევენ იმას, რაც მათ თვალწინ ხდება.  
ა. გერცენი, „ერთი ახალგაზრდა კაცის ჩანაწერები“

ერთი კვირის შემდეგ, როცა ზანდაროვი და მისი თარჯიმანი სტრასბურ-  
გისკენ მიმავალ დილიუანსში სხდებოდნენ, ერთმა მგზავრმა მეორეს უთხრა:

— ბატონო, თქვენ ალბათ უკვე გაგონილი გექნებათ ახალი ამბავი?

— რის შესახებ, ბატონო ჩემო?

— განა არ იცით? ნუხელ პოეტმა გოტფრიდმა დამბაჩით თავი მოიკლა.

დილიუანსში მჯდარმა მონაზონმა, რომელსაც ერთ ხელში ლოცვანი ეჭირა,  
მეორეში კი კრიალოსანი, ამის გაგონებისთანავე თვალები ზეცისკენ აღაპყრო  
და გალობით ნარმოთქვა:

— პოეტები ცეცხლის ნირში მოქცეული მორიელებივით იხოცებიან, მა-  
გრამ ქრისტიანებმა უნდა ვილოცოთ დვთის ამ გზადაკარგული შვილების...  
— მონაზონს პირვერის ნერის დროს უცებ ხელი ჰაერში გაუჩერდა, მერე  
სწრაფად დაუშვა კალთაზე და ზიზლით განაგრძო, — ღმერთო, ნუ მიიღებ  
ჩემს ლოცვას, მე მომაგონდა, რომ გოტფრიდი ებრაელი იყო!

ვახტანგ ტაშირელი ძალზე შეანუხა და დააღონა პოეტ გოტფრიდის  
თვითმკვლელობამ. გრიგოლ ზანდაროვმა უდარდელად დაიპუხუნა: „გიუ  
ყოფილაო“, — და არხეინად მოუჯდა დილიუანსის პატარა სარკმელს.

როდესაც ქაქანით მოვარდნილმა დაგვისანებულმა მგზავრმა დილიუანსში  
ასვლისთანავე დიდის ამბით დაიძახა: „ხალხო, ფრაუ გოლდზაკს საწამლავი  
დაულევია და ექიმმა ცოცხალს ველარ მიუსწროო“, ზანდაროვი არც ამან  
ააღელვა. და მთენარებ-მთენარებით დამარცვლა:

— მე მამინვე მივხვდი, რომ ეგენი შეყვარებული იყვნენ. ქმარი უსახური იყო, მა-  
გრამ არც საყვარელი ბრძანდებოდა დიდიმათა. სხეც ცოტა ნაყვავილარი ჰქონდა.

— არიან სულით ლამაზი ადამიანები, — უპასუხა მას თარჯიმანმა, რო-  
მელიც მნუხარებისაგან ისე იყო გაოგნებული, რომ არ შეიძლებოდა მოპე-  
ნებოდა, თუ რამდენად უსარგებლო იყო კამათი კოპნია, მაგრამ მაინც ხეპრე  
ვაჭართან, — პოეტ გოტფრიდს მდიდარი და ლამაზი სული ჰქონდა.

ზანდაროვმა ცხვირაბზე კი გადმოუგდო:

— ეგ სიმდიდრე რითი იწონება? ბაჯალო ოქროთი თუ სიქა ვერცხლით?

— ადამიანობით.

ამ სიტყვის მნიშვნელობა სოვდაგარმა ვერ გაიგო, ისევ განზე გაიხედა და  
დაამთენარა.

მგზავრები ყაყანით ლაპარაკობდნენ, ტაშირელმა ჭორიკანა ფრანკფურ-  
ტელებს თვალი მოამორა და დაღონებულმა დილიუანსის პანია სარკმლიდან  
დაუწყო ყურება იმ ადგილებს, სადაც ვაიმარელ ბრძენს თავისი ბავშვობა და  
ყრმობა გაეტარებინა.

# კარი მეთოთხმეტე

## 1. პარიზი

თოთხმეტს მოევედით პარიზში, 7 საათზე.  
გორგი ერისთავი, „ჩემი მოგზაურობა ევროპაში“

გრიგოლ ზანდაროვისათვის პარიზი ისეთივე აღმოჩენა იყო, როგორიც მოსუოვი, სანკტ-პეტერბურგი, ბერლინი და ვენა.

პარიზი მანც საოცრებას წარმოადგენდა ევროპულ ქალაქებს შორის.

მხარგანიერი, თვალნარმტაცი, კეკლუცი და კოხტა ქალაქი ყველას ერთნაირად იზიდავდა და ხიბლავდა.

გაოგნებულ ტაშირელს კარლოს V-ის ნათქვაში აგონდებოდა: „ყველა ქალაქი ქალაქია, მაგრამ პარიზი ქალაქზე მეტია, ის მთელი სამყაროა“.

ამ სამყაროში მოხვდნენ მოსუოველი ქართველი აზნაური და თბილისელი ახალგაზრდა ვაჭარი.

ზანდაროვიც ცნობისმოყვარეობად იყო გადაქცეული, მაგრამ ტაშირელის აღტაცება მას არ ეტყობოდა. მხოლოდ ისუკვირდა, რომ არც ამ ქალაქს ჰქონდა „ბალეონები“. თვალებს აცეცებდა და ამაოდ დაეძებდა იმის მსგავსს, რაც თბილისის თოთქმის ყველა ქუჩაზე და მტკვარზე იყო გადაკიდებული. თვალების ცეცებამ მალე გაუარა, რადგან პარიზმა იგითავის ლურლურა მორევში ჩაითვრია.

დილიდან საღამომდე მუხლჩაუკეცელი ზედიზედ ყიდულობდა ფუფუნების საგნებს იმ ქვეყნის ქალაქში, სადაც თვით მეფე საუკეთესო ბულტერი და მეტყევე იყო.

მეფაბრიკებს აბრეშუმის ქსოვილებს, ატლასს, ხავერდს, შალეულს, მაუდს, ავეჯს, სერვიზს, პარიზულ თავსაბურავს, ტანსაცმელს და საცვლებს უკვეთავდა. ყიდულობდა დაგვირისტებულ ბაბთებსაც, მოქარგულ ქოშებსაც და ლამაზ ფეხსაცმელებსაც, ყველაზე ნაზსა და ტურფას, რათა თბილისის ქარვასლებსა და მაღაზიებში მათ მდიდარი მანდილოსნები დასეოდნენ. იძენდა იმასაც, რაც წინათ სოვედაგრებს დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ საქართველოში აღმოსავლეთის ქალაქებიდან. თვით ნობ-ფარდაგები ევროპის ფაბრიკებში ახლა უფრო იაფად მზადდებოდა, ვიდრე აღმოსავლეთის „ქარხნებში“, ამ ძველისძველ და ტრადიციულ სახელოსნოებში. ცხრა მთას იქით მდებარე ევროპის მანუფაქტურებმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გამოიწვიეს აღმოსავლური „ქარხნების“ კრიზისი, ხოლო მანქანურმა მრეწველობამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბოლო მოულო აღმოსავლური ექსპორტის მთავარ საგნებს: ძვირფასეულობას, ოქროქსოვილებს, ხალიჩებს, ნობ-ფარდაგებს.

ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ თბილისელმა სოვედაგრებმა. ზანდაროვი თბილისში გზავნიდა ყველაფერს, რასაც ქართველი კნეინები და გამდიდრული გატრების ცოლები თხოულობდნენ: ქინძისთავებიდან დაწყებული ქალის ფართოფართულებიან ქუდამდე. უნახავს არ ტოვებდა ფაპრიკებს და მაღაზიებს. ყველგან იხედებოდა. ყველაფერს გულდასმით სინჯავდა და ათვალიერებდა. ეცნობოდა ფაპრიკანტებს, მაღაზის მფლობელებს, ბანკირებს, ხანსად ტრისალებდა და ხანსად. ხმირად იყო ქალაქის შუაგულში იმ ბაზარზე, რომელსაც „პარიზის კუჭს“ უწოდებდნენ (და კვირვებული გრიგოლი ამჩნევდა, რომ მცირე თბილისის შუაბაზარი გაცილებით უფრო გამაყრუებლად ხმაურობდა, ვიდრე უზარმაზარი ქალაქის ეს უშველებელი „კუჭი“). ზოგჯერ, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, პარიზის ბირჟაზეც გამოჩნდებოდა ხოლმე. აქ იგი ისევე იწავებოდა აღებ-მიცემობასა და ვაჭრობაში, როგორც ოდესლაც თბილისის ბაზრებსა და ქარეასლებში ინვრთნებოდა, ოღონდ იქ ისტატად ფირუზა ჰყავდა, აქ კიდამოუკიდებლად, სხვის დაუხმარებლად ერკვეოდა ადამიანთა კიდევ უფრო რთულსა და დახლართულ ურთიერთობაში, ვიდრე ეს თბილისის ვაჭრებისა და სოვედაგრებისათვის იყო დამახასიათებელი.

ახლა გრიგოლმა მეტი იცოდა, ვიდრე ფირუზამ.

გათამამებული ახალგაზრდა ვაჭარი თანდათან რნმუნდებოდა თავის ძალასა და გამჭრიახობაში. საკუთარი თავის მიმართ რნმენა სულ უფრო უმტკიცდებოდა. შეუმცდარი ალლოთი ხვდებოდა, რომ იგი უფრო ფაქიზი და დახვეწილი ვაჭარი ხდებოდა, ვიდრე სუფთად ნვერგაპარსული, მაგრამ ძველებურად მხრებზე ყოშებგადაგდებული და ყურთმაჯებიანი ფირუზა ზანდაროვი იყო.

ამგვარი აზრები იმ დროს უტრისალებდა თავში, როცა მაღაზიების ვიტრინების მინებსა და კედლის დიდ სარკეებში რედინგოტში ან ფრაკში გამოწყობილ ბატონს დაღანდავდა ხოლმე.

ეს ბატონი თვითონ იყო. თავად გრიგოლ ზანდაროვი. ახალგაზრდა, ლონიერი, თამამი და შეუპოვარი.

## 2. მოპარული გარგალიტი

დე, მე ნულარავინ მომატყუებს, მეც ალარავის მოვატყუებ.  
გაბრიელ სუნდუკიანი, „ხათაბალა“

კონფლიქტი ტამირელსა და ზანდაროვს შორის ერთი პარიზელი ოქრომჭედლის მაღაზიაში მოხდა.

ოქრომჭედელს ზანდაროვმა რამდენიმე გილანური ფირუზი და ინდური მარგალიტი მიჰყიდა. ფირუზები და მარგალიტები ნმინდა მარინეს და ნმინდა გერასიმეს ხატებზე იყო აძრობილი. გაჭირვებული თავადის ასულების

სამკაულები მევახშეებს უვარდებოდათ ხელთ. ასე მიიტანა ხატებზე აძრობილი ფირუზები და მარგალიტები გერმანიიშიმეილების გამდელმა ფირუზა ზანდაროვთან. მარგალიტი მასთან მოჰქონდა ყველას, ვისაც უჭირდა ან ვზითვის წიგნის შესადგენად ფული სჭირდებოდა. ასეთ თვალ-მარგალიტს ფირუზა გრიგოლს დროდადრო უგზავნიდა საფოსტო ეტლით და სავაჭრო ხომალდით თბილისიდან პარიზში.

ფირუზა სოვდაგრულად ანგარიშობდა.

მუშტრები თბილისში მაღრიბულ თვალ-მარგალიტს თხოულობდნენ, პარიზში — მაშრიყულს.

პარიზელ ოქრომჭედელს ფირუზებიც მოენონა და მარგალიტებიც. მაინც დიდხანს ივაჭრეს. ბოლოს როგორც იქნა, მორიგდნენ. ოქრომჭედელმა ელეგანტურად ჩაცმულ მუშტარს ტკეცელა ასფრანჯიანები გადაუთვალა. სწორედ ამ დროს მაღაზიაში ხანდაზმული ცოლ-ქმარი შემოვიდა, ამერიკელებს ჰგავდნენ. ისინი გულდასმით ათვალიერებდნენ ვიტრინებში გამოფენილ სამკაულებს. ოქრომჭედელს, როცა ზანდაროვს ფულს უთვლიდა, ცალი თვალი მათზე ეჭირა და ფულის დათვლას ჩქარობდა. ერთი სული ჰქონდა, სანამ მათ გამოელაპარაკებოდა და თავისი სამკაულებით დაინტერესებდა. ჯიბესქელ ამერიკელებს ყველა მაღაზიაში კალთებს აგლევდნენ და რაც ხელთ ჰქონდათ, ყველაფერს დიდი ფახაფუხით სთავაზობდნენ. ოქრომჭედელი თვალს ვეღარ აშორებდა მათ. ისინი ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ დახლს, რომელზეც ჯერ ისევ იყო დალაგებული ზანდაროვის მიერ გაყიდული ფირუზები და მარგალიტები.

ზანდაროვმა, თავის მხრივ, თითების ჩქარი მოძრაობით გადათვალა ასფრანჯიანები, ერთი წამით, მხოლოდ რაღაცნაირად მიაცეკერდა ოქრომჭედელს და ფული ტყავის ჩანთაში ჩაალაგა. ოქრომჭედელმა მას ზრდილობიანად დაუკრა თავი, „ორე ვუარ“ დააყოლა და გაბადრული სახით ამერიკელებს მოუბრუნდა.

— საიდან ბრძანდებით, ბატონებო?

— ახალი ორლეანიდან.

— ფრანგები ხომ არა? — წამოიძახა გახარებულმა ოქრომჭედელმა.

— წარმოშობით, ბატონო! — უპასუხა ქალბატონმა.

ვაჟბატონმა თვალი დახლზე დალაგებულ ფირუზებს და მარგალიტებს დაადგა, მოწონება არაფრით არ გამოუხატავს. ოქრომჭედელს გულგრილად ჰქითხა:

— რამდენს აფასებთ?

ოქრომჭედელმა იმაზე ორჯერ მეტად დააფასა, ვიდრე წელან თვითონ ჰქონდა წაყიდი.

ტაშირელი ცნობისმოყვარეობამ შეაჩერა.

ამერიკელმა გულდასმით გასინჯა ყველა ფირუზი, კარგა ხანს ათვალიერა მარგალიტებიც, ბოლოს აუჩქარებლად წარმოთქვა:

— თანახმა ვარ.

ტაშირელმა მხრები აიჩინა. ერთბაშად ვერ გაერკევა ვითარებაში. ვერ გაამტკუნებდით. მან ზეპირად იცოდა ადამ სმიტის ნიგნიდა არა ინგლისელი ექონომისტების მოლვანეობა ბირჟაზე.

გვიან გაახსენდა ზანდაროვი. მაღაზიაში იგი უკვე აღარ იყო. არც მაღაზის ნინდა დახვედრია მას. ქუჩის გასწვრივ ყველაფერი მოათვალიერა, მაგრამ ვერსად ვერ შეამჩნია. თვალი გააყოლა ყავახანების ნინდა გამოფენილ მავიდებს, ფეხებს აუჩქარა, აქეთ-იქით იხედებოდა, თვალს ჰკიდებდა ყველას, ეისაც გრძელი, ლია ფერის რედინგოტი ეცვა, თავზე კი შევი აბრეშუმის პრიალუ ცილინდრი ეხურა. ზანდაროვს ქუჩის ბოლოში დაენია, წაბლის ხესთან იდგა და ეტყობოდა თავის თარჯიმანს უცდიდა.

— რა მოხდა? რაზე გამოიქეციოთ? — ჰკითხა განცვითრებულმა ვახტანგმა.

— ისეთი არაფერი, ცოტა ფეხს აუზჩარე, — ერთხანს შეყოყმანდა ვრიგოლი, მაგრამ მაინც სიმართლის თქმა ამჯობინა, — მაღაზიის პატრონმა სამასი ფრანკი გადმომაყოლა.

— მერე? არ უნდა დაუბრუნოთ?

— დავუბრუნო?.. — გაუკვირდა ზანდაროვს.

— პო. პო. ეხლავე, ეხლავე უნდა შეტრიალდეთ და დაუბრუნოთ. მადლობას გეტყვით.

— იმის მადლობა მე რათ მინდა?

— თქვენ შეძლებული კაცი ბრძანდებით. სამასი ფრანკი განარა არის, რომ მაგის გამო სინდისი დაიმძიმოთ.

— ჩემთვის ერთი სუც ფულია. არა მარტო ფრანკი და ლუიდორი. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ტაშირელმა ხელები გაშალა და შესძახა:

— მაგით რა ვინდათ თქვათ?

— დაკარგული მპოვნელისაა!

— მერე, სინდის არ ეკითხებით?

— სინდის? რომელ სინდისზე მელაპარაკები, — დამცინავად დაუბრუნა სიტყვა თავის თარჯიმანს გრიგოლმა, მაგრამ მყისვე სერიოზული გამომეტყველება მიიღო და დაფიქრებულმა განაგრძო, — ამას ნინათ ერთი ოქრო-მჭედლის მაღაზიაში, როცა შენ, ჩემო კეთილო თარჯიმანო, ძველებურ საათს სინჯავდი გატაცებით და მე ჩემთვის მარგალიტებს ვარჩევდი, ვერც შენ და ვერც მე ვერ შევნიშნეთ, რა უსამართლოდ მოგვატყუა იმ ოქრომჭედელმა. ეხლა რაღას იტყვი, ჩემო პატიოსანო თარჯიმანო? მოპარული მარგალიტი მჭედელს სამასი ფრანკი?

— ამის დაბრუნება სინდისმა უნდა გიკარნახოთ, ბატონი ზანდაროვ!

— ვისაც ვაჭრის ქუდი მაგრად ჰსურავს თავზე, იმას სინდისთან ვაჭრობა არა მართებს.

ეს რომ თქვა, გრიგოლს მაიკო კურტანიძე მოავონდა და თვალები გაუბრნებინდა.

ტაშირელმა მხრები აიჩინა.

— არ მესმის ეგ რა ქარაგმაა!

— ეგ ქალაქში მე ძლივს გამაგებინეს, შენ გინდა ამ შუა ქუჩაში ერთგაშად გაგაგებინო? შენც ჩემსავით უნდა იცხოვო, ჩემოდენა ნახო და გამოსცადო, რომ მიხვდე და გაიგო, ამას სიტყვით ვერ იტყვი, ეს საქმეში უნდა გასინჯო.

— მაგალითი წინა მაქვს.

— რა მაგალითი? — დაინტერესდა ზანდაროვი.

— ოქრომჭედელმა იმ ამერიკელს ორჯერ მეტად მიჰყიდა თქვენი ფირუზები და მარგალიტები.

აქამდე პირმხიარული ზანდაროვი პირბრაზიანად იქცა.

— კარგი ერთი და!

— ეგ, რაც გითხარით, ჩემს თვალნინ მოხდა.

გრიგოლმა გადააფურთხა და ისეთნაირად შეიგინა, როგორც ასეთ დროს ფირუზა ივინებოდა ხოლმე.

აწითლებულ ვახტანგს თვალი რომ შეავლო, კვლავ გამოიდარა, პირი გაუმხიარულდა და გულწრფელად წამოიძახა:

— ალალი იყოს მაგაზე, ეგ ხომ იმ ოქრომჭედელივით ქურდი არ არის.

ერთი წამით გაელვებული შური და სინანული მას უკვე მონელებული ჰქონდა და ხუმრობის გუნებაზე დგებოდა.

ტაშირელმა ცივად უპასუხა:

— პო, მაგას არც იმასავით მოუპარავს მარგალიტი, არც თქვენსავით დაუმალავს სამასი ფრანკი. კომერციულ ალლოს ან უნარს განა შეიძლება რამე საერთო ჰქონდეს ქურდობასთან და უსინდისო ვაჭრობასთან?

— ის, რაც გაყიდულია, ჩემი ალარ არის, — მოუჭრა ზანდაროვმა.

— არ მესმის.

გრიგოლმა სოვდაგრულად განუმარტა.

— მაგის გაგებას რა უნდა? თუ ერთმა არ წააგო, მეორე როგორ მოიგებს?

— შეიძლება, შეიძლება, მაგრამ ყოველგვარ გარიგებას სინდისი და პატიოსნება სჭირდება, — ღრმა რწმენით წარმოთქვა აღელვებულმა ვახტანგ ტაშირელმა.

ზანდაროვს გაცინება უნდოდა, მაგრამ არ გაიცინა. ხელჯოხით ნელ-ნელა ასწია შუბლზე მაღალი, შავპრიალა ცილინდრი და თარჯიმანს სიტყვა ბაზე უგდო:

— უჟ, რანაირად ცხელა დღესა, მზეც სწორედ ქალაქურად აჭერს. ოფლში რად ვიწურებით? ჩრდილში გადავიდეთ.

კისრიდან ფერადი აბრეშუმის ხელსახოცით ოფლი მოიწმინდა და ჩრდილს შეაფარა თავი.

### 3. მოულოდნელი შეხვედრა

პარიგმი... ვეითხვ, ვინ არიან ქართველები-მცენტები,  
გიორგი ერისთავი, „ჩემი მოგ ზურობა ევროპაში.“

ზაშირელმა ზანდაროვი ხელით შეაჩერა და გადაჭრით უთხრა:

— ერთმანეთს აქ უნდა დავემშვიდობოთ. მე ანგარიში გამისნორეთ და  
თქვენ, როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით.

ზანდაროვი გაბრაზდა.

— რას ამიხორდი? რას მაყევედრი? შენ რა, ვაჭარს პირველად ხედავ? ტყუ-  
ლად გატარებაქეთ-იქნით? ვერა ხედავ, როგორიქცევას აქაური გაპრიალებუ-  
ლი ვაჭრები? ან ბირჟაზე რა ყვირილი დგას, როცა აქციები მაღლა და დაბლა  
მიღის? დონემუა, დონემუა — მომეცით, მომეცით, ყვირისან ერთნი, მონ, მონ —  
ჩემია, ჩემი, ღრიალებენ მეორენი. ლამის ერთმანეთს ყელში სწვდნენ. ყველანი  
განათლებულნი კი არიან, სუფთად ჩაცმულნი და გადაპრანანჭულნი. მაგათან  
შედარებით დაგლეჯილი ბართლომე კურტანიძე ან ფეხებმოლრეცილი ფირზა  
ზანდაროვი, — გრიგოლს თეთრი ლიზა და მაიკო კურტანიძეც გაახსენდა და  
ისევ გაიღიმა, — მართლა რომ მამა აბრამის ბატკნებად მოგეჩვენება (შენ არ  
იცნობ, ქალაქელი ვაჭრებიარიან), რაც აქ კეთდება და რასაც აქ აკეთებენ, იმათ  
კერ არ დასიზმრებიათ. დალოცვილო, მიიხედ-მოიხედე, დაუკვირდი, თვალი  
გაახილე, მერა, ნუმრის ერთიმნახე? თავი გინდა გამანებო? კეთილი და პატიო-  
სანი, ვინ გიჭერს? უშენოდაც მოვახერხებ აქაურ ვაჭრებთან ლაპარაკს, ერთ  
ნელინადში სომხური და თაორული ქალაქებს ბაზარზე ვისნავლე, სამწელინადში  
ფრანცუზულს ვერ ვისნავლიდი? ქალაქში ვაჭარს ვერა ნახავ, რომ ხუთ ენაზე  
არა ლაპარაკობდეს. ვინც ვაჭრის ხელობა იცის, ენებიც უნდა იცოდეს. ნინათ  
ქალაქელმა ვაჭრებმა სპარსული და თურქული იცოდნენ, ეხლა სხვა დროებაა,  
რაკი აქეთ სიარულს მოვუხშირეთ, ფრანციცულიც უნდა ვისნავლოთ. პოდა,  
თუ ვლაპარაკობ, ისევ შენთვის ვლაპარაკობ. ჩემგან რომ ნახვიდე, რითი და  
როგორ გინდა იცხოვრო? შენი სამსახური აქ არავის უნდა, მამის სახლში კი  
აღარ მიგესვლება. ისევ ის გორჩევნია, ჩემთან ერთად ქალაქში ნამოხვიდე,  
სამსახურსაც და ლუკმაპურსაც გავიჩენ. თუ გაჯიუტდები და ჯორზე შეჯდები,  
შენ იცი, მეც ბამუსტა მითქია, ანგარიშს როცა გინდა, გავისნორებ, თუგინდ  
ეხლავე გავხსნი ქისას და რაც გერგება, იმაზე მეტს მოგცემ. შენთვის ალალია,  
რადგან პატიოსნად მემსახურე და ბევრი ფულიც მოვიგე. ოლონდ ნუ ცხარობ,  
სირცხვილია, ხალხი გვიყურებს, ის კაციც ისეთნაირად გვამტერდება, ალბათ  
ჰგონია, ცხარე ლაპარაკს ზედ მუშტებსაც მივაშველებთ და ერთმანეთს ცხ-  
ვირ-პირს დავუნაყავთ.

ზანდაროვი ამას უკვე ხუმრობით და სიცილით ამბობდა, რადგან სიბრაზე  
თანდათან უცხრებოდა და დავის გაგრძელებაც ზედმეტად მიაჩინდა. მაგრამ  
სხვა დროს მოკრძალებული და ნუნარი თარჯიმანი აღარ უთმობდა, დაურ

ნებით მოითხოვდა ანგარიშის გასწორებას და თავისი გადაწყვეტილებიდან ფეხს აღარ იცვლიდა. ხმამაღლა, თითქმის ჩხუბით მოლაპარაკე სოვედავარს და მის გაჭირვეულებულ თარჯიმანს ერთი შუახნის ნარმოსადეგი მამაკაცი აძლიერდებოდა, განითლებული სახით და გაბრნყინებული თვალებით. მას ევროპულად ეცვა, მაგრამ აზიელი კაცის გარევნობა და იერი აშკარად ემჩნეოდა. ამას კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა მისი გრძელი თეთრი ულვაში, რომლის ბოლოები მას თეთრ საყელომდე სწოდებოდა. იგი დიდხანს მისდევდა უკან ზანდაროვს და ტაშირელს. ბოლოს ველარ მოითმინა, ნინიდან შემოურბინა მათ, ნინ დაუდგა და სუფთა ქართულად წამოიძახა:

— ვეუო, თქვენ ქართველები უნდა იყოთ?!

ზანდაროვი და ტაშირელი ახლაც ისე გამტერდნენ, როგორც ფრანგურ-ტელი ოქრომჭედლის მაღაზიაში.

— ღმერთმანი, თქვენ ქართველები ხართ, — აკანკალებული ხმით გაიმეორა უცნობმა.

— დიახ, ბატონო, ჩვენ ქართველები ვართ, — აღარ დაუგვიანა პასუხი უკავე გამორკვეულმა და დაინტერესებულმა ტაშირელმა.

ამის თქმა იყო და, უცნობი მამაკაცი იქვე, ქუჩაში, ორთავეს სათითაოდ გადაეხვია და გულმხურვალედ გადაკეთდნა. გამვლელებმა ნიაზით დაინყეს მათენ ცქერა, მაგრამ აღელვებულმა უცნობმა მათ ყურადღება არ მიაქცია. ხანგრძლივი ხვევნა-კოცნის შემდეგ თვალებიდან სიხარულის ცრემლები მოინმინდა და ზანდაროვს და ტაშირელს თავისი თავი გააცნო:

— თავადი გოსტაშაბიშვილი გახლავარ!

ახლად გაცნობილნი ლუქსემბურგის ბალში გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ და დიდხანს იმასლაათეს. მერე ახლომახლო ქუჩებში უთავბოლო ხეტიალს შეუდგნენ. ბოლოს ვახტანგ ტაშირელმა რივოლის ქუჩის კენ გაუხვია და ლუვრში შევიდა, თავადი გოსტაშაბიშვილი და გრიგოლ ზანდაროვი კი კარუსელის ხიდზე გავიდნენ და მდინარეს რომ გადახედეს, ერთდროულად გაჩერდნენ, ხოდის რიკულთან გაშემდნენ, თვალი გაუშტერდათ და სენას ისე დააცქერდნენ, როგორც მტკვარს აცქერდებოდნენ ხოლმე.

#### 4. გრიგოლ ზანდაროვის პარიზული ცხოვრება

მთელი პარიჟი პსჩანს, როგორც ხელის გულზე, საშინელი მშვენიერი ქალაქი არის.  
გოორგი ერისთავი, „ჩემი მოგზაურობა ევროპაში“

გრიგოლ ზანდაროვს სულ სხვა პარიზი დახვდა, ვიდრე გიორგი ერისთავს.

XIX საუკუნის 40-იან წლებშიც პარიზი ოკეანე იყო. მაგრამ კიდევ უფრო გოლიათური გახდა 50-იან და 60-იან წლებში. ამ დროს გაჩნდა ვრცელი მოედნები. ლარივით გაჭიმული და განიერი ქუჩები. ახალი ბულვარები.

სულ სხვა იყო პარიზი ბალზაკის დროს, 40-იან წლების დამლევამდე.  
მონმარტრზე ქარის ნისქვილები ბრუნავდნენ, ხოლო ქალაქის შუაგულში  
ვენახებსაც შეხვდებოდით.

ღრმად მოხუცებულ პარიზელებს კარგად ახსოვდათ ძველი პარიზის სო  
ფლური სურათები.

იქ, სადაც ელისეს მინდვრები ინყებოდა, რუვრეის ტყე შრიალებდა. ეს ტყე  
ბულონის ტყის ნაშთს ნარმოადგენდა. ვენსენის ტყის ნაშთი იყო ბონდის ტყე  
ბასტილის ნაალაგარის მახლობლად. მათ შორის ვადაჭიმული იყო ველუბი,  
მინდვრები, მდელოები, ბუჩქნარი, ბალები, ვენახები. XIX საუკუნის პირველ  
ნახევარში მთელი ამ სოფლური პარიზიდან ცოტა რამ იყო ვადარჩენილი.

ხილის ბალების ვაკაფუას პარიზში XVI საუკუნის მეორე ნახევარში შეუდგ-  
ნენ. დედოფალ მარგოს ბრძანებით ვაკაფეს ლელვის დიდი ბალი, რადგან ის  
დაბრკოლებას უქმნიდა მისი ეტლების სწრაფ მოძრაობას. ხეხილის ბალებს  
თანდათან დეკორატიული პარკები ცვლიდა. ამ მხრივ ერთი პირველთაგანი  
იყო ლუქსემბურგის სასახლის შემოგარენი. მარია დე მედიჩიმ ლუქსემბურგის  
ბალის შედრევნებისათვის ახალი ვიადუკი ვააყვანინა (რიგით მესამე, პარი-  
ზის არსებობის ვრძელ მანძილზე), ფრანგი არისტოკრატები უპირატესობას  
ახლა მარადმნვანე ნარგავებს, ვადაკრეჭილ ბუჩქებს და დაბურულ ხეივნებს  
ანიჭებდნენ. ზედიზედ იჩეხებოდა ბალები, ვენახები, ალუბლის ქუჩაზეც  
ამონდირკვა მონმორანსის მშვენიერი ალუბლები. მათ ადგილს იჭერდნენ ის  
სასახლეები, ტაძრები და სახლები, რომელთა არქიტექტურული ანსამბლი  
XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა. მაგრამ პარიზის ნამდვილი  
ურბანიზაცია მხოლოდ ლუი XVI-ის დროს დაიწყო.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თვალსა და ხელს შუა ვაჟრა პარიზის  
განთქმული ხილის ბალები და ვენახები. იგივე დაემართათ ველებს, მინდ-  
ვრებსა და ტყეებს, მათი სახელები იმ ქუჩებსლა შერჩათ, სადაც წინათ ისინი  
ერთიმეორის გავრძელებას ნარმოადგენდნენ. მრავალსართულიან სახლებს  
შორის თითქმის ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ: მცირე ველის ქუჩა,  
ველის ქუჩა, ტყის ქუჩა, ტრამალის ქუჩა, ვენახების ქუჩა, ბალების ქუჩა, მნ-  
ვანე ხეივნის ქუჩა, ბილიკის ქუჩა, ატმის ქუჩა, ალუბლის ქუჩა და მისთანანი.  
XVIII საუკუნის მეორე ნახევარშივე მებაღეთა ქოხმახების, საბძელ-ბოსლების,  
თავლების და ფერმების მაგიერ სწორი ქუჩები გაიმართა და მაღალ-მაღალ  
სახლები ნამოიმართა.

ცოტა უფრო ადრე დაიწყო ქუჩის სახლების ნუმერაცია.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაჩნდა ახალი რაიონები, მუშათა გარეუბ-  
ნები. მოსახლეობა მატულობდა. პარიზის ზრდის ერთ-ერთი შედევგი იყო მამა  
ლაშეზის სამფლობელოს (1804 წლამდე გასართობად და დროს გასატარე-  
ბლად რომ ჰქონდათ მოქეიფე ქალებსა და კაცებს) სასაფლაოდ ვადაკრევა.

იმავე საუკუნის 30-იან წლებში პარიზი პირველად განათდა გაზის ფარნე-  
ბით.

პარიზის უფრო და უფრო ემსგავსებოდა იმას, რასაც ბალზაკი ოკეანეს უწოდებდა.

გაგრამ ჯერ ისევ არსებობდა პატარა მოედნები, ვინრო, ბნელი და ოკრო-ბოკო ქუჩები. ივლისის რევოლუციის გამარჯვების მიზეზად იმას თვლიდნენ, რომ ვერ მოხერხდა მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებსა და ქუჩაბანდებში ზარბაზ-ნების გადაადგილება და ჯარისკაცების სწრაფი განლაგება.

ამ ვინრო და ოკრობოკრო ქუჩებში გრიგოლ ზანდაროვს რაღაც მშობლოური რამ ახსენდებოდა და გული უნათდებოდა (მონპარნასის აღმართს ჩულურეთს ეძახდა, ხოლო მისი მაღლობიდან დანახულ სენას და ნოტრ-დამს გტივარსა და წმინდა ნიკოლოზს). საერთოდ კი, თავს პარიზში თავისუფლად გრძნობდა. თარჯიმანი მაინც არ სჭირდებოდა, რადგან პარიზელებს ყველაფერს აგებინებდა და მათგან ყველაფერს გებულობდა. მსოფლიოს ამ დედაქალაქის მცხოვრებლებს ყველანაირი ფრანგულისათვის ყური უკვე ისე ჰქონდათ შეჩვეული, რომ ადვილად უგებდნენ ფრანგულად მოლაპარაკე გრაზილიელსაც და სპარსელსაც, ალფირელ არაბსაც და კონგოლ ზანგსაც.

ზანდაროვი ხშირად იცვლიდა სასტუმროებს და დაქირავებულ ბინებს. ტაშირელი კი მონმარტრის იმ ქუჩაზე ცხოვრობდა, სადაც მისი კერპი შარლ ფურიე იყო დაბინავებული. სენ-პიერის ქუჩა ბირჟის რაიონში მდებარეობდა. ტაშირელი ბირჟის შენობას ნინ ისე არ გაუვლიდა ხოლმე, რომ ფურიეს ნათევამი არ გახსენებოდა: საზოგადოებრივი აზრის კომპასი ახლა ბირჟის ცენტრ-ცხელება და სპეცულაცია არისო.

მონმარტრიდან მომავალი ვახტანგ ტაშირელი სიტედან მომავალ გრიგოლ ზანდაროვს თავს უკრავდა, მაგრამ ხელს არასოდეს არ ართმევდა. ზანდაროვს ეს აინუნში არ მოსდიოდა და, ალბათ, არც ამჩნევდა, გართული იყო. თავისი თარჯიმანი მხოლოდ მაშინ ავონდებოდა, როცა გარიგების ან კორესპონდენციის ტექსტის შედგენა სჭირდებოდა.

ტაშირელს პარიზში ხეტიალი მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული. გარშემო უვლიდა პარიზის შემოგარენის ტყეებს, მის მოედნებსა და ქუჩებს. მის ყოველ კუნტულს და კუთხეს ინტერესით ათვალიერებდა, დიდხანს რჩებოდა იმ ეკლესიებში, რომელთა კედლებზე ძველი ოსტატების სურათები ეკიდა. ყურადღებით უჭვრეტდა ყველა ლირსმესანიშნავ ძეგლს, ყველაფერს, რაც ნარსული დიდების მეათეობა გამოხატულებას ნარმოადგენდა. მუშტრის თვალით უყურებდა ძველად და ახლად ნაგებ შენობებს, პარიზის განთქმულ ხილებს, რომელთა სახელები პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით იცვლიდნენ. პარიზული განათლებით და რევოლუციური ნაანდერძევით აღფრთოვანებულს ასე ეგონა, რომ ამ საკვირველ ქალაქს თავზე რობერ დე სორბონას და მაქსიმილიან რობერსპიერის აჩრდილები დასტრიალებდნენ.

პარიზში ხეტიალის დროს თარჯიმანი თბილისელ ვაჭარს ხან სად ხვდებოდა და ხან სად — პარიზის თითქმის ყველა ნანილში ან მის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქებში. კრთხელ სენის სანაპიროებზე სეირნობისას, არ კოლის

ხიდიდან ლუი-ფილიპეს ხიდამდე, მან სულ სხვადასხვა ადგილზე მოჰკრა მას თვალი, ერთხელაც ტიულინის ტერასიდან გარევევით დაინახა, თუ როგორ მოეგება იგი ერთი არისტოკრატული გარეგნობის ქალს. ისინი ლუ ХV-ის მოედანზე ეტლში ავიდნენ და თვალს მიეფარნენ. რა თქმა უნდა, თბილისელ ვაჭარს არც ეყლესიების ძველი სურათები აინტერესებდა, არც მუზეუმები, არც ბიბლიოთეკები, არც ისტორიული და რევოლუციური ღირსშესანიშნავ ბანი. მისი პარიზში მოვზაურობის საიდუმლოება იმაში მდგომარეობდა, რომ სრულიად სხვადასხვა მისამართები ჰქონდათ იმ ქალებს, რომელთაც იგი ეტორლისალებოდა და ისევე დასდევდა უკან, როგორც ფირუზა ზანდაროვი რომელიმე ლამაზმანს თბილისის მტვრიან ქუჩებში.

იმ დღესაც ტაშირელი ზანდაროვს იენას ხიდზე ცხვირწინ შეეფეთა და თვალს არ დაუჯერა. მას ცამეტ-თოთხმეტი ნლის გოგო ახლდა. ხიდის მოაჯირს ხმამაღლა ლაპარაკით მოსდევდნენ. ზოგჯერ ჩერდებოდნენ და ხიდის რიკულზე დაყრდნობილი ზანდაროვი გოგოს გატაცებით რაღაცას უკვებოდა.

გოგომაღალი იყო და ტანნვრილი, ლურჯთვალება და ჭორფლიანი. თავზე ლურჯბაბთიანი ყვითელი ჩალის ქუდი ეხურა, ინდური მუსლინის ჭრელი კაბა ეცვა, ფერხთით — ხავერდის ალისფერი სატინით განყობილი ლამაზი ფეხსაცმელები. ტაშირელს თავში იმ აზრმა გაუელვა, რომ ყველაფერი ეს, თავიდან ფეხებამდე, რაც ამ გოგოს ეხურა და ემოსა, ზანდაროვის ფულით იყო ნაყიდი.

პარიზში მრავალი მცირენლოვანი გოგონა მეძაობდა. ეს აღარსავის უკვირდა. რომელიდაც ფრანგი არისტოკრატის მემუარებიდან ტაშირელმა ისიც იცოდა, რომ ლუ ХV-ის პარამხანში რვა და ცხრა ნლის გოგონებიც იმყოფებოდნენ. მაგრამ ნიგნში ნაკითხულს მასზე ისეთი შთამბეჭდილების მოხდენა არ შეეძლო, როგორც ახლა ამ ნორჩი, პირზე რძეშეუშრობელი გოგოს ყურება ახდენდა. უნდოდა საჩქაროდ გასცლოდა მათ, მაგრამ ერთხელ კიდევ განცვიფრებული, მოძალებულმა ცნობის მოყვარეობამ შეაჩერა.

მის ნინ არაჩეულებრივად შთამბეჭდავი გარეგნობის ლამაზი მამაკაცი იდგა. მოხდენილი კაცი პარიზში გასაკვირი არ იყო (სიეისი მართალი იყო, როცა ამას ამბობდა), მაგრამ ნელგანებილი ზანდაროვი თავისი გარეგნობით და ჩაცმულობით გამვლელ-გამომვლელთა ყურადღებას ყველგან იქცევდა.

ტაშირელს არ შეიძლებოდა არ შეენიშნა, რომ ელეგანტური თბილისელი ვაჭარი უფრო უხდებოდა პარიზს, ვიდრე მოუხემავი და ტლანქი სამების ეკლესია (ეს ეკლესია, მოუხედავად იმისა, რომ სასტიკეა და ამახინჯებდა ახალ არქიტექტურულ ანსამბლს, აულებელი დარჩა პარიზის გენერალური რეკონსტრუქციის დროსაც).

ტაშირელი კიდევ უფრო გააოცა იმან, რომ ზანდაროვი უფრო სწრაფად ლაპარაკობდა ფრანგულად, ვიდრე თვითონ — ვოლტერის ფრანგულზე გაზრდილი ინტელიგენტი და მოსეოვის უნივერსიტეტის ნასტუდენტარი.

გართალია, ზანდაროვი აუარებელ შეცდომას უშვებდა, მაგრამ ფრანგი გოგონა ისე გულიანად კის კისებდა, რომ ეტყობოდა თავისი კავალერის არცერთი სიტყვა არ ეკარგებოდა.

როცა ვახტანგ ტაშირელი მათ ბოდიშის მოხდით გამოემშვიდობა, გოგონამ სერიოზული სახე მიიღო. უცხო ბატონის გამოსათხოვარ ფრაზაში მან აუმღვერეველი ფრანგული აღმოაჩინა და მისდამი პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალა.

## 4. გრიგოლ ზანდაროვის პარიზული ცხოვრება (გაგრძელება)

მე ალბათ ისე მოვკედები, როგორც პრიბუსი, ოთახის იმ ქოთნით  
(კრამიტით), რომელსაც მესუთე სართულის ფანჯრიდან უკბილო

დედაბერი გადმოაგდებს.  
სტენდალი, „ლუსიენ ლევენი“

პარიზში სხვა თბილისელი ვაჭრებიც იყვნენ. თითოეულ მათგანს ვახტანგ ტაშირელი კარგად იცნობდა, რადგან ზოგჯერ მათ თარჯიმნად უდგებოდა. ზანდაროვი ნატიფი არავინ იყო. რუმბივით დამსხვილებული სოვდავრები ზანტი მიხრა-მოხრით დაიზლაზნებოდნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ დოდვაჭრის კაბის გახდა. პარიზის ბულვარებზეც ისეთივე თავმომწონებით აურიალებდნენ ყურთმაჯებს, როგორც თბილისის ყაფანზე. ისინიც ათას-ნაირ ზიზილ-პიპილოებს ყიდულობდნენ. საქონელს მარსელში ხომალდებზე ტვირთავდნენ და ტრაპიზონისკენ ან რედუთ-კალესკენ მიეშურებოდნენ. ბევრ თბილისელ სოვდაგარს ეს გზები უკვე გატკეპნილი ჰქონდა, რადგან თბილისში მაღრიბული საქონლის მუშტარი სულ უფრო და უფრო მატულობდა.

გრიგოლ ზანდაროვი პარიზიდან ფეხს აღარ იცვლიდა. არც ფირუზა აჩქარებდა. რასაც უმცროსი ზანდაროვი პარიზში დიდი მოგებით ყიდულობდა, იმას უფროსი ზანდაროვი თბილისში დიდი მოგებით ჰყიდდა. ხომალდით გაგზავნილი ბარათით (საქმიან ბარათშიარც თეთრილიზას და მაიკო კურტანიძის პირზე კოცნა და მოკითხვა იყო დავინუებული) ფირუზა ფორტეპიანოსთან და ნაირ-ნაირ ავეჯთან ერთად ქალის ქუდების, ბაბთების და თვით ქინძისთავების გამოგზავნას მოითხოვდა. გრიგოლი ყველაფერს უკლებლივ შოულობდა და თბილისში გზავნიდა.

სხვა სოვდაგრებივით იგი საქონელს რედუთ-კალეს გარდა ტრაპიზონისკენ ისტუმრებდა. აქ მისი კონტრაგენტი იყო არზრუმელი სომეხი არშაკ ბერბერიანი, რომელსაც თავრიზის გზით ზანდაროვების საქონელი თბილისში შეჰქონდა. აქ მის რეალიზაციას ფირუზა ზანდაროვი ახდენდა. ნანილს კი,

უმთავრესად ქსოვილებს, ჩრდილოეთ ინანის ქალაქებში არშავ ბერბერიანი ასაღებდა.

გრიგოლ ზანდაროვი დღისით მაღაზიებსა და ფაბრიკებში დარბოდა. სა-ლაშოხანზე დიდ ბულვარებზე დასეირნობდა და აკვირდებოდა ყველას, ვინც კი გემოვნებით იყო ჩაცმული და ბატონკაცური იერით გამოირჩეოდა. უფრო ხშირად ოპერის პასუის და პალე-როიალის მომიჯნავე ქუჩებში ტრიალება და გემოგახსნილი ვაჭარი ბულვარებზე, კაფე-რესტორნებში, სამორინები (მოთამაშეთა ყურებით ერთობოდა, თვითონ კი არასოდეს არ თამაშობდა), არისტოკრატიულ უბნებსა და თეატრებში ითვისებდა დახვეწილ მანერებს.

ღამლამობით გაზით განათებულ პარიზში სიარული უყვარდა, გაზის ფარნების გრძელი, დაუსრულებელი მძივების ციმციმს აღტაცებული გას-ცეროდა და იმ დღეს ნატრობდა, როცა მისი საყვარელი თბილისი პატარა პარიზად გადაიქცეოდა.

თბილისელი არისტოკრატები და გამდიდრებული მოქალაქენი მაღრიბულ გემოვნებას ისე ითვისებდნენ და იქაურ ფუფუნების საგნებს ისეთნაირად ეტანებოდნენ, რომ ამ ნატერის ახდომას ბევრი აღარაფერი უკლდა.

გამრჯვე და თადარიგიანი გრიგოლ ზანდაროვი მოგების წყურვილს ვეღარ იქლავდა.

მაგრამ ვაჭრის გრძელ გზას ფათერაკი და ხიფათი მუდამ თან ახლდა.

ეს ფათერაკიც ისევე მოულოდნელად მოხდა, როგორც ყოველგვარი ფათერაკი ხდება.

პარიზში სავაჭროდ ჩასული თბილისელი სოვდაგრები პოლ ნიკეს სამი-კიტნოში თეთრ ღვინოს და თევზს მიეძალნენ, ხარფუხელი ოსეფა ცხრაპერანგაშვილი ატლანტიკის ოკეანეში დაჭრილ თევზს ისეთნაირად მიაძლა, რომ დარეტიანდა და სულის მოსაბრუნებლად გარეთ გალასლასდა. ქუჩაში სახლების რიგს გაჰყვა და უშველებელი ბალდადით ხან ანენილ ქოჩორს იმშრალებდა, ხან ოფლით დასველებულ პირსახეს და გარმონივით დაკეცილ კისერს. ამ დროს ერთ-ერთი სახლის სახურავიდან კრამიტი გადმოვარდა, თავზე დაცა და იქვე სული გააფრთხობინა.

თბილისელი სოვდაგრები ამამბავს უდრტვინველად შეხვდნენ და მხოლოდ თავის ქნევით გამოხატეს თავიანთი სინანული. გასაკვირი აქ არაფერი იყო: ისინი ჯერ კომერსანტები არ იყვნენ და გულადობით შუა საუკუნეების იმ მოგზაურ ვაჭრებს ჰგავდნენ, რომელთაც ათასნაირი ვაჭირვებისა და განსაკუდელის გადატანა უხდებოდათ და უდაბნოებსა და ზღვებზე გაკაუებულნი შეუძოვარი სულისკვეთების თვისებებს და ტიტანურ ნებისყოფას აქლემის ზურგზე და ხომალდის ბაქანზე იძენდნენ.

ყველაზე მეტად თავი გრიგოლ ზანდაროვმა გამოიდო. ვახტანგ ტაშირელს არც ეს გამორჩენია მხედველობიდან. აშკარად ჩანდა, რომ თბილისელი ვაჭრების მეთაური პარიზში ის იყო ან ასეთად ეგულებოდათ. პოლიციაშიც ის გაიქცა იერუსალიმის ქუჩაზე (აქტებში გარდაცვლილი ოსეფა ცხრაპერან-

გაშველი უოზეფ ცარპერიოვად ჩანერეს). რესეტის პარიზის საკონსულოშიც განმოაწესრიგა გარდაცვლილი სოვდაგრის ქალალდები და ქონების ნუსხები. რესეტი ცხრაპერანგაშვილი მონპარნასის სასაფლაოზე დამარხეს. წესი პარიზის სომხური თემის მღვდელმა აუგო. პირვევარი ზოგმა ქართულად გადაიწერა, ზოგმა — სომხურად. ქელეხი კი ბერძენი დიმიტრიოს პაპანდოპულოს რესტორანში ისეთი ლრეობით გადაიხადეს, რომ ქუდები სულ ჭერსა ჰქონეს.

სუფრის თავში თამადადგრიგოლ ზანდაროვი იჯდა, მარითათიანადირვებოდა და უკეთ კარგა მაგრად შეზარხომებული სოვდაგრები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ზანდარანთ გრიგოლი თამადობით სახელგანთქმულ კონა ფალავანდოვს ტოლს არ დაუდებდა.

სუფრაზე აუარებელი ხორავი ეყარა, მაგრამ არც ერთმა სოვდაგარმა თევზს პირი არ დააკარა.

## 5. საპერავი მანძანა

**ნაველით იმ დღესვე საკერავების მაშინების სანახავად.  
გიორგი ერისთავი, „ჩემი მოვ ზაურობს ევროპაში“**

გრიგოლ ზანდაროვმა სხვა მხრივაც გააკეირვა ვახტანგ ტაშირელი.

იმ დღეს მას გრიგოლმა სენ-ანტუანის ქუჩის დასაწყისში მოჰკრა თვალი. ტაშირელი ბასტილიისაენ აპირებდა გახვევას. შადრევნის პირდაპირ გრიგოლმა ხელით ანიშნა, გაჩერებულიყო. ფაცხაფუცხით მიირბინა მასთან და სახეგაბრნებულმა მიაძახა:

— დაიცა, დაიცა, ვახტანგჯან, ერთი რამე უნდა გაჩვენო.

მოუხვ-მოუხვიეს და ერთ დიდ მაღაზიას მიადგნენ. აქ ზანდაროვმა თავის თარჯიმანს ხელკავი გამოსდო, მაღაზიაში შეიყვანა და საკერავი მანქანის ნინ დააყენა.

— ერთი უყურე, ვახტანგჯან, რანაირად მუშაობს.

მაღაზიის პატრონს მიუბრუნდა და ფრანგულად უთხრა:

— გვიჩვენეთ, ბატონო, როგორ მუშაობს თქვენი მანქანა.

მაღაზიის პატრონმა მანქანა აამუშავა და თან განმარტა:

— საკერავი მანქანა სულ უფრო და უფრო უმჯობესდება. ვიღას ახსოვს ის უბადრუები მონუმენტილობა, რომელიც 1755 წელს ინგლისში ვიზენტალმა გამოიგონა. დიდი ღირსების არც 1804 წელს საფრანგეთში დამზადებული ის მანქანა იყო, რომლის პატენტი სტონმა და პენდერსონმა მიიღოს. არა უჭირდა რა 1829 წელს ტიმონიეს მიერ დამზადებულ მანქანას, რომელიც ქსოვილს ერთი მიმართულების ჯაჭვისებურ ხაზზე ეერავდა. სასარგებლო აღმოჩნდა მადერსპეგერის გამოგონებაც. მან გამოიგონა ნემსი ყუნწიანი ბოლოთი. ამ ნემსის გაუმჯობესებაზე მუშაობდნენ ფიქრი, გიბსონი და ჰანტი. ეხლა

ჩვენ უკეთეს მანქანებს ვყიდით და, ბატონებო, გირჩევთ მათ შეძენას. თუმცა  
საკერავი მანქანები სულ უფრო და უფრო უმჯობესდება. ამბობენ, რომ კიდევ  
უფრო თვალსაჩინო შეიძლება აღმოჩნდეს გიბსის, ზინგერის და ვილსონის  
მუშაობა.

— ფეხსაცმელების საკერავ მანქანაზე რაღას იტყვით? — ისევ ჩართო  
სიტყვა ზანდაროვმა.

მაღაზის პატრონმა თავისი ნოქრის დახმარებით ახლა ფეხსაცმელების  
საკერავი მანქანა აამუშავა და მისი გამოგონების ისტორია ისევე ვრცლად  
აღწერა და დაახასიათა, როგორც ქსოვილების საკერავი მანქანის გამოგონება.

— ფეხსაცმელების საკერავი მანქანა, — თქვა მან, — უფრო გვიან გა-  
მოგონეს, დაახლოებით ამ ორმოცდაათი ნლის წინათ. 1790 წელს სენატმა  
მიიღო პატენტი ფეხსაცმელების შესაკერავ მანქანაზე. ათი თუ თხუთმეტი  
ნლის შემდეგ მისი გაუმჯობესება სცადეს სტონმა და ჰენდერსონმა. ქსოვი-  
ლების საკერავი მანქანის მსგავსად, ფეხსაცმელების საკერავი მანქანაც, რაც  
დრო გადის, მით უფრო უმჯობესდება, რომელ მანქანას ინებებთ, ბატონებო.  
მერნმუნეთ, ორსავე შემთხვევაში კმაყოფილი დარჩებით.

მაღაზიიდან გამოსვლისთანავე ზანდაროვმა ტაშირელს მტკიცე გადაწყ-  
ვეტილებით უთხრა:

— თბილისში ფეხსაცმელების ფაბრიკის გახსნის აზრი მიტრიალებს თავ-  
ში. ფეხსაცმელების საკერავი მანქანა ხომ ვნახეთ, მაში რაღა გვიშლის ხელს?

სიტყვა ველარ დაამთავრა, მათ ნინ ლურჯბლუზიანი ფრანგი მუშა აიტუზა.  
ასოთამნები იყო. მას ტაშირელი „რევიუ ინდეპენდანტის“ კითხვის დროს  
გაეცნო სენ-დენის პატარა სამკითხველოში.

ლურჯბლუზიანი გადაკრული ჩანდა, მან მხიარულად ჩაუკრა თვალი  
ტაშირელს. ზანდაროვის მაღალ შავპრიალა ცილინდრს მიაჩერდა და  
პოლკოვნიკის რიხით შესძახა:

— Chapeau bas devant ma casquette, a genoux devant l'ouvrier!

ტაშირელს გაუცინა, შეტრიალდა და თავისი გზა განაგრძო.

ზანდაროვი მას დაძაბული უყურებდა, უფრო სივრცეს უთხრა, ვიდრე  
ტაშირელს:

— არა, ფაბრიკის გახსნის საქმე კარგად უნდა ავნონ-დავნონო, აუტკივა-  
რი თავი რაზე უნდა ავიტკივო? ისევ ისა სჯობს, აქ იაფად ნაყიდი იქ ძვირად  
გავყიდო. რა მეჩეარება? კასტელას მაგალითი ნინ არა მაქვს?! მუშები საიდან  
უნდა მოვიყვანო, როცა გლეხებს ქედზე ბატონის ულელი აქვს დადგმული?  
არა, არა, მტკიცარზე ბევრი ნყალი ჩაივლის, სანამ თბილისშიც ამისთანა ლურჯ-  
ბლუზიანები გაჩინდებიან. თუ ველირსე, ქუდს ვერც იქმომახდევინებენ. მაიცა,  
მაიცა, ის, რაც ჯერ არ არის, იმაზე რათ ვლაპარაკობთ?

ისევ გამხიარულდა, ტაშირელს გაახსენა:

<sup>1</sup> მოუხადე ცილინდრი ჩემს ქუდს, დაიჩოქე მუშის ნინაშე, — XIX საუკუნის 40-იან  
ნლებში პარიზში გავრცელებული სიმღერის სტრიქონებია.

-- კაცო, თავად გოსტამაბიშვილს სტუმრობას არ დაუპირდით? როდის ვენვით, ვახტანგვან?

პაემანი დათქვეს და ერთმანეთს დაშორდნენ.

## 6. ოცნება და სინამდვილე

მიმსახურეთ! აჲ, მე მარადუამ ვიქნები თქვენი მადლობელი.

ფლორა ტრისტანი<sup>1</sup>, „მუშათა კავშირი“

ტაშირელი დიდხანს დაფიქრებული იდგა. თვალები მსრბოლავ ეტლებზე უშტერდებოდა, ფიქრით კი ზანდაროვზე ფიქრობდა. რაც უფრო ახლოს ეცნობოდა მას, მით უფრო გაოცებული რჩებოდა.

ზანდაროვი მასში ცნობისმოყვარეობასაც აღვიძებდა და დაუოკებელ სიძულვილსაც.

როცა იგი თავისი ქვეყნის მომავლის განჭერეტას ლამობდა, მის აღორძინებას და წარმატებას ყოველთვის გრიგოლ ზანდაროვს უკავშირებდა. დღევანდელი სოვდაგარი მას ხვალინდელ ფაბრიკანტად მიაჩნდა. ფულის ამ უბრალო დამგროვებელს ქორვაჭრის, ჩარჩის, მევახშის და მოგზაური ვაჭრის თვისებები იმ მომენტში უნდა დაკარგვდა, როცა ფუფუნების საგნების მყიდველთა გვერდით იაფი და ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის მომხმარებლები დიდი რაოდენობით გაჩნდებოდნენ. ასე მოხდა დაწინაურებულ ქვეყნებში. ასევე უნდა მომხდარიყო საქართველოშიც. რას მოუტანდა გრიგოლ ზანდაროვი ხალხს? ადამ სმიტის თხზულების ფურცლებზე დაფიქრებულ ვახტანგ ტაშირელს პასუხი მზად ჰქონდა: ეკონომიკურ აღორძინებასთან ერთად სილატაკესა და უსამართლობას. ეს ისტორიის გარდუვალი, ულმობელი კანონი იყო. მაშასადამე, მისი ქვეყნისათვის ზანდაროვთან ერთად ფურიეც იყო საჭირო. ტაშირელმა ამაყად ასწია თავი, რადგან ამ აზრის წყალობით მან თავისი მოვალეობაც აღმოაჩინა.

გაიღიმა.

ზანდაროვის მიღრეკილებების და ტაშირელის მისწრაფებების შეთანხმება შეუძლებელი იყო.

უკვე ახლა, როცა პეგელის ახალგაზრდა მოტრფიალის ფიქრები წინ უსწორებდნენ მისი ქვეყნის მომავალ და აუცილებელ მოვლენებს, ისინი უკვე მტრები იყვნენ.

ამგვარ დასკვნას იგი მხოლოდ წაკითხული წიგნების მიხედვით არ აკეთებდა. ამასვე უკარნახებდა დასავლეთ ევროპაში ნანახიც და განცდილიც. გოტფრიდის გაცნობამ და მისმა თვითმკვლელობამ მასზე წარუშლელი

<sup>1</sup> ფრანგი ფურიერისტი ქალი. მარლ ფურიეს თავგადადებული თაყვანისმცემელი.

შთაბეჭდილება მოახდინა. გოტფრიდსაც მაინის-ფრანკფურტში ის ანუ-ხებდა, რაც ტაშირელს — მოსკოვში, მაგრამ არც პარიზში, სადაც უქვე ორი რევოლუცია იყო მომხდარი, ადამიანები, აშკარად ჩანდა, უფრო ბედნიერსად არ გრძნობდნენ თავს. მაშ, სადღა იყო ბედნიერებისა და ურთიერთნდობის ჭეშმარიტი ნავთსაყუდელი? სად იყო ადამიანი ნამდვილად თავისუფალი? კონსტიტუციური უფლებების მიუხედავად, ადამიანი დამცირებული, დამ-დაბლებული და აუტანელი შრომით გაყვლეფილი იყო თვით ისეთ ქვეყნებში, სადაც რევოლუციები სამი საუკუნის მანძილზე ერთმანეთს მისდევდა — ნიდერლანდებში, ინგლისსა და საფრანგეთში. მაშ, რა არის საჭირო, რათა ადამიანმა მისი შესაფერისი ღირსებით იშრომოს და იცხოვროს? — კითხუ-ლობდა ტაშირელი და პასუხს სენ-სიმონის და ფურიეს წიგნებში პოულობდა. ამიტომ ადამიანთა ბედნიერების საწინდრად თანხმობასა და თანასწორობაზე დამყარებული საზოგადოების შექმნა მიაჩინდა.

დიდი ქალაქების ქუჩებში ხშირად ხვდებოდა იგი დამშეულ და დაღვრემილ ადამიანებსან აღზნებულ ბრძოს, რომელიც მოედნებზე ჰურსა და უფლებას მოითხოვდა, ხოლო პოლიცია ხმლებითა და მათრახებით ფანტავდა. ჯერ კი-დევ სტუდენტობის დროს ნაოცნებარი ევროპა სულ სხვა აღმოჩნდა, ვიდრე მას ეგონა.

ერთხელ მის თვალინი ვილაც ყმანვილი კაცი ფარნის ბოძზე აცოცდა, ზედ საკობინელის ქუდი დაკიდა და ხმამალლა დაიყვირა: „რესპუბლიკას გაუმარ-ჯოს!“. ამის გამგონე ტაშირელს თვალები აენთო, ახალგაზრდა რესპუბლი-კელს აღტაცებით დაუწყო ყურება და მზად იყო, თუ ბრძოლა გაჩაღდებოდა, სიცოცხლე რევოლუციისა და რესპუბლიკისათვის გაენირა.

— მე რევოლუციის მოწმე ვხდები!

ნამოიძახა აღელვებულმა ტაშირელმა და ასე ეგონა პარიზის გმირი ხალხი დაუყოვნებლივ აღსდგებოდა, ქუჩის ქვაფენილს აჟყრიდა, კასრებს მოედანზე გამოაგორებდა და ბარიკადებსა და მართავდა „მარსელიეზას“ გუგუნში. მამა-ცი რესპუბლიკელი უანდარმებმა ფარნიდან ჩამოათრიეს, მაგრამ ბრძოლი იგი გაათავისუფლა. ამ შემთხვევის შემდეგ ტაშირელმა დამბარა შეიძინა, რითაც ძალზე გააოცა ზანდაროვი.

ტაშირელი რესპუბლიკელებს გაეცნო და დაუახლოვდა. ბიბლიოთეკის ნაცვლად ახლა უფრო ხშირად ყავახანებში დადიოდა, წიგნი გაზეთით შეცვა-ლა და ფხიზლად აკვირდებოდა პარიზის მდაბიო ხალხს, მის სულისკვეთებას და განწყობილებას. ყურადღებით ათვალიერებდა ლურჯბლუზიან მუშებს. დაეხეტებოდა მარეს უბანში, სადაც ლარიბ-ლატაკი, საბრალონი და განკი-ცხულნი ცხოვრობდნენ და ლუქმაპურს ძლიერ შოულობდნენ, მაგრამ სახეზე სასონარკვეთოლების მაგიერ ტანჯვა-ნვალების დათვალისწილების ნადილი და ბრ-ძოლის წყურვილი აღბეჭდოდათ. ყავახანებში მის მეინახებად სტუდენტები, ხელოსნები, მუშები და ინტელიგენტები იყვნენ. მათთან საუბრის დროს მას სულ უფრო და უფრო უმტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ ხალხის განთავისუ-

ფლება თვითონ ხალხის საქმე იყო, რადგან სილარიბით და შიშილით გამონ-  
ვეული ტანჯვა ხალხს ლმობიერს ხდიდა, ხოლო უსამართლობის შევნება —  
არსებული წყობილების მტრად.

იმედსა და რნმენას კომუნისტური ბანკეტები უძლიერებდა. აქ ორატო-  
რები რევოლუციის მოახლოებას ლალადებდნენ და ქარიშხლის ამოვარდნას  
ელოდნენ. გარეგნულად ეს ჯერჯერობით გიზოს მთავრობის დამხობის წი-  
ნასნარმეტყველებაში ვლინდებოდა.

უკეთეს მომავალს გზას მდაბიონი და განკიცხულნი უკვლევდნენ და  
არა ისინი, ვინც მდიდრულ ეტლებში ისხდნენ და ბრნყინვალე სასახლეებ-  
ში ცხოვრობდნენ.

ამგვარი აზრები ეუფლებოდა ხოლმე ტაშირელს, როცა იგი სენის სანაპი-  
როებზე დასეირნობდა.

დიდხანს სეირნობდა ნათელი ფიქრით და ოცნებით შთაგონებული.

სწამდა და სჯეროდა მდაბიოთა აღდგომა.

საბრალოთა ალალება.

განკიცხულთა ამაღლება.

გაყვლეფილთა განთავისუფლება.

გზის უკანასკნელი სხივები სენას თეთრ-წითლად ეფინებოდა.

პარიზი იისფერ ბინდბუნდში ეხვეოდა, ტაშირელი — თავის ფიქრებში.

# კარი მეთხუთმეტე

## 1. თავადის სტუმრები

კახურის ღვინით აღვხოლი  
აზარფეშაცა ხელს გვეპყრა,  
მოთალი, თევზი, მნვანილი  
აგვიჭრელებდეს წინ სუფრას.  
გრიგოლ ორბელიანი, „იარალის“

იმავე სალამოს სენ-უერმენის უბნის მდიდრულ ჰოტელში თავად ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილს სტუმრად ეწვივნენ გრიგოლ ზანდაროვი და ვახტანგ ტაშირელი. მათი მოსვლა თავადს მსახურმა ამცნო. გახარებული მასპინძელი სტუმრებს მოსაცდელ ითახში გამოეგება. თანამემამულებს ერთხელ კიდევ გადაეხვია და გადაკოცნა. მერე დიდის ამბით შეიყვანა სტუმრების მისალებ დარბაზში. თავადი ცემუტავდა, იცინოდა, ხუმრობდა, განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და პარიზში ციდან ჩამოვარდნილ თანამემამულებს ალერსით ეუბნებოდა: „თქვენ გახარებას, ერთი კარგი ქართული გამავონეთ, ერთი ჩვენებურად შესძახეთ და მასიამოვნეთ. ჩემი ქნეინა რუსულს ძლივს კადრულობს, არათუ ქართულსა. გულს მუსიო ბრისესთან ვოთხებდი, მაგრამ იმისმა „ჩუენმა“ გული გამინყალა, თავი მომაბეზრა. იმისლაპარაკზე ჯაცს ეგონება გადამლობლ წიგნს კითხულობსო, ვეუო, თქვენ ამ ქალაქში საიდან გაჩინდით?“ — ნარამარა კითხულობდა თავადი.

მათი მოსვლით იგი გულწრფელად იყო გახარებული, მაგრამ თან შეშფოთებულიც ჩანდა, მას ავონდებოდა, რომ ტაშირელი პატარა და უფერული აზნაური იყო, ხოლო ზანდაროვი — ვაჭარი.

თავადი გულს იმით იმშეიდებდა, რომ ამ სალამოს ქნეინა გოსტაშაბიშვილი არ ელოდა რუს თავადებს და ქნეინებს, ევროპელ გრაფებს და მარკიზებს, სამსახურიდან გადამდგარ გენერლებს და ყოფილ მინისტრებს, ელჩებს და გამოჩენილ მოგზაურებს, სახელმოხვეჭილ პოეტებს, მნერლებს, მუსიკოსებს და მხატვრებს. თავადი გოსტაშაბიშვილი ნატრობდა, რათა მის სტუმრებს სასურველი შთაბეჭდილება მოეხდინათ გოროზსა და თავნება ქნეინაზე, რომლის უსიტყვო საყვედურის მას უფრო მეტად ემინოდა, ვიდრე ზოგიერთ მორჩილ ქმარს კაპასი და ჭირვეული ცოლის გაანჩხლებისა.

-- თავადო, ამ ქალაქში ცხოვრება რამ გაფიქრებინათ? -- ჰეითხა ნიაზით ტაშირელმა თავად გოსტაშაბიშვილს.

— ჩემმა ქნეინამ. ეგ ბავშვობაში პეტერბურგსა და პარიჟს იზრდებოდა და თბილისში ვერგასძლო. აქდა ვახლდით, ვეუო, ვერსაგზით ვერდავიყოლიე, ვეხვენები, მაგრამ აქედან ფეხს აღარ იცვლის. ტალახიან თბილისში ცხოვრება არ უნდა. მეკი,

ვერნარმოდგენთ, რანაირად მომენატრაჩვენი მტკუარი, ჩვენი თბილის-ქალაქი. როგორ, უფალო ვახტანგ, თქვენ არც საქართველო გინახავთ და არც თბილის? მაშ, უფალ გრიგოლს ჰქოთხეთ, ეგვეტყვით ჩვენი ქვეყნისა და ქალაქის სილამაზეს. ჲა, უფალო გრიგოლ, რა სჯობია, მტკუარზე, ნის ქველებთან, ტოვზე ქეიფს? ორთაჭალის ბალებში დილით დუდუქის საარის? ლაზათიან დროსტარებაში სათარას სომლურების მოსმენას! ეხლა კინტოების თარიღებს არ იკითხავთ? । შეუა ქეიფზე, კოცხალს სუფრაზე რომ ისვრიან და თან ეშნანად იძახია: „გამოთ, ენიაზებო, გამოთ!“ იფ, იფ, იფ! ვეუო, ამისთანებს კიდევ სად ნახავ?

ზანდაროვსაც სალერლელი აეშალა, თვალებგაბრწყინებული თავადს თავის ქნევით ეთანხმებოდა, მაგრამ სანამ თბილისის ბალებში ქეიფებს გაიხსენებდა, მაიკო კურტანიძე დაუდგა თვალნინ თავისი ჭახჭახა სიცილით. ზანდაროვს თბილისზე უფრო მეტად საყვარლის ნახვა ენატრებოდა.

თავადმა ვაჭრის პირწყლიანი სიცილი მოგონებათა დასტურად მიიღო და ენად გაიკრიფა:

— ორთაჭალიდან სატიომდე ბალს ისე როგორ გავუშვებდი, რომ იქ სუფრა არ გამეშალა! — დაიტრაპახა თავადმა, — სატიოს ბალში ყოფილხართ, უფალო გრიგოლ?

ზანდაროვმა თავიც დაუქნია და ქალაქურადაც ნამოსცდა:

— კყოფილვარ რომელია, იქაურობა სულ აკლებული მქონდა!

თავადი შეკრთა.

ვაჭრის კინტოური ნამოძახილი არ მოეწონა.

კარებისაკენ ფრთხილად გაიხედა და გაინაბა.

ზანდაროვიც უხერხულად შეიძმუშნა და ისევ პარიზული იერი მიიღო.

თავადი ახლა ტაშირელს მიუბრუნდა:

— თქვენც რუსეთუმე ბრძანდებით, უფალო ვახტანგ? მაშ, ჩემი კნეინა გეცნობებათ?

— შეიძლება არ ვიცნობდე, მაგრამ გაგონილი კი მქონდეს, კნეინა ვისი ასული ბრძანდება, თავადო?

— როგორ თუ ვისი, ვეუო?! ჩემი სიმამრი პოლკოვნიკი გახლდათ, თავადი დაეით სავარსამიძე.

## 2. თავადის ასულის თავგადასავალი

კომენდანტის ოჯახში ნათესავივით მიმიღეს.

ა. პუშკინი, „კაპიტანის ქალიშვილი“

ვახტანგ ტაშირელს მამის ნაამბობი მოაგონდა:

ბოროდინოს ველზე მძიმედ დაჭრილ დავით სავარსამიძეს მოსკოვის მახლობლად ერთი რუსი თავადის ოჯახში უვლიდნენ. დაჭრილ მხედარს

თავადის ერთადერთი ასული დასტრიკალებდა, უვლიდა, სარეცლიდან ან შორდებოდა, ჭრილობებს უხვევდა, მის სასთუმალთან ღამეებს უძილოდ ატარებდა, მისი სიცოცხლის გადასარჩენად თავს არ ზოგავდა. თავადის ასულის მოვლა-პატრიონობამ თავისი გაიტანა. დაჭრილმა მოიხედა. მომ ჯობინდა. ფეხზე წამოდგა. ყავარჯვნებით თავადის დიდ ბალში სეირნობა დაინყო. თავადის ასული ყველგან თან დასდევდა. უფრო ხშირად მთავარ შადრევანთან ქვის გრძელ სკამზე სხდებოდნენ, თავზე კი ცელქი აშურების ქანდაკებები დაჰჰურებდათ მომარჯვებული მშვილდ-ისრებით. თავადის ასული ბოროდინოს ბრძოლის გმირს ნიგნს უკითხავდა ან ახალ ლიტერატურულ ნანარმოებზე ესაუბრებოდა. მათი ერთად ყოფნა თანდათან უსიტყვო ტრფიალმი გადაიზარდა, ტრფიალი — მგზნებარე სიყვარულში, სიყვარული კი ქორნინებით დამთავრდა. დავით სავარსამიძეზე დაქორნინებულ თავადის ასულს ერთი ნლის შემდეგ ქალიშვილი შეეძინა, მაგრამ თვითონ მუცელს გადაჰყვა. დადარდიანებული დავით სავარსამიძე მოგზაურობას შეუდგა. გოგონას კი გამდელად ქართველი დედაკაცი მიუჩინა, სავარსამიძეების ოჯახში გამდელადვენამყოფი, რომელიც მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა. დავით სავარსამიძე ევროპის სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდა, ზამთარს კი ყოველთვის პარიზში ატარებდა. მოგზაურობის დროს მას უკვე მოჩიტული ასულიც თან დაჰყავდა და ევროპულად ზრდიდა. მაგდა სავარსამიძემ ბრნინვალედ იცოდა ფრანგული, ინგლისური, იტალიური, გერმანული და ესპანური ენები. ქართულად მხოლოდ მამასა და გამდელს ელაპარაკებოდა. ბევრს კითხულობდა. მამასთან ერთად თეატრებში დაიარებოდა და სცენაზე სახელგანთქმული მსახიობების თამაშს უყურებდა. მუსიკით, პოეზიით და მხატვრობით იყო გატაცებული. საუკეთესო მასნავლებლებთან სწავლობდა მუსიკას და ხატვას. მამაც ყოველნაირად ხელს უწყობდა მისი მიდრეკილებების და ნატიფი გემოვნების განვითარებას. ევროპის ქალაქთა მუზეუმებში დაჰყავდა გამოჩენილი მხატვრების სურათების საჩვენებლად. არ აკლდებოდნენ სახელმოხვეჭილი მუსიკოსების კონცერტებს. ნათესაურ გრძნობაზე უფრო მეტად მამა-შვილს წიგნის, მუსიკის და თეატრის სიყვარული აკავშირებდა. დავით სავარსამიძე საკუთარი პირმშოს მშობელიც იყო და მეგობარიც. თვითონ ცოლს აღარ ირთავდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა მისი ერთადერთი მაგდა ცხოვრებაში ბედნიერი, კმაყოფილი და ნებიერი ქალიყოფილიყო. უფრო გვიან ტაშირელმა მაგდა გოსტაშაბიშვილისაგან გაიგო, რომ დეკაბრისტების დამარცხებამ დავით სავარსამიძე გულჩათხრობილი გახდა. ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა, ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა. ბოლოს ხანგრძლივი მოგზაურობა და ხეტიალი მობეზრდა. ნინარების სამშობლოს ნახვამოსნურდა, საქართველოში იგი სწორედ იმ დროს ჩავიდა, როდესაც რუსეთის ჯარი ახალციხის ასაღებად იერიშს ამზადებდა. ძველ მხედარს გულმა ვეღარ მოუთმინა და ახალციხის აღებაში მონანილეობა მიიღო. იერიშის დასაწყისში იგი თურქებმა მძიმედ დაჭრეს და ჭრილობებისაგან სწორედ იმ დროს

გარდაცვალა, როცა ახალგაზრდა ოფიცერს გრიგოლ ოჩბელიანს გამარჯვების ალამი ახალციხის რაბათზე აჰეთ და მაგდა სავარსამიძე მარტოდმარტო დარჩა. ამიერიდან მისი ერთადერთი მახლობელი ადამიანი მოხუცი გამდეღი იყო. ლაშაზსა და მდიდარ თავადის ასულს ირგვლივ ახალგაზრდა ვაჟები ეხ-ვეოდნენ და შესტრომდნენ. ზოგი მისი სილამაზით იყო მოხიბლული, ზოგიც — სიმდიდრით. მაგრამ რომანტიკული განწყობილების მაგდა სავარსამიძემ თავისი არჩევანით ყველანი განაცვიფრა. ცოლად გაჰყვა ათი ნლით უფროს ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილს, რომლის მთელი ლირსება იმაში მდგომარეობდა, რომ წარმოსადეგი შეხედულების და ვაჟეცური გარევნობის მამაკაცი იყო. ქორწინება უილბლო გამოდგა. ასე განსაჯა წმინდა გერეკის ცხვირზე დარჭობილმა ქინძისთავმა (ფრანგი გასათხოვარი გოგოები იმავე მიზნით ურჭობდნენ წმინდა გერეკის ტიკინას ცხვირზე ქინძისთავებს, რა მიზნითაც თბილისელი გოგოები სუფ-სარქისის ლამეს სათითეს მარილით ავსებდნენ და წუმს ინახავდნენ). ჩვიდმეტი ნლის მაგდა სავარსამიძეს გატაცება სიყვარულად მოეჩვენა, მისი ქმარი სრულიად გაუნათლებელი აღმოჩინდა. ამასთან მოუქნელი და ტლანქი გახლდათ, თუმც, ამავე დროს, უაღრესად გულეეთილი, თვინივრი და მორჩილი იყო. თავრიზის აღებისას სახელგანთქმული ოფიცერი შინ ცოლის წარბის აწევაზე კრთებოდა, მაგრამ ბუნებით ამაყ მაგდას ქმრის მორჩილება უფრო აღიზიანებდა, ვიდრე სოფლის მღვდელთან გაზეპირებული სწავლა და ყრმობისას ეკლესიაში დასწავლილი გალობა. მაგდამ მოინყინა. თვატრი, ეონცერტები და მუზეუმები მოენატრა. კნეინა მზეხათუნის (მანანა გერმანიზიშვილის მამიდის) საოჯახო სპექტაკლებში მონაწილეობა მას არც ართობდა და არც ქმაყოფილებას ჰგვრიდა, მხოლოდ მთავარმართებლის მეჯლისები ავონებდა მას ჰეტერბურგის, პარიზის და ევროპის სხვა ქალაქების მეჯლისებს. მაგრამ 1832 წლის შეთქმულების აღმოჩინის შემდეგ მეჯლისებიც იმუიათად იმართებოდა თბილისში. ყველაზე ცნობილი ახალგაზრდა თავადები საპყრობილები ისხდნენ, ამიტომ „ყაზარმობის“ დროს, როცა საზოგადოება რჩეული პიროვნებების დაპატიმრებით იყო შეძვოთებული, მეჯლისების გამართვა და მეჯლისებზე გამოჩენა ყველას უხერხულად მიაჩინდა. მაგდამ მოინყინა. ბოლოს ველარ მოითმინა და ქმარს გადაჭრით უთხრა, — ან პარიზში საცხოვრებლად გაჰყოლოდა, ან განშორებოდა. ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილს ცოლთან გაყრა არ შეეძლო, რადგან ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა. თავი დალუნა და ცოლს იქ გაჰყვა, სადაც იგი თავს სრულიად უცხოდ გრძნობდა.

პარიზში რუსები და ფრანგები მაგდას კნეინა გოსტაშაბოვას უნოდებდნენ, ხოლო ანდუყაფარს — თავად ანდრეი გოსტაშაბოვს.

ასეთი იყო თავად სავარსამიძის ასულის თავგადასავალი.

ამ თავგადასავალიდან ვახტანგ ტაშირელმა ზოგი რამ მამის წამბობიდან იცოდა, ზოგიც შემდეგ თვითონ მაგდა გოსტაშაბიშვილისაგან შეიტყო.

— თავად დავით სავარსამიძეს მამაჩემი კარგად იცნობდა, თავადო, — უთხრა მან თავად ანდუყაფარს.

თავადს ჭროლა თვალები გაუბრნებინდა. გაუხარდა, აღტაცებულმა ნამოძახა:

- იქნებ ენეინასაც იცნობთ, ყმანვილო?
- არა, თავადო, მხოლოდ მისი ვინაობა ვიცი. არც თავად სავარსამიძეს და არც მის ასულს არსად შევხვედრივარ.

— ეხლავე გაგაცნობთ, ვეუო. სადაც არის ენეინაც გამოჩინდება.

თავადმა ისევ შიშით შეათვალიერა თავისი სტუმრები, განსაკუთრებით ზოგადი ზანდაროვი. ემინოდა, ისინი ურიგოდ არ მოქცეულიყვნენ ან ხეპრული სიტყვა არ წამოსცდენოდათ ენეინას წინაშე, რომელიც თავის სახლში მხოლოდ ლირსეულ სტუმრებს იღებდა.

### 3. პეინა გოსტაშაპიშვილი

მას მრავალი უცნაურობანი სჭირდა, მავრამ კიდევ უფრო მეტად  
თავისი მიმზიდველობით გამოირჩეოდა.  
ა. პუშკინი, „როსლავლევი“

დარბაზში კაბის ყრუ შრიალი გაისმა, კარებში ენეინა გოსტაშაპიშვილი გამოჩინდა.

ზანდაროვი კინალამ წამოხტა, უცებ იმ დიდ დარბაზში ევროპულად ჩაც-  
მული მაიკო კურტანიძე მოელანდა.

თვალები დააჭყიტა, გაშტერდა და გაოგნდა.

ენეინა გოსტაშაპიშვილი საოცრად ჰეგავდა მაიკო კურტანიძეს. ოლონდ  
ალაფის ცოლს მუქი თავთუხისფერი თმა ჰქონდა, ენეინა გოსტაშაპიშვილს —  
ბაცი წაბლისფერი. იმას თავლისფერი თვალები, ამას — ოქროსფერი.  
ტყუპის ცალებს ჰეგავდნენ ისინი.

ორთავე დედოფლური აღნავობით იყო დამშვენებული.

თითქმის შეუმჩნეველ განსხვავებას მხოლოდ მათი პარიზული და თბილი-  
სური ჩაცმულობა აძლიერებდა. ამას გარდა, მაიკოს მუდამ პირი უცინოდა,  
მაგდა კი უკმეხად იყურებოდა.

ენეინა მხოლოდ თავის დაკვრით დაკმაყოფილდა. მინდვრისოდენა დარ-  
ბაზი დედოფლური იერით გაიარა და განმარტოებით მდგარ სავარძელზე  
დედოფლივით დაჯდა.

თავადის სახლში პირველად მოხვედრილი გრიგოლ ზანდაროვი დამფრ-  
თხალი გამოიყურებოდა, არც ვახტანგ ტაშირელი გრძნობდა საუთარ ქერქში  
თავს.

თავადი გოსტაშაპიშვილიც შეცბუნებული იყურებოდა და თვალს ვერც  
სტუმრებს უსწორებდა, ვერც ცოლს.

ენეინა ხმას არ იღებდა, მდუმარედ და მედიდურად იჯდა.

დუმილი გახანგრძლივდა.

— ვეუო, ვერ ნარმოიდგენ, როგორ გამიკვირდა, როცა პარიუში ქართველები აღმოვაჩინე, — სცადა დუმილის დარღვევა თავადმა.

კნეინამ უგუნებოდ ნარმოთქვა:

— საკვირველია, საკვირველი.

— ვეუო, ჩვენი ყმანვილი აზნაურის მამას თავადი დავით სავარსამიძე სცნობია.

კნეინამ ისევ რამდენიმე სიტყვა გაიმეტა.

— შეიძლება, ადვილად შესაძლებელია.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა.

კნეინას მხოლოდ მაშინ გამოეხატა ცნობისმოყვარეობა გულგრილ სახეზე, როცა გრიგოლ ზანდაროვის მოხდენილ გარეგნობას ყურადღება მიაქცია. სწრაფად შეათვალიერა ახალგაზრდა ლამაზი მამაკაცი და თავის-თვის გაიფიქრა: „საკვირველია, როგორ ჰგვანან ქართველები იტალიელებს და ესპანელებს“. შეუმჩნევლად გაუბა საუბარი სტუმარს, რომელსაც მისი ქმარი თბილისელ ვაჭარს უნოდებდა. ამიტომ სიტყვა ვაჭრობაზე ჩამოაგდო. როცა ზანდაროვმა უპასუხა, რომ იგი სამკაულებით ვაჭრობდა, კნეინამ დაუყოვნებლივ გამოთქვა სამკაულების შეძენის სურვილი. ზანდაროვს ცხვირში მოგების სუნი ეცა. ნელში თამამად გასწორდა და კნეინას ის სამკაულები ჩამოუთვალა, რომელთა შოვნა მას პარიზელ ოქრომჭედლებთან შეეძლო.

კნეინა გოსტაშაბიშვილი ცივი და ოდნავ ბოხი ხმით ლაპარაკობდა. ეს აკრთობდა ანაზღად არისტოკრატებში მოხვედრილ ვაჭარს, მაგრამ ნელანდელივით დამფრთხალი აღარ იჯდა სავარძელში. თანდათან თვალს გაბედულად უსწორებდა გოროზი კნეინას ზეიად გამომეტყველებას.

#### 4. მუსაიში

— კარგი, კარგი, მოდით ჩემთან სადილად, — თქვა მან, იმით ერთგვარად შემფოთებულმა, რომ მის სიტყვებში რაღაცნაირმა სიმკაცრემ გაიელვა; ეს ქალი არა მარტო კეთილი იყო, არამედ დიდებულიც. ონორე დე ბალზაკი, „მამა გორიო“

თავადი გოსტაშაბიშვილი და ვახტანგ ტაშირელი ცალკე მუსაითობდნენ.

— ნელან თქვენ უფალი ბროსე ახსენეთ, მოაგონა ვახტანგმა თავადს, — ეს პატივცემული მეცნიერი თქვენს ოჯახში ხომ არ დაიარება, თავადო?

— დადიოდა, — უხალისოდ უპასუხა თავადმა, — დადიოდა, მაგრამ დამემდურა და გამექცა. ეხლა მიზეზს არ იყითხავ, ვეუო? თან დედაჩემის ნაშითევი „ვეფხის-ტყაოსანი“ მქონდა ნამოლებული, მარგალიტებით მოჭედილ ყდაში ჩასმული. მნახველნი დიდს ფასსა სდებდნენ. ბროსე ხელნაწე-

რებს უფრო ძვირად აფასებდა. შარშანნინ, გაზაფხულზე, სან-სებასტიანის სასტუმროში დამრჩა და დავეარგე. მე მარგალიტებს ვნაღვლობდი, ბროსე შაირებს სტიროდა. შემომიჩნდა და სულ იმას ჩამჩიჩინებდა: სან-სებასტიანის ქუჩის ედლებზე ქალალდი გამოაკარი: „მპოვნელმა მარგალიტები თვითონ დაიტოვოს და ხელნაწერი დაგვიბრუნოსო“. ვეუო, ამისთანა სისულელე გაგონილა? მარგალიტები ვინმეს ქისაში ექნება, ბრაზით ვუთხარი, იმ შაირებით კი ბუხარს გააჩალებენ-მეთქი, ამ სიტყვების თქმაზე ბროსეს თეთრი ქალალდისფერი დაედო სახეზე, ბოროტად შემომხედა, უზრდელად ზურგი შემომაქცია და იმ დღიდან ფეხი ამოიკვეთა ჩემი სახლიდან. ვეუო, ფრანგებს ზრდილობა ჩვენ უნდა ვასნავლოთ? — ნამოიძახა საყვედურით თავადმა და რაჯი შეამჩნია, რომ ტაშირელსაც ქალალდისფერი ედო სახეზე, მხრები გაკვირვებით აიჩეჩა:

— ვეუო, განა მარგალიტებზე ძვირი ღირს ის შაირები?!

— თავადო, — ცივი ხმით უპასუხა ტაშირელმა, — „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი კაცისთვის და მეცნიერთა თვის ყოველგვარ მარგალიტზე ძვიროვასია, რადგან თვითონ მისი შაირებია მარგალიტები!

— ვეუო, — გაბრაზდა თავადი, — მე ყდაზე შესხმულ მარგალიტებზე მოგახსენებ, შაირები რა სახსენებელია? „ვეფხისტყაოსანი“ ყველა ქართველის ოჯახშია. თქვენგან არ მიკვირს, აბა ეგ რა დასანანებელია? გილანურ მარგალიტებს კი მოვნა უნდა, ეგ მარგალიტები ჩემი ულუპაპის პაპას დაუსხამს ყდაზე, სპარსეთიდან გამდიდრებული რომ ჩამოსულა.

თავადი დაკარგული მარგალიტების აღნერას და ქებას შეუდგა, ტაშირელი კი გონებაში „ვეფხისტყაოსანის“ დაკარგული ხელნაწერის დათარიღებას ცდილობდა. თავადის უვიცობით აღმფოთებული იყო, მაგრამ ზრდილობა მოითხოვდა მისთვის ბოლომდე მოესმინა. მან, ეტყობოდა, კარგად იცოდა გილანური მარგალიტების ფასი, რუსთველის მეტაფორები კი სალალობო და თავშესაქცევ შაირებად მიაჩნდა. ბოლოს, როგორც იყო, თავადმა მარგალიტებზე ლაპარაკი მოათავა, პარიზში გატარებულ ცხოვრებაზე ჩამოაგდო სიტყვა და მისთვის ჩვეული გულუბრყვილო განცვიფრებით შესძახა:

— ვეუო, ჩემმა ცოლმა ევროპელი გამხადა! ეხლა ჩამციებია, მაგ ულვაშებში ყველის ვაჭარს ჰელნარო, გინდა თუ არა, მოიპარსეო. ქართველებს, მოვეხსენებათ, ულვაშის მოჭრას თავის მოჭრა გვირჩევნია, ვეუო, ნემეცების მღვდლად ხომ არ უნდა დავდგე?!

თავადმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

— რაზედ იცინით, ჩემო ბატონო? — უგულისყუროდ ჰერთხა ცოლმა.

— ჩვენს აზნაურს ჩემი ულვაშების დიდი მტერი გავაცანი.

ქნეინამ ნენარად გაიღიმა და ვახტანგს ფრანგულად მიმართა:

— ჩემმა ქმარმა, ალბათ, თავი მოგაბეზრათ ლაპარაკით? მეცოდებით, რადგან ძალიან დატანჯული სახე გაქვთ.

ტაშირელმა კნეინას ფრანგულადვე უპასუხა:

- არა, კნეინავ, პირიქით, მეტად სასიამოვნო საუბარი გვექონდა.
- შევიძლიათ სიმართლე თქვათ, რადგან ფრანგულ აქ ჩვენს მეტს სხვას კრავს ესმის.

ტაშირელი წამონითლდა. ცოტაოდენი ფრანგული ზანდაროვმაც იცოდა.

კნეინამ ახლა ტაშირელისათვის მოიცალა. ამან ზანდაროვს საშუალება მისცა კნეინა გოსტაშაბიშვილი ისე დაეთვალიერებინა, როგორც ფირუზა ზანდაროვი ლამაზ ქალებს ათვალიერებდა ხოლმე. მისი მუშტრის თვალი კნეინას არ გამოეპარა და ტაშირელთან საუბარი იმაზე მეტხანს გააგრძელა, უიდრე თავდაპირველად აპირებდა. სანამ ზანდაროვი მის წაბლისფერ კულულებს, გაშიშვლებულ მხრებს, შავი ატლასის საღამოს მკაცრ კაბაში გამონაკვთულ თეძოებს და ოდნავ გამოჩენილ ფეხის ნვივებს ქურდულად სინჯავდა და ცალი თვალი ქურდულად ეჭირა მის დეკოლტეზე, კნეინა მფარველისა და მნყალობელის ტონით ლაპარაკობდა პოეზიაზე, მწერლობასა და ხელოვნებაზე. მაგრამ ნაძალადევი, ძლივს შესამჩნევი ღიმილი მას თანდათან გაუქრა ბაგეებიდან, რადგან მალე დარწმუნდა, რომ ტაშირელი ბრნყინვალედ იცნობდა პოეზიასაც, მწერლობასაც და ხელოვნებასაც. ახლა მას გულწრფელად სიამოვნებდა ჭკვიან და განათლებულ ახალგაზრდა მამაკაცთან შეხვედრა.

- ძალიან სასიამოვნოა თქვენისთანა განათლებული ყმანვილის გაცნობა,
- ლმობიერი კილოთი თქვა კნეინამ და რატომლაც ქართულად დასძინა,
- შეიძლება თქვენ თვითონაც ნერთ ლექსებს, უფალო ტაშირელო? ასეთი სევდიანი თვალები მხოლოდ პოეტებს აქვთ.

ამ სიტყვების გამგონე ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილმა ტაში შემოჰკრა და მხიარულად დაიძახა:

— ერთეა! აკი ჩემი მარგალიტები აინუნშიც არ მოუვიდა! უფალი ბროსე პარიუში ქართველს სანთლით დაეძებს და მე მოშაირე ვუპოვნე.

— თავადო, დიდად დამავალებთ, თუ უფალ ბროსეს გაცნობის ღირსს გამხდით.

— ადვილი სამსახური გახლავთ, ყმანვილო, მაგრამ ვგონებ, უფალი ბროსე პარიუში აღარ არის, კარგა ხანია პეტერბურგს გაემგზავრა. ისიც ვიცი, რომ საქართველოში წასვლას აპირებდა ჩვენებური ეკლესიების დასათვალიერებლად და წარწერების გადმოსალებად. დაბრუნდება თუ არა პარიუში, ამას ვერ გეტყვი, გავიგებ და შეგატყობინებ, ვეუო, რომ იცოდე, რარიგად გაუხარდება ქართველი მოშაირის პარიუში წახვა!

ტაშირელმა თავადს მაღლობა გადაუხადა, გამოსამშვიდობებლად მოემზადა, ფეხზე წამოდგა და ცოლ-ქმარს მდაბლად დაუკრა თავი.

ევროპული ეტიკეტის უცოდინარ ზანდაროვს არ მოენონა ხანმოკლე სტუმრობა, მაგრამ გარემოება მოითხოვდა, ისიც წამომდგარიყო სავარძლიდან და გოსტაშაბიშვილებს გამომშვიდობებოდა.

გამოთხოვებისას კნეინამ ზანდაროვს ხელი გაუწოდა და უთხრა:

— არ დაიკინყოთ, უფალო ზანდაროვო! — მრავალმნიშვნელოვნად შეხედა  
და განავრძო, — სამკაულები მოგვიტანეთ და გვიჩვენეთ.

აღტაცებულმა ზანდაროვმა კნეინას ისე დაუკრა თავი, როგორც წელა  
ვახტანგ ტაშირელმა.

კნეინა ტაშირელს მიუბრუნდა, ფრანგულად უთხრა:

— ოთხშაბათობით, ბატონო ტაშირელო, ჩემს სალონში საინტერესო აფა  
მიანები იყრისან თავს, გთხოვთ მობრძანდეთ.

ტაშირელმა კნეინას ისევ თავი დაუკრა.

ზანდაროვმა შუბლი შესჭმუხნა. ფრანგულად ნათქვამი ფრაზის გაგება  
მისთვის ძნელი არ იყო. თავადის სახლში ვაჭარ ზანდაროვს სამკაულების  
საჩვენებლად ინვევდნენ, აზნაურ ტაშირელს კი — ჰპატიუებდნენ. გუნება  
გაუფუჭდა და უხალისოდ უსმენდა თავად გოსტაშაბიშვილს, რომელიც  
თავაზიანი გაცილების დროს თავის სტუმრებს ფრთხილი ჩურჩულით  
ეუბნებოდა:

— ლათინურ უბანში ერთ ჩვენსავით გადმოკარგულ ბერძენს აზიური  
რესტორანი აქვს გამართული. ხვალ ნაშუადლევს იქ მოდით და გულის ბუ-  
ხარი ავანთოთ. მოხვალთ, ჰა? მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ვინძლო ხშირად  
გვინახულოთ ხოლმე.

თავადი უკან გაბრუნდა. სტუმრებს ახლა ორი მსახური მიაცილებდა. ისინი  
ნელ-ნელა ჩამოდიოდნენ მარმარილოს მძიმე კიბეზე, რომლის შუაგულშიც  
შვინდისფერი ნოხი იყო გაშლილი. უცებ ზანდაროვმა კედლის დიდ სარეჟი  
თავის თავს მოჰკრა თვალი. საკუთარი ორეული ნიაზით შეათვალიერა და  
თავი ამაყად ასწია. სარეჟი კმაყოფილებით გაულიმა ტანადსა და ლამაზ  
ახალგაზრდა მამაკაცს, რომელსაც მოხდენილად ეცვა შავი ფრაკი და თეთრი  
ქათქათა ჰერანგი, მაგრამ მყისვე აემლვრა გუნება. მოაგონდა, რომ სარეჟი  
ვაჭარს უყურებდა, რომელიც თავისი მდგომარეობით უფრო დაბლა იდგა,  
ვიდრე მის გვერდით მიმავალი ლარიბი აზნაური.

მაშასადამე, ფულის ბედნიერი მფლობელიარ შეიძლება მიეჩინათ თავადის  
ან აზნაურის თანასწორად. ამისათვის არც მძიმე ქისა იყო საკმარისი, არც მოხ-  
დენილი გარეგნობა, არც არისტოკრატივით ხელგაშლილი ცხოვრება. აზნაურ  
ტაშირელს, მოუხედავად მისი მდაბიური გარეგნობისა (კნეინა გოსტაშაბიშვი-  
ლი შემდეგ მას მასწავლებელსაც და გაზეთის რედაქტორსაც ამსგავსებდა),  
მასზე მაღლა აყენებდნენ იმის გამო, რომ ის აზნაური იყო.

კიდევ მეტი, სამკაულების ჩვენება უბრალო საბაბი უნდა ყოფილიყო იმი-  
სათვის, რათა არისტოკრატ ქალს მასთან სერიოზული ურთიერთობა დაემ-  
ყარებინა. მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ იგი კნეინას საყვარელი გახდებოდა,  
მას მაინც არ გაულებდნენ არისტოკრატიული სალონის კარს.

ერთი სიტყვით, მისთვის კნეინა გოსტაშაბიშვილის სარეცელთან მიღწევა  
უფრო ადვილი ჩანდა, ვიდრე მის სალონში გამოჩენა.

## 5. განვითარება

გან ერთხელ კიდევ სცადა მისი მკლავებიდან განთავისუფლება, მაგრამ  
ეს უკანასენელი გაბრძოლება აღმოჩნდა!  
პროსპერ მერიმე, „ორმავი შეცდომა“

გრიგოლ ზანდაროვი გამარჯვებულად არ გრძნობდა თავს. დაფიქრებული  
იქნა სარეცლის კიდეზე და შუბლშეკრული უყურებდა კნეინა მაგდა გოსტაშა-  
ბიძეილს. კნეინა აუჩქარებლად იცვამდა ტანსაცმელს და ქირავებული ოთახის  
პატარა მრგვალ სარეკესთან. ზანდაროვი აღარ ახსოვდა და მას არავითარ  
ყურადღებას არ აქცევდა.

არც ეს დარჩენია შეუმჩნეველი თავმომწონე გრიგოლს.

მისი კნეინასთან წელანდელი მტლაშა-მტლუში სხვებთან მტლაშა-მტლუ-  
შისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ დღევანდელი ალერსი საჩუქრებით არ  
იყო ნაყიდი, მაგრამ არც სიყვარულით იყო გამოწვეული. ამპარტავანი კნეინა  
დროის რომელილაც შუალედში დედაკაცად გადაიქცა, რათა თავისი ვნება-  
თალელვა და ეკმაყოფილებინა. ეს იყო და ეს.

მსგავსი რამ თბილისშიც ხდებოდა. გრიგოლს აგონდებოდა, რომ ძალ-  
ლისუბნელი ზაქარა მის ნაცნობ მერიამ-ბეგუმს ერთ ავხორც კნეინასთან  
დაჰყავდა. ამის გახსენებამ თავმოყვარე ზანდაროვს კიდევ უფრო დაუბნელა  
სახე და კიდევ უფრო გაუქარწყლა გამარჯვების სიხარული.

როცა კნეინა გოსტაშაბიშვილმა ჩაკრის მოათავა და ხელთათმანის ღილებს-  
ლა იბნევდა, მან კრთხნამით შეხედა ზანდაროვს და ულიმლამოდ გადმოუგდო:

— გეთაყვა, ერთი გამიგე, ქუჩის კუთხეში ეტლი ხომ არა დგას. სახლიდან  
მარტო გავალ.

ისინი ფიაკრის ქუჩის ოთხსართულიანი სახლის ბოლო სართულზე იმყო-  
ფებოდნენ.

ზანდაროვი ზლაზვნით წამოდგა. კნეინას მისი მოღუშული სახე ეუცხოვა,  
ხელთათმანის უკანასენელი ღილი შეიბნია და ნიაზით ჰქითხა:

— რათა გაქვს ეგეთი სახე?

ზანდაროვი სწრაფად შემოტრიალდა მისკენ, ნელი ნაბიჯით მიუახლოვ-  
და, თვალი თვალში გაუყარა და აღარ მოაშორა. ისინი დიდხანს უსიტყველდ  
უცქეროდნენ ერთმანეთს. კნეინას ბაგეზე ღიმილი გაუქრა. უნებლიერ უკან  
დაიხსია და შეშტოთებით იკითხა:

— მაგნაირის თვალებით რათ მიცექრი?

გრიგოლი უფრო ახლოს მივიდა მასთან, თვალი გაუსწორა და შესძახა:

— მიყვარხარ, მაგდა!

— ყოჩალ! — წამოიძახა კნეინამ ირონიული სიცილით, მაგრამ მყისვე  
ისეთი მედიდური იერი მიიღო, რომ ზანდაროვს გაშლილი ხელები უკანეე  
ჩამოსკვეივდა და ადგილიდან ვეღარ დაიძრა. კნეინა ფანჯარასთან მივიდა,  
ფარდა ოდნავ გადასწია, ქუჩის ბოლოში მოსახვევს გახედა.

— აქედან არაფერი ჩანს, — თქვა მან, — უფალო ზანდაროვო, ჩაირბინე  
ქვევით და გამიგე, მოვიდა, თუ არა ეტლი.

ზანდაროვმა სიტყვა უხეშად მოუჭრა:

— მე თქვენი მსახური არა ვარ, კნეინავ!

კნეინა მისკენ გაკვირვებით მოტრიალდა:

— ეს რას ნიშნავს?

— მე თქვენი მსახური არა ვარ-მეთქი, კნეინავ!

მტკიცედ გაუმეორა ზანდაროვმა და თვალი აღარ მოაშორა.

— არ მესმის შენი ქარაგმები.

— ძნელი მისახვედრი არ გახლავთ.

— რა გინდა?

— სიყვარული!

კნეინა გოსტაშაბიშვილმა ისევ დამცინავად გაიცინა.

— თავი იმიტომ გაგიყადრე, რომ მომენონე. მეტი რაღა გინდა, ჩემო ლა-  
მაზო სოვდავარო?

სოვდავრის აგდებულად ხსენებამ ზანდაროვს კიდევ უფრო დაუბნელა  
პირისახე. საშინლად შეურაცხყოფილს უნდოდა უმვერი სიტყვა ეთქვა, რაღაც  
ისეთი, როგორსაც კინტოები მეძავ ქალებს ეუბნებოდნენ, მაგრამ დროზე  
შეიკავა თავი. პირიქით, მისხმას მეტი სითბო და მღელვარება დაეტყო, კნეინას  
სიყვარულით შეხედა და თითქმის ხვეწნით უთხრა:

— მინდა ისეთნაირად გიყვარდე, როგორც მე მიყვარხარ, მაგდა!

კნეინას სიცილი ნასკდა, მერე შეყვარებული ვაჭარი ერთი წამით ცნობის-  
მოყვარეობით შეათვალიერა და კარებისაკენ გატრიალდა. ზანდაროვი სხარ-  
ტი ნახტომით გაჩნდა მასთან და მელავებში მოიმზყვდია. ამ მოულოდნელმა  
თავდასხმამ კნეინა ისე დააბნია, რომ ერთხანს ვერაფერი ანამა. ზანდაროვი  
მას თავის მელავებში იმწყვდევდა, გონზე მოსვლის საშუალებას არ აძლევდა  
და წელში ზნექდა. ბოლოს უხეშად ნააქცია იმ სარეცელზე, საიდანაც წელან  
დაღლილნიადგნენ. კნეინა გოსტაშაბიშვილმა ახლა კი გაიბრძოლა. გაკაპასდა,  
გაალმასდა და რაეკი ვეღარაფერი მოახერხა, მოძალადეს მაჯაში კბილებით  
დასწვდადა და გამეტებით უკბინა. ტკივილმა ზანდაროვს სახე დაუგრიხა, მაგრამ  
გაცეცხლებული ქალი ხელიდან მაინც არ გაუშვა. მარწუხებივით შემოაჭრო  
მელავები, მის ტუჩებს ენაფებოდა და ცხარე ჩურჩულით ეუბნებოდა: „მიყ-  
ვარხარ... მიყვარხარ...“ ქალი ამაოდ ცდილობდა მისი ღონიერი მელავებიდან  
თავის დალწევას. გააფთრებული და გააძრებული იბრძოდა, სიბრაზით ტუჩებს  
იკვნეტდა, მძიმედ სუნთქავდა, იხრჩობოდა და გამნარებული იძახდა: „შენ  
გინდა მედუქნის ხასა გავხდე? არასდროს არ ვიზამ ამას. ბილნო... საზიზლა-  
რო... თავხედო...“ ზანდაროვი მას ხმას აღარ სცემდა. გაშმაგებით უკოცნიდა  
თვალებს, ყურებს, კისერს, მექრდს, სამკაულებს. კნეინა გოსტაშაბიშვილის  
ოქროსფერი თვალები ახლა რისხვით იყო გამნვანებული და გაბოროტებუ-  
ლი. დამცირებული და დამდაბლებული კბილთაღრჭენით იბრძოდა, მაგრამ  
მისი წინააღმდეგობა თანდათან სუსტდებოდა. ზანდაროვი უკვე გრძნობდა

გამარჯვების მოახლოებას და უზომო სიხარულსა და სიამოვნებას ჰქონიდა  
თავებედური ძალადობის გამოყენება ამ არაჩეცულებრივად ამაყი და მედიდუ-  
რი კნეინას მიმართ. იგი თითქოს პირველად იმორჩილებდა ქალს, რომელიც  
ცოტა ხნის წინ პირველად გაშიშვლდა მასთან.

როცა ამღვრეული კნეინა გოსტაშაბიშვილი პატარა მრგვალ სარკესთან  
ანენილ თმას ისწორებდა, გრიგოლ ზანდაროვი მას გამარჯვებული იერით  
მოუახლოვდა და ყელზე მაინის-ფრანკურტში ნაყიდი მანიაკი გაუკეთა.

— ეს რას ნიშნავს? — ნამოიძახა კნეინამ და სახეზე აღმურმა გადაჰქონა.  
გრიგოლმა არაფერი უთხრა.

ისინი ცივად გაშორდნენ ერთმანეთს.

## 6. პარიზის ოპერა

**სალამოზედ თეატრში ვიყავით დიდ ოპერაში.  
გიორგი ერისთავი, „ჩემი მოვ ზაურობა ევროპაში“**

პარიზის დიდი ოპერის ლოუაში სამინი ისხდნენ: კნეინა მაგდა გოსტაშაბიშ-  
ვილი, ქმარი მისი თავადი ანდუყაფარი და გრიგოლ ზანდაროვი.

იმსალამოს ზანდაროვი პირველად არ უყურებდა „სევილიელ დალაქს“. ოპერა  
მას უკვე გერმანიის ქალაქებში პერნდა ნანაზი ტაშირელის ნაცოლობით. მუსიკის  
არაფერი გაეგებოდა. არც არიების სინატითვე ესმოდა, არც მომლერლების ჯა-  
დოსნური ხმების სიკისკასე. მაგრამ ყოველთვის მღელვარებით მიისწრაფოდა  
ოპერაში. მისთვის აქ მთავარი იყო არა სცენა, არამედ პარტერი და ლოუები.

ოპერას თავისი მიმზიდველობა პერნდა. სწორედ აქ იყრიდა თავს მაღალი  
წრის საზოგადოება.

თბილელ სოვდაგარსაც გადიდეკაცების სურვილი ისევე უვითარდებოდა,  
როგორც ყველა დროში და ყველა ქვეყანაში გააზნაურებულ მდაბიოს.

ადვილად მიმბაძველს დიდეკაცების ყურება უყვარდა, ლოუებში გამოფენი-  
ლილამაზი ქალების და პარტერში თვალმოქრული ელეგანტური მამაკაცების  
შეუმჩნევლად თვალიერება.

ახლა კნეინას მხარმარცხნივ, ლოუის ბარიერიდან ერთი წყრთის დაშორე-  
ბით ბატონეკაცურად იჯდა და უსაზღვროდ ბედნიერი იყო, რადგან პირველად  
უხდებოდა კნეინასთან და თავადთან ერთად ოპერის ლოუაში ყოფნა.

საოცარი ის იყო, რომ ვაჭარი გრიგოლ ზანდაროვი უფრო მეტად ჰქონდა  
არისტოკრატის, ვიდრე თავადი ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილი.

სალუქიდა გაკრიალებული ვაჭარი თავისუფლად, შეუზღუდველად ირკე-  
ბოდა, თავადი კი ოპერის ლოუაში ლურსმანზე დარჭობილივით იჯდა. სქელი  
კისერი თეთრ, მაღალ და გულმოდგინედ გახამებულ საყელოში გაშეშებოდა,  
მუხლის თავები ლოუის კედლისათვის მაგრად მიებჯინა, ხოლო იდაყვები  
ლოუის ბარიერის წითელ ხავერდზე მინებებულივით დაეყრდნო. დიდ თავსაც

მძიმედ და ზანტიად აბრუნებდა ყალყზე შემდგარ საყელოში. მისი ვრძელი ულვაშები ისევე უძრავად იყვნენ ჩამოკიდებული განიერი ნიკაპის აქეთ-იქით, როგორც თვითონ იჯდა უძრავად. სწორედ ეს ულვაშები ანიჭებდა მისი მინდო, როგორ გადაშლილი სახის მსხვილ ნაკვთებს მდაბიო გამომეტყველებას. კნეინ გოსტაშაბიშვილის ფრანგი მეგობრების მოსწორებული შენიშვნით, იგი ოპერის ლოუაში მეგდებულ ბრეტონელ გლეხს უფრო ჰგავდა, ვიდრე თავადს. მხოლოდ მაღალ შუბლზე ორბის ფრთასავით გადაჩრდილული ნარბები, მეტყველი შევითვალები და კეხიანი ცხვირი მონმობდნენ მის თავადურ ნარმოშობას. ახალ გაზრდობაში მის საერთო გარეგნობას არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცას, მაგრამ ახლა ეს ვეებერთელა, ორმოც ნელს გადაცილებული, ნაადრევად და ბერებული მამაკაცი დაძეელებული თივის ზეინივით ჩამოვალი ჩანდა.

თავად გოსტაშაბიშვილს თეატრი არ უყვარდა. მალე ბეზრდებოდა. მოქ- ნარება და ძილი ერეოდა.

კნეინა გოსტაშაბიშვილი უნებლიერ ერთმანეთს ადარებდა ქმარსა და საყ- ვარელს. თავადსა და ვაჭარს. ორივენი აღმოსავლეთის იმ პატარა ქალაქიდან იყვნენ პარიზში ჩამოსული, სადაც ორიოდე ხიდი იყო მდინარეზე გადებული და სადაც ერთი თუ ორი ეტლი ჩანდა მტკრიანსა და ტალახიან ქუჩებში. პირველი მთელი თავისი არსებით იმ ქალაქთან იყო დაკავშირებული, იმ ქალაქისენ მიიღო ურებული იყო და აქ უკვე აღარაფერი ეჩოთიჩებოდა და ეხამუშებოდა. თავისი მიხრა-მოხრით, საქციელით და გემოვნებით გრიგოლ ზანდაროვი პირნავარდნილი ევროპელი იყო, თავადი ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილი კი ისევ აზიელად რჩებოდა. და თუმცა მასაც ევროპულად ეცვა, მაგრამ დღემდე ვერ შესჩვეოდა ვერც თავის თეთრ, მაღალ და გახამებულ საყელოს, ვერც სერთუეს, ვერც რედინვოტს, ვერც ფრაკს, ვერც ქალების ხელებზე ამბორს, ვერც აქაურ საჭმელებს დადანა-ჩანგალს. მოუხედავად ამისა, იგი ამ ელეგან- ტურ ვაჭარზე მაღლა იდგა, რადგან გრიგოლ ზანდაროვს არისტოკრატიულ სუფრაზე დაჯდომის ნებას არა რთავდნენ, თავად გოსტაშაბიშვილს კი ამის უფლება ნარმოშობით ჰქონდა მოპოვებული.

## 7. ფიქრთა აკიდო

ბომარშეს დროს ფიგარო კანონს გარეთ იდგა, ჩვენს დროში  
ფიგარო კანონმდებელია.  
ა. ვერცენი, „ნერილები საფრანგეთიდან და იტალიიდან”

მაგდა გოსტაშაბიშვილი ბოლო ხანებში ბევრს ფიქრობდა გრიგოლ ზან- დაროვზე. როგორც დედაკაცი, იგი მას ეკუთვნოდა, მაგრამ როგორც კნეინა, ძალზე შორს იდგა მისგან. მას სჯეროდა, რომ ეს ახალგაზრდა და ლამაზი

გამაკაცი არც უყვარდა და არც პატივს სცემდა მას. სიყვარული საერთოდ მისთვის უცხო ხილი იყო, ჯერ ისევ განუცდელი გრძნობა. მან იკოდა, რომ სა- ყვარლებს მონუენილობის გამო იჩენდა, სიყვარულით ეი არავინ არ უყვარდა. არც ერთი საყვარელი მას ისეთ სიამოვნებას არ ანიჭებდა, როგორსაც მარ- ტოდმყოფს ეარგი ნიგნი, ეარგი სურათი და კარგი მუსიკა. ამიტომ საყვარელი მეტად იძვიათად ჩინდებოდა ხოლმე მის ცხოვრებაში და ჩვეულებრივ ყოველ ახალ საყვარელს რამდენიმე შეხვედრის შემდეგ შორდებოდა ყოველგვარი სინანულისა და სინდისის ქენჯნის გარეშე. ამის გამო მას გულცივ დედაკაცად თვლიდნენ. მაგრამ ყველაზე კარგად თვითონ იცოდა, რომ წამიერად მხოლოდ რაღაცით განსხვავებულ მამაკაცს შეეძლო მოეხიბლა იგი. ამიტომ უდრტვინ- ველად ნებდებოდა საინტერესო მწერალს, მხატვარს ან მუსიკოსს, მაგრამ თვით ასეთ მამაკაცთან დაახლოების შემდეგ დაუყოვნებლივ ეძებდა განძო- რების საბაბს. სამაგიეროდ, გრიგოლ ზანდაროვთან განმორებას აყოვნებდა.

სავსებით გულწრფელი განცვილებით იმასაც ამჩნევდა, თუ როგორ ლელავდა და ბრაზდებოდა, როცა მისი საყვარელი პაემაზე მოსვლას აგვია- ნებდა ან რამდენიმე დღით სადღაც იკარგებოდა. ამ დროს იგი მოუთმენლად, მღელვარებით მოელოდა მის გამოჩენას, მისი ფეხის ხმის გაგონებას, კარზე ამაღლვებელ კაჟუნს. იმედის გაცრუების შემთხვევაში შინ ბრაზნაკიდე- ბული ბრუნდებოდა და თავისი საქციელით საშინლად გაოცებული თავს ხასიათის სისუსტეს უსაყვედურებდა. რამდენჯერმე მტკიცედ გადაწყვიტა, აღარ მისულიყო სენ-მარსოს გარეუბნის იმ სახლში, სადაც ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, მაგრამ მაინც ისევ იქ გარბოდა, სადაც მას ზანდაროვი უნდა დახვედროდა ან თვითონ მოეცადა მისთვის. კნეინას აზიელის უზრდელობად მიაჩნდა ის, რომ მამაკაცი ქალს ალოდინებდა, ამიტომ ეს მის ღირსებასა და თავმოყვარეობას იმდენად არ ლახავდა, როგორადც საყვარელში შემჩ- ნეული თავხედური გამარჯვების შეგნება, რომელსაც გრიგოლ ზანდაროვი თითქოს არ აჩენდა, მაგრამ გადაკრულად ნათქვამი სიტყვით ანდა ტუჩზე ერთი წამით ათამაშებული ღიმილით მაინც რაღაცნაირად ამუღლავნებდა. ეს ამპარტავან კნეინას დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებდა. მოუხედავად ამისა, გრიგოლ ზანდაროვთან განმორება მაინც უძნელდებოდა. გაკვირვე- ბული თავისი გულის სილრმეში იმის გარკვევას ცდილობდა, თუ რითი იზი- დავდა, რითი უმორჩილებდა თავის ნებას ახალგაზრდა ვაჭარი გულმაღალ, უაღრესად თავნება და მორჩილებას მოუჩვეველ არისტოკრატ ქალს. მისი ღრმა რნმენით, ეს არც თავბრუდახვეული გატაცება იყო, მით უმეტეს, არც ამაღლვებელი და თავდავინყებული სიყვარული. მაშ, რაღა აკავშირებდა მას ზანდაროვთან? როცა კნეინა გოსტაშაბიშვილი ამას საკუთარ თავს ეკითხებოდა, სერიოზულად შემფოთებული, შიშით ფიქრობდა, რომ მასში უხილავად მთვლემარე ავხორცი და გარყვნილი დედაკაცის ინსტინქტი იღ- ვიძებდა, მთელი თავისი ძალით ეუფლებოდა და ყოველთვის თავდაჭერილს და დამოუკიდებელს ვნებათაღელვის უბრალო სათამაშოდ ხდიდა. კნეინა

ჩქარობდა ხელი აექნია ამ შემზარული, დამამცირებელი და შეურაცხმულელი ფიქრისათვის და გაუკაციცებით ეძებდა ზანდაროვთან ურთიერთობის უფრო კეთილშობილურ მიზეზს, რათა საკუთარ თავთან, მიღრეკილებებთან და შეხედულებებთან ბრძოლით აფორიაქებული როგორმე დაწყნარებულიყო და დამშვიდებულიყო.

რა მოსწონდა მას ზანდაროვში? მისი ახოვანი აღნაგობა, თუ თავისებური და ვაუკაცური სილამაზე? რითი აღელვებდა ეს თავდაჯერებული და თავხედი მამაკაცი ქალს, რომელსაც აქამდე საერთოდ არც ერთი მამაკაცი არ აღელვებდა? კნეინას ეჩვენებოდა, რომ იგი ლამაზი, ღონიერი და თამამი მამაკაცით იყო მოხიბლული, რადგან მისთვის სრულიად მოულოდნელად, მისი უხეში და ტლანქი ძალით აღმოჩნდა დამორჩილებული. ხანაც იმას ფიქრობდა, რომ ახალგაზრდა მდაბიოს, ისეთსავე თავხედს და მარჯვეს, როგორც აგერი იმ ფიგაროს დიდ სცენაზე, მის მონოტონურ, თითქმის მეღანქოლოურ ცხოვრებაში რაღაც ახალი რამ შემოჰქონდა, დღემდე განუცდელი და ამდენადვე ამაღლვებელი. არისტოკრატი ქალის მყუდრო და მოწყენილ ცხოვრებაში მოულოდნელად შემოჭრილი ახალგაზრდა თბილისელი ვაჭარი ამკარად განსხვავდებოდა არისტოკრატიული სალონების გულზეიადი, მაგრამ დონდლო და პრანჭია მამაკაცებისაგან. ზანდაროვს იგი ყალბი არისტოკრატიული პირობითობის მომაპეზრებელი ერთფეროვნებიდან გამოშუავდა, რაღაც ნაირად, თავისდაუნებურად უკავშირებდა მოულოდნელობით აღსავსე ცხოვრებას და სიცოცხლის დაუოკებელ ნიურვილს უღვიძებდა. მარტო იმისთვის, რასაც ახლა კნეინა განიცდიდა, იმათ ლირდა, რომ იგი მისი საყვარელი გამხდარიყო.

„ჩვენ მხოლოდ იმით ვუქმნით დაბრკოლებას ზანდაროვს, — მიჰყვებოდა ფიქრს კნეინა გოსტაშაბიშვილი, — რომ მაღლა არ ვუშვებთ, ჩვენს წრეში არ ვიღებთ, ზემოდან ქედმაღლურად დავუურებთ. მაგრამ ის თვითონ ავა მაღლა და მას ვერავინ შეუშლის ხელს, ისევე როგორც ვერავინ ვერ შეუშალა ხელი აგერ იმ დიდ სცენაზე გალალებულ ფიგაროს მემკვიდრეებს, მაღლა ასულიყვნენ. იმ ცულლუტი, ჭკვიანი, ენანყლიანი, მატყუარა და თავხედი მსახურის მემკვიდრეთა ტიტულები ან ნაპოლეონის ომებში იყო ნაშოვნი, ანდა უბრალოდ ოქროთი ნაყიდი. ახლა ისინი არისტოკრატების გვერდით ისხდნენ ოპერის ლოუებში. მაგრამ გრიგოლ ზანდაროვიც ხომ პარიზის დიდი ოპერის ლოუაში ზის?”

ამის გახსენებამ ახალი მიმართულება მისცა კნეინა გოსტაშაბიშვილის ფიქრებს. მხოლოდ ახლა მიხვდა იგი, რომ მას რცხვენოდა მდაბიოსთან ერთად ოპერის ლოუაში ყოფნა, თუმცა დილით თვითონ მან შესთავაზა ზანდაროვს ოპერაში ნასვლა. როგორ მოუვიდა? ან რატომ აჩქარდა? დილით, როცა იგი დაქირავებული ოთახის პატარა მრგვალ სარკესთან თმებს ისნორებდა, სულ სხვა განწყობილება ჰქონდა, და, როგორც ჩანს, ამ განწყობილებამ ათქმევინა ის, რასაც ახლა მნარედ ნანობდა.

რას ფიქტობდა იმ დროს თავად დავით სავარსაშიძის ასული და თავად ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილის მეუღლე? რატომ ერთბაშად ვერ მოისაზრა, ვისთან ერთად მიდიოდა პარიზის დიდ ოპერაში? კნეინას მოაგონდა როგორ დაჭყიტა თვალები მისმა ქმარმა, როცა მას ზანდაროვის ოპერაში დაპატი-უების ამბავი გადასცა. თავადი მას ამის გამო ვერაფერს ეტყოდა, რადგან მის სურვილებს არასდროს წინააღმდეგობას არ უნევდა. მამასადამე, კნეინას სამართლიანად სძულდა სუსტი ხასიათის, თვინიერი და უნებისყოფო ქმარი.

კნეინა გოსტაშაბიშვილითავს ახლა უხერხულად გრძნობდა. აღელვებული იყო. მისი ფიქრების შეუჩერებელი ნაკადი სწორედ ამით იყო აწენილ-დაწენი-ლი და დაულაგებელი, მისი შინაგანი მონოლოგის აზრები ვერ ეგუებოდნენ, ვერ ურიგდებოდნენ თვითონ ფაქტს: ლამაზი და მდიდარი, მაგრამ მაინც ვაჭრის გვერდით ოპერის ლოუაში ყოფნას. მართალია, კნეინა ბურუუაზიული მეფის ბურუუაზოულ ქვეყანაში ცხოვრიბდა, მაგრამ არისტოკრატიული ქედ-მაღლობა ნებას არ აძლევდა, აულელვებლად აეტანა ის, რასაც იგი შინაგანად ამართლებდა და რასაც თვითონ ცხოვრება მტკიცე საფუძველს უქმნიდა ოქროს ბატონის ღირსებით არისტოკრატთან გათანასწორებას.

თუმც ეს უკვე ივლისის რევოლუციამ მოახდინა, მაგრამ ვინ იტყოდა, რომ საფრანგეთში რევოლუცია დამთავრებული იყო? ოქროს ბატონი მიღწეულის განაღდებას მოითხოვდა, მისი უფლება ნაპოლეონის კოდექსს ეყრდნობოდა, არისტოკრატები კი ისევ ძველისძველი ფეოდალური რეგლამენტით ცხო-ვრიბდნენ. ირონია ბლაგვი და სასაცილო იარაღი იყო იმათ ხელში, ვისაც ძალაუფლება და კარგული ჰქონდა და ძველი უფლებები სულ უფრო და უფრო ხელიდან ეცლებოდათ.

ტყუილად არ ლაპარაკობდნენ პარიზის ქუჩებსა და მოედნებზე ახალ რევოლუციაზე, რომელსაც ერთხელ კიდევ უნდა აღედგინა რესპუბლიკური ნებილება.

ამ აზრმა კნეინა ოდნავ დააწყნარა.

გამოიდარა.

იგი ნიაზით დააცექრდა ზანდაროვის ლამაზ პროფილს და თავის თავს ერთხელ კიდევ გამოუტყდა, რომ ასეთი გასაოცარი სილამაზის მამაკაცი არასდროს არ ენახა არც იტალიაში, არც ესპანეთში. კნეინაშ სიამოვნებით გაიღიმა, მაგრამ კმაყოფილების ღიმილი ისევ სწრაფად გაუქრა ბაგედან.

მას უეცრად მოაგონდა, რომ ყელზე ზანდაროვის ნაჩუქარი მანიაკი ეკეთა, შერცხვა, ანრიალდა და ხელახლად აფორიაქდა. შინ კი ტუალეტის მაგიდას-თან, სარკეში დიდხანს უყურებდა ამ ძვირფას სამკაულს, დიდხანს, დიდხანს ტრისალებდა მრავალტოტა შანდლებით განათებულ სარკესთან, რათა იმავე საღამოს ოპერის ლოუაში უფრო ლამაზი გამოჩენილიყო, ვიდრე ჩვეულებრივ იყო, მაშასადამე, იგი ზანდაროვისთვის ლამაზდებოდა და ირთვებოდა. ამის უარყოფა მას არ შეეძლო. ამიტომ თვითონაც არ ესმოდა, რა ემართებოდა ან რატომ ცვლიდა მისი ფიქრების დინებაში ასე სწრაფად სურვილს სინანული,

ხოლო სინაზულს სურვილი. უცვარდა გრიგოლ ზანდაროვი? არა, არა. უსაზრებო მას თავზეა სკემდა. კნეინას ეშინოდა, როცა მაყურებელთა დარჩაზი განათდებოდა, სწორედ ამ მანია კი აღმოაჩენდნენ მასში ვაჭრის საყვარელს, თუმცა ის, რაც მან იცოდა, არ შეიძლება სხვებსაც სცოდნოდათ.

კნეინას ხელში მარაო გაუჩირდა. დაღონდა.

ზანდაროვის ლამაზმა პროფილში თავისი მიმზიდველობა დაკარგა.

მხარმარჯვნივ თავადი ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილი ცალი თვალით თვლებდა.

მხარმარცხნივ, გრიგოლ ზანდაროვი, ეტყობოდა, აღფრთოვანებით უყურებდა როზინას.

კნეინა გალურსული იჯდა, ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ. მხოლოდ გარეგნულად იყო მშეიდიდა აუღელებელი. შინაგანად აფორიაქებულს ქმარი ეჯავრებოდა, საყვარელი კი არ ეპიტნავებოდა.

ყველაზე უფრო მეტად მაინც საკუთარი თავი სძავდა კნეინა მაგდა გოს. ტაშაბიშვილს.

მას ერჩივნა ისევ თავის ნაძალადევად თავაზიან საყვარლებს დაბრუნებოდა, ვიდრე ოპერის თეატრის ლოფაში თავხედი ვაჭრის გვერდით მჯდარიყო.

განშორება აუცილებელი იყო. კნეინა უკანას კნელად ხვდებოდა თავისი უცნაური ტრფიალის კიდევ უფრო უცნაურ დონ უუანს. ამას წინ აღარაფერი დაუდგებოდა. ეს გადაწყვეტილება, ასე ეგონა მას, მტეიცედ იყო მიღებული. თავი ისევ ამაყად აიღო მაღლა. მის ხელში ისევ ამოძრავდა მარაო. ის ახლა სხვებთან ერთად ხედავდა იმას, რაც განათებულ სცენაზე ხდებოდა.

## 8. ჟოზეფინა დე ტრასი

როდესაც მან თვალი შემოავლო დარჩაზის, შეამჩნია, რომ მრავალ ქალს

მისი ლოფისკენ პქონდა ლორნეტები მიმართული.

პროსპერ მერიმე, „ორმაგი შეცდომა“

პირველ ანტრაქტში გოსტაშაბიშვილების ლოფაში მარკიზი ქალი უოზე-ფინა დე ტრასი შემოვიდა. ზანდაროვი იმნამსვე ფეხზე ნამოდგა, თავი მდაბლად დაუკრა მარკიზას, სავარძელი შესთავაზა და თვითონ მოკრძალებით გაჩერდა ლოფის კარებთან. თავადი ანდუყაფარი ზანტად მოტრიალდა ახლადმოსული ქალისკენ და ისე მიესალმა, როგორც ეს მას ეხერხებოდა. ოდნავ დაბნეულმა მაგდამ გრიგოლ ზანდაროვი მარკიზას ნარუდვინა და ყრუდ ნარმოთქვა:

— ჩემი თანამემამულე, თბილისელი ბანკირი გრიგოლ ზანდაროვი... მარკიზა უოზეფინა დე ტრასი... ბანკირი პარიზში პირველადაა, უჩვენოდ გზა ვერ გაიკვლია, გვთხოვა მისთვის პარიზული სანახაობანი გვეჩვენებინა.

— ზანქირი პარიზს საუცხოოდ იცნობს, — სიცილით უპასუხა მარკიზამ და ზანდაროვს ანცი ღიმილით მოუბრუნდა, — არც ჩვენი გაცნობაა საჭირო, რადგან ერთმანეთს უკვე ვიცნობთ.

ზანდაროვმა ისევ მდაბლად დაუკრა თავი.

ენეინა გოსტაშაბიშვილი გამტერდა, — საიდან? როგორ?

— ბულონის ტყეში, მა შერ! ცხენებით სეირნობის დროს მარკიზა მარლოტა და ტრენაგმა გამაცნო.

მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება კნეინამ იმას, რომ მარკიზა და ტრენაგი რატომლაც ხშირ-ხშირად იყურებოდა მისი ლოუისკენ მოპირდაპირელოვიდან.

ოუცხოვა.

ამრიზა.

გულში რაღაცამ გაჰქენნლა.

მარკიზა დე ტრასიმ კნეინა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა.

— პარიზი აღარ მეგულებოდით, მა შერ, რადგან აღარსად გამოჩნდით.

— პარიზიდან ნასვლა არ მიიღიქია, ძვირფასო მარკიზა, ჩემი ნახვა ყველას შეეძლო, ვისაც ჩემი ოთხშაბათები ჯერ ეიდევ ახსოვს.

— დამნაშავე ვარ, მა შერ! — ცქეიტად უპასუხა მარკიზამ, — თქვენ ისე ხშირად სტოებთ პარიზს, არ შემეძლოთ თქვენი აქ ყოფნა მეფიქია. სამაგიუროდ, უფრო ხშირად მარკიზა მარლოტა და ტრენაგის სალონში ვარ, — და მყისვე ეშმაკური სიცილით დაუმატა, — თქვენს თანამემამულე ბანკირს ბევრილამაზი პარიზელი ქალი უტრიალებს, მა შერ. ბატონო ზანდაროვ, განა ეს თქვენ არ შეგიმჩნევიათ?

მარკიზა დე ტრასიმ ზანდაროვს ისევ წელანდელი მაცდური ღიმილით ახედა.

ზანდაროვმა ოდნავ გაულიმა.

ენეინა გოსტაშაბიშვილი აიღანძა.

— საოცარია, რომ თქვენს სალონში, მა შერ, ბატონი ზანდაროვი არ მინახავს, თქვენ კი თანამემამულენი ყოფილხართ, უკვე დიდი ხანია, რაც ამ ბატონს იცნობთ?

ენეინამ რაღაც უმნიშვნელო ფრაზით დააკმაყოფილა მისი ცნობისმოყვარეობა.

უცებ მარკიზამ ჯერ კნეინას შეხედა, მერე მის მანიაჟზე შეაჩერა ხანგრძლივი მზერა და აღტაცებით ნამოიძახა:

— რა საუცხოო მანიაჟია! რომ იცოდეთ, როგორ გიხდებათ, მა შერ. თქვენც დღეს ძალიან ლამაზი ხართ, ჩვეულებრივზე უფრო ლამაზი, მა შერ. არ შემიძლია ჩემი აღტაცება არ გამოვთქვა.

ენეინას გული მოუვიდა.

<sup>1</sup> ძვირფასო (ფრანგ.).

მრავალმნიშვნელოვნად ნათქვამი ქათინაურის აზრს მყისვე მოუხვდა. მაგრამ მისი გაპრაზება მხოლოდ მართას აჩქარებულ მოძრაობაში გამოიხატა. მან ინგლისურად დაინუოლაპარაკი, რათა მისი ნათქვამი გრიგოლ ზანდაროვს არ გაეგონა:

— საოცარია, დარღინგ<sup>1</sup>, როგორ ახერხებს ჩემი თანამემამულე ბანკირი თავისი სასაცილო ფრანგულით მარკიზი ქალების ყურადღების მიქცევას?

კნეინა ამ სიტყვებით მარკიზადე ტრასის შესაძლებელი ეჭვის გაქარნყლუ-ბასაც აპირებდა და მის დაცინვასაც.

მარკიზამ გაცინა, კნეინას ინგლისურადვე უპასუხა:

— სიყვარულს გრამატიკა არ სჭირდება, მა შერ. ეს, ვგონებ, ბაიროინსა თქვა. თუმცა თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, თქვენ ხომ ბევრს კითხულობთ! მე კი ლაკლოს რომანიც არა მაქვს ბოლომდე წაკითხული. სხვების თავგა-დასავალს, უნდა გამოვტყდე, საკუთარი თავგადასავალი მირჩევნია. დრო კი უფრო ულმობელია, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ, სადაც არის ოცდაათი ნლის გავხდები, დასამალი არაფერი მაქვს, რადგან ერთად ვსწავლობდით მონას-ტრის სკოლაში. ოლონდ ეს არის, მა შერ, თქვენზე რამდენიმე თვით უმცროსი ვარ, თუმცა ამას, აბა, რა მნიშვნელობა აქვს?

ახლა ძნელი იყო იმის გამორკვევა, თუ ვინ ვის დასცინოდა, კნეინა მარკიზას თუ მარკიზა კნეინას.

უოზეფინადე ტრასის არასოდეს არ უყვარდა მაგდა სავარსამიძე, რომლის უცნაური გვარის გამო მონაფე ქალები ყოველთვის ოხუნჯობდნენ ხოლმე მონასტრის ინგლისურ სკოლაში. მის ფარულ სიძულვილს კიდევ უფრო მე-ტად აძლიერებდა ის, რომ კნეინა მასზე ლამაზიც იყო, კეთილშობილიც და მდიდარიც. ამიტომ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, რათა მისთვის გული დაეკოდა. თუ ეს ლამაზი მამაკაცი მისი საყვარელია, ფიქრობდა მარკიზა, დაუყოვნებლივ გასცემს თავის თავს, როცა პარიზის სალონებში დარხეულ ჭორს ვეტყვიო. მან კარგად იცოდა მისი გულფიცხი ხასიათი. უოზეფინა დე ტრასი კნეინას კენ გადაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა:

— მარკიზა შარლოტა დე ტრენაგი ისეთნაირად გალამაზდა, რომ უეჭვე-ლია, თქვენი თანამემამულე ბანკირი...

კნეინამ მას მრისხანედ შეაწყვეტინა.

— მე ჭორები არ მიყვარს, უოზეფინა.

ასეთი იყო თავადის ასული მაგდა სავარსამიძე, მოაგონდა მარკიზა დე ტრასის, როცა მონასტრის სკოლაში მოსმენილი ჭორის გამო გულწრფელად აღმფოთდებოდა ხოლმე, ამიტომ მისთვის სიმართლის გამორკვევა ძნელი იყო. არ იცოდა, რა ამოეკითხა კნეინას მკაცრ გამომეტყველებაში — აღმფოთ-ბული ადამიანის გულისწყრომა თუ ეჭვიანობით გულდაკოდილი დედაკაცის მრისხანება.

<sup>1</sup> ძვირფას (ინგლ.).

მაგრამ ტაქტი მოითხოვდა, არავის შეემჩნია არც კნეინას აღშფოთება და არც მარკიზას უხერხული მდგომარეობა.

ეს ხელოვნება ორთავეს კარგად ჰქონდათ შეთვისებული.

მათ ისევ ფრანგულად განავრძეს ლაპარაკი. სიტყვა მომლერლებზე ჩამოაგდეს. მარკიზა ისევ ხალისიანად ატიტინდა. კნეინა კი ყალბი ყურადღებით უსმენდა მას. თუმცა მისი „მა შერ“ ისევე აღიზიანებდა, როგორც თავად გოსტაშაბიშვილის „ვეუო“. თავს წელანდელ აჩქარებას უსაყვედურებდა, რადგან ტაქტი მოითხოვდა, თვით ყველაზე ზიზლისმომგვრელი ჩამოკრული დამშვიდებით მოესმინა. მაგრამ იგი არა მარტო კნეინა იყო, არამედ დედაკაციც. ამიტომ არ შეიძლებოდა გულდამშვიდებული შეხვედრობა მარკიზა დე ტრასის ნათქვამს. ისევ ფიქრებმა გაიტაცეს, ისევ გრიგოლ ზანდაროვთან თავისი უცნაური ურთიერთობის ფიქრს დაუბრუნდა. ამასობაში ლოუაში მოსული მარკიზა სულმთლად გადაავინყდა.

— ლაპარაკით ხომ არ დაგდალეთ, მა შერ? — ნანყენი კილოთი მოაგონა თავი მარკიზამ, გულში კი გაიფიქრა: „არა, რა თქმა უნდა, მე ვცდები. ამ ქალს არც გატაცება შეუძლია, არც სიყვარული. ეს მე დანამდვილებით ვიცი მაგის ყოფილი საყვარლებისაგან. საინტერესოა, ჰყავთ თუ არა მართლმადიდებლებს მონაზონი ქალები?“

კნეინა გოსტაშაბიშვილი ფიქრებისაგან გამოერკვა, მარკიზას გაულიმა და მოიბოდიმა:

— არა, ეგ რა სათქმელია? მე მხოლოდ თავად ესტერგაზის მეუღლეს ვუყურებდი. რატომ ატარებს ეგ ქალი ადრიანა ლეკუვრერის კაბას? განა ჩვენ XVIII საუკუნეში ვცხოვრობთ?

უოზეფინა დე ტრასისათვის ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ კნეინა ცრუობდა. მას ეტყობოდა, არ ესმოდა, თუ რაზე ლაპარაკობდა მისი ლოუის სტუმარი, რადგან აშკარად ჩანდა, რომ ამ დროს თვითონ სულ სხვა რაღაცაზე ფიქრობდა და „არა ვინმეზე“ — დაასკვნა მარკიზამ. კნეინა თავად ესტერგაზის მეუღლეს მიაცეკერდა. მარკიზა დე ტრასიმ ზრდილობის გამო გაიხედა იქითენ. ცნობისმოყვარე გრიგოლ ზანდაროვმაც შეუმჩნევლად თვალებით დაუწყო ძებნა იმას, ვისკენაც ლოუაში მსხდარი ქალები იცემობოდნენ. მან იცოდა, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც იგი ახლა იმყოფებოდა, უზრდელობად ჩაეთვლებოდა თავად ესტერგაზის და მისი მეუღლის ვინაობის გამოკითხვაც, თვალების უთავბოლო ცეცხებაც, და, მით უმეტეს, „რომელია, მაგდაჯან“, რომელიც მას ტუჩებზე ეკერა.

ცოტა ხნის შემდეგ მარკიზა დე ტრასი გამოსამშვიდობებლად წამოდგა. როცა მან თავად გოსტაშაბიშვილს თავი დაუკრა და გრიგოლ ზანდაროვს ხელილიმილით გაუწიოდა, ეს უკანასკნელი ისე მოხდენილად ეამბორა გამონვდილ ხელზე, რომ კნეინას უნებლიერ ლიმილი მოადგა ბაგეზე, გულში კი ისე ნარმოთქვა, როგორც მისმა გამდელმა იცოდა ხოლმე: „შენ მომიკვდი, გრიგოლ, აპანდე!“ ამ შინაგანმა მდაბიურად წამოძახილმა გრიგოლ ზანდაროვი

რატომლაც მისთვის კიდევ უფრო მახლობელი, საყვარელი და სასურველი გახდა, მაგრამ უოზეფინა დეტრასის მოეჩვენა, რომ კნეინა გამკილავად იღო-  
მებოდა იმ ყურადღების გამო, რომელსაც იგი ახალგაზრდა და ლამაზი, მაგრამ  
მდაბიო მამაკაცის მიმართ იჩენდა. გაბრაზებულმა მარკიზამ კიდევ უფრო  
მომხიბელელად გაუდიმა ზანდაროვს და არშიყის სინარნარით შესთავაზა.

— არ გამაცილებთ, ბატონო ზანდაროვ?

ზანდაროვმა მარკიზას მოერძალებით დაუკრა თავი.

კნეინამ კოპები შეჰქრა.

მოპირდაპირე ლოუაშიც მარკიზა შარლოტა დე ტრენავი კოპებშეერული  
იჯდა. მასაც ისევე ჰქონდა ხელში მარაო გამეშებული, როგორც კნეინა მაგდა  
გოსტაშაბიშვილს. ამის შემჩნევა ახლა მისთვის ძნელი არ იყო.

კნეინა მართლაც რწმუნდებოდა, რომ სიყვარულს გრამატიკა არ სჭირდება.

## 9. სპეციაპლის შეგდებ

— სად შემიძლიან კვლავ გინახულოთ, ქალბატონო? — თქვა მან იმ  
ძლიერი ენებათალელვით, რაც ესოდვნ მოსნონთ ქალებს. — სადაც  
გნებავთ, — უპასუხა მან, — ტყეში, ბუფონებთან, ჩემთან, ყველგან.  
ონორე დე ბალზაკი, „მამა გორიო“

ყველაფერი ცხადზე უცხადესი იყო. გრიგოლ ზანდაროვს მარკიზი  
ქალები არა მარტო შესციცინებდნენ, არამედ თავიანთ სალონებშიც უშ-  
ვებდნენ. არც ზანდაროვი უნდა დახვედროდა გულგრილად მათს გამომწ-  
ვევ ტრფიალს. მარკიზა შარლოტა დე ტრენავი ლამაზი ქალი იყო, ხოლო  
მისი ქმარი, თუ მოვლენები ისე განვითარდებოდნენ, როგორც გაზეთები  
ნინასნარმეტყველებდნენ, მალე მინისტრი გახდებოდა. თვით უოზეფინა  
დე ტრასის არც ისე აუმნოებდა მოკლე ცხვირი და კიდევ უფრო მოკლე  
ჭკუა. სამავიეროდ, მისი მოქნილი ტანი და გალვივებული გულმერდი ბევრ  
მამაკაცს ხიბლავდა. მისი დიპლომატი ქმრის ნიჭიერი იმდენს ლაპარაკობდ-  
ნენ, რომ უოზეფინა დე ტრასი, ალბათ, მალე ელჩის ცოლი გახდებოდა და  
ლონდონში ან პეტერბურგში მოუწევდა ცხოვრება. მარკიზ დე ტრენავის და  
მარკიზ დე ტრასის პოლიტიკური წარმატებები მათი ცოლების სალონებს  
მეტ მიმზიდველობას ანიჭებდა. კნეინა გოსტაშაბიშვილი საშინლად გაოცდა,  
როცა ამ სალონების სტუმრებს შორის გრიგოლ ზანდაროვიც აღმოაჩინა.  
ახლა მან ზანდაროვზე უფრო მეტი რამ იცოდა, ვიდრე ოპერის თეატრში  
მოსვლამდე.

ზანდაროვი გვიან დაბრუნდა ლოუაში. მან უხმოდ დაიკავა თავისი სავარ-  
ძელი. არც კნეინას ამოულია ხმა. სადაც იყო, ფარდა აიხდებოდა მეორე მოქ-  
მედების დასაწყებად.

სამთავრენი მდუმარედ ისხდნენ ლოუაში: გრიგოლ ზანდაროვს საერთოდ ლაპარაკი არ უყვარდა თეატრსა და სალონში, თავადი ანდუყაფარი ლაპარაკს იყო გადაჩვეული, კნეინა თავისი ფიქრებით იყო გართული და რაღაც შინაგანი მღელვარების გამო, ხმაგაკმენდილი.

როსინის მუსიკა ახლა არა მარტო გრიგოლს და ანდუყაფარს, არამედ გავდასაც აღარ ესმოდა. თვალნინ ხან მარკიზა დე ტრასი ედგა, ხან მარკიზა დე ტრენავი.

მეორე ანტრაქტში ზანდაროვმა ბოდიშის მოხდით დატოვა გოსტაშაბიშ-ვილების ლოუა.

კნეინას მყისვე მარკიზა დე ტრასი გაახსენდა, მაგრამ ეჭვი არ გაუმართლდა. ცოტა ხნის შემდევ ზანდაროვი მარკიზა დე ტრენავის ლოუაში გამოჩნდა.

კნეინა ერთბაშად ისე გახდა, თითქოს მოულოდნელად ცივი წყალი გადაასხესო. სახეალერილი უყურებდა თავისი ლოუიდან, თუ როგორ იხრებოდა ერთი ნამით ზანდაროვის ლამაზი თავი და როგორის მოკრძალებით ეამბორებოდა ლოუაში მსხდარი სამი მანდილოსნის თითქმის ერთდროულად გამოწვდილ ხელებს (ქმარი ალბათ გაზეთის რედაქციაში ზის ან პოლიტიკურ ბანკეტზე სიტყვას ამბობს, იხერხებოდა კნეინა, რომელსაც ქმარი არც აქ და არც სხვაგან არასოდეს არ ავონდებოდა). ზანდაროვი მონინებით გაჩერდა. თუმცა მას, ასე ჩანდა, მანდილოსნებმა სავარძელი შესთავაზეს. კნეინას არც ის გამოეპარა, თუ როგორ გაიბადრა ზანდაროვის დანახვაზე წელან კოპებ-შეკრული შარლოტა დე ტრენავი, ისიც ჩანდა, რომ იმ ლოუაში მხოლოდ მარკიზა ლაპარაკობდა გატაცებით, აღმაფრენით, აპილპილებით, სწორედ ისე, როგორც ეს საყვარელის დაბრუნებით გახარებულ დედაკაცებს სჩვევიათ.

ახლა კნეინას უკვე სჯეროდა, რომ უოზეფინა დე ტრასი მას ჭორს კი არ უებნებოდა, არამედ ხალას სიმართლეს.

გაოცებისაგან სახტად დარჩენილმა, აღარ იცოდა, რა ეფიქრა. ისედაც უკმერი სახე სულ უფრო და უფრო ელრუბლებოდა. თან იმ ლოუას თვალს აღარ აშორებდა და ყურადღებად იყო გადაქცეული.

ზანდაროვი მოკრძალებით იდგა ლოუაში და დროდადრო თავს მონინებით უკრავდა მარკიზას, რომელიც მას სხაპასხუპით ელაპარაკებოდა და მარაოს ხელში ნერვიულად ათამაშებდა. ეტყობოდა, მარკიზა ლელავდა ან ორი ულამაზო მანდილოსნის თანხლება ეჩოთირებოდა. ორთავეს კარგად იცნობდა კნეინა გოსტაში ერთი ოცდაათ წელს იყო გადაცილებული, მეორე ორმოცი ნლის ხდებოდა. ორივეს ყოველთვის ყველგან თან დაატარებდა ახალგაზრდა მარკიზა, რათა თვითონ უფრო ლამაზი გამოჩენილიყო. ისინი მას დარაჯებივით დასდევდნენ (ამიტომ ქმარს შეეძლო მშვიდად მჯდარიყო გაზეთის რედაქციაში ან სიტყვა ნარმოეთქვა პოლიტიკურ ბანკეტზე, ირონიულად შენიშნავდა კნეინა), თუმცა, ამავე დროს, პარიზის ქუჩებში მარკიზა ეტლით მუდამ მარტო დასეირნობდა. ყველაზ იცოდა, რომ ამ დროს იგი პაემანზე მიიჩქაროდა.

მარკიზა დე ტრენაგმა ერთო-ორჯერ კნეინა გოსტაშაბიშვილის ლოუისენ  
ფრთხილად გაიხედა. ამ დროს მოქრძალებით მდგარ ზანდაროვს მხოლოდ  
ორი სიტყვა უნდა ნარმოეთქვა. „უი“ და „ნონ“ — „ჰო“ და „არა“. კნეინა  
დაწნმუნებული იყო, რომ ეს სიტყვები მისი სახელის ხსენებასთან დაკავში-  
რებით ითქვა. საინტერესოა, მაინც რა კონტექსტში ახსენეს იქ კნეინა მაგდა  
გოსტაშაბიშვილი. მართალია, ორი ხნიერი და ულამაზო მანდილოსნის თან-  
დასწრებით მარკიზა დე ტრენაგი თავის თავს ბევრის ნებას ვერ მისცემდა,  
მაგრამ იმასაც ამბობდნენ, რომ როცა საჭირო იყო, ორთავეს დაყრუებაც  
და დამუნჯებაც შეეძლოთ. კნეინა უფრო იმას ფიქრობდა და ვარაუდობდა,  
რომ მარკიზა შარლოტა დე ტრენაგმა გრიგოლ ზანდაროვს მის ლოუაში  
ყოფნა უსაყვედურა.

სახე აელენა.

ოქროსფერი თვალები გაუმნვანდა.

ეჭვი შემოენთო.

ეს უკვე ეჭვიანობა იყო. ეჭვიანობა კი სიყვარულის დადასტურებაა.

მას უყვარდა.

ამის უარყოფა თავის მოტყუებას ნიშნავდა ან იაფთასიან ფარისევლობას.

ამას მონმობდა მის მარჯვენა ხელში ნერვოულად ათამაშებული მარაოც. ეს კნეინას დიდი მღელვარების დროს ემართებოდა ხოლმე.

უცებ მის გვერდით ვიღაც გაინძრა. მისი ქმარი იყო. თავადი ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილი. სრულიად მოულოდნელად თავადმა თავისი ბოხი ხმით დაიბუხუნა:

— ვეუო, ვერ უყურებთ, ჩვენი სოვდაგარი რა ყოფაშია!  
კნეინამ ხმა არ გასცა.

გამოცოცხლებული თავადი ისევ აროხოხდა:

— ჰო, ჰო, ჰო! რანაირად ირჯება და ჰესარბობს იმ კარგი ქმრის ცოლი  
მარკიზა! ერთი უყურეთ, რანაირად იპრანჭება, რანაირად ილერებს თავსადა  
რანაირად ათამაშებს მხრებსა! ლმერთიარ გამინყრება, მაგ ქალს რაღაც სხვა  
განზრახვა უდევს გულში. ამას რაღა თქმა უნდა, ლამის კალთები დააგლიჯოს  
ჩვენს კოპნის სოვდაგარს. ვერა ჰედავ, კნეინა?

— ვხედავ, — გაგუდული ხმით ნარმოთქვა კნეინამ.

თავადს ლაპარაკის სალერლელი აეშალა:

— პარიუელი ქალები რომ დაეხვეოდნენ ჩვენს ლამაზ სოვდაგარს, ამის  
ეჭვი არა მქონდა, ვეუო, მაგრამ თუ მარკიზა ქალებიც თავს შეირცხუნდნენ  
და თავზე ლაფს დაისხამდნენ, ამას როგორ ვიფიქრებდი?!

კნეინამ თავი ჩაქინდრა.

როცა გრიგოლ ზანდაროვი დაბრუნდა, ლოუაში პირველად გამხიარულე-  
ბულმა და ალაპარაკებულმა თავადმა სოვდაგარს ისეთნაირად შესძახა, რომ  
მთელმა პარტერმა გოსტაშაბიშვილების ლოუას ახედა:

— აფერუმ, სოვდაგარო! პარიუში მირზაჯანობა დაინყე?!

კნეინა გოსტაშაბი ჭარხალივით განითლდა.

გრიგოლ ზანდაროვმა მხრები აიჩეჩა, კნეინას გაკვირვებით გადახედა.

კნეინას მისი გაოცებული გამოხედვა არ დაუნახავს. იგი თავდახრილი იჯდა, საშინლად აღელვებული და გადაფიტრებული.

ქმარი მას ეჯავრებოდა, ახლა კი ეზიზლებოდა.

თავადი მიხვდა, თუ რამ შეუკრა მრისხანედ ნარბები კნეინას.

დაიბნა, შენუხდა და დაფრთხა. ვეება დევკაცი საცოდავად მოიკუნტა ლოჟის სავარძელში.

კნეინა მხოლოდ ფარდის ახდის შემდეგ დამშვიდდა. თავს ძალა დაატანა, რათა ალარაფერზე ეფიქრა და მხოლოდ იმისთვის მიექცია ყურადღება, რაც სცენაზე ხდებოდა.

როსინის მუსიკა მისთვის თანდათან ნაცნობი, მახლობელი, მიმზიდველი და სასიამოვნო ჰანგებით აულერდა. ყური მიუგდო და გაინაბა. უეცრად მასში ძლიერად გაილვიძა მისმა ამპარტავნულმა ბუნებამ, თავი მაღლა აიღო და მტკიცებდ გადაწყვიტა ოპერის ნინ თავის ოდნავი დაკვრით სამუდამოდ განშორებოდა ზანდაროვს. ეს კნეინას განაჩენი იყო და არა დედაკაცის გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, ერთბაშად დამშვიდდა და დაწყნარდა. გრიგოლ ზანდაროვი მისთვის ალარ არსებობდა. ამიტომ მასთან განშორება ისევე აუცილებლად მიაჩნდა, როგორც სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სცენაზე ფარდის ჩამოშვება.

ოპერის ნინ კი სულ სხვა რამ მოხდა, როცა ისინი ეტლს უახლოვდებოდნენ, კნეინა სწრაფად მოტრიალდა ზანდაროვისკენ და ფრანგულად გადაულაპარაკა:

— გრიგოლ, ხვალ იქ გიცდი, შენ თვითონ იცი, როდის უნდა მოხვიდე.

ზანდაროვმა გაიღიმა და ოდნავ დაუკრა თავი.

კნეინამ არ იცოდა, ნამდვილად დაინახა თუ მოეჩენა მის ტუჩებს შორის ჯოუტად ჩაკეცილი ლიმილი.

კნეინა უფრო გაიქცა, ვიდრე გაემართა ეტლისკენ. ეტლში ქმრისა და საყვარელის დაუხმარებლად ავიდა. გაკვირვებულს და გაოგნებულს სირცხვილის გრძნობა სწვავდა. ეტლში გარინდებული იჯდა, თუმცა შინაგანად აფორიკაქებული და ანრიალებული იყო. ხან ოპერაში მიღებული გადაწყვეტილება აგონდებოდა, ხან თავისი საქციელი და სიტყვები ოპერის ნინ. თავის თავისთვის ვერ ეპატიებინა, რომ ერთხელ კიდევ დამდაბლდა იმ კაცის ნინაშე, რომლის საყვარებში კნეინას გარდა მარკიზა ქალებიც იყვნენ.

ლამე თეთრად შემოათენდა.

უძილობით დაღლილს და დატანჯულს განთიადზე ძლივს ჩაეძინა.

ნაშუადლევს გრიგოლ ზანდაროვს ეტლი ფონტებლოსკენ მიაქროლებდა. ფონტებლოს ჰატარა სასტუმრო „ბრიტანიკში“ მას მარკიზა უოზეფინა დეტრასი უცდიდა.

# კარი მეთექვსმეტე

## 1. ვაცხარი თაშირელის პარიზული ცხოვრება

კომუნიზმის პროპაგანდა ფლობს ისეთ ენას, რომელიც  
ყველა ხალხს ესმის,  
პაინრიბ ჰაინრიხ, „საფრანგეთის ამბები“

ოქრომჭედლის მაღაზიაში მომხდარმა ინციდენტმა ვახტანგ ტაშირელზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. იმ დღიდან იგი გრიგოლ ზანდაროვს ჭრის დღესავით გაურბოდა და ერიდებოდა. სამაგიეროდ, ზანდაროვი აღარ ეშვებოდა მას, ხან რას სთხოვდა და ხან რას.

ზანდაროვი ფრანგულად საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობდა, მაგრამ არც საქმიანი ქალალდების შედგენა და არც ნერილების დაწერა შეეძლო. ამიტომ ვახტანგ ტაშირელს მდივნობა შესთავაზა.

პარიზში ლუკმაპურის შოვნა ძნელი იყო. მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილმა სტუდენტმა და სასამართლოს ყოფილმა მოხელემ მიიღო მდიდარი ვაჭრის ნინადადება.

ვახტანგ ტაშირელი სავაჭრო გარიგებების პირობებს ადგენდა ან ზანდაროვის სახელით ნერილებს ნერდა ლიონის მეფაბრიკებისა და მარსელის გემთამფლობელების მისამართით, ზოგჯერ ბუღალტრის მოვალეობასაც ასრულებდა. ზანდაროვის მიერნაყიდ და საქართველოში გავზავნილ ნუსხებს აწესრიგებდა და დავთარის ახალ-ახალი ციფრებით ავსებდა. ასეთი სამსახური მას სოვდავრის ყალთაბანდობის მოწმედ არ ხდიდა. ამიტომ დაუზარებლად აკეთებდა იმას, რასაც მას გრიგოლ ზანდაროვი ავალებდა.

— თუ დავთარი არ დავიჭირე, ვახტანგჯან, ფეხებმოლრეცილი ფირუზა არ დამიჯვერებს, შარს მომდებს, — უთხრა ერთხელ ზანდაროვმა ტაშირელს და ნინ დიდი დავთარი დაუდო, გადაფურცლა და სერიოზულად განაგრძო.

— რას იზამ? ფირუზა ჩემი გამზრდელიცაა და ამხანავიც. მაგრამ არ გაგიგონია, ამხანავი კარგი რომ იყოს, ღმერთსაც ეყოლებოდათ. პოდა, ყველაფერი დანვრილებით ჩასწერე ამ დავთარში, ვახტანგჯან, სიფრთხილეს და თადარიგის დაჭრას სხვა არაფერი სჯობიან. სამაგიერო კი ჩემზე იყოს. შენთვის ქისა ყოველთვის გახსნილი მაქვს.

ზანდაროვს ქისის მაგიდაზე დარდიმანდულად გადმოპირქვავება უყვარდა, ოლონდ ქისაში ყოველთვის იმდენი ფრანკი ედო, რამდენიც, მისი აზრით, ტაშირელს სახლის მანსარდაზე გამოსაძინებლად და ლუკმაპურის თვის ეყოფოდა.

ვახტანგ ტაშირელს კი ასე ეგონა, მეტს ვიღებ, ვიდრე მეუუთვნის და ზანდაროვის „მოწყალებით“ ვცხოვრობო. ეს მას ცუდ გუნებაზე აყენებდა,

გავშვივით ნითლდებოდა, როცა სოვედაგარი მაგიდაზე ქისას აპირქვავებდა. სამაგიეროდ, თავაუღებლივ მუშაობდა. ცდილობდა, რაც შეიძლება სუფთად და ფაქტიზად შეევსო დავთარი „ფეხებმოლრეცილი ფირუზასთვის“.

ზანდაროვის გასამრჯელო ვახტანგ ჭაშირელს ყოველდღიური ცხოვრებისათვის ყოფნიდა. გადარჩენილი გროშებით ნიგნებს ყიდულობდა ან თეატრში დადიოდა. ნიგნი, გაზეთი და თეატრი მისთვის ყველაფერი იყო. მზად იყო „წყალსა და ჰურზე დამჯდარიყო“, ოლონდ საინტერესო ნიგნი ეყიდა ან მოლიერის სახლში ნარმოდგენას დასწრებოდა.

შორიდან უთვალთვალებდა გამოჩენილ მნერლებს, მხატვრებს, მუსიკებს და მსახიობებს. იმათ, ვისაც ნიგნებითა და გაზეთებით იცნობდა ან სცენაზე უყურებდა. ბუნებით მორცხვი და მოკრძალებული ყავახანებში მათ შორისახლოს იჯდა ყურადღებად და სმენად გადაქცეული.

ყავახანებში ხშირად ცხარე კამათი იმართებოდა. პოლიტიკური ვნებათა-ლელვა უკიდურეს წერტილს აღნევდა აქაც და ბანკეტებზეც.

ყველა რაღაცას უცდიდა, რაღაცას მოელოდა, ვისაც ლიონის აჯანყება კარგად ახსოვდა, შიშით იყურებოდა მოედნებისაკენ, სადაც ამბოხებული ხალხი თვალის დახამხამებაში ახერხებდა ბარიკადების აღმართვას და ფარნის ბოძზე თოკის გადმოშვებას, შეპყრობილი მტარვალის დასასჯელად. სერიოზულად შემფოთებული ლიბერალები ივლისის რევოლუციის მონაპოვრით დაქმაყოფილებას ქადაგებდნენ, რომანტიკული განნუობილების უკიდურესი რესპუბლიკელები რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვდნენ, კოსმოპოლიტები ევროპის გაერთიანების აუცილებლობაზე ლაპარაკობდნენ. მათი აზრით, მხოლოდ ეს გადაარჩენდა ევროპულ ცივილიზაციას და ბრძოზე მაღლა ინტელექტუალურ ადამიანს დააყენებდა. სოციალისტი სენ-სიმონისტები ძალის გამოყენების ნინაალმდევ გამოდიოდნენ, ხოლო სოციალისტი ფურიე გულდაჯერებით უცდიდა მილიონერთა მონაცალებას, რათა მათი ფულით თანასწორ ადამიანთა ფალანგა აეგო. პოლიტიკური ნინაალმდევობები და აზრთა სხვადასხვაობა სოციალისტებს შორისაც ისევე მეაფიოდ ვლინდებოდა, როგორც ბურუუაზიულ ფენებსა და არისტოკრატიულ ნრეებში.

სენ-სიმონისტები დაშლილი და დაქსაქსული იყვნენ, ფურიეს მიმდევარნი კი ჯერ ისევ მრავალრიცხოვანნი ჩანდნენ. მაგრამ სულ უფრო და უფრო მეტად ცნობილი ხდებოდნენ ისინი, ვისაც იმდროინდელ პრესაში კომუნისტებს უნოდებდნენ. კომუნიზმის აჩრდილი შეუპოვრად დაძრნოდა ევროპის ქალაქებსა და მუშათა გარეუბნებში. არსებობდა კომუნისტთა კავშირიც და კომუნისტური გაზეთიც. ერთიმეორის მიყოლებით ქვეყნდებოდა „სიმბოლო სარწმუნოებისა“, რომელიც კატეხიზმოს ფორმით იყო დაწერილი, „კომუნიზმის პრინციპები“ და ბოლოს „კომუნისტური მანიფესტი“ — კომუნისტთა კავშირის სრულიად ახალი პროგრამა და მეცნიერული კომუნიზმის ყველაზე უფრო დასაფუძვლებული ნაშრომი. მაგრამ ვახტანგ

ტაშირელი პარიზში ცხოვრობდა იმ დროს, როცა კომუნისტებისათვის ჰერი კიდევ დამახასიათებელი იყო პარტიული ურთიერთობის ფრანგული კომუნისტური და კარბონარული ნესები. ყველა ამისგან ისინი სამუდამოდ განთავისუფლდნენ კომუნისტთა კავშირის ბრიუსელის პირველ კონგრესზე და, განსაკუთრებით, მეორე კონგრესზე, რომელსაც თვითონ კარლ მარქსი ესწრებოდა.

ვახტანგს უყვარდა ლურჯბლუზიანი მუშების ყურება, მათს ჭირ-ვარამზე დაკვირვება, მათ შორის ყავახანებში ყოფნა, მათი ჯანსაღი სიცილი, მოსწრებული ხუმრობა და აზრიანი გართობა. თვითონაც მათს თანაყოფაში ხალვათად გრძნობდა თავს და, რაც მთავარია, სადაც და უბრალოდ ეცვა — რეასფერი, თითბრის თეთრი ლილებით განყობილი სერთუკი. კნეინა გოსტაშაბიშვილის სალონში კი შავი ფრაյით და შავი ფეხსაცმელებით ცხადდებოდა და ოფლში ინურებოდა.

გამოუცდელმა ტაშირელმა არ იცოდა, რომ შავი ფრაյიც და შავი ფეხსაცმელებიც უკვე იმდენად ყოველდღიური რამ იყო, რომ პირნავარდნილ არისტოკრატებზე მამაკაცთა ეს სამოსელი დემოკრატიული განწყობილების შთაბეჭდილებას ტოვებდა. ივლისის რევოლუციის ერთ-ერთი შედეგთაგან შავი ფრაյის და შავი ფეხსაცმელების იმათ შორის გავრცელებაც იყო, ვისაც რეასტავრაციის პერიოდში არისტოკრატიული სადარბაზო კარების ზღურბლზე ფეხს არ ადგმევინებდნენ.

## 2. პერიოდის გოსტაშაბიშვილის სალონი

მეფის ტახტი სხვა არაფერია, თუ არა ყოვლად ჩვეულებრივი, ნითელი ხავერდით გადაკრული ხის უბრალო სკამი, დღეს ბურუუაზია და პოლ დე კოკის და ეუენ სკრიბის გმირები პატონობენ. პაინრიბ პაინე, „ფრანგული სცენის გამო“

ვახტანგ ტაშირელის გამოჩენას კნეინა გოსტაშაბიშვილის სალონში არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მან არც თავისი გარეგნობით მიიქცია ყურადღება, არც ჩაცმულობით. შეუმჩნეველად ჩაიარა დისონანსმა, რომელიც მან თავისი შავი ფრაიით და შავი ფეხსაცმელებით მწვანე, ჭიაფერ, ლურჯ, ზეთისხილისფერ და ლოლნოშოსფერ ფრაკებით მკაცრად განკეპილ არისტოკრატთა საზოგადოებაში შეიტანა.

მხოლოდ ერთმა ფაშაშა მანდილოსანმა შეაჩერა ლორნეტი მის დარცხვენილ სახეზე და მეზობელს, ანონილ და ხმელ-ხმელ ბობოლას გადაულაპარაკა, რომ კნეინას ახალი სტუმარი განსაცვიდუებლად ჰეგავდა აბატ ლამენეს, თავისი ახალი რელიგიური მოძღვრების ქადაგებისას იაკობინური ქუდის ჯვარზე მორგებას რომ ცდილობდა.

გეზობელმა უსიცოცხლით ვალები ერთი ნამით ვახტანგ ტაშირელის გამხდარი სახის მოგრძო ცხვირზე გადაიტანა და კვლავ ისე გაშეძდა, როგორც კერთა პალატაში იყო ხოლმე გაშეძებული.

გოსურველი აზნაური თავს შეზღუდულად გრძნობდა კნეინა გოსტაშაბიშვილის სალონში. აქ ყოველ ოთხშაბათს მხოლოდ ძირძველი და ზეიადი არის-ტოკრატები მოდიოდნენ, რამდენიმე რუსი თავადი და გრაფი (ერთ მათგანს მხრწნილი დედა დაჲყვებოდა, მეორეს კი გადაბერებული ცოლი ახლდა თან), კოლონელი ემიგრანტები ჩარტორიუსების წრიდან და მხოლოდ ის ფრანგი ეთილშობილი, რომელიც 1789 წლამდე იყვნენ ეთილშობილად დაბადებული. აქ ვერ ნახავდით იმათ, ვინც რევოლუციის შემდეგ მიიღეს მეფის, კერცოგის და მარკიზის ტიტულები, მაგრამ ყაბების, ლუდისმხდელების, ჯალატოზების და დურგლების ჩამომავლები იყვნენ.

კნეინა გოსტაშაბიშვილის სალონში მოდიოდნენ განთქმული მნერლებიც, მხატვრებიც და მუსიკოსებიც. მაგრამ მხოლოდ ისეთნი, რომელთაც არისტოკრატობა პატივმოყვარულ სიამეს ჰგვრიდათ ანდა თავიანთ კონსერვატიულ განწყობილებას არისტოკრატიულ სულისკვეთებას უხამებდნენ. ხშირად იყო აქ კრიტიკოსი სენტ-ბევი. მას სძაგლა მდაბიო ლიტერატორები და თვით არაჩვეულებრივად პოპულარულ უორუ ზანდთან შეხვედრას ერიდებოდა, რადგან ეს ლოკებნითელა მორალისტი მის თავაშვებულ საქციელს კიცხავდა და თან არასდროს არ ავინყდებოდა, რომ მისი დედა ოდესლაც მოხეტიალე თეატრში ცეკვავდა. სენტ-ბევზე ათი წუთით ადრე ან ათი წუთით გვიან ჩნდებოდა სალონში ადელ ჰიუგო. სენტ-ბევს იგი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ გაცილებით ამ უნიინარ ქალბატონს ყოველთვის სენტ-ბევი აცილებდა ხოლმე. იშვიათად მოდიოდა აქ თვითონ ვიქტორ ჰიუგო. ალბათ იმიტომ, რომ საერთოდ არისტოკრატები მას ყველგან გულცივად ხვდებოდნენ და მასთან შეხვედრას დემონსტრაციულად გაურბოდნენ. კარლისტებს იგი ივლისის რევოლუციის მეხოტბედ მიაჩინდათ, ხოლო რესპუბლიკელებს — არისტოკრატიისა და კათოლიციზმის ფარულ მომხრედ. დროგამოშვებით მოდიოდა კნეინა გოსტაშაბიშვილის სალონში ონორე დე ბალზაკი, რომლის მონარქისტული მიდრეკილებანი ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, ამიტომ ყველა ითმენდა და იჭანდა მის დაჭიანებულ კბილებსაც, ცუდად დავარცხნილ თმასაც და ფეხსაცმელების დაუდევრად შეკრულ ყაითნებსაც.

საუბარი კნეინას სალონში დინჯი და მონოტონური იყო, თუმცა ყოველდღიურ ამბებსა და მოვლენებს აქაც ჭორიკნული ცნობისმოყვარეობით აღნიშნავდნენ და სჯა-ბასში არც აქავინყდებოდათ ამათუ იმ საყურადღებო თუ საინტერესო მოვლენაზე თავიათი შენიშვნები, აზრი, კმაყოფილება, უკმაყოფილება, მონონებაან აღმფოთება გამოეთქვათ და ყოველივე ეს შესაფერისი, უალრესად რაფინირებული მანერებით გამოეხატათ.

ლაპარაკში მსხვილმანსაც ურევდნენ და წვრილმანსაც.

ლაპარაკობდნენ ორლეანის პერცოგის ფათერა კუსინ სიკუდილზე, ვერსალის რენიგზის სადგურზე მომხდარ ხანძარზე, მუნიციპალიტეტის იმ დადგენილებაზე, რომლის ძალითაც ბასტილის მოედანზე თაბაშირის თეთრი საილო უნდა აეღოთ, უნივერსიტეტის გარშემო გამართულ პაექრობაზე და საუნივერსიტეტო რეფორმებზე; ახალი ავტორის ახალ პიესასა და კომედიაზე; სალონის ყველაზე ღირსშესანიშნავ სურათზე, ბერლიოზის უცნაურ მუსიკაზე და მის კიდევ უფრო უცნაურ დირიჟორობაზე; ახალმოდურ ქუდზე, ქინძის თავებსა და ხელთათმანებზე; სატუსალოების რეფორმაზე და სხვ. ყველაფერი ეს, როგორც წესი, ყოველთვის ერთი და იმავე საკითხით მთავრდებოდა, რაც ერთნაირად აღელვებდა ზემოურებსაც და ქვემოურებსაც, დაემხობოდა თუ არა გიზოს მთავრობა.

ლაპარაკობდნენ დიდებაცურად, აუჩქარებლად, მონოტონურად ანდამნ. ყენილი ისხდნენ ლუი XVIII-ის მელანქოლიური ტაკიმასხარების მსგავსად.

ერთგვარ გამოცოცხლებას სალონში მხოლოდ გიზოს მთავრობის დამხობის საკითხი იწვევდა. ამ შემთხვევაში ვნებათაღელების დათრგუნვას ვერსიინ ვერ ახერხებდა.

რესპუბლიკური იდეების გავრცელებით შეშფოთებული მონარქისტები წამალს რელიგიის ავტორიტეტის ზრდაში ხედავდნენ და მართლმადიდებელი კნეინას სალონში კათოლიკიზმის განმტკკიცებისაუცილებლობას ქადაგებდნენ.

ვახტანგ ტაშირელს მალე მობეზრდა ენეინა გოსტაშაბიშვილის სალონში ყოფნა და ისევ ყავახანებს, ბიბლიოთეკებს და თეატრებს მიაშურა.

მისი სალონში მოუსვლელობა ვერც დასახლისმა, მით უმეტეს, ვერც მისმა სტუმრებმა შეამჩნიეს.

### 3. პარიზული იდეატიონი

დღიდ თეატრებში, სადაც ბრნუინავენ გრიზი, ლაბლანში, რაშელი და მაკრედი, დარბაზი მხოლოდ მაშინ ნინარდება, როცა ფარდის ახდისას მათი საყვარელი მსახიობი გამოჩინდება ხოლმე. ფერმან კაბალიერი, „თოლია“

ერთხელ, როგორლაც ბივიანის ქუჩაზე, სადაც დიდ დარბაზში კარნავალების დროს კანკანს ცეკვავდნენ, ხოლო ჩვეულებრივ დღეებში კონცერტები იმართებოდა, კნეინა გოსტაშაბიშვილი ვახტანგ ტაშირელს ნაანყდა. ორივენი კონცერტზე იყვნენ მოსული. იმ საღამოს ერთად სრულდებოდა მოცარტის, ბეთჰოვენის და ბერლიოზის მუსიკა. კნეინა ვახტანგს ზრდილობის გამო გამოელაპარაკა და სასწრაფოდ გაშორდა.

მეორედ იგი მოსკოველ აზნაურს კვლავ კონცერტზე შეხვდა, პარიზელები ჩელოზე დამკვრელ ჰოლანდიელ ბატქას კონცერტს ესწრებოდნენ. ცოტა

ხნის შემდეგ მან ტაშირელს შოპენის, ლისტის და ტალპერგის კონცერტებზე გოქირა თვალი, კვირის თავზე კონსერვატორიაში მენდელსონის სიმფონიის დამთავრულისთანავე ნაცნობ აზნაურს შორიდან უნებლივთ გაულიმა და როცა გვერდში კაბის შარიშურით გაუარა, რამდენიმე სიტყვით გამოელაპარაკა კიდეც. რამდენიმე დღის შემდეგ ლეპელტიეს ქუჩაზე, როცა ისინი ერთად შედოოდნენ თეატრში შარლოტა გრიზის ცეკვის საყურებლად, სადარბაზო კართან ახალგაზრდა კნეინამ ახალგაზრდა აზნაური ხელით შეაჩერა და გულწრფელი ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— ბატონო ვახტანგ, ნუთუ ასე გატაცებით გიყვართ მუსიკა და ხელოვნება.

ტაშირელმა მოკრძალებით დაუკრა თავი.

მუსიკისა და ხელოვნების სიყვარულმა ისინი ისე დაახლოვა ერთმანეთთან, რომ ერთად დაინყეს სიარული კონცერტებზე, თეატრებსა და გამოფენებზე.

როგორც ყველა არისტოკრატი, კნეინა გოსტაშაბიშვილიც უფრო ხშირად ფრანგულ თეატრში და დიდ ოპერაში დაიარებოდა (არისტოკრატებს ეს მემკვიდრეობითი უფლების ერთ-ერთ ატრიბუტიდ და მტანჯველ აუცილებლობად მიაჩინდათ), დემოკრატიული განწყობილებების ვახტანგ ტაშირელი კიყველა თეატრში, თუ კი სადმე გემოვნებით იდგმებოდა ახალი დრამატული ნანარმოები.

ახალგაზრდა ტაშირელს ხიბლავდა და იტაცებდა გრიზიტი ქალების როლების შემსრულებელი დეუაზე, რომელსაც რესპუბლიკელები აღტაცებით უკრავდნენ ტაშს, ხოლო ტრადიციული მორალის შებლალვით შემფოთებული კონსერვატორები კი უკავშირობოდ აქნევდნენ თავს. სისადავისა და ბუნებრიობის გამო მოსწონდა შარლოტა გრიზიც, რომელიც, პაინრიხ პაინეს სიტყვით, არისტოკრატიულ მაყურებლებში ისე ჩანდა, როგორც ფორთხალი კარტოფილის გროვაში. დემოკრატიული განწყობილების ოდნავი გამონაკრთობიც კი სცენაზე, მუსიკაში, ლექსში, რომანში თუ სურათზე მას ისევე ბეჭიერს ხდიდა, როგორც ყველას, ვინც კი თავისუფლებისა და თანასწორობის აზრით იყო გატაცებული.

კნეინა გოსტაშაბიშვილის კერძი სცენაზე რამელი იყო. რასინი და კორნელი ვერც მას უქარვებდა მოწყენილობას, მაგრამ მაინც ზედიზედ ესწრებოდა მათი პიესების წარმოდგენებს ფრანგულ თეატრში. ახალი დრამატურგებიდან იგი ვერც სკრიპს იტანდა და ვერც ალექსანდრე დიუმას და ერთგვარ უპირატესობას მხოლოდ ვიქტორ პიუგოს ანიჭებდა.

ვახტანგ ტაშირელს უკვირდა, რომ ჭკვიანი და განათლებული მაგდა გოსტაშაბიშვილი მხოლოდ სენ-უერმენის უბნის თვალსაზრისით უყურებდა ყველაფერს, რაც კი პარიზში ხდებოდა. იგიარიცნობდა არც მდაბიოთა პარიზს და არც პარიზელ ხალხს, თუმცა მისი ეტლის კოფოზე მეეტლედ ყოფილი სანკიულოტი იკვდა.

ამგვარ დასკვნამდე ტაშირელი იმ უბრალო აღმოჩენამ მიიყვანა, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილს ჯერ მარეში ფეხი არ დაედგა და იქაურობა არ

ენახა. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის პარიზის მეცნიერებულების მიერთოდა და აქ დიდხანს ცხოვრობდა. მარე ღატაკთა, საბრალოთა და განკუცხულთა მთავარი უბანი იყო. სწორედ მარე ქმნიდა საშინელ კონტრასტს პარიზის თავბრუდამხვევ ფუფუნებასა და ამაზრზენ სილატაკეს შორის, რომლის შესახებ იგი თავდავინყებით ელაპარაკებოდა კნეინას ხან თვალით ნანახის და ხანაც პრუდონის ახლადგამოსული ნიგნის მიხედვით.

#### 4. საშინელი სიცარიელე

— რას უჩვენებენ თეატრებში? — იკითხა ერთმა. — აი რას:

1. სიმფონია,
  2. სახელგანთქმული სკრიპტის პიესა,
  3. სიმფონია,
  4. მრავალნაყოფიერი სკრიპტის ახალი პიესა,
  5. სიმფონია,
  6. ეროვნული ცეკვები,
  7. ახალი კომედია ორ მოქმედებად, სკრიპტიდან გადმოთარებული,
  8. სიმფონია... — კმარა, კმარა, ლვის გულისათვის!
- მარიანო ხოზე დე ლარრა, „მადრიდის ცხოვრება“

კნეინა გოსტაშაბიშვილი, თავის მხრივ, ყურადღებით უსმენდა ვახტანგ ტაშირელს, მაგრამ ირონიულ ლიმილს ვერ მაღავდა, როცა მისი ახალგაზრდა მეგობარი პოლიტიკაზე ლაპარაკობდა. პოლიტიკისა და პოლიტიკოსების მიმართ კნეინა სკეპტიკურად იყო განწყობილი.

ერთხელ რომელიმაც ბანკეტიდან დაბრუნებულმა ტაშირელმა კნეინას აღტაცებით უთხრა:

— პარიზში ახალი რევოლუციის კვირაძალი დგება. ის, რაც ივლისმა ვერ შეძლო, იმას ახალი რევოლუცია გააკეთებს!

კნეინას ოქროსფეროთვალებში ირონიულმა ლიმილმა გაიელვა, თავის აზრში ლრმად დაჯერებული ადამიანის იერით ნარმოთქვა:

— რევოლუციას ერთნი აკეთებენ, მისი შედეგებით კი სხვები სარგებლობენ.

— ეგ ცნობილი აზრია, — ფრთხილად შეედავა კნეინას ტაშირელი, — მაგრამ ის, რაც მოხდა, იმას ველარავინ ვერ შეცვლის. რევოლუციის იდეა ამ სუჟუნეს ნითელი ზოლივით გაჰყვება. ადამიანთა შეგნებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც მტკიცედ გაიდგამს ფესვს.

კნეინამ გაიღიმა.

— იცით, ბატონო ვახტანგ, ვინ არის ამჟამად დემოკრატიის ყველაზე დიდი ნარმობადგენელი?

ტაშირელი მას ყურადღებით მიაცეკერდა.

— ნაპოლეონი!

ტაშირელს არ გაჰყვირვებია. რესტავრაციის პერიოდში და ივლისის რევოლუციის შემდეგ ნაპოლეონის ავტორიტეტი განუზომლად იყო გაზრდილი.

გის პიროვნებას ჯადოქრული შარავანდედით მოსავდა ისიც, რომ ევროპის გონარქიული რეჟიმები მას რევოლუციის ჯარის კაცს უწოდებდნენ. ეს დე-გოქრატოული ახალგაზრდობის აღფრთოვანებასა და თაყვანის ცემას იწვევდა.

— ნაპოლეონის სახელი, კნეინავ, — მთავონებით უპასუხა ტაშირელმა,  
— თავისუფლების იდეალს უკავშირდება. აი, რამაქცია იგი ახალგაზრდობის კერძად!

კნეინამ ისევ ირონიულად გაიღიმა

— ეს ილუზია, ბატონო ვახტანგ.

— არა, არა, — არ დათმო თავისი აზრი და შეხედულება ტაშირელმა — ახალგაზრდობამ შესანიშნავად იცის, რას ნიშნავს ნაპოლეონის სახელი და პიროვნება ისეთ დროს, როცა მტარვალნი კვლავ ფართვაშებენ!

კნეინას უყვარდა ვახტანგის გალიზიანება და გაბრაზება, ეს თითქოს კი-დევ უფრო აახლოვებდა მასთან. ამიტომ არც ახლა დაინდო იგი და მოკლედ მოუჭრა:

— დიახ, ილუზია, ლეგენდა!

— ლეგენდა?

— დიახ, ლეგენდა! ისეთივე ლეგენდა, როგორც ის, რომ ეს კორსიკელი დედამ იმ ხალიჩაზე შობა, რომელზედაც ორი ხახადალებული ლომი იყო ამოქარგული. ასეთი ხალიჩა არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობდა ზეადამისნური ნაპოლეონი. იგი მხოლოდ თავისი გასაოცარი ალლოთი იყო დიდი. მოვლენების განვითარებას თავის მომბმელი ესაჭიროებოდა. ქალა-ქელ ბურუუას, რომელმაც მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა, და სოფლელ გლეხს, რომელმაც მინა იგდო ხელთ, წესრიგის დამამყარებელი სჭირდებოდა. ასეთად ნაპოლეონი ალმოჩნდა თავისი ცნობილი კოდექსით.

— მართალი ბრძანება! — მყისვე დაეთანხმა ტაშირელი და ერთბაშად ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ამ აზრს ასე სხარტად და ორიგინალურად გამოთქვამდა არისტოკრატი ქალი, რომელიც უმთავრესად კარლისტებსა და რუს თავადებს შორის ტრიალებდა, — მაგრამ ნუ გავიწყდებათ, კნეინა, რომ ნაპოლეონი ნამებულის ელვარებითაც არის შემოსილი. პოეტები მას ახალ პრომეთეოსად თვლიან, რომელიც მტარვალებმა წმინდა ელენეს კუნძულზე მიაჯაჭვეს.

— ეგეც მითია და მეტი არაფერი.

ტაშირელი მოილუშა.

კნეინამ განაგრძო:

— მერე, იცით, ვინ შეთხზა ეს მითი?

— ვენის კონგრესის შედეგებმა, — უყოყმანოდ უპასუხა ტაშირელმა.

— არა, თვითონ ნაპოლეონმა.

— რასა ბრძანებთ, კნეინა! — გაუკირდა ტაშირელს.

— დიახ, თვითონ ნაპოლეონმა. წმინდა ელენეს კუნძულზე. ინგლისელების ტუსალს მითი და ლეგენდა სჭირდებოდა, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ,

ზეადამიანურობა, რადგან ეს კორსიკელი აზნაური ადრე მეტისმეტად აჭა-  
მიანური იყო. ისევე, როგორც ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებული  
ყველა ადამიანი, ნაპოლეონიც ძალიან ხშირად იყო ყოფილი რაღაც: ყოფილი  
კორსიკელი, ყოფილი იაკობინელი, ყოფილი რობერსპიერისტი, ყოფილი რეს-  
პუბლიკელი, ყოფილი კონსული, ყოფილი იმპერატორი. ნაპოლეონი მხოლოდ  
ნმინდა ელენეს კუნძულზე უნდა დარწმუნებულიყო, რომ ამდენ ყოფილ  
მარტო მითი ნაშლიდა და მხოლოდ ლეგენდა უკვდავყოფდა მის სახელს.

ტაშირელი ახლა უკვე ინტერესით უსმენდა კნეინას, რომელსაც სახესულ  
უფრო და უფრო ელრუბლებოდა და დაფიქრებული ლაპარაკობდა:

— ვგონებ, ყველა ჭკვიანმა მბრძანებელმა კარგად იცის, რომ ხალხს არა  
მარტო კოდექსი უნდა მისცე, არამედ კერპიც. სწორედ აქაა, ბატონოვახტანგ,  
ყოველგვარი მითის და ლეგენდის სათავე.

— ადამიანი უკეთესი ხვედრის ლირსია, კნეინა! — მეოცნების გატაცებით  
და მღელვარებით ნარმოთქა ტაშირელმა, — მონესრიგებულ საზოგადოებ-  
ბაში, მჯერა და მნამს, ადამიანი გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე აქამდე  
იყო და არის.

— ლმერთმა ქნას, ლმერთმა ქნას.

საჩქაროდ დამთავრა საუბარი კნეინამ, რომელიც ცხოვრებასაც და ადა-  
მიანთა ურთიერთობასაც სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ, ამავე დროს,  
პატივს სცემდა უახტანგ ტაშირელის უკეთესი მომავლისადმი შეუდრეველ  
რწმენას და მის ოპტიმისტურ განწყობილებას. ამ თვალსაზრისით თავისთან  
შედარებით მას ბედნიერ ადამიანად თვლიდა.

ისინი ერთად დაიარებოდნენ კონცერტსა და გამოფენებზე. მოსმენილისა  
და ნანახის გამო ორთავეს ერთი და იგივე შთაბეჭდილება რჩებოდა. საზო-  
გადოებრივი ნინაალმდევობანი მულავნდებოდა მუსიკაშიც, მწერლობაშიც  
და მხატვრობაშიც. სალონში გამოფენილ ტილოებზე მთავარი ყურადღება  
რელიგიურ სიუჟეტებს და ბიბლიურ პერსონაჟებს ეთმობოდა. მაგრამ საო-  
ცარი იყო, რომ ნინასნარმეტყველთა თავგადასავლის, ქრისტეს ვნებებისა  
და ნმინდანთა მარტვილობების მონაწილეებს სააქციო საზოგადოებების  
დირექტორების, რანტიების, კომერსანტების და კლერკების გამომეტყვე-  
ლება ჰქონდათ. როცა ეს აზრი ვახტანგ ტაშირელმა კნეინა გოსტამაბიმეილს  
გაანდო, მან ლიმილით უთხრა:

— თქვენი შთაბეჭდილება ორიგინალური არაა, ბატონოვახტანგ. ის,  
რაც თქვენ ეხლახან თქვით, თავის ერთ-ერთ კორესპონდენციაში აღნიშნა  
და „აუგსბურგელ ალგემაინე ცაიტუნგში“ დაბეჭდა ჰაინრიხ ჰაინრიქ. ჰო,  
თანამედროვე მხატვრები რელიგიას მეტ ყურადღებას აქცევენ, რელიგიურ  
სიუჟეტებს იმისთვის იყენებენ, რათა მონარქიის დაცვის საჭიროებას სურათე-  
ბზე აღბეჭდონ, ოღონდ მხედველობაში ყოველთვის თანამედროვე ბანკირები  
ჰყავთ. ერთი სიტყვით, მონარქიის გადარჩენა ეხლა რელიგიური აღტყინების  
საშუალებით სურთ. ეს აზრი ასულდგმულებს ყველა ამ მხატვარს, რომელთა

სურათები აქ არის გამოფენილი. ვგონებ, ამასვე ცდილობს დელაროში. ეს მხატვარი დაუსრულებლად მხოლოდ საფრანგეთის და ინგლისის სიკვდილით დასჯილი მეფეების და დედოფლების სურათებს ხატავს. არა, ეს სურათები სიმრალულის გამოსაწვევად როდი არის დახატული, ისინი ეძაფოტზე აყვანილი მეფეების და დედოფლების გასაოცარ მხნეობას და წარბმეუხრელ თავდადებას მოგვითხრობენ, თუმცა იმავე დელაროშის ერთ-ერთ სურათში მარა ანტუანეტას უბრალო მანდილოსნის ეპა აცვია, ხოლო მისი მეუღლე დახატვის ლირსად არ სცნო და ეძაფოტზე არ აიყვანა, ალბათ იმიტომ, რომ ლუი XVI ძალიან ჰეგავდა უბრალო და საწყალ ბურუუას, მხატვარს ამ შემთხვევაში არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო, რადგან ცოცხალი ლუი XVI გილოოტინის გვერდით ეხლაც ბევრს ახსოვს. აი, თუნდაც ჩემს მეეტლეს. რაღა მეტი გავაგრძელოთ, ამ მხატვრების სურათებიც დალორეტის ლვილისმშობლის ტაძრის აგებაც ფულის მფლობელთ, ნაპოლეონის კოდექსთან და ივლისის რევოლუციის შედეგებთან ერთად, მხოლოდ ბურუუაზიული წესრიგისათვის სჭირდებათ. ეს არის და ეს, ბატონო ვახტანგ!

— თქვენ... თქვენ... ქალბატონო მაგდა... — ენის ბორძიკით ძლივს წარმოთქვა ძალზე აღელვებულმა ტაშირელმა, — ხალხს თითქმის არ იცნობთ... საოცარია, პირდაპირ საოცარი, საიდან გაგიჩნდათ ეს მართებული აზრი...

საზოგადოებაში მუდამ უკმერ კნეინა გოსტაშაბიშვილს არ სწყენია, წყნარად მოაბრუნა ტაშირელისაკენ თავი და თითქმის ალერსიანად უთხრა:

— ბალზაკის რომანებიდან!

ტაშირელმა მის ეიაფად ნათქვამში ალერსიანი კილოს მაგიერ პილპილიანი ორონია ალმოაჩინა, შეცდუნდა, დაიბნა, განითლდა. კნეინას შეეცოდა, მკლავი მკლავში გაუყარა და იმ სურათს მოაშორა, რომელზედაც ჯვარცმის სცენა იყო გამოსახული.

— ამას წინათ, ბატონო ვახტანგ, — ხმადაბლა, სულ ხმადაბლა გადაულაპარაკა კნეინამ, — დიდხანს გიყურებდით, თუ როგორი აღტაცებით შესცექეროდით დელაკრუას თავისუფლების ქალღმერთს. დელაკრუა უეჭველად დიდი მხატვარია, მაგრამ თუ ახალი რევოლუცია მოხდა, როგორც თქვენ ხშირად ამბობთ ხოლმე, ბატონო ვახტანგ, დელაკრუა ხელს არ გაანძრევს, თითს თითზე არ დააკარებს, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო ვახტანგ.

ვახტანგ ტაშირელი ისე უცნაურად შეტოკდა, რომ კნეინას სიცილი მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა და ისეთნაირად მიეკრო მას, როგორც ამას არცერთ მამაკაცთან არ სჩადიოდა.

ტაშირელი თანდათან გონზე მოდიოდა და მის ცნობიერებაში მხოლოდ ერთი აზრი მნიშვნელოდა: „არა, არა. ეს კეთილი და გონებანათელი ქალი ცინიკოსი არ არის. მის გარშემო საშინელი სიცარიელე არის გამეფებული და ამას, აშკარად ჩანს, მტკიცენებულად განიცდის“.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, აზრთა წინააღმდეგობა და შეუთანხმებლობა მათი მეგობრობის საფუძვლად იქცა.

## 5. ორი მეგობარი

— გიყვართ თქვენ მუსიკა, ბატონი?  
— ძალიან, — უპასუხა ეცენდა  
ონორე დე ძალზაჟი, „მამა გორიშა“

ენეინა გოსტაშაბიშვილს მოსწონდა ახალგაზრდა ტაშირელი. ჯეროვნად აფასებდა ევროპულად აღზრდილი და განსწავლული ყმანვილის ცოდნასა და განათლებას. მან ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ვახტანგი არაჩემულებრივად მორცხვი, მორიდებული და მოერძალებული ახალგაზრდა იყო. ამიტომ მას ჯერ მფარველობითი გრძნობა გაუჩნდა მისდამი, უფრო გვიან კი ეს გრძნობა მეგობრულ და მოერდებულებაში გადაიზარდა. სწორედ ამის შედეგად გაიღო ვახტანგ ტაშირელისათვის ენეინა გოსტაშაბიშვილის სახლის კარი.

ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. დიდხანს საუბრობდნენ განმარტოებით მსხდარნი. ვახტანგი მაგდას ზოგჯერ ქართველი ემიგრანტების ისტორიას უყვებოდა, აღნიშნავდა მათი მოღვაწეობის მნიშვნელობას მოსკოვსა და პეტერბურგში, აცნობდა მათს პოლიტიკურ შეხედულებებს და ლოტერატურულ ინტერესებს. ქართველი ემიგრანტები უსაქმოდ არასოდეს არ მსხდარან, ეუბნებოდა ვახტანგი მას. ბევრი მათგანი ან წიგნის დამწერი იყო, ანდა წიგნის გადამწერი. მაგრამ არც საქართველოს ისტორია და არც ქართული ენციკლოპედია, აღტაცებით განაგრძობდა ვახტანგი, მონუენილობის გასაქარვებლად და თავის გასართობად არ ინერებოდა რუსეთში. ყველაფერ ამას, დასძენდა იგი, სრულიად გარევეული მიზანი ჰქონდა: ქართველი ხალხის გაევროპიელება, საქართველოს განათლებულ ევროპასთან დაკავშირება.

მაგდა ყურადღებით უსმენდა ვახტანგს. ამ დროს მას საკუთარი მამა ავონდებოდა. ეს კიდევ უფრო აახლოვებდა მას მოსკოველ აზნაურთან. ორივენი ქართველი ემიგრანტების შთამომავალნი იყვნენ, ორივენი რუსეთში დაბადებული და აღზრდილი, მაგრამ ორივე თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულად. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი წინაპრები ასი წლის წინათ იყვნენ რუსეთში საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ გადასულნი. მხოლოდ ახლა, ვახტანგ ტაშირელთან საუბრის დროს, ხვდებოდა კნეინა გოსტაბიშვილი ამის მიზეზს. მისთვის ახლა ცხადი ხდებოდა ისიც, რომ მისი მამა, თავადიდავით სავარსამიძე მთელი თავისი არსებით სამშობლო ქვეყანასთან იყო დაკავშირებული, მისით სულდგმულობდა, მის აწმყოზე დაფიქრებული და მისი მომავლით გატაცებული. ამიტომ ავროვებდა თურმე იგი ქართულ ხელნაწერ-და ნაბეჭდ წიგნებს, ამიტომ მწიგნობრობდა და სხვებსაც აქეზებდა, რათა ქართულად გადაეთარგმნათ, რაც კი ახალი და მნიშვნელოვანი იყო ევროპულ მწერლობაში, მეცნიერულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში.

კნეინა გოსტაშაბიშვილს ახსენდებოდა თავად სავარსამიძის ბიბლიოთურის ქართულად გადათარგმნილი წიგნების ავტორები: რასინი, კორნელი,

კოლტერი, მონტესეიიე, რუსო, მარმონტელი, ფენელონი, ფლორიანი, მილტონი; რუსი პოეტებიდან და მწერლებიდან: ლომონოსოვი, ხერასკოვი, დერუავინი, ხემნიცერი, კარამზინი. ყველაფერი ეს, რნმუნდებოდა კნეინა, მონუენილი ადამიანების ნამოღვაწარი ეი არ იყო, არამედ საკუთარი ხალხის და ქვეყნის ბედ-იღბლისათვის მოჭირნახულე, მზრუნველი და თავდადებული მამულიშვილების შემოქმედება. სწორედ ამის დადასტურებას და დაზტკიცებას ცდილობდა ახალგაზრდა ტაშირელი, როცა კნეინა გოსტა-გაბიშვილთან საუბრების დროს ქართულად გადათარგმნილ სხვადასხვა ნიგნებს ასახელებდა.

კნეინამ თავის ახალგაზრდა მეგობარს თავად დავით სავარსამიძის ბიბლიოთეკის კარი გაულო. ვახტანგ ტაშირელი სიხარულით ცას ენია, როდესაც ქართული ნიგნებით გავსებულ დიდ ოთახში მოხვდა. მისი გულნრფელი აღტაცებით მოხიბლულმა მაგდამ გადაწყვიტა მისთვის ყველაფერი ეჩვენებინა და გაეცნო თვით თავად სავარსამიძის ინტიმური დღიური და კერძო ნერილებიც ეი.

თავად დავით სავარსამიძის საწერი მაგიდის უჯრაში მისი დღიური ინახებოდა. იქვე ელაგა რუსეთიდან მისთვის გამოგზავნილი ნერილები. ამ უჯრის გასაღები კუთხეში დასვენებული ღვთისმშობლის ხატის უკან უბრალო ლურსმანზე იყო ჩამოკიდებული. მაგდა დროდადრო მამის დღიურს კითხულობდა, კერძო ნერილებს ეი ხელუხლებლად ინახავდა ისე, როგორც ისინი თავის დროზე მის მამას დაეტოვებინა. მათი შინაარსი მაგდამ არ იცოდა.

მხოლოდ ახლა მოინდომა მან მათი ნაკითხვა ვახტანგ ტაშირელის თანდასწრებით. ამ გადაწყვეტილებამ იგი საბოლოოდ დაარნმუნა, თუ რამდენად ახლობელი იყო უკვე მისთვის ეს მოსკოველი ახალგაზრდა აზნაური.

როცა კნეინამ ნერილებს შორის ქართულად გადაკეთებული რილეევის ლექსები აღმოაჩინა, ვახტანგ ტაშირელს თვალები გაუბრნებინდა და აღტაცებულმა ნამოიძახა:

- მაშ, მამათქვენი, თავადი დავით სავარსამიძე დეკაბრისტი იყო?!
- მამაჩემი ბევრ დეკაბრისტს იცნობდა, — მიუგო კნეინა გოსტაშაბიშვილმა, — მათგან ხშირად მოსდიოდა ნერილები და თვითონაც ნერდა ამათ ნერილებს. თუ გაინტერესებთ, მათ სახელებს ამ ნერილებში იპოვნით.

კნეინა გოსტაშაბიშვილი ნერილების კითხვას შეუდგა. იგი საწერ მაგიდასთან მამისეულ ვოლტერის სავარძელში იჯდა. ნერილებს ხმამაღლა კითხულობდა იმ თანამიმდევრობის მიხედვით, როგორადაც ისინი მაგიდის უჯრაში ელაგა, ვახტანგ ტაშირელი ფეხზე იდგა და ასე უსმენდა თავად დავით სავარსამიძის ასულს.

ქართველი ბატონიშვილების ნერილები პეტერბურგიდან იყო გამოგზავნილი, უცნობი მგზავრის ხელით. ჩვეულებრივ მოკითხვასა და პეტერბურგის ბალ-მასკარადების აღნერაში ყრუდ იყო ჩართული რაღაც მნიშვნელოვანი რამ, რაც მაღა საქართველოში უნდა მომხდარიყო. ნერილის დასასრულს

ქართველი ბატონიშვილები თავად დავით სავარსამიძეს თხოვდნენ მათი შეკრიუსათვის იმდენი ფული გადაეცა, რამდენსაც შესძლებდა, თვითონ კი დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო საქართველოში. კნეინა ვერაფერს მიხვდა, ტაშირელს მიაჩერდა და გაკვირვებით წარმოთქვა:

— მაშ, მამაჩემი ბატონიშვილების რჩევით წავიდა საქართველოში? მაგრამ რატომ ან რისთვის? ან რისთვის თხოულობდნენ მისგან ფულს ბატონიშვილები?

— როდის არის დაწერილი ნერილი, კნეინა? — ჰეითხა ტაშირელმა.

— 1828 წელს. სწორედ ამ წელს დაიღუპა მამაჩემი ახალციხისათვის პრძოლაში.

— თქვენც ამ წელს მოხვდით საქართველოში, კნეინა?

კნეინამ თავი დაუქნია.

— მამათქვენს, თავად დავით სავარსამიძეს არაფერი უთქვამს თქვენთვის საქართველოში გამგზავრების მიზეზებზე?

— იმ დროს ცამეტი წელი მისრულდებოდა, — უპასუხა კნეინამ, — მამაჩემს ძალიან ვუყვარდი, მაგრამ, ეტყობა, იმდენად პატარად მთვლიდა, რომ საჭიროდ არ ჩათვალა ჩემთვის საქართველოში წასვლის მიზეზი გაეგებინებინა.

ვახტანგ ტაშირელი ჩაფიქრდა. მერე თითქოს რაღაცას მიხვდა და მოავონდაო, აღელვებით წამოიძახა:

— 1832 წელს საქართველოში შეთქმულება მოხდა.

— ვიცი. ამ დროს მე თბილისში ვცხოვრობდი, — თქვა კნეინამ.

— ამიტომ, — განაგრძო ტაშირელმა, — შეიძლება ვითიქროთ, რომ თავადი სავარსამიძე შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებას აპირებდა. ბატონიშვილებიც ფულს ალბათ შეთქმულების მოსამზადებლად თხოულობდნენ. ეხლა არ მიკვირს, რომ მამათქვენმა საქართველოში წასვლის ნამდვილი მიზეზი არ გაგიმხილათ. რა თქმა უნდა, ანგარიშში ჩასაგდებია თქვენი მცირენლოვანობაც და შეთქმულების საიდუმლოებაც. ერთი რამ მაინც გამოსარკვევი რჩება, კნეინა. როგორ უნდა შევუთანხმოთ თავად სავარსამიძის რესპუბლიკური შეხედულებები შეთქმულების მიზანს? შეთქმულებს ხომ მეფობის აღდგენა სურდათ საქართველოში?

— ეს გასაოცარი არ არის, ვახტანგ, — ნყნარი ღიმილით მიუგო კნეინამ, — მამაჩემი რაღაცნაირად იყო დაკავშირებული ქართულ ამბებთან და საქართველოსთან. თუმცა ისიც, როგორც ყველა, ათასნაირი წინააღმდეგობით გამოიჩინდა. მე, მაგალითად, მონასტრის კათოლიკურ სკოლაში ვსწავლობდი, გამდელი კი მართლმადიდებლურად მანერინებდა პირჯვარს. ამავე დროს, მამა რესოს მიხედვით მზრდიდა ბუნების მაგალითებით. ვოლტერს თაყვანს სცემდა, მაგრამ აგერიმ ღვთისმშობლის ხატს ისეარჩაულიდა, რომ პირჯვარი არ გადაეწერა, თუმცა არც ღრმად მორნმუნე იყო და არც ცრუმორნმუნე.

— მაგრამ დღიურის ფურცლების მიხედვით თავადი სავარსამიძე აშკარად რესპუბლიკული ჩანს!

— შემიძლია დაგარნმუნოთ, რომ მამაჩიემი რესპუბლიკულად დარჩა. მაგრამ მოქედავად ამისა, მას ვფიქრობ, მაინც მონანილეობა უნდა მიეღო ქართველთა შეთქმულებაში, რომლის მონანილეთა შორის, ადვილად შესაძლებელია, სხვა რესპუბლიკულებიც იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ახლა უკეთ ვიცი, რაც ანუხებდა მამაჩიემს. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში, ვახტანგ, ისინი ვარდებიან, ვისაც მოქმედება სწყურია, მაგრამ მოქმედების სარბიელს მოკლებულია,

— ენეინა ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ დასძინა, — იმედის გაცრუება ხშირად რნმენის დაკარგვით მთავრდება.

— ეგ რაზე ბრძანეთ, ენეინა? — ფრთხილად შეაპარა სიტყვა ტაშირელმა. ენეინამ ნაღვლიანად გაიღომა და სევდიანად განაგრძო:

— ასე მგონია და ყოველთვის ასე ვფიქრობ, რომ მამაჩიემის გულჩათხრობილობის მიზეზი რნმენის დაკარგვა იყო. პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მავინდება, თუ როგორი მოქმედა მასზე დექაბრისტთა აჯანყების დამარცხებაშ. სულერთიანად შეიცვალა, დადარდიანდა, განმარტოვდა, მდუმარე და გულჩათხრობილი გახდა. ბევრს მოგზაურობდა, რადგან ერთ ადგილზე გაჩერება არ შეეძლო. ახლა კარგად ვხვდები და კარგად მესმის, რატომ გადადიოდა მამაჩიემი ქალაქიდან ქალაქში, რატომ ხეტიალობდა დაუსრულებლივ. სწორედ ამ დროს უნდა გასჩენოდა მას საქართველოში გამგზავრების სურვილი. ბატონიშვილების ნერილს მხოლოდ უნდა დაეჩეკარებინა ეს განზრახვა, მას მუდამ მოქმედება სწყუროდა, ბუნებით მოძრავსა და დაუდგრომელს. მოქმედების სარბიელი კი, როგორც ჩანს, მისთვის მხოლოდ საქართველოში იყო, რადგან რუსეთში დაბრუნება არ უნდოდა, აღარც ევროპაში უდგებოდა გული. დამეთანხმებით, ვახტანგ, რომ თვით განათლებულ ევროპაშიც ბევრს ისეთ რამეს ვნახულობთ და ვამჩნევთ, რაც ჩვენ უკეთეს მომავლისადმი რნმენას გვაეარგვინებს. იცოდეთ, ვახტანგ, ეს მამაჩიემის დღიურიდან ამოკითხული სტრიქონებია. მისი დღიური კარგად შევისწავლე, რადგან ამქვეყნად არავინ ისე არ მყვარებია, როგორც მამა მიყვარდა. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ჩემს აღმზრდელად სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, ალბათ ცხოვრებას ამ უკულმართ ნუთისოფელში ისევე ავიტანდი და გავუძლებდი, როგორც სხვა მდიდარი და განებივრებული ქალები იტანენ. მერნმუნეთ, ვინც მეტი იცის, მეტადაც იტანჯება, სენტიმენტალური ფრაზაა, მაგრამ სრულებით არ მრცხვენია ეს იმ ადამიანთან ვთქვა, რომელმაც კვლავ დამიბრუნა ძვირფასი მოგონებები და ერთხელ კიდევ გამახსენა ის, ვინც ჩემი არა მარტო მშობელი, არამედ ერთადერთი მეგობარიც იყო ამ ბედურულ ცხოვრებაში.

ტაშირელი სულგანაბული უსმენდა მაგდას. მისთვის სავსებით მოულოდნელი იყო ის, რასაც ახლა მას მედიდურობით და ამპარტავნობით განთქმული კნეინა ეუბნებოდა. ტაშირელისთვის არც იმის მიხვედრა იყო ძნელი, რომ ენეინა გოსტაშაბიშვილი არა მარტო საკუთარ მამაზე, არამედ საკუთარ თავზეც ლაპარაკობდა, იგი მის ნინაშე გულზვიადი ენეინას ნიღაბს იხსნიდა, რათა მისთვის ადამიანთა ურთიერთობაზე დაკვირვებული, ცხოვრებაში

ჩახედული და ცხოვრების ორომტრიალზე დაფიქრებული გულაზრიანი და გულნალელიანი ქალი ეჩვენებინა. მხოლოდ ახლა დარწმუნდა ტაშირელი, თუ რამდენად მახლობელი იყო კნეინა გოსტაშაბიშვილისათვის, დარწმუნდა და აღელდა. თვალები აუნყლიანდა. კნეინამ მისი მღელვარება შეამჩნია, ხელი ალერსიანი ლიმილით გაუნოდა. ტაშირელი მის გამონვდილ ხელს ცხარედ დაეკონა და მონინებით ეამბორა. იმ დღიდან ისინი განუყრელი მეგობრები გახდნენ.

## 6. თავად სავარსამიძის პიბლიოთაკა

მისი მამის პიბლიოთეკის გასაღები მის ხელთ იყო. პიბლიოთეკა უპირატესად XVIII საუკუნის ნანარმოებებისაგან შედგებოდა.  
ა. პუბეკინი, „როსლავლევი“

კნეინა ფეხზე ნამოდგა, ტაშირელს სანერი მაგიდის უჯრის გასაღები უჩვენს და უთხრა:

— ეს გასაღები ლვთისმშობლის ხატის უკან ლურსმანზეა ჩამოეიდებული, ვახტანგ. როცა კი მოისურვებთ, ყოველთვის შევიძლიათ უჯრა გააღოთ და ნერილები წაიკითხოთ. მე კი დღეს მეტი აღარ შემიძლია.

მან თავად სავარსამიძის პიბლიოთეკიდან მხოლოდ „ევგენი ონეგინის“ პირველი კარის პირველი გამოცემა გაიტანა ნასაკითხად.

ვახტანგ ტაშირელი უფრო ხშირად იმ ოთახში იჯდა, სადაც თავად სავარსამიძის ნაწერები და წიგნები იყო დაცული. თავადის პიბლიოთეკაში მან ბევრი ძველი ხელნაწერი წიგნი აღმოაჩინა და დაუყოვნებლივ შეუდგა მათ გადაწერას. უხაროდა, რომ პარიზში „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების და სხვა ძველი ქართული თხზულებების ვარიანტებს პოულობდა. თავად სავარსამიძის პიბლიოთეკა მისათვისა ამ მხრივაც საყურადღებო იყო და გატაცებით მუშაობდა.

მაგდა ხელს არ უშლიდა. იმ ოთახში საერთოდ აღარ შედიოდა. არც თავადი ან დუყაფარი ანუხებდა მას. თავადი მთელი დღით იყო ხოლმე დაკარგული. ლათინურ უბანში ერთი ბერძენის რესტორანში იჯდა, პილატილიან საჭმელებს შეექცეოდა და თან ცალი თვალი კარების კენ ეჭირა, გულგადალეული უცდიდა თბილელი ვაჭრების გამოჩენას. და რა კი ქართულის მცოდნე ვაჭრები მეტად იშვიათად მოდიოდნენ, გულს აღმოსავლურად მოსადილე ლევანტის ვაჭრების ყურებით იოხებდა.

ვახტანგ ტაშირელს მხოლოდ ზანდაროვის დავთრის შედგენა ართმევდა დროს. მაგრამ ბოლო ხანებში გრიგოლ ზანდაროვი დიდი ხნით ხან ლიონში იყო, ხან მარსელში. ეს ვახტანგს საშუალებას აძლევდა მთელი დღე გოსტაშაბიშვილების სახლში გაეტარებინა და თავად სავარსამიძის პიბლიოთეკაში თავაუღებლივ ემუშავნა.

ზოგჯერ მაგდა მას მზრუნველი მეგობრის კილოთი მოაფონებდა ხოლმე:

— გეყოფათ, ვახტანგ, კმარა, დაგლლით ამდენი მუშაობა.

ვახტანგი კი ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა:

— რასა ბრძანებთ, კნეინა! თავად სავარსამიძის ბიბლიოთეკაში იმდენი საინტერესო წიგნია, რომ ყველა ქართველის მოვალეობაა მათი აღნერა და აღნუსხვა. აქ ხომ ჩვენი ისტორიისა და კულტურის ნამდვილი საუნჯეა! მხოლოდ ასეთი წიგნებით შეიძლება თვალი გავუსწოროთ წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც.

ვახტანგ ტაშირელი არ იღლებოდა. რადგან გატაცებით და სიყვარულით მუშაობდა თავად სავარსამიძის ბიბლიოთეკაში. სხვადასხვა დროის მრავალნაორი ხელნაწერის კითხვა მას სულ უფრო და უფრო არწმუნებდა, რომ ქართველ ემიგრანტებს ორიგინალური და ნათარგმნი ნანარმოებები, ისტორია და ლიტერატურა, პოლიტიკური და ეკონომიკური ტრაქტატები, მეცნიერული ნაშრომები და ენციკლოპედიები სრულიად გარევეული მიზნისათვის სჭირდებოდათ — სამშობლოს აღორძინებისა და განვითარებისათვის.

ახალგაზრდა ტაშირელს თვალები სიხარულისაგან უბრნყინდებოდა, როცა რომელიმე ავტორის ნაზრევში რესპუბლიკური იდეებისა შეარა მქადაგებელს ჰოულობდა.

ხელნაწერების გულდასმით შესწავლის საფუძველზე იგი ადვილად ახერხებდა კავშირის დამყარებას ქართველ ვოლტერიანებს, ბონაპარტისტებსა და რესპუბლიკელებს შორის. ვახტანგ ტაშირელი იმასაც ამჩნევდა, რომ ქართველების ვოლტერიანობაც, ბონაპარტისტობაც და რესპუბლიკელობაც რესეტსა და დასავლეთ ევროპაში განვითარებული მოვლენებით იყო ნაკარნახევი და სრულიადაც არ წარმოადგენდნენ მნიგნობრული დაინტერესების ნაყოფს. ამას მოწმობდა ხელნაწერთა თარიღები. მისთვის გასაგები ხდებოდა ნაპოლეონის პიროვნებით გატაცების მიზეზიც XIX საუკუნის დამდეგს. მაგრამ მაინც აյვირვებდა ნაპოლეონის ცხოვრებასთან და მოლვანეობასთან დაკავშირებულ ქართულ ხელნაწერთა სიმრავლე. აღელვებდა ხელნაწერში დამონმებული სიტყვები: რესპუბლიკა „განაბრნყინებს ფრანციას“. ამავე დროს, მას არც ის რჩებოდა შეუმჩნეველი, რომ „ახალი მოვლენების“ გადმოცემისას, ახალ ფორმასა და ტერმინოლოგიაში მარჯვედ იყო გახვეული რეაქციული და პროგრესული აზრის მიმდევართა შეხედულებანი, სრულიად სხვადასხვა და ერთმანეთის გამომრიცხველი პოლიტიკური მიზანდასახულობანი. ერთნი მეფობის აღდგენას მოითხოვდნენ საქართველოში, რადგან მათთვის მიუღებელი იყო „ფრანგული ყაიდის რესპუბლიკელობა“, მეორენი, პირიქით, რესპუბლიკის გამარჯვებას უკავშირებდნენ სამართლიანობის დამყარებას. მათი აზრით, მხოლოდ თავისუფალი ადამიანების ქვეყანა შეიძლებოდა ყოფილიყო ჭეშმარიტად თავისუფალი. ასეთებს ეკუთვნოდა თვით თავადი დავით სავარსამიძე.

ვახტანგი დიდის ინტერესით კითხულობდა თავადის დღიურის. აღტაცებაში მოჟყავდა თითქმის ყოველდღიური ჩანაწერების აზრებსა და შეხედულებებს. ისევე როგორც ბევრ ქართველ მნიგნობარს, თავად სავარსამიძესაც საუსებით ჰქონდა შეგნებული მნიშვნელობა იმ ცვლილებებისა, რომლითაც „შეინიშნა დაბოლოება მეთერამეტე საუკუნისა“. ისიც გატაცებით ენაფებოდა და სწავლობდა მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, მედიცინას, ბუნებისმეტყველებას, ეპროპულ სამართალს და პოლიტიკურ ეკონომიკას. ყველაფერი ეს ქართულად იყო გადათარგმნილი და ფართოდ გავრცელებული. უკვე XVIII საუკუნეში გადაითარგმნა ქართულად ფლორინოვის „ეკონომიკა“ და დევერის „პოლიტიკური ეკონომიკა“. ეს ნიგნებითაერთ სავარსამიძის ბიბლიოთეკაშიც იყო დაცული. ტაშირელი მეცნიერის გულმოდვინებით და ყურადღებით ფურცლავდა ბავრატ ბატონიშვილის „საოჯახო ეკონომიკა“ და, სხვადასხვა ტექსტების ერთმანეთთან შეჯერებით, ადვილად პოულობდა იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ იმ ადგილების ნყაროებს, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ეკონომიკურ ტრაქტატებზე იყვნენ დამოკიდებული. ყველაფერი ეს მას საუკულეს აძლევდა იმის დასასკვნელად, რომ ქართული ემიგრაციის მოლვანენი თავიანთი სამშობლოს სამეურნეო აღორძინებაზეც ფიქრობდნენ. მაშასადამე, თუ საშუალება მიეცემოდათ, აღნიშნავდა თავისთვის ტაშირელი, თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენებდნენ.

ასეთ სურვილსა და მისწრაფებას ცხადად ადასტურებდა თავად დავით სავარსამიძის დღიურის ამაღლევებელი ფურცლებიც.

დღიურის მიხედვით, თავადი სავარსამიძე ახლად დამდგარი საუკუნის ადამიანად გამოიყურებოდა. და ისიც აშკარა იყო, რომ მას მძაფრად ანუხებდა ამ საუკუნის ტკივილები. „ძრნოდნენ მტარვალნი“ — ჩანერილი იყო მის დღიურში 1819 წლის 23 მარტს, სწორედ იმ დღეს, როცა სტუდენტმა ზანდმა კოცებუ მოკლა. იმავე წლის აგვისტოში, როცა მეტერნიხის ხელმძღვანელობით კარლსბადის თათბირზე პრესის თავისუფლება შეიზღუდა და უნივერსიტეტებზე მკაცრი მეთვალყურეობა დანესდა, თავადი სავარსამიძე ნერდა: „მტარვალნი უძლურნი არიან და არ ძალუდთ ისტორიის ჩარხის ტრიალი შეაჩერონ. გერმანიაშიც ის მოხდება, რაც ფრანციაში მოხდა, რუსეთშიც ის მოხდება, რაც გერმანიაში ხდება“. ტაშირელი დიდხანს დაფიქრებული დასცექოდა თავად სავარსამიძის დღიურის უკანასკნელ ფურცელს, რომელიც 1828 წლით იყო დათარიღებული. ამ ფურცელზე მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იყო დანერილი: „რესპუბლიკურები ადვილად შეიძლება მოურიგდნენ თვით მონარქისტებს, თუ საქმე საერთო ძალით თავისუფლების აღდგენას ეხება“. ამ სიტყვებმა ერთბამად გასავები გახადა თავად სავარსამიძის ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულებაში მონანილეობის მიზეზი. ტაშირელი გუმანით იმასაც ხვდებოდა, რომ 1832 წლის შეთქმულების მონანილენი რაღაცნაირად უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებული დეკაბრისტულ მოძრაობასთან და პოლონელების აჯანყებასთანაც.

ამის დანამდვილებით გავეძა მხოლოდ საქართველოში შეიძლებოდა, სადაც ვახტანგ ტაშირელისთვის უცნობი მოლვანენი აღმართ გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ყველაფერს, რაც კი მსოფლიოში ხდებოდა.

## 7. სკეატიპოსის საუბარი ფურიეს მიმდევართან

ახლოვდება გადატრიალების დრო.

ა. ბალასოვლოვ<sup>1</sup>

თვალსაცავის ბიბლიოთეკაში მუშაობამ, მისი დღიურისა და კერძო წერილების გაცნობამ ვახტანგ ტაშირელს საქართველოში ნასვლის სურვილი აღუძრა. თავისი სურვილი მან კნეინა გოსტაშაბიშვილს გაანდო. კნეინამ ლმობიერად გაულიმა, მაგრამ არც ირონიას მოერიდა.

— შეთქმულებაში ხომ არ აპირებთ მონანილეობას, ბატონო ვახტანგ?

კნეინას ირონიულმა შეკითხვამ ვახტანგ ტაშირელი დიდად გააკვირვა, რადგან ამით იგი არც საკუთარ მამას ინდობდა.

— შეთქმულება რატომ ახსენეთ, კნეინა?

— არ ვიცი, როგორ გითხრათ, რადგან არ მინდა განყენინოთ. შეთქმულებით იტალიელები ვერაფერს ხდებიან, მით უმეტეს, ვერაფერს ვახდებიან ქართველები. გამოტეხილად რომ გითხრათ, მე არც მამაჩემის საქციელს ვამართლებ. ნინ, ვგონებ, კარგი მაგალითი გაქვთ იმისათვის, რათა უბრალოდ არ გასწიროთ თავი.

ტაშირელმა მშვიდად მიუგო:

— მე შეთქმულებაში არ ვაპირებ მონანილეობას, კნეინა.

— მაშ, რა გინდათ საქართველოში?

— ჩვენს ქვეყანას განათლებული ადამიანები სჭირდება, კნეინა.

კნეინამ ირონიულად ახედა ფეხზე მდგარ ტაშირელს, მაგრამ მყისვე ისევ ლმობიერი გაუხდა სახე და დაყვავებით უთხრა თავის ახალგაზრდა მეგობარს:

— განათლებული კაცი ახლა თბილისში ვერ გაძლებს, ვახტანგ. დამიჯურეთ, რამდენიმე წელინადი გავატარე თბილისში და იქაურობას კარგად ვიცნობ. იქ არც გაზეთია, არც თეატრი, არც ქუჩებია განათლებული და ეტლსაც ვერსად ნახავთ. მე თვითონ პარიზში ხელახლად იმიტომ გამოვიქცი, რომ ნიგნი, თეატრი და მუსიკა მომენატრა.

ტაშირელმა კნეინას თავაზიანად შეუბრუნა სიტყვა:

— თქვენ საქართველოში გიცხოვრიათ, კნეინა, და, რა თქმა უნდა, ჩემზე მეტი მოგეხსენებათ მის შესახებ, მაგრამ მერნმუნეთ, ის, რაც თქვენს დროს თბილისში არ იყო, დღეს შეიძლება უკვე არსებობდეს. თუ დღეს არა, ხვალ

<sup>1</sup> „რადიკალური მიმართულების რუსი ფურიერისტი. ციტატა მოტანილია „პეტრუშევილთა საქმის მასალებიდან“.

აუცილებლად იარსებებს. როცა მრავლად გვეყოლება განათლებული ადა-  
მიანები, დამეთანხმებით კნეინა, გაზეთის, თეატრის, სკოლის და განათლე-  
ბული ქუჩების საჭიროებაც გაჩნდება. მაგრამ განა უკვე თქვენს დროს არ  
იძეჭდებოდა „თბილისის უნივერსიტეტი“? არა მგონია, ქართველთაგან არავინ  
ზრუნავდეს სულისა და გონების საზრდოსათვის. ერთი კარგი მაგალითი  
შემიძლია შემოვთავაზოთ. მოსკოვში ერთი ნაცნობი ქართველის ხელნაწე-  
რიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები გადმოვინერე. ამ ლექსებს არა-  
ფერო აქვთ საერთო ძველ ლექსთნივიბასთან. ახალია მათი ფორმაც, აზრის  
მოძრაობაც და შინაარსიც, განა ეს ბევრის მეტყველი არ არის, კნეინა?

კნეინა გოსტაშაბიშვილს თვალები გაუბრნებინდა, გულნრთველი აღფრთო-  
ვანებით ნამოიძახა:

— ეგ ჩვენი ტატოს ლექსებია! კარგი ყმანვილია...  
— არ ვიცნობ, კნეინა, ის კი ვიცი, რომ მის ლექსებს ბევრი გამოჩენილი  
პოეტი მოინონებდა.

— ტატოს ლექსებიდან, — განაგრძო გახსალისებულმა კნეინამ, — რა-  
ლაც-რალაცები მაგონდება, მაგრამ კარგად არ მახსოვს. ვერ ნარმოიდვენთ,  
ვახტანგ, რანაირად მასიამოვნეთ და გამახარეთ, როცა ტატო ახსენეთ. ეს  
ყმანვილი ყველას გვიყვარდა, თუმცა ყველანი ვჯავრობდით, როცა ჩვენზე  
ხუმრობდა და ქირქილებდა.

— იქ ალბათ სხვებიც პოეტობენ, კნეინა, — გაახსენა თავისი თავი ტაში-  
რელმა კნეინას, რომელსაც მზერა გაუშტერდა და ეტყობოდა, თბილისელი  
ნაცნობების მოგონებით იყო გართული.

— რა თქმა უნდა, — გამოერკვა კნეინა, — აი, მაგალითად კურკა, გრიგოლ  
ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ქართველებში ყველაზე სახელოვანიდა  
გავლენიანი კაცი... მაგრამ შეთქმულების შემდეგ ყველანი რუსეთის ქალაქებ-  
ში გადაასახლეს და დაფანტეს. არ ვიცი. რა ბედი ენიათ მათ.

— მათი საქმის განმგრძობნი უეჭველად იქნებიან საქართველოში, — ისევ  
ლრმა რწმენით ალაპარაკდა ტაშირელი, — მეც ამიტომ მიმინევს სამშობლო-  
საკენ გული. მინდა ჩემი პატარა ცოდნა და განათლება ჩემს ქვეყანას დახალხს  
მოვახმარო. ეს ყველა განათლებული ქართველის მოვალეობაა, კნეინა.

კნეინამ ცნობისმოყვარეობით შეხედა ტაშირელს და ჰკითხა:

— თქვენ, მაგალითად, ვახტანგ, რა უნდა გააკეთოთ საქართველოში?  
ტაშირელმა პასუხი არ დაუგვიანა:

— მასწავლებლად დავდგები ან გაზეთის თანამშრომელი გავხდები. შეი-  
ძლება სოფლის მეურნეობასაც მოვეკიდო ხელი და გლეხებს რჩევა-დარიგებე-  
ბით მივეშველო. არ ვიცი ჩემს ქვეყანას როგორ და რით გამოვადგები, მაგრამ  
ის კი კარგად ვიცი, რომ არც თავს და არც შრომას არ დავზოგავ.

— როგორც ჩანს, თქვენ მხოლოდ ვაჭრობასა და კომერციას არ ჰკიდებთ  
ხელს, — სიცილით უთხრა მაგდამ, — ეტყობა, თქვენი და ბატონ ზანდაროვის  
გზები თბილისში გაიყრება.

— გრიგოლ ზანდაროვი... კნეინა... — ენის ბორძიუით დაიწყო რატომლაც სახენამონით ლებულმა ტაშირელმა, რაც კნეინას შეუმჩნეველი არ დარჩა და უსამოვნოდ შეიკრა წარბი, — საინტერესო პიროვნებაა...

— პარიზელი ქალებისათვის ხომ არა? — გაიცინა მაგდამ და სცადა გულ-გრილი იერი მიეღო.

— არა... არა... კნეინა მაგდა... — აირის და უარესად გაწითლდა ტაშირელი, — მე სულ სხვა რამ მქონდა მხედველობაში. ბატონი ზანდაროვი, ამის შემჩნევა ძნელი არ არის, უფრო ევროპელი კომერსანტია, ვიდრე აღმოსავლეთელი სოფიაგარი. სწორედ ამან მაფიქრებინა, რომ საქართველოში ერეკლე მეფის დროება აღარ სულევს.

— ეგ რუსული მმართველობის შედევია.

— ეგეც, რასაკვირველია, გასათვალისწინებელი გახლავთ. ჩვენს ქვეყანას მშვიდობიანი ცხოვრება დაუდგა. გლეხი ეხლა იქ გულდამშვიდებით ამუშავებს მიწას, ვაჭარი უშიშრად ვაჭრობს, ხელოსანი ხელოსნობს. ქვეყანა ნელში გაიმართა და დოვლათი ისევ დატრიალდა. განა ამისთვის არ ვინვდიდით ხელს რუსეთისაკენ? ამისათვის არ ვთხოვდით შველას, დახმარებასა და მფარველობას? მაგრამ თუ ქვეყნის აღორძინებას საკუთარი ნიადაგი არა აქვს, იმას უცხო ძალა, ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერაფერს უშველის. მთავარი აზრი, რაც მე ჩემი წინაპრების და თავად სავარსამიძის ბიბლიოთეკის ნიგნების კითხვიდან გამოვიტანე, ის არის, რომ მხოლოდ მშვიდობიანი ცხოვრება, სპარსეთისა და ოსმალეთისაგან განთავისუფლება, განათლებულ და დანინაურებულ ევროპასთან დაახლოება და დაკავშირება უზრუნველყოფდა ქვეყნის მომავალს, თორემ ქართველებს არც ისტორიული გამოცდილება გვაკლდა და არც ნიჭი და უნარი...

— მაგრამ ყველაფერი ეს რით და როგორ ხდის საინტერესოს ბატონ ზანდაროვის პიროვნებას? — ველარ მოითმინა მაგდამ და ვახტანგს სიტყვა შეაწყვეტინა.

— იმით, კნეინა, რომ ცხოვრებას ალლოს ულებს და ისე იქცევა, როგორადაც ცხოვრების მიმართულება უკარნახებს. მე ხომ მის მიერ ევროპის ქალაქებში ნაყოფი საქონლის ნუსხებს ვადგენ. ამიტომ კარგად ვიცი, რას და რატომ გზავნის ბატონი ზანდაროვი საქართველოში: ფორტეპიანოებს, ევროპულ ავეჯს, სარკეებს, ჭაღებს, სამკაულებს, ქსოვილებს, სირაქლემის ფრთით დამშვენებულ ქალის ქუდებს, ჰოლანდიურ ხალათებს, ხელთათმანებს და თვით ხელსახოცებსაც კი. ასეთ რამეებს თბილისში მომხმარებელი რომარ ჰყავდეს, ჩვენი გამოცდილი ვაჭარი არც თავს შეინუხებდა და არც ფულს დახარჯავდა. მაშასადამე, ერთიღა შეიძლება დავასკვნათ, თბილისშიც გამდიდრებული მოქალაქენისევი ცხოვრობენ, როგორც პარიზის ბურუუაზოული უბნების მდიდრები.

— არ მესმის, ვახტანგ, რა არის აქ გასაოცარი და გასაკვირველი? ასე იქცევა ყველა ვაჭარი, რათა რაც შეიძლება მეტი მოიგოს და მოიხვეჭოს. არა მგონია, ყველაფერი ეს ბატონ ზანდაროვს საინტერესო პიროვნებად ხდიდეს.

— ყველა დროს თავისი შესაფერისი ვაჭარი ჰყავს, კნეინა. მე მხოლოდ ამის თქმა მინდოდა, მთავარი ისაა, ვინ როდის რითი ვაჭრობს.

— ჩემთვის გეეითხათ და გეტყოდით, ვახტანგ, უკვე ჩემს დროს აღუქ სანდრე ჭავჭავაძის ქალები ფორტეპიანოზე უკრავდნენ და ფრანგულად ტიტინებდნენ. ახალგაზრდა თავადის ასულები დეკოლტიანი კაბებით იმო- სებოდნენ, მხოლოდ მანანა გერმანოზიშვილის მსგავსნი და ხნიერი კნეინები ატარებდნენ ქართულ კაბებს. ყველაფერი, რაც კი გაევროპიელებული ქალების და კაცების შესამოსად და ოთახების მოსართავად იყო საჭირო, იმ დროსაც ვაჭრებს ევროპიდან მოჰქონდათ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მჩვენებს ამის გამო საინტერესო პიროვნებად.

— თბილისელი ვაჭრებიდან მხოლოდ ბატონ ზანდაროვს ვიცნობ, კნეინა.

— მე კი ცხენებზე და აქლემებზე შემსხდარი ვაჭრებიც მინახავს თბილისში. როდესაც პარიზის შემდეგ ამ მტვრიანსა და ტალახიან ქალაქში აღმოჩნდებით, დარწმუნებული ვარ, ხელები ჩამოგვცევით და ისევ მოსეოვში გაიქცევით საცხოვრებლად, ამის თქმას ჩემი საკუთარი გამოცდილება მაბედვინებს, ვახტანგ.

ვახტანგი გაჩუმდა. აღარაფერი თქვა. მაგდამ გამარჯვებულის იერით და კეცა მარაო და ფეხზე ნამოდგომა დააპირა, მაგრამ ტაშირელმა ის ხელის უნებლიერ მოძრაობით შეაჩერა და უთხრა:

— მე ჯერ არ მითქვამს, რატომ მეჩვენება საინტერესო პიროვნებად ბა- ტონი ზანდაროვი, ამიტომ არ მინდა ყალბი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, კნეინა.

კნეინამ გაიცინა:

— არ ვიცი, ასე რატომ ირჯებით ბატონი ზანდაროვისათვის, ვახტანგ, ჩემთვის ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ თქვენ ბატონი ზანდაროვი არც მოგწონთ, არც თვალში მოგდით და არც პატივს სცემთ მას. თქვენი ხასიათის, აზრებისა და მიღრეკილებების ადამიანს არ შეიძლება საინტერესო პიროვნებად ეჩვენებოდეს ეს თავხედი ვაჭარი.

ტაშირელი დაიბნა, განითლდა და ერთხანს ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა.

## 8. საინტერესო პიროვნება

აქ ვნახეთ ერთი ბებერი რუსი სენატორი... სხვათა შორის გვითხრა, როჩილდი არის აქო და ჰპირდება რეინის გზისათვის საქართველოში მე მოგცემთ ფულებსო... ნარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, პოი, როდის მომასწრებს ღმერთი, რომ ჩვენ ქვეყანას გზა ეშველოს. გიორგი ერთსთავი, „ჩემი მოგ ზაურობა ევროპაში“

როდესაც ვახტანგ ტაშირელი იბნეოდა და ნითალდებოდა, კნეინა გოსტაშა- ბიშვილი მას ყოველთვის სიყვარულით უყურებდა და მზად იყო გადახვეოდა

და გადაეკოცნა იგი. მას გულწრფელად უყვარდა ეს პატიოსანი, კეთილშობილი, მორცხვი და მოკრძალებული ყმანვილი კაცი. მის თანაყოფაში ჩვეულებრივ გოროზი და მეაცრი სახე ლმობიერი უხდებოდა, ბაგეზე კეთილი ლიმილი დასთამაშებდა, თუმცა ამავე დროს მის ოქროსფერ თვალებში მნვანედ განათებული ირონის ნაპერნკლებიც კიაფობდნენ. მაგრამ სწრაფად ახერხებდა ირონის ალაგმვას, რადგან მისდამი მეგობრულად იყო განნუობილი და ამ მეგობრობას არა მარტო ჯეროვნად აფასებდა, არამედ უფრო ხილდებოდა კი დეც. გრძნობდა, რომ მის მონოტონურ, ერთფეროვან და აუმღვრეველ პირად ცხოვრებაში რაღაც ჯერ გაურკვეველი, მაგრამ ამაღელვებელი ცვლილებები ხდებოდა და რომ საერთოდ მის ცხოვრებას ახალ მიმართულებას აძლევდა გრიგოლ ზანდაროვიც და ვახტანგ ტაშირელიც.

ახლაც მან ალერსიანად შეხედა ტაშირელს, მეგობრულად ჰქითხა:

— განა მე მართალი არა ვარ, ვახტანგ?

აღელვებული ტაშირელი დიდხანს ხმას არ იღებდა. მერე განანუენებულმა საყვედურით მიმართა კნეინა გოსტაშიშვილს:

— არავისთან არასოდეს არ მიძაგებია ბატონი ზანდაროვი, კნეინა. არც ჩემი მისდამი დამოკიდებულების შესახებ მითქვამს ვინმესთვის რამე ოდესმე.

— მართალია, მართალი, — საჩქაროდ მოუგო მაგდამ, რომელსაც მარაოს სწრაფ მოძრაობაზე შეეტყო, ნათქვამს უკვე ნანობდა.

ტაშირელი სივრცეს მიაჩერდა და ისე განავრძო:

— ბატონი ზანდაროვი მე მხოლოდ იმ მხრივ მეჩვენება საინტერესო პიროვნებად, რომ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში ახალი დროების მაუნიებელია, თავისდა უნებურად ახლის მკეთებელი და ახლისათვის მოღვანე. ამ შემთხვევაში მის ადამიანურ ნაკლსა და ღირსებებს დიდ მნიშვნელობას სრულიად არ ვანიჭებ, ამიტომ, მერნმუნეთ, კნეინა, მას არც ვაძაგებ და არც ვაქებ. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ბატონი ზანდაროვი სოვდაგარი კი აღარაა, არამედ კომერსანტი, რომელიც ახალ დროებას უქმნის ნიადაგს. ეს ჩემთვის უკვე მოსკოვში გახდა ცხადი, სადაც ბატონ ზანდაროვს პირველად შევხვდი და გავეცანი. თვითონ გრიგოლ ზანდაროვს კარგად ესმის ფულის ძალაც და მნიშვნელობაც. ეს გაუნათლებელი, მაგრამ ევროპული გემოვნებით ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცი ზოგჯერ ისეთ აზრებს გამოთქვამს, რომ ვინ იცის, რამდენჯერ განცვითრებული დავრჩენილვარ. ამას ნინათ რკინიგზით ერთად ვიმგზავრეთ პარიზიდან სენ-ელუმდე. ბატონი ზანდაროვი გაბრწყინებული სახით იყურებოდა მატარებლიდან და აღტაცებული მეუბნებოდა: „აი ნახავ, უფალო ვახტანგ, ათი ან ოცი ნლის შემდეგ ასეთ რკინიგზას ჩვენშიაც გაიყვანენ. მაშინ მნახე ვინა ვარ, რისი გამკეთებელი ვარ! ეხლა ვინ იცის, სად არ დავეთრევი საქონლის სასყიდლად, მაშინ მე თვითონ ვიქნები ფაპრიკის პატრონი და თვითონ დავამზადებ საქონელს გასასყიდლად. თბილისელი ვაჭრები ეხლა ჯარისათვის მოტანილი ჩექმებით და ტანსაცმლით ვმდიდრდებით, რადგან ქალაქში ფეხსაცმელსაც და

ტანსაცმელსაც ცოტა მყიდველი ჰყავს, მე ახლა ფაბრიკა რათ მინდა, გრძელომ არა ვარ, რომ ზარალი ვნახო?!" ეს რომ თქვა, ამას ისეთი რამ დასძინა, რომ, ნარმოიდვინეთ, კნეინა, გაოცებისაგან სახტად დავრჩი. მომიბრუნდა, და მეუბნება: „უფალო ვახტანგ, კარგად დაიხსომე ჩემი სიტყვა. დიდი ხან არ გაივლის და ნახავ, რომ მთელ რუსეთში გლეხებს ყმობისაგან გაათავისულებენ. ისე რუსეთში ფაბრიკები არ გამრავლდება, უამისოდ კი რუსეთსაც და მის ხელმნიფესაც ყველა დასჯაბნის. პოდა, როცა გლეხებს გაათავისულებენ, კასტელასავით (თბილისელი მეფაბრიკე ყოფილა, კნეინა) მუშახელს როსკიპებში და ტუსალებში კი არ დაუუწყებ ძებნას, სადაც მინდა, იქვიმუშნ. მეც, ამას ლაპარაკი რაღათ უნდა, ფაბრიკას გავაღებ. ამით, არ გევონოს, ჭუანავაგო. მუშახელი ქალაქსაც გაზრდის და მყიდველსაც გაამრავლებს. ეხლა უცხო ქვეყნებიდან ძვირფასეულს მარტო თავადების და მდიდარი ოჯახებისათვის ვეზიდებით. აბა, სხვა ვინ იყიდის? მოგებას ეხლაც ვნახულობთ, მაგრამ მერე სულ სხვა დახლი გამოვა, იმდენს მოვიგებთ, რომ დათვლა გაგვიჭირდება. სოფლებიდან ჩამოსული გლეხები დღიურ ქირაზე კიარივლიან, როგორც ეხლა არის, ფაბრიკებში იმუშავებენ, მუშებად გახდებიან. ამის მეტი მაღრიბის ქვეყნებში სხვა რა ვნახე? მუშას არც მინა უნდა, არც ბოსტანი, არც ბალი, არც საჩეჩელი და არც ჯარა. იმან ყველაფერი ბაზარზე უნდა იყიდოს: მწვანილიც, პურიც და ხორციც. ეხლა ჩასაცმელ-დასახურავს არ იკითხავ? მუშას ყველაფერი სასყიდელი გაუსდება, ჭუდით დაწყებული და ჩუსტით გათავებული. სახლის პატრონსაც ქირა უნდა გადაუხადოს და ვინ იცის, რამდენი სახლი აშენდება ჩვენს თბილის ქალაქში, რამდენი აგური დასჭირდებათ მაცხოვრებლებს, რამდენი კრამიტი თუ თუნუქი, რამდენი ხეტყის მასალა, რამდენი ლურსმანი, შუშა, საღებავი და ვინ იცის, კიდევ რა და რა. ამას ზედ დასაბანი, დასარეცხი, დასაკერებელი მიათვალე და ნახავ, რა დახლი დადგება. აი, როდის მოგვცემს მოგებას აგურხანა, ფეხსაცმლის ან შუშის ფაბრიკა, თუნდაც საპნის ან დუგმების გამკეთებელი ქარხანა. როცა ქალაქში ბევრი მყიდველია, ქინძისთავებით უფრო ბევრს მოიგებ, ვიდრე მარგალიტების ვაჭრობით. მე რომ აქ საკერავი მანქანის მუშაობა ვნახე, იმისთანა ქალაქში ვის უნახავს? ეგ რა არის? შენ სხვა მანქანები იკითხე! მაგრამ სანამ ჩვენშიც ისე მოხდებოდეს, როგორც აქ არის, მანამდე მარტო ვაჭრობა გვმართებს, თორემ გაკოტრებას წინ არაფერი დაუდგება. ამიტომ ისევ ის მირჩევნია, აქაურ მეფაბრიკებს გავურიგდე, ვიდრე ფაბრიკა გავალო, კასტელასავით კუტრი გავხდე და ქვეყანას თავი მასხრად ავაგდებინო". ყველაფერი, რაც ეხლა მოგახსენეთ, კნეინა, იმ კაცის ნათქვამია, რომელსაც არც ადამ სმიტის და არც რიკარდოს სახელები სმენითაც არ სმენია და არც არასოდეს გაუგონია. იგი მხოლოდ ალლოთი ხვდება ცხოვრების მიმდინარეობას. ჩვენი ჭკვიანი და წინდახედული ვაჭარი ამთავითვე ითვალისწინებს, თუ რა სარბიელი შეიძლება გადაიშალოს მის წინ ათი ან ოცი წლის შემდეგ. იქ, სადაც ზანდაროვები ჩნდებიან, უეჭველია განათლებული ადამიანებიც

გახდების საჭირონი. გაზრდილ და ხალხმრავალ ქალაქს მარტო ბაზრები და მაღაზიები კი არ დასჭირდება, არამედ გაზეთიც, სკოლაც და თეატრიც. აა, რატომ გადავწყვიტე საქართველოში ნასვლა. დარწმუნებული ვარ, რომ იქ ჩემთვისაც აღმოჩნდება მოღვაწეობის სარბიელი.

ენეინამ ყურადღებით მოისმინა ტაშირელის გრძელი მონოლოგი, მაგრამ გისმა ნათქვამმა მასზე თითქმის არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. გოსკოველ ახალგაზრდა აზნაურთან შედარებით მას მეტი გამოცდილებაც ჰქონდა და ცხოვრებასაც უკეთ იცნობდა. ამასთან, მისთვის გამოცანას არ ნარმოადგენდა არც გრიგოლ ზანდაროვი და არც ვახტანგ ტაშირელი. კირველი ცხოვრებაში იმარჯვებდა და არც შეიძლებოდა არ გაემარჯვა. მეორე ეი, კნეინას დაკვირვებით, ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებელი იყო. ლარიბი აზნაური ადამიანებისა და საზოგადოების გარდაქმნაზე ოცნებობდა, მაგრამ თვითონ სოვდაგრის გროშებით ცხოვრობდა. უკვე ეს გარემოება ირონიის საბაბს იწვევდა. კნეინა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველოში მას მხოლოდ უფერული მოხელის ადგილი შეეძლო ეშვეა, ხოლო მისი წიგნებიდან ამოქრეფილი აზრებისა და იდეებისათვის აქ არავითარი სარბიელი არ არსებობდა. ამავე დროს, არც იმის უარყოფა შეიძლებოდა, რომ ტაშირელს შეურყევლად სწამდა და სჯეროდა ადამიანის გაკეთილშობილება, სამართლიანობის გამარჯვება და მოწესრიგებული საზოგადოების დამყარება. კნეინას ერთგვარად შურდა კიდეც მისი მტკიცე რწმენა და ჭაბუკური გატაცება, მაგრამ ოცდაათ წელს მიღწეულს ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ ოდესმე ვახტანგ ტაშირელიც ისევე დაკარგავდა ადამიანის გაკეთილშობილების რწმენას, როგორც თვითონ მას ჰქონდა დაკარგული.

## 9. მოულოდნელი გადაწყვეტილება

უცებ იგი ნერვიულმა კანკალმა აიტანა. „რას ნიშნავს ეს? მიყვარს თუ არა მე ის?“ — და მყისვე უპასუხა: — ჰო, ჰო. მე მიყვარს... მე მიყვარს.

გუსტავ ფლობერი,  
„სენტიმენტალური აღზრდა“

გოსტაშაბიშვილები პარიზში რუსი და ქართველი გლეხების ბეგარით და გადასახადებით ცხოვრობდნენ. კნეინა თავისი რუსული მამულების მოურავს ისე ხვდებოდა, როგორც ეს მეაცრ მებატონე ქალს შეეფერებოდა, სასტიკი იერით და უცხვირპიროდ, რათა მოურავს მოტყუების და თაღლითობის სურვილი არ გასჩენოდა. გულდასმით ამონმებდა ყმა-გლეხების სიებს, აკრეფილ გადასახადებს, მამულების შემოსავალ-გასავალს, განსაკუთრებით კი ხორ-

ბლით ვაჭრობის მოგებას, რაც მას ისევე ამდიდრებდა, როგორც ოდესის ნაკ. სადგურთან ვაჭრობით და კავშირებულ ყველა მსხვილ რუს მინისმფლობელს. ამავე დროს იმათ თანაუგრძნობდა, ვინც ყმა-გლეხების განთავისუფლების აზრს გამოთქვამდა. მხოლოდ ამით უხდიდა იგი ხარჯს საკუთარ სინდისს.

უდრტვინველად, სინდისის ქენჯნის გარეშე, დაუზოგავად და უთავბო. ლოდ ფლანგავედა და ფანტავედა კნეინა გაძეალტყავებულ ყმა-გლეხთანთ. ფლარს. აუარებელი თანხები სჭირდებოდა პარიზში ფულუნებით (ცხოვრებას, სენ-უერმენის მდიდრული ჰოტელის, ეკიპაჟის და ეტლის, საჯინიბოს, ბულონის ტყეში სასეირნო ცხენების და მრავალრიცხოვანი მსახურების შენახვას, დაუსრულებელ მოგზაურობას და იტალიის და ესპანეთის პატარა ქალაქების პანია სასტუმროებში ჩამოხტომას, სადაც იგი ამაოდ ცდილობდა სულის მყუდროების მოპოვებას, განმარტოვებას და თავდავინყებას. პარიზში ერთ კი გაფაციცებით ყიდულობდა სამკაულებს, ოქროქსოვილებს, ძველებულ და ახლებურ ავეჯს, ნოხებს, ხალიჩებს, გობელენებს, ფარდებს, ფარდაგვებს. სასადილო დარბაზი გავსებული იყო ფლანდრიული ნატურმორტებით, სხვა ოთახების და დარბაზების კედლები — განთქმული მხატვრების ორივინალუბით. მათ შორის იყო რემბრანდტის „მლოცველი ბერი“, ვან-ბალენის „პატორალი“ და ლუკა კრანახის „შეუფერებელი ქორწინება“. ერთი ბუდუარში ეკიდა, მეორე — სასტუმროში, მესამე — საწოლ ოთახში. ეს უკანასკნელი სურათი არ ენახა არც მის ქმარს და არც მის საყვარლებს.

ახალგაზრდა, მდიდარი და ნებიერი ქალბატონი შეუფერებელ ქორწინებაში ეძებდა თავის განდევილობისადმი მიღრეკილების მიზეზს. ოლონდ მხატვრის სურათზე ახალგაზრდა ქმრის გვერდით ბებერი დედაკაცი იდგა. ცხოვრება-სულში კი ახალგაზრდა ცოლის გვერდით ხნიერი და ბრიყვი მამაკაცი.

ტიტული და სიმდიდრე კნეინა გოსტაშაბიშვილს საშუალებას აძლევდა დამოუკიდებელი ყოფილიყო (რასაც ხელმოკლე და ცხოვრებაში გამოუცდელი ტაშირელი, მისი აზრით, ვერასოდეს მიაღწევდა). თუმცა ყველაფერი ეს მას არც კმაყოფილების გრძნობას ანიჭებდა და არც ბედნიერ ადამიანად ხდიდა. ვერ იტანდა და ვერ ურიგდებოდა მარჯვედ და ოსტატურად შენილბულ ურთიერთუნდობლობას, შურს, სიხარბეს, ჭორს, ცილისნამებას, პირფერობას და ბინიერებას. მაღალ საზოგადოებაში ყველა ამ ბოროტების აღმოჩენა მხოლოდ დაკვირვებულ თვალს შეეძლო. ასეთებს თავისი აღზრდით და რუსოს წიგნების წყალობით კნეინა გოსტაშაბიშვილიც ეკუთვნოდა. დაბალ საზოგადოებას ის არ იცნობდა. დარნმუნებული იყო, რომ დუხშირი სიღატაკე და მომქანცეველი შრომა დაბალი საზოგადოების ადამიანებს უფრო სასტიკა და ულმობელს ხდიდა, ვიდრე მაღალი საზოგადოების გასისინებული და ნატიფი ნარმომადგენლები იყვნენ. ლიონის აჯანყების შემდეგ სალონებში შიძით ლაპარაკობდნენ ფაბრიკების დაზგებთან მომუშვე ლურჯბლუზიანებზე. ისინი არისტოკრატებსაც და ფაბრიკების მფლობელებსაც უფრო საშიშად მიაჩნდათ, ვიდრე ქუჩების და მოედნების

ნინანდელი სანკოულოტები. ადამიანთა შორის ისეთი მტრობა და სიძულ-  
ვილი სუფევდა, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილს მათ შორის არც თანხმობის  
დამყარების სჯეროდა და არც მონესრიგებული საზოგადოების არსებობის  
შესაძლებლობა.

გასუკე აღარაფერი იტაცებდა, ხიბლავდა და აღელვებდა. აღარც თეატრი  
ანიჭებდა სიამოვნებას და, მით უმეტეს, არც უნიჭო მხატვრების გამოფენები.  
გოყირჭებული ჰქონდა სკრიპტი, სახელდახელოდ შესრულებული სიმფო-  
ნიებიც და დელაროშის სურათებიც, უილბლო ქორწინებით გაღიზიანებული  
კნეინა გოსტაშაბიშვილი ყველაფერს თვალით უყურებდა. მისთვის პირადი  
ცხოვრება აღარ არსებობდა. ამიტომ სულ უფრო და უფრო გულგრილი  
ხდებოდა ადამიანური გრძნობების მიმართ. მარტოდმყოფი და მონყენილი  
საზოგადოებასაც გაურბოდა და საკუთარ თავსაც. თავი მუდამ ღირსეულად  
ეჭირა, მაგრამ მედიდური და ამპარტავანი კნეინას ნილბის ტარება ქანცავდა  
და დღლიდა. ეს მისთვის მომაბეზრებელიც იყო და აუტანელიც. მონყენილობის  
გამო სასონარ კვეთილებამდე მისული კნეინასათვის, ნამდვილი აღმოჩენა იყო  
გრიგოლ ზანდაროვიც და ვახტანგ ტაშირელიც. ზანდაროვი მას ცხოვრების  
ნურვილს უღვიძებდა, ხოლო ტაშირელი — მეგობრობის დავინყებულ რნ-  
მენას.

მაგრამ, რა თქმა უნდა, მას ერთ სიმაღლეზე არ შეეძლო დაეყენებინა ზან-  
დაროვიდა ტაშირელი. თუ პირველთან იგი თავისი რომანული ურთიერთობის  
გამართლების საბუთს ვერ პოულობდა, სამაგიეროდ, მეორესთან მეგობრული  
ურთიერთობა თავისი ადამიანური ღირსების გადარჩენის საწინდრად მიაჩ-  
ნდა. დედაკაცი ზანდაროვისკენ მიიღო ტაშირელისკენ. ვახტანგი თავისი ინტელექტით მასთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე ზანდა-  
როვი. ამ უკანასკნელს ჯერ ერთი წიგნიც არ ჰქონდა გადამლილი, მაგრამ  
განსაცვიფრებელი აღლოთი, გასაოცარი მიმბაძველობით და ცხოვრების  
კონტრასტებთან შეგუების არაჩვეულებრივი ნიჭით და სიცოცხლით ტებობის  
გადამდები უნარით იყო დაჯილდოებული.

დაბნეულმა მაგდამ არ იცოდა რომლისთვის მიენიჭებინა უპირატესობა.

ტაშირელის მონოლოგში მისთვის საინტერესო იყო მხოლოდ ის, რომ ზან-  
დაროვს მალე პარიზი უნდა დაეტოვებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო.  
იქითენ მიიღო ტაშირელიც. კნეინა შეფიქრიანდა. ერთდროულად იგი  
საყვარელსაც კარგავდა და მეგობარსაც. მარტოდმყოფობის და მონყენილი  
ცხოვრების შიში შემოენთო. უნდოდა ტაშირელთან ზანდაროვის გამგზავრე-  
ბის გამო ჩამოეგდო სიტყვა, მაგრამ ერიდებოდა. სათქმელს შორიდან მოუარა.

— აღბათ, თბილისშიც განუყრელად იქნებით თქვენ და ბატონი ზანდა-  
როვი, ვახტანგ.

— არა, კნეინა, — უპასუხა ტაშირელმა, — იმას თავისი გზა აქვს, მე ჩემი.  
ისე ეი, ამას რაღა თქმა უნდა, სალაში ღვთისაა!

კნეინამ დრო უხელთა და ჰერთხა:

— როდის მიემგზავრებით, ვახტანგ?

— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როდის დავამთავრებ თავად სავარსამის ძიბლიოთების კატალოგის შედგენას. ჩემის ვარაუდით, ორი ან სამი თვეის შემდეგ მოვახერხებ წასვლას.

— ალბათ, ბატონ ზანდაროვთან ერთად? — ვითომ სხვათა შორის ჰქონდა კნეინამ და სცადა გულგრილი და განუჭრეტი იერი მიეღო.

— არა, კნეინა, — უთხრა ტაშირელმა, — ერთი კვირის შემდეგ ბატონი ზანდაროვი მარსელში ხომალდზე ავადა ზღვით სამშობლოში გაემგზავრება.

მაგდა ისეთნაირად შეინძრა სავარძელში და ისეთნაირად გაფიტრდა, რომ მას ტაშირელი გაოცებით მიაცქერდა. კნეინას შერცხვა. განითლდა, საჩქაროდ წამოდგა. ტაშირელს თავის დაკვრით გამოეთხოვა და თავის ბუდუარისაკენ გატრიალდა. განცვითრებული ტაშირელი თავად სავარსამიძის ბიბლიოთეკისაკენ გაემართა.

ბუდუარში განმარტოებული მაგდა ერთ ადგილზე გაქვავებული და გაპტერებული იდგა, ტაშირელი თავისუფალ ფურცელზე გადაშლილ კატალოგს დასცქეროდა და თავის თავს ეკითხებოდა:

— ნუთუ სიყვარული უფრო ძლიერია, ვიდრე ადამიანის გონება?

მაგდას თანდათან გონება ენმინდებოდა, ბუდუარის კედელზე „მლოცველ ბერს“ მიაშტერდა. უცებ ზეცისაკენ ხელების აპყრობა და ლოცვის ნარმოთქმა მოუნდა, მაგრამ ვერც ერთი შეძლოდა ვერც მეორე, რადგან ღმერთის სახელთან ერთად პირჯვრის გამოსახვაც და ლოცვებიც დავინყებული ჰქონდა. ალმურმოკიდებული სახე ხელებში ჩარგოდა ყრუდ აქვითინდა. მერე ცრემლები შეიმშრალა და ნერვიული ბოლოთის ცემას შეუდგა.

დიდხანს სცემდა ბოლოთას ბუდუარში კნეინა გოსტაშაბიშვილი. პარიზის დატოვების გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, თავს მაინც უწყრებოდა.

ანაზდად სარკეში თავის ორეულს მოჰკრა თვალი, შედგა, ზიზღით შეხედა და ბრაზით მიაძახა:

— ძუკნა!

თქვა და სწრაფად შეტრიალდა, რათა ოდესლაც მიუკარებელი და პირგა-მეხებული კნეინას ნირშეცვლილი სახე არ დაენახა.

# კარი მეჩვიდმეტე

## 1. დაბრუნება

ქალაქის გარეგანი შეხედულება იცვლება. განათლებულ  
ქალაქებს ემზგავსება.  
გაბრიელ სუნდუკიანი, „ხათაბალა“

გრიგოლ ზანდაროვი მარმარილოს წყაროსთან გადმოვიდა საფოსტო ეტლიდან. ქალაქი აქ თავდებოდა, მაგრამ ეტყობა, უკვე განზე, ვერისკენ მოინევდა.

გრიგოლმა ცნობისმოყვარეობით მოხედ-მოიხედა. მარმარილოს წყაროს-თან ძველი დუქანი ისევ იდგა. ყაბახის შემდეგ იქ ისევ მოდიოდნენ ქალაქელები დროს გასატარებლად და საქეიფოდ. მაგრამ ახლომახლო ახლად ნაგები შენობებიც მოჩანდა. მხარმარჯვნივ ალექსანდრე ჭავჭავაძის სასტუმრო იყო ამართული, რომელიც რამდენიმე ნლის შემდეგ „პარიზის ნომრებად“ გადაკეთდა. უფრო ზევით, შუა აღმართზე, კომენდანტის ქუჩაზე, ალექსანდრე ჭავჭავაძისავე საცხოვრებელი სახლის გრძელი, თეთრად შეღებილი აივანი გარეთუბნის ბორცვების ნუშის ტევრებს გადმოსცეროდა. ამდენი შენობა ამ ადგილზე გრიგოლ ზანდაროვს არ ახსოვდა. გარეთუბნის გრძელი და განიერი ქუჩის გასწვრივ ძველ ქოხმახებს და სახლებს ანგრევდნენ. ხარაჩოებზე შემდგარი კალატოზები გამალებით მუშაობდნენ და ახალი მრავალსართულიანი შენობების ასაგებად აგურს აგურზე სდებდნენ.

გრიგოლმა გაიღიმა.

ესიამოვნა.

ნარბი მხიარულად შეათამაშა.

რედუტ-კალედან თბილისამდეიგი ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. განსაკუთრებით იმ ადგილებს, სადაც, მისი ვარაუდით, რკინიგზას უნდა გაევლო. ცივი გონიერით ანგარიშობდა და მოსაგებსაც და წასაგებსაც ფრთხილად სწონდა. რედუტ-კალედან თბილისისაკენ მიმავალი ურმების გრძელი აღალები მას უფრო მეტად არწმუნებდა, რომ რკინიგზა მისი ქვეყნისათვის ისევე აუცილებელი გახდებოდა, როგორც ზღვის გადაღმა ქვეყნებისათვის, სადაც ვაჭრობის საფუძველს მრეწველობა წარმოადგენდა.

მარმარილოს წყაროსთან ქალაქის მინას ფეხი ოდნავ აღელვებულმა დაადგა, მაგრამ ამავე დროს ისე ამაყად და ზეიადად, როგორც ეს ფულით განებივრებულ მფლობელს შეეფერებოდა.

სამგზავრო რედინგოტში გამოწყობილ ბატონს გარშემო კურტინიანი მუშები შემოეხვივნენ. გრიგოლ ზანდაროვმა თავისი ბარგი-ბარხანა კურტ-

ნიან მუშას აჟეიდა, ნინ გაუშვა და თვითონ უკან ტაატით მიჰყვა. თვალშე ეცა ახალი, მრავალსართულიანი სახლები. გიმნაზიის ნაცნობმა შენობამ, მთავარმართებლის სასახლემ და სამხედრო შტაბმა პეტერბურგი, ვენა და პარიზი მოავონეს. ერეენის მოედანზე ავანაანთ ხევს რომ ჩაუარა, გულისძერით გადახედა ახმაურებულ ბაზარს. აქ ერთხელ ეიდევ მოავონდა ფირუზა, თეთრი ლიზა და მაიკო კურტანიძე. ფეხს აუჩქარა. თან აქეთ-იჭრი იხედებოდა, სოლოლაკის მხარეს, ამაღლების ექლესიასა და პოლიციის შენობას შორის, ლელვის ბალები, ტრიალი მინდვრები და მწვანე გორკები მოჩანდნენ. მხოლოდ აქა-იქ ამართულიყვნენ ახლად ნაგები, იტალიური სტილის ეკელუცი სახლები. ზანდაროვს თვალი იქით დარჩა და მტკიცედ გადანყვიტა, თვითონაც იქ აემენებინა ყველაზე მაღალი და მდიდრული სახლი.

მას გუნება მხოლოდ იმ დროს გაუფუჭდა, როცა ანჩისხატისკენ შეუხევა და ვინრო ქუჩაზე ერეულეს დროინდელ ჯუჯა სახლებს შორის აღმოჩნდა. ქალაქი ისევ ამ არემარეში მდებარეობდა, რადგან სოლოლაკი და გარეთუბანი ახლად სახლდებოდა, ვერა კი ჯერ ისევ დაუსახლებელი იყო. თავრიზის მოედანზე და შეაბაზართან მხოლოდ რამდენიმე ვაჭარს ჰქონდა აშენებული დიდი, ევროპული ყაიდის სახლი. მათ შორის ყველაზე უერთესი ანჩისხატის ტაძრის და ერეულე II-ის სასახლის მახლობლად მდებარე მელქო ფერშანგოვის სახლი იყო, სადაც ფერშანგოვის ნაშიერებთან ერთად ზანდაროვებიც ცხოვრობდნენ.

ფირუზასთან და თეთრ ლიზასთან შეხვედრის მოახლოებამ გრიგოლს გული აუჩქროლა. ეიდევ უფრო აღელვებდა მაიკო კურტანიძის ნახვა. მოუთმენლად მოელოდა ახლო „ნათესავებთან“ და საყვარელ ქალთან შეხვედრას. ყველაზე მეტად მაინც თაფლისფერთვალება მაიკოს ნახვას ჩქარობდა, მის ეისეისა სიცილს მონატრებული და მოწყურებული.

თვალი ფერშანგოვის დიდ სახლს მიაპყრო, ვეღარ მოაშორა, მხოლოდ ახლა მიხვდა, როგორ უყვარდა ფირუზაც, თეთრი ლიზაც და მაიკოც. ჩქარი სიარული სირბილით შეცვალა, მუშას კარგა ნინ გაუსწრო.

ქუჩაში მოთამაშე ბიჭების წრეს უეცრად ერთი პატარა ბიჭი მოსწყდა, შერდულივით გაქანდა ფერშანგოვის სახლისევენ და თავქუდმოგლეჯილ შევარდა სადარბაზო კარში.

სანამ გრიგოლი სადარბაზო კართან მიირბენდა, იქიდან ფირუზა და თეთრი ლიზა გამოცვილენ და გრიგოლისევ გამოიქცნენ. მაგრამ თითქოს რაღაც მოაგონდათო, ერთბაშად ორთავემ ნაბიჯი შეანელა, გაევირვება და რიდი ერთდროულად გამოესახათ სახეზე. მათ ნინ გიგა ზანდაროვის მაგიერეიდაც უცხო, „ფრანგულად“ ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცი იდგა.

გრიგოლ ზანდაროვი გახარებული მივარდა მათ, გადაეხვია, გადაეოცნა; კოცნით კინალამ ლოცები დააგლიჯა, თან ცრემლნარევი ხმით იძახდა:

— როგორა ხარ, ფირუზან... როგორა ხარ, ლიზაჯან...

ფირუზა ჩუმად იყო. იქედნურად იღიმებოდა. თეთრი ლიზა მონინებით და მოკრძალებით იდგა. ბატონეული ჩაცმულ გიგასთან ახლოს მისვლა ვერ გაეძედა. სიხარულის ცრემლებით გავსებული თვალები დაბლა დაეხარა. მაუან ლურჯ თვალება ბიჭი გაოცებული იყურებოდა. მხოლოდ ახლა იცნო გრიგოლმა შუშანიკის პირმშო, კოსტა მამრაძე. გაზრდილიყო, ტანი აეყარა, გრიგოლმა მას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, ფირუზა და თეთრი ლიზა ნერით შეათვალიერა:

— რა ვქნა, რა დაგემართათ? რატომ გამარჯობას არ მეუბნებით? არ მე-  
გონა, თუ დიდი ხნის უნახავს ეგრე დამხვდებოდით...

ფირუზამ ჩაიცინა, აუჩქარებლად მოუგო:

— რა უნდა გითხრა? მე სოვდაგარი გაგგზავნე, შენ კი ტანცის უჩიტელი  
გამხდარხარ!

— ქა, ტანცი-მანცი საიდან მოიტანე? — გაჯავრდა უცებ თეთრი ლიზა, —  
ჩვენი გიგა სუდის დიდსა ჰგავს!

ფირუზამ ცოლს შეუბლვირა. გრიგოლს ისევ იქედნურად შეხედა.

ახალგაზრდა ზანდაროვს უცხოეთში ქალაქელი სოვდაგრების ნათევამი  
მოაგონდა. მისთვის მყისვე გახდა გასაგები ფირუზას უკმაყოფილების მიზეზი.  
გაიცინა. ფირუზას ეჭვების გაქარნყლება მოინდომა:

— მე ისევ ისა ვარ, ფირუზან, რაც ვიყავი. როგორიც არ გამგზავნე,  
ისეთივე დავბრუნდი.

ფირუზამ უნდობლად თავი გადააქნ-გადმოაქნია. უკმაყოფილოდ ჩაი-  
ბუზდუნა:

— მაგაზე მაშინ ვიღაპარა კოთ, როცა დავთარს გადავშლით.

თქვადა გრიგოლს ზურგიშეაქცია, სადარბაზო კარში შევიდა, კუშესნელა აპყვა.  
გრიგოლმა ენაზე იკბინა. არ მოენონა. წარბი შეიკრა.

დაღლილ-დაქანცულმა მუშამ ბარგი სადარბაზო კართან გადმოილო.  
სახიდან და კისრიდან ოფლი ახალუხხის ბოლოებით მოინმინდა. მოთმინებით  
დაუწყო ლოდინი ზანდაროვის განკარგულებას.

გრიგოლმა მოისაზრა. მუშას საჩქაროდ ბარგი მაღლა სახლში აატანინა,  
გროში გადაუგდო და გაისტუმრა.

ზანდაროვები ფერშანგოვის დიდ ოთახში დასხდნენ.

გრიგოლმა რედინგოტი გაიხადა და ისეთი მდიდრული ხალათი ჩაიცვა,  
რომ ისედაც ნარბშეერული ფირუზა უარესად მოილუშა და ნარბთან ერთად  
ჟირც შეიკრა. თეთრი ლიზა ისევ დაიბნა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო,  
ფეხზე მოკრძალებით დამდგარიყო, თუ თავისთვის სადმე კუთხეში მიმჯდა-  
რიყო. ხალვათხანებში საშინაოდ ასე მდიდრულად მის ნაცნობებში არავინ იყო  
გამოწყობილი. თვით ჩაცმა-დახურვის მოტრფილე ფირუზა შინ ყოველთვის  
სოვდაგრული ახალუხხით იჯდა. გალურსული თეთრი ლიზა გრიგოლისადმი  
უნებლიერ მონინების გრძნობით იმსჭვალებოდა და ქმარსავით იმასაც პირზე  
კლიტე დაედო.

ჩამოვარდნილი დუმილი ფერშანგოვებმა დაარღვიეს.

თთახში შუმანიკი და ფერშანგოვის დედა შემოვიდნენ. ნინ ქრისტინე და კოსტა მოუძლოდათ. უკან ძალზე განითლებული ვარდისმონა მოსდევდათ. გრიგოლმა თავაზიანად მოიკითხა შუმანიკი, კიდევ უფრო თავაზიანად მიესალმა ფერშანგოვის დედას, თავმდაბლად და სიყვარულით ჰერთა:

— როგორა ხარ, დედიჯან!

ნასიამოვნებმა ფერშანგოვის დედამ გრიგოლს შუბლზე აკოცა და კეთილ სიტყვებით დალოცა. მაგრამ ყველამ შეამჩნია, რომ გრიგოლმა კოსტის თავზე ხელი არ გადაუსვა, არც გაეთამაშა, არც ქრისტინე აიყვანა და გულში არ ჩაიხუტა, როგორც ნინათ იცოდა ხოლმე.

ფირუზა ისევ ნარბშეერული იჯდა.

გრიგოლმა ერთი ნამით შეაჩერა მზერა შუმანიკზე. მისი ყოფილი სატრიუ უკვე ჯანგატეხილი ქალი იყო, ნააღრევად გაჭალარავებული და დაბერებული. მასში გრიგოლმა ოდესლაც ლამაზი ქალის შორეული ლანდილა აღმოაჩინა, მაგრამ უნებლიერ ყურადღება მიაქცია მის მეტად კეთილ და სათნო სახეს, მშვიდად და წყნარად მაცერალ ლმობიერ თვალებს, რომელნიც, ამავე დროს, მტკიცე ნებისყოფასაც გამოხატავდნენ და მომავლის უშიშარ რნმენასაც. შუმანიკის დათოვლილი თავი და ნაოჭებად შეკრული შუბლი ახალგაზრდა ზანდაროვში ერთგვარ საბრალულს ინვევდა, მაგრამ არც აღელვებდა და არც თანაგრძნობას უღვიძებდა.

თავაზიანი კითხვა-მოკითხვა დიდხანს არ გაგრძელებულა.

ზანდაროვებს და ფერშანგოვებს სიტყვის მასალა შემოაკლდათ.

შუმანიკი ფეხზე ნამოდგა.

გრიგოლმა ის ხელის წყნარი მოძრაობით შეაჩერა. ოთახის კუთხეში დაზვინულ ბარგთან მივიდა. მოზრდილი ბოხჩა გახსნა და იქიდან ორი ლამაზად დახატული, აბრეძემის ფერადი თასმებით შეკრული ყუთი ამოიღო, ბავშვებს გადახედა და ღიმილით გაემართა მათკენ.

— ეს ფრანგული ნუგბარია, — თქვა მან, — პირი ჩაიტკბარუნეთ.

სიტყვა ველარ დასრულა და ისე გადასცა კანფეტებით გავსებული ყუთები ბავშვებს, რადგან ვერც კოსტას სახელი გაიხსენა და ვერც ქრისტინესი.

შუმანიკმა გრიგოლს მადლობა გადაუხადა. ფირუზამ ეს ყუთებიც ჩაგდო ანგარიში და უარესად მოილუშა.

დერეფანში ფერშანგოვის დედა ხმამალლა ამბობდა:

— კარგი კაცია გრიგოლი. ჩემი მელქუა ჭკვიანი სოვდაგარი იყო, ნინდახედული. სასიძოდ რიგიანი და პატიოსანი ყმანვილი ამოირჩია, მაგრამ ვინ დაუჯერა?!

დედაბერს თავს მხოლოდ ვარდისმონა უკანტურებდა. ფერშანგოვების ძველ მოახლეს ახლაც კედლის საათის უჭკუო გუგული აგონდებოდა და თვალები სინანულის ცრემლებით ევსებოდა.

## 2. ესიამოვნო საუბარი

შენ ოლონდ ფულის ყადრი იცოდე! უფულოდ სულ ტყუილია, სულ  
ცარიელი სიტყვებია.  
გაბრიელ სუნდუკიანი, „დაქცეული ოჯახი“

ფერშანგოვების ნასვლის შემდეგ შემერთალი და თავგზაბნეული თეთრი  
ლიზა ქმარს შორიდან პირდაღებული შესცეკეროდა. რაღაცას ანიშნებდა,  
სიტყვის თქმას კი უერა ბედავდა. რაკი ქმარს ვერაფერი გააგებინა, ფრთა-  
მოტეხილივით აფუსფუსდა. დრო იყო სადილის თადარიგს შედგომოდა, თან  
ეშინოდა, ბატონიაცობას მიჩვეულ გრიგოლს მისთვის სადილი არ დაეწუნე-  
ბინა. თათარიახნად ყველაფრის გაკეთება შეეძლო. ხიზილალა, თევზეული და  
ლვინო სახლში გამოულევლად ჰქონდა. არც თავისი საყვარელი ტკბილეული  
აკლდა. სამწვადე ხორცისათვის ბიჭს ყასბებთან აფრენდა, ეზოში ვარიებს  
დაიჭერდა და ტაბაკებს შენვავდა, ახლად გამომცხვარ შოთ პურებს იქვე  
მახლობლად მდებარე დუქნიდან მოატანინებდა, „ფრანგული საჭმელების“  
არაფერი გაეგებოდა და ამიტომ არც ის შეიძლებოდა სცოდნოდა, თურა უფრო  
სასამოვნო იქნებოდა ნამგზავრი და დაღლილი გრიგოლისთვის, რომელიც  
რაღაც მანქანებით „ნამესტნიკის ოდენა“ ბატონიაცად გადაქცეულიყო.

თეთრმა ლიზამ, როგორც იქნა, ოთახიდან გასვლა მოახერხა და რჩევის  
საკითხავად ფერშანგოვის დედას მიმართა. დედაბერი ჩაფიქრდა, ასეთ  
დროს, საერთოდ, დიდხანს ფიქრობდა. სარჩევს და სათქმელს ერთბაშად  
არასდროს არ იტყოდა. ახლაც რამდენჯერმე გადათვალა მარცვლები  
კრიალოსანში, რამდენჯერმე დიდმნიშვნელოვნად ჩააცემდა ყურადღებად  
გადაქცეულ თეთრ ლიზას, დაბოლოს, დინჯად ნარმოთქვა:

— ხორცი დავნაყოთ და კათლეთები გავაკეთოთ. მელქუასაგან გამიგონია,  
ხელმწიფე რომ სოვდაგრების ქარვასლაში დაპეატიცეს, სულ ბოლოს კათ-  
ლეთები ჩამოუტარებიათ. ხელმწიფეს თურმე დიდად ეამა და მადლიერიც  
დარჩა, — ეს რომ თქვა, მყისვე ათვალნუნებით დაუმატა, — შენი დაძმარებუ-  
ლი ლვინო ვის რად უნდა? ნემეცებთან, რიყეზე, ბიჭი გავგზავნოთ და იმათი  
ლვინო მოვატანინოთ.

თეთრი ლიზაც ისე მოიქცა, როგორც დედაბერმა დაარიგა.

ფირუზასთან მარტო დარჩენილმა გრიგოლმა, რათა მომაპეზრებელი დუ-  
მილიროგორმე დაერლვია, ცხვირჩამოშვებულ ოჩხუბს სხვათა შორის ჰკითხა:

— შეძანიკა როგორ არის? როგორა ცხოვრობს?

ფირუზა ავყიად შეიძმუშნა, პასუხი დაუგვიანა, ნყალობასავით გადმოუგ-  
დო, ეტყობოდა, გუნებაზე არ იყო და ლაპარაკი ეზარებოდა.

— როგორ უნდა იყოს? ისე ცხოვრობს, როგორც ეხლანდელები ცხოვრო-  
ბენ, ნამეტნავად ტანცის უჩიტლებად გამხდარი სოვდაგრები. მამის ნაშოვარს  
ქარს ატანს, უანგარიშოდ ფლანგავს.

გრიგოლი შემთხოთდა:

— იმაზე მეტს ვერ დახარჯავს, რაც აპეკუნობის ქაღალდით აქვს გადაწყვეტილება.

ვეტილი.

ფირუზა გაძრაზდა, უეცრად ლაპარაკის საღერღელი აეძალა, ჯავრის ამოყრა ერთხმად მოინდომა:

— განა ეგ კი ცოტაა?! ტყუილ-უბრალი ფული რათ უნდა იხარჯებოდეს? ვინც ფულს არ უფრთხოდება, არ იცი, რომ ბოლოს კუტრი გახდება: ამას ნინ რა უდგას? მაგალითებს სანთლით ძებნა რათ უნდა? არა, მამაშენი სულონის ვეზირი ან ვექილი როდის იყო, რომ მავისთანა ხალათით ოთახებში დადგინდა?

ფულებს ნყალმი რათა ყრი?

გრიგოლს ფირუზასთან უსამოვნო ლაპარაკი არ უნდოდა, ისევ თავაზია ნად დაუბრუნა:

— უსამართლოდ რათა მღანძლავ, ფირუზებან. განა რაც მე აქეთ საქონელი გამოვგზავნე, ის ფულად არ აქციე? მოგება არა ნახე?

ფირუზა გაწერდა. გრიგოლთან სადავო და სასაყვედურო ჯერ არაფერი ჰქონდა. მისმა რუსეთის და ევროპის ქალაქებში ვაჭრობამ თრთავეს იმდენი მისცა, რომ ფირუზას ჯერჯერობით კმაყოფილების მეტი სხვა არაფერი მართებდა. მას მხოლოდ სიმდიდრით განებივრებული ახალგაზრდა ოჩხუბის ფუფუნებით და განცხრომით ცხოვრება აღიზიანებდა. თან ეშინოდა კიდევ გამდიდრებული კვლავ არ გაღარიბებულიყო. ფრთხილობდა. ოთხივ კუთხით თვალიც და ყურიც ფხიზლად ეჭირს და თავისი ოჩხუბისაგან ამასვე მოითხოვდა. პასუხიც ამის შესაფერისი ჰქონდა:

— ყაირათი სიმდიდრის დედა. ვინა თქვა ყაირათი ღარიბების საქმეა? ღარიბებს არაფერი აქეთ დასაკარგი, მდიდარია კი შეიძლება ყველაფერი დაკარგოს!

გრიგოლმა სიტყვა ბანზე აუგდო:

— მაინც შუმანიკარაში ფლანგავს ფულსა? ეკლესიებში ბევრ შესანიშავს ეზოდება, სომებ ტერტერებს და იმათ ბერ-მონაზონებს ბევრ ფულს აძლევს?

— რის ეკლესია, რის ტერტერები? რამდენი ხანია არც საყდარში ნასულა, არც სანთელი დაუნთას. მაგის მამის ფულები სულ სხვანაირად იხარჯება. სახლის ქვემო სართულში სამკერვალო აქვს გახსნილი და უბნის ქვრივ-ობლებს უფასოდ ჭრა-კერვას ასწავლის. რასაც შოულობს და პოულობს, გაჭირვებულებს, ავადმყოფებს და უსახლკაროებს ურიგებს, რამდენჯერ დავარიგე და გავაფრთხილე, მაგრამ ყურს ვინ გივდებს? — ფირუზამ უცნებ ხმას დაუდაბლა და თითქმის ჩურჩულით განაგრძო, — მეღჭუა ფერმანგოვი რომ მაგისავით კერპი ყოფილიყო, ახლაც ცოცხალი ივლიდა. კიუტობა არც იმას აკლდა, მაგრამ ჭურა არა ყოფნიდა. მაგას ვერსაიდან ვერ მოუდგები, ვერსაფრით მოატყუებ. აპეკუნი შენა ხარ, ვინძლო მენმა სიტყვამ მაინც გასჭრას.

გრიგოლი განცვილებული უგდებდა ყურს ფირუზას. არ მოელოდა, თუ კეთილი, სულმთლად გალეული და სუსატი შუმანიკი მტკიცე ხასიათს გამოი-

ჩენდა და გაქნილსა და მოხერხებულ ფირუზას წინააღმდევობას გაუწევდა. სამკერვალოს გახსნა და ქვრივ-ობლებისათვის დახმარების აღმოჩენა არც გას მოეწონა, — შებლი უკმაყოფილოდ შესჭმუხნა. ფირუზამ ეს შეამჩნია, ესამოვნა და მაშინვე დატანა:

— მაში მაში სოვდაგარ ფერშანგოვის სახლი იმისმა ქალმა ოხერ-ტიალების თავშესაფარად აქცია. ერთი ქვემოთ ჩადი, ნახე, რა ჩაბურზანა არის გამართული!

გან გრიგოლს მხოლოდ ის არ უთხრა, რომ შეუძლია სამკერვალოში თეთრი ლიზაც მუშაობდა, ნარის ეკიპაჟი მარგალიტას გვერდით იჯდა და ისიც ჭრდა და კერავდა, რადგან ცოლს მუქთად პურს ფირუზა არც ახლა აჭმევდა. რაც შეუძლია სამკერვალოში იკერებოდა, ის დახურულ ბაზაზეანაში იყიდებოდა. მდიდარი სოვდაგრის ცოლს თითები ნემსით ჰქონდა დაჩხვლეტილი და თვალები ძაფის აგებით დანყალებული, სამაგიეროდ, მოგებაშიც მას ისევე უდებდნენ ნილს, როგორც იმ ხელმოკლე მკერავ ქალებს, რომელნიც შეუძლია სამკერვალოში არა მარტო ჭრა-კერვას სწავლობდნენ, არამედ მუშაობდნენ კიდეც.

გრიგოლმა ოთახში დაფიქრებულმა გაიარ-გამოიარა. დიდხანს ფიქრობდა. ფირუზამ ნარბებს ქვემოდან უყურებდა და მის სახეს აკვირდებოდა. ამკარა იყო, მისი ახალგაზრდა ოჩხუბირალაც გადაწყვეტილების მიღებას აპირებდა.

გრიგოლმა ოთახში ბოლთის ცემა შენწყვიტა, ფირუზას მიუბრუნდა და უთხრა:

— ჩვენ აქ აღარ გვედგომება.

ფირუზამ გაკვირვებით ახედ-დახედა.

— როგორ თუ აღარ გვედგომება?

— აღარ გვეკადრება, ფირუზჯან, მაშ, ღატაკების სამკერვალოს თავზე ხომ არ ვიცხოვრებთ?

ფირუზამ მხრები უკმაყოფილოდ აიჩინა. გრიგოლმა თავი ყასიდად მოუქონა.

— არა, არა. შეუძლია თავს აღარ გავუყადრებთ. ხვალვე სოლოლაკში ავალთ, ადგილს დავათვალიერებთ, თუ მოგვეწონა, პატრონს გავურიგდებით, ვიყიდით და ახალ დიდ სახლს ავაშენებთ.

ფირუზამ გრიგოლს აზრი მოუწონა და დაუნუნა კიდეც. მყისვე ეს უთხრა:

— დიდ სახლს დიდი ფულიც უნდა.

გრიგოლმა პასუხი არ დააყოვნა:

— შენ არხეინად იყავი, ფირუზჯან, ახალ სახლში ერთ გროშსაც არ დაგასარჯვინებ. ოჩხუბობის თანხის გარეთ იმდენი ფული მოვიგე, თუ მოვინდომე, ბარე ორ სახლს ავაშენებ.

ფირუზამ შეუძლია ასიგნაციების გამო არაფერი იცოდა. გრიგოლი არც მსრგალიტებით ვაჭრობის გამო აპირებდა სიტყვის დაძვრას. „სასაკუთრო“ მონაცემი თავისი გამჭრიახობით და „მარიფათით“ ახსნა. ფირუზამ კეფა მო-

ფხანა. ეჭვი ისე ძლიერად შემოენთო, რომ უნდოდა ეხლავე ენახა დავთარი, მაგრამ სწორედ ამ დროს თეთრი ლიზა შემოვიდა ოთახში. ფირუზამ დედაქაც-თან ჩხუბსა და აყალმაყალს გაჩუმება ამჯობინა. ეჭვი მაინც მოსვენებას არ აძლევდა. ანრიალებული ბოლოს ცემას შეუდგა. ხელში ჩიბუხი ეჭირა, მაგრამ აღელვებულს და აფორიაქებულს შიგ თუთუნის ჩაყრა და ცეცხლის მოკიდება ავინწყდებოდა.

გრიგოლი თეთრ ლიზას ეხუმრებოდა და სუფრის გაშლაში შეელოდა, თან ცალი თვალი ფირუზას კენ ეჭირა. მისი უკმაყოფილება გულწრფელად უკვირდა, მაგრამ რადგანაც ვაჭრის ქუდი უკვე მაგრად ეხურა თავზე, ბევრს რასმეს ხვდებოდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ სავსებით ცხადი იყო მისთვის: მათი ურთიერთობა ძველებურად ველარ წარიმართებოდა და ველარც გაბზარული ნდობა გამთელდებოდა.

უნდობლობის საბაბს უკვე მათი მაღრიბული და მაძრიყული ტანსაცმელი თესდა, მათი ვაჭრობასა და ცხოვრებაზე სხვადასხვა შეხედულებები და სხ-ვადასხვანაირი დამოკიდებულება.

უფრო სერიოზული მიზეზებიც არსებოდა.

გაოჩეუბებული ნადახლიდარი წინ მიინევდა, ფირუზას წინ უდგებოდა. ცხოვრების ზედაპირზე დიდის გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით ამოტივტივებული ყოფილი ბოგანო და ავარა მის წინ გაშვებას ვერ შეურიგდებოდა, ვერ აიტანდა, გრიგოლ ზანდაროვი უკვე ახლა თავისი გარეგნობით და ჩაცმულობით, გემოვნებით და მაღრიბული დარდიმანდობით მას აშკარად ჩრდილში აყენებდა. ამას თეთრი ლიზაც ამჩნევდა და სხვებიც ადვილად შეამჩნევდნენ. უსიამოვნებისა და უთანხმოების სათავე სწორედ აქედან იწყებოდა. ამაზე ფიქრი ფირუზა ზანდაროვს გუნებას ისე უმძიმებდა, როგორც მის ნელს მძიმე და განიერი სოვდაგრული ვერცხლის ქამარი.

### 3. პატონეაცური სადილი

ნახე, როგორ გავდიდკაცდე, გავმეუდე? მაშინ მნახე თავი ცამდის  
ამელოს, ჩემზე მეტად არსად არვინა ჰსჩანდეს.  
გრიგოლ ორბელიანი, „დომიტრი ონიუაშვილის დარდები“

სადილობის წინ გრიგოლმა ერთხელ კიდევ განაცვილა ფირუზა და თე-თრი ლიზა. მან საშინაო ხალათი გაიხადა და ლურჯი ფრაქი ჩაიცვა. მკერდზე თეთრი ქათქათა სალფეთე ჩამოიკიდა და დანა-ჩანგალს ისე მოკიდა ხელი, რომ ყველამ სუფრას ხელები მოაშორა და თავი დარცხვენით ჩალუნა.

სუფრას ზანდაროვები და ფერშანგოვები უსხდნენ.

ფირუზა ისევ დაბლვერილი იჯდა და ეტყობოდა, არც სურდა თავისი უკ-მაყოფილების დამალვა. თეთრი ლიზა გრიგოლს თვალებში შესციცინებდა.

ექვერთალსა და დაბნეულს შავი პირისახე დაუმნიფებელი ბრონეულივით ნითელ-ყვითლად ასჭრელებოდა. ფერშანგოვის დედა პირმოკუმული იჯდა და სადილზე დაპატიჟებით ნასიამოვნები აღტაცებულ თვალს კატლეტებს არ აშორებდა. მხოლოდ შუშანიკი იჯდა მშვიდად და აუღელვებლად ბერის გვერდით, მაგრამ ისიც ნელ-ნელა იკინებოდა და საჭმელს პირს თითქმის არ აკარებდა. სამაგიეროდ, ნამგზავრი გრიგოლ ზანდაროვი მადიანად შეექცეოდა. ზურგიელის და დოშის მსხვილ-მსხვილი ნაჭრებიც, მწვადებიც და ტაბაკაც თავის დანა-ჩანგალს ქვეშ მოაქცია, კატლეტებს კი ზედაც არ დახედა. ფერგანგოვის დედამ და თეთრმა ლიზამ ერთმანეთს განცვიფრებით გადახედეს.

ფირუზა ზანდაროვის გაკვირვება თითქოს აღარაფრით შეიძლებოდა, მაგრამ მან გაოცებით დაუწყო ყურება გრიგოლს, როცა ამ უკანასკნელმა დანა-ჩანგლით ხრამული სუფთად გაფცევნა, ფაქიზად დაჭრა, ფხები ცალკე გადაალაგა და ჩანგალი ისე კოხტად მოიმარჯვა, რომ ამის შემდეგ თევზს ხელი ვეღარავინ ახლო. ფირუზასაც, რა თქმაუნდა, აზრადაც არ მოუვიდოდა ხრამულის კუდით დათრევა და მის შესაჭმელად ათივე თითოს მოშველიება. გრიგოლს ლალად ეჭირა თავი, სხვები კი ღარიბი ნათესავებივით ისხდნენ.

რაკი ფირუზა ხმას არ იღებდა, გრიგოლმა ჭიქა ღვინით შეავსო, მაღლა ასწია და ნარმოთქვა:

— ჩემს ჩამოსვლას გაუმარჯოს, თქვენც გაგიმარჯოთ.

ღვინო გადაკრა, მაგრამ მაშინვე ტუჩები აიბზუა.

— ფიქ! ეს ნემეცების ღვინო აქ საიდან გაჩნდა? რატომ ჩვენებურ ღვინოს არ მალევინებთ?

ამ სიტყვაზე თეთრი ლიზა გარეთ გავარდა და ცოტა ხნის შემდეგ სველი დოქით ფირუზას მიერ ნაყიდი და ნაქები ღვინო მოარბენინა. გრიგოლმა ყველას ჭიქები გაუვსო და რადგან ფერშანგოვის დედა თავის ჩიტის თვალებით დაბლვერილ ფირუზას შესცეკროდა და მისი უკმაყოფილების გამოცნობას ცდოლობდა, ფირუზამ ნარბი გახსნა, ჭიქა მაღლა ასწია, მაგრამ მაინც ცალი ყბით ნარმოთქვა:

— გაგიმარჯოს, შენს დაბრუნებას გაუმარჯოს.

თეთრმა ლიზამ გრიგოლს თვალებში შესციცინადა და იდლეგრძელობა უსურვა:

— გაიხარე და იდლეგრძელე, გრიგოლჯან!

ფირუზამ ყურები ცქვიტა. თეთრი ლიზა პირველად უნოდებდა თავისი ქმრის ნადახლიდანს გრიგოლს.

არც ეს ესიამოვნა, ისევ ნარბი შეჰკრა.

ფერშანგოვის ნასიამოვნებ-გატკრციალებულმა დედამ გრიგოლი დედაშვილურად დალოცადა ჭიქიდან მხოლოდ ერთი ყლუპი მოსვა, რადგან შავიკის ეძინოდა და თავს უფრთხილდებოდა.

შუშანიკმა გრიგოლს შინ მშვიდობით დაბრუნება მიულოცა. როცა გრიგოლმა მას მადლობა გადაუხადა და ისევ თეთრ ლიზას მიუბრუნდა, რათა

ტალახისფრად სახეაჭრელებული დედაკაცი ხუმრობით და სიცილით გაემს-ნევებინა, შემანიქმა დრო იხელთა, ბებისა ჩანგლით თეოზზე კატლეტი გად-მოულო, თვითონ კი მაგალითის მისაცემად ტაბაკის პატარა ფრთა აიღო და ნელა შეუდგა ჭამას. ფერშანვოვის დედას თვალები გაუბრნებინდა, გულში შეილიშვილი დალოცა და „ხელმნიფების საჭმელს“ ისე დააცეკერდა, თითქოს მისთვის თეოზზე კატლეტის მაგიერძვირფასი მარვალიტი დაედოთ. დედაბერის თვალები აუჭრელდა. სანუკვარი საჭმლის ხელის ხლებას ვერ ბედავდა და თავჩამოკანტურებული დასცეკეროდა. შემანიქს არც ეს დარჩა შეუმჩნეველი. კატლეტი თეთრ ლიზასაც გადაულო, თვითონაც გადაიღო, თან ვარდისმონას ნახელავი შეაქო და დასძინა, რომ „ამის გაკეთება მის მოახლეს კნეინას მზა-რეულისაგან ჰქონდა ნასწავლი“. გრიგოლმა არც ახლა მიაქცია ყურადღება კატლეტებს და ისევ მწვადსა და ლვინოს მიეძალა. დედაკაცებმა კატლეტს გემო რომ გაუსინჯეს, შემანიქს ისეთი მაღლიერებით შეხედეს, რომ ფერშანვოვის ქალმა ლიმილი ვეღარ შეიკავა და მათ თითო კატლეტი კიდევ გადაულო.

სადილმა მშვიდობისად ჩაიარა.

ბოლმის ამონთხევა ფირუზამ სხვა დროისათვის გადადო.

დანაყრებულმა გრიგოლმა მაღრიბის ქალაქები და მაღრიბელები მოიგონა. თავისი მოგზაურობის ამბებსა და თავგადასავალს ისეთნაირად ჰყვებოდა, რომ ყველანი გაეკვირვებინა და გაეოცებინა. უამისობაც ყველა ნიაზით უს-მენდა მას. განსაკუთრებით კი შემანიქი, რომელსაც შვილების „ფრანგულად“ სწავლა-აღზრდა ჰქონდა გადაწყვეტილი.

დედაბერს და თეთრ ლიზას ბევრი არაფერი გაეგებოდათ, მაგრამ მაინც სმენადქცეულნი ყურებდაცეკეტილნი ისხდნენ.

ზოგი რამ არც ფირუზასთვის იყო გასაგები. ამიტომ თავს ძალას ატანდა, რათა გრიგოლის ნაამბობში გარკვეულიყო, მაღრიბელი ვაჭრების ცხოვრების და მაღრიბული ვაჭრობის წესებს მიმხვდარიყო, კითხვით კი გრიგოლს არაფერს ეკითხებოდა. ჩუმად და ფხიზლად უგდებდა ყურს. როცა გრიგოლმა რკინიგზა ახსენა და მატარებლით მოგზაურობა აღნერა, ფირუზამ ლიმილი ვეღარ შეი-კავა, სხვებმაც, შემანიქის გარდა, იჭვნეულად გადახედეს ერთმანეთს. ვერ ნარმოედგინათ, რომ უცხენოდ და უხაროდ სახლის ოდენა ეტლები ადგილიდან დაიძვრებოდნენ და, ამასთან, შიგ ადამიანები ისხდებოდნენ.

აქამდე ნარბშეეკრული ფირუზა უეცრად გამხიარულდა. „ჩემს დახლი-დარს ტყუილები უსწავლია და ცხვირსაც ასეთ ტყუილებზე მოიმტვრევსო“. მხოლოდ ახლა მოახერხა ჩიბუხში თუთუნის ჩაყრა, ცეცხლის მოკიდება და გაბოლება.

ჩიბუხს მქონდავი ლიმილით სწავლა და თან გუნებაში ქირქილებდა: „ვნა-ხოთ, ამ ჩვენს მაღრიბელ ბატონს ქარვასლაში როგორ დახვდებიან! ამას რაღა თქმა უნდა, რომ ტანცის უჩიტელივით ჩაცმულ ჩემს ოჩეუბს სოვდა-გრები მასხარად აიგდებენ და განბილებულს სოვდაგრის კაბის ყურთმაჯები მოაგონდებაო“. ეს აზრი ფირუზას სულ უფრო და უფრო ამხიარულებდა.

გუნება გამოუკეთდა, გახალისდა, ენა ამოხდგა და გრიგოლს რამდენჯერმე მაღრიბული საქონლების პატრონებზე ჩამოუგდო სიტყვა, მათი ვინაობით და ავლა-დიდებით დაინტერესდა.

საქმიან ლაპარაკს ნელ-ნელა შეჟყვნენ.

გრიგოლმა ეს შერიგების ნიშნად მიიღო და გახალისებული მაღრიბული ფაბრიკების ხოტბას და იქ დამზადებული ნაირ-ნაირი საქონლის ჩამოთვლას შეუდგა.

ფირუზას ჩიბუხი ჩაუქრა.

გრიგოლს სულგანაბული უსმენდა.

ქალებმა სუფრა აალაგეს და ოთახიდან გაიკრიფნენ.

#### 4. სსპატადდარჩენილი გაიკო

ეს რამ იელვა და განცქრა? ნუთუ მაცოთური ოცნება?  
გრიგოლ ორბელიანი, „ლამე“.

გრიგოლი შეგირდივით აბარებდა ფირუზას ანგარიშს. თან ლაპარაკით და მიხრა-მოხრით ისეთ მონიწებას ამჟღავნებდა, რომ უფროს ზანდაროვს ეჭვები თანდათან უქარნყლდებოდა, ზოგი რამ თვითონაც უთხრა გრიგოლს და მოგებით თავი მოიწონა, თუმცა თავდაპირველად ამაზე კრინტის დაძვრას არ აპირებდა.

ფირუზას გრიგოლის გამჭრიახობაში ეჭვი არ ეპარებოდა, ნაკლად მას მხოლოდ ხელგაშლილობას და ბატონებურად ცხოვრების სურვილს უთვლიდა. ამიტომ ახლა იმაზედა ფიქრობდა, თუ როგორ მოეშლევინებინა მისთვის „მაღრიბული დარდიმანდობა“ და სოვდაგრული ყაირათი გაეხსენებინა.

სალამო ხანზე მაიკო კურტანიძე მოვარდა და ოთახის კარებთან გაშეშდა. ფირუზა ზანდაროვის გვერდით გიგას მაგიერ ვიღაც უცხო, უცხოდ ჩაცმული მამაკაცი იჯდა. იუცხოვა, დაიბნა, მოსახვევად გაშლილი ხელები დაბლა ჩამოსცვივდა, სიხარული სწრაფად გაუქრა გაბადრული და სირბილის გამო ძალზე ანითალებული სახიდან.

არც გრიგოლ ზანდაროვი ნამოვარდნილა თავისი სკამიდან და მაიკო კურტანიძეს გახელებული პირზე კოცნით არ მიჰვებებია, როგორც თვითონაც მოელოდა და სხვებიც მოელოდნენ. მან მხოლოდ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ის, ვინც ოდესლაც თავდავინყებით უყვარდა.

ზლაზვნით ნამოდგა. მისკენ ნელი ნაბიჯით გაემართა. ხელი მეგობრულად გაუნოდა, მაგრამ არც სიხარული გამოხატა, არც აღტაცება.

ხელის ჩამორთმევის დროს ერთმანეთს ლოყებით ოდნავ შეეხნენ. ეს იყო და ეს. თუმცა ერთიცა და მეორეც რამდენიმე ნლის მანძილზე კვლავ შეხვედრას ნატრობდა და ოცნებობდა.

ფირუზასი და თეთრი ლიზასი, რა თქმა უნდა, მათ არ ერიდებოდათ, უბრალოდ, რაღაც ისეთი მოხდა, რამაც ორთავეს ცხარე კოცნაც დაუეინყა, სიყვარულით მოხვევაც და თავშეუკავებელი ტირილ-სიცილიც.

არავის არ გაჟევირვების მათი გულცივი შეხვედრა.

მაღრიბელ ბატონიაცად გადაქცეული გიგა ზანდაროვიძელ ნაცნობებში უნდა დღიუთ რაღაც ნარმანინებას და მოკრძალებას იწვევდა. ასედა ემართა მაიკო ჟურნალის ტანიძესაც, უხერხულად განზე გადგა და სადღაც, რომელიდაც სკამზე ჩამოვდა.

გრიგოლმა რამდენჯერმე მოურიდებოდა გაიხედა მისენ და საბოლოოდ გაუცრუვდა მასთან ტრფიალის ნადილი. ეს ჯერ ისევ ლამაზი ქალი მისი შესაფერისი აღარ იყო. მისი ძველი საყვარელი დარცხვენილი იჯდა, ქალაბასი ისევ მელავზე ჰქონდა გადაგდებული, კაბის ბოლოდან სპარსული ნითელი შეიდიში მოუჩანდა და ნაჩეარევად გადაცმულ უბრალო, ჩითის ფოთლებიან კაბაში საკვირველად ემსგავსებოდა ბაზრის ქალსაც და ზორბა მოახლესაც. ამას გრიგოლმა მყისვე მიაქცია ყურადღება. ერთი სიტყვით, მტევრის გაღმა-გამოლმა თავისი ახოვნებით და სილამაზით განთქმული ქალი ენეინა გოსტაშაბიშვილის გვერდით მდაბიო, პირდაუბანელ დედაკაცად გამოჩნდა. ამ შედარებამ გრიგოლს ისეთნაირად გაუფუჭა გუნება, რომ უნებურად ცხვირზე ხელი ნაივლო, რათა პირში ხახვისა და ნივრის სუნი არ სცემოდა.

მხოლოდ ზრდილობის გამოგამოელაპარაკა ივიმაიკოს, რომელსაც თვალი ვერ გაესწორებინა ლურჯ ფრაქში გამონყობილი ახალგაზრდა მამაკაცი-სათვის, რომლის ნატიფი პირისახე თავისი უპირატესობის ლრმა რნმენის შეგნებით ისევე იყო გაბრნყინებული, როგორც მისი თეთრი, ქათქათა, გულისპირთან ნვრილი ბაბთებით კოპნიად დახუჭუჭებული პერანგი.

საერთოდ თამამი მაიკო კურტანიძე თავჩალუნული იჯდა და ძველ საყვარელს პირს არიდებდა. თაფლისფერ თვალებზე ბრინჯაოსფერი გადაჰქინდა და გაოგნებული ფირუზას ნადახლიდარის და ახლანდელი ბატონიაცის ხან ვინრო შარვალს და შავს, გაპრიალებულ ფეხსაცმელებს უყურებდა, ხან მუცელთან გაჭრილ ფრაქის თეთრი ზოლის წერილ არშიას.

გრიგოლ ზანდაროვი თავმომწონედ იდგა.

ფირუზას ისევ აეშალა ეჭვები. პირველობის დაკარგვის შიშმა თუ შერმა ისევ გაჟერა კლანჭი.

კვლავ შეჟერა ნარბიც და შუბლიც.

სომნამბულასავით მოფარფატე თეთრი ლიზა ვერც ლაპარაკა ახერხებდა, ვერც დაჯდომას.

მაიკო კურტანიძე ჩუმად იჯდა. თავდახრილი მუხლის თავზე თითებით ქალაბაისა ასწორებდა. იმ საღამოს „პო“-ს, „არა“-ს და „არ ვიცი“-ს მეტი სხვა არაფერი უთქვამს.

ლაპარაკით მხოლოდ გრიგოლი ლაპარაკობდა. მალე საღაპარაკო მასალაც შემოაკლდა. მოინყინა. მობეზრდა. რაღაც საქმე მოიმიზეზა, ყველას თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

ხანგრძლივი დუმილი ფირუზაშ დაარღვია:

— არა, მაგის ფანდი ალარა ვართ. ყველას ზემოდან დაგვცეკერის.

ეს სიტყვები გულში ტყვიასავით მოხვდა მაიკო კურტანიძეს. უარესად გაფიქრდა.

თეთრმა ლიზამ ქმარს შეუტია:

— ქა, ეგეთირა მოხდა? რა ვუყოთ, რომ მაღრიბულად აცვია? ეგეც დრომ გოთანა. სხვა მხრივ არც ხასიათი ვამოუცვალა, არც ჩვენი სიყვარული დაუკარგვია. მეტი რაღა გინდა? კოცნით კინაღამ ლოყები დაგვაგლიჯა!

ფირუზაშ გაიცინა.

— მამ, ეხლავე ვირზე ხომ არ შეგსვამდა? ცოტაც მოიცადე, აქანდაზზე დაგდებს და ქუჩაში გადაგადებს.

თეთრმა ლიზამ ქმარს არც ახლა დაუთმო.

— ღმერთმა მაგის ცოლსა და შვილს მომასწროს და მეტი მე არა მინდა რა. მაშინ თუნდ აქანდაზზე დამდონ, თუნდ მტკვარში გადამაგდონ, არსად არაფერს დავიჩივლებ.

გრიგოლ ზანდაროვის დაცოლშვილების ხსენებაზე მაიკო კურტანიძემ უფრო დაბლა დახარა თავი. ფირუზაშ ცოლს შეუბლვირა, წარბი მრისხანედ აუნია, გაჯავრებით მიახალა პირში:

— არა, არა, ლეჩაქიან დედაკაცს ეგ გვერდში არ მოისვამს, არც მაგის გულებაამოჭრილი ცოლი მოინდომებს ამას. რაც გითხარი, ცხვირზე კარგად დაიკერე, თუ არ გინდა მაგის ამფსონებმა ლეჩაქი დაგახიონ!

თეთრმა ლიზამ პირი დააღო, ქმარს გაოცებულმა დაუწყო ყურება:

— ქა, მაგას რათ მეუბნები? ზანდაროვებში უფროსი ვინ არის? შენა ხარ თუ ეგ არის?

ფირუზაშ ენაზე იკბინა. მყისვე მიხვდა, რომ გაბრაზებამ ისეთი რამ წამოაროშინა, რის თქმაც ბართლომე კურტანიძის ცოლთან არც საჭირო იყო, არც სასარგებლო. ნათქვამი ხუმრობაში გაატარა და ისეთნაირად ახსნა, რომ ალაფის ცოლს არავითარი ეჭვი არ აღძროდა.

— დედაკაცო, სანამ მე ცოცხალი ვარ, შენ რისი უნდა გეშინოდეს? რის აქანდაზი, რის მტკვარში გადაგდება? — იცინოდა ფირუზა, — მაგრამ კაც-ნი ვართ და კაცურად უნდა მოვიქცეთ. ჩემი უფროსობა ღმერთზე ჰქიდია, როგორც იმის დავთარში წერია, საქმეც ისე მოვა. ქარვასლაში ყველაფერს გაიგებდა ყველაფერს წინ დაუხვდები, მაგრამ სიკვდილს სად გაექცევი? ჰოდა, შეც ამიტომ გარიგებ ჭუას, ვინძლო აქედანვე თადარიგი დაიჭირო, როცა მე ცოცხლების სიიდან ამომშლიან, არც შენ შერცხვე და არც მე შემარცხვინო. მართალს არ ვამბობ მაიკო?

მაიკომ ხმა არ ამოილო. თავისი ფიქრებით იყო გართული. ცოლ-ქმრის ლაპარაკი კარგად არც ესმოდა. მუხლის თავზე ისევ ქალაღაის ნაოჭებს ასწორებდა, გულში კი გიგა ზანდაროვის დაკარგვას მოსთქვამდა.

თეორმა ლიზამ ქმრის ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია, არც გული აუჩქ-  
ყდა. ფირუზა ისეთი გაუინელილებული სახით იჯდა, რომ ღმერთს, ძალიანაც  
რომ მოენდომებინა, მის სახელს დავთარში მაინც ვერ იპოვნიდა.

მაიკო კურტანიძე ფეხზე ნამოდგა.

თეორმა ლიზამის ქუჩის ბოლომდე გააცილა. მართავენი ჩუმად მიდიოდნენ.  
ერთი გამტკარებული იყო, მეორე — გაოგნებული.

როცა მაიკომ მტკვრისა უნ გაუხვია, თეორმა ლიზამ მხოლოდ ახლა შეამჩ-  
ნია, რომ ბართლომე კურტანიძის ცოლს ქალალაია მელავზე კი არ ჰქონდა  
გადაგდებული, როგორც ეს ლამაზსა და თავმომწონე ქალს შეეფერებოდა,  
ასამედ ცალ მხარზე უშნოდ მოეგდო და თითქმის მინაზე დასთრევდა.

თეორი ლიზა შინ დაბნეული დაბრუნდა.

## 5. სოლოლაპი

იმისთანა ალავი განა შეიძლება კაცმა არ შეიფეაროს?  
გაბრიელ სუნდუკიანი, „დაქცეული ოჯახი“

ევროპიდან დაბრუნებული ახალგაზრდა ზანდაროვი ქარვასლებში და-  
ტრიალდა.

ფირუზას იმედი არ გამართლდა. მართალია, ქარვასლაში პირველად იუ-  
ცხოვეს მაღრიბულად ჩაცმული სოვდაგრის გამოჩენა, მაგრამ მალე ყველამ  
თვალი შეაჩვია ახოვან, მუდამ სუფთად წვერგაპარსულ, ფაქიზად და გე-  
მოვნებით მორთულ-მოკაზმულ დიდვაჭარს. ყურთმაჯებიანი სოვდაგრები მას  
ფულის მომხვეჭელობის გამოაფასებდნენ, მის მაღრიბულად ჩაცმა-დახურვას  
კი ადვილად ურიგდებოდნენ. ადამიანი მათ შორის მხოლოდ იმით ფასდებოდა,  
თუ ვინ რა ქონების პატრონი იყო და რის მოგება შეეძლო.

ფირუზაც კმაყოფილებით იფშვნეტდა ხელებს. ზანდაროვებს მუშტარია  
აკლდათ. სწრაფად სალდებოდა ფორტეპიანოებიც, ავეჯიც, ჭალებიც, ძვირ-  
ფასი ქსოვილებიც და სამკაულებიც. ფირუზა სხვა მხრივაც იყო კმაყოფილი.  
ვახტანგ ტაშირელის მიერ შედგენილი დავთრის გაცნობამ დაუყოვნებლივ  
გაუქარნებულა შიშიც და ეჭვებიც, მაგრამ არ შეიმჩნია, სიხარულიც და აღტა-  
ცებაც დროზე ალაგმა. ოჩხუბად გადაქცეული ნადახლიდარი არც აქო და  
არც აძაგა. პირიქით, ჭკუის დარიგება დაუწყო, სიტყვა სოვდაგრის ხელმო-  
მჭირნეობაზე ჩამოაგდო და მის მნიშვნელობაზე გრძლად გაუბა ლაპარაკი.

— ვაჭარი ვაჭრად უნდა დარჩეს, — ამტკიცებდა ფირუზა, — სხვებისაყო-  
ლა ხელს არ მოგვცემს. ჩვენი მაზა ქარვასლაში ჯდომაა! მეტი რაღა გვინდა?  
ამაზე მაღლა არ გაგვიშვებენ. ჴა, ცხვირს მაღლა ნუ სნევ! სულერთია, ჩვენი  
ბოსტნის გოგრას მაღალ თახჩაში არ დასდებენ. ჴა, ფულებს ნუ ეთამაშები!  
ფულის ფლანგვა თავადის საქმეა, ფულის მოგება სოვდაგრისა. თავადური  
იალენის აშვება ჩვენი საქმე არ არის!

თავდაჯერებული, მშვიდი და აულელვებელი გრიგოლი მოთმინებით უს-  
ენდა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რათა ეჭვიანი და მიზეზიანი აღმზრდელი  
არ გაეღიზიანებინა და არ ენყენინებინა.

ფირუზა გრიგოლს გვერდიდან არ შორდებოდა. ყველგან ცხვირსა ჰყოფდა,  
ფუსფუსებდა, ნოქრებს ემასლაათებოდა, ეხუმრებოდა და აცინებდა, ნყალნ-  
ყალა ლვინით და აყროლებული თევზით უმასპინძლდებოდა; სამაგიეროდ,  
თითოეული გროშისათვის ისეთნაირად ვაჭრობდა, რომ არც თავის ჭალარის  
რცხვენოდა და არც სოვდაგრული ყურთმაჯების.

გრიგოლს ნინარასოდეს არ უშვებდა. სულ იმას ცდილობდა, რათა თვითონორი  
ნაბიჯით წინ ევლო, გრიგოლი კიუკან ასდევნებოდა. ახალგაზრდა ზანდაროვიამას  
აჩნევდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. გარეგნულად თავი ისე ეჭირა, რომ  
ფირუზა ქმაყოფილი დარჩინილიყო და ტყუილუბრალოდ მისთვის დავა არ აეტე-  
ხა უფროსი ზანდაროვი საჩხუბრად უბრალო საბაბსაც კარგ მასალად თვლილი.

გრიგოლ ზანდაროვი ხან ქარვასლაში საქმიანობდა, ხან სოლოლაქში  
კალატოზებს თავზე ადგა.

იმდროს ერევნის მოედანზე და სოლოლაქში სახლის ადგილებიჩალის ფასად  
იყდებოდა. ქართველ თავადებს არაფრად უღირდათ ავანანთ ხევის ღრანტევები  
და კოჯორის ძველ კართან გამენებული მეფის ბალები. ისინი ზამთრობით (ზა-  
ფხულსა და შემოდგომას სოფლებში ატარებდნენ) ორბელიანების უბანში, მაღა-  
თოვის მოედანთან და ანჩისხატის უბნის მახლობლად ცხოვრობდნენ ვაჭრებისა  
და ხელოსნებისაგან განცალკევებით. მიგ ქალაქში ერთი ოთახის იაქთალიანი  
სამოსახლო უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე ქალაქვარეთ დაუსახლებელი  
ტრიალი მინდოორი. არც გრიგოლ ზანდაროვს დასჯდომის ძვირად მინის დიდი  
ნაკვეთის ყოფვა მეფის ყოფილ ბალებში. დაუყოვნებლივ გააჩეხვინა ლელვის,  
ატმის და ბრონეულის ხეები, საძირკველი გააჭრევინა, მლვდელს გაანათლებინა,  
შიგ მუჭით ვერცხლის ფულებიჩარა, ზედ ერთი-ორი ოქროს ფულიც გაურია,  
ავურები მოაზიდვინა და სახლის მშენებლობას კალატოზები შეუსია.

გრიგოლ ზანდაროვიჩქარობდა. ფერმანგოვების სახლში გული აღარ უდგე-  
ბოდა. თან გუმანით იმასაც ხვდებოდა, რომ სოლოლაკი და გარეთუბანი მაღე  
უკან მოიტოვებდა ანჩისხატის უბანსაც, სალაყბოსაც და კლდის უბანსაც.

ქარვასლაში გრიგოლს ხშირად ესმოდა ბართლომე კურტანიძის სახელი.  
ყველანი მის სიმდიდრეზე ლაპარაკობდნენ. შურით აღნიშნავდნენ ხელმწიფის  
მიერ მისთვის გამოგზავნილ მეორე მედალს. სოვდაგრებს მისი ემინოდათ და  
ფრთხილობდნენ. ზანდაროვები მის ვაჭრებთან დამოკიდებულებას შორიდან  
უყურებდნენ, რადგან ბართლომე კურტანიძე მაღრიბული საქონლით არ  
ვაჭრობდა. მისი შემოსავლის ნყარო ისევ პური, ქერი და თივა იყო, რომლი-  
თაც იგი ქალაქის მცხოვრებლებსაც ინახავდა და ხელმწიფის ყაზარმებსაც.

გალალებულ-გაფოფინებული სოვდაგარი გამდიდრებული აღაფის ნარმა-  
ტების მიზეზებს უკვირდებოდა და აინტერესებდა კიდეც. სამაგიეროდ, სულ  
არ აგონდებოდა მისი ცოლი და თავისი ძველი საყვარელი მაიკო კურტანიძე.

დღე ისე არ გაივლიდა, რომ სახლის მშენებლობისათვის არ დაეხედა. ბექობზე შემდგარი დღდხანს, დღდხანს უჭვრეტდა თავის მომავალ სავანეს.

დღდხანს იდგა ზურგზე ხელებდანყობილი. მუშტით უნაბისფერი ხელჯობი ეჭირა, რომლის მოკაუჭებულ ბოლოს ლომისთავის გამოსახულება (ვერცხლისა და სპილოს ძვალში რომ იყო გავლებული) მაღალ, პრიალა შავ ცილინდრზე უძრავად გაქვავებულიყო.

ისე ბატონკაცურად იდგა, რომ ყველას მოწინების გრძნობას უღვიძებდა. უფროსი ზანდაროვი შეურით იხერხებოდა.

მშენებლობის ზედამხედველი და ათისთავები მხოლოდ უმცროს ზანდა- როვს ეკითხებოდნენ, მასთან მართავდნენ ბჭობას და თათბირს.

უფროს ზანდაროვს ვერავინ ამჩნევდა ან არაფრად აგდებდა.

საძირკვლის გათხრიდან შენობის გადახურვამდე მას მხოლოდ ეს ესმოდა:

— რას გვიბრძანებთ, უფალო გრიგოლ!

— როგორ მოგწონთ, უფალო გრიგოლ!

— უფალო გრიგოლ, კალატოზებს აგური შემოაკლდათ, კაცი აფრინეთ აგურხანაში.

— მხერხავები ტივის მორებს ხერხავენ, უფალო გრიგოლ!

— ამისთანა ხუროებს სადიმოვნით, უფალო გრიგოლ, ხელიდან არ გაუშვათ.

— გადახურვას მოვრჩით, უფალო გრიგოლ!

— უფალო გრიგოლ, დურგლები კარ-ფანჯრების კეთებას შეუდგნენ, კიდევ

რას გვიბრძანებთ!

— მღესავები სამუშაოზე დავაყენეთ, უფალო გრიგოლ!

— სახურავზე თუნუქი რა ფრად შევლებოთ, უფალო გრიგოლ!

გულგასიებული ფირუზა ზანდაროვი მწვანდებოდა და ყვითლდებოდა.

სკუდიერიც სულ უფალ გრიგოლის გარშემო ტრიალებდა.

იტალიელი ხუროთმოძღვარი ხარაჩოებზე თხასავით დარბოდა და ყველაფერს აკეთებდა, რათა თბილისელი მილიონერის პატივმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა.

ფირუზა სულ იმას ნატრობდა, რათა მას ფეხი დასხლტომოდა და ძირს ჩამოვარდნილიყო.

## 6. ძველ უბანი

დავინცებულის გახსენება ძნელია.

ხალხური ნაკვეთი

როგორ მოხვდა გრიგოლ ზანდაროვი ბართლომე კურტანიძის სახლში, თვითონაც ვერ გეტყოდათ.

შეა სექტემბრის ნუნარი საღამო იდგა.

ქალაქელები ბანებზე, აივნებზე და ქუჩებში იყვნენ გამოფენილი.

ქარვასლიდან გამოსული გრიგოლ ზანდაროვი ერევნის მოედანზე შა-დრევნის გასწვრივ სეირნობდა.

საერთოდ, საღამოობით ხალხმრავალ მთავარ ქუჩებსა და მოედნებზე სეირნობა და თავის გამოჩენა უყვარდა. ნაცნობებთან შეხვედრა, მასლაათი, ლამაზი ქალების თვალიერება, მათი ნიშანში ამოღება, უკან შეუმჩნევლად დადევნება და ვინაობის გაგება. თბილისის ახალი ბულვარების ამ ახოვან „დენდს“ ქარგად იცნობდნენ დარბაისელი მოსეირნენიც და ფუქსავატი „ხახვის ფრანტებიც“.

გრიგოლ ზანდაროვი ჯერ აუზის შადრევნების ყურებით გაერთო, მერე ჩახანების და სამიერტნოების თავდალმართში დიდხანს უცქირა საზამთროების დაგორების თამაშს, ბოლოს ვანქისკენ გაემართა და სრულიად მოულოდნელად მტკვრისაკენ გაუხვია.

მის ნინ მტკვარი მზის ჩამავალ სხივებზე ნითლად ალაპლაპდა. ტივებზე მოყაყანე მეტივეებს გადახედა. ზევით, გალმა მხარეს, ერთ კუთხეში ვეებერთელა შავი ფრინველებივით მტკვარში ჩამსხდარ ნყლის ნისქვილებს მიაცემდა. თვალი ააყოლა მათი მბრუნავი ბორბლების ნყლით ჩქერალს, რომელიც ზანტი სრიალით იღვრებოდა მდინარეში და ბორბლებზე ჯერ ისევ ლიცლიცა ჭავლებს ხან შინდისფერი შუქი ეკიდებოდათ, ხანაც ატმის ყვავილების ფერი. უცრად გულმა კუკისაკენ გაუწია. ფირუზასა და თეთრი ლიზას ძველი სახლის და ქარ-მიდამოს ნახვა მოენატრა. მტკვრის ნაპირს გაჰყვა, ხიდზე გავიდა და ნაცნობი ქუჩებით იმ სახლისკენ გაემართა, სადაც მას ჭაბუკის ნლები ჰქონდა გატარებული.

ირგვლივ მისთვის ყველაფერი ნაცნობი იყო, მტკვრის ნაპირის ჭიჭინა ძეძვნარიც, ვინრო ქუჩებიც და ბნელი ქუჩაბანდებიც, პატარა სახლების აივნებიც და ბალჩა-ბალების სოფლური ლობეებიც, თავიანთი ძველი ქუჩის მოსახვევში გრიგოლმა ძალზე დაბერებული მეთულუხჩე იცნო, ზოგიერთი სხვა მეზობელიც, რომელთაც მას ცნობისმოყვარეობით მოხედეს, მაგრამ ვეღლარ იცნეს. გრიგოლს ზანდაროვების სახლი და თეთრი ლიზას ბალჩა იქ აღარ დახვდა, სადაც ეგულებოდა. მათს ნასახლარზე ეტლების დიდი სახელოსნო გაემართათ, ხოლო ქუჩის პირზე, ფირუზას დუქნის ადგილზე, ორსართულიანი აგურის შენობა იდგა. ეზოდან გერმანული ლაპარაკი მოისმოდა. გერმანელი ხელოსნები რამდენიმე ეტლას ერთად აკეთებდნენ. ეტლების მუშტრები თანდათან მრავლდებოდა. ასეთივე სახელოსნო რიყეშიც იყო გამართული.

გრიგოლ ზანდაროვი ძველი ნასახლარის ნინ საქმაოდ დიდხანს იდგა, მაგრამ არავითარი მღელვარება არ ეტყობოდა. თავისი ნარსული ცხოვრება მას არ აგონდებოდა, რადგან ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როდის ეყიდა ეტლი, რათა ყველანი ერთხელ კიდევ გაეკვირვებინა და შურით დაედაგა.

ნმინდა ნიკოლოზის ეკლესიდან მწუხრის ზარების რეევა მოისმა. გრიგოლმა პირველი გადაინერა. მერე პატარა აღმართს შეჰყვა. მაჟას სახლს ისე

გაუარია, რომ არც იქნით გაუხედია, არც თვითონ მაკა გახსენებია. მას თავისი ყოფილი დუქნის ნახვა აინტერესებდა, აღმართის თავზე ზედ ჭურაზე როგორ გადმომდგარი.

დუქნის ნინ რუმბივით დამრგვალებული მედუქნე იჯდა. შარვლის ტოტები მუხლის თავებამდე გადაეცეცა, ბანჯგვლიანი ფეხები თათრულ ჩუსტებში ჩაედგა, ხელში ბუზების მოსაგერიებელი ეჭირა და თაბახებზე დალაგებულ ხილზე მისეულ ბუზებს იგერიებდა. დუქნის ერთ მხარეს საზამთროების გორა იდგა, მეორე მხარეზე ყვითელი ნესვები ეყარა. სახეგაუინულილებულმა მედუქნემ სქელი კისერი ზარმაცად მოაბრუნა ზანდაროვისკენ, არაფრისმთქმელი ლოქოს თვალებით შეხედა და კვლავ თავისი საქმე განაგრძო. ზანდაროვმა ერთი წამით დაადგა მას თვალი და კინალამ სიცილი წასკდა. სწორედ ამ ადგილზე, დუქნის ნინ, დიდი ხნის ნინათ ჯერ ისევ ახალგაზრდა გიგა ზანდაროვი იჯდა თავზე ცუდად მორგებული ვაჭრის ქუდით, რადგან იმ დროს მაიკო კურტანიძეზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე დუქნისა და ქარვასლაზე. უცებ გრიგოლი ბართლომე კურტანიძის მიერ აშენებულ კედელს დააშტერდა, რაღაც მოაგონდა, რაღაცამ ააღელვა და საჩქაროდ იქითკენ გაუხვია, საითკენაც წასვლას სულაც არ აპირებდა.

## 7. დავიცხებული ტრუიალი

კავკაციონი მხოლოდ ბედნიერ ქალს უხდება.  
ონორე დე ბალზაკი, „პონორინე“

ბართლომე კურტანიძის ორსართულიან სახლს არავითარი ცვლილებაა არ ეტყობოდა. მხოლოდ ბალს ჰქონდა მესერის მაგიერ მაღალი ქვითკირის ღობე შემოვლებული. სახლის სახურავიც ახალი წითელი კრამიტით ჩანდა დახურული, ხოლო გრძელ, მუქლურჯად შეღებილ აივანზე გამვებული ვაზი მწვანედ გადაბარდნულიყო და ყურძნის მსხვილი მტევნებით დახუნდლულიყო. არავინ ფიქრობდა, რომ ამ სახლში მიღიონის მფლობელი ცხოვრობდა.

გრიგოლ ზანდაროვს ულვაშებში ჩაეცინა, სოლოლაკში დაწყებული სახლის მშენებლობა მოაგონდა და თავისი უპირატესობის შეგრძნებით გამსჭვალულ მა ბართლომე კურტანიძის სახლის ჭიშკარი ლალად შეაღო, ნაცნობი ეზო გადასჭრა, ჩარდახიან კიბეს აუყვა და ვიწრო აივანზე აღმოჩნდა.

პატარა ხარაჩოზე შემდგარი ბართლომე კურტანიძე აივნის კედლებს მიხაუისფრად დებავდა. გრიგოლს მყისვე თვალში ეცა მისი დაგლეჯილი, ხალებავით დასვრილი ტანსაცმელი და წარბი გაკვირვებით ასწია. ბართლომე კურტანიძემ მას ცალი თვალით გადმოხედა, თავიოდნავ დაუკრა და საღებავის სალთში ამოვლებული ფუნჯით ისევ კედელს მოუბრუნდა.

უცხვირპირო და დამუნჯებულ ბართლომესთან გრიგოლს არც ლაპარაკი ეხერჩებოდა და არც სალამ-ქალამი. ქალაქური შორისდებულებიც სრულიად ზედმეტი იყო, ოლონდ თავი მდაბლად დაუკრა, გვერდში გაუარა და ნაცნობი თახის ნაცნობ კარს მიადგა.

თახში შილიფუად ჩაცმული მაიკო დახვდა. ნახევრად შიშველი ქალისთვის გრიგოლ ზანდაროვის გამოჩენა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სახტად დარჩენილმა ჯერ ვერაფერი ანამა, ვერაფერი მოისაზრა, მერე სახეზე სირცხვილის აღმურმა აპერა, „ვუი“ შესძახა და ოთახიდან გავარდა. გრიგოლმა მისი შიშველი მხრების და გულმკერდის თვალის შევლება მოასწრო, რაღაც გოვონდა, რაღაც გაახსენდა, მაგრამ სალერლელი მაინც არ აეშალა, როგორც ქალი მაიკო კურტანიძე მისთვის აღარ არსებობდა.

გრიგოლი მაგიდასთან ბატონეკაცურად დაჯდა, მაღალი, პრიალა შავი ცილინდრი მოიხადა, ფეხებთან იატაკზე გადმობრუნებული დასჭო, შიგ ყვითელი ხელთათმანები ჩაჰყარა, მუხლი მუხლზე შემოიდო, სკამის ზურგს მიეყრდნო, ორმაგი უილეტის ლილოკილოებში ცერის თითები გაჰყო და მილიონერის ოთახს გადახედა. სახეზე დამცინავი ლიმილი აუთამაშდა. ამ მდგომარეობაში დახვდა იგი კაბაგადაცმულ მაიკოს.

გრიგოლმა მას მეგობრულად გაულიმა:

— როგორა ხარ, მაიკო?

მოუხედავად იმისა, რომ მაიკო ისევ დაბნეული იყო, მას მაინც თვალში მოხვდა მისი დამცინავი ლიმილი. უკმერთ გამომეტყველება მიიღო, უკმეხადვე უპასუხა:

— როგორ უნდა ვიყოთ? ლვითის მადლით, მგონი არა გეიჭირს რა.

მეგობრულად განწყობილმა გრიგოლმა მაიკოს უკმეხობას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. სკამის ზურგზე გადაქანებული ისევ ბატონეკაცურად იჯდა. არც მუხლიდან მუხლი ჩამოილო. მაიკოს არც ეს გამოეპარა. ქართველებში ყველაზე დიდ შეურაცხყოფად სკამზე სტუმრის ასეთნაირად ჯდომა ითვლებოდა.

შელახულმა თავმოყვარეობამ მაიკოს სითამაშე დაუბრუნა. აივნის კარი გააღო და მოახლეს გასძახა:

— გოგო, თვალმშვენიერისავ!

თახში ნორჩი გოგო შემოვიდა. ახლად ტანაყრილი, პირმწყაზარი, თვალუუნა და კალმახივით მოქნილი. გრიგოლმა მას აღტაცებული თვალი დაადგა და აღარ მოაშორა.

მაიკოს კიდევ უფრო უკმერთ გაუხდა სახე, გოგოს მოუბრუნდა და მოკლედ მოსჭრა:

— ბატონს ხილი მოართვი!

გოგო ხილის მოსატანად გაიქცა. მაიკომ სუფრა გაასწორა. ბართლომე კურტანიძის ნაკეთები განჯინიდან თეთვის გადმოილო, გრიგოლს წინ დაუდგა. ჩუმად ირჯებოდა და ხმას არ იღებდა.

დუმილი გრიგოლმა დაარღვია:

— ლამაზი მოახლე გყოლია, მაიკო. სახელიც კარგი აქვს, თვალმშვენიერისავ, იფ!

მაიკოს თაფლისფერი თვალები ირონიულმა ღიმილმა გაუნათა, სტუმარს დამცინავად გადმოუვდო:

— ჟო, ლამაზია, მაგრამ იმისავით თეძოამოვარდნილი არ არის.

— ვინ იმისავით, მაიკო? — გაუკვირდა გრიგოლს.

მაიკომ მას პირდაპირ თვალებში შეხედა, მაგრამ რაյი შეამჩნია, რომ მისი სტუმარი გულწრფელად იყო გაკვირვებული, შუბლზე ჩრდილმა გადაურბინა, გულმა შემოჰკევნესა: „არ ახსოვს, არავინ არ ახსოვს, ყველანი დაივინყა, მეც, ისიც, ალბათ მაჟაც, — ამბობდა თავისთვის გულმოკლული მაიკო, — რამდენი ხანია აქა ზის და ბიჭები ერთხელაც არ უხსენებია“.

სიტყვა ბანზე ააგდო:

— ნინათ სხვა მოახლე მყავდა, იმასაც თვალმშვენიერისა ერქვა.

— ჟო.

თქვა გრიგოლმა, რომელსაც მაიკოს თეძოამოვარდნილი მოახლე, მართლაც, არ ახსოვდა.

## 8. დაპატიშება

სატრიფოს ერთი შემოხედვა მრავალთ სიმწარეთ გვავინყებს.

გრიგოლ ორბელიანი

თვალმშვენიერისამ ხახალით ხილი შემოიტანა: პირწითელა ატმები, გადალურჯებული ლელვი, ქარვისფერი ყურძნის მტევნები, დარჩეული ოქროსფრად მბზინავი ნიგოზი, შარბათით სავსე დოქი.

— მიირთვი, — შესთავაზა მაიკომ სტუმარს, — ჩვენი ბალის ხილია, ბართლომეს დარგული და ნახარები.

გრიგოლმა ატამი აიღო. თვალებით რაღაცას დაუწყო ძებნა. ქალბატონმა მოახლეს გადახედა, მოახლემ — ქალბატონს.

— ატამს გაუთლელად არ გეახლებით, მაღრიბში დავეჩვიე, — გააგებინა მაიკოს გრიგოლმა.

თვალმშვენიერისამ მას ერთადერთი დანა მოურბენინა. მილიონერის სახლში დანა-ჩანგალი არ ალმოჩნდა. მაიკოს შერცხვა. განითლდა. მერე გაკვირვებით უყურებდა, როგორ თლიდა ატამს გრიგოლი ტლანქი და უხეში დანით, რომელიც მას კარგად მოვლილი, ორი ძვირფასი ბეჭდის ალმასებით განათებული თითებით ეჭირა, ნაფუქვენს გრიგოლი თეფზე ალაგებდა, ატმის გათლილი ნაჭრები დანის ნვერით პირთან აუჩქარებლად მიჰქონდა, თან ბატონკაცურად დინჯად ლაპარაკობდა.

— ბართლომე კურტანიძე განთქმული კაცია, მდიდარი, სახელოვანი, გაგრამ რათ გინდა? ისე დადის, გეგონება გროშის პატრონიც არ იყოს. ჭევიანიცაა, მშრომელიც, მომგებიანიც. ამაზე ვინ რას იტყვის? მაგრამ კურტანსაცმლით ფასდება. ფირუზამ მითხვა, რომ ყურთმაჯებიანი კაბა ბართლომეს სულ ორჯერ სცმია, ორჯერვე ნამესტნიკის საჩვენებლად მორთულა, როცა მაგისტრის ხელმწიფის მედლები დაუკიდიათ. განა ერთი ყურთმაჯებიანი კაბა რა ლირს, რომ ყოველდღე არ ჩაიცვას ადამიანმა?

მაიკ ხმას არ იღებდა. პირმოკუმული იჯდა. გრიგოლმა მოურიდებლად შეათვალიერა და განაგრძო:

— შენც დროა ჩითის კაბა გაიხადო, მაიკო. ჩადრი და ქალალაია შენ რათ გინდა, ლეჩაქი და ჩიხტი-კოპიცეხლათეთრი ლიზას ხნის დედაკაცებს უხდებათ. ხელს რა გიშლის? ნლოვანება თუ უფულობა? მიხედულობას მიჰყევი, ნინოურავის დაიყენებ.

მაიკ კურტანიძე ისევ ჩუმად იჯდა, მაგრამ უკმეხი გამომეტყველება თანდათან ურბილდებოდა. ეტყობოდა, გრიგოლს ყურადღებით უსმენდა, მისი ნათევამის და ჩამოკრულების აზრის გამორკევას ცდილობდა.

გრიგოლმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ლარიბულ ოთახს, თავი გადაიქნია და, რაკი მაიკ ხმას არ იღებდა, ისევ თვითონ განაგრძო ლაპარაკი:

— კარგი, მაგას თავი გავანებოთ. შენ ეს მითხარი, განა დიდის ფულის პატრონიასეთ სახლში, ოთახებში ან უბანში უნდა ცხოვრობდეს? არ ვიცი, ჩვენ ორშირომელი უფრო მდიდარია, მე თუ ბართლომე კურტანიძე, მაგრამ თავის გამოსაჩენად სოლოლაკში ისეთ სახლს ვაშენებ, რომ მტრებს თვალები დაუბრმავდეთ, მოყვრებს გაუხარდეთ, დიდ-პატარამ ქალაქში ჩემზე ილაპარაკოს და ფეხქვეშ გამეგნენ. თავი უნდა მოვიწონოთ, მაიკ! სახელი და პატივი უნდა დაუიდოთ. აღარც მე ვარ მედუქნე და აღარც ბართლომე ხაბაზი. გალმა გადით, სოლოლაკში სახლი ნამოსჭიმეთ, მდიდრები გალმა ცხოვრობენ, — გრიგოლს რაღაც მოაგონდა, ფირუზასავით იქედნურად გაიცინა და დასძინა, — ვაჭრის ჭუდს მოვლა უნდა, თორემ მარტო ახალგაზრდა და გამოუცდელ ვაჭრებს არ უვარდებათ თავიდან. კაცის სიმდიდრე მდიდრული ცხოვრებით ფასდება.

მაიკოს გაუცინა და მოაგონა:

— არ გახსოვს, ვაჭრის ქუდზე რამდენი მელაპარაკე?

მაიკოს მყისვე მოაგონდა, ოდესლაც გიგასთვის ქარაგმულად ნათევამი. მუნასიბი „ვაჭრის ქუდის შესახებ“. თაფლისფერი თვალები გაუბრნებინდა, გაუხარდა, გულში იმედმოცემულმა გაიფიქრა: „მაშ, ზოგირამ კიდევ ახსოვს. მაშ, ზოგი რამ არ დავიწყნია, მაშ, ძველი გიგა სულმთლად არ დაკარგულა“.

უნებლიერ კისერი წაიგრძელა, კეთილმოსურნედ გალიმებულ სტუმარს დააცეკერდა. კვლავ ეცნაურა მისი ცხვირი, ელვარე ტუჩ-კბილი, ლამაზი თვალები, გრუზა, საფეხულებთან თეთრძაფებგავლებული, მაგრამ მაინც საოცრად თმაგიშერა ქოჩორი. გიგა იყო, ნამდვილად გიგა იყო!

დამტერებით უყურებდა მის ათასჯერ გადაკოცნილ თვალ-წარბს და გულში იმედის ნაპერნ კალი უღვივდებოდა.

მაიკო ხვდებოდა, რომ რაღაც უნდა ექვემდებარებოდა თავისი ძველი საყვარლისთვის, რომელიც მას ახლაც თავდავინყებით უყვარდა, რაღაც უნდა ეპასუხა, რათა მასთან მისასვლელი გზა როგორმე ეპოვა, მაგრამ მხოლოდ ამის თქმა მოახერხდა:

- ბართლომე ხნიერი კაცია, მაგის გამოცვლა აღარ შეიძლება.
- შენ ხომ ახალგაზრდა ხარ! ამ უბანში ცხოვრება შენ რათ გინდა?
- აქ დავიბადე, აქ გავიზირდე.

უპასუხა მაიკომ და ეინალან ნამოსცდა, რომ ახლაც ისე არ ჩაუვლილ გიგა ზანდაროვის ნადუქნარს, რომ გული არ აძვერებოდა.

— თეთრი ლიზაც აქა ცხოვრობდა, მაგრამ ეხლა მტკვრის გაღმა სოვდა-გრების ცოლებში ტრიალებს, შენ იმაზე ნაკლები რითი ხარ?

- მე რომ კიდევაც მოვინდომო, ბართლომე არ მოინდომებს.

გრიგოლმა გაკვირვებით შეხედა მაიკოს.

— მაშ, შენ თვითონ გამოცვლილხარ. წინათ, მახსოვს, რასაც მოინდომებდი, ბართლომე კურტანიძეც იმას აკეთებდა, — გრიგოლმა დაკვირვებით შეათვა-ლიკრა მაიკოს ლამაზი პირისახედა სიცილით განაგრძო, — გიგა ზანდაროვიც მაგრად გყავდა დაბმული.

მაიკომ არ გაიცინა, რადგან შეეძინდა, გრიგოლს მისი ორი პანანინა ლრ-ჯოლი არ გახსენებოდა.

გრიგოლმა ოქროს გრძელ ძენკვზე ჩამოკიდებული ოქროს საათი ამოილი უილეტის ჯიბიდან, დახედა და ფეხზე ნამოდგა, მაიკომ სტუმარი გააცილა. ბართლომე კურტანიძემ ახლაც მხოლოდ ერთხელ გადმოხედა გრიგოლ ზანდაროვს, თავი ოდნავ დაუკრა და გულმოდგინედ დაუწყო თვალიერება ახლად შეღებილ კედელს. მაიკომ და გრიგოლმა ჩუმად გაიარეს აივანი, ჩუმად ჩაიარეს ეიბეც, ეზოში ჩუმად გაუარეს ბალის ლობესთან ჩარიგებულ ნუშებსა და ბრონეულებს და ქუჩაში გავიდნენ.

ჭიშკართან გრიგოლმა მაიკოს მაღალი, პრიალა შავი ქუდი მოუხადა, გა-მოსამშვიდობებლად თავი დაუკრა და უთხრა:

— ფერშანგოვების სახლში დიდკაცობას მინდა დავუძახო. იმედი მაქვს, შენცა და ბართლომემაც პატივი დამდოთ.

თქვა და თავდალმართს ნელი ტაატით დაადგა.

აღმართზე ორი ბიჭი ამოდიოდა. გრიგოლ ზანდაროვმა მათ ყურადღება არ მიაქცია, გვერდში უცხოსავით ჩაუარა.

- დედი, ეგ კაცი ვინ იყო?

მოაძახეს ქვემოდან მაიკოს ზანდაროვის შეილებმა.

— ნათლიაანთ გიგა, — ჩახლეჩილი ხმით უპასუხა მაიკო კურტანიძემ და საჩქაროდ ჭიშკრისკენ გატრიალდა, რათა მისი ბრაზით და ბოლმით ალენილი სახე შვილებს არ დაენახათ.

# კარი მეთვრამეტე

## 1. ფარისცვალება

ეს, ქალბატონო! კაცებს რომ ჭუა პქონოდათ, განა შევძლებდით მათ  
ათასჯერ მოტყუებას და მის გაკეთებას, რაც ჩვენა გვსურს?  
მირზა ფათალი ახუნდოვი, „მუსიკ უორდანი. მოტანიკოსი.  
დერვიში მესთალი-შაჰი, სახელგანთქმული ჯადოქარი“

გრიგოლ ზანდაროვმა კარგად იცოდა, რომ დიდვაჭრის სარბიელი არა  
მარტო ქარვასლა იყო, არამედ მდიდრული ნადიმიც, რომელზეც მხოლოდ  
სასარგებლო და გავლენიანი სტუმრები უნდა ყოფილიყვნენ მოწვეულნი და  
დაპატიჟებულნი.

მიუხედავად ფირზას ბუზლუნისა, გრიგოლმა ფერშანგოვის სახლის  
მთავარ დარბაზში ხელოსნებს ვეებერთელა ჭალი ჩამოაკიდებინა, ოთახების  
კედლებზე კი ეანდელიაბრები გაამნერივებინა. ქარვასლის საწყობებიდან  
ფორტეპიანო და მდიდრული ავეჯი მოატანინა.

დარბაზიდა ოთახები ისე მორთო და მოკაზმა, როგორც ეს მასპეტერბურგ-  
ში, ვენაში და პარიზში პქონდა ნანახი. სუფრაც ისეთი გააშლევინა, რომ მის  
გულუხვობაზე და პურ-მარილზე ქალაქში რამდენიმე დღე მაინც ელაპარაკათ.

ფერშანგოვისთანა დარბაზი მხოლოდ შერმაზანოვს პქონდა აბას-აბადის  
მოედანზე. ფერშანგოვის სახლში სუფრის გაშლაც შეიძლებოდა, ცეკვების  
გაჩაღებაც და ბანქოს თამაშიც.

ეკრაშულად გამოწყობილი ბობოლუების გასართობად სიმებიანი ორკესტრი  
იყო მოწვეული, ყურთმაჯებიანი სოვდაგრების დასატკიბობად — დუდუკისა  
და საზანდრის დასტები.

ახალგაზრდა ზანდაროვი ხარჯს არ მოერიდა, რათა სტუმრებს ხალვათად  
ვერძნოთ თავი, ესიამოვნათ, ექვითნათ, ემასლაათათ, ქალალდი ეთამაშათ და ცე-  
კვა-თამაში გაემართათ.

მხოლოდ რჩეული სტუმრები იყვნენ დაპატიჟებულნი.

რჩეულებს შორის აღმოჩნდნენ ბართლომე და მაიკო კურტანიძეებიც.

გრიგოლ ზანდაროვს არ შეეძლო მათთვის ანგარიში არ გაენია. ბართლო-  
მე ხომ მთელ ქალაქში საოცრად მდიდარ ვაჭრად ითვლებოდა. ამას გარდა,  
მას მაიკოს გულის მოგებაც სურდა, რათა ყოფილი საყვარელი მის მხარეზე  
დამდგარიყო, თუ ოდესმე ქარვასლაში მას ბართლომე კურტანიძე დაუპირის-  
პირდებოდა. ანგარიშებით გართულ გრიგოლს რაღაცნაირად იმის იმედიც  
პქონდა, რომ კურტანიძეები ნადიმზე არ მოვიდოდნენ, რადგან ისინი არც  
თეითონ დადიოდნენ სტუმრად და არც სხევებს ჰქონდებდნენ. მხოლოდ ბიჭე-

ბის ნათლობებს იხდიდნენ, მაგრამ ამასაც უნდა გადაჩვეულიყვნენ, რადგან თოხი წელი სრულდებოდა, რაც მაიკოს ფეხმძიმობა არავის გაეგონა.

მაშასადამე, გრიგოლი მხოლოდ ზრდილობიანად მოიხდიდა თავის მოვალეობას მათს წინაშე. თუ ეს ასე არ მოხდებოდა და ისინი მაინც მოვიდოდნენ, მაშინ გრიგოლი დარწმუნებული იყო, ბართლომე კურტანიძეს ერთხელ კიდევ მოუხდებოდა ყურთმაჯებიანი სოვდაგრული კაბის ჩაცმა.

გრიგოლ ზანდაროვი სხვების გაკვირვებას ფიქრობდა, მაგრამ თვითონ დარჩა გაოცებული.

კურტანიძეები მის ნადიმზე ევროპულად ჩაცმული მოვიდნენ.

სახტად დარჩენილმა გრიგოლმა პირი დააღო.

ფირუზამ თვალები დააჭირტა.

თეთრმალიზამ ტუჩებზე ორი თითიდაიდოდა განცვიფრებული ხან ბართლომეს შესცეკროდა, ხან მაიკოს.

ყურთმაჯებიანმა სოვდაგრებმა ერთმანეთს მხრების აწევით გადახედეს. მედიდურმა ბობოლებმა და სახეზე „ბრინჯშეყრილმა“ კოპნია „ხახვის ფრანტებმა“ ბართლომე კურტანიძეს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, სამაგიეროდ, ნიაზით შეათვალიერეს მისი ლამაზი ცოლი.

ბართლომეს წენგოსფერი, მსხვილლილებიანი სერთუკი ეცვა (საღამოს ნადიმისათები შეუფერებელი, მყისვე ყურადღება მიაქცია გრიგოლმა), ხოლო მაიკოს უსახელო, გრძელი თეთრი კაბა.

მართალია, ბართლომე კურტანიძე სერთუკში ისე იყო ჩაჭედილი, რომ განძრევის თავი არა ჰქონდა, ვერც მაღალ თეთრ საყელოში ამოძრავებდა კისერს და ერთ ადგილზე გაშეშებული იდგა, მაგრამ ჩვეულებრივზე მეტი სიდარბაისლე ეტყობოდა, რასაც მომგებიანად აგვირგვინებდა ხელმწიფის ორი მედალი და დიდი ცხვირი, რომლის მსგავსი ქალაქელებს ჯერ არ ენახათ.

გრიგოლს იმდენად ბართლომე კურტანიძის ევროპული სამოსი არ აკვირებდა, რამდენადაც მისი პირნმინდად გაპარსული ნაყვავილარი სახე, ევროპულადვე შეკრეჭილი, ვაინაჩრობით გადავარცხნილი, მაგრამ მაინც ყალყზე შემდგარი ქოჩორი.

სადღა იყო კუკიელი ალაფის ნიჩბისოდენა წვერი!

დაობლებული ულვაშების, გადაფხეკილ-გატიტვლებული ნიკაპისა და ლოყების ფონზე უზარმაზარი ცხვირი კიდევ უფრო დაგრძელებოდა, ყურებიც ერთბაშად გაზრდოდა, ნინათ შუქმოუკიდებელი ყავისფერი თვალები კი, თითქოს ვინმემსველი ჩვარი გადაუსვაო, სერთუკის ბრჭყვიალა ლილებიერ უპრიალებდა.

ახალგაზრდა ზანდაროვს სიცილი დაახრჩობდა, მაიკო კურტანიძის ყურებით რომ არ ყოფილიყო გატაცებული.

ხნიერი ზანდაროვიც ხან მუშტაკედასმულ და გაპრიალებულ ბართლომე კურტანიძეს აშტერდებოდა, ხან იმის მაღრიბულად გაბიბინებულ ცოლს.

კურტანიძეების მოულოდნელი ფერისცვალება ვერაფრით აეხსნა და როგორც თვითონ თავს უტყდებოდა, „დავთრები უარესად დაებნა”, ალარ იცოდა, რა ეფიქრა, რა გზას დადგომოდა.

ერთირამ ცხადი იყო: ბართლომეც და იმისი ცოლიც გრიგოლ ზანდაროვის გხარეზე დგებოდნენ, იმის გავლენაში ექცეოდნენ და უპირატესობასაც იმას ანიჭებდნენ. მაშასადამე, ფირუზა ზანდაროვს ორი ნაბიჯით ნინ სიარული ველარაფერს უშველიდა, მის განაპირებას და განზე დაყენებას აღარაფერი უკლდა. ბობოლებიც და სოვდაგრებიც გრიგოლ ზანდაროვს ეხვეოდნენ, მხოლოდ მას ელაციცებოდნენ და ქათინაურებს ეუბნებოდნენ.

ფირუზა ზანდაროვს ერთდროულად გაჰკრა კლანჭი შურმაც და შიშმაც. გუნება აემლვრა. ცხვირი ჩამოუშვა. გულმოსული შესცეკეროდა ჭალისა და კანდელიაბრების აუარებელ სანთლებს, რომელნიც, მისი აზრით, უსარგებლოდ იწვოდნენ, რადგან გარეთ ისეთი მთვარიანი ლამე იდგა, რომ მთელ ქალაქსაც ანათებდა და სახლების ოთახებსაც ამუქებდა. დაბნეული შეჟყურებდა ათასნაირი ჯურის სტუმრებს, რომელთა შორის ლაქიებს სინებზე გამნკრივებული მაღალფეხიანი ორთომელებით გამაგრილებელი და დამათრობელი სასმელები დაჟქონდათ. გრიგოლ ზანდაროვი არა ხუმრობდა. თავადური მეჯლისით თუ ნადიმით ყველას გაოცებას ლამობდა. ერთ ოთახში სათარას ამღერებდა, დიდ დარბაზში მემუსიკენი ევროულ საცეკვაოებს უკრავდნენ, სხვა ოთახებში მნენე მაგიდების გარშემო შემომსხდარი ბანქოს მოთამაშეების ნინ იმდენი ფული ეყარა, რომ თვალებაჭრელებულმა ფირუზამ ამდენი ფულის ყურებას ველარ გაუძლო და იმ ოთახისკენ გალასლასდა, სადაც მომღერალი სათარა თავისი საზანდრით ლოყებლაჟლაჟა სოვდაგრებს ართობდა.

ნირნამხდარ და დაფიქრებულ ფირუზას ნინ გამხიარულებული თეთრი ლიზა შეეფეთა, ქმარს აღტაცებით უთხრა:

— ვერუყურებ, მაიკო კურტანიძეს ნამესტნიკის კაცები და სუდის დიდები რანაირად უყურებენ? ბართლომე ვიღას ახსოვს?!

არც ფირუზა ზანდაროვი ახსოვდა ვინმეს. ამ აზრმა გულიც ატკინა და სულიც დაუმდულრა. ცოლს ხმა არ გასცა, ცალი თვალით მაიკო კურტანიძისაკენ გაიხედა, მერე კედელთან გაშემებულ ბართლომეს დაადგა თვალი და იქედნურად ჩაიღიმა.

იქედნურად გალიმების საბაბი მას მაიკო კურტანიძესთან გატაცებით მოლაპარაკე გრიგოლმა მისცა.

ახლა ფირუზას არავითარი ეჭვი არ ეპარებოდა, იმაში, რომ გრიგოლ ზანდაროვს ბართლომე კურტანიძის სახლში მაიკო დამქამად ეყოლებოდა, ხოლო ფირუზა ზანდაროვის სახლში — თეთრი ლიზა.

ეჭვი და შიში კიდევ უფრო გაუძლიერდა.

გულში მტკიცედ გადაწყვიტა, ჯავრი თეთრ ლიზაზე ეყარა, გრიგოლ ზანდაროვს კი მაგრად დასდგომოდა.

თეთრი ლიზა სოვედაგრების ცოლებში გაღივლივდა, ფირუზა კი მაღრი. ბულად ჩაცმულ მამაკაცებს მიაჩერდა.

მათ კისრები ნაეგრძელებინათ და ისე უფრესებდნენ მაიკო კურტანიძეს.

ფირუზამ ისევ იქედნურად ჩაიღიმა. ლამაზი ქალის ნარმატება ქმრისთვის საც სასარგებლო იყო და იმისთვისაც, ვინც ახლა მაიკოს რაღაცას ცხარედ ელაპარაკებოდა და უმტკიცებდა.

დაბერებული ფირუზა ახლაც ყველაფერს მოგებისა და ნაგების თვალსაზრისით ზომავდა.

## 2. ქველ ტრაიალს ჟანგი არ ეპიზოდი

**რა უნდა აქვნდეს სულსა უკვდავი, თუ მასში განსექრეს  
კვლავ სიყვარული.  
გრიგოლ ორბელიანი**

მაიკო კურტანიძემ მყისვე მიიპყრო გრიგოლ ზანდაროვის სტუმრების ცურადლება.

გრიგოლისათვის ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ მის სალუქ ნადიმზე უფრო მეტად სტუმრებზე შთაბეჭდილებას თვალნარმტაცი მაიკო კურტანიძე ახდენდა.

მიხვდა და გაუკვირდა.

ნადიმზე დიდვაჭრების დასქელებულ და ხნიერ ცოლებთან ერთად ბობოლების ლამაზი და ახალგაზრდა ცოლებიც იყვნენ, მაგრამ ისინიც ერთბაშად დაჩრდილა ამოლტილმა და დედოფლური გარეგნობის მაიკო კურტანიძემ.

თვითონ გრიგოლი თვალს ვეღარ სწყვეტდა იმას, ვინც მას სამუდამოდ დავიწყებული ეგონა. თვალში მოსდომდა მისი ნარნარი სიარული, მისი თეთრი, ალისფრად ნაქარგ-ნაგვირისტები, ბოლოებში ფოჩებშემოვლებული კაბისა და ვარდისფერი, ნახევრად გამლილი მარაოს მოხდენილი ტარება, თეთრივე, თითებთან ნაჭრილი და იდაყვებამდე აზიდული ხელთათმანები, საკმარისზე მეტად გაშიმვლებული მხრები და გულმჯერდი, მოქნილი გრძელი კისერი, თავთუხისფერ თმებში კეკლუცად ჩარჭობილი სპილოს ძვლის ჯიღა, ლალებით და იაგუნდებით მოოჭვილი ოქროს გრძელი საყურეები, კოხტა მაღრიბული ფეხსაცმელები, რომლებიც სიარულის დროს კაბის ქვეშ დროგამოშვებით ჩნდებოდნენ და ისევ იმალებოდნენ.

მაღრიბულად მორთულ-მოკაზმული მაიკო კურტანიძე კიდევ უფრო გასაოცრად დაემსგავსა კნეინა გოსტაშაბიშვილს. ლაპარაკი აღარ უნდოდა, პირნავარდნილი მაგდა გოსტაშაბიშვილი იყო.

თვალგანცვიფრებული გრიგოლი თითოთ შუბლს ისრესდა და ყოყმანობდა, არ იცოდა, ვისთვის მიეცა უპირატესობა.

გაიკო კურტანიძე თითქოს სჯობდა კიდევ კნეინა გოსტაშაბიშვილს.  
თბილელი ლამაზმანი რაღაც თავისებური თბილისური ეშხით იყო თეთრად  
და ალისფრად აბრივალებული.

ახლა ზანდაროვი მზად იყო დაეჯერებინა, რომ მაიკო კურტანიძე ხელმწი-  
ფის ხარჭად იყო ნამყოფი.

დაუყოვნებლივ მის გვერდით გაჩნდა და დრო უხელთა თუ არა, ყურძი-  
ცხარედ ჩასჩურჩულა:

— მაიკო... მაიკო...

მაიკომ მას პირზე მიფარებული მარაოდან თავისი თაფლისფერი თვა-  
ლებით გამოხედა. მარაო ქალის ცხვირის კეხთან მთელ სიგრძეზე იყო  
გადაშლილი. გრიგოლი მხოლოდ მაიკოს თაფლისფერ, ოდნავ გაოცებულ  
თვალებს უყურებდა და არ შეეძლო დაენახა მის ბავერებზე ათამაშებული  
ეშმაკური ლიმილი.

— მაიკო, სადა გნახო? როდის გნახო? — ეკითხებოდა საღერლელაშლილი  
გრიგოლი.

— მაგას რა კითხვა უნდა, გიგაჯან, ჩემს სანახავად დრო და საათი რათ  
გჭირდება?

მაიკოს „გიგაჯან“ შერიგებას ნიშნავდა, თუმცა გაბუტიული სულ  
არ ყოფილან, არც ძველებურად ნაჩხუბებული. გრიგოლს სახეზე სიამის  
ისეთი ლიმილი გადაეფინა და ისეთნაირად გამხიარულდა, რომ ფირუზამ  
ისევ ფლიდურად ჩაიცინა და ერთხელ კიდევ იქედნურად გახედა კედელთან  
გაშეშებულ ბართლომე კურტანიძეს.

იმ ნადიმზე მხოლოდ ორი ადამიანი არ ერეოდა საერთო მხიარულებაში:  
ნარბშეერული ფირუზა ზანდაროვი და მუდამ გაჩუმებული და პირშეკრული  
ბართლომე კურტანიძე.

ბართლომე კურტანიძესთან არავინ არ ჩერდებოდა, არავინ ყურადღებას  
არ აქცევდა. თუმცა ბევრს ეშინოდა მისი. პირფერები და მლიქნებულები მზად  
იყვნენ მისითვის ფიანდაზი გაეშალათ, მაგრამ აგონდებოდათ, რომ მდიდარი  
ალაფი აინუში არ აგდებდა პირფერულად და მლიქნებულებურად ნათქვამს.  
ყურის დაგდება ყველაზე ეარგად ეხერხებოდა, კრინტის დაძვრა კი უჭირდა.  
არც არავის დახმარება სჭირდებოდა, არც თვითონ ეხმარებოდა ვინმეს. თავის  
საქმეს თვითონ ჩარხავდა და ანგარიშითაც თვითონ ანგარიშობდა.

ფირუზას რამდენიმე დიდვაჭარი გამოელაპარაკა, მაგრამ უგუნებობა  
შეატყვეს თუ არა, სწრაფად ჩამოშორდნენ.

გაჯავრებული ფირუზა ხან ცოლს უბლვეროდა, ხან საოცრად გალაშაზე-  
ბულ მაიკო კურტანიძეს გაევირვებული ათვალიერებდა. ერთი-ორჯერ გარ-  
შემოშემოუარა და მის ეაბაზე ნელს ქვემოთ უზარმაზარ პეპელასავით აკრულ  
და ფარშევანგის ბოლოსავით გამლილ ბაბთას ისეთნაირად დააშტერდა, რომ  
რამდენიმე სტუმარმა ხმამაღლა გაიცინა.

მაიკომ ფირუზას ყურადღება შეამჩნია, გაუცინა და ჰეითხა:

— ეგრე რათ მიყურებ, ფირუზ?

— მომავონდა, მაიკოჯან, ჩემი დუქნის ნინ ფოსტლები რომ გვარდებოდა.

ჰაი გიდი, რა დრო იყო!

მაიკომ წყნარად შეათვალიერა ფირუზა. მის ნათქვამში გაჯავრებული ადამიანის კილო აღმოაჩინა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, ვის ეხებოდა მისი ჩამოკრული — გრიგოლ ზანდაროვს თუ თვითონ მას. პირგაბადრულ სოვ-დაგრებისაკენ გაიხედა და ფირუზას უთხრა:

— ის დრო რა მოსაგონარია? ამათი თაბახი და ქუჩის სასწორი ვიღას ახსოვს? ან ჩემი ქმარი, ბართლომე კურტანიძე, ავიღოთ. ვის აგონდება ფქვილში ამოგანგლული ხაბაზი? — ფირუზას ისევ გაუცინა და მხიარულად ჩაულაპარაკა, — ფოსტლები კი ქუჩამი არ დამრჩენია, მპოვნელმა იპოვნა!

გატრიალდა და თეთრ ლიზას ამოუდგა გვერდმი.

თეთრი ლიზა სიყვარულით უყურებდა ლამაზისა და ნარმოსადევ გრიგოლ ზანდაროვს, რომელიც ვიღაც მოხდენილ ქალთან ცეკვავდა. ვალსს კადრილი ცვლიდა, კადრილს — ვალსი. თეთრი ლიზა პირველად ისმენდა ამგვარ მუსიკას, პირველად უცქეროდა ამგვარად მოცეკვავე ქალ-ვაჟებს, თვალს უცვიფრებდა და სინითლეს ჰგვრიდა ერთმანეთის მკლავებმი ჩახ-ვეული ნყვილები, მაგრამ თან აღტაცებას ვერ მაღავდა, მოხიბლულმა და გატკრციალებულმა ქმართან მიირბინა, ყურთმაჯამი ხელი სტაცა, ლამაზ ქალთან მოცეკვავე გრიგოლი დაანახა და ენადგაკრეფილმა სხაპა-სხუპით მიახალა:

— ერთი ნახე, ფირუზჯან, ერთი იქით გაიხედე, ყველაზე კარგად ჩვენი გრიგოლი ტანცაობს!

ფირუზამ გესლი დაანთხია:

— ბრძა ხომ არა ვარ! კაცს ფული არ ენანება, ქალს ქმარი არ ებრალება. ბოზეურობა მეტი ვინდა?!

— ქა, აქაც არ იძლი შენსას? სირცხვილია, არავინ გაიგონოს. რაჭომ არ გინდა მაგ ბიჭმა გაიხაროს?

— ლიზავ! გიგას ნუ აქეზებ, თორემ მალე ცხვირში ამოიკრავ!

თეთრმალიზამუკმაყოფილოდ მოაბრუნა მის კენ ფერ-უმარილით თოჯინასავით აჭრელებული სახე, მაგრამ ქმრისთვის არ ეცალა. იაობის გუნებაზე იყო. პირზე მომდგარი სიტყვა ალავმა, გაჯავრებულ ქმარს ზურგი შეაქცია და ჩქარი გოგმანით მაიკო კურტანიძისაკენ გაინავარდა.

გაგულისებული ფირუზა ცოლს კინაღამ დაბასმულ ლეჩაქში სწვდა, ბრაზიანად მიაძახა:

— თერძის ქალო, ფრთხილად იყავ, თუ არ გინდა ეგ იასამნისფერი კაბა შემოგახიო!

ბოლმით გამწვანებული ფირუზა კედელთან მიდგმულ სავარძელში განმარტოებით ჩაჯდა, კრიალოსანი მოიმარჯვა და თვალები დახუჭა, რათა მის სახლში მონადიმე სტუმრებისათვის არ ეცეირა.

### 3. ბზარი

— არა, შენ გუნებაში რა გიდევს?  
ქალაქური დრალოგი

გეორე დღეს ზანდაროვები დიდ დარბაზში ისხდნენ და წუხანდელ ნადიმს იკონებდნენ.

მსუბუქად ჩაცმულ, ქოშებში ფეხნადგმულ ფირუზას ხელები ზურგზე დაწყო, მოუსვენრად ბოლთას სცემდა და დედაბერივით ბუზლუნებდა. მერე დიდი ჭალის ქვეშ შეჩერდა, თავის უკმაყოფილო ქნევით დაათვალიერა ძირამ-დე ჩამნვარი სანთლები და საყვედლურით მიუბრუნდა სავარძელში ნებივრად გართხმულ გრიგოლს:

— თუგინდ ეს მოსკოვური სანთლები ვიანგარიშოთ! თითო რა ჯდება!  
ასეთი აქტუება როგორ იქნება? ფულს წყალში რათა ყრი?

გრიგოლმა ხმა არ გასცა.

გისმაგიერ ფირუზას თეთრმა ლიზამ უპასუხა. ის ნითელხავერდიან სავარძელში კატასავით მოკალათებულიყო და ცალი თვალით ეძინა.

— ქა, მერე რა იყო?! რა მოხდა?!

— მამა ვიცხონდება! — შეუტია ცოლს მოთმინებიდან გამოსულმა ფირუზამ, — მამაშენიც მაგისთანა კრესლოში არ მოკვდა! სულ უკან დაგდევდი, რომ შენისთანა ტუტუცისთვის ვინმეს შუბლის ქინძისთავი არ აეძრო. ამდენი მარგალიტები რათ გინდათ? თავადებივით ცხოვრება რათ მოინდომეთ? ყარათი რათ დაგავინყდათ? არ იცით, რომ ზღვა კოვზით დაიღევა?

— დარდი წუ გაქვს, — დაამშვიდა ფირუზა გრიგოლმა, — მილიონი მილონს მოიტანს!

— ჰმ... რაც მოვიგეთ, ჩემი ჭკუით მოვიგეთ, თუ თავეარიანობას და ფულის ფანტვას არ მოიშლი, აქედანვე გეუბნები, კაპიკი სანატრელი გავიხდება!

თეთრმა ლიზამ ქმარს ჩუმად ქოქოლა მიაყარა. ახალგაზრდა ზანდაროვი სავარძელში წამოინია და ფირუზას ლიმილით მიმართა:

— ფირუზჯან! ფულმა ფული უნდა მოიგოს, შენ კიჩამციებიხარ, გვეყოფა, მოგებული განძი ვიკმაროთო. მე მეტი მინდა! — წამოიძახა ბედისგან გათამა-ბებულმა მილიონერმა და თვალებიაენთო, — მეგანძს განძი უნდა მივუმატო, ფულს ფული მოვაგებინო! ამიტომ ხალხს ჩემი შეძლებაც უნდა დავანახო. წუხანდელ ნადიმზე ბევრი მეგობარი და მფარველი გავიჩინე კანცელარიაში, პალატაში, სასამართლოში და სავაჭრო დეპოში. ქრთამი ჯოვანხეთს ანათებს. ათადან ბაბადან ასე ყოფილა, არის და იქნება!

— ფიე! მე თურმე ჭკუას მასნავლიან! — ითაკილა ფირუზამ.

— მაგას რათ ამბობ? — მონინებით ჩამოართვა სიტყვა გრიგოლმა, — შენი გამჭრიახობა რომ არა, ეხლაც წისქვილებთან სანვრიმალოში ვისხდებოდით.

— მაშ, მაშ, წისქვილებთან სანვრიმალოში ვისხდებოდით.

ევერი დაუკურა თეთრმა ლიზამ გრიგოლს.

პ. ეგეც კარგია, რომ ამაგი არ დაგვინყნია.

„დაბერდა და ჭურა დაუკლდა“, – გაიფიქრა გრიგოლმა, ფირუზას მანც თავაზიანად ჰეთხა:

— ერთი კარგად გამაგებინე, ფირუზჯან, რა განუხებს, რა დარღი გაქვს? იქნებ მე ცუდ რამესა ვშერები და გამოუცდელობით ვერ ვამჩნევ?

— არ გითხარი? კნიაზივით ნუ ირჯები, იალენები დაუშვი!

— ლუფუჩივით რათ უნდა ვიყო? ეაცი მქვიან.

მოილერა კისერი ახალგაზრდა ზანდაროვმა.

ხნიერი ზანდაროვი გაბრაზდა:

— ის საათი დაიქცეს, რაც მე კაცად გაგხადე, ჩემი ქონების განიავებას არ მერჩივნა ისევ მხარზე სასწორგადაკიდებულს გევლო?

გრიგოლს თეთრი ლიზა გამოექომავა.

— ქა, რა ილავი წაიღე! შენ ქონებას ვინა ფანტავს? ვინ ანიავებს?

ფირუზამ ცოლს ზედაც არ შეხედა, არც პასუხის ლირსად ჩათვალა. ისევ გრიგოლს მოუბრუნდა:

— უფროსი კაცი ვარ, უნდა დამიჯერო, როდის იყო, რომ წლოვან კაცს ღლაპები ჭურას ასწავლიდნენ?

გრიგოლისათვის სავსებით გასავები იყო, სად რას უკაუნებდა ნაოსტატარი. თავმდაბლურად მოახსენა:

— ეგ მე არ მიფიქრია, აზრადაც არ მომსვლია.

ფირუზას ეამა. მოლბა.

— შენთვის მინდა, თორემ მე იქ რა უნდა წავილო, სადაც თავის ფეხით არავინ მიდის. არა, შე დალოცვილო და კურთხეულის შვილო, ერთი მითხარ და კარგად გამაგებინე, კალთებს სხვებს რათ აგლეჯინებ? ჩვენი ჩვენთვის დავიტოვოთ, ასარ-ბასარები რათ გვინდა?

— ქა, ასარ-ბასარებს სუდის დიდებს ეძახი! — წამოიძახა შეშინებულმა თეთრმა ლიზამ.

ფირუზამ ცოლს არც გახედა, არც ხმა გასცა. ისევ ბუზლუნს მოჰყვა:

— საკუირველსა ვარ, ღმერთმანი! მაგნაირი მეჯლისები ვინ გასწავლა? მო, ბართლომე კურტანიძის მამა ვაცხონე, თავის სიმდიდრეს გარშემო ცხვრის ძალლივით უვლის, ახლოს არავის აკარებს, სტუმარიც ისე ეჯავრება, ოთახის რიდეზე, შინ მისული, ჩუსტებსა და ქოშებსა თვლის, ხელში უცხო ვინმე არ შემრჩესო. შენა ხარ? ვის არ ულებ კარებს, ვინ არ შემოგყავს ჩემს სახლში, ვინ არ ესვრის ჩემს ჭერს სოვდაგრულ ბოხოხს და მაღრიბულ კელეპტარივით ნაგრძელებულ ქუდს.

ახალგაზრდა ზანდაროვს სიცილი მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა. სამაგიეროდ, თეთრი ლიზა ეცა ქმარს:

— ქა, გრიგოლს ვის ადარებ? დიდი ხანია ბართლომე კურტანიძე ეონკებს აღარ აუღარუნებს?!

ფირუზამ არც ახლა მიაქცია ცოლს ყურადღება. გრიგოლს უცებ პირში

გიხალა:

— რატომ ცოლს არ ირთავ?

ახალგაზრდა ზანდაროვი დაიბრნა. რადგან პასუხი შეაგვიანა, თვითონ ფირუზამ უპასუხა:

— იმიტომ, რომ საყვარლები გყავს! სხვის ცოლებზე გიჭირავს თვალი და ისათო შენახვა თოუზბირი გიჯდება. სად გავონილა, სოვდავარი ტანკაობდეს? თამამობ, დარჩიმანდობ, გასტინიცებში დაბრძანდები და ფრანცუზულად ჩაცმული ქალებიც თან დაგყავს. მახლას! მე კაპიუ კაპიუზე დამიღვია, შენ კა იცი, ფული სად და რაში გადაყარო!

თქვა და ნაშეგირდალს გამომწვევად გაუსწორა თვალი.

#### 4. პანეტეილება

ასეთი რამ დაიკვეხე, რომ არ შეგეძლოს, თორემ ავკაცობა  
შენი ხელობაა.  
გაძრიელ სუნდუკიანი, „დაქცეული ოჯახი“

ახალგაზრდა ზანდაროვს ალმური აუვიდა სახეზე.

— ევრე რათა მლანძლავ, ფირუზჯან?

— ნუ გნყინს, როცა სიმართლეს გეუბნევი, — შეაწყვეტინა სიტყვა ფირუზუმ, — როგორც გითხარი, ისე უნდა მოიქცე. ცოლი უნდა შეირთო, ფუქსავატობა ხელს არ მოგცემს.

თეთრი ლიზა ეხლა ქმარს გამოექმავა.

— მაშ, მაშ, გიგაჯან, ევრე სალთად როდემდის გინდა იარო? მეც, შენმა მზემ, აბანოში სიარულით ფეხები მეტეინა. სოვდავრების ქალებშილამაზებიც ურევიან, შორიდან დაგანახვებ და თუ მოგენონა, ნინ რალა უდგა? მაჭანეალი ვაფრინოთ და ქორნილი გავაჩალოთ.

ფირუზამ ცოლს სიტყვა მოუწონა, ქმაყოფილებით თავი დაუქნია. გრიგოლი ხმას არ იღებდა. ფირუზა ისევ გაჯავრდა.

— არა. ეგ ცოლის შემრთველი არ არის. შარს ეძებს და მალე იპოვნის. ბართლომე კურტანიძის ცოლთან კურკური ხეირს არ დააყრის.

თეთრმა ლიზამ თავი გაევირვებით ასწია მაღლა, ქმრის ნათქვამი გაიოცა:

— მაგ კაცით ვის აშინებ? ეგ არის რალა, ჩვენს გრიგოლს ერთასამად ნინ არ დაუდგეს!

ფირუზა ცოლს დააშტერდა, სვენებ-სვენებით უთხრა:

— თერძის ქალო! როცა მე ვლაპარაკობ, შენ ხმა უნდა ჩაიწყვიტო! გაიგე, რაც გითხარი?

— გავიგე, ამინ და კრიალოსანი!

თეოტრი ლიზა სავარძელში მოიკუნტა და თავი მოიმძინარა. ფირუზა ისევ გრიგოლს მოუბრუნდა:

შენ გვინდა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მაიკო შენს გვერდით დადგება? შენ იმას წუ უყურებ, რომ ეგ ქალი საყვარლებს დახეულ პერანგებს უკერება და, ქმარი კი დაკონკილ-დაგლეჯილი დაჰყავდა. მაიკო ქმრის ქისას არავის დასნებებს, ისეთნაირად არის ზედ გადაფაფრებული. თუ ბართლომემ შენი გაუოტრება მოინდომა, ან შენ მოუნდომერამე ბართლომეს, იმის ცოლიც ადვილად დაგთმობს, შენს ლამაზ თვალებს ქმრის აყროლებულ ქისას ამჯობინებს, — ფირუზამ ხმას დაუდაბლა და ჩურჩულით განავრძო, — დამივცერე, მაიკო ბართლომე კურტანიძეს გვერდი რომ არა ჰყოლოდა, მელქო ფერშანვოზე უარეს საქმეს ვუზამდი, მაგრამ ვერც ქმარსა და ვერც ცოლს ვერსაიდან გზა ვერ ვუპოვნე.

გრიგოლმა მშეიღად დაუბრუნა.

— მე ალაფობას არ ვაპირებ. ფულს მაღრიბული საქონლის ვაჭრობითაც კარგად ვიგებ. ეგეც არ იყოს, ფულის მოსაგებად სხვა საშუალებაც არის.

ფირუზა დაინტერესდა, გრიგოლის ნინ გაჩერდა, დაკვირვებით შეათვალიერა და ნიაზით ჰკითხა:

— მაინც რა არის?

გრიგოლმა ფრთხილად შეაპარა:

— ქალაქი იზრდება, ფირუზჯან, ხალხი მატულობს, მუშტარი მრავლდება. რა იქნება, რომ საპნის ქარხანა ავაშენოთ? ან, თუ ვინდა, აგურხანა ავაგოთ? სხვა რამეც შეიძლება მოვისაზროთ. რას იტყვი? მტკვართან ალაგი მოვაზომინოთ, ვიყიდოთ, შემოვლობოთ და ხე-ტყე მხერხავებს სახლის მასალად დავახერხინოთ? არც ლურსმანის ან შუშის ქარხანა იქნება ურიგო...

ფირუზას პირკატა ეცა. ერთხანს ხმა ვერ ამოილო. სახის ფერი ათასნაირად შეეცვალა. გონზე რომ მოვიდა, გრიგოლს ყველაფერი ზედიზედ მიაყარა და ჩაუნისკარტა:

— მაგით ჯერ ფული ვის მოუგია, რომ ჩვენ მოვიგოთ? კასტელასავით კუტრი გინდა რომ გახდე? ჩემი ნანვავ-ნადაგი ქარს გინდა გაატანო? მე შენ ვაჭრად გამიზრდიხარ, შენთვის ვახშით მოგება მისნავლებია, შენ კი კასტელასავით ქისა როსკიპებისთვის და ტუსალებისთვის გინდა გახსნა? დიდი ხანია შენზე თვალი მიჭირავს და მართალი გამოვდექი. არა, შენ არც ფულის ყადრი იცი, არც გაფრთხილება. აქედანვე ვატყობ, თუ თადარიგი არ დავიჭირე, ისევ წისქვილებთან, სანერიმალოში დაგვაბრუნებ. არა, ეგრე არ იქნება, არ გამოვა, დღეიდან რასაც დახარჯავ, ყველაფრის ანგარიში უნდა ჩამაბარო. ჩემი სიტყვა ეს არის და, იცოდე, ამ სიტყვიდან ფეხს აღარ მოვიცვლი. არა, არა, ვერც საპნით, ვერც ლურსმნით, შუშით და ხე-ტყის მასალით ფულს ვერ მოვიგებთ... ჩვენი ადგილი ქარვასლაა, ჩვენი მოედანი ბაზარია, ჩვენი მოგება თავნის სარგებელია... ჩვენი დოვლათი და შემოსავალი სამკაულებით და დიბა-ატლასით ვაჭრობაა... სოვდაგარი ამნაირებით

მდიდრდება და მუდამ ამით იქნება მდიდარი... მე ქარვასლის სოვდაგარი ვარ, მხერხავებს თავზე ვერ დავადგები, ვერც შუშის მკეთებლებში გავე-რევი და ვერც აგურხანაში დამაყენებს ვინმე, ვერც ფულის გასესხებას გომაშლევინებს, ვერც იაფად ყიდვას და ძვირად გაყიდვას... თუ ამეებში ჩემი ოჩხუბობა არ გინდა, გზა დამილოცნია, — შენ შენთვის, მე ჩემთვის. ამაზე კარგი სიტყვა რა გინდა?

თეთრმა ლიზამ ისევ ამოჟყო თავი თავის სავარძლიდან, გაკვირვებით ხან ქმარს უყურებდა, ხან შვილობილს. მათი დავის მიზეზს ვერა ხვდებოდა, თან უკვირდა, რომ გრიგოლი დამშვიდებით უგდებდა ყურს გაბრაზებულ ფირუ-ზას, არც თავს იმართლებდა და არც სიტყვას უბრუნებდა მას.

ფირუზა ჩხუბის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ გრიგოლმა, რომელ-საც მღელვარების და სიბრაზის ნატამალი არ ეტყობოდა, ზრდილობიანად მოუჭრა სიტყვა:

— უშენოდ ხელს არაფერს მოვკიდებ, ფირუზ, როგორც შენ მეტყვი, ისე მოეიქცევი.

ცოლ-ქმარს თავი დაუკრა და დარბაზიდან გავიდა.

თეთრმა ლიზამ გაიკვირვა:

— ქა, ამ ნაშუადლევს სად მიდის ჩვენი გრიგოლი?

ფირუზამ გაიცინა.

— ალაფები ნაშუადლევს შინ არ არიან. იმათი ცოლები სწორედ ამ დროს გამოიდიან სახლებიდან.

თქვადა ისევ სინაზულით შეხედა ჭალის საშანდლეებში ჩამნვარ სანთლებს.

## 5. ჩხები

ჩემი მანეთები ეგრე იაფი არ გეგონოს. თითოსათვის ოცვერ  
სული გამიყიდნია.

გაბრიელ სუნდუკიანი, „დაქცეული ოჯახი“

სოლოხლაკის დიდ სახლში ფირუზა ზანდაროვი მოუსვენრად გრძნობდა თავს. გამუდმებით ჩხუბობდა და იღრინებოდა. ხან თეთრ ლიზას ლანძლავდა, ხან გრიგოლს ედავებოდა. მსახურებს და მოახლეებს ეჭვის თვალით უყურებდა და და ყველას უკან დასდევდა, რათა არავის არაფერი აენაპნა, არ მოეპარა და არ მიეთვისებინა.

ყველაზე მეტად მანც ახალგაზრდა ზანდაროვის ხელგაშლილი ცხოვრება აღიზიანებდა და აბრაზებდა.

გრიგოლი თავისას არ იშლიდა. თავის გამოსაჩენად და გასართობად ფუ-ლის ხარჯვას არ ერიდებოდა. ფირუზა ჯავრობდა, ჩხუბობდა, ყვიროდა და იგინებოდა. ერთხელ ქონების გაყოფა და სასამართლოში ნასვლაც კი მოი-

დომა. გრიგოლი ამაოდ აშოშმინებდა. ეერასგზით ვერ უმტკიცებდა, რომ მათ საერთო ქონებას არავითარი საფრთხე არ მოელოდა.

ახალგაზრდა ზანდაროვი შესანიშნავად მართავდა ქონების, ქარვასლის, დუქნების, მაღაზიების და საწყობების საქმეს. ფულს ილბლიანად იგებდა და ხვეტდა. ფირუზა მაინც უკმაყოფილო იყო. არ მოსწონდა მისი დიდეაცური ჩაცმა-დახურვა, ეტლით სიარული, გამუდმებული ქეიფები. დაეჭვებულს გრიგოლი გადაგვარებულ და ქარაფშუტა ვაჭრად ეჩვენებოდა.

ერთხელ, როცა ზანდაროვები სადილად ისხდნენ, ფირუზამ ისევ მოა-გონა გრიგოლს:

— ვაჭარმა ფულის ყადრი უნდა იცოდეს, ყაირათიანი უნდა იყოს.

— ეგ დიდი ხანია ვიცი, — ხმის ოდნავი ამაღლებით შეედავა გრიგოლი, — მარტო ის არ მესმის, თუ რათ უნდა მოვიკლო სიამოვნებანი? მაშ რისთვის მინდა ახალგაზრდობა და სიმდიდრე? სოვედაგარ სარდაროვივით ხმელ პურზე და ნყალზე ხომ არ დავჯდები? მართალია, ბევრ ფულსა ვხარჯავ, მაგრავ ფუქსავატი არა ვარ...

— არა ვარო? რაში ვეტყობა, რომ არა ხარ? ამდენი მსახური და მოახლე რათ გინდა? თვეში თითოს რამდენს აძლევ?

— ამოდენა სახლსა და ბალს ბევრი მომველელი სტირდება, ჩვენც ბატონკაცურად უნდა ვიცხოვოროთ, ისე არავინ დაგვაფასებს, მაღლა არავინ გაგვიძვებს.

— ჰმ. მერე იცი, რომ ეს მსახურები და მოახლენი გქურდავენ?

— შენ ყველგან ქურდები გელანდება! — ველარ მოითმინა და სიტყვაშეუბრუნა გულმოსულმა გრიგოლმა.

— ადამიანის გეშინოდეს, მილიონერო! — ნამოიძახა გრიგოლის უდიერი პასუხით შეურაცხყოფილმა და გაბრაზებულმა ფირუზამ, — ადამიანსავით დაუნდობელი და მუხანათი ამ ქვეყანაზე სხვა არავინ არის. ცხოვრებას ჩემი თითებივით ვიცნობ. ქვეყანაზე ბევრი ვეთრიე და ათასნაირ ადამიანს გადავეყარე. ვის არ შევხვდი, ვინ არ შემხვდა, ვინ არ მომატყუა. ვინ არ მოვატყუე? ყური დამიგდე და კარგად დაიხსომე. ბოლოს მოგებული დარჩები. ადამიანს ნუ ენდობი! ქურდო! ქურდების გეშინოდეს!

— ქა, ქურდს ვის ეუბნევი? — გაიკვირვა თეთრმა ლიზამ და ქმარს შეუბლვირა.

ფირუზა ცოლს მიუბრუნდა, დიდხანს უყურა, თავით ფეხებამდე დამცინავად აათვალიერ-ჩაათვალიერა, იმის ბეჭდებმა და მარგალიტებმა სახის ფერი შეუცვალა და უეცრად დამფრთხალ ცოლს მუქარით მიახალა:

— თერძის ქალო, როცა მე ვლაპარაკობ, შენ ხმაგაკმენდილი უნდა იჯდე. გაიგე?

— გავიგე. რა ვქნა, ყრუ ხომ არა ვარ!

ფირუზა ისევ გრიგოლს მიუბრუნდა. თეთრმა ლიზამ ზურგსუკან ქოქოლა მიაყარა, მაგრამ მყისვე ლვთისმერეხელურმა სიტყვებმა ზაფრანის ფერი დაადო სახეზე.

რაღაცასა და ვიღაცაზე გაბრაზებული ფირუზა ნიშნისმოგებით იძახდა:

— მე ჯერ ლოცვა არ მითქვია და არც ვიტყვი. მე ჯერ სანთელი არ დამინთხა და არც დავანთებ. პირჯვარსაც იმის ღმერთზე ვინერდი, ვინც ფულს გაძლევდა. ავკაცობას ღმერთის ცხვირნინ ჩავდიოდი, რადგან არც იმის ეძმაჯების მეშინოდა, არც იმის ანგელოზების. რა იყო, დედაკაცო? გული ხომ არ მოგდის? წადი, ილოცე...

ფირუზამ გადაიხარხა.

— იქ მოგეთხოვება პასუხი, იქა... — ეუბნებოდა ხმაჩახლეჩილი თეთრი ლიზადა შეშინებული პირჯვარს ინერდა, — მიქელგაბრიელის სასწორზე რომ დაგდებენ, მაშინაც მოიგონე ეგ სიტყვები, მაშინაც იხარხარე...

— მე ადამიანის მეშინია! — დაბალი, სულ დაბალი ხმით წარმოთქვა ფირუზამ და მოულოდნელად დასანყლებული კილოთი იკითხა, — რატო მელქო ფერშანგოვი არ გავონდებათ?

გრიგოლ ზანდაროვი უსიამოვნოდ შეიშმუშნა. თეთრმა ლიზამ პირჯვარი გადაინერა. ყველას მოაგონდა ძველი და დავინყებული ავკაცობა. ურთმანეთს შიშით უყურებდნენ და ერთონ ვერა სძრავდნენ. ახალგაზრდა ზანდაროვი და თეთრი ლიზა მხოლოდ ეხლა მიხვდნენ ფირუზას შიშის მიზეზს. ყველანი თავჩაქინდრულნი ისხდნენ, დამფრთხალნი და შეშინებულნი.

სასადილოში მსახური შემოვიდა.

ზანდაროვები უსიტყვოდ ნამოიშალნენ და ერთმანეთს უმძრახებივით დამორდნენ.

ცრუმორნმუნე გრიგოლ ზანდაროვმა იმავე ლამეს თეთრ ლიზას გრძელი კელაპტარი დაანთებინა ეკლესიაში.

ერთბაშად შემონთებული შიში ქეიფებში გადაავინყდა.

ფირუზა ეი ისე სახედატანჯული გამოიყურებოდა, როგორც ზანდაროვების ახალი სახლის თმა-ნკერ-ულვაშმოშვებული, განზე თავგადაგდებული და ჭიშის ქვემომდე გაშიშვლებული ის გოლიათები, რომელთაც პირი უსასოოდ დაელოთ და მაღლაანვდილი მკლავებით ქვის მძიმე აივნები ეჭირათ.

## 6. შიში

ხომ ხედავ, მთელი ქალაქი მგლებით გავსილა.  
გაბრიელ სუნდუკიანი, „პეპო“

დაბერებულ ფირუზას სულ უფრო და უფრო იპყრობდა ქონების დაკარგვის შიში. გახდა. მის ღაულაუა სახეს ძველი უინულლი ჩამოეცალა და სიყვითლე შეეპარა. მისი დაფანჩული, ხშირი, თეთრი ნარბების ქვემოდან ოდესლაც ცულლუტად მომცინარე თვალებიახლა შიშითა და ძრნოლით იყურებოდნენ. ძილი გაუკრთა. ღამეები თეთრად ათენდებოდა. ოდნავ ჩათვლემილს ავი

სიზმრები ელანდებოდა. ძილში წვალობდა, ბორგავდა და ყვიროდა. გა-  
მოლვიძებული შუბლიდან ჭირის ოფელს ინმენდდა და დაფეთებული თეთრ  
ლიზას ხმის კანკალით ეუბნებოდა: „ძილში ყაჩალები დამესხნენ, თოკებით  
შემერეს და მომკლესო”. თეთრი ლიზა თავს გაჯავრებით აკანტურებდა,  
არც ეძინა, არც ელვიძა, ამთქნარებდა, თან პირჯვარს ინერდა, რათა პირში  
ეშმაკი არ ჩაძვრომოდა, ძილისთვის თავი უკვდებოდა, თვალები ებლიტე-  
ბოდა, მაგრამ ქმარი ძილის ნებას აღარ აძლევდა. მარტოდყოფნის ეშინოდა.  
თავმობეზრებული თეთრი ლიზა უკმაყოფილოდ ბურტყუნებდა: „ეს, ეს რა  
ლვთის რისხვაა! ეს კაცი აღარც დღე გვასვენებს, აღარც ლამე. ქა, გაგონილა  
ესეთი ამბავი?!”

ფირუზა მსახურებს აღარ ენდობოდა და ყველა კარს და ფანჯარას თვი-  
თონ ეეტავდა. დიდ ბნელ ბაღში დამფრთხალი იყურებოდა და გულში შეში-  
ნებული ამბობდა: „ბალი კი არა, ტყე არის, თითო ხის ქვეშ თითო ყაჩალი და  
ავაზა ეიდამიალებაო”. ლამღამობით ვეება ნაგაზებს უშვებდნენ ჯაჭვებიდან.  
ალაყაფთან შეიარაღებული მცველი მიდი-მოდიოდა, ფირუზას მოუსვენარი  
თვალები მაინც მაღალ ფანჯრების კენეჭირა და კედელზე მიდგმულ კიბეზე  
ამომავალი ქურდები ელანდებოდა. გრიგოლი ამაოდ ცდილობდა მის დაშოშ-  
მინებას. თვითონ მას გატენილი დამბარა დაპქონდა თან იმ შემთხვევისათვის,  
თუ ვინმე ეტლში აუხტებოდა, როცა გვიან ლამით პაემნიდან ან ნადიმიდან  
ბრუნდებოდა.

იმ ხანებში სოვდაგარ სარდაროვს შუალამისას სახლში ყაჩალები შეუ-  
ცვივდნენ, ცოლ-შვილი აუნიოკეს, თვითონ სარდაროვი მძიმედ დაჭრეს  
და დიდძალი ფული გაიტაცეს. ამ ამბავმა ფირუზას თავზარი დასცა. ძილი  
სანატრელი გაუხდა. მცირე ფაჩუნი და ჩქამი აფრთხობდა, თავგზას უკარ-  
გავდა. წინათ სანთლებს უფრთხილდებოდა, „ადრე დავწვეთ, რათ გვინდა  
ამდენი სანთლები რომ გვინთიაო”, ახლა თავის ხელით ანთებდა შანდლებსა  
და ჭალებს. გათენებამდე ჩახჩახებდნენ სანთლები, რათა ბალის კედლებზე  
ამოცოცებულ ქურდებს ჰგონებოდათ, რომ ზანდაროვების სახლში ჯერ  
ისევ ელვიძათ.

ფირუზა შიშმა ჩამოახმო. ლოყები ჩაუცვივდა. გაყვითლდა. ისედაც და-  
ბალი, თითქოს კიდევ უფრო დადაბლდა. სულმთლად გათეთრებული და  
პირდაბნელებული ფირუზა ახლა საკვირველად ჰგავდა მელქო ფერშანგოვს.  
შიშით დაზაფრულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და ყველგან ქურდები  
ელანდებოდა.

ერთ ლამეს გიუივით წამოვარდა ლოგინიდან და ლრიალი მორთო: „ქურ-  
დები... ქურდები... „ახალგაზრდა ზანდაროვი შინ არ იყო. გულგახეთქილი  
თეთრი ლიზა საცვლების ამარა შევარდა მსახურებთან და ისინი ნივილ-კვი-  
ლით ფეხზე წამოჰყარა. კედელზე ლანდივით გაკრული ფირუზა ცახცახებდა  
და ტახტის თვალს არ აშორებდა. მსახურების დანახვისთანავე ლულლულს  
მოჰყვა. „ქურდები ტახტის ქვეშ შეძვრნენ და მანდ არიან დამალულებიო”.

მსახურებმა ერთმანეთს გადახედეს. ყველაზე გამბედავი ტახტთან მივიდა, ყოფილი დაიხარა, ტახტის ქვეშ შეიხედა, მაგრამ იქ ვერავინ აღმოაჩინა. მსახურებმა ბევრი იცინეს. თეთრი ლიზა ქმარს გაუწყრა. „კაცო, რა ღმერთი გინურება? რა გემართება? რაზე გვაფეთიანებ?“ იმედმოცემული ფირუზა მსახურებს და ცოლს არნმუნებდა, რომ წელან მის თახში ქურდები ფეხაკეფით დადიოდნენ და ჩემს ყვირილზე დაფრთხენოთ. მისი სიტყვით, ისინი შორს არ უნდა გაქცეულიყვნენ და ახლომახლო სადღაც უნდა დაგალულიყვნენ.

ფირუზამ მსახურებთან ერთად დარბაზების და თახების ყველა კუთხე მოჩერია. ათვალიერებდა ფარდებს, მაგიდებს, კარადებს, სავარძლებს, დერეფნებს, ტალანებს, კიბის ფოლორცებს. კიბებს, მოფარებულ ადგილებს, მყურუებულ კუთხეებს. ხელში სანთელი ეჭირა, მსახურებს წინ მოუძღვდა და გზას უნათებდა, თუმცა სახლში ჯერ კიდევ არ იყო ყველა კანდელიაბრი და ჭალი ჩამქრალი. მსახურები კიბეებზე აპყავდა და ჩამოჰყავდა. ყველა საეჭვო ადგილს აკვირდებოდა და ზვერავდა. მსახურებს დაუსარულებელი სიარული მობეზრდათ, მაგრამ ხმას არ იღებდნენ, ფირუზას უკან მორჩილად დასდევდნენ და ჩუმჩუმად იცინოდნენ. ამ ყოფაში მოუსწორო მათ შეზარხოშებულმა გრიგოლ ზანდაროვმა.

ფირუზას მისი მოსვლა გაუხარდა. მივარდა და სხაპასხუპით უთხრა: „გრიგოლ, გვიშველე, სახლში ქურდები არიან და დავიჭიროთ“. გრიგოლმა შუბლი შეჭმუხნა. შემინებული ფირუზა დაამოშმინა, თეთრი ლიზა განზე გაიყვანა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ეგ ავად არის.

თეთრმა ლიზამ თვალებიდან ცრემლი მოინმინდა.

— ღვთისაგან არის შერისხული. სანამ საკუთარი ხელით სანთელს არ დაუნთებს, მანამდე ვერ მოისვენებს. ჩემი ლოცვა-ვედრება არა შველის.

გრიგოლმა ალარაფერი თქვა. თეთრი ლიზას შემფოთება არ უნდოდა.

## 7. საიდუმლო თახჩა

სულ ფული, ფული და კიდევ ფული.  
გაბრიელ სუნდუკისი, „დაქცეული ოჯახი“

ქმრის სიყვითლით შეფიქრიანებულმა თეთრმა ლიზამ მრავალგზის ასუნებინა მას კრიალოსნის ქარვის მარცვლები, ტანსაცმელი და ლოგინი ნაკურთხი წყლით დაუნამა, ეკლესიაშიც მოუხშირა სირბილს და მარჩიელ-ექიმბაშებსაც მიაკითხა.

ცოლ-ქმრის სანოლ თახში თათრული აფთიაქის სუნი დატრიალდა. ეს აუთიაქი სიონის მახლობლად მდებარეობდა, ბნელ ჩიხში. იქ აღმოსავლური

ნამლები იყიდებოდა. იქიდან მოჟეონდა თეთრ ლიზას ბასმა, ინა, ფერუშა-რილი, ნიამფური და გულმოდგინედ ნალეს-დანაყილი ნელსაცხებელი და დასალევი.

თეთრი ლიზა ქმარს ნამლებსაც აშველებდა და ლმერთსაც ავედრებდა. შენ გაუქრობელად ენთო ნერილი სანთლები. ეკლესიებში კი ყველა ხატს თითოს სიმსხო, რგოლებ-რგოლებად ოქროდა ერულ სანთლებს უნთებდა. არც უძ-ველებელი კელაპტრისათვის იმურებდა ფულს. მაგრამ ფირუზას არაფერი შველოდა, სიყვითლე სულ უფრო და უფრო ერეოდა, ნინათ მთვარესავით გაბადრული სახე ფილხაზა გაუხდა. დაუმნოვდა, დაელჩიჯა, თვალები გაუცრიცა და ნაცრისფერი გადაეკრა. სულ ერთიანად დაილია, რაღაცნაირად შეიკუმშა და შარვალ-ხალათი ტომარასავით ჩამოეკიდა. შიგადაშივ ენასაც ურევდა. ზოგჯერ ისე საწყალობლად ლუდლულებდა, რაღაცით დამტრიხალი და შემინებული, რომ მის შემფოთებულ ცოლს არც სიტყვა ესმოდა, არც ნათქვამის აზრი.

თეთრი ლიზა მალე მიხვდა, რომ კაცებში ყველაზე ჭევიანი ფირუზა ზან-დაროვი ახლა ჭეუდა კარგული იყო.

ერთხელ ფირუზამ გრიგოლს ნიმნისმოგებით გადაულაპარაკა:

— მართალია, ენგი-დუნია მოიარე, მაგრამ ცარიელზე მაინც ვერ დამტოვებ.

გრიგოლმა მხრები აიჩეჩა. თეთრ ლიზას ჩუმად ჩაულაპარაკა:

— მაგას ეგ ერიუანგობამ უყო.

ფირუზას კი საყვედურით მიმართა:

— კარგი ერთი და, ეგ საიდანლა მოიტანე?

კომშივით გადაყვითლებულ ფირუზას თვალების უაზრო ცეცებაც დას-ჩემდა და ცეტივით ლაპარაკიც.

ერთხელაც, როცა ყველანი გარეთ გაიგულა, თეთრ ლიზას ხვეწნით შეს-თხოვა:

— ლიზაჯან, გრიგოლს კარგად უყურე, სასმელში ან საჭმელში საწამლავი არ ჩამიყაროს.

თეთრი ლიზა ჯერ შეკრთა და გაჯავრებით ნამოიძახა: „ქა, მაგას რას ამ-ბობ?! შვილივით გაზარდე და ფეხზე დააყენე, ეგ სიტყვები გრიგოლზე პირი-დან როგორ ამოგივიდაო”, მაგრამ მის საცოდავად გაცრეცილ და დაზაფრულ სახეს რომ შეხედა, მყისვე ყველაფერს მიხვდა.

თეთრმა ლიზამ ფირუზას ნათქვამი გრიგოლს უამბო. გრიგოლისათვის ეს მოულოდნელი არ იყო. თეთრ ლიზას სამძიმარივით გამოუცხადა:

— აეი გითხარი, ავად არის-მეთქი.

ორივემ თავი ჩაქინდრა.

იმ დღის შემდეგ გრიგოლი ფირუზას თვალს აღარ აშორებდა.

ფირუზას მან ერთი უცნაურობაც შეამჩნია: იგი დიდხანს რჩებოდა იმ პატარა ოთახში, სადაც განძი იყო დამალული. ახალგაზრდა ზანდაროვი შე-

ფიქრიანდა. ახლა მას გაუჩნდა დაგროვებული სიმდიდრის დაკარგვის შიში, რადგან ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მისი ოჩხუბი შეძლილი იყო და შეძლილივით იქცეოდა.

იმ ოთახიდან ფირუზა ყოველთვის კმაყოფილი გამოდიოდა ხოლმე, აშოლანურ სიმღერას ლილინებდა ან გაგუდულ-ჩახლეჩილი ხმით ხითხითებდა. ხელებსაც ისეთნაირად იფშვნეტდა, რომ რაღაცით ძალზე კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. დაეჭვებული გრიგოლი იმ ოთახის ფარდებში დაიმალა. ფირუზასთან პირისპირ შეხვედრის არ ეშინოდა, რადგან სერიოზულად იყო შეძფოთებული. შეძლილს შეეძლო მთელი ოქრო გარეთ გაეზიდა და ახალგაზრდა ზანდაროვი ცარიელზე დაეტოვებინა.

გრიგოლს დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი. ფირუზა ოთახში ფეხაკრეფით შემოვიდა. ოთახის კარი გასაღებით დაკეტა. ხალიჩასთან მივიდა. ხალიჩა ჩამოხსნა. საიდუმლო თახჩა გააღო და იქიდან ოქროთი სავსე მძიმე ქილა გადმოილო. სავარძელში ჩაჯდა. ქილა ფერხთით დაიდგა. შიგ ორივე ხელი ჩაჰყო, იქიდან ოქროები ჩხრიალით ამოილო, ოქროს ფულებით გავსებულ მუჭის პეშვებს აღვზნებული თვალებით დააცქერდა. დიდხანს უყურა, დიდხანს ტკბებოდა და ერთობოდა ოქროების ხელებში თამაშით. მერე ოქროს ფულები ისევ ქილაში ჩაჰყარა, იქიდან მხოლოდ ერთი ოქრო ამოილო, პირთან მოტანა და გადაყლაპა. გრიგოლი ფარდის იქით ისეთნაირად შეინძრა, რომ კინაღამ თავი გასცა.

ფირუზამ ქილა ისევ თახჩაში შედგა. ახლა იქედან სხვა ქილა გადმოილო, წელანდელივით ოქროს ფულებს თამაში დაუწყო და ერთი ოქროს ფული კიდევ გადაყლაპა. ბოლოს ეს ქილაც ისევ თახჩაში შედგა და თახჩა დაკეტა (თახჩის გაღება და დაკეტვა მხოლოდ ფირუზას და გრიგოლს შეეძლოთ საიდუმლო გასაღებით). ზედ ხალიჩა ჩამოაფარა. დაკეტილი კარები გააღო და ოთახიდან ლილინით გავიდა. ამ უცნაური სანახაობით თვალგაშტერებული გრიგოლი მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რატომ ჰქონდა ფირუზას ოქროსავით ყვითელი სახე. თან შვებით ამოისუნთქა. ფირუზას ბევრი ოქროს წალება არ შეეძლო იქ, სადაც მისი წასვლა უკვე გარდუვალი იყო.

ამ ამბის გამო გრიგოლმა თეთრ ლიზასთან კრინტი არ დასძრა. საერთოდ, თეთრმა ლიზამ სახლში განძის არსებობაზე არაფერი იცოდა.

გრიგოლი იმ ოთახში აღარ შედიოდა. ჩაფიქრებული უყურებდა განძის ოთახისკენ მიმავალ ფირუზას და შეუმჩნევლად პირჯვარს იწერდა. ფირუზას საქციელი უკვირდა და აცვითურებდა. სოვდავრებში ახალგაზრდა ზანდაროვს გაგონილი ჰქონდა, რომ მაშროედ ქვეყნებში დიდვაჭრები ქარავნებით მოგზაურობის დროს ლალებსა და მარგალიტებს ყლაპავდნენ, როცა ყაჩაღები თავს ესხმოდნენ, მაგრამ რასაც ფირუზა ზანდაროვი აკეთებდა, სულ სხვა რამ იყო. ეს მის აღსასრულს ნიშნავდა.

## 8. სამნაირი სურვილი

ფული სჯობია თუ ჯანი?  
გაბრიელ სუნდუკიანი, „პეტ“

მაღალ ფირუზა ლოგინად ჩავარდა.

დაბარებულმა მარჩიელებმა შეულოცეს, ექიმბაშებმა რაღაც ბალახ-ბულახების წვენი დაალევინეს. მაგრამ, ვერც შინაურმა წამლებმა, ვერც შემინებულის და თვალდაკრულის შელოცვებმა, ვერც თათრის მოლების ავგაროზებმა ფირუზას ვერაფერი უშველეს. უარესად გახდა. ენით აუნერელი ტკივილები დაენყო მუცლის არეში. გასივდა და რუმბივით დამრგვალდა. ექიმბაშებმა ეს წყალმანქს დააბრალეს და ახლა ბალახ-ბულახების ხარშვას შეუდგნენ.

გრიგოლს ექიმიან მოჰყავდა. თავმობეზრებული აუღელვებლად მოელოდა ფირუზას აუცილებელ დასასრულს.

სიბრალულის გრძნობა თანდათან უქრებოდა, ხოლო იმის შეგნება, რომ ფირუზა ზანდაროვის სიკედილის შემდეგ აურაცხელი სიმდიდრის ერთადერთი მფლობელი გახდებოდა, სრულიად გულგრილს ხდიდა ყოფილი მფარველის, აღმზრდელის და ახლანდელი ოჩხუბის მიმართ.

გასავათებული თეთრი ლიზა ქმრის სარეცელს არ შორდებოდა. ქმარიც ებრალებოდა და საკუთარი თავიც. არ იცოდა, ფირუზას ხელიდან გამოცლის შემდეგ როგორიცხოვრებდა იმ კაცთან, რომლის ნამდვილი სახელიდა გვარი ახლაც არ იცოდა.

ერთ დღეს ფირუზამ რაღაცნაირად მოიხედა, ცოლს ალერსიანად მიაცერდა და უთხრა:

— ლიზაჯან, თუ გრიგოლმა სახლიდან გაგავდოს, სასამართლოში უჩივლე. თეთრ ლიზას გულმა რეჩხი უყო.

— ქა, მაგას როგორ იზამს, განა შვილივით არ გავზარდეთ?! ფირუზამ გაიცინა.

— საქმეც ეგ არის, ლიზაჯან, ჩვენი გაზრდილია, ამიტომ კიდევ უფრო უნდა გვეშინოდეს.

თეთრმა ლიზამ ერთბაშად ვერ გაიგო, მერე როცა ქმრის ნათქვამის აზრს მიხვდა, ქმარს ფრთხილად შეაპარა:

— თადარიგი უნდა დავიჭიროთ, ფირუზჯან.

— ვერა ხედავ, რა დღეში ვარ? მე რაღას გიშველი?

— უიმე, უნინ დღე გამქრობია, — ანუნუნდა თეთრი ლიზა, — ანდერძი დასწერე და მოწმეებს დააბეჭდინე. მაშინ რაღას იზამს?

ფირუზამ ხელები გაიქნია, ცოლს შიშითა და ვედრებით შეხედა:

— არა, არა... სიკედილს ნიშანი რათ უნდა მივცე... აი, ნახავ, მე კიდევ ფეხზე დავდგები...

რამდენიმე დღის შემდეგ ფირუზას მუცლის არეში ისეთი ტკივილები აუ-  
კრისა, რომ დაჭრილივით აღრიალდა, გველივით იქნა უნებოდა, თავს კუდელს  
უკუმდა და ჭირის ოფლში ინურებოდა. ახალგაზრდა ზანდაროვი ფირუზას  
შეძრნუნებული და ჟურებდა, გადაყლაპული ოქროები ავონდებოდა, მაგრამ  
ამს გამო სოტყვას არა სძრავდა, პირზე კლიტე ედო. არც ექიმს ეძახდა. თეთრ  
ლიზასაც ექიმების არაფერი სწამდა და მხოლოდ განთქმულ ექიმბაშებს  
ავლეჯდა კალთებს და ქალაქის ყველა უბნიდან მოჟყავდა, რათა ისინი მის  
ქარს თავზე დასდგომოდნენ და ენიმუთებელი ტანჯვისაგან მოერჩინათ.

ექიმბაშებმა ავადმყოფს წყალში გახსნილი ხაშაში დაალევინეს. ხაშაშ-  
გა ავადმყოფი ჯერ გააბრუა, მერე ტკივილები გაუყუჩს. ფირუზამ თითქოს  
ჩასთვლიმა კიდეც, მაგრამ მალე ისევ მოუსვენარი ნრიალი დაინყო და  
ბოდვას მოჟყვა. ნარამარა ფერშანგოვს ახსენებდა. შიგადაშიგ ახალგაზრდა  
ზანდაროვს ემუქრებოდა. ვიღაც ასარ-ბასარებს აგინებდა, რომელნიც მისი  
ფულით ლორებივით სუქდებოდნენ. ალაგ-ალაგ თეთრ ლიზასაც გადასწვდა,  
„თერის ქალს“ ეძახდა და გრიგოლის დოსტოებას უსაყველურებდა. გრიგოლმა  
და თეთრმა ლიზამ ერთმანეთს გადახედეს. ექიმბაშები და მარჩიელები დაუ-  
ყოვნებლივ ოთახიდან დაითხოვეს.

ნაშაუალამევს ფირუზას ისევ აუვარდა ტკივილები. ექიმბაშებმა ისევ ხაშა-  
ში გახსნეს წყალში. ხაშაშით გააბრუეს და ტკივილები გაუყუჩეს.

მეორედღეს თეთრმა ლიზამ მღვდელი დააძახებინა და სახლი გაანათველი-  
ნა, ავადმყოფსაც და მის ოთახსაც ნაკურთხი წყალი აპეურებინა. წამდაუნუმ  
პირჯვარს იწერდა და ხატებს მუხლისჩოქვით უვლიდა, მსახურებს კი სხვა-  
დასხვა ეკლესიებში გზავნიდა სანთლების დასანთებად. თვითონ სახლიდან  
ფეხს აღარ იცვლიდა, რადგან ქმრის გადარჩენის იმედი აღარა პქონდა. მის  
აღსასრულს ყოველწლიურად მოელოდა, სასთუმალთან მოუმორებლად ეჯდა და  
გახურებულ შუბლზე ხან ყინულის ნაჭერს ადებდა, ხან ცივ წყალში განურელ  
ტილოს უცვლიდა.

აუტანელმა ტკივილმა და აუნერელმა ტანჯვამ ფირუზა გამოაფხიზდა. გო-  
ნება დაეწმინდა. გონზე მოსული ახლა სიკვდილის შიშმა შეიცყრო. სიკვდილს  
ემალებოდა. სიკვდილს გაურბოდა. სოცოცხლეს ეპოტინებოდა. ფანჯრები-  
საკენ სულნასული იყურებოდა, მზის ოქროს მტვერში მოლივლივე ცარგვალს  
და ახალგადამწვანებულ ფოთლებს ხარბად ამტერდებოდა. სიცოცხლეს  
ებლაუჭებოდა. ყველას სიკვდილისაგან დახსნას ეხვეწებოდა და ყელამდე  
ოქროში ჩასმას პპირდებოდა, ვინც კი მას სიკვდილისაგან დაიხსნიდა და სი-  
ცოცხლეს აჩუქებდა. გულაჩუყებული თეთრი ლიზა ქმარს ლოცვების თქმას  
ურჩევდა, მაგრამ ფირუზამ არც ერთი ლოცვა არ იცოდა. სიკვდილის შიშმა  
მოულოდნელად მას ლმერთი გაახსენა, მაგრამ მყისვე ხელი აუქნია. ცოლს  
მღვდლის მოყვანასა და ზიარებაზე უარი უთხრა. თვალებიდან ცერისოდენა  
ცრემლები ნამოსცვივდა. ძალ-ლონე მოიკრიბა და ჩაფიქრებულ გრიგოლს  
ნაწყვეტ-ნაწყვეტ უთხრა:

- გრიგოლ, სამი რამ უნდა ამისრულო...
- მითხარი, ფირუზეან, გაუჩენარს გავაჩენ.
- მე დიდი დღე აღარ დამრჩენია... ამას ჩიჩინი აღარ უნდა... და ამას და გთხოვ... აზარფეშით წითელი ღვინო დამალევინე... თარი მომიტანე... თექ- ვსმეტი ნლის გოგო ტანგახდილი მაჩვენე...
- უი, დამიდგეს თვალები! — შეჟყვირა თეთრმა ლიზამ და ტუჩებზე ორი თითი დაიდო.

გრიგოლმა ფირუზას თხოვნა არ გაიკვირვა, გაულიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქინა.

— ამქეცებად, — ამბობდა მომაკვდავი ფირუზა, — კაცი სიხარულისთვის არის გაჩენილი... თავი და თავი სიცილი, სიმღერა და სიყვარული არის... თავიდანვე ვიცოდი, მაგრამ ბოლოს ჭკუა დავეარგე... თეთრი და წითელი ნეტარების სასყიდელია... რასაც ფულით იყიდი და გაიხარებ, ის რატომ უნდა დასთმო... მე კი რა ვქენი... ახლა ამას აღარაფერი ეშველება... — გრიგოლს მუდარით შეხედა და თხოვნა გაუმეორა, — ამისრულე, რაც გითხარი... სანამ ჩემს მუცელში ეშმაკები ისევ ფერხულს დაუვლიან... სანამ გონება მაქვს... სანამ ყურს ესმის და თვალი უყურებს.

ფირუზა გაჭირვებით, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, თან ცრემლები სდომდა თვალებიდან. თეთრი ლიზა უკვე მოთქმით ზლუქუნებდა. ფირუზამ გაცინება სცადა, ცოლს გაეხუმრა:

— ლიზაჯან, შენსავით არავინ მიტირებს... კარგი ქალი იყავი, რა უუყოთ, რომ მაკა გჯობდა, სამავიეროდ, შენ ყველა ცოლსა სჯობდი... შენს ამაგს არც ჩვენი გიგა დაივინყებს... გიგაჯან, არ გენყინოს, მაგრამ ამოდენა სიმდიდრეს ისევ ნისქვილებთან, ჩვენს სანვრიმალოში ტკბილად ცხოვრება გვერჩივნა...

თეთრ ლიზას გული ამოუჯდა.

გრიგოლსაც ცრემლები მოადგა თვალებზე.

— ფირუზა ზანდაროვი თუ ალაპარაკდა... ხომ იცი, რომ აღარ გაჩუმდება... რაღას უცდი, გიგაჯან.

ღვინისა და თარის შოვნას ფიქრი არა სჭირდებოდა. ძნელად შესასრულებელი ფირუზას მესამე თხოვნა იყო. თექვსმეტი ნლის გოგოს პოვნა და მისი სხეულის გამიშვლება ადვილი საქმე არ იყო. მაგრამ გრიგოლ ზანდაროვმა მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ნაამაგარი აღმზრდელი-სათვის სამივე თხოვნა პირნათლად შეესრულებინა.

თეთრი ლიზა ცალკე გაიხმო, დასხდნენ და დიდხანს ილაპარაკეს. ღარიბი მეზობლების გოგოები გაიხსენეს და სათითაოდ ჩამოთვალეს. თეთრმა ლიზამ თავი გაიქნია, გრიგოლს გადაჭრით უთხრა:

— არა, გრიგოლჯან, აქედან არაფერი გამოვა. ღარიბები უფრო პატიოს- ნები არიან, ვიდრე მდიდრები. არავინ დაყაბულდება.

— ეგ მეც ვიცი, ლიზაჯან, მაგრამ ხერხს უნდა მივმართოთ, ძველი მეზო- ბლები ჩამოიარე, ლამაზებში ყველაზე ლამაზი ამოარჩიე, დედ-მამას ფირუზა

შეაცოდე, უთხარი, ეს ამბავი მარჩიელის კარტში ამოვიდა-თქო, ისიც უთხარი, რომ ერთბაშად გავამდიდრებთ და სიღარიბიდან ამოვიყვანთ.

თეთრმა ლიზამ უარის ნიშნად ისევ თავი გააქნია.

— არა, გრიგოლვან, არც ეგ იქნება. ჩემსავით შენ ლარიბებს არ იცნობ. ეგეც არ იყოს, მეც ცოდოვარ. ხალხში როგორლა გამოვჩნდე? ფირუზა როგორლა ვიტირო? ეჲ, ეგ რომ მაგ დღეში არ იყოს, მეც ჩემს იალქნებს ავუშვებდი, მაგრამ რაღას ვიზამ? არ ვაიგონე? სიკედილის წინ ისევ მაკა აგონდება და ის ლვითასპირიდან გადავარდნილი დედაკაცი ეხლაც ენატრება! — თეთრმა ლიზამ გრიგოლს თამამად შეხედა. სახეზე ოდნავ ნამონითლდა და ურჩია, ისევ ის სჯობს, გასტინიციდან ან სამიკიტონდან ახალგაზრდა გოგო მოუყვანო. მეც სირცხვილს გადავრჩიები და ფირუზასაც თხოვნას შეუსრულებ.

გრიგოლი ჩაფიქრდა. თეთრი ლიზას რჩევა ჭკუაში დაუჯდა. ეტლით დაუყოვნებლივ ავლაბარში გაქანდა. ნაცნობ მიკიტანს მოელაპარაკა და ახალგაზრდა გოგოებში ყველაზე ტანადი და ლამაზი გოგო ამოარჩია.

## 9. მეძავი

სანყლის პური იაფად არ იშოება.  
გაბრიელ სუნდუკიანი, „პეპო“

მიკიტანმა ჯერ ბევრი იცინა, მერე თავის ქნევით მოიგონა მთელ ქალაქში განთქმული „ლხინის პაპა“.

მეძავი ქალი გრიგოლმა გადმოხურულ ეტლში წინა სკამზე დასვა, თვითონ უკანა სკამის ბალიშებზე მოთავსდა, ხელჯოხის კაუჭი მეეტლეს ზურგზე დაადო და ეტლი სოლოლაკისკენ გაარეკინა.

გზაში როსეკის სხვათა შორის ჰქითხა:

- ვინ გაგუიდა?
- დავით გერმანოზიშვილმა.

გრიგოლმა გოგო ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა.

- სადაური ხარ?
- ბერთუბნელი.

ბერთუბანი ფანდურაანთ იოსების სოფელი იყო. ზანდაროვი ისეთნაირად შეიძმუშნა, როგორც ეს ადამიანებს დავიწყებული ამბის გახსენების დროს ემართებათ ხოლმე.

- რა გქვიან?
  - ნათია.
- ზანდაროვს ფანდურაანთ იოსების სახელი გაახსენდა და წარბი ასწია.
- რა გვარი ხარ?
  - ფანდურაშვილი.

ეს ზანდაროვის ნამდვილი გვარი იყო. თუმცა ცნობისმოყვარეობა გაუ-  
ცხოველდა, მაინც უხალისოდ იქითხა:

— ეგ სახელი ვინ დაგარქვა?

— ნათია მამიჩემის ბიძაშვილის ცოლს რემევია, — რაღაცნაირის სიამა-  
ყოთ ნარმოთქვა როსკიპმა გოგომ, — მამაჩემს ყოჩალი და ლამაზი ბიძაშვილი  
ჰყოლია. იმის პატარძალი საყდრიდან ბატონს მოუტაცნია. იმასაც ბატონი  
მოუკლავს და გაქცეულა. პატარძალს კი ჭუჭუს თავზე დაუკრავს დანა. ჩვენს  
სოფელში ეხლაც სიმღერებში მღერიან ნათიას და იოსებას ამბავს. თურმე ძა-  
ლიან ჰყვარებიათ ერთმანეთი. მამაჩემს თავის პატარა ბიჭობაში ჰყოლია ნანახი  
ნათიაც და იოსებაც. მე რომ დავბადებულვარ, ჩემთვისაც ნათია დაურქებეს.

ზანდაროვი ერთხანს გაწუმებული იჯდა. მერე მეძავს გულგრილად ჰეკითხა:

— მერე, დაიჭირეს იოსება?

— არა, სათათრეთში გადაიკარგა.

— სანყალი, — ნარმოთქვა ზანდაროვმა, — იცი, რა უნდა გააკეთო ჩემს  
სახლში? — ისევ გაუბა საუბარი გრიგოლმა სამიერთნოს გოგოს.

— ვიცი. სუთია მიერთნები მითხვა.

— სუთიამ დაგაყენა მაგ ხელობაზე?

მეძავმა გაიცინა.

— ავლაბრის სამიერთნოებში სოფლელ გოგოებს მაშრისთვის ყიდულობენ?

— სოფლელი გოგო მაგ ხელობას როგორ იტან?

— ობლობაში ვარგაზრდილი, უჟატრონო. ჩემთვის ყველაფერი სულერთია.

ზანდაროვმა დაამთენარა. ლამენათევს და უძილოს თვალები ებლიტებო-  
და. ნარსული ცხოვრებიდან და თავგადასავლიდან იგი იმდენად მოკვეთილი  
იყო, რომ თავად დავით გერმანოზიმელის ხსენებამ მას მხოლოდ უბრალი  
ცნობისმოყვარეობა აღიძრა. არც ქორნინების იმ ღამის გახსენებას და ახლო  
ნათესავთან შეხვედრას აუდელვებია იგი.

მეძავად გადაქცეულ ნათესავისადმი არავითარ სიბრალოელს არ გრძნობდა,  
პირიქით, მეეტლეს აჩქარებდა, რათა სანამ ფირუზას ჭერ კიდევ პირში სული  
ედგა, მისთვის მიესწრო და მისი თხოვნა შეესრულებინა.

## 10. შირშიას სიცვდილი

ბაპ! ბაპ! ვინ აკაკუნებს კარებზე: ვინ არის მანდ? სიკვდილი.  
მოემზადე ნასასვლელად-  
კლოდ ტილლი, „ჩემი ძია ბენუამენი“

გრიგოლმა მეძავი გოგო თეთრ ლიზას ჩაბარა. ავადმყოფის ოთახში კა-  
რებთან ჩამომსხდარი ექიმბაშები და მარჩიელები დაითხოვა. მსახურებიც  
მიფანტ-მოფანტა და თვითონ დადგა კარებთან დარაჯად.

გეძავს ტანსაცმლის გახდაში თეთრი ლიზა ეხმარებოდა, თან „სულითხორ-ცამდე ნაწყმედილ“ ქმარზე ბრაზდებოდა. გოგო თვინიერად იდგა. არც რცხ-ვენოდა, არც ნითლდებოდა. თეთრმა ლიზამავად შეუბლვირა, მაგრამ მყისვე გოგონდა, რომ მის წინ ავლაბრის სამიკიტნოს კახპა იდგა.

გაშიშვლებული და თმაჩამოშლილი გოგო ფირუზა ზანდაროვს ოთახში შეუგდეს.

გრიგოლ ზანდაროვმა ისე გაიცინა, როგორც ასეთ დროს ფირუზა ზანდა-როვი იცინოდა ხოლმე.

თეთრი ლიზა ანუნუნდა:

— ქა, გაგონილა?! მთელი ცხოვრება ფირუზას გოგოებსა ვსდიე, ეხლა კვდება და მაინც თავისას არ იძლის. თუ ეს ამბავი გამუღავნდა, თავი სადღა გამოვყო?

გრიგოლმა სიცილით ანუგეშა:

— ფირუზა ზანდაროვი ისე კვდება, როგორც ცხოვრობდა. დარღონუ გაქვს, ლიზაჯან, ჩემი ქისა ვისაც გინდა, გააჩუმებს.

ქისას ხსენებაზე თეთრ ლიზას დაუნერელი ანდერძი გაახსენდა. საყვედუ-რით ნარმოთქვა:

— მაგისთანებს ისევ ის არა სჯობდა, რომ ანდერძი დაეწერა და დაე-ბეჭდა!

გრიგოლმა გულდასმით შეათვალიერა თეთრი ლიზა. მისი შიშის მიზეზი მისთვის მყისვე გასაგები გახდა, ყელზე დედაშვილურად მოეხვია, მხურვალედ აუცა და ალერსიანად უთხრა:

— ჩვენ ქალალდები რათ გვინდა, ლიზაჯან? რასაც ხელს დაადებ, შენი არ არის? შენ ოლონდ მითხარი, რა გინდა და რა გჭირდება!

თეთრმა ლიზამაც მადლიერებით შეხედა ფირუზას ალზრდილს, ხმაში ცრემლი გაუჩინდა:

— მაშ, მაშ, ფირუზას დამკარგავს შენს გარდა სხვა ვისი იმედი უნდა მქონდეს!

— მეც შენს მეტი ვინა მყავს?

ნამოიძახა გრიგოლმა და ერთხელ კიდევ მოეხვია თეთრ ლიზას, რომელსაც მისმა სიტყვებმა გულიც აუჩიუყა და ეჭვიც ალუძრა.

მის თვალში დაბეჭდილ „ანდერძის ქალალდს“ უფრო მეტი ფასი ჰქონდა, ვიდრე ახალგაზრდა სოვდაგრის აღთქმას.

იმ ოთახში, სადაც ფირუზა კვდებოდა, ბევრი ძვირფასი ნივთი გაქრა. გრიგოლმა ეს შეამჩინა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. მას არც ის ვეებერ-თელა სკივრი მოხვედრია თვალში, რომელიც სხვადასხვა სამკაულებით იყო გავსებული და რომლის გასაღები თეთრ ლიზას ჯვართან ერთად ყელზე ეყიდა. იმით იძინებდა და ილვიძებდა. მრავალჭირნახული, ათასნაირ ჯავრსა და დარდს გამოვლილი დედაბერი თადარიგს იჭერდა.

ფირუზას ოთახის ნინ კედელთან გამნერივებულ მსუბუქ, მოოქროვილ სავარძლებზე გრიგოლ ზანდაროვი და თეთრი ლიზა მასლაათით გართულნი ისხდნენ და იმ ოთახიდან მეძავი გოგოს გამოსვლას უცდიდნენ.

კარებთან ოდნავ შემკრთალი გოგო გამოჩნდა.

თეთრმა ლიზამ ის მყისვე მეზობელი ოთახისაენ გააქანა, გრიგოლი კი ფირუზას ოთახში შევიდა.

ფირუზა კედლის კენ პირშებრუნებული ინვა.

— ღვინო მომიტანე... — მოესმა გრიგოლს მისი მისუსტებული ხმა, — მაგრამ შიგ წყალი არ გაურიო.

გრიგოლმა ნათქვამის აზრი ვერ გაიგო.

— დალოცვილო... აშოლლანი კვდება თუ სოვდაგარი? გარყვნილი ვიყავი... მაგრამ სამიერნოს გოვოებს ახლოს არ გავეარებივარ... კარგი... კარგი... ეს ფლუსტი იყოს... ორი რამე მანც შემისრულე...

გრიგოლმა აზარფეშით ღვინო მოურბენინა. თავისი ხელით დაალევინა ალმზრდელს, რადგან ფირუზას გრძელტარიანი აზარფეშის ხელში დაჭერის თავი აღარა ჰქონდა. თეთრი ლიზაც იქვე იდგა. ქმარს თეთრ-ყვითელ ულვა-შებზე, ნიკაპზე და პერანგის საყელოზე დაღვრილი ნითელი ღვინის ლაქები ხელსახოცით მონმინდა და ბალიშები მზრუნველობით გაუსწორა. ფირუზა თვალდახუჭული ინვა. მძიმედ სუნთქავდა. თეთრი ლიზა ქმრის კენ სწრაფ დაიხარა და ყურძი კვლავ მღვდლის მოყვანის თხოვნა ჩასჩურჩულა.

— თარი...

ამოიხრიალა მომაჯვდავმა.

თარი იქვე მაგიდაზე იდო. ფირუზას ხელში მისცეს და ძლივს დააჭერინეს. ძველ და მკარელსა და მომღერალს თითები არ დაემორჩილა. სუსტად ჩამო-ჰქირა სიმებს და უსიამოვნოდ ააუღარუნა. თარი ხელიდან გაუვარდა, საბაზე გადაუგორდა და იატაკზე ზრიალით დაეცა. ფირუზამ თვალები დახუჭა. თე-თრი, გაბურძვნული ნამნამები მსხვილი ცრემლებით დაუსველდა. თეთრმა ლიზამ პირზე ხელსახოცი მიიფარა, რათა ქვითინი ჩაეხშო და მომაჯვდავი ქმარი არ შეენუხებინა.

ერთი ნამით თვალნინ დაუდგა მეტების ციხესთან მრგვალ აივანზე დაირით ხელში გადმომდგარი ტანმორჩილი გოგო და ციხის პატარა სარკმელზე მომ-დგარი მნითური ბიჭი. გული ყელში მოებჯინა, მაგრამ თავი შეიმაგრა. ქმარს დაბნეული დასცეკროდა და დროგამოშვებით პირჯვარს იწერდა.

ფირუზას თვალებზე რული ეკიდებოდა. სთვლემდა და ძილი ერეოდა.

თეთრი ლიზა ქმარს სასთუმალთან მოუჯდა, გრიგოლი შორიახლო დაჯდა.

შუალამისას ფირუზამ გრძნობა დაჲქარგა და განთიადზე საშინელი ტან-ჯვით გარდაიცვალა.

თვალები თეთრმა ლიზამ დაუხუჭა.

გრიგოლი ნელში გასწორდა.

ახლა ის ერთადერთი ზანდაროვი იყო.

## 11. ჯვრის ძალალდი

**შენ ქალალდი უყურე, სიტყვას რას კითხულობ!  
ქალაქური დოალოვი**

ფირუზა ზანდაროვის სიკვდილის ამბავი მთელ ქალაქს მოედო.  
სოველაგრები ქარვასლებიდან მოცვივდნენ.  
ყველას ერთბაშად მოაგონდა მხიარული „ლხინის პაპა“.  
ყველა მის კარგკაცობაზე ლაპარაკობდა, ავი არც არავის უთქვია და არც  
ვინმეს გახსენებია.

გრიგოლ ზანდაროვმა თავისი აღმზრდელი ისეთნაირად გააპატიოსნა, რომ  
ქალაქში დიდხანს ლაპარაკობდნენ.

პანაშვიდზე მართლმადიდებელი მღვდლები, სომხის ტერტერები და კა-  
თოლიკე პატრები ერთმანეთში იყვნენ არეულნი. არავის გაჰკვირვებია, რომ  
მღვდლისა და განთქმულ სოვდაგარს სხვადასხვა სარწმუნოების მღვდელმ-  
სახურები უგებდნენ წესს. არც ის გაუკვირდებოდათ, ფირუზა ზანდაროვის  
პანაშვიდზე თათრის მოლები რომ გამოჩენილიყვნენ.

ამის ნამდვილი მიზეზი კი სულ სხვა იყო.

სომხური ეკლესიის დავთრებმი გეურქა ზანდაროვის სახელი მოჩხრიკეს,  
ხოლო კათოლიკურ ეკლესიაში ფრანჩესკო ზანდაროვის სახელი. საბუთები  
ტერტერებმა და პატრებმა გრიგოლ ზანდაროვს წინ დაუდეს. გრიგოლი შე-  
ფიქრიანდა, თეთრ ლიზასთან ჩურჩული გააბა. თეთრმა ლიზამ ეს აინუნში  
არჩავდო. მან მართლმადიდებლების ეკლესიაში გიორგი ზანდარაშვილთან  
ჯურისწერის ისე კენკენად შენახული ქალალდი გამოაჩინა, რომ ტერტერების  
და პატრების საბუთები მყისვე გააბათილა.

მოუხედავად ამისა, პანაშვიდებზე სომხის ტერტერები მაინც გეურქა ზან-  
დაროვს ავედრებდნენ ღმერთს, ხოლო კათოლიკე პატრები — ფრანჩესკო  
ზანდაროვს.

მართლმადიდებელი მღვდლებიც გულმოდგინედ ასრულებდნენ წესს.

მღვდლებიც, ტერტერებიც და პატრებიც გრიგოლ ზანდაროვის მიერ  
გულუხვად იყვნენ დასაჩუქრებულნი.

ყველაზე მეტი მან მაინც ტერტერებსა და პატრებს მისცა, რადგან ეშინოდა  
ამ საქმეში ეგზარხოსი არ ჩარეულიყო და მართლმადიდებელთა ეკლესიას  
იმაზე მეტი არ წაელო, რაც უკვე მიცემული ჰქონდა.

დაქვრივებულ თეთრ ლიზას პანაშვიდების დროს მარცხნივ მაიკო კურტა-  
ნიძე უჯდა, მარჯვნივ — ფერმანგოვის დედა.

ჭირისუფლისა და ქვრივის როლს ის ისევე კარგად ასრულებდა, რო-  
გორც ცოლის როლს ასრულებდა. ხან ცივად გაჰკვიოდა, ხან გულსაკლავად  
იმდუღრებოდა. მხოლოდ მაშინ ჩუმდებოდა, როცა მიცვალებულის ოთახში  
გრიგოლ ზანდაროვის ნაცნობი დიდყაცები სამძიმრისთვის შემოდიოდნენ.

მეზობლებს, თავდახურულ დედაკაცებს და სოფიაგრების ჯალაბებს ეი არ ერიდებოდა. პირიქით, მათ დასანახად და გასაგონად თავში ხელებსაც იშენდა და ხმამაღლაც მოთქვამდა.

ისინიც ჭოლს არ უდებდნენ მოთქმა-ტირილში.

სეროუკიანი ბართლომე კურტანიძე კედელთან ფეხმოუცვლელად იდგა. ბალდადი ხელშიარ ეჭირა, რადგან ტირილს არ აპირებდა. სადღაც, ყავისფერი თვალების სილრმეში იდუმალად გაციებული ლიმილით დასცერირდა სულერთანად გამოცვლილ და საოცრად გადაყვითლებულ ფირუზა ზანდაროვს, რომელიც აღარც მისთვის და აღარც სხვებისთვის საშიში აღარ იყო. უხაროდა, რომ კუბოში ფირუზა ზანდაროვი ინვა და არა ბართლომე კურტანიძე. მისი ჩაბნელებული თვალების გუგებში მაცდურად მიმაღლული ლიმილი ამ აზრის გამონაკრთომი იყო.

ფირუზა ზანდაროვი გაქვავებული ინვა მუხის კუბოში. თავით და ფერხთით ოხი გრძელი კელაპტარი ენთო. ძლიერი სინათლით განათებული მისი ყვითელი სახე ყველას თვალში ხვდებოდა. მკერდზე ორი მრგვალი პური ედო. როცა საიქიოში ფირუზა ბეწვის ხიდზე გაივლიდა და სამოთხის კარს მიადგებოდა, ჯერ ერთი პური, მერე მეორე — სამოთხის ალაყაფთან დარაჯად ამართული ორი ასლანისათვის უნდა გადაევდო. სანამ ასლანები პურს დასწვდებოდნენ, უნდა მოესწრო და სამოთხეში შევარდნილიყო.

ერთი სიტყვით, ფირუზა ზანდაროვი საიქიოშიც ისევე უნდა მოქცეულიყო, როგორც სააქაოში იქცეოდა.

# კარი მეცხრამეტე

## 1. გოგზაურობა თბილისის მოადანი

აქ ერთმანეთს ხელს უწვდიან ევროპა და აზია.  
ფრიდრიხ ბოდენშტედტი, „1001 დღე“

მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში თბილისმა ევროპული იერი მიიღო. სოლოლაკმა და გარეთუბანმა უკან მოიტოვა ანჩისხატის უბანი, თათრის მოედანი, მეტეხი, აბანოების რიგები, ხართულის აღმართ-დაღმართები და ნარიყალა.

ძველი ქალაქი, თავისი პატარა და აივნიანი სახლებით, სადღაც ქვემოთ, მტკუარზე მიკრული აღმოჩნდა, ხოლო ახალი ქალაქი ახალ უბნებში ლონივრად შეიტყოდა მხრებს, ფართო ვდებოდა, ლამაზდებოდა და მშვენდებოდა.

ქალაქი აქეთ შაიტახტის კუნ მიინევდა, იქით — მამადავითისა კუნ. სწრაფად ქრებოდნენ ჯავნარი და ხევ-ხუვები ვერის მიდამოებში.

ნიკოლოზის, ერევნისა და ალექსანდრეს მოედნებზე, ხანის, ველიამინოვის და ინუინრების ქუჩებზე ხუროთმოძღვრები იტალიური სტილის ქვის სახლებს აშენებდნენ, ვენეციური და ფლორენციული შენობები თავს ინონებდნენ ძველი, პირდაუბანელი ქუჩებისა და შუკების შორიახლო.

თბილისი იერსა და ელფერს იცვლიდა.

„ირაკლის ფაიტონის“ (მამაპაპური ურმის) გვერდით ეტლებიც გამოჩნდნენ. ყურთმაჯებიან სოვდაგრებს და ჩოხაახალუხიან თავადაზნაურებს გვერდში ახალგაზრდა „ხახვის ფრანტები“ ამოუდგნენ. გამრავლდნენ პოლიციელნი, მოხელენი, ნვრილი მრენველნი, ჯამბაზები, ქურდები, როსკიპები, გლახები და გაურკვეველი ხელობის ადამიანები.

გაჩნდა ევროპული სანახაობანი და გასართობები.

დოდეკაცობა კეთილშობილთა საკრებულოში ერთობოდა, მოხელენი რუსულ დრამატულ თეატრში ატარებდნენ დროს, ვაჭრები და ხელოსნები მოხეტიალე მსახიობების ბალაგანებს ეტანებოდნენ, მდაბიონი და ძველი ყაიდის ვაჭარ-ხელოსნები — ყარაგოზას ჩრდილების თეატრს, ნალლს, სალაყბოს, კრიკესა და არიფანას.

საკრებულოში ბანქოს თამაშობდნენ. ისინი, ვინც მნვანე მაგიდებს არ უსხდნენ, ცეკვით ერთობოდნენ. მეფისნაცვლის თეატრად გადაკეთებულ მა-

ნერძირუსული დასი ფარსებს, კოდევილებს და მელოდრამებს ნარმოსადგენდა. ხალხმრავლობა იყო ეკროპელი ემიგრანტების სასტუმროებში, რესტორნებსა და ყავახანებში.

ხალხის ფუსტუსი თბილისის მოედნებსა და ბულვარებზე ნაშუადღევს ინცებოდა.

ზოგნი სეირნობდნენ, ზოგნი გრძელი ხის მწვანე სკამებზე ისხდნენ, ზოგნი უთავბოლოდ დაბორიალებდნენ და ზოგნი ახლადაყრილ ცაცხვებქვეშ ნაც-ნობებს უცდიდნენ და ნამდაუნუმ საათს დასცეკეროდნენ.

ხელიხელგაყრილი ქალ-ვაჟნი სანახაობათა საყურებლად გარბოდნენ, ხნიერნი ნელი ტატით დასეირნობდნენ და ერთმანეთს მდაბლად თავს უკრავდნენ.

კოლტიურუან პოლს ერევნის მოედანზე ბალაგანი ჰქონდა გამართული. გერმანელი შულცის მხატვრულ კაბინეტში თბილისელებს ჰამბურგიდან ჩამოტანილ სანთლის ფიგურებს უჩვენებდნენ. ნიკოლოზის მოედანზე მექანიკოს კრამერის პატარა თეატრში თოჯინებს ათამაშებდნენ. ჯამბა-ზი ფრანც ბრონი სათამაშო ქალალდების საშუალებით ხელის სისწავის დემონსტრაციას ახდენდა და გულუბრყვილო მაყურებლებს თვალს უც-ვიფრებდა.

გრიგოლ ზანდაროვმა ყველა გასართობს სათითაოდ ჩამოუარა, ყველგან ცხვირი შეჰყო და ყველგან გამოჩნდა, რათა პარიზულად მორთულ-მოკაზ-მული ნარმოსადეგი მამაკაცი ყველას დაენახა და ყველას მასზე ელაპარაკა.

ნაადრევი გაზაფხულის მზიანი ამინდი იდგა.

მოედნებსა და ბულვარებზე ხალხი ზიმზიმებდა.

...სოლოლაკის ხევთან, ბაზრის ფარდულების მახლობლად, ნავებიანი საქანელაა ამართული. საქანელას ნავებით ქალ-ვაჟები დაქანაობენ. იქვე კარუსელი ბრუნავს. კარუსელის ხის ჭრელ-ჭრულად შეღებილ ცხენებსა და ეტლებში ბავშვების მაგივრად მოზრდილები სხედან. სამაგიეროდ, კარუ-სელი ფეხშიშველა პატარა ბიჭებს მოჰყავთ მოძრაობაში. ისინი კარუსელის პატრონს, ფრაკში გამოწყობილ ფრანგს, დროგამოშვებით კარუსელის შიგნი-თა კიბით მაღლა აჲყავს და წრისებური ფიცარნაგის გამოშვერილ ბოძებთან აყენებს. ზარის დარეკვისთანავე, თითოეული ბიჭი თავის ბოძს ხელებით აწვება, კარუსელი ჯერ ნელა ინცებს მოძრაობას, მერე, როცა ბიჭები სრიალს უჩქარებენ, მთელი კარუსელი, ხის ცხენები, ეტლები და მათი მგზავრები თავმრუდამხვევად ტრისლებენ. პატარა ბიჭები არა ჩანან, რადგან წრისებურ ფიცარნაგს შავი ხავერდის განიერი, ოქროსფრად მოხატული არშია აქვს შემოვლებული. ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს კარუსელი რაღაც უხილავი ძალით ბრუნავდეს და ტრიალებდეს.

კარუსელისა და საქანელას გარშემო აუარებელი მაყურებელი სეიჩს უყურებს. მაგრამ ბრბო მარტო აქ არ იყრის თავს. სადღესასწაულოდ ჩაც-

გულ-დახურული ხალხი მრავლად ეტანება ძველებურ ქალაქურ გასართობ-სა-  
ნახობებსაც.

შესარულ ბრბოში ოჩოფეხებზე შემდგარი აბელი მარდად დაიარება და  
გამვლელ-გამომვლელს აცინებს. ორ მაღალ ბოძს შუა ჰაერში გაჭიმულ  
თოჯე ჯამბაზი თამაშობს. მას ჩოხაზე პანაწინა ზარები და წმინდა სარქი-  
სის ავგაროზები აქვს ჩამოკიდებული და თოკზე ხტუნაობის დროს ზარები  
და ეუვნები ყურისწამლებად უღარუნობენ. თოკის ქვეშ გრძელებუდიანი ტა-  
კოსახარა დახტის, დარბის, მაღაყებს გადადის და მერე სასაცილო ქუდით  
გრბოში გროშებს აგროვებს.

ტაკიმასხარა გრიგოლ ზანდაროვთან სხარტი მაღაყით გაჩნდა, ნინ დაუ-  
ხტა, ქუდი მოუხადა და სამოწყალოდ გაუშვირა.

ზანდაროვმა ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიყო, იქიდან მუჭით ვერცხლის  
ფულები ამოილო და ტაკიმასხარას ქუდში ჩაუყარა. ტაკიმასხარამ ნადავლი  
მეურდზე მიიკრა, ისევ განზე გახტა, რამდენიმე მაღაყით თოკის ქვეშ გაჩნდა  
და ქუდი თოჯე გაჩერებულ ჯამბაზს აუგდო.

მაყურებლებმა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერეს გულუხვი მწყალო-  
ბელი. ბრბოში ჩურჩული გაისმა. ვიღაცამ „მილიონერი“ ახსენა. ამ სიტყვაზე  
გრიგოლ ზანდაროვის სენ ერთმა ლამაზმა ქალმა მოიხედა, რომელსაც თან  
ახალგაზრდა ქორნეტი ახლდა. ქალს ისეთი კეთილი სახე და საოცრად ნა-  
თელი შევი თვალები ჰქონდა, რომ ზანდაროვმა უნებლიერ მას ისე გაუღიმა,  
როგორადაც ის არასოდეს არ იღიმებოდა. იმ ქალის და გრიგოლ ზანდაროვის  
თვალები ერთი წამით შეხვდნენ ერთმანეთს.

ქალმა ერთხელ კიდევ მოიხედა მისკენ, მაგრამ იმნამსვე ამოძრავებულმა  
ბრბოშ ჩაითრია და გაიტაცა.

ზანდაროვი სწრაფად გაექანა მისკენ, მაგრამ თვალი ვეღარსად მოჰკრა.  
ხანსაქანელას ეცა, ხან კარუსელს მივარდა, აქეთ-იქით იხედებოდა, მაგრამ იმ  
ქალს ვერსად პოულობდა. თვითონაც ბრბოს მორევში მოქცეული, ძლივძლიო-  
ბით იკვლევდა გზას. ისედაც მაღალი, თავს უფრო მაღლა სწევდა, თვალებით  
ყველგან იმ ქალს დაეძებდა, იდაყვების ჩეკარი მოძრაობით მიარღვევდა ბრბოს.  
ბევრს ტლანქად ჰერავდა ხელს, თვითონაც ხვდებოდა მუჯლუგუნები, სულ  
განზე და ნინ ნასვლას ცდილობდა, მაგრამ ის ქალი აღარსად ჩანდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ბრბოს თავი დააღნია, სამშვიდობოს გავიდა, შო-  
რიდან დაუწყო გამვლელ-გამომვლელს თვალიერება, ყავახანებშიც შეიხედა,  
მაგრამ ის ქალი ვეღარსად იპოვა.

ყავახანების ნინ დიდხანს იტკეპნებოდა. ირგვლივ მოუსვენრად იყურებო-  
და. თვითონაც არ იცოდა, რატომ ლელავდა ან რისთვის სწყუროდა იმ ქალის  
ხელახლა დანახვა.

ნაცნობები თავს უკრავდნენ, მაგრამ გრიგოლი ვეღარავის ამჩნევდა.  
ყველგან იმ ქალის თეთრფრთებიანი ქუდი ელანდებოდა.

## 2. მთრედებზე ნადირობა

მობრძანდით და იგემეთ ნადირობის სიამოვნებანი,  
ჩარლზ დეკენი, „ჩვენი სურთო მეგობარი“

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ზანდაროვი ნიკოლოზის მოედნის ენ გაემართა. უცცრად კრამერის თეატრთან იმ ქალს კვლავ მოჰკურა თვალი. კორნეტი სალაროში ბილეთს ყიდულობდა. ქალი ოდნავ განზე იდგა. როცა მათი თვალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, ქალი მას ერთი წამით ცნობისმოყვარეობით დაცქერდა და მყისვე სწრაფად მიაბრუნა თავი. თამამი ზანდაროვი მის ენ გაბედულად გაემართა, მიუახლოვდა კიდეც, მაგრამ სწორედ ამ დროს კორნეტმა ქალს მკლავი მიაგება და ორივენი თეატრში შევიდნენ.

ზანდაროვი მათ ფეხდაფეხ მიჰყვა. სალაროსთან მისელით თავი არ შეუწუხებია. კონტროლიორს ხელში დაჭმულნული ქალალდის ფული ჩაუდო და თვითონაც თეატრში აღმოჩნდა. ქონის სანთლებით სუსტად განათებულ პატარა დარბაზში ძნელი იყო იმის გარჩევა, თუ სავარძლების რომელ რიგში დასხდნენ ახალგაზრდა კორნეტი და მისი მხლებელი ქალი. ზანდაროვი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა თოჯინების თამაშს და სკამების ჩაბნელებულ მნერივებში იმ ქალის ფრთიანი ქუდის დანახვას ცდილობდა. წარმოდგენის დამთავრებისთანავე იგი გარეთ გავარდა, რათა იმ ქალს წინ დადგომოდა, მისთვის ქუდი მოეხადა და თავი დაეკრა, როგორც ამას „ხახვის ფრანტები“ სჩადიოდნენ თბილისის ბულვარებზე.

ზანდაროვი საშინლად გაოცდა, როცა დაინახა, რომ თეატრიდან გამოსული ქალი და კორნეტი ეტლში სხდებოდნენ. ქალს ზანდაროვის დანახვისთანავე ბაგეზე ღიმილი აუთამაშდა და მას ცნობისმოყვარეობით გადმოხედა. ეტლი ვერის მიმართულებით გავრთალდა. ეტლის შოვნა ადვილი არ იყო. იღბალზე ერთი გაბლენძილი ვაჭარი იმდენხანს ევაჭრებოდა ერთ მეტლეს, რომ მობეზრებულმა მეტლები ცხენები კალოუბნის კენ მიატრიალა. ზანდაროვი თვალის დახამხამებაში ახტა ეტლში და მეტლეს უბრძანა წინ წასულ ეტლს დასდევნებოდა. გაბლენძილმა ვაჭარმა მას „გიუ ვრაცუა“ მიაძახა და თავისა და ხელების ქნევით, გაბუტულ ცოლ-შვილს მიუბრუნდა.

წინ წასული ეტლი ვერის ბალთან იმ ადგილზე გაჩერდა, სადაც თბილისის „ოქროს ახალგაზრდობა“ იკრიბებოდა და მტრედების ნიშანში ამოღებით ერთობოდა. ვერის ბალი მუდამ სავსე იყო დარდიმანდი და არშიყი ახალგაზრდებით. აქ არც ვაჭრები მოდიოდნენ და არც დარბაისელი თავადები.

უცნობი ქალი ნიაზით ადევნებდა თვალს მტრედების ნიშანში ამოღებას. მის შორიახლო „ხახვის ფრანტები“ დაბორიალობდნენ, თავიანთი ლორნეტიდან სრულიად მოურიდებლად უფრო ლამაზი ქალის მაღალ კისერს და თეთრფრთებიან ქუდს უყურებდნენ, ვიდრე უფოთლო ხეების ტოტებზე ერთიმურის მიყოლებით დაკიდებულ მავთულის რგოლებზე დასმულ მტრედებს.

ზანდაროვი უცნობი ბანოვანის უკან დადგა. ქალმა ინსტინქტურად იგრძნო ეს, მისკენ მოიხედა და წყნარად გაულიმა. გათამამებული ზანდაროვი ის-ის უყვარდში უნდა ამოდგომოდა, მაგრამ მან ამაყად მოილერა კისერი, კორნეტს გატენილი თოფი ჩამოართვა და ერთ-ერთ მტრედს დაუმიზნა. თოფის გავარდნისთანავე მტრედი ფეხებით დაეკიდა მავთულის რგოლზე. „ხახვის ფრანტებმა“ ქალს ტაში დაუკრეს, გოგოსავით განითლებულმა კორნეტმა კი მას ნარმატება მიულოცა. ბანოვანმა ისევ ზანდაროვისკენ მოიხედა, მაგრამ აღარ გაულიმა, პირიქით, ნარბი შეერა და ტუჩები გაბრაზებით მოკუმა. ზანდაროვმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, რადგან მიხვდა, რომ მას ჩვეულებრივი სითამამე ღალატობდა. ქალის ამრეზილმა გამომეტყველებამ მასთან გამოლაპარაკება ვერ გააბედინა.

ქალს მალე მოსწყინდა მტრედებზე ნადირობა. კორნეტს რაღაც უთხრა და როცა ზანდაროვს გვერდით ჩაუარა, დაკვირვებით შეხედა და გაიფიქრა: „ლამაზი კაცია, მაგრამ ჩემი კორნეტივით ახალგაზრდა აღარაა. მერე რა უჟუოთ? აღარც მევარ ნორჩი. საინტერესოა, მაინც ვინ არის? ანგლიელივით არის ჩაცმული, მაგრამ ქართული სახე აქვს, სურათოვანი ცხვირი, ლამაზად მოკრიალებული თვალები და განყობილი ტუჩ-ებილი. ეტყობა, უცოლოა ან ქვრივი, რადგან ცოლიანი კაცები ასე არავის არ ეტორლიალებიან“. ასეთმა დასკვნამ ქალს კოპები გაუხსნა და ზანდაროვს ეტლიდან ერთხელ კიდევ დაკვირვებით გადმოხედა.

ქალის გამამხნევებელმა ზანდაროვი ბზრიალასავით დაატრიალა. ეტლს დაედევნა და თავისი მეტლე დაარიგა იმ ეტლისათვის თვალი არ მოეშორებინა, არამც და არამც მხედველობიდან არ დაეკარგა და შორიახლო კვლო. ამის შესრულება ძნელი არ იყო, რადგან იმდროინდელ თბილისში ეტლები თითზე ჩამოითვლებოდა.

უცნობი ბანოვანი და მისი კავალერი ეტლიდან ცელერიუსის საკონდიტროსთან ჩამოხტნენ, შიგ შევიდნენ, სტრასბურგული ქადა და ლიმონათი მოთხოვეს და საუბარი გააბეს.

ზანდაროვიც საკონდიტროში შევიდა და მათ მახლობლად მაგიდას მიუჯდა. ქალმა მას პირი აღარ უჩვენა, კორნეტი კი ისეთი შეფრთვინვით შესცეკეროდა ნლოვანებითა აშკარად უფროს, მაგრამ მეტისმეტად ლამაზ ქალს, რომ ჯიუტად ატორლიალებული ზანდაროვი მას ერთხელაც არ შეუმჩნევია.

სანამ ქალი ქადას ჭრიდა და მიირთმევდა, ზანდაროვი თავისთვის ფიქრობდა: „ნეტავი ვინ არის ან სადაურია? ეს ლამაზი ქალი არსად არ შემხვედრია, ქართველი რომ არის, ამას ლაპარაკი არ უნდა, მაგრამ თავადის, მოხელის თუ ვაჭრის ასულია? ხანიც კარგა მაგრად ეტყობა, თუმცალა, გაუთხოვარი უნდა იყოს. ქმრიან ქალებს ასეთ ადგილებში ასეთნაირად არ შესციცინებენ, როგორადაც ეს ჩვენი თმახუჭუჭა კორნეტი ირვება. მაინც ვინ უნდა იყოს? თუ ქალაქელია, ამნაირი სილამაზის ქალი მე რატომ არ მეცოდინებოდა? ან მდიდრების ნვეულებაზე გამოჩინდებოდა ან თეატრში“.

ზანდაროვი ამგვარი ფიქრებით იყო გართული, როცა ქუჩაში რამდენიმე ქართველი ოფიციალი გამოჩნდა. ქალმა მათ შორიდან გაულიმა და ერთ მათგანს ხელი დაუკინა. საკონდიტროში დავით გერმანოზიშვილი შემოვიდა. მას ორი სხვა ოფიციერი შემოჰყვა თან. ეს უკანასკნელი უივილ-ხივილით მისცვიდნენ ქალს და დიდი ამბით მოჟითხეს. ახალგაზრდა კორნეტი ფეხზე იდგა და ყველას ხელს ართმევდა.

ქალი ოფიცირებს საკოცნელად უნდიდა ხელს და ეტყობოდა მათი ნახვით ნასიამოვნები და გახარებული იყო.

გრიგოლ ზანდაროვმა ჯერ თავი ჩაღუნა, მერე ინსტინქტურად ნამოდგა და საკონდიტროდან ისე გავიდა, რომ მისი ნასვლა არავის შეუმჩნევია. ქალი და მისი ნაცნობი ოფიცირები მხიარული სალამ-ქალამით იყვნენ გართული.

ნაიოსებარმა გრიგოლმა მყისვე იცნოდავით გერმანოზიშვილი. თოთხმეტი წლის შემდეგ იგი პირველად და მოულოდნელად ხვდებოდა მას. ცელერიუსის საკონდიტროში მის ცხვირნინ უცებ ის კაცი აიმართა, ვინც მას დიდი ხნის წინათ ყველგან დაეძებდა, რათა მამის მკვლელი შეეპყრო და ნამებით მოკლა. ცხოვრების ჩარხის ტრიალით გათამამებულ-განებივრებულ გრიგოლ ზანდაროვს შიშის გრძნობა აღარ ეკარებოდა, მაგრამ საკმარისი იყო ეცნო დავით გერმანოზიშვილი, რომ მისი გულის სილრმეში ძველ, დავინცებულ შიშს ისევ გაეფარენებინა. იგი ცელერიუსის საკონდიტროდან არ გაქცეულა, მაგრამ ხიფათს თავი ჭკვიანურად და წინდახედულად გაარიდა. ამავე დროს მის გამოცდილ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩა, რომ ოდესლაც გულზეიად თავადი ახლა ნაადრევად დაბერებული, გახუნებული და ნირნამხდარი გამოიყურებოდა.

### 3. დოლი

**შენ უნდა ნახო ჩემი ჭოკეი და ჩემი ცხენები.  
შარლ დე ბერნარი, „იკაროსის ფრთები“**

ზანდაროვმა უხალისოდ ისადილა გიუტიხის რესტორანში. მერე ეტლი დაიქირავა და გერმანელების კოლონისაკენ გაქანდა დოლის საყურებლად. იმედი ჰქონდა, დოლზე იმ ქალს კვლავ შეხვდებოდა, რადგან, თუ ის შეძლებულ და ნარჩინებულ ოჯახს ეკუთვნოდა, აუცილებლად მივიდოდა იქ, სადაც თვითონ მეფისნაცვალი უნდა ყოფილიყო თავისი ამალით.

მართლაც, ზანდაროვმა ის ქალი ბრნიცინვალე კნეინებსა და თავადებს შორის აღმოაჩინა. არ ესიამოვნა და უკმაყოფილოდ გაითიქრა: „ენეინა ყოფილაონ“.

ზანდაროვის საყვარლებში ენეინაც ერთა. პარიზიდან დაბრუნებული მაგდა გოსტაშაბიშვილი მას აჩრდილივით დასდევდა თან და არც თვითონ გაურბო-

და, რადგან სურდა მაღალ საზოგადოებაში მისი კნეინასთან ურთიერთობის გამო ელაპარაკათ.

გააჩვირტა ვნებული და გამედიდურებული გრიგოლ ზანდაროვი საცოლეს ვაჭრის ასულებში კი არ დაეძებდა, არამედ ხელმოკლეა ზნაურების ოჯახებში. მდაბიოს გააზნაურების აზრი ხიბლავდა და იტაცებდა.

ვაჭრის დასქელებულ ასულებს, რომელიც იაქთალიანი სახლების ეზოებში გუშინ ფეხშიშველნი და პირდაუბანელნი დარბოდნენ, დღეს კი ფრანგი გასწავლებლებისაგან რასინის და ვოლტერის ენას სწავლობდნენ, იგიახლოს არ ეკარებოდა. თემოგანიერ და სქელ გოგოებს ვერ იტანდა. ამასობაში დრო გადიოდა. გრიგოლ ზანდაროვს ოცდაათი ნელი უსრულდებოდა და ცოლის შერთვას უკვე სერიოზულად ფიქრობდა.

როცა ერევნის მოედანზე ჯამბაზების თოვზე თამაშის დროს მან თვალი მოჰკრა იმ ქალს, მყისვე გულს განენონა და დაინტერესდა. ის ქალი თავისი სილამაზით და გარეგნობით არ ჩამოუვარდებოდა არც მაკა კურტანიძეს და არც მაგდა გოსტამაბიშვილს. რაღაცნაირად თითქოს სჯობდა კიდეც მათ, თუმცა ეს ქალიც იმათსავით უკვე დახანებული იყო.

მაგრამ ესეც იყო, ფირუზასავით ანგარიშიან გრიგოლს თექვსმეტი ნლის გოგოს მაგიერ ცოლად ჭკუადამჯდარი, ოცდახუთ ნელს მიტანებული ქალი ერჩივნა.

ზანდაროვს ხელები ჩამოსცვივდა, როცა იმ ქალის არისტოკრატობა შეიტყო. იგი მხოლოდ მდიდარი ვაჭარი იყო და თავადის ასულის ცოლად შერთვა აზრადაც არ შეიძლებოდა მოსვლოდა.

მაგრამ თუ ის ქალი ლარიბი ან ხელმოკლე იყო?

ზანდაროვმა გულდასმით დაათვალიერა მონონებული ქალი. მის გამჭრიახ თვალს არ გამოეპარა, რომ მას არც თუ ისე ძვირფასი კაბა ეცვა. იგი თავისი სილამაზით გვერდში მდგარ კნეინებს ჩაგრავდა, მაგრამ კნეინები თავიანთი მდიდრული ჩაცმულობით მას აშკარად ჩრდილში აყენებდნენ.

ზანდაროვმა თითით შუბლი მოისრისა და ფირუზასავით ანგარიშს შეუდგა. დაფიქრებულს გაკოტრებულ თავადებზე დაქორნინებული ვაჭრის ასულები გაახსენდა. რატომღაც ნაადრევად დაბერებული, გახუნებული და ნირნამხდარი დავით გერმანოზიშვილიც დაუდგა თვალნინ.

ნელში გასწორდა. თავი მაღლა ასწია.

დოლის ტრიბუნების ნინ ამაყად გაიარა.

იმ ქალს დაენახვა და მდაბლად დაუკრა თავი. მისი დანახვა ქალსაც გაუსარდა და თვალები გაუბრნებინდა. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ არც ის ქალი იყო მისდამი გულგრილად განწყობილი. ისიც გაფაციცებით დაეძებდა მას, თუმცა ახლაც გვერდში თმახუჭუჭა კორნეტი ედგა.

იმ დღეს ისინი ერთმანეთს უსიტყვოდ ხვდებოდნენ და შორდებოდნენ. მათ შორის ჯერ ისევ იდუმალი ტრფიალი შუამავლობდა. ისინი დუმდნენ, მაგრამ

მათი თვალები მეტყველებდნენ, თვალებით საუბრობდნენ და ერთმანეთს  
ხვაშიადს უმხელდნენ.

მეფისნაცვლის ტრიბუნის მახლობლად სამხედრო ორექსტრი უკრავდა.  
მხედრები სტარტთან იდგნენ და ზარის ჩამოკვრას და უცდიდნენ.

მეფისნაცვლის არაბული ჯიშის ცხენის გვერდით ტანმორჩილი კავეას იუ-  
რი ცხენები იდგნენ, მათ შორის მეფისნაცვლის ცხენიც ისევე გამოირჩეოდა,  
როგორც თვითონ მაღალ-მაღალი და პირხმელი, შავ სამხედრო სერთულები  
გამონაბილი ვორონცოვი გამოირჩეოდა თავის მხლებლებსა და ამაღაში.

ინგლისელი უოკეი ამაყად და გამომწვევად იჯდა არაბულ ბედაურზე.  
კავეასიელი მხედრები კი ოდნავ დაბნეული და დარცხვენილი გამოიყურე-  
ბოდნენ.

პირველი ზარი ჩამოჰერეს.

მხედრები სტარტის ხაზს მოსწყდნენ. მრავალი თვალი მიაწყდა მიმქრო-  
ლავ ცხენებს. მეფისნაცვალი ფეხზე მდგარი გაჟყურებდა მხედრებს; ისინი  
მოსახვევს გასცდნენ და ტრიბუნებს დაუპირისპირდნენ. ინგლისელი უოკეი  
უკვე შუა გზაზე დანინაურდა და პირველობა აღარავის დაანება. ფინიშის ხაზი  
მეფისნაცვლის ცხენმა გადასჭრა. ვორონცოვმა კმაყოფილებით გაიღიმა.  
სხვებმა ტაშით დააჯილდოვეს გამარჯვებული ინგლისელი უოკეი. კავეასიელ  
მხედრებს დაბნეულობა აღარ ეტყობოდათ, ოღონდ უფრო მეტად ჩანდნენ დარ-  
ცხვენილნი, ვიდრე სტარტის ნინ. მეორე დღეს გაზეთის რეცენზენტი ფილო-  
სოფიური სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ კავეასიერი ცხენები ევროპული  
დოლისათვის არ ვარგიან, მარულაში კი საუცხოონი არიან, რადგან მარულაში  
ნმინდა სისხლის ცხენები ნაზი ქალებივით დაიქანცებოდნენ, მათი უოკეები კი  
ცხვირს მოიმტვრევდნენ. რეცენზენტის ამ სიტყვებს მხოლოდ ვორონცოვმა  
მიაქცია ყურადღება. ისიც იმის გამო, რომ მარტო მან არ იცოდა მისი ცხენის  
გამარჯვების ნამდვილი მიზეზი.

მეფისნაცვალი აღტაცებით მიეგება ინგლისელ უოკეის და ინგლისუ-  
რად გამარჯვება მიულოცა. ყოველგვარი ინგლისური რამ მას ისეთნაირად  
მოსწონდა, რომ რუსულად მხოლოდ ბობოლებთან ოფიციალური თათბირების  
დროს ლაპარაკობდა. მეფისნაცვლის აღტაცება ყველას სწრაფად გადაედო.  
ყიუინა და ტაშის გრიალი არა სწყდებოდა. ამალის მხლებლებმა ერთმანეთს  
სიამოვნებით გადახედეს. მათ კარგად იცოდნენ, რომ კმაყოფილი ვორონცოვი  
ნყალობას და ჯილდოს არ მოაკლებდა იმათ, ვინც კავეასიის დედაქალაქში  
ევროპულ დოლს მართავდა.

დოლის დამთავრებისთანავე გრივოლ ზანდაროვმა უან-პოლის ქვრივის  
რესტორაციაში დაუნყო ლოდინი იმ ქალს, რადგან დოლზე მოსულთ ამ რეს-  
ტორაციის ნინ უნდა გაევლოთ.

ზანდაროვი ეტლში იცდიდა. მის გვერდით ეტლი ეტლს მისდევდა, ეკიპაჟი  
— ეკიპაჟს. ზანდაროვს მრავალი ნაცნობი ჟყავდა და ყველას თავაზიანად  
უკრავდა თავს. ბობოლების და მდიდარი თავადების ეკიპაჟებს და ეტლებს

უკან სამხედრო დროშეები და დაქირსავებული ეტლები მოსადევდნენ. როცა იმ ქალის ეტლი გამოჩნდა, ზანდაროვი მას შეუმჩნევლად აედევნა, ნინ მიმქრო-ლუვი ეტლის დაკეცილი გადმოსახურის ზემოდან თეთრი ფრთებით შემჯული ქალის თავსაბურავი და კორნეტის ჭუდი მოჩანდა. ზანდაროვი თვალს არ აძორებდა თაბახივით მრგვალი თავსაბურავის განიერ ფარფლებს.

კორნეტმა ის ქალი მთანმინდის უბნის ერთი ძველი სახლის ნინ ჩამოიყვანა ეტლიდან, სადარბაზო კარამდე მიაცილა და ხელზე ამბორით გამოეთხოვა.

ყაყაჩოსავით განითლებულმა ჭაბუკმა ვერც ახლა შეამჩნია გრიგოლ ზანდაროვი, რომელიც იქვე ქუჩის პირზე გაჩერებული ეტლიდან მას დამ-ცინავად უცურებდა. ორ ეტლს ვინწო ჭუჩა ისეთნაირად ჰქონდათ შეკრული, რომ გამვლელებისთვის ადგილი აღარ რჩებოდა. კოფოზე ნამოსკუპებული მეტლები ერთმანეთთან დონჯად ლაპარაკობდნენ.

გაოგნებულ ყმანვილს, რომელსაც პირტიტველა სახეზე ბედნიერების ლიმილი დასთამაშებდა და ზედ ჭაბუკური ტრფიალება ეხატა, თვალი იმ ქა-ლის სახლზე რჩებოდა და ისე უახლოვდებოდა ეტლებს. ზანდაროვი თვალს არ აშორებდა ლამაზი ბანოვანის ნორჩ თაყვანისმცემელს. მისთვის სულ უფრო და უფრო გასაგები ხდებოდა, რომ ყმანვილკაცურად გატაცებული კორნეტი მას საშიშარ მეტოქეობას ვერ გაუნევდა. ეტლში არხეინად იჯდა და სრულიად არ გაჰკვირვებია, როცა კორნეტმა მისი ეტლის საფეხურზე შედგა ფეხი. ყმანვილმა თვითონვე მოისაზრა თავისი შეცდომა, უარესად განითლდა. უცნობ ბატონს დაბნეულად მოუხადა ბოდიში, ხელის ანევით თავის მეტლეს ცხენები მოატრიალებინა, ეტლში ახტა და თავი ქალის სახლის ფანჯრებისაკენ მოაბრუნა. უეცრად სახე მოელუშა, რადგან ფან-ჯრებთან ის არ გამოჩნდა, ვის გამოჩენასაც გულისფანცქალით მოელოდა. ზანდაროვი გაუნძრევლად იჯდა. მეეტლებმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ თვალის ჩაკერა ვერ გაბედეს.

როცა ადგილიდან დაძრული კორნეტის ეტლის ბორბლების ხმაური მინყდა, ფანჯარას უცნობი ქალი მოადგა და ქუჩიაში გადმოიხედა. ზანდაროვმა ქუდი მოუხადა და ისევ მდაბლად დაუკრა თავი. ქალი ერთი ნამით დააცქერდა მას, მაგრამ მყისვე გულგრილი გამომეტყველება მიიღო და საჩქაროდ გაშორდა ფანჯარას.

ზანდაროვმა გამარჯვებულივით გაიღიმა. ქალის გულგრილი გამომეტყ-ველება ქალურ ფანდად მიიღო. მართლაც, ქალი მხოლოდ იმ დროს გამოჩნდა ფანჯარასთან, როცა ეტლი უკვე ქუჩის ბოლოს იყო და ქვემოდან ყრუდღა მოისმოდა მისი ბორბლების ხმაური. აშკარა იყო, ქალს აინტერესებდა არა ახალგაზრდა კორნეტი, არამედ უცნობი ბატონი. გამოცდილმა ზანდაროვმა ეს ადვილად შეამჩნია და მიხვდა კიდევ მის მნიშვნელობას. გაიბადრა, თავზე მაღალი ქუდი თავმომნონედ გაისწორა (ისევე როგორც ამას გამარჯვებული ფირუზზა აკეთებდა ხოლმე), მეეტლეს ცხენები მოატრიალებინა და თავდაღ-მართში დაეშვა.

## 4. აღტაცება

უყურებდი, ვითარცა გასათხოვარი ქალნი და უშვილო დედაკაცნი ეკითხებოდნენ ეკლესიას თავიანთ ბედსა კადელზე ქვის მიკურით, გრიგოლ რჩეულიშვილი, „შეძლილი“

მანანა გერმანიშიშვილი ოთახში ცეკვით შემოტრიალდა. წელში ოდნავ გადატეხილი ისე ტრიალებდა, როგორც ძველი ფრესკის „სამაის“ მოცეკვავე ქალი. ბებერი გამდელი ფინისასავით მიელაქუცა და შესცინა:

- ეგრე რამ გაგახარა, გენაცვალოს გაიანე?
- იცი, ჩემო გამდელო, მე მალე გავთხოვდები, ლამაზსა და ძალიან მდოდარ კაცზე.

ეს სიტყვები მანანამ ისეთნაირად წარმოთქვა, ვერ გაარჩევდით, რა უფრო მოსწონდა — იმ კაცის სილამაზზე, თუ სიმდიდრე.

გახარებული გამდელი მის ფერხთით დაემხო, მისი კაბის კალთებს შემოეჭდო, სიხარულის ცრემლებით დანამული თვალებით შეხედა და შეჰვალადა:

- მაშ, თხოვდები, შემოგევლოს გაიანე! ეხლავე ეკლესიებში გავიქცევი, ყველა ხატს სანთლებს დავუნთებდა ღმერთს შენს ბედნიერებას შევავედრებ.
- ვთხოვდები, ჩემო გამდელო, ვთხოვდები, — იძახდა აღტაცებული მანანა.

გამდელი მუხლის ჩოქვით უვლიდა გარშემო, ფეხის მტვერს უკოცნიდა, ლოცვებს ბუტბუტებდა, ცრემლს აფრქვევდა და გაოგნებული ერთსა და იმავეს ლალადებდა:

— მაშ, ჩემი ლამაზი გოგო თხოვდება! მეც ეგ მინდა, მტლად დაგედოს გაიანე! განა იმიტომ არ დავდივარ ფეხშიშველა, რომ შენს ბედნიერებას მოვესწო და გვირგვინის ქვეშ დაგინახო? მენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენ შემოგევლე...

მანანამ წარპიშეკურა, ბაგიდან ლიმილი გაუქრა, ზიზლით გადახედა ბებერი გამდელის ბელტებივით დახეთქილ, მუგუზლებივით გაშავებულ, ქალამნის ტყავივით გამაგრებულ ფეხებს, მხეცის თათებს რომ დამსგავსებოდნენ და ფრჩხილებიც მხეცის ბრჭყალებივით წაზრდოდათ. მისი გამდელი ამინდსა და ავდარში ფეხშიმველი დადიოდა, რადგან აღთქმა ჰქონდა დადებული ფეხსაცმელი არ ჩაეცვა მანამდე, სანამ მისი ქალბატონი არ დაქორწინდებოდა. წელი წელს მისდევდა, მანანა გერმანიშიშვილს ხანი ემატებოდა, გამდელის ფეხები მუგუზლებს ემსგავსებოდნენ, უმზითვო თავადის ასული კი ისევ გაუთხოვარი იყო.

მზით გახურებულ მინაზე, ტლაპოსა და თოვლში სიარულით გადავვარებულმა ბებერი გამდელის ფეხებმა კალმით დახატულ შინაბერას საკუთარი სილარიბე გაახსენეს.

მანანა ფანჯარასთან მივიდა და შეძნარევი ჩურჩულით ნარმოთქვა:

— ღმერთო, შენ მიშველე! — თქვა და სასოებით პირჯვარი გადაიწერა.

ცოტახნის შემდეგ მამადავითის ტაძრის გალავანში ორი მანდილოსანი გამოიწყო. ხნიერს თალზი ჩაქაულა ეცვა, ახალგაზრდას — ყვავილებისანი ჭრელი ეაბა. მანანა გერმანოზიშვილი ტაძრის ეედელს მოუახლოვდა, ზედ თური ეენჭი მიაკრა და ზეცას მუდარით ახედა.

## 5. საღამო ხანზე

ვიღა იცნობს ამ ნახევრად პარიზელ ფრანტს.

ვ. სოლოგუბი, „ივან ვასილის ძე კავკასიაში“

იმავე საღამოს გრიგოლ ზანდაროვი კვლავ შეხვდა მანანა გერმანოზიშვილს. თავადის ასული მეფისნაცვლის ბალში დასეირნობდა ახალგაზრდა კორნეტთან ერთად.

დღისით დაწყებული ზეიმი და გართობა საღამო ხანზეც გრძელდებოდა. ფერადი ფარნებით განათებულ ბალის ხეივნებში წყვილები დასეირნობდნენ. გრძელ მწვანე სკამებზე მანდილოსნები და ხანდაზმული მამაკაცები ისხდნენ. ცენტრალურ ფანჩატურში ერევნის პოლეის სასულე ორკესტრი უკრავდა. მეფისნაცვლის ბალში მხოლოდ კეთილშობილნი სეირნობდნენ, რადგან ისინი ბალ-მასკარადებით, შინაურული ფრანგული სპექტაკლებით, საღონებში სტუმრების მიღებით ერთობოდნენ და ცდილობდნენ მდაბიოთა თავშესაყრელი ადგილებიდან შორის მდგარიყვნენ.

გრიგოლ ზანდაროვს მეფისნაცვლის ბალში გზა კნეინა მაგდა გოსტამაბიშვილმა გაუხსნა. მანვე გააცნო იგი თავადებს და თავისი სალონის რჩეულ სტუმრებს. მუდამ ფაქიზად და გემოვნებით ჩაცმულ, ნარმოსადეგ და ლამაზ ზანდაროვს ათვალწუნებით არავინ უყურებდა. ამას გარდა, ყველამ კარგად იცოდა, რომ ვორონცოვი გამდიდრებულ ვაჭრებს სწყალობდა, ხუმრობით კი თქროს თუმნიანს პირდებოდა იმ ქართველს, ვინც ვაჭრობას მოკიდებდა ხელს.

მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელეების სიტყვით, ახალგაზრდა ქართველ მილიონერს სწორედ ამის გამო ჰქონდა მიღებული პირველი მედალიონი იმპერატორისაგან.

სიტყვა „მილიონერი“ ანდამატივით მოქმედებდა და გრიგოლ ზანდაროვს ყველგან გზას უხსნიდა.

თვითონ მეფისნაცვალმა რამდენჯერმე მიინვია იგი თავისთან სასაუბროდ და, როგორც ამბობდნენ, კმაყოფილებით აღნიშნავდა მის ადამიანურ და კომერციულ ლირსებებს: ჭკუას, გამჭრიახობას, ნატიფ გემოვნებას და, განსაკუთრებით, ფრანგულად საკმაოდ დალაგებით ლაპარაკს.

ინგლისურად აღზრდილ და კავკასიაში ინგლისური პოლიტიკის გამტა-  
რებელ კორონციონს გრიგოლ ზანდაროვის მსგავსი პიროვნებანი თავისი  
მოლვანეობის წარმატებათა დადასტურებად მიაჩინდა.

ბეჭის თამაშით განებივრებულ მილიონერს თავი მედიდურად ეჭირა, ხო-  
უდავრებს აღარ კადრულობდა და აზნაურთა ოჯახებს ეტმასნებოდა.

მეფისნაცვლის ბალში კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილთან ერთად სეირნობა  
მას ფასს უმატებდა, მაგრამ ცალი თვალი აზნაურთა გასათხოვარ ასულებზე  
ეჭირა.

იმ საღამოს ზანდაროვი შადრევანთან იდგა და იმაზე ფიქრობდა, თუ რო-  
გორ დახვედროდა ანაზდად ნაპოვნ სატრუოს და რანაირად მოეხერხებინა  
მასთან გამოლაპარაკება. ხელი კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილმა შეუშალა.  
გვერდში ამოუდგა და მორიჯის სასტუმროში პაემანი დაუნიშნა. გრიგოლმა  
მოკლედ მოუჭრა:

— არა მცალიან, მაგდაჯან.

კნეინამ გამნვანებული თვალები შეანათა და გაბრაზებით უთხრა:

— კარვი, ეგრე იყოს, რა გაენყობა? თუ ბართლომე კურტანიძის ცოლმა  
მერიამ-ბეგუმის სახლში დაგვიატიუ, ხელსარ შეგიძლი. კარვად ბრძანდებო-  
დეთ, ბატონო ზანდაროვო!

გრიგოლმა ხელები გაშალა, მაგრამ კნეინამ მის სიტყვებს აღარ მოუცადა,  
გატრიალდა, შადრევანს შემოუარა და ფერადი ქალალდის ფარნებით განა-  
თებულ ხეივანში შევიდა.

ზანდაროვი მას არ დასდევნებია, მყისვე იქითკენ გაიხედა, სადაც ის ქალი  
ეგულებოდა, მაგრამ არც ის ქალი და არც მისი ახალგაზრდა კორნეტი იქ აღარ  
დახვდა. გულმა რეჩხი უყო. ალელვებულმა და აფორიაქებულმა მთელი ბალი  
შემოირბინა, ყველგან იმ ქალს დაეძებდა და ვერ პოულობდა. ალრენილი და  
გაბრაზებული მაგდა გოსტაშაბიშვილს გულში ძალლისუბნელი ზაქარია სი-  
ტყვებით ლანძლავდა. ჩაბნელებულ ხეებს ქვეშ ნყვილებს მოურიდებლად და  
თავხედურად ათვალიერებდა. რომელ ქალსაც თავზე ფრთებით შემკული და  
ფართოფართლებიანი ქუდი ეხურა, გვერდში უდგებოდა, ყველა ჯილისანში  
ის ტანაქნილი და ნარნარა ქალი ელანდებოდა. სადაც ქალთან მოსეირნე  
კორნეტს მოჰკრავდა თვალს, იქით ბიჭივით გარბოდა. თან თავისი საქციელი  
უკვირდა და ბრაზდებოდა კიდეც, რადგან ამგვარ მღელვარებას დიდი ხნის  
შემდეგ სრულიად მოულოდნელად ერთხელ კიდევ განიცდიდა. რატომლაც ნა-  
თიაც მოაგონდა და შუშანიკიც, გაჯავრდა და საკუთარ თავს დასცინა, მაგრამ  
იმ ქალის ძებნაზე ხელი მაინცარ აიღო. ეძებდა და ვერ პოულობდა. არც ის და  
არც მისი ახალგაზრდა კორნეტი აღარსად ჩანდნენ. მოლუშული ზანდაროვი  
ისევ შადრევნისაკენ გაემართა. იქ ხალხის ჭაჭანება აღარ იყო. ზანდაროვმა  
საათი ამოიღო და დახვედა. თეატრის დაწყების დროიყო. ზანდაროვმა ერთხელ  
კიდევ შემოირბინა ხეივნები და მანეუისაკენ გაუხვია.

თეატრის ნინ აუარებელი ხალხი ირეოდა.

## 6. მანეზის თეატრი

მე ვოდევილი ძალიან მომწონს, სხვა დანარჩენი ფუჭი მგონია.  
ა. გრიბოედოვი, „ვაი ჭუისაგან“

ჩეულებრივ ცარიელი თეატრი კვირა დღეს და დღესასწაულების დროს მაყურებლებით იყო გაჭედილი. ბილეთები თვალისდახამხამებაში იყიდებოდა. იმ სალამოსაც თეატრის მოლარე მხოლოდ ფეხზე სადგომ ბილეთებს ჰყიდდა, ზანდაროვი დაუკითხავად პირდაპირ სალაროში შევიდა. მოლარე მაქსიმეს სალაროს პანია რაფაზე ოქროს თუმნიანი აუნკრიალა და უბრძანა: „გაუჩინარი გააჩინეო“. მაქსიმემ მონინებით მიართვა მილიონერს კარტერის გადამალული ბილეთი, ოქროს თუმნიანი გულის ჯიბეში ჩაიდო და სალაროს კარი ცხვირნინ ჩაუკეტა აყაყანებულ ნვრილფეხა მოხელეებს. მოუხედავად ამისა, მილიონერს ყველამ მოკრძალებით დაუთმო გზა.

რუსული დრამატული თეატრის პარტერი, ორივე იარუსის ლოუები და ბენუარი მაყურებლებით იყო დახუნდლული. მანეუის თეატრში მეტად ჭრელი საზოგადოება იყრიდა თავს. მრავლად იყვნენ „ხახვის ფრანტები“ და გამდიდრებული ვაჭრების ვაუები. ლოუებში მდიდარი თავადები და ბობოლები ისხდნენ. უმრავლესობას მაინც ნვრილი მოხელენი, მათი ცოლები, დასაქორნინებელი ასულები და ვაუები შეადგენდნენ.

თეატრის დარბაზი სანთლებით იყო განათებული. ანტრაქტებში ორ-ესტრი გაცვეთილ ვალსებსა და პოლკებს უკრავდა. ბევრი მაყურებელი პაპიროსს ისე უთავბოლოდ ეწეოდა, რომ მეჭიანურე, რომელიც ანტრაქტების დროს ჩამოშვებული ფარდის წინ ჭიანურზე უკრავდა, თუთუნის სქელ ბოლში იყო ხოლმე გახვეული.

მაყურებლები მსახიობებს ანებივრებდნენ კიდეც და არცთუ იშვიათად უურისნამლები ღრიანცელით და სტვენით სასონარკვეთილებამდე მიჰყავდათ.

ყველაზე საყვარელ მსახიობ ქალად ჯერ ქალბატონი მარქსი ითვლებოდა, მაგრამ ქალბატონ ავენარიუსის ჩამოსვლის შემდეგ მას ყველა გადაუდგა და ყველამ ერთხმად ახლად მოვლენილ აქტორისას დაუკრა ტაში. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბატონი დრეიხისი, რომელიც პირველი საყვარლის როლებს ასრულებდა. ეს რიხიანი და თვალტანადი მსახიობი განსაკუთრებით გიმნაზიელ ქალებს მოსწონდათ, გიმნაზიელი ვაუები კი ქალბატონ ავენარიუსს ჰველგან გზას ულობავდნენ და, ჭარხალივით ანითლებულნი, სოფლელებისა-გან ნაყიდ ენძელებისა და იების პატარა თაიგულებს სთავაზობდნენ.

ხელმოკლედა ნახევრად მშიერ მოხელეებს თეატრში ნანახიდა განცდილი ერთი კვირის განმავლობაში ჰყოფნიდათ სალაპარაკოდ და სალაყბოდ, სამაგიეროდ, გაზეთი და წიგნი არავის აგონდებოდა.

ზანდაროვს თეატრი უყვარდა და სიამოვნებით უყურებდა: „უცნაურ საიდუმლოს“, „სიყვარულის არიფებს“, „ახირებულ საქმროებს“, „სიყვარულის

შეგირდს", „საიდუმლო სტუმარს", „უკრაინელ საცოლეს", „ტიტულიარნი სოუეტნიკის კერძო ცხოვრებას" და სხვა უამრავ ფარსებსა და ვოდევოლებს.

თეატრის დასმა მხოლოდ ერთხელ დადგა შექსპირის „მაკეტი", მაგრამ დარბაზში ისეთი მთენარება ატყდა, რომ მალე ისევ „უცნაურ საიდუმლოს" და „ახირებულ საქმროებს" დაუბრუნდნენ.

ზანდაროვმა იცოდა, რომ კეთილშობილნი იმვიათად ესწრებოდნენ ნარმოდგენებს (მათი გასართობი კერძო სახლებში დადგმული ფრანგული კომედიები იყო), მაგრამ რაკი კვირა დღის საღამო იყო, იმედს არ კარგავდა, რომ იმ ქალს თეატრშიც შეხვდებოდა. მან პარტერის მესამე რიგში დაიკავა ადგილი. ლორნეტიმომარჯვა და ლოუებს დაუპირისპირა. ერთ-ერთ ლოუაში ის ქალი და ახალგაზრდა კორნეტი აღმოაჩინა. ქალი მისკენ იყურებოდა და თვალს არ აშორებდა. ზანდაროვი სიამოვნებისაგან გაიბადრა. თავი მედიდურად მოიღერა, ხელში ლორნეტი მოხდენილად შეათამაშა და გვერდით მჯდარ მანანა ორბელიანის ვაჟს, ცნობილ ფრანტს, რომელიც მსახიობ ქალებთან იყო დაახლოებული და კულისებში შინაურ კაცად ითვლებოდა, ვითომც სხვათა შორის ჰქითხა:

— კნიაზო, ის ლამაზი კნეინა ვინ არის? პირველად ვხედავ თეატრში.

ალექსანდრე ორბელიანმა სწრაფად განუმარტა:

— ეგ მანანა გერმანოზიშვილია, თავად დავით გერმანოზიშვილის და. აქამდე სოფელში ცხოვრობდა, ტყვეობიდან დაბრუნებულმა ძმამ ჩამოიყვანა ქალაქში, — ორბელიანებს გერმანოზიშვილები არ უყვარდათ. ჭორიკანა ფრანტმა გესლნარევი ლიმილით დასძინა, — ნინათ ყველაზე ღირსეულ საცოლედ ითვლებოდა, ეხლა კი მარტო პირტიტველა ყმანვილები დასდევენ.

გრიგოლ ზანდაროვს თავზარი დაეცა.

ორბელიანმა მას მღელვარება შეატყო და მასთან გაშინაურებულმა ხუმრობით უთხრა:

— ხომ არ მოგენონა, გრიგოლჯან? მაგრამ რა? მაგასთან საქმის დაჭრა ხელს არ მოგცემს, ძალიან ამპარტავანი ვინმეა. ის ჩემი ახლო ნათესავი კორნეტიც ტყუილუბრალოდ ირჯება. გაგონილა ყმანვილი კაცი ათი ნლით უფროსი ქალისთვის იწვოდეს და იდაგებოდეს. მაგის მამამ უკვე თადარიგი დაიჭირა, ან თავის შესაფერ ცოლს შერთავს, ან პეტერბურგში გაისტუმრებს.

გადაფითრებულ ზანდაროვს ფარდის ახდამ უმველა. მის მეხსიერებაში გასაოცარი სიცხადით აღსდგა იარალ გერმანოზიშვილის მკვლელობის ლამე. მკაფიოდ მოესმა შეშინებული მანანა გერმანოზიშვილის ყვირილი: „ქურდი... ქურდი!..." მას ისიც მყისვე გაახსენდა, თუ როგორ მიიყვანა იმ ავდრიან ლამეში საკუთარი მხრით, როგორც ცხენმა, მთავარმართებლის სასახლემდე ის ქალი, რომელმაც დღეს მას რამდენჯერმე გაულიმა, ხოლო ცოტა ხნის ნინ ლოუიდან უყურებდა და თვითონაც თვალი კელარ მოაშორა. ზარდაცემული ზანდაროვის მეხსიერებაში თავბრუდამხვევი სისწრაფით ცოცხლდებოდა მთელი მისი თავგადასავალი სოფლის პატარა საყდრიდან

დაწყებული მანეჟის თეატრამდე. მხოლოდ ახლა მოაგონდა ის, რაც აღარ ახსოვდა და სამუდამოდ დაუინუებული ეგონა. უეცრად ბედნიერი და ნებიერი ცხოვრების დამხობის შემაძრნუნებელმა შიშმა შეიძყრო. თანდათან ხვდებოდა და რჩმუნდებოდა, რომ თუ ბედის უცნაური ტრიალი მოინდომებდა, მას გლახის ძმნებზე უკეთესად ვერც მილიონერის პატივი და დიდება დაიცავდა. ცელერიუსის საკონდიტროში გაფაჩუნებული შიში სულ უფრო და უფრო ხმისადებოდა, ძლიერდებოდა და მთელ მის არსებას ძრნოლით და დრტვინეთ ეუფლებოდა. მუდამ მედიდური გრიგოლ ზანდაროვითავის სავარძელში საცოდავად მოიკუნტა და მოიბუზა. მაყურებლებს ვეღარ ამჩნევდა. არც სცენაზე მსახიობების ლაპარაკი ესმოდა. გაოგნებული და გამტერებული ძლიერი ტაშის ცემამ გამოაფხიზლა.

მაყურებლები ტაშის კვრით ინვევდნენ ავანსცენაზე ქალბატონ მედვედევას. ფრანტები ყურისნამღებად ყვიროდნენ:

— ფორა! ფორა! ფორა!

მსახიობი ქალი ავანსცენაზე გამოვიდა, მაყურებლებს მდაბალი რევერანსით მიესალმა და თავი მოკრძალებით დახარა.

— მიაუ! — დაკუნავლა ვიღაცამ პარტერის შუა რიგებში. მაყურებლებს სიკილი წასკდათ.

— მიაუ! მიაუ! — დაინყო კნავილი მთელმა პარტერმა. მხოლოდ ზოგიერთნი ყვიროდნენ ნეღანდელი აღფრთოვანებით:

— ფორა! ფორა!..

— მიაუ! მიაუ! მიაუ!

— ფორა...

„ხახვის ფრანტები“ და ახალგაზრდა მოხელენი დაწუნებულ მსახიობ ქალს ყიჯინით და ყვირილით დასცინოდნენ. დარბაისელნი ამაოდ ლამობდნენ ყმანვილი კაცების გაჩუმებას და შერცხვენას. ვიღაცამ დაბნეულ მსახიობ ქალს დამპალი ვაშლი ესროლა ფეხებში. პარტერის უკანასკნელ რიგებში საშინელი სტვენა ატეხეს. მსახიობი ქალი ატირებული გავარდა კულისებში. იგი ხარხარით და ლრიანცელით გააცილეს. ფარდა სასწრაფოდ ჩამოუშვეს. ფარდის ნინ მეჭიანურე დადგა და ჭიანური დასაკრავად მოიმარჯვა. პარტერის სავარძლების რიგებში რამდენიმე პოლიციელი გამოჩნდა.

ყვირილი და სტვენა თანდათან ცხრებოდა. თუთუნის ბოლის სქელ მოლურჯონისლში გახვეული მეჭიანურე არავინ იცოდა, რას ან რატომ უკრავდა. თეატრში ჩვეულებად იყო ქცეული ათვალნუნებული მსახიობი ქალის მოტყუებით გამოძახება და მერე მისი ყვირილით და სტვენით განბილება. ასე ერთობოდა თბილისის „ოქროს ახალგაზრდობა“. მას მხარს აძლევდნენ ახალგაზრდა მოხელენი, რომელნიც მთელი კვირის განმავლობაში კანცელარიებში თავჩალუნული დასცექეროდნენ მათვის საზიზლარ ქალალდებს და ბოლმის გადმოსანთხევად ფარულ ენერგიას, ახალგაზრდანი და ჯან-ლონით აღსავსენი, კვირა საღამოსათვის ინახავდნენ.

ზანდაროვმა არეულობით ისარგებლა და მაყურებელთა დარბაზიდან  
გავიდა.

თეატრის წინ მას ქნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილი უცდიდა. ზანდაროვმა  
საყვარელი ვერ შეამჩნია, გვერდში გაუარა და გზა განაგრძო.

მაგდა უკან აედევნა და მხოლოდ მორიჯის სასტუმროსთან მიხვდა, როგორ  
ზანდაროვი იქ მის სანახავად მიღიოდა.

# კარი მეოცე

## ნარსულის ფურცლები

სანამ თავზაქინდრული გრიგოლ ზანდაროვი მოჩიჯის სასტუმროს  
კაფებზე ადის, ხოლო მანეუის თეატრის ლოფაში მანანა გერმანოზიშვილი  
დაფიქრებული ზის, აუცილებელია ცოტა ხანს მაინც დავუბრუნდეთ 1832  
წელს და კვლავ განვაგრძოთ შენყვეტილი თხრობა მეჯლისის დედოფალ-  
თან დაკავშირებით.

### 1. ნარსულის პირველი ფურცელი (გაჯლისის შამდება)

დარდი კი — თურმე ჩევნ კუთხიდან გვითვალთვალებდა.  
ა. გრიბოედოვი, „ვაი ჭკუისაგან“

მანანა გერმანოზიშვილს დიდხანს, ძალიან დიდხანს ახსოვდა მაღალ სა-  
ზოგადოებაში პირველი გალივლივება და იმ საღამოს განცდილი ნეტარება.

ბარონ როზენის მეჯლისზე მოპოვებულმა ნარმატებამ მას ცათაფრენა  
შეუყენა. თავბრუდახვეულს თავისი მომავალი ცხოვრება ნარმტაც ფერებში  
ეხატებოდა. ამის საწინდრად მთავარმართებლის ყურადღება მიაჩინდა. გახა-  
რებული იყო დავით გერმანოზიშვილიც, დის ნარმატებამ მას დაწინაურების  
რწმენა გაუცხოველა.

ერთი საქორნინო გვირგვინზე ოცნებობდა, მეორე — ჩინ-მედლებზე.

მეჯლისიდან იმედით და ღრმა რწმენით დაბრუნდნენ.

მეჯლისის ნადედოფლარმა თავისი ბედნიერება და სიხარული გამდელს  
ახარა. აღთვრთოვანებულს და აღტაცებულს ლაპარაკი და ტიტინი სწყურო-  
და. გამდელს ყელზე მოეხვია და სანამ მოახლე სამეჯლისო კაბას ხდიდა,  
გატაცებით ლაპარაკობდა:

— მთავარმართებლის სასახლეში გამოვჩინდი თუ არა, ყველამ დამინუო  
ყურება. მთავარმართებელმაც დიდად შემაქო და მეჯლისის დედოფლად  
გამომაცხადა. მთელი ყმანვილკაცობა მე დამედო და ყველას ჩემზე დარჩა  
თვალი. იჰ, ვინ იცის, რამდენი ლამაზი ქალი შურით დავწვი და დავდაგე!  
ორბელიანების გომბიოები ბრაზით ხან ყვითლდებოდნენ, ხან ნითლდებოდ-  
ნენ. კატინ კა ჭავჭავაძეც სადღაც დაიმალა. იმათ ბლვერას მე რას ვაქნევდი?  
ვწებივრობდი და ვდედოფლობდი.

— ნეტარება მე, ნეტარება მე! — იძახდა გამდელი და წარამარა პირჯვეარს იწერდა.

მანანამ ტაში შემოჰკრა და აღტაცებით წამოიძახა:

— იცი, ჩემო გამდელო, მე მალე გავთხოვდები!

— ვიშ, ვიშ! შემოგევლოს გაიანე! როდის დაქორნინდები? როდის გამახა-რებ? მტლად დაგედე, დამაცა, ფეხთა მტვერი დაგიყოცნო.

— სულ მალე, მალე, — ტიტინებდა მანანა, — სულ მალე გავურინდები ამ ჩიტის საბუდარიდან!

— ხოდა, მეც აღთქმა დამიდვია, შენს ქორნილამდე ფეხშიშველამ ვიარო. დარი თუ ავდარი მე რას მიზამს? ზამთარი ჯერ შორსაა, ლვინობისთვეს და გორგობას შენი ქორნილი არ გადასცდება. ეხლავე ქალალდს გავშლი, ნახავ, თუ მართალს არ ვამბობ!

გამდელი ქალალდის მოსატანად გაიქცა. მანანა ყურადღებად გადაიქცა. ცრუმორნმუნემ ჯერ პირჯვეარი გადაინერა, მერე სავარძელში ნებივრად ჩაჯდა და გამდელს ანთებული თვალებით მიაცეკერდა. გამდელმა მრგვალი სპარსული მაგიდის ნინ დაიჩოქა და ქალალდის გაშლას შეუდგა გაცრეცილი ტუჩების ცმაცუნით და ლოცვების ბუტბუტით. ქალალდი კარგი გამოიყოდა. გამდელი თავისი პატარა ქალბატონის გასახარებლად ვალეტებს ჰაერში აფრიალებდა და უფრო ღალადებდა, ვიდრე იძახდა:

— შენ ვენაცვალოს გაიანე, მდიდარსა და ლამაზ ყმანვილზე გათხოვდები.

— მდიდარსა და ლამაზზე! — ოცნებით წარმოთქვა მანანამ.

— ბედნიერი იქნები!

— შენს პირს შაქარი, ჩემო ერთგულო გამდელო.

— ის ყმანვილი ბოლოს იარანალი გახდება, ხელმწიფე ჯვარ-მენდლებით დაუმშვენებს მკერდსა.

— რა კარგია!

მანანამ მეჯლისის სტუმრებს შორის ახალგაზრდა ოფიცრები გაიხსენა, მაგრამ სულ სხვა გრძნობამ თვალნინ ჰაიდარ-ბეგი დაუყენა. ქრისტიანმა ასულმა მყისვე ხელიაუქნია მაპმადიან ჭაბუქს და საბედოს ისევ ახალგაზრდა რუს და ქართველ ოფიცრებში დაუწყო ძებნა.

— ხელმწიფე ენიაზ დავითსაც ხელს მოჲ კიდებს და წყალობას არ მოაკლებს, — განაგრძობდა ღალადისით წინასწარმეტყველებას გამდელი. მანანას ესეც ესიამოვნა, პირჯვეარი გადაინერა და სასოებით წარმოთქვა:

— ამინ! ამინ! ამინ!

გამდელმა ქალალდი გადააბრუნა და მანანას შესცინა:

— სამი ბიჭი და სამი გოგო გეყოლება!

— უიმე! — მხიარულად გადაიკისკისა თავადის ასულმა.

— ქალალდი ამას ამბობს, შემოგევლე! — გამდელმა ქალალდი აურია და ინატრა, — მამაზეციერმა მომასწროს შენს ბედნიერს ქორნილსა. მეტს არა-ფერსა ვსთხოვ იმის ნმინდანებსა და ანგელოზებსა. შენ ოლონდ წითელი ფე-საცმელები მიყიდე, მეც ვარდისფერ კაბას ჩავიცვამ და დავლურს დავუვლო.

— გიყიდი... გიყიდი... — საჩქაროდ უპასუხა მანანამ. გამდელი დაითხოვა და თავი კვლავ ოცნებას მისცა.

მანანა გერმანოზიშვილმა კიდევ რამდენჯერმე წარმატებით გაიელვა თხლისის მაღალი საზოგადოების მეჯლისებსა და რაუტებზე, მაგრამ მაღა მის ოცნებანი ერთბაშად დაიმსხვრა და გაცამტვერდა.

რამდენიმე თვის შემდეგ მთავრობამ ახალგაზრდა ქართველ თავადთა შეთქმულება აღმოაჩინა. ზედიზედ დააპატიმრეს დიდგვაროვანი თავადები და ჟეტერბურგში ნასწავლი ინტელიგენტები. ისინი, ვინც დავით გერმანოზიშვილს სძაგდა და ვერიტანდა, ავლაბრის ყაზარმებში დატუსალებულნი აღმოჩნდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფილ ემისარს ერისთავების, ობელიანების და ჭავჭავაძეების ლალატისა და ორგულობის გამოაშეარავება უხაროდა, მაგრამ სადღაც, გულის სილრმეში სწყინდა და თაკილობდა, რომ გას ქართველი თავადები არ ენდნენ და საიდუმლო არ გაანდეს. თუმცა ამაზე, დიდხანს არ უფიქრია. თვალი და ყური ფხიზლად ეჭირა და მოუთმენლად მოელოდა, თუ როდის გამოიძახებდნენ და იმპერატორის ერთგულ ოფიცერს ალექსანდრე ჭავჭავაძის ან რომელიმე ორბელიანის ადგილს შესთავაზებდნენ. მოლოდინი არ გაუმართლდა. ისიც სხვებსავით კომისაში გამოიძახეს და ცივი კილოთი ჰკითხეს: „შეთქმულებთან როგორი ურთიერთობა გქონდათო?“ შეურაცხყოფილი დავით გერმანოზიშვილი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მას არც თავისიანები ენდობოდნენ და არც რუსი გენერლები. როცა ჯაშუშების მიერ შეგროვებული ცნობები შეისწავლეს, სავსებით აშკარა გახდა თავად დავით გერმანოზიშვილის საწყალობელი მდგომარეობა. ქეიფს გადაყოლილი თავადი არავისთვის საშიმარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. იგი არც გაზეთს კითხულობდა, არც წიგნს და ქონების უთავბოლო ხარჯვით გაკოტრებამდე იყო მისული.

დავით გერმანოზიშვილს ხელი არ ახლეს, მაგრამ დაუყოვნებლივ მთიელების წინააღმდეგ საომრად გაისტუმეს. ვიღაცამ სასურველად არ მიიჩნია ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფილი ემისრის თბილისში დატოვება.

## 2. ნარსულის მეორე ფურცელი (კნეინა მზეხათუნის სალონი)

მხოლოდ თეატრი და მასკარადი.  
ა. გრიბოედოვი, „ვაი ჭუისაგან“

შეთქმულთა დაპატიმრებისთანავე მრავალი ოჯახის ფანჯრებზე გლოვის ნიშნად თალხი ფარდები ჩამოუშვეს. შენყდა მეჯლისები და სტუმრიანობა. დაპატიმრებულთა ჭირისუფლებმა თავიანთი სახლის კარები მაგრად ჩაეტეს. ჭველგან ფრთხილი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. თავადთა ოჯახებში შიშიდა

უნდობლობა დასადგურდა. მეჯლისებზე ვიღას შეეძლო ფიქრი, როცა შეთქმული პორტლებზე წამებით სიკედილი მოელოდათ. მანანა გერმანოზიშვილს კი ნავარდი სურდა, მაღალ საზოგადოებაში თავისი სილამაზის გამოჩენა. მოვლენათა მსვლელობამ იგი ოთხ კედელს შეა გამოამწყვდია. განმარტოვბულმა მონიკინა ხელმოკლე თავადის დაძველებული სახლის პატარა და ბნელი თახებში.

გაავებული გაიანე შეთქმულებს წყევლიდა. მანანაც უდიერად ახსენებდა მათ და აინუნში არ მოსდიოდა მათი მძიმე განსაცდელი. დროგამოშვებით თავისი მამიდის, მზეხათუნის სალონში დაჭიოდა და ამაოდ ცდილობდა იქ გართობას.

კარის მზეხათუნის სალონში მისთვის მოსაწყენ თემებზე მუსაიფობდნენ. ტონს ყოველთვის კარის მაგდა გოსტაშაბიშვილი იძლეოდა. მას მეტად განათლებულ ქალად თვლიდნენ და ყველანი გატაცებით უგდებდნენ ყურს მის დარბაისლურ საუბარს. მანანა თავის თავს იმაშიც უტყდებოდა, რომ მას არ მოსწონდა უკამები და მედიდური კარის.

კარის მზეხათუნი და კარის გოსტაშაბიშვილი ერთმანეთს მეგობრობდნენ და უერთმანეთოდ ვერძლებდნენ. ძეველი მანდილოსნები, დარევან და მარიამ დედოფლების ჯერ ისევ ცოცხალი სეფექალები, გაევროპელებულ კარის მზებზე პირჯვრის ნერით და ხელების გაშლით ლაპარაკობდნენ. განსაკუთრებით აღმფოთებდათ მათ კარის მზეხათუნისა და კარის გოსტაშაბიშვილის ღრმად ამოჭრილი დეკოლტე და გაშიშვლებული მხრები. მანანა გერმანოზიშვილი გულში მათ თანაუგრძნობდა, რადგან ღრმადმორნმუნე აუმღვრეველ ტრიუიალს ელტვოდა და ქალის ლირსებად მედიდური თავდაჭერილობა მიაჩნდა. ამიტომ უპირატესობას მუდამ კისკისა და მამაკაცებთან ლაციცს მიჩვეულ კარის მზეხათუნს კი არ ანიჭებდა, არამედ დინჯსა და სიტყვაძუნნ კარის მაგდა გოსტაშაბიშვილს.

კარის მზეხათუნის სალონის სტუმრებთან მანანა მუსაიფს ვერ ახერხებდა. მისთვის უცხო ხილი იყო ფორტეპიანოც და ახალი პარიზული რომანიც.

საეკლესიო გალობა მას ღვთისმოსაობას უნერგავდა და უძლიერებდა. კარის გოსტაშაბიშვილის მიერ შესრულებული მოცარტი ან ბეთოვენი კი არ ესმოდა. ამიტომ თვალზე რული ეკიდებოდა და მთქნარებას ძლივს იკავებდა.

სოფელში გაზრდილი თავადის ასულისათვის სრულებით გაუგებარი იყო ევროპულ სალონში გამართული ბასი.

კარის მზეხათუნის სალონში ხშირად ახსენებდნენ გამოჩენილ პოეტებს, მნერლებს, მუსიკოსებს და ფილოსოფოსებს, ყველას პირზე ეკერა რასინი, კორნელი, ვოლტერი, უან-უაკ რუსო, გოეთე, შილერი, ბაირონი, პუშკინი, უუკოვსკი, ვიაზემსკი და მიცუევიჩი. ეს სახელები მანანა გერმანოზიშვილს არაფერს ეუბნებოდნენ და არც მათი ვინაობის გაგება აინტერესებდა. ამიტომ მამიდის სალონში იშვიათად იყო და უფრო მაშინ უხშირებდა იქ სიარულს,

როცა რომელიმე ახალგაზრდა ოფიცერს მისკენ შეფრთვინვით ცქერას შეატყობდა ხოლმე.

შეთქმულების აღმოჩენამდე კნეინა მზეხათუნის სალონის მუდმივი სტუმრები იყვნენ: პოეტი და მთარგმნელი ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიპლო-მატი სოლომონ რაზმაძე, უურნალისტი და ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვილი, მასნავლებელი ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი და პოეტი თუმანიშვილი. როცა ესენი შეთქმულებაში გარეული აღმოჩენა მომავალი იყო. კნეინა მზეხათუნის სუმრობით რევოლუციის დამაუწყოდეს. სალონის თავეპარიან დიასახლისას ეს კამადა შეითერა კიდეც, მაგრამ, თავეპარიანობის მოუხედავად, მაინც მკაცრად დატუქსეს. ქმრისგანაც მკაცრი საყვედური და გრძელი დარიგება მოისმინა. შეცბუნებული კნეინა მზეხათუნი ერთხანს განზე გადგა და თვალს მიეფარა, გავრამ მალე მის სალონში მისვლა-მოსვლა კვლავ განახლდა.

სუთბაბათობით თბილელი მადამრეული მიეს სალონში რჩეული საზოგადოება იყრიდა თავს. სტუმრები ლექსებს კითხულობდნენ, პეტერბურგიდან ან პარიზიდან მიღებულ ახალ წიგნზე ლაპარაკობდნენ. კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილის მიერ ფორტეპიანზე დაკრულ მუსიკას ისმენდნენ და ზოგჯერ პატარა სკენებსა და გერბენდნენ ლაფონტენის ზნეობის მქადაგებელი არაკების მიხედვით.

ამასობაში ავლაბრის ყაზარმები დაცარიელდა.

შეთქმულები ბორბლებზე სიკვდილით დასჯის მაგიერ რუსეთის შიდა ქალაქებში გადაასახლეს.

თანდათან დაცხრა შიში და მღელვარება.

კნეინა მზეხათუნი ახლა უფრო თამამად იქცეოდა. ქმარიც ალარაფერს უუბნებოდა.

ერთ სალამოს გაკვირვებულ მანანა გერმანოზიშვილს მამიდის სალონში მოულოდნელი სტუმრები დახვდა: გრიბოედოვის ქვრივი ნინო ჭავჭავაძე, მისი და ეკატერინე, მანანა ორბელიანი, დაპატიმრებას გადარჩენილი თავადები, მთავარმართებლის კანცელარიის ახალგაზრდა მოხელენი, ოფიცირები, მანალოსნები, ბანოვნები და გასათხოვარი ასულები.

თვალგანცვილებულმა მანანამ ვერ გაიგო ამდენი სტუმრის ერთბაშად მოსვლის მიზეზი და ილიკო ორბელიანს ჩურჩულით ჰკითხა:

— რა ამბავი, ილიკო? მამიდაჩემს წვეულება ხომ არა აქვა?

ილიკო ორბელიანმა ჩურჩულითვე უთხრა:

— მამიდაშენი თეატრსა მართავს. უნდა პეტერბურგიც შეარცხვინოს და მართოც. ამ საქმეში კნეინა გოსტაშაბიშვილიც ეხმარება. მაგის ქმარი ნუხელ მეტივეებმა მტკვარში გადააგდეს, მერე კაბის ყოშებით ამოათრიეს და მოქეიფენი ბევრი გვაცინეს. „ასეთ ჭკვიან ქალს ესრეთი ქმარი უნდა ჰყავდეს, ვეუ”, — გასცინა ენამოსნრებულმა ილიკო ორბელიანმა თავად ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილს და ისევ ხმადაბლა განაგრძო, — მაგრამ ეტყობა ქმარი ანუნში არ მოსდის. ნაძლევსა ვსდებ, თუ ეგ თეორანიდან ჩამოსული რუსი ქამანვილი, ჩვენი ელჩის მდივან-მნიგნობარი მაგის საყვარელი არ იყოს!

მანანამ ნარბი გაკვირვებით ასწია, ილიკო ორბელიანის ნათქვამი ჭორუდ  
მოეჩენა, ნანყენივით თქვა:

— რას ამბობ, ილიკო? კნეინა გოსტაშაბიშვილს თავი ისეთნაირად უჭი-  
რავს, რომ მაგას ვინ რას შეპბედავს?

ილიკო ორბელიანმა გაუცინა და ხმას უფრო დაუმდაბლა:

— მერე რა ვუყოთ? მაშ, მაკასავით ქუჩაში ლოგინს ხომ არ გაშლის? თუ  
ვიზე მოეწონა, ხელიდან არ გაუშვებს.

მანანამ მიამიტად იქითხა:

— მაკა ვიღა არის?

ილიკო ორბელიანმა გემრიელად გაიცინა:

— ევ მოქეიფე თავადებმა ვიცით, იმის სახელი კნიაუნების ყურამდე ვერ  
მიაღწევს, — მანანას სიტყვა ბაზზე აუგდო და თანაგრძნობით ჰქითხა, —  
დავითისაგან ნიგნი არ მივიღა?

მოქეიფე და ქალალდის მოთამაშე ილიკო ორბელიანი დავით გერმანოზიძ-  
ელს მეგობრობდა, მის დასთანაც გაშინაურებული იყო. მანანას ისე არსად  
შეხვდებოდა, რომ დავითი არ მოექითხა.

მანანას სახე მოეღრუბლა. ილიკოს უხალისოდ უპასუხა:

— ამას ნინათ მივიღე.

ორბელიანმა ცნობისმოყვარეობით შეხედა.

— რასა გნერს? რას ინერება?

მანანამ უკმაყოფილი კილოთი მიუგო:

— მოკითხვას, პირზე კოცნას და ფულს.

ილიკო ორბელიანმა ჩაითვრუტუნა:

— მაშ ქალალდის თამაშს იქაც არ ეშვება ჩვენი ლოთბაზარს კნიაზი? ჩემი  
რჩევა ეს არის, ეცადე, იმან ცარიელ-ტარიელზე არ დაგსვას, მზითვის სიაში  
ნულები არ დაგინეროს, თორემ! თორემ მონასტერი არ აგცდება, ჩვენო ლა-  
მაზო კნიაუნავ!

მანანა ძმის ძაგებას ვერ იტანდა, კოპებშეერულმა მყისვე გაჰკენნლა  
ილიკო ორბელიანი:

— რა გაენყობა, კნიაზო! ილიკო მარტო ორბელიანებს არა ჰყავთ, გერმა-  
ნოზიშვილებშიც რომ გამოერიოს, დიდ ცოდოდ არ ჩაგვეთვლება.

გაცილებით ხნიერი დავით გერმანოზიშვილის ნორჩმა ამფსონმა ისევ  
ტკბილად გაუცინა:

— კურკას სიტყვებს ამბობ, კნიაუნავ! რა ვუყოთ, რომ იმასავით რევოლუ-  
ციონერი არ გამოვედი. ჭკუას მე მარიგებდა, თვითონ კი ნაობახტში ამოჟყო  
თავი.

ეილაცამ მათკენ უკმაყოფილოდ მოხედა. ორივემ პირზე კლიტე დაიდო  
და ყალბი ყურადღებით მიაცეკერდა კნეინა მზეხათუნს.

სალონის სტუმრები რიგ-რიგად ჩამნკრივებულ სკამებზე ისხდნენ და  
სერიოზული გამომეტყველებით უსმენდნენ კნეინა მზეხათუნს, რომელიც

ცალკე მავიდასთან, ორ გაჩახჩახებულ შანდალს ჭუა იჯდა და მეტობით ხმით გრიბოედოვის კომედიის მორიგ მონოლოგს ეითხულობდა. თან გზადაგზა დარიგებებს აძლევდა იმათ, ვისაც „ვაი ჭკუისაგან“ უნდა წარმოედგინათ.

კარატიგინის და სიმიონოვას მოტრიფიალე კნეინა მზეხათუნს გრიბოედოვის კომედიის დადგმა ჰქონდა განზრახული. თეატრს მონატრებული საზოგადოება ადვილად აიყოლია და როლებიც სწრაფად განანილდა. ჩაცეის როლი საგანგებო მინდობილობათა მოხელეს უნდა შეესრულებინა, სრულიად ყმან-კლკაცს, რომელსაც ღამე ქალალდის თამაშში ათენდებოდა, მანანწალასავით ლოთობდა, მაგრამ ბაირონის თავი და დენდის გარევნობა ჰქონდა. სოფიოს როლის განსახიერება თავის გულითად მეგობარს მაგდა გოსტაშაბიშვილს განდო, ხოლო სკალოზუბისა — მის ქმარს, გენერალ-მაიორ ივან პეტროვიჩ პლატოვს უნდა ეთამაშა.

მანანა გერმანოზიშვილი პირველად ცნობისმოყვარეობით უყურებდა შახობთა თამაშს და კნეინა მზეხათუნის რეჟისორობას, მაგრამ მალე მოინყინა და მთენარება აუტყდებოდა, რომ მის გვერდით ილიკო ორბელიანი არ მჯდარიყო.

რეპეტიცია ვახშით მთავრდებოდა. მანანა აუნერელი მოთმინებით უცდიდა იმ მომენტს, როცა დაღლილი და კმაყოფილი კნეინა მზეხათუნი ტაშის შემოკვრით რეპეტიციას ამთავრებდა და ყველანი სუფრას შე-მოუსხდებოდნენ. ამ დროს მთავარმართებლის ახალგაზრდა ადიუტანტი ანითლებული სახით სთავაზობდა მძიმე სკამს მანანა გერმანოზიშვილს და მის გვერდით მოკრძალებით იკავებდა ადგილს.

ვახშმამდე მანანა მუდამ მხიარული ილიკო ორბელიანის მიერ დახატულ კარიუატურებს ათვალიერებდა, ანდა ტატო ბარათაშვილის გამკილავ კალამ-ბურებს ისმენდა. ამით ერთობოდა და გულში იმათ დასცინოდა, ვინც თავად ორბელიანის ცელქიფანქრით ქალალდზე სასაცილოდ იყვნენ გამოხატული.

ტატო ბარათაშვილს კნეინა მზეხათუნი მფარველობდა და ამხნევებდა. უნიჭიერეს ყმანვილად თვლიდა და როცა ერთხელ ქართველების ბაირონობა უნინასწარმეტყველა, კნეინა გოსტაშაბიშვილს სიცილი წასკდა, თავისი ლამაზი იქროსფერი თვალები ერთი წამით პოეტის ფერმკრთალ სახეზე და კოჭლ ფეხზე შეაჩერა და ივან პეტროვიჩს ფრანგულად რაღაც გადაულაპარაკა. ტატო ანითლდა და იმ დღიდან ჭირივით შეიძულა კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილი.

ტატო ბარათაშვილი ყოველ საღამოს მოდიოდა კნეინა მზეხათუნის სა-ლომში, თან ახალი ლექსები მოჰქონდა. ხან დაღვრემილი და შუბლებაუხსნელი იყო, ხან არაჩვეულებრივად ხალისიანი და პირმომცინარე. მას ეკატერინე ჭავჭავაძე უყვარდა, მაგრამ მანანა გერმანოზიშვილს ყურში ჩასჩურჩულებდა:

— კატინკა თავისი მამის მიმრემელის სახელს ატარებს, ვინძლო ეკატე-რინობა არ მოინდომოს.

გაღარიბებული მანანა თანდათან შურიანი ხდებოდა. ალექსანდრე ჭავჭა-  
ვაძის ნებიერ ასულებზე ჩამოკრულად ნათქვამი ესიამოვნა, მაგრამ გარეგ-  
ნულად კოპი შეერა, ტატოს საყვედურით უთხრა:

— შენი კატინჯასთან ტრფიალი ყველამ ვიცით, ეგრეთი სიტყვა სატრფო-  
სათვის რად გჭირდება?

ტატო გაბრაზდა:

- ჩემს ტრფიალზე შენ ვინ რა გითხრა?
- თვითონაც ვხედავ.
- კარგად ვერ დაგინახავს.

მანანამ სიცილით მოუჭრა:

— მაშ, „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“ ვის დაუწერე? ცისფერი თვალები  
მარტო კატინჯასა აქვს და ცისფერი კაბაც ძალიან უხდება.

ტატო დაიბნა. დალონდა. უეცრად გამხიარულდა და მანანას ჩაულილინა:

— ნუ დაიჯერებ! ნუ დაიჯერებ!

ისევ მოილუშა, რადგან უმალვე მწვავე სინანულმა შეიძყრო. თავბედს ინ-  
ყევლიდა იმის გამო, რომ სატრფო გაეილვით მოიხსენია, ისიც ისეთ ქალთან,  
რომელიც გასაოცრად ლამაზი იყო, მაგრამ ეკატერინე ჭავჭავაძის ელვარება  
და სიკისკასე აკლდა. ამის გარდა, ყველამ იცოდა, რომ გერმანოზიშვილების  
ასული „დავითნზე“ და „დაუჯდომელზე“ იყო აღზრდილი, ჭავჭავაძიანთ  
ქალები კი მუსიკასაც უკრავდნენ, ფრანგულადაც ლაპარაკობდნენ და ახალი  
მწერლების ნიგნებს ეითხულობდნენ. გულკეთილი ტატო ბარათაშვილი მანა-  
ნასთან გახუმრებულ-გამინაურებული იყო, მაგრამ შინაგანად არ მოსწონდა  
მისი მონოზნურად გულჩახვეული ხასიათი. საერთო მათ მხოლოდ ხვედრი  
ჰქონდათ. ოდესლაც მდიდარი და ყმამამულიანი გერმანოზიშვილის ოჯახი  
ისევე ემხობოდა და დაბლა ეშვებოდა, როგორც მელიტონ ბარათაშვილისა.  
დაკვირვებული ტატო იმასაც ამჩნევდა, რომ ახალგაზრდა ქართველი თა-  
ვადები მანანა გერმანოზიშვილს ერიდებოდნენ და საცოლოებს შეძლებულ  
ოჯახებში ეძებდნენ, ეს მას მასთან რაღაცნაირად აახლოებდა, მაგრამ თავის  
კალამბურებში არც მას ინდობდა.

— კნიაუნა გერმანოზიშვილი, — ეუბნებოდა იგი ეკატერინე ჭავჭავაძეს, —  
ძალიან ამპარტავანი ბრძანდება. რაღა ეგ და რაღა კნეინა გოსტაშაბიშვილი.  
ყველას ხელმნიფის ქალივით გვიყურებს, მაგრამ ნიგნს თავის კანტურით  
კითხულობს.

ეკატერინე ჭავჭავაძეს პირზე ლიმილი ადგებოდა. არც მას უყვარდა ლამა-  
ზი, მაგრამ ამპარტავნულად მდუმარე მანანა გერმანოზიშვილი.

ცოტა ხნის შემდეგ ტატო ბარათაშვილი თავის ნათესავ ილიკო ორბელიანს  
ხმის კანკალით ეკითხებოდა:

- მითხარი... მითხარი, ილიკოვან... შემიყვარებს კნიაუნა კატინა..
- აბა მერა ვიცი? იმის გულში ხომარა ვზივარ? აგრძნობინე, გაუარშიყდი,  
თავი მოაწონე.

— თავი მოვაწონო...

ტატოგულისტებიდათ უყურებდა თავისი ტრიუალების საგანს, თავადის ლამაზ ასულს, რომელიც ანცი ღიმილით ისმენდა თეორანიდან ჩამოსული ახალგაზრდა დიპლომატის ქათინაურებს. ამ დროს მას ისეთი დაფიქრებული სახე ჰქონდა, როგორც „სულო ბოროტოს“ ავტორს უნდა ჰქონოდა.

ვახშის შემდეგ ზოგნი ვისტის და ბოსტონის სათამაშოდ რჩებოდნენ, ზოგნი თავ-თავიანთ სახლებში ბრუნდებოდნენ. მანანა გერმანიზიშვილს მთავარმართებლის ახალგაზრდა ადიუტანტი აცილებდა, ეკატერინე ჭავჭავაძეს — ახალგაზრდა დიპლომატი. მხოლოდ ტატო ბარათაშვილი გამოდიოდა გარემონტო კნეინა მზეხათუნის სახლიდან და უკაცრიელი ბნელი ჭურებით კოჭლობით მიდიოდა ანჩისხატის უბნისკენ.

### 3. ნარსულის მასამა ფურცელი (ულიმლამო მიჯნური)

მე ცეცხლივით ვწითლდებოდი.  
უორუ სანდი, „ლეონე ლეონი“

მთავარმართებლის ახალგაზრდა ადიუტანტი მანანას გერმანიზიშვილების სახლის სადარბაზო კართან ემშვიდობებოდა. პაემნის დანიშვნის მოლოდინში თავადის ასული ერთხანს აყოვნებდა შინ შესვლას, მაგრამ მორცხვსა და მოუქნელ ყმანვილს ენა სწორედ მაშინ ებმოდა, როცა გატრუნული მანანა მისგან სასურველი სიტყვის თქმას მოელოდა.

ისინი მხოლოდ კნეინა მზეხათუნის სალონში ხვდებოდნენ ერთმანეთს.

მანანას უნებლიერ აგონდებოდა ბარონ როზენის თავხედი ადიუტანტი, რომელმაც მას პირველ მეჯლისზე კინალამ სიყვარული აუხსნა. თავადის ასულს მორცხვი ადიუტანტის მოკრძალება ისევე აბრაზებდა, როგორც იმ დროს იმ ადიუტანტის უტითურობა. თვითონ კი ქალურ თილისმებს არასოდეს მიმართავდა.

მანანას ახალგაზრდა ადიუტანტი მოსწონდა, მაგრამ არ უყვარდა. მას ეხა-მუშებოდა თავისი მიჯნურის ოდნავ ჭორფლიანი სახე, გაცრეცილი ნარბები, ახალმოცელილი ბალახის ლეროებივით ამომვერილი მოქერო ულვაშები, უც-ნაურად გადაძლილი დიდი ყურები, მაგრამ ფასსა სდებდა მის შნოიან ტანსა და საერთო გარეგნობას. მთავარი მისთვის მაინც ის იყო, რომ სახელმოხვეჭილი სენატორის ეს ვაჟი აუარებელი მამულების და ყმა-გლეხების ერთადერთ მემკვიდრედ ითვლებოდა. თავადის ასული მდიდრული ცხოვრებისკენ მიიღ-ტეოდა, რათა მისი მომაჯადოებელი სილამაზე სიმდიდრის შარავანდედოთ შემოსილიყო.

თავის გულს იგი არაფერს ეკითხებოდა, რადგან თვალწინ ყოველთვის ომარპაიდარ-ბევი ედგა. მისი ვაუკაცური სილამაზით მოხიბლული სულუფრი და უფრო რწმუნდებოდა, რომ სხვა მამაკაცის სიყვარული მას არ შეეძლო. ამავე დროს ფიცას სდებდა, ერთგული ცოლი და სანაქებო რძალი ყოფილიყო. მას თავისი „პო“ უკვე ბაგეზე ეკერა. მის ნარმოთქმას მხოლოდ ახალგაზრდა ადიუტანტის გახანგრძლივებული დუმილი უშლიდა ხელს.

ასე მისდევდა დღე დღეს, კვირა — კვირას და თვე — თვეს.

კნეინა მზეხათუნის მიერ დადგმული „ვაი ჭეუისაგან“ აღარავის ახსოვდა, თბილისიდან გამგზავრებული კნეინა მაგდა გოსტამაბიშვილი უკვე პარიზ-ში ცხოვრობდა, სალონებში ახალი მთავარმართებლის დანიშვნაზე ლაპარაკობდნენ, შამილის დაჭერასაც ოპტიმისტურად წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ახალგაზრდა ადიუტანტი მხოლოდ გატკეპნილი გზით დადიოდა — კნეინა მზეხათუნის სალონიდან გერმანიშიშვილის სახლამდე.

მანანა გულში ბრაზობდა, მზად იყო თავისი მოუხერხებელი მიჯნური-სათვის ხელი აექნია და ჩამოეშორებინა, მაგრამ როცა მისი მამულები და ყმა-გლეხები აგონდებოდა, თავს იკავებდა, მოთმინებით აღჭურვილი მის ნარმოუთქმელ სიტყვას უცდიდა.

მანანას გული შეუტოკედა.  
ახალგაზრდა ადიუტანტის შეფრფინვით სიყვარული მშობლის ნების წინაშე უძლური აღმოჩნდა.

მანანა ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ მისი მეტოქე მაია სავარსამიძე მდიდრული მზითვის წყალობით ბედნიერდებოდა, უმზითვობა კი მას მხოლოდ შინაპერობას უმზადებდა.

ქორწილის გადახდისთანავე მაია სავარსამიძის მზითვის დარიალზე გატარებას დიდძალი ურმები და პოვოსკები დასჭირდა.

მანანა გერმანიშიშვილის მზითვს კი ერთი ჩარდახიანი ურემიც ეყოფოდა.

თბილისში მხოლოდ მაია სავარსამიძის ქორწინებაზე და შამილის მოსალოდნელ დაჭერაზე ლაპარაკობდნენ.

დანუნებულ მანანა გერმანიშიშვილს ყველა შემოეცალა. მარტო ტატო ბარათაშვილი მივიღა მასთან, მდუმარედ გადაეხვია და გადაეოცნა. მანანას მური ხერხავდა და ტატოს თანაგრძობა მის გულს არ გაეკარა. პირიქით, ნარბი ასწია და ტუჩიც აიბზუა.

ტატო ბარათაშვილს ხელები ჩამოსცვიდა, კოჭლი ფეხი უარესად აითარის, გერმანიშიშვილების სახლიდან გამოვიდა და მთანმინდის გრძელი აღმართის ნაცნობ ბილიკს დაფიქრებული დაადგა.

კნეინა მზეხათუნმა ძმისნული ერთხელ კიდევ დაარიგა:

— ეგრეთვალის დასანახად კაცთან სიარული ვის გაუგონია? დილით შენი სიძე ივან პეტროვიჩი მომენტია, საღამოს კი უკვე იმის ცოლი ვიყავი. ჩემმა ქმა იარაღმა იმოდენა ქონებიდან არამცოთუ რამე მომცა, ხმაც არ გამცა. ცოლ-ქმარს გული არ გავვტეხია. საჭაც ომი იყო, ჩვენც იქ ვიყავით. ეხლა კი, შენც კარგად იცი, არამცოთუ თბილისში, პეტერბურგშიც არავინ მჯობია. ეგრე ცხვირის ჩამოშვება არა გმართებს, კნიაუნავ! მე ერთი კაბით გავთხოვდი, სხვა არაფერი მებადარა, შენ მაინც რამდენიმე ყმა-გლეხის პატრონი ხარ (თუ ისიც შენმა ბედოვლათმა ძმამ არ გაგიყიდა). მიიხედ-მოიხედე. ჩვენს გარშემო ცოტა პატიოსანი ოფიცირობაა?! ვისზედაც გული შეგივარდეს, იმას გაჰყევი, რა უყოთ? ჯერ გაჭირვებით იცხოვრე, მერე, ღვთის მადლით, ყველაფერი რიგზე დადგება და ჩემსავით გაბედნიერდები.

თავმოყვარე მანანამ მამიდის ნათქვამი სიტყვები ითაკილა, ნაწყენმა და შეურაცხყოფილმა მის სალონში ფეხი აღარ დადგა. არც კნეინა მზეხათუნს გახსენებია გაბუტული ძმისწული. ახლო ნათესავებისადმი იგი გულგრილად იყო განწყობილი, რადგან მხოლოდ საკუთარი თავი უყვარდა და საკუთარი სიამოვნებისათვის ცხოვრობდა.

მანანა ისევ თავის „ჩიტის საბუდარში“ გამოემნყვდია. საზოგადოებაში მხოლოდ მაშინ ჩნდებოდა, როცა ახალი კაბის შეკერვას ახერხებდა. თვალისმომჭრელი სილამაზით შემკულ თავადის ასულს არ სჯეროდა, არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მისი ბედი განნირული იყო. თავი ამაყად ეჭირა და მოუკარებელი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამ მზეთუნახავის ნახვასა და ყურებას, მართლაც, არაფერი სჯობდა, მაგრამ მისი სილამაზით მოხიბლული ახალგაზრდა და სანდომიანი თავადები გრძნობას ლაგამს სდებდნენ და განზედებოდნენ.

ცხოვრება ძნელდებოდა.

ყველა მამულ-დედულის გადარჩენას ცდილობდა და ვალზე ვალის მომატებას ერიდებოდა. ვინც ამ რკინის კანონს არღვევდა, თავზე მშობლების რისხვა ატყდებოდა და გულწრფელ სიყვარულს გაჭირვებული ცხოვრებით უხდიდა ხარჯს.

სანამ შეძლებული თავადები მანანა გერმანზიშვილს უმზითვობის გამო ნუნობდნენ, ხოლო ხელმოკლენი ახლოს მიკარებასაც ვერ ბედავდნენ, დრო და ჟამის სრბოლა თავისას აკეთებდა.

გაღატაკებულ თავადის ასულს შინაბერას სახელი დაუვარდა.

მისი გამდელი ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველა დადოოდა, მაგრამ მის გაზრდილს არც ეს სასოებით დადებული აღთქმა შველოდა, არც ხატების ნინ და ჟლესიების გარშემო მუხლისჩიქვით სიარული.

ბედი მის კარზე დაკაუნებას არ აპირებდა.

ბოლოს ქალაქში ცხოვრება გაუჭირდა, სოფელს მიაშურა და მამაპაპეულ სახლში საცხოვრებლად დასახლდა.

## 4. თარსულის მეოთხე ჭურვები (გუნიბის ტყვე)

**როდესაც ნითელი ჩაჩი ფანჯარასთან გამოჩინდება, თერთმეტის  
ჩარექზე მას თავს მოპკვეთენ და ყველაფერი გათავდება.  
ალფრედ დე ვინი, „სენ-მარ“**

ერთ დღეს ფოსტალიონმა მანანას აეგ ამბავი მოუტანა. მთიელებს მისი  
ძმა დავითი ტყვედ შეეპყროთ.

— ეხლარალა ვქნა? — ნამოიძახა სასონარკვეთილმა მანანამ და თვალები  
ცრემლებით გაევსო.

ომშიუშიშარიდა მამაცი დავით გერმანოზიშვილი თავს არ ზოგავდა, რათა  
რუსი გენერლების ყურადღება მიეპყრო. იგი ცეცხლსა და ბრძოლაში ეძებდა  
სახელს, ჯილდოს და პატივს. თავისი რაზმით ყველგან ზარსა და სიკვდილს  
თესდა, ხოლო დაპყრობილ აულებში, სასტიკი და ულმობელი, მთიელთა  
სახლებს ხანძრის ალში ხვევდა, არ ინდობდა არც მოხუცებს, არც ქალებს,  
არც ბავშვებს.

თავის გამოჩენით გატაცებული დავით გერმანოზიშვილი ომშიც ისევე  
იქცეოდა, როგორც მწვანე მაგიდაზე აზარტული თამაშის დროს. სახელისა  
და ხელმწიფის წყალობის მოსახვეჭად რისკია და ხიფათს არ ერიდებოდა.

ერთხელ თავადი ხეობიდან გამოსულ ცხენოსნებს ნაანუდა და რაკინითელ-  
ჩოხიან მხედარში ჰაჯი მურატი შეიცნო, უზანგებზე შედგა, თავის რაზმს გა-  
მამხნევებელი „ურა“ შემოსძახა, მერე ერთხელაც არ მოიხედა უკან, აღტყინე-  
ბული ხმლის ქნევით და ყვირილით ეგებებოდა მისკენ ქაჯებივით მომქროლავ  
მთიელებს. მან თავისიანებისაგან მოწყვეტა მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როცა  
მთიელებმა ქამანდით ცხენიდან ჩამოაგდეს და ტყვედ შეიპყრეს. მსუბუქად  
დამავებულ გერმანოზიშვილს მოხუცმა მთიელმა იქვე, ბალახებში უდასტა-  
ქრა, ჭრილობა სათუთად მობანა, შეუხვია, ფეხზე ნამოაყენა, ნარჩშეკრულმა  
შეხედა და დაწყევლა.

ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფილმა ემისარმა უკლებლივ გაიგო არა-  
ბულად ნარმოთქმული წყევლის ყველა სიტყვა. თავი ჩალუნა და ბედისნერას  
ერთხელ კიდევ დაემორჩილა.

დავითი დილეგში ჩააგდეს. აქ მას ტყვე რუსი ოფიცრები დახვდნენ. ყველა  
ტყვეს მძიმე ბორკილი ედო. ტყვეებს ფხიზლად დარაჯობდნენ, რადგან მათ  
გამოსასყიდად დიდი თანხა იყო დაწესებული. ნათესავები ამ თანხას იხდიდნენ  
და თავისიანებს დილეგიდან და ხაროდან ათავისუფლებდნენ. ზოგი ტყვედ  
ჩავარდნილი თვალსაჩინო მთიელზე იცვლებოდა.

მხოლოდ დავით გერმანოზიშვილი იყო ყველასაგან მიეინყებული.

დიდგვაროვან თავადზე ისეთი დიდი გამოსასყიდი იყო დაწესებული, რომ  
მისი შეგროვება მანანამ ვერაგზით ვერ შეძლო. ახლო ნათესავები მხოლოდ

ცარიელი ნუგეშით და კუმაყოფილდნენ. ასე მოიქცნენ მამიდა მზეხათუნიც და ბისა ანდუყაფარიც.

დავითის ტყვეობა დაუსრულებლად გრძელდებოდა. იმედდა კარგული ნელ-ნელა ტყდებოდა. შავი ნაღველით შეპყრობილს უძილობა დასჩემდა, ხმელ ჩალაზე წრიალებდა და ლამე თეთრად ათენდებოდა. სულს უმნარებდა მუეძინის ყვირილი მეჩეთის მინარეთზე და სალოცავად დამხობილი მცველების ბუტყუტი და ლაღადის. მას არავინ არ ამცირებდა, არავინ შეურაცხყოფას არ აყენებდა, მაგრამ გულგატებილს თავი დილეგის სველ კედელზე ჰქონდა მყრდნობილი, ხმას არ იღებდა და არავის არაფერს ელაპარაკებოდა. ხანგრძლივმა ტყვეობამ თავადი გერმანიზიშივილი ნელში გასტეხა, გაათეთრა და ნადრევად დააბერა.

მხოლოდ ერთხელ გაუღეს ტყვეებს მცველებმა დილეგის კარები და ბორჯილების ჩხარა-ჩხურით მზის სინათლეზე გაიყვანეს. „სად მივყევართ? რას გვისირებენ?“ — ფიქრობდნენ უსიამოვნო ნინათგრძნობით აფორიაქებული ტყვეები. ისინი თავჩაღუნული მიაბიჯებდნენ და ბნელიდან უცებ გამოყვანილი მზის სინათლეს თვალს ვერ უსწორებდნენ.

როდესაც ტყვე ოფიცირები აულის დიდ მოედანზე ჩაიყვანეს, მათ ფერი ეცვალათ და ერთმანეთს შიშით გადახედეს. მოედანზე, დიდროვანი ასწლოვანი წიფლის წრეში, აულის მცხოვრებლებს და შეიარაღებულ მთიელებს მოეყარათ თავი. ხეებზე ბავშვები აცოცებულიყვნენ, ზოგნი კენწერობზე იყვნენ მოქცეულნი, ზოგნიც ცელქიმაიმუნებივით ტოტებზე ჩამოკონნიალებულიყვნენ, რათა კარგად დაენახათ ის, რაც მოედანზე უნდა მომხდარიყო.

აულის მაღლა აზიდულ, ერთმანეთზე ეოლოფებივით დადგმული სახლების ბანებზე ქალები გადმომდგარიყვნენ და თავების და ხელების ქნევით გაცხარებით ლაპარაკობდნენ. ბანებზე ყურისნამღები გნიასი იდგა. მამაკაცები კი მდუმარედ იდგნენ მოედანზე, როცა ტყვე ოფიცირები ქალების ნინ ჩაატარეს, მათ თავები საჩქაროდ მთების კენ მიაბრუნეს და ქვებივით დადუმდნენ. დედაკაცების სამარისებური დუმილი შეკავებულ ზიზღს უფრო გამოხატავდა, ვიდრე მუსლიმანი ქალის ჩვეულებრივ მოკრძალებას. ტყვეების შიში თანდათან ძლიერდებოდა. მოედანზე კი თვით ყველაზე უშიშარი განწირულივით ათრთოლდა.

ტყვეებს მყისვე თვალში მოხვდათ მოედნის შუაგულში ამართული თავის მოსაქვეთი კუნძი. იქვე ღონიერი, მხარბეჭიანი ჯალათი ფუსფუსებდა. მნითური გოლიათი, რომელიც მუშტის ერთი დარტყმით ხარს წააქცევდა, უდარდელი გამომეტყველებით ნაჯახს ფხას უსინჯავდა. ყველანი მას უყურებდნენ და შესცეკროდნენ, თვით ის პატარა ფეხშიშველი ბიჭი, რომელიც სილენშის გრძელი სურიდან ხამუშ-ხამუშ ვეება სის ქვაზე ნყალს ასხამდა, რათა ჯალათს ნაჯახის პირი ერთხელ კიდევ მოელესა.

ჩველა ტყვემ გოლიათ ჯალათში თავისი სულთამხუთავი აღმოაჩინა. „თავებს მოგვკვეთენ“, — გაისმა ვიღაცის გაბზარული, შიშით გათანგული

ხმა. ასე ფიქრობდა ყველა ტყვე. ყველამ ამ სასჯელის მიზეზიც კარგად იცოდა.

სამი დღის ნინ ერთი რუსი გენერლის ბრძანებით თხუთმეტი მთიელი ჩამო. ახრჩვეს, ერთი მათგანი, მძიმედ დაჭრილი ხნიერი ჩეჩენი, ცხენზე დაკრული მიიყვანეს სახრჩობელის თოკთან, ცხენის ფაფარზე თავდავარდნილს ყულფი გაუკეთეს. ცხენს მათრახი გადაჰქირეს და სახრჩობელას მოაშორეს.

ეს ამბავი ტყვეებმა მცველებისაგან შეიტყვეს. მაგრამ ამის გამო მათ-თვის შეურაცხყოფა არავის არ მიუყენებია, არც არავინ გამასპინძლებია ლანძლვა-გინებით, არც მუქარა წამოსცდენია ვინმეს. მცველები მდუმარედ უვლიდნენ დილეგს გარშემო და მხოლოდ დროგამოშვებით მოისმოდა მათი ბუტბუტი და ლალადისი.

სამაგიეროდ, დღეს უზღვავდნენ მისაგებელს. ის მნითური, გოლიათი ჯალათიც მათვის ლესავდა ნაჯახს.

მაგრამ ამ მოედანზე სულ სხვა რამ მოხდა.

ხმალამონვდილმა ახალგაზრდა ჩერქეზებმა მოედანზე ომარ ჰაიდარ-ბეგი შემოიყვანეს. აქამდე მოყაყანე ბრბო უეცრად დადუმდა. ყველას ზიზლი და სიძულვილი გამოეხატა სახეზე.

მოტყუებით შეპყრობილ ომარ ჰაიდარ-ბეგისათვის შამილის ნაიბებს სიკუ-დილი მიესაჯათ. მას ტყვიით არა ჰკლავდნენ, მას თავს ჰკვეთდნენ, როგორც გამცემს.

ომარ ჰაიდარ-ბეგს შავი შალის მოკლე ჩოხა ეცვა, სპილოსძვლის თეთრი მასრებით შემკული, წვრილ წელზე ძვირფასი თვლებით მოოჭვილი უსატევრო ქამარ-ხანჯალი ერტყა. სატევარი ერთ ახალგაზრდა ჩერქეზს ეჭირა ხელში.

თავლია ომარ ჰაიდარ-ბეგს საოცრად შვენოდა შავი ხუჭუჭა თმები. მის გამხდარ, ვაუკაცურ სახეს შიშის არავითარი ნატამალი არ ეტყობდა. სახის ფერიც ჩევეულებრივი ჰქონდა, ოლონდ ტუჩებზე ბრაზიანი და დამცინავი ლიმილი დასთამაშებდა. იგი მოღალატედ არ თვლიდა თავის თავს. ფეოდალური შუღლლის ნიადაგზე აღმოცენებული მტრობა დანაშაულად არ მიაჩნდა. წინათაც და ახლაც, თავს იმართლებდა ომარ ჰაიდარ-ბეგი, ზოგი ფეოდალი ოსმალეთისაკენ იყურებოდა, ზოგი — რუსეთისაკენ. რუსთა მომხრე ომარ ჰაიდარ-ბეგი თავის საქციელს და მოქმედებას ისევე ამართლებდა, როგორც თვითონ შამილი თავის ოსმალეთთან დამოკიდებულებას.

ამაყად და გამომწვევად მაცქერალი ომარ ჰაიდარ-ბეგი მშვიდად და აუღელვებლად ამოუდგა გვერდში ჯალათს, რომელმაც მხოლოდ ერთხელ, ალმაცერად მოხედა მას.

ხალხი დუმდა. ხეების ტოტებზე მსხდარი ბიჭები, ნელან მხიარულად რომ ურიამულობდნენ, ახლა დიდებივით გაჩუმებულიყვნენ. ხალხი დუმდა. ხალხ-თან ერთად თითქოს ბუნებაც გაჩუმებულიყო. წიფლის ფოთლები უძრავად ეკიდნენ კაშკაშა მზის სხივებში. მხოლოდ ახლომდებარე ჭიუხების ჩაბარუ-ხების ყრუ ხმაური არლვევდა დუმილს. ცხენებსაც, აქამდე გაჩქარებით რომ

ხრავდნენ ლაგმებს და მოუსვენრად ფრუტუნებდნენ, თავისანთი მხედრების უძრაობა გადასდებოდათ და თავები დაბლა დაეხარათ, როგორც წვიმიან ამინდში სჩვეოდათ. კრიალა ზეცაში ამაყად დაცურავდა ფრთაგაშლილი ოჩი.

გრისხანე დუმილში ერთადერთმა სიტყვამ დაიჭუხა:

— მოღალატევ!

ეს შემზარავი სიტყვა გრგვინვასავით გაისმა.

ცხენები დაფრთხენენ, ყალყზე შედგნენ.

ბრბო ამოძრავდა და ახმაურდა,

— მოღალატევ! მოღალატევ!

ომარ ჰაიდარ-ბეგი გაფითორდა. აცახცახდა. თვალებში ხვეწნა და მუდარა გამოეხატა. „მოღალატევ, მოღალატევ!“ ესმოდა მას ყოველი მხრიდან და რჩმუნდებოდა, რომ ეს ფეოდალების გადაწყვეტილება კი არ იყო, არამედ ხალხის განაჩენი. ბრბო თითქოს გრძნობდა, თუ რა ტკივილს აყენებდა ამ სიტყვით უშიშარ ვაჟუაცს და ულმობლად გუგუნებდა:

— მოღალატევ! მოღალატევ!

ომარ ჰაიდარ-ბეგი შერისხულივით ტრიალებდა ერთ ადგილზე, თითქოს სურს ამ სიტყვას სადმე გაექცეს და დაემალოსო. მას ამ სიტყვის უფრო ეშინოდა, ვიდრე ჯალათის ნაჯახის. ეს სასტიკი და დაუნდობელი სიტყვა მას ყოველი მხრიდან ესმოდა: ცხენებიდან, ხეებიდან, ბანებიდან, ჭიუხებიდან, შორეული მთებიდან და აულებიდან. ომარ ჰაიდარ-ბეგს ერჩივნა ხალხს ჩაექოლა, ნაკუნაჟუნ ექცია, ვიდრე მისთვის მოღალატე ენოდებინა.

— მოღალატევ!

— გამცემო!

— გიაურო!

გუგუნებდა ბრბო.

ომარ ჰაიდარ-ბეგს თვალებზე სიმნრის ცრემლი აუბრჭყვიალდა, მაგრამ მყისვე თავი დაბლა დახარა, რათა უფრო მეტად არ შერცხვენილიყო.

„მოღალატეს არა სჯიან, ის ყველაფრის ღირსია“, — მოაგონდა ვახტანგ ვის სამართლის სიტყვების სიკვდილივით გაფითორებულ დავით გერმანოზიშვილს და თვალნინ ალექსანდრე ბატონიშვილი დაუდგა.

როცა ომარ ჰაიდარ-ბეგმა ერთი ნამით თავი მაღლა ასწია, მან ქართველ თავადს მოპერა თვალი და სახეზე გაოცება გამოეხატა. იცნო და გაიკვირეა. ერთბაშად დაწყნარდა. გაიღიმა (ამ ღიმილმა ბრბო შეაკრთო და მისი ყვირილ-ღრიანცელი ოდნავ გაანელა). დავით გერმანოზიშვილის დანახვამ მის მეხსიერებაში ერთბაშად აღადგინა ბარონ როზენის სასახლის მეჯლისზე მოცემავე ქალი. სულ უფრო და უფრო ცხადად ესახებოდა თვალნინ იმ თვალმწყაზარი გოგოს სათნო სახე და სიკვდილის წინ აუნერელ სიხარულსა და წეტარებას განიცდიდა. „მე ეხლა დამშვიდებით მოვკვდები“, — თქვა მან თავის გულში და ერთ-ერთ მცველს ანიშნა მასთან მისულიყო.

ომარ პაიდარ-ბეგმა ქამარ-ხანჯალი წელიდან მოიხსნა, მცველს გადასცა  
და უთხრა:

- ჩემი ქამარ-ხანჯალი იმ ტყვეს ნაულე გადაეცი, რომე მაგის და მიუკარდა.
- ის კაცი ქრისტიანია! — თქვა გაკვირვებულმა მცველმა.

ომარ პაიდარ-ბეგმა ახალგაზრდა ჩერქეზსაც ისეთი თვალით შეხედა, როგორც იმ მეჯლისის ღამეს ხნიერ ჩერქეზს, რომელმაც მას ქრისტიანი ასულისადმი შლეგური ტრფიალი უსაყვედურა და ეს საპედისნერო დღე უნინასწარმეტყველა.

— მერე რაო? მე მიყვარს მაგის და! — ახლაც ჯიუტად გაიმეორა ომარ პაიდარ-ბეგმა და მცველის ზიზღს დამცინავი ლიმილი მიაგვება.

მან ისეთი უდარდელი მოძრაობით დაიჩინება კუნძთან, კაცს ეგონებოდა, ცხენს მტკიცანი ფეხი უნდა გაუსინჯოსო. უკანასკნელად დაცერდა დავით გერმანოზიშვილს, უკანასკნელად აღადგინა გონების თვალით იმ თვალში-ყაზარი ქალის სათნო სახე, უკანასკნელად გაიღიმა და თავი კუნძზე დადო. ჯალათმა ნაჯახი აღმართა. ხალხმა ხმა გაემინდა. ჯალათმა ნაჯახის ერთი დარტყმით მოაძორა თავი ტანს. მოკვეთილი თავი კუნძიდან მინაზე გადმო-გორდა. ჯალათმა გასისხლიანებული თავი მაღლა აიტაცა და ხალხს დაანახეა. ხალხი დაფრთხა და ზარდაცემულმა უკან დაიხია. სიკვდილით დასჯილის გაფითრებული ტუჩები ლიმილით იყო დაგრეხილი.

შეძრნუნებული ტყვეები დილეგში დააბრუნეს.

— ველურნი! — ნამოიძახა ერთმა ოფიცერმა.

— რატომ გავიწყდებათ გუშინნინდელი ამბავი? — გაეპასუხა მას ნაოფი-ცრული ჯარისკაცი, რომლისთვისაც დეკაბრისტების აჯანყების შემდევ რუხი შინელი ჩაეცვათ, — მათ მოღალატე დასაჯეს, თქვენ კი რილეევი დაახრჩევთ, პოეტი და ადამიანი.

დეკაბრისტს ტყვე ოფიცრები რისხვით მისცვივდნენ, მაგრამ სწორედ ამ დროს თავად გერმანოზიშვილს ომარ პაიდარ-ბეგის ოქროს ქამარ-ხანჯალი გადასცეს იმ პირობით, რომ თუ ოდესმე განთავისუფლდებოდა, თავისი დი-სათვის გადაეცა და სიკვდილით დასჯილის უკანასკნელი სიტყვებიც ეთქვა.

— ამ ოქროს ქამარ-ხანჯლით თოფების და ტყვია-წამლის ყიდვა შეიძლებოდა, რადგან ფასდაუდებელი ჩანს, — თქვა დეკაბრისტმა, — მაგრამ ამ „ველუ-რებმა“ თავიანთ მტერს უკანასკნელი სურვილი პირნათლად შეუსრულდეს.

დავით გერმანოზიშვილი მოულოდნელად გამდიდრდა, მაგრამ დალერე-მილი იყო. მას თავისუფლება უფრო სწყუროდა.

იმ დღიდან გამუდმებით თავის გამოხსნასა და გამოსყიდვაზე ფიქრობდა. ოქროს, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ქამარ-ხანჯალი მის გამოსასყიდ თანხას უტოლდებოდა, მაგრამ ამაზე სიტყვის ამოღებაც არ შეეძლო. ამ გან-ზრახვას არც მთიელები მოუნონებდნენ და არც რუსი ოფიცრები. მთიელების პატიოსნება და სიტყვის გაუტეხლობა ზედმინევნით იცოდა, იტანჯებოდა და გამოსავალს ვერ პოულობდა. კიდევ უფრო გაუძლიერდა სევდა და კაეშანი.

როცა დატყვევებული დიდგვაროვანი თავადი მთხელებს ხელში შემოა-გერდათ და გათავებულ კაცად ჩათვალეს, ერთმანეთში მოილაპარაკეს და გამოსასყიდი თანხა გაანახევრეს. თან დავით გერმანოზიშვილს აგრძნობინეს, რომ თუ ვაჭრობა დაიწყებოდა, თანხას კიდევ უფრო შეუმცირებდნენ.

თავადმა ყველაფერი დაუყოვნებლივ დას მისნერა.

განანას ერთადერთი ძმა თავდავინყებით უყვარდა. ამიტომ უყოყმანოდ გადაწყვიტა სოფელში გაეყიდა ის, რისი გაყიდვაც კიდევ შეიძლებოდა, მან უურებიდან ძველისძველი ისფაჲანური საყურეებიც კი მოიხსნა, რათა ძმა ტყვეობიდან როგორმე გამოხსნა.

განანა ცარიელ-ტარიელზე დარჩა და მხოლოდ ორიოდე გლეხი და ერთი მახლე გოგო დატოვა.

ამ ამბით აღელვებულმა დავითმა ფიცი დადო, არასოდეს ცოლი არ შეერთო და სახელიც და სიმდიდრეც მხოლოდ დის კეთილდღეობისათვის მოეხვეჭა.

გზიდან დას ვრცელი ნერილი მოსწერა, რომელმაც მადლობას უთვლიდა პირზე კოცნით და ბედნიერ მომავალს პირდებოდა. ყველაფერ ამას, სხვათა შორის, ომარ ჰაიდარ-ბეგის სიკვდილით დასჯის ამბავიც მიაყოლა და მანანას აუწყა, — „ამ მუსლიმან კაცს და ჩერქეზ თავადს თურმე შენ ჰყვარებიხარ და სანამ თავს მოსჭრიდნენ, ეს მცველების პირით მე მითხრაო“. ოქროს ქამარ-ხანჯლის გამო კი თავადმა კრინტი არ დასძრა.

განანა გერმანოზიშვილმა უცრემლოდ, მაგრამ ლრმა გულისტყივილით გამოიგლოვა თავისი პირველი მიჯნური.

მას უკვე აღარავინ უყვარდა ამქვეყნად.

## 5. ნარსულის მეხეთი ფურცელი (ტყვეობიდან დაბრუნება)

ვინ არ იცის, რომ თავისუფალი ცხოვრება სჯობს ტყვეობაში  
ცხოვრებას?

სილვიო პედიკო, „ჩემი დილეგები“

მანანას საბაბიც ჰქონდა და მიზეზიც, ძმას გულცივად შეხვედროდა. ძმის თავაშვებულ დროსტარებას მიანერდა იგი თავის გალარიბებას, განაპირებას, სოფელში გამომწყვდევას. ძმის გამოხსნა და განთავისუფლება უხაროდა, მაგრამ თან საყვედურსა და ჩამოქრულებს უმზადებდა.

ასე ფიქრობდა ძმის საქციელით განაწყენებული თავადის ასული, სანამ ძალა უკერ ისევ შორს იყო. ტყვეობიდან დაბრუნებულს კი ყელზე ქვითინით გადაეჭდო და დიდხანს აღარ მოშორდა.

როცა სრულიად გამოცვლილი და გასაცოდავებული ძმა კარგად დაათვა-ლიერა, გული ამოუჯდა და უარესად ატირდა.

ოდესალაც გულზეისადი თავადი იარაღ გერმანიზიშვილის კარ-მიდამოსა-  
ვით ჩამოფხავებულიყო, გათეთრებულიყო და დაბერებულიყო.

დავითი ალერსანადი იქნავდა დას მკერდში და ერთსა და იმავეს ეუბნებოდა:  
— ცოცხალი დაგიბრუნდი, სულო! რა გატირებს?

დავით გერმანიზიშვილის ტყვეობიდან დაბრუნების ხმა სწრაფად გავარდა  
მაშვერის ხეობაში. სოფლებიდან ახლო ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები  
მოდიოდნენ მის სანახავად და მოსაკითხად. გულაჩუყებული ანდუყაფარ  
გერმანიზიშვილი ცერის სისხო ცრემლებს აფრქვევდა, სტუმრებს გაძლილი  
ბალდადით ხვდებოდა, იარალივით უფროსობდა და ყველას თანაყოფაში  
ძმისნულს „გაკეთებას“ და ფეხზე დაყენებას პირდებოდა.

არც მას ახსენდებოდა და არც სხვას უხსენებია, რომ დატყვევებული  
ძმისნულის გამოსახსნელად მან ჩხირის გადაბრუნებაც არ მოინდომა.

ყველაზე მდიდარი გერმანიზიშვილები (ჯერ კიდევ იარაღის სიკოცხლეში  
„გაყრილობის ნიგნით“ ცალკე გასულნი) თავდაჭერილად იქცეოდნენ, საერთო  
სიხარულში მხოლოდ გარეგნულად მონანილეობდნენ. მათ არც ანდუყაფარ  
გერმანიზიშვილის „უფროსობა“ სწამდათ, არც დავით გერმანიზიშვილის ფეხზე  
დადგომა სჯეროდათ. ამას ისნინ მათი ყმა-გლეხების რაოდენობით ზომავდნენ  
და ჭრიდნენ.

დავით გერმანიზიშვილმა მამის საფლავი ინახულა. მღვდელს საგვარეულო  
საყდარში პარაკლისი გადაახდევინა. სოფლის ბოლოში, დოდორონი კაკლების  
ქვეშ გრძელი სუფრა გააშლევინა. სუფრას ანდუყაფარ გერმანიზიშვილი თა-  
მადად დაუდგა, მთასავით აიმართა და თავისი მდევრური ბეჭებით მდინარეები  
გადაჰყეტა, ხეობაც და გორსაკების ლურჯი გრეხილიც.

მოტანილი მისალოცი და მოსაკითხი გრძელ სუფრას მოხმარდა. კვირის  
თავზე სტუმრები თავიანთ სოფლებში ნავიდ-ნამოვიდნენ.

დავითი ისევ ცარიელ-ტარიელზე დარჩა.

ანდუყაფარმაც რაღაც მოიმიზება, ცხენზე შეჯდა და თავის სოფლისკენ  
გაემართა. უკან ცოლ-შვილიაიდევნა, ამხედრებული ვაუებით და ქალ-რიძლით  
დასუნდლული ჩარდახიანი ურმებით.

და-ძმა მარტოდმარტონი დარჩინენ.

## 6. ნარსულის მექვსე ფურცელი (სოფლიდან გამგზავრება)

სოფელში ალარაფერი მრჩება, რაც მებადა, ყველაფერი გავყიდვ-  
თავადური აღსარება

მანანა დღენიადაგ დაღონებული იჯდა თავის ოთახში მუხლებზე გადაშ-  
ლილი „დავითნით“. ძმას გული ეთანალრებოდა, სცხვენოდა, დას გაუბედავად  
ეკითხებოდა:

— ხომ არ მემდური, სულო!

— არა, რა იყო? ეგ საიდან მოიტანე?

დარცხვენილი და აღელვებული დავითი სიყვარულს უმტკიცებდა:

— ჩემითვალის ჩინი შენდა ხარ, სულო! გული მტკივა, ეგრე დალონებულს რომ გიყურებ. რა ვქნა? ზოგი ჩემი ბრალია, ზოგიც ცხოვრების, მაგრამ შენის ბეჭნიერებისათვის არც წყალს მოვერიდები და არც ცეცხლს. აი, ნახავ, ჩენც ნაგვივა კარგად საქმე!

განანას გული გაქვავებული ჰქონდა. ძმის ალერსით და სიყვარულით ნათქ- ფამი ფუჭსიტყვებად მიაჩნდა. უნიადაგო დაპირებების არაფერი სჯეროდა. ნაა- დრევად დაბერებული, ჯანგატეხილი და ნირნამხდარი ძმა გათავებულ კაცად ეჩენებოდა. მისგან კარგს აღარაფერს მოელოდა. ამგვარი ფიქრების დროს გონასტერი აგონდებოდა და მონაზვნად აღკვეცაზე სერიოზულად ფიქრობდა.

დავითი ღვიძლი დის გულის მოძრაობების გამორევებას ცდილობდა, რა- დგან მისი მწყაზარი სახე სულ უფრო და უფრო განუჭრეტი ხდებოდა. საა- თობით გაჩუმებული იჯდა მუხლებზე გადაშლილი „დავითნით“ და ერთსა და იმავე ფურცელს უაზროდ დაცყურებდა. გამდელსაც და მოახლესაც იშვიათად ულაპარაკებოდა. ლამაზი მოახლის მიქერიტინასთან ლაციცი აღიზიანებდა, ხოლო გამდელის დაუსრულებელი „შენ შემოგევლე“ და „მტლად დაგედე“, — გულს უწვრილებდა.

დაბნეული დავითი ამაოდ ეძებდა დამამშევიდებელ სიტყვებს, თავადის ასულს რწმენას ვერაგზით ვერ უღვიძებდა.

დას მისი არა სჯეროდა.

ძმა კი ერთსა და იმავეს უმტკიცებდა:

— შენ არ გჯერა, სულო! მაგრამ ნახავ, თუ ისე არ მოხდეს, როგორც მე გეუბნები.

თავმობეზრებული მანანა ყასიდად ეუბნებოდა:

— ვნახოთ. კაცი იმედით ცოცხლობს. განა ამიტომ არ ვლოცულობ დღე და ღამე?!

მანანამ შვებით ამოისუნთქა, როცა დავითი თბილისში გაემგზავრა სამხედრო უწყებაში ფულის ასაღებად და თავისი სამსახურებრივი საქმის მოსაწესრიგებლად.

სოფელში მათ აღარ ედგომებოდათ. მათი ყმა-გლეხი ახლა თითზე ჩამოი- თვლებოდა, მანანას სამზითვოდ დაუწყებული ზვარი და ხოდაბუნი გაყიდული იყო, ხოლო აღებული ფული — დავით გერმანოზიშვილის გამოსახსნელად გადახდილი.

მდიდარი გერმანოზიშვილები, სოფლის აზნაურები და მოურაე-მამასახლი- სები იმასდა უცდიდნენ, თუ როდის წაიქცეოდა საბოლოოდ ოდესალაც რიხიანი და ყმა-მამულით განთქმული თავადი.

რომელიდაც გამდიდრებული აზნაურის თავმომწონე ვაჟმა მანანა გერმა- ნოზიშვილის ხელის თხოვნა გაბედა და „საუპატიოც“ დაასახელა. შეგულია-

ნებული ანდუყაფარ გერმანოზიშვილი მაჭანკლებით მიადგა კარზე თავის ძმისნულს. საქმეს შორიდან მოუარა. რაც მის კარის მღვდელს „ქართლის ცხოვრებიდან“ და საბუთებიდან ამოკითხული ჰქონდა, ყველაფერი, როგორც შეეძლო, ისე გადმოალაგა. დიდხანს ლაპარაკობდა „საუპატიოზეც“ და „საკანონზეც“. მაჭანკლებიც თავს უქნევდნენ და ნათქვამს უდასტურებდნენ. მანამამ ჯერ ვერაფერი გაიგო, ბოლოს, როცა მისახვედრს მიახვედრეს, ისეთნაირად განრისხდა, რომ ქვაბში სახელდახელოდ მოხარშული ბალახების წევნით ძლივს დააწყნარეს.

დამფურთხალი ანდუყაფარი მაჭანკლებიანად კუდამოძუებული გაიქცა. მანაზე უარესად გაანჩხლებული ფეხშიშველა გამდელი მათ უკან გამოეკიდა. ხელებს შლიდა და ქოქოლას აყრიდა:

— ჩვენს მზეთუნახავს ეს როგორ გაუბედეს, ეს როგორ აკადრეს. იარაღ გერმანოზიშვილის ქალი აზნაურისშვილს უნდა შერთონ ცოლად? ლვთის რისხვაა, მა რა ჯანდაბაა! იმ აზნაურის ბიჭს შინ აუნონარი ოქროებიც რომ ელაგოს, თავადის ქალს ამისთანა უპატიებელი როგორ უნდა გაუბედოს? არა, იმ თავტიტველა ანდუყაფარს რაღამ გამოაცალა ჭკუა? აი, მეხი კი დავაყარე მაგის ბიძობასაც და სახლის კაცობასაც!

მოურსავი ულვაშებში იცინოდა, მღვდელი წვერს ეთამაშებოდა, გზირი ღობის იქით იკრიფებოდა, მოახლე ტუჩებთან მიტანილ ხელებში ფრუტუნებდა. გაյაპასებული გამდელი მათვერამჩნევდა, გულში მჯიდვის ცემით ყვიროდა და იწყველებოდა.

მანანა ხმაგაკმენდილი იჯდა თავის ოთახში. ბუნებით მშვიდსა და აუღელვებელს, ნონასწორობის დაკარგვა უკვირდა. უკმეხობით განთქმულ თავადის ასულს სწყინდა და თაკილობდა, რომ უეცარი განრისხებით საკუთარი თავი გასცა და ყველას თვალწინ ჩვეულებრივ შინაბერად გამოჩნდა. მოულოდნელად გადმონთხეული ბოლმა ლოყებს სირცხვილით უნითლებდა. აფორიაქებულს და ანრიალებულს აღარც „დავითნი“ შველოდა, აღარც მუხლმოყრილი ლოცვები. შერცხვენილი და შეურაცხყოფილი შინ კუტივით იჯდა, საყდარში ნირვის მოსმენასაც ერიდებოდა და ხალხში გარევასაც.

როცა თბილისიდან დაბრუნებულმა დავითმა ეს ამბავი გაიგო, ბიძას მიუვარდა, ძველი ზნე გაიხსენა და რაც ხელში დასამტვრევი და გასატეხი მოხვდა, ყველაფერი მილენ-მოლენა და მირეგვ-მორეგვა.

თავმოყვარე მანანას სულ მთლად დაუბნელა სირცხვილმა სახე. ფეხი სახლიდან აღარსად გადგა. ძმას უხელთა თუ არა, მოკლედ მოუჭრა:

— ჩვენ აქ აღარ გვედგომება, დავით. ქალაქში უნდა ნავიდეთ.

დავითმა მყისვე დაუბრუნა:

— მეც ეგ მინდოდა მეთქვა და დამასწარი, სულო! დღეგრძელი ბრძანდები! დღეიდანვე თადარიგს შეეუდგები.

დავითმა მამისეული სახლი, საგვარულო საყდარი, სასაფლაო და ორიოდე ყმა-გლეხის ოჯახი მდიდარ გერმანოზიშვილს მიჰყიდა, დას ჩარდახისნი ურემი შეუბა და სამუდამოდ გამოეთხოვა სოფელს.

ახლა თავად გერმანოზიშვილს ოფიცირის ჯამაგირით უნდა ეცხოვო. როცა ურემმა იმ ყმანვილიაზნაურის ახლად ამენებულ დიდ სახლს ჩაუარა, განანას გულმარალაცნაირად შემოჰკვნესა და თავის თავს დაეკითხა: „იქნებ ჩემს სოფელთან ერთად ჩემს ბედსაც ვემშვიდობები? იქნებ ავჩქარდი და ყმანვილ აზნაურს დაუფიქრებლად ავუკარი ხელი? რატომ დამავიწყდა, რომ ჟაჭარა აღარა ვარ და შინაბერად ვითვლები? მეტი რაღა მინდოდა ან რაღას ველოდები? „საუპატიო“ თავადის ქალის ლირსებას შემინარჩუნებდა, ქმარი კი ცოლისა და დედის ბედნიერებას მომანიჭებდა“. ეს ფიქრები მას თბილი-სამდე მიჰყვა თან.

# კარი ოცდამეერთე

## 1. თავადის ასულის ეალაქური ცხოვრება

ქალაქში ცხოვრებას ბევრი ფული უნდა,  
ქალაქური დიალოგი

თბილისში მანანამ კვლავ გამოიდარა.

დავითი მწვანე მაგიდას ერიდებოდა, ფულს დაზოგვით ხარჯავდა, დის სიამოვნებას ცდილობდა და თოვლის ჩამოყრამდე მისთვის შინ დაბარებულ მკერავებს რამდენიმე კაბა შეაკერვინა. სამკაულებიდანაც ის იყიდა, რისი ყიდვაც შეეძლო, ფეხსაცმელიც შესაფერისი შეურჩია და თბილისში ახლად გავრცელებული თეთრი ფრთებით შემკული ქუდიც მოურბენინა.

მანანას თანდათან გაუქრა ძმისადმი უნდობლობის გრძნობა. ერთხელ ყელზეც მოეხვია და ალერსიანად უთხრა:

— რა ვუყოთ, რომ ღარიბი ვართ, ღმერთი არ დაგვკარგავს და გაგვაძლებინებს.

აღელვებულ დავითს პირველად დაეკიდა ცრემლი ნამნამზე. თვითონაც მოეხვია დას, პირი დაუკოცნა, იმედიანად შესცინა და გაამხნევა:

— არა გვეროდა, მაგრამ მალე დაგაჯერებ, რომ შენს ბედს უბრალოდ გზას არ დავუკარგავ. უკეთესად მოგრთავ და მოგვაზმავ. შენ ისეთი ლამაზი მყავხარ, რომ არამცთუ ბრალიანი, უბრალოც მოგიხდება.

მანანას ია და ვარდი მოეფინა სახეზე.

— მოგიხდებაო? ვერა ხედავ, ყველას ჩემზე რჩება თვალი!

გაბადრულმა დავითმა რის მოუმატა:

— მამ, მამ, ყველა შენს ქებაშია. პატარა ორბელიანი ტყუილად კი არ დაგდევს ფეხდაფეხს!

მანანამ ეშმაკურად გაიღიმა.

თავადს ლაპარაკის სალერლელი აეშალა.

— ხათრიჯამი<sup>1</sup> ბრძანდებოდე, მალე ჭუადამჯდარიც მოგადგება ვინმე! შენ სხვა თქვი. ვერ უყურებ, ჩვენი თბილის-ქალაქი რანაირად გამოიცვალა? ათასნაირი გასართობი და სანახაობა გაჩნდა, — თავადს უცებ ჩრდილომა გადაურბინა შუბლზე, — ყველაფერს ფული სჭირდება, ჩვენც იმდენი უნდა მოვახერხოთ, რომ ფული გვქონდეს და ყველგან გამოვჩინდეთ.

დას სევდიანად გაელიმა.

ძმამ შეამჩნია, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. როცა ფულის შოვნაზე

<sup>1</sup> დარწმუნებული.

ლაპარაკობდა, ომარ ჭავჭავაძეგის ოქროს ქამარ-ხანჯალი აგონდებოდა. ნაცნობებში კარგ იარაღს ხშირად ახსენებდა, თან იმასაც კითხულობდა, თუ ვინ რა იარაღით იყო გატაცებული, ან ვისგან რას ყიდულობდა. ყველა მოლონერ გრიგოლ ზანდაროვს უსახელებდა.

ზამთრის მეჯლისებში მანანა გერმანოზიშვილმა მყისვე მიიქცია ყურადღება. ყველას აცვიფრებდა მისი მეტად თავისებური, სხვა ლამაზმანებისაგან მკვეთრად განსხვავებული სილამაზე. შეიძლება იმიტომ, რომ კდებამოსილების რაღაც ღვთაებრივი იერი დაჲკურავდა მთელ მის მომაჯადოებელ აღნაგობას. ამასთან, მუდამ მშვიდსა და აულელვებელს, დიდად არ ეტყობოდა ხანდაზმულობა, ამას ერთხმად აღნიშნავდნენ კნეინა მზეხათუნის სალონის სტუმრები. ამ საერთო აზრს კვერს უკრავდნენ მეფისნაცვლის მეჯლისებზეც. ამასვე ამბობდა პარიზიდან ახალდაბრუნებული კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილი, რომელიც ფარული აღტაცებით აკვირდებოდა მის ნატიფ სახეს, რომლის მსგავსი მას ჯერ არც ერთი მხატვრის ტილოზე არ ენახა.

განანას აუარებელი თაყვანისმცემელი დასტრიალებდა თავს, მაგრამ საქმრო მაინც არსად ჩანდა. მხოლოდ ახალგაზრდა, თმახუჭუჭა კორნეტი განანას გარდა სხვა ქალებს ვერ ამჩნევდა. მას შეფრთვინვით შესტრფოდა და ყველგან ლანდივით უკან დასდევდა. მანანა გერმანოზიშვილმა ჯერ შორს დაჭირა, მერე ეი თვითონაც აჲყვა, რათა გასართობ ადგილებში მუდმივი მხლებელი ჰყოლოდა. ეს იყო და ეს.

ხანდაზმული და უმზითვო თავადის ასულის შეყვარებული ჭაბუკისადმი ლმობიერმა და მეგობრულმა დამოეიდებულებამ ენების მითქმა-მოთქმას ხელი არ შეუძლა.

კორნეტის შეფიქრიანებული მამა თადარიგის დაჭერას შეუდგა.

ჩაფიქრდა დავით გერმანოზიშვილიც. მისი აზრით, მანანას მამაჟაცებში ნარმატებას მზითვის გრძელი სიაღა სჭირდებოდა, ფულის შოვნის ნყაროდ კი ომარ ჭავჭავაძეგის ოქროს, ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ქამარ-ხანჯალს თვლიდა.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ამიტომ მან თავისი ეს ერთადერთი ავლადიდება ბოხჩაში გამოახვია და გრიგოლ ზანდაროვს კარზე დაუკაკუნა.

## 2. ქუდის შეპრუნება

შენ იცი, მე ვინ ვარ?  
გრიგოლ ორბელიანი

ზანდაროვი ხალვათხანის ტახტზე მხარ-თეძოზე ნამოწოლილი ნებივრობდა, როცა მსახურმა თავად დავით გერმანოზიშვილის მოსვლა აუნყა.

— ვინა?

მსახურმა ნათქვამი გაუმეორა.

მილიონერს თეთრი ქალალდისფერი დაედო სახეზე. გაოცებულმა მსახურმა ფეხი უხერხულად შეინაცვლა. დიდხანს თავდახრილი უცდიდა პასუხს. ზანდაროვს შეეძინდა მღელვარებას არ გაეცა. გონება მოიკრიბა და გაუმა-გრებელი ხმით ნარმოთქვა:

— შემოიყვანე...

სანამ მსახური კარებისაკენ მიდიოდა, ნირნამხდარი მილიონერი იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ დახვედროდა ყოფილ ბატონს, რათა მას ეჭვის ნატა-მალიც არ აღძვროდა.

ახლა მხოლოდ ერთ საბედისნერო წამზე იყო დამოკიდებული სვეამალ-ლებული მილიონერის ნებიერი და უზრუნველი ცხოვრება. თუ ამ ერთ ნაშენ დავით გერმანოზიშვილი მასში იოსებ ფანდურაშვილს აღმოაჩენდა, ყველა-ფერი გათავდებოდა.

ამ აზრმა მას იმ მოთამაშის სითამამე დაუბრუნა, რომელიც უკანასკნელ ქალალდზე ერთნაირის გულგრილობით დებს ნაგებასაც და მოგებასაც.

მთელი განვლილი ცხოვრება გრიგოლ ზანდაროვს მხოლოდ იმას უკარ-ნახებდა, რომ მამაცი და გამბედავი ყოველთვის იგებდა, მშიშარა და გაუბე-დავი კი მუდამ ნაგებული რჩებოდა. მისი ღრმა რწმენით, ზოზინი და ყოყმანი მხდალსა და ლაჩარს მართებდა, სწრაფი გადაწყვეტილება და ბედთან შემარ-თებული თამაში — მამაცსა და გულადს.

რატომდაც ფირუზა ზანდაროვი მოაგონდა.

ფირუზას მელიას ჭუუა და ჩიტის გული ჰქონდა. ჭუუამ იგი ცხოვრების ასავალ-დასავალზე ატარა, მაგრამ შიშმა გზა-კვალი აუბნია, დაიმორჩილა და გაათავა კიდეც.

ფირუზა ქორვაჭარი იყო, გრიგოლი — სოვდაგარი.

სოვდაგარი ათასნაირ ხიფათსა და ფათერაკს წარბშეუხრელად უნდა დახ-ვედროდა, აქლემის ზურგი და ლომის გული ჰქონდა, რადგან მის ქარავანს და ქარვასლას ათასნაირი მტერი ემუქრებოდა.

გრიგოლი წელში გასწორდა.

მსახურმა დავით გერმანოზიშვილი შემოიყვანა.

მოსული და დამხვდური თავის ოდნავი დაკვრით მიესალმნენ.

— თავადი დავით გერმანოზიშვილი გახლავართ, — გააცნო თავი მილიო-ნერს დავითმა.

გრიგოლმა მას თავაზიანად მიუთითა სავარძელზე და ზრდილობიანად დააყოლა:

— რით შემიძლია გემსახუროთ, კნიაზო?

დავითმა გულდასმით დაათვალიერა მილიონერის ლამაზი, სანდომიანი პირისახე, მისი ახოვანებაც თვალში მოუვიდა და მოენონა. მილიონერის სასახლის აურაცხელი სიმდიდრით განცვითორებული თავადი თავს უტყდე-ბოდა: „ძნელი დასაჯერებელია, ჯერ ისევ ასეთი ახალგაზრდა კაცი ამოდენა

სიტყვათა პატრონის იყოს". თავის მხრივ, მილიონერი ყურადღებით სინ-  
ჯავა იმ კაცს, რომელსაც ერთ დროს ბერის ნიღაბში და გლახის ძონქებში  
გამოვიდოდა.

უკე სრულიად დამშვიდებული იყო და თავადის ბოხჩას თვალს არ აძო-  
რებდა. ამ ბოხჩამ მყისეე გასაგები გახადა თავადის მოსვლის მიზეზი. კიდევ  
უფრო გულგრილი გამომეტყველება მიიღო. ნაადრევად დაბერებული და  
გახუნებული თავადის ყურება არაჩვეულებრივ სიამოვნებას ჰქვიდა, გუნე-  
ბას უმხიარულებდა და ახლა თვითონვე დასცინოდა თავის წელანდელ შიშს.

— უფალო ზანდაროვო! — დაინყო თავადმა და ბოხჩა გაშალა, — ნაცნო-  
ბებმა მითხრეს ძველებური და ძვირფასი იარაღისადმი თქვენი სიყვარული.  
გადავწყიტე, ეს ოქროს, თვალ-მარგალიტებიანი ქამარ-ხანჯალი მცოდნე და  
დამფასებელ კაცს ჩავუგდო ხელში. გარნმუნებთ, დეზად ფული დამჭირდა,  
ორუემ მამა-პაპის ნაქონ იარაღს გასაყიდად არ გავიმეტებდი.

— რას აფასებთ? — მოკლედ მოუჭრა ზანდაროვმა.

თავადმა ზიზღით დაუბრუნა:

— მე ვაჭარი არა ვარ. ფასი თქვენ დასდეთ.

ზანდაროვმა ცალი თვალით გადახედა ოქროს ქამარ-ხანჯალს, მის  
თვალ-მარგალიტებს. პასუხი არ დაუგვიანა:

— შეიდას თუმანს მოგაროვევთ, კნიაზო. რითაც გნებავთ, გინდ ოქროთი,  
გინდ თეთრით, გინდ ასიგნაციებით.

— თანახმა ვარ, — თქვა თავადმა და ვაჭრობის დამთავრება გაუხარდა.

გრიგოლმა გაიცინა:

— ამ ნაჩეარევ პასუხზე გეტყობათ, კნიაზო, რომ ვაჭარი არა ბრძანდებით.

— ვაჭარი? — ითაკილა თავადმა, — ღმერთს არც სომხად გავუჩენივარ

და არც ურიად. ვაჭრობა ქართველი კაცის საქმე არ არის.

ზანდაროვმა ფრთხილად ასწონა სიტყვა და ისე წარმოთქვა:

— მე თვითონ ქართველი გახლავართ, კნიაზო, მაგრამ ვაჭრობა სათაკი-  
ლოდ არ მიმაჩნია.

— მაშ თუ ეგრეა, ფრანგი იქნებით, — დააბახუნა თავადმა.

— არა, ქართველი, ქართულად მონათლული.

განცვითრებულმა თავადმა პირი დაალოდა მერე ისეთნაირად დააშტერდა  
განთქმულ თბილისელ სოვდავარს, რომ შეშფოთებულმა ზანდაროვმა თავის  
ქართველობაზე სიტყვა აღარ გააგრძელა, ნათქვამს სხვა მხრიდან მოუარა  
და განმარტა:

— ვერ დაგაჯერებთ, რადგან ვინც ჩვენში ვაჭრობას იწყებს, იმას სომხად  
სოვლიან. ევრე იყოს, რა გაეწყობა. წელანაც მოგახსენებდით, სათაკილო აქ  
არაფერი არის. პატივი მქონდა პარიზში დიდხანს მეცხოვრა, იქ დიდკაცად  
ფულის მფლობელი ითვლება.

— ჩვენში ეგ არასოდეს არ მოხდება, — აღშფოთებით შეაწყვეტინა თავად-  
მა, — დიდკაცად აქ დიდგვაროვანია.

— რასაკეირველია, ენიაზო! მაგრამ პარიუშიც და თბილისშიც ძალა იმის ხელთაა, ვისაც ფული აქვს!

თავადი გაჩუმდა. ფულის ძალა თვითონაც კარგად იცოდა.

ზანდაროვმა ზარი დარეკა. შემოსულ მსახურს მოურავი დააძახებინა.

— არშაკ ვართანიჩ! — მიმართა მან მოურავს, — ენიაზ გერმანოზიშვილს შვიდასი ოქროს თუმანი დაუთვალეთ და ჩააბარეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, კინაზო.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, უფალო ზანდაროვ! — მონინებით ნარჩო-თქვა თავადმა, რადგან ერთბაშად მოისაზრა, რომ განთქმულ მილიონერთან ნაცნობობა მისთვის უსარგებლო არ უნდა ყოფილიყო.

ზანდაროვმა თავადი კარამდე მიაცილა. როცა ყველანი გარეთ გავიდნენ და კარი დახურეს, ზანდაროვს თავბრუ დაეხვა და ხელებით კედელს მიეყრდნო. მერე ტახტთან მილასლასდა და საშინლად დალლილი ყურთბალიშებზე და მუთაქებზე მიეგდო. დიდხანს გაუნძრევლად ინვა, მოდუნებული და ძალ-ლონე გამოცლილი. წელანდელ შიშს ახლა უხდიდა ხარკს.

კართან კინა გოსტაშაბიშვილის ხმა გაისმა.

ზანდაროვი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა. ძილი და მოსვენება უნდოდა.

კინას ბუზლუნით ჰერთხა:

— აქ რომ მოდიოდი, კინაზი გერმანოზიშვილი ხომ არ შეგხვდა?

— არა. მაგას რად მეჟითხები?

— ცოტა ხნის ნინ აქ ბრძანდებოდა, არ მინდოდა ჩემთან ენახე.

კინა გოსტაშაბიშვილი არავის არ ერიდებოდა, გრიგოლს სიცილით უთხრა:

— ღმერთს ეცინება, როცა საყვარლები სუს ამბობენ და ტუჩებზე თოთებს იდებენ, — უგუნებოდ თავჩამოკანტურებულ გრიგოლს თვალი გაუსწორა და გაპკენნლა, — მე ხომ ალაფის ცოლი არა ვარ, სახეზე პირბადე ჩამოვისურო და მერიამ-ბეგუმის სახლში ისე შევიდე?

ალაფის ცოლის ხსენებამ გრიგოლ ზანდაროვს გუნება გამოუკეთა. გაჭირვების დროს ყოველთვის მაიკო კურტანიძე აგონდებოდა, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ვაჭრის ქუდი ჩამოვარდნაზე ჰქონდა და მისი თავზე გამაგრება სჭირდებოდა.

კინას სიტყვა ბანზე აუგდო:

— საყვედურები არ მჭირდება, ჩემი დარდებიც მეყოფა.

მაგდა ყურადღებით ჩაცეკერდა თავის საყვარელს, რომელიც ტახტიდან ნამოდგომას არ აპირებდა და ნაავადმყოფარივით გამოიყურებოდა. გაკვირვებულმა ჰერთხა:

— რა დაგემართა, გრიგოლ? ეხლაც ისე გამოიყურები, როგორც იმ ლამეს, მორიჯის სასტუმროში.

ზანდაროვს შეშფოთება გამოესახა სახეზე, რადგანაც მიხვდა, რომ მისი შინაგანი შიში და მღელვარება სხვებისთვისაც შესამჩნევი ხდებოდა, თავს ძალა დაატანა, საუბრის გეზის შეცვლა მოინდომა, დაინუნუნა:

— გარტოობა მომწყინდა, ენეინავ!  
მაგდამ ყურები ცქვიტა.  
— ვერ გავიგე რა მითხარი, გრიგოლ.  
— ამოდენა სახლში მარტოდმარტო ვცხოვრობ, ხმის გამცემი მარტო თე-  
თრი ლიზა მყავს, — ზანდაროვმა ზანდაროვმა, — ხანდახან ისეთ  
გუნდებაზე ვდგები, ლამის კედელს თავი ვახალო.

მაგდას გაეცინა.

— ცოლი შეირთე, თავიც გადაგირჩება და მარტოობის დარდიც გაგივლის.  
ზანდაროვმა ხელი ჩაიქნია.  
— მაიკო ეურტანიძის გამო ლამის არის სული ამომილო, ცოლის შერთვას  
როგორლა მაპატიებ.

ენეინას ისევ გაეცინა:

— ცოლების ჯერ არასოდეს არავის არ შინებია, დედაქაცებს საყვარლების  
გვემინიან.

ზანდაროვმა ნათევამის აზრი გაიგო და გაიღიმა.

გამხიარულებული მაგდა საყვარელს გვერდით მიუკვდა და სიცილითვე  
ჰეთხა:

— მაშ, მალე ვაჭრის ქალის ქორწილში დაგვპატიუებ.  
— ის ვაჭრის ქალი არ არის, მაგდა.  
ენეინა გოსტაშაბიშვილმა სერიოზული სახე მიიღო, რაღაც მოაგონდა და  
მყისეე ჰეთხა:

— შენი აზნაურობის საქმე როგორ არის?  
— ძალიან კარგად. კომისიაში ქალალდი უკე მზად არის. მეფე ერეალეს  
სიგელები დავკარგეთ, მაგრამ ყველამ კარგად იცის ჩვენი აზნაურობა,  
თეომურაზ მეფეს, ერეალეს მამას, ბავშვობაში ფეხი ულრძვია და ჩემს  
ულუპაპას დაუდვია ხელი. ზანდაროვებს მაშინ მიგვიღია აზნაურობაც  
და სიგელიც.

— რა დაგიჯდა? — სერიოზული კილოთი ჰეთხა ენეინამ.  
— რა? — გათამაშებული გაქვირვებით იკითხა ზანდაროვმა.  
— აზნაურობა.

— ასი ოქრო, — თავმომნონედ უპასუხა მილიონერმა.  
ენეინა ჩაფიქრდა. მერე საყვარელს მოუბრუნდა და ცნობისმოყვარეობით  
ჩაეკითხა:

— უყვარხარ იმ ქალს?  
— ვინ ქალს? — ვერ გაიგო ზანდაროვმა.  
— აზნაურის ქალს, შენს მომავალ ცოლს.  
— ის აზნაურის ქალი არ არის.  
— მაშ ვინ არის? — ნამოიძახა ნინათგრძნობით შეპყრობილმა ენეინა  
გოსტაშაბიშვილმა.  
— თავადის ასული, — მშვიდად მიუგო ზანდაროვმა.

კნეინა უეცრად რისხევით აენთო და გათამამებულ სოვედაგარს დაუნდო.  
ბლად მიახალა:

- ძალიან მაღლა იყურები, სოვედაგარო. საყვარლად კნეინა გყავს და  
ცოლსაც თავადის ქალებში ეძებ? დაგავინყდა ვინცა ხარ?
- მე?
- ჰო, შენ!
- მე მდიდარი კაცი ვარ.
- მაგრამ მაინც მდაბიო!

ზანდაროვს შეურაცხყოფამ სახე დაუბნელა, აღარც თვითონ დაიხდო  
კნეინა, კბილებს შორის გამოსცრა:

— მაშ, შენთვისაც უბრალო აშოლლანი ვყოფილვარ, ქალაქის ბაზრის  
კინტო.

კნეინა გოსტაშაპიშვილი მოლბა, გადაფითრებული გრიგოლი მეგობრუ-  
ლად დაარიგა:

— ყური დამიგდე, გრიგოლ. შენ თავადის ქალს ცოლად არავინ მოგცემს,  
ტყუილად თავს წუშეირცხვენ. კარგად დაფიქრდიდა მაგ განზრახვაზე ხელიათლე.

ზანდაროვი გაბრაზდა:

— ზევიდან ყურების ნებას არავის მივცემ. ეს შენც ჯერ ისევ პარიუში  
გაგაგებინე. რაც შეეხება თავადებს, ისინი ჩემს ქისაში სხედან, როცა მინდა,  
თავს წავუკრავ და მტკვარში გადავაგდებ.

— მაგის გაკეთება შენთვის უფრო ადვილია, ვიდრე თავადის ქალის ცო-  
ლად შერთვა.

— ვნახოთ, ქუდს ვინ ვის შეუბრუნებს! — ამაყად და ლალად წარმოთქვა  
ზანდაროვმა.

მის ხმაში ისეთი რნმენა გაისმა, რომ კნეინა გოსტაშაპიშვილი ერთხელ  
კიდევ დაემორჩილა მის ძალას, თუმცა მისი გონება ყოველთვის უარყოფდა  
როგორც მას, ისე მასთან ტრიფილს.

### 3. საპრეზულო

თქვენ არ მოგწონთ ჩემი წარმოშობა.  
ჩარლზ დოკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი”

მეორედ გრიგოლ ზანდაროვი და დავით გერმანოზიშვილი ერთმანეთს  
საკრებულოში შეხვდნენ.

გრიგოლმა თავადს შორიდან გაულიმა და თავი დაუუკა. თავადიც თავის  
დაკვრით მიესალმა მას.

— შესანიშნავი კაცია უფალი ზანდაროვი, — უთხრა დავითს თანამოსაუ-  
ბრე ქართველმა ოფიცერმა, — ღმერთს მაგისტვის, სიმდიდრესთან ერთად,

ქნეც და ლაზათიც მოუცია. რომელ სოვდაგარს შეადარებ მაგას? სწორედ რომ თავადური გარეგნობა აქვს.

დავითმა თვალი გააყოლა ამაყად მიმავალ, მოხდენილსა და გემოვნებით ჩატულ ზანდაროვს. თანამოსაუბრეს გაოცებით უთხრა:

— საკეირველია, რომ ეგ ლამაზი და მდიდარი სოვდაგარი არც ქართველსა ეჯვა და არც სომებს. უფრო ანგლიელს მაგონებს.

ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფილ ემისარს ინგლისის თეირანის საელჩოს თანამშრომლები დაუდგა თვალნინ.

— ჩვენში თავადიც იცვლება და ვაჭარიც, — უპასუხა თანამოსაუბრებ და ხელიერობულად ჩატული, სახეზე ბრინჯშეყრილი ქართველი თავადების ენ გაძვირა, — ახალი დროება დგება, ენიაზო!

დავით გერმანოზიშვილი აიმრიზა. „ახალ დროებაზე“ ლაპარაკი ყოველ-თვის აღიზიანებდა. განსაკუთრებით, ყმების გათავისუფლებაზე ჩამოგ-დებული სიტყვა აბრაზებდა. თუმცა მას ყმები აღარ ჰყავდა და ოფიცირის ჯამაგირით ცხოვრობდა. არც ის მოსწონდა, რომ საკრებულოში თავადებთან ერთად სოვდაგრების „ფრანგულად გამონკეპილი“ ვაუებიც მოდიოდნენ, ხოლო უმრავლესობას აზნაურები შეადგენდნენ. გაჯავრებული თავადი უკამაყოფილოდ თავს აქნევდა იმის გამო, რომ მეფის მთავრობა აზნაურებს უფრო მფარველობდა, ხელს უნყობდა და ანინაურებდა, ვიდრე დიდგვაროვან არისტოკრატებს. ნანყენიდა გაბუტული დავით გერმანოზიშვილი შინაურებში რუსთა მოსვლის დღეს სწყევლიდა, გარეულებში კი ფრთხილად აღნიშნავდა: „რუსებმა ბევრი ქარგი მოგვიტანეს და ცუდიც შეგვძინესო“. ამის საბუთად აზნაურების და ვაჭრების მფარველობას და გათამამებას იმონმებდა. არც სოფლის მღვდლების ყმობიდან გათავისუფლება ეპიტნავებოდა. ყოველმხრივ თანაუგრძნობდა „შეყრილობის“ მოტრფიალე და „გაყრილობის“ მომდურავ თავადებს, რომელიც საკრებულოს არ ეკარებოდნენ და ნიახურთან გადახ-დოლ უკანასკნელ ბრძოლას სინაულით იგონებდნენ.

საკრებულოში უპირატესად ახალგაზრდა და შუახნის თავადები დადიოდნენ გასართობად და სალალობოდ.

საკრებულოს ერთდარბაზში ვოდევილების თეატრის ორკესტრი უქავდა, ოდესელი მუსიკოსის მარგოლინის დირიჟორობით. სხვა დარბაზებში ბანქოს თამამობდნენ ან მუსაიფით ერთობოდნენ. ერთ-ერთ დარბაზში კი შესანიშნავი ბუფეტი იყო გამართული. სწორედ აქ გრიგოლ ზანდაროვი ერთ ბრწყინვალე ბობოლასთან შინაურულად საუბრობდა. ხელში მაღალფეხიანი ორთომელი ეჭირა და გატაცებით ლაპარაკობდა. როცა დავით გერმანოზიშვილმა მათ მახლობლად გაიარა, მას ზანდაროვის ფრანგულად ლაპარაკი მოესმა. სახტად დარჩევილი ისეთნაირად შედგა, კაცს ეგონებოდა, მოსაუბრებს გვერდში ამოდგომას უპირებსო. ზანდაროვმა თავადს გადმოხედა, მაგრამ არავითა-რი ყურადღება არ მიაქცია. წყენის მაგიერ, თავადი პირველად გაიმსჭვალა მისდამი მოკრძალებული პატივისცემით.

მილიონერი ვიცე-გუბერნატორს დე-სიმონს ელაპარაკებოდა.

გრიგოლ ზანდაროვი და დავით გერმანოზიშვილი ერთმანეთს საერებულოში ხვდებოდნენ და თავის დაკვრით ესალმებოდნენ. თავადი მას მხოლოდ იმ დროს გამოელაპარაკა, როცა მეფისნაცვალმა ზანდაროვს იმპერატორის ახალი მედალიონი გადასცა.

ბედნიერ მილიონერს საერებულოში ყველანი ხელს ართმევდნენ და ახალ ჯილდოს ულოცავდნენ. დავით გერმანოზიშვილმაც მედიდურობა განზე გადასდო და ახლად გაცნობილ სოვდაგარს მონინებით „ხელმწიფური ჯილდო“ მოულოცა. ზანდაროვმა ახლა კი ხელი სტაცა თავადს და აღარ გაუშვა. ერთმანეთს გამოელაპარაკენენ და ქათინაურები უთხრეს. თანდათან დაახლოვდნენ და დამეგობრდნენ.

ერთ საღამოს ზანდაროვმა თავადს ქალალდის თამაში შესთავაზა. თავადმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. ზანდაროვმა მეგობრულად მოჰკიდა ხელი, შინაურულად გადაულაპარაკა:

— ნუ მომეროდებით, კნიაზო. თუ ხელზე ფული არა გაქვთ, მე აქ გახლავართ. ასი თუმანი გეყოფათ, რომ მავიდას შემოვუსხდეთ?

დავით გერმანოზიშვილს შერცხვა. ველარაფერი აწამა. უარის თქმა გაუძნელდა. დადებული აღთქმა დაარღვია და მწვანე მაგიდას ერთხელ კიდევ შემოუჯდა „ბედის გამოსაცდელად“. სათამაშო მაგიდის გარშემო ოთხი ისხდნენ: მილიონერი გრიგოლ ზანდაროვი, თავადი დავით გერმანოზიშვილი, სასამართლოს პროკურორის ახალგაზრდა თანაშემწე და ლიტერატორივით ჩაცმული შუახნის მამაკაცი, რომელიც არსად არ მსახურობდა და მხოლოდ ქალალდს თამაშობდა.

ქალალდი პროკურორის თანაშემწემ დაარიგა.

ბანკში სწრაფად დახვავდა ოქრო, ვერცხლიდა ასიგნაციები. სანთელივით გაყვითლებული პროკურორის თანაშემწე გაქვავებულივით იჯდა. ლიტერატორივით ჩაცმული სქელ-სქელი, სახელაუღაუა მამაკაცი გაბადრული იყურებოდა. ზანდაროვი იღიმებოდა. მან უდარდელად ასწია თავისი ქალალდის კუთხე. ჯვრის კიკო იყო. ესიამოვნა, მაგრამ არავის არაფერი არ შეამჩნევინა. მხოლოდ თავად გერმანოზიშვილს ანთებოდა თვალები. „ვა ბანკის“ დაყვირება უნდოდა და თავს იკავებდა. ემინოდა. უმნიშვნელო თანხა დაასახელა და მოიგო. ბანკი ზანდაროვმა მოხსნა. ქალალდს ახლა ლიტერატორივით ჩაცმული მამაკაცი არიგებდა. ჯვრის კიკომდაუყოვნებლივ გასცა დავით გერმანოზიშვილის მღელვარება. „ვა ბანკ“ დაიძახა და წააგო. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ უფრო დიდი თანხა წააგო ზანდაროვმა. იმ ღამეს მხოლოდ პროკურორის ახალგაზრდა თანაშემწე და ლიტერატორივით ჩაცმული შუახნის მამაკაცი იგებდნენ და მწვანე მაგიდობან ზედიზედ ხვეტდნენ ოქროს, ვერცხლს და ასიგნაციებს.

დავითი მთვრალივით წამოდგა ფეხზე. მხოლოდ ახლა გაახსენდა დისტვის მიცემული სიტყვა — არასოდეს მწვანე მაგიდას არ გაჰკარებოდა. შეცტუნდა.

გუნდებამლვრეულმა თავი იმითლა ინუგეშა, რომ მანანას მზითვის ნიგნის დასაწერად გადადებულ თანხას ერთი გროშიც არ აკლდებოდა. მან მხოლოდ ნასესხები ფული წაავო. ნასესხების გადახდას კი როგორმე მოახერხებდა. ასე ფიქრობდა ფულის წაგებით გაბრუებული თავადი, თუმცა ასი თუმნის შოვნა მისთვის ადვილი არ იყო.

უდარდელად მოლიმარმა ზანდაროვმა თავადს მკლავში ხელი გაუყარა, ჟუფეტში შეიყვანა და ქალბატონ ლაბიელის შამპანურით გაუმასპინძლდა.

მეზობელ დარბაზში ორკესტრი ვენურ ვალსს უკრავდა. გამხიარულებულ ზანდაროვს ლაპარაკის საღერღელი აეშალა:

— ესრეთ მუსიკას ვენაში უკრავენ. მშვენიერი ქალაქია, მხიარული, სიცილიანი. დროს გატარებაც კარგი იციან იქაურებმა. ეჭ, რა არ ვნახე, კნიაზო, რაარ განვიცადე. სად არ ვიყავი! პეტერბურგში, ვენაში, ბერლინში, პარიზში, გარსელში, სტამბოლში. ყველა ქალაქს თავისი შნო და ლაზათი აქვს, მაგრამ ჩვენი თბილის-ქალაქისთანა, მერნმუნეთ, არსად არ არის.

შამპანურით წახევრად გავსებული ორთომელი გატაცებით მოლაპარაკე მილიონერმა ხელში მოხდენილად შეათამაშა და განაგრძო:

— აქ დავიბადე, აქ ალვიზარდე, აქ გაუშალე ფრთები. ქალაქებს ქალაქის სიკეარული როგორ გაგვემტყუნება, როდესაც იმათაც უყვართ, ვინც აქ მოსულა და მტკვრის კენჭი გადაუყლაპავს! — თავადს მიუბრუნდა და სხვათა შორის ჰკითხა, — თქვენ საიდანლა ბრძანდებით, კნიაზო?

— ბერთუბნელი, — უხალისოდ უპასუხა დავით გერმანიზიშვილმა.

— არ ვიცი, არც გამიგონია. მე მარტო თელეთი და შავნაბადა ვიცი. ქალაქებს იქა გვაქვს სალოცავები. მიირთვით, კნიაზო, სანაქებო სასმელია. მადამ ლაბიელი ამიტომ გავამდიდრეთ ქალაქის დარდიმანდებმა.

დავითმა უგუნებოდ მოსეა შამპანური.

ზანდაროვმა ხელახლა შეავსო თავისი ორთომელი, მაღლა ასწია და დატრაბახა:

— კაცად ბიძაჩემმა, ფირუზა ზანდაროვმა გამხადა, მაგრამ მილიონერბას მე თვითონ ავულე ალლო, ლაზათიც პარიზელებმა მომცეს. ვინ მე და ვინ ბართლომე კურტანიძე!

დავითი გაჩუმებული უსმენდა. გრიგოლ ზანდაროვის ვინაობა მას არ აინტერესებდა, კიდევ უფრო წაკლებად — ის მდიდარი ალაფი, რომლის სახელი ზველას პირზე ეკერა და ყველა უცნაურად დამუნჯებულს და უცხვირპიროს რაღაცნაირის ათვალწუნებით ახსენებდა. თავადი უსიამოვნო ფიქრებით იყო გართული. წაგების გახსენება ტანში სცრიდა და სინდისი ქენჯნიდა.

ზანდაროვი მას ცალი თვალით აკეირდებოდა, მისი მოლუშული სახის ყურებით ტყბებოდა. გარეგნულად ეი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა გაფითრებულ თავადს, რომელსაც ხელში გრძელფეხა და განიერმუცლიანი ორთომელი ოდნავ უკანკალებდა. უყურებდა კანდელაბრების სანთლების ქრთმას მის ორთომელში და მომწვანო შამპანურის მოუსვენარ ლიცლიცს.

მხოლოდ დაკვირვებულ თვალს შეეძლო იმის მღელვარების აღმოჩენა, ვისაც ეს ორთომელი ეჭირა ხელში. ზანდაროვი სიცილით განაგრძობდა მდიდარი ალაფის, ბართლომე კურტანიძის მოუხეშავი გარევნობის და მისი სასაცილო სერთუების აღწერას. უცებ ლაპარაკი შენყვიტა და დავითს თანაგრძნობით ჰქონდა:

— რაზე მოიწყინეთ, ენიაზო?

დავითი დაიბნა. ასეთ კითხვას არ მოელოდა. პასუხის ერთბაშად გაცემა გაუჭირდა. დაღლილობა მოიმიზება.

— ჴო, აფიცირებს დიდი ჯაფა გადგათ, — თქვა ზანდაროვმა და კედლის დიდი საათისკენ გაიხედა, — ერიპა. შუალამე გადასულა! დრო არის საკრებულო დავტოვოთ.

დავითმა მორიდებით გაუბედა:

— როდის გავსწორდეთ, უფალო ზანდაროვო?

ზანდაროვმა გაკვირვებით შეხედა. თავი ისე დაიჭირა, თითქოს მისი ნათევამი არ ესმოდა.

— რა ბრძანეთ, ენიაზო?

— ვალზე მოგახსენებდით. თქვენი ასი თუმანი როდის მოგართვათ?

— როცა გნებავთ. ეგ რა საკითხავია?

დავითი ერთ ადგილზე იტკეპნებოდა და ისე ლაპარაკობდა:

— ცოტას დაგიგვინებთ. ვექსილი კი ეხლავე შეიძლება დავწეროთ. ვადაც დამინიშნეთ.

ზანდაროვმა დაუცლელი ორთომელი მარმარილოს მაგიდაზე დადგა, თავადს მიუბრუნდა და მეგობრულად უთხრა:

— უვექსილოდაც შეიძლება ერთმანეთს თავი დაუუკათ და ძილი ნებისა ვუსურვოთ, ენიაზო!

დავითმა მედიდური სახე მიიღო, მტკიცე გადაწყვეტილებით მოითხოვა:

— ვალი მაინც ვალია, უფალო ზანდაროვო. გთხოვთ, ეხლავე ვექსილი დასწეროთ და აქედან დამშვიდებული გამიშვათ.

„გათავებული კაცი ხარ, მაგრამ, გეტყობა კორობზუობას მაინც არ იშლი“, — გულში მწარედ დასცინა თავადს ზანდაროვმა. ხმამაღლა კი შეურაცხყოფილი ადამიანის კილოთი მიმართა, — მეგობრების ვექსილებს მე არა ვწერ. ამისთვის მოურავი მყავს. რაკი თქვენსას არ იშლით, ენიაზო, მე დავაწერინებ და თქვენ ხელი ჩაურთეთ.

— როდის გეახლოთ?

— როცა გნებავთ.

— ხვალვე თქვენს მოურავს ვინახულებ, ამ თვის ბოლომდე, ვეცდები, ვალიც ჩაგაბარით.

— ხვალ მაგისთვის ნუ გაირჯებით, ენიაზო. ხვალინდელი საღამოსთვის დიდი ნადიმი მაქვს დანიშნული. იმედი მაქვს, პატივს დამდებთ და მასია-მოვნებთ.

თავადი შეცოყმანდა.

ზანდაროვი მომწუსხველად უცურებდა მას, ბოლოს ისევ ორთომელი აიღო ხელში, შეათამაშა, დააცეკრდა და უფრო მნვანედ გალიცლიცებულ შამპანურს უთხრა, ვიდრე თავადს:

— ნადიმზე ბევრი დიდებაცი დაგხვდებათ.

თავადმა მდაბლად დაუკრა თავი.

ისინი საკრებულოს ნინ გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

გილიონერი თავის ეტლში ჩაჯდა. თავადმა ნიკოლოზის მოედანი გადაჭრა ჩადაძმარებულ-აღერლილი მძიმე ნაბიჯით აჟყვა მთაწმინდის ბნელ აღმართს.

#### 4. ნადიმის ციხე

განა დღეს ვინმეს აზრი გააჩნია? დღეს მხოლოდ  
ინტერესებით ცხოვრობენ.  
ონორე დე ბალზაკი

დოლით გრიგოლ ზანდაროვი გვიან ადგა. ზარი დარეკა და მოურავი მოხხმო. ნადიმის თადარივის ამბავი დაწვრილებით გამოჰკითხა. მერე თავად გერმანიზმის სახელზე ვექსილი დააწერინა და დაარიგა:

— ამასაც და სხვა ვალსაც, არმაკ ვართანიჩ, შენ მოუვლი. შენ იცი და იმ თავადმა. ამ საქმეში მე წუ გამრევ.

არმაკ ვართანიჩი ნათქვამის აზრს მყისვე მიხვდა. ზანდაროვი რატომდაც ხელს იბანდა, თავადის ბადეში გახვევას კი მას ავალებდა. ამიერიდან ყველა ვექსილი მას უნდა დაეწერა და თუ თავადი გულმავინყობას გამოიჩენდა, მასვე შეეხსენებინა. ზანდაროვი მხოლოდ მაშინ იტყოდა თავის სიტყვას, როცა საქმე სასამართლოზე მივიდოდა.

ზანდაროვმა მოურავს ისევ ნადიმი გაახსენა.

— აბა, შენიცი, არმაკ ვართანიჩ, ისეთი ნადიმი უნდა გამართო, რომ ქალაქს სალაშარა კო არ მოაკლდეს.

— არხეინად იყავი, გრიგოლ გიორგევიჩ! — მლიქვნელურად მოუგოპასკევიჩის დროს არზრუმიდან გადმოკარგულმა მოურავმა, რომელმაც ათნაირი ენა და ადამიანებთან ურთიერთობის ასნაირი ხერხი იცოდა, — მე ვიცი და ჩემმა მარიფათმა!

ზანდაროვს მონინებით თავი დაუკრა და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა. ძეირფას ბუხარულ ხალათში გამოწყობილმა გრიგოლმა მადიანად ისაუზმა. საათი გასინჯვა და იმ ოთახისკენ გაემართა, სადაც მას დალაქი უცდოდა.

— კუსპარას გაუმარჯოს!

— გაგიმარჯოს, გრიგოლვან! — თავი მდაბლად დაუკრა სულთანივით ჩაცმულ გრიგოლს დალაქმა, რომელმაც დიდი ხნის ნინათ (ეს აღარც ზანდა-

როვს ახსოვდა და აღარც დალაქს) დღევანდელ მილიონერს და ბატონებაცს გლახის ძმნებზე თავისი ჭუჭყიანი წინსაფარი შემოახვია და მაკრატლით გრძელი ნაწილი მოაჭრა.

ძველი ყომარბაზი სულმთლად გამოცვლილიყო. სულთად და კოპნიად ეცვა. გულდასმით გაპარსულს, ჩოფურაზე თეთრნითელი პუდრი წაეყარა, ქოჩორიც თივის ზვინივით აეყირავებინა, ლისზე ოქროს საათის იქროსავე ძენჯვი გარდიგარდმოდ გადაეკლაქნა და ბორხვენა თავისა და ულამაზო გარეგნობის მოუხედავად, რანტიეს ლირსებითა და ემაყოფილებით გამოყურებოდა. ეუკიელი დალაქი პარიზელ პარიკმახერად იყო გადაქცეული. პარიზული საპარიკმახერო ბალის ქუჩაზე ჰქონდა გახსნილი. აქედან უნევდა კონკურენციას ბლოტს, პელეტიეს და ფაგეს, რომლებთანაც წვერს მხოლოდ დიდებულები იპარსავდნენ.

კუსპარა დალაქმა მანქვა-გრეხით და უთავბოლო ყბედობით გაუსწორა სავარძელი თავის ყველაზე მდიდარ კლიენტს. ზანდაროვმა სარეეში თავის ორეულს ჯერ გაულიმა, მერე ჩაციებით დააცეკერდა და დააშტერდა. დავით გერმანოზიშვილთან შეხვედრის შემდეგ ეს მას უნებლივ ემართებოდა ხოლმე. გულდასმით აევირდებოდა და ათვალიერებდა ნაცნობ ორეულს, რომლის ლამაზ და მიმზიდველ პირისახეს მოხდენილად შერწყმოდა არისტოკრატული სინატიოფე. ზანდაროვი თანდათან რწმუნდებოდა, რომ თვითონ იგი, ათასნაირი დაევირვების მოუხედავად, ამაռდ ეძებდა გლეხუჭას ნატამალს სვებედნიერი მილიონერის გასხივოსნებულ გარეგნობაში. ეს მას ისევე უძნელდებოდა, როგორც საკუთარი ნათლობის სახელის გახსენება. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ მან არავითარი ეჭვი არ აღუძრა თავად დავით გერმანოზიშვილს. ეს სავსებით გასაგები იყო. ალბათ, ამ ლაქლაქით გართულ დალაქსაც გაუჭირდებოდა მასში ხელახლა დაენახა დაძონდილი გლახის დამფრთხალი სახე. დროც, ეტყობა, თავისას აერთებდა. აღარც ეს ჩოფურა დალაქი ჰგავდა იმ ჩათუქესან ყომარბაზს, რომელსაც ფირუზა დასცინოდა და ამასხარავებდა ხოლმე.

ზანდაროვმა ცალი წარბი კმაყოფილებით ასწია.

ის, რისიც მას ეშინოდა, მხოლოდ მან იცოდა, საკუთარი თავის გაცემას კი იგი არ აპირებდა.

კუსპარა დალაქს ყბედობა შეაწყვეტინა და გაეხუმრა:

— ბიჭი! ბლოტს და ფაგეს რომ ედრები, შენ მაგისი შნო ვინ მოგცა?

დალაქმა გაუცინა და ყველა დაჭიანებული კბილი ერთბაშად გადმოყარა:

— მაშ, რა ვენა, გრიგოლჯან! ახლომახლო ამდენი პარიკსკი პარიკმახერი ვის გაუგონია? მეც ფაგე ხანის ქუჩიდან თუ არ დავითრინე ან ბლოტს ცხვირი არ დავუნაყე, პური როგორლა ვჭამო? შენ, მოდი, ერთი ნახე, ჩემს ნაინატრად დახატულ დალაქსანაში რამდენი დიდი კაცი მიდის და მოდის!

ზანდაროვი ჩაფიქრდა. სერიოზულად წარმოთქვა:

— რას იფიქრებდა ფირუზა, თუ შენგან კაცი დადგებოდა?

— შენ ეგა თქვი და! — გაეცინა კუსპარას.

— კო, ანგარიში იმასაც ეძლებოდა.

— რას ამბობ, გრიგოლჯან, ანგარიშის დავთარს იმას ხელიდან ვინ გააგდებინებდა? მაგრამ ცხონებულმა ოფოფების აშვებაც კარგა მაგრად იცოდა. შენ არ გენყინოს, გრიგოლჯან, კარგად მახსოვს, შენც სულ ლაპუს გეძახდა და საცა ქუჩაში კაცს დაიჭერდა, ამას შესჩიოდა. მერე? განა არ მოტყუცდა?

— უსაბაბოდ ფირუზა ამას რათ იტყოდა? — ისევ სერიოზულად თქვა ზანდაროვმა, — რაც იმან მითხვა, ყველაფერი გამართლდა. გამოუცდელი ვიყავიდა ცხოვრებას იმ კუთხიდან არ ვუყურებდი, საიდანაც უნდა მეყურებინა. კაცად იმან მაქცია.

— მაშ! მაშ! — საჩქაროდ დაეთანხმა კუსპარა დალაქი და ცერით თვალიდან ცრემლი მოინმინდა, — იმისგან მეც ბევრი კარგი მახსოვს. ან როგორ დავივინყებ? — ისევ გამხიარულდა და სიცილით დასძინა, — ცარიელა ჭუა იყო, ეისაც თვალს დაადგამდა, აღარ გაახარებდა. მაგრამ სხვაც უნდა ვთქოთ, გრიგოლჯან! ვინმეს ომახიანი დაძახება და ფირუზას გაქცევა ერთი იყო, ვინ იცოდა „ლხინის პაპა“ სად იმალებოდა? ბოლოს სიყვითლეც იმიტომ დასწერდა.

ზანდაროვმა გაიცინა, მაგრამ აღარაფერი თქვა.

— გაამოს, გრიგოლჯან!

გრიგოლმა დალაქს ვერცხლის მანეთიანი გადაუგდო, გაისტუმრა და თავისი დიდი სახლის დარბაზები შემოიარა.

თეთრი ლიზა ეკლესიიდან ჯერ არ იყო დაბრუნებული.

ზანდაროვს მსახურებთან და მოახლეებთან ლაპარაკი არ უყვარდა, არ კადრულობდა. სამაგიეროდ, თეთრი ლიზა მათ ქორივით დასტრიალებდა თავზე. გამუდმებით ყვიროდა და ჩხებობდა. ყველას ყველაფერს უნუნებდა და რგოლზე აცმული გასაღებების ჩხარუნით ყველგან ცხვირს ჰყოფდა.

ზანდაროვმა ბალში ჩაისეირნა. დანაყილი ნითელი აგურით მოკირნყლულ გზას ტაატით გაჰყვა და ხეივნის ბოლოს მოულოდნელად ვახტანგ ტაშირელს შეეჩინა. ზანდაროვს გულნრფელად გაუხარდა მისი ნახვა. ჩვეულებრივ თავ-დაჭერილმა, მოსკოველი აზნაური დიდი სალამ-ქალამით მოიკითხა.

— ვახტანგს გაუმარჯოს! რასა იქმ? როგორა ხარ? რატომ აღარ გამოჩინდი, კაცო?

ზანდაროვს რალაცნაირად უყვარდა, თვითონაც არ იცოდა, რატომ და რისთვის, პატიოსანი და მოკრძალებული ვახტანგ ტაშირელი. სამაგიეროდ, ტაშირელს არ უყვარდა ზანდაროვი. ოლონდ გარეგნულად ამას არახოდეს არ გამოხატავდა. ახლაც ზრდილობიანად მიესალმა და თავაზიანად მოიკითხა:

— გმადლობთ, უფალო გრიგოლ. ჩემის მხრივ ვიმედოვნებ, თქვენს კარგად ყოფნას.

— მოდი, მოდი, ვახტანგჯან, აქ დავსხდეთ და ძველებურად ვიჭუქჭუეთ.

მწვანედ შეღებილ ხის გრძელზურგიან სკამზე ჩამოსხდნენ.

— როგორ მიდის შენი მასწავლებლობის საქმე, ვახტანგჯან?

ვახტანგ ტაშირელი გიმნაზიაში ბუნებისმეტყველებას ასწავლიდა.

- გმადლობთ, სამდურავი არაფერი მაქვს.
- ბარაქალა! ბარაქალა! შუშანიკი როგორლა არის თავისი დიდობის შეილებით?

ტაშირელი შუშანიკი მამრაძის ქალ-ვაჟს ფრანგულს ასწავლიდა, მათ-თან შინ დაიარებოდა და მათ ოჯახთან დაახლოებული იყო. ზანდაროვმა ეს კარგად იცოდა, რადგან ტაშირელი მისი თაოსნობით და რჩევით მოენცო მასნავლებლად მამრაძიანთ ოჯახში.

- გმადლობთ, გმადლობთ. დედა, მოგეხსენებათ, ჭევიანი მანდილოსანი გახლავთ და შეილებიც კარგად არიან აღზრდილნი.

ზანდაროვი ჩაფიქრდა.

- შუშანიკითავის დროზე ლამაზი ქალი იყო, ეშხიანი და შუშპარა. სანყალი დარდმა და ცხოვრების ვაი-ვაგლახმა გაათეთრა.

ტაშირელს შუშანიკის „შებრალება“ არ ესიამოვნა, ზანდაროვს უკმერხად შეანუკეტინა სიტყვა.

— ვვონებ, უფალო გრიგოლ, შუშანიკისთანა ქალს „სანყლად“ მოხსენიება არ სჭირდება. ამნაირი მტკიცე ხასიათის, ვამრჯე და პირდაპირი ადამიანი იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში. ამ გულკეთილ მანდილოსანს არა მარტო თავი და ოჯახი აგონდება, შვილებს გარდა სხვებსაც პატრონობს.

— მართალია, — დაეთანხმა ზანდაროვი, — მავნაირს ქალს ცხოვრებაში არ ვაუჭირდება. ჭკუაც კარგად უჭრის. მაგრამ არ ვიცი, ლარიბებს რას დას-დევს და რა სწადიან? მელქო ფერშანგოვს სრულებით არა ჰგავს. არც ფულს უფრთხილდება და არც ჯანს. ლარიბებს მავ სუსტმა ქალმა უნდა უშველოს? ამათი შველა ღმერთს არ უნდა, ფერშანგოვის ქალი რას გახდება?

ტაშირელმა ხმა არ ამოილო. გამოცდილებით იცოდა ზანდაროვთან კამა-თის უსარგებლობა. თავდახრილი უსმენდა და იმით იყო გაეკირვებული, რომ ზანდაროვის ღრმა რნმენით, ღმერთი მდიდართა მხარეზე იყო და ლარიბთა შველა არ აგონდებოდა.

ზანდაროვმა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ვახტანგ ტაშირელი. უმიზეზოდ ის მის სახლში არ მოდიოდა. ან ვინმე გაჭირვებულს ავედრებდა, ან ვიღაც ლარიბი და ნიჭიერი მონაფისათვის ყოველთვიური თანხის დანიშვნას სთხოვდა. თუ ზანდაროვი კარგ გუნებაზე იყო, რამდენიმე გროშს იმეტებდა, თუ ცუდ გუნებაზე გახლდათ, უარით ისტუმრებდა.

ტაშირელმა შორიდან მორიდებით დაინტე:

— დრონი იცვლებიან, უფალო გრიგოლ. დღევანდელი დღე გუშინდელს ალარა ჰგავს. საზოგადოება ნინ მიდის. ბევრი მოთხოვნილება უჩნდება და განათლებულნი ნევრნი საზოგადოებისა მისი დაქმაყოფილებისათვის ზრუ-ნავენ. ჩვენ რატომ უნდა ჩამოვრჩეთ?

„ვინ ჩვენ“, — გაიფიქრა ზანდაროვმა და იმის მიხვედრას ცდილობდა, თუ ვახტანგ ტაშირელს რა ალაპარაკებდა და რას უმიზნებდა.

ტაშირელმა ენის ბორძისით განაგრძო:

— თითქოს ყველაფერი გვაქვს... სკოლაც, თეატრიც, გაზეთიც, მაგრამ ესენი ქართულადაც უნდა გვქონდეს. თუ ენას არ გავუფრთხილდებით და არ შეეძინახავთ, ჩვენს გადაგვარებას და ჩვენი სახელის ამოვარდნას წინ არაფერი დაუდგება.

ზანდაროვმა გაკვირვებით დაახამხამა თვალები. ტაშირელის ლაპარაკი გისხევის სულ უფრო და უფრო გაუგებარი ხდებოდა, მაგრამ რაღაც უფრო გასვები აზრის მოლოდინში სიტყვას არ აწყვეტინებდა და ყურადღებით უსმენდა.

ტაშირელი მალე მიხვდა, რომ გრძლად ლაპარაკს ისევ მოკლედ მოჭრა სჯობდა:

— უფალო გრიგოლ! განათლების ტრფიალმა ქართველებმა ქართული გაზეთის დაარსება გადავწყვიტეთ. ეს აზრი ბევრმა მოგვინონა, მაგრამ ამ აზრის სინამდვილედ გადაქცევას შემწეობა და დახმარება ესაჭიროება. მოვილაპარაკეთ და დავადგინეთ, შემწეობისათვის შეძლებულ ქართველ თავადებს და ვაჭრებს მივმართოთ, საჭირო თანხა დიდის მოკრძალებით გთხოვთ. ზოგმა ცოტაოდენი მოგვცა, ზოგმა გვანუგება და დაპირებით გამოგვისტუმრა, ზოგმაც ცივი უარი გვითხრა. ბართლომე კურტანიძემ კი ზედაც არ შემოგვხედა, არც კრინტი დასძრა, ზურგი შემოგვაქცია, გატრიალ-და და განბილებული დაგვტოვა, — ზანდაროვს გაცინება უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა. ტაშირელს არც ახლა შეანუვეტინა სიტყვა, — რაკიის მდიდარი ქართველი ვაჭარი ასეთნაირად მოგვექცა, სხვებმა თქვენთან მოსვლაზე უარი თქვეს და ლამის არის ამ კეთილ განზრახვაზე ხელი აიღონ. მე ჩემით გეახელით, უფალო გრიგოლ. კადნიერებით უმორჩილესად იმასვე გთხოვთ, რაც სხვებსა ვსთხოვეთ.

ზანდაროვმა მხოლოდ ახლა დაარღვია დუმილი:

— რით შემიძლია გემსახუროთ, ვახტანგჯან?

— მცირედის თანხის გალებით. თუ ამ გზით საჭირო ფული არ შევაგროვეთ, ისე გაზეთს ვერ დავბეჭდავთ.

ზანდაროვი გაზეთს არ კითხულობდა. მისი გაზეთი ქარვასლა და საკრებულო იყო. ახალ ამბებს იქ გებულობდა. მიუხედავად ამისა, ოფიციალურ (მისი სიტყვით „ხელმწიფის“) რუსულ გაზეთს პატივისცემით ეპყრობოდა, რადგან თბილისის დიდკაცებთან ერთად აქ მის გვარსაც ახსენებდნენ.

გაევირვებით ნარმოთქვა:

— გაზეთს ხელმწიფის ხალხი ბეჭდავს, ჩვენ ხელმწიფეს წინ რათ უნდა დაუდგეთ?

ტაშირელმა გულმოდგინედ განუმარტა:

— ყოველს განათლებულ ქვეყანაში, უფალო გრიგოლ, გაზეთი კერძო თაოსნობითაც იბეჭდება.

— მერე ეგ გაზეთი ვინ უნდა ნაიკითხოს?

— ქართველებმა, აკი მოგახსენეთ.

— კაცო, ქართველებს გაზეთი რათ სჭირდებათ?

ეს ზანდაროვმა არც გაჯავრებით თქვა, არც ხუმრობით, ამით უფრო თავისი გულწრფელი გაოცება გამოხატა, მაგრამ ნანყენმა ტაშირელმა მყისვე ამაყად დაუბრუნა:

— ხალხში განათლების და ცოდნის შესატანად.

ზანდაროვმა გაიცინა:

— იცი, რა გითხრა, ვახტანგჯან! ხალხის განათლება მღვდლების საქმეა. ხალხს გაზეთი რათ უნდა და ისიც ქართულად? რაც უფრო მეტს გაიგებენ, მით უფრო გაყოყოჩდებიან. ხელმწიფესაც მტერი გაუმრავლდება და მდიდრებსაც. ჩემი ჭკუა ამას მეუბნება და ამაზრიდან, ძალიანაც რომ შემეხვენო, ფეხს არ მოვიცვლი.

ტაშირელი ჯერ გაფითრდა, მერე ალმურმა აპერა სახეზე. აქ მოსვლა ერთხელ კიდევ ინანა. ფეხზე წამოდგა და ზანდაროვს თითქმის ზიზღით გადმოუგდო:

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, უფალო ზანდაროვო!

— მშვიდობით იყავი, ვახტანგჯან!

ალერსიანად დაუბრუნა ზანდაროვმა. მას პირველად არ მოსდიოდა უსიამოვნოლაპარაკი ტაშირელთან, მაგრამ ახლაც, როგორც ყოველთვის, რაღაც ნაირად სწყინდა, რომ მისი ყოფილი თარჯიმანი გულდაწყვეტილი მიდიოდა მისგან, თვითონ კი მისი უკმაყოფილების მიზეზს ეძებდა და ვერ პოულობდა.

მან სიბრალულით დაადევნა თვალი ალაყაფისაკენ მიმავალ ტაშირელს. ებრალებოდა, რადგან ეს პატიოსანი, გულმართალი და მიამიტი მამაკაცი განწირულად მიაჩნდა. შველით კი ვერაფერს უშველიდა. ცხოვრების დუღილს იმ კუთხიდან ვერ დაანახვებდა, საიდანაც თვითონ უყურებდა.

ზანდაროვმა ბუხარული ხალათის მხარზე ჩამოვარდნილი ხმელი ფოთოლი ხელის ნელი მოძრაობით გადაიგდო, ცოტათი გაჯავრებული ადგა სკამიდან და სახლისაკენ გაემართა.

ნელ-ნელა აპყვა მარმარილოს მძიმე კიბეს. რომელილაც ოთახიდან ყვირილი მოესმა. თეთრი ლიზა მოახლეს ეჩუბებოდა. ზანდაროვმა ხელი ჩაიქნა და გზა განაგრძო.

ცოტა ხნის შემდევ მისი ხალვათხანის კარი მოწინებით შეაღეს სასამართლოს პროკურორის ახალგაზრდა თანაშემწემ და ლიტერატორივით ჩაცმულმა შუახნის მამაკაცმა.

— იმ ვაჭარს, — ეუბნებოდა პროკურორის თანაშემწე ზანდაროვს, — ქონების ნახევარს აუნერენ, თუ ძალიან გაჯიუტდა, უარესი დაემართება, სასამართლოს ხარჯებში ჩაეფლობა და ვეღარ ამოვა.

პროკურორის თანაშემწეს ზანდაროვმა თავის დაკვრით მოუწონა საქმის კეთილად დამთავრება.

ლიტერატორივით ჩაცმულმა შუახნის კაცმა ზანდაროვს დაწვრილებით მოახსენა, სად, როდის, ვისგან ან რა ჰქონდა გაგონილი და მახვილი ყურით

აქეუფილი. ისიც უთხრა, თუ რომელ ვაჭარს საიდან რა საქონელი მოეტანა ან რა ფასს სდებდა.

გონინების ნიშნად ზანდაროვი მასაც თავს უქნევდა.

უცემ ლიტერატორივით ჩაცმული კაცი შეჩევიფდა, ხმას უფრო დაუმდაბლა:

— გარტო ბართლომე კურტანიძეს ვერასგზით ვერ მივუდექით, თორემ სხვებიდაჭერილები გვყავს. ამ კაცს ვერც ასავალი გავუგეთ, ვერც დასავალი. მაგრამ მაგასაც რამეს მოვუხერხებთ. მართლა, ბატონო ზანდაროვ! მეფისნაცვლის კანცელარიაში თქვენი ნადიმის გამო იყო სჯა-ბაასი. ჩემმა ნაცნობმა გოხელემ მითხრა, თუ როგორის აღტაცებით ლაპარაკობდნენ თქვენზე ერთ-განეთთან ბატონი საფონოვი და ბატონი სჩასტლივცევი.

ზანდაროვმა მხოლოდ ორი სიტყვა გაიმეტა:

— ბარაქალა! ბარაქალა!

კროკურორის ახალგაზრდა თანაშემნეს მიუბრუნდა და გაახსენა:

— მთავარი მაინც გამოგრჩათ, ბატონო პროკურორო!

კროკურორის თანაშემნემ დამუნჯებული პირი გააღო და ზანდაროვს სხაპასხუპით მიაყარა:

— დამშეიდებული ბრძანდებოდეთ, ბატონო ზანდაროვ! იმ თავადს მწვანე მაგიდას აღარ მოვამორებთ, — შეყოყმანდა და დასძინა, — თუ, რა თქმაუნდა, ფული არ შემოაკლდა.

— ფული ყოველთვის ექნება, — ნარბის დიდმინიშვნელოვანი ანევით უპასუხა ზანდაროვმა, — ოღონდ ამ საქმეში მე აღარ გავერევი. თქვენ იცით და იმ თავადმა. ნუხელ პირველად და უკანასკნელად ვითამაშე ქალალდი.

ორთავემ მორჩილად დაუქნია თავი. ორთავემ სწრაფად გაიგო დავალების აზრიც და მიზანიც.

ზანდაროვმა პატარა გასაღებით მოზრდილი ყუთი გააღო, თავის მსტოვრებს სქლად დაკეცილი ლურჯი ასიგნაციები გაუნოდა და გამოთხოვების ნიშნად, ფანჯრებისკენ მიტრიალდა.

## 5. ნადიმი

ეინ გადარჩა ისეთი, ვისაც სადილ-ვახშმებით არ უკრავდნენ პირსა.

ა. გრიბოედოვი, „ვაი ჭკუისაგან“

ხალვათხანაში განმარტოებული გრიგოლ ზანდაროვი ბოლთის ცემას შეუდგა. გამუდმებით მანანა გერმანოზიშვილზე ფიქრობდა, რაღაც აზრს ეჭიდებოდა და ეს აზრი ხან მიუნვდომლად ეჩვენებოდა, ხან სავსებით შესაძლებლად. ხან უსიამოვნოდ იღუშებოდა, ხან ბიჭივით იღიმებოდა.

ქალაქში შუადღის ზარბაზანი გავარდა. ზანდაროვმა თათარიახნად წაიხემსა და ნასადილევმა გემრიელად გამოიძინა.

სალაში ხანზე კი ნადიმის პირველ სტუმრებს მიეგება.

ზანდაროვი ყველა სტუმარს ერთნაირად არ ეგებებოდა. ერთმანეთისაგან მათ თავის დაკერით ასხვაებდა. ზემოურებთან ქედდადოეკილი, ქვემოურებს თავს ოდნავ უკრავდა და მთელ თავის ლირსებას მხოლოდ მათთან ინარჩუნებდა.

დიდი აღმაფრენით მაინცდამაინც არც თავად დავით გერმანოზიშვილს შეგებებია.

აღზევებულის და დამხობილის ფასი სოვდაგარმა კარგად იცოდა.

დავით გერმანოზიშვილმა მასპინძელს ვერაფერი შეატყო, რადგან ირგვლივ განცვილურებული იყურებოდა და თვალებს არ უჯერებდა. ამდენი ბრნუნვალე და გამოჩენილი პიროვნება მხოლოდ მეფისნაცვლის მეჯლისებზე და რაუტებზე ენახა.

სოვდაგრის ნადიმზე თავადი იმათ ხვდებოდა, ვის გამოჩენასაც აქ არ მოელოდა და ვერც ნარმოიდგენდა.

დიდ დარბაზში, სადაც ორკესტრი მარგოლინის დირიჟორობით ცეცხლოვან მარშს ასრულებდა, გენერლებსაც მოჰკრა თვალი. ისინი ისე კმაყოფილნი გამოიყურებოდნენ, თითქოს მეფისნაცვლის მეჯლისზე ყოფილიყვნენ.

გენერალ-ლეიტენანტ ფონ კლუგენაუს და გენერალ-მაიორ ესპეხოს შუაში ჩაეყენებინათ კნეინა გოსტაშაბიშვილი და ქათინაურებით ესაუბრებოდნენ მას. ცალკე იდგნენ და მხიარულად საუბრობდნენ კავკასიელი გენერლები: აბუმესლიმ ხანი, სულთან აზამატ გირეი, თავადი ივანე მალხაზის ძე ანდრი-ნიკოვი და გენერალ-მაიორი კონო მარგიანი. მათ უკვე მიეღწიათ იმისთვის, რის მილნევასაც თავად დავით გერმანოზიშვილი, კავალერიის უბრალო ოფიცერი, ამაოდ ცდილობდა.

დავით გერმანოზიშვილმა მდაბლად დაუკრა თავი თბილისის ეგერთა პოლკის სარდალს ვოლოცების, რომელიც რაღაცაზე გატაცებით ელაპარაკებოდა ქართულ გრენადერთა პოლკის სარდალს, პოლკოვნიკ დებუს და ერევნის კარაბინერთა პოლკის სარდალს, პოლკოვნიკ ბელგრადს.

დავითმა კისერი წაიგრძელა.

დიპლომატიური კანცელარიის მმართველი ლელლი შეფრთინვით შესცემოდა ვილაც ლამაზსა და ახოვან ქალს, რომლის გვერდით დიდცხვირიანი და სასაცილო სერთუკში გამოწყობილი მოხუცი იდგა (დავითი არ იცნობდა მაკო კურტანიძეს). მოურიდებელ არშიყს მოურიდებელი სიცილით აქეზებდნენ საგანგებო მინდობილობათა მოხელენი კრუზენშტერნი და რიზო.

გაოგნებული თავადი გენერლებს და ბობოლებს შორიდან უყურებდა და გაკვირვებული აყოლებდა თვალს გენერალ-ლეიტენანტების — ლადინსკისა და რეუტის ცეკვას ირცის უხოვის პანსიონში აღზრდილ „ვაჭრის გომბიოებთან“.

როცა დავითი გრიგოლ ზანდაროვის ნადიმზე მოდიოდა, იგი წყალობად თვლიდა თავადის მხრივ სოვდაგრისადმი ყურადღების გამოჩენას და პატივის

გადებას. მაგრამ უცირად ბრნყინვალე გენერლებში მოხვედრილი ისეთნაირად დასატარავდა, რომ საკუთარი თავი თვითონვე შეეცოდა. თავისი სამხედრო წოდებით იგი უფრო დაბლა იდგა, ვიდრე ბატალიონის კომანდირები — პოდოლეოვნიკები ეგაძე და ფონ დისტერლო.

გრიგოლ ზანდაროვი მასპინძლურად მუსაიფობდა გუბერნატორ ერმოლოვთან და რაღაცას გაცხარებით უმტკიცებდა თავად გრიგოლ ბებუთოვს. იქვე ჩუმად იდგა და საუბარში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა მთავარი სამართველოს კანცელარიის საქმეთა გამგებელი, კოლეჟსკი სოვეტნიკი დომიტრი ყიფიანი.

ვის არ უყურებდა და ხედავდა თავადი დავით გერმანოზიშვილი სოვდა-გრის ნადიმზე!

აგერ, სახაზინო პალატის თავმჯდომარე ნაზაროვი, გუბერნიის მოლარე იუსნოვსკი, გუბერნიის კონტროლიორი დრობიაზგინი, სახელმწიფო პალატის ქონებათა მრჩეველი ძიუბენკო, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ქსავერი დუნინი და ვიცე-თავმჯდომარე ვილჰელმ ბერი. ყველა ეს პიროვნება სასარგებლო და გამოსადეგი უნდა ყოფილიყო ბატონ ზანდაროვისთვის, ისევე, როგორც, მაგალითად, გუბერნიის სააღმშენებლო სამუშაოთა უფროსი ინუინერ-პოლკოვნიკი სონინი და თბილისის პოლიციასტერი შოსტაკი. ზანდაროვს დაპატიუებული ჰყავდა ქალაქის გამგებლებიც და განთქმული ვაჭრებიც, ნადიმზე იმყოფებოდნენ ქალაქის თავი მოსე ტერ-გრიქუროვი და ქალაქის მამები: ამირალოვი, მირიმანოვი, ასტვაცატუროვი, ფირანოვი, თამაზოვი, პატკანოვი და არვანოვი.

სოვდაგრის ნადიმზე ერთობოდნენ თავადებიც, გენერლებიც, ბობოლა მოხელენიც და ვაჭრებიც.

განუნყვეტლივ გაისმოდა მოცეკვავეთა ფეხების ბაკუნი. დეზების ნკრიალი, კაბების შრიალი, კისკისი, სიცილი და მხიარული ურიამული.

მხოლოდ თავადი დავით გერმანოზიშვილი იდგა განმარტოებით. შუბლშეკრული, ამღვრეული, შურით და ზიზღით პირგაშავებული.

მას თავადმა ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილმა წავლო ხელი, განზე გაიყვანა და აღშფოთებით უთხრა:

- ვერ უყურებ, რა ყოფაშია ეგ მამაძალლი?
- ვინა?

ვერ გაიგო გერმანოზიშვილმა.

— ვინა და, ვეუო, უფალი ზანდაროვი. ვერ უყურებ, რანაირად დარდიმანდობს! ან ჩვენი თავადები რაღამ გააგიუა? მაგ მდაბიოს როგორ უყადრებენ თავსა! ერიპა! — ამოიგმინა თავადმა, — ჩვენ მივდივართ და ეგენი მოდიან!

— მანამდე მტკვარში ბევრი ნყალი ჩაივლის, სანამ ეგენი ჩვენს ადგილს დაიჭერენ. გული რამ გაგიტეხათ, თავადო? — უსაყვედურა დავით გერმანოზიშვილმა ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილს.

თვითონ ყველაზე მეტად იყო გულგატებილი, მაგრამ ეს მას ხელს არ უძღვდა ვაჭრებზე დაცინვით და ნიკომით ელაპარაკა:

— ამათ უნდა დაიჭირონ ჩვენი ადგილი? რასა ბრძანებო, თავადო? ეგ აზრად როგორ მოგივიდათ? ამ უსირცხვილო თაღლითებმა და ყალთაბანდებმა? ამ ლორებივით დასუქებულმა და ოქროთი გატენილმა ვიგინდარებმა? ფიც!

ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილი თავზალუნული უსმენდა რისხვით ანთებულ თავადს. ერთხანს სდუმდა, მერე გარშემო ფრთხილად მიიხედ-მოიხედა და ჩურჩულით გაანდო გულისნადები ბრაზით აბრიალებულ თავადს:

— მაგათ რომ მფარველები არა ჰყავდეთ, არც ეგრე გათამამდებოდნენ, — ანდუყაფარმა კიდევ უფრო დაუდაბლა ხმას, — ბოლმა მახრჩიბს, როცა ქართველები ვარანცოვს აქებენ და მამას ეძახიან. ვეუო, გრაფი მამობას კი არა, მამინაცვლობას გვიწევს, მამის სული ნუ ნამინყდება. ვანა „პრიუაზი“ ჩვენს დასალუპად არ მოიგონა? ვითომც ჩვენც გვეიდებს ხელს, მაგრამ მაგათ უფრო მფარველობს, მაგათ კენ არის. ეგ ლანირაკი სოვდაგარი თავის მეჯლისზერთმ არ შეეშვა, არც თავადნი გავიკარებდით ახლოს.

ამასვე ფიქრობდა დავით გერმანიზიშვილი და ხნიერ თავადს თავის ქნევით ეთანხმებოდა.

— ვეუო, გრაფი გვიმტკიცებს, — განაგრძობდა ანდუყაფარი, — ეხლა სულ სხვა დროება არისო, ნულარც ერმოლავს მოვიგონებთ, ნულარც პასკევიჩსო. ანგლიჩანებს ვუყუროთ და იმათებრ მოვიქცეთო. თამამშევი თეატრს უშენებს ქარვასლაში, ზანდაროვი თავადებს და გენერლებს შინაურ მეჯლისებს უმართავს. ამით უნდა ჩვენი მოღორება? ვეუო, მაგ ბებერმა მელამ ჭკუით უნდა მოგვიგოს?

თავადი გოსტაშაბიშვილი ჩურჩულით ლაპარაკობდა. მოუხედავად ამისა, ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფილი ემისარი დაფრთხა, ახლო მყოფთ იჭვნეულად გადახედა. სწორედ ამ დროს ახლად მოსულ თავადა ზნაურთა მარშალს გენერალ-მაიორ თავად დიმიტრი თომას ძე ჯამბაკურ-ორბელიანს მოჰკრა თვალი.

თავადმა ვეღარ მოითმინა, ხელები გაასავსა და ხმამალლა დააბუხუნა:

— ვეუო, ვერ უყურებ?! სოვდაგარს მარშალიც თავს უკრავს!

დავითმაც გაკვირვებით აიჩეჩა მხრები, მაგრამ შინაგანად კიდევ უფრო დაპატარავდა.

ახლა მან დანამდვილებით იცოდა, რომ თავისი მოსვლით თუ მოუსვლებლობით ზანდაროვის ნადიმს არც არაფერს მოუმატებდა და არც არაფერს მოაქლებდა.

პირიქით, მადლობა თავადს მართებდა და არა სოვდაგარს. ზანდაროვის წყალობით იგი ისეთ ბრწყინვალე სტუმრებს შორის აღმოჩნდა, რომელნიც მას არ იცნობდნენ, არამრნევდნენან ქედმალლური გამომეტყველებით ძლიერ იმეტებდნენ სალამს.

ერთმანეთთან მოსაუბრე ანდუყაფარმა და დავითმა უეცრად ამტყდარ  
შეჩერდს და შეკავებულ სიცილს მიაქციეს ყურადღება.

დარბაზში თეთრი ლიზა გამოჩნდა.

— ვეუო, ერთი ამ თოჯინას უყურეთ! — შესძახა გამხიარულებულმა ან-  
დუყაფარმა.

დავითს მოღრუბლული შუბლი გაეხსნა და გამოდარებულმა გულიანად  
გაიცინა:

— მდიდარი ვაჭრის დედა იქნება, თვალ-მარგალიტზე ეტყობა.

— სწორედ შენიშვნეთ, თავადო, სასახლის ქალბატონი გახლავთ! — განუ-  
გარტა დავითს ანდუყაფარმა.

თავმოყვარე ზანდაროვმა ენაზე იკბინა.

თეთრი ლიზა ვეება ტიკინასავით მოძრაობდა დარბაზში.

არლის ჩიტივით აჭრელებული ნირშეუშლელად მობაჯბაჯებდა.

ხელებზე თეთრი, თითებნაჭრილი გრძელი ხელთამანები ეცვა, ყელზე  
უშველებელი ბოინბალი ეკეთა და ნაირ-ნაირ ძვირფას თვლებსა და ალმასებში  
სე იჯდა, როგორც მარგალიტის თვალი — ბეჭედში. სარგადაყლაპულივით  
გაშეშებულს სიარული უჭირდა. გამხდარი და დამჭკნარი შავი სახე ფერ-უმარი-  
ლით გაეთხეპნა. ყალბი დალალები მხრებამდე სწვდებოდა, ხოლო დაბასმული  
ლეჩაქი — ფეხის კოჭებამდე. მარაოს ქნევით მოდიოდა და ნაცნობს და უცნობს  
თავს უკრავდა, თან ათასი თვალის დამცინავილიმილი მისდევდა, მაგრამ მედი-  
დურად თავანეული და ალერსიანად მოღიმარი თეთრი ლიზა ამას ვერ ამჩნევდა.

ანდუყაფარმა თავი გადაიქნ-გადმოიქნია, ბოლმანარევი კილოთი წარმო-  
თქვა:

— ჰაი გიდი! ვინ იცის, ერთ დროს მაგ ბრიყვა დედაკაცს ფეხინაცარში ედგა  
და ჯამ-ჭურჭლის რეცხვაში სული ამოსდიოდა. ეხლა ვერ უყურებ, რანაირად  
ითხლოშება!

თეთრი ლიზა მაიკო კურტანიძესთან მივიდა და გვერდში ამოუდგა. ის  
ლამაზიდაახოვანი ქალი მეორედ მოხვდა თვალში დავითს. იმის თაფლისფერ  
თვალებს აღტაცებით მიაცქერდა და ისეთი შეფრფინვა გამოეხატა სახეზე,  
რომ მისკენ მომავალი ზანდაროვისთვის მყისვე გასაგები გახდა თავადის  
გულის იდუმალი მოძრაობა; იქედნურად ჩაიღიმა, რაღაც აზრით გართულმა  
კიდევ უფრო მეტის ყურადღებით შეათვალიერა გახუნებული თავადი და გა-  
ბრნყინებული მაიკო კურტანიძე. მერე ხელები გაშალა და პირზე დაკერებული  
ლიმილით თავადს მიუახლოვდა:

— ხომ არ მოიწყინეთ, ქნიაზო?

— რასა ბრძანებთ, უფალო ზანდაროვო. არ მეგონა, თუ ასეთს კმაყოფი-  
ლებას მივიღებდი, — გულწრფელად წამოიძახა დავითმა, რომელსაც ისევ  
მოუშორებლად ედგანინ იმ ლამაზიდაახოვანი ქალის თაფლისფერი თვალები.

ანდუყაფარმა კაბის ყოშები დიდეაცურად გადაიგდო მხრებზე და თავა-  
დაზნაურთა მარშლისაკენ ბურტყუნით გაემართა. ზანდაროვს ის ვერ იტანდა

და მის ნადიმზე მხოლოდ იმიტომ იმყოფებოდა, რომ ასე სურდა მის სკულიერ მეუღლეს.

— ბედნიერად ვრაცხ თავსა, რომ კმაყოფილსა გხედავთ, კნიზო!

ზანდაროვმა დავით გერმანზიშვილს უფრო მდაბლად დაუკრა თავი, ვიდრე პირველი მისალმების დროს.

თავადს ვალი მოაგონდა.

ზანდაროვს თავადურად გაახსენა წუხანდელი პირობა.

— თქვენს მოურავს ვერსად შევხვდი, უფალო ზანდაროვო. უხერხულად ნუ მაგრძნობინებთ თავსა, გთხოვთ მოურავი მაჩვენოთ.

ზანდაროვმა საჩქაროდ მოუჭრა:

— რა საჭიროა, კნიაზო? ამაღამ ნადიმი გვაქვს, ვალზე ნუ ვილაპარაკებთ.

— უამისოდ ლუკმასაც ვერ ჩავიდებ პირში.

— რა გაენყობა, კნიაზო! თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, — მცირე ყოყმანის შემდეგ ნანყენის კილოთი უპასუხა ზანდაროვმა, — როგორც თქვენ გესია-მოვნებათ, კნიაზო, ისე მოვიქცეთ. გთხოვთ ჩემს ხალვათხანაში მობრძანდეთ.

ხალვათხანაში ზანდაროვს კნეინა გოსტაშაბიშვილი უცდიდა. ერთი წუთის ნინ მისმა საყვარელმა რაღაც მოისაბაბა და იქ დასტოვა, რათა თვითონ დიდ დარბაზში სტუმრებს შორის დავით გერმანზიშვილი ეპოვა. მაგდა არხეინად იჯდა სავარძელში და მარაოთი ივრილებდა სახეს. როცა ზანდაროვი თავად გერმანზიშვილის თანხლებით ხალვათხანაში გამოჩნდა, კნეინა შეკრთა, ნამონითლდა, თავის შორეულ ნათესავს დაბნეულად მიესალმა, ბოლოს სავარძლიდან ნამოდგომა როგორლაც მოახერხა და მოიბოდიშა:

— მომიტევეთ, უფალო ზანდაროვ, რომ თქვენს ხალვათხანაში დაუკითხავად, ცოტა ხნით დასასვენებლად შემოვედი.

ზანდაროვმა თავი ზრდილობიანად მოუდრიკა.

— ამაღამ ჩემი სახლის ყველა კარი, ძვირფასო კნეინა, სტუმრებისათვის არის გაღებული.

ხალვათხანის კართან ანითლებულ კნეინას არშაკ ვართანიჩმა მოწინებით დაუთმო გზა. დავითი ყველაფერს მიხვდა. გაფითრებულმა მოაწერა ხელი ვექსილს. ლაპარაკის დრო არ იყო. ზანდაროვს თავი დაუკრა და ხალვათხანდან გავარდა. ბატონმა და მოურავმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ არც არაფერი თქვეს, არც გაიცინეს.

თავისი აღმოჩენით გაბრუებულმა და გაბრაზებულმა თავადმა ზიზღით ზურგი შეაქცია კნეინა გოსტაშაბიშვილს, რომელიც ახლა სრულიად დამშვი-დებული ელაპარაკებოდა გენერალ აბუ-მესელიმ ხანს, ხოლო მარშალთან თავადური ლირსებით მოსაუბრე ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილს გულში თა-ვლაფდასხმული უნოდა.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო საკვირველ კაცად ეჩვენებოდა თავადს ზანდაროვი, რომელიც არა მარტო მეტისნაცვლის მეჯლისებზე იწონებდა თავს, არამედ თვით კნეინას სარეცელში ნებივრობდა თურმე.

ამღვრეული და გაბორიოტებული თავადი მზად იყო თავხედი სოვდაგრის სახლს გასცლოდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ ვექსილზე ჩართულმა ხელმა შეაჩერა. თუმცა ამ გადაწყვეტილების უფრო სერიოზული მიზეზი, თანდათან უტიდებოდა თავის თავს დავითი, იმ ლამაზი და ახოვანი ქალის თაფლისფერი თვალები იყო.

სტუმრები უზარმაზარ სუფრას შემოუსხდნენ.

სუფრის თამადად, მასპინძლის თაოსნობით, დიდის ამბით კონა ფალავან-დოშვილი დააყენეს.

ტოლუმბაში ჯერ პატარა სალვინე ჭიქებით შეუდგა სმას და ქეიფს, მერე გრიქიფეს ჯიხვის ყანნი პირთამდე გაავსებინა და მჭექარე ხმით შესძახა:

— გრიგოლუ!

— გრიგოლუ! გრიგოლუ! გრიგოლუ! — აჟყვამთელი სუფრა ტოლუმბაშის.

— გეორგიევიჩუ!

— გეორგიევიჩუ! გეორგიევიჩუ! გეორგიევიჩუ!

— ზანდაროვუ!

— ზანდაროვუ! ზანდაროვუ! ზანდაროვუ!

— ურა!

— ურა! ურა! ურა!

სტუმრები ფეხზე ნამოიშალნენ. სასმისები ან კარუნდნენ. მრავალუამიერი აგუგუნდა. ზანდაროვი ყველას თავს უკრავდა. მის სადლეგრძელოს ერთნაირი სიამოვნებით სვამდნენ თავადებიც, გენერლებიც, ბობოლებიც, ვაჭრებიც, არისტოკრატი ქალებიც, სოვდაგრების ცოლებიც და ასულებიც.

მხოლოდ თავადი ანდუყაფარი, მოუხედავად იმისა, რომ კაბის ყოშები მხრებზე უკანდიდებულად პეტრიდა გადაგდებული, გუნებანამხდარი იყურებოდა და თავის თავს ეკითხებოდა:

— ვეუო, ვერ უყურებ, რა ყოფაშია ეგ მამაძალლი?!

ქეიფს ეშხი ემატებოდა.

სადლეგრძელო სადლეგრძელოს მოსხევდა.

დარდიმანდი, მოქეიფე და ხუმარა კონა ფალავანდიშვილი ენანყლიანობდა და სტუმრებს სიცილით ხოცავდა.

ბახუსა მრავალი სტუმარი და უტყვევებინა, სულელური გამომეტყველებით ამკობდა და ბრიყვულად აცინებდა. ზოგს უკვე კისერი სწყდებოდა და ზოგიც თავს საცოდავად აკანტურებდა.

შეზარხოშებულმა ტოლუმბაშმა პირამდე გავსებული უშველებელი ყანნი ერთხელ კიდევ ასწია და ჩაახველა.

— სილუას! სილუას!

დაიძახა წინანდელმა ბაზაზმა და ახლანდელმა მილიონერმა საქო ვიკინგი კოვმა. მის მახლობლად ვიღაც ხმელ-ხმელმა, ანონილმა და მონოკლიანმა სტატსეკი სოვეტიკი პირთან ხელსახოცი მიიტანა და ჩაიფრუტუნა. ფაშუამა აიკანუშ ვიკინგი კოვმა ქმარს ბარძაყზე უჩემიტა და გაუსწორა: „სილანს!“

— სილანს! სილანს! — აბდუვლდა ვიკრიკოვი.

· წე ყვირი, პაპა! — შიგ ყურძი ჩასძახა მამას სათენიკ ვიკრიკოვმა, შევ-  
გრემანმა და ეშხიანმა გოგომ, რომელსაც ალმური ასდიოდა პირისახეზე.  
გვურდით მჯდარ ბატყანივით ხუჭუჭა ყმანვილ ოფიცერს მისთვის ფეხზე  
დეზიანი წალა დაეჭირა, ულიმოდა და მალი-მალ ჭიქას ჭიქაზე უჯახუნებდა.

— ბატონებო! — რიხიანად ნარმოთქვა მჭევრმეტყველმა თამადამ, შეჩერ-  
და, ისევ, ჩახველა, უზარმაზარ სუფრას თვალი მოავლო და განაგრძო, —  
ჩვენს შორის იმყოფება ჩვენი ძვირფასი მასპინძლის გულითადი მეგობარი,  
კნიაზი დავით იარალიჩ გერმანოზოვი! მამაცი მხედარი, რომელმაც საკვირ-  
ველის გმირობით დაიხსნა თავი შამილის ტყვეობისაგან. ბატონებო! კნიაზუ!

— კნიაზუ! კნიაზუ! კნიაზუ!

აჰყვა მთვრალი სუფრა ზათქითა და ზახილით ტოლუმბაშს.

— დავიდუ!

— დავიდუ! დავიდუ! დავიდუ!

— იარალიჩუ!

— იარალიჩუ! იარალიჩუ! იარალიჩუ!

— გერმანოზოვუ!

— გერმანოზოვუ! გერმანოზოვუ! გერმანოზოვუ!

— ნაშემუ!

— ნაშემუ! ნაშემუ! ნაშემუ!

— გეროიუ!

— გეროიუ! გეროიუ! გეროიუ!

— ბაევო!

— ბაევო! ბაევო! ბაევო!

— ურა!

— ურა! ურა! ურა!

აღრიალდა სუფრა. ღრიალებდნენ თვით ბრნყინვალე თავადები და გე-  
ნერლები. პირდალებულნი და სახეაჭარხლებულნი ღრიალებდნენ ისინიც,  
ვინც ყოველდღიურ ცხოვრებაში გახუნებულ და გაუოტრებულ დავით გერ-  
მანოზიშვილს ალმაცერად ან დიდებულის დამამცირებელი გულმონყალებით  
დაჰყურებდნენ.

ასეთი დიდება და პატივი დავით გერმანოზიშვილს არსად არასოდეს არ  
განეცადა.

მოიხიბლა.

აღელდა.

განითლდა.

ახლა იგი საბოლოოდ იყო დატყვევებული გრიგოლ ზანდაროვის მიერ.

ტოლუმბაშმა ღვინის უკანასკნელი წვეთი ცერზე დაანვეთა და დაცლილი  
ყანნი ზანდაროვს გადაუგდო:

— ალავერდი, გრიგოლჯან!

— იახშიოლ! — მიაძახა გრიგოლმა და მნდის ლვინის დოქს პირგანიერი, ვერცხლის გრძელი ძენჯვებით მობოკილი ყანწი მოუშვირა.

მაგრამ მხოლოდ ორი სიტყვა გაიმეტა:

— გაგიმარჯოს, ძმაო და მეგობარო. კნიაზო დავით! ისე გაგიმარჯოს, როგორც რომ შენ გაგიხარდება.

დავითმა მდაბლად დაუკრა თავი.

როცა ტოლუმბაშმა სუფრის მზეთუნახავების სადლეგრძელოები ჩამოარი-  
გა, განსაკუთრებით მაიკო კურტანიძის სადლეგრძელო გამოჰყო.

აქამდე სიტყვაძუნნი ზანდაროვი ერთბაშად ალაპარაკდა:

— გაგიმარჯოს, მაიკოჯან, გაიხარე და იდლეგრძელე. შენს თაფლისფერ  
თვალებს ვენაცვალე (კნეინა გოსტაშაბიშვილმა კოპები შეკრა, ბართლომე  
კურტანიძე გაუნძრევლად იჯდა), შენი ტუჩის პილპილებს მტლად დავედე,  
შენს ჭახჭახა სიცილს შემოვევლე. ლამაზების ხელმწიფავ! რა გითხრა და  
როგორ გითხრა, გული როგორ გადმოვშალო! (კნეინა გოსტაშაბიშვილი მო-  
ლუშა, ბართლომე კურტანიძე გაუნძრევლად იჯდა). სიტყვა ლარიბი მაქვს და  
მეროგორ გავამდიდრო? რაც არ უნდა ვთქვა, მაინც იმას ვერ ვიტყვი, რისი  
ლირსიც ეგ შენი ღმერთის ხელით დახატული პირისახეა, ეგ შენი უუუუნა  
თვალებია! (კნეინა გოსტაშაბიშვილს სახე დაუბნელდა, ბართლომე კურტა-  
ნიძე გაუნძრევლად იჯდა). ლამაზების შურის ნყაროვ, კაცების ვაებავ და  
იმათი გულის მომკვლელო, შვილების იმედო, ქმრის სიხარულო, ჩემი გულის  
მურაზო! იცოცხლე და იდლეგრძელე!

ზანდაროვმა ვეება ყანწი პირზე მოიყუდა. ყველა მას მიაცეკერდა.

მაიკო კურტანიძე ჯერ გაკვირვებული უსმენდა საყვარელს. მერე ნარბების  
ანევით გადმოხედა თეთრ ლიზას და ვნებიანი კისეისი აუტყდა.

დაცლილი ყანწი ზანდაროვმა ახლა დავით გერმანოზიშვილს გადაუგდო  
და ლოთეფოთურად მიაყოლა:

— ალავერდი, დავითჯან!

— იახშიოლ! — აღმოხდა გახარებულ თავადს.

კონა ფალავანდიშვილმა ხელები მაღლა ალაპყრო და ნახევრად სერიოზუ-  
ლად, ნახევრად ხუმრიბით ნარმოთქვა:

— უცოლოებს ჩვენ როგორ გავუტოლდებით?! ყმანვილები არიან, ეპატიე-  
ბათ, ჩვენ რომ ეგრე გველაპარაკნა, ცოლები კინწის კვრით დაგვიფრენდნენ!

ბართლომე კურტანიძე არც ახლა განძრეულა.

კნეინა გოსტაშაბიშვილი უცებ გაელვარებულ აზრს დაედევნა და ხელში  
ნეღან ნერვიულად აჩქარებული მარაო გაუჩერდა.

სხვები ხარხარებდნენ. „მივხვდი! მივხვდი!“ ხარხარით ეუბნებოდა თავის  
მეზობელს გაბლენძილი პოდპოლენვნიკი, რომელიც ყაზარმაში დავით გერ-  
მანოზიშვილს ცივად ესალმებოდა, ფერდები ხელებით ეჭირა, ბართლომე  
კურტანიძის დიდი თავის აქა-იქ გაჭალარავებულ ჯავარზე რქებს ეძებდა და  
სიცილით იხრჩობოდა. მერე ხველება აუვარდა და მისმა მეორე მეზობელმა,

ეკატერინე II-ის დროინდელი სურათებიდან გადმოსულმა გოროზმა მანდილოსანმა მას ამრეზით გადმოხედა.

სუფრა ხარხარებდა.

— სილუასა სილუას!

ბლაოდა საქო ვიკრიკოვი და თან ორსავე მუშტს მაგიდას გაშმაგებით ურტყამდა.

აიკანუშა ქმარს უბლვერდა და სჩქმეტდა. სათენიკა განაბული იჯდა, რა-დგან მის კავალერს საერთო არეულობაში მისთვის წელზე მოეხვია ხელი.

ვაჭრებს მსხვილი თავები ფაიფურის საქსონურ თეფშებზე ხარებივით დაუხარათ და ყველაფერს, რაც ხელთ ხვდებოდათ, ნთეავდნენ და ანადგურებდნენ.

შექეიფებულ თეთრ ლიზას ტუჩები და ნიკაპი ნითელი ღვინის ნასხურით დანინნელოდა, მოსწრებულად ხუმრობდა და თავის ძველ დოსტს, მაკო კურტანიძეს აცინებდა.

უგუნებოდ მხოლოდ კნეინა გოსტაშაბიშვილი იყო. ჭალების სანთლებს შესცეკროდა და ცდილობდა თვალში ალაფის ცოლი არ მოხვედროდა.

გასაოცარი მსგავსების გამომაგდა გოსტაშაბიშვილი და მაიკო კურტანიძე ერთმანეთს ცნობისმოყვარეობით აცეკრდებოდნენ, მაგრამ ერთმანეთი ჭირივით სტულდათ და ვერ იტანდნენ.

ახლა მაიკო კურტანიძე ყელმოლერებული იჯდა და პირი უცინოდა.

დაღონებული კნეინა გოსტაშაბიშვილი თავის მარაოს ეფარებოდა.

მთვრალი სტუმრები ალიონმა ნამოშალა.

## 6. ნადიმის შემდეგ

დღეს სიაშოვნებანი, ხეალ საქმენი.  
შარლ დე ბერნარი, „იკაროსის ფრთხები“

მეორე დღეს ნაბახუსევმა დავით გერმანოზიშვილმა დას სოვდაგარ ზანდაროვის ნადიმის ამბავი უამბო.

მანანა გაცვეთილ, ნითელ ხავერდგადაკრულ სავარძელში იჯდა, მოწყენილი ხელსაქმობდა, ძმას ყურს უგდებდა და თანდათან ინტერესდებოდა.

როცა მისმა ძმამ ბრნყინვალე თავადები და გენერლები დაასახელა, აბრეშუმის ძაფი კბილით განყვიტა, ხელსაქმე შეაჩერა და დავითს ნიაზით ჰკითხა:

- ნუთუ ეგ ვაჭარი ისე მდიდარია, როგორც ამბობენ?
- მილიონერია! — ნამოიძახა დავითმა.

მანანას თვალი გაუშტერდა. ფერადი ეზოთი ნაქარგი თეთრი აბრეშუმი ხელში გაუქვავდა.

„მილიონერი!“ — ჯადოსნურ სიტყვად გაისმა მის ცნობიერებაში. გა-ლატაკებულ თავადის ასულს ცხადად შეეძლო ნარმოედგინა მილიონერ

გრივოლ ზანდაროვის უპირატესობა, რადგან ცხოვრებაზე გულგატეხილს და ხელჩაქნეულს სიმდიდრის ძალაც და სილარიბის ულმობელობაც კარგად ესმოდა. მან საკუთარი გამოცდილებით ისიც იცოდა, რომ ლარიბს, თუნდაც გთელი ქვეყნის ლირსებანი ჰქონოდა ან მზეთუნახავივით პირმშეენიერი ყოფილიყო, არც სიყვარული გაეკარებოდა, არც ბედნიერება.

ასე ფიქრობდა დადარდიანებული და დანალვლიანებული თავადის ასული. მის გიშრის თმებში უკვე რამდენიმე თეთრი ლერი ბრნყინავდა.

ოცდახუთ წელს გადაცილებული მანანა გერმანოზიშვილი აღარავის უც-დიდა და აღარავის ელოდა.

ის უცხო, ლამაზი და ახოვანი კაციც სადღაც გაქრა და დაიკარგა.  
უცრიად მანანამ ძმას ჰქითხა:

— უფალი ზანდაროვი ცოლიანია?

— უცოლოს. შენზე ცოტა უფროსია, მაგრამ არ ვიცი, ცოლს რატომ არ ირთავს. საყვარლები კი, რამდენიც ვინდა.

დავით გერმანოზიშვილი ლოთიციყო და ქალალდის მოთამაშეც, ბოროტიც და შურიანიც, მაგრამ სხვაზე ავს არასოდეს არ ამბობდა.

კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილზე კრინტი არ დაძრა.

— საყვარლები! ჰმ! ალბათ ვაჭრის ცოლები, მსახიობი ქალები ან ახალ-გაზრდა ქვრივი დედაქაცები. სხვა ვინ ეყოლება მდიდარ ვაჭარს?

როგორც ყველა გაუთხოვარ და ხანგადასულ ქალს, მანანა გერმანოზიშვილსაც უყვარდა სხვის სიყვარულზე გამკილავად ლაპარაკი.

— შეიძლება თავადის ქალიც!

ცივად უპასუხა დას დავითმა და რატომლაც წარბი შეიკრა.

# კარი ოცდამეორე

## 1. თვათრში

— ამაღამ თქვენ იქნებით თეატრში?

— დიალ.

— თქვენი სახლობაცა?

— დიალ.

ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“

თბილისის მაღალი საზოგადოება ქალბატონ ავენარიუსის ბენეფისს ესწრებოდა.

შეკავშირი იყო.

თოვდა.

თეატრის ნინ აუარებელი ხალხი ირეოდა.

განუწყვეტლივ გაისმოდა მარხილებში შებმული ცხენების ეუვნების ნკრიალი.

მარხილს მარხილი მოსდევდა, ეტილი — ეტილს.

ყველა ჩქარობდა თეატრში შესვლას, რადგან ნარმოდგენას თვითონ მეფისნაცვალი უნდა დასწრებოდა.

ვორონცოვის მეუღლე ელიზავეტა ქსავერიევნა ქალბატონ ავენარიუსს მფარველობდა. დილით, როცა მეფისნაცვლის ოჯახში ყავას მიირთმევდნენ, ელიზავეტამ ქმარს სთხოვა და დაითანხმა კიდეც, ქალბატონ ავენარიუსის ბენეფისს დასწრებოდა. ეს ამბავი მთელ ქალაქს მოსდომისმა მეგობარმა ქალმა შეუზელ დე გუფმა.

დილიდანვე მიაწყდა თეატრს თავის გამოჩენით დაინტერესებული მაყურებელი.

დაფაცურდნენ არისტოკრატებიც და რუსეთის შიდა გუბერნიებიდან კავკასიაში გადმოკარგული „ბედის მაძიებლებიც“, უილბლო და გალოთებული მოხელენი.

განუწყვეტლივ თოვდა.

ბარდინდა.

მოუხედავად ამისა, კანცელარიების და სასამართლოების კოლეჟსკი ასე-სორები თეატრის სალაროსთან იდგნენ და ყაყანებდნენ.

მოლარე მაქსიმე ხელებს შლიდა და ფილოსოფიურად ამბობდა:

— სცენაზე მეფეები და მეფისნაცვლები რომ თამაშობდნენ, თეატრი ყოველთვის ხალხით იქნებოდა გაჭედილი!

- გენ ბილეთი მოგვეცი, ფილოსოფოსობა კი სხვა დროისთვის გადასდე,
- უსწებოდნენ მას განაწყენებული ნერილფეხა მოხელენი.
- რა უნდა მოგცეთ, ბატონებო, როცა სალაროში არც ერთი ბილეთი არ გაყიდულა? ბილეთები ელიზავეტა ქსავერიევნას მიერ შედგენილი სიით განაწლდა და გაიყიდა.

განეფის თეატრში მხოლოდ ოთხასი მაყურებელი თავს დებოდა. ამიტომიქ, საკი თვითონ მეფისნაცვალი უნდა მობრძანებულიყო, მარტო დარბაისელი და თავდაჭერილი საზოგადოების დასწრება იყო სასურველი.

მსახიობებს მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“ უნდა ნარმოედგინათ. იმდროინდელი თბილისისათვის ამ კომედიის შინაარსი ზედგამოჭრილი ყო. ამას ერთხმად აღნიშნავდნენ ჭკვიანი ადამიანები.

ცბიერ ვორონცოვს მოლიერის კომედიით არც არისტოკრატების გალიზიანება სურდა, არც აზიელი ბურუუების განპილება. გრაფი მხოლოდ ცხოვრების გაკვეთილს იძლეოდა.

მეფისნაცვალს და მის მეულლეს პარტერში განცალკევებით დაუდგეს საკარძლები, ისევე როგორც ერთ დროს ნაპოლეონს და ალექსანდრე I-ს ერთურზის „მეფეთა პარტერში“. მათ უკან მათი ოჯახის განუყრელი მეგობარი ჟუზელ დე გუფი მოთავსდა.

მთელმა თეატრმა თვალი მეფისნაცვალს და მის მეულლეს მიაჰყო.

ნარმოდგენის დაწყებამდე პატარა სენსაცია მოხდა.

ვორონცოვმა ბატონი ზანდაროვი თავისთან მოიხმო და საკმაოდ დიდხანს ესაუბრა.

ეკილშობილებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს. გაკვირვებას შერი ცვლიდა, შურს — გაკვირვება. მაგრამ ყველას თვალი მაინც იქითენ იყო მიპყრობილი, სადაც მეფისნაცვალი მდაბიო მილიონერს მამაშვილურად რაღაცას უუბნებოდა და უმტკიცებდა.

ვორონცოვი არა მარტო თავისი „მამაშვილური“ ტონით იყო განთქმული, არამედ იმითაც, რომ მდაბიოთა უბნებში ფეხით დაიარებოდა და შეძლებულ მოქალაქეებს დიდფანჯრებიანი მაღალი სახლების აშენებას უჩიევდა.

ზანდაროვის მიმართ მოულოდნელი ყურადღების გამოჩენასაც თავისი აზრი და მიზანი ჰქონდა.

ამ საჯარო აუდიენციას ერთხელ კიდევ უნდა განემტკიცებინა ის შეხედულება, რომ თბილისშიც იგი ისევე მფარველობდა ვაჭრებს, როგორც ოდესაში მფარველობდა.

— ბატონი ზანდაროვ! — ეუბნებოდა სიმპათიური გარეგნობის და სანდომიანად გათეთრებული გრაფი მოკრძალებით თავდახრილ სოვდავარს, — პოლეოვნიერა სონინმა მითხრა, რომ თქვენ ფეხსაცმლის ფაბრიკის დაარსება განვიზრახავთ, მაგრამ ყოყმანობთ.

ზანდაროვმა მონიწებით მოახსენა:

— თქვენო მაღალბრწყინვალებავ! ამაზრს დიდი ხანია ვუტრიკალებ, მაგრამ არ ვიცი, საიდან მოვუდგე და მოვუარო, ჩვენ, მდიდარი სოვდავრები, მაღალსაზო გადოებას ვუვლით, ქალაქელები კი ცოტანი არიან და ცოტას ყიდულობენ.

ვორონცოვმა გაიღიძა.

ევროპულად მორთულ-მოქაზმული ზანდაროვი დინჯად შეათვალიერა, მაგრამ მის ელეგანტურ გარეგნობაში ვაჭრის ნატამალიც ვერ აღმოაჩინა, მოენონა. ყოველივე ინგლისურის მოტრფიალეს და ინგლისელების თაყვანის მცემელს თავის დამსახურებად მიაჩინდა ზანდაროვიცით დენდს დამსგავსებული ვაჭრების გამოჩენა. თბილისი პატარა პარიზს ემსგავსებოდა, ხოლო ოპერის თეატრს, რომელსაც თამამშევი ქარვას ლაში აშენებდა, კავკასიელთა „მოსათვინიერებლად“ მის თვალში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე სასახლის გვერდით აღმართულ სამხედრო ტაძარს...

გამოცდილ და დაკვირვებულ ვორონცოვს შეუმჩნეველი არ დარჩა, როგორ გარეგნულად ელეგანტური ზანდაროვი შინაგანად სოვდაგარი რჩებოდა. ეს კურისევ ახალგაზრდა მამაკაცი ვაჭრული ჭკუით უხვად იყო დაჯილდოებული. ვორონცოვს კვლავ ის ინგლისელები გაახსენდა, რომლებიც ეომერციულ ნიჭისა და სიმდიდრის კუნლოლვას მოხერხებულად უხამებდნენ არისტოკრატულ სინატიოვეს.

— ოდესა ხორბლით ვაჭრობამ გაამდიდრა, — განაგრძო ტკბილად ლაპარაკი ვორონცოვმა, — თბილისსაც ასევე ბრწყინვალე მომავალი აქვს. ეს ქალაქი კავკასიის გულია. აქრკინიგზებს იმისთვის კი არ გაიყვანენ, რომ თბილისელი ფოთში ჩავიდეს ან ერევნები და ბაქოელი თბილისში ჩამოვიდეს, არამედ იმის გამო, რომ ჩვენს სამხრეთით უშველებელი სპარსეთია გადაჭიმული, იმისიქით კი — ინდოეთია. პეტრეს ანდერძის შესრულება არასოდეს ისე რეალური არ ყოფილა, როგორც რკინიგზების და ტელეგრაფის დროში არის.

„პეტრეს ანდერძზე“ ზანდაროვს არაფერი ჰქონდა გავონილი, არც მისი აზრი, მიზანი და დანიშნულება იცოდა. მიუხედავად ამისა, ვორონცოვს ისევ მდაბლად დაუკრა თავი.

ვორონცოვმა განაგრძო:

— ნელან გითხარით, ოდესა ხორბლით ვაჭრობამ გაზიარდა, დაამშვენა და მხრები გააშლევინა, — გრაფი ყოველთვის სიყვარულით იგონებდა მის ნაამაგარ ქალაქს და რიმელიეს სანაპიროს, — მაგრამ ბაქოს ნავთი უფრო მეტს გააკეთებს. უთბილისოდ კი ბაქო ნავთის უბრალო ჭად დარჩება. სანამ ზღვამდე მიხვალთ, თბილისი უნდა გაიაროთ. მაშასადამე, დროთა განმავლობაში, ქალაქელებიც გამრავლდებიან და ფეხსაცმლის მყიდველებიც ბლომად გაჩინდებიან.

უაღრესად მოკრძალებულ ზანდაროვს ძლივს შესამჩნევი ეჭვი გამოეხატა სახეზე. ვორონცოვმა შეამჩნია და განუმარტა:

— ბატონო ზანდაროვ! მე უკვე გითხარით, დროთა განმავლობაში-მეტქი. დღეს და ხვალ თუ არა, ზეგ ან მაზეგ, ცხოვრება ძალიან სწრაფად მიდის ნინ!

ზანდაროვს გამჭრიახი ჭურა უკარნახებდა ფრთხილად ყოფილიყო. იგი ჭურა მოსახლეობის შეუფერხებელ გამრავლებას და ფაბრიკების სარგებლობას ყმა-გლეხების განთავისუფლებას უკავშირებდა, მაგრამ ამის გამო ქრისტეს არსად სძრავდა. ვორონცოვს ქვემევრდომული აღმაფრენით მოახსენა:

— თქვენს სიტყვას დაბლა არ დავუშვებ და მუდამ გულის ფიცარზე მენერება! ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ მიბრძანებთ, თქვენო მაღალბრწყინვა!

ვორონცოვს ქედი მოუდრიკა და წასასვლელად მოემზადა.

ვორონცოვმა ხელის ნელი მოძრაობით შეაჩერა.

— მოითმინეთ, ბატონო ზანდაროვ. მე ჯერ არ დამიმთავრებია. ჩემირჩევა ქარის, დამიჯერეთ და არ ნააგებთ. მდიდარი ბრძანდებით, ფაბრიკა ეხლავე შეიძლება გახსნათ. არ დაგავინყდეთ, ჩვენ სპარსეთის და თურქეთის საზღვრებზე ვცხოვრობთ, ომი ყოველთვის მოსალოდნელია. ომს კი ის იგებს, ვინც იმისათვის ემზადება. ნარმოიდგინეთ, ჩვენს ჯარისკაცებს რამდენი ჩექმა სჭრდებათ ან დასჭირდებათ. კავკასიაში ჯარი რომ არ მდგარიყო, აქაური გაქრებიმარტო სამკაულებით და ძვირფასი ქსოვილებით ვერ გამდიდრდებოდნენ. ამის მაგალითი თქვენი თანამემამულე ბართლომე კურტანიძე გახლავთ. რაღაც ათორდე წლის შემდეგ კი თქვენი ფაბრიკის ფეხსაცმელს იმდენი მუშარიდაესევა, რომ ჩემს დღევანდელ რჩევას დიდი მადლობით მოიგონებთ. აი, ჭველაფერის, რაც თქვენთვის მინდოდა მეთქვა, ბატონო ზანდაროვ! თუ ჩემი ნათქვამი და რჩევა ჭურა დაგიჯდათ, ინუინერ-პოლკოვნიკ სონინს დაუკავშირდით. კრედიტის პირობებსაც ის გეტყვით და მეც დახმარებას აღმოგიჩენთ.

ზანდაროვი მყისვე მიხვდა ყველაფერს და მყისვე გაითვალისწინა ის სარგებლობა, რასაც მას მეფისნაცვლის ნინადადება უქადდა.

ალელვებულმა ნარმოთქვა:

— თქვენო მაღალბრწყინვალებავ! თქვენს მამობრივ მზრუნველობას, სანამ პირში სული მიდგას, არასოდეს არ დავივინყებ!

ვორონცოვმა მამაშვილურად გაულიმა და ხელში ოქროს თუმნიანი ჩაუდო.

დაბნეულმა ზანდაროვმა, მოკრძალების მოუხედავად, თვალები გაკვირვებით დაახამხამა.

— ამას ნინათ ვიხუმრე და დღეს შევასრულე, — თქვა მოლიმარმა ვორონცოვმა, — ყველა ქართველს, ვინც ვაჭრობას მოჰკიდებს ხელს, გადაწყვეტილი მაქს ოქროს თუმნიანი ვაჩუქო.

მეფისნაცვლის ნაბოძები ოქრო ზანდაროვმა იმ ქისაში შეინახა, რომელიც თვის დროზე იმარ ჰაიდარ-ბეგს ეკუთვნოდა.

ვორონცოვთან ქედმოხრილი მილიონერი წელში მედიდურად გასწორებული დაუბრუნდა თავის სავარძელს. მას ყველამ პატივისცემით გააყოლა თვალი. მანანა ორბელიანის ვაჟი და ცნობილი თეატრალი მანამდე იდგა ფეხზე, სანამ ზანდაროვი მის გვერდით თავის სავარძელს დაიკავებდა.

თეატრში დაგვიანებით მოსულმა დავით გერმანოზიშვილმა (მისი ხელახლად გაკეთებული და დიდხანს უნდებოდა მორთვას და მოკაზმვას) კიბეებზე ასელის დროს გაიგო მეფისნაცვლის გრიგოლ ზანდაროვთან საუბრის ამბავი. გაიხარა და გაიბადრა. უნდოდა მეგობართან მივარდნილიყო, გადახვეოდა და გადაეკოცნა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მესამე ზარი მხოლოდ მეფისნაცვლის სოვდაგართან საუბრის დამთავრების შემდეგ დაირეკა.

## 2. მეორე შეხვედრა

არა, არა, არა, ეს მე არ მეხება.  
ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“

პირველ ანტრაქტში მანანა და მისი მამიდა, კნეინა მზეხათუნი, გრძელ ფოიეში იმპერატორის სურათის ქვეშ დასხდნენ.

როცა მანანამ მათკენ მომავალი დავითი და ის უცნობი, ლამაზი და ნარმოსადეგი მამაკაცი დაინახა, გული შეუქანდა, აღელდა. „ის არის... ის“, — იძახდა თავის გულში ანრიალებული და ოდნავ დაბნეული თავადის ასული.

დავითმა ზანდაროვი დას და მამიდას წარუდგინა:

— უფალი ზანდაროვი. ჩემი და კნიაუნა მანანა, მამიდაჩემი კნეინა მზეხათუნი, რუსულად კნიაგინა ტატიანა! — იხუმრა თავადმა.

მანანა გაფითოდა.

აილენა.

სახე უკმეხი გაუხდა. ბედგანნირულმა ერთხელ კიდევ გამოიტირა თავი. მის გათხოვებას არც აქ გამოუჩინდა პირი.

იმ უცნობ მამაკაცზე დიდი ხნის ნაოცნებარს ხელთ დიდკაცურად გამოწყობილი ვაჭარი შერჩა.

უკვე საგრძნობლად დახანებულმა და დასქელებულმა კნეინა მზეხათუნმა თვალები ლამაზსა და მოხდენილ ზანდაროვს შეანათა, გაულიმა და უთხრა:

— ფრიად მესიამოვნა თქვენი გაცნობა, უფალო ზანდაროვო! თქვენი ქაბა და თქვენდამი ლტოლვა პიატიგორსკეში აქაურის ლამაზი ქალებისაგან შევიტყვე. არც შემცდარან!

ზანდაროვმა მდაბლად დაუკრა თავი.

მანანა პირმოკუმული იჯდა.

ზანდაროვმა ქათინაურითვე დაუბრუნა კნეინა მზეხათუნს.

— მეც ბევრი მსმენია თქვენზე, კნეინავ, — ზანდაროვი შეყოყმანდა, რადგან არ იცოდა, მზეხათუნი ეთქვა, თუ ტატიანა, დაწყებული ქათინაური მოკრძალებით დააბოლოვა, — გმადლობთ, რომ თქვენი ყურადღების ლირსი გამხადეთ.

ნიუოლოზ I-ის თბილისში ყოფილის დროს რაღაც ინციდენტის გამო დასჯილი ივან პეტროვიჩი პიატიგორის ში მსახურობდა. კნეინა მზეხათუნი შორიდან გებულობდა თბილისურ ამბებს. მან ისიც იცოდა, რომ ზანდაროვი კნეინა გოსტაშაბიშვილის საყვარელი იყო. მეგობარ ქალს არჩევანი მოუწონა. ძმისნულები დაავინყდა და ენად გაიკრიფა.

— მეფისნაცვალმა რომ საუბარი გაგიბათ, დაინტერესებულმა მაშინვე ვიჟითხე თქვენი ვინაობა, უფალო ზანდაროვო! გულითადად გილოცავთ ეს-თენ დიდს ნარმატებას. შუაზელ დე გუფი არ დააყოვნებს, თქვენი სახელი მოელს ქალაქს მოჰყონოს.

მანანა გერმანიზიშვილმა ყურები ცქვიტა. გაუკვირდა, რომ მეფისნაცვალი ვაჭარს თავისი ყურადღების საგნად ხდიდა.

კნეინა მზეხათუნმა ისევ ააუუშუნა თვალები.

— მაგდას ვერავინ ვერაფერს ათქმევინებს, მაგრამ ჩემის მხრივ უნდა ვთქვა, რომ ჩვენს ლამაზ კნეინას დიდი ჭკუაც აქვს და დიდი გემოვნებაც. შესანიშნავი ქალია. შარმან!

მანანამ კვლავ ყურები ცქვიტა.

ეს ლამაზი ვაჭარი რაღაც ურთიერთობით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ამპარტავნობით განთქმულ კნეინა გოსტაშაბიშვილთან.

ესეც ისევე გაუკვირდა, როგორც მეფისნაცვლის ვაჭართან საუბარი.

ზანდაროვი კნეინა მზეხათუნის მოურიდებელმა პირდაპირობამ გაუკვირვა. ასეთ რამეზე არისტოკრატები ხმამალლა არ ლაპარაკობდნენ, ზურგს უკან კი ენის დალლის არ ეშინოდათ.

მაგრამ კნეინა მზეხათუნი თავნება ქალი იყო. არასდროს არაფერს არ ერიდებოდა. ვერც არისტოკრატთა ფარისევლობას და მდაბიოთა მატრაბაზობას იტანდა. ყოვლად თანამედროვე „გენერალშა“ თავისი სისადავით და უბრალოებით ინონებდა თავს. გერმანიზიშვილების ნაშიერს ლიმილს ჰგვრიდა თავისი ახლო ნათესავების გულზვიადობა. ამიტომ ამპარტავან ძმისნულებს აღმაცერად უყურებდა, ზოგჯერ კნეინა გოსტაშაბიშვილის გოროზობასაც არ ინდობდა, მაგრამ რა თქმა უნდა, ჭკვიანსა და განათლებულ მაგდას დავით (იმაზე საერთოდ ლაპარაკი არ ლირდა) და მანანა გერმანიზიშვილებზე მაღლა აყენებდა.

ზანდაროვს კნეინა მზეხათუნის გადაკრულად ნათქვამი ესიამოვნა (და თუმცა მანანა გერმანიზიშვილს არ უყურებდა, იმით იყო დაინტერესებული, თუროვორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ის, რასაც ენადგაკრეფილი მისიმიდა ამბობდა). კნეინა გოსტაშაბიშვილის ლირსების დასაცავად თუთავადის ასულის ინტერესის გასაძლიერებლად, მან კნეინა მზეხათუნს ფრანგულად მიმართა:

— კნეინა გოსტაშაბიშვილს მე პარიუიდან ვიცნობ.

— ვიცი, ვიცი, — ფრანგულადვე დაუბრუნა კნეინა მზეხათუნმა, — თქვენ ნამდვილი პარიუელი ხართ, უფალო ზანდაროვო! მე კი, — ამოიოხრა კნეინამ,

— არასოდეს არ ვყოფილვარ პარიუში.

ზანდაროვი ფაქტზე ფრანგულს ანგარიშმიუცემლად აკოჭლებდა, კნეინა მზეხათუნისაც აქა-იქ ეძლებოდა, მაგრამ ორთავენი უდრტვინველად განა- გრძობდნენ რასინის და ვოლტერის ენაზე მუსაიფს.

ფრანგულის გამო ზანდაროვი კიდევ უფრო ელეგანტურად მოეჩვენა მანა- ნა გერმანოზიშვილს. ახლა იგი მზად იყო მოესმინა ზანდაროვის ქათინაური, მაგრამ კნეინა მზეხათუნი ლაპარაკს არავის აცლიდა.

ისინი ერთმანეთს მესამე ზარმა გაჰყარა.

თეატრის ჩაბნელებულ დარბაზში მანანას მხოლოდ ერთი აზრი უტრის- ლებდა თავში: „ეს მშვენიერი მამაკაცი თავადი რომიყოს ან თუნდაც აზნაური. მაშინ?.. მაშინ?..“ გონება მიღიონერთან დაქორნინებას ურჩევდა. თავადური ლირსება — თავშეეკავებას. ერთბაშად შემოსეული ფიქრები ტანჯავდნენ, სულს უფორიაქებდნენ, წონასწორობას აკარგვინებდნენ, თუმცა, სადღაც, თავის გულის სიღრმეში, სავსებით დარწმუნებული იყო, რომ არ შეიძლებო- და, შეუძლებელი იყო, „პო“ ეთქვა მამაკაცისათვის, რომელიც იმ დაუკინყარ დღეს ყველგან თან დასდევდა და შორიდან შესტრტოდა. სამნუხაროებ, ის ის არ აღმოჩნდა, ვინც მას ეგონა.

მეორე ანტრაქტში ზანდაროვმა მანანა გერმანოზიშვილს დრო უხელთა (კნეინა მზეხათუნი სადღაც გაიქცა და ძმისნული მიატოვა). ნინ დაუდგა, თავი დაუკრა და მღელვარებით უთხრა:

— ვერ ნარმოიდგენთ, კნიაუნა მანანა, როგორ მაინტერესებდა თქვენი გაცნობა.

მანანამ ნარბი შეჰქრა. არ იცოდა, რა ეთქვა და როგორ მოქცეულიყო. ვაჭრის ახლახან ნათქვამი უბრალო, ყოვლად ჩვეულებრივ და თავაზიან სი- ტყვის მასალად მიეღო, თუ თავხედურ უზრდელობად.

ზანდაროვმა მას კანდელაბრებით განათებულ კედელთან სავარძელი შესთავაზა და გვერდით მოუჯდა.

— თქვენი ნახეა და თქვენთან ნაცნობობა სანატრელ ოცნებად მქონდა გადაქცეული, — გაუმეორა თავადის ასულს ზანდაროვმა და აღტაცებით დასძინა, — დღეს ეს ნატვრა ამისრულდა. მერნმუნეთ, ჩემზე ბედნიერი ეხლა ამ თეატრში არავინ არის.

ეს უკვე სიტყვის მასალა აღარ იყო, არც უნყინარი ქათინაური. მანანამ უარესად შეჰქრა კოპები და კიდევ უფრო უქმეხი გაუხდა ნატიფი სახე, რომლისთვისაც ხანს ჯერ მხოლოდ შეუმჩნევლად დაესვა პირველი ნაოჭები თვალის უპეებთან.

ზანდაროვს არც ახლა დასცალდა დამუნჯებულ თავადის ასულთან ლაპა- რაკი. დავითმა მასთან აქაქანებული ანდუყაფარ გერმანოზიშვილი მიიყვანა. რაღაცით აფორიაქებული, შენუხებული და დამფრთხალი ანდუყაფარი მე- ლოტი თავიდან, ბალიშებივით დაბერილი ლოყებიდან და ცხრადდაკეცილი ღაბაბიდან ბალდადით ჭირის ოფლს იწმენდდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა, ოხრავდა და ხვენნით და მუდარით ზანდაროვს შეჰქლალადებდა:

— უფალო ზანდაროვო! უმორჩილესად გევედრებით და მაგ ბედნიერ ყმან-კლეაცობას გაფიცებთ, მიშვეღეთ და გაჭირვებიდან დამიხსენით... თეატრში გემოვიჭერი და უდროო დროს განუხებთ, სიამოვნება მოგიშალეთ, მაგრამ რა კენა? სასამართლოს აღმასრულებელი თავზე იასაულივით დამადგა, ვალსა მოხოვს და გზას არ მაძლევს. ღმერთს ვეფიცები და არა სჯერა, ვადასა ვთხოვ და უარის მეუბნება. ოთხასი თუმნის გადახდა ჩემთვის ადვილი არ გახლავთ. ღირსეული თავადის ამ ყოფაში ჩავარდნა ნუ გაგიკვირდებათ. ექვსი ქალი გა-ვათხოვე, ორ ვაუს ცოლი შევრთე. ამას რომელი მამულ-დედული გაუძლებდა? თუ ქალი არ გაათხოვე, ხელში შემოგაბერდება და მტრად გაგიხდება (მანანა შეინძრა და სახეზე მარაო აიფარა). რაც მქონდა და არა მქონდა, ყველაფერი შეილებს მოვახმარე, მე კი ცარიელ-ტარიელზე დავრჩი, უკან სასამართლოს აღმასრულებელი მომდევს და არ ვიცი, სად გავექცე, სად წავუვიდე? რა წყალ-ში ჩავვარდე? თქვენს იქით გზა არა მაქვს. ვკადნიერდები და უმორჩილესად მოვმართავთ. თქვენს გახარებასა და დღეგრძელობას, ხელი გამიმართეთ და ოთხასი თუმანი მასესხეთ, ან „პო“, ან აქვე ყელი გამომჭერით...

მანანა სირცხვეილმა დასწვა.

დავითი ერთ ადგილზე უხერხულად იტკეპნებოდა.

ანდუყაფარი პირდალებული და ყბაჩამოვარდნილი შესცეკეროდა ზანდაროვს.

ზანდაროვი დუმდა. გაფითრებული მანანას, ნირნამხდარი დავითის და პირქვედამხობილი ანდუყაფარის ყურებით ტკბებოდა.

მილიონერი დუმდა.

ხელოვნურად ახანგრძლივებდა თავის სიამოვნებას და თავადთა ტანჯვას.

ბოლოს დავითს ისე გადაულაპარაკა, რომ არც თავმოწონება გამოხატა, არც თანაგრძნობა:

— კნიაზი ჩემს მოურსავთან მიიყვანე, დავით. ფულს ის მოგცემთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, კნიაზო!

გახარებულმა ანდუყაფარმა ულვაშიდან ერთი ლერი მოიგლიჯა, ეს მისი ვექსილი იყო.

— თქვენს სიკეთეს ღმერთი არ დამავიწყებინებს, უფალო ზანდაროვო! რომელ ხატსაც სანთელს დავუნთებ, იქ თქვენს სახელსაც ვახსენებ. ვალსაც მალე მოგართმევთ და, როცა მაგ ულვაშის ლერს დამიბრუნებთ, გავსნორდებით და დიდ მადლობასაც დაგახვედრებთ.

ზანდაროვმა თავადის ულვაშის ლერი აბრეშუმის ხელსახოცში მდუმარედ გამოჰკირა. ანდუყაფარმა კი ფოიში მოსეირნე მაყურებლები გაარღვია და ქუდმოგლეჭილი გაიქცა. დავითი უკან დაედევნა.

თეატრში მესამე ზარი დარეკეს.

მანანა წამოდგა და წაბარბაცდა. ზანდაროვმა სათუთად ხელი მიაშველა და ბენუარის იმ ლოუამდე მიაცილა, სადაც კნეინა მზეხათუნი ფარდის ახდას უცდიდა.

### 3. გაფრთხელება

ახლა აღარა გამიკეირდება რა და არაფრისაც შემეშინდება.  
გრიგოლ ორბელიანი

შესამე ანტრაქტიში კნეინა გოსტაშაბიშვილმა ზანდაროვს გზა გადაუჭრა,  
მანანა გერმანოზიშვილისკენ აღარ გაუშვა, განზე გაიყვანა და გადაჭრით  
უთხრა:

- გრიგოლ, მაგ თავადის ქალს თავი გააწებე.
- მაინც რატომ, კნეინა? — გამომწვევად ჰკითხა ზანდაროვმა.
- იმიტომ, რომ მავის ლირსი არა ხარ.

ზანდაროვი კნეინას გაბრაზებით დააცემდა. თავხელურად უთხრა:

- ფიქრი ნუ გაქვთ, კნეინავ, ჯიბეში აზნაურობის საბუთი მაქვს.
- თავადობა და აზნაურობა აქ შუაში არ არის.

კნეინა გოსტაშაბიშვილის ნათქვაში ზანდაროვმა ახლაც თავისებურად  
გაიგო. აგდებულად დაუბრუნა:

- მაშრა გნებავს? უცოლოდ გინდა დავბერდე?
- ცოლად ვინც გინდა, ის შეირთე. ხელს ვინ გიმლის? მანანა გერმანოზიშ-  
ვილს კი დაეხსენი. ეგ სულ სხვა ქალია. დიდი ხანია გიცნობ. შენ ეგ მაგდა გოს-  
ტაშაბიშვილი ან მაიკო კურტანიძე ნუ გვონია. მავის გაუბელურება ცოდოდ  
მოგეეითხება.

ზანდაროვს გაუკეირდა.

- ჩემი მილიონები მაგ ქალს ბედნიერს გახდის.
- არა, არა, — შეანუკეტინა მაგდამ, — შენ ეგ არ შეგიძლია.
- ვითომ რატომ, კნეინავ?

- იმიტომ, რომ სიყვარული შენთვის უცხო ხილია.

ზანდაროვმა ერთხანს ხმა ვერ ამოიღო. მერე თავი გაიმართლა.

- მეცისე ვცხოვრობ, როგორც ყველა ცხოვრობს. არც მეტი, არც ნაკლები.

გულკეთილობით კი ბევრსა ვჯობივარ!

- შეიძლება, შეიძლება, — საჩქაროდ უპასუხა მაგდამ და თვალზე ცრემლი  
გაუბრნებინდა, — სადღაც კუთილიხარ, მაგრამ ევ თვისება ბავშვობის პერანგივით  
გახსოვს! არ ვიცი, ვინ დარამ დაგავინყა... არც ის ვიცი, ვინა ხარ, რა გამოსცადე  
ან რა ცხოვრება განვლე. მაგრამ ეხლა ბოროტი ხარ, ხარბი, გაუმაძლარი, დაუნ-  
ქალს ბედნიერებას ვერ მოუტანს.

- ეგრე რათა მლანძლავ, კნეინავ?
- ყური კარგად დამიგდე! — ჩემულებრივ სერიოზული მაგდა კიდევ უფრო

სერიოზულად გამოიყურებოდა და ლაპარაკობდა, — შენი ავიც ვიცი და კარ-  
გიც. ავსაც გაგიხსენებ და არც კარგს დაგიკარგავ. ეს რომ არა გქონდეს, არ  
გაგიჩერდებოდი. იცოდე, მედიდურობით შენ მე ვერ მაჯობებ!

- გაინც რასა მთხოვ, კნეინავ?
  - განანა გერმანოზიშვილს დაუხსენი.
  - ზანდაროვმა ცივად მოუჭრა:
  - მაგის პირობას ვერ მოგცემ.
- გაგდამ მარცხენა ხელისგულზე მარაო ხმაურით დაკეცა, ზანდაროვი უკასკნელად გააფრთხილა:

— ეგ სახეკეთილი ქალი გულითაც კეთილია, მიამიტი, გულუბრყვილო, გულმხურვალედ მორნმუნე. შენი ფარდი არ არის!

გრიგოლმა თავმომწონედ მოუგო:  
— ცოლად სწორედ ეგეთი ქალია სანატრელი, კნეინავ!  
— არა, არა, — აღშფოთებით დაახვედრა მაგდამ, — მაგის კარგი ცოლობა შენს ფიქრებშიარ არის. შენ გინდა, ნაქცეული ქალი შენი მილიონებით იყიდო, თავადის ასულზე დაქორწინებით სახელი დაიგდო! ეგ არის და ეგ, ბატონზ ზანდაროვ!

კნეინა გოსტაშაბიშვილის გულთამშილავობით გაკვირვებული გრიგოლი ერთხანს გაშტერებული იდგა და საჩვენებელ თითს გაჭალარავებულ საფე-თქელზე ათამაშებდა.

მანანა გერმანოზიშვილმა კნეინა მზეხათუნის თანხლებით რამდენჯერმე გაუარა შორისახლო ერთმანეთთან ცხარედ მოლაპარაკე კნეინა გოსტაშაბიშვი-ლს და გრიგოლ ზანდაროვს. ესეც სასწაულებრივ ნიშნად მიიღო და საშინლად გაოცდა, როცა გოროზი კნეინას ოქროსფერ თვალებში ცრემლი შეამჩნია.

კნეინა მზეხათუნმა მეგობარი ქალი არ დაინდო და ნაიჭორავა.

— ჩვენს თვალმშევენიერ მაგდას ხანი ემატება და, რა თქმა უნდა, თანდა-თან გაუძნელდება ისეთი ლამაზი მამაკაცის შენარჩუნება, როგორიც უფალი ზანდაროვია. მაგრამ რა საქციელია თეატრის ფოიეში სკანდალის გამართვა?

მანანამ ხმა არ ამოიღო.

კნეინა გოსტაშაბიშვილის და გრიგოლ ზანდაროვის ინტიმურ ურთიერთო-ბაში საბოლოოდ დარწმუნებულს, არც ეჭვის ცეცხლი შემონთების.

მას ზანდაროვი მოსწონდა, მაგრამ არ უყვარდა.

მეოთხე ანტრაქტში, ჯერ ეიდევ პირველი ზარი დარეკილი არ იყო, როცა გრიგოლმა მანანა ფოიეს შორეულ კუთხეში ელეგანტური ყურადღებით და გატაცებული საუბრით მიიყვანა (თავადის ასულს პარიზის ოპერის თეატრის მსახიობების თვალწარმტაც თამაშს უყვებოდა), უზარმაზარ ქოლგასავით გაძლილ პალმასთან გააჩერა და ყოველგვარი შესავლის გარეშე გული გა-დაუშალა:

— ჩემს ხვაშიადს ვეღარ დავმალავ, კნიაუნავ. მიყვარხართ და ეხლა თქვენ სიტყვაზე ჰერიტი ბედნიერებაც და უბედურებაც. მომიტევეთ, რომ ჩემი გულის საიდუმლოს ერთბაშად ვიმხელთ. მაგრამ განა იმ დღეს ყველაფერი არ გითხარით და თქვენც არ გამათამამეთ? მოიგონეთ ჯამბაზების თოკზე თამაში. კრამერის თეატრი, მტრედებზე ნადირობა ვერის ბალში, ცელერიუ-

სის საკონდიტრო, მეფისნაცვლის დოლი, ამ თეატრში ხელახლად შეხვედრა, თქვენი სახლის ფანჯარა მთანმინდაში. იმ დღიდან თქვენს სათნო სახეს გულით ვატარებ და ეხლა თქვენა ხართ, ენიაუნავ, ჩემი ბედის გამჩენიც და დამთრგუნველიც.

გრიგოლ ზანდაროვმა მხოლოდ თმახუჭუჭა კორნეტი არ ახსენა, სხვა ყველაფერი დაწვრილებით მოიგონა. თან ისეთი მღელეარვბით ლაპარაკობდა, რომ მანანა, თანდათან რომ ბრაზდებოდა, ერთხანს ნიაზით უგდებდა ყურს.

ის დღე მასაც კარგად ახსოვდა და ხშირად აგონდებოდა კიდეც. ამიტომ ის ლამაზიდა ნარმოსადევი მამაკაცის მხრივ სრულიადაც არ იყო მოულოდნელი სიყვარულის ახსნა მანეუის თეატრის ფოიეში, მაგრამ გალურსული მანანა ეხლა სულ სხვა რამეს უნევდა ანგარიშს. მას სიყვარულს უხსნიდა მამაკაცი, რომლის ვინაობა სავსებით გამორკეეული იყო. მის ნინ სიმდიდრით ვათა-მამებული სოვდაგარი იდგა და თავხედურად თავადებს უტოლდებოდა. მას ერთბაშად დაავინყდა ანდუყაფარ გერმანოზიშვილიც და მთანმინდის პატარა სახლის ლარიბული ოთახებიც, სადაც ყველაფერს ნატისუსალი ასდიოდა. ის ახლა მხოლოდ თავადის ასული იყო, ამაყი, მედიდური და მოუკარებელი.

როცა მანანა შეურაცხყოფილი ქალის უკმეხი სახით ზანდაროვისკენ მოტრიალდა, ამ უკანასკნელშა მდაბლად დაუკრა თავი და უთხრა:

— ეხლა ნურც „პოს“ მეტყვით, ნურც „არას“, კნიაუნავ. ხვალ მეჯლისს ვმართავ. თუ არ მოპრიძანდებით, ჩემი განნირული ბედის ამბავი მე თვითონ მეცოდინება.

ისევ მდაბლად დაუკრა თავი განცვიფრებულ თავადის ასულს, გატრიალდა, აუჩქარებლად გაემართა თეატრის ფოიეში მოსეირნე მაყურებლებისკენ და იმპერატორის სურათთან გაჩერდა.

#### 4. საუბარი ბენუარის ლოჟაში

მხოლოდ გონებას შეუძლია დიდხანს ასაზრდოოს მეორე გონება,  
მარტოობაში დიდხანს შემოქმედება შეუძლებელია.  
სტენდალი

მანანას მარტო მოუხდა ბენუარის ლოჟაში დაბრუნება. ფარდის ახდის მოლოდინში იქ უკვე ისხდნენ კნეინა მზეხათუნი და კნეინა გოსტაშაბიშვილი. ერთი, ეტყობოდა, გაუთავებლად ლაპარაკობდა, მეორე — მდუმარედ უგდებდა ყურს.

მანანა ერთი ნამით დააცეკერდა კნეინა გოსტაშაბიშვილს. მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება მისი დაღლილი სახის სევდიან გამომეტყველებას. „იმაზე ფიქრობს, — გაიფიქრა მან და თავის თავს დაეკითხა, — ნუთუ საჭვარელთან განშორების შიშმა შეიძლება ქალი ერთბაშად დააბეროს?“ ამ

გრმა მას წელან კნეინა გოსტაშაბიშვილის თვალებში დანახული ცრემლი გაახსენა. ეს მისითვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. კნეინას აღარ უყურებდა, მაგრამ გამუდმებით მის უცნაურ სიყვარულზე ფიქრობდა.

ეერასვ ზით ვერ წარმოედგინა ამ ამაყი კნეინას (მისძველისძველ კერპსა და თაყვანისცემის საგანს რომ წარმოადგენდა) განმაცვითორებელი დამდაბლება. მისი გაკვირვება სავსებით გულწრფელი იყო, რადგან მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არასდროს გრიგოლ ზანდაროვს არ შეხვედრობდა.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ იგი სრულიად დამშვიდებული და დაწყნარებული იჯდა ბენუარის ლოუაში.

კნეინა მზებათუნი გაუთავებლად ლაპარაკობდა.

კნეინა გოსტაშაბიშვილი კანტიკუნტად ურთავდა სიტყვას საუბარში.

შეზობელი ლოუიდან მამაკაცის ბოხი ხმა და სიცილი მოისმა.

კნეინა მზებათუნმა ყურები ცქვიტა.

— გლუხარიჩია! — თქვა მან, — ვორონცოვის ახალი ფავორიტი.

მანანამ იმ ლოუისაკენ გაიხედა, სადაც გიორგი ერისთავი ორბელიანთა ასულებს თავისი კომედიის შინაარსს უყვებოდა და აცინებდა. ორბელიანების ლამაზმანებს მანანამ პირი სწრაფად მოარიდა, სამაგიეროდ, პარტერში ტყბილად გაულიმა ილიკო ორბელიანს, რომელსაც ზანდაროვის სახლიდან დაბრუნებული დავით გერმანოზიშვილი რაღაცაზე ელაპარაკებოდა.

— საკვირველი კაცია გრაფი, — განაგრძო კნეინა მზებათუნმა, — მფარველობის ერთ ხელს კომერსანტ ზანდაროვს სდებს, მეორე ხელს კი თავად ერისთავს, — თქვა და კნეინა გოსტაშაბიშვილს დიდმნიშვნელოვნად დააცქერდა, ძმისნულს კი არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

მანანა გერმანოზიშვილისათვის პოლიტიკა ისევე უცხო ხილი იყო, როგორც ევროპული მუსიკა ან მხატვრობა.

ევროპულ კულტურას და პოლიტიკურ ინტრიგებს ნაზიარები კნეინა მზებათუნი მანანასთან სერიოზულ თემებზე არასდროს არ ლაპარაკობდა. მოუხედავად იმისა, რომ მისი სილამაზით მოხიბლული და აღტაცებული იყო, უპირატესობას მაინც ალექსანდრე ჭავჭავაძის განათლებულ ქალებს ანიჭებდა.

რაჯი კნეინა გოსტაშაბიშვილმა ხმა არ ამოიღო, კნეინა მზებათუნმა ისევ თვითონ განაგრძო:

— მალე კომედიას ქართულად ვიხილავთ, ქართულ თეატრში ვივლით. ამას კოტა ადრე ვინ იფიქრებდა? გრაფი ქართველებს გვანებივრებს და მაგის პოლიტიკა სწორედ ეგ არის. თავისი ლმობიერებით ერმოლოვიც დაგვაეინყა და პასკევიჩიც. აი, რას ნიშნავს, კნეინავ, ინგლისურად აღზრდილ-განათლებული ადამიანი.

კნეინა გოსტაშაბიშვილი ერთხანს სდებდა. ეტყობოდა რაღაცის თქმასურდა. თან თითქოს არ უნდოდა, თუ უმნელდებოდა. მერე ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა:

— ეორონცოვის ადგილზე ყველა ეგრე მოიქცეოდა.  
კნეინა მზეხათუნმა გაევირვებით ასწავ ნარბები.

— არ მესმის, კნეინავ?

კნეინა გოსტაშაბიშვილმა კიდევ უფრო დაუდაბლა ხმას:

— არ ვიცი, ამ ლოგაში ქართულად უფრო სახიფათოა ლაპარაკი თუ ფრან-  
გულად? არც ერთ მთავარმართებელს იმდენი ჯაშუში არ ჰყოლის კავკასიაში,  
რამდენიც ჩვენს ინგლისურად გაზრდილ გრაფს.

კნეინა მზეხათუნმა მყისვე დაუბრუნა:

— პოლიტიკა უმავისოდ არ ვარგა. მაგით ვერ გამაკვირვებ, ძვირფასო!

— არ მინდა, უბრალოდ, სხვებმა გაიგონონ, რისი თქმაც მინდა. თვითონაც  
არ ვიცი, რატომ აგყევი, ტატიანა, ან რატომ დავიწყე ვორონცოვზე ლაპარაკი,

— კნეინა გოსტაშაბიშვილმა იქით გაიხედა, სადაც მეფისნაცვალი იჯდა, —  
შეიძლება იმიტომ, რომ ზოგი რამ უკეთესად ვიცი. მეფის ხელისუფალთ არ  
შეეძლოთ კავკასიაში სხვანაირად მოქცეულიყვნენ. რუსეთის პარიზელმა  
ელჩმა ერთხელ როგორლაც მითხრა: „აი, ნახავთ, კნეინავ, თქვენს ქვეყანას  
ეხლა სულ სხვაგვარად მოვუვლით. ჩემმა მეგობარმა ჩერნიშოვმა მთავარმარ-  
თებელ გოლოვინს დარიგება მისცა, კავკასიაში ისე მოქცეულიყო, როგორც  
ინგლისელები ინდოეთში იქცევიან; მინისტრი მეც მელაპარაკა ამის თაობაზე  
და სწორედ კავკასიასთან დაკავშირებით მოითხოვა იმის გამორკვევა, თუ რო-  
გორ მოქმედებენ ფრანგები ალუირში“. აი ის, რაც დიდი ხნის ნინათ პარიზში  
ხელმწიფის ელჩმა და მისმა მინისტრმა მითხრა. ეხლა, ვფიქრობ, შენთვისაც  
გასაგები უნდა იყოს, თუ საიდან მოდის ვორონცოვის პოლიტიკა.

კნეინა მზეხათუნმა ტუჩიზე თითო დაიდოდა ფრთხილად გაიხედ-გამოხედა.

კნეინა გოსტაშაბიშვილს გაფრთხილება არ სჭირდებოდა. ჭკვიანური  
დუმილი შესანიშნავად ეხერხებოდა. გულახდილი იგი მხოლოდ ვახტანგ ტა-  
შირელთან იყო. ეს იმიტომ კი არა, რომ მას ენდობოდა და სხვების ეშინოდა,  
არამედ იმის გამო, რომ ტაშირელი სერიოზულად ფიქრობდა იმაზე, რაზეც  
ლაპარაკობდა. ამიტომ მასთან ლაპარაკი მუდამ მიმზიდველი და საინტერესო  
იყო.

კნეინა მზეხათუნი ისევ ატიტინდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ქალბატონ ავე-  
ნაროვსის ღირსებაზე ლაპარაკობდა.

კნეინა გოსტაშაბიშვილმა კი ისევ წყალი ჩაიგუბა პირში.

მანანამ ერთ გარემოებას მიაქცია ყურადღება: მის მიმართ ჩვეულებრი-  
ვად ეეთოლად განწყობილი და ალერსიანი კნეინა გოსტაშაბიშვილი ხმას არ  
სცემდა, არაფერს ეუბნებოდა და არც არაფერს ეკითხებოდა. მის იშვიათ,  
მაგრამ დაკავირვებულ გამოხედვაში უფრო შეძფოთება იხატებოდა, ვიდრე ის  
ალტაცება, რომელსაც არასდროს არ მალავდა მანანა გერმანოზიშვილის არა-  
ჩვეულებრივად სათხო სახით და ტანკენარი აღნაგობით მოხიბლული კნეინა  
გოსტაშაბიშვილი. თან ამპარტავნობით განთქმული კნეინა აღელვებულიც  
ეჩვენა და რაღაცნაირად განაწყენებულიც.

„როცა თავდავინყებით უყვართ, ადვილად სომობენ საკუთარ ბუნებას და თანდაყოლილ ხასიათს. თუ ეს არ არის, მაშინ უბრალო გატაცებაა“, — მოავონდა განანას თავისი მამიდის კიაფად ნათქვამი სიტყვები. სალონში ნარმოთ ქმული ეს განმარტება ახლა ზედგამოჭრილი იყო კნეინა გოსტაშაბიშვილზე, რომელსაც საკუთარი ვოროზობა თვალნათლივ აელავმა და ცრემლსაც კი ღვრიდა, რათა მდაბილ საყვარელი შეენარჩუნებინა.

საერთოდ, მისთვის მამიდის ნალაპარაკევი უფრო გასაგები იყო, ვიდრე კნეინა გოსტაშაბიშვილის უცნაური აზრები და შეხედულებანი. კნეინა მზეხა-თუნი დასწავლილი აფორიზმებით ლაპარაკობდა, ანდა ახლად ნაკითხული ფრანგული რომანების გმირთა ხატოვან სიტყვებს თუთიყუშივით იმეორებდა. ეს თბილისელი არისტოკრატების აღფრთოვანებას და კნეინა გოსტაშაბიშვილის ირონიულ ღიმილს ინვევდა.

კნეინა მზეხათუნს ბევრის თვალში სხვა უპირატესობაც ჰქონდა. ბევრს მოსწონდა მხიარული, გულლია და ენადგაკრეფილი კნეინა. სამავიეროდ, ავ სიტყვას არ აკლებდნენ გულჩათხრობილ, მედიდურ და სიტყვაძუნწ მაგდა გოსტაშაბიშვილს, რომელიც მხოლოდ ზოგიერთისთვის იმეტებდა ალერსიან ყურადღებას. ასეთებს შორის მანანა გერმანოზიშვილიც იყო.

„ნუთუ მე პარიუელი კნეინას მეტოქე ვხდები! — ფიქრობდა მანანა, — არა, მე მაგას როგორ შევედრები? მაგის ლირსებანი მე არასოდეს არ მქონია და არც მექნება. ესეც არის, არც მაგასავით შემიძლია უფალ ზანდაროვის შეყვარება. ეს კაცი ჩემთვის არ არსებობს. გაიგებს და აღარ დამემდურება. არც ეგრე შეშფოთებით დამინყებს ყურებას. იპ, ნეტავი ვიცოდე, რატომ აგვიანებენ ფარდის ახდას?“

მანანამ კნეინა გოსტაშაბიშვილის უცნაურ სიყვარულზე ფიქრი შენყვიტა და მსახიობებს ყურადღებით მიაკერდა, რათა იმით გართულიყო, რაც სცენაზე ხდებოდა.

მას ერთხელაც არ გახსენებია უფალი გრიგოლ ზანდაროვი.

## 5. ჩალის გული

არა, არა! არ შემიძლიან, მე ვაჭარს ვერ შევირთავ! ნყალში ჩავვარდები და კი არ შევირთავ, თავს მოვიკლავ და არ შევირთავ.  
გაბრიელ სუნდუკიანი, „დაქცეული ოჯახი“

ნარმოდგენის დამთავრების შემდეგ, სანამ დავითი მამიდას და კნეინა გოსტაშაბიშვილს მარხილში სვამდა, მანანა ძმას თეატრის წინ უცდიდა. უცებ ქალის აღტაცებით ნამოძახილი მოესმა:

— რა მოხდენილი მამაკაცია უფალი ზანდაროვი, მაგისთანა თეატრში დღეს არავინ იყო!

მანანამ ყურები ცქვიტა. მან მყისვე იცნო მაია სავარსამიძე, რომელიც ნათესავებთან ერთად თეატრიდან გამოდიოდა. მათ უკან მოსდევდა ანონილი და გაფშევილი ახალგაზრდა მამაკაცი. ისიც მყისვე იცნო მანანამ. სენატორის ვაჟი იყო, მისი ყოფილი კავალერი. „ნუთუ იმ დროსაც ასე ანონილი და დონდლო იყო? - გაიღიქრა გამხიარულებულმა მანანამ, — ნუთუ იმ დროს იმას ვერ ვამჩნევდი, რასაც ახლა ვხედავ?“ ძველი ბოლმის და შურის მაგიერ, ახლა იგი მაია სავარსამიძისადმი გულწრფელი თანაგრძნობით განიმსჭვალა და მის ალტაცებით ნამოძახილში ისეთი რამ აღმოაჩინა, რაც მხოლოდ ქალებს ესმით და სწრაფად გებულობენ. როლების ასეთი შეცვლით ნასიამოვნები და ემაყოფილი მანანა თითქმის შიშით ფიქრობდა იმაზე, რომ თვითონ მას სულ ადვილად შეეძლო ისეთივე შეცდომის დაშვება, რასაც მაია სავარსამიძე, სავსებით აშეარა იყო, მნარედ ნანობდა.

მანანამ სენატორის განლოკილი და დონდლო ვაჟი უნებლიერ თვალტანად და პირმშვენიერ, მოხდენილ და ელეგანტურ ზანდაროვს შეადარა. შეადარა და პირზე ლიმილი მოადგა, რადგან ამ ლამაზი მამაკაცით მისი ყოფილი კავალერის ცოლი იყო მოხიბლული, თვითონ კი მისგან თავს შორის იჭერდა. მას ახალგაზრდა თმახუჭუჭა კორნეტიც მოაგონდა. შინაბერა თავადის ასულთან გამიჯვნურებული ნორჩი კორნეტი ნათესავებმა თითქმის ხელით დაჭერილი ჩაიყვანეს პეტერბურგში და იქ „კონვოიში“ ჩარიცხეს. ამას მეფისნაცვლის, ევზარხოსის და რამდენიმე მიტროპოლიტის რეეკომენდაცია დასჭირდა, ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ თვითონ მანანა გერმანოზიშვილს აინუნში არ მოსდიოდა თმახუჭუჭა კორნეტის ჭაბუქური გატაცება. მოუხედავად ამისა, მას მაინც რაღაცნაირად ატეკინა გული მისი მშობლების დემონსტრაციულმა საქციელმა.

ზანდაროვთან შედარებით, ის ყმანვილიც პირზე რძეშეუშრობელ ბალლად მოეჩვენა მანანას.

როგორც ქალი, იგი სხვა უპირატესობასაც ანიჭებდა ზანდაროვს. მას არც სენატორის ვაჟის რომანტიკული სიყვარული ეტყობოდა, არც ახალგაზრდა კორნეტის შეფრენვით ტრიფიალი. ლალი და თამაში ზანდაროვი მას ჯერ კიდევ იმ დროს მოენონა, როცა ერევნის მოედანზე ერთად უყურებდნენ ჯამბაზების თოკზე თამაშს, ყველაფერი აგონდებოდა. მან ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ლამაზი და ნარმოსადეგი მამაკაცი მანამდე, სანამ ის მისკენ მოიხედავდა და შეამჩნევდა. არც მისი დაუსრულებელი უკან დევნა შეეძლო დაევინყებინა შინაბერად დარჩენილ ქალს. ისინი სულ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამ ორმა შეხვედრამ მას, როგორც ქალს, უფრო მეტი რამ განაცდევინა, ვიდრე მაია სავარსამიძის ახლანდელი ქმრის ბოლოდაუდებელმა მიჯნურობამ ენეინა მზეხათუნის სალონიდან გერმანოზიშვილების სახლამდე.

ზანდაროვის მიერ სიყვარულის გამხელა მას ახლაც თავხედობად მიაჩნდა, მაგრამ ასეთი „თავხედობა“ ყველგან და ყველა დროში ყველა ქალს ერთნაირად მოსწონდა, მოუხედავად იმისა, თუ სოციალური კიბის რომელ საფეხურზე იდგა იგი.

ამასთან, სავსებით დაკმაყოფილებული იყო მისი პატივმოყვარება. მას თავისი გულის საიდუმლოებას უმხელდა მამაკაცი, რომელსაც კნეინა ვოსტაშაბიშვილი და სენატორის რძალი მაია სავარსამიძე შესტრფოდნენ.

განანა შეუყოფანდა.

ნუხანდელი თავისი გადაწყვეტილება, „არასოდეს ზანდაროვს არ შეხვედროდა“, ნაჩქარევად მოეჩვენა.

ყოყმანმა ზანდაროვის პირობა მოავონა.

ხვალინდელ ნადიმზე დაპატიჟების აზრი მკაფიოდ გაახსენდა.  
ისევ აფორისქდა.

ფუტკარივით შემოსეული ფიქრები თავიდან ვეღარ მოიშორა.  
ღამე თეთრად შემოათენდა.

ქალი თავადის ასულს ებრძოდა, თავადის ასული — ქალს.

ხან ქალი იმარჯვებდა, ხან თავადის ასული.

მხოლოდ განთიადზე ჩაეძინა დალლილსა და დაქანცულს.

გვიან გაეღვიძა.

ქალაქიდან ზარბაზნის გასროლის ხმა მოესმა. ადრე ადგომას მიჩვეულს,  
ჟუდლის მოახლოება გაუკერდა.

დავითი ყაზარმაში იყო ნასული. შინ მარტო ბებერი გამდელი ფუსფუსებდა.

— გაიღვიძე, ჩემო ლამაზო? — შესცინა გამდელმა და დავითის ბარათი  
გადასცა, — თავადმა დატოვა. ასე დამაბარა, მზად დამხვდეს, ამ საღამოს  
ნადიმზე ვართ დაპატიჟებულიო.

დავითი გაუჩვეველი ხელით წერდა: „უფალი ზანდაროვიაზნაურობის დამტკიცების აღსანიშნავად დიდს ნადიმს მართავს. შენთვისაც უთხოვია და მეც მთხოვა,  
ვკახლოთ და პატივი დავდოთ. შინ საღამოს დაუბრუნდები და მზად დამხვდი“. მანამრამდენჯერმე გადაიკითხა ბარათი. მერე გამდელს მოუბრუნდა და უთხრა:

— ახალი კაბა მომიმზადე, რამდენი მძინებია? როდისლა მოვასწრებ მოძიადებას?

თავისი გადაწყვეტილების თვითონვე გაუკეირდა. ვერ მიმხვდარიყო, რა იყო ამის მიზეზი: ზანდაროვის მოულოდნელი აზნაურობა, ფეხშიშველი ბებერი გამდელი თუ მისი გალიისოდენა ოთახი, რომელიც ერთადერთი ფანჯრის შეყინულ-შეთრთვილულ მინათა მოლურჯო შუქის კამკამში სანყალობლად და სევდისმომგვრელად გამოიყურებოდა.

ოთახის ყველა კუნჭულიდან ობორებული სიღარიბე იჭყიტებოდა.

ყველაფერი ისე იყო ჩამოფხავებული და გაცვეთილ-გახუნებული, როგორც  
თვითონ სახლის პატრონი თავადი დავით გერმანოზიშვილი.

თავადის ასულმა ზიზღით და სიძულვილით შემოავლო თვალი პატარა,  
ღარიბულ, ულიმდამო ოთახს. ამ ოთახის მთელ ავლადიდებას რამდენიმე  
ფერდაკარგული, ალაგ-ალაგ ხავერდგადაძრობილი სავარძელი, ერთი ტახტი,  
კედელთან მიდგმული ტუალეტის ძველი მავიდა, მრგვალი სარკე და მრავალ-  
სანთლიანი ბრინჯაოს შანდალი შეადგენდა.

გერმანიზიშვილების ნაშიერი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ თავადური ლირსებიდან მას მხოლოდ სახელი შერჩენოდა. ასევე სახელით იყო თავადი დავით გერმანიზიშვილი, რომლის თავადური ცხოვრების გადმონაშთი მე-ზობელ ოთახში დამწყვდეული ერთი მწევარი, ორი მეძებარი და რამდენიმე ქორ-შევარდენი იყო.

მანანას ტანძი გააურუოლა.

ოთახში ციოდა ეიდეც, რადგან ბებერ გამდელს შეშის დაპობა და ბუხრის დანთება უჭირდა.

შეციებული თავადის ასული სუსტი ცეცხლით წითლად განათებულ ბუ-სართან მივიდა, ხელები გასათბობად მიუშეირა. ერთხანს გარინდებული და დაფიქრებული იდგა. მერე ჩაქინდრული თავი მაღლა ასწია და ნელში გაიმართა. ქალმა ამ მომენტში საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, რადგან თავადის ასულს ყველა საბუთი უაზრო და უგუნური მოეჩვენა. მხოლოდ ერთი რამ იყო გასათვალისწინებელი: დავითის განრისხება, მაგრამ ამის გახსენებამ იგი უფრო დაამშვიდა, ვიდრე ააღელვა. ზანდაროვის სახლში გამოჩენა მას სოვედაგრის საცოლედ ხდიდა, მაგრამ ეს არც ნიშნობას ნიშნავდა, არც მტკიცე პირობის მიცემას. საცოლის ცოლად გადაქცევა იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რას იტყოდა და როგორ მოიქცეოდა სილარიბეშიც მეტისმეტად ამაყი თავადი დავით გერმანიზიშვილი.

გამდელს შანდალზე სანთლები აანთებინა, სარკეს მიუჯდა. შიშით და მღელვარებით დააკვირდა საკუთარ თავს. მყისვე ცალი წარბი სიამოვნებით ასწია. ისევ პირმშვენიერი იყო. ამას ადასტურებდა ნათელი შუბლი, გიშრის თმა, შავი, ძველებურად მომხიბვლელი თვალები, სათნო, მწყაზარი და უნაოჭო სახე, სარკიდან ოცდარვა წლის ლამაზი ქალი იყურებოდა.

ბედგამნარებულს ბედის შემობრუნების რწმენა გაუღვივდა.

გახალისდა.

გამხიარულდა.

თავადის ასული ისევ გაუჩინარდა, ბურთი და მოედანი ისევ ქალს დარჩა.

როცა ქუჩიდან მარხილში შებმული ცხენების ეუვნების ნკრიალი მოესმა, ალტაცებით წამოიძახა:

— დავითი მოვიდა!

კიბეზე დავითი მუხამბაზის ლილინით ამოდიოდა. დასკარებიდანვე მიაძახა:

— მზადა ხარ, სულო?..

— მოვდივარ, მოვდივარ, — შესძახა მანანამ და პირჯვარი გამოისახა.

ძმამ დას მელავი მიაგება.

გამდელმა ორთავეს პირჯვარი გადასწერა. უკან ლოცვების ბუტბუტით დაედევნა.

სანამ მარხილი ქუჩის ბოლოს მიეფარებოდა, გაიანე სადარბაზო კართან, თოვლის ნამქერში იდგა. იდგა და თავშალი და მხრები თოვლით უთეთარდებოდა. ერთი აზრით და ფიქრით შეპყრობილი თოვლსა და სიცივეს ყურადღებას

კაქცევდა. ძალასა და მხნეობას ბედშეერული გაზრდილის ერთგულება და სუვარული ანიჭებდა.

ასე მას მხოლოდ ორი ადამიანი უყვარდა: მანანა გერმანოზიშვილი და უგზო-უკარგული ფანდურაანთ იოსება.

## 6. პაზნაურებული გდაბიო

**გაიგე, რომ კიდევ უფრო ავმაღლდი სოციალურ კიბეზე.  
ჩარლზ დიკენსი, „ჩეენი საერთო მეგობარი“**

მანამ მარხილში ძმას სხვათა შორის ჰქოთხა:

- როგორ გახდა უფალი ზანდაროვი აზნაური?
- კომისიაში საბუთები აპოვნინა მცოდნე პირებს.
- ჰო.

ზანდაროვის აზნაურობა ყველასათვის მოულოდნელი იყო, მაგრამ დიდი გაკვირვება ამას არ გამოუწვევია. მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში იმპერატორის მიერ დანიშნული კომისია აზნაურთა საბუთებს არჩევდა და ამტკიცებდა. კომისიას წინ გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატისათვის დართული ქართველ კეთილმობილთა სიები ედო, მაგრამ საერთოდ, ყოველგვარ სიგელსა და საბუთს სინჯავდა და ადასტურებდა. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ ნამდვილ აზნაურს თავისი აზნაურობის დამტკიცება უჭირდა, აზნაურობის მაძიებელი კი ამას ადვილად ახერხებდა. საზოგადოდ კი „აზნაურობის წყალობა“ მეფის მთავრობას სასურველ პოლიტიკად მიაჩინდა, რადგან მის მიზანს აზნაურების თავადებისთვის დაპირისპირება შეადგენდა.

დავითი გრიგოლ ზანდაროვის ქებას შეუდგა.

— ვერ ნარმოიდგენ, სულო, რას ნიშნავს ჩემთვის უფალ ზანდაროვის მეგობრობა. საუცხოო კაცია. არ ვიცი, მისი ღირსებებიდან რომელი ერთი ჩამოვთვალო? ღმერთს მაგისთვის ერთად მიუცია სილამაზეც, სიმდიდრეც, ვაუკაციობაც და დარდიმანდობაც.

ქურქში თბილად შეფუთნილი მანანა გატრუნული იჯდა. გვერდზე მიმქროლავეტლებს და მარხილებს უყურებდა, თან შიშით იმაზე ფიქრობდა, როგორ მოქცეოდა მისი ამაყი ძმა, როცა იმას შეიტყობდა, რაც ჯერჯერობით მარტო მან და უფალმა ზანდაროვმა იცოდნენ.

საამურად თოვდა.

ეტლები და მარხილები ერთი მიმართულებით მიქროდნენ.

- საით მიდიან? — იკითხა მანანამ.
- როგორ თუ საით? უფალ ზანდაროვის სახლისკენ!
- მანანას გაუკვირდა.
- ამდენი დიდკაციობა სოვდაგრის სახლში?

— აზნაურის, — გაუსწორა ძმამ, — უფალ ზანდაროვის ნადიმზე დიდება-ცობა სუფრის თავშია გამოჭიმული, სოვდავრები კი სუფრის ბოლოში არიან მიყრილ-მოყრილი.

მრავლისმნახეელ და გამოცდილ დავით გერმანოზიშვილს თანდათან გონი-ბა ეხსნებოდა, საღად მსჯელობას ეჩვეოდა. დას დაუყოვნებლივ განუმარტა:

— დოვლათი ქვეყანაში ვაჭრობით გროვდება. ეს ჩვენმა ძველებმაც კარგად იცოდნენ. მართალია, თვითონ ვაჭრობაში არ ერეოდნენ, მაგრამ მოგებაში ნიღლს იდებდნენ. ბატონიშვილების ქარვასლა ქალაქში კარგ შემოსავალს იძლეოდა. თუმანიშვილებიც ვაჭრობით გამდიდრდნენ. მამაჩემსაც დიდ სარგებლობას აძლევდა სამღებრო და იმის იჯარა. ახლა რამდენი ყმა-ვაჭარი ჰყავდა ქალაქში იარალ გერმანოზიშვილს? ნინანდელ დროში მეფესაც, დედო-ფალსაც, ბატონიშვილებსაც, ეკლესიასაც და თავადსაც საკუთარი ვაჭრები ჰყავდათ. ისე კი ვაჭრობა ყველას მდაბალ საქმედ მიაჩნდა. ახლა კი, ნულარ იტყვი, სულ სხვა დროებაა, სულო! განა ალექსანდრე ჭავჭავაძე ლვინოებით არა ვაჭრობდა ან განა მუხრან-ბატონი ამასვე არ აპირებს? თავადური ამპარ-ტავნობა ბევრს არაფერს გვარებს. თორემ, ნახავ, ვაჭრები ნინ დაგვიდგებიან, ჩვენ კი უკან დავრჩებით. რაღა შორს წავიდეთ? განა ჩვენს ზვარში ვაჭარი არა სწურავს ლვინოს?

თავადის ასულმა წარბი შეჰერა.

თავადმა ენაზე იყბინა.

გაყიდული მამულების გახსენებამ ორთავეს გუნება გაუფუჭა, ერთმანეთს თვალი ვეღარ გაუსწორეს და ეტლებს და მარხილებს მიაცეკერდნენ.

ეტლი ეტლს მისდევდა, მარხილი — მარხილს.

თეთრად გადაპენტილი ეტლები, რომელთა კოფორებზე მაღალცილინდრი-ნი და ფართო კაბიანი მეეტლეები ისხდნენ, სოლოლაკისაკენ მიჰეროდნენ. ეს ეტლები ქალაქის დიდებაცების იყო. დავითმა მყისვე დაასკვნა, რომ გრიგოლ ზანდაროვს ამაღლამდელ წადიმზეც ბრწყინვალე საზოგადოება ეყოლებოდა სტუმრად.

ისევ გამხიარულდა.

ოცნებამ გაიტაცა.

თავადი ერთ აზრს ეჭიდებოდა და იმას უღიმოდა.

თუ ღმერთს გერმანოზიშვილების საბოლოოდ დაკარგვა არ სურდა, მისი ლამაზი და გრიგოლ ზანდაროვის დღევანდელ ან ხვალინდელ წადიმზე შეხვ-დებოდა იმას, ვისაც იგი დიდი ხანი იყო უცდიდა. „ქორწინება ზეცაში ხდება“, — გაიფიქრა ოცნებით გატაცებულმა თავადმა და სიყვარულით შეათვალიერა გაბუტულივით შებლშეერული და.

როცა ზანდაროვის გაჩირალდნებული დიდი სახლი და თოვლით დაბურული უზარმაზარი ბაღი გამოჩნდა, მანანამ მარხილში წამოინია და კინაღამ შეჰე-ვირა. „ნუთუ უარს ვიტყვი, ამ სასახლის ქალბატონი გავხდე?“

მან მღელვარებით დადგა ფეხი სადარბაზო კარის ზღურბლზე.

სამაგიეროდ, ზანდაროვი სრულიად აუღელვებლად დახვდა მანანა გერმანიზმისთვის. მინაგანად გულგრილმა, გარეგნულად სახეზე უზომო სიხარული გამოხატა, მანანას მდაბლად თავი დაუკრა და აღტაცებულმა მიმართა:

— გმადლობთ, ენიაუნავ, რომ პატივი დამდეთ და მობრძანდით.

თავადის ასულმა წყალობასავით გაიმეტა კეთილი ლიმილი.

დავითმა მეგობრულად ჩამოართვა ხელი გრიგოლს.

გასპინძელი და სტუმრები ნელი ბასით აპყვნენ მარმარილოს განიერ, გძიმე კიბეს, რომლის ფოლორცი ბრინჯაოს გოლიათის თავზე დადგმული ლამპრით იყო განათებული.

დარბაზებიდან საცეკვაო მუსიკის ხმები და სტუმრების უიკილ-ხივილი გოსმოხდა.

დავითმა და გრიგოლს შეატოვა ხელში და შორიდან დანახულ მაიკო კურტანიძეს დაედევნა.

დამარტოხელებული მანანა გაფითრდა. მას ეგონა, რომ ახლავე, დაუყოვნებლივ, ზანდაროვი იმას ეტყოდა, რაც წუხანდელი პირობის შემდეგ სავსებით მოსალოდნელი და ბუნებრივი იყო, მაგრამ მაინც ამაღლვებელი და ამაფორიაქებელი.

ზანდაროვმა, პირიქით, თავადის ასული იქით გაასეირნა, სადაც მრავლად ირეოდნენ სტუმრები. დღევანდელი საქმრო თუ ხვალინდელი ქმარი მას პატივისცემით და მოკრძალებით დაასეირნებდა.

მანანა გაოგნებული და მოხიბლული დადიოდა დიდრონი ჭალებით და ურიცხვი ეანდელაბრებით განათებულ დარბაზებში. აქ ყველაფერი ძეირფასი და ფასდაუდებელი იყო. მას თვალი რჩებოდა მოვარაყებულ სარკეებზე, ოქროსჩარჩოებიან სურათებზე, სპარსულ ნოხ-ფარდაგებზე, პარიზულ ავეჯზე, ევროპულად და აღმოსავლურად მორთულ-მოკაზმულ დარბაზებსა და მდიდრულ ოთახებზე. ყველაზე მეტად მაინც სოვდაგრის ნადიმზე მოსული დიდკაცები და არისტოკრატი მანდილოსნები აცვიფრებდა. აქ იგი იმათ ხედავდა, ვისაც ჩვეულებრივ მეფისნაცვლის მეჯლისზე ან თეატრში ხვდებოდა ხოლმე: გენერლებს, თავადებს, კნეინებს და ზვიად ბობოლებს.

„ნუთუ ესენი დამძრახავენ, რომ მათი მასპინძელი გავხდე? — ფიქრობდა ის თავის გულში, — აი, თუნდაც ეს ერთი ციცქა, მაგრამ საოცრად სქელი კნეინა მაჭატა კენტერაძე, „ჭორების ბოლინია“, რას იტყვის, რომ მე, ენიაუნა მანანა იარალის ასული გერმანოზიშვილი, სოვდაგარ გრიგოლ ზანდაროვის ცოლი გავხდე? ვიცი, სალონებში გამკილავს და შემარცხევნს, მაგრამ თვითონ რატომ მობრძანებულა? იქნება მაგის ფუქსავატი ქმარიამ სოვდაგრის ქისითა ცხოვრობს? აქ ტყუილ-უბრალოდ არავინ არის მოსული. ზოგს, მართალია, გართობა და დროს გატარება სწადიან, მაგრამ ზოგიც აღბათ სოვდაგრისა-გან არის დავალებული. რა არის აქ გასაკეირველი? განა ჩემს ლეიძლ ბიძას, თავად ანდუყაფარ გერმანოზიშვილს ამ სოვდაგრის ვალი არა მართებს?

მაშ რა გიძლის ხელს, სოვდაგრის ცოლი გახდე? მაგათი ენის გეშინია? ფუქ! გული მეუბნება და არც მატყუებს, რომ თუ ამ სოვდაგრის სიმდიდრე ხელთ ვიგდე, ყველა გამკილავს. გავაჩუმებ, ქისით ათასნაირ ენას ვიყიდი და ათასის პირს კლიტეს დავადებ. სოვდაგარი ზანდაროვი აზნაურია. მას უფლება აქვს, მარშალი აირჩიოს".

ფიქრებით გართულმა თავადის ასულმა ადვილად წარმოიდგინა, თუ როგორ მაღლდებოდა იგი ამ კაცზე გათხოვების შემდეგ თავის იმ მოქიშევებზე, რომელნიც მას მხოლოდ თავიანთი სიმდიდრით სჯობდნენ.

დროგამოშვებით გრიგოლი ბოდიშის მოხდით მარტო ტოვებდა მანანას, რათა ყველაზე ლირსეულ სტუმრებს წინ მიგებებოდა და მათთვის მდაბალი მადლობა მოეხსენებინა მისდამი გამოჩენილი ყურადღების გამო.

სტუმრების დენა არ წყდებოდა.

მანანა ბევრ მათგანს იცნობდა და ბევრთან მუსაიფობდა კიდეც.

საკუთარ ძმას კი ველარსად პოულობდა.

ბოლოს იმ ოთახში მოპერა თვალი, სადაც სტუმრები მნვანე მაგიდას უსხდნენ და ქალალდს თამაშობდნენ.

მანანა შეტოვდა. გულმა რეჩხი უყო.

მის ძმას დადებული ალთემა დაერლეის და ისევ მნვანე მაგიდას უჯდა.

მან მნარე გამოცდილებით იცოდა, რას ნიშნავდა ლოთი ძმის ქალალდის თამაშით გატაცება.

დავით გერმანიზიშვილს ველარაფერი იხსნიდა. ამიტომ თვითონ მანანა გერმანიზიშვილს უნდა ეფიქრა საკუთარ ბედსა და მომავალზე.

## 7. ეჭვის მნვანე თვალები

ეჭვიანი კაცისათვის ყველაფერი ცხადია, არა და, არავითარი  
საბუთი კი არ აქვს.

მ. ლერმონტოვი

შუბლმოლერებულ მანანას წინ უცებ სახეგაბრნყინებული გრიგოლი აეყვადა. ცეკვა შესთავაზა. მანანა მას უხალისოდ გაჰყვა, რადგან არც ძველი „კადრილი“ ემარჯვებოდა, არც ახლად გავრცელებული „პა დ'ესპანი“. გრიგოლ ზანდაროვი საუცხოოდ ცეკვავდა. ცნობილი „ხახვის ფრანტები“ შეურით იხერხებოდნენ. ქალები კი ბუზებივით ეხვეოდნენ წარმოსადეგ, მოქნილსა და მკვირცხლ მოცეკვავეს. მან თვით სოფელში გაზრდილ ბანოვანს გადასდო ცეკვის ხალისი, აიყოლია და ურცელი დარბაზი მსუბუქი სრიალით შემოატარა. მოუხედავად იმისა, რომ მანანას ზანდაროვის ნყალობით საკმად მოხდენილად გამოსდიოდა „კადრილის“ ყველაზე რთული „პა“, მაინც რცხვენდა და წითლდებოდა. მალე სახეშეფაკლული განზე გადგა.

ზანდაროვს ჯერ ირცისუხოვის პანსიონში აღზრდილი გოგოები მისცვი-  
ვდნენ, მერე მაია სავარსამიძემ დაიმარტოხელა.  
განანა აიმრიზა.

გაია სავარსამიძე საეჭვოდ ეტმასნებოდა ახოვან ზანდაროვს და ანცი ლი-  
მილით თვალებს უუუუნებდა. მისი აწონილი და დონდლო ქმარი გენერლებს  
შორის იდგა, დინჯად ბასობდა, თან ცალი თვალი მანანა გერმანოზიშვილზე  
რჩებოდა.

სტუმრები აღტაცებით უყურებდნენ თვალტანადი ზანდაროვის ცქრიალა  
გაია სავარსამიძესთან ცეკვას. პეტერბურგში განაფული სენატორის რძალი  
თავისი ცეკვით აშკარად სჯობდა ბერთუბანში გაზრდილ ბანოვანს.

ამრეზილი მანანა სხვა რამესაც აქცევდა ყურადღებას.

გაია სავარსამიძე მასზე უფრო გამხდარი, მოქნილი, შუშპარა და ეკლუცი  
ჩანდა. ზანდაროვისადმი აშკარად გამოხატული ტრფიალი კი მას თითქოს  
უფრო მეტად ასხივოსნებდა და მიმზიდველს ხდიდა.

კრიჭაშეეკრულ მანანას გვერდში მაჭატა კენტერაძე ამოუდგა. „ჭორების  
ბოლინიამ“ ჩვეულებრივ შორიდან დაინყო.

— კარგი წყვილია.

მანანამ ხმა არ ამოიღო.

— ერთმანეთსაც უხდებიან.

მანანამ არც ახლა დასძრა კრინტი.

— მოსწონთ კიდეც ერთმანეთი, — დაასკვნა „ჭორების ბოლინიამ“.

მანანამ გაბრაზებით გადმოხედა მაჭატა კენტერაძეს.

— ქალ-ვაჟის ცეკვა ტრფიალის საბუთად არ გამოდგება, კნეინავ!

— მე სხვა საბუთიც მაქვას, — ჩურჩულით ნარმოთქვა „ჭორების ბოლინიამ“.

— მაინც რა? — დაინტერესდა მანანა.

— ახლახან კნეინა გოსტაშაპიშვილმა ზანდაროვის სახლი დასტოვა. უმიზეზოდ ამას მაგდა არ გააქეთებდა. იმის ამპარტავნობა ყველამ კარგად  
ვიცით. ზანდაროვს მაია სავარსამიძესთან ტრფიალს ადვილად არ აპატიებს.  
ახლაც არა გვჯერა, კნიაუნავ?

ეს მანანასაც ენიშნა და სარწმუნოდ მიიღო. მაჭატა კენტერაძეს მაინც  
გაჯავრებით უთხრა:

— არ ვიცი, ეგ რა საბუთია?

„ჭორების ბოლინიამ“ ნარბები გაევირვებით ასწია.

— როგორ, კნიაუნავ?! განა არ იცი, რომ კნეინა გოსტაშაპიშვილი და უფალი  
ზანდაროვი უკვე პარიუში ეტრფოდნენ ერთმანეთს?

— თუნდ ეგ ეგრეც იყოს, — შეანუვეტინა მანანამ, — მაია სავარსამიძე რა  
შუაშია?

მაჭატა კენტერაძემ გაიცინა.

— კნეინა გოსტაშაპიშვილი ყველაზე გვიან ტოვებდა ზანდაროვის ნადი-  
მებს. დღეს ისეთი რა უნდა მოსვლოდა? ვითომ მარტოაზნაურობა მიუღლოცა

გრიგოლს და შინ ქმრის, ანდრეათარის დასახედავად გაიქცა! რასა ბრძანებ, კნიუნავ?!

მანანას მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილმა მას პირი მოარიდა, ზანდაროვს დაედევნა და ისევ ცხარედ დაუწყო რაღაცაზე ლაპარაკი, როგორც გუშინ მანეუის თეატრში.

გაევირვებულმა თავადის ასულმა კინალამ ხელები გაშალა. ყველასაგან მიკინწყებული შინაბერა კნეინა გოსტაშაბიშვილსაც ეცილებოდა სიყვარულს და მაია სავარსამიძის მეტოქედაც გამოდიოდა.

მანანა გერმანიზიშვილის განცვიფრება მაჭატა კენტერაძემ თავის მიერ ნათქვამ ჭორს მიაწერა, ჭორიკნულად ჩაილაპარაკა:

— მაია სავარსამიძის ქმარს რუსთა კონსტანტინეპოლის საელჩოში ნიშნავენ. ეგ ტრფიალი მალე ჩაიშლება და კნეინა გოსტაშაბიშვილი ჩვენს მილიონერს ისევ თავს დაუკრავს.

მანანა გამტკნარებული იდგა. სენატორის რძალი გადაავინწყდა და წაგ. დაუწუმ ლამაზი პარიზელი მანდილოსანი ელანდებოდა.

მაია სავარსამიძე თბილისში ნათესავების სანახავად იყო ჩამოსული. მალე პეტერბურგში უნდა გაბრუნებულიყო. ამიტომ შინაბერობით მობეზრებული თავადის ასული კნეინა გოსტაშაბიშვილისადმი უფრო მეტი სიძულვილით იმსჭვალებოდა, ვიდრე მაია სავარსამიძის მიმართ.

მისთვის საშიშარი სენატორის ცერიკალა და ცელენი რძალი კი არ იყო, არა-მედ დინჯი და ჭკვიანი კნეინა გოსტაშაბიშვილი.

## 8. საცოლე

ლვინო დასხმულია, დალევალაა საჭირო.  
შარლ დე ბერნარი, „იკაროსის ფრთხები“

გრიგოლი მანანას ისევ ნინ დაუდგა, ხელი სათუთად მოჰკიდა და სტუმრებს შორის გაასეირნა.

გრიგოლთან სეირნობის დროს მანანამ ერთ ლამაზსა და ახოვან ქალს მოჰკრათვალი, მოენონა, შეჩერდა, გულწრფელად მოხიბლულმა აღტაცებით ნამოიძახა:

— რა მშენიერი ქალია! ვინ არის, უფალო გრიგოლ?

— ეგ ალაფის ცოლია, მაიკო კურტანიძე.

ალაფის ხსენებაზე თავადის ასულმა ტუჩიანბზუა, მაგრამ, როცა იმ ქალის გვერდით დავითი ცდანახა, სახე მოულბა; მის ხმაში ისევ გაისმა ნელანდელი აღტაცება:

— ვინ იფიქრებდა, რომ ეგ დედოფლური გარეგნობის ქალი ალაფის ცოლია? პირველად, სანამ კარგად არ დავაშტერდი, კნეინა გოსტაშაბიშვილი მეგონა. ჰგავს კიდეც.

- მაგას სხვებიც ამბობენ, კნიაუნავ.
- ოლონდ ეგ ქალი უფრო ქერაა, ვიდრე ჩვენი მედიდური კნეინა.
- ეგეც მართალია, კნიაუნავ, მაგრამ ხშირად ალაფის ცოლს კნეინა გოსტა-ჟაბიშვილს ამსგავსებენ, კნეინა გოსტაშაბიშვილს კი ალაფის ცოლს. ის კიარა,
- გაიცინა გრიგოლმა, — ერთხელ დამუჯვებული ბართლომე კურტანიძე, მაგ ქალის ქმარი, კნეინა გოსტაშაბიშვილს გვერდში ამოუდგა და ბევრი გვაცინა.
- დავითს მაგ ქალზე არაფერი უთქვამს, ნაცნობი კი ყოფილა.

გრიგოლმა შეუმჩნევლად გაიღიმა.

ის თავადის ასულს ისეთი შეფრთვინვით დასასეირნებდა, რომ გაოცებისაგან დაბნეული და გაშტერებული მაჭატა კენტერაძე პირდალებული იდგა და არ იკოდა რა ეფიქრა. „ჭორების ბოლინის“ საბოლოოდ დაებნა ანგარიში, როცა ჯერ გაბრაზებული მასა სავარსამიძე დაინახა, ხოლო შემდეგ მიყრუებული ოთახებისაკენ ნელი ტაატით მიმავალ უცნაურ ნუვილს გააყოლა თვალი.

ზანდაროვმა მანანა იმ დარბაზში შეიყვანა, სადაც თითქმის არავინ იყო და მუსიკის ჰანგიც ყრუდ მოისმოდა; მერე აივანთან მიიყვანა და ფერადი ფარნებით განათებული ზამთრის ბალი დაანახვა, ენად გაიკრიფა და განითლებულ-გალურჯებული ფაფუუკი თოვლის და დათოვლილი ხეების ყურებით მოხიბლულ თავადის ასულს პარიზული თეატრების და სანახაობების ლირს-შესანიშნაობანი გატაცებით აღუნერა; ბოლოს, სურათების გალერეას გაჰყვა და თავადის ასულიც გაიყოლა, თან იმას ეუბნებოდა, თუ პარიზში ცხოვრების დროს რომელი სურათი რა ფასად იყო ნაყიდი. მანანა აღტაცებული უყურებდა დიდეკაცთა ქეიფისა და ნადირობის სცენებს, ლამაზი ქალების პორტრეტებს, რომელიც, უფალი ზანდაროვის განმარტებით, პარიზის გამოჩენილ მომღერლებს და მოცეკვავებს გამოხატავდნენ. მან მხოლოდ „ოსმალურ აბანოსთან“ ჩალუნა თავიდა ფეხს აუჩქარა, რათა ურცხვად გაშიშვლებულ იმ დედაკაცების სურათს გასცლოდა, რომელსაც თითქმის მთელი კედელი ეჭირა. ზანდაროვი მას ფეხდაფეხ მიჰყვა და თავის ხალვათხანისეუნ გაახვევინა. მანანა ვერაგზით ვერ მიხვდა, თუ როგორ აღმოჩნდა მარტოდმარტო ზანდაროვთან ერთად განმარტოებულ ოთახში.

გრიგოლმა მას სიყვარულით შეხედა და გაუბედავად ჰკითხა:

— რა გადაწყვიტეთ?

მანანამ მორცხვად გაულიმა, ნუნარად მიუგო:

— მე თანახმა ვარ, მაგრამ დავითი...

— ვერ დავითანხმებთ?

— არ ვიცი... — თავისთვის ჩაილაპარაკა თავადის ასულმა, — დავითი ამაყის, კარგად ვიცნობ. არ მინდა გული გატკინოთ, მაგრამ ვაჭარს დას არ მისცემს...

ზანდაროვს ნუენა გამოხატა სახეზე.

მანანას შეებრალა იგი, თვალებით გაულიმა, ალერსიანად უთხრა:

— მე კი, აკი გითხარით, თანახმა ვარ...

ამას ქალი ამბობდა. თავადის ასულს კი ეს „ჰო“ სირცხვილით სწვავდა.

გრიგოლმა ხმა არ ამოიღო. არც დოდი აღტაცება გამოხატა, არც სიხარული. უსიტყვოდ მოჟეიდა ხელები მხრებზე, თვალებში ჩააცერდა და დააშტერდა. მანანა მას დაბნეული უყურებდა (მას პირველად უხდებოდა მამაკაცთან გან- მარტოება და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო), მაგრამ მაინც შეამჩნია, რომ გრიგოლს რაღაც ჭმუნვის თუ ტეკივილის ჩრდილმა სწრაფად გადაურბინა სახეზე. მერე ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ერთბაშად გონგე მოსულმა ზანდაროვმა მას მარჯვენა ხელი მოხვია წელზე, მარცხენა ხელით ნიკაპი მაღლა აუნია და მის ბაგეებს ცხარე და ხანგრძლივი კოცნით დაენაფა. მანანა უარესად დაიბნა, ვერაფერი მოისაზრა, მისთვის ეს მამაკაცის პირ- ველი კოცნა იყო და მას პირნავარდნილ შინაბერასავით შეხვდა. უხერხული მოძრაობით გაითავისუფლა თავი, აიმრიზა, მაგრამ არაფერი თქვა, რადგან „ჰო“ უკვე ნათქვამი ჰქონდა.

როცა სტუმრები უზარმაზარი სუფრის გარშემო სხდებოდნენ, მაიკო კურ- ტანიძემ დრო იხელთა, ზანდაროვი განზე გაიყვანა და ჰკითხა:

- ცოლს ირთავ, გიგაჯან?
- განა დრო არ არის, ნათლიდედ?

თავმომწონედ გადმოუგდო ზანდაროვმა და სტუმრების სუენ გატრიალდა.

მაიკო კურტანიძე მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ ვინ აქეზებდა დავით გერმა- ნოზიშვილს მასთან არშიყობას. ხელები ჩამოსცვივდა და თითქმის ხმამაღლა წარმოთქვა:

- გამყიდა... გამყიდა...

იმ დღეს მაიკოს პირველად ჩასწყდა გულის ძარღვი. გვერდით ბართლო- მე დაუდგა. ცოლმა ქმარს მეღავი გაუყარა და მასთან ერთად სუფრის სუენ გაემართა.

მაიკოს ჯავრი დიდხანს არ შეეძლო. არც გულჯავრიანი ადამიანები უყვარდა. გადამდებ სიცილში ფარული ცრემლის გალესვას ყველასათვის შეუმჩნევლად ახერხებდა. ახლაც თავისი თაფლის ფერი თვალებით ჯერ ერთ მოხდენილ ყმანვილს გაუცინა, მერე დაბლვერილ დავით გერმანოზიშვილს რომ შეავლო თვალი, სავარძელზე გადაქანდა და გულიანად გადაიკისკისა.

# კარი ოცდამესამე

## 1. თავისი თავის მოციქული

სანგარი საკმაოდ გათხრილია, დროა ციხესიმაგრე ავილოთ.  
შარლ დე ბერნარი, „იუაროსის ფრთები“

ზანდაროვი მოულოდნელად ესტუმრა თავად გერმანოზიშვილს. ეს მისი პირველი ვიზიტი იყო გერმანოზიშვილების სახლში.

დავითს გაუკვირდა. არ მოელოდა. დაიბნა. თავი უხერხულად იგრძნო. თავისი ლარიბული ოთახის შერცხვა. იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, სტუმარს ნაძლადევი სალამ-ქალამით მიეგება.

— გრიგოლს გაუმარჯოს! ძლიერ არ ველირსე შენს სტუმრობას? საიდან? როგორ მოხდა?

- აქვე ახლოს ვიყავი. გულმა ვეღარ მომითმინა და შემოვიარე.
- ბარაქალა! ბარაქალა!

ზანდაროვმა თვალით დაუწყო ძებნა სავარძელს.

- დაბრძანდი, გრიგოლ.

შესთავაზა თავადმა და ყურებამდე განითლდა. ოთახში ერთადერთი ცხრანაირად გაგლეჯილ-გადმოგლეჯილი სავარძელი იდგა.

გაურიალებულმა ზანდაროვმა, რომელსაც მტვერი და ბუმბული ახლოს არ ეკარებოდა, ზიზლი დასძლია, სავარძელში ფრთხილად ჩაჯდა და საწყალობლად ააჭრაჭუნა; თავიდან მაღალი პრიალა ქუდი მოიხადა, ფეხებთან მტვრიან იატაკზე გადმობრუნებული დასხო, შიგ ყვითელი ხელთათმანები ჩაყარა და თავადის ასული თავაზიანად მოიკითხა:

- კნიაუნა როგორ ბრძანდება?
  - არა უშავს. თავის ოთახში არის. წელან თავის ტკივილს უჩიოდა.
- თავმოყვარე დავითს ჩითის კაბაში ჩაცმული დის გამოჩენა არ უნდოდა.
- მანანამ ფანჯრიდან დაინახა ეტლიდან გადმომავალი ზანდაროვი, მყისვე მიხვდა მისი მოსვლის მიზეზს, გული შეუქანდა და გაფიტრდა. ფანჯარას ხშირ-ხშირი პირჯვერისნერით მოსცილდა, ოთახის კარი ჩაკეტა, ტახტზე ავიდა და მუთაქებში მოიკეცა.

დავითმა და გრიგოლმა მეგობრული მუსაიფი გააბეს.

თავადი ტახტზე იჯდა ახალუხის და ფოსტლების ამარა. მხრებზე აქეთიქით განვრთნილი ქორები ესხა. ტახტის ნინ თავნვრილი მწევარი გართხმულიყო ანალვერდლებულ ბუხართან, ორი მეძებარი ერთმანეთს ულრენდა და კბილსა ჰქონდა.

— ნადირობას არაფერი სჯობიან, გრიგოლ! — აღტაცებით უმტკიცებდა თავადი სოვდაგარს, — ისეთი რა უნდა მომცენ, რომ ეს მწევარი და მეძებრები დავთმო? მაგათ არაფერში არ გავცვლი. ჩემი გულის მურაზები ეგენი არიან!

— კარგები არიან, კარგები, — დაეთანხმა ზანდაროვი.

ამ მწევარსა და მეძებრებში ცოლშვილიანი ყმა მივეცი, — დაიტრაპას თავადმა, — მაგისთანანი ბევრს არავის ჰყავს, თვალისჩინივით კუთრთხილ-დები.

— კარგები არიან, კარგები, — გაიმეორა ზანდაროვმა და მწევარ-მეძებრებს თითო ალერსით დაუქნია.

თავადმა ნადირობის და თევზაობის აღტაცებით აღწერას ყაბახი და ისინდი მოაყოლა. თავი უბადლო ცხენოსნად გამოაცხადა, მონმეებად სპარსელებს ასახელებდა. „ალექსანდრე ბატონიშვილმა შაპის ნინ ჩოგანი მათამაშა და შაპი დიდად გაევირვებული და ნასიამოვნები დარჩაო“.

ზანდაროვი დაინტერესებული კაცის ყურადღებით უსმენდა.

უცებ თავადმა მოინყინა, თავი ჩაჟაჭინდრა და სინანულით წარმოთქეა: — ბევრი ვინმე ვაქეიფე, ბევრი ვანადირე და ვათევზავე, მაგრამ მე თვითონ მეგობრობა არავინ გამინია.

ზანდაროვს წყენა გამოეხატა სახეზე.

— განა მე მეგობრად არა მთვლი, დავით?

— შენრა შუაშიხარ, გრიგოლ? მე იმათზე ვლაპარაკობ, ვისაც ჩემი მამულები გადავაგე, თვითონ ეი, ჩემი უთავბოლობის წყალობით, ცარიელზე დავრჩი.

— ვისაც გვერდით მეგობარი ჰყავს, იმას, ჩემო დავით, ცარიელზე დარჩენილი არ ეთქმის.

დავითმა გაიცინა.

— იცი, გრიგოლ, რომ ყველაზე მეტად შენი მეშინია?

ზანდაროვმა წარბი ასწია.

— ეგ ქარაგმა არ მესმის, დავით?!

— გაუგებარი რა არის? — ისევ გაიცინა თავადმა, — ჩემი ვექსილები ჯიბებში გაქვს, როცა გინდა მიჩივლებ და სასამართლოს გადამცემ.

ზანდაროვი ფეხზე წამოდგა, შეურაცხყოფილი ადამიანის იერი მიიღო, თავადს გულნაკლულად უსაყვედურა:

— ეგ როგორ მოგივიდა აზრად, დავით?

— სულ უბრალოდ. ჩემი ვექსილები გამახსენდა.

— მერე განალდება ვინ მოგთხოვა?

— განა შენ მაგისთვის არ ხარ მოსული? მთანმინდაში, გრიგოლჯან, მარტო გასათხოვარი ქალები და დედაბრები დადიან.

ბედთან შერიგებული კაცის უდარდელობით უპასუხა დავითმა და ალერსისანად გადაუსვახელი მწევარს, რომელსაც თავისი წვრილი და გრძელი თავი პატრონის მუხლზე დაედო.

ზანდაროვმა ითაკილა.

— არ ვიცოდი, რომ შენი სახლის კარი ჩემთვის დაკეტილი იყო. არც ის მეგონა, თუ შენთან მარტო მევალეები დადოოდნენ.

ქუდს ხელი დაავლო და წასასელელად მოეშზადა.

თავადი დაიბნა. ბოდიში სეენებ-სვენებით წაიბურტყუნა.

— კარგი, გრიგოლ... ნუ ჯავრობ. უზრდელად მომივიდა. რაც მართალია, მართალია... რას იზამ? გაჭირვებული კაცი ვარ და ყველგან მევალე მელან-დება.

ზანდაროვმა შებლი მაინც არ გახსნა. მტკიცე გადაწყვეტილებით უთხრა:

— რაკი მეგობრობა ვერ დაგიმტეიცე, მე აქ აღარ მედგომება...

თავადმა მხრებიდან ქორები ააფრინა, წამოდგა და ზანდაროვს ხელი გაუშვირა.

— რაც იყო, იყო. მოდი, გრიგოლ, ხელი ხელს დავკრათ და ეს უსიამოვნო ლაპარაკი დავამთავროთ.

— ძალიან მანყენინეთ, კნიაზო!

ზანდაროვის „თქვენობით“ მიმართვაში დავითი უარესად დააბნია, თავმო-ყვარეობა განზე გადასდო და თითქმის ხვენნით უთხრა:

— არ ვიცი, რა ვქნა! თვითონაც არ ვიცი, რა ღმერთი გამინყრა! დავივინ-ყოთ, გრიგოლ.

— თქვენგან მაგას არ მოველოდი, კნიაზო!

— კარგიერთი, შენს გახარებას. გაჯავრება მეც ვიცი, მაგრამ ყველაფერს ბოლო აქვს.

— იმ სიტყვების ლირსი მე არ ვიყავი, კნიაზო.

— მართალი ხარ, მართალი. აკი გითხარი.

გაბრაზდა თავადი.

ზანდაროვი მოლბა.

— თუ ერთმანეთი თვალში აღარ მოგვდის, დავით, ხელს რა გვიშლის? ერთმანეთს თავი დავუკრათ და გაემორდეთ.

— არა გრცხვენიან, რასაც ახლა ლაპარაკობ, გრიგოლ?

— მაშ შენი ჩემდამი უნდობლობა რითი ავხსნა?

— რა უნდობლობა? რის უნდობლობა? კარგი, კაცო, გაათავე. მე შენს პურ-ბარილს რა დამავინყებს? შენისთანად ვინ გამიმართა ხელი? გაჭირვებულს ბევრჯერ დამეხმარე, და ვიმედოვნებ, კიდევაც დამეხმარები. ბოძაჩემს, თავად ანდუყაფარისაც, დიდი სიკეთე დასდე. გულითადი მეგობრობა ბარე ათასჯერ დამიმტეიცე.

— შენ რიღათი დამიმტეიცებ მეგობრობას?

ჰერითხა ზანდაროვმა, თვალი თვალში გაუყარა და აღარ მოაშორა.

— რითაც გინდა.

— მაინც?!

— იმით, რაც მაპადია. ერთგულებით, თავდადებით და პირის გაუტეხლობით.

ზანდაროვს მისი ეს ლირსებანი არ აინტერესებდა.

მტკიცებული მოითხოვა.

— მე მეტს ვთხოულობ.

თავადშა ნიაზით შეათვალიერა.

— მაინც რას?

— მეგობრობაზე უფრო მეტს.

— არ მესმის.

ზანდაროვი მასთან ახლოს მივიდა და აღელვებულმა უთხრა.

— მე მინდა შენი ნათესავი გავხდე.

დავით გერმანოზიშვილმა ჯერ ვერაფერი გაიგო, მერე, როცა მის გონიერას ნათქვამის აზრი მისწოდა, სახტად დარჩა. თვალები დააჭყიტა. ყურებს არ უჯერებდა და ნამნამებს უაზროდ აფახულებდა. ბოლოს რისხვის ალმა აჟრა სახეზე და აღრიალდა:

— ნუნეალო! სალახანავ! ეგ როგორ გაბედე? ეგ როგორ მეადრე? როგორ ამოსთქვი? არ იცი, ვინა ხარ? არ იცი, ვის უყადრებ თავს? ბაზრის ბიჭო! ვი-გინდარავ, ავარავ!

თავადს ბრაზი ახრჩობდა და ისეთნაირად იყო განითლებული, ზანდაროვს შეეშინდა ერთბაშად წვეთი არ დასცემოდა.

თავადის ლრიალზე ძალლებმა ყეფა ატეხეს. დამფრთხალი ქორები ხან ფანჯრის მინებს ეხეთქებოდნენ, ხან ჭერს, ხან კედლებს. ოთახში ჯოჯოხეთი დატრიალდა (მეზობელ ოთახში შიშით აცახცახებული მანანა კედელს მიე-კრო და გონებადაკარგულს პირჯვრის გამოსახვა დაავინყდა). ზანდაროვი ნარბშეუხრელად იდგა. ძლიერი. ღონიერი. თავის ძალასა და უპირატესობაში დარწმუნებული. ამ რწმენას დანესტიანებული, ბნელი ოთახის გამურული კედლებიც უმტკიცებდნენ და ჭერზე ლრუბელივით განოლილი ყვითელი ლაქაც, რომელიც ზანდაროვს აქ შემოსვლისთანავე თვალში ეცა და, რომელ-საც წვიმის დროს, ალბათ, გობებს და ვარცლებს უდგამდნენ, რათა ნიაღვარს ოთახი არ წაელეკა.

უნებლიერ თავის მდიდრული სახლის აღმოსავლური მრგვალი დარბაზი მოაგონდა, მისი ნაზი ფერებით შემქული არაბესკები, მავრიტანული ჩუქურ-მები და ლურჯად მოხატული პლაფონი, რომლის მტრედისფერ ლივლივში ოქროს ვარსკვლავები იყო გაბნეული.

მოაგონდა და თავადს ბატონეაცურად დააცქერდა.

თავადი ეი ლრიალებდა, დორბლებს ჰყრიდა და უნმანურად იგინებოდა. მაგრამ უკვე საქმაოდ ჯანგატეხილს, დიდხანს არ შეეძლო ლრიალი, არც ასეთი მლელვარების გაძლება. სადღაც უნდა მოშეებულიყო და ერთბაშად აბრიალებული ნაღვერდალივით ჩამერალიყო.

ამ მომენტს ზანდაროვი მოთმინებით უცდიდა.

## 2. გათაცილი და დამცობილი

ინტერესთა თამაში ღულით არის უზრუნველყოფილი.  
შერლ დე ბერნარი, „იკაროსის ფრთები“

როკავანრისხებულმა თავადმა სულის მოთქმა სცადა, ზანდაროვმა მყისვე  
დაუცვედრა:

— კარგად შემამკეთ, მაგრამ არ დაგავინყდეთ: თქვენ იმპერატორის მედ-  
ლების ქავალერს უწოდეთ ბაზრის ბიჭი და ავარა!

თქვა და ზედ დაუყოვნებლივ მოაყოლა:

— სასამართლოში მარტო ვალის გადაუხდელობისათვის არ ასამართლე-  
ბენ.

შის ნათქვამში მუქარის კილო გაისმა.

ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ერთბაშად აპრიალებული ნალვერდლის  
ჩასაქრობად.

დავით გერმანოზიშვილი მშიშარა არ იყო, მაგრამ ალექსანდრე ბატონიშ-  
ვილის ყოფილ ემისარს ცეცხლივით ეშინოდა პოლიციის.

— რით დაამტკიცებთ, კნიაზო, რომ მეფეისნაცვალი ავარას ართმევს ხელს?

შემინებულმა თავადმა თავის გამართლება სცადა.

— უკადრებელი მკადრეთ, თქვენ თვითონ მაიძულეთ, მოწყალეო ხელ-  
მნიუევ.

— განა უფლება არ მაქვს, ჩემს გულისთქმაზე ხმამაღლა ვილაპარაკო?

თავადმა პასუხი ვერ მოძებნა. გაჩუმებული იდგა, ზანდაროვს იგი კიდევ  
უფრო დაბერებულად ეჩვენა, თვითონ კი მისი ყურებით ბატონკაცურად  
ერთობოდა. სრულიად დამშვიდებული იყო. გული საგულესა ჰქონდა და  
„პოს“ მოსასმენად ემზადებოდა.

— ჩემს განზრახვაში, — შემრიგებლური კილოთი განაგრძო მან, — და-  
საძრახისს ვერაფერს ვხედავ.

— მანანა თავადის ასულია, შენ კი ვაჭარი ხარ.

— ჩემი აზნაურობა რათ დაგავინყდათ, კნიაზო?

— არც აზნაურია თავადის ასულის ლირსი.

— ვთქვათ ეგ ეგრეა, მაგრამ ნუთუ თავაზიანი უარის ლირსიც არა ვარ?

თავადმა ვერც ახლა მოძებნა პასუხი.

— რათ გიკვირთ, რომ კნიაუნასავით ლამაზი ქალი ჯერ ისევ ახალგაზრდა  
კაცმა შეიყვაროს? გარნმუნებთ, კნიაზო, უსაზღვრო სიყვარულმა მათქმევინა  
ის, რაც წელან შემოგბედეთ, სიყვარულისათვის არავისა სჯიან. ასე ამბობენ  
და წიგნებმიაც ასე არის დაწერილი.

დავითმა მხოლოდ ახლა მოძებნა პასუხი. სოვდავარს თუ აზნაურს საყვე-  
დურის კილოთი განუმარტა:

— მარტო გულს არ უნდა ავყვეთ, გონებასაც უნდა დავეკითხოთ.

— დალოცვილო, ნელანაც ეგრე გეთქვა! სალახანად და ავარად რათ  
გამსადე?

რაც უფრო ნუნარდებოდა დავით გერმანოზიშვილი, მით უფრო რწმუნდე-  
ბოდა, რომ არც მან დააკლოლანძლვა-გინება მილიონერ გრიგოლ ზანდაროვს,  
რომელსაც თვით მეტისნაცვალი მფარველობდა, თავს აჩქარება უსაყვედურს,  
პირველად არ ნანობდა ბურბუშელასავით აბრიალებას. მის ფიცხ ხასიათს  
ზიანისა და ვნების გარდა მისთვის სხვა არაფერი მოჰქონდა. ტყუილად არ  
ადარებდნენ მას ნათესავები იარაღ გერმანოზიშვილს.

ამგვარი ფიქრებით გართულმა თავადმა უეცრად ისეთი შეცდომა დაუშვა,  
რამაც ზანდაროვი კიდევ უფრო გაამხნევა და გამარჯვების რწმენა განუმტ-  
კიცა.

— მართალი ხარ, მართალი, — უთხრა მან ზანდაროვს, — არ უნდა გავ-  
ძრაზებულიყავი. მაგრამ ჩემი „პო“ ან „არა“ რას გიშველის? მე რომ „პოც“  
გითხრა, მანანას უარს სად გაექცევი? რატომ ამაზე კარგად არ დაფიქრდი?

— დავით! — ხელები გაშალა ზანდაროვმა და ალტაცებულმა შესძახა,  
— შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე! მანანასაც ვუყვარვარ და შენს სიტყვასლა  
ვუცდით!

— მიჰქარავ!

დაიღრიალა თავადმა და თვალები მრისხანედ აენთო.

— მიჰქარავ...

გაიმეორა თავადმა, ოლონდ ნელანდელზე უფრო დაბალი, ჩახლეჩილი ხმით.

მისმა გაბრაზებულმა ხმამ ზანდაროვი უფრო გაათამამა და დავითს, რო-  
მელსაც ბრაზი ახრჩობდა და ნასაქცევად იყო მზად, სხაპასხუპით მიაყარა:

— მართალს ვამბობ, დავით. მანანას ვუყვარვარ, ვუყვარვარ-მეთქი, თუ  
არა გვერა, აქვე არ არის? დავუძახოთ და ვკითხოთ. მეც გაგიუებით მიყვარს.  
უმაგისოდ სიცოცხლე არ შემიძლია. მანანას იქით გზა არა მაქვს...

— სოვდაგარო, ნერას ხომ არ აუტანიხარ?

— ნუ მეძახი სოვდაგარს. ეგ ხელს გიშლის ჩემი ლირსებანი დაინახო. ფულის  
მფლობელ გრიგოლ ზანდაროვს ყველაფერი შეუძლია, რასაც კი მოისურვებ  
და მოინდომებ, უკლებლივ შევისრულებ!

— თავს ნუ იგდებ!

— ჩემი ფულის ძალას სასამართლოები ემორჩილებიან.

— გუბერნატორი შენ ყოფილხარ!

— ჩემი ოქროს ნერიალზე მსაჯულები ბუქნას უვლიან.

— იმათი გარყვნილება არ მიკვირს.

— უფრო დიდი ბობოლებიც მნყალობენ.

— ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს.

— დავით, შენ ახლა კაპიტანი ხარ.

— მაგას შენ არავინ გეკითხება.

— მე მაიორს გაგხდი.

- ფიქ!
- მერე პოდპოლკოვნიკის.
- ოჟო!
- მერე პოლკოვნიკის.
- შენა?
- ბოლოს გენერალს.
- იჯ!
- სადაც კანს გაიკანისავ, იქ თრდებს მითლებ.
- იჯ! იჯ!
- ყელზე სტანისლავს დაგეიდებ, ანას, ვლადიმერს, გიორგის, თეთრ არჩივს...
- ერისა! იმპერატორი შენა ყოფილხარ!
- ზოგისთვის ჩემი ქისა უფრო ახლოა, ვიდრე იმპერატორი.
- ჰმ, ეგ მართალია.
- თუ ეგ იცი, მაშინ ისიც დამიჯერე, რომ სულ მოკლე დროში გენერალ-ლეიტენანტი გახდები.
- ფიქ! შენ რომ გაგიუებულხარ, მეც გინდა გამაგიუო?
- ბოლოს მარშლად აგირჩევენ.
- ოჟო! მოდი, ლმერთს ნუ გაეცინება.
- ეგ მე მკითხე და მე მომანდე. ვნახოთ, გრიგოლ ზანდაროვი ვინ არის და რისი გამკეთებელია.
- თავადი ჩაფიქრდა.
- ზანდაროვმა ფიქრი არ დააცალა.
- საფიქრებელი აქ არაფერი არის. შენ ოლონდ მანანას ცოლად შერთვის თანხმობა მომეცი.
- თავადი ისევ უკავილოდ შეიშმუშნა.
- შენ უფრო მეტს თხოულობ, ვიდრე მაძლევ.
- განა მე ყველაფერი არ მოგეცი?
- რა თქმა უნდა, ყველაფერი, — გაიცინა თავადმა, — მაიორობა, პოდპოლკოვნიკობა, პოლკოვნიკობა, გენერლობა და მარშლობა.
- მე უფრო ჭკვიანი კაცი მეგონე, დავით, ვიდრე ყოფილხარ, ნუთუ ახლანდელ ცხოვრებას აღლო არ უნდა აუღო? აბა ნარმოიდგინე, როცა მე შენი სიძე გავხდები, როგორ მოგეპყრობიან გენერლები, რომელთაც ჩემს ნადიმზე ჩემ-საუით მასპინძლობას გაუწევ. ან მე რა შემიშლის ხელს, როცა მეფისნაცვალი დამიძახებს, სიტყვა ცოლისძმაზე გადავუკრა?
- დავითს გრიგოლ ზანდაროვის ძალა სწამდა და სჯეროდა, მაგრამ და უფრო მეტად უყვარდა. უარის ნიშნად თავი გაიქნია. ამაყად ნარმოთქვა:
- დას პატივში არ გავცული.
- ეგ შენი გადაჭრილი სიტყვა?
- გადაჭრილი.

ზანდაროვმა ვექსილები ამოილო ჯიბიდან.

— მაშ შენ და არ გყვარებია.

— საოდან მოიტანე?

— თქვენ თვითონ განსაჯეთ, თავადო, რა უფრო ურჩევნია კნიაუნას, ქორწილში გაბედნიერებული გნახოთ თუ სასამართლოში შერცხვენილი?

— ვის ემუქრები, სოვდაგარო? — რისხვით შესძახა თავადმა.

— კანონი გემუქრებათ, თავადო!

თავი მძიმედ დაუკრა და კარებისკენ გატრიალდა.

თავადს ზაფრანის ფერი დაედო.

გატყდა.

მოკუნტა.

— გრიგოლ... — ძლივს ალმოხდა მას.

ზანდაროვმა მისკენ აღარ მოიხედა, ცალი ყბით გადმოუგდო:

— მშეიღობით ბრძანდებოდეთ!

— გრიგოლ... — მუდარით ამოიგმინა თავადმა, — სანამ ჩემს საბოლოო სიტყვას გეტყოდე, მაგ ვექსილებს ნუ გამოიყენებ.

ზანდაროვი სწრაფად მოტრიალდა მისკენ. მასთან გაჩნდა და ვექსილების დასტა ტახტის მოაჯირზე დადო.

— ინებეთ, როგორც გსურდეთ, ისე გამოიყენეთ. ვნახოთ, ჩვენ ორში რომელია თავადური სიტყვის პატრონი.

ზანდაროვის სულგრძელობით განადგურებული თავადი დიდხანს თავ-ჩაქინდრული იჯდა ტახტზე. ჯერ ერთი ქორი დააფრინდა მხარზე, მერე — მეორე. მნევარმაც თავისი წვრილი და ნაგრძელებული თავი ისევ დაადო მუხლზე. თავადი გაოგნებული უყურებდა ვექსილების დასტას. ახლა იგი უფრო შებორკილად გრძნობდა თავს, ვიდრე იმ დროს, როცა ზანდაროვმა ისინი მაღლა ააფრიალა და ჰაერში გაატკაცუნა.

### 3. ჩალაებარეთ გასეირნება

მას კურდლისა და მელის დევნა ერჩივნა ლამაზ ქალებთან ლაპარაკს.

გრიგოლ რჩეულიშვილი, „ანუკა ბატონიშვილი“

საოცრად უიღბლო ადამიანი იყო თავადი დავით გერმანოზიშვილი. ქალალ-დის თამაშში ხელი უმრუდდებოდა, ომში მამაცი წარმატებას ვერ აღნევდა.

სვეშებრუნებულს ყველა ალმაცერად უყურებდა.

ქალებს არ მოსწონდათ და გულს არ უხსნიდნენ.

ტრფიალში მოუქნელს და მოუხეშავს ახლოს არ იკარებდნენ.

უცოლოდ გადაგებულს ქალის ყურადღება და წრფელი ალერსი ენატრე-ბოდა. ამიტომ შეუყვარდა თავდავინყებით მაიკო კურტანიძე.

კორველად მაიკომ გაულიმა ქალური ღიმილით, გაათამაშა და აიყოლია.

მოხიბლა.

გათაცა.

დატყვევა და მოაჯაფოვა.

მისმა ტრფიალმა დაც დაავიწყა და მწევარ-მეძებრებიც. ყველგან თან დას-

დევდა, მაგრამ აუმღვრეველ სიყვარულს მონატრებული, თითს არ აკარებდა.

ერთხელ, გაზაფხულზე, დავითმა სატრფოს მოულოდნელად ქალაქვარეთ გასურნება შესთავაზა. მაიკომ უარი არ უთხრა.

დახურულ ეტლში ჩასხდნენ. მარმარილოს წყარო უკან მოიტოვეს. მაღა გასცდნენ მოსკოვის ზასტავას, ლურჯ მონასტერს, ვერის სასაფლაოს. სადაც ჯერ მხოლოდ რამდენიმე მიცვალებული იყო დასაფლავებული. ფიქრის გორას გაუარეს და ვერის წყალთან ძველისძველ, XVII საუკუნეში აშენებულ ხიდს მიადგნენ. დავითმა ეტლი ხიდთან გააჩერებინა. ეტლიდან სწრაფად გადმოხ-ტა, ირგვლივ მოხედ-მოხედა, უდაბური ადგილი იყო. მაღალი გორაკებით შემოზღუდული. გაღმიდან მტკვრის ყრუ დუდუნი მოისმოდა. ნინ ვარაზის ხევის ღრანტეები და კლდეები იყო ამართული. მწვანედ დაბურულ მიდამოში სამხედრო გზის თეთრი, ქათეათა, მზით გახურებული გზატკეცილი აქ შემ-თხვევით მოხვედრილივით გამოიყურებოდა. გზა საბურთალოს აღმართზე ქართულ მუხებს შორის იყარგებოდა, პატარა მდინარის ნაპირები კი ჭალის მუხებით და თეთრი ვერხვებით იყო გადაჩრდილული. ძე-ხორციელი არსად ჩანდა და გარშემო ისეთი მდუმარება სუფევდა, რომ მაიკომ, როცა ეტლიდან თავი გამოჰყო, თითქმის შიშით ნამოიძახა:

— ქა, რა შორს წამოვსულვართ!

დავითმა ხელი გაუნოდა. მაიკო არ გაუძალიანდა, ოღონდ ეტლიდან თავისი ხაბარდიანი კაბით გადმოსვლა გაუჭირდა.

ერთხანს გზატკეცილს გაჰყვნენ. საბურთალოს აღმართთან მარცხნივ გაუხვიეს. ვერის წყალს მიადგნენ. თვალით დაზვერეს ტირიფები, რომელთა ოდნავ ათროლებული ტოტები განიერი ნაკადულის გამჭვირვალე ტალ-ლებს ეთამაშებოდნენ. ისევ ნინ ნავიდნენ. ჩიტვაშლას და ქაცვის ბუჩქნარს მორიახლო მიჟყვებოდნენ. ნინ ხოხობიაუფრინდათ და სწრაფად გაუჩინარდა. მაიკომ მზის სხივების ჩქერში ნითელ-მწვანედ გაელვებულ ფრინველს თვალი შეასწო, აღტაცებით შესძახა:

— ვიშ, რა ლამაზია!

დავითი გაჩერდა, ნადირობის ტრფიალს ლაპარაკის საღერღელი აეშალა. გატეხილი ხიდის ჭალაკთა ხოხბები და ლისის ტბის იხვები მოაგონდა. მერე ულრანი ტყეების ნადირს გადასწვდა. გატაცებით ლაპარაკობდა, თავდავიწყებით, როცა თავისი მწევარ-მეძებრებიც ახსენა, სახეზე ისეთი მიმზიდველი ღიმილი გადაეფინა, რომ მაიკო უნებლივით მიეკროდა ალერსიანად გაულიმა. დავითმა ეს ვერ შეამჩნია. ნადირობაზე ლაპარაკს კონის ჩადგმა და თევზის ჭერის ამბები მოაყოლა. მობეზრებულმა მაიკომ თავი მოაგონა:

— რა ვქნა, აქ რისთვის მომიყვანე, დავით?

დავითის ნელანდელი მადლიანი ლიმილი გაუქრა ბავიდან, სამავიეროდ, ჩვეულებრივ მკაფიო სახეზე ისეთი გასანყლებული ელდრება აესახა, რომ მაიკოს მყინვა გუნდა გაუფიქტდა.

ჩიტვაშლას ბუჩქების კენ გაიხედა და რა უი დავითი ადგილიდან არ დაიძრა, თუ თომ გაემართა იქითკენ, ბალახებში დაჯდომაც ისევე გაუჭირდა, როგორც ეტლიდან გადმოსვლა. ფეხსაცმელები გაიძრო, კაბის განიერი ქალთები გაჭირვებით მიალაგ-მოალაგა, ჯერ ფეხის ლამაზი ქოჭები გამოაჩინა, მერე მუხლის თავები. ტირიფების კენ შურიანი თვალებით გაიხედა და ინატრა:

— იქ, ნეტავ მეც იმ ტირიფებივით ჩამაყოფინა წყალში ფეხები!

დავითი ისევ ფეხზე იდგა და აღტაცებული დაჰყურებდა.

— რა ლამაზი ხარ, მაიკო!

ნარმოთქვა მან ისეთი მღელვარებით, როგორიც მხოლოდ პირტიტველა ყმანვილებს უხდებათ.

მაიკომ ხმა არ გასცა. კაბა აჩქარებით გაისწორა. აქა-იქ გამოჩენილი სიტიტველე მიმალ-მომალა (ვს დავითმა კდემამოსილებაში ჩამოართვა და განზე გაიხედა), ბალახის ლერო მოგლიჯა და ყურადღებით დააცქერდა.

— რა ლამაზი ხარ, მაიკო!

გაიძეორსა მიბნედილი ხმით დავითმა, უკვე გაპუტულ ქალს გვერდით მოუკდა და დიდხანს, დიდხანს უყურა მის თაფლისფერ თვალებს, რომელნიც სულ უფრო და უფრო მუქდებოდნენ და განუჭრეტელნი ხდებოდნენ. ქალი გაუნძრევლად იჯდა. გაუნძრევლად ეკიდნენ მის ყურებზე მარგალიტის გრძელი საყურები და მხიარულად ერთოდნენ მზის სხივებზე, დიდგულას მწვანე ფოთლებში გარდიგარდმოდ რომ იქრებოდნენ და ქალის ცალ ლოყას ანათებდნენ.

დავით გერმანოზიშვილმა უფრო ახლოს მიინია მისევე და მას იმავე სიტყვით მიმართა, რა სიტყვითაც მხოლოდ საკუთარ დას მიმართავდა ხოლმე, დას, რომელიც მას გავიუებით უყვარდა.

— სულო! რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ! ჯერ არავინ არასდროს ასე არ მყვარებია. არ დაიჯერებ, მაიკო?

სუფთა, აუმღვრეველ, თავანჯარა სიყვარულს და ქალის თანაგრძნობას მონყურებული თავადი ისევ თავისი გულის მოძრაობაზე ალაპარაკდა, თავის უსაზღვრო, თავდადებულ სიყვარულზე გრძლად გაუბა საუბარი ქალს, რომელსაც გულნმინდა სიყვარული ერთადერთი მამაკაცისათვის პქონდა შენახული.

ქალი დუმდა. ხმას არ იღებდა.

როცა დავითი იმისი კაბის ბოლოს დასწვდა, უკვე გვიან იყო. ქალს აბზუებულ ტუჩზე ორი თათი დაედო, რათა მთქნარება როგორმე აელაგმა.

თავის სახტად დარჩენილ არშიყს რომ შეხედა, ისევ გამხიარულდა.

საერთოდ, როცა მაიკო ეურტანიძე რომელიმე მამაკაცს სინანულით ნებდებოდა, ურცხვი და მოურიდებელი ხდებოდა.

ახლა ის დანებებას არ აპირებდა, მაგრამ თავის ჩვეულებას მაინც არ უჰსლატა.

კაბის ბოლოები ხელში სიცილით აერითა, ზედიზედ რამდენიმე ნაკეცი გამოაჩინა და გაკვირვებულ თავადს ცივი წყალი გადასხა.

— სად მიძვრები, დავით? სანამ ამ თახჩებს გაივლი, აქ დაგვალამდება, რასც შენ ეძებ, ის ბოლო თახჩაშია!

დავითი ზარდაცემულივით გაქვავდა. სატრფოს უნმანურმა სიტყვებმა ერთბაშად გამოაფხიზდა. ნაოცნებარ-ნალოლიავები სიყვარული ხუსულა-სავით დაენგრა. ბრაზი ცეცხლივით წაეკიდა. კვლავ მოუხეშავ და ტლანქ მა-მაჯაცად იქცა. ალაფის ცოლს აშოლლანურიად შემოხვია ხელებიდა ბალახებში გაავრია. მაკანსათვის ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ არ დაიბნა. მტკიცედ ჰქონდა გადანყვეტილი, მას არასოდეს არ დანებებოდა. ხელი ლონივრად ჰქონა (გამრჯვე ცოლის ლონიერი ხელი), მელავებიდან გაუსხლტა, ზეზე ნამოიჭრა (უფრო ლალად, ვიდრე დაჯდა) და ტირიფებისენ გაიქცა.

დავითი ზლაზვნით ნამოდგა. დაბარბაცდა. ცხენიდან ახლად გადმოსულივით გააღაჯამისენ. გაოცებულითვალი გააყოლა. მერე სინანულმა შეიძყო. ახლა ის სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ქალაქელი ქალის ხუმრობა მეძავის უხამსობად მიღლო. დარწმუნდა და თავი საყვედურებით აიკლო. გაქცეულ მაკანს დაედევნა.

მაკანს განიერი კაბა აბრეოლებდა, მაგრამ ცდილობდა ჩქარ-ჩქარა ევლო. ტირიფთა ტოტებს ქვეშ თავს ლუნავდა, ისევ ნელში სწორდებოდა, კვლავ იღუნებოდა, გზას გაჭირვებით იკვლევდა და უკან არ იხედებოდა. ერთგან ფეხი დაგუბებულ წყალში ჩაუვარდა, ნაწინი ტანსაცმელზე შეესხა, მაგრამ არ გაჩერებულა. გზისენ იყურებოდა და ჩირგვებში გასასვლელს ეძებდა. გზაზე თითქმის სირბილით გავიდა და მხოლოდ აქ, სამშვიდობოზე გასულმა, შედარებით დინჯი ნაბიჯით მიაძურა ეტლს.

ხიდზე ტანწვრილი ბიჭი იყო გადაყუდებული, ზურგით იდგა, თავზე ქუდ-ჩამოფხატული. მაკანში ის ვიღაცას მიამსგავსა, მაგრამ მხოლოდ ერთი ნამით შეაჩერა მასზე თვალი, ეტლში ავიდა და მეეტლეს დაუყვირა:

— გარეკე!

მეეტლემ მისენ გულგრილად მოიხედა, თამბაქოს ლეჭვა შეაჩერა, გადაა-ფურთხა და სახეალენილ ქალბატონს უტიროდ უთხრა:

— თუ ფულს თქვენ გადაიხდით, ვაუბატონს აღარ მოვუცდი.

მაკან კურტანიძეს ფული თან არ დაჰქონდა, რადგან არსად არაფერს ხარჯავდა.

რაც კურტანიძეების ოჯახს სჭირდებოდა, ის ერთ ნოქარს მოჰქონდა.

მაკანს ბრაზმა აჟერა სახეზე. ქალაქიდან შორს რომ არ ყოფილი იყო, ეტ-ლიდან გადმოვიდოდა და ფეხით ნავიდოდა სახლისენ. იძულებული იყო „ვაუბატონისთვის“ მოეცადა.

ისიც მალე გამოჩნდა, ეტლში ასვლისთანავე, ბოდიში მოუხადა შუბლშე-კრულ ქალს.

— მაპატიე, მაიკ!

მაიკომ ხმა არ გასცა.

— ნავიდეთ.

ხრინნმოდებული ხმით ასძახა მეტლეს დავით გერმანოზიშვილმა.

#### 4. გამოთხვება

მართალი მოგახსენოთ, არ ვიცი, როგორ ეტრუან და როგორ იგებენ  
დიაცის გულს.  
უოშინგტონ ირვინგი, „მთვლემარე ხეობის ლეგენდა“

ეტლი რახრახით დაიძრა ადგილიდან.

სწორედ ამ დროს ხიდზე გადაყუდებული ტან्तრილი ბიჭი მარდად მოტრიალდა, სწრაფი ნახტომით ეტლთან გაჩნდა, მის უკანა ღერძზე აბობლდა, გრძელი ხელები გაშალა, მოსაჭიდებელს მოეჭიდა და ეტლის ზურგს ჯვარცმულ ქრისტესავით გაეკრო.

ეტლში მსხდარნი ჩუმად იყვნენ.

მაიკოს პირველი გაცეცხლება უნელდებოდა. მშვიდდებოდა. კაბის კალთების დალაგებით გაერთო.

ისევ თამაშის გუნებაზე დამდგარი, ყასიდად ნირნამხდარი თავადისაკენ გაბოროტებული იყურებოდა და უბლვეროდა.

დავითს ისეთი დაღრეჯილი სახე ჰქონდა, მაიკოს კინალამ სიცილი ნასკდა. თავი შეიძაგრა.

თავისებურად ლამაზ და ბრგე დავით გერმანოზიშვილს დაგვიანებული სიყვარულით გამოწვეული ჭმუნვა არ უხდებოდა, რაღაც ნაირად ამახინჯებდა, აბერებდა.

გახანგრძლივებული დუმილი მან ვედრებით დაარღვია:

— სულო! თუ არ გინდა ჩემი ცოდო დაიდო, შემირიგდი და მაპატიე.

— თავადოდავით! — შეურაცხყოფილი ქალის ტონით უპასუხა მას მაიკომ,

— მე პატიოსანი კაცის პატიოსანი ცოლი ვარ. თვითონაც არ ვიცი, რა დამემართა. მომწონდით და, ღმერთმა იცის, აგყევით კიდეც. თქვენ რომ რიგიანად მოგესურვებინათ, ვინ იცის, ჩვენი ამბავი რითი გათავდებოდა. მაგრამ, იცოდეთ, ლოგინს ყველგან ვერ გამაშლევინებთ. ამნაირი ქალები მერიამ-ბეგუმის სახლში მოკეთეთ — და რაკი მაღალი ნრის ქალების მდგომარეობა შერდა და თან ისინი სძაგდა კიდეც, ზიზღით დასძინა, — თქვენც გეცოდინებათ, იქ მაჭანკლებს ქმარშვილიანი კნეინები დაჲყავთ!

კნეინების აუგად ხსენებამ ჩვეულებრივ ფიცხი დავით გერმანოზიშვილი არ გააბრაზა, პირიქით, მაიკოს პატიოსნება დაუდასტურა.

— ვიცი, ვიცი, მაიკო! პატიოსანი ქალი ხარ. ტირიფებს ქვეშ რომ გარბოდი და გიყურებდი, მაშინ ერთხელ კიდევ დავრნმუნდი. აკი ამიტომ შემიყვარდი კიდეც!

საც უფრო მეტს ლაპარაკობდა სიყვარულზე დავითი, მით უფრო ბრაზ-დებოდა მაიკო. განზე გაიხედა, პირი აღარ უჩვენა.

იმის თავადობამ მის თვალში ძველი მიმზიდველობა დაკარგა. იმტისოდენა ანგარიშს აღარ უწევდა.

სამაგიეროდ, დავითს გაჭირვებით ნაპოვნი სატრფოს დაკარგების შიში უქმენთო, მუხლებში ჩაუვარდა, შეჰდალადა:

— ნუთუ აღარასოდეს დამიბრუნდები, მაიკო!

— არასოდეს!

გადაჭრით გადმოუგდო მაიკომ.

თავი დედოფუალივით ასწია.

ასე ამაყად ვერც ერთი გერმანოზიშვილი ვერ მოილერებდა ყელს.

მის ფერხთით თავადი ეგდო.

მას, ვაჭრის ცოლს, ეს არაჩეულებრივ სიამოვნებას ჰგვრიდა. მდაბიო ქალი (მეუდარებლად მასზე მდიდარი, მაგრამ მაინც მდაბიო) თავადზე თავის გამარჯვებას ზეიმობდა. და რა კი ეტლიდან ჩამოსვლის შემდეგ ამას ველარსად ელირსებოდა, გულში ეტლის სრბოლის გახანგრძლივებას ნატრობდა.

დავითმა ისევ მუდარით შესთხოვა:

— ნუთუ ნელანდელ საქციელს არ შემინდობ, მაიკო!

ალათის ცოლმა ისევ ერთადერთი სიტყვა გადმოუგდო:

— არასოდეს!

— გემუდარები, გეხვეწები.

მაიკომ მოკლედ მოუჭრა:

— გათავებულ საქმეს აღარაფერი ეშველება, თავადო!

— მაინც ისეთი რა დავაშავე?

— ისეთი არაფერი.

გულახდილად უთხრა ეტლის ბალიშზე გადალმერთილმა მაიკო კურტანი-ძემ, თან ენას ებილი დააჭირა, რათა არ გასცინებოდა.

ეცინებოდა, რადგან ნელანდელი მისი საქციელის მიზეზს ყმანვილივით შეყვარებული თავადი ვერასოდეს ვერ გაიგებდა.

ნელან ვერის ნყლის პირზე, მაღალ ბალახებში, აშოლლანურად მკლავის ერთი მოქნევით დაბლა გაგორებულმა მაიკომ მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მისი დახანებული მიჯნური ქალების უნახავი სრულიადაც არ იყო, როგორც ამას, აუცილებელი დასასრულის მოლოდინით მობეზრებულს, მისი სევდიანად ნათევამი არშიყული სიტყვები აფიქრებინებდა ხოლმე. იქ პირ-კელად მიხვდა და დარწმუნდა, რომ თავადს იგი თავდავინყებით უყვარდა. მიხვდა და ბრაზი ნაეკიდა. დავით გერმანოზიშვილი მისგან იმას მოითხოვდა, რის უფლებაც მხოლოდ გრიგოლ ზანდაროვს ჰქონდა — სიყვარულს.

— მაიკო, შენი უკანასკნელი სიტყვა რა არის?

მოქადაგის ფიქრებში ნასულ აღაფის ცოლს.

— ის არის, რაც ვითხოვ, — ბრაზით უპასუხა მაიკომ.

მარცხს დავითი ადვილად ვერ ურიგდებოდა. იცოდა და გრძნობდა: ამ ქალთან განშორება მოსვენებასაც დაუკარგავდა და ძილსაც დაუფრთხობდა. უკვე ახლა ისეთნაირად იყო გაოგნებული, რომ ვაჭრის ცოლის ბავეზე ზიზღნარევ ლიმილს ვერ ამჩნევდა და მისი ჯოუტი დუმილი შეურაცხყოფილი ქალის უსიტყვო საყველურად ეჩვენებოდა.

როცა ქალაქის პირველი სახლები გამოჩნდნენ, მაიკომ ეტლის გაჩერება მოითხოვა.

— ჯერ კიდევ შორსა ვართ, მაიკო! — დაბნეულად უთხრა თავადმა.

— არა უშავს, ფეხითაც კარგად ვივლი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, თავადო!

ეტლიდან გადმოხტომა მოინდომა, მაგრამ გაუჭირდა, განიერი და გრძელი კაბის ბოლოები ფეხებში დაებლანდა. დავითმა ხელი მიაშველა. მაიკომ მას ისეთნაირად მოხედა და შეუბლვირა, თითქოს მის წინ დიდგვაროვანი თავადი კი არ ყოფილიყოს, არამედ ბართლომე კურტანიძის ნოქარი.

დავითმა მრისხანედ შეჰქრა წარბი.

მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ წელან ვაჭრის ცოლთან ირცხვენდა და იმდაბლებდა თავს. მაგრამ ლირსების შელახვის გრძნობა დიდხანს არ შერჩა მის მკაცრ სახეს. როცა მაიკომ ორივე ხელით კაბის ბოლოები ერთი წამით ასწია და თავისი კოხტა ფეხები გამოაჩინა, თავადს წელანდელზე უარესად შემოენთო მისი სიყვარული. მზის შუქით განათებული ლამაზი ქალი კიდევ უფრო მომხიბელებულად ეჩვენა. მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ აღაფის ეს პირმწყაზარი და თვალტანადი ცოლი ძალიან ჰგავდა სილამაზით განთქმულ კნეინა გოსტაშაბიშვილს.

## 5. მსტოვარი

უნდა უყურო და არა უსმინო.  
ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“

მაიკომ ეტლს უქნიდან მოუარა, რადგან ცხენების წინ გზის გადაჭრა არ უნდოდა. უცებცხვირით იმ ტანწერილ ბიჭს დაეჯახა, რომელიც წელან ხიდზე იყო გადაყუდებული. მის წინ ბართლომე კურტანიძის ახალგაზრდა ნოქარი იდგა.

— აქრას აკეთებ, ასლან? — შესძახა გაკვირვებულმა მაიკომ.

ნოქარმა ცულლუტი ღრეჭით მოუგო:

— მე ყველგან დავდივარ, ქალბატონო!

ბართლომე კურტანიძე მას, მართლაც, ყველგან დაატარებდა: ქუჩებში, დუქნებში, მაღაზიებში, ქარვასლებში, საბაჟოებში, ქალაქთან მისასვლელ გზებზე და კარანტინებში. მის მსტოვარს ყველაფერი უნდა გაეგო, დაეყნოსა და მისთვის შეეტყობინებინა.

ამიტომ თითქოს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო მასთან ვერის ძველ ხიდზე შეხვედრა.

მოუხედავად ამისა, მაიკოს მაინც მოუსვენარმა აზრმა გაუელვა თავში.

დავით გერმანიზიშვილის ეტლი ისევ ერთ ადგილზე იდგა.

მაიკომ მისკენ აღარ მოხედა. ფეხს აუჩქარა. შინ ოდნავ შეფიქრიანებული დაბრუნდა. ყურადღებად გადაიქცა. სადილად ცოტა ხნით შინ მოსულ ბართლომეს ვერაფერი შეატყო. სადილზე ისე დასხდნენ, როგორც ყოველდღე სხდებოდნენ. უხმაუროდ.

როცა ბართლომე შინ იყო, მაიკოს ბიჭები გასუსულები იყვნენ. უფროს ბიჭს მუდამ სერიოზულად ეჭირა თავი, შუათანას და პატარას ცელექბით ლოყები ჰქონდათ დანითლებული, მაგრამ ახლა გატრუნული შეექცეოდნენ უგბილად მოხარმულ კერძს, ცხელ წყალში გახსნილ სისირს.

ბართლომე თავჩაღუნული ხვრეპდა წვნიანს. საკუთარი ხელით გათლილ ხის კოვზს ნელა ამოძრავებდა. საერთოდ ცოტას ჭამდა და ბევრს მუშაობდა.

მაიკო დროდადრო ფრთხილად ავლებდა თვალს ქმარს. უკმაყოფილების ნატამალს ვერ ატყობდა. ახლაც ისევე პირმოლუმული და დამუნჯებული იჯდა, როგორც მუდამ — შინ თუ გარეთ.

ერთი რამ ცხადზე უცხადესი იყო: დადევნებულ მსტოვარს მისთვის ყველაფერი უნდა ეთქვა და იმასაც ყველაფერი სცოდნოდა.

ასლანა ყველა ანგარიშს თავის რიგზე აბარებდა პატრონს. თან მარტო დღეს არ უნდა დასდევნებოდა.

დავით გერმანიზიშვილთან ქალაქის ბულვარზე სეირნობის დროს ისიც, ჩანდა, შორისახლო დაეხეტებოდა.

ერთი სიტყვით, შეყვარებული თავადის ყველა უგერგილო პაემანის მოწმე უნდა ყოფილიყო.

მაიკოს ქმრის გაკეთებული კოვზი გაუჩერდა ხელში. ჩაფიქრდა.

ამკარა იყო, ქმარი ცოლს აღარ ენდობოდა.

მაიკო მათლაფის კიდეზე კოვზით სისირის მარცვლებს სრესდა და გამალებით ამის მიზეზს ეძებდა.

ქმარს გაკოტრებულ თავადთან მისი კურკური არ უნდა მოსწონებოდა. არა, არა, რა თქმა უნდა, ეჭვიანობის გამო არა (ეს სულ საფიქრებელი არ იყო, რადგან ქმარი მისგან მხოლოდ გარჯას, ოჯახის მოვლას, დარცხვა-დაკერებას და ლამ-ლამობით ძილის ნინ, გამთბარ წყალში ფეხების დაბანას მოითხოვდა, მის საყვარლებზე კი ყურს არ იბერტყავდა, არც თვითონ მაიკო უწევდა ანგარიშს მეზობლების ენის დალდალანს), არამედ იმიტომ, რომ ცოლს ჩაბარებული ფული არსად შემოხარჯვოდა.

მართლაც, ზოგი გაკოტრებული თავადი სოფლაგრების გარყენილი ცოლების ხარჯზე ცხოვრობდა და ლამეს ორთაჭალის ბალებში ათენებდა.

თავადი დროს ატარებდა, სოფლაგარი იხარჯებოდა.

მაიკო ამ აზრს დაადგა.

ამაზე ფიქრობდა და თან გუნებაში ეცინებოდა, რადგან ქმრის სალამოს ცერძერივით დარაჯობდა, მონახვეჭ-მოგებულს ბართლომესავით ისიც ზედ დაპკანკალებდა და ხელიდან გროშს ვერავინ გააგდებინებდა. ეს მისმა ქმარმაც კარგად იცოდა, მაგრამ მაიკო მაინც ქალი იყო და, ალბათ, ბართლომე სიფრთხილის თადარიგს იჭერდა.

მაიკო შეფიქრიანდა.

გასაღებების ჩამორთმევა ისევე ძნელად გასაძლისი იქნებოდა მისთვის, როგორც ზანდაროვის გულგრილობის ატანა.

თუ მის ქმარს ახლა არაფერი წამოსცდა, ალბათ, სათქმელს საღამოს, ძილის წინ ეტყვის.

პასუხი მაიკოს უკვე მზად ჰქონდა.

იმ გატუტუცებულ თავადს ისეთნაირად გაასუფთავებდა, რომ თვით ბართლომე კურტანიძეს, რომელიც გაცინებული ჯერ არავის ენახა, გულიანად გააცინებდა.

საღამოს, ძილის წინ, ტახტზე ტომარასავით მიგდებულმა ბართლომემ ცოლს ზურგი შეაქცია და ხვრინვა ამოუშვა.

მაიკოს გაელიმა. პირჯვარი გადაიწერა და თავი სასთუმალზე დადო. მის თვალებს ძილი მაინც არ მიეკარა.

გათენებისას ქმარს დააკვირდა, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია.

იმ დღემაც ჩვეულებრივ გაიარა.

არც მეორე დღეს მომხდარა მნიშვნელოვანი რამ.

არც მესამე დღეს.

ერთი კვირის შემდეგ კი ისეთი ამბავი დატრიალდა, რამაც კუკიის მთელი უბანი ფეხზე დააყენა და ააყაყანა.

## 6. ალაზის განაჩენი

განა შეიძლება იმაზე მეტი სიცრუე, იმაზე მნარე დაცინვა, რასაც ეს ოთხი სიტყვა გულისხმობს: კანონის წინაშე ყველა თანასწორია. ვიდოკი, „მემუარები“

ბართლომე კურტანიძის კარ-მიდამოს ველარ იცნობდით, გაიზარდა და გაფართოვდა.

ნყლის წისქვილების გაყოლებით კუკიდან ჩუღურეთამდე, გამდიდრებულმა ალატმა ნელ-ნელა შეისყიდა მინა-ადგილი.

ქალაქის ფარგლებში შეუმჩნევლად შემოსულ კუკიასა და ჩუღურეთში კურისევ ცხოვრობდნენ ძველი გლეხეაცები.

ბართლომემ ზოგს ფული დაახარბა, ზოგი მოატყუა, ზოგი ქრთამით დაიყაბულა, ზოგს ძალა დაატანა, ზოგსაც, ვინც მის ვალებში ყელამდე იყო ჩაფლული, მუქარით ნასყიდობის ქალალდზე ჯვარიც დაასმევინა და გამურული თითოც დაადებინა. მის მინაზე უბრალო, სახელდახელოდ აგებული ქოხმაცები და ხუხულები გაჩნდა. შიგ ფეხზე მოვაჭრენი, ხელმოკლე ხელოსნები, დღურად მომუშავენი და მათხოვრები ცხოვრობდნენ. მათგან ბართლომე ქრის იღებდა. მალე შემოსავალი ეცოტავა. მათი აყრა-გაძევების თადარიგი დაიჭირა და ქოხმახების დაცლა მოსთხოვა.

ქრისტეს ტირილი გაიმართა.

ბართლომემ არავინ შეიბრალა.

მუდამ დამუნჯებული სხაპასხუპით ალაპარაკდა და ქადილ-ძახილით იქაურიბა გააყრენა. ხელში სასამართლოს ქალალდები ეჭირა და ყველას ციხეში დალპობით ემუქრებოდა.

მუქარამ ვერ გაჭრა.

ლარიბებმა რკალი შეკრეს და ალაფის ნოქრები ალიზით ნაგებ და ტალახით შეღესილ ქოხებს დასანგრევად ვერსაიდან მიუდგნენ.

გავებულმა ალაფმა ლარიბ მდგმურებს პოლიცია დააყენა თავზე. ლარიბები პოლიციას კეტებით და ქვებით დახვდნენ. თავიანთ ქოხმახ-ხუხულებთან ახლოს არ მიუშვეს და დაიფრინეს.

თავგზადაკარგული ალაფი საჩივლელად მეფისნაცვლის კანცელარიაში გაიქცა. თან წყევლა-კრულვით პატარა ბოხჩა წაიღო, რომელშიც სინანულით გადათვლილი ასიგნაციები ელაგა.

მეორე დღეს პოლიციაც მოვიდა და ჯარისკაცების ოცეულიც ოფიცირის მეთაურობით.

ლარიბები ისევ კეტებს ეცნენ და ქვებიც ბლომად აკრიფეს. უკან ატირებული ცოლ-შვილი ედგათ, ნინ — შეიარაღებული პოლიციელები და ჯარის-კაცები. ჯიუტად იდგნენ, კეტებს ხელში ატრიალებდნენ, ქვებს სამიზნოდ იმარჯვებდნენ. ქოხმახების უბრძოლველად დატოვებას არ აპირებდნენ. არც ჯარისკაცების თოვებზე აპრიალებული ხიმტების ეშინოდათ.

ოფიცირის გაფრთხილებას არავინ ყური არ ათხოვა.

მაშინ ოფიცირმა ხელი მაღლა ასწია.

ჯარისკაცებმა თოვები ჰაერში დასცალეს.

არავინ ფეხი არ მოიცვალა. არავინ არ შეირყა. ოღონდ გაშმაგებულებმა კბილთა ღრმენას მოუმატეს და თვითონაც ჰაერში კეტები დაატრიალეს. ცილიური დროისას მოუმატეს და თვითონაც ჰაერში კეტები დაატრიალეს. კბილთა ღრმენას მოუმატეს და თვითონაც ჰაერში კეტები დაატრიალეს. ცილიური დროისას მოუმატეს და თვითონაც ჰაერში კეტები დაატრიალეს.

ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრული კაცები განზე გადგნენ, როგორც ლახტის თამაშის დროს აკეთებენ ხოლმე, კეტის თავები მინაზე დადეს და მოსაქნევად მოემზადნენ.

ოფიცერმა ისევ ამართა ხელი.

ჯარისკაცებმა თოფუები კეტებით და ქვებით შეიარაღებულ ლარიბებს დაუმიზნეს.

მაიკომ ხელები აიფარა თვალებზე.

ბართლომე გაუნძრევლად იდგა. მხოლოდ გრძელი ულვაშების ბოლოები უკან კალებდა ოდნავ, ხოლო სქელ ტუჩებში ჩახლართული ბოროტი ლიმილი ისეთნაირად გაქვავებოდა, რომ ერთი წამით შემკრთალი, დამფრთხალი უფრო ჩანდა, ვიდრე გაბოროტებული.

ოფიცერი დინჯი ნაბიჯით გაემართა იმათკენ, ვინც მზად იყო, ძალისთვის ძალა დაეხვედრებინა.

ერთხელ კიდევ გააფრთხილა ისინი.

პასუხად ზიზღში გალესილი დუმილი მიიღო.

შეყოყმანდა. თავი უკმაყოფილოდ გადაიქნია. სწრაფად შეტრიალდა და გან-განზე სიარულით და ჩქარი ნაბიჯით უკან გაბრუნდა, რათა ბურთი და მოედანი თოფმომარჯვებული ჯარისკაცებისათვის დაეცალა.

ჯერ საშინელი, მტანჯველი სიჩუმე ჩამონვა, მერე დედაკაცები და ბავშვები დასაკლავი საქონელივით აბლავლდნენ.

ოფიცერს მაღლა ანეული ხელი გაუშეშდა.

შეშინებული მაიკო ქმარს უნებურად მიეყრდნო და მყისვე იგრძნო, რომ ისიც შინაგანად ცახცახებდა.

იმათ, ვინც აქამდე გაკერძებული იდგნენ და მზად იყვნენ სიკვდილს დახვედროდნენ, უკან მოიხედეს და აბლავლებული ცოლ-შვილი რომ დაინახეს, თითქმის ერთდროულად დაყარეს კეტები და ქვები.

მაიკომ შვებით ამოისუნთქა.

ბართლომემ ულვაში ბოროტი ლიმილით გადაიგრიხა.

დამარცხებულ ლარიბებს პოლიციელებმა და ჯარისკაცებმა ხარახურით და ჯამ-ჭურჭლით გავსებული ბოხჩები და ძველი ტომრები ზურგზე აჰკიდეს და ცოლ-შვილიანად ნინ გაირეკეს.

ქოხმახები და ხუხულები ბართლომე კურტანიძის ნოქრებმა და მუშებმა დაანვრიეს, მინასთან გაასწორეს.

მეორე დღეს ამ ნაპარტახალზე, რომელსაც მდიდარი ალაფი უკვე ლობეს ავლებდა, გუთნეული გაატარეს და სულერთისანად გადახნეს.

— აქ ვაზს ჩავყრით, მაიკო! — უთხრა ცოლს აივანზე გადმომდგარმა ბართლომემ, მტკვრისკენ ხელი გაიშეირა და სივრცეში ფართო ნრე შემოხაზა.

თავის თავს ხმამაღლა უთხრა:

— ესეც შენი საკურტანიძეო, ბარსქალა, ბართლომე!

მაიკომ მორიდებით შეხედა მას. პირველად იგრძნო შიში ქმრის მიმართ.

უცებ ბართლომე მისკენ მოტრიალდა და, სხვათა შორის, გადაულაპარაკა:

— გაიგე, ქალო, ზანდაროვი ცოლს ირთავს.

მაიკო პირველად არ გებულობდა ამ ამბავს, მას მხოლოდ ის გაუკვირდა, რომ ეს დამუნჯებულმა და დაყრუებულმა ბართლომე კურტანიძემაც იცოდა. ცნობისმოყვარეობამ წასძლია:

— ეგ შენ საიდან იცი?

— ვაჭარმა ყველაფერი იცის, — უბრალოდ მიუგო ბართლომემ და ისევ

თავის საკურტანიძეოს გადახედა.

დღისანს იდგა და უყურებდა. რაღაც აზრით შეპყრობილს, ღონიერი მუშ-ტები დასთანდაზზე ისეთნაირად დაულაგებინა, თითქოს ვინმეს დარტყმას უპირებსო.

# კარი ოცდამეოთხე

## 1. პარტუგალი ნათლია

ნახვა ცოდნას ნიშნავს.  
ონორე დე ბალზაკი

გრიგოლ ზანდაროვი მხიარულად დაეშვა გერმანოზიშვილების სახლის კიბეზე. ხელში მაღალ, პრიალა ჭუდს ათამაშებდა და პირზე კმაყოფილი ლომილი დასთამაშებდა. წინ ფეხშიშველი დედაბერი შეეფეთა. დედაბერმა მას ცნობისმოყვარეობით და დაკვირვებით ამოხედა, გზა რიდით დაუთმო და დალლილი კიბის რიკულს დაებჯინა.

ზანდაროვმა დედაბერს არავითარი ყურადღება არ მიაქცია და გვერდით არხეინად ჩაუარა. დედაბერმა განცვითრებული თვალი გამოაყოლა და სანამ ის სადარბაზო კარს მიაღწევდა, გაკვირვებულმა დაუძახა:

— იოსებ!

ზანდაროვი გველნა კბენივით მოტრიალდა.

დედაბერი გამტერებული დაჟყურებდა და თან პირვევარს იწერდა.

— რანაირად გამოცვლილხარ, ბიჭო?! რაღა ბატონი, რაღა შენ!

ზანდაროვმა მყისვე იცნო გერმანოზიშვილების ძიძა და საკუთარი ნათლია. იცნო და რეტდასხმული გაჩერდა.

ნამდვილად ის იყო, მისი ნათლია. ძნელი არ იყო მისი ცნობა. ეს სოფლელი დედაკაციუბერებელივით გამოიყურებოდა. ხალხის წიაღში გაზრდილი, დარსა და ავდარს შეჩერებული, ჯერ ისევ ჯან-ლონით იყო სავსე. მას მხოლოდ მისი სახელი არ აგონდებოდა, რადგან წარსულზე არასოდეს ფიქრობდა (ამიტომ მანანა გერმანოზიშვილზე დაქორწინება პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სჭირდებოდა, შურისძიების გრძნობა კი მის გულს ახლოს არ ეკარებოდა). ზანდაროვს თვალი არ ატყუებდა, კიბეზე მის წინ მისი ნათლია იდგა, მასზე შეყვარებული და გადაგებულ-გადაფაფრებული. მიუხედავად ამისა, მაინც შიში ეუფლებოდა. არ უნდოდა უბრალოდ გაფუჭებულიყო. გაკვირვებულის იერი მიიღო, დედაბერს კიბეზე გულგრილად აუგდო:

— დედი, შენ ვიღაცას მიმამსგავსე. მე გრიგოლი მქვიან.

— არავისაც არ მიგამსგავსე, — ენყინა დედაბერს, — შენ გერმანოზიშვილების ყმა ხარ, ფანდურაანთ იოსება.

— გაგიუდი, დედაკაცო?

— თავს რათ იკატუნებ?

— შენ იცი, მე ვინა ვარ?

- ვიცი.
  - მე გრიგოლ ზანდაროვი ვარ.
  - ბიჭო, ვის ატყუებ?
  - ვისაც ვინდა, ჰკითხე ჩემი სახელი და ვინაობა.
  - ეგ არის დავიჯერე! ტიტლი კანა ხელში მექირე, როცა მღვდელმა იოსები დაგარქვა. ეგ სახელი სადღა იშოვნე?
  - რას ლაპარაკობ, დედაკაცო? თუ მცა, რა უნდა გელაპარაკო? ისედაც ბევრი დრო დავკარგე.
  - სად მიგეჩეარება? ჯერ ხომ პოლიცია არ მოსულა. თუ გაიქცევი, დავი- ჯორებ და დავითიც აქ გაჩინდება.
- ზანდაროვი ერთი ნახტომით გაჩინდა დედაბერთან.
- სუ! არავინ გაგვიგონოს.
  - უნებურად წამოსცდა ზანდაროვს და შეშფოთებით ზევით გაიხედა.
  - გამოტყდი? — ჩაიცინა დედაბერძა.
  - ნათლი, შენი მუხლების ჭირიმე! — ტეტიურად მოუქცია ზანდაროვმა.
  - გაიანემ კაბის სახელოთი შუბლიდან ჭირის ოფლი მოსწმინდა.
  - ბიჭო, სოსიკო, შენ რომ შიში არ იცოდი, ეგრე რამ წაგახდინა?
  - ნათლი, ჩემსავით შენ არავინ გიყვარდა. ჩემთვისაც შენი დანახვა და გახარება ერთი იყო.

- ჴო, ჴო, ეგრე იყო, ნამდვილად ეგრე იყო.
- მერე შენს ნათლულს შენვე უნდა გამოჭრა ყელი?
- ეგ რომ მნდომოდა, ლაპარაკს რათ გაგიბავდი? ჩურჩულით იმიტომ გულაპარს კები, რომ ბატონებმა არ გაგვიგონ.
- მაშ ჩემგან რა გინდა?
- შენი ბედნიერება, სხვა რა უნდა მინდოდეს?
- გრიგოლს გული საგულეში ჩაუდგა. დედაბერი სიყვარულით შეათვალიერა.
- ვიცოდი, რომ არ გამნირავდი.
- რას ამბობ, ბიჭო! შენი დანახვა ქრისტეს დაბადებასავით გამიხარდა.
- მეც, მეც, ნათლი. რამდენი ნელინადია, ჩვენიანი არავინ მინახავს, არც შემხვედრია.

გაიანე გაჩუმებული აშტერდებოდა ზანდაროვს, სიხარულის ლიმილი ბე- ბრულ ტუჩებზე პირნყალივით ადგებოდა. ეტყობოდა, მისგან კიდევ რაღაცის თქმას თუ ვიღაცის ხსენებას მოელოდა, მაგრამ ზანდაროვი მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა. მოულოდნელად ნაპოვნ ნათლიას ერთხელ კიდევ ჰკითხა:

- მაშ, ბატონებთან არაფერი ნამოგცდება?
- არაფერი. ოლონდ ერთი პირობა უნდა მომცე.
- რა პირობა?
- ამ ქალაქიდან სადმე გადაიკარგე.
- რათა? რას მერჩი?
- მეშინიან, დავითმა არ გიცნოს და არ წაგახდინოს.

გულარებულმა ზანდაროვმა ნათლიას ლოყაზე აკოცა. გაიანეს ეამა, თვალებიდან ცრემლიჩამოენურა. თვითონაც მოეხეია ფანდურაანთ იოსებას.

— ბიჭო, სოსიკო. შენს გაზრდაზე მეც დავყარე ჯიგარი. არც დამეინყებულიან, ჩემს ლოცვებში ყოველთვის გახსენებდი და გიგონებდი შენცა და ნათიასაც.

ამ სახელის ხსენებამ ზანდაროვზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. ისევ შეძფოთებით გაიხედა ზევითებენ.

— ბატონები რომ თავზე ნამოგვადგნენ, რას იფიქრებენ?

— ფიქრი ნუ გაქვს. რაღაცას ვიტყვი, რამეს მოვიგონებ.

— შენი ჭირიმე, ნათლი!

ზანდაროვი ახლა უფრო თამამად მოეხეია მას, რადგან გერმანოზიშვილების აღარ ეშინოდა. უცებ მან დედაბრის შიშველ, დატალახიანებულ ფეხებს დაადგა თვალი, გაკვირვებულმა იქითხა:

— ფეხშიშველა რათა ხარ, ნათლი?

— ბიჭო, სოსიკო, შენ ძალიან მიყვარდი, მაგრამ მანანასავით არავინ მყვარებია. იმას აღვუთქვი, იმის დაქორნინებამდე ფეხშიშველმა უნდა ვიარო.

ამ სიტყვებში ზანდაროვმა ახალი საფრთხე აღმოაჩინა, ახალი შიში შემოენთო. მთავარი მაინც ის იყო, რომ მისი მანანა გერმანოზიშვილზე დაქორნინება შეუძლებელი ხდებოდა.

— რათ ჩაფიქრდი, იოსებ?

— მარტო ერთი ფიქრი მაქვს, ნათლი. რითი გადავიხადო სამაგიერო?

— შენი კარგად ყოფნით. მე მეტი არაფერი მინდა.

— სიმდიდრით ქალაქში ბევრი არავინა მჯობიან. რასაც ხელს დაადებ, შენი ჭირის სანაცვლო იყოს.

— მერე ეგრე რამ გაგამდიდრა, ბიჭო?

ზანდაროვმა გაილიმა.

— ჭკუამ და გამჭრიახობამ.

— ლამაზი იყავი და უფრო გალამაზებულხარ, მაგრამ სულ გამოცვლოლხარ. ძლიერ გიცანი.

ზანდაროვი დაინტერესდა.

— მაინც, როგორ მიცანი? სად ტეტია და სად — მე?

დედაბერმა გაიცინა.

— ტუჩის მავ პატარა ნაჭრილობევით, რა მალამო არ დაგადე, რომ მოგშუ-შებოდა. ახლა ძლიერ გაჩინია, ჩემს მეტი ვერავინ შეგამჩნევდა. მე მიმადლოდე, თორემ ქალები დაგინუნებდნენ.

უცებ დედაბერი ცნობისმოყვარეობით მიუბრუნდა ზანდაროვს.

— ცოლიანი ხარ, სოსიკო?

— არა, ნათლი.

— საწყალი...

გაიანემ დაწყებული სიტყვა ველარ გააგრძელა, ხმა გაიკმინდა. ზემოთ, გერმანოზიშვილების ოთახებში, ხმამაღალი ლაპარაკი გაისმა. კარებმა გაიჭრიალა

და კიბის ფოლორც ზე დავით გერმანოზიშვილი გამოჩნდა. ზანდაროვს ფერმა გადასერა. მთელი მისი ცხოვრება დედაბრის ერთ სიტყვაზე იყო შეგდებული. დედაბერძა დავითის გასაგონად ხმას აუმალლა:

- სად მითხარი, გრიგოლ? სად უნდა მოვიდე?
- სოლოლაკში, სოლოლაკში, — საჩქაროდ მიუგო ზანდაროვმა, რომელ-საც ისევ დაასხა შუბლზე ოფლის მსხვილი კოკრები, — ზანდაროვი იკითხე და ჩემს სახლს ყველა მოგასწავლის.

დავით გერმანოზიშვილი თვალებდაჭყეტილი იყურებოდა მათენ.

— გაინე, შენ ზანდაროვს საიდან იცნობ? — ჰკითხა მან მანანას გამდელს, როცა ზანდაროვის ზურგს უკან სადარბაზო კარი დაიხურა.

— ძველი ნაცნობის შვილია, — უპასუხა კიბეზე ხენეშით ამავალმა გაიანემ,  
— მაგის მამა ჩვენს სოფელში მოდიოდა, იარალის სამღებროს იჯარით აღება უნდოდა. კარგი აზნაური იყო ცხონებული.

— ჰომ.

თავადმა ცას გახედა, უკმაყოფილოდ დააბუხუნა:

- კაცო, ამ თოვლმა აღარ უნდა გადაიღოს!
- მაშ, მაშ! — დაინუნუნა დედაბერძა, — შეშის დაჭრას ვეღარ ავუვედი. თქვა და მხრებიდან თოვლის ჩამობერტყვა მხოლოდ ახლა მოაგონდა.

## 2. არ ვიცის დედა იცინის, ვიცის დედა სტირის

რაც იცით, იმას კლიტე დაადეთ.

მ. ლერმონტოვი

გამდელს მანანა ფანჯარასთან დახვდა. ვიღაცას რაღაცას ანიშნებდა და ულიმოდა. ზანდაროვი იყო. მარხილში იდგა და მაღალ ქუდს ჰაერში გა-მოსამშვიდობებლად ატრიალებდა. გაიანეს დანახვისთანავე მანანას თავი დაუკრა და მარხილიც საჩქაროდ თავდალმართში დაეშვა. მანანამ თვალი გააყოლა. მერე გამდელს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- იცი, ვინ არის ეგ კაცი?
- ვიცი, — უკმეხად უპასუხა გამდელმა.
- მოგნონს?
- რა უჭირს. თვალტანადი კაცია.
- მდიდარიც არის.
- ეგ ძალიან მიკვირს.
- რათა?

გამდელმა ხმა არ ამოიღო. დაფიქრებული გასცეკეროდა თოვლის ბარდნას. გაიანეს ქალბატონის მიამიტობა არ უკვირდა, მაგრამ ბატონის გულუ-ბრყვილობა აკვირვებდა: „რა ვქნა, როგორ ვერ იცნო დავითმა ფანდურაანთ

იოსება? რამ დაუბრმავა თვალები? თუმცალა, ესეც არის, ეგ ალექსანდრეს დასდევდა და სოფელში ლამღამობით შემოდიოდა. სად ნახავდა ახლად ულვაშაშლილ ბიჭს? მანანაც ლობის იქით ან წყაროსთან თუ მოჰკურავდა თვალს. მე კი მაშინვე ვიცანი. გასაკვირველი რა არის? ჩემს ხელში დაიბადა, მე მოვნათლე, მე ვურნევდი აკვანს, ჩემ ნინ ანოვებდა ძუძუს მაგის ლამაზი და თვალუუშუნა დედა. დედ-მამა უამიანობაში რომ დაეხოცა, ობოლ-ოხერს მე მოვეიდე ხელი, ჩემ თვალნინ ნამოჩიტდა. გაიზარდა დადავაუკაცდა, უქმრობ და უშვილომ გული მაგაზე დავყარე. მანანას გარდა მაგის სიყვარულში სხვა არავინ შემომეცილება. ვახმე! რამდენი ცრემლი დავლვარე, როცა იმ სულძალუმა იარალმა ეგეც გააუბედურა და საცოდავი ნათიაც! მაგის სახეს ან თვალიდან, ან გონებიდან როგორ მოვიშორებდი?! ვიშ, რა გამახარა სოსიკოს ხელახლა ნახვამ! ჩემი ნათელ-მირონი ახლაც ზედ დაპნათის და უკეთესიც გამხდარა. რალა ბატონი და რალა ეგ! მაგის ყურებას არაფერი სჯობს! მამის ახოვნება აქვს და დედის სილამაზე. მაშ, გლეხის შეილებსაც შეგვიძლია ბატონებს დავემსგავსოთ? მაშ, ღმერთის განაჩენი მარტო ბატონებისთვის არ არის დადებული? მაგის გვერდით დავითი არაფრად გამოჩნდა. ენაცვალოს გაიანე! ვიშ, რა ლამაზი იყო, ვიშ, რა მშვენიერი! იფ! იფ! არა, გაიანე, არა, ჯერ არ დაბერებულხარ, რაკი ფანდურაანთ იოსებას ნახვამ ამნაირად გაგახარა”.

— რაზე ფიქრობ და გელიმება, ჩემო საყვარელო გამდელო?

ალერსით ჰქითხა მანანამ და ყელზე მოეხვია. გაიანეს მისი მოხვევა ისევე ეამა, როგორც ფანდურაანთ იოსებას ლოყაზე ეოცნა, მაგრამ თვითონ მოხვევა ვერ გაუბედა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ბატონებაცად გადაქცეული გლეხის ბიჭი მის გულთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე თავადის ასული.

გამდელი დედაბრულად ატიტინდა:

— ვისზე უნდა ვფიქრობდე, შემოგევლოს გაიანე? განა არ იცი? ცხადშიაც და სიზმარშიც სულ შენ მავინდები, მტლად დაგედე!

— შენ ვინ გითხრა, რომ ვთხოვდები?

— თხოვდები? ეს რა ესმის ჩემს ყურებსა? ვისზე თხოვდები, ჩემო სულის-დგმავ?

— რა ვქნა, ნელან არ მითხარი, ვიციო?

— როდის გითხარი, მტლად დაგედე?

— ნელან.

— როდის ნელან, შემოგევლე?

მანანამ განცვითორებით შეათვალიერა თავისი ბებერი გამდელი.

— რა ვქნა? ხატის ლვინო ხომ არა გაქვს დალეული?

— არ მახსოვს და რა ვქნა, მტლად დაგედე!

— ფანჯარასთან რომ ვიდექი, განა მაშინ არ მითხარი?

გაიანე გაფითრდა.

სული შეუგუბდა.

ძლივს ამოთქვა:

- იმ კაცზე?  
— ჰო, იმ კაცზე.  
— ზანდაროვზე?  
— ჰო. ზანდაროვზე.  
— უიმე და ვაგლახი! — შეჰყვირა გამდელმა და მკვდრისფერი დაედო.  
მანანამ კიდევ უფრო გაკვირვებით შეათვალიერა.  
— რა? საქმროს მიწუნებ?  
— განანო... მანანო...  
გუხლებშიჩაკეცილ დედაბერს ხმა აუკანკალდა, სიტყვის თქმა გაუჭირდა.  
— რა ვქნა, რა გემართება?  
— განანო... მანანო...  
— დედაკაცო, ჭკუა ხომ არ დაჭკარგე?  
— ჰო... ჰო... მანანო, ჭკუაცა და თავიც... ცოცხალი რაღათა ვარ? პირში  
ენა რაღათ მიღვას? რატომ თვალები არ დამიბრმავდება?  
— დედაკაცო!  
— გონს მოდი, მანანო, გონს მოდი. ის შენი შესაფერისი არ არის. ის...  
— ხმა ჩაიწყვიტე! — დაუტატანა გულმოსულმა თავადის ასულმა, — ჩემი  
საქმრო შენი სათრეველი არ არის.  
დედაბერმა ტირილი მორთო.  
მანანა უარესად გაბრაზდა, ტახტის მუთაქებში მოკეცილმა ფეხიდან ქოში  
გაიძრო და იქვე ჩაცუცჭულ, გულსაკლავად ატირებულ გამდელს ესროლა.  
— ბებერო ძალლო! ბაიყუშივით რას დამჩხავი?  
— მანანო... მანანო...  
— მებედნიერებადა სიხარული მწყურია, შენ ცრემლებით მილოცავ გზას?  
— ოჟ, ჩემო სულის ნუგეშო! არ იცი, რა სირცხვილს უმზადებ თავსა!  
მანანა ფეხზე ნამოიჭრა. თვალები გაუგანიერდა. განრისხებულმა შესძახა:  
— უტვინო ბებრუხანავ! შენ მარიგებ ჭკუასა?  
— მანანო...  
— კრინტი აღარ დასძრა!  
გამდელი გაჩუმდა. თავისთვის სლუკუნებდა და რაღაცაზე ფიქრობდა.  
ბოლოს თავი ასწია, მანანას მორიდებით ჰკითხა:  
— დავითმა რაღა პასუხი გასცა?  
— გრიგოლი რომ გაისტუმრა, ჩემთან შემოვიდა, შუბლზე მაკოცა და  
ბედნიერება მომილოცა.  
— უიმე და ვაგლახი!  
მუხლებზე ხელები შემოიკრა გამდელმა, მანანას ფეხებში ჩაუვარდა, კაბის  
კალთები დაუკოცნა, შეჰდალადა:  
— მანანო... თვალი გატყუებს... თვალი... შენცა და დავითსაც...  
— რას მიჰქარავ, დედაკაცო?  
— უარი სთქვი, შემოგევლე!

- შენსას არ იშლი, ბაიყუშო?! თავი გინდა მაცემინო?
- მცემე, ჩამქოლე, მომკალი, შენი ძალლი ვარ... ოლონდ იმას უარი უთხარი.

შენი ტოლი არ არის. შენს ფეხის მტვრადაც არა ლირს.

- ჰო, ის თავადი არ არის.

ნალვლისანად თქვა მანანა გერმანოზიშვილმა.

- მაშ რათ მიჰყვები?

- მდიდარია, — ნამოსცდა თავადის ასულს.

— შენც იქნები მდიდარი! — რაღაცნაირის აღფრთოვანებით შეჟყვირა დედაბერმა, — სულ ცოტა დამაცადე, სული მომათქმევინე. გაგამდიდრებ და ისეთ იარანალს შეგროთავ ქმრადა, იმის ჯვარ-მენდლებზე ყველას თვალი რჩებოდეს.

- შენსავით ბებრუხანა იარანალს იშოვნიდი, — დასცინა თავადის ასულმა.

— არა, შემოგევლე! ყმანვილ იარანალსა, ულვაშეოურიასა, ლამაზსა და პირბადრსა, ნამესტნიერან მიღებულსა და ომებში განთქმულსა.

— ჯადო ხომ არავის გაუეეთე, დედაკაცო? ნლოვანსა და ცარიელ-ტარიელს ვინ გიუი მითხოვს, გარდა წითელქარებიანი ბებრისა?

— მაშ ზანდაროვი რაღათ გთხოულობს? ისიც ახალგაზრდა არ არის? იმას თავადობისა და იარანალობის მეტი სხვა ყველაფერი ჰქონია.

მანანა ჩაფიქრდა.

ასეთ კითხვას ის თავის თავს რატომლაც არ უსვამდა.

დაიბნა.

ვერაფერი თქვა.

მართლაც, ძნელი სათქმელი იყო, თუ რატომ თხოულობდა ოცდარვა ნლის ქალს ჯერ ისევ ახალგაზრდა ზანდაროვი.

გამდელი თვალებში შესცეკეროდა, მის პასუხს უცდიდა.

— იმიტომ, რომ ლამაზი ვარ და მოვნონვარ, — თქვა ბოლოს მან.

— სხვებსაც მოსწონხარ, შემოგევლე!

— შეიძლება, მაგრამ სხვები სიმდიდრეს ეძებენ. გრიგოლს კი სიმდიდრე არ სჭირდება და ამით ბევრი ვერ გაუტოლდება. ღმერთს ეგ კაცი ჩემთვის შეუნახია უცოლოდ.

გამდელმა გამდელურ ხერხს მიმართა, ქალბატონს ყურში შხამი ჩაანვეთა:

— მაგას ისეთი ქალი უყვარდა, სხვას არავის შეიყვარებს. ამიტომ გეხვეწები და გემუდარები, მტლად დაგედე!

მანანა ჯერ გაფითოდა, მერე ეჭვს მოერია, გამდელთან ახლოს მიჩოდა, ნიაზით ჰერთხა:

— ზანდაროვს საიდან იცნობ?

გამდელი შეყოყმანდა.

გრიგოლ ზანდაროვის ბედი ისევ ბეწვზე დაეკიდა.

დედაბერი სათქმელად მოემზადა, რათა თავისი საყვარელი ქალბატონი ერთბაშად გამოეფხიზლებინა, მაგრამ ამის შედეგიც სწრაფად მოისაზრა და

გათვალისწინა. ენას ებილი დააჭირა. ყველას ის სჯობდა, ზანდაროვისთვის დიდი თანხა გამოერთმია, მანანა გაემზითვებინა და თვითონ სამუდამოდ კიჩიე კლიტე დაედო. ამიტომ მან სულ სხვა რამ თქვა, ვიდრე ერთი ნამის ნინ პირებდა.

— მაგის მამას ვიცნობდი, კარგი აზნაური იყო ცხონებული.

მანანა გერმანოზიშვილს ზანდაროვის აზნაურად ხსენება ახლა განსაკუთრებით ესიამოვნა. ალბათ, იმიტომ, რომ თავისი დასტურით ბებერი გამდელი ყოველგვარ ეჭვს უქარნყლებდა.

— ის ქალი ვიღაა?

მოაგონდა მანანას გამდელის გადაკრულად ნათქვამი სიტყვა.

— ვინ ქალი?

— ნელან რომ სთქვი.

გამდელმა თავი ჩაღუნა.

— ვერ გეტყვი, შემოგევლე!

— კნეინა გოსტაშაბიშვილია? — ჩააცივდა ქალბატონი.

— ეგ ვინ არის?

— მაია სავარსამიძეა, სენატორის რძალი?

— ეგ ვიღაა?

— მაკურ კურტანიძეა?

— არც ეგ ვიცი.

მანანამ სხვა ვერავინ გაიხსენა.

დედაბერმა ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— ეგ კნეინები იმის საყვარლები არიან, მტლად დაგედე?

— ამბობენ...

გადმოუგდო ოდნავ გალიზიანებულმა ქალბატონმა.

— მერე მაგისთანა გულარძნილ კაცს რათ მიჰყვები, შემოგევლე?

— კანონიერი ცოლის უფლება სულ სხვა არის! — ოცნებით ნარმოთქვა შინაბერამ.

გამდელმა ქალბატონს თავისი პირობა გაახსენა.

— შენც მალე სჯულიერი ცოლი გახდები, მტლად დაგედე! სიმდიდრესაც და მზითვსაც მე გაგიჩენ, შემოგევლე!

— შენა? განძი ხომ არ იპოვნე? ან იქნებ სასაცილოდ მიგდებ?

— მე, შემოგევლე, მე გაგამდიდრებ!

მანანა გაბრაზდა. გაკაპასდა. გამდელს დაუყვირა და შეუტია:

— აქედან დამეკარგე და თვალით აღარ დამენახო.

— მართალს გეუბნები, მტლად დაგედე! სულ ცოტა დამაცადე, შემოგევლე.

შენ არა გჯერა, მაგრამ მალე დაგაჯერებ, ჩემი სულის ნუგეშო!

გამდელი ისეთი ლრმა რწმენით ლაპარაკობდა, რომ მანანა შეფიქრიანდა: „ჩემს საწყალ გამდელს, უეჭველად, მნუხარებამ ჭკუა ნაართვა და გააგიუა“, შევცოდა, დაყვავებით უთხრა:

— კარგი, კარგი, ნადი, ილოცე, დაწყნარდები...  
გამდელი ფართვატით გავიდა ოთახიდან. ხატებს სანთლები დაუნთო და  
ლოცვად დადგა. ღმერთს ფანდურაანთ იოსებასაც ავედრებდა და გერმა-  
ნოზიშვილების ასულსაც. ორივეს გადარჩენა უნდოდა და ამის ღონესა და  
ნამალს ეძებდა.

### 3. არჩევანი

არის ვინმე ისეთი, რომელიც არჩევანს არ მოახდენდა  
პოსა და არას შორის?  
ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“

დედაბერი დიდხანს ლოცულობდა, მუხლებზე დაჩოქილი და ზეცაში  
ხელებაპყრობილი.

უცებთეალი შეავლო ნმინდა მარინეს და ნმინდა გერასიმეს ხატებს. ორივე  
ხატი მარგალიტებისა და ფირუზებისაგან იყო გაძარცული, ხოლო მარგალი-  
ტები და ფირუზები ჯერ დაგირავებული, ხოლო შემდეგ გაყიდული. გაიანეს  
ფირუზა ზანდაროვი გაახსენდა, რომელთანაც, როგორც ჩანდა, ფანდურაანთ  
იოსებირალაცნაირად იყო დაკავშირებული. ვინ იცის, ფირუზა ზანდაროვთან  
გერმანოზიშვილების რამდენი თვალ-მარგალიტი ჰქონდა გაიანეს მიტანილი.  
მხოლოდ ახლა დგებოდა მათი უკან დაბრუნების შესაძლებლობა.

გაიანე დიდხანს ლოცულობდა, ღმერთს თავის უიღბლო აღზრდილსა და  
ქალბატონს ავედრებდა, თან ცრემლებად იღვრებოდა.

ვაინაზრობით ნამოდგა. მოსახვევის ბოლოებით ცრემლები შეიშრო. ძვე-  
ლისძველი ჯუბა ჩაიცვა, თავშალი მოიხვია და ზანდაროვთან ნასასვლელად  
მოემზადა, რათა ლვთისა და ადამიანების შეურაცხმყოფელი ქორნინება  
ჩაეძალა.

ეიბე ფეხაკრეფით ჩაიარა, მაგრამ მოულოდნელად თავზე ქალბატონი ნა-  
მოადგა. ეიბის ფოლორცის მოჯირზე გადმოეყუდა და გამდელს გადმოსძახა:

- სად მიდიხარ, გაიანე?
- მეზობლებში, შემოგევლე, — იცრუა გამდელმა.
- მეზობლებში რა გინდა?
- დამიძახეს, ვიღაცას ბავშვი ბატონებით ავად გახდომია, ბატონების  
სიმღერა უნდა ვუმღერო.
- მე ბატონების მეშინია.
- შენ ნითელა მოხდილი გაქვს, მტლად დაგედე!
- გაიანე, შენ მეზობლებში არ მიდიხარ. გინდა მოლასთან გაიქცე თათრის  
მოედანზე, ავგაროზი გამოართო და თათრული ჯადოთი გრიგოლი შემატელო!
- არა, შემოგევლე, ეგ რამ გაფიქრებინა?

— ახლავე მაღლა ამოდი და მაგ ოინებს თავი გაანებე.

— ვაი, ჩემი ბრალი!

ამოოხერა გაიანემ და ბუზლუნ-ბურტყუნით უკან დაბრუნდა. ჯუბა გაიხადა. თავშალი მოიხსნა და მუთაქებში ტახტზე მოკეცილ ქალბატონს ფერხთით დაუჯდა. ფიქრებით თავი უსკდებოდა. ხალისიანად ვეღარ უმღერა „ძილისპირული“ ქალბატონს, რომელსაც ძილი არ ეკარებოდა და ფართოდ გახელილი თვალებით ჭერს შესცეკეროდა.

გაიანე უფრო დუდუნებდა, ვიდრე მღეროდა

— დამტირი თუ დამმღერი? — გაუწყრა ქალბატონი.

გამდელმა ცრემლები მოიწმინდა თვალებიდან და გულში უთხრა: „დაგ-ტირი, შემოგევლე, დაგტირი, რადგან ბედი დაგცინის და გათამაშებს. მაგრამ დვთის მაღლით ის არ მოხდება, რაც ეშმაკს გაუჩარხია“. ხელები მაღლა აღა-ჟყრო და ღმერთს შეჰდალადა:

— რამდენი ხანია შენს გზაზე ფეხშიშველა დავდივარ, სიკვდილამდე ასე ვივლი, ოლონდ ჩემი სულის ნეტარება გააბედნიერე!

მანანას შეეცოდა გამდელი, გული აუჩუყდა, მიესიყვარულა:

— ჩემო კარგო გამდელო! გული მწყდება, რომ შენი ოცნება ვერ შევასრულე. მაგრამ რა ვქნა: თავადთაგან არავინ მთხოვულობს, ყველა ქონებას და სომდიდრეს უყურებს და ნელ-ნელა ხელში შემოგაბერდი. გინდა მონასტერში ნავიდე?

— არა, შემოგევლე. უნინ დღეც გამქრობია!

— მაშ, შენი ტირილით და ვიშვიშით ბედს ნუ შემიკრავ!

— ჩემი ნატვრა ის არის, მტლად დაგედე, შენ გვირგვინქვემ გნახო!

— მალე მნახავ.

— ჰო. ჰო. შემოგევლე. სულ მაღლე იარანალის პატარძლად...

— კარგი, გეყოფა, მეძინება.

— აღარაფერს გეტყვი, მტლად დაგედე, ოლონდ ნება მომეცი, ამაღლაშ შენს უფრხთით დავეგდო.

— არა, მე მარტო ყოფნა მინდა.

გამდელმა მანანას პირველი გადასწერა და შეფრთვინვით ნარმოთქვა:

— შენ შემოგევლე, ჩემო ლამაზო ანგელოზო!

— ნადი... ნადი...

ძლიერ ამოსთქვა მანანამ და ცრემლები ყელში მოებჯინა.

— სიყვარულზე ძლიერი სხვა არაფერი არის, — ფიქრობდა მარტო დარჩენილი თავადის ასული, — მომაკვდინებელიც არის და მაცოცხლებელიც. სიყვარული ადამიანს ყველაფერს ჩაადენინებს. ამიტომ ჩემს გამდელზე თვალი უნდა დავიჭირო. ვინ იცის, თათრის მოლის ავგაროზს რამდენი ქორნილი ჩაუშლია ან რამდენი ცოლ-ქმარი გაუყრია?!

ცრუმორნმუნე მანანა თავის გამდელს სახლიდან გარეთ არ უშვებდა.

იმ დღეს გაიანემ უკანასკნელად ნახა ფანდურაანთ იოსები.

გერმანიზიშვილები, როცა სახლიდან მიდიოდნენ, გამდელს კარს უკეტავდნენ და მარტოდმარტოს ტოვებდნენ. არც მეზობლებში უშვებდნენ, არც მეზობელს აკარებდნენ. დავითს თილისმების არ სწამდა, მაგრამ დის ყველა კაპრიზს უსიტყვოდ ასრულებდა. გულში კი გაიანეს დრტვინვა და ვაგლახი მოსწონდა, რადგან თვითონაც გულალრენილი იყო და ცუდ გუნებაზე ბრძანდებოდა. თავადის ასულის სოფაგარზე დაქორნინებას ვერ ურჩიგდებოდა.

სურსათ-სანოვაგეს კვლავინდებურად დავითის დენშჩიკი ეზიდებოდა, საღამოობით კი ყაზარმაში ბრუნდებოდა. გაღარიბებულ თავადს ქურდების და მძარცველების არ ეშინოდა, ამიტომ თავის დენშჩიკს დასაძინებლად ყაზარმაში ისტუმრებდა. გერმანიზიშვილები ისედაც ვინროდ იყვნენ, სამი ოთახი არ ჰყოფნიდათ და დენშჩიკს მათთან ერთად ცხოვრება არ შეეძლო.

დღისით გაიანე სადილს ამზადებდა. ღამლამობით კი, თუ მისი ბატონები სტუმრად იყვნენ ნასულნი, დაკეტილ სახლში იჯდა. სახლის გასაღები, დის რჩევით, დავითს ედო ჯიბეში.

გაიანე დარეტიანებული დაფართატებდა ოთახებში, ცხოვრების ჩარხის ტრიალით გაოცებული და გამტერებული.

ადგილს ვეღარ პოულობდა. არ იცოდა, რა ექნა, რა გადაეწყვიტა, სიყვარულს მაინც თავისი გაპქონდა. ფანდურაანთიოსები გასაფუჭებლად არ ემეტებოდა, მასზე უფრო საყვარელი მანანა გერმანიზიშვილი — შესარცხვენად და თავლაფის დასასხმელად.

ფანდურაანთიოსების განირვას გლეხკაცური სულისევეთება და ნათელ-მირონი არ ანებებდა, მანანა გერმანიზიშვილის განირვას — აღმზრდელის სიყვარული და ღვთის შიში.

ნაამაგარი, ყოველ ხუთშაბათს მამადავითში ბატონებისათვის მლოცველი, აუცილებელი არჩევანის ნინაშე დგებოდა.

მაგრამ ფანდურაანთიოსები ახლაც ისევე უყვარდა, როგორც მაშინ, ბერთუბანში.

— რა კარგი ბიჭი იყო სოსიკო, ჰა? — თავაულებლივ ფიქრობდა გაიანე.

სანამ პატარა იყო, თავის ნათლიას ყელზე ეხვეოდა, როცა დავაუკაცდა, სულ პირს უკოცნიდა. ლარიბი ეცოდებოდა და სუსტს ექომაგებოდა. სოფლის თვალი იყო დაბევრილამაზი გოგოს სანატრელი, მაგრამ იმას ერთი უყვარდა, მხოლოდ ერთი...

ხატების ნინ მუხლის ჩოქვით, ლოცვებით, შუბლის იატაკზე დაკვრით და პირჯვრის წერით დალლილი გაიანე განუწყვეტლივ ფიქრობდა ფანდურაანთიოსებზე. უკვირდა მისი გამოჩენაც და გადიდკაცებაც. თან მტანჯველი აზრი უჩნდებოდა მის მიმართ, რადგან, რაკი იარაღ გერმანიზიშვილის ქალს ირთავდა, ნათია, რაღა თქმა უნდა, სულ არ აგონდებოდა და, ალპათ, აღარც ახსოვდა.

ვერაფრით ვერ აეხსნა მისი ღვთისგამარისხებელი გადაწყვეტილება.

სოფლელი დედაკაცი მხოლოდ გუმანით ხვდებოდა, რომ პატიოსანი კაცი გულშიაც არ გაივლებდა იმას, რაც გრიგოლ ზანდაროვად გადაქცეულ მის ხალულს განეზრახა და, ჩანდა, ასრულებდა კიდეც.

მაშ, ფანდურაანთ იოსებიც იარაღივით იყო ნამხდარი? მაშ, თავისი თავ-დავინყებული სიყვარული აღარც მას ახსოვდა? სამაგიეროდ, ბებერ გაიანეს არ შეეძლო იმის დავინყება, რაც იმ საბედისნერო ღამეს ბერთუბანში მოხდა.

ამიტომ, თუ საქმე მოითხოვდა, გაიანე გულარძნილ, გალალებულ და გამჟარტავნებულ გრიგოლ ზანდაროვს გასწირავდა და არა ლვთის უბეში გაზრდილ, ყოვლად უცოდველ მანანა გერმანოზიშვილს.

მაგრამ განა გერმანოზიშვილებმა არ დააყენეს ცოდვის გზაზე ფანდუ-რაანთ იოსები?

გაიანეს კვლავ გაუძნელდა არჩევანი.

იოსების სიყვარული გლეხი ქალის გულიდან მოდიოდა, მანანას სიყვარული — ყმის ერთგულებიდან, მისთვის დიდი ხნის მანძილზე განეული ამაგიდან.

ყმის ერთგულება, გაიანეს ღრმა რნმენით, მამაზეციერის მიერ იყო დაკანონებული.

აუცდენელი.

გარდუვალი.

ხელშეუხებელი.

ამიტომ ლვთის გმობა თავიდან რომ აეცდინა, ეს საოცარი ქორნინება როგორმე უნდა ჩაეშალა.

ამ აზრს გაჰყვა და მყისვე ხელები ჩამოსცვივდა.

თუ იოსებს უარს ათქმევინებდა, განწირული მაინც მანანა გერმანოზიშ-ვილი ალმოჩნდებოდა.

თავშერცხვენილი მონასტერში აღიკვეცებოდა.

გამდელი კარგად იცნობდა თავის აღზრდილს.

გულდახურული იყო, მაგრამ კეთილი.

ლმობიერი.

ღრმად მორნმუნე და სასოებით მლოცველი.

არც იარაღივით მრისხანე იყო, არც დავითივით მკაცრი, არც ანდუყაფა-რივით ბრიყვი, არც მზეხათუნივით პრანჭია და თარაქამა.

მაგრამ, ამავე დროს, ამაყიც იყო და თავმოყვარეც.

გაიანეს კვლავ დაებნა ანგარიში.

ერთადერთი გამოსავალიდა რჩებოდა: ფანდურაანთ იოსების განირვა.

მხოლოდ მისი ვინაობის გამხელა გადაარჩენდა მანანა გერმანოზიშვილს სირცხვილსაც და ლვთის რისხვასაც.

მაგრამ თვითონ როგორ მოისვენებდა?

დედაბერი უარესად ანრიალდა.

უცებ ლვთისმშობლის ხატზე გააჩერა თვალი და ერთმა აზრმა გაუნათა გონება.

ყველაფერი, რაც ახლა ხდებოდა, ღვთის განგებულებად მოეჩვენა და ის  
სულძალლი იარაღის ცოდვის საზღაურად.

ხალხის ძვალ-რბილში გამჯდარი „ურმით მდევარის“ აუცილებელი მოსა-  
კოსიც მყისვე გაახსენდა.

თვალწინ ცხადად დაუდგა ნიბლიასავით განაბული ნათია.

ღვთისმშობლის ხატს თვალი ველარ მოაშორა.

თაფლის სანთლების შუქზე ღვთისმშობელს პაგე მადლიანი ღიმილით  
ეხსნებოდა და ტკბილად ულიმოდა სასოწარევეთილ დედაბერს.

„ქორწინება ზეცაში ხდება“, — მოაგონდა ეკლესიაში მოსმენილი სიტყვები  
ბებერ გამდელს და რამდენიმე ლამის უძინარს პირველად მოეკიდა რული მის  
დალლილ თვალებს.

#### 4. მოთაცებული მცირე-მარტობი

გნებავთ, კარგად მოვძებნოთ ის, რასაც ჩვენგან ბატონი მოითხოვს.

პარლ დე ბერნარი, „იკაროსის ფრთები“

იმ საღამოს გერმანიზიშვილები ზანდაროვთან ვახშმად იყვნენ დაპატი-  
ჟებული. შინ გვიან დაბრუნდნენ, სანთლები რომ აანთეს, გაიანე მკვდარი  
იპოვეს. გამდელი ბებუთით იყო მოკლული.

დავითი სახტად დარჩა.

— ვის რათ უნდოდა გაიანეს მოკვლა?

— ქურდი მოჰკულავდა, — თქვა მანანამ, რომელსაც ზაფრანისფერი ედო  
სახეზე.

თავადმა გაიცინა.

— ქურდს რა უნდოდა ჩვენს სახლში?

უცებ მწევარი და მეძებრები მოაგონდა. თავში ხელი შემოიკრა. ჯერ თავის  
ოთახში შევარდა, მერე ყველა ოთახს ეცა, მაგრამ ძალლები არსად ჩანდნენ. დავი-  
თ მყისვე მიხვდა ქურდობისა და მკვლელობის მიზეზს. მან ყურადღება მიაქცია  
იმასაც, რომ გამდელი მის ოთახში იყო მოკლული, სადაც ის მხოლოდ ოთახის  
გამოსაველად და მისალაგ-მოსალაგებლად მედიოდა ხოლმე. როცა მანანა შინ  
არ იყო, გამდელი თავის ოთახში იჯდა და მუდამ ფეხში შველი ქალბატონს თბილ  
ნინდებს უქსოვდა. ნინდის ჩხირები და ძაფის გორგალი მისი ოთახის ლოგინზე  
იდო. მაშასადამე, დაასევნა დავითმა, ხმაურზე და ძალლების ყეფაზე გაიანე იმ  
ოთახიდან უნდა გამოვარდნილიყო და მაშინვე მოეკლათ, რათა მას ყვირილი  
არ აეტეხა და თავდამსხმელებს ძალლების სახლიდან გაყვანა მოეხერხებინათ.

შემინებული მანანა დავითმა კნეინა მზეხათუნის სახლში მიიყვანა, თვითონ  
პოლიციაში გაიქცა.

— რა ნაიღეს? — ჰეითხა ბოქაულმა.

- გამასისხლად ნაყიდი ერთი მწევარი და ორი მეძებარი.
- სხვა?
- თავადი განითლდა.
- სხვა არაფერი.
- გაშ, მარტო ძალლები წაუყვანიათ?
- ისინი ჩემი ძალლებისთვის იყვნენ მოსულნი. ასეთ მწევარს და მეძე-გრებსადვილად ვერ იშოვნი. მთელი ქალაქი უნდა გადააბრუნოთ და ჭურდები იპოვნოთ. გასამრჯელო ჩემზე იყოს.

პოლიცია დატრიალდა, მაგრამ გაიანეს მკვლელების და ძალლების მომ-ტაცებლების კვალს ვერსად მიაგნეს.

დავითს დანა პირს არ უხსნიდა.

მწევარ-მეძებრებს უფრო მეტად ნაღვლობდა, ვიდრე გაიანეს.

ბებერი გამდელის კუბო ოთხმა დაქირავებულმა კურტნიანმა მუშამ გერ-მანოზიშვილების სახლიდან გამოიტანა და დროგზე დადგა.

დროგს უკან შემოსილი მღვდელი, დიაკვანი და რამდენიმე დედაბერი გაჟივა.

სანამ დროგი დაიძრებოდა, დავითი სადარბაზო კართან ქუდმოხდილი ადგა. ზანდაროვი ფანჯრიდან იყურებოდა.

მანანა ტახტზე ფეხმოკეცილი იჯდა.

— საწყალი გაიანე, — ამოიოხრა გულდანყვეტილმა თავადის ასულმა.

ზანდაროვი არ მოტრიალებულა მისკენ. სივრცეს დაფიქრებული გასც-ქეროდა.

მხოლოდ მან იცოდა, რომ გერმანოზიშვილების ბებერ ვამდელთან ერთად ფანდურაანთ იოსების სახსენებელიც სამუდამოდ იმარხებოდა.

## 5. ნიშნობა

- დღეს ერთი ახალი ამბავი გავიგე, თქვენც ხომ არ მოგეხსენებათ, ქალებო?
- რომელი ამბავი? — პეითხეს ერთად ქალებმა. ლ. არდა ზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯდანუაშვილი“

მთელი ზამთარი გადაუღებლად თოვდა.

მტკუვარი გაიყინა და უშველებელ ლურჯ სარქედ იქცა.

მოქალაქენი უშიშრად გადი-გამოდიოდნენ გაყინულ მდინარეზე.

თოვლიანი ზამთრის მიუხედავად, ყველა, ვისაც შეეძლო და ჯანი და ასაკი ხელს არ უშლიდა, ღია ცის ქვეშ რელიგიურ დღესასწაულებს და სეირ-სანა-ხაობებს არ აკლდებოდა. წყალკურთხევას დიდ-პატარა დაესწრო მტკურის გაჭრილ ყინულში ჯვრის ჩასვენებასა და მონათვლას. ყველიერში ქუჩებსა და

მოედნებზე ხალხს ზიმზიმი გაცეკონდა, მხიარული უივილ-ხივილი და ურიამული არ ნყდებოდა. მოსეირნეთა შორის ხელიხელგაყრილი მაიკო კურტანიძე და თავადი გერმანოზიშვილიც იყვნენ. სადაც სეირი იყო, ისინიც იქჩნდებოდნენ, ერთობოდნენ და მხიარულებდნენ, კაცი ქალის ყურებით ტკბებოდა, ქალი — სანახაობებით.

დიდმარხვის დამდევსა ახმაურებული ქალაქი დაწყნარდა, ყველა თავ-თავის სახლში მიღლავ-მოლავდა.

დიდმარხვიდან აღდგომამდე თავადი გერმანოზიშვილი შორიახლოდან უვლიდა იმ ჭურას, სადაც კურტანიძეები ცხოვრობდნენ. მაიკო ქმარ-შვილთან ერთად მარხვას ინახავდა და სახლიდან იშვიათად გამოდიოდა. შეყვარებული თავადი სატრფოს მხოლოდ ეკლესიამდე მიცილებას და გამოცილებას ახერხებდა.

გაზაფხულზე დავით გერმანოზიშვილის ცხოვრებაში დიდი ამბები მოხდა.

მაიკო კურტანიძე ქალაქებით გასეირნების შემდეგ სამუდამოდ განშორდა მას.

მარცხით გაბრუებული თავადი პოლეის ოფიცრებმა იმით გამოაფხილეს, რომ ცხვირნინ „ინვალიდი“ გადაუშალეს. ოფიციალურ გაზეთში თავად დავით იარალის ძე გერმანოზიშვილის მაიორის ჩინზე წარდგენისა და დამტკიცების ცნობა იყო დაბეჭდილი.

ყველას გაუკვირდა სვეშებრუნებული თავადის ბედის უეცარი შემოტრიალება.

ასეთივე გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ მის შინაბერა დას ხელი სთხოვა და, როგორც ამბობდნენ, თანხმობაც მიიღო, მილიონერმა გრიგოლ ზანდაროვმა.

რა თქმა უნდა, ეს ორი ამბავი ერთმანეთისთვის არავის დაუკავშირებია და არც არავინ უკავშირებდა.

ყველამ უბრალო დამთხვევად მიიღო ის, რომ ძმის სამხედრო სარბიელზე ნარმატებას დაუყოვნებლივ მოჰყვა დის ბედის გახსნაც.

თვითონ დავით გერმანოზიშვილი ამ ამბებით უფრო ნაწყენი ჩანდა, ვიდრე ქმაყოფილ-გახარებული. რაღაცნაირად გაბუსუნებული, ნაცნობებთან შეხვედრას აშეარად ერიდებოდა. ოფიცრისათვის შეუფერებლად ერთებოდა და ღიზიანდებოდა, როცა რომელიმე მათგანი დის მომავალ ქორნინებას უხსენებდა ხოლმე.

მისი უგუნებობა ნაცნობებმა ალაფის ლამაზი ცოლის მზაკვრულ ოინებს მიანერეს.

ასე იყო თუ ისე, ნიშნობა სულ მალე შედგა.

მანანა გერმანოზიშვილმა და გრიგოლ ზანდაროვმა ბეჭდები გაცვალეს. მღვდელმა ალავი აკურთხა.

ლურჯ ქალალდებში შეხვეული ორი წონოლა შაქრიდან ერთს თავი მოამტვრია, მეორე — მთელი დატოვა. თავმომტვრეული შაქარი გერმანოზიშვილებს დარჩათ, მთელი — ზანდაროვს უკან დაუბრუნდა.

როცა თოთხმეტი ნლის კოხტა ბიჭმა „ხელისდასადებელი“ გერმანიზიშ-  
კულტის სახლში თავმომწონედ შეიტანა და გამოიტანა, მთელი მთანმინდა  
ფანჯრებზე და აივნებზე გადმოდგა.

სოვედაგარ ზანდაროვის დიდგვაროვან თავადის ოჯახთან დანათესავების  
აქბავი სწრაფად გავრცელდა.

ათასი ენა ალაპარაკდა, ათასი რამ ითქვა.

ჭორი და მართალი ქალაქის ყველა უბანს მოედო.

საზოგადოება ორ ნანილად გაიყო.

ზოგი ზანდაროვს არჩევანს უწონებდა, ზოგი მისი თავხედობით იყო გაკ-  
ვირვებული და აღშფოთებული.

მტერ-მოყვარე არც მანანა გერმანიზიშვილს აელდა. ერთნი თავადური  
ლისებისდამცირებისათვის ჰქილავდნენ, მეორენი მისი გონივრული გადაწყვე-  
ტილებით იყვნენ აღტაცებულნი. მაგრამ თვით მტრულად განწყობილნი ზურგს  
უკან ჭორი კანობდნენ, რადგან მდიდარი და გავლენიანი ზანდაროვის ეძინოდათ.

მტერიც და მოყვარეც ერთ რამეს მაინც განსაკუთრებით აღნიშნავდა:  
მდიდარი ზანდაროვის მიერ შინაბერა, ოცდარვა ნლის ქალის ცოლად შერ-  
თვის განზრახვას.

მიზეზს ყველანი მანანა გერმანიზიშვილის ღვთაებრივ სილამაზეში  
ნახულობდნენ, რადგან თბილისში უკვე ზედიზედ ხდებოდა „უთანასწორო“  
(სოციალური თვალსაზრისით) ქორწინება. ახლა იშვიათი არ იყო სოვედაგრის  
ქალის კნეინად გახდომა, მაგრამ სოვედაგარს თავადად არ ხდიდა თავადის  
ასულზე დაქორწინება.

ამიტომ, რასაც ვაუბატონს ცალი ყბით მაინც უწონებდნენ, ქალბატონს  
სირცხვილად უთვლიდნენ.

სნიერი თავადები და კნეინები ხელებს გაოცებით შლიდნენ.

ახალგაზრდები ზანდაროვს ბედნიერებას ულოცავდნენ.

თვითონ ზანდაროვი მათთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე ყურთმაჯებიან  
სოვედაგრებთან.

მაღალ საზოგადოებაში თავის გამოჩენით დაინტერესებული და პატივ-  
მოყვარე, ის მეგობრებს ახალგაზრდა თავადების ნრეში იჩენდა, სოვედაგრე-  
ბიდან კი მხოლოდ იმათ უწევდა ანგარიშს, რომელთა ქალები ირციპუხოვის  
პანსონში ფრანგულს სწავლობდნენ, ხოლო ვაუები „ხახვის ფრანტებისაგან“  
არაფრით განსხვავდებოდნენ.

მან შეგნებულად აუხვია გვერდი ქალაქური ნიშნობის მრავალ წესს, „ერ-  
თად სხდომას“ და მისთანებს.

სამაგიეროდ, თეთრი ლიზა ისეთნაირად დატრიალდა, როგორც ეს სოვ-  
დაგრის ქვრივს შეეფერებოდა.

როცა ნიშნობის შემდეგ მანანა გერმანიზიშვილი ზანდაროვის სახლში  
კვლავ გამოჩენდა, თეთრი ლიზა მეზობლებში გაქანდა, ქალთა ჯარი შეჟყარა  
და სარძლოს თავზე დააყენა.

გრიგოლმა ტუჩჩე იკინა.

მანანამ ნარბებია აზიდა.

იმ დღიდან სამუდამოდ შეიძულა მოლეული, საოცრად გაშავებული და ზიზილ-პიპილოებით მორთული „დედამთილი“.

არც ის კაცი მოსწონდა, რომლის სურათი დიდი დარბაზის დიდ ექდელზე კიდა. ანტონოვის მიერ დახატული სურათიდან ფირუზა ზანდაროვი იყურებოდა თავისი ფლიჭური ღიმილით, ანჩისხატურად ჩატეხილი ჭუდით და მხრებზე გადაგდებული ყურთმაჯებით.

მანანა გრიგოლთან ერთად ღია ფანჯარასთან იჯდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მას სოვდავრების ჯალაბობა თავს უკრავდა, ის კი გაშეშებული იჯდა, ღიმგამქრალი და ამრეზილი.

დარბაზში ჩამნერივებული თავდახურული დედაბრები და ახალგაზრდა რძლებიურცხვად ათვალიერებდნენ ახლად დანიშნულ ქალს. თავადის ასულმა ეინალამ თვალებზე ხელები აიფარა, რათა არ დაენახა მდაბიო დედაბაცები, ექელები, ვაჭრის დედები და ცოლები, რძლები, დედამთილები, სიდედრები და მძახლები, დეიდები და მამიდები, მულები და მაზლისცოლები, დაქვრივებული და გასათხოვარი ქალები, სხვადასხვა სიმაღლისა და სისქის ტიკინები, რომელნიც ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტით იყვნენ აბრჭყვიალებულნი, ფერ-უმარილით ლოყებდანითლებულნი და შეღებილი თვალ-ნამნა-მით თვალებჩაშავებულნი.

ფირუზას ქვრივი ნაქარგი ხელსახოცით თვალებიდან სიხარულის ცრე-მლებს იწმენდდა, ქმრის სურათს შორიდან შესციცინებდა და გულაჩუკებული გაიძახოდა:

— ნეტამც მოსწრებოდა ის სულით განათლებული!

დედაკაცები გულის მოსაგებად თავს უქნევდნენ და ხელსახოცი თვალებ-თან მიჰქონდათ. მერე ყველა ერთად ალაპარაკდა.

— რა ლამაზები არიან, რანაირად უხდებიან ერთმანეთსა!

— აზირ, რა კარგები არიან, და!

— მაშ, მაშ! რძალი თეთრმა ლიზამ დაიკვეხოს!

— იფ, იფ! აშტრახანის ხიზილალას უგავს თვალები, მავ ლამაზ კნიუნასა! თეთრი ლიზა თავს ინონებდა.

— რძლად კნეინა მომცა ღმერთმა, ვენაცვალე იმის სამართალსა!

მდაბიო დედაკაცების ყურება თავადის ასულს გულს უნვრილებდა, ალი-ზიანებდა.

ბრაზმორეულმა საქმრომ ეს ადვილად შეატყო, მკლავზე სათუთად მოჰკიდა ხელი და სურათების გალერეაში შეიყვანა.

არც აქ გამოუკეთდა გუნება სარძლოს.

გალერეის ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე თეთრი ლიზას სურათი მოხვდა თვალში. მხატვარ ოპანეზ ტვარდიანს მოხერხებულად აევლო გვერდი ქალაქელი მანდილოსნის შავი პირისახისათვის და მთელი თავისი ყურადღება

გარმაშიანი კაბის მორთულობაზე, ჩიხტიკუპზე, სამკაულებსა და დაბასმულ ლეჩაქზე გადაეტანა. ყველა დეტალი განმაცვითებელი გულმოდვინებით იყო შესრულებული. ამ მხრივ, განსაკუთრებით მაინც განიერი, მოთე-თორო-მონაცერისფრო, წვრილზე წვრილრგოლებიანი და ნაქარვი ზოლით კლემოვლებული ლეჩაქი გამოირჩეოდა, რომელიც თეთრ ლიზას, თხელ ჭურებში შეუმჩნევლად ჩაკეცილ ღიმილთან ერთად, ერთდროულად ცხო-კრებით კმაყოფილების იერსაც ანიჭებდა და სახლის ნებიერი ქალბატონის გამომეტყველებასაც.

განანა გერმანოზიშვილი წარბშეკრული დაბრუნდა თავის — „ჩიტის სა-ბუდარში“.

## 6. ქორნილი

**ფული რომ ეიშოვნო, ფულზე უნდა დავეკორნინდე.  
ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მევობარი“**

არისტოკრატების და ვაჭრების მითქმა-მოთქმაში ქორნილის დღეც დადგა. სამი ეკიპაჟიდა ოცი ეტლი მიადგა თავად დავით გერმანოზიშვილის სახლს.

პირველი ეკიპაჟიდან ნეფე მკვირცხლად გადმოხტა. თანმაყრები მიჰყვნენ კონა ფალავანდიშვილის მეთაურობით. ნეფის მაყრებს ილიკო ორბელიანმა პატარძლის მაყრები დაახვედრა.

ზანდაროვმა სწრაფად აირბინა ნავთის რამდენიმე ლამპით განათებული ძველი ეიბე. ფოლორცზე დავითი შეეგება. ერთმანეთს გადაეხვივნენ და გა-დაკოცნეს. აღელვებული თავადი საქმაოდ გულთბილად მიესალმა სასიძოს და დის ოთახში შეიყვანა.

მაყრები დავითის ოთახში გაშლილ პატარა სუფრას ფეხზე მდგარნი შე-მოეხვივნენ. მალე მათ დავითიც შეუერთდა. ილიკო ორბელიანმა პირველი ყანწი ასწია ნეფე-დედოფლის დასალოცად.

მეზობელ ოთახში მანანა გერმანოზიშვილი ფანჯარასთან ზურგშექცევით იდგა და თავის ნეფეს უცდიდა. საქორნინოდ გადაეტებული თეთრი ფრანგული ატლასის კაბა ეცვა. სწორედ ის კაბა, რომლითაც თექვსმეტი ნლის ქალწული პირ-ველად გამოჩნდა ბარონ როზენის მეჯლისზე. მან გულგრილად გაუნოდა ხელი საქმროს, რათა მისთვის ხელზე ამბორის საშუალება მიეცა, უხმოდ დაეყრდნო მის მკლავს და თავდახრილი გაჟყვა.

როცა ძმას გვერდით ჩაუარა, მის თვალებში საყვედურის მსგავსი რამ გამოერთა. ამ იდუმალ, სევდაგადაკრულ გამოხედვას გვიან შეასწრო თვალი დავითმა, შუბლი უსიამოვნოდ შეჭმუხნა, ფეხი უხერხულად შეინაცვლა, მერე ხელი ჩაიქნია, მხედრულად შემოტრიალდა და ნინ ნასულ ნეფე-პატარძალს დეზების წერიალით დაედევნა. „მე რა შუაში ვარ? რა ჩემი ბრალია? მე რას

მსაყვედურობს? თვითონ „პო“ რომ არ ეთქვა, ჩემს თანხმობას ზანდაროვი როგორ მოილებდა? — ფიქრობდა თავზალუნული თავადი.

დავითი საქორნინო ეტლების გრძელმა რიგმა და საზეიმოდ მორ- თულ-მოკაზმულმა მექორნინეებმა კვლავ გამოაცოცხლა, უსიამოვნო ფი- ქრებისაგან გამოარკვია, გამოიდარა, გახალისდა და გამხიარულდა.

საყვარელი დის ქორნილი იყო! მანანა გერმანოზიშვილის ქორნილი! სანა- ტრელად გამხდარი ქორნილი!

არც სინანულის დრო იყო, არც საყვედურის, არც ჩამოკრულის, რა დროს თოთზე კბენა იყო ან თავის უკმაყოფილოდ კანტური!

ქორნილი იყო, ნამდვილი ქორნილი. ამას ღმერთიც ხედავდა და ადამიანიც.

მანანა გერმანოზიშვილი თხოვდებოდა. ძლივს მოესწრო დავითი ნეტა- რების ამ უამს!

თავადს თვალები ცრემლებით დაენაშა.

ახლა მას გულწრფელად უხაროდა დის გაბედნიერება.

მთანმინდის თავდალმართი ხალხით იყო გაჭედილი. დიდ-ჰატარა აივნებსა და ფანჯრებზე იყო გადმომდგარი. ზანდაროვის კაცები შუშხუნებს უშვებდ- ნენ. აღტაცებული მაყურებლები ხან ეტლებში მსხდარ დიდკაცებს უყურებდ- ნენ, ხან ზეცაში ავარდნილი შუშხუნების შხუილით გამლილ ფერად-ფერად ვარსკვლავებს. მეეტლეები ჭენებით მიერეკებოდნენ საზეიმო ურიამულით გახელებულ იორდა ცხენებს. ეტლების ბორბლები გრიალით ბრუნავდნენ მო- კირნყლულ ქვაფენილზე. გიუმაურ სრბოლაში ეტლების ფარნები გრძლად მწკრივდებოდნენ, ერთდებოდნენ და საერთო ციმციმში გრძელი სინათლის თოკებივით იკლაკნებოდნენ თბილისის დაკლაკნილ ქუჩებში. ქუჩის ორივე მხრიდან ეიღაც კაცები ვარდებს ესროდნენ საქორნინო კორტეჟს.

მშვენიერი ამინდი იდგა. ენამახეილნი მოსწრებულად ხუმრობდნენ: „ზან- დაროვმა თვით ღმერთი მოისყიდა და ერთი ღამით ეს სავსე მთვარე და ვარს- კვლავები დაიქირავაო“.

თბილისური ოქროსფერი შემოდგომის მზიან დარს თბილი, საამური და ხავერდოვანი საღამო მოჰყვა. ღამე კი მთელი ქალაქი ბადრი მთვარით იყო განათებული. იმ ღამეს არავის სძინებია. ყველანი მოედნებზე, ხეივნებში, ქუჩებში, შუკებში და ქუჩაბანდებში იყვნენ გამოფენილნი.

სალაპარაკო ყველას ბლომად ჰქონდა.

ყველას ზანდაროვის სახელი ეკერა პირზე.

მის ქორნილს თითქოს მთელი ქალაქი იხდიდა.

მუდამ მხიარული და სანახაობებზე დაქიმითებული აივნიანი ქალაქი.

ნიკოლოზის მოედანზე სასახლიდან მეფისნაცვლის ლანდო გამოგრიალდა და საქორნინო კორტეჟს შეუერთდა.

ზანდაროვმა კიდევ უფრო ამაყად მოილერა კისერი.

მანანა გერმანოზიშვილმა გულგრილობის პირბადე მყისვე სახიდან მოიხს- ნა და იმ ღამეს პირველად გაიღიმა ბედნიერი ქალის ღიმილით.

დავით გერმანოზიშვილს თავბრუ დაეხვა და პირი დაღებული დარჩა.  
გექორნინებმა აღტაცებული ჩურჩულით გადასცეს ერთმანეთს თავიანთა  
ზრი და გაკვირვება.

ბევრს შემურდა ილბლიანი მილიონერის საკვირველი ბედი.

საქორნინო კორტეუმა მოედნიდან ვერცხლის ჭურისკენ შეუხვია და სიონის  
ტაძრისკენ გაემართა.

ყველგან ხალხის ჭედვა იყო. ყველა ნინ დადგომას ცდილობდა, რათა  
ნეფე-პატარძალი და ეტლში მსხდარი მექორნინენი კარგად დაენახა. აქა-იქ  
ამის გამო მუჯლუგუნებსაც იყენებდნენ და პატარა ჩხუბიც იმართებოდა.  
ნესრიგს პოლიცია იცავდა. ანგალი კინტოები მაინც ახერხებდნენ, შეუმჩ-  
ნევლად თავში ჩაეფარებინათ რომელიმე ცხვირაბზეკილი მოხელისათვის.  
გრძოში ჯიბგირები დაძვრებოდნენ და ზედმეტად პირდაღებულ მაყურებელს  
ჯიბებს არხეონად უსუფთავებდნენ.

— მოდიან! მოდიან! — ყვიროდნენ ხეებზე ამძვრალი ბიჭები.

საქორნინო კორტეუმი სიონის ტაძარს მიადგა.

ნეფე-პატარძალი იქვე გაშლილ ფიანდაზზე გადმოვიდნენ, მექორნინეთა  
თანხლებით ქვის პატარა კიბე ჩაიარეს და შანდლებით, კანდელებით და ჭა-  
ლებით გაჩახჩახებულ ტაძარში შევიდნენ.

მღვდელმსახურებას ჭარმაგი დეკანოზი ასრულებდა.

ძვალმსხვილი, ბეჭგანიერი, სახელაულაუა და ნვერნიჩბოსანი.

მას რამდენიმე მღვდელი და დიაკვანი ეხმარებოდა.

ისინი ალსავლის კარებთან და კანკელთან იყვნენ გამნერივებულნი.

ქოროზე გუნდი გალობდა.

ოდნავ განცალკევებით მეფისნაცვალი იდგა მეუღლითურთ, მათ უკან —  
ყოველთვის განუყრელი შუაზელ დე გუფი.

ნეფე-პატარძლის გვირგვინები ორ ბრწყინვალე თავადს მაღლა აენია და  
სერიოზული გამომეტყველებით ეჭირა ხელში. ნეფის მეჯვარეს სავსებით  
დაუვინყდა, რომმის ნინ სოვდაგარი იდგა, რადგან იქვე, მახლობლად, მეფის-  
ნაცვალი და პირნავარდნილი არისტოკრატი ვორონცოვი მის ჯვრისნერას  
ესწრებოდა. მეფისნაცვლის თანაყოფას ყველა გრძნობდა და ყველას ამის  
შესაფერისად ეჭირა თავი.

ოდნავ გაფითრებული მანანა თავდახრილი იდგა.

მას ბუნდოვნად მოესმა დეკანოზის ნეფისადმი მიმართული კითხვა:

— გსურს?

— მსურს.

— გსურს?

ახლა მას მიმართა დეკანოზმა.

— მსურს...

ძლივს გაიგონა საქუთარი ხმა მანანა გერმანოზიშვილმა.

## 7. ნათიას ლადი

მეორედ დაქორნინებული პირველი ქორნინება აგონდებათ.  
ხალხური ნაკვები

დეკანოზმა თითზე ბეჭედი სამჯერ გაუკეთა და მოხსნა პატარძალს. მანაც ფარული სიხარულით დააცეკერდა ბეჭედს, რადგან ეს ოქროს რეოლი ლოდინით დაღლილ შინაბერას ცოლად ხდიდა და საკუთარი ოჯახის კარს ულებდა. მას გარკვევით მოესმა დეკანოზის მიერ გალობით ნარმოთქმული „ნმიდა არს ქორნილი და სანოლი შეუგინებელი“. ალელდა და თვალზე ცრუმლი აუკრიალდა.

მან აღტაცებით შეასრულა რიტუალი, რომლის დროსაც ახლად ჯვარ-დანერილნი საკურთხეველს გარშემო უვლიან მღვდლის მიერ ხელდაჭერილნი. სწორედ ამ დროს მისი თვალები ზანდაროვის თვალებს შეხვდა და... შეკრთა. ზანდაროვი რაღაცნაირად გატეხილი, უცნაური და გაურკვეველი ლიმილით შესცეკეროდა მას. მეორედ შემოვლისას უკვე მის არაჩეულებრივად გაფითრებულ სახეს მიაქცია ყურადღება. „რა ემართება?!“ — ფიქრობდა შემფოთებული მანანა. თან ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, სხვებს არაფერი შეემჩნიათ. ეშინოდა, სალონებში არ ელაპარაკათ და არ გაეკილათ: „გერმანიზიშვილების ასული ეკლესიაში შინაბერასავით იქცეოდაო“. მესამე შემოვლის დროს მან თავის ნეფის დაბნეულ სახეზე რაღაც მტანჯველი შიში და ძრნოლა ამოკითხა და სისხლი გაეყინა. ნეფეს ნახევრად ჰქონდა თვალები დახუჭული და სომნამბულასავით მოძრაობდა. „რა ემართება, — ახლა უკვე შიშით ფიქრობდა მანანა, — ან იქნებ მე მელანდება და ტაძრის ეს დიდი სინათლე ატყუებს ჩემს თვალებს?“.

ზანდაროვის გაფითრებულ სახეს სხვებმაც მიაქციეს ყურადღება და ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს. მათ ნინომახიანი და თავდაჯერებული ზანდაროვი აღარ იდგა. რაღაცნაირად იყო მოშვებული, შემკრთალი და შეშინებული. ერთბაშად გამოცვლილი ნეფის საწყალობელი გამომეტყველება ყველას ეუცხოვა, რადგან სულ რამდენიმე ნამის ნინო მხარგამართულს და ამაყად თავანეულს ბაგეზე ბედნიერი ლიმილი დასთამაშებდა.

უხერხულად, რეტდასხმულოვით დააბიჯებდა, რაღაც აზრით, თუ ფიქრით შეპყრობილი, მექორნინეთა თანაყოფას ველარ ამჩნევდა. აღარც საეკლესით გუნდის მგრგვინავი „მრავალუამიერი“ ესმოდა. მის ნინ სტიქარით და ოლარით შემოსილი დეკანოზის მაგივრად ანაფორაშემოფლეთილი პავლე მღვდელი იდგა. მეორე ქორნინება მისდაუნებურად პირველ ქორნინებას ახსენებდა. ზანდაროვი ცდილობდა, ნარსულზე არ ეფიქრა, მაგრამ თვალნინ მაინც მოუმორებლად ედგა შიშით დამფრთხალი პატარა სოფლელი გოგო. ისე ცხადად და ნათლად, როგორც არასდროს, თვით მაშინაც კი, როცა ფირუზას სანვრილმანოში მისი სახის მეხსიერებაში აღდგენას ცდილობდა.

„ნათუ... ნათუ...“ — ჩასძახოდა ვიღაც ყურძი და ამ სახელის გახსენებაზე გაუცებით აძტერდებოდა ახლანდელ პატარძალს, რომელიც იმ გოგოსავით გაფირუებული და შეშინებული უყურებდა მას. საყდრის კარზე დააბრახუნეს. „ქრის!“ — მკაფიოდ მოესმა ზანდაროვს ფანდურაანთ იოსების ხმა. „არა, ბატონის!“ — მკაფიოდ უკერძოდ მოესმა ნათიას მამის აღელვებული, მაგრამ ბედ-თან უკვე შერიგებული ნამოძახილი. ზანდაროვმა ყრუდ დაიგმინა. ვიღაც ამ გვერდში იდაყვი გაჟერა. ეს მანანა იყო. მეჯვარეებმა ერთმანეთს გადახედეს. ტაძარში გაკმენდილმა ჩურჩულმა გაისისინა. ზანდაროვი გამოფხიზლდა. გვირგვინიანი თავი მალლა აიღო და გაიღიმა. ეს ზანდაროვის ლიმილი იყო. ამაყოც და ეშმაკურიც. მექორნინეთა ნინ ისევ ზანდაროვი იდგა. ლონიერი, ძლიერი, თავდაჯერებული.

ყველაფერი ერთ ნამში მოხდა, ერთი ნამის განმავლობაში გავრდელდა.

ბევრმა ვერაფერი შეამჩნია. ვინც შეამჩნია, იმანაც იქვე, ტაძარში დაივინყა ზანდაროვის გაფირუებული სახეც და მისი ყრუ გმინვაც. თავმომწონე ნეფის ნამიერი შეცვლა მეტად დამდლელ საქორნინო რიტუალს მიანერეს. მხოლოდ ერთხელ ვიღაცამ იხუმრა: „ზანდაროვი ეკლესიაში ისე იქცეოდა, როგორც ქვრივი თავის მეორე ქორნილში იქცევაო“.

ახლად დაქორნინებულთ პირველად მეფისნაცვალმა მიულოცა.

ელიზავეტა ქსავერიევნას შუბლზე ამბორმა ქალბატონ ზანდაროვს წელიანდელი მღელვარება სულ მთლად დაავინყა, კდემამოსილად იღიმებოდა და სიხარულისაგან დაბნეული რატომლაც მხოლოდ შუაზელ დეგუფს უკრავდა თავს.

მეფისნაცვლის ლანდო საქორნინო კორტეუს ნიკოლოზის მოედანზე გამოეყო და სასახლისაკენ გაუხვია.

კორონცოვი მხოლოდ ოფიციალურ ნადიმებზე უჯდებოდა სუფრას ელიზავეტა ქსავერიევნასთან და შუაზელ დეგუფთან ერთად.

სალონებშიც მხოლოდ კარგი მუსაიფით და ერთი ფინჯანი ყავით კმაყოფილდებოდა.

ამიტომ მისი გამოთხოვება არავის გაჟერვებია.

მანანამ კმაყოფილებით გადადგა ფეხი ქმრის სახლის ზღურბლზე, მაგრამ გულში სამუდამოდ ჩარჩა ის, რომ მის ქორნილში კნეინა გოსტაშაბიშვილი არ გამოჩენდა.

# კარი ოცდამეხუთე

## 1. ახალი ქალბატონი

ის ძალიან ლამაზია და ძალიან მდიდარი,  
ონორე დე ბალზაკი, „ნითელი სასტუმრო ითახი“

ქალბატონ ზანდაროვად გადაქცეულ გერმანიზმის ასულს პირველ  
ხანებში მხოლოდ თავისი ახალი გვარი ეხამუშებოდა. სხვა მხრივ უკმაყოფი-  
ლების საბაზი არ ჰქონდა.

მდიდრულ სახლში მდიდრულად ცხოვრობდა.

თანდათან თავის ახალ მდგომარეობასაც მიეჩვა.

ქალბატონ ზანდაროვის ხსენება ყურს აღარ სჭრიდა და აღარც ზიზღი  
ეხატებოდა უკვე ფოთლებდაყრილ სახეზე.

უზრუნველ ცხოვრებას თავისი გაჰქონდა.

კმაყოფილი იყო და ბედნიერი.

კმაყოფილი იყო გრიგოლ ზანდაროვიც.

იგი ცოლში ქალს არ ეძებდა და ვერც იპოვა (ქორწინების ლამეს მისი  
ყურადღება მხოლოდ იმან მიიპყრო, რომ მოუხერხებელმა, შემფოთებულმა  
და დარცხვენილმა შინაბერამ პირველის გადაწერა მოასწრო, სანამ ქმარი  
სარეცელში მელავს მოხვევდა). თავადის ასულის ცოლობა მის ღირსებას  
ზრდიდა და მეტ ფასს სდებდა. ეს იყო და ეს. სხვა მხრივ, ის მისი ვნებების,  
მისწრაფებების და მიდრეუილებების გარეთ რჩებოდა.

ამიტომ ზანდაროვს სულ ადვილად შეეძლო მოსიყვარულე, ყურადღებიანი  
და მორჩილი ქმრის როლი ეთამაშა.

ცოლისგან იგი სხვას არაფერს მოითხოვდა, გარდა იმისა, რომ მისთვის  
დიდძალი ქონების მემკვიდრე გაეჩინა.

ამ რწმენასა და მოლოდინს ცოლის დაფოთხლილი სახე და ნაწვეტებული  
ცხვირი უღვივებდა.

ქმარი ცოლს ყველანაირად ანებივრებდა. ყურადღებას არ აკლებდა. რასაც  
კი ცოლი მოინდომებდა და მოისურვებდა, მყისვე უსრულებდა. ნაირ-ნაირ  
სამკაულებს გაფაციცებით ეძებდა და პოულობდა. ბლოტის და ტოლლეს  
მაღაზიებში ყველაზე ახალმოდურ პარიზულ ქინძისთავებს და ქალის ქუდებს  
გულდასმით ათვალიერებდა და ცოლისთვის ყიდულობდა. რუარის და გეი-  
გერის სამკერვალოები ვეღარ ასდიოდნენ ქალბატონ ზანდაროვის კაბების  
კერვას. გილლეს საკონდიტროში, რაც ღმერთს დღე გაეჩინა, თეთრი ლიზას  
სიტყვით, განებივრებული ქალბატონის საყვარელი ქადა ცხვებოდა, ათასნაი-

რა ტექსტილეული და ნუგბარი მზადდებოდა. ქალაქის ქუჩებშიც ის საკუთარი ეჭლით დასეირნობდა და მინაზე ფეხს აღარ დგამდა.

— ბედნიერი ქალი ეგა ყოფილა, კარგი ქმარი მაგან დაიკვეხოს, — ამბობდა გეზობლებში თეთრი ლიზა და რძლის განებივრებით უკმაყოფილო „დედამ-თილობისათვის“ ემზადებოდა.

თავის მხრივ, მანანაც „რძლობის“ თადარიგს იჭერდა. „დედამთილს“ ასვალნუნებით უყურებდა, მაგრამ მასთან კრინტს არ სძრავდა, თავს არ უყადრებდა. გაქვავებული უსმენდა მის ბუზლუნსაც, ჩამოკრულებსაც და საყვედურებსაც.

ქალბატონ ზანდაროვს პირმშოდ გოგო ეყოლა, პირველ გოგოს მეორეც გთაყოლა. თეთრშა ლიზამ ახლა ეს დაიხვია ხელზე და რძალს უარესად გადაეკიდა.

გრიგოლი ოჯახში ჩხუბსა და უსიამოვნებას ერიდებოდა. თეთრ ლიზას დაყვავებით მოთმინებას ურჩევდა.

— ეგ ქერინა არის, ლიზაჯან, ცოტა სხვანაირად გაზრდილი. ისევ ჩვენ უნდა მოვანონოთ თავი.

— ქა, თავის მოსანონებელი რა მაქვს? — ბრაზდებოდა თეთრი ლიზა, — ურთბაშად მაგის ნაყიდი რუფაკი არ მომაგონდეს ან მაგის კარგი სიტყვა.

— მე მვონი, ეგ არც ავს გეუბნება, არც კარგს.

— ჰო, ეგეც მართალია. სარგადაყლაპულივით დადის. მთელი დღე ისე გაივლის, ერთხელ ხმას არ გამცემს.

— ეგ რა გასაჯავრებელია, ლიზაჯან, ხასიათი აქვს ეგეთი, რას იზამ?

— როცა გამოცდილი დედაკაცი ჭკუას არიგებს, უნდა დაიჯეროს!

— ჰო, ჩხუბის სათავეც მანდ არის. მაგას რაღა თქმა უნდა!

— ქა, მაშ არათერი ვუთხრა?

— მაინც რას უნუნებ?

— ქა, რას უნდა ვუნუნებდე? როცა მოახლეს ვუჯავრდები, ეგ არ უნდა ჩაერიოს, ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ მარტო ეგ არ არის ქალბატონი ამ სახლში.

— ჰოო.

თეთრ ლიზას ჭირივით ეჯავრებოდა, როცა დედაკაცები ინირპლებოდნენ. ახლა თვითონაც მოუხმირა თვალებიდან ცრემლების გამოწურვას, რამდენიმე მსხვილი ცრემლი დამჭკრარ ლოყებზე გადმოაგორა და გრიგოლს საყვედურით უთხრა:

— თუ შენც მაგას უჭერ მხარს, გრიგოლჯან, ბარემ მტკვართან მიმიტანე და ნყალში გადამაგდე.

გრიგოლმა დაუყვავა, მიეალერსა:

— მაგას რათ ამბობ, ლიზაჯან? შენზე მახლობელი ვილა მყავს? მე იმიტომ გეუბნები, რომ თქვენი კინკლაობა დარდივით მანუხებს. მალე სტამბოლში

უნდა ნავიდე და მეშინიან, თქვენი ჩხუბით მეზობლები ჩვენს სახლს სეირის  
საყურებლად არ მოაყენოთ.

თეთრმა ლიზამ ერთბაშად გამოიდარა.

— მაგის ფიქრი ნუ გაქვს, გრიგოლგან, შენ არხეინად იყავი, შენ შენს საქმეს  
მიხედე. დედაკაცები როგორმე მოვუვლით ერთმანეთს.

ზანდაროვი სტამბოლს გაემგზავრა.

მისი სახლის ქალბატონები უარესად ნაეკიდნენ ერთმანეთს.

რძალ-დედამთილი ერთმანეთს ვერ ურიგდებოდა და ვერ იტანდა.

ახალი ქალბატონი ძველ ქალბატონს სტუმრებში გამოჩენას უკრძალავ-  
და, არ კადრულობდა და თავის ლირსად არ თვლიდა. ტანზე სულ ბუნუნებს  
აყრიდა, როცა სტუმრიანობის დროს ეს მდაბიო დედაკაცი დიდ დარბაზში ხან  
ერთი კარიდან ჰყოფდა ცხვირს, ხან მეორედან.

თეთრი ლიზარძალს არ უთმობდა, რადგან სტუმრებში გალივლიუება ისევე  
უყვარდა, როგორც ნულლი და ქისტაქალადბადი.

ქალბატონ ზანდაროვს არც ის მოსწონდა, რომ მთავარი დარბაზის სპარ-  
სულ ხალზე ვიღაც ფირუზას სურათი ეკიდა, ეს ყურთმაჯებიანი მდაბიო, მისი  
აზრით, მას კეთილშობილი სტუმრების ნინაშე არცხვენდა თავისი ხეპრული  
გარეგნობით და სოვედაგრის ფლიდური ღიმილით.

ერთ მშვენიერ დღეს მან მთავარ დარბაზში მსახურები ფირუზას სურათის  
ჩამოსალებად შეიყვანა. ამ ამბავს თეთრი ლიზა შეესწრო, გააფირებულმა,  
რძალი წყევლა-კრულვით აიკლო და მსახურებს ნინ გადაუდგა.

— ღმერთი არავის გაუწყრეს და ჩემი ქმრის სურათს ხელი არავინ ახლოს,  
— ყვიროდა გახელებული თეთრი ლიზა, — გრიგოლის მზესა ვფიცავ, სახი-  
კვდილოდ არავის დავინდობ და მეც ზედ შევაკვდები.

თეთრი ლიზა ქმრის სურათის ქვეშ დადგა, ზედ გადაეფოფრა და ავად  
დაუწყო ცქერა რძალს, რომელიც მას ბრძანების კილოთი და ზიზღით ეუბ-  
ნებოდა:

— აქედან დაიკარგე, დედაკაცო! ეგ მიკიტანი შენს ოთახში დაჰკიდე. მაგის  
ადგილი აქ არ არის, აქ ადგილი არა აქვს.

— როგორ თუ არა აქვს? მაშ ვისა აქვს? — უარესად გაცხარდა თეთრი  
ლიზა, — ეგ ვინ მოგახსენა? ეს საიდან მოიტანე? იცი, ვინ არის ეგ კაცი? მაგან  
გაზარდა შენი ქმარი, მაგან დააყენა ფეხზე, ცხოვრებაში კაცად გამოიყვანა,  
მაგის ჭკუითა და მოხერხებით გამდიდრდა. ეგ კაცი სალოცავი ხატიუნდა იყოს  
შენთვისა და შენი ქმრისთვისა. ქა, ეს რა ცოდვის კითხვაა! ლოთბაზარა ქნიაზის  
დაი ამ პატიოსანი კაცის ნალვან-ნადაგზე უნამუსოდ დამჯდარა და ვერ უყუ-  
რებთ, იმის სურათს კედლიდან ჩამოგდებას უპირებს. ვინა ხარ? რა ხარ? რათა  
დიდგულობ? კნეინობით გვანონებ თავსა? განა არ ვიცი, ვინცა ბრძანდები? შენ  
არ იყავი, რომ მამადავითში თავვის სოროებში ცხოვრობდი, შემშეილი სტუმრად  
გყავდა, სილარიბე ამხანაგად გეჯდა, ტანთა და ფეხთ არ გეცვა და სორცხვოლით

ცხვირს კარში ვერა ჰყოფდი? ვინ მოგცა ოქროები, მარგალიტები, დიკიტონის ჯაჭვი და თეთრი ფელჩატები? ამ კაცმა მოგცა, ამ მიკიტანმა, ამანა...

მსახურების თანაყოფაში შერცხვენილ-გალანძლულმა ქალბატონმა ზან-დაროვმა გააძრებულ დედაბერთან დავას ისევ გაქცევა ამჯობინა. თეთრ ლიზა და ემუქრა, თავის ოთახში გავარდა და ქმარს სტამბოლში საყვედურის ნერილი მისნერა.

თეთრი ლიზა ვეღარ დაშოშმინდა. მუხლებს ცემით ითქვეულავდა და ხელების შლით გაიძახოდა:

— ქა, გაგონილა?! ეს რა ლვთის ნყრომაა?! ეს რას მომასწრო მამაზეციერება? ქა, რძალი მოსაკლავად აღარ მინდობს, ჩემი სახლიდან გაგდება უნდა, ფირუზას კედლიდან გადაგდება, ორთავენი თვალებში ვეჩხირებით. მიკიტ-ნებსა და მედუქნებს გვეძახის, ქა, მაგისი ქმარი ვიღა ბრძანდება? ან კნიაზები რითი გვჯობიან? განყდეს, განყდეს მაგათი სინსილა, აჟანდე! — თეთრი ლიზა მსახურებს მიუბრუნდა და თვალების ბრიალით გააფრთხილა, — თქვენ, ეი! სინდისგარეცხილო ვირგლებო, განა არ იცით, ამ სახლის პატრონი ვინ იყო? ჰოდა, ვინც პატარა ქალბატონის ბრძანებას აასრულებს და ამსურათის ხელით ხლებას გაბედავს, მამაჩემსა პექონდეს ცხონება, მე ისინი აქედან დავიფრინო და ეუდით ქვა ვასროლინო! შაბაშ! ყველანი თვალიდან დამეკარგენით!

თეთრი ლიზა ქმრის სურათს მცველად დაუდგა და ხელში მუდამ ჩვარი ეჭირა, რათა ფირუზას სურათის ოქროსვარაყიან ჩარჩოებს მტვერი არ გაჰკარებოდა.

გაბუტიულმა რძალმა დედამთილი სუფრასთან გვერდით აღარ მოისვა. თავის ოთახში გამოკეტილ თეთრ ლიზას მსახურის ხელით უგზავნიდა კელიცის და კლოცის გამხმარ ნამცხვრებს, ცივ კატლეტებს, ბატისტ ფერარის და ლუდვიგ შერინის ძეხვების ნარჩენებს და სხვადასხვა ნასუფრალს.

ამით გაბოროტებული თეთრი ლიზა წარამარა მაიკო კურტანიძესთან გარბოდა გულიდან ჯავრის გადასაყრელად და ცრემლების დასაფრქვევად.

მაიკო შორიდან უთვალთვალებდა ყველაფერს, რაც კი ზანდაროვის სახლში ხდებოდა. თავის ძველი დოსტის წუნუნს ყურადღებით უსმენდა, თვითონ კი ერინტს არა სძრავდა.

თეთრ ლიზას კი არც წვრილმანი ავინწყდებოდა, არც მსხვილმანი. არც წაქეზება სჭირდებოდა. რძლის ავად ხსენება არა ღლიდა, თან მოსთქვამდა, თან წყევლა-კრულვის კორიანტელს აყენებდა.

მაიკო გატრუნული იჯდა. დაფიქრებულს თეთრი ლიზას თანაგრძნობა ავინწყდებოდა.

ყველაზე კარგად გრიგოლ ზანდაროვს მისი ძველი საყვარელი იცნობდა. ამიტომ ზანდაროვების ცოლქმრული ბედნიერება მას არა სჯეროდა და როცა ამ აზრს ჯირუტად ადგებოდა, მის ბრინჯაოსფრად გამუქებულ თვალებს ისევ თაფლისფერი შუქი ეფინებოდა.

## 2. მანანას სალონი

თბილისის სალონთა ცხოვრება თითქმის არაფრით არ განიჩიევა  
ევროპის დიდი ქალაქების სალონების ცხოვრვებიდან.  
ფრიდრიხ ბოდენშტედტი, „1001 დღე“

თბილისურ სალონებს შორის ყველაზე განთქმული მანანა ორბელიანის  
სალონი იყო.

ქალბატონი ზანდაროვი მანანა ორბელიანს გაეჯიბრა და თვითონაც სალო-  
ნის შემოლება გადაწყვიტა. ამ მიზნით, დარბაზების, ოთახების და ბუდუარების  
ევროპული გემოვნების მიხედვით მიღავ-მოლაგებას შეუდგა, მრჩევლად კი  
თავისი მამიდა კნეინა მზეხათუნი დაიყენა.

ფირუზა ზანდაროვის სურათი კედლიდან იმ დროს ჩამოიღეს, როცა თეთრი  
ლიზა მაიკო კურტანიძესთან იჯდა და იცრემლებოდა. შინ მობრუნებულს  
მოახლეობმა მომხდარი ამბავი დაუყოვნებლივ დაახვედრეს, მაგრამ თან  
გააფრთხილეს, რომ დიდ დარბაზში ქალბატონთან ერთად მეფისნაცვლის  
ცოლი და მისი მხლებელი მანდილოსნები ისხდნენ.

თეთრმა ლიზამ ვეღარაფერი ანამა, ფირუზას სურათი თავის ოთახში უსი-  
ტყვეოდ ჩამოჰკიდა და იმ დღიდან დიდი დარბაზისაკენ მიმავალი გზა დაივინება.  
ყოველ სამშაბათს თბილისის მაღალი საზოგადოება ქალბატონ ზანდაროვის  
სალონში იკრიბებოდა. მის სალონს მხოლოდ თითო-ოროლა დიდგვაროვანი  
თავადი არ ეკარებოდა. ისინი გერმანიზმის ასულს დაცინვით „კუპჩინს  
მანანას“ და „სოვდაგარშა მანანას“ უნიდებდნენ. ქალბატონმა ზანდაროვმა  
ეს იცოდა და გულში მათზე ბრაზდებოდა.

ეჭვიან ქალბატონს საკუთარი მოენენი ჰყავდა, რათა ყველაფერი, რაც  
კი მაღალ საზოგადოებაში მოხდებოდა, ადრე შეეტყო და თადარიგი დროზე  
დაეჭირა. მათ შორის იყო გაღატა კებული, დავალიანებული და გაქაჩილებული  
თავადი აღამემნონ კენტერაძე, რომელსაც შინაურები ფაცუნას ეძახდნენ,  
ხოლო გარეულები — „ქაჩალ კრასავიცას“. მას ლირსეულად უმშვენებდა  
გვერდს სჯულიერი მეუღლე კნეინა მაჭატა კენტერაძე, რუსულად ჩაც-  
მულ-დახურული, ლოყებლაულაუ და დამრგვალებული მანდილოსანი, ალე-  
ქსანდრე I-ის დროინდელი ქუდით.

მეტიჩარა, მოურიდებელი, მაჭრა კვეცა და ჭორიკანა კნეინა მაჭატა სა-  
ლონებში „ჭორების ბოლინიად“ იყო ცნობილი. აღამემნონ და მაჭატა კენტე-  
რაძეები ყველგან არასასურველ სტუმრებად ითვლებოდნენ, მაგრამ მათი  
ენის ყველას ეშინოდა და ყველა ანგარიშს უნივერდა.

ამ უხერო მშობლებს ანგელოზის მსგავსი ასული ესვათ, ზღვისფეროვა-  
ლება და მუქი თავთუხისფერი თმით შემუშლიოცდექვსი ნლის ანა, რომელიც  
კნეინა მაჭატა კენტერაძეს ყველგან თან დაჟყავდა.

კნეინა მაჭატა, ჩვეულებრივ, ყველაზე ადრე მოდიოდა ქალბატონ ზანდა-  
როვის სალონში.

დღესაც მასთან გახლავთ „ჭორების ბოლონია“ და ყურმოკრული ჭორე-  
ბით გულს უსიებს ქალბატონს, რომელსაც ვაჭრის ცოლობისა სცხვენიან და  
ყველგან დაცინვა ელანდება.

— წუხელ კნეინა მაიკოსთან გახლდი.

ცალი ყბით ნარმოთქვა კნეინა მაჭატამ, ლორნეტის შეშები ფერადი ხელსა-  
ხოცით დინჯად გასუფთავა და თან მანანა ფრთხილი მზერით შეათვალიერა.

მანანამ წიგნი გვერდზე გადადო (ქართულად გადათარგმნილი ლესაუის  
„ქოჭლი ქაჯი“) და ანას შეხედა, რომელიც გალებულ ფანჯარასთან განაბული  
იდგა და ცას გასცეკეროდა. მაჭატა მიხვდა და ქალს გასძახა:

— ანა!

— რა გინდა, დედო? — მოკრძალებით მოტრიალდა მის კენ ანა.

— შენს გაზრდას, ერთი ბალში ჩაისეირნე.

ანა განითლდა. ქალბატონ ზანდაროვს კნიქსენი გაუკეთა და ოთახიდან  
ფეხაკრეფით გავიდა.

— წუხელის ვინ იყვნენ კნეინა მაიკოსთან? — ცნობისმოყვარეობით იკითხა  
მანანამ ანას ნასვლისთანავე.

— დიდი სტუმრიანობა ჰქონდა. აუარებელი სტუმარი ჰყავდა.

— ჩამოთვალე.

— პატარა ვარანცოვიც იქ გახლდათ.

— მართლა? კნიაზი?

— არა გხელებიათ.

— ელიზავეტა ქსავერიევნა?

— არც ისა.

— მამ, კნიაზი ცოლით იქ არ იყო? — ნამოიძახა მანანამ და რაღაც აზრით  
აღტაცებულს თვალები გაუბრნებინდა, — გული მეუბნება, რომ ისინი ამ სა-  
ლამის ჩემს სალონში მოვლენ.

— ევრეც მოხდება, აი, ნახავ თუ არა! მაგის მახარობელი მე ვარ. წელან  
კიბეებში მერცხალი დაფრინავდა, — იცრუა მაჭატამ, — რაღაც გავიხარდება,  
ან ქმარი ჩამოგივა, ან...

ქალბატონ ზანდაროვს ქმრის ჩამოსვლას მის სალონში მეფისნაცვლის  
გამოჩენა ერჩივნა, მაჭატას სიტყვა გააწყვეტინა:

— ქმარირა შუაშია? ის მერცხალი, სწორედ კნიაზის მობრძანების ნიშანია.

— მეც მანდ გახლავარ, კნეინავ! — საჩქაროდ მიუვო მაჭატამ, რომელიც  
მის საამებლად კნეინობით მიმართავდა ხოლმე მას, — ის ბოლოკუდრაჭა მე  
და ანას სულ ჭიკჭიკით დაგვთორენდა თავზედა.

— თუ ახდა, ოქროს ფულს გაჩუქებ.

ნასიამოვნებმა მაჭატას ანგარიშის ჩაბარება მოსთხოვა.

— კნეინა მაიკოს სტუმრების სახელები მითხარი.

— აյი მოგახსენე! სულ დიდები ჰყავდა. კურკაც ჩამოსულა ქალაქში და ნეტავი გენახა, რანაირად იძერებოდა, თითქოს სტანისლავი მარტო იმას ეპი-დოს ყელზე. სულ ჩემი გვარი და ლისარიტი ეკერა ენაზე. თავს იქებდა, ვერ მიყურებო, ვინა ვარო! შამილის და პავიმურატის თავების ხურჯინით ჩამო-ტანას იმუქრებოდა. ერისთავიანთ ელენეს ბასი გაუბა და ლაპარაკში შენც გადმოგნედა.

მანა სავარძელში წამოინია, მღველვარებით წარმოთქვა:

— რაო, რა სთქვა?

— ვერ გეტყვი, ქნეინავ, ვერ გეტყვი. მომკალი და ვერ გეტყვი.

მანამ მრისხსანედ გადახედა.

— რატომ ვერ მეტყვი? მაშ რისთვის მოხვედი აქა?

— უი ჩემს თავს! გენყინება და აღელდები.

— კურკას „ნინანდლის ვარდზე“ ამოსდოოდა სული და ჩემს ქებას როგორ იტყოდა?! რაც ჩემზე სთქვა, შენ ის მითხარი.

— ავი კაცის სიტყვით რათ უნდა გაიბოროტო გული?

— ლოდინით ნუ დამღალე, სთქვი, რაც გაიგონე.

უბრძანა ქალბატონმა ზანდაროვმა.

— ძალას რათ მატან, ჭირიმე?

— მაჭატა!

სავარძელში უარესად დამრგვალებულმა „ჭორების ბოლინიამ“ შორიდან მორიდებით დაიწყო:

— განა არ ვიცი, ქნეინავ, ცუდი სიტყვის მომტანი თვალში არავის მოსდის, მაგრამ რა გაენყობა? მე ჩემი გითხარი და ეხლა ხელი დამიბანია, თუ გენყინა, მე ნუ გამინყრები. კურკამ ასე უთხრა ელენესა: „ორბელიანის რომელიმე ქალმა ვინმე ცალქალამანოვის ცოლობა რომ იკადროს, აზნაურობის ცხრა სიგელიც რომ ჰქონდეს ნაყიდი სიძესა, იმ ჩემი კარგი დედ-მამის ცხონებამა, ხმლით თავს გავაგდებინებდიო“. გავიგონე თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე მენიშნა, შენ მომავონდი, გეენა წამეჟიდა. კინალამ ყელში ვწვდი და იმის სტანისლავი ხელში შემრჩებოდა კიდეც, აპა, იპ! მეხი კი დავაყარე მაგ ავა-რიის თუ ავარების ხანსა! თვითონ არ იყო, შანშიერის ვალებში იხრაკებოდა და გამელელ-გამომვლელს შველასა სთხოვდა? დიდი ხანია სული მოიდგა?!

ეს სიტყვები აღელვებული ქალის გულის მოსაგებად იყო ნათქვამი. მაგრამ ქალბატონ ზანდაროვს სულ სხვა რამ აინტერესებდა.

— კიდევ ვინ გაიგონა ეს სიტყვები?

— ვიღამ არ გაიგონა? ერთი ჩურჩული და მითქმა-მოთქმა ატყდა. ყველას ენიშნა და ბევრიც იცინეს. ყველაზე უფრო კომედიანტები იცინოდნენ.

— ვინ კომედიანტები?

— აი ისინი, გიმნაზიაში გლუხარიჩთან ერთად კომედია რომ ითამაშეს და გვაცინეს.

— ისინიც მე დამცინოდნენ? ვაი, ჩემი ბრალი!

— ის ქვეყნის მასხარები პლატონ ფილასოფოსმა კარგად გამოგვილანდა.  
ენეინა მაჭატას რაღაც მოაგონდა და მხიარულად წამოიძახა:

— მაგრამ, ეტყობა, არც ეგ არის თავის ჭურაზე. იმასაც ამბობენ, მალე  
კლატონიც ითამაშებს იმათთანო. გლუხარიჩი ვის არ გაავიუებს!

ენეინა მაჭატას ეს სიტყვები ჯერ არ დაემთავრებინა, როცა გამონ კეპილმა  
და ფეხების მიზანი უნდა იყოს მარტინ ზანდაროვს პლატონის მოსვლა  
აუნყა. მაჭატამ ტაში შემოჰკრა, ძალლისა და ჯოხის ანდაზა ახსენა, გულიანად  
გაიცინა და გუნებაშეცვლილი დიასახლისიც გააცინა.

### 3. სწავლული, პერი და ცეკვის მასწავლებელი

**ერთი მჭევრმეტყველებდა, მეორე უსმენდა, მესამეს ლორნეტი  
დიასახლისზე პქონდა მიბჯენილი.  
პარლ დე ბერნარი, „იკაროსის ფრთები“**

სალონში მაღალ-მაღალი, პირხმელი და ულამაზო შეხედულების შუახნის  
მამაკაცი დიდის მოკრძალებით შემოვიდა. მანდილოსნებს შორიდანვე დაუკრა  
თავი, ევროპული ნესისამებრ, გამონვდილ ხელებზე ეამბორა და შემოთავაზე-  
ბული სავარძელი ქათინაურებით დაიკავა.

რუსული გაზეთის რედაქტორი და არქეოლოგიური გამოკვლევების ავტო-  
რი, სემინარიასა და აკადემიაში იეზუიტურად აღზრდილი და განსწავლული,  
თავისებური სწობი და ჯიუტი კონსერვატორი პლატონის მოსელიანი სალონების  
დიდ მოტრფიალედ ითვლებოდა. არც ერთ საღამოს არ აკლდებოდა, ხან მანანა  
ორბელიანის სალონში იჯდა, ხან ქალბატონ ზანდაროვის სალონში. გაბმული  
მუსაიფი უყვარდა და სერიოზული მსჯელობა.

ისტორიკოსი და არქეოლოგი პლატონის კარგი მოსაუბრე იყო,  
მაგრამ მსმენელს ბერძნული და ლათინური ციტატებით ღლიდა; ახლაც პირ-  
გამშრალი ქალბატონი ზანდაროვი უხალისოდ ისმენდა მის ანტიკურ სიბრძ-  
ნეს; ალმფოთებულს თვალწინ ირონიულად მოლიმარი ვრიგოლ ორბელიანი  
ედგა, გენერალი და პოეტი, რომელსაც იმთავითვე სძულდა გერმანოზიშვი-  
ლები და დავითს ბრალსა სდებდა: „ჩემი ძმა ილიკო ამ ლოთმა გარყვნა და  
ქაღალდის თამაში შეაყვარაო“.

ლაპარაკით გატაცებული პლატონის კარგი უერამჩნევდა დიასახლისის  
უგუნებობას და მაღალი შტილით დეკანოზივით ქადაგებდა.

უურებდაცქვეტილი და თვალებდაჭყეტილი ენეინა მაჭატა სიცილს ძლივს  
იკავებდა და განცვიფრებით ისმენდა ბერძენთა და რომაელთა ღმერთების,  
ქალღმერთების, გმირების, პოეტების, დრამატურგების, სატირიკოსების და  
ფილოსოფოსების სახელებს. „ჭორების ბოლინიამ“ თავის დროზე მოსწრე-  
ბული ხუმრობაც იცოდა. ქადაგად გადაქცეულ პლატონის მოსელიანს ოდნავ

დაუშტერდა და შეამჩნია, რომ მას მარჯვენა ბაჟენბარდი ოდნავ მოთელილი პქონდა, კაბის კალთაზე ხელები დაიკრა და დაიყვირა:

— უი, ჩემს თვალებსა პლატონ ბატონო, ძილის დროს ბაჟენბარდზე კატა ხომ არ დაგანვა?

— რასა ბრძანებთ, კნეინავ? — შენუხდა პლატონის ელიანი და უნებურად ხელი ბაჟენბარდზე გადაისვა, — მაშინაც სანყალმა ტატომ მომიგონა ეგა, გამიერცელა და სასაცილოდ გამხადა.

ტატოს გახსენებაზე პლატონი იოსელიანს სახე დაუღონდა. მაჭატავ ამოიოხრა, მაგრამ მალე მოაგონდა, რომ ტატო გრიგოლი ირბელიანის ლვისკლი დისწული იყო და რათა მანანასათვის ესიამოვნებინა, ორბელიანები გათათხა და უდიერად მოიხსენია.

— ეფემიას მდიდარი და გავლენიანი ნათესავები ჰყავს, — თავის კანტურით ამბობდა კნეინა მაჭატა კენტერაძე, — იმის ძმა გრიგოლი ავარიის ხანია და დიდეკუობასთან დაახლოებული, მაგრამ გამოუცდელი ყმანვილი სადღაც განჯაში გადაკარგეს და უპატრონობით წუთისოფელს გამოასალმეს. ესრეთ უგულიოთ მოექიდნენ ორბელიანები ყმანვილ ნათესავსა და სტიხების მნერალსა. მელიტონის ლხინები რათ დაავინყდათ? თქვენგან არ მიკვირს, შეჭმულ-დალეული ვიღას ახსოვს?

— მართალი ბრძანებაა, კნეინავ! — დაეთანხმა უეცრად დანაღვლიანებული პლატონი იოსელიანი, — ნიკოლოზი ლენია იყო და ჩემ რითი დავაფასეთ? უპატრონოდ, ღვთისანაპარად, უნუგეშოდ მივატოვეთ ბედგამნარებული ჭაბუები. ქართველებს დიდი საყვედური გვეთქმის, მაგრამ ეგრევე მოექცნენ უფრო განათლებულნი ბრიტნი თავიანთ ლენიოსებს — შელის და ბაირონს...

— ბრიტნი რა შეუძინა, პლატონ ბატონო, ორბელიანებმა დაღუპეს ტატო.

პლატონი იოსელიანმა აღარაფერი თქვა და გაჩუმდა. მას მოაგონდა, რომ კნეინა მაჭატა კენტერაძეს, რომელსაც მეტსახელად „ჭორების ბოლინიას“ უწოდებდნენ, კნების მოტანა შეეძლო.

დარბაზში ესტატე ბერი გამოჩნდა.

კნეინა მაჭატამ თავისთვის ჩაიფრუტუნა, ქალბატონ ზანდაროვს ეი სახე შეუფაქლდა.

ბერი წარმოსადეგი, მხარბეჭიანი და ჯან-ლონით სავსე ორმოცი ნლის მა-მაკაცი იყო. ძლიერი და მტკიცე გამოხედვა პქონდა, მისი დიდი თავი, მსხვილი პირსახის დიდრონი ნაკვთები, მხიარული და მოძრავი ჭროლა თვალები, სქელი ნითელი ტუჩები, ღონიერ მხრებზე უნესრივოდ ჩამოყრილი კუპრივით შავი თმა საერთო ყურადღებას იქცევდა. ეს პერკულესი ბერის ანაფორაში ბახუ-სივით სვამდა, რაბლეს გარგანტუასავით ჭამდა, დონ-უუანივით არშიყობდა, ანტონ პირველივით მნიგნობრობდა და მეტის ხუმარასავით ხუმრობდა. მას წარჩინებულთა და კეთილმობილთა წვეულებებზე უფრო ხშირად ნახულობდნენ, ვიდრე მონასტერში. ზოგიერთის მტკიცებით ესტატე ბერს ვორონცოვის დროს ისეთივე როლი პქონდა დაკისრებული, როგორსაც ბარონ როზენის დროს მირზაჯანა ასრულებდა. ამიტომ მას ყველგან ხელგაშლილად იღებდნენ, მაგრამ ფრთხილობდნენ და ზედმეტს არაფერს ლაპარაკობდნენ.

ყველამ იცოდა, რომ ესტატე ბერი ქალბატონ ზანდაროვს ეკურეულებოდა, თუმცა „ცივი და მიუკარებელი მზეთუნახავი”, თვითონ ესტატე ბერის განმარტებით, ამის საბაბს არც მას და არც სხვებს არასოდეს არ აძლევდა.

ბერმა შინაურულად მიიხედ-მოიხედა, პლატონ იოსელიანს გვერდით მოუჯდა და თავისი ბუბუნა ხმით გამოელაპარაკა.

სახეშეფაკლულ მანანას გაბრაზება არ დასცალდა.

სალონში ნარნარი რხევით რაიმონ დე კინტელი შემოგოგმანდა.

ევროპული ცეკვების განთქმული მასნავლებელი შუა დარბაზში ბზრიალა-სავით დატრიალდა და თავის დაუსრულებელ დაკვრას შეუდგა.

რაიმონ დე კინტელი სენ-თომას და ირციპუხოვის ქალთა პანსიონებში გუსიჯას და ცეკვას ასნავლიდა, თან რევოლუციური აზრებით კეკლუციობდა. მაგრამ ანგარიშს არავინ უნევდა. ცერცეტსა და მატაოცს მონაფე ქალები მეტსახელად მადმაზელ დეკინტოს ეძახდნენ. ქალაჩუნა ცეკვის მასნავლებელს შუაზელ დე გუფი მფარველობდა, ხოლო უმრნემესი ვორონცოვი მე-გობრობდა. ამიტომ მისი სალონებში გამოჩენა ყოველთვის მეფისნაცვლის მობრძანების მაუნყებელი იყო.

ქალბატონ ზანდაროვს თვალები გაუბრნებინდა, მაგრამ არც ამ სიხარულის განცდა დასცალდა დიდხანს.

დავით გერმანიზიშვილი დის სალონში ნაღვინევი მოვიდა, თან ნაქეიფარი მეგობრებიც მოიყვანა: კონა ფალავანდიშვილი, დიმიტრი ონიკაშვილი და ილიკო ორბელიანი.

ქალბატონ ზანდაროვს შეზარხოშებული ძმის დანახვაზე ალმური მოეკიდა სახეზე. არც ილიკო ორბელიანის მოსვლა ეპიტნავებოდა და სულ ერთიანად ამრიზა. „კურკას“ ძმას, მოუხედავად იმისა, რომ მასთან გაშინაურებული იყო, პირი არ უჩვენა და სწრაფად ნამოდგა, რათა თბილისის გუბერნატორს ივანე ანდრონიკოვს შეგებებოდა.

სტუმრებმა დენა ინყეს.

კნეინა მაჭატას თავისი ქალიშვილი მოაგონდა და რაჟი ანა ვერსად იპოვა, მის საძებნელად გაიქცა.

#### 4. ანა კენტერაძე

ნიგნები, ყვავილები ისევე აუცილებელია, როგორც  
მრავალთათვის პური.

ონორე დე ბალზაკი, „დეიდაშვილი ბეტი“

ანა კენტერაძე ზანდაროვის ბალის ფანჩატურში გარინდებული იჯდა. სულგანაბულს და ფიქრებით გართულს დედაც გადაავინყდა და ქალბატონი ზანდაროვიც.

მარტომყოფობას მონატრებულს სძაგდა სალონებიც და ნვეულებებიც, სა-დაც მის გათხოვებას მონატრებული დედა ყოველ ცისმარე დღეს დაათრევდა.

ახალგაზრდა ქალი სენ-თომას პანსიონში იყო გაზრდილი, ფრანგულადაც ლაპარაკობდა და მოხდენილადაც ცეკვავდა, საზრიანიც იყო და სერიოზულიც, მაგრამ არც სენტიმენტალობას იყო მოქლებული და ოცნებებით გატა-ცებულს, ხშირად თვალი უშტერდებოდა.

მთელი დღე გაჩუმებული ხელსაქმობდა ან წვრილ-წვრილ სასულიერო ნივნებს უკითხავდა ბებია ანახანუმს (ქართლში მრავალჯერ ქმარგაყრილს, იმერლების ნარძლევს და ოდესალაც სპარსეთის მაჟ-ზადეს სარეცელში ნანოლს), რომელიც ხატებით გავსებულ ოთახში კარჩაეტილი ცხოვრობდა, კრიალოსანს ხელიდან არ უშვებდა და, როცა გუნებაზე ბრძანდებოდა, შვილიშვილს ერეჯლე მეფის დროინდელ ამბებს უყვებოდა.

მიხრნნილი დედაბერი ანჩხლიც იყო და ბოროტიც. ან ინყევლებოდა, ან ეძინა. სხვა საქმე იმას არა ჰქონდა.

რძალი და ვაუი ანახანუმს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, მისი დაუსრულებელი ბუტბუტი და წყევლა-კრულვა აინუნში არ მოსდომდათ. სამაგიეროდ, ნახევრად ბრძანდებერი შვილიშვილს გულს უნვრილებდა და მომელელადაც ის ჰყავდა დაყავნებული.

მშობლებს შნოიანი და ლამაზთვალება, მაგრამ უმზითვო და უიღბლო ანა მხოლოდ სალონებსა და წვეულებებში დაჰყავდათ, სხვა დროს კი სულ არ აგონდებოდათ.

— ანა!

გაისმა ბალში გულისხეთქით ჩაჭრილი კნეინა მაჭატას შემთოთებული ძახილი.

ხმა არავინ გასცა.

— ანა! ანა!

ყვიროდა ჩაბნელებულ ხეივნებში კნეინა მაჭატა.

ხმა არავინ სცემდა.

შეფიქრიანებულ კნეინას კინალამ გული შეულონდა. ერთი ციცქანა, სქელი დედაკაცი უფრო დაგორიავდა, ვიდრე დარბოდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და საკუთარ თავს ხმამაღლა ელაპარაკებოდა: „ღმერთო ჩემო! რა დაემართა? სად შავდება? სად დაიკარგა? ბალში თუა, იქ რას აკეთებს?“ ხან ერთ სკამთან მირბოდა, ხან მეორესთან, თითოეულ ხეს ამტერდებოდა და ნამდაუნუმ იძახდა:

— ანა! ანა!

ბოლოს, ხანგრძლივი ძებნისა და ძახილის შემდეგ დაკარგული ქალი ფანჩატურში იპოვა. ანა სკამზე გარინდებული იჯდა, ფიქრითა და ოცნებით გაოგნებულს არაფერი ესმოდა. ღია ფერის კაბა რომ არ სცმოდა, დედა ვერც კი მიაგნებდა.

— აქრა გინდა, კნიაუნავ? — დაუყვირა გულმოსულმა მაჭატამ.

ძერასავით დააცხრა. მკლავებში ჩააფრინდა, დასჩქმიტა, დაითრია და წყევლა-კრულვით გამოიყვანა ფანჩატურიდან. ანა ჩუმად ჭიროდა. ხეივნის

ბოლოს, ფარნის შუქზე, მაჭატამ ქალს ნამტირალევი თვალები შეამჩნია, გულს შემოეყარა, უარესად დაუწყო ჩქმეტა მას. თან ლანძლვასა და საყვედურებს არ აქლებდა.

— გოგო! ამ ბალში რა დაგრჩინია? აქ რას აკეთებ? იქ იმოდენა ყმანვილეა-  
ცობა და აფიცრობაა და შენ აქ რას ბუდუარობ?

ძალით მიიყვანა შადრევანთან, ხელსახოცით თვითონ შეუმშრალა დანით-  
ლებული თვალები, ხელდაჭერილი შეიყვანა სახლში, ერთ-ერთ ოთახში  
შეაგდო, სარკის ნინ დასვა და თავზე სულთამხუთავივით დაადგა. დიდხანს  
უყურა. ნერწყვით დასველებული ცერებით ნარბები გადაუჭირა, საულვაშეს  
გასწროვ, ლოყასთან, ხალი გაუმუქა („პილპილი დააყარა“), თმა შეუსწორა და  
ქალის სახესისე დააცეკერდა, როგორც ოქროშტედელი მარგალიტს აცეკერდება  
ხოლმე. ბოლოს შუა ოთახში გამოვიდა, მბრძანებლის იერით დადგა, დოინჯი  
შემოიყარა და ანას მკაცრი ხმით უბრძანა:

— ანა! ფეხზე აბრძანდი!

ანა მორჩილად წამოდგა.

— რევერანსი გააკეთე!

ანამ წყნარად ჩაიჩოქა. დედას მისი მოძრაობა არ მოეწონა, ლორნეტი  
რისხვით დაუქნია და დაუყვირა:

— ცოცხლად! ცოცხლად! გეიგონე! რეპეტე! ღმერთო ჩემო, ზედაც არავინ  
შემოგხედავს! რეპეტე! რეპეტე! რეპეტე!.. ვინ უნდა მოხიბლო ეგრე? ფუჟ!  
მაჯლაჯუნასავით იგრიხები! ეგრეთი მორცხვობა და გულნაზობა სტიხების  
მწერლებს უყვართ. ცოტა ცეცხლი, ცოტა ცეცხლი, რომ მდიდარმა ყმანვი-  
ლებმა მოგინონონ. კოხტად შემობრუნდი, ყელი ესრეთ მოილერე, დაკეცილი  
მარაო ანცად მომლიმარე ტუჩებთან მიიტანე, უუუუნა ცისფერი თვალები  
კავალერს შეანათე, სიყვარულის ალი გულში ჩაუდე. კნიაუნა, რეპეტე!

— არ მინდა... არ მინდა...

დაიჩურჩულა ანამ და აცრემლებულ თვალებზე ხელები აიფარა.

— ტირილიარ გაბედო! — მრისხანედ დაუბაკუნა ფეხები ენეინამ და შიშით  
შეჰქვირა, — თვალები არ გაიფუჭო ცრემლებითა. აპხ! რატომ არ იციმავ მშვე-  
ნიერი თვალების ფასი? რა გიყო? რა წამალი გაჭამო, რომ აღვანთო? როგორ  
ჩაგიდო არშიყის ცეცხლი მავ ლამაზ გოგრაში? ღმერთო! კარგ დედ-მამას  
ესრეთი ასული ვითარ დაებადა! Avan!

ანამ ნინ წადგა ფეხი. დედა არნივივით უცეკეროდა ლორნეტის შუშებიდან.  
მან მძიმედ ასწია თეთრხელთათმნიანი მარჯვენა ხელი, ოდნავ მოკაუჭებული  
საჩვენებელითით ქალისაკენ გაიშვირა და კვლავ ცუდი ფრანგულით დაიძახა:

— Denier!<sup>2</sup>

ანა ოთახში ნინ და უკან დადიოდა. დროგამოშვებით რევერანსს აკეთებდა,  
კაბის ბოლოებს ნელი მოძრაობით მაღლა სწევდა და დედას თავს უკრავდა.

<sup>1</sup> ნინ (ფრანგ.)

<sup>2</sup> უკან (ფრანგ.)

ცუდილობდა, კარგად ეარა, მოხდენილად ჩაეჩინეა, ორაზროვანი ღიმილით  
მოედრიკა თავი და ნატიფი მანერები ეჩვენებინა, რათა დედას მოსწონებოდა  
და ამ ნამებისაგან განთავისუფლებულიყო.

ოთახში ნამდაუნუმ გაისმოდა ტაშის ნელი ცემა და კნეინა მაჭატას „Avan!“  
„Derier!“ „Derier!“ „Avan!“ და ბოლოს კმაყოფილი:

— მერსი, მადმუაზელ!

კუთხეში მიკუნჭული მოახლე გოგო ნინსაფრის ქვეშ ფრუტუნებდა.

მცირე შესვენების შემდეგ კნეინამ კვლავ დაიწყო:

— რეპეტე!

ანამ მუდარით შეხედა.

დედამ არ შეიბრალა და განაგრძო:

— Avan! Derier! Derier! Avan! Derier...

— კნიაზისა და კნეინას ნინაშე, — აუხსნა დედამ შვილს, — ყველაზე მდაბა-  
ლირევერანსი უნდა გააკეთო, თავი მოკრძალებით დაუკრა და განითლდე. ეს  
ქალნულთა ნესია, მაგრამ სულ მორცხვობაც არ ვარგა, გაუთხოვარი დარჩები  
და დედ-მამას შეარცხვენ.

— მე გათხოვება არ მინდა... მე მონასტერში წავალ...

— არ გამაგონო, არ გამაგონო! — შეჰყვირა მაჭატამ და თეთრხელთათმ-  
ნიანი მარჯვენა ხელი ისევ მალლა ასწია, — ერთხელ კიდევ მაჩვენე რევერანსი.  
მონასტერში წავალო! რეპეტე!.. Bien!, მონაზონი გავხდებიო! გეილიმე... რე-  
პეტე! ღმერთო ჩემო, რა სულელი ქალი მყავს! კაბა ფრთხილად ასწიე ხელის  
თითებითა. რეპეტე... ბიენ. გენაცვათ, ესრუთი გაუხედნავი ვის დაემგვანა!  
ანახანუმმა კაცების ლოგინში იმდენი იგორავა და შენ ვერაფერი გამოგაყო-  
ლა?! ავან... მონაზნობა მომინდომა და ხატებთან ჩოქვით სიარული. ამაში კი  
გამოცხადებული ანახანუმია! ბიენ. მერსი, მადმუაზელ!

როდესაც დედა-შვილი კიბეზე ადიოდა, ერთ-ერთ ფოლორცზე კნეინა  
მაჭატამ ანას მკლავში ხელი ჩავლო და ყურში ჩასჩურჩულა:

— ესტატე ბერის გვერდით დარბაისელი გენერალი ზის, დავით სტეფანიჩი,  
დაქვრივებული და უშვილო. წუხელ კნეინა მაიკოსთან სახეზე მოგაცეკერდა.  
ჰოდა, ჩემო საყვარელო, ნინომჩაუვლი, განვებ ხელსახოციდოუგდე. ღმერთი  
არ გაგინყრეს და ისე არ მოიქცე, რომ ბერმა მოგანოდოს. ღმერთმა დაგიფაროს  
ამისაგან, სალონში თავი მოგვეჭრება. ერთმა ციდა ქალმა იმისთანა ახმახი და  
კრასავიცა ქმარი დევითრიე, ამერეთშიც და იმერეთშიც ყველას თვალი დოვუ-  
ბრმავე, შენ რა ვიშლის ხელსა? რიგისანად მეიქეცი, თორემ კნეინა ელისაბედმა  
თავისი ყვიციანი სოფიკო მეიყვანა და მეშინიან, იმან არ დაგვასწროს.

— დედი, არ გებრალები?

— ეგ რა სიტყვაა?

— ბებერი როგორ ამირჩიე ქმრადა?

<sup>1</sup> კარგი (ფრანგ.)

— სულელი! — გაბრაზდა კნეინა, — ის მარგალიტებში ჩაგსვამს. ეკიპაჟით გატარებს. მოსუოვსა და პეტერბურგში ნაგიყვანს. ქვეყნიერებას გაჩვენებს.

— ეგ მე არ მინდა, დედი.

— არ გინდა?

— არა, დედილო.

— გაშ რა გინდა? ახალგაზრდა, ყმანეილი კაცი? მერე ვინ დაგვიღლავა გზითევი, ფაცუნამ თუ ანახანუმმა?

ანამ ხმა არ ამოიღო. დედას მორჩილად გაჰყვა.

კნეინა მაჭატამ თავისი ასული წინ გაუშვა და პირვევარი გადასწერა.

დედა-შვილი დიდ დარბაზში სწორედ იმ დროს შევიდა, როცა დავით სტეფანიჩი ონავრული ლიმილით სოფიეს ხელსახოცს აწვდიდა. კნეინა მაჭატას პირკატა ეცა. გაშრა და გახევდა. ცოტა რომ მოსულიერდა, ჯავრი ქალზე იყარა. ჯერ შელავზე გამეტებით უჩქმიტა, მერე ხელი ჰერა და ახალგაზრდა ოფიცირების წრეში შეაგდო.

## 5. ნალობი დამალული კომედიობრაფი

უცებ მოულოდნელად დაიბალნენ ნარჩინებულნი კომიკურნი მნერალნი, რომელთა შორის ბრნყინავს თ. გიორგი ერისთავი.

გრიგოლ რჩეულიშვილი, „შეძლილი“

გიორგი ერისთავი მეფისნაცვლის მობრძანების მესამე მახარობელი იყო, გაღებული ფანჯრიდან შემოფრენილი მერცხლისა და რაიმონ დე კინტელის შემდეგ.

გიორგი ერისთავი დანამდვილებით გებულობდა, თუ სად გაატარებდა სალამოს მისი დასის მფარველი ვორონცოვი და თვითონაც მსწრაფლ იქ გაჩნდებოდა ხოლმე. ამ უეჭველმა ნიშანმა ქალბატონ ზანდაროვს თავბრუდაახვია და მღელვარე სიხარულიც განაცდევინა. მას არ უყვარდა „გლუხარიჩი“, რადგან მან ნინო ჭავჭავაძის სილამაზეს პანაზინა ლექსი უძღვნა, ქალბატონ ზანდაროვზე კი, ბოროტი ენების თქმით, კომედიას წერდა.

ყოვლისმცოდნე მაჭატა ენტერაძე იმასაც დასძენდა, რომ მანანას მაგალითით განსახიერებული როლი ტასო ორბელიანს უნდა ეთამაშნა. მიუხედავად ამისა, „სოვდაგარშა მანანამ“ გულმოწყალედ გაუწოდა ხელი პირველ ქართველ კომედიოგრაფს.

გიორგი ერისთავი არტისტულად გაცის კროვნებული ლიმილით ეამბორა დისახლისის გრძელ თითებს, რომლის ტილოზე გადატანას იტალიელი მხატვარი კარადონი ვერაგზით ვერ ახერხებდა, სასოწარკვეთილი მხატვარი ყველას იმას უმტკიცებდა, რომ ასეთი ლამაზი ხელები ჯერარცერთ ნახატზე

არ ენახა და ერთგვარ მსგავსებას მხოლოდ ბიზანტიური ლვისმშობლის გამოსახულების განზე გაშვერილ ხელებში პოულობდა.

სრულ ცხრასათბერებული მობრძანდა მეუღლით ურთ და ვაჟით ურთ.

მას ფეხდაფეხ მოსყვა მისი კანცელარიის უფროსი და მომავალი ბიოგრაფი ბატონი შჩერბანინი. შეაზელ დეგუფმა კი სალონში სანდომიანი გარევნობის ახალგაზრდა ინგლისელი მოგზაური შემოიყვანა.

ქალბატონ ზანდაროვს აღტაცებისაგან პირი გაუშრა და განითლდა.

ვორონცოვი ხელზე ეამბორა მას, ელიზავეტა ქსავერიევნამ ლოყაზე აკოცა. მანანას ცათაფრენა შეუდგა.

მოხიბლული ქართველი თავადები „ჩუენს მამას“ ფეხზე ადგომით მიესალმნენ, და დიდხანს იდგნენ ქვეშევრდომულად თავდახრილი.

ვორონცოვი მამობრივად ულიმოდა მათ. ამ ლიმილს ბევრი ლვის ნყალობას უტოლებდა.

უმრნემესშა ვორონცოვმა, მიხეილ სიმონის ძემ, რაიმონ დე კინტელს ხელი მორიდან დაუქნია და თავის თან მიხემო. ისიც ჩქარი გოვმანით გაქანდა მისკენ.

მეფისნაცვლის მოსვლის გამო ერთხანს ამლილი სტუმრები ნელ-ნელა მილაგ-მოლაგდნენ.

თბილისელი არისტოკრატები დინჯად მუსაიფობდნენ.

ოდნავ დაბნეული და თავისი იკრიბოკრო რუსულით დარცხვენილი ქალბატონი ზანდაროვი ელიზავეტა ქსავერიევნას უწყინარ შეკითხვებს მხოლოდ „ჰო“-ს და „არა“-ს უხვედრებდა.

ვორონცოვი დარბაისელ ქართველ თავადებს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსებისა და მისი სარგებლობის თაობაზე ელაპარაკებოდა.

სალონის შორეულ კუთხეში ვილაცას წამოსცდა, რომ ვორონცოვი გლეხთა განთავისუფლების მომხრე იყო, ლიბერალობდა და ზოგიერთ „გონიერ“ და „ზომიერ“ დეკაბრისტს მთარველობის ხელსა სდებდა. მის გვერდით დაუყოვნებლივ გაჩნდა ესტატე ბერი, მაგრამ რაკი მოსაუბრეებმა ხმა გაკმინდეს, ბერი პლატონ იოსელიანისაკენ გაეშურა.

დავით გერმანზიშეილი რამდენიმე თავადთან და ბობოლასთან განმარტოებულ ოთახში ბანქოს თამაშობდა. მათ ზურგს უკან ორიოდე მაყურებელთან ერთად, ალამემნონ კენტერაძეც იდგა. თავტიტველა, მაგრამ ლამაზსა და ტანწერნეტა თავადს აღვინებული თვალი ფულების გროვაზე რჩებოდა და ქვედა ტუჩი უკანეალებდა.

დავითი გაბადრული იჯდა თაეის სავარძელში, რადგან სტანისლავით თავს იწონებდა და ქალალდიც კარგი მოსდიოდა.

— რაც ფული გოუჩნდა ქნიაზ გერმანზოვს, ბატონო, ხელიც გამოუბრუნდა, — ჩუმად გადაულაპარაკა ალამემნონ კენტერაძემ მეზობლად მდგარ დოყლაპია მამაკაცს, — მუდამ ასთე იყო, ფული ფულიანს დაეძებს. აპა, ჩვენს ქუჩაზე კი არ გამეივლის, — გაიცინა ნერილმანი ოინბაზობით განთქმულმა თავადმა და დოყლაპია მეზობელიც გააცინა.

გიორგი ერისთავი ანა კენტერაძეს ელაპარაკებოდა, როცა მათ ფულის  
ნაგებით ოდნავ გაბრუებული ილიკო ორბელიანი მოუახლოვდა.

— ნაძლევს ვსდებ, გიორგი, — თქვა მან სიცილით, — რომ კნიაუნა ანას  
აქციოსობას სთავაზობ, თეატრში გინდა ათამაშო.

გიორგი ერისთავი შეიშმუშნა, ხელები გაასავსავა.

— არა, არა. კნიაუნას იმდღევანდელი ამბავი ვუამბე.

ილიკო ორბელიანმა გულიანად გაიცინა.

გიორგი ერისთავი უარესად შეერთა. ვორონცოვისაკენ ფრთხილად გაიხე-  
და. ახლო მდგარნი მისკენ ცნობისმოყვარეობით მოტრიალდნენ.

— რა იყო, გიორგი? — მიაძახეს მას აქეთ-იქიდან, — ილიკოს სიცილმა  
რათ შეგაურთო?

— არაფერი სამაგისო, კნიაზნო. ვიცი, ჩვენი ლოთი კარგს არაფერს იტყვის.

გაჩემება ვსთხოვე.

მან ანა კენტერაძეს თვალით რაღაც ანიშნა და ტუჩჩე თითო დაიდო.

— სთქვი, გიორგი, — უთხრა ილიკო ორბელიანმა, — დასამალი რა არის?

— სთქვი, სთქვი, — სთხოვეს სხვებმაც და მყისვე წრე შემოარტყეს.

— ვიტყვი, თუ არ გამოქვამთ.

— აბა, ეგ რა საკადრიისია.

— ამას ნინათ, — დაიწყო კომედიოგრაფია, — რეპეტიცია მქონდა. ცხე-  
ლოდა და ახალუხის ამარა ვიყავი. ამ დროს ჩემმა აქტიორმა დაინახა, რომ  
ნამესტნიკი კიბეზე ამოდიოდა. რა უნდა მექნა? მეფისნაცვალს ახალუხში ხომ  
არდავხვდებოდი? ბევრი აღარ მიფიქრია, ნალოში გადავხტი და იქ დავიმალე.  
საათზე მეტი იქ ვიყავი და ვერ აგინერთ, ცხრანაირად მოკეცილი რანაირად  
დავიტანჯე. კიდევ კარგი, ცხვირის ცემინება სწორედ იმ დროს ამიტყდა, როცა  
ჩემი აქტიორები ნამესტნიკს კიბეზე აცილებდნენ.

მოყოლილმა ამბავმა საერთო სიცილი გამოიწვია. სიცილმა ვორონცოვის  
ჟურადლება მიიძყრო და ერისთავს მასთან მისვლა ანიშნა.

— დარწმუნებული ვარ, — უთხრა მან კომედიოგრაფს, — თქვენი მეგო-  
ბრები თქვენი ახალი კომედიის სომეხი ვაჭრის მონოლოგმა გააცინა. ასე არ  
არის, თავადო?

— დიახ, თქვენო მაღალბრწყინვალებავ! — უპასუხა თავადმა და მოკრძა-  
ლებით თავი დაუკრა.

— რა სათაური აქვს?

— „ძუნნი“.

— ჰმ... იმედი მაქვს, ქართველების მოლიერი არ დაგვზარდება და მაგ  
კომედიის შინაარსს გაგვაცნობს.

როდესაც ვორონცოვი გიორგი ერისთავს მოლიერს ადარებდა, ამით მხო-  
ლოდ ქართველი კომედიოგრაფის გამხნევებას და ნახალისებას ლამობდა.  
ქართველი არისტოკრატები გაკვირვებული იყვნენ. მათ უკვირდათ, რომ  
კავკასიაში შეუზღუდველი უფლებებით აღჭურვილი მეფისნაცვალი, იმპე-

რატორის მიერ წყალობით ავსილი, ხანდაზმული და ჭკვიანი გამგებელი კო-  
მედიანტებს და ვაჭრებს მფარველობდა და მათ ისევე ანებიურებდა, როგორც  
პრეზიდენტის თავადებს და ომში გამარჯვებულ გენერლებს.

მოსკოვის, პეტერბურგის და ვარშავის თეატრებში ნამყოფი გიორგი ერის-  
თავი მონოლოგებს არა მარტო კითხულობდა, არამედ ადგენდა კიდეც. ახლაც  
გამოცვლილი ხმით, სასაცილოდ დამრგვალებული და მოკუნტული, კარაპეტა  
დაბალოვს თამაშობდა და სალონში მხიარულ სიცილს იწვევდა.

ყველაზე უფრო სანახაობათა მოყვარული ვორონცოვი იცინოდა. ამიტომ  
თავს შეზღუდულად არავინ გრძნობდა. ესტატე ბერი ხმამაღლა ხარხარებდა.  
პლატონ იოსელიანს ქვეშევრდომული ალფროთოვანების გამო პირი ფართოდ  
პქონდა დაღებული, გულში კი გიორგი ერისთავს „მაღალი შტილის“ შერყვნი-  
სათვის ლანძღავდა.

ქალბატონ ზანდაროვს ზაფრანისფერი ედო სახეზე და ეჭვი ანვალებდა: „ნე-  
ტავი ერისთავი ჩემს ქმარს ხომ არამასხარავებს და ეს კომედია ჩემს დასაცინად  
მოაწყესო“. ეკლებზე იჯდა და დაბალოვის ოქროს ხსენება პირს უნითლებდა.

ვორონცოვმა თავდაჭერილი მოძრაობით ნელა ტაში დაუკრა ნიჭიერ  
აქტიორს და კომედიოგრაფს, სხვებმაც არისტოკრატული სალონის შესაფე-  
რისი ტაშით დააჯილდოეს ისევე ნელში გამართული და კმაყოფილ სახეზე  
ლიმილგადაფენილი თავადი.

— საუცხოვო გოგოა! — თქვა ვორონცოვმა და მეუღლეს ანა კენტერაძეზე  
ანიშნა.

ელიზავეტა ქსავერიევნა ხანგრძლივად დააცქერდა კოხტა, ზღვისფერ-  
თვალება და მუქი თავთუხისფერი კულულებით დამშვენებულ ქალწულს.  
მერე თავის წყარი დაქნევით დაეთანხმა ბებრულად, მაგრამ სანდომიანად  
მოლიმარ ქმარს.

ქალბატონმა ზანდაროვმაც პირველად გაულიმა ლმობიერად კენტერაძე-  
ბის ასულს.

კნეინა მაჭატას მეფისნაცვლის და მისი დარბაისელი მეუღლების ყურადღე-  
ბა არ გამოეპარა, ისევ გამოიდარა და შეუმჩნევლად, ზურგს უკან ქოქოლა  
მიაყარა ხნიერ გენერალთან მორცხვად თავდახრილ სოფიკოს, რომელიც  
ყოველთვის კომშივით იყო გაყვითლებული, ახლა კი ნერვიულობისაგან ყელზე  
ნითელი ლაქები ეყარა, ხოლო ნიკაპნვეტა სახეზე — მონითალო ნინნ კლები.

## 6. სალონი დიალოგი

პოლიტიკის კაცი უსალონოდ არ არსებობს, სალონი — უქალოდ.  
შარლ დე ბერნარი, „იუაროსის ფრთხები“

ანა კენტერაძეს ახალგაზრდა ინგლისელმა მოგზაურმაც დაადგა თვალი  
და ველარ მოაშორა.

- მშვენიერი გოგოა! — გულწრფელი აღტაცებით ნამოიძახა მან.  
შუაზელ დე გუფმა გაკვირვებით უთხრა:
- იცით, სერ, პირველად ვხედავ ინგლისელს, რომელსაც გულში ნავრძნიბი სახეზე აქვს გამოხატული.

ჭაბუე ნამონითლდა. შუაზელ დე გუფმა განცვიფრებით შესძახა:

— ო, მონ დიე<sup>1</sup>, თქვენ ნითლდებით კიდეც?

— ჩემო ქალბატონო, — მოუგო ახალგაზრდა ინგლისელმა და თავი გრძელი მონოლოგით გაიძართლა, — ჩემი ბრალიარარის, თუ მე ცუდი ინგლისელი ვარ. უთუოდ მოგეხსენებათ, რომ ინგლისელი ლორდები ფრანგის ქალებს თხოულობენ, რათა ლამაზი შვილები გააჩინონ. სწორედ ისე, როგორც სპარსელები და ოსმალები ქართველ ქალებს ირთავდნენ და ირთავენ. დედაჩემი ფრანგი მარკიზის ქალი გახლავთ. მისი ქმარი პარლამენტში იჯდა და „პურის კანონებს“ ქმნიდა. ცოლი ნიგნების კითხვით ერთობოდა ან მოგზაურობდა, რა თქმა უნდა, იტალიასა და ესპანეთში. მას უყვარდა კეთილი უან-უაკი, იმისი მონაფე ბერნარდენ სენ-პიერი, ავტორი „პოლ და ვირჟინისა“ და ბატონი შარტენი, რომელმაც „სოფიოს ნერილები“ დაგვიწერა და სენ-პიერის ქვრივი ცოლად შეირთო. ესენი იყვნენ ჩემი მასწავლებლის მასწავლებლები. მართალია, მე ალბიონის ნისლებში დავიძადე, მაგრამ დედის გული და მგრძნობელობა გამომყვა. შესაძლებელია, ქალბატონო, ჩემი აღსარება სენტიმენტალური იყოს, მაგრამ მერწმუნეთ, არ შემიძლია ჩემი აღტაცება დავფარო და ამას ჩემი აღზრდა არ დავუკავშირო, როცა მაგ მშვენიერ თავადის ასულს შეეყურებ. განა ჩვენ ასეთსავე რამეს არ განვიცდით, როცა იტალიელების პორტრეტებს ვუყურებთ?

— კარგად თქვით, სერ, მაგრამ თბილისში ყოველ მოგზაურს ორი რამხიბლავს: ლამაზი ქალი და აბანო. ბოდიშს ვიხდი, რომ ეს ორი სიტყვა ერთად ვახსენე. თუმცა მხოლოდ ის აღვნიშნე, რასაც მოგზაურთა ნიგნებში ვკითხულობთ.

— უეჭველია, თომას მურმაც, — გაიხსენა ახალგაზრდა ინგლისელმა, — თავის „ლალა რუკში“ ამიტომ დაუკავშირა ერთმანეთს ქართველი ლამაზი ქალები და აბანოები. ნუთუ ქალბატონო, ქართველებს აბანო რომაელებივით უყვართ?

— მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ, — გაიცინა შუაზელ დე გუფმა,  
— აბანოს ამ ქალაქში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სხვაგან კლუბსა და თეატრს.

მათ კნეინა მზეხათუნი მოუხალოვდა. შუაზელ დე გუფმა მყისვე ეს უთხრა მას:

— ეს-ეს არის ლორდმა ისეთი რამეები მითხრა, სულ ალარ მიკვირს შელის და ბაირონის ინგლისელობა.

— აპ! თქვენ ლიტერატურაზე საუბრობდით? — იკითხა კნეინამ, — უცხოელებს ხომ მარტო თბილისელი მექისეები აკერიათ ენაზე!

— და ქართველი ქალები, ძვირფასო ტატიანა! — სიცილით დაუმატა შუაზელ დე გუფმა.

<sup>1</sup> ლმერთო ჩემო (ფრანგ.).

მუდამ თამამმა კნეინა მზეხათუნმა მხრები ირონიულად შეათამაშა.

— სნორედ ვითხრათ, არ მომნონს, როცა ევროპელები ქართველ ქალებ-სა და აპანოებზე ერთნაირის აღტაცებით ნერენ. აქამდე კარგად არ ვიცი, რომლით უფრო მოხიბლულნი არიან ბატონი გამბები და როტიერები.

სამივემ გაიცინა.

რადგან კნეინა მზეხათუნი ფრანგულად სხაპასხუპით ლაპარაკობდა და სხაპასხუპით უშვებდა შეცდომებს, ტაქტიანი შუაზელ დე გული ისევ ახალ-გაზრდა ინგლისელს მოუბრუნდა.

— სერ, კნიაუნა ანას სილამაზის აღნერილობას, ალბათ, მალე ნავიკითხავთ თქვენს „სენტიმენტალურ მოგზაურობაში“.

ინგლისელმა თავი დაუკრა. კნეინა მზეხათუნი დაინტერესდა.

— რომელ ანაზეა ლაპარაკი, მა შერ?

— ანა კენტერაძეზე.

— მშვენიერი ქალია, — თქვა მზეხათუნმა, — მაგრამ ასეთი კაფანდარა იმერლებში იშვიათი არ არის.

ახალგაზრდა ინგლისელს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყოყმანობდა. შუაზელ დე გუფი და კნეინა მზეხათუნი მას მიაჩერდენ.

— სთქვით, — გაათამამა ახალგაზრდა ინგლისელი შუაზელ დე გუფმა, — ვგონებ, ამ ლამაზმანში რაღაც ნაკლი აღმოაჩინეთ, არა?

— ჩემი შენიშვნა მხატვრისაა და არა მამაკაცის, — მორიდებით ნარმოთ-ქვა ინგლისელმა მოგზაურმა, — მაგ ქალის ზღვისფერ თვალებს და ოდნავ სევდაგადაკრულ გამომეტყველებას ფერმიხდილობა უფრო მოუხდებოდა.

კნეინა მზეხათუნმა გაიცინა.

— ეგ აქაური ნამლების ბრალია, ბატონი, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მაგ გოგოს დედამ დაუნითლა ლოყები. ტახტზე მუხლმორთხმით ჯდომა და ფერ-უმარილის ნასმა ქართველმა ქალებმა აღმოსავლეთიდან ვისნავლეთ. მაგრამ ევროპა მაგასაც დაგვავინყებინებს, ბევრმა დაივინყა კიდეც.

კნეინა მზეხათუნმა თვალი შეავლო ქართველ არისტოკრატ ქალებს, რომელთა უმრავლესობა ფერ-უმარილს აღარ ხმარობდა, მაგრამ ნარბები ისევ ძველებურად ჰქონდათ გაკეთებული და გაშავებული.

— თავისი გასაოცარი სილამაზის მოუხედავად, — თქვა გათამამებულმა ინ-გლისელმა, — ყველაზე ბუნებრივად მაინც სახლის დიასახლისი გამოიყურება.

კნეინა მზეხათუნს ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— მაგრამ...

— მაგრამ? — ჰეითხა შუაზელ დე გუფმა.

— მაგ ქალის ღვთაებრივ სილამაზეს, — განაგრძო ინგლისელმა, — ძველი ბერძენი მოქანდაკის ხელი დაჲკლებია, რათა ისეთ ქვეყნებშიც გამოინვიოს აღტაცება, როგორიც იტალია, ესპანეთი ან საფრანგეთია. ეგ სათნო სახის ქალი მხოლოდ კათოლიკური ირლანდიაში მოენონებოდათ და ღვთისმოსაობით აღტყინებულნი, ლოცვას აღავლენდნენ, რათა მინიერი სიხარულის დამთრ-გუნველნი უფრო მკაცრნი გამხდარიყვნენ, ვიდრე არიან.

ახალგაზრდა ინგლისელი უცებ შეჩეკვიფდა, რაც უნებურად დასცდა, იმის თქმას უკვე ნაწობდა. წელანდელზე უარესად განითლდა. გულკეთილი შეაზელ დეგუფი ვერაფრით ვერ მიეშველა, რადგან მის გვერდით ქალბატონ ზანდა-როვის ნათესავი ქალი იდგა. კნეინა მზეხათუნმა ინგლისელს უხერხულობა შეატყო თუ არა, შინაურულად გაუცინა და უთხრა:

— ეგ ლამაზი ქალი ჩემი ძმისნულია. რა თქმა უნდა, ბატონო, ეს რომ ვცოდ-ნიდათ, ასეთ გულახდილობას არ გამოიჩინდით. თქვენი ახალგაზრდობის მოუ-სედავად, მაგ სათნო ქალს დედაკაცური ნაკლი შენიშნეთ, ვნების იმ ცეცხლის უქონლობა, რასაც გარეგნულად მდუმარე იტალიელი ქალები, გაგონილი მაქვს, აյ მოხერხებულად ჰეთარავენ. ამ ნაკლს ყველა გამოცდილი მამაკაცი ადვილად შეამჩნევს და ნებამომეცით, დაგეთანხმოთ კიდეც. მაგრამ განა თქვენს ნათქვამში აღტაცებაც არ იყო გამოხატული? განა ჩემი ძმისნულის ლვთავმრივ სილამაზეში ბუნებრივი სისაძავე არ აღმოაჩინეთ? ყველაფერი ის, რაც ჩვენს ყურადღებას ისყრობს, ლირსეპებისა და ნაკლის მოუხედავად, აღმაფრენას თუ არა, მონონებას მაინც უტოლდება (სიტყვა „მონონება“ კნეინა მზეხათუნმა თვალების აუზუ-ნებით ნარმოთქვა). თქვენც, ჩანს, ამ სახლის დისასახლისი ამიტომ მოგენონათ, თუმცა არ ვიცი, კათოლიკე ირლანდიელი ბრძანდებით თუ არა. რას იზამთ? გულახდილად რომ ვთქვათ, მინიერი მაინც უფრო ძლიერია, ვიდრე ზეციური. ეს იმდენად ადამიანურია, რომ თვით ლმერთქალი შეიძლება ზეციდან დედამი-ნაზე ჩამოვიყვანოთ. ზოგჯერ მინიერ სიხარულს ისეთნაირად ვენაფებით, რომ გამოფხიზლებული, გაოცებული ვრჩიებით.

მზეხათუნმა ფრანგულად ერთბაშად რამდენიმე შეცდომა დაუშვა, მაგრამ თავისი აზრი ისე სხარტად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა, რომ გაოცებული შეაზელ დეგუფი ყურადღებად გადაიქცა.

არც შეაზელ დეგუფს და არც ახალგაზრდა ინგლისელს, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რომ მზეხათუნი მაგდა გოსტაშაბიშვილის ამასწინანდელ ნათქვამს იმეორებდა.

## 7. დაკვაცოფილებული პატივებისარება

მისნერა ხელმნიფეს, რომ ქუთაისიდან ტრაპიზონამდე, გაეკეთებინა  
გზა, ამისთვის, რომ იტყოდა, ანგლიჩანები ტრაპიზონიდგან  
გააკეთებენო გზას და ვაჭრობა სპარსეთისა იმათ დარჩებათო და აქ რო  
გაკეთდესო, ვაჭრობა ჩვენი იქნება!  
გ. ერისთავი, „ჩემი მოგ ზაურობა ევროპაში“

ყავის ჩამოტარების დროიყო, როცა სალონში გრიგოლ ზანდაროვი შემოვი-და. ქმრის მოულოდნელი გამოჩენით სახტად დარჩენილი მანანა გაოცებული ნამოდგა სავარძლიდან.

განცვილებამ თვალიც დაუბურა და ენაც წაართვა.

მერე მეაფიოდ დანახახა წარმოსადევი, არაჩეულებრივად ლამაზი მა-  
მაკაცი, რომელსაც დენდის გემოვნებით ეცვა და არისტოკრატის ღირსებით  
ეჭირათავი. ეს მისი ქმარი იყო, სჯულიერი მეუღლე. თვალის ერთმა, სწრაფმა  
შევლებამ მას სიამაყის გრძნობაც განაცდევინა და აღტაცებაც, მაგრამ სახეზე  
ეს არაფრით გამოხატა.

ზანდაროვი ყველას რანგის მიხედვით უკავდა თავს და აღფრთოვანებუ-  
ლი იმაზე ნეტარებით ფიქრობდა, თუ როგორი შარავანდედით მოსავდა მის  
სახლს, სადაც თვით მეფისნაცვალი იმყოფებოდა, დიდგვაროვანი თავადის  
პირმშვენიერი ასული, რომელიც მისი კანონიერი ცოლი იყო, მისი ოჯახის  
დისახლისი, მისი უცილობელი საკუთრება.

მხოლოდ მეფისნაცვლის თანაყოფა უშლიდა ზანდაროვს თავი მაღლა  
ამაყად აენია, როგორც ეს მან გამარჯვების განცდის უამს იცოდა ხოლმე.

ცოლს, მარგალიტივით ცივს და ბრნყინვალეს (ზანდაროვი ოქრომჭედე-  
ლივით სდებდა ფასს მის ნაკლსა და ღირსებას), ლოყაზე ბაგე ოდნავ შეახო  
და ისე აკოცა, მეფისნაცვალს მდაბლად თავი დაუკრა, ხოლო ელიზავეტა  
ქსავერიევნას ხელზე ისეთი მოხდენილი ტაქტით ეამბორა, რომ თვით პირნა-  
ვარდნილ არისტოკრატს შემურდებოდა.

ვორონცოვმა მას თავაზიანად ჩამოართვა ხელი, თითქმის შინაურულად,  
მაგრამ მფარველობის ისეთი ღიმილით, რომ მის ხელმწიფურ ღირსებას ერთ  
მისხალსაც არ აკლებდა. გვერდით მოისვა და ჰქითხა:

— რა ამბებია კონსტანტინოპოლიში, ბატონო ზანდაროვ?

— ჯერჯერობით მშვიდობა, თქვენო მაღალბრნყინვალებავ! — მიუგო  
ქვეშევრდომული აღმაფრენით, მაგრამ, იმავე დროს, დიდმწიმენელოვანი  
ინტონაციით ზანდაროვმა, — პატივი მაქვს გადმოგცეთ ჩვენი კონსტანტინ-  
ოპოლელი ელჩის ბატონ ალექსანდრე პეტრეს ძე ოზეროვის მოკითხვა.

— გმადლობთ, გმადლობთ. სხვას რაღას გვეტყვით?

— სამწუხაროდ, კარგს ვერაფერს, თქვენო მაღალბრნყინვალებავ! ინგლი-  
სელებიდა ფრანგები ძალიან გათამამდნენ. სულთნის დიდკაცებში აუარებელ  
ქრთამებს ხარჯავენ. ხელმწიფის ვაჭრებს გვდევნიან, გვავინროებენ, საქო-  
ნელს საბაჟოებში გვიჩერებენ, ყველგან ინგლისელთა აგენტები დაძრნიან და  
რუსების სიძულვილს ქადაგებენ.

— ჰმ, ვიცი.

ვორონცოვი ჩაფიქრდა. ზანდაროვი დაახლოებით იმასვე ამბობდა, რასაც  
რუსეთის სტამბოლელი რეზიდენტები საიდუმლო ბარათებით პეტერბურგში  
იწერებოდნენ. იქ, სტამბოლში, რაღაც არაჩეულებრივი რამ ხდებოდა. ამას  
რეზიდენტები დიდვეზირის და რეის ეფენდის საშუალებით გებულობდნენ.  
მაგრამ ჩანდა, მოსალოდნელ ომზე კონსტანტინოპოლის ქუჩებშიც და მოედ-  
ნებზეც ჩურჩულებდნენ. ამიტომ თადარიგის დაჭერა მართებდა რუსეთის  
სტამბოლელ ელჩისაც და კავკასიის მეფისნაცვალსაც. ოზეროვის მოკითხვის

„ზრის გაშიღვერა ვორონცოვს ახლა სულ ადვილად შეეძლო. ზანდაროვს წყალბის თვალით გადახედა, გაამხნევა:

— რუსეთის ვაჭრებს არავის დავაჩაგვრინებთ, დარწმუნებული ბრძანდებიდეთ, ბატონო ზანდაროვ.

— მართალი ბრძანებაა, თქვენო მაღალბრწყინვალებავ, მაგრამ ოსმალებს ინგლისელები და ფრანგები აქეზებენ. ჩემი დიდი მეგობარი, ტრაპეზუნდის გუბერნატორი მუჟამედ ვასიფ-ფაშა რომ არა, ოსმალეთიდან ერთ ჩხირსაც ვერ გამოვიტანდი.

— გზა, გზა უნდა გაეიყვანოთ ქუთაისიდან ტრაპიზონამდე, — ნამოიძახა მეფისნაცვალმა, — ინგლისს სპარსეთისაკენ მიმავალი გზა უნდა გადაკუჭრათ, ოსმალეთიდანაც უნდა გავდევნოთ, დარდანელის გასაღებიპეტერბურგში უნდა ჩამოვეკიდოთ...

თავისი ძველი პროექტით ერთბაშად აღტაცებული ვორონცოვი უხერხულად გაჩუმდა, რაკი მოაგონდა, რომ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეზე და მეტისმეტად დახლართულ აღმოსავლური საკითხის სასურველ პერსპექტივაზე ვაჭრის მეუღლის სალონში ლაპარაკობდა. აპილპილებამ სწრაფად გაუარა, თავს თავდავინყება უსაყველურა და უსიამოვნოდ გაიფიქრა: „ჩანს, დავბერდი“. ისევ ლმობიერად გაიღიმა და საუბარი სულ სხვა საგანზე გადაიტანა.

— ამ ზამთარს კონსტანტინოპოლიში კარგი ბალმასკარადები გამართულა.

ზანდაროვმა პასუხი არ დააყოვნა:

— დიახ, თქვენო მაღალბრწყინვალებავ! — კარგი ბალმასკარადები გახლდათ. მე თვითონ არსად არაფერს დაველებივარ, მაგრამ, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, თქვენო მაღალბრწყინვალებავ, არც თქვენი ბალები არის ნაკლები, უკეთესი თუ არა.

— ვითომ, ვითომ?! — ესიამოვნა ვორონცოვს.

— ჩვენი ელჩის ცოლს თქვენი ბალები რომ ავუნერე, განცვიფრებული დარჩა.

— ეგ პეტერბურგშიც უკვირთ, — თავი მოიწონა ვორონცოვმა.

— ელჩის ცოლმა ასე ბრძანა, მაშ თუ ეგ ეგრეა, პეტერბურგს, პარიჟს, ვენას და კონსტანტინოპოლს თბილისიც უნდა მივუმატოთ.

ვორონცოვი გაიბადრა.

— თქვენო მაღალბრწყინვალებავ! — მოაგონდა ზანდაროვს, — კონსტანტინოპოლიში თბილისისკენ მომავალ მომლერლებს შევხვდი.

— მაშ, ისინი მალე ჩამოვლენ! — ნამოიძახა გახარებულმა ვორონცოვმა.

ელიზავეტა ქსავერიევნას სიამის ლიმმა გადაურბინა სახეზე. სხვებმა ყურებიც ცქინტეს, ზანდაროვი ოპერის იტალიელ მომლერლებზე ლაპარაკობდა.

— აქტიორები აქლემების ძებნით იყვნენ გართულნი, — თავდაჭერილი სიცილით განაგრძო ზანდაროვმა, — ძლივს დავაჯერე, რომ ხომალდიდან გადმოსვლის შემდეგ თბილისში საფოსტო ეტლითაც შეიძლება ჩასვლა.

- ხა, ხა, ხა. იტალიელები ცუდად იცნობენ გეოგრაფიას თავიანთ ჩექმაში!
- იხუმრა ვორონცოვმა.
  - იმათვ აქტირისებიც გავიცანი.
  - სახელდობრ?
  - ქალბატონი ვაზოლი და ქალბატონი რამონი.
- ვორონცოვმა ნარბები ანკიძა და ზანდაროვს თითო დაუქნია.
- გაშსრული საფუძველი მაქვს თქვენი მშვენიერი მეუღლე გავაფრთხილო. ქალბატონმა ზანდაროვმა მეფისნაცვლის ჩამოკრულ სიტყვაზე გაიღიმა, მაგრამ მალე ეჭვმა სახე დაუბნელა. თვალნინ ხან ელჩის ცოლი ედგა, ხან მომღერალი ქალები. ეს მისი პირველი ეჭვი იყო ქორნინების შემდეგ.

ვორონცოვი ყურადღებით მიაცეკერდა ზანდაროვს. ზანდაროვიც, თავის მხრივ, თავდაჭერილი შეფრთვინვით უჭვრეტდა მის თეთრ ჯვარს (ნაპოლეონზე გამარჯვების ნიშანს). ვორონცოვი თავისდაუნებურად კმაყოფილი ლიმილით აქცევდა ყურადღებას იმას, თუროვორ მოხდენილად ეჭირა ხელში მასპინძელს იაპონური ფაიფურის ფინჯანი. მის წინ პირნავარდნილი არისტოკრატი იჯდა.

სანთლების გამოცვლის დრო იყო, როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ.

ზანდაროვმა ვორონცოვი ლანდომდე მიაცილა.

კნეინა მზეხათუნმა დამარტოხელებული ძმისნული გულდასმით შეათვალიერა და უთხრა:

— ძალიან ლამაზი ქმარი გყავს, სულო!

მანანამ ეს ქათინაურად მიიღო, დაამთქნარა, ბეჭდისოდენად დაღებულ პირზე პირჯვარი გამოისახა და მამიდას გულგრილად ჰერთა:

— მაგას რატომ მეუბნები?

— იმიტომ, რომ მაგისთანა ლამაზ ქმარს გაფრთხილება სჭირდება.

მანანამ უკმეხად მიუგო:

— მე უფრო ლამაზი ვარ.

— მართალი ხარ, სულო, მართალი, — მყისვე დაეთანხმა მზეხათუნი, — ძალიან ლამაზი, მეტისმეტად ლამაზი. დედაშენიც ეგრე ლამაზი იყო, მაგრამ იარალი სოფლის გომბიოებს დასდევდა.

მანანას შემფოთება გამოეხატა სახეზე.

— არ ვიცი, ეგ რათ დაგჭირდა?

მზეხათუნმა ძმისნული ერთი წამით ისევ შეათვალიერა, წასასვლელად მომზადებულმა ლამე მშვიდობისა უსურვა.

— ძილი ნებისა, სულო!

ქალბატონმა ზანდაროვმა ვერაფერი გაიგო. მამიდის ნათქვამს ასავალ-და-სავალი ვერ მოუძებნა, მაგრამ იმ დღიდან ქმრის მიმართ უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა, ვიდრე აქამდე ამუღავნებდა.

# კარი ოცდამეექვსე

## 1. ოპერა ეარვასლაში

ფიგარო აქა,  
ფიგარო იქა,  
ფიგარო ქვევით,  
ფიგარო ზევით.  
მოლაყბე

თბილისის ოპერა „ლურია დე ლამერმურით“ გაიხსნა.

1851 წლის 9 ნოემბრიდან თბილისელი არისტოკრატები და გამდიდრებული ვაჭრები ყოველ ღამე თამამშევის ქარვასლის თეატრში დაისარებოდნენ იტალიური ოპერების საყურებლად და მოსასმენად.

ზედიზედ მიდიოდა „ერნანი“, „რიგოლეტო“, „ლუკრეცია ბორჯია“, „სომნამბულა“, „სევილიელი დალაქი“, „ჯემმა და ვირჯი“, „ფურიეზო“, „ნორმა“, „რობერტი“, „ლომბარდი“, „ლა ფავორიტა“, „ლურია დე ლამერმური“, „პურიტანი“, „მონტეკი და კაპულეტი“, „ბეატრიჩე“, „ფილია და რეჯიმენტო“, „ელეონორა“, „დონ პასკუალე“.

იტალიური ოპერა!

მავრიტანულ დარბაზში უზარმაზარი პარიზული ჭალი ჩახჩახებს.

პლაფონი და კედლები ოქროს, ვერცხლის, ფირუზის, ლალის და იაგუნდის ნაზიფერებით არის მოხატული. თვალს იპყრობენ და იტაცებენ ალმოსავლური კულუციარშიები. გაგარინს ერთმანეთში მოხდენილა და ჩაუქსოვია ქართული ფრესკის სურნელება, ბიზანტიური მუქი სინათლე, როკოკოს ფუფუნება, მხიარული სპარსული ფერადოვნება, მკაცრი ოსმალური გეომეტრიული ფიგურები, ფაქიზი მავრიტანული ზოლები და სანახაობას დაქიმითებული ბურუჟას მყვირალა გემოვნება. ამიტომიყო, რომ ევროპელები ერთდროულად ვენეციაშიც გრძნობდნენ თავს და აზიაშიც.

— თავი ხან პარიზში მგონია, ხან ვენეციაში. რაც შეეხება დარბაზს და მის დეკორს, ნამდვილად აზიაში ვიმყოფებით, — ეუბნება ერთი მოგზაური მეორეს.

თეატრის მსხვილ გურზებიან ფარდაზეც ალმოსავლური ღირსშესანიშნაობანი დასავლურთან არის შერწყმული. ფარდის ერთ მხარეზე ქართლის პეიზაჟია გამოხატული: ქართველი ქალები და კაცები, პურის ძნები, ყურძნის მტევნები, ხმლები და შუბები, ბურნა, დაირა და დიპლიიტო, ხოლო მეორე მხარეზე: ქვის ხიდები, ორთქლმავლები, ქარვასლები და სასახლეები.

ფურდას არისტოფანის, ლოპე და ვეგას, კალდერონის, მოლიერის და გოლ-დონის სურათები და პურებენ.

მოუქროვილ ლოუებში ულამაზესი ქალები სხედან.

მანდილოსნები კრინოლინებით, კნეინები ქართული გულისპირებით, თავადები კაბებით და ჩოხებით, დენდები, ბომონდები, ფრანტები, გენერლები, კონსულები და მოგზაურები ერთიმეორები ირევიან და თეატრის დარბაზში უფრო ბალმასკარადის სტუმრებსა ჰგვანან, ვიდრე სპექტაკლის მაყურებლებს.

სამეფო ლოუაში მეფისნაცვალი და დიდი მთავრები სხდებიან.

სპარსელი პრინცი ბერძენ მირზა თავისი ბრნყინვალე ამაღლით დაბრძანდება იტალიურ ასერაში. სპარსეთის გენერალური კონსული ყასიმ-ხანი დიპლო-მატიურ შეხვედრებს და მუსაიფს მართავს მის ლოუაში.

ყოველ ღამე მოდის თეატრში საფრანგეთის კონსული სტეიერტი, დიდის გემოვნებით ჩაცმული და ხალისიანი ბონვივანი.

ოსმალეთის კონსული — კაპუჯი-ბაში ბეი ზოგჯერ მის ლოუაში ჯდება და მასთან ერთად უსმენს „სევილიელ დალაქს“.

გაბშირებული ინგლისელი მოგზაურები პარტერით კმაყოფილდებიან, მაგრამ ყველაზე და ყველაფერზე ფხიზლად უჭირავთ თვალიც და ყურიც.

მეფისნაცვლის ლოუაში რამდენჯერმე გამოჩნდა ახალგაზრდა ინგლისელი მოგზაური, რომელსაც შუაზელ დე გუფი ყველგან დაატარებდა და, როგორც შემდეგ გამოირკვა, არაბულად ინგლისურივით ლაპარაკობდა.

ანტრაქტებში შუახნის დარბაისელი მამაკაცები შამილთან ომზე საუ-ბრობდნენ და ჩურჩულით აღნიშნავდნენ შავ ზღვაზე შავი ღრუბლების გა-მოჩენას.

ახალგაზრდა, სახეზე პუდრნაყრილ ფრანტებს ამნაირი საუბრებისათვის არა სცალიათ, პარტერის სავარძლების მწერივებში მიმოფანტულ ლოუებში გამოფენილ ლამაზ ბანოვნებს ლორნეტმომარჯვებულნი გასცერიან.

მოპირდაპირე ლოუებიდან ერთმანეთს ათვალისწუნებით უყურებენ მანანა თრბელიანი და მანანა ზანდაროვი.

სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი თავის ლოუაში დედოფლობს.

მას მუდამ თან ახლდა მისი და, ჯერ ისევ ლამაზი და მომხიბვლელი ქვრივი, ნინო ჭავჭავაძე.

მეზობელ ლოუაში ბარონესა ნიკოლაი ნებივრობს, ნინოს და ეკატერინეს უმცროსი და სოფიო — კამერ-იუნკერ ბარონ ნიკოლაის მეუღლე.

მრავალრიცხოვანი ლოუებიდან თავმომწონედ გამოიყურებიან გამდი-დრებული მდაბიონი, მათი ცოლები და ასულები. უთვალავი მარგალიტებით და ოქროს სამკაულებით დამძიმებული გუშინდელი „ეზოს დედაკაცები“ ლირსულად არიან გამოჭიმულნი ლოუებში და სულ არ ეუცხოებათ იტალიურ

ოსერიაში ყოფნა. პირიქით, დაწითლებულ სახეებს მარაოთი იგრილებენ და ამპარტავნობენ.

ლოუების ამ რიგში ყელმოლერებული და მუდამ პირმომცინარე მაიკო კურტანიძე ქურდულად გრიგოლ ზანდაროვს უთვალთვალებს, მოსაჩივე-ნებლად კი პარტერში ცელქი ღიმილით იცქირება, რადგან აღტაცებული „ხახვის ფრანტები“ მას თვალს არ აძორებენ. მის გვერდით ბართლომე კურტანიძე ზის. უსაქმოდ ის არც ოპერის ლოუები იმყოფება და თავჩალუნული საფულეს თასმებს უსწორებს. ხანდახან მაიკო კურტანიძისაკენ გრიგოლ ზანდაროვი თვალს აპარებს, მაგრამ მხოლოდ იმ დროს, როცა მანანა რამით არის გართულ-გატაცებული ან რომელიმე ლოუები ნაცნობს თავს უკრავს.

ზანდაროვებიც თითქმის ყოველ ღამეს ოსერის თეატრში ატარებენ. მათი შუდმივი ლოუა სამეფო ლოუის მახლობლად იყო.

უზომოდ ბედნიერი ქალბატონი ზანდაროვი მედიდურად იჯდა ლოუები. ალენილ სახეს თეთრი, ვეება მარაოთი იგრილებდა და პირმოკუმული სულ იმას ცდილობდა, სხვების ყურადღების საგანი გამხდარიყო.

სოვდაგრის ნებიერი ცოლი უფრო მეტოქე ლამაზმანების ყურებით იყო გართული, ვიდრე ლაპარაკით.

სამეგრელოს დედოფლის უკვე საქმაოდ თვალსაჩინო ღაბაბი მას მხია-რულ გუნებაზე აყენებდა, მანანა ორბელიანი და თვით ნინო ჭავჭავაძე და-ბერებულად ეჩვენებოდა, ცქრიალა სოფიო ჭავჭავაძეს, მისი დაკვირვებით, სიყვითლე ეპარებოდა, მაიკო კურტანიძე კი აინუნში არ მოსდოოდა, რადგან თავის ტოლად არა თვლიდა. მეტსახელად მას „ბაზრის დედაკაცს“ უწოდებდა, თუმცა მისდამი ზოგიერთი თავადის და მათ შორის, დავითის ყურადღება გულწრფელად აოცებდა. მას მხოლოდ კნეინა გოსტაშაბიშვილი აღელვებდა და იდუმალი შემი იპყრობდა იმის გამო, რომ მისი ქმრის ყოფილ საყვარელს სიბერე არ ეკარებოდა და თავის გოროზ გარეგნობასთან ერთად ახალგაზრ-დულ იერსაც ინარჩუნებდა. ამას საერთო ნაცნობები იმას მიანერდნენ, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილი დედით სლავი იყო, ქართველი ქალები კი, ჩვეულე-ბრივ, ადრე ბერდებოდნენ.

სიმდიდრით განებივრებულ და ლამაზი მამაკაცის ცოლს თავისი პირ-შშვენიერობის აზრი შეურყეველი რნმენით ჰქონდა განმტკიცებული. ამიტომ საკუთარი ასაკი არ ადარდებდა. ასაკოვან მზეთუნახავს კიდევ უფრო მიმზიდ-ველს ხდიდა თბილისში ბალზაკის რომანებით გატაცება, სადაც სწორედ ოცდაათნლიანი დედაკაცები იყვნენ ხოტბაშესხმულნი.

ნორჩი და კეკლუცი ქალების მიმართ ქალბატონი ზანდაროვი მხოლოდ მფარველობით ყურადღებას იჩენდა. მას მოსწონდა ზღვისფერთვალება ანა კენტერაძე, მაგრამ აღმფოთებული იყო იმის გამო, რომ თავადის ასული გიორგი ერისთავის თეატრში თამაშობდა და ჩუმად, დედ-მამის გაუგებრად, აზნაურ ცალქალამანიძეზე დაქორნინებულიყო.

## 2. მაყურებლები

ისედაც მშენიერ დარბაზს, მაყურებლები კიდევ უფრო  
მეტად ამშენებდნენ.  
ალექსანდრე დოუმა, „მოგ ზურობა კავკასიაში“

იმ სალამოს თბილელი თეატრალები მეიერბერის „რობერტის“ საყურებლად მიეშურებოდნენ.

ქარვასლის ნინ, მოედანზე, დიდი შადრევნის კიდესთან, ზანდაროვები გენერალმა ბებუთოვმა გააჩერა. დიდი ხნის უნახავ მანანას გადაეხვის, პუბლზე აკოცა და სიყვარულით მოიკითხა. ზანდაროვს ხელი ჩამოართვა და ქათინაურიც უთხრა.

ზანდაროვი ოდნავ განზე გადგა. თავი აღამემნონ კენტერაძეს დაუკრა. ტანწერნეტა თავადს ბურთივით დამრგვალებული ცოლი მელავზე დაკიდებული მოჰყავდა. ზანდაროვმა უნებლიერ გაინია მათკენ, რათა გამოლაპარაკებოდა და ქათინაური ეთქვა.

აღამემნონ კენტერაძეს და მის ცოლს ყველანი თავს უკრავდნენ, ხელს ართმევდნენ და დიდის ამბით ესალმებოდნენ ხოლმე. ზოგს „ჭორების ბოლონიასი“ ეშინოდა, ზოგს „ქაჩალ კრასავიცასი“. ამ უკანასკნელს, სასახლის ნინ, ზოგჯერ იმ „ყვითელ ყუთთან“ ნახულობდნენ, რომელშიაც დამბეზლებლები მამხილებელ ნერილებს ყრიდნენ. ვორონცოვის თითქმის ყველა კმაყოფილი იყო, მაგრამ მაინც ყველა ფრთხილობდა და ზედმეტ ლაპარაკს ერიდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახლომახლო ესტატე ბერი და აღამემნონ კენტერაძე ტრიალებდნენ.

ზანდაროვს ჭორიკანა ცოლ-ქმარი არ უყვარდა, მაგრამ მათ საამებლად კარგი სალამი მუდამ პირზე ეკერა. ახლაც ისე მოიქცა, როგორც ჩვეულებრივ იქცეოდა.

- მაჭატას ვახლავართ, ფაცუნას გაუმარჯოს!
- უფალ გრიგოლს ვახლავართ.

კენტერაძეები ზანდაროვს შემოეხვივნენ.

ანახანუმის ვაუმა ზანდაროვს მოურიდებლად მიმართა:

- სამმანეთიანი მასესხეთ, უფალო გრიგოლ, ფუჩეჩი ფული არა მაქვს, თვარა აქ როგორ შეგანუხებდი!

აღამემნონ კენტერაძე ფულის სესხებით ყველას თავს აბეზრებდა და თუმცა ნასესხებს უკან არასოდეს აბრუნებდა, უარს იშვიათად ეუბნებოდნენ. ოღონდ ნათხოვნ თანხას უნახევრებდნენ ან მხოლოდ რამდენიმე გროშს იმეტებდნენ მისთვის.

გრიგოლმა ჯიბიდან ქისა ამოილო, თან ყასიდად დაატანა:

- ფული რად გინდა, ფაცუნა?
- აქტრისებს ბუკეტი უნდა ვუყიდო, უფალო გრიგოლ.

ქატაშაბ ქმარს ქოქოლა მიაყარა.

— ამოხერს ცოლისთვის და ქალისთვის ვერ მოუკლია და აქტრისებისთვის  
იზება!

— კარგი ერთი და, კნეინავ!

გამოექომაგა აღამემნონ კენტერაძეს გრიგოლი, რომელიც ულვაშებში  
იცინოდა.

კნეინა მატატა უარესად გაცხარდა.

— აი, მეხი კი დავაყარე მაგის მოტველეპილ თავსა. მაგის ქალშია შეიძიში  
თეატრის წინ საქვეყნოდ გამოჰკიდა და თავი მოგვჭრა, ანახანუმმაც ისე  
დაუწყევლა, როგორც ეყადრებოდა, მეც თვალებიდან ცრემლები მაღვრევინა  
და, უყურეთ, თვითონ აქტრისებს ეკურკურება!

ქალიშვილის აქტრისობას კნეინა მატატა ხალხში მოთქმა-გოდებით აღ-  
ნიშნავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუდამ თეატრის სალაროსთან იყო  
დარჭობილი, რათა ანას ჯამაგირი თვითონ აელო და მერე აღარ გამოეჩინა.

— რა ვქნა, გრიგოლჯან, — თავი დაისაწყლა აღამემნონმა, — ჩემი და ანას  
ნაძოვნი ფული ჩემს ცოლს ქისით წელზე ჰკიდია და ამგვარად გოუბედურე-  
ბულს გროში აღარ მაბადია, რომ სადმე პირი გევისველო.

კნეინა მატატა ქმრის ვალში დარჩენას არ აპირებდა, რაღაც უნდოდა ეთქვა,  
მაგრამ პირში წყალი ჩაიგუბა და ქალბატონ ზანდაროვის გაფითრებულ სახეს  
ცნობისმოყვარეობით დაამტერდა. იქვე ახლოს კნეინა გოსტაშაბიშვილმა  
გაიარა. ყველამ მას გააყოლა თვალი. მანანა აიმრიზა. რაღაცნაირად შეძურდა  
კნეინა გოსტაშაბიშვილის დედოფლური გავლა.

გენერალმა მანანა შვილივით დაარიგა:

— გაფრანცუზებულ კნეინებს ერიდე, ჩემო ტურფავ. მაგათ სხვა თილის-  
მები აქვთ და მორიდებითაც არაფერს ერიდებიან. ამას წინათ მთელი პეტერ-  
ბურგი ნესელროდეს პარიუში გაქცეულ რძალზე ლაპარაკობდა.

მანანამ ითაკილა. შეურაცხყოფილი სახე მიიღო. არ უყვარდა, როცა გა-  
დაკრულად მასთან მისი ქმრის კნეინა გოსტაშაბიშვილთან ყოფილ ურთიერ-  
თობაზე ლაპარაკობდნენ.

ბებუთოვმა ნათქვამი ქათინაურებით გამოასწორა:

— მანანაჯან! შენი პირიმზეობის ამბავს პეტერბურგამდე მიუღწევია.  
ჩეუნი სპარსეთელი ელჩი კნიაზი დოლგორუკოვი „ბოჟესტვენაია კრასავიცას“  
გეძახის. აქაური ლამაზები ხომ შურით იხოცებიან!

მანანას ხოტბა ესიამოვნა, გენერალს ტკბილად გაულიმა.

ცოტა ხნის შემდეგ, ქარვასლის მესამე სართულზე, თეატრის ვესტიბულ-  
ში, გენერალი ბებუთოვი ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებს შეეფეთა. დები  
დიდის ამბით მოკითხა, ქათინაურების გუდას თავი მოხსნა.

— მზეთუნახავებო! თქვენი სიტურფე სალაპარაკო საგნად გამხდარა  
ზიმნიდვარეცმი. ნინაჯან! გულახდილათ მითხარი, რამდენი შეუვარებულის  
ცოდო გადევს კისერზე? კატინჯაჯან! ბოროტი ენები ამბობენ, მინგრელიის

დედოფალი იმიტომ ჩამოპრძანდა ზუგდიდის სასახლიდან, რომ ორი დუეტი და სამი თავის მოკვლა მოახდინოსთ.

დებმა ჯერ გადაიკისეისეს, მერე გენერალს მომხიბვლელად გაულიმეს.

ამდროს მათ თვალი შეასწრეს ქალბატონ ზანდაროვს და მის ქმარს, მაგრამ მყისვე პირი მოარიდეს. გენერალმა ეს შენიშნა, ნიაზით ჰეითხა:

— ლამაზებო, იარალის ქალთან გაბუტული ხომ არა ბრძანდებით?

— არა... არ ვიცი. ერთი სიტყვით, ერთმანეთს პირს ვარიდებით, — უძასუხა უფრო თამამმა ეკატერინემ.

— რათა? რა არის მიზეზი?

— გენერალო, მიზეზი, ალბათ, თქვენც ეარგად მოგეხსენებათ!

— ნამდვილად არ ვიცი, კატინკაჯან! მთაში შამილს დავსდევ და თბილისში ათასში ერთხელ ჩამოვდივარ.

— კეთილშობილნი შეგვარცხვინა თავისი ქორნინებითა! — ტუჩების აბზუებით ნარმოთქვა სამეგრელოს დედოფალმა, როცა გენერალის გამომეტყველებაში ცნობისმოყვარე მიამიტობის გარდა სხვა ვერაფერი აღმოაჩინა.

ბებუთოვმა უცებ ნარბი შეჰერა. აქამდე ხუმარა და მხიარული რაღაცნაორად ჩაფიქრდა. ბოლოს თავისი აზრი სერიოზული კილოთი გაამხილა:

— ალექსანდრეს ქალებს ვერ დავუმალავ, რის თქმასაც სხვაგან ჭკუა არ მანებებს, ხელმნიფეს ჩვენი ხმალი სჭირდება, ვაჭრის ფული და... დარდანელი.

დები გენერალს გაკვირვებით მიაცეკერდნენ.

— ჰო, ნამდვილად ისეა, როგორც გითხარით. რუსეთი ყველგან ვაჭრებისთვის ომობს.

— როგორ? — ნამოიძახა აშკარად ნაწყენმა მთავრის ცოლმა, — მაშ, თქვენი აზრით, ერთი ყოფილა ვაჭრის ცოლიც და დედოფალიც?

— არა, დედოფალო! მე ეგ როდის მოგახსენეთ? — კინალამ გაჯავრდა გენერალი, მაგრამ სერიოზულ ტონს მაინც არ გადაუხვია, — ვინ უარყოფს, რომ ჩვენ ვაჭრებზე მაღალნი ვართ, სისხლითა და უფლებით? საიდან სადაო? მე სულ სხვარამ მაქვს აზრადა. თქვენ არ დაიჯერებთ, მაგრამ მე კი მჯერა, რომ რუსები ჩვენში ვაჭრებმა მოიყვანეს, თორემ ხელმნიფის სალდათებს მარტო ჩვენი მთები დააფრთხობდა. ამ სიშორეზე ტყუილად რათ ნამოვიდოდნენ? ნინ ვაჭარი მოდის, უკან სალდათი მოსდევს. შამილიც ანგლიჩანი ვაჭრების ფულით გვეომება და გვიმაგრდება. იმ ყაჩალს ზურგს უკან ხონთქარი და ანგლია რომ არ ედგეს, მთიდან ფეხით ჩამოვათრევდი. დარნმუნებული ბრძანდებოდეთ, ამაღამ ბევრი ანგლიჩანი შპიონი ჩვენთან ერთად მოისმენს „რობერტს“ და აქტრისებს ტაშს დაუკრავს. პოლიტიკა ჩვენს დროში სოვედა-გრების ფულით ეეთდება. მახლას!

დებმა ერთმანეთს ნარბის აწევით გადახედეს.

— ნინოს ლირსეული მეულლე, — ისევ სერიოზულად დასძინა ბებუთოვმა, — ეომედიასაც ნერდა და ეომერციული კომპანიის პროექტსაც ადგენდა.

ნინო ჭავჭავაძეს შუბლზე ჩრდილმა გადაურბინა, სახეზე წყენა გამოესატა. ალექსანდრე გრიბოედოვს ბებუთოვი რალაცნაირად უკავშირებდა ზანდაროვს.

ბებუთოვმა სიტყვა ბანზე ააგდო.

— ორბელიანების მანანა დაბერებას არ აპირებს. უკაცრავად, ლამაზებო, კურკას ნათესავებიც უნდა ვნახო.

დებს თავი დაუკრა და გატრიალდა. დებმა მას დამცინავი თვალები გააყოლეს. მათ სასაცილოდ არ ეყოთ გენერლის შეგონებანი.

— იჟ! დაბერებულა და ჭუა გამოსცლია, — თქვა ნინომ.

— მაგისი ხელქვეითნი სულ დეკემბრელნიარიან. აი, მიზეზი მაგის ამგვარი ლაპარაკისა, — დასძინა ეკატერინემ.

— მერე დეკემბრელნი ცუდნი არიან?

ნინოს ხმაში უკმაყოფილების კილო გაისმა.

დედოფალს მოაგონდა, რომ მისი და გრიბოედოვის ქვრივი იყო.

— არ ვიცი, როგორ გითხრა? — დაარღვია ნამიერი დუმილი მან, — ევროპულად აღზრდილნი ვართ და ვიცით, რომ დეკემბრელნი ფრიად განათლებულნი იყვნენ. მაგრამ რა განიზრახეს? პარიუმა თავისუუ დაახვია ულვაშკოკორა აფიცირებს. იაკობინელნი შეიქმნენ, გვარისშვილობა დაივინყეს და ცოფიანი რობესპიერის გილიოტინის დადგმა მოინდომეს სენატის მოედანზე. ლალატი ჩაიდინეს, მაგრამ ღმერთმა გვიხსნა და გადაგვარჩინა. იმპერატორს რომ სისუსტე გამოეჩინა, იმპერიაში ლომები ტომრებსა ზიდავდნენ, მაგისთანან კი...

დედოფალმა დას ბალუსტრადის სვეტთან მდგარი ზანდაროვის ნარმოსადეგი ფიგურა დაანახვა.

— მაგითირა გინდა სთქვა? — ჰეითხა ნინომ, — განა ეგ კაცი მუდამ სამეფო ლოუის გვერდით არა ზის?

— ჰმ...

— იცი, კატინჯა, მოდი, ყველაფერს თავი დავანებოთ. გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი, განა უფალი ზანდაროვი ლამაზი მამაკაცი არ არის?

— ლამაზია!

— და ძალიან შნოიანიც. ჩვენი ნრის ქალი მაგის საყვარელი შეიძლება გახდეს, ცოლი კი არასოდეს.

— მონ დიე! — შეჰყვირა ეკატერინემ.

ნინომ დას კნეინა გოსტაშაბიშვილი მოაგონა.

ქვრივის ერთგული სიყვარულით განთქმულ ნინოს ეკატერინემ შეუბლვირა და დაუტატანა კიდეც:

— ნინო, ვის ადარებ შენს თავსა? თუ ეგრეა, ბარემ ნესელროდეს რძალს გაეჯიბრე.

ნინომ სერიოზულად დაუბრუნა:

— ამბობენ, რომ რუსეთის პრემიერის რძალი პარიუში მარტო საყვარლების საძებნელად კი არ გაქცეულა, არამედ თავისუფლების საპოვნელადაც.

დედოფუალმა გაბრაზებით უპასუხა:

— გოსტაშაბებიდან ნარიშკინებია დავილად ახერხებენ თავის გამართლებას.  
ტრუობა და სიძვა ერთი და იგივე არაა!

— გეთანხმები, მაგრამ თუ პრემიერის რძალმა და მოსკოვის გუბერნატორის ქალმა თავი აინყვიტა, როგორდა უნდა გაეძლო კნეინა გოსტაშაბიშვილს ანდუყაფარისათვის? ამ კაცს ფეხები მტკვარში აქვს დასველებული, თავი კი მეთევზების ნავზე დადებული.

— ჭკუა სადა ჰქონდა, როცა მაგისთანა კაცს ცოლად მიჰყვებოდა?

— ამბობენ, — ნალვლიანად განავრძო ნინო ჭავჭავაძემ, — რუსეთიდან პარიუში ჩასული ქალები მეტი თავისუფლებით სარგებლობენ და იქ იმას პოულობენ, რაც სამშობლოში აკლდათ.

— რა დიდი ბედენაა პარიუში ზანდაროვის პოვნა!

— კნეინა გოსტაშაბიშვილი ჭკვიანი დედაკაცია. მაგის მსაჯულები ჩვენ ვერ ვიქწებით.

— კნეინა გოსტაშაბიშვილს ზანდაროვის საყვარლობა არ ეპატიება, მანანა გერმანოზიშვილს — ზანდაროვის ცოლობა.

— შეიძლება. მაგრამ, ჩემი აზრით, კნეინა გოსტაშაბიშვილი მანანაზე მანც მაღლა დგას.

— არა მგონია. ერთგან ბინიერებაა, მეორეგან — ანგარიში.

— ვითომ? თუ ორგანვე მიზეზი ერთი და იგივეა?

— მაინც რა?

— სასონარკვეთილება.

მთავრის ცოლს გაეცინა.

— ვერ დავიჯერებ. ასეთ დროს ყოველთვის შეიძლება გამოსავლის პოვნა, მტკვრის ხიდს არც ისეთი მაღალი მოაჯირი აქვს.

— ეგ ხომ სულმდაბლობა!

— არაფერი მესმის შენი, ნინო, არაფერი. ასეთი აზრები რამ გაგიჩინა?

— საყვედურით მიმართა დას ეკატერინემ, — ბებუთოვის ნათქვამბა ეგრე რათ აგაფორიაქა?

ნინოს სახე მოელრუბლა, ამოიოხრა.

— მე თვითონ გამოვიცვალე და სწორედ ეგა მწყინს.

— რამ გამოვცვალა, ნინო?

— სალონებმა გამომცვალეს.

— როგორ თუ სალონებმა?

— ფუქსავატობას და უშინაარსო ცხოვრებას ეხლა მეც ადვილად ვუ-რიგდები, — განავრძო დასევდიანებულმა ნინომ ისე, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, — ვგონებ, მაქმაყოფილებს კიდეც. კნეინა გოსტაშაბიშვილი კი, კარგად ვამჩნევ, ვერ ურიგდება ვერც გარეგნულ ბრნყინვალებას, ვერც შენილბულ პირფერობას. ხანდისხან იმასაც ვფიქრობ, რომ ზანდაროვთან თითქმის აშკარა ტრფიალი ჩვენს გამოსაჯავრებლად დასჭირდა.

- რა სისულელეს არ იტყვის კაცი! — მოურიდებლად დასცინა დამ.
- შეიძლება, შეიძლება ვცდები კიდეც, მაგრამ ის კი ცხადის ჩემთვის, რომ ქნეინა გოსტაშაბიშვილი ბედნიერი ადამიანი არ არის.
- ჩემი დარღიც ეგ იყოს! — ეკატერინეს სამეგრელოს დედოფლობა დაა-კინებდა და ქალაქელი ქალივით შესძახა, — თავში ქვა უხლია!
- ნინოს ენყინა.
- ვგონებ, უსამართლოდ უნდა ექცეოდე ქნეინა გოსტაშაბიშვილს, დე-დოფალო! მანანასთან ზანდაროვის დაქორწინების შემდეგ ეგ ქალი იმ კაცს ახლოს აღარ გაჰკარებია. განა ეს მის ღირსებაზე არ ლაპარაკობს?
- დამ ვერაფერი უპასუხა.

— საოცარია, — განაგრძო ისევ გულნალვლიანად ნინო ჭავჭავაძემ, — როცა მაგდას გულახდილობის სენი ერევა და ზოგჯერ ზოგ რამეს მეუბნება, მე თვითონ მაგონდება, რომ ის აღარა ვარ, რაც ნინათ ვიყავი. ნინათ მეც მაფრთოვანებდა მაღალი აზრიც და მაღალი მისწრაფებაც. სხვანაირად გრიბოედოვს როგორ შევიყვარებდი? საწყალი ალექსანდრე? ჩემს ქმარს რომ ეცოცხლა, ალბათ, ან დუელში მოჰკლავდნენ, ან ციმბირში გადაასახლებდნენ. ნეტავითუ გაეყვებოდითან დეკემბრელების ცოლებივითა? არ ვიცი... არ ვიცი. სადმე ჩაცეი რომ შემხვდეს, ეერაფრით ვანუგეშებდი. იმის გულისტკივილის მაღამო არც ახლა იშოვება. ყველა ისეთნაირად დაყრუცდა და გაინაბა, რომ ლამის არის მეც მაგდასავით ადამიანური კეთილდღეობის რჩმენა დავკარგო.

— რასაც შენ ლაპარაკობ, ეგ ქალის სადარდებელი არ არის. გაჩუმდი, გენაცვალე!

— კარგი, კარგი. მოდი, ზალაში შევიდეთ.  
გრიბოედოვის ქვრივმა სამეგრელოს დედოფალს მელავში მელავი გაუყარა და ლოუაში შეიყვანა.

### 3. ზარდის ახდის ნინ

**ამ ქვეყანას სტირდება არა ზურნა და დიპლიპიტო, არამედ  
როსინი და მეიერბერი.**  
გ. სოლოვიუბი, „ახალი თეატრი თბილისში“

დარბაზი მაყურებლებით იყო გაჭედილი.

იტალიელი მომღერლები თბილისელების საყვარელ „რობერტს“ ნარ-მოადგენდნენ. თანაც, ორი მოქიმე მომღერალი ქალის, სინიორა ვაზოლისა და სინიორა რამონის, პაექრობა უნდა გამართულიყო. ვაზოლისტები და რა-მონისტები მოუთმენლად მოელოდნენ ფარდის ახდას. ფოიებში, ლოუებში, პარტერში, იარუსებში, ქანდარაზე ცხარედ კამათობდნენ და ნამდაუნუმ ახსენებდნენ საყვარელი მსახიობი ქალების სახელებს.

— ვეუო, სინიორა ვაზოლი რომ თქვენგან მოწონებულ სინიორა რამონის სჯობიან, ამას კიდევ მტკიცება სჭირდება? მიკურნა, მამის სული ნუ წამინდება, — ხელების გაშლით ეუბნებოდა ძალზე წამონითლებული ხნიერი თავადი დარბაისელ კნეინას, რომელიც ხელის წყნარი მოძრაობით ისწორებდა კავებს და აუღელვებლად მძიმე-მძიმედ ლაპარაკობდა:

— თქვენგან არ მიკურნა, კნიაზო? აბა, ეგ რა სათქმელია? რა მოსატანია? სინიორა რამონის გინდა ხმა, გინდა სახე, გინდა ტანი, გინდა გრაცია ერთ რა-მედ ლირს. ფრანცუზები და ნემენცები თურმე სულ მარგალიტებს აყრიდნენ თავზედა და ფეხებში ოქროებს უბნევდნენ, ოლონდ აქ დარჩი და აქ იმღერეო. წარმოიდგინეთ, ვენეტიკიდან თურმე ნიგნი ნიგნზე მოსდის და დაბრუნებას ევედრებიან.

— როგორ გეკადრებათ, კნეინავ! — გაცხარდა თავადი, — ეგ ყველაფერი მტკინარი სიცრუეა, გულდანდობილობით ტყუილი სიმართლედ მიგიღიათ.

— ქრისტიანი ქალი ტყუილში გინდათ დამიჭიროთ, კნიაზო?

კნეინამ ტუჩები აიბზუა და თავადს ენა პირში ჩაუვარდა.

პარტერში:

— თქვენ ვინ უფრო მოგწონთ, მადმუაზელ? — ეუბნება ყმანვილი ოფიცერი კაფანდარა ქალწულს, რომელიც გაშლილი მარაოს ქვეშ ცბიერად იღიმება და შუშუნა თვალები უციმციმებს.

— მე? — კითხულობს ქალწული და მაცდურ ლიმილს ბაგიდან არ იშორებს.

— იქნებ თქვენ, ძვირფასო ანნეტ, არჩევანი არც ეი მოგიხდენიათ?

— მე... მე... რაღა თქმა უნდა, სინიორა ვაზოლი მომწონს.

ვაჟს ბლოგის მაღაზიაში სინიორა რამონისათვის ჰქონდა ვარდები ნაყიდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, განცვიფრებულის აღტაცებით წამოიძახა:

— ოჟ, მადმუაზელ! მეც ვაზოლისტი ვარ! ლმერთო ჩემო, ორივენი ერთი აზრისანი ვყოფილვართ. არ იცით, რას უნდა ნიშნავდეს ეს, მად-მუაზელ?

ვაჟი დეზიანი წალის წერით ქალწულის ფეხსაცმელს ფრთხოლად ეხება. ქალწული ნითლდება, მორცხვობს, თავს განზე აბრუნებს და ათროთოლებული, ჩურჩულით ამბობს:

— არ ვიცი...

იარუსზე:

გოლიათმა და ფაშფაშა დედაკაცმა გვერდით მჯდარ ჩია კაცს მკლავზე უჩქმიტა, მრისხანე თვალებით გადახედა და ბოხი ხმით დაემუქრა:

— გესმით, ბატონო, ფეოკლიტ გავრილოვიჩ? მეორედ აღარ გაბედოთ სინიორა რამონის დამდაბლება!

— ლმერთმანი! — შიშით წამოიქნავლა საბრალო სტოლნაჩალნიკმა, — ეგ აზრადაც არ მომსვლია... ლიზავეტა ფილიონოვნა... სინიორა რამონი საუკეთესო მომღერალი ქალია...

— რატომ არ გრცხვენიათ ტყუილის? განა თქვენ ყვავილები იმ გომბიო-საგან არ იყიდეთ, რომელსაც კალათაში სინიორა ვაზოლის სურათი ედო?

სტოლნაჩალნიკი სკამზე საცოდავად მოიკუნტა, ცალი ყურიდან ხელის უხერხული მოძრაობით სათვალეს დასამაგრებელი ჩამოუვარდა, განვრი-ლებული კისერი საყელოში ჩაიძვრინა, ცოლს საწყალი ღიმილით ახედა და ჭარხალივით განითლდა, რადგან მას ვაზოლიზე და რამონიზე უფრო მეტად ყვავილების გამყიდველი გოგონა მოსწონდა.

ლიზავეტა ფიოდოროვნამ ულმობლად დაბუბუნა:

— დაიხსომეთ, ფეოდატი გავრილოვიჩ, შინ რომმივალთ, სილას გაგანნავთ! იქვე:

— მაშ, ხვალ თორმეტ საათზე.

ფიცხად უთხრა კავალერიის ახალგაზრდა ოფიცერმა პირტიტველა ფლი-გულ-ადოუტანტს. ამ უკანასკნელმა იმავე ტონით დაუბრუნა:

— დიახ, სრულ თორმეტზე. კოჯირის გზაზე, ხევში. ჩემი პისტოლეტის ტყვია დაგიმტკიცებთ, რომ სინიორა ვაზოლი სჯობიან სინიორა რამონის.

ქანდარაზე:

— გეო, შენ ვისეენა ხარ?

დახლის რიკულზე იდაყვით დაყრდნობილი გეო, ფეხებიდან მოცვეთილი კინტო, თევზის თაბახით დამტარებელი, ცალი ხელით ლოყაზე დაგრეხილ ხალს აწვალებს, ნყლიანი თვალები ლამაზ კნეინებზე რჩება, ეშმაკურად იღი-მება და მეწვრილმანე საქულას, რომელიც ვაშლს ჩქარ-ჩქარა კბერს და მაიკ კურტანიძეს თვალებით ჭამს, დარდიმანდულად ეუბნება:

— მე იმისკენა ვარ, საქოჯან, ვინც ჩემკენ არის.

— ვაჟ! ეგ პევიცები ავლაბრის გოგოებად გინდა გაიხადო?

— ვითოშრა მოხდება?

— „ლამაზი ქალი სანდო არ არის!“

— ეი, ვერან, ეგ ხომ ანტონ კათალიკოზმაციცოდა? მაგისთვის უეჭველად „რიგოლეტო“ უნდა ნახო?!

ქუჩაში:

მოხდენილი კინტო გრძელი სასწორით ვაშლს წონის და მუშტარს ეუბნება:

— გასპადინ, ერთი იმ კოპნია ქალს უყურე, სინიორა ვაზოლივით არ მი-იკლაკნება! ვაჟ, რა კარგი რამ არის, ეგ გასაგლეჯი! ეი, ლამაზო, ჩქარა შინ ნადი, თორემ წვიმა მოვისწრებს.

კინტოს ლამაზი ქალის გოგმანზე თვალი რჩება, „დოლჩე ამორეს“ ჰანგზე ღილინებს და ამით გართულს სასწორის თეფში ხელიდან უვარდება. ვაშლები ფილაქანზე იბნევა. მუშტარი უარს ამბობს, ვაშლს აღარ ყიდულობს. ქუდმოხ-დილი კინტო თითქმის ყელის ანევით ეხვენება:

— მაპატიე, გასპადინ. ემსაათში ახალს აგინონი. სულ თურაშაულებს აგირჩევ!

- არ მინდა.
- ვაჲ, აღარ ყიდულობ?
- არა.
- ნეუშელი?
- რა თავს იგდებ, ბიჭი!

— ვაჲ, ამანონინე და აღარ მიგაქვს?

— მე სინიორა რამონის თაყვანის მცემელი ვარ, შენ კიჩემთან სინიორა ვაზოლი აქვ. მე ისიც მეყოფა... — მუშტარს თვალებში ცრუმლი ერევა, — რომ თვატრში ბილეთი ვერ ვიძოვნე.

კინტომ ქოჩორზე ქუდი შეისწორა, იქვე, ანთებული ფარნის ძირში, კურ-ტანზე სულთანივით მოკალათებულ მუშას გადახედა და დაეკითხა:

— სიმონჯან, ავაფარო თუ ჩავაფარო?

ლოუებში:

ქალბატონი ზანდაროვი მოპირდაპირე ლოუები მჯდარ მანანა ორბელიანს დროგამოშვებით უთვალთვალებს და გულში ამბობს:

— თუ მანანამ სინიორა რამონის დაუკრა ტაში და ვარდები გადაუყარა, მე სინიორა ვაზოლის დაუკრა ვტაშს და გვირგვინს მივართმევ მსახურების ხელით.

ქალბატონი ზანდაროვი ყურადღებად იყო გადაქცეული.

მეტოქე ქალებს გულდასმით ათვალიერებდა.

მისი დაკვირვებით, მანანა ორბელიანს ახალგაზრდა ანასტასია ორბელიანის თანაყოფა და ლეკურის განთქმული მოცეკვავის, დარია ბეგთაბეგ-გაშვილის მეზობლობა აპერებდა. სამეგრელოს დედოფალი ბევრს აგებდა იმით, რომ გვერდით ავადყოფობით პირნამხდარი და დაჩიავებული მთავარი ეჯდა. არც ბარონვსა ნიკოლაი გამოიყურებოდა რიგიანად. მანანამ შორიდან შეამჩნია, რომ მას ჯერ ხველება აუტყდა, მერე შიშით დაუნყო ხელსახოცს ყურება. მაიკო კურტანიძის გვერდით სასაცილო ბართლომე უფრო ეგდო, ვიდრე იჯდა, ხოლო კნეინა გოსტაშაბიშვილის ლოუის სილრ-მეში მიჩურთული, გრძელულვაშიანი ანდუყაფარი, ეტყობოდა, მთქნარების გუნებაზე ბრძანდებოდა, ან, გაიფიქრა პირგამხიარულებულმა მანანამ, მტკვარზე თევზაობას ოცნებობდა. სამაგიეროდ, მის გვერდით ულამაზესი და უმდიდრესი მამაკაცი იჯდა. თავისი უპირატესობის მთავარ ნიშნად მას სწორედ ეს მიაჩნდა.

მაშასადამე, თავისი ქმრით მას უფრო მეტად შეეძლო ეამაყა, ვიდრე ყველა მის მეტოქესა და მოქიშვეს.

ტკბილი ფიქრებისაგან ქალბატონი ზანდაროვი სამეფო ლოუები ვორონ-ცოვის გამოჩენამ გამოარკვია. ქმარს მიუბრუნდა, ხელზე ხელი დაადო და ალერსიანად უთხრა:

— გრიგოლ, ამბობენ, რომ ვორონცოვი ვაზოლისტია.

— ელიზავეტა ქსავერიევნა კი რამონისტი.

ალერსითვე უპასუხა ქმარმა და თვალი მაიკო კურტანიძისაკენ გააპარა.

## 4. ვაზოლისტები და რამონისტები

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს გაფურჩქვნილი იყო ორი პარტია და თითოეული მათგანი თავის პრიმადონას უჭერდა მხარს. ერთს უნოდებდნენ XXX-ზისტებს, მეორეს XXX-გისტებს.  
თ. დოსტოევსკი, „სხვისი ცოლი და ქმარი საწოლქვეძ“

ამასობაში ნარმოდგენაც დაიწყო, მაგრამ მაყურებლებს არც მუსიკა ესმოდათ, არც მსახიობების თამაშს უყურებდნენ, ისინი მოუთმენლად მოელოდნენ იმათ სცენაზე გამოსვლას, ვისთვისაც ოპერის თეატრისაკენ დილიდანვე მოისწრაფოდნენ.

რამონისტები აღტაცებით შვეგებნენ სინორა რამონის გამოჩენას.

ვაზოლისტები ტაშის გრიალით მიეგებნენ სინორა ვაზოლის.

— სინორა რამონი! — ყვიროდნვნ ერთნი.

— ევივა... სინორა ვაზოლი! — ყიუინებდნენ მეორენი.

— სინორა... სინორა... — ღრიალვბდა ქანდარა.

მესამე მოქმედების ანტრაქტში ნამდვილი ომი გაიმართა ვარდებით.

მოქმედების დამთავრებისთანავე სცენის სხვადასხვა მხრიდან ორი მოქმედე ქალი გამოვიდა. ყველანი ფეხზე ნამოიმალნენ. ტაშის გრიალი გრგვინვასავით მონადა. თეატრის დარბაზი ტაშით ზანზარებდა. სცენაზე ვარდის ნვიმა მოდოდა. ყველა ლოუიდან და იარუსებიდან ვარდებს ისროდნენ. სცენის რამპასთან, მომღერალი ქალების ირგვლივ, ყვავილების ძნებილაგდებოდა. თეატრის მსახურებს ზედიზედ შემოჰქონდათ დაფნის გვირგვინები და უზარმაზარი ყვავილებიანი კალათები. აღფრთოვანებული და გაშმაგებული მაყურებლები ტაშის გრიალით და გამაყრუებელი ყიუინით ეგებებოდნენ და აღტაცებული ნამოძახილებით აჯილდოებდნენ სახელგანთქმულ პრიმადონებს: სინორა რამონისა და სინორა ვაზოლის, რომელთაც არსად, არც მიღანში, არც ვენაში და არც პარიზში ამგვარი ტრიუმფი არ ენახათ და არ განეცადათ. ისინი თავის მოხდენილი და კვრით და მოკრძალებული რევერანსებით უხდიდნენ მადლობას მოჯადოებულ და თითქმის გონიერადაკარგულ მაყურებლებს.

დარბაზი ტაშის გრიალით ზანზარებდა.

პარტერში ვაზოლისტები და რამონისტები ერთმანეთს აეშალნენ. იარუსების მოაჯირებზე მომდგარმა მაყურებლებმა ყელის სიმები ჩაინყვიტეს და ხმაში ხრინნი გაუჩინდათ. ქანდარა გადმოვარდნაზე იყო და ისე ღრიალებდა, როგორც კვირა დღეს ბაზრის მოედანი. დარბაზში ტაშისა და ძახილის ქარიშხალი უფრო გამძაფრდა, როცა თეატრის დირექციის ნარმომადგენელმა ორივე პრიმადონას საჩუქრად ოქროს საათები გამოუტანა.

— სინორა რამონი... სინორა ვაზოლი...

აყვირდა პარტერი.

— ევივა... ევივა...

ტაში დაჰკურეს ლოუებმა.

— ბრავო... ბრავო...

გადმოჰქუხეს იარუსებმა.

— ევა... ევა... სინიორა... ბრავო, ბის... ბრავო, ბის... — ლრიალით აჟყვა  
პარტერს, ამფითეატრს, ლოუებსა და იარუსებს ქანდარა.

ქანდარის რომელილუც რიგში სკამის ზურგზე შესკუპებულმა ერთმა ანგალმა  
„ვიენილა მიავენდეტა“ - ს პანგზე შემოსახა პოპულარული სიმღერა დამტვრეული  
იტალიურით და ჩახლეჩილი ხმით. მენვრილმანე საჭულამ „რიგოლეტოს“  
პერცოგის არია ნამოინყო, ხოლო თევზით მოვაჭრე გეომ — „ah perche non posso“.

საერთო ალფრითოვანების დროს, პირველი იარუსის მოაჯირთან, ერთი  
კოპნიად მოპრანჭული კოლეუსე ასესორი მრისხანე სახით მოუბრუნდა  
გვერდმიმდგარ ფაქიზად გამოწყობილ კოლეუსე ისეკრეტარს, შეუტია, სრულიად  
უნებლიერ მუნდირიდან ღილია აგლიჯა, ცხვირის გარშემო დაუტრიალა  
და სეტყვასავით დააყარა:

— რამონი მზე არის ოპერისა, კარალევა აქტრისებისა, ბოლინია მუსიკისა,  
მშვენიერება სცენისა, ანუ...

— საოცრება უნიჭოებისა!

დაასწრო კოლეუსე კი სეკრეტარმა და კოლეუსე ასესორის ღილს მისწვდა.

— რა ბრძანეთ? რა ბრძანეთ?

— სინიორა რამონი არარაობაა, სინიორა ვაზოლი — კარალევა...

— დუუურაკ!

— ბრავო... ბრავო...

მოკამათეებმა პირი სცენისაკენ მიაბრუნეს და ტაში დაჰკურეს.

კოლეუსე ასესორმა დაიბუხუნა:

— სინიორა რამონი, ბრავო!

კოლეუსე სეკრეტარმა დაიჩიხა ველა:

— სინიორა ვაზოლი, ბრავო!

კელავ ერთმანეთს მიუბრუნდნენ, მამლებივით აიფხორნენ და საჩხუბრად  
მოემზადნენ.

მთელი თეატრი ფეხზე იდგა. ტაშის გრიალი არ თავდებოდა.

## 5. აზნაურთა ქადეარა

თავად ერისთავის თაოსნობით თბილისში ახლახან შეიქმნა ქართველ  
მსახიობთა დასი.

ვ. სოლოვიები, „ახალი თეატრი თბილისში“

ქანდარის სკამებზე ერთად გამნკრივებულ ქართული თეატრის მსახიობებს  
ქართლური სიდინჯე ხელს არ უშლით, აღტაცებით გამოხატონ თავიანთი  
ვაზოლისტობა და რამონისტობა.

ეს გადატაკებული აზნაურები ქართლის სოფლებში გიორგი ერისთავის გიერ არიან მოკრეფილნი და ჯერ ისევ სოფელში სამსახოობოდ ნავარჯიშევი. გათვან ჩამოყალიბდა პირველი ქართული დასი. ოპერის სცენაზე ხან ისინი თამაშობენ, ხან იტალიელი მომღერლები.

კონტრამარკები მათ ქანდარის დასაკავებლად ეძლევათ. მქუხარე ჭაშის გრიალში ყველაზე მეტად ისინი ავლენენ აქტიორულ ტემპერამენტს.

აქტრისებიდან სინიორა ვაზოლის ჭაშს სააკაძე და ტატიევი უკრავენ, სინიორა რამონის — ანტონოვა და ბაფეროვა. აქტიორებიდან სინიორა რამონით გოხიბლული არიან ტატიევი, კიკაძე და კორძაია, ვაზოლით — დვანაძე და ულიოზოვი. მხოლოდ რჩეულოვი ზის ბონაპარტესავით გულხელდა კრეფილი და ბაგეზე ირონიული ლიმილი დასთამაშებს.

ანა კენტერაძე, რომელიც ახლა ცალქალამანიძის გვარს ატარებს, ყურადღებად არის გადაქცეული და შეუმჩნეველი არ ჩება იტალიელი აქტრისების არც ერთი მოძრაობა, ინტონაცია, თამაშის მანერა და სცენური მოქმედების ყოველგვარი წვრილმანი. დროგამოშვებით თავისი ზღვისფრად გაციმციმებული თვალებით ქმრის კენ იყურება და ეუბნება:

— კარგები არიან, შესანიშნავად თამაშობენ!

მუდამ სერიოზული და დინჯიროინ ცალქალამანიძე ცოლს თავის დაკვრით ეთანხმება და თავის მხრივ, იტალიელი რეჟისორის მიზანს ცენებს უკვირდება. სცენაზე მოუქნელი მსახიობი რეჟისურაში იჩენდა ფხას. დეკორატორობდა, რეკვიზიტორობდა და დრამატურგობდა კიდეც. მარჯვე და ფხიზელი ორგანიზატორი დასის ხელმძღვანელის, გიორგი ერისთავის მარჯვენა ხელად ითვლებოდა. დაუზარებელსა და შრომისმოყვარეს თეატრი თავდავიწყებით უყვარდა. გიორგი ერისთავიც აფასებდა, მაგრამ თითქმის ზედიზედ დაწერილ პიესებს თვალის ერთი გადავლების შემდეგ უკანვე უბრუნებდა. სამაგიეროდ, ისიც და მაყურებელიც ანა ცალქალამანიძის ნიჭიერი თამაშით იყო აღტაცებული. ეს როინ ცალქალამანიძეს არც სწყინდა, არც შურდა, პირიქით, ცოლის ნარმატებით იყო გახარებული და ყველგან, სადაც სიტყვა მოიტანდა, თავმომწონედ აღნიშნავდა, რომ ბუნებით ნებარი ანა ერთნაირი ნარმატებით ასრულებდა როგორც ქარაფშუტა გოგოს, ისე ახალი აზრებით გატაცებული სერიოზული ქალის როლს.

ცოლ-ქმარი სინიორა ვაზოლისაც უკრავდა ჭაშს და სინიორა რამონისაც. ორთავენი თანაბრად მოსწონდათ.

— მამაშენი სინიორა ვაზოლის უკრავს ჭაშს, — თავდაჭერილი სიცილით უთხრა ცოლს როინმა და მესამე სარუსის რიგებში დედ-მამა დაანახვა, — დედაშენი კი სინიორა რამონის.

ანამ გაიცინა.

— დედაჩემიც იმიტომ არის გაბუსხული, თუმცა ფაცუნასათვის მაინცდამანც დროს არა კარგავს. უყურე, ლამის ხელები გადაიგლიჯოს ჭაშის ცემით.

— შენ ვის ემხრობი, ანა? — ჰკითხა სერიოზული კილოთი ქმარმა.

— ხელოვნებას მიკერძოება არ სჭირდება, — სერიოზულადვე უპასუხა  
ცოლმა, — ერთიცა და მეორეც ერთნაირ ნეტარებას გვგვრის!

— მართალი ხარ. ვერც ერთს ვერაფერს დაუწენებ, მაგრამ იქნებ მაგათ  
მარტო აქ ვუკრავთ ტაშსა, იქ კი, ვთქვათ, ვენეტიკში ან პარიუში, მაგათზე  
უნიჭონი ფართვაშებენ.

ცოლმა გაკვირვებით მიიხედა მისკენ.

ქმარმა დინჯად განუმარტა:

— ცხოვრების საკვირველებანი მსახიობებსაც გვეტყობა. რაღა შორს  
ნავიდეთ? გიორგი ერისთავი მეტიჩარა რჩეულოვს დიდ მომავალს უნინასწარ.  
მეტყველებს, მართლა ნიჭიერი დვანაძე კი ჩრდილში ჰყავს დაყენებული.

ანა უკმაყოფილოდ შეიძმუშნა.

— დვანაძემ სიტყვის შებრუნება რომ არ იცოდეს, მეტს მოიგებდა.

— სამავიეროდ, რჩეულოვი უვარდება ფეხებში გიორგი ერისთავს, დვანაძე  
კი ისე მოითხოვს თამაშს, როგორც ესმის და გაეგება. ვინ არის მართალი და  
მტყუანი, ეგ მე მეითხე! განა რომელიმე მიზანს ცენის გამო მეც არ მომდის  
დავა ერისთავთან?

— არ ვიცი, რითა ხარ უკმაყოფილო, როინ. დვანაძე ან დუბლიორად არის,  
ან ერთ კომედიამი სამროლს ასრულებს. შენ კი მარტო შენი საქმე გეეგითხება  
და პირნათლადაც უძლვები. ამიტომ გაფასებს გიორგი ერისთავი. შენ რომ  
მთელ დღეს არ დარბოდე, საღამოს წარმოდგენა არ შედგება.

როინმა ისევ დვანაძე ახსენა.

— სცენაზე რომ ღმერთს არ ვუქნივარ, ეგ მეც კარგად ვიცი. დვანაძეს რას  
ერჩი? ცხოვრებაშია ავყია, თორემ სცენაზე ყველას გვჯობნის.

— რჩეულოვს მავისთანა აზრების გამო არ უყვარხარ, როინ.

— ეგ რჩეულოვი რომელ თახჩაზეც გინდა დადო, მაინც რჩეულოვი დარ-  
ჩება. აბა, დვანაძეს გზა გაუხსენით, მაშინ ვნახოთ, ვინ არის ჩვენი ტრუპის  
მთავარი აქტიორი, მაგრამ, ეჲ! — ხელი ჩაიქნია როინ ცალქალამანიძემ, —  
ნიჭი რას გვიძველის, თუ ხერხიანიც არა ხარ? დიდთავა დვანაძეს სწორედ  
ეგ აკლია! ცხოვრებაც ისეთნაირად არის მოწყობილი, რომ ნიჭზე უფრო  
ხერხი ჭრის.

ანამ გადაიკისკისა.

— ფაცუნასავით ლაპარაკობ, როინ! ისიც სულ ხერხიანობას ქადაგებს და  
ხერხიანად გცინცლავს აბაზიანებსა და ორაბაზიანებს.

როინმა არ გაიცინა. ცოლი დაკვირვებით შეათვალიერა. სულ სხვა რამ  
უთხრა მას:

— თეატრმა სულ გამოგცვალა, ანა. ნინათ ეგეთ კისკისს შენგან ვინ გა-  
გონებდა? კარგად მახსოვს, ან რა დამავინყებს?

— ნუ გავინყდება, რომ უკვე აქტრისა ვარ. სცენიდან ცხოვრებაში ზოგი  
რამ მაინც მოგვყვება, — სიცილით დაუბრუნა ანამ.

როინს რაღაც მოაგონდა, ცოლს ალტაცებით უთხრა:

— ამას ნინათ სცენაზე შენი ცქრიალით გაკვირვებულმა გიორგი ერისთავ-  
გა მითხრა, თავში ქალაქური სცენები მიტრიალებს, თუ ოდესმე დავწერე, ანას  
ან ფრანცუუზენკა როზინას ვათამაშებ, ან პოლშელ მარსელინასო.

— ნუთუ მართლა? — გაუხარდა ანას, მაგრამ მის ნამოძახილში საყვედუ-  
რიც გამოკრთა, — შენ ეი დვანაძის გამო ემდურები გიორგი ერისთავს.

— ცხოვრების ავსა და კარგს თუ ვერ გავარჩევ, მაშინ ან თეატრი რად  
გინდა, ან ქვეყანაზე ყოფნა?

როინს ხმაში ნყენა დაეტყო, ცოლმა ეს შეამჩნია, სწრაფად მოეხვია და  
მოუალეოსა:

— ცხოვრების აზრს მეც მივაგენი და ბედნიერი სწორედ ამითა ვარ,  
ღმერთს მადლობას იმის გამო ვნირავ, რომ შენ შეგხვდი და შეგიყვარე! განა  
შენს ცოლს სხვა აზრი შეიძლება ჰქონდეს?

როინმა აგრიალებულ ქანდარას გადახედა და რაკი გიორგი ერისთავის  
აქტრისებსა და აქტიორებს მისთვის არ ეცალათ, ცოლის ხელი თავის ხელში  
აიღო და ეამბორა:

— რა კარგი ხარ, ანა!

— კარგი მაშინ ვიქნებით, თუ საზოგადოებას გამოვადექით.

— ჩვენი თეატრის და ამომავალი „ცისკრის“ აზრი განა ეგ არ არის?

— ეგ არის სწორედ. ცხოვრების ჩარხიც ისეთნაირად ტრიალებს, რომ  
დღევანდელს გუშინდელი უთმობს გზას. ხალხი სალათას ძილიდან ერკვევა  
და მალე ცხოვრებაში თავისი ნილის დადებას მოითხოვს.

„ბატონიყმობა რომ გადავარდება“, — მოაგონდა ერისთავის კომედიიდან  
როინ ცალქალამანიძეს ის ფრაზა, რომელსაც ვაჭრის ონბაზობით გამხია-  
რულებულმა თავადებმა ჯერ ყურადღება არ მიაქციეს, მერე კი აღმოჩენილი  
აყაყანდნენ. მოაგონდა და ცოლს ხმადაბლა უთხრა:

— ბატონიყმობის გადავარდნას ბევრი აღარაფერი უკავია. თავადობასაც და  
აზნაურობასაც ძირი მოეშლება. აი, ნახავ, ცხოვრების დიდ სცენაზე გლეხებაცი  
და ქალაქის მუშა-ხელოსანი გამოჩნდება. საქმარისია სოფლის გზებს დააკ-  
ვირდე და ქალაქის ქუჩებში გაიარო, რომ ეს დაიჯვერო!

ანას მოკრიალებულ თვალებში ერთდროულად გაეცირვება მაც გაიელვა და იმ  
აღჭაკებამაც, რომელსაც მას ყოველთვის სერიოზულიდა ცხოვრებაში ღრმად ჩახე-  
ლული ქმარი ანიჭებდა. ქმრის კუნ გადაიხარა, ბაგე ყურზე მიადო და ჩასწურჩულა:

— ეგ, თითქმის ეგრე, სიტყვასიტყვით, ვახტანგ ტაშირელმაცა თქვა.

როინ ცალქალამანიძემ ულრმესი პატივისცემით ნარმოთქვა:

— ჩინებული კაცია! პატიოსანი და განათლებული. „ცისკარსაც“ კარგად  
გამოადგება.

ცოლმა ქმარი პარტერში ჩაახედა და ბოლო სავარძლების რიგებში ქრის-  
ტინე მამრაძე და ვახტანგ ტაშირელი დაანახვა.

— მე მგონი, როინ, მთელ თეატრში მარტო ჩვენ და ეგენი არიან გარეშე  
ლაპარაკით გართულნი.

როინმა ხმამაღლუ შესძინა:

— აბა, სალაპარაკო მაგათ ექნებათ! სადაც არის, უნდა დაქორნინდნენ.

— იცი, როინ, რომ მაგათ დაახლოებას კნეინა გოსტაშაბიშვილმაც გაჰკრა ხელი?

— ეგ ძალიან მიკვირს, ანა.

— საკვირველი ქალია — თქვა უცებ დასევდიანებულმა ანამ, — ეგეთი მოუკარებელი რო არ იყოს, გულით შევიყვარებდი.

— არ ვიცი, რა გითხრა. კარგს მაინც დამაინც არ ლაპარაკობენ მაგ ქალზე,

— ჩაიდუდუნა ცალქალამანიძემ და თვალი ზანდაროვის ლოუაზე დარჩა.

— ვიცი, რასაც ამბობენ. მერე რა ვუყოთ? ჭორიკანების ენას ვინ გააჩვრებს?

— ეგ მართალია. რასაც კნეინა გოსტაშაბიშვილის შესახებ ლაპარაკობენ, მართალი რომ იყოს, მაშინ ამ მანდილოსნისა და ვახტანგ ტაშირელის მეგობრობას რითი და როგორ ავხსნით?

— განაჩენიც სწორედ მაგ კუთხიდან უნდა გამოვუტანოთ კნეინა გოსტაშაბიშვილს, — დასძინა ანამ.

ქმარი თავის დაკვრით დაეთანხმა.

— რა ღმერთი გაგინყრათ?! აქ აგიტყდათ კურკური?! — გაბრაზებით შემოსძახა მათ ბაფეროვამ, — ან სინიორა ვაზოლის დაუკარით ტაში, ან სინიორა რამონის.

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შესცინადა ტაშის დასაკურელად ხელები გაშალეს.

ცალქალამანიძეები სიცილით იხოცებოდნენ, როცა გახელებულ ბაფეროვას და ნერვიული კისკისით გაჭარხლებულ ანტონოვას ავლებდნენ თვალს.

იაფი ნარმატების მაძიებელმა რჩეულოვმა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს „ქურივის ლიმონების“ ავტორის ძმობით დაიგდო სახელი, ხმამაღლა დაიყვირა, რათა ყველას გაეგონა და ეს დასის ხელმძღვანელისათვის ეთქვათ:

— ვორონცოვიასე გაცხარებით ტაშს მარტო გიორგი ერისთავს უკრავდა, როცა „გაყრა“ პირველად ნარმოადგინეს.

ამაყადმიხედ-მოხედა, მაგრამ ტაშის გრიალში მისი ნათქვამი ვერავინ გაიგონა.

რჩეულოვმა ცხვირი ჩამოუშვა, თავისთვის ჩაიბუზდუნა:

— გოლდონი აქა ჰყავთ და ეგენი იტალიელი გომბიოებისათვის იფხრინებიან.

ქართველ აქტრისებსა და აქტიორებს მისთვის არ ეცალათ, აგუგუნებულ დარბაზს ყურისნამლები ტაშით და ყვირილით ჰყვებოდნენ და მზად იყვნენ, ქანდარიდან გადავარდნილიყვნენ, რათა სხვებზე მეტად გამოეხატათ თავიანთი ისედაც თავანყვეტილი აღტაცება.

მუდამ ქირქილა რჩეულოვმა ხელი უკმაყოფილოდ ჩაიქნია, სკამებს შორის გაძვრა, ქანდარიდან ბატონკაცურად გაბრძანდა და პატარა ფოიეში გასეირნება მოინდომა.

ბოლოს ცემაზე ხელი აიღო და მყისვე ფანჯრებს მიაჩერდა.

ქარვასლის ფანჯრებში ელვა იკლაკნებოდა.

გარეთ კოკისპირულად წვიმდა.

რჩეულოვმა კმაყოფილებით გაიღიმა.

— შენი ჭირიმე, ღმერთო! — თითქმის ხმამალლა შესძახა მან, — ფეხები ყველას წვიმაში დაუსველდება, მეფისნაცვალსაც, ელიზავეტა ქსავერიევნა-საც, ყველა ვაჟბატონს და ქალბატონს და... იმ გომბიოებსაც!

კიბეზე თავქუდმოგლეჯილი დაეშვა, რათა სადმე ქოლგა ეშვა, გიორგი ერისთავისათვის მიეგებებინა და სახლამდე მიეცილებინა.

## 6. იოსეპის ლადი

დაბრანძულ ხალათზე მას ძონძები ეკიდა, ფერხთ გარღევული და

დაგლევილი ფეხსაცმელები ეცვა.

ე. ვერდერევსკი, „პირაქეთა ურალიდან ამიერკავკასიამდე“

თბილისის ბნელ ქუჩებში კოკისპირულად წვიმდა.

ქარვასლის წინ ლანდოების, კარეტებისა და ეტლების გრძელი რიგი გაჩინდა.

კიბის ფოლორცებზე და შესასვლელებთან მსახურები გაშლილი ქოლგებით უცდიდნენ თავიანთ ბატონებს.

მაყურებლების უსაზღვრო აღტაცება წარმოდგენის დასასრულს შედარებით მკრთალი გამოდგა. ამის მიზეზი საშინელი წვიმა იყო. ყველა თეატრიდან გასვლას ჩქარობდა, რადგან წვიმის დროს თბილისის ქუჩები თვალისდახამხა-მებაში ჭოჭდებოდა, ტალახისა და ლაფის გამო გაუვლელი ხდებოდა.

მსახურები გაშლილ ქოლგებქვეშ მიაცილებდნენ თავიანთ ქალბატონებსა და ბატონებს ეტლებამდე.

ფეხით მოსულნი განუწვას ერიდებოდნენ, ქარვასლის დერეფნებში ცხვირ-ჩამოშვებულნი დაბორიალებდნენ და ყოველ გაელვებასა და ჭექა-ქუხილზე ერთმანეთს თავების ქნევით აცქერდებოდნენ. ისინი შურით უყურებდნენ ეტლების მფლობელთ და უკმაყოფილოდ ბურტყუნებდნენ: „თვით ავდარშიც ბედნიერნი არიან მდიდარნიო“.

ქარვასლაში უნესრიგო სირბილი გაიმართა. ზოგი გარეთ გასვლას ჩქარობდა, ზოგი უკანვე შემორბოდა გალუმპული და გაჯავრებული. ზოგი კიბეზე იდგა, ზოგი ფანჯარასთან და ყველა ამაოდ მოელოდა წვიმის გადაღებას.

ზანდაროვებს მეეტლემ და გრუმმა გაშლილი ქოლგები დაახვედრეს და კარეტამდე მიიყვანეს.

კარეტა მძიმედ დაიძრა ნიაღვარში.

თავსხმა წვიმაში უმოწყალოდ ინუნებოდა მეეტლე და კარეტის უკანა სადგომზე ჩამოკანტურებული გრუმი.

შავბნელ ზეცაში ელვა იკლაკნებოდა. ქუხდა. კარეტის პატარა სარკმლები ყოველ გაელვებაზე ნათდებოდა და მასში მსხდარ სახეებსაც ანათებდა. გრიგო-

ლიდაფიქრებული იჯდა. მანანა ამთენარებდა, ძვირფას მანტოში ჩატყუნებულს თვალები ელულებოდა და დროგამოშვებით პირჯვარს ზარმაცად იწერდა.

ნვიმდა.

ნვიმდა.

ნვიმდა.

ადიდებული სოლოლაკის ხევი ყურისნამღები ზათქითა და ხმაურით ოქ-  
ელუვდა გზას მტკვრის მიმართულებით. ნვიმდა. გადაუღებლად ნვიმდა. ო-  
რლა ცხენები გაჭირვებით მიარღვევდნენ ნიაღვარს. გამოცდილრუს მეტალეს  
მაგრად ეჭირა აღვირები, ელვასა და ქუხილზე აღვირიანი ხელით პირჯვარს  
იწერდა და მთელი მისი ყურადღება იქითკენ იყო მიჟყრობილი, რომ უკუნეო  
ლამეში კარეტა არ გადაბრუნებულიყო.

— უჟ! რა საძაგელი ლამეა, ძალლი არ გაიგდება კარში! — თქვა მანანამ.

გრიგოლმა ხმა არ ამოილო.

ცოლმა მის დუმილს ყურადღება არ მიაქცია, ნვიმის ნყალში დასველებულ  
ფეხსაცმელებს გადახედა და ფეხი შეინაცვლა.

უცებ მას ყრუ გმინვა მოესმა. გრიგოლმა ისევე დაიგმინა, როგორც ქორწი-  
ნების ლამეს ტაძარში, ჯერისწერის რიტუალის შესრულების დროს. მანანას  
ახლაც თვალები გაუფართოვდა, შეშინებულმა ნამოიძახა:

— რა დაგემართა, გრიგოლ?

ქმარმა ხმა არ გასცა.

— გრიგოლ, რა გემართება, გრიგოლ?

ზანდაროვი დუმდა, ხმას არ იღებდა.

ელვის შუქზე ერთი წამით განათებული მისი სახე ისე იყო გაფითრებული,  
ისეთნაირად დატანჯული და განანამები, რომ შეძრწუნებული მანანა უნე-  
ბლიერ კარეტის ზურგს მიეყრდნო და ერთხანს ვერც მან ამოილო ხმა.

ზანდაროვი ცოლის თანაყოფას აღარ გრძნობდა. ჭექა-ქუხილმა და კო-  
კისპირულმა ნვიმამ მის მეხსიერებაში მისთვის სრულიად მოულოდნელად  
ის ავდრიანი ლამე აღადგინა, როცა მას, შიშით დამფრთხალსა და მშიერს,  
მოუსაფარსა და უთვისტომოს, მხრით მიჟყავდა გერმანოზიშვილების ასული  
მთავარმართებლის სასახლისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ, უკვე გამოფხიზლე-  
ბულსა და დაწყნარებულს, თვითონვე უკვირდა, რომ მასარა მარტო მოაგონდა  
ის ლამე, არამედ ერთხელ კიდევ განიცადა იმღამინდელი ურვა და სიმძიმილი.

გაოცებულმა ხელის თითებით თვალები მოიფშვნიტა.

ზანდაროვი ფხიზელი გონების ადამიანი იყო, დარდსა და ფიქრს ახლოს არ  
იკარებდა და უზრუნველი ცხოვრების ყველა იმ სიამით ტკბებოდა, რასაც მისი  
ახლანდელი მდგომარეობა, ფული და ფულის ძალა ანიჭებდა. მაგრამ ერთხელ  
განცდილი და მასთან დაკავშირებული მოგონება უფრო ძლიერი აღმოჩნდა,  
ვიდრე მისი ცივი სოვდაგრული ანგარიში. შეიძლება იმიტომ, რომ ცოლთან  
ერთად პირველად მოხვდა კოკისპირულ ნვიმაში, ცოლთან, რომელიც იმ ავ-  
დრიან ლამეში მის მხარზე იყო მოკალათებული, ახლა კი კარეტაში თბილად

იყო შეფუტნილი და არ იცოდა ის და ვერც ვერასოდეს გაიგებდა, რაც მხოლოდ ზანდაროვმა იცოდა. მაშინაც და ახლაც ერთი და იგივე ქალი იყო. იმ დროს მისი გატონის ასული, ახლა მისი სჯულიერი მეუღლე. ამ საოცარი განსხვავების აზრს არ შეიძლებოდა რაღაც შინაგანი და შეუცნობელი ძალით არ შეერყია მისი რეინასავით დაუდრეკელი წონასწორობა, მტკიცე და ძლიერი ნებისყოფა. ყველაფერი ქვეშეცნეულად მოხდა, როგორც მაშინ, ქორწინების ღამეს, ტაძარში, მისი სალი აზრისა და ანგარიშისანი ვონებისაგან დამოუკიდებლად. ამიტომ გან ვერასგზით გაიგო თავისი ანაზდეული შეძრნუნების ნამდვილი მიზეზი. გის მეხსიერებაში მხოლოდ ერთი ნამით გაიელვა იოსების ლანდმა და... გაქრა.

— რა იყო, რა დაგემართა, გრიგოლ?

მოესმა მას შიშით აწრიალებული ცოლის გაბზარული ხმა.

ზანდაროვმა თავი მაღლა აიღო, გაკვირვებულმა იკითხა:

— არაფერი, არ ვიცი, რაზე მეტითხები?

ქალბატონ ზანდაროვს შიში უარესად მოერია, ღამის წყვდიადში ქმრის სახის გარჩევა სცადა და რაკი ქმრის უცნაური გმინვა ისევ ყურში ედგა, შეშინებულმა ნამოიძახა:

— როგორ თუ არაფერი? კაცის ფერი არ გედო სახეზე!

ცოლის ამ შიშნარევ სიტყვებზე ზანდაროვის ნინ ერთი ნამით ისევ გაიელვა იოსების ლანდმა. უნებურად ნამოსცდა:

— ჰო, ის ავდრიანი ღამე გამახსენდა და ჩავფიქრდი.

— რომელი ღამე?

— იმ ავდრიან ღამეს ისეთი რამ გადამხდა, რაც ამ ავდრიანმა ღამემ გამახსენა. იმ ღამესაც ასეთი ავდარი იყო.

— მერე? არ უნდა მითხოა, რა გადაგხდა იმ ღამეს?

გონს მოსულმა ზანდაროვმა ცოლს ცალყბად მიუგო:

— სოვდავარს სადა არ სჭირდება ხეტიალი. შენთვის სულ არ არის საინტერესო. სოვდავრების თავგადასავალი გერმანოზიშვილის ასულს არ აინტერესებდა. წელან არაჩვეულებრივად აფორიაქებულმა გახურებული შუბლი კარეტის სარკმლის მინას მიაყრდნო. მინაზე თქრიალით ჩამოდიოდა წვიმის წყალი.

წვიმდა.

წვიმდა.

წვიმდა.

წვიმდა როგორც იმ ღამეს.

იორღა ცხენები სოლოლაკის ქუჩების ნიაღვრებში დამძიმებულ კარეტას უფრო მიათრევდნენ, ვიდრე მიაგორებდნენ.

# კარი ოცდამეშვიდე

## 1. ეპიზოდი 1

ხან არას უფიქრობ, ხან ჰოს.  
ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“

იმ წელს გაზაფხულიც და ზაფხულიც გვალვიანი გამოდგა.

ზაფხულის სიცხით განთქმული თბილისი გავარვარებულ მზეში იწვოდა და ცხელი მტკვრის ბუღძი იყო გახვეული.

ფეხმძიმე მანანას ქალაქში ყოფნა გაუჭირდა. ქმარმა ცოლი კოჯორში აიყვანა. მანანამ იქ მესამედ მოიმშობიარა და მესამედაც გოგო ეყოლა. თე-თრმა ლიზამ ერთხელ კიდევ მიაყარა ქოქოლა რძალს. გრიგოლს პირი ისევ გაუყვითლდა, მაგრამ არც ახლა ამოილო ხმა.

ცოლს ქმრის უსიტყვეო საყენედური გულს განენონა, დადარდიანდა და ჩარიქრდა კიდეც.

დრო და ხანმა დარდიც დაუინყა და ფიქრიც.

ქმარს არც უკმაყოფილება ეტყობოდა, არც გულგრილობა. ცოლს კვლა-ვინდებურად ხელის გულზე ატარებდა, ყველა ნადილს უსრულებდა.

ზანდაროვების ცხოვრება გარევნულად აუღელვებლად მიმდინარეობდა.

ბატონი ქარვასლაში საქმობდა ან ფეხსაცმელების ფაბრიკის საძირკვლის გათხრას თავს დასტრიალებდა. ქალბატონი დილით ეკლესიებში ლოცულობდა, შუადლეს ბერმონაზვნებს შორის ატარებდა, საღამოს სალონს უძლვებოდა.

განაპირებული თეთრი ლიზა გასაღების ჭუჭრუტანიდან უყურებდა ნაირნაირ სტუმრებს. სადაც ვისმეს სადმე მოახელებდა, ყველას რძლის უმაღურობას შესტიროდა.

მალე ზანდაროვი მარსელში გაემგზავრა ფეხსაცმელების ფაბრიკის მანქანების ჩამოსატანად. საფრანგეთში მის ნასვლას ქალაქში მითქმა-მოთქმა არ შეუნელებია.

კნეინა გოსტაშაბიშვილს ზანდაროვი აღარ ავონდებოდა, მაგრამ ისე არსად გაივლიდა, რომ მის ზურგს უკან იმის სახელი არ ეხსენებინათ. მას ეს აინუნში არ მოსდიოდა. ქალბატონი ზანდაროვი კი იმრიზებოდა და გულში ქმრის ღალატის შიში უღვივდებოდა.

ეჭვი მას ნელ-ნელა შეაპარეს და თანდათან გაუცხოველეს.

„ჭორების ბოლინია“ და ესტატე ბერი უკვე საკმაოდ გაღიზიანებულ მანანას სულის მოთქმას აღარ აცლიდნენ, ზედიზედ მოპქონდათ მასთან ათას ადგილას გაგონილი ჭორითუ ქარაგმულად ნათქვამი სიტყვა. არც ქალბატონი

ზანდაროვი რჩებოდა ვალში. ორივეს გულუხვად აჯილდოებდა. ამან კიდევ უფრო მეტად წაქეზა ჭორიკანები.

კუნკულებიან ბერმონაზონს ფულის სიხარბესთან ერთად კნეინა გოსტა-გაბიშვილის გაკილვა იმისთვისაც სჭირდებოდა, რომ ის არასოდეს დადიოდა ექლესიში და არც მღვდლებს უშვებდა თავის სახლში აიაზმით გასანათლებლად. ეს არ მოსწონდათ არც მეფისნაცვლის ბობოლებს და არც ეგზარქოსის დეკანოზებს.

მაგდა გოსტაშაბიშვილის ზანდაროვთან ოდინდელი ურთიერთობა კარგი გასალა იყო იმისათვის, რათა ეკლესის მსახურებს ამ თავნება და მოუკარებელი კნეინასათვის სახელი გაეტეხათ.

ამიტომ ალწევდა ქალბატონ ზანდაროვის ყურებამდე ცილიც და ჭორიც.

ესტატე ბერმა მარჯვედ გამოიყენა მისი მალემრნმენობა და ეჭვიანობით ისედაც დაზაფრულ ქალს კნეინა გოსტაშაბიშვილის სიძულვილი კიდევ უფრო გაუძლიერა.

ხელცარიელი არც ესტატე ბერი დარჩინილა, არც ეკლესია.

ქალბატონ ზანდაროვს ყურში ჯერ ქმრის ხარჯზე ვერის ახალ უბანში ეცლების აშენების აზრი ჩაანვეთეს, მერე კი ამ აზრს აღარ მოეშვნენ და დღენიადაგ ლოცვებით გართული ქალიდაითანხმეს კიდეც. მის სახლში კიდევ უფრო გამრავლდნენ ბერმონაზვნები.

ქმრის უცხოეთში ყოფნის უამს ჭორიკანების ხელში დამარტოხელებული ქალბატონი ადვილად ჰყვებოდა მღელვარე ფიქრებს, თავის ტკივილი დასჩემდა და დასველებული ხილაბანდით თავნაკრულს უარესად შემოენთო ეჭვიც და შიშიც.

ისედაც ფიქრებამლილი კიდევ უფრო ააფორიაქა მარსელიდან მიღებულმა ბარათმა. მოკლე და სახელდახელოდ დაწერილ ბარათში მის ქმარს მისი ასჯერ პირზე კოცნა არ ავინუდებოდა, თეთრ ლიზასაც მოკითხვას უთვლიდა (მანანამ ზიზღით ასწია ნარბები), დავინუებული არც დავითი იყო, მაგრამ არც ერთ გოგოს არ ახსენებდა, თითქოს ისინი მისი შვილები არ ყოფილიყვნენ.

მანანას ბარათი ხელიდან გაუვარდა. მომავლის შიშმა პირველად გაპერა ფრთა. ქმრის დუმილის აზრი არავითარ ეჭვს არ იწვევდა. მის ბედნიერ და უზრუნველ ცხოვრებას უძეოდ გადაგება უქმნიდა საფრთხეს. შეძრნუნებულმა ეკლესიაში სიარულს მოუხშირა და მარჩიელებსაც მიმართა, რათა ან ლოცვა-ვედრებით, ან მჩხიბავის ბალახ-ბულახით სანატრელი ძე გასჩენდა.

ყოველ ცისმარე დღეს ღმერთს გულმხურვალედ ძეს ევედრებოდა.

უცხოეთიდან დაბრუნებულ ზანდაროვს თავის სახლის ზღურბლზევე ეცა საკმევლის სუნი. შებლი უკმაყოფილოდ შეჭმუხნა, მაგრამ კიბეზე თითქმის ეისრისატებით გამოგებებულ ცოლს მხიარული პირი უჩვენა, მოეხვია და ზილფ-ღანვები დაუკოცნა.

ქალბატონს ცათაფრენა შეუდგა. მყისვე დაავინუდა „ჭორების ბოლინიასა“ და ესტატე ბერის ნათქვამ-ნალაპარაკევი. ყოველგვარი ეჭვი ერთბაშად

გაუქარნებულდა. გახარებულსა და თავდავიწყებულს შეუმჩნეველი დარჩა, რომ  
მისმა ქმარმა არც ახლა მოიკითხა შვილები და არც მათი ნახვა მოისურვა.

ნასადილევს მარტო დარჩენილი ცოლ-ქმრის ტკბილად დაწყებულ მუსაიტს  
უსიამოვნების პირველი ჩრდილი მოეფინა.

ცოლმა ქმარს ვერის ახალ უბანში ეკლესიის აშენების თადარიგის დაჭერა  
სთხოვა. გამოცდილი ზანდაროვი მყისვე მიხვდა, თუ საიდან უტევდნენ მის  
ქონებასა და სიმდიდრეს ეკლესიის მსახურნი. წარბი მაღლა ასწია, ერთხანს  
დაფიქრებული იჯდა. მერე ცოლს, პირველად, ქორნინების შემდეგ, უკმეხად  
უთხრა:

— თუ ფრთხილად არ მოვიქცევით, ისინი ცარიელ-ტარიელზე დაგვსვამენ.

— ვინ ისინი?

— შენი ბერმონაზვნები.

მანანამ ითაკილა, იწყინა.

— ლვთის კაცებსა და მხევლებს ანგარების ბრალსა სდებ?

ზანდაროვმა ჩაიცინა.

— თუ ეგენი კალთაში ჩაგვათრინდნენ, თავიდან ვეღარ მოვიშორებთ.

მანანამ გერმანოზიშვილების ასულის ყველა ღირსება უკლებლივ დაიბრუ-  
ნა, ფეხზე წამოდგა და ქმარს უკმაყოფილოდ გადმოუგდო:

— უფალო ზანდაროვ, ღმერთმა სანატრელად გამხდარი ვაჟი რომ მოგვ-  
ცეს, ეკლესიის აშენება ყველაზე კარგი საშუალებაა.

ზანდაროვმა ცოლი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა. ჩატიქრდა. დუმდა.  
ფიქრობდა და ანგარიშობდა. ბოლოს უკმეხ სახეზე ისევ სინათლე მოიფინა,  
მაგრამ გულის სილრმეში ერთი გადაწყვეტილება მტკიცედ მიიღო. თუ საქმე  
მოითხოვდა, ცოლისთვის აღარ დაეთმო. საქმევლის სუნით გაუღენთილი სო-  
ვდაგარი საბოლოოდ დარწმუნდა, — ცოლთან ძველებური დამოკიდებულება  
მას ხელს აღარ მისცემდა, მით უმეტეს, რომ ის ისეთ რამეში ერეოდა, სადაც  
არაფერი ესაქმებოდა. დაკვირვებულმა ზანდაროვმა კარგად იცოდა, რომ მის  
სჯულიერ მეუღლეს ცხოვრების გამოცდილება აკლდა, არც ჭუას ატანდაძალას,  
არც ფხა ჰქონდა, არც გამჭრიახობა. ამიტომ მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი  
რჩებოდა. თუ აქამდე ცოლს ემორჩილებოდა, ახლა ცოლი უნდა დამორჩილებოდა  
მას. ყოველ შემთხვევაში, მასზე ფხიზლად უნდა სჭეროდა თვალი, რათა მისი  
მიამიტობით სხვებს არ ესარგებლათ და თვითონ თავიდან სოვდავრის ქუდი არ  
ჩამოვარდნოდა. ამ აზრმა მას მაიკო კურტანიძე მოაგონა და სიამით გაიღომა.

ფეხზე წამოდგა, ცოლი ოდნავ დარბილებული ხმით დაარიგა:

— შენ იმათ ეკლესიის აშენების იმედს ნუ დაუკარგავ. დაპეირდი, რა გე-  
ნალვლება! დანარჩენი მე ვიცი, ვითიქრებ, კარგად ავნონ-დავნონი. ეგ საქმე  
როგორ ხელსაც მოგვცემს, ისე მოვიქცევით.

გერმანოზიშვილების ასულმა სოვდავრული ანგარიშით გამოწვეული  
ზიზლის სახეზე ასახვა ვერ მოასწორ, რომ მისმა ქმარმა ქუდი დაიხურა და  
გარეთ კრინტის დაუძვრელად გავიდა.

— სადნავიდა? — გაიფიქრა შეშფოთებულმა მანანამდა ისევ აწრიალდა, ისევ გუმონთო ეჭვი და შიში, ისევ გაახსენდა „ჭორების ბოლინია“ და ესტატე ბერი.

## 2. აღამენონ პანტერაძის გაგონებაზე

ფული, ფული, ფული, და ყველაფერი, რაც კი ცხოვრებაში  
ფულით კეთდება.  
ჩარლზ დიკენსი, „ჩეუნი საერთო მეგობარი“

ერთხელ ქარვასლის კიბეზე აღამენონ კენტერაძემ გრიგოლი განზე გაიყვანა და უთხრა:

— გრიგოლ ბატონო, უცხოეთში ხშირად მიდიხარ და მოდიხარ, ან იქ, ან აქ უცხოელებთან ნამეტანი ნაცნობობა ხომ არა გაქვს?

— მაგას რაზე მეკითხები, ფაცუნა?

— იმიტომ, რომ შენს სახლში ესტატე ბერი ტრიალებს.

გრიგოლმა გაიცინა.

— იქ ახლა მონოზნებიც ბლომად ტრიალებენ.

ტანწერნეტა თავადმა კეფა მოიფხანა, თავისი აზრი გრიგოლს გადაკრულად გაანდო:

— მაგრამ ჯამაგირს ესტატე ბერი მეფისნაცილებს და ეგზარქოსნაც. დიდყაცებს თავიანთი მსტოვრები ჰყავთ, მაგრამ დიდყაცებსაც ხელმნიჭის მსტოვრები უყურებენ. ცხოვრება ასთეა მოწყობილი, გრიგოლ ბატონო! გრიგოლმა გაიკერვა.

— მერე მე რა შუაში ვარ?

— თუ ესტატე ბერმა მეინდომა, შუაში გაგრევს, გრიგოლ ბატონო!

— მერე ვინ დაუჯერებს?

— დოუჯერებენ, რახან დღე და ღამე შენს სახლში გდია.

გრიგოლს მოაგონდა, რომ აღამენონ კენტერაძეს რაც უფრო ამჩიტებულად მოჰქონდა თავი, ხოლო ესტატე ბერი რაც უფრო მეტს კურკურებდა და არძიყობდა, მით უფრო საშიშარნი იყვნენ.

ზანდაროვს პოლიტიკის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ვაჭრობის გამო ათასნაირ უცხოელს ხვდებოდა, ელაპარაკებოდა და ურიგდებოდა. მათ შორის სულთნის მსტოვრებიც იყვნენ და ინგლისის მეფის და საფრანგეთის იმპერატორის ჯაშუშებიც. მარტო ეს საკმარისი იყო იმისათვის, რათა თვითონაც სიფრთხილე გამოეჩინა.

გარეგნულად თავის შეშფოთება გრიგოლმა არაფრით არ გამოხატა. კენტერაძეს ყასიდად ჰქითხა:

— მაინც როგორ გამრევს შუაში?

— სიტყვას დაატრიალებს, გრიგოლ ბატონო.

- მერე მაგით რას დამაკლებს?
- აჲ, დაკლებით რას დაგაკლებს, მარა იმდენ ხანს გატარებენ აქით-იქით, სანამ დაცარიელებულ ქისას არ დაგაპერტყინებენ.

სოვდაგრის ქისას ბევრი მტერი ჰყავდა. გრიგოლი ჩაფიქრდა. ესტატე ბერი მას ისედაც არ მოსდიოდა თვალში, თუმცა მისი ცოლთან კურკური სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. მაგრამ ბერი ისევე საშიშარი კაცი იყო, როგორც აღაშემნონ კენტერაძე და მისგან შორს უნდა დაეჭირა თავი.

- ესტატე ბერს უბატონოდ ხმას ვერ გავცემ, გუდა-ნაბადს ვერ ავუკრავ,
- თქვა ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გრიგოლმა.
- ჰო. ძლიერნი მფარველობენ ესტატე ბერს, მარა...
- მაგრამ?
- მაი არც ისე ძნელი საქმეა.
- ხუმრობ, ფაცუნა?

— არა, გრიგოლ ბატონო. ეგ სულ ადვილად მოხერხდება. ეგზარქოსის კანცელარიაში ზოგს იმდენს გოდოუგდებთ, რამდენსაც მეითხოვენ, მეც იმდენს გადმომიგდებ, რამდენიც ჩემისთანა გაღლეტილ თავადს ეკადრება და ესტატე ბერს მონასტრის გზას გოუყენებენ. აპა, ბერს რა უნდა ლამაზი ქალების სალონებში?

- რამდენი დასჭირდება?
- სამი მანათი? აჲ, მაი არ ეყოფა!

გააკრიალა კარგად მოვლილი კბილები თავადმა.

— ეგ შენი ჯიბის სახარჯო იყოს, ფაცუნა, — სიცილითვე დაუბრუნა გრიგოლმა, რომელიც სახელგატეხილ აღაშემნონ კენტერაძეს სამ მანეთზე მეტს არასოდეს აძლევდა, — როცა ბერი საბეროში აღმოჩნდება, სამ მანეთზე მეტს მაშინ მიიღებ.

ივაჭრეს და შეთანხმდნენ.

### 3. ჩამომორიგული მატორე

ათასი საშუალება არსებობს იმისათვის, რათა ადამიანებს და  
კანონებს გავექცეთ.  
უორუ სანდი, „ლეონე ლეონი“

ერთ მშვენიერ დღეს ესტატე ბერი ერთი ბაყლის ცოლის სარეცლიდან წამოაყენეს და მკაცრად დატუქსეს, — ისევ იმ მონასტერში დააბრუნეს, საიდანაც მოსული იყო. მეფისნაცვალსაც და ეგზარქოსსაც მისი შველა უნდოდათ, მაგრამ ამ განზრახვას დროებით გაერიდნენ. ოლონდ ის მაინც გააკეთეს, რომეს დევური აღნაგობის ბერი მონასტერში ერთ ერთ ერთ განუაღმდეგ და ხმელ პურზე არ დაესვათ და სასტიკად განკანონებული ლოცვებით

ცურ-ხორცი არ დაეყრევინებინათ, რათა მას თავისი უნებლიერ შენყვეტილი მოვალეობა უფრო ხსომებოდა, ვიდრე ჩადენილი ცოდვა.

ესტატურებურმა იხტიობარი არ გაიტეხა, ყველა ნაცნობს ჩამოუარა და გამოეთხოვა. ქალბატონ ზანდაროვსაც ნინ დაეყუდა, მონასტერში ხელახლა დაბრუნების მიზე ზად თავისი ღვთისმოსაობა დაასახელა და ერთხელ კიდევ გააფრითხოლა:

— განარიდე ქმარი შენი სიძვის მაძიებლისაგან და ღმერთი არ დაგვარგავს. პირვევარი გადაწერა და წავიდა.

„ჭორების ბოლინიას“ ამარად დარჩენილმა მანანამ თავის ერთადერთ ჰატოვარს გასამრჯელო მოუმატა. მაჭატასაც სწორედ ეს უნდოდა. მან ერთ ქისში გამოჰკრა მომატებულიც და ისიც, რაც მისმა მოხერხებულმა ქმარმა ზანდაროვისაგან მიიღო. სამაგიეროდ, თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა.

მანანა მას ყველგან დაატარებდა, ყურმოკრული ამბების მოტანას ავალებდა. მაჭატამ ქმრის ღალატში დაეჭვებულ ცოლს ფეხი დააჭირა და ეჭვის ცეცხლი უარესად შეუკეთა.

„ჭორების ბოლინიას“ ხშირი მისვლა-მოსვლა გრიგოლს თვალში ეცა. მან ისიც შეამჩნია, რომ მაჭატას ნასვლის შემდევ მისი ცოლი გაფიტრებული გამოიყერებოდა. მყისვე თავისი საყვარლები გაახსენდა და „ჭორების ბოლინიას“ დაუსრულებელი ვიზიტებითავის საგულდაგულოდ შენიდბულ დროსტარებას დაუკავშირა. მაშასადამე, მას თვალს ადევნებდნენ და ზოგირამ მისმა ცოლმა, ალბათ, უკვე იცოდა. გერმანოზიშვილების ასული ძველებურად ამაყი იყო და ქმარს ღალატს არასეგზით არ აპატიებდა. გრიგოლმა შუბლი მოისრისა. შეფიქრიანდა. თეთრი ლიზას ბუზღუნით მობეზრებულს ცოლის საყვედურების მოსმენა და ოჯახში უნდობლობის გაძლიერება არ სურდა.

ვითარება სოვდაგრულად ანონ-დანონა და სოვდაგრული გამოსავალი იპოვა.

ენის ტრიალს მან იმით მოულო ბოლო, რომ „ჭორების ბოლინიას“ იმაზე მეტი მისცა, ვიდრე მისი ცოლი აძლევდა.

ახლა მაჭატა ეჭვიან ცოლს იმას უქარნყლებდა, რასაც ნინათ ისეთნაირად თხზავდა, რასაც თვითონაც იჯერებდა და სოვდაგრის პირვამეხებულ ცოლსაც აჯერებდა. მისი არგუმენტი ძლიერიც იყო და დამარნმუნებელიც:

— მაშ, მაშ, ყველაფერი სულ ტყუილი ყოფილა, მანანაჯან! განა არ იცი, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილს თმაში თეთრი გამოერია და ფრთამოტეხილი დაბრძანდება? აბა იმას ჩვენი ლამაზი გრიგოლი როგორლა გაეკარება?

ამგვარი მტკიცებით გატაცებულ მაჭატას ავინყდებოდა, რომ მანანას გიშრის თმაშიც რამდენიმე თეთრი ზოლი ბრნყინავდა.

ეს არც უზომოდ გახარებულ ქალბატონ ზანდაროვს მოჰვონებია. მას კნეინას ნათქევამი ენიშნა, რადგან ამას სხვებიც ამბობდნენ.

მაგდა გოსტაშაბიშვილს თანდათან ემჩნეოდა დაუდევრობა ჩაცმა-დახურვაში, მიხრა-მოხრაშიც და სახლში ჩაკეტილი თითქმის არსად აღარ დადიოდა, ისედაც მიუკარებელი, კიდევ უფრო მიუკარებელი გამხდარიყო.

როცა მაჭატა კენტერაძე ამას ამბობდა, არ ტყუოდა და ენა მხოლოდ იმის გამო ებმოდა, რომ პირველად ლაპარაკობდა სიმართლეს.

თბილისის საზოგადოების მაღალ ნრეში ერთბამად ყველამ შეამჩნია, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილს ნაბიჯი გაუტყდა, სიარული და მოძრაობა დაუმძიმდა, ოდნავ დასქელებული ძველ პენსა კარგავდა და ტანსაცმელსაც ისე მოხდენილად აღარ ატარებდა, როგორც ნინათ, როცა მასზე ყველას თვალი ჩატარდა.

ცოლ-ქმარს შორის ისევ დამყარდა ძველი ურთიერთობა. ოლონდ თუ ნინათ ქმარი პყვებოდა ცოლს, ახლა ქმარს ცოლი თავისი გზით მიჰყავდა, თანდათან აჩეევდა ცხოვრების ავანჩავანს და მალე იმას მიაღწია, რომ თვითონ ცოლმა დაუშალა ეკლესის აშენება ვერის ახალ უბანში.

გერმანოზიშვილების ასული ნელ-ნელა ერკვეოდა ოქროს ფასში, ადამიან-თაურთიერთობის ასავალ-დასავალსაც ალღოს ულებდა, გაძუნნდა ეიდეცდა გრიგოლი იმედს არ კარგავდა, რომ ადრე თუ გვიან, ის ქმრის ქონებას ისევე გადაეფაფრებოდა, როგორც მაიკო ბართლომე კურტანიძის ქონებაზე იყო გადაფაფრებული.

#### 4. ნვითანი ამინდის შიგი

დავინახე, როგორ უკანკალებდა მას ხელები.  
ონორე დე ბალზაკი, „ნითელი სასტუმრო თახი“

სოვდაგრის სახლში ცხოვრებას თავისი უნდა გაეტანა. თავადის ასულს თავადობა უნდა მოეშალა და სოვდაგრის ცოლობა დაენყო.

ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა.

ყველა დავა გადაწყვეტილი იყო.

მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა.

ზანდაროვების ოჯახში ისევე მოულოდნელად გაავდარდა, როგორც მოულოდნელი იყო ნაიოსებარი გრიგოლისა და ნაგერმანოზევი მანანას შეხვედრა, მათი ქორნინება და ერთად ცხოვრება.

სექტემბრის დამლევს ისეთი კოეისპირული წვიმა მოვარდა, რომ მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა.

ზანდაროვი განიერ სავარძელში არხეინად იჯდა და თავის დავთარსათვალიერებდა. ანგარიშობდა. მოსაგებსა და წასაგებს ერთნაირად აკვირდებოდა. ტუჩზე ნამდაუნუმ კმაყოფილი ღიმილი ენას კვებოდა, კმაყოფილების საბაბიც ჰქონდა და მიზეზიც.

ფეხსაცმელების ფაბრიკის მშენებლობაზე კალატოზებად არზრუმიდან გადმოხვენილი სომეხი ხელოსნები ჩალის ფასად ჰყავდა დაყენებული. კალატოზთა ამქარს ვერც დროშების გაშლამ უშველა, ვერც არზრუმელი ხელოს-

ნებისათვის ქვების დაშენამ. ამქრის ხალხის ლავლავზე ზანდაროვმა ყურიარ გაიპერტყა და რათა მის კალატოზებს ხელი არ შემლოდათ, ქისა გახსნა და ჰოლიციას გამოუძახა.

ცოლისძმამ გამჭრიახობა მოუწონა, ცოლმა — ხასიათის სიმტკიცე.

დღევანდელი მასლაათიც ცოლ-ქმარს შორის ამის გამო იყო გამართული.

ბატონი ზანდაროვი თავის დავთარს ჩაჟერებდა, ქალბატონი ზანდაროვი ტახტზე მოკეცილი იჯდა, ხელებზე გადაშლილი „დავითნით“.

გარეთ ცის კიდევგანი ავდრის ლრუბლებით ივსებოდა, მზე ხან ერთი ლრუბლიდან იჭვრიტებოდა, ხან მეორე ლრუბელში იმალებოდა.

ბუხრის თავზე მოოქრული ფრანგული საათი, რომლის ბუდე მოცეკვავე გარეიზი ქალებისა და ვაუების ნრეში იდგა, საამურად ტიკტიკებდა.

ოთახის მყუდროებას დროდადრო ლოცვანის სტრიქონების ბუტბუტი და დავთრის ფურცლების შრიალი არღვევდა.

ქმარი დავთრით იყო გატაცებული, ცოლი — „დავითნით“.

მათ არ შეუმჩნევიათ არც უეცარი ჩამობნელება ოთახში, არც წვიმის პირველი წინწერი წინწერი წინწერი გაუგონიათ.

როცა წვიმის ძლიერმა ჩქერმა მაღალი ფანჯრების მინები ააზრიალა, ქმარმა დავთრიდან აიღო თავი, ცოლმა — „დავითნიდან“.

— ეტყობა, მაგრად განვიმდება, — თქვა გრიგოლმა და ისევ თავის დავთარს მიუბრუნდა.

უცებ ცოლს იმ ავდრიანი ღამის თავგადასავალი მოაგონდა და ქმარს მიაცეკერდა.

დიდხანს უყურა.

გრიგოლს იმღამინდელი ზნისა თუ საქციელის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

დამშვიდდა.

წვიმის ძლიერ ხმაურზე ინსტინქტურად გადაინერა პირველი და მთქნარება აუტყდა.

ამ დროს ქმრის ალერსიანი ხმა მოესმა:

— თუ წვიმის ხმაური განუხებს, სულო, ფანჯრებზე ფარდებს ჩამოუშვებ.

— როგორც გინდა, გრიგოლ, — ალერსიანად უპასუხა ცოლმა.

გრიგოლმა ჯერ საათს შეხედა, მერე ფანჯარასთან მივიდა, ქუჩაში გადაიხედა და ერთ ადგილზე გაქვავდა. გამოფხიზლებულმა ცოლმა კარგად შენიშნა, თუ როგორ აუტოკრდა მხრები მის ქმარს.

— რა დაგემართა, გრიგოლ? — გაისმა ოთახში განანას შიშნარევი წამოხილი, მაგრამ მისმა ძახილმა გრიგოლის გონებამდე ვერ მიაღწია.

ერთხანს გაქვავებულს უცებისეთი კანკალი აუვარდა, რომ შეძრნუნებული მანანა ტახტიდან უფრო ჩამოცურდა, ვიდრე გადმოვიდა, ფეხზე ძლივს დადგა და ნაბიჯის გადადგმა ვერ მოახერხა.

— რა ვემართება, გრიგოლ?

კვლავ გაისმა მისი ზარდაცემული ძახილი, მაგრამ ვერც ამან მიაღწია  
გრიგოლის გონებამდე.

ფანჯარასთან გახევებული იდგა, ცახცახებდა და ქუჩას გაშტერებული  
გასცემოდა. მის თვალნინ, ქუჩაში, თავსხმა წვიმაში გზის გაგნებას ცდილობ-  
და ხეიბარი გლახა, რომელიც ბრმა უნდა ყოფილიყო, რადგან ჯოხი ხელიდან  
გავარდნოდა და ერთ ადგილზე უმნეოდ ტორტმანობდა. ტორტმანობდა,  
დელგმაში ილუმპებოდა და უკვე მუხლებამდე მომდგარი ქუჩის ნიაღვარი,  
სადაც იყო, წააქცევდა. როცა გლახამ ნიაღვარში ზღართანი მოადინა, ზანდა-  
როვმა ისევე დაიგმინა, როგორც ქორნინების დამეს ტაძარში და ოპერის დამ-  
თავრების შემდეგ — კარეტაში. მის თვალნინ ისევ გაიელვა იოსების ლანდმა.

მანანამ შეჰყვირა.

— რა გემართება, გრიგოლ? — ვერც ამ სასოწარკვეთილმა ძახილმა  
მიაღწია გრიგოლის გონებამდე.

მანანამ შეანჯლირია, გამოარკვია.

გრიგოლი მისეუნ ანგარიშმოუცემლად მოტრიალდა. მანანა ისევ ძრნოლამ  
აიტანა. მის ქმარს ისეთი მტანჯველი ტკივილით ჰქონდა პირისახე დაგრეხილი  
და ისეთნაირად დამახინჯებული, რომ მასში ლამაზ მამაკაცს ვერავინ აღ-  
მოაჩენდა. უცებ ნაუცბადევმა ღიმილმა გაუხსნა ოფლიანი შუბლის შეკრული  
ნაოჭები. ეტყობოდა, თანდათან ეწმინდებოდა გონება, მაგრამ მისი უადგილო  
ღიმილი ისე საწყალობელი იყო, რომ ყოველთვის თავდაჯერებულ მილიონერს  
ძალისა და ნების ნატამალიც არ შერჩენოდა. ასეთი გრიგოლ ზანდაროვი მის  
სჯულიერ მეუღლეს არასოდეს ენახა.

— რა დაგემართა, გრიგოლ? — გაიმეორა საშინლად გაოცებულმა მანანამ.

გრიგოლმა უნებლიერ შუბლზე ხელი მოისვა, ოფლის კოკრები მოიწმინ-  
და. ფერნასულ ცოლს ისევ წელანდელი საწყალი ღიმილით გაულიმა, თვალი  
ვეღარ გაუსწორა და თავი საცოდავად ჩატეინდრა. ასე გრიგოლ ზანდაროვი  
არასოდეს იქცეოდა. ქალბატონი ზანდაროვის ნინ სულ სხვა კაცი იდგა.

— რა დაგემართა, გრიგოლ? — კვლავ ნამოიძახა და ხმა ჩაეხლიჩა.

უკვე დაწყნარებულ ზანდაროვს წელანდელი უცნაური მოქმედება ხელე-  
ბის კანკალზელა ეტყობოდა. გაოგნებული მანანა ახლა ამ ხელების ცახცას  
უყურებდა და გაცრეცილ ბაგებზე ერთი და იგივე კითხვა ეკერა:

— რა გემართება, გრიგოლ?

მოსულიერებულ გრიგოლ ზანდაროვს ერთხელ კიდევ გაუკვირდა, რომ იმ  
ავდრიანი ღამის მოგონება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მისი მუდამ ფხიზელი,  
ალმასივით გალესილი, წინდახედული და ანგარიშიანი ჭკუა-გონება.

აღარ იცოდა, რა ეთქვა, რით ემართლებინა თავი.

გრძნობდა, რომ ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა. ვეღარაფერი უშველიდა და  
თავს ვერასვზით ვერ გაიმართლებდა.

თამამი და ნებიერი გრიგოლ ზანდაროვი ხაფანგში დაჭერილი ნადირივით  
იყო დამფრთხალი.

## 5. ტყუილი

ს. ნუ მიყურებ ეგრე ნარბშეკრული, მე ახლა ისე არაფრის არ მეშინიან,  
როგორც მაგ თვალების.  
თომას მური, „ლალა რუკ“

როცა ცოლის ყრუ ქვითინი მოესმა, მან ნელა ასწია თავი და მყისვე განზე  
გახედა, ცოლს ცრემლები ახრჩობდა, მაგრამ მაინც მოახერხა თავისი დაუს-  
რულებელი კითხვის გამეორება:

— რა დაგემართა, გრიგოლ?

გრიგოლმა გაკვირვება სცადა. ცოლს გაოცებული მიუბრუნდა:

— არ ვიცი... არ ვიცი, რას ამბობ? რა უნდა დამმართოდა?

— როგორ თუ არ იცი? კაცის ფერი არ გედო სახეზე, როგორც იმ დროს...  
ქორწინების ლამეს... კარეტაში... იმ საშინელ ავდარში...

გრიგოლი თავშაქინდრული იდგა. არ იცოდა, რაპასუხი გაეცა ცოლისათვის.

ნამდვილი მიზეზის თქმა ოჯახს დაუნგრევდა და თვითონ მას ულმობლად  
დაბლადანარცხებდა და დაამხობდა, ტყუილი კი ვერ გაჭრიდა, რადგან მისი  
ცოლი მესამედ ხდებოდა მისი უცნაური ქცევის მონმე.

გრიგოლმა შუბლი თითებით მოისრისა. ერთადერთ შესაძლებელ განმარ-  
ტებას ჩაეჭიდა, მისი გამოყენება სცადა, ხმა დაირიბილა და ცოლს ისე უთხრა:

— რად გაგიკვირდა, სულო? ასეთი ავდრები ერთ რამეს მაგონებს და  
მტანჯველი ფიქრები მეშლება... აკი ერთხელ გითხარი, რომ სოვდაგრული  
ხეტიალის დროს...

ცოლმა ხელის აწევით შეაწყვეტინა.

— ისევ ეგ გინდა მოჩმახო? არა, ეგ არ არის შენი ტანჯვის მიზეზი. ისიც  
ვიცი, რომ ავზნიანი არა ხარ. არა! აქ სულ სხვა მიზეზია! წვიმიანი ამინდი  
გუნებას გვიფუჭებს, მაგრამ კაცის სახეს არ გვაკარვვინებს. ტყუილად გინდა  
მომალორო?

— რატომ არა გჯერა, სულო? თუ შენ არ იცი, მე მეითხე, სოვდაგარს სად  
არ უხდება სიარული, სად რა ხიფათი ელის, სად ვინა მტრობს და აღარიბებს  
ეიდეც. ყაჩალები ფოშტის ეტლს ესხმიან თავს, ვაჭრის ქარავანს ვინ დაინდ-  
ობს? რატომ არ გინდა წარმოიდგინო, რომ ერთხელ, ახალგაზრდობაში, ისე  
გამიჭირდა, რომ გლახად გადაქცეული და მშიერი ასეთ ავდარში კარდაკარ  
დავნანნალებდი, მაგრამ კარს არავინ მიღებდა, როგორც იმ გლახას...

— ვინ გლახას? — შეაწყვეტინა ცოლმა და სახეზე ისევ ეჭვის ჩრდილმა  
გადაურბინა.

— ფანჯარაში გადაიხედე და დაინახავ.

მანანა ფანჯარასთან მივიდა, გულგრილად გადახედა ნიალვრის ტლაპოში  
გართხმულ გლახას და ზიზღით წარმოთქვა:

— იჲ, დამთვრალა და ტალახში გაშოტილა!

გრიგოლი უსიამოვნოდ შეირხა, რადგან კვლავ მოელანდა ავტორიან ღამეში ადამიანებისაგან განწირებული და მოუსაფარი იოსები. ოდნავ გალიზიანებულმა ცოლს გაჯავრებით გადაუგდო:

ერთხელ მეც ეგრე ვეგდე ტალახში.

ეგრე ეგდე?

— ჰო, ეგრე. ეგ რომ მაგონდება, გონება მემლვრევა და ის მემართება, რაც შენ გიყვირს და მიზეზი ვერ გიპოვია. მიზეზი ეს გახლავთ, ენეინავ!

— იფ! როგორ მოგწონთ? — ნამოიძახა ერთი ნამით გამხიარულებულმა მანანამ და სოფლურად დაამთავრა, — იარალ გერმანოზიშვილის ასული ნაგლახარის ცოლადა?!

გერმანოზიშვილების ასულმა ისეთი სიმართლე თქვა, რომ გრიგოლმა გამომწვევ ლაპარაკს სიფრთხილე ამჯობინა, გალიზიანებული ტონი ისევ ველრების კილოთი შეცვალა.

— დამიჯერე, სულო!

ცოლი სწრაფად მოტრიალდა მისკენ.

— მაშ, ტალახში ეგდე?

— ჰო, ტალახში ვეგდე.

— შენ? მილიონერი? ეგ არის დაგიჯერე!

— დამიჯერე, სულო!

— დაუჯერებელს როგორ დაგიჯერებ?

— რომელი ხატი დავიფიცო?

— ფიცი რად მინდა? საბუთი ხელთა მაქვა.

— რა საბუთი?

— აი, თუნდაც ეს ავდარი.

— ჰო, — მყისვე ჩაეჭიდა მის ნათქვამს ქმარი, — ეს ავდარი და ის გლახა რომ არა, მე ისევ ჩემს დავთართან ვიჯდებოდი.

— მაშ, წვიმის შიში გქონია?

ქმარმა ვერაფერი უპასუხა.

ცოლმა თვალი თვალში გაუყარა და ისე განაგრძო:

— მაშ, მარტო ავდარში გემართება ეგრე? თქვი და დაგიჯერებ.

— მარტო ავდარში, — მცირე ყოყმანის შემდეგ უპასუხა ქმარმა.

ცოლმა დაუყოვნებლივ მიახალა:

— ჩვენი ქორნინების ღამეს არც წვიმა იყო, არც ავდარი.

გრიგოლს ენა დაება.

ისევ ნადირივით აღმოჩნდა ხაფანგში გაბმული.

ცოლმა ნიშნის მოგებით შეათვალიერა, დავინყებული მოაგონა:

— ერთი კვირა მექორნილენი შენს უცნაურ საქციელზე ლაპარაკობდნენ. განა დაგავინყდა?

მას მართლაც დავინყებული ჰქონდა ის, რასაც ახლა ცოლი ეუბნებოდა. ალბათ, იმიტომ, რომ ნათია უფრო იშვიათად აგონდებოდა, ვიდრე იოსები.

ერთი წამით დუმილი ჩამოვარდა.  
გარეთ წვიმა ისევ ხმაურობდა.

ბუხრის თავზე საათმა ხუთჯერ დარეკა, მარკიზა ქალების და მარკიზი ვა-  
ჟების ფიგურებმა მრგვალ საათს გარშემო შემოუარეს და ისევ თავ-თავიანთ  
ადგილზე გაჩერდნენ.

— შენი საქციელის მიზეზი სულ სხვა არის.

ძლივს მოესმა ცოლის მოულოდნელი საზრიანობით გაშტერებულ ქმარს.

— დამიჯერე, სულო!

უეცრად აღმოხდა მას და ხმა გაეპზარა.

მანანას სული შეუგუბდა.

ჩვეულებრივ მისი ქმრის ხმა ზარივით რეკდა და ნაცნობებიც მას იმ იტა-  
ლიელ ბარიტონს ამსგავსებდნენ, რომელიც რაღაც ავადმყოფობას გადაჰყვა  
და ახლა სოლოლაქში კათოლიკეთა ეკლესიის ეზოში განისვენებდა.

ქმრის გაბზარულ ხმაში ცოლმა ვედრებისა და პატიების კილო აღმოაჩინა.

სავსებით ამჟარა იყო, რომ მას ქმარი რაღაცას უმაღლავდა და სიმართლის  
თქმას არასვით არ აპირებდა. მის უცნაურ ქცევაში ქალს მხოლოდ ქალის  
მავნე გავლენა შეეძლო აღმოეჩინა. „განა ასე არ ემართებათ იმ კაცებს, — მოა-  
გონდა ქალბატონ ზანდაროვს, — რომელთაც თათრის მოლას აღმოსავლურ  
ნამლებს ასმევენ თავდავინყებით შეყვარებული ქალები“.

ძეელი ეჭვი ისევ განუახლდა და ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ქმარი  
მას კნეინა გოსტაშაბიშვილთან ღალატობდა. სახეზე სიბრალული გამოესახა  
და თანაგრძნობით წარმოთქვა:

— შენ ჯადოთი ხარ შეკრული, გრიგოლ!

გრიგოლს გაუკვირდა.

— რა ჯადო? რის ჯადო?

თავმოყვარეობამ გერმანზიშვილების ასულს ნება არ მისცა, ქმრის საყ-  
ვარელი ეხსენებინა, ოლონდ ნათქვამს გაჯავრებულმა დასძინა:

— იმ ქალს უნდა ჩემი თავი შეგაძულოს...

თავისი სიტყვების თვითონვე შერცხვა, სახეზე ხელები აიფარა და ოთა-  
ხიდან გავარდა.

გრიგოლმა შვებით ამოისუნთქა.

მისი ცრუმორნმუნე ცოლი მის უცნაურობათა მიზეზს რაღაც რომანულ  
ამბებში ნახულობდა, მაგრამ გაკვირვებით ეს არ გაჰყვირვებია, რადგან  
ნამდვილ მიზეზს ვერც მისი ცოლი და ვერც სხვა ძებორციელი ვერასვით  
მიაგნებდა. ამიტომ მხოლოდ ასეთი სულელური ახსნისათვის რჩებოდა ად-  
გილი. გრიგოლი წელში გაიმართა. გამოსავალი მას თვითონ ცოლმა ანიშნა  
და წელანდელი შიშისა და მღელვარების ნატამალიც არ შერჩა.

დედაკაცისა და მამაკაცის ურთიერთობანი ადვილად მოსავლელი იყო.  
საქმარისი იყო ქისიდან ერთი ოქროს თუმნიანის გადაგდება, რათა „ჭორების  
ბოლინიას“ მისთვის „იმ ქალის“ სახელი ეთქვა.

ავდარი გამოდარებას აპირებდა გარეთაც და ზანდაროვების ოჯახშიც.

ქარიშხალმა ერთხელ კიდევ ჩაიარა.

გრიგოლი დამშვიდდა, ისევ თავის დავთარს დასწუდა და ყურადღებით გადაშალა.

აფორის ქებული მანანა კი მოუთმენლად მოელოდა გათენებას, რათა სისხაშ დილით წმინდა ბარბარეს საყდარში გაქცეულიყო და ხატზე მარჩიელის შელოცვილი სამკაული ჩამოეკიდა. ამ სამკაულს კნეინა გოსტაშაბიშვილის ჯადო უნდა დაეშალა.

## 6. მარჩიელთან

ქა, ოთხი კიკოც ერთად, ეს რა კარგი ქალალდია! გაბრიელ სუნდუკიანი, „სალამოს ერთი ცხვირი ხეირია“

მეორე დღეს ქალბატონმა ზანდაროვმა წმინდა ბარბარეს საყდარში თავისი ძვირფასი საყელური ჩამოჰკიდა, ხატებს სანთლები დაუნიო. დიდხანს იღოცა და შინ იმედმოცემული დაბრუნდა.

წმინდა ბარბარეს საყდარში თვალდაკრულები, ეშმაკეულნი, ავზნიანები, სურავანდიანები, ნითელქარიანები, დავრდომილნი და ხეიბარნი შეთქმულ საგნებს სწირავდნენ და სწამდათ, რომ შენირული სამკაულებითა და შეღბილი მძივების ასხმულებით განიკურნებოდნენ და ჯანთან ერთად სულის სიმშვიდეს დაიბრუნებდნენ.

ამ რწმენით სულდგმულობდა ქალბატონი ზანდაროვიც, მაგრამ მან მხოლოდ წმინდა ბარბარეს არ მიმართა დასახმარებლად. განდობილმა მოახლემ იგი ხიდის ყურში, შაპ-ის მაილის მეჩეთის მახლობლად სწავლულ და გრძნეულ მოლას სახლში შეიიყვანა. მოლას ავგაროზებთან ერთად აღმოსავლური ნაყენიც გამოართვა და ქმარს ჩუმად ლვინის ფიალაში ჩაუსხა. როცა ქმარი ფიალას ცლიდა, ცოლი დაზეპირებულ თათრულ სიტყვებს ბუტბუტებდა. მაგრამ არც ავგაროზმა გაჭრა, არც თათრის მოლას იმ ნამალმა, რომელსაც გრძნეული სწავლული უცნაურ არაბულ სახელს უნოდებდა.

ჭორიკანების სიტყვით, გრიგოლ ზანდაროვი ისევ ხვდებოდა თავის საყვარელს სასტუმრო „სანკტ-პეტერბურგში“. გამნარებულმა მანანამ ახლა განთქმულ მარჩიელს მიმართა და ავლაბარში, თაიროვის ქუჩაზე გაჩნდა. გაქნილმა მარჩიელმა ნინასნარ გაიგო, რა დარდს მოეყვანა მასთან ლამაზი კნეინა, ხოლო საამისოდ განაფულმა მოახლემ სულმთლად გაუადვილა მას გულუბრყვილო ქალბატონის თავბრუდახევევაც და ქისის დაცარიელებაც.

როცა მანანა მარჩიელის ოთახის ზღურბლზე გადადიოდა, ბნელი კუთხიდან ვიღაც დედაკაცმა მხიარულად შემოსძახა:

— დილა მშვიდობის, მანანავ!

განანა განცვითურდა.

— შენ ვინ გითხრა ჩემი სახელი?

— უიმე, მაძრის მკითხავი ვარ, თუ ესეთი უბრალო რამეებიც არ მეცოდინება? ტყუილად მეძახიან შავ ნინუასა და ოთხაბაზიან მკითხავსა? შენ მდიდარი ზანდაროვის ცოლი არა ხარ?

— ჰო.

— შენი ქმარი აზნაური მცვილია, შენ კი კნეინა ბრძანდები, განა?

— მართალია.

— შენ ხანჯლით მოკლული კნიაზ იარალის ქალი არა ხარ?

— ჰო.

— შენი ძმა პოლკოვნიკი დავით გერმანოზიშვილი არ არის?

— ჰო, ეგეც მართალია, — ეუბნებოდა ცბიერ მარჩიელს გაკვირვებული მანანა, გაბრუებული იჯდა ქართულ საეკარცხულზე და გული უნუხდა მარჩიელის უცნაურსა და ბნელს ოთახში. მის წინ, დაბალ ჭახტზე, უნესრიგოდ მიყრილ-მოყრილ და გაცვეთილ მუთაქებში ფეხმოკეცილი იჯდა შავებში ჩაცმული, ჯერ ისევ საკმაოდ ახალგაზრდა ქალი, მაგრამ სახედამანჭული, დიდრონთვალება, დიდტუჩა, თმაგანენილი და ჩხირივით ჩამომხმარი. პანია ოთახი დარაბებით იყო დაგმანული, ხოლო კედლებზე აქა-იქ თაფლის სანთელი ენთო. ხის სამფეხა ტაბლებზე უთავბოლოდ ეყარა ქალალდი, ნახშირი, ნეკლები, ქერის მარცვლები, საიდუმლო ასოებით დანერილი ფარატინები, პანანეინტელა ეუვნები და პანანუნა ზარები, თიხისა და ხის ჯამები, პინები, კალათები, გოდრები, საცრები, ჭრელ-ჭრელი ფალასები, თხის ტყავები, ხარის ბეჭები წარწერებით, წყლით სავსე ლიტრები და დოქები. თვითონ მარჩიელს ხელში გაქონილი ქალალდები და კამათლები ეჭირა, ნელ-ნელა ათამაშებდა და რაღაც შინაგანი შუქით აელვარებულ და მომნუსხველ უნაბისფერ თვალებს საშინლად გაფითრებულ ქალბატონს არ აშორებდა.

მანანაზე უსიამოვნოდ მოქმედებდა უცნაური ოთახის უცნაური საგნები, ტანში ცივი ურუანტელი უვლიდა, როცა ქალალდის გაშლით და კამათლების დალაგებით გართული მარჩიელი ხრინნიანი ხმით ჩიფრიფებდა, ხან პირს აღებდა და ღრჯოლებს აჩენდა, ხან თავისთვის გაუგებარ რაღაცას ბუჭბუტებდა და გაბმულად თაეის ნელი კანტურით დუდუნებდა.

— შენ ქმარი გლალატობს, კნეინავ!

მიახალა უცებ მანანას მარჩიელმა, როცა ოსტატურად გაფანტულ ქალალდებს დააცექერდა და ხელში პიკის ქალი აიყვანა.

— აი, ის ქალი. იცნობ ამასა?

— ჰო, — თავი დაუქნია მანანამ და ზიზლით შეხედა პიკის ქალს.

— იცი მისი სახელი?

მარჩიელმა არ იცოდა, ვინ იყო გრიგოლ ზანდაროვის საყვარელი და რათა მისი სახელი და ვინაობა გაეგო, ქალალდი მაღლა ასწია, სახეზე „ვიცის“ გამომეტყველება აისახა და უარესად ფერწასულ ქალბატონს განდობილად მიაცერდა.

— ვიცი, კნეინა მაგდა გოსტაშაბიშვილია.

მარჩიელი ერთბაშად ალაპარაკდა:

— ჰო, ჰო, დედავ და თვალო! იმ წყეულ მაგდას რა უქნია, რა ჩაუდენია! რა გრძნობა ჰქონია, გენაცვათ! როგორც უნდა აურიო ქალალდი, ის ქალი დაბარებულივით არ მოდის? ამ სალდათს არ შორდება, სულ თავს დასტრიალებს... თავს ევლება, გზას უკრავს და უხლართავს... ეს ყვავის ქალი მაგდა არის, ეს ჯვრის სალდათი — გრიგოლია. ვხედავ, ვხედავ, ყველაფერს ვხედავ. შენი ქმარი მაგდას თილისმებით შეუკრავს... ნამალი აქვს დალეული...

მანანას მარჩიელის სიტყვები ენიშნა და გული შეუკრთა.

— მაშ არაფერი მეშველება? — სასონარკვეთით ნამოიძახა მან.

— რას ამბობ, ქალო? როგორ თუ არაფერი გეშველება? მაშ მე რაღაც ვაკეთებ? იმ კნეინას გრძნებებს დავარღვევ და ქმარი დაგიბრუნდება. ახლავე ქალალდს ისევ გავშლი და საცერს დავატრიალებ. მანამ შენ ამ ხელსახოცში ოქროს თუმნიანი გამოჰკარი, უნდა გამოვილოცო.

მარჩიელმა რუდუნით და ზუზუნით დაინყო უშმურის ლოცვა:

— მრნამს ჯვარცმული, არას მავნებს მაცდური, მე ქრისტე ვარ, ქრისტეს ბეჭდით შეჭედილი ვარ, მამა მაცვია, ძემმოსია, ხოლო ნმინდა გარე მარტყია. თხხოვ თავნო სახარებანო: მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე, სადაცა სახელი თქვენი იხსენებოდეს, იქ ძალი ეშმაკთა იდევნებოდეს.

მანანას მეორე ხელსახოცში მეორე ოქროს თუმნიანი გამოსკვრევინა და თვალყმაბარვის ლოცვა ჩააზუზუნა:

— სახელითა მღვთისათა, ძისა და სულისა ნმინდისა, გასკდა კლდე ყინულისა, გამოვიდა კაცი ყინულისა, გამოხსნა ხარნი ყინულისანი, მოუჭირნა აპეურნი ყინულნი, მოაბა სახვნელი ყინულისა, მოვიდა ველსა ყინულისასა, სთესავდა ქვიშასა. არ იხვნოდა ყინული, არცა ითესოდა თესლი ქვიშისა, არცა ჯეჯილისა და თავთავ-ძნის გამოლება, აგრემც ნუ გაპკვეთს მანანაზედა თვალი მთვალავისა, ყმა ყმაბარვისა, გულარამისა, ენა მზაკვარისა მონასა ამას ღმრთისასა მანანას.

როცა მანანამ მესამე ხელსახოცში მესამე ოქროს თუმნიანი გამოჟერა, მარჩიელმა ავთვალის შესალოცი ჩაიმლერ-ჩაიდუდუნა:

— ვიდოდა ავი თვალი, გზასა მოყვიროდა ვითა ლოთი, ბრიალებდა ვითა ვეშაპი, შემოეყარა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. „სად მიხვალ, თვალო ბოროტო?“ „მივალ სოფლად, ქალაქად, შინა დავჯდები თავსა ზედა კაცისასა, ძვალსა შევფქვავ, ტვინსა გამოვსრეტნი, თვალნი და საყურენი და ფერნი აუკრიფნო“. უბრძანა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან გაბრიელ მთვარან-გელოზსა: „ამოილე მახვილი შენი ცეცხლისფერი, მოჰკალ სული უკეთური“. თქვა ეშმაკმან: „ნუ მომკლავთ, ვფიცავ ღმერთსა ცხოველსა, სახარებათ მათე, მარკოზ, ლუკა, იოვანეს, ჯვარსა პატიოსანსა, ქრისტეს სამსჭვალსა, სადაც იყოს წიგნიდა სახელი, მუნ ვერა ვისაკა ესელოცვა ახლდეს, შორის

განვეშო". ამინ! ამინ! განეშოროს თვალი მთვალავისა, ყმა ყმაბარვისა, გული არამისა, ენა მზაკვარისა მონასა ღმრთისასა მანანას!

მოხერხებულმა მარჩიელმა გაბრუებულ ქალბატონს თავისი შელოცვებით სულ დავთრები დაუბნია, გულში შიში შეაპარა, ხელზე დაიხვია და დაარიგა:

— ამას იქით შენ ყოველ საღამოს უნდა მოხვიდე ჩემთანა. ბინდბუნდირომ დადგება, მაშინ გამოდი სახლიდან. მაგრამ, დაიხსომე, არავის უთხრა, რომ მკითხავთან დადიხარ, თორემ თილისმას ვერ დავარღვევ და ხელცარიელი დამრჩები. მერე მე ნურაფერს დამაბრალებ! მოხვალ თუ არა, მე წყლით სავსე ჯამს დაგახვედრებ, შენ ამ ჯამში ოქროს თუმნიანი უნდა ჩააგდო და კნეინა მაგდას სახელი ახსენო. როდესაც კამკამა წყალში იმ კნეინას სახე გამოჩინდება, შენი ქმარი იმის სიყვარულისაგან განთავისუფლდება. თუ ეს ასე არ მოხდეს, მოდი და პირში ჩამაფურთხე!

ქალბატონი ზანდაროვი ყოველ საღამოს მიღიოდა მარჩიელთან და წყლით სავსე ჯამში ოქროს გულმოდგინედ აგროვებდა. მარჩიელი სიხა-რულით ხელებს იფშვნეტდა და გულში მიამიტ ქალბატონს დასცინოდა. როცა მანანამ ხარბი მარჩიელის „სასწაულმოქმედ ჯამში“ ოცდაათ ოქროზე მეტი ჩააგდო, მაგრამ კნეინა გოსტაშაბიშვილმა თავისი სახე არ გამოაჩინა, დალონდა და დარწმუნდა, რომ მისი მეტოქის თილისმები უფრო ძლიერი იყო. მატყუარა მარჩიელი კი ახალ ოინს იგონებდა, რადგან „ციდან ჩამოვარდნილი“ მუშტრის გულუბრყვილობაში საბოლოოდ დაჯერებული კიდევ უფრო გათამამდა და გათავხედებული მოურიდებლად ატყუებდა საოცრად მალემრნმენ და ცრუმორნმუნე ქალს, რომლის მსგავსი ვაჭრის ცოლებში მას ჯერ არ ენახა.

ქალბატონი ზანდაროვი უიმედობამ მოიცვა. დასევდიანდა. გახდა. გაყვითლდა. განმარტოვდა, არც არავის ეკარებოდა და არც არავის იკარებდა. სამაგიეროდ ლოცვებსა და მარჩიელთან სიარულს მოუხშირა.

დის უეცარი შეცვლით გაკვირვებულმა დავითმა, რომელიც სიძის ხშირი სტუმარი და მუდმივი მოვალე იყო, მანანას მოწყენილობის მიზეზი ჰკითხა. დამსიტყვა პანზე აუგდო. არაფერი უთხრა. ეშინოდა, მის ლოთ ძმას სიმთვრა-ლები არსად წამოსცდენოდა, მაგრამ, როცა დავითი აღარ მოეშვა, ჩააცივდა და ბოლოს მხედრულად უბრძანა, მისთვის უცნაური სევდის მიზეზი ეთქვა, მანანამ ვერაფერიანამა, ჩაკეტილ ოთახში ძმას თავის შერცხვენის ამბავი უამბო და ქვითინი აუვარდა. დავითი განრისხდა, ბრაზით კბილები გააკრაჭუნა, ჯერ სიძეს მაგრად შეუკურთხა, მერე კნეინა გოსტაშაბიშვილს კახპა უნოდა, ბოლოს, დასაც გადასწვდა ყალთაბანდი მარჩიელის გამდიდრების გამო.

მანანას ნუგემი სწყუროდა, ძმამ კი ზედ აღარ შეხედა, გატრიალდა, წავიდა და გულდამწვარი და დაბლანდული ფიქრების ამარა დატოვა.

მარტოდმარტო დარჩენილი მანანა პატივახდილი ქალის ჭმუნვაში ისევე უსუსურად ეხვეოდა, როგორც ობობას ქსელში ანაზდეულად მოხვედრილი მსხვერპლი ეხვევა.

# კარი ოცდამერვე

## 1. აღსარება

ქალი განთავისუფლების შემდეგ უფრო მეტ სიყვარულს მოიპოვებს,  
უიდრე თვითონ სიყვარული იძლევა.  
ქლარა მალრო

კნეინა გოსტაშაბიშვილი გატაცებით შეუდგა პარიზში გასავზავნი ნერი-  
ლის ნერას.

„ძვირფასო მადლენ!

ვერ ნარმოიდგენ, რარიგად გამახარა შენმა ახალმა ნერილმა. გული სხა-  
რულით მევსება, როცა ვფიქრობ, რომ ისევ გახსოვარ და გავონდები. ძვირ-  
ფასო მეგობარო! არ ვიცი, რა სიტყვებით შემოგითვალო მადლობა. მერე რა  
სხარტად და ცოცხლად აღნერ პარიზის ცხოვრებას. რომ იცოდე, რამდენი  
სხარული განმაცდევინე. ოჟ, პარიზი. ჩემი პარიზი! მე ხომ არასოდეს მინახავს  
რესპუბლიკური პარიზი! ნეტავ როგორია? რანაორად გამოიყურება? ვიცი,  
რა კეთილგონიერებას იჩენ, როცა ამაზე არაფერსა მწერ და იმ მარკიზს არ  
ემსგავსები, რომელმაც თავისი წიგნით აქაური დიდყაცობა ააფორიაქა. შენს  
ნერილში ჩემს ნაცნობრესპუბლიკელებსაც ასახელებ, მაგრამ ისინი ხომ ჯერ  
კოდევ გუშინ მონარქისტები იყვნენ? ნუთუ თქვენი რესპუბლიკის პრეზი-  
დენტი, რომელიც იმპერატორის გვარს ატარებს, ისეთივე რესპუბლიკელია,  
როგორიც ვიქტორ ჰიუგო, რომლის სიყვარულს უკეთესად ვიცნობ, ვიდრე  
მის სათნო ცოლს. თუმცა სჯობია, გავჩუმდე. დედაკაცებს ხომ პოლიტიკის  
არაფერი გაგვეგება. მწერ, რატომ პარიზისკენ ალარიხედებიო. გულწრფელად  
უნდა გითხრა, რათა შენი სუსხიანი საყვედური თავიდან ავიცდინო. ვეღარ  
მოვიცალე. გართული ვარ, გენაცვალე. დრო შეუმჩნევლად გარბის. თბილი-  
სი კონსტანტინოპოლის არა ჰგავს, მაგრამ აქ ვერასოდეს ვერ მოიწყენ (ხომ  
გახსოვს, როცა შენი ქმარი საფრანგეთის კონსტანტინოპოლის საელჩოში  
მსახურობდა, როგორ უჩიოდი მოწყენილობას?). ისიც უნდა გითხრა, რომ  
თბილისი სულ უფრო და უფრო ემსგავსება პატარა პარიზს. აქაც ისეთიერ  
გაფაციცებით კითხულობენ ახალ ფრანგულ რომანებს, როგორც მანდ —  
პარიზში. გონებადამჯდარ დედაკაცებსაც და ქარაფშუტა ქალიშვილებსაც  
პირზე ბალზაკის სახელი აკერიათ. ვიცი, არ გაგიკვირდება. განა მეცდაშენც  
გატაცებით არ ვკითხულობდით მის პირველ სერიოზულ რომანებს? სულ  
იმას ვფიქრობდი, ნეტავ ის უიღბლო მესტამბე (და გენიალური მწერალი! რა  
საოცარია, რომ გენიოსობის მადლი სქელ და დამრგვალებულ მამაკაცებშიც

კოულობს ბინას და ღვთაებრივად მშვენიერ ბაირონშიც!) რესპუბლიკელი ხომ არგახდა-მეტქი, ისევე როგორც ბევრი სხვა ვაჟბატონი (სიტყვა „ვაჟბატონი“ კნეინა გოსტაშაბიშვილმა მცირე ყოყმანის შემდეგ წამალა და „ბატონით“ შეცვალა), რომელნიც კარლოს X-ის მეფობაში თავნამჯერარი მონარქისტები იყვნენ, ხოლო უნებურად გაბურუუებული ლუი-ფილიპეს უამს ლიბერალებად მოჰქონდათ თავი. როგორც ჩანს, გარკვეულ ვითარებაში განსაცვიფრებლად შეიძლება შემცირდეს მანძილი რესპუბლიკელობამდე. ოპ, რა კარგად თქვა ნაპოლეონმა (რომელიც თქვენს პრეზიდენტზე დაბალი იყო, მაგრამ საოცრად დიდი!): „ვის რად უნდა რესპუბლიკა, როცა პარიზში ყველა კეთილ ცხოვრებაზე და ძვირფას ეტლზე ფიქრობსო“. ვგონებ, რაღაც დავამახინჯე, მაგრამ დამეთანხმები, მეგობარო, რომ იმპერატორის აზრი სწორად გადმოვეცი (აქ მთელი ფრაზა სწრაფად წაშალა კნეინა გოსტაშაბიშვილმა, დაფიქრდა და განაგრძო). ჴო, იმას ვამბობდი, აქაურებს ფრანგული და, საერთოდ, ყოველგვარი ფრანგული ძალიან უყვართ (თუმცა, გამოტეხილად უნდა გითხრა, რესებს გერმანელებმა უფრო მეტი რამ მისცეს, ვიდრე ფრანგებმა. ბევრი რამ, გარდა მდუღარე ცრემლებისა და გულისამრევი სენტიმენტალობისა). პარიზულად ვცხოვრობთ და პარიზულად ვერთობით. ამიტომ არც ისე სე-ვდიანი ვარ, როგორც მანდ ვიყავი და რისთვისაც, მადლენ, საყვედურს არ მაჟლებდი. შენ გვინია, მხოლოდ შენ შეგიძლია იარო კარგ ისერაში? ტყუილად ირჯები, ჩემო კარგო, როცა მეგობრულად დამცინი და გინდა პროვინციელი ქალის თვისებებით შემამჯო. თბილისის ოპერის დარბაზს ჭოლს ვერ დაუდებენ პარიზის, ვენისა და მილანის საოპერო თეატრები, სცენაზე საუკეთესო იტალიელი მომლერლები მღერიან. ღვთაებრივი მუსიკა და მომაჯადოებელი არიები აქაც ყოველლამ გაისმის. ოპერის ლოუებშიც ისეთივე ვაჟბატონები და ქალბატონები სხედან, როგორებსაც შენც კარგად იცნობ. არავითარი განსხვავება არ არის, სულ არავითარი, რა თქმა უნდა, თეატრს აღმოსავლური იერი მეაფონდ გადაჰკრავს და ეგზოტიკურიც არის, რასაც შენ, მადლენ, ვერ ნარმოიდგენ და მეც ვერავითარი სიტყვებით ვერ აგინერ. მაგრამ არ ვიცი ამ ძველისძველი ქალაქის ახალ უბნებში ევროპა რომელი კარიდან შემოიპარა. პარიზში არა ვარ, მაგრამ, როგორც გითხარი, პარიზულად ვცხოვრობ. ახლა ხომ დარწმუნდი, რომ დრო არა მაქვს. მოწყენილობას მივცე თავი (რა ვქნა, რომ არ გჯერა? განა ადამიანები ხასიათს არ იცვლიან, როცა ხანში შედიან?). მართლა, შენს წერილში ისეთ რამეზეც გადამიერი სიტყვა, რის მიმართაც დედაკაცები არასდროს გულგრილნი არა ვართ. აი, შე ცელქო, შენა! გავინყდება, რომ ბერდები? აბა ერთი სარეეში კარგად ჩაიხედე, თუ ჩემსავით თმაში გულდაგულ დამალული, მაგრამ მაინც ვერაგულად და ჩვენს დაუკითხავად გაბრწყინებული ის არ დაინახო, რაც ჩვენ, საბრალოდედაკაცებს, მცხუნვარე ზაფხულის გასვლას გვინინასწარმეტყველებს და ნაღვლიან შემოდგომას გვიმზადებს. როგორ არის ბატონი ზანდაროვფ? ვგონებ, მოგნერე, რომ მან ცოლი შეირთო, ერთი კნეინა. ლამაზია? რა მოგახსენო. ასეთებს იტალიის

და ესპანეთის ყველა სოფელში შეხვდები, განსაკუთრებით საეკლესიო დღე-სასწაულების დროს, როცა ლამაზი ქალები (თანაც ოდნავ დასქელებულნი) სულ ზეცაში იყურებან და ვნება ისე აქვთ გაციებული, რომარც ერთ მამაკაცს პრომეთეოსის ცეცხლიც არ ეყოფა, რომ თვალები მინაზე დაახრევინონ, მი-ნიერ, ნამდვილ დედაქაცებად გადააქციონ. გეცინება? რაღაც ამის მსგავსს ჩემზეც ლაპარაკობდნენ? მერე, ვის რა საბუთი გაქვთ? მონასტრის სკოლის დამთავრების შემდეგ ვინა მნახა ეკლესიაში? უფლის რძლობა თუ მხევლობა არასოდეს მიფიქრია. ჩემი სევდის მიზეზი სულ სხვა რამ იყო. სულ სხვა რამ. მამაკაცები გულცივად მთვლიდნენ, მაგრამ თვითონ ის ცეცხლი არა ჰქონდათ, რასაც ჩემი ვნების აბრიალება სულ ადვილად შეეძლო. ისეთ მამაკაცს, რომელიც ჩემს წარმოდგენაში ისხამდა ხორცს (ჯერ ისევ მონასტრის სკოლის დაგმანულ სენაკში), ვერსად შევხვდი, ვერ ვიპოვნე. ახლა ვიცი, რომ ვერც ვერასადროს შევხვდები (ამას ჩემი ორი თეთრი თმაც მეუბნება და ცხოვრების გამოცდილებაც). ერთი რამ გავიგე ეიდევ, გვიან, მაგრამ მაინც გავიგე: საერთოდ, ისეთი მამაკაცი არც არსებობს, რომ ერთდროულად ვოლტერიც იყოს და კაზანოვაც. მე კი სულ მუდამ მამაკაცმი ვონიერებასაც ვეძებდი და ვნებიანობასაც (რაღაც ამის მსგავსი, ეტყობა, მამაკაცებსაც სჭირო, რადგან თვით ძალზე გარყვნილ საყვარელში მადამ რეკამიე სურთ აღმოაჩინონ). რა საცოდავები ვართ ადამიანები! სულ რაღაცას ვეძებთ, რაღაც მიუწვდომელზე ვოცნებობთ, თვითონაც არ ვიცით, რა გვინდა, რას ვესწრაფვით და იმას არა-სოდეს ვუფიქრდებით, რა უმნიერი და სასაცილონი ვჩანვართ უამთასელის დაუსარულებელ და გულგრილ სრბოლაში. ჩემი კაზანოვა დიდი ხანია, ვიპოვე, იმას კი ცოლად მონაზონი შერჩა, რომელსაც ცისკრის ყველა წირვაზე ხატთან დაჩოქილს ნახულობენ. იცი, მადლენ! ლამაზი ქართველი ქალები ბიზანტიურ ღვთისმშობელს მაგონებენ, გამოფშევილსა და ყოველგვარი ვნებისაგან დაცლილს (ეს მე არ მეხება, რადგან ნახევრად სლავი ვარ). ასეთია სწორედ ქალბატონი ზანდაროფი! ეჭვიანობა მაღაპარაკებს? თუნდ ეგრე იყოს, რაც გინდა, ის იფიქრე, რა მენაღვლება? როცა საკუთარი გულის მოძრაობას ვუკ-ვირდები, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ბატონი ზანდაროვი არც არასოდეს მყვარებია, არც შეიძლება, რომ მიყვარდეს. როცა ვოლტერები აღარსად ჩანან (შეიძლება იმის მსგავსნი იყვნენ კიდევც, მხოლოდ მსგავსნი, არ უარვყოფ, მაგრამ ვნებათალელვა აკლიათ, სიყვარულში აღმაფრენას და თავდავიწყებას გაურბიან, რათა გონიერება არ დაკარგონ, ნინ არავინ გაუშვან და აკადემიამი მათ მაგიერ სავარძელი სხვამ არ დაიკავოს), თვალები უნდა დავხუჭოთ და კაზანოვას ავედევნოთ. სჯობს, კაზანოვას მძაფრი და ნაღდი უინი მოუკელა (ნაღდი, არა მრცხვენიან ვთქვა, დიალ, ნაღდი) და შენც მრუშობის მორევში ჩაყურყუმელავდე, ვიდრე ისეთ განათლებულ კაცთან გამიშვლდე, რომელიც სარეცელში ისევე ჰგავს ნამდვილ საყვარელს, როგორც ცხოვრებაში თავის ნიგნს (რა კარგია, რომ უორუ ზანდმა ყველა ქალის მაგიერ სამაგიერო გადაუხადა მამაკაცებს და ბატონ დე მიუსეს დონდლო

რომანს რომანითვე უპასუხა, რათა მამაკაცის სისუსტე მზეზე გამოეფინა). კო, მართლა, მადლენ! წერილს ისე არა მნერ, რომ ბატონი ზანდაროფფ არ ახსენო. ნუთუ შენც, ნუთუ შენც? ნუ გეშინია, არ გავჯავრდები. ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, მზადა ვარ, ყველას ყველაფერი შევუნდო. შენც, ჩემო კარგო, შენც, თუ ჩემინიაშე დამნაშავე ხარ! წერილი გამიგრძელდა და ერთხელ კიდევ გინდა დაგიკოცნო ეგ ლამაზი თვალები მოკითხვისთვისაც და იმისთვისაც, რომ გულის გადაშლის შესაძლებლობა მომეცი. კარგად იყავი, ჩემო ძვირფასო მეგობარო. ნახვამდის, ნახვამდის.

შენი მარად ერთგული მაგდა. კნეინა გოსტაშაბოვა“.

## 2. დახეული ცერილი

ნაქარგ ასოს კი ნუ უყურებ, იმას უყურე, რასაც ეს ქალი თავის  
გულში განიცდის.

ნათანიელ ჰოთონი, „ალისფერი ასომთავრული“

მაგდამ ხელახლა გადაიკითხა დანერილი წერილი. უკმაყოფილოდ შეიძმუშა. წერილი არ მოეწონა. აბდაუბდა და მოეჩვენა. ზოგან ტყუოდა, ზოგან გრძელ წერილს დღიურის ფორმას აძლევდა და ალსარებას ამბობდა. ყოველგვარი ალსარება კი მას სულმდაბლობად მიაჩნდა.

ყველაზე მეტად მაინც ის აოცებდა, რომ სურდა თავისი პარიზელი მეგობრისათვის (ეს მეგობრობა კი მას არც იმ დროს სჯეროდა და არც ახლა) თავი უზრუნველ და უდარდელ ადამიანად მოეჩვენებინა (წერილის დასაწყისში, თორემ სხვაგან, ინტრიგებში განაფული მადლენი მისახვედრს ადვილად მიხვდებოდა).

მაგდა ტყუოდა, რადგან ნამდვილად თბილისი დიდ და მოსაწყენ სოფლად მიაჩნდა. ტყუოდა, რადგან ნიგნის ხელში აღარ იღებდა. აღარც ისერაში დაირებოდა, აღარც სოკოსავით გამრავლებულ არისტოკრატიულ სალონებში. პირიქით, მუდამ მონეენილი რაღაცნაირად იყო გარინდებული. ცხოვრებაზე გულაყრილი, ხელჩაქნეული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. არც თვითონ ეკარებოდა, აღარც თვითონ იკარებდა ვინმეს.

მუდამ მედიდური კნეინა გოსტაშაბიშვილი თბილისელ არისტოკრატებს ან უყვარდათ, მაგრამ ყველა მოკრძალებით ეპყრობოდა.

თვით ყველაზე თამამი ჭორიკანები მას ჩუმად და ჩურჩულით ჰკილავდნენ. ჩურჩულით ახსენებდნენ ლამაზ ზანდაროვს და ჩურჩულითვე აღნიშნავდნენ იმას, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილი ეკლესიას არ ეკარებოდა. ვიღაც ხუმარამ მას კაბაში გადაცმული რესპუბლიკელი უნდა, მაგრამ არავინ გაიცინა, ყველამ ყური მოიყრუა. 1848 წლის შემდეგ რესპუბლიკაზე ხმამალლა არავინ ლაპარაკობდა.

მაგდა თბილისში მხოლოდ კნეინა მზეხათუნს მეგობრობდა.

მადლენის მსგავსი მეგობრები ყოველთვის ჰყავდა მას. უანგარო არც ეს მე-  
გობრობა იყო.

დილეტანტურად განათლებული მზეხათუნი სალონებში სხვის აზრებს  
კენეავდა და შემდეგ უფრო საინტერესოდ, გასაგებად და მიმზიდველად ლა-  
პარაკობდა, ვიდრე კნეინა გოსტაშაბიშვილი, რომელსაც ათასნაირი წიგნი  
ჰქონდა ნაკითხული, მაგრამ საათობით გაჩუმებული იჯდა და აღფრთხოე-  
ნებით მაინცდამაინც არც სხვების ლაპარაკს უსმენდა.

ამიტომ თბილისის მაღალ საზოგადოებაში უპირატესობას მზეხათუნს  
ანიჭებდნენ. მას უფრო ამჩნევდნენ, ვიდრე გორიზად განზე გამდგარ მაგდას.

თითქმის ყველას ერთი აზრი ჰქონდა შემუშავებული: კნეინა გოსტაშაბიშვ-  
ილი ლამაზი ქალი იყო, კნეინა მზეხათუნი — ჭკვიანი დედაკაცი.

მაგრამ არავის ისეთი სრული ნარმოდგენა არა ჰქონდა მაგდას ლირსებებზე,  
როგორც მზეხათუნს. რა თქმაუნდა, საზოგადოებაში ამის გამოიგი კრინტსარა  
ძრავდა. მვეობარ ქალს არც აქებდა, არც აძაგებდა. თუ ვინმე რამეს იტყოდა,  
მის „მძიმე ხასიათს“ სინანულით აღნიშნავდა ხოლმე და თან იმასაც ურთავდა,  
რომ ამ მეტად ლამაზი ქალის ქმარი ყოველ ცისმარე დღეს მტკვარზე ეგდო და  
მდაბიო ხალხთან ერთად თევზაობდა.

ამ დროს ყველას აგონდებოდა, რომ მზეხათუნი არა მარტო განათლებული  
ქალი, არამედ გენერლის ცოლიც იყო.

დღე ისე არ გაიკლიდა, რომ მზეხათუნს მაგდას სახლში არ შეევლო.

როცა მაგდა გუნებაზე იყო, გატაცებით ლაპარაკობდა პოეტებზე, მწერ-  
ლებზე, მუსიკოსებზე, მხატვრებზე, მსახიობებზე. აღნიშნავდა მათ ნაკლასა და  
ლირსებებს. ასახელებდა და არჩევდა ისეთ ნანარმოებებს, რომელთა შესახებ  
მზეხათუნს არავითარი ნარმოდგენა არ ჰქონდა. სულგანაბული ისეთი ყურა-  
დლებით ისმენდა ყოველ სიტყვას, ყოველ აზრს, ყოველი ლექსის თუ სურათის  
დახასიათებას და თან ისეთნაირად შეფრთვინვით შესცეკროდა მაგდას, რომ  
ის კიდევ უფრო მეტი ხალისით ლაპარაკობდა.

იმავე საღამოს რომელიმე სალონში კნეინა მზეხათუნი ნეღან მოსმენილსა და  
გავონილს ისეთი ბრძნელი სიღინჯით ჰყვებოდა (მას მხოლოდ აღმაფრენა აკლდა,  
რადგან კნეინა გოსტაშაბიშვილს არ შეეძლო მისთვის ისიც გადაეცა და განეც-  
დევინებინა, რასაც თვითონ განიცდიდა), რომ ყველანი აღტაცებაში მოდიოდნენ.

ოდესლაც, პარიზში, ასეთსაცე როლს ასრულებდა მადლენი.

მაგდა მზეხათუნს იმასვე ამჩნევდა, რაც უფრო ადრე თავისი ფრანგი მე-  
გობარი ქალისთვის შეემჩნია.

მაგდა ამ აზრს გაჰყვა.

კიდევ უფრო მეტად ეუცხოვა მადლენის მისამართით დაწერილი ნერილის  
შინაარსი და ხელში გადაატრიალა. შეყოყმანდა. ნერილი ნერვიულად დაჭმუჭ-  
ნა. მერე ისევ გაშალა. ხელახლა გადაიკითხა. შერცხვა, განითლდა. ნერილი  
ნაკუნებად აქცია და გადაყარა.

ახალი ფურცელი აიღო.

მოკითხვის უბრალო ბარათი ჩამონერა, აქა-იქ არაფრის მთემელი ქათინ-აური ჩაურთო, რაღაც საკუთარ თავზეც ნამოცდა, პარიზელი მევობრებიც გახსენა და მოიკითხა. ხელიც ისე მოაწერა, როგორც ყოველთვის აწერდა ხლამე: „შენი მარად ერთგული მაგდა, ენეინა გოსტაშაბოვა!“

ფურცელი დაკეცა და ამოიოხრა.

### 3. დაცუნებული პორტრეტი

ამ ნახატს არტისტის ხელი აკლია.  
შარლ დე ბერნარი, „იუროსის ფრთხები“

საათი თორმეტს უჩვენებდა.

სრულ თორმეტ საათზე იტალიელი მხატვარი კარადონი მოდიოდა კნეინა გოსტაშაბიშვილის პორტრეტის დასახატავად.

ის, რაც მაგდას თავის შესაქცევად მოეგონა, მხატვარს სახელის მოსახ-ვეჭად სჭირდებოდა.

დახულმა ნერილმა მაგდას ისეთნაირად გაუფუჭა გუნება, რომ მხატვრის სახეალიოდ დაბარება გადაწყვიტა.

ქალაქში გასეირნება მოუნდა.

„ფიქრთ გასართველად“, როგორც ამას ის ახალგაზრდა პოეტი ამბობდა, რომლის ლექსებს ვახტანგ ტაშირელი მას ასე აღტაცებით უკითხავდა. „ნეტავ როგორ აუღერდება ფრანგულად ტატოს „მერანი“, — გაიფიქრა მაგდამ, — რა იქნება, რომ ვცადო? მართლა შესანიშნავი რამ არის. ტყუილად არ არიან ტატოს ლექსებით აღტაცებულნი ვახტანგ ტაშირელი და აღამემნონ კენტე-რაძის ქალი. მაშ, რატომ ავუხირდი იმათ? არა, როგორც ჩანს, არასოდეს არ მოვიშლი არც უკმეხობას, არც ირონიას, მოდი, ვთარგმნო“. ერთი ნამით მის გონებაში გაელვებულმა ამ აზრმა ის ჯერ დააინტერესა, მერე გააკვირვა, და ბოლოს, ამ მაცდუნებელ განზრახვაზე ხელი ცივად ააღებინა.

მაღალ მოლბერტზე დადგმულ ტილოს გადახედა.

ცნობისმოყვარეობამ ნასძლია.

ტილოს საფარველი გადახადა.

სურათს დააცერდა და აიმრიზა.

მისი პორტრეტი გულმოდგინედ იყო დახატული. თმის ყველა სამკაული, ძვირფასი მანიაკის აურაცხელი მარგალიტები, ღრმად გულამოჭრილი კაბის თითოეული ნაოჭი, განმაცვითურებელი მოთმინებით შესრულებული. მხატვარს ყველაფერი გაეკეთებინა, რათა კნეინას გასაოცარი სილამაზე ტი-ლოზე ზუსტად გადაეტანა, ხოლო მისი მშვენიერი ნაბლისფერი კულულები ცისფერ ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოეჩინა. მსგავსებაც დიდი იყო.

თუმცა კნეინას ორეულს ტილოზე რაღაც იდუმალი სევდის გამონაკრთხობი გადაპერავდა და უცნაურად იყო გარინდებული (ხატვის დროს მას როგორც სარკეში ჩაეხედა, იმასვე აღმოაჩენდა, რაც ახლა მინაზებული ფერადებით ტილოზე იყო აღბეჭდილი). მაგრამ ამან კნეინას მხოლოდ ნარბი აანევინა. მისი ამრეზილობის მიზეზი სულ სხვა რამ იყო. მხატვარს, ეტყობოდა, ორი მიზანი ჰქონდა მხედველობაში: ლამაზად დახატვა (რასაც გემოგახსნილი კნეინა ვერ ითმენდა) და იტალიური მხატვრობის კარგი ცოდნის გამოგვლავნება (რაც მხატვარს ხელოვნის მაგიერ ხელოსნად ხდიდა). მაგდას მიმბაძველობა სძაგდა, ვერ იტანდა. სხვა რამითაც იყო იგი უკავიოფილო. მთელ პორტრეტს ფუნჯის ლონივრად მოსმის კვალი არსად ემჩნეოდა, თითქოს იმის შიშით, რომ თმის სამკაულების და ბრილიანტების ზუსტ მოყვანილობას თავიანთი ელვარება არ დაჰკარგვოდათ. მხატვრის ხელოსნური გულმოდგინება ტილოზე ისედაც გარინდულ ქალს კიდევ უფრო მეტად აშემებდა, ხოლო ჩვეულებრივ გოროზი კნეინას მტკიცე გამოხედვა და ოდნავ დამცინავი გამომეტყველება ნაზი ფერების ნარმტაც, მაგრამ მაინც იაფებასიან ლივლივში იკარგებოდა.

ზურგს უკან კნეინას ფეხის ხმა მოესმა.

მხატვარი იყო.

— სინიორა, — მოესმა მას მხატვრის შემფოთებული ხმა, სურათი დამთავრებული არ გახლავთ, რატომ გინდათ გამანითლოთ?

— ნუთუ კიდევ საჭიროა ნაზი, ხავერდოვანი ფერადები, — მკაცრი სახით მიუბრუნდა მხატვარს კნეინა გოსტაშაბიშვილი, — რომ სურათი დამთავრებულად ჩაითვალოს?

— არ მესმის, სინიორა?

— სინიორ! — თვალი თვალში გაუყარა კნეინამ და პირდაპირ პირში მიახლა, რადგან არასდროს არავის არ ერიდებოდა, — აქ შეა საუკუნეების და ახალი ხანის ყველა მხატვრის ხელი ჩანს, თქვენი ნიჭიერება სადლაა? ფუქ! რა საძაგლობაა!

— სინიორა, რას მერჩით? რატომ კადრულობთ? — ნაილულლულა მხატვარმა.

— სათქმელი უკვე გითხარით, სინიორ! — შეანუკეტინა მედიდური მოძრაობით კნეინამ, — თქვენ კნეინა გოსტაშაბიშვილის პორტრეტს ვერ დახატავთ. სჯობს, მეფისნაცვლის დავალება შეასრულოთ, აღლუმის სალდათები და ოფიცირები დაუხატოთ. ფერადებით ვარჯიშისათვის, ღმერთმანი, კარგი მასალაა! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

მხატვარს ზედაც არ შეხედა, ისე გავიდა ოთახიდან.

დამცირებული და შეურაცხყოფილი მხატვარი დიდხანს ერთ ადგილზე გაშეშებული იდგა. მერე თავი ჩაქინდრა და კარისკენ ნაფართვატდა.

რამდენიმე დღის შემდეგ სამხედრო უნყებაში მას ჰაჯი-მურატის მოკვეთილი თავის გადახატვა დაავალეს.

## 4. მამრაძიანი ოჯახი

**მხოლოდ თავგადადების გრძნობაში შეიძლება მომანიჭოს  
აღტაცება და პედნიერება.  
შარლოტა ბრონტე, „ჯენ ეირ“**

როცა ენეინა გოსტაშაბიშვილს შავი ნაღველი ეუფლებოდა, სევდის გასა-  
ქარებლად მამრაძიანთ სახლში მიდიოდა. იქ პოულობდა ხალისსა და შვებას.

ვახტანგ ტაშირელთან მეგობრობა მას კვლავინდებურად მატებდა ძალას, გხეობას და ზოგჯერ ხანმოკლე სიხარულსაც ანიჭებდა. მოსწონდა თამამი, გაგრამ მაინც თავდაჭერილი ქრისტინე, უყვარდა მორცხვი და მორიდებული კონსტანტინე, რომელიც ბრნყინვალედ ეუფლებოდა მათემატიკას და თუმცა უკვე კარგად იცნობდა მხატვრულ ლიტერატურას, მაინც ბუნებისმეტყველე-  
ბით იყო დაინტერესებული და გატაცებული.

მაგდა მამრაძიანთ ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ქრისტინეს და კონს-  
ტანტინეს ფრანგულად ელაპარაკებოდა. თან მოჰკონდა თავისი საყვარელი  
კომპოზიტორების ნოტები, განთქმული მწერლების ნიგნები. ქრისტინეს მუ-  
სიკაშიავარჯიშებდა, კონსტანტინეს ფრანგულ ნიგნებს აკითხებდა. ვახტანგ  
ტაშირელთან ერთად საუნივერსიტეტოდ ამზადებდა კონსტანტინე მამრაძეს,  
რომლის პეტერბურგში სასწავლებლად გავზავნას შუშანიკი ამთავითვე  
პირებდა.

შუშანიკის წყნარ, კეთილ და ჭკვიანურ გამომეტყველებას ენეინა აღ-  
ფრთოვანებაში მოჰყავდა, მასთან დიდხანს გულახდილად საუბრობდა და  
პირველად სწორედ მან ანიშნა ვახტანგ ტაშირელზე, როგორც უაღრესად  
პატიოსან, შრომისმოყვარე და განათლებულ სასიძოზე, მაგრამ ქრისტინეს  
და ვახტანგის დაახლოებში არც დედა ჩარეცლა და არც ენეინა გოსტაბიშ-  
ვილი. ეს თავისთავად მოხდა ოცდაათ წელს მიღწეული ვაჟის და ჩვიდმეტი  
წლის ქალიშვილის ხანგრძლივი ლიტერატურული მუსაიფის დროს.

თბილისში პირველი საეკრავი მანქანა ფერშანგოვის ქალმა გაიჩინა. ყველა  
მის სანახავად მოდიოდა და გაკვირვებული უყურებდა პატარა, მაგრამ საოცარი  
მანქანის მუშაობას.

თვითონ შუშანიკი სამკერვალოში დაუზარებლად ფუსფუსებდა, ღარიბსა  
და ხელმოკლეს დღენიადაგ ხელს უმართავდა და ეხმარებოდა.

კმაყოფილი ვარდისმონა თავისებურად იკრიჭებოდა და გახარებული  
ამბობდა:

- იცი, შუშანიკ! ახლა ვფიქრობ, რომ ის გუგული მამიშნის კედლის საა-  
თიდან სასიკეთოდ გამოფრინდა!
- მაგას რაზე ამბობ? — ჰეითხა გაოცებულმა ქალბატონმა.
- მაკას საყვარელი, ჯანუმ, ჩვენ არ გამოგვადგებოდა.

- შენ რა, შენსას არ იძლი?
- არა, არა, მართალს ვამბობ.
- რა ვიცი, ნინათ მაგ კაცზე რა არ გემართებოდა!
- გაიხსენა ძველი ამბავი შუშანიკმა და თვითონაც გაიცინა.
- ახლა აღარ მომწონს, თვალში აღარ მომდის.
- რატომ? რა დაგიშავა?
- ქა, ჩემთვის რა უნდა დაეშავებინა? აღარ მეპიტნავება და ეგ არის!
- რად გავინყდება, მაგ კაცმა ჩვენი ოჯახი ფეხზე რომ დააყენა?
- უსარგებლოდ არც მაგას გააკეთებდა.
- უჟ, რა გრძელი ენა გაქვს, ვარდისმონავ!
- გრძელი ენა რა შუაშია? განა მე კი არ ვიცი, ვინ როგორია? აი, თუნდაც ჩვენი ვახტანგი ავიღოთ. კაცი კი არა, აუნონავი ოქროა!
- შენ, გატყობ, უარესად გამიგიუებ ქრისტინეს.
- არხეინად იყავი, ჯანუმ! იმ ძველი კედლის საათის კარები ისეთნაირად ჩავყეტე, რომ იქიდან გუგული აღარ გამოხტება. არათრისდიდებით!
- ღმერთმა ქნას! — ნარმოთქვა ჩაფიქრებულმა შუშანიკმა, — უკეთეს კაცს ვერც მე ვინატრებ, ვერც ქრისტინე.
- მაირიკაც სულ ამას ამბობს, ეგ კაცი ხელიდან არ გაუშვათო.
- გოგო, მაჭანკლობა ახლაც არ უნდა მოიშალო?
- ვარდისმონამ ისევ გადმოჰყარა თავისი მსხვილი კბილები.
- არც იმ მაჭანკლობას ვნანობ. რა წავაგეთ? კოსტას და ქრისტინეს რომ ვუყურებ, მეტს ბედნიერებას როგორლა ვინატრებ?
- ჴო. ჩემი გამოისობით მარტო ჩემი სანყალი დედ-მამა და საცოდავი ფილისე გამოდგნენ უბედურნი.
- მაღლობა ღმერთს, რომ მოგვხედა და არ დაგვივინყა.
- ღმერთირა შუაშია? ადამიანმა თუხელიარ გაანძრის, ღმერთირას უშველის? თავიდა თავი გარჯაა! შრომით და პირზე ოფულით უნდა მოვიპოვთ ლუკმაპურიც და ბედნიერებაც.
- შენ რაც ვინდა, სთქვი, ჯანუმ! მე კი ყოველდღე საყდარში დაურბივარ და გამოზოგილი ფულით ხატებს სანთლებს ვუნთებ, მამაზეციერს კოსტასა და ქრისტინეს დღეგრძელობას ვავედრებ.
- კარგი, კარგი. წადი, სამკერვალოში ქალებს მიხედე. სადაც არის, ზარბაზანი გავარდება, დალლილებს დასანაყრებელი უნდა მოვუმზადოთ.
- ამგვარი საუბარი ხშირად იმართებოდა ხოლმე ქალბატონსა და მოახლეს შორის, რომელთაც თვალი გზაზე რჩებოდათ და უკვე აშეარა მლელვარებით მოელოდნენ ვახტანგ ტაშირელის გამოჩენას თავიანთ პატარა ქუჩაზე.
- ვახტანგის და ქრისტინეს ბედნიერებაზე ფიქრობდა კნეინა გოსტაშაბიდვილიც იმ მომენტში, როცა მან ნიკოლოზის მოედანზე ამაყად გაიარა და ანჩისხატის უბნისკენ გაუხვია.

## 5. ხელოსნის ქორწინება

ქორწილია ჩვენს უბანში, ქორწილი!  
ქალაქური დაძაბილი

ფურშანგოვის სახლის დიდ ეზოში ხალხი ფუსტუსებდა. დედაკაცები თო-  
ნეში პურს აცხობდნენ. მამაკაცები ქვაბებში ნაირ-ნაირ კერძებს ხარშავდნენ.  
გათ შორის შუშანიკის უფროსი შვილი კონსტანტინე მამრაძე ტრიალებდა.

კნეინა გოსტაშაბიშვილი გულითადად მიესალმა მას.

კოხტა, ქერა და ლურჯთვალება ყმანვილმა მდაბლად დაუკრა თავი.

— რა ამბავია თქვენთან, კონსტანტინე? — ჰკითხა კნეინამ.

— ქორწილი, კნეინავ.

— ქორწილი? ვის ათხოვებთ?

— მარგალიტას, კნეინავ, — რაღაცნაირი სიამაყით მიუგო კონსტანტინე  
მამრაძემ.

კნეინა გოსტაშაბიშვილმა მარგალიტას ვინაობა არ იცოდა. ჰკითხა:

— ბატონი ვახტანგი აქ ბრძანდება, კონსტანტინე?

— აქ ბრძანდება, კნეინავ.

დარცხვენილ ყმანვილს მაგდამ ალერსიანად გაულიმა.

„რა ეარგი შვილები ჰყავს შუშანიკს!“ — თითქმის შურით გაიფიქრა მან.

— ვიშ, რა ქალია! — მკაფიოდ მოესმამას, როცა კიბის ფოლორცზე ფეხი შედგა.  
სიამით გაილიმა.

გუნება გამოუკეთდა.

ქრისტინეს ოთახშიც ფუსტუსებდნენ. ქრისტინე მამრაძე, მისი საქმრო  
ვახტანგ ტაშირელი, კენტერაძის ქალი და ამისი ქმარი, როინ ცალქალამანიძე,  
„ცისკრის“ კორექტურას ასწორებდნენ.

— რომ მცოდნოდა, მოუცლელნი იყავით, არ მოვიდოდი, — თქვა კნეინამ.

— რასა ბრძანებთ? რასა ბრძანებთ? — შესძახეს ქალებმა, — დაბრძანდით,  
კნეინავ, ახლავე ჩვენც დავამთავრებთ.

ხალისიანად მუშაობდნენ, გატაცებით. მუდამ დალვრემილი ვახტანგ ტაში-  
რელიც სახეგაბრნებული და გახარებული იყურებოდა, თითქოს თავისთვის  
ლილინებდა კიდეც.

— მალე გამოვა? — ჰკითხა კნეინამ.

— მალე, სულ მალე, მაგდა! — უპასუხა ტაშირელმა.

— ბარაქალა ქართველების მოლიერის!

ტაშირელმა იჭვნეულად გაიხედა მისკენ, მის ნამოძახილში ირონიის გა-  
მონაკრთობი მოელანდა.

ბოლო ხანებში ვერ რიგდებოდნენ. ტაშირელმა მას რამდენჯერმე „ცის-  
კრისათვის“ ფრანგულიდან რაიმეს თარგმნა ან პარიზული შთაბეჭდილების  
დანერა შესთავაზა, მაგრამ კნეინამ შორს დაიჭირა. თავაზიანი ლიმილით  
უბნებოდა უარს.

„სამშენეორიქალია, რაც დონის პატირონი! — ფუქრობდა თავის თვის ვახტანგ ტაძ-  
რელი, — მაგრამ არაუკარის მამა, არაფრისას უკრა მანქურა დიდი ხალა ყოფილა რწმუნა!“

მეორე ოთახში პატიარძალს რთავდნენ.

განკარგულებებს შეშანიკი იძლეოდა.

ფურშანგოვის დედის დარიგებანიც მკაფიოდ ისმოდა.

— ქმარს გაფრთხილება უნდა, მარგალიტ! — არიგებდა პატიარძალს, —  
კაცის გული ჭიქაა, გადავარდება და გატყდება. ქალები უფრო გამძლენი  
ვართ. მინას შვილი შვილი მივაბარე, მაგრამ ამ ოხერ დედამინაზე ისევ და-  
ვდივარ.

— რა გულკეთილი დედაბერია! — თქვა კნეინა გოსტაშაბიშვილმა.

ქრისტინემ თავი მოიწონა, გაიბადრა.

— გულკეთილია, მაგდა, გულკეთილი, — დასძინა ტაშირელმა, — ოხე-  
მოცდაათ წელინადს გადასცილდა, მაგრამ არც მხნეობა აკლია, არც გონება  
და თვალის ჩინი. სიყვარული აძლებინებს!

დედაბერს ბადიშები თავს ევლებოდნენ. იმასაც გულით უყვარდა ისინი.  
როცა კონსტანტინესა და ქრისტინეს გულმურაზიანი „ბაბოჯან“ ესმოდა,  
გაცის კროვნებულ დედაბერს სულ „აჯან! აჯან!“ ეკერა პირზე. მეზობელ  
დედაკაცებს უტყდებოდა:

— ჩემს მელქუსის სეთი ხასიათი რომ არა ჰქონდა, რა გვიფირდა? ან მე იმ გულ-  
მკვდარანუშას რას ვერჩოდა? კერპი იყო, ცრემლს არასოდეს ნამთავდებდა. როცა  
შვილსა და რძალს იგონებდა, ცალი ხელი დაღონებულ თვალებთან მიჰქონდა.

სიყვარული ჯეჯილივით იყო აბიბინებული მამრაძიანთ აჯახში.

თავანკარა, უზადო სიყვარულს აქ შეშანიკი თესდა და უვლიდა.

კნეინა გოსტაშაბიშვილს ამ პატარა, მაგრამ მუდამ მხნე და გამრჯე ქალის  
მიმზიდველი, რაღაც ღვთიური მადლით გასხვოს ნებული სახე განსაკუ-  
თრებით მოსწონდა. ჩუმად უმზერდა და მისი ყურებით ტკბებოდა ხოლმე.  
ვიღაცას ამსგავსებდა. ერთხელ მოაგონდა კიდეც. ასეთი სახე, გარეგნულად  
უდრტვინველი, მაგრამ შინაგანად დაბული და დაფიქრებული, გოიას ცოლის  
პორტრეტზე ჰქონდა ნანახი.

## 6. მდაბიოთა გედიერება

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ პოლიტიკურ თანასწორობას, მუშები კი  
სოციალურად უკვე თანასწორნი არიან.

კლოდ ტილლი

მარგალიტას შიო დურგალზე ათხოვებდნენ.

ეზო თანდათან ყარაჩოლელებით ივსებოდა.

იქიდან მხიარული ყიუინა, ხუმრობა და სიცილ-ხარხარი მოისმოდა.

ვახტანგ ტაშირელმა „ცისკრის“ კორექტურები დაკეცა, უჯრაში შეინახა.  
ყველანი აივანზე გავიდნენ.

დიდი თუთის ქვეშ შიო დურგალი იდგა.

ტანძორჩილი შუახნის კაცი იყო, ჩოფურა და კისერა.

გარს ამხანაგები ეხვივნენ, ეხუმრებოდნენ.

— ვაჲ, შიოჯან! — ეუბნებოდა ერთი მათგანი, — კისერა ხარ, მარგალიტაზე  
თვალს კარგად დაიჭერ, არსად გაგექცევა!

ერთი ამქრის ხალხი ერთად ხარხარებდა.

— ტუტუცო! — დაიძახა ერთმა ყველაზე ბრგე და ყველაზე ომახიანმა  
ყარაჩოლელმა, — რა ვუყოთ, რომ კისერაა? ერთბაშად მაგის მარჯვენას არ  
შეედავო. გარჯასა და პატიოსნებაში ტოლი არ დაუდო!

— მაშ! მაშ! — დაიძახეს სხვებმაც.

იმ ბრგე და ომახიანი ყარაჩოლელის ნათქვამს ბეჭედი დაჲკერეს.

აივანზე დურგლების ამქრის უსტაბაში სოსანა მძიმე-მძიმედ ამოვიდა.  
ყველას დარბაისლურად მიესალმა. თავი ისე ეჭირა, როგორც ამქრის უსტა-  
ბაშს შეეფერებოდა.

ვახტანგ ტაშირელმა ხელი მაგრად ჩამოართვა. დიდის ამბით მოიკითხა:

— როგორ ბრძანდებით, სოსან, რასა იქმთ?

— ვართ, ვახტანგჯან, — უპასუხა სერიოზულმა უსტაბაშმა, — ცხოვრება  
ჩვენ გვიტევს, ცხოვრებას ჩვენ ვუტევთ. რაღაცნაირად ბარი-ბარში გამოვ-  
დივართ.

— ეგრეა, სოსან, ეგრეა.

— ევ ხომ ეგრეა, ვახტანგჯან, მაგრამ გაძლება არ გინდა! გადასახადები  
ძალიან მოგვიმატეს. ბაზარს კი ცეცხლის ფასი უკიდის.

— ყველა მაგას ამბობს, სოსან, ღარიბ ხალხს ძალიან გაუჭირდა.

კნეინა გოსტაშაბიშვილი ორ მოსაუბრეს ინტერესით უყურებდა და  
უკვირდა, რომ მოსკოველი აზნაური უბრალო ხალხში შინაურულად ტრია-  
ლებდა.

თვითონ აივნის სვეტზე მიყრდნობილი, მედიდურად იდგა.

— ხალხი დღეს უბედურია, — მოესმა მას ტაშირელის აღელვებული ხმა,  
— მაგრამ ხალხისთვისაც გათენდება, სოსან!

— მაშ გათენდება, ვახტანგჯან?!

— გათენდება! — მტკიცე ხმით მოუგო ტაშირელმა.

მაგდას ელიმებოდა. მას არც მღვდლების ქადაგებანი სწამდა, არც სოცია-  
ლისტების შეგონებანი. მათ შორის ერთგვარ მსგავსებასაც პოულობდა. ერთნი  
მაშვრალ ხალხს ზეცისკენ უშვერდნენ ხელს და ბედნიერებას სასუფეველში  
პეირდებოდნენ, ხოლო მეორენი მინას დასცექოდნენ, აქ აპირებდნენ თა-  
ნასწორთა საზოგადოების დაარსებას, რომელიც ჯერჯერობით სენ-სიმონის,  
რობერტ ოუენისა და ფურიეს წიგნებში არსებოდდა.

## 7. „რა დაემართა კნიგა გოსტაშაპიშვილს?“

არ დაიკურებ, მაიც! სიცოცხლე მამძულების ამდენის მარტობით,  
ნიკოლოზ ბარსაუშვილი

ეზოში ურიაშული გაძლიერდა. ყარაჩოლელი ხუმრობდნენ და ისეთნარად  
ენამახვილობდნენ, რომ მაგდა სიცილს ვეღარ იმაგრებდა. გაერთო, გახალისდა.  
უცებისეთ ბედნიერ ადამიანად იგრძნოთავი, რომ თვითონ ვეგაუკვირდა. მდაბიო  
ადამიანებთან ერთად იცინოდა. თვითონაც ხუმრობდა. ვარდისმონას ცალმხარეს  
ჩამოწეული კაბა სიცილით გაუსწორა. თავისი კნეინობა სულმოლად გადაავინყდა.  
სახლდან გოროზი ქალბატონის ნილაბიშეუმჩნევლად ჩამოეხსნა და ისეთი კეთილი,  
სადა და ყოველად ბუნებრივი გამომეტყველება მიიღო, როგორც მას მხოლოდ  
საკუთარ მამასთან, გამდელთან და ზოგჯერ ვახტანგ ტაშირელთან ჰქონდა ხოლმე.

ვახტანგ ტაშირელი მალულად უმზერდა მას. მისი სიამოვნებით თვითონაც  
სიამოვნებდა, მავრამ, ამავე დროს, თავის გულის სიღრმეში რაღაც გაურკვე-  
ველი, იდუმალი ნინათვრდნობის შიშით ფიქრობდა:

„არ ვიცი, მაგდას რა დაემართება, თუ ხალხთან არ მივიდა, ხალხი არ ირწმუ-  
ნა, საზოგადო საქმემ არ გაიტაცა. ეგ დიდი ხანია ზემოურებს აღარ ეკუთვნის“.

პატარძალი დიდი ამბით გამოიყვანეს აივანზე.

შუშანიკმა კნეინა გოსტაშაბიშვილს მორიდებით გაუბედა:

— დარჩით, კნეინავ, ჩვენთან ერთად ისიამოვნეთ.

მაგდა შეყოყმანდა, მავრამ შუშანიკის სანდომიან სახეს რომ შეხედა, უარი  
ვეღარ უთხრა.

მექორნინენი მეიდნის წმინდა გიორგის საყდრისკენ ფეხით გაემართნენ.  
მამრაძეებიც თან გაჰყვნენ.

აივანზე ვახტანგ ტაშირელი და მაგდა გოსტაშაბიშვილი შემოთავაზებულ  
სკამებზე დასხდნენ. აივნის ბოლოს ფერშანგოვის დედა და რამდენიმე დე-  
დაკაცი რიკულს გადაეყუდნენ. როცა მექორნინეთა მხიარული აურზაური  
მინყდა, ფერშანგოვის დედამ დაიძახა:

— ქა, რატომ ზანდაროვები არსად გამოჩნდნენ?

მაგდამ ყურები ცეკვიტა.

ტაშირელი შეკრთა.

ერთმა დედაკაცმა დედაბერს გაკვირვებით უპასუხა.

— იჲ, მაირიკუჯან, ნეტავი შენა! აბა, თეთრი ლიზა მარგალიტას გვერდით  
დაჯდომას როგორ იკადრებდა?

— მეხი კი დავაყარე, აპანდე! — გაბრაზდა დედაბერი, — ქა, ფირუზა  
ზანდაროვის ცოლი საქციელს ვის უნუნებს?

მეორე დედაკაცმა მოაგონა:

— ზანდარაანთ გიგა ფირუზაზე ნაკლები რით იყო? არ გახსოვთ, საკინძ-  
ჩამოგლეჯილი მაკას საყვარლად რომ ეჯდა?

მაგდა გაფითოდა.

ტაშირელი ნამონითლდა.

მესამე დედაკაცმა, რომელიც აქამდე გაჩუმებული იდგა, ნიშნის მოვებით ნარმოთქვა:

— თორემ ახლა თუ განკეპილია, მე შენ გეტყვი, ხელი ეშლება! ყველამ იცის, რომ ბართლომე კურტანიძის ცოლთან დაეთრევა.

მაგდას ზაფრანისფერი დაედო სახეზე.

ვახტანგ ტაშირელი გამშრალი იჯდა. არ იცოდა, რა ექნა. ვერც ადგომას ახერხებდა, ვერც სიტყვის თქმას. სივრცეს სულშეგუბებული გაჟყურებდა, არ უნდოდა, კნეინა გოსტაშაბიშვილის გაფითრებული სახე დაენახა.

დედაკაცები ოთახში შელაგდნენ, რადგან აივნის ბოლოს მზე მოადგა.

სანგრძლოული უხერხული დუშილი ვახტანგ ტაშირელმა იმით დაუკარგვა, რომერთა ახლად ნაპოვნი, მეტად ძველი და მეტად საინტერესო ხელნაწერის აღნერას შეუდგა.

მაგდა ყურს არ უგდებდა. ეკლებზე იჯდა. მექორნინეთა დაბრუნებას მოუთმენლად მოელოდა.

როცა ანჩისხატის უბნის პატარა ქუჩა კვლავ ახმაურდა, ფეხზე ნამოდგა.

დედაკაცები ზურნისა და ლრისანცელის ხმაზე ოთახიდან გამოცვიდნენ, ავანზე გადადგნენ.

მაგდამ პატარძალს პირზე აკოცა, ნეფეს ხელი ჩამოართვა.

— დარჩით, კნეინავ, — შეეხვენა შუშანიკი, — ჩვენთან ერთად გაატარეთ დრო.

— გადაუდებელი საქმე მაქვს, შუშანიკ. თქვენთან ცოტა ხნით შემოვიარე.

შუშანიკს გაუკვირდა. ვერ მიმხვდარიყო, ნელანდელ თანხმობას ახლანდელი უარი რატომ მოჰყვა. „რა დაემართა კნეინა გოსტაშაბიშვილს?“ — თვალებით ეკითხებოდა იგი ვახტანგ ტაშირელს.

ტაშირელმა მას პირი მოარიდა, ისევ სივრცეს გახედა.

კნეინა გოსტაშაბიშვილს ყველამ მონინებით დაუთმო გზა.

ჭიშკამდე ის ვახტანგ ტაშირელმა მიაცილა. ნალვლიანად გააყოლა თვალი მას და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილი ოდნავ ნელში მოხრილი მიდიოდა.

## 8. ეკვლელობა პარეტაში

ახალგაზრდა კაცმა აღმოილო ხრმალი, მაგრამ მასვე ნამსა ოთხი ნიღბიანი კაცი შეცვივდა სანოლს, შეიცყრეს ისი, შეუკრეს ხელები,

აუკრეს პირი, მარკიზას გული ნაუეიდა.

„საფია“, რომანი უფლისა რეუე დებოვიარ

სამი დღის შემდეგ, ლამის თერთმეტ საათზე, ერთ მიურუებულსა და ბნელ ქუჩაზე, კნეინა გოსტაშაბიშვილს დახურულ კარეტაში მევლელები აუცილებელი ვდნენ და ბებუთით აჩეხეს, გაძალიანებული მეეტლეც მძიმედ დაჭრეს და ლამის წყვდიადში გაუჩინარდნენ. პოლიციელის ჩამოვლამდე კარეტა დიდხანს

იდგა უკაცრიელ ქუჩაზე. გვიან ლამით, უპნის პოლიციელმა ძლივს გაარჩია ცხენებს შორის ჩავარდნილი მეტლე და მყისვე განგაში ატეხა. მის ყვირილზე ახლომახლო სახლების მცხოვრებლები გამოცვიდნენ და ეტლს გარს შემოვ-ხვივნენ. ვიღაცამ ეზოდან ანთებული ჩირალდან გამოიტანა და იქაურიობა გაანათა. კნეინა გოსტაშაბიშვილი სისხლში ცურავდა. შეძრნუნებული ბრძო ჯერ გამტერდა, მერე აყაყანდა და მთელი უბანი ფეხზე დააყენა.

რიყოდან, ზალმანის სასტუმროდან ეტლით მომავალმა გრიგოლ ზანდაროვმა, რომელსაც ეტლში ოპერის თეატრის ნორჩი ბალერინა ეჯდა, მეტლეს ცხენები გააჩირებინა და იქნი გაიხედა, სადაც ყველა სეირის საყურებლად გარბოდა.

შეუ ქუჩაში გაჩირებულ ვიღაცის ქარეტას გარშემო აღელვებული ხალხი შემოხვეოდა.

ზანდაროვმა ქარეტას შორიდან დაადგა თვალი.

ეცნაურა.

მერე იცნო ეიდეც.

ეტლიდან უფრო გადმოხტა, ვიდრე გადმოვიდა.

ნაბიჯს აუჩქარა.

ბრძო გაარღვეია.

გაპრიალებულ ვაჟბატონს პოლიციელმა უსიტყვოდ დაუთმო გზა.

ზანდაროვმა ეტლის პანია სარკმელში თავი გადაჰყო. ბებუთით მკერდ-განგმირული მაგდა გოსტაშაბიშვილი ეტლის ბალიშებზე იყო გადასვენებული. ზანდაროვი ზარდაცემული მიაცეკერდა მას და ჩირალდნების შუქზე მყისვე თვალში მოხვდა, რომ ამ მუდამ გოროზსა და ამპარტავან კნეინას სახეზე ისეთი გაოცება ეწერა, რომლის მსგავსს ცხოვრებაში არავინ არასოდეს არ ამჩნევდა. სიკვდილი უკვე დაუფლებოდა მისი ლამაზი პირისახის ნატიფ ნაკვთებს. მხოლოდ მის ნაბლისფერ კულულებს შერჩენოდათ ისევ სიცოცხლის ნიშატი. გრიგოლს ცრემლი მოერია. ქვედა ყბა აუკანკალდა. დარეტიანებულმა პირჯვრის გადაწერა ძლივს მოახერხა. უცებ ნელში გაიმართა და მოკლეულს ყელზე დაამტერდა. მას მაინის-ფრანკურტში ნაყიდი მანიაკი აღარ ეკეთა, მანიაკი, რომელსაც კნეინა გოსტაშაბიშვილი განუშორებლად თან ატარებდა.

მოლოდეროდასკუნისგაუთებაშედებოდა; ქუჩას გაძრცვის მიზნით ყომიკლული

## 9. პნეინა და ნაიპი

ქალის და მხედრის ცხოვრების სხვადასხვა გზა სიკვდილმა შეაერთა, როცა ერთს ახსენებდნენ, მეორესაც ასახელებდნენ. თანამედროვეს ჩანაწერებიდან

არისტოკრატი ქალის მკვლელობას მაინცდამაინც დიდი აურზაური არ გამოუწვევია თბილისში. პირველი შთაპეჭდილება და მითქმა-მოთქმა სწრა-ფად მინელდა.

ქალაქის ხალხს სულ სხვა რამ გაუჩნდა სალაპარაკოდ.

მეფისნაცვლის სასახლის წინ, მაღალ სვეტზე, პაჯი-მურატის მოკვეთილი თავი იყო დაგდებული.

ქალაქის ყველა უბნიდან მის სანახავად მორბოდნენ.

ნიკოლოზის მოედანზე ხალხს ზიმზიმი გაჰქონდა.

კარის გოსტაშაბიშვილის პანაშვიდს თითო-ოროლა არისტოკრატი დაესწო.

კარის გოსტაშაბიშვილი კარის გოსტაშაბიშვილი ნუთით გამოჩნდა და სწრაფად გაუჩინარდა.

ჭირისუფლობა კარის გოსტაშაბიშვილის ანჩისხატისუბნელებმა გაუწიეს.

ვახტანგ ტაშირელი კედელთან იდგა, ხელები თვალებზე აეფარებინა და ჩუმად ქვითინებდა. მის გვერდით მდგარი თვალცრემლიანი ქრისტინე დრო-გამოშვებით ამშვიდებდა მას. დალონებული კონსტანტინე მამრაძე კარებთან იშვიათ მომსვლელს მოკრძალებით უთმობდა გზას. მარგალიტა ახლაც ჭუ-რაში იდგა, ქმრის ხელი თავის ხელში ეჭირა და კარის სახლის განათებულ ფანჯრებს თვალდანამული შესცეკროდა.

უზარმაზარი ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილი შუა ოთახში დასვენებულ ცოლის ცხედარს გაშტერებული დაჰყურებდა. თუმცა ბალდადი გაშლილი ჰქონდა, მსხვილ ცრემლებს მაინც სახელოთი ინმენდდა.

ძალისუბნელმა ზაქარამ ძვირფასი მანისკი ჯერ უნაბის ქვეშჩაფლა, მერე სამტრედები გადაიტანა, ბოლოს საბუხრეში დამალა. ამასაც ეჭვით დაუწყო ყურება და იმდენ ხანს იბორიალა, სანამ პოლიცია არ დაადგა თავზე.

# კარი ოცდამეცხრე

## 1. აპრილი

ქალაქელ ვაჭრობს ცუდი ვსა გჭირთ, რომ არა გაქვთ ძმის არც  
სიყვარული, არც შებრალება.  
ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“

გრიგოლ ზანდაროვი ცოლს ცივ ნიავს არ აკარებდა. ყურადღებას არ  
აკლებდა და მოუთმენლად მოელოდა ვაჟის დაბადებას.

მანანამ მეოთხედ მოილოგინა და მეოთხედაც გოგო ეყოლა.

ზანდაროვს ისევ გაუყვითლდა პირი.

თეთრმა ლიზამ მეოთხედ მიაყარა ქოქოლა „ნაკნეინარს“. გათამამდა და  
იქ დაერჭო, სადაც წინათ რძალი ყოფნას უკრძალავდა.

მანანას მისთვის არ ეცალა, ბოლმით იყო გასივებული.

ცრუმორნმუნებ და მალემრნმენმა გოგოს დაბადებაში ღვთის რისხეის  
ნიშანი დაინახა.

აწრიალდა და აფორიაქდა.

ეკლესიებში სიარულს მოუხშირა. ყველა ეკლესიაში ყველა ხატს სანთელს  
უნთებდა. ხატებთან სასოებით მუხლმოყრილი გულმხურვალებ ლოცულობ-  
და. სახლში მარჩიელები და მჩხიბავები გაამრავლა. მწირებს და მონოზნებს  
თავი მოუყარა. მონასტრებს მდიდრულ შესანირავებს უგზავნიდა და საკუ-  
თარი ხელით განთქმული ეკლესიების განთქმულ ნმინდანებს ოქრონაკერებს  
უქარგავდა.

მილიონერის სახლში კვლავ დატრიალდა საკმევლის სუნი.

თეთრი ლიზა გაკვირვებული იყო. ხელებს შლიდა და თავის დოსტ მაიკ  
კურტანიძესთან გაოცებით ლაპარაკობდა:

— ქა, ღმერთს ეგეთი რა შესცოდა? ნეტავ ვიცოდე, რა ცოდვას ინანი-  
ებს?

მაიკ მის ნათქვამს ხარბად კრეფდა, თვითონ კი არაფერს ამბობდა.

გრიგოლიც დუმდა. ხმას არ იღებდა.

როცა ძალლისუბნელ ზაქარას სასამართლომ განაჩენი გამოუტანა, რუხი  
ფარავა ჩააცეს და კატორლის გზას შეუყენეს, თითი შუბლთან დაატრიალა,  
მაგრამ ვერაფერი მოისაზრა და, საერთოდ, კნეინა გოსტაშაბიშვილი შარშან-  
დელი თოვლივით დავიწყდა.

დროს შესანიშნავად ატარებდა.

თეატრსა და სანახაობებს არ აკლდებოდა. თეატრში მარტო უხდებოდა სარწყლი, რადგან მარჩიელ-მჩხიბავებსა და მონოზნებს შორის ჩამჯდარ ქალბატონს აღარც იტალიელი მომღერლები აგონდებოდა, აღარც ოპერისა და სალონების ბრწყინვალე საზოგადოება.

მონოზნებიც სულ იმას ჩასჩიჩინებდნენ, რომ თეატრი ეშმაკის გასართობი იყო, ხოლო მეჯლისები — კუდიანების ღრეობა.

თანდათან ყველგან ფეხი ამოიკვეთა.

აღარც თვითონ იღებდა სტუმრებს, აღარც სტუმრად მიდიოდა სადმე.

მისი გზა ეკლესიების კენ მიდიოდა და იმავე გზით შინ გარინდებული ბრუნდებოდა.

ქალაქში მითქმა-მოთქმა გახშირდა.

დავით გერმანოზიშვილი ბრაზობდა, პატივმოყვარედა ამპარტავანი, დის საქციელზე იყო გაჯავრებული, მაგრამ მასთან უსიამოვნო ლაპარაკს ერიდებოდა. ერთხანს (სანამ ზაქარას ასამართლებდნენ და ამაოდ ცდილობდნენ მის თანამონანილეთა დასახელებას) თვითონაც შემფოთებული უვლიდა ქალაქს გარშემო და გულს ნადირობაზე აყოლებდა.

კნეინა მზეხათუნმა ძმისნული ჯერ მაგრად გამოლანდა, მაგრამ რაკი ვერაფერს გახდა და მონოზნების მიერ მოჯადოებული გონზე ვერ მოიყვანა, ხელი ჩაიქნია და განერიდა.

გრიგორება კიდევ უფრო გამალა ფრთები.

თეთრმა ლიზამ გესლიანად ჩაულიმ-ჩაულილინა მაიკო კურტანიძეს:

— თვალი დაუდგეს ჩვენს სუტ-კნეინას, აპანდე!

მაიკომ არც ახლა ამოილო ხმა, მაგრამ თაფლისფერი თვალები ისეთნაირად გაუმუქდა და ისეთმა ფერმა გადაჰკრა სახეზე, რომ თეთრმა ლიზამ მყისვე ენაზე იკბინა.

ქალაქში ხმა დაირხა, რომ მდიდარი და ლამაზი ზანდაროვი თითქმის ყოველდღე სოვდაგარ ვიკრიკოვის სახლში იყო დარჭობილი, როცა სოვდაგარი ქარვასლაში იჯდა, ხოლო მისი ასული ირციპუხოვის პანსიონში ფრანგულსა და ცეკვებს სწავლობდა.

მაიკო სულ იმაზე ფიქრობდა, თუ რით უნდა მოეხიბლა ტანკენარი გრიგოლი სოვდაგრის კუნძივით დამრგვალებულ ცოლს. დაღონებულს და თვალ-ცრემლიანს აგონდებოდა, რომ ამ ტიკივით გაბერილ დედაკაცს ფუშტუშა გიმრისფერი თმა ჰქონდა, ლოყაზე — ლამაზი ხალები, ხოლო მაყვალივით შავი თვალები — ისეთი ცოცხალი და ურცხვი, რომლის მსგავსი, აღიარებდა გულდამნვარი მაიკო, მხოლოდ მაკას სახეზე ენახა.

ბოლმა და სიყვარული სულს უხუთავდა მაიკო კურტანიძეს. თან უკვირდა, რომ მისი გამნირავი მამაკაცის დავინუება არ შეეძლოდა, ის კიარა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად ენატრებოდა იგი.

## 2. პია ლაზარეს დუქანი

საყვარელო, ნუ სტირი,  
თავს ნუ იკლავ, ნუ სტირი,  
შენი ბეჭის შემკვრული  
ერთხელ გახსნის, ნუ სტირი  
ქალაქური სიმღერა

მაიკო თავის თავდავინყებულ სიყვარულს ვერაფრით მოერია. პირიქით, უცნაური რამ დასჩემდა. დიდხანს, დიდხანს დახეტიალობდა იმ ქუჩებსა და ქუჩაბანდებში, სადაც ნინათ გიგასთან ერთად დასეირნობდა. დიდხანს ჩერდებოდა იმ უკეთ დაბერებულ ხეებს ქვეშ და იმ ჩამოფხავებულ ჭიშკრებთან, სადაც გიგას ყელზე ეხვეოდა და ტუჩებს უკოცნიდა. თვალი უმტერდებოდა და ნამნამებზე ცრემლი ეკიდებოდა. ბურანიდან რომელიმე მეზობლის „გამარჯობა“ ძლივს აფხიზლებდა. გამორკვეული ქვლავ ხარბად უყურებდა ძველი სახლების მოფარებულ კედლებს და იაქთაღებს, სადაც სიბნელე, ასე ეგონათ შეყვარებულებს, გამვლელებს მათი დალანდევის შესაძლებლობას არ აძლევდა და იქამდე ეერც მთვარის შუქი აღწევდა.

ყველაფერი თავსაყრელი ჰქონდა მაიკოს, მაგრამ ხარახურას და ნერილ-მანს იმ დუქანში ყიდულობდა, სადაც გიგა ჯერ დახლიდარად მუშაობდა, მერე კი მედუქნედ. უყვარდა ამ დუქნის ნინ გადმოხურული ლაბადის ქვეშ ხის გრძელ სკამზე ჯდომა და თავის ნანატრ გიგაზე ფიქრი. ახლა ეს სკამიც ისევე იყო დაძეელებული და მიგლეჯილ-მოგლეჯილი, როგორც ყველაფერი ძველი დუქნის გარშემო.

ხნიერ მედუქნეს არ უკვირდა, რომ მდიდარი ალაფის ცოლი მისი დუქნის სკამზე იჯდა და ისვენებდა. როცა ეს ტანმაღალი და თვალმწყაზარი ქალი აღმართზე ამოდიოდა ხოლმე, ხელს მალიმალ გულზე იდებდა და თეთრი, უნაოჭო შუბლიდან ხელსახოცით ოფლს ინმენდდა.

მედუქნემ ერთხელ მაიკოს გაუბედა და უთხრა:

— მაიკო, გატყობ, აღმართზე ამოსვლა გიჭირს, რაც სასყიდელი გჭირდება, იმისთვის ან შენი ბიჭები, ან მოახლე გამოგზავნე, შენ რაზე ირჯები?

— ბიჭები სწავლობენ. მოახლე სახლს ალაგებს. მე კი აქეთ მოსვლა მუდამ გულს მიხალისებს, ძია ლაზარე!

— მართალია, შორს არა ცხოვრობ, მაგრამ ნინაკისა და მიხაკ-დარიჩინისათვის შენ რად უნდა მოდიოდე?

— ეჲ, ძია ლაზარე, ვინ იცის, რამდენჯერ მოვსულეარ ამ დუქანში?! ამ დუქნის დახლში მეცა ვმდგარვარ, განა!

ხნიერმა მედუქნემ პირი დააღო. დუქნის პატრონი ბევრჯერ იყო გამო-ცვლილი. ამიტომ ლაზარემ მაიკო კურტანიძის თავგადასავალი არ იცოდა.

პირველი გამასლაათების შემდეგ მაიკომ კიდევ უფრო მოუხშირა ძველ, კარგად ნაცნობ დუქანში სიარულს. ხნიერსა და გულკეთილ მედუქნეს ხან რაზე ელაპარაკებოდა, ხან — რაზე. ლაზარეს ცოტა მუშტარი ჰყავდა, უცოლ-შვილო და უნათესავო კაცი იყო და მაიკოსთან მუსაიფით თვითონაც თავს ირთობდა. ზოგჯერ ბუზღუნით ჩაურთავდა ხოლმე:

— ამ ტიალ დუქნისკენ მუშტრებს გზა ვერ ვაპოვნინე, თითო-ოროლა გრომს ძლივს ვიგებ. ახლა აღარ მიკვირს, რომ ვინც ამ დუქანს პატრონად დახდგომია, ყველა გაკოტრებულა და გაქცეულა.

მაიკო პირგამტკნარებული უსმენდა მედუქნის ლაპარაკს, გულში კი იცინოდა და ამბობდა: „აქ ერთი ახალგაზრდა, ძალიან, ძალიან ლამაზი კაცი იყო მედუქნედ, თავზე იმას მე გავუსნორე ვაჭრის ქუდი, გავამდიდრე და ქარვას-ლამდე მივიყვანე“. თან გულშივე ოხრავდა და სინანულით ფიქრობდა: „ნეტავისც მედუქნედ დარჩენილიყო და მეც ხაბაზის ცოლად, ნეტამც! ნეტამც!“

გულდანყვეტილი თავისთვის ასე ოხრავდა და მოთქვამდა, გარეგნულად კი არაფრით არ გამოხატავდა თავის მლელვარებას და სინანულს.

ერთხელ მზე ისეთნაირად მოადგა ხის გრძელ სკამს, რომ მაიკოს სახეზე ოფლი წურწურით ჩამოედინა. ლაზარეს შეეცოდა, დუქნის კარიდან გამოსძახა:

— მაიკო, მაგ მზეში რად იტანჯები, უკანდუქანში მოისვენე.

მაიკოს გული აუფანცქალდა, თვალები გაუბრნყინდა, გულკეთილი მე-დუქნე იმას სთავაზობდა, რის თქმასაც თვითონ ვერასვზით ვერ ბედავდა.

ლაზარემ მას უკანდუქნისკენ გზა მისცა თუ არა, გაკვირეებულმა ახედ-დახედა. მუდამ პირნალვლიან მაიკოს თვალები უცინოდა. სულ ერთიანად იყო გამოცვლილი. მისი თაფლისფერი თვალები, ნელან მუქი ბრინჯაოს-ფერი რომ გადაპერავდა, ახლა არაჩეულებრივად ანათებდა და წყაროს წყალივით კამკამებდნენ. სიარულიც სწრაფი და ცოცხალი გაუხდა. წელან აღმართზე წელში გატეხილი, ახლა დედოფალივით იყო ამართული და გაცისკროვნებული. მედუქნე თვალს არ უჯერებდა. ერთ ადგილზე გაშტერებული იდგა. გუმანით გრძნობდა, რომ მაიკო რაღაც ანაზდეულ სიხარულს უნდა გამოეცვალა, მაგრამ ამ სიხარულის მიზეზს ვერ მიმხვდარიყო.

იმ პატარა ოთახში, დუქანს უკან რომ ეკრა, მაიკოს თითქმის ყველაფერი უცვლელი დახვდა. ოლონდ უფრო სუფთა და კრიალა იყო, ეიდრე იმ დროს. კედელთანაც კაკლის ხის ტახტი იდგა, რომელზედაც მედუქნის ფაქიზად მოვლილობოგინი იყო გაშლილი. არც ტომრები იყო ისე უნესრივოდ მიყრილ-მოყრილი, როგორც ეს დაუდევარ გიგას სჩვეოდა. მაგრამ მაინც იმდროინდელი იერი სჭარბობდა და გარშემოც იმდროინდელი სურნელი იდგა. კაკლის ხის ტახტი ვინმეს გარეთ რომ გაეტანა, კაცი იფიქრებდა, სადაც არის, კარი გაიღება, გიგა შემოვა და მაიკოს ყელზე მოეხვევევაო. ამ აზრმა ისეთნაირად გაუელვა მას თავში, რომ სული შეუგუბდა, გული შეეკუმშა, თავშეუკავებლად დაემხო ტომრებზე და ქვითინი აუვარდა.

თავზე უარესად გაკვირვებული მედუქნე დაადგა.

— რა დაგემართა, მაიკო?

მაიკოს ყრუდ მოესმა მისი ხმა, ძლივს გამოფხიზლდა, ტომრებზე ნამოჯდა, თვალებიდან მუშტებით მოინმინდა ცრემლები.

— მაპატიე, ძია ლაზარე, შენი ჭირიმე!

ლაზარე მიხვდა კიდეც მისახეედრელს და ვერც მიხვდა.

— რა უნდა გაპატიო, შვილო? დაწყნარდი, გული მოიბრუნე. ნყალი ხომ არ მოგიტანო?

— არ მინდა, ძია ლაზარე.

— რა ვქნა, რომ არ ვიცი, რა დაგემართა?

— ნურაფერს ნუ მკითხავ, ძია ლაზარე, შენ შემოგევლე.

— კარგი, კარგი. შენ თავს თვითონვე მიხედე. მე დუქანში გავალ, იქნებ მუშტარი გამოჩნდეს.

„შვიდვეზირიანზე“ გაზრდილმა მედუქნემ სიყვარულის ყველა მისახ. ვევ-მოსახვევი და ათასნაირი კუნჭული ზეპირად იცოდა. მყისვე მიხვდა, რომ მაიკო კურტანიძე მის დუქანში ვიღაცის სიყვარულს მოჰყავდა. იქნებ ის ვიღაც ნინათ ამ დუქნის პატრონი იყო? ახალგაზრდა და ლამაზი? მერე, მერე რა მოხდა? ეს კი ძნელი გასაგები იყო, მაგრამ ზრდილობიანი ხნიერი მედუქნე ამის გაგებას არც აპირებდა. ისედაც ბევრი რამ იყო მისახვედრიც და გასაგებიც. ამ ლამაზი ქალის სასონარეულეთილი ტრფიალი ვიღაცის მიმართ მას არ აკვირვებდა, რადგან ბართლომე კურტანიძე ნანახი ჰყავდა.

როცა ლაზარემ მაიკო თავდალმართამდე მიაცილა, ტკბილად გაულიმა და უთხრა:

— როცა გინდა, მაშინ მოდი, მაიკო! უკანდუქანში მოისვენე; თუ გეტირება, იტირე, თუ გეცინება, იცინე. ვინ რას იტყვის? ოთხმოც ნელს მიღწეული ვარ, თვალი მე არ მიქრის და ჩინი, ერთადერთ კბილსაც ისე ვუფრთხილდები, როგორც ძუნწი მარგალიტს.

გულყეთილად გაიცინა და მაიკოც გააცინა.

### 3. ჰირის ოფლი

თავზე ცეცხლი მიკიდია, ეს დოლბანდი ას გირვანქას ინონის.  
უორუ სანდი, „ლეონე ლეონი“

გრიგოლ ზანდაროვმა ფეხსაცმელების ფაბრიკის კედლები აიყვანა და შენობა გადაახურინა. დურგლებმა და მლეხსავებმა შიგნითა სამუშაოები დაამთავრეს. რუსეთიდან მონვეულმა ოსტატებმა მარსელიდან მიღებული მანქანები და დაზგები გამართეს. ტყავეულიც ბლომად იქნა მოზიდული.

მაგრამ თავი და თავი დაქირავებული მუშახელი ქალაქში ძნელი საშოვნელი აღმოჩნდა. აგურქარხანასა და შუმის ქარხნებში მოგვავეთა გადმობირებას ჯამავირის მომატება სჭირდებოდა, რის გამოც მოგებას დახარბებულ მილიონერს ეს სარფიანად არ მიაჩნდა. დღიურად გომუშავე იმერელი მუშებიც იმაზე მეტს მოითხოვდნენ, რასაც დღიურ სამუშაოებში იღებდნენ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ დაქირავებულ მუშებს ხელობის სწავლა და განაფვა სჭირდებოდათ, ეს კიდევ არაფერი. ვინც გასთან გაჭირვების გამო და ლუკმაპურის საშოვნელად მოდიოდა, იმათაც ამქრის ხალხი ბნელ ქუჩაბანდებში უხვდებოდა და ცხვირ-პირს ამტვრევდა. განსაკუთრებით, თათრული ჩუსტების მკერავები და მეჩექმეები იქნევდნენ გუშტებს. ქარვასლების სოვდაგრები იცინოდნენ და გრიგოლ ზანდაროვის გაკოტრებასლა უცდიდნენ.

— მაშ, მაშ! — ლაზლანდარობდნენ ისინი, — ტეტიები ქალამნებს გაიხდან და ზანდაროვის პოლსაპოშებში ივლიან, ქალაქელი ვირგლებიც თათრულ ჩუსტებს მტკვარში გადაყრიან და ზანდაროვის ბატინქებით იოლად წავლენ, ევ არის რალა!

ნასახალისებლად ვორონცოვმა ზანდაროვის ფაბრიკას ჯარისკაცები-სათვის ათასამდე ჩექმა შეუკვეთა. ამ შეკვეთას რამდენიმე ოსტატმა და შეგირდმა ადვილად გაართვა თავი, მაგრამ ზანდაროვმა იმაზე ნაკლები მოიგო, რასაც უცხოური საქონლით ვაჭრობით გებულობდა.

შეფიქრიანდა.

დაეჭვდა.

გაუჭირდა.

თანდათან მოიღოუბლა.

საფეთქლებთან თეთრი მოემატა.

გარეთ იხტიბარს არ იტეხდა, მაგრამ შინ ცხვირჩამოშვებული იჯდა.

გაჭირვებულს სოვდაგრებმა ფეხი დააჭირეს.

თავი იმათაც ასწიეს მაღლა, ვისაც ნინათ ზანდაროვის ემინოდა.

სოვდაგრებმა სოვდაგრულად დაიწყეს მის ნინააღმდეგ მოქმედება.

ვიღაცამ ნახევარ ფასში გაჟყიდა ისეთივე საქონელი, რომელიც მას ნიუნი-ნოვგოროდიდან, ვარშავიდან, ლაიფციგიდან და პარიზიდან დიდის ვაი-ვაგლახით მოეტანა.

ზარალი ზარალს დაერთო.

ფირუზა და გრიგოლ ზანდაროვების მიერ გავსებულმა სალარომ პირი მოიხსნა და დაცარიელება იწყო.

გრიგოლს თანდათან მოეკიდა, დაეუფლა და ძვალსა და რბილში გაუჯდა გაკოტრების შიში. გალიზიანდა. ბრაზიანი გახდა. თეთრ ლიზას პირველად შეუბრუნა სიტყვა, ცოლს ცამონმენდილზე ნაეჩეუბა და ქუდ-მოგლეჯილი გარეთ გავარდა.

დედამთილმა და რძალმა ერთომეორეს გაკვირვებით გადახედეს და პირ ველად გამოელაპარაკნენ ერთმანეთს შინაურულად.

მხოლოდ ქარვასლებში არ იმჩნევდა ზანდაროვი არაფერს. ძველებურად დარდიმანდულად დაისრებოდა ამაყი და გულზეიადი კაცის ნილბით.

სოვდაგრები მასთან თავდაჭერილები იყვნენ. ზურგს უკან ეი დაცინვას არ აკლებდნენ, თან შეთქმულებივით ჩურჩულებდნენ და მოქიშეს ხატანვს უგებდნენ.

ზანდაროვი დაიბნა.

დაფრთხა.

ჭირის ოფლმა დაასხა.

მარჯვედ მოქმედების უნარი დაკარგა.

შიშით და ცახცახით ელოდა, თუ როდის დააგორებდნენ მას მეტოქე სოვ-დაგრები ქარვასლის კიბეზე.

## 4. განპილებული საყვარელი

ასე არ უნდა მელაპარაკო, ჩემო ძვირფასო.  
ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“

ზანდაროვის სალაროს ფული სულ უფრო და უფრო აკლდებოდა, მომატებით კი აღარაფერი ემატებოდა. ჯერჯერობით უძრავი ქონება იყო ხელუხლებელი, მაგრამ მასაც საფრთხე ემუქრებოდა. თუ ხელმოცარული ზანდაროვი საქმეს დროზე არ გამოასწორებდა, ისიც ისევე გაიყიდებოდა ჩაქუჩით, როგორც სხვა გაკოტრებული სოვდაგრების ქონება იყიდებოდა.

გრიგოლი თავს აჩქარებას უსაყვედურებდა.

ფეხსაცმელების ფაბრიკით დაინტერესების დღეს სწყევლიდა.

ფირუზას ნინდახედულობას ამართლებდა და საკუთარ დოკუმენტის ამტკუნებდა.

გულში ქალაქურად იგინებოდა და ილანძლებოდა.

იჯდა და თავაუღებლივ ანგარიშობდა.

ანგარიში ებნეოდა და თავს ველარ აბამდა.

ნაფიქრალს და ნაანგარიშევს ვიღაც მარჯვედ და ოსტატურად ურღვევდა. გასაქანს აღარ აძლევდა. ძვირად ნაყიდს ჩალის ფასად აყიდვინებდა. ჩანდა, ის ვიღაც მასზე ღონიერიც იყო და მდიდარიც. მის ასავალ-დასავალს ზანდაროვმა ვერასვზით ვერ მიაგნო.

გაბრაზებულმა საკუთარი მსტოვრები დაიფრინა.

აღარავის არ ენდობოდა, აღარავისთან კრინტს აღარ ძრავდა.

გულჩათხრობილი გახდა.

ფული სჭირდებოდა, მაგრამ ფულის სესხებაზე სოვდაგრებთან სიტყვის ჩამოგდებას ერიდებოდა. არ უნდოდა მათვის ახალი სიხარულის საბაბი მიეცა. ისიც კარგად იცოდა, რომ ამის შემდეგ სოვდაგრები კიდევ უფრო ნაუჭერდნენ მას თოქს ყელზე.

დაბნეულსა და დამტრთხალ ზანდაროვს ვიკიკონვის ცოლი გაახსენდა. გინ მიეჭრა.

საყვარელს მიკიბულ-მოკიბულად რაღაც უთხრა, რაღაც გააგებინა, საჭირო თანხაც დაუსახელა, ქმართან ამ თანხაზე სიტყვის ჩამოგდება სთხოვა.

ვიკიკონვის ცოლმა და ზანდაროვის საყვარელმა შორს დაიჭირა.

— გრიგოლჯან, ეგ არ გამოვა, არამც და არამც. არ იცი, ჩემი ბედოვლათი რანაირი ძუნნი კაცია?

გრიგოლს გაახსენდა: ვაჭრის ცოლი ქმრის ქონებას უფრო უფრთხილდებოდა, ვიდრე ქმრის სახელსა და ლირსებას.

ვაჭრის ცოლმა არც საყვარელი დაინდო.

— მაშ, კუტრი ხდები, გრიგოლჯან?!

ზანდაროვმა ენაზე იკბინა. დედაკაცთან ის ნამოსცდა, რისი თქმაც ხმა-მალლა არ შეიძლებოდა. სახეზე სიბრაზის ალმურმა აჰკრა.

ვიკიკონვის ცოლმა უდარდელად გაიცინა.

— ლამაზი კაცი ხარ და მეცოდები, მაგრამ მაგისთანა, განა, ცოტა მომხდარა ჩვენს თბილის ქალაქში?

ზანდაროვმა ცივად დაუბრუნა.

— შენ ის მითხარი, რა პასუხს მაძლევ. მაგის მაგალითი უშენოდაც ბევრი ვიცი.

— აյი გითხარი, გრიგოლჯან! შენ ველარაფერი გეშველება. ჩემი ბედოვლათიც და სხვა სოვდაგრებიც ამას ამბობენ. სახლი დააგირავე, ფულს სხვანაირად ვერ იშოვნი.

ამ სიტყვებმა ზანდაროვი გველნაკბენივით ნამოაგდო სავარძლიდან, ქუდს წაავლო ხელი.

საყვარელმა ურცხვად შემოსცინა.

— უცოლო ან ქვრივი რომ იყო, გრიგოლჯან, გიშველიდი. ჩემს ქალს შეგრთავდი ცოლად. დედისერთა ქალის მზითევი ფეხზე დაგაყენებდა. მააშ!

— მერე, დედაკაცო, არ იცი, მე შენთვის ვინა ვარ?

— მერე რა ვუყოთ, გრიგოლჯან? ჩემთვის რათა დარდობ? ჩემი ლამაზი ხალებით სხვასაც ბევრს ვიშოვნი.

ეს ურცხვი და გარყვნილი დედაკაცი ზანდაროვს იმნაში ისევე შესძაგდა, როგორც თავის დროზე მაკა სძაგდა.

ვიკიკონვის ცოლი რაღაცით ჰგავდა მაკას, თუმცა არც იმასავით აშოლტიილი იყო და არც იმასავით ლამაზი.

## 5. განახლებული ვებგანი

სელი ხელსა, ბაგე ბაგეთ! განვაახლოთ სიხარული.  
გრიგოლ ორბელიანი

სოფაგარ ვიკრიკოვის სახლიდან ზანდაროვი უფრო გამოვარდა, ეიდრე გამოვიდა.

ბრაზი ახრჩობდა, მაგრამ ქუჩაში თავს ძალა დაატანა, ისევ უზრუნველი და დარღიმანდული იერი მიიღო.

ბრაზნაკიდებული თავის ქერქში მაინც არ იყო.

შორიდან ვიღაც ნაცნობი მიესალმა. ზანდაროვი ქუდის მოსახდელად მოემზადა და ქუდი ხელში შერჩა. ერთბაშად ველარაფერი მოახერხა. ევლა აუღარუნდა მის ყურებში ვიკრიკოვის ცოლის სიტყვები. თვალი გაუშტერდა და გზა ველარ განავრძო.

ნაცნობმა მხრები აიჩეჩა. თვალი გაკვირვებით გააყოლა.

ზანდაროვი დიდხანს იდგა ერთ ადგილზე გაშეშებული. ჯერ თავზე ქუდს დარეტიანებულივით ისწორებდა, მერე კი ორივე ხელით ისეთნაირად ჩააფრინდა, თითქოს თავიდან უვარდებაო.

გაეცინა.

მაიკო კურტანიძის მუნასიბად ნათქვამი სიტყვები გაახსენდა.

ამ აზრმა და ფიქრმა უნებურად მტკვრის გალმა გაახედვინა, სწრაფად შეუხვია ხოდისაკენ და აჩეკარებული ნაბიჯით გაემართა ნისქვილებისაკენ.

ალბათ იმიტომ, რომ თბილისისარისტოკრატულ უბნებში არავისთან შეხეედრა არ უნდოხდა. ალარავინ ესიამოვნებოდა, ალარავინ ეპიტნავებოდა. ნაცნობების ალმაცერად გამოხედვას, თვალებით და ჩურჩულით ლაპარაკს ვერ იტანდა.

ნაცნობები მას ისე უყურებდნენ, როგორც დასალუპად განწირულს.

ზანდაროვს მათი გამოხედვაც აღიზიანებდა და გადაერულად ნათქვამიც.

ვიკრიკოვის ცოლის მოურიდებელმა და აგდებულმა ლაპარაკმა იგი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ქალაქში ყველამ უკვე ყველაფერი იცოდა.

გულზე უარესად მოაწვა ბოლმა.

ანგარიშმიუცემლად შეჰქვა დავინუებულ ალმართს.

მისი ძველი დუქნის ნინ, ხის გრძელ სკამზე მაიკო კურტანიძე იჯდა. გრიგოლს რაღაცნაირად გაეხარდა მისი შორიდან დანახვა. შორიდანვე ძველებურად გაუღიმა. მაიკომ მას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ალმართზე ამომავალი ზანდაროვი ზმანების მოლანდებად მოეჩვენა. გამტერებული ხის სკამზე გაუნძრევლად იჯდა. სასურველ და საყვარელ ლანდს კი თვალს არ აშორებდა. როცა მომლიმარე ზანდაროვმა ალმართი ამოიარა და მისკენ ნამოვიდა, საშინლად გაფითრებულს სახე ერთბაშად აენთო. მოჩვენების მაგიერ ხელთ განკეპილი და მოხდენილი ზანდაროვი შერჩა.

- გამარჯობა, მაიკო.
- გაგიმარჯოს, გრიგოლ... — ძლივს ამოთქვა მაიკომ.
- აქ რა გინდა, აქ რას აკეთებ?
- მიხაუ-დარიჩინის სასყიდლად მოვედი, — იცრუა მაიკომ.
- ჰო.

გრიგოლმა მის გვერდით ჩამოჯდომა მოინდომა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. სკამი ძველი იყო, მიგლეჯილ-მოგლეჯილი, ჭუჭყინი და ტალახიანი.

მედუქნე ლაზარემ დუქნის კარიდან გამოსძახა მათ.

— უკანდუქანში მიბრძანდით, იქ მეტი სისუფთავე გახლავთ, არც ბუზები შეგანუხებთ.

გრიგოლმა მაიკოს გადახედა.

მის თვალებში მივიწყებული ალერსის ნაპერნეალმა გაიელვა.

მაიკო თავისდა უნებურად ნამოდგა ფეხზე.

ორთავენი უსიტყვოდ გაემართნენ დუქნის გაღებული კარისაკენ.

ლაზარე ხის გრძელ სკამზე ჩამოჯდა, ბუზებს ხელი აუქნია, მაგრამ მყისვე ჩაფიქრდა. „შვიდვეზირიანში“ წაკითხულ ქალ-ვაუიანთა ამბები გაახსენდა.

— გახსოვს, მაიკო?

თქვა ზანდაროვმა, როცა იმ ოთახში აღმოჩნდნენ, სადაც მათ პირველად გაშალეს ტომრები.

მის ხმაში ჩაფიქრდული სიყვარულის ნალვერდალი გამოკრთა.

ამ ალერსიანად ნათქვამმა სიტყვამ ტანში ურუოლა მოჰკიდა მაიკოს, სნრა-ფად მოტრიალდა მისკენ და ყელზე მოეხვია.

— გიგაჯან! გიგაჯან!

თვალები ცრემლებით ევსებოდა და თან გაშმაგებით კოცნიდა თავის ძველისძველ საყვარელს.

მაიკოს „გიგაჯან“ ყოველთვის აღელვებდა გრიგოლს. გულს უწუყებდა. ყმანვილკაცობას ახსენებდა. თვითონაც მოეხვია მაიკოს, ცრემლებით დასველებული თვალები დაუკაცნა, კისერი გადაუნია და მის ბრონეულივით გახლეჩილ ბაგებს დაეწაფა. ორთავენი ერთად დაემვნენ ძია ლაზარეს დუქნის ტომრებზე.

## 6. მუსაიში

**ვით შენ, მაიკო, მათაც დარცხვენით მოისხეს მხრებზე ყვავილთა ჩადრი.**  
**ე. ვერდერევსკი, „თბილისი გაზაფხულზე“**

მაიკო თან ანენილ თმას ისწორებდა, თან გაუთავებლად ტიტინებდა. ხან ფირუზას ოინებს იგონებდა, ხან თეთრ ლიზას „აპანდეს!“ სულ პირი

უცინოდა და გრიგოლის გაცინებასაც ცდილობდა. ერთხელაც არ წამოსც-

დენია არც პილპილიანი ჩამოკრული, არც გულდაწყვეტილი საყვედური. უსაზღვროდ ბედნიერს თავი ისე ეჭირა, თითქოს გრიგოლთან დიდი ხნის ნინათ კი არ ყოფილიყო განშორებული, არამედ მასთან დაუსრულებლად დაკავშირებული, როგორც ამას თავდავიწყებული სიყვარულის ნესი და რიგი მოითხოვდა.

უცებმა კუკო გრიგოლს დაკვირვებით დააცემდა, შემფოთებულმა ნამოიძახა:

— უი, დამიდგეს თვალები! ეგ როგორ გამხდარხარ, გიგაჯან! ეგ საფეხ-ქლები ეგრე რამ დაგითოვლა?

გრიგოლმა გაიცინა.

— ვბერდები, მაიკო.

— ქა, რა დროს ჩვენი დაბერებაა! გასათხოვარი რომ ვიყავი, ყველა ჩვენი ხნისანი ბებრები მეგონა. ახლა, არ დაიჯერებ, სულ სხვა აზრისა ვარ. შენ მაშინაც კარგი იყავ, ახლაც კარგი ხარ.

მაიკო მის თეთრ საფეხ-ქლებს მოურიდებლად დაეკონა. მკლავები ყელზე შემოაჭდო, უფრო დაკვირვებით შეათვალიერა. გრიგოლს ნახევრად ხუმრი-ბით, ნახევრად სერიოზულად ჰქითხა:

— თავიდან ვაჭრის ქუდი ხომ არ გივარდება, გიგაჯან?

გრიგოლი უსიამოვნოდ შეინძრა.

— ეგ საიდან მოიტანე?

მაიკომ გადაიკისკისა.

— რა ვქნა, დაცდილი მაქვს, როცა გიჭირს, ჩემთან მაშინ მორბიხარ.

გრიგოლი მომნუსხველი თვალებით დააშტერდა. „ნუთუ ამანაც იცის?“

— გაიფიქრა მან. მუხლებიდან მტვერი გადაიყარა, ფეხზე ნამოდგა, მაიკოს უდარდელად გადმოუგდო:

— გამოუცდელს ვერავინ ვერაფერი დამაკლო, გამოცდილს ვინ რას და-მაკლებს?

— ჰო, ეგ ეგრეა, — დაეთანხმა მაიკო, — შენცა და ბართლომეც ძალიან შორს ნახვედით, — ანაზღად სახეზე ნალველის ჩრდილმა გადაურბინა, თაფლისფერი თვალები მუქი ბრინჯაოსფერი გაუხდა, თითქმის შიშით ნარ-მოთქვა, — ბართლომეს ფული ზღვასავით შემოაქვს, მავრამ არც ლარიბებს ინდობს და არც მდიდრებს ეპუება. მეშინიან, ვინმემ არ გვიმტროს, ცეცხლი არ ნაგვიკიდოს.

გრიგოლი მას ყურადღებით მიაცემდა. მაიკომ ჯერ არაფერი იცოდა. ეს მისი სიტყვებიდან ჩანდა.

მაიკოსთან მან ის არა თქვა, რაც ვიკრისების ცოლთან ნამოსცდა. ლიმი-ლით უთხრა:

— რისი გეშინიან, მაიკო? ბართლომეს კარგი ცოლი ჰყავხარ, თავიდან ვაჭრის ქუდი არ გადმოუვარდება.

— მაშ! მაშ! — გამოაჯავრა მაიკომ, — ეგ, მგონი, შენც გამოსცადე. განა არ გახსოვს?

გრიგოლს ეს ჯერ კიდევ წელან ხიდთან გაახსენდა, მაგრამ გრიგოლ ზანდა-  
როვი გიგა ზანდაროვი აღარ იყო. მაიკოს ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვეღარ  
გადაარჩენდა. მისი მაშინდელი და ახლანდელი მდგომარეობის შედარებაც კი  
უშეიძლებოდა. პატარა დუქნის დახლიდარისათვის პატარა თანხა სავსებით  
საქმარისი იყო, ფეხსაცმელების ფაბრიკის პატრონს კი ათასები სჭირდებოდა.  
ამიტომ მაიკო მას ხელს ვეღარ გაუმართავდა, ასეთი დიდი თანხის სესხებაზე  
ბართლომესთან კრინტსაც ვერ დასძრავდა.

- რაზე ჩაფიქრდი, გიგაჯან? — შეეკითხა მაიკო.
- ბევრი ფული აქვს ბართლომე კურტანიძეს?
- ისიც შენსავით მილიონერია! — უპასუხა მაიკომ და თაფლისფერი  
თვალები ისევ ბრინჯაოსფრად გაუმუქდა.
- მაგას რაზე მეკითხები?
- ისე, სიტყვამ მოიტანა, — უხალისოდ მოუგო გრიგოლმა.
- მაინც? — ჩააცივდა მაიკო.
- რა ვიცი, როგორ ვითხრა? მაგის ასავალ-დასავალი ვერსავინ გაიგო, —  
ზანდაროვს უნდოდა ეთქვა, ვერც ფირუზამ, ვერც მეო, მაგრამ დროზე დააჭი-  
რა ენას კბილი და განაგრძო, — ისე ეი, გაგიხარიან, ფულებს ნიჩბითა ხვეტს.  
სომხის ვაჭრებმა ბევრი სცადეს, მაგრამ შენს იმერელს ვერაფერი მოუხერხეს.  
მაიკომ ახლა კი ვეღარ მოითმინა, თავისებურად გაპკრა ელანჭი.
- ეგ იმიტომ, რომ ზოგ-ზოგივით ქალები არ უყვარს, — გულიანად გადაი-  
კისკისა და თავისი თეთრი, ქათქათა კბილები და ორი ღრჯოლი გამოაჩინა, —  
ქა, ერთი ქალისთვის ვერ მოუცლია, ბევრი საიდან ეყოლება!
- არც გრიგოლმა დაინდო.
- მაშ, რისთვის უნდიხარ?
- იმისთვის, რომ ვუვლი, ვურეცხავ, ვუკერებ, ოფლიან თავსაცა ვბან და  
აყროლებულ ფეხებსაც ციც წყალში ვაყოფინებ!
- იფ! იფ! — გააჯავრა გრიგოლმა.
- მაშ! მაშ! — გამოაჯავრა მაიკომაც, — ჩემისთანა ცოლი ეგრე ადვილად  
საპოვნელი არ გეგონოს.
- ნეტარება ბართლომე კურტანიძეს!
- გრიგოლი ისეთნაირად გამხიარულდა, რომ დარდიც დაავიწყდა და ვარამიც.
- მაგ გულმკვდარს, — იცინოდა მაიკო, — ერთი ნაკლი რომ არა ჰქონდეს,  
ან ის მენისქვილე, ან შენ რაში მჭირდებოდით?!
- ჰო, მაიკო, — სიცილითვე შეეხუმრა გრიგოლი, — შენი კალო შენც  
კარგად გალენე.
- მაშ არა და, ნუმს შევინახავდი.
- კისკისებდა მაიკო.
- ისინი თავდალმართან გასცილდნენ ერთმანეთს.
- მაიკომ დიდხანს უყურა მას. იდგა და უყურებდა, სანამ ხელახლად და მოუ-  
ლოდნელად ნაპოვნი გიგა ზანდაროვი ქვემოთ, ქუჩაბანდებში გაუჩინარდებოდა.

## 7. გთირი

სჯობია, უარი ვთქვათ ცხვირსა და ყურებზე, რათა თავი გადავირჩინოთ.  
მირზა ფათალი ახუნდოვი, „მუსიონ კორდანი,  
ბოტანიკოსი, დერეიში მეთალი-შაპი. სახელგანთქმული კადოქარი“

გრიგოლს შეაგზაზე დაავინყდა მაიკო.

ისევ დარდი მოეკიდა. ისევ გაკოტრების შიშმა შეიძყრო და გუნება აუგლ-  
ვრია. შინ ცოლს ხმა არ გასცა, თეთრ ლიზას შეუბლვირა, მოსამსახურებს  
ჩხუბი აუტეხა.

თეთრმა ლიზამ თითო ტუჩზე დაიდო, შეიშით ნარმოთქვა:

— ქა, ეს რა ღვთის ნყრომაა! ამ ბოლო დროს სულ ცხონებული ფირუზას  
სასიათები არ დაიჭირა! — თავისი ნათქვამის თვითონვე შეემინდა, რამდენ-  
ჯერმე პირჯვარი გადაინერა, აქეთ-იქით გადააფურთხა, — ფუი ეშმაკს! ფუი  
ეშმაკს!

ფოსტლები გაიხადა, საჩქაროდ მოირთო და ეკლესიაში სანთლის დასაწ-  
თებად გაიქცა.

მეორე დღეს, საღამოხანზე ოპერის ნინ, მადრევანთან გრიგოლ ზანდაროვს  
აღამემნონ კენტერაძე გამოელაპარაკა.

— გრიგოლ ბატონს უმდაბლესი სალამი!

გრიგოლს მისთვის არ ეცალა, ცალი ყბით მიუგო:

— გამარჯობა, ფაცუნი.

— როგორ ბრძანდებით, გრიგოლ ბატონო?

— არა მიჭირს. შენ როგორა ხარ? რასა იქმ?

— მეც მშვიდობით გახლავარ, გრიგოლ ბატონო!

— შენიანები როგორლა არიან? სიძე-ბატონს ხომ არ ემდური?

აღამემნონმა გაიცინა.

— არა უჭირს რა! წელიწადში ერთ ბალანას აკეთებს და ხუთ კომედიას  
ნერს.

— შენიანა სცენაზე კარგად თამაშობს. კნიაზიც კარგის თვალით უყურებს.

— მაგით თავს ვინ მეინონებს, გრიგოლ ბატონო! ანახანუმის შვილიმვილი  
სხვებს უნდა აცინებდეს და ართობდეს?

ზანდაროვს ტუჩის ბოლოებში ლიმილი გაენას კევა. შვილის მსახიობობით  
უკმაყოფილო აღამემნონ კენტერაძე უკადრებელს კადრულობდა. ყველას  
კალთას აგლეჯდა. ნაცნობებს „სამმანეთიანის“ სესხებას ელრიჯებოდა, ჩა-  
სესხება კიარასოდეს არ აგონდებოდა. უარს მაინც არავინ ეუბნებოდა, რადგან  
ეშინოდათ, „ქაჩალ კრასავიცას“ მეფისნაცვლის ყვითელ ყუთში დაბეზლების  
წერილები არ ჩაეყარა.

სახელიც გატეხილი ჰქონდა და პირიც.

ზანდაროვი თავმობეზრებულივით იშმუშნებოდა. კენტერაძეს გრძლად და დაუსრულებლად ლაპარაკი უყვარდა. ჭორები გულით დაჟქონდა და, ვინ იცის, რას არა ყეებოდა და ამბობდა. ნინათ გრიგოლ ზანდაროვი მასთან ლაზლან-დარობით ერთობოდა, მაგრამ ახლა იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეშორებინა თვითი აბეზარი კენტერაძე ან თვითონ როგორ გასცლოდა მას. ჯიბეზე ხელი გაიკრა, რათა მისთვის „სამმანეთიანი“ გადაუგდო. სწორედ ამ დროს ოპერის კიბესთან ლიტერატორივით ჩაცმული ზანდაროვის ყოფილი მსტოვარი გა-გოჩნდა. ისედაც გაბლენძილი, კიდევ უფრო ჩასუქებულიყო, ჩვეულებრივზე უფრო ძვირფასად და ფაქიზად ეცვა, ხელში ვერცხლისვარაყიანი ხელჯოხი დიდეაცურად ეჭირა და თავზე განიერთართულებიანი ლურჯი ქუდი მსახიო-ბივით დარღიმანდულად მოეგდო. ზანდაროვმა ცნობისმოყვარეობით დაადგა მას თვალი. მისი დიდეაცური იერი ეუცხოვა.

— იცნობთ, გრიგოლ ბატონო? — ჰკითხა კენტერაძემ.

— ვიცნობ, — ისევ ცალი ყბით გადაუგდო ზანდაროვმა.

— ნინათ სულ კარტს თამაშობდა, ბევრ ფულს იგებდა, მარა არაფერი ეტყობოდა, ახლა კარტს აღარ თამაშობს, მარა ბატონკაცივით დეიარება, ასე იცის კარგმა გასამრჯელომ, გრიგოლ ბატონო!

ზანდაროვი დაინტერესდა. ხმაში სითბო გაუჩინდა.

— ვისგან იღებს, ფაცუნი?

— ბართლომე კურტანიძის კაცია! — მოკლედ მოუქრა კენტერაძემ.

ზანდაროვმა პირი დაალო, მაგრამ სწრაფად ალაგმა გაკვირვება. პირიქით, მხრებში რაღაცნაირად გაიშალა. კენტერაძეს ჭორისგუდა მოახსნევინა და დიდხანს ალაპარაკა. პირველად არდაენანა მისთვის ორი თითით მიწოდებული „სამმანეთიანი“. გავებით მაინც ვერაფერი გაიგო, ხელის მოსაჭიდებელი ვერა-ფერი იპოვნა. ახალი მსტოვრები დაატრიალა, მაგრამ ვერც იმათ გაიგეს რამე.

მხოლოდ ერთი რამ იყო ცხადი: მდიდარი ალაფი არა მარტო ხორბლით და თივით ვაჭრობდა, არამედ ევროპული საქონლითაც.

ეს ზანდაროვისთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო.

სწორედ ამ აღმოჩენით დაიწყო მან გამოძიება და თავის ყოფილი მსტოვრის კვალს გაჰყვა.

ბართლომე კურტანიძეს საქონლის მაზანდის დაწევა შეეძლო, მაგრამ საიდან იგებდა, რა საქონელი მოჟქონდა გრიგოლ ზანდაროვს რუსეთის და ევროპის ქალაქებიდან?

მან მხოლოდ იმის გაგება მოახერხა, რომ ასეთივე საქონელი მტკვრის პირზე ბართლომეს საწყობებშიც ელაგა.

ეს უკვე საბუთი იყო.

მისი მეტოქე აშკარად ბართლომე კურტანიძე იყო.

მაგრამ საიდან იცოდა ამ დამუნჯებულმა ალაფმა ის, რაც მხოლოდ ზანდაროვმა და მისმა კონტრაგენტებმა იცოდნენ? როგორ ახერხებდა ბართლომე ისეთივე საქონლის ყიდვას, როგორსაც მისთვის რუსეთის და

დასავლეთ ევროპის ქალაქებში გავზავნილი და მისი უაღრესად ერთგული  
მოურავი არშაკ ვართანიანი ყიდულობდა?

ზანდაროვს ჯერ ეჭვმა გაუელვა თავში, მერე კი მაღლე დარწმუნდა, რომ  
მისი მოურავიც ისევე ჰყავდა მოსყიდული ბართლომე კურტანიძეს, როგორც  
მისივე სხვა მსტორები.

ბრაზმა კინალამ დაახრჩო.

თან ბართლომეს ოსტატურმა მოქმედებამ გააკვირვა.

ყველაფერი ცხადზე უცხადესი იყო: მისი სახელიც და ქონებაც ბენეზე  
ეყრდნობა. სადაც იყო, ეს ბენეზი განყდებოდა და მოულოდნელი მეტოქე მინაზე  
დაუნდობლად დაანარცხებდა.

ამ ულმობელმა აზრმა ტანზე ეკლები დააყარა.

თვალთ დაუბნელდა.

სიმწრის ოფლმა დაასხა.

არც ნამალი ჩანდა, არც გამოსავალი.

ყველაფერი გათავებული იყო.

გრიგოლ ზანდაროვმა ახლაც ისევე მოიწმინდა სიმწრისა და სიბრაზის  
ცრემლი, როგორც იმ ქარიშხლიან ლამეს გერმანოზიშვილების პატარა საყ-  
დარში ისებ ფანდურაშვილმა.

გულიც იმდლევანდელივით გაუქვავდა.

## 8. მუნჯის ალაპარაკება

ბოროტი ენა დამბაჩაზეც საშიშია.

ა. გრიბოედოვი, „ვაი ჭკუსაგან“

თვალის დახამხამებაში ბართლომე კურტანიძის სახლთან გაჩნდა.

ბართლომე ბალში მუშაობდა.

მაიკო აივნის კიბესთან იჯდა. კალთაში ნინაკის მნილით გავსებული ჯამი  
ედგა. გუნებანაქცევი მნვანე ნინაკას ულიმლამოდ ნინჯნიდა.

გრიგოლის დანახვაზე ალმურმა აჰერა თეთრად დაფოთლილ სახეზე. ზეზე  
ნამოიჭრა. ერთბაშად შემონთებული სიხარულით გაბრნყინდა და აბრიალდა.  
ტუჩის კბილი დააჭირა, რათა თავის „გიგაჯან! გიგაჯან!“ — არ დასცდენოდა.

გრძელი კიბის ჩარდახქვეშ მაინც დრო იხელთა, გრიგოლს ტუჩზე აეოცა.  
გრიგოლმა სვეტებზე გაყოლებული ვაზის ფოთლები გადასწია, ბართლომეს-  
კენ გაიხედა და მაიკოს უთხრა:

— შენ ქმარს დაუძახე, მაიკო.

მაიკოს პირკატა ეცა.

— ჩემი ქმარი რად გინდა?

— საქმე მაქვს, ერთი-ორი სიტყვა უნდა ვუთხრა.

მაიოს თაფლისფერ თვალებზე ბრინჯაოსფერი გადაეფინა, გრიგოლი  
უსიტყვოდ აიყვანა აივანზე და ქმარს გადასძახა:

— ბართლომე...

მის დაძახილში ბზარიც გაისძა და ხრინნიც.

ზანდაროვმა უშეელებელ ბალს და ზვარს გადახედა. ზვარი თითქმის  
მზკვრამდე იყო გადაჭიმული. ნინანდელი ლარიბი ხელოსნების და დღიური  
გუშების ქოხმახების კვალიც კიაღარსად ჩანდა, მათი ნასახლარების და ვინრო  
ქუჩაბანდების ადგილი ბართლომე კურტანიძის ზვარს ეჭირა.

— ჩვენი ძველი მეზობლები სად არიან, მაიო? — იკითხა გრიგოლმა.

— ბართლომემ პოლიციას ააყრევინა და გადაასახლებინა.

— ჰო.

— იმ დღეს ბართლომემ ქრისტეს ტირილი დააყენა. არავინ არ დაინდო...

— მის ხმას ისევ ხრინნი მოეკიდა, — არავინ ეცოდება, არავინ ებრალება. მა  
რა იქნება? არც პირჯვარს იწერს, არც ეკლესიაში დადის.

— ფირუზაც ეგეთი იყო, — მოიგონა გრიგოლმა.

— ფირუზა მშიშარა კაცი იყო, — ზიზლით ნარმოთქვა მაიომ, — ბართ-  
ლომე კურტანიძეს კი არც ლმერთის ეშინიან, არც კაცის... არც მდიდრებს  
ეპუება. არ ვიცი, მაგდენი ძალა და ლონე ვინ მისცა..

მაიო სულ ახლოს მიეკრო გრიგოლს, ჩურჩულით ჩაულაპარაკა:

— გიგაჯან, შენც ფრთხილად იყავი მაგასთან.

ზანდაროვმა გამომცდელად შეხედა მაიოს. არ იცოდა, ის ქმარს უფრ-  
თხილდებოდა თუ ძველ საყვარელს.

— მე რა მაქვს გასაფრთხილებელი, მაიო? — ყასიდად გაიკვირვა მან.

— არ ვიცი. არ ვიცი. ნინათ ერთხელაც არ ახსენებდა შენს სახელს, ახლა  
კი სულ შენს ხსენებაშია. ამას ნინათ დამცინავად წაიდუდუნა: კოპნია ზანდა-  
როვს მალე სოვდაგრების დავთრიდან ამოილებენო. ხომ არაფერი გაგიჭირდა,  
გიგაჯან?

— გამიჭირდა, — არ დაუმალა გრიგოლმა.

მაიოს ფერი ეცვალა.

— ძალიან, ძალიან გაგიჭირდა?

— ძალიან.

— მერე... გიგაჯან... ჩვენს ცოდოში ვინ ჩადგა?

— ბართლომე კურტანიძე.

მაიოს მიწისფერი დაედო სახეზე.

ბართლომე ზლაზვნით ამოდიოდა კიბეზე. მაიომ ველარაფრის თქმა ვერ  
მოასწრო.

— გამარჯობა, ბართლომე.

მხიარულად და დარდიმანდულად მიესალმა ზანდაროვი.

ბართლომემ თავი ოდნავ დაუკრა, ალმაცერად შეათვალიერა.

— რისთვის გარჯილხარ, უფალო ზანდაროვო?

— ფრანციიდან არშაკ ვართანიჩის ბარათი მივიღე, შენთან მოექითხვას  
მაბარებს. მეც მოვედი და გადმოგეცი.

ბართლომებ კმაყოფილებით ჩაილიმა.

— გათავებულ საქმეზე აღარ ლაპარაკობენ.

ზანდაროვმა ნარბი აზიდა.

— რომელი საქმე გათავდა?

ბართლომებ ოდნავ გაილიმა, წვეტიანი, მაგარი კბილები ძლივს გამოაჩინა.

— რომელი ამას აღარ უნდა, მეც კარგად ვიცი და შენც. საკითხავი და გა-  
მოსარკვევი აღარაფერი არის, — ბართლომე ცოლს მიუბრუნდა და შეუტის,  
— დედაკაცო, ვაზის ისეთნაირად ახვევა შეიძლება? რასა ფიქრობდი? ჭკუა  
სადა გქონდა?

— კაცო, ბართლომე, — უეცრად გაბრაზდა მაიკო, — რა დროს ევ არის?  
სტუმარს სკამი შესთავაზე. ეგრეგაჩერებული რათა გყავს? ან რა ზრდილო-  
ბაა?

თვითონვე დატრიალდა სკამების მოსატანად. ერთადერთი მოახლე ეზოში  
ჩააგდო. მამაკაცების შორიახლო დაჯდა.

## 9. ცოდვის შვილი და მამავიდრე

ფული, ფული მინდა, ფულით ყველაფერს იყიდი.  
იპოლიტო ნიევო, „ოთხმოცნლიანის აღსარება“

გრიგოლი გაკვირვებული უყურებდა ბართლომეს. არასოდეს არიფიქრებ-  
და, თუ ეს მუდამ დამუნჯებული კაცი ხმას ამოიღებდა.

ისევ თვითონ დაინყო ლაპარაკი.

— ყველაფერი ვიცი, ყველაფერი გავიგე.

— ეგეც ვიცი.

მოკლედ მოუჭრა ბართლომებ.

— საიდან იცი? ვინ გითხრა?

— კენტერაძემ.

ზანდაროვმა თვალები დააჭყიტა.

ბართლომებ ბებრულად ჩაიხითხითა, გაოცებისაგან პირდაღებულ გრი-  
გოლს ნიშნისმოგებით უთხრა:

— დალოცვილო, იმ ქაჩალს ორი თითით სამმანეთიანს რომ ანვდიდი, მეტი  
ვერ გაიმეტე.

გრიგოლმა უარესად დაახამხამა თვალები.

მხოლოდ ახლა იგებდა, რომ აღამემნონ კენტერაძე მისგანაც იღებდა ფულს  
და ბართლომე კურტანიძისაგანაც.

პირგამშრალს აღარაფერი ჰქონდა სათქმელი. მარტო ეს ნამოსცდა:

— ჩემი გალარიბება შენ რას გაძლევს?  
ბართლომემ გულგრილად განუმარტა:

— შენს ნაქცევაში მეც ცოტა დავზარალდი, მაგრამ სანალვლებლად არა  
ლორს. რაც ფირუზამ და შენ ვერ მომიხერხეთ, მე მოგიხერხე, მაშ, რად გიკ-  
ვირს, უფალო ზანდაროვო?

ბართლომემ გუშინდელ მილიონერს და დღევანდელ ლატაკს ძველი, ნა-  
ვლნაყრილი და მივიწყებული ამბავი წინ დაუდო.

კედელზე გაკრულმა გრიგოლმა ხმა ვეღარ ამოილო.

მაიკომ სადღაც, ტუჩის ბოლოებში, ჩუმად ჩაიკეცა ლიმილი.

— მაინცდამაინც ნუ დამემდურები, უფალო ზანდაროვო, — განაგრძო  
ბართლომემ, — აბა, ქონება შენ რად გინდა?

— როგორ თუ რად მინდა? — გაიკვირვა გრიგოლმა.

— არ გინდა და ეგ არის.

— მაინც რათა? — აღარ მოეშვა გრიგოლი.

ბართლომემ მისთვის უჩვეულო აღტაცებით მიახალა:

— უშვილო ხარ!

გრიგოლი გაოცებით მიაცქერდა, ეს კაცი გიუი ხომ არ არისო. მაიკო უსია-  
მოვნოდ შეინძრა სკამზე.

— გაგუდი, კაცო! — უპასუხა გონმოსულმა და ოდნავ გამხიარულებულმა  
გრიგოლმა, — არ იცი, რომ ოთხი შვილის მამა ვარ?

— ქალი შვილად არ ჩაითვლება.

ზიზღით გადმოუგდო კურტანიძემ.

— რას ამბობ, კაცო?!

— ეგრეა, ეგრეა დაწესებული. ქალს ცოდვისშვილს ეძახიან, ვაუს —  
მემკვიდრეს.

გრიგოლი სერიოზულად ჩატიქრდა. ვაჭარმა ვაჭრის ნათქვამში სიმართლე  
აღმოაჩინა. უსიამოვნოდ შეკრა წარბი. გულში ერთხელ კიდეც შეუკურთხა  
თავისი ასულების დედას და ცოლს.

ბართლომემ ამაყად გადახედა ნირნამხდარ გრიგოლს.

— მევაუების მამა ვარ. კურტანიძები არიან. სამთავენი მზითვიან ქალებს  
მოიყვანენ. ქონებას ქონებას მოუმატებენ. მაგრამ კაცმა რომ თქვას, სამს  
მაინც ერთი ვაუი სჯობიან, ქონება გაუყოფელი დარჩება.

მაიკო ისევ უსიამოვნოდ შეინძრა სკამზე.

ბართლომე გრიგოლს ათვალინულებით მიუბრუნდა:

— ახლა, უფალო ზანდაროვო, ერთირამდა დაგვრჩა. სოლოლაკში სასახლე  
უნდა დამიცალო, ჩემი ცოლ-შვილით იქუნდა დავსახლდე. თავლაფრდასხმულს  
იქ ეი არა, ქალაქში აღარ გედგომება.

ზანდაროვს სიბრაზემ სახე დაუბნელა და ისეთნაირად შექანდა და წაბარ-  
ბაცდა, რომ მაიკოს შეეშინდა, წვეთი არ დასცემოდა.

— ვერავი ყოფილხარ, იმერელო! — ძლივს ამოთქვა მან.

— ვერაგიო! მერე შენსავით საყვარელი როდის გავყიდე? — მშეგიდად  
მოუჭრა ბართლომებ.

ამ ქარაგმის აზრი გრიგოლმაც კარგად გაიგო და მაიკომაც.

ერთმათავიჩალუნა, მეორემ განზეგაიხედა და ბართლომეს თვალი ვეღარ  
გაუსწორა.

შუბლშეკრულმა ბართლომებმ მეტი ალარაფერი თქვა. გრიგოლს ზიზლით  
ზურგი შეაქცია და ოთახში შევიდა.

გრიგოლმა ელდანაერავი მაიკო აივანზე მიატოვა და კიბეზე სომნამშუ-  
ლასავით დაეშვა.

— ნაეთრა? — გამოსძახა ცოლს ოთახიდან ბართლომებმ.

— ნაეთრა, — ამოიგმინა მაიკომ.

ბართლომე კურტანიძემ კარგად ვერ გაიგო, ეს პასუხი ქმრის ზიზლის  
გაზიარებას ნიშნავდა თუ საყვარლის აუგად მოხსენიების გამო გაბრაზებას.

გრიგოლი გატეხილი ნაბიჯით გაუდგა გზას.

ნინ მზეში გახვეული მტკვარი გადაეშალა. ნალვლიანად დააცეკერდა მის  
ავორებულ, ყრუდ მოდუდუნე ტალღებს, კრიალა ზეცაში მტრედებს გაადევნა  
თვალი, ნყლის ნისქვილებისკენ გაიხედა და იმ მებადურის ბედი შემურდა,  
რომელიც ნავიდან მტკვარში ბადეს გატაცებით ისროდა. ოფლიან შუბლზე  
ხელი მოისვა, ამოიოხრა და უკანასკნელად მიიხედა იმ უბნისაკენ, სადაც მას  
ახალგაზრდობა გაეტარებინა.

ანაზდად სოონის დიდმა ზარმადაიგუგუნა. მას პატარა, ნერიალა ზარებიც  
აჰყვნენ. მერე მთელ ქალაქში ზარების რეკვა ატყდა. შემფოთებული ადამია-  
ნები სახლებიდან გამოვიდნენ. ქუჩები და ქუჩაბანდები ხალხით გაივსო. ჯერ  
მხოლოდ ჩოჩქოლი ისმოდა, მერე კი მთელი ქალაქი ახმაურდა.

— ომი დაინყო! ომი! ომი! — დაიძახა ვიღაცამ ხიდის თავში.

— ომია! ომი!

გასძახოდნენ ერთმანეთს მოქალაქენი ბანიდან ბანზე, აივნიდან აივანზე,  
შუკიდან შუკამდე, ქუჩიდან ქუჩამდე, მოედნიდან მოედნამდე, უბნიდან უბ-  
ნამდე, ქალაქიდან სოფლამდე, ზღვიდან ზღვამდე.

ზანდაროვი წელში გასწორდა.

სახეზე იმედის შუქი მოეფინა და აჩქარებული ნაბიჯით გაემართა მეფის-  
ნაცვლის სასახლისაკენ.

# კარი ოცდამეათე

## 1. ომი

ყველა მოსალოდნელ ომზე ლაპარაკობდა, მაგრამ როგორც  
ყოველთვის, ზერელედ.  
ა. პუმეინი, „როდესლავლი“

მეორე დღეს ზანდაროვი მეფისნაცვლის კანცელარიაში დაიბარეს.

ფეხსაცმელების ფაბრიკის გაფართოება შესთავაზეს.

ზანდაროვმა შორს დაიჭირა.

უარის მიზეზი ჰქითხეს.

— მუშახელი არა მყავს, ბატონებო!

ბატონებმა ციხიდან ტუსალების და მეძავი ქალების გამოყვანა აღუთქვეს.

ზანდაროვმა ახლაც უარი თქვა. მიზეზიც დაასახელა.

— იარაღებს დალენენ, დაზგებს დაამტვრევენ, ის დამემართება, რაც კასტელას დაემართა.

ჯარის ინტენდანტებმა იმდენი ჯარის კაცის მიცემა აღუთქვეს, რამდენსაც ზანდაროვი მოითხოვდა.

ბატონმა ზანდაროვმა ამ ნინადადებასაც უარი დაახვედრა.

— მაშ, რა გნებავთ?

— კრედიტი, — მოკლედ მოჭრა ზანდაროვმა.

კრედიტი ულაპარაკოდ გაუხსნეს, თან ყოველგვარი შემწეობა და დახმარება აღუთქვეს.

სამაგიეროდ დიდბალი ჯარის ჩექმებით უზრუნველყოფა მოსთხოვეს.

ზანდაროვის სასაცილოდ აგდებულ ფეხსაცმელების ფაბრიკას ამინდიც დაუდგა და მაზანდაც. შეკვეთებს ვეღარ ასდიოდა. მოგება მოგებას მოსდევდა. კვლავ ფეხზე დამდგარმა ისევ ამაყად მოიღერა ყელი. მეფისნაცვალი ყველანაირად ხელს უნიკობდა და აქეზებდა.

თურქეთთან და მის მოკავშირეებთან დანყებული ომის მთელი სიმძიმე ვორონცოვს დაანვა მხრებზე. კავკასიის მეფისნაცვალმა კარგად იცოდა, რომ ამ ომში წაგებაც და მოგებაც, დამარცხებაც და გამარჯვებაც მას მოეკითხებოდა. ამიტომ ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა კავკასიის ფრონტზე განლაგებული ჯარები ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ჰყოლოდა.

ვორონცოვი ენერგიულად მოქმედებდა, მაგრამ ჭკვიანი მმართველისა-თვის არც ის იყო უცხო, რომ აღმოსაელეთის ომს რუსეთი მოუმზადებელი

ხვდებოდა. დაეჭვებული კიდევ უფრო მეტის მონდომებით ახორციელებდა ყველა იმ ლონისძიებას, რაც ომში ნარმატებას სჭირდებოდა.

განსაუთარებით იმათ მფარველობდა და ეხმარებოდა, ვინც ჯარს აცმევდა, ახურავდა, აჭმევდა და ინახავდა.

ამ მხრივ ერთნაირ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბართლომე კურტანიძე და გრიგოლ ზანდაროვი.

ორთავეს ერთდროულად მოუვიდა ხელმწიფის მედალი.

ამან კიდევ უფრო მეტად გაამხნევა ზანდაროვი.

ქარვასლებში ისევ რიდით და შიშით უყურებდნენ მას.

ბართლომე კურტანიძემაც თითო მოკაკვა, განზე გადგა და მის საქმეებში ცხვირს აღარ ჰყოფდა.

მიუხედავად ამისა, მის ცოლს თაფლისფერი თვალები მაინც ბრინჯაოს. ფრად უმუქდებოდა, ეშინოდა, ზანდაროვს მისი ქმრისათვის სამაგიერო არ გადაეხადა. ეშინოდა, რადგან გაღარიბების მიში მთელი ცხოვრების მანძილზე აჩრდილივით თან დასდევდა, ისევე როგორც ზანდაროვის სიყვარული, ახლაც ცეცხლივით რომ ეკიდებოდა და თვით საკუთარ ქმარ-შვილს ავინყებინებდა.

## 2. აღაფის რვაები

**ახლა ყოველთვის ფულია ჩემს ფიქრებსა და სურვილებში.  
ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“**

ბართლომე უფროს ვაჟს ანებივრებდა, ანდერძით მხოლოდ მას უმტკი-ცებდა უძრავ-მოძრავ ქონებას, ვაჭრადაც ისუნდოდა. შუათანას მღვდლობას ურჩევდა, უმცროსს კი მოხელედ გახდომას. თავისი აურაცხელი სომიდიდრიდან ამ ორს ერთ გროშსაც არ უტოვებდა.

მაიკომ იცოდა ეს და გული ენურებოდა. მენისქვილის ბიჭი დედობრივი სიყვარულით უყვარდა, მაგრამ ზანდაროვის ბიჭებისათვის თავნამკვდარი, ალერსითა და შეფრთვინვით ზრდიდა მათ.

მენისქვილის ნაბიჭვარი ამას გრძნობდა და დედისგან შორს ეჭირა თავი. სულ მამას უტრიალებდა გარშემო, თვალებში შესციცინებდა. მამასავით შრომობდა და ირჯებოდა. ზანდაროვის ნაბიჭვრები კი ზარმაცობდნენ და კურტანიძეების სახლს ათასნაირი ოინბაზობით იკლებდნენ. არც თვითონ ბართლომეს ეპუებოდნენ. ხან მის დიდ ცხვირს დასცინოდნენ, ხან მის ბაჯ-ბაჯა სიარულს, ხან ბურნუთის ცხვირში შეყრას და ცხვირის უთავბოლოდ დაცემინებას. მაიკო სიცილით კვდებოდა. ბართლომე კი ბუზლუნებდა და იღრინებოდა.

მაიკო მხოლოდ მაშინ მნარდებოდა, როცა ბართლომე შუათანა ან პატარა ბიჭს ყურებს აგლევდა და მათრახით სცემდა. სამაგიეროდ, უფროს ბიჭს ხელს

არ აკარებდა. თუმცა ესეც იყო, მენისქვილის ნაბიჭვარი მას ცემის საბაბს არასოდეს აძლევდა.

განზეგამდგარი და მამასავით დამუნჯებული, დედასაც და ძმებსაც ალმა-ცერად უყურებდა. თავზე ვაჭრის ქუდს ირგებდა, მაგრამ უმცროსი ძმები მის ცხვირის ანევას ვერ ურიგდებოდნენ. აყლაყუდას და დონდლოს ხან სარმას უდებდნენ, ხან, თუ ბართლომე შორს იყო, ცხვირ-პირს უნაყავდნენ. ანდერძი უკვე დაწერილი იყო, მაგრამ მაიკო წინასწარვე გრძნობდა, რომ ზანდაროვის ცოცხალი და პირდახატული ბიჭები უფროს ძმას კურტანიძეების ქონებას არ შეარჩენდნენ და თავიანთ „საუმცროსოს“ მუშტით მოითხოვდნენ. ბრგე შუა-თანა ბიჭს მღვდლობის არაფერი ეცხო (ამას წინათ ის ძროხისათვის დაყრილ თვაში პატარა გოგოსთან დაიჭირეს, გაასილაქეს და ყურები დააგლიჯეს), ხოლო ვარსკელავით მოწყვეტილი სულ უმცროსი ბიჭი აღდგომა დღეს ნითელ ხალათს ისე მოხდენილად ატარებდა, რომ მოხელის ქალალდების მტვერში ვერც გაძლებდა და ვერც გაჩერდებოდა.

მაყოფელების მიმით ფიქრობდა თავისი მეტების ურთიერთობასა და მათ მომავალზე აღარსად დადიოდა.

აღარც ლაზარეს დუქანს ეკარებოდა.

იჯდა და ფიქრობდა.

ფიქრი — ფიქრს ეჯიდებოდა, დარდი — დარდს.

ზღაპრულად მდიდარი კაცის ცოლი იყო, მაგრამ თავს ბედნიერად არა გრძნობდა.

სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ფული და სიმდიდრე ადამიანს ბედნიერს სრულიადაც არა ხდიდა.

ხაბაზის ცოლის გემრიელი ლუჟმა და გიგა ზანდაროვის დახლიდარობა ახლა ყველაფერს ერჩივნა.

ფარული ცრემლის ჩუმად შემშრალება დასჩემდა.

მეზობლებს მისი მხიარული სიცილი და კისკისი სანატრელი გაუხდათ.

მიზეზად მის ფეხმძიმობას ასახელებდნენ.

ასევე ფიქრობდა ბართლომეც, რომელიც დედაკაცის გულში არასოდეს იხედებოდა და მხოლოდ დედაკაცის გარჯით იყო დაინტერესებული.

### 3. ომი ხასული და შინ დარჩეოლი

ეს რაღაც სასჯელია ზეგარდმო მოვლენილი.  
გრიგოლ ორბელიანი

ქალბატონი ზანდაროვი ომში წასულ ძმას ნაღვლობდა.

ომის დაწყების პირველსავე დღეებში დავით გერმანოზიშვილი დასთან ვამოსათხოვრად მოვარდა, თან ილიკო ორბელიანიც მოიყვანა. ორთავენი შეზარხოშებულნი იყვნენ.

მანანა ყელზე შემოეჭდო ძმას, მის მკერდზე აქვითინდა, მერე ილიკო  
ორბელიანს აკოცა შუბლზე. ისიც ძმურად მოეხვია და პირისახე დაუკოცნა.  
ორთავენი ტირილით გააცილა ქუჩის კარამდე.

— რა გატირებს, სულო? — ცხენიდან გადმოსძახა დას დავითმა, — ოშიდან  
გენერლად დავპრუნდები!

გაშ! გაშ! — დაიძახა გენერალმა ორბელიანმა და მანანას ტკიბილად  
გაუცინა.

„ამ ორიდან რომელი დაბრუნდება?“ — გაიფიქრა გრიგოლმა, რომელსაც  
ცოლისძმის პატივისცემის ნიშნად, ხელი უზანგზე ედო.

არც ერთი არ დაბრუნებულა.

იმ დროის შემდეგ გრიგოლს ცოლისძმა აღარ გახსენებია.

მას აღარავისთვის არ ეცალა.

მისი ფეხსაცმელების ფაბრიკა მთელი დატვირთვით მუშაობდა.

ახალ დროებას აყოლილი თავადები ლვინით ვაჭრობდნენ, გააზნაურებული  
ზანდაროვი ჯარისკაცის ჩექმებით ვაჭრობდა.

ზანდაროვის სალარო ისევ გაივსო და გაიტენა, მაგრამ ჭირგამოვლილს  
ფხიზლად ეჭირა თვალიც და ყურიც. ფრთხილი და ხელმოჭერილი გახდა.

დარდიმანდული იერი დარბაისლური გამომეტყველებით შეეცვალა.

ცოტას ლაპარაკობდა და ბევრს ისმენდა.

დიდხანს ანგარიშობდა და ნონიდა, რათა სარმის დადების საბაბი არავის-  
თვის არ მიეცა.

იშვიათად ნახულობდნენ მას თეატრშიც და ნადიმებზეც.

უფრო ხშირად ფეხსაცმელების ფაბრიკაში იყო და მუშა-ჯარისკაცებს  
ღიონის გაცლამდე ამუშავებდა.

#### 4. ახალი აღზევება

ყველაფერი კარგია, როცა შეიძლება მოგებაც და სარგებლობაც.

უორუ სანდი, „ლეონე ლეონი“

ყირიმის ომმა თბილისის მნიშვნელობა ერთბაშად გაზარდა და ამ ომის  
მთავარ ცენტრად გადააქცია. მეფის მთავრობამ აუარებელი ჯარი მოაყარა  
თბილისს. რუსეთის შიდა გუბერნიებიდან განუწყვეტილივ მოედინებოდნენ  
ჯარები. მოდიოდნენ მცხუნვარე მზეში, ნეიმაში, თოვლში, ტალახში. მო-  
ბიჯებდნენ სამხრეთ რუსეთის თვალუნვდენელ ველებზე, იმიერკავეასიის  
უსამანო ტრამალებზე, მოლაზლაზებდნენ მთებში და კლდეებში და კლაკინ  
საქართველოს სამხედრო გზაზე, მოლასლასებდნენ დიღმის ველზე, და-  
ლილნი, დაქანცულნი, მტერში ამოგანგლულნი, ტალახში ამოსვრილნი და

ფეხებზე მხოლოდ ტყავის ძონძებიღა რჩებოდათ. თბილისში ჯარისკაცებს ზანდაროვის ფაბრიკაში დამზადებულ ჩექმებს აცმევდნენ და ეს ფაბრიკის კატრონს იმდენ მოგებას აძლევდა, რომ მას ზოგჯერ თვალთ უბნელდებოდა და თავბრუ ეხვეოდა.

ომრა ზღვების გზები გადაკეტა. დასავლეთ ევროპიდან ახალ საქონელს აღარ იღებდნენ. ამიტომ გამდიდრებით ის მდიდრდებოდა, ვისაც ომის წინ მოზიდული საქონელი საწყობებში ელავა.

ასეთებს შორის ბართლომე კურტანიძეც აღმოჩნდა. მან ზანდაროვის ნასაქცევად ნაყიდ საქონელს ცეცხლის ფასი დაადო და ერთიათად გაყიდა.

თავისი სიხარული ალაფმა მხოლოდ უფროს ვაჟს გაანდო. დასხდნენ და ერთად დიდხანს იჩურჩულეს, მინ კი კრინტი არ დასძრეს.

მაგრამ ის, რაც ბართლომემ ამით მოიგო, წვეთი იყო ზღვაში იმასთან შე-დარებით, რასაც ომიანობის დროს იგი ხორბლითა და ფეხილით ვაჭრობით იგებდა.

ჯარს სურსათ-სანოვაგით ბართლომე კურტანიძე ამარავებდა და მეიჯარადრედ გადაქცეული ახალ ქონს იკიდებდა, კიდევ უფრო მდიდრდებოდა.

გაიბადრა და გაიბლინდა, მაგრამ კისრის გვერდზე ტარებას და ბაჯბაჯით სიარულს მაინც ვერ გადაეჩვია.

ულაზათოდ ჩაცმული, შორიდან მდიდრის ტანსაცმელში გადაცმულ მე-ოულუხეს ჰეგავდა.

სამაგიეროდ, კოპნია და კრიალა ზანდაროვზე ყველას თვალი რჩებოდა.

ფულს კი ერთიანად იგებდა ძეველი ვაჭარიც და ახალი ფაბრიკანტიც.

ზანდაროვს, სწორედ ამის გამო, ისევ ეჭვის ჭია გაუჩნდა.

ომი დაუსრულებლივ ვერ გაგრძელდებოდა. ჯარისკაცები ყოველთვის ვერ იმუშავებდნენ მის ფაბრიკაში. დადინჯებული და დადარბაისლებული ზანდაროვი გულს იმით იშოშმინებდა, რომ თუ ბატონყმობა არ გადავარდებოდა, მაშინ ისევ სოვდაგრობას მოჰკიდებდა ხელს.

ერთხელ ჩადენილი სისულელის მეორედ გამეორებას არ აპირებდა.

ფაბრიკაშიც და ქარვასლებშიც ფხიზლად ეჭირა თვალყური. ვაჭრის დაგეშილი გუმანით იმის გამორკვევას ცდილობდა, თუ საით ან რის და ვის სასარგებლოდ ქროდნენ ქარები. აფრის გაშლასაც ამ მიმართულებით ფიქრობდა.

რესეთის ჯარები მარცხდებოდნენ და ბატონყმობის გაუქმების ხმებიც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ზანდაროვს მხნეობა ემატებოდა.

ეჭვი თავს არ ანებებდა, მაგრამ თანდათან თავს აჯერებდა, რომ სულ რა-ლაც ათ წელინადში შევი ზღვა კასპიის ზღვას რეინიგ ზით დაუკავშირდებოდა.

თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ მას ვერაფერს დააკლებდნენ ძველი ჩარჩები და სოვდაგრები.

თვით მუდამ დალვრემილი ვახტანგ ტაშირელი ისეთნაირად იყო გახალისებული, რომ ისიც რაღაცას მოელოდა, ბატონიყმობის მოსალოდნელი გადაუარდნის მტკიცედ სწამდა და სჯეროდა.

— ამ ომმა ბეერს აუხილა თვალი, — გაცხარებით უმტკიცებდა ვახტანგ ტაშირელი ზანდაროვს, — ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება. ამას ზე-მოურებიც მიხვდნენ და მაგრადაც ჩატიქრდნენ. აი, ნახავთ, ბატონი გრიგოლ! სულ მალე ბატონიყმობა გაუქმდება. ქალაქი სოფლელებით გაიცემა. ამჟრის ხელოსნების ადგილს ფაბრიკის მუშები დაიჭერენ. ცხოვრება ნინ ნავა. მუშაო ასოციაციები ჩვენშიაც დაარსდება.

საერთოდ ფრთხილი ზანდაროვი ბატონიყმობის გაუქმების გამო კრინტს არა სძრავდა. ტაშირელს ნიაზით უგდებდა ყურს და გუნებაში ეთანხმებოდა. თუმცა მისი ნალაპარაკევიდან ბევრი რამ არ ესმოდა.

— მაგრამ ჩვენში სხვანაირადაც შეიძლება დატრიალდეს საქმე, — თქვა ტაშირელმა შინაურების ნრეში, — ცხოვრებას, ადვილად შესაძლებელია, აქ გლეხი გაუძლვეს და არა მუშა. მაშინ გნამდეთ და გჯეროდეთ, ის ტანჯვა აგვცდება, რაც განათლებულმა ევროპამ გამოსცადა.

ამნაირი ქარაგმების გრიგოლს არაფერი გაეგებოდა. გატაცებით მოლაპარაკე ვახტანგს მეგობრულად უყურებდა, მაგრამ ბაგეზე ძველებურად დამცინავი ლიმილი დასთამაშებდა.

ერთხელ ქარვასლაში ვიკრიეოვმა ზანდაროვს გაულრიჭა და უთხრა:

— ომმა, გრიგოლჯან, ბევრი მოგაგებინა, ომი რომ დამთავრდება, რა უნდა ვქნათ?

— უნდა ვივაჭროთ, — დინჯად უპასუხა ზანდაროვმა.

— ჰო, აი ეგ მომნონს. ფაბრიკა-მაბრიკა რა ვაჭრის საქმეა?!

ზანდაროვმა სერიოზული სახით განუმარტა:

— კარგი ვაჭრისათვის სულერთა, ომია თუ მშვიდობა. კარგ ვაჭრის ვაჭრის ქუდი თავიდან არასდროს არ გადმოუვარდება.

— ჩემმა მზემ, კარგად არის ნათქომი, გრიგოლჯან! — შესძახა აღტაცებულმა ვიკრიეოვმა, — ეგ სიტყვა ცხონებული ფირუზასაგან გექნება ნასნავლი. ეგეთები მან იცოდა.

გრიგოლმა გაიცინა.

— არა. ეგ ერთი ვეზირის ცოლის ნათქვამია.

— ჰო? მაშ ეგ „შვიდვეზირიანში“ წერია?

გრიგოლს ლიმი მოადგა ბაგეზე. შესაძლებელ მეტოქეს გზებს უბნევდა და ამით ერთობოდა, მაგრამ ვაჭრის ქუდის ხსენებამ მაიკო გაახსენა. წარბი უკამაყოფილოდ შეერა. ეურტანიდების გახსენება გუნებას უფლუჭებდა. არა მარტო ბართლომეს, არამედ იმის ცოლსაც ვეღარ იტანდა და ახლოს აღარ ეკარებოდა.

ვერ იტანდა იმის გამო, რომ ის, მისი გაჭირვების დროს, ქმრის მხარეზე აღმოჩნდა და არა ძველი საყვარლის გვერდით.

## 5. ქველი დოსტები

რა მოვიგვთ და რა ნავაგეთ?  
ქალაქური სჯა-ბასი

მაიკოს კი მის გზაზე ისევ რჩებოდა თვალი.

ძველებურად ენატრებოდა. რაც სიძულვილს ვერ ეპატიებინა, იმას სიყვარული აკეთებდა. ქმრის გამტყუნება არ შეეძლო, მაგრამ საყვარლის გამართებასაც ცდილობდა.

ამგვარი ფიქრებით გართულ მაიკოს წინანდებულზე უფრო მეტად ახარებდა თეთრი ლიზას სტუმრობა.

იმისი სუნი ეცხო, იმის სუნი ასდიოდა.

თეთრ ლიზას ნაცნობებში წინანდებურად უყვარდა ტუნტული. თავისი დოსტი მაიკო აუცილებლად უნდა ენახა და აღვანაბადით გავსებული ბალდა-დი მის მაგიდაზე გადაეშალა. სოვდაგრის გულხალისიან ქვრივს კუკნაობაც ტუნტულივით უყვარდა. აღვანაბადს ანადგურებდა და დაუსრულებლად ყბედობდა.

მაიკოს ახლაც პირზე კლიტე ედო და ისე უგდებდა ყურს თავის ძველ დოსტს.

გაფაციცებით ისმენდა ყველაფერს, რასაც თეთრი ლიზა გრიგოლზე და იმის ცოლზე ლაპარკობდა.

თვითონ არასოდეს არაფერს ეკითხებოდა. ათასში ერთხელ მიკიბულ-მოკიბულს რაღაცას იტყოდა ან მოახლეს დაუტატანებდა და ისევ გაჩუმდებოდა ხოლმე.

მხოლოდ ერთხელ ამოიოხერა და წამოსცდა:

— რა დრო დადგა, ლიზაჯან, კაცი კაცს აღარ ენდობა და ქალი — ქალს. ვინც გიყვარს, სწორედ ის გიკლავს გულს.

— მაშ! მაშ! — დაეთანხმა თეთრი ლიზა და ყურები ცქვიტა. აღსარების მოსამენად მოემზადა, მაგრამ მაიკომ სულ სხვა მიმართულება მისცა საუბარს.

— ფულმა გაგვაფუჭა, ლიზაჯან, ფულმა გაგვაოხერა, — თქვა და ისევ წყალი ჩაიგურა პირში.

იმედგაცრუებულმა თეთრმა ლიზამ ხელი ისევ აღვანაბადისაკენ წაილო. პირი ისევ ააცმაცუნა. მაიკო, აშკარად ჩანდა, არც გრიგოლის დასახელებას აპირებდა, არც თეთრ ლიზასთან ჩივილს და ცრემლების დაღვრას. მისი ნათექვამისიტყვის უბრალო მასალად მიიღო, რასაც დედაკაცები დღეში ათასჯერ ამბობენ. აღვანაბადი გაკვნიტა, თავი გადაიქნ-გადმოიქნია და ჭკუადამჯდარი დედაკაცის იერით წარმოთქვა:

— ეგ ეგრეა, მაიკოჯან, ფულმა ბევრი ვინმე გამოცვალა, მაგრამ ჩვენ ვერაფერი დაგვაკლო, ვერ გამოგვცვალა.

მაიკომ შეუმჩნევლად ჩაილიმა.

— მაშ! — განაგრძო თეთრმა ლიზამ, — მდიდრის დედა ვარ, მაგრამ გრიგოლის მზემ, კურ ლარიბისთვის ცხვირი არ ამინევია. ეგენი, მაიკოჯან, ზარმაცები რომ არ იყვნენ, არც ლარიბები იქნებოდნენ. ფირუზა სულ ამას ამბობდა და მართალიც იყო, ის სულით განათლებული.

ფირუზას ხსენებაზე დედაბრულად ჩაბლეტილი თვალიდან თავისი დალალივით ყალბი ცრემლი ჭრელი ხელსახოცით შეინმინდა და ისევ აღვანაბადისაკენ ნაუვიდა ხელი. ლაპარაკის სალერლელია ეძალა და აღარ გაჩერდა.

— ცხოვრების აზრი ის არის, მაიკოჯან, რომ ხალხში ხელგაშვერილი არ იდგე, ზემოდან სხვები არ დაგცეროდნენ, — ამტკიცებდა ფირუზას ქვრივი, — თორემ ნუთისოფელი რა არის? ფუჭია და ნარმავალი!

მაიკო სიცილს ვერ იმაგრებდა ხოლმე, როცა თეთრი ლიზა „იმ სულგანათლებულ“ ფირუზასავით ლაპარაკობდა, იმასავით შლიდა ხელებს, იმასავით ახამხამებდა თვალებს და როგორც ჭკვიან, დარბაისელ დედაკაცს შეეფერებოდა, დინჯად და აუჩქარებლად ლაპარაკობდა.

მაიკო ოდნავ გამხიარულდა, უფრო ახლოს მიჩოჩდა თეთრ ლიზასთან.

— ლიზაჯან, მლევდელივით რათა ლაპარაკობ?

თეთრ ლიზას პირი აღვანაბადით ჰქონდა გავსებული. ერთხანს ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. მერე, ძლივს გასაგონი, გაგუდული ხმით ჩაეკითხა თავის დოსტა:

— სიკვდილზე არასოდეს არ გიფიქრია, მაიკო?

— იჸ, ნეტავი შენა, ლიზაჯან! — სიცილი აუტყდა მაიკოს, — მაგისათვის სადა მცალოდა, კაცების ლოგინში ვგორაობდი.

თეთრმა ლიზამ არ გაიცინა. სერიოზული სახით სერიოზულად დასძინა.

— ყველანი მიქელ-გაბრიელის დავთარში ვწერივართ. სიკვდილს სად გავექცევით? არ გაგიგონია, მაიკო, ისიც მოკვდა, ვინც ერდოსა ხნავდაო.

უცებ ხმა გაუწყდა ყელში, შიშითა და ძრნოლით ნარმოთქვა:

— სიკვდილი არც ლარიბს ერიდება, არც მდიდარს.

მაიკო მხოლოდ ახლა დააცექერდა ყურადღებით თეთრ ლიზას. შავ სახეზე რაღაცნაირი სიყვითლე შეპეარვოდა, ლილებივით დანვრილებული თვალები შუშებივით უბრნებინავდა, ცხვირის ნესტოები გათხელებოდა, ხოლო გაცრეცილ ტუჩებზე სიცოცხლის ნიშანწყალი ნაშლოდა.

„თეთრი ლიზა ავად არის!“ — გაიფიქრა მაიკომ და რატომლაც თვითონაც შეეშინდა.

# კარი ოცდამეთერთმეტე

## 1. ომი და ადამიანები

განა ქალაქი თბილისი თავისის გარდარეული ყველიერითა,  
თეატრებითა, უივიე კარტინებითა, თავის სიჩბილით თავგადაგლეჯით,  
თავის ვიზიტებითა, მოაცლის ვისმე?  
გრიგოლ ორბელიანი

ომის მიუხედავად, ადამიანები გართობას არ იშლიდნენ. თეატრები გაჭე-  
დილი იყო. მდიდრები მეჯლისებს მართავდნენ, ლარიბები თავიანთი სახლის  
ბანებზე — ტაშ-ფანდურს. ნადიმს ნადიმი მისდევდა, ქეიფს — ქეიფი.  
ფიცხად იმართებოდა მუშტი-კრივი, არაჩვეულებრივი მხიარულებით და  
ლრიანცელით — ყეენობა და ბერიკაობა. გამურული, პირგათხუპნული და  
ნიღბებიანი ქარგლები და შეგირდები შესანიშნავად მსახიობობდნენ. მათი  
ყურებით მაყურებლები სიცილით იფხრინებოდნენ, რადგან განმაცვიფრე-  
ბელი პრანჭვა-გრეხით ამასხარავებდნენ ყეენსა და მის ნაზირ-ვეზირებს,  
თავაშვებული ხტუნაობით არდგენდნენ დათვებს, მელიებს, მგლებს, ტუ-  
რებს, მაჩვებსა და კურდლებს. ხევსურულ ერბოსავით მსუყე და თუმური  
ყველის გუდასავით გატიკნული ყველიერი ქადების ცხობასა, სეირნობასა  
და სიცილ-ხარხარში გადიოდა. დიდმარხვამდე ყველა გარეთ იყო გამო-  
ფენილი და, ვისაც გული ერჩიოდა, მინ ველარ ჩერდებოდა. ზარბაზნების  
გრიალისა და ხოცვა-ულეტის უამს ადამიანები თავანყვეტილ გართობებში  
პოულობდნენ თავდავიწყებას, რათა სიკვდილის შიში დაეთრგუნათ და  
სიცოცხლეს დაუოკებელი წყურვილი დასწავებოდნენ.

ზანდაროვი ძეელებურად აღარ ეტანებოდა გართობა-სანახაობას, მა-  
გრამ თავის გამოჩენის და ხალხში ტრიალის ფასი ახლაც კარგად ახსოვდა.  
თუ სადმე მეფისნაცვალი გამოჩნდებოდა, თვითონაც იქ იყო დარჭობილი.  
ერთხანს შემოფანტული „ნაცნობ-მეგობრები“ ისევ შემოეხვივნენ გარს. აღა-  
მემნონ კენტერაძე კვლავ ლაქუცით ეგებებოდა და ფეხებში უვარდებოდა.  
ზანდაროვი ისევ აძლევდა მას „სამმანეთიანს“ (კენტერაძე მეფისნაცვლისა  
და ეგზარხოსის მსტოვრად ითვლებოდა და მის გაღიზიანებას ისიც ერიდე-  
ბოდა), მაგრამ თუ სადმე მოიხელთებდა, მასხარასავით ათამაშებდა.

გამოვლილმა ჭირმა მას გულიც გაუქვავა და გრძნობაც. აღარავინ ეპრა-  
ლებოდა და ვისი მორევაც შეეძლო, დაუნდობლად ანადგურებდა.

მხილებული და პანდურამოკრული არშაკვართანიჩი ფეხზე ვეღარ დადგა.  
ვიღაცამ ჯერ ბაზაზის მაღაზია გადაუნვა, შემდეგ — ბაყლის დუქანი, ბოლოს  
— სავაჭრო ფარდული და ხარახურის საწვრილმანო. თავგზადა კარგულმა

ხილის ორი გოდორი ვირს აჟერდა, ხელის სასწორი მხარზე გაიდო, ნინ გაგ-დებულ ვირს უკან აედევნა და ქალაქის ჭურებში ხეტიალს შეუდგა. მუშტრებს ყვირილით ყველა სართულიდან და აივნიდან ეპატიუებოდა. ზაფხულობით და შემოდგომაზე ხილით ვაჭრობდა, ზამთრობით — ხრამულით და ფიჩხულით.

გრიგოლ ზანდაროვი მხოლოდ ბართლომე კურტანიძეს ვერ უბედავდა რასმეს. ლონიერი იყო, ძლიერი, გაუტეხელი. თან უკვე ისეთი შიში ჰქონდა გამოვლილი, რომ რისკაც მოერიდა და გამარჯვების ცდუნებასაც.

ბართლომემაც ხელი აიღო მასთან ომზე. ზედმეტ დავიდარაბას მოერიდა. მათ მტრობასა და სიძულვილს ახლა მხოლოდ მაიკო უხდიდა ხარეს. შინ გა-მოკეტილი გარეთ ფეხს აღარ დგამდა, აღარც ძველ საყვარელს ეკარებოდა, აღარც ახალ ვინძეს ეტორლიალებოდა.

გრიგოლ ზანდაროვი მთელი დღე ფეხსაცმელების ფაბრიკაში იჯდა, სა-ლამოობით შინ თეთრ ლიზასთან ლაპარაკით ერთობოდა.

ხანდახან მამრაძეების სახლში შეივლიდა და ვახტანგ ტამირელს მასლაათს გაუბამდა ხოლმე. ლაპარაკს ბატონყმობის გადავარდნის გამო იწყებდნენ და ამითვე ამთავრებდნენ, რადგან გრიგოლ ზანდაროვს ყველაზე მეტად ეს აინტერესებდა.

ნდობით აღარავის ენდობოდა.

ოდესლაც ხელგაშლილს, სიძუნნე დასჩემდა.

მომჭირნეობით ფირუზა ზანდაროვს დაემსგავსა, სიტყვაძვირობით — ბართლომე კურტანიძეს.

მალე ქარვასლებში მისი ასავალ-დასავალი ისევე დაკარგეს, როგორც კურტანიძის ასავალ-დასავალი ჰქონდათ დაკარგული.

თეთრი ლიზა თვალებს არ უჯერებდა. გაკვირვებული შლიდა ხელებს.

— ქა, გრიგოლჯან, მურაზი რამ გაგიცივა? ეგრე რამ გამოგცვალა?

— ფირუზას ვემსგავსები, ლიზაჯან! — იცინოდა გრიგოლი.

— უიმე, უნინ დღეც გამერობია! — შიშით პირჯვარს ინერდა თეთრი ლიზა. თან რძალს წყევლიდა, — ქა, რასაც ვფიქრობდი, სწორედ ის არ მოხდა! შენმა პატიოსანმა ცოლმა სახლში საქმევლის სუნით გაგვაბრუა, თავზე ბერები და მონოზნები დაგვახვია, გულიც გაგვიწყალა და ჯიგარიც გაგვირეცხა!

— არა, ლიზაჯან, ეგ არაფერ შუამია, — იცინოდა გრიგოლი.

— ქა, როგორ თუ არაფერ შუამია? კაცს ცოლი ჰყავდეს და არსად არ დაჰყვებოდეს? ეკლესიის და საყდრის მეტი სხვა არაფერი აგონდებოდეს?

ქალბატონი ზანდაროვი ყოველ ცისმარე დღეს ეკლესიაში იმყოფებოდა, ხატების ნინ პირჯვე დამხობილი.

ყველა ეკლესიაში, ყველა მონასტერში, ყველა სამლოცველოში, ყველა ნიშთან, გზაჯვერედინებზე საღვთოს აკვლევინებდა. ღმერთს ძმის ომიდან მშვიდობით დაბრუნებას ევედრებოდა და თავაუღებლივ ლოცულობდა.

ქმარი სულ აღარ აგონდებოდა.

არც ქმარს აგონდებოდა ცოლი.

ზოგჯერ თავისდა უნებურად წვეულებებსა და პულვარებზე თვალებით  
მაიკო კურტანიძეს დაეძებდა, მაგრამ ის აღარსად ჩანდა.

ერთხელ როგორლაც თეთრ ლიზას ჰქითხა;

— მაიკო რატომ აღარსად გამოჩნდა, ლიზაჯან?

თეთრმა ლიზამ ეშმაკური ლიმილი დამჭენარ ტუჩებს შორის ჩაკეცა. გრი-  
გოლს ყურში ჩასჩურჩულა.

— ჰომ, — გაიცინა გრიგოლმა, — მაშ ახალი კურტანიძე გვემატება.

— აი, ნახავ, გრიგოლჯან, — თითქმის ნიშნის მოგებით წასჩურჩულა თე-  
თრმა ლიზამ, — თუ ჩვენი მაიკო ახლაც ბიჭს არ გამოაგორებს!

გრიგოლმა წარბები უქმაყოფილოდ შეჰქარა.

ბართლომე კურტანიძის ვაუიანობა ისეთნაირად სწყინდა, რომ ბოლო  
ხანებში ჩაფიქრებული დადიოდა.

## 2. სიკვდილია ზემოურები და ძველობი არ იცის

სიკვდილი ყველა გზაზე დაფის, არავინ იცის, საიდან შემოიპარება.

აღმოსავლური ნუკესი

ერთ საღამოს ზანდაროვს დაბნედილი თეთრი ლიზა დაახვედრეს. მოა-  
ხლენი სველ ტილოებს ადებდნენ თავზე.

— რა დაგემართა, ლიზაჯან? — შემფოთებით იკითხა გრიგოლმა.

— არაფერი, გრიგოლჯან, მალე გამივლის, დარდი ნუ გაქვს.

ზანდაროვმა ბიჭი ექიმთან აფრინა.

თეთრი ლიზა არაფერს არ იტკივებდა, მაგრამ გული უფრიალებდა, წარა-  
მარს წყალს სვამდა და წყურვილს ვერ იკლავდა. პირი უძრებოდა და სული  
ეხუთებოდა. გაბეზრებული ან წყალს ენაფებოდა, ან, პირგამშრალს, ყინულის  
ნაჭერი ედო პირში. განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა ცუდად, როცა აღჯანა-  
ბადს, ნუგბარს და ტკბილეულს გაუმაძლრად ეტანებოდა. ექიმის რჩევით,  
გრიგოლმა ის ტკბილეულთან ახლოს აღარ გააკადა მუავე შავ პურზე დასვა.

თეთრი ლიზა გაკაპასდა. გაანჩხლდა.

— გრიგოლჯან, თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა, აღჯანაბადი მომიტანე.

გრიგოლმა მებალის ყური გაიხადა. თეთრი ლიზას ხვენნა-მუდარას არა-  
ვითარ ანგარიშს არ უწევდა.

ჭირვეულმა ავადმყოფმა ანაზდად ხმა გაკმინდა. გაყუჩდა და გაილურსა.

ერთი გროშის ფასად მოახლეებს მისთვის ჩუმად მოპქონდათ აღჯანაბადი.

რამდენიმე დღის შემდეგ ფრონტიდან დავით გერმანიზიშვილის დალუპვის  
აჩბავი მოვიდა. ზანდაროვის სახლში გლოვის ზარი გამეფდა. მანანა თმას  
იგლეჯდა და ლანვებს იხოკდა. ხალხის საჩვენებლად თეთრი ლიზაც გულ-

საკლავად იმდუღლებოდა. გრიგოლმა ცოლისძმა თბილისში ჩამოასვენებინა, ლირსეულად გააპატიოსნა და ლირსეულად დამარხა.

დავით გერმანოზიშვილის გასვენებაზე არც ბართლომე გამოჩენილა, არც მაიკო.

ზანდაროვები შეიდზე სასაფლაოზე ნასასვლელად ემზადებოდნენ, როცა გულგახეთქილი მოახლენი გრიგოლის ოთახში შევარდნენ. თეთრი ლიზა აღჯანაბადით ხელში ნაიქცა და ვეღარ ადგა.

გრიგოლმა თავისი საყვარელი თეთრი ლიზას გაპატიოსნებას არაუერი დაკლო. მისთვის დიდი ხნის უცხო ცრემლიც ჩუმად შეიმშრალა, მაიკომ კი თავისი ძველი დოსტი მდუღარე ცრემლებით დაიტირა.

ქალბატონ ზანდაროვს შავების ჩაცმა არ დასჭირდა, ისედაც შავები ეცვა.

ზანდაროვები და მათი სტუმრები თეთრი ლიზას ორმოცზე ისხდნენ, როცა სიონის დიდმა ზარმა დაიგუგუნა და მთელ ქალაქში ზარების რეევა ატყდა. ყველანი ფეხზე ნამოცვივდნენ. ქუჩებში ახალი ამბავი უკვე იცოდნენ. პეტერბურგიდან ხელმწიფის სიკვდილის ამბავს მოელნია, ყველანი ხელმწიფის სიკვდილზე ლაპარაკობდნენ.

— ქა, — ნამოიძახა მაიკო კურტანიძემ, — რა სუ ნაცნობები კვდებიან!

ორმოცის სტუმრებმა გაკვირვებით გადახედეს ბართლომე კურტანიძის ცოლს.

ზანდაროვს რაღაც გაახსენდა და ყურადღებით დააცექერდა მაიკოს.

ფერნასულმა ვიკრიერვმა ჯერ აქეთ-იქით ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, მერე გრიგოლს ყურში ნასჩურჩულა:

— გრიგოლჯან, ბართლომე კურტანიძის ცოლი ხომ არ გაგიჟდა?

გრიგოლმა დააშოშმინა.

— არ გახსოვს, ქარვასლაში ერთად არა ვნახეთ ხელმწიფე? იმ დროს მაიკოც იქიყო.

— ჰომ, — თქვა ვიკრიერვმა და რადგან გაცინება არ შეიძლებოდა, საჭმელს ხარბად დაუნცო თვალიერება. ცივად მოხარშული დედალი ხელში აიღო და ორად გაგლიჯა.

### 3. პარაკლისი

ჩვენა ვერძნობთ, მტერიცედ ვნუგეშობთ, რომ ღმერთმან ესრეთ ინება.

ვიორგი ერისთავი

ხელმწიფის სიკვდილმა მთელი ქალაქი ააფორიაქა. ზემოურებმა შავები ჩაიცვეს და მგლოვიარეებად დასხდნენ. ქვემოურებს ისედაც ბევრი საფიქრებელი და სადარდებელი ჰქონდათ, ხელმწიფისათვის არ ეცალათ. მხოლოდ ღრმადმორნმუნე დედაკაცები დარბოდნენ ეკლესიებში, მუხლის ჩოქვით უვლიდნენ ხატებს და გარდაცვლილ ხელმწიფეს ღმერთს ავედრებდნენ.

ეკლესიებში პანაშვიდებს იხდიდნენ.

ვინც არ იჩოქებდა, იმათ პოლიცია თვალების ბრიალით აჩოქებდა.

მეჩეთებშიც და სინაგოგებშიც ხალხი პირქვე იყო დამხობილი.

მართლმადიდებლები მართლმადიდებლურად გლოვობდნენ, კათოლიკები — კათოლიკურად, პროტესტანტები — პროტესტანტულად, სომხები — სომხურად, მაჰმადიანები — მაჰმადიანურად, ებრაელები — ებრაულად.

მღვდლები, პატრები, პასტორები, ტერტერები, მოლები და რაბინები ოფლში ინურებოდნენ და ღაღადისით აღნიშნავდნენ გულმწუხარე მრევლის ქვეშევრდომულ გლოვასა და ვაებას.

მაგრამ გულნრფელად მხოლოდ ზემოურები ღვრიდნენ ცრემლს.

ზემოურებშიც ბევრს სევასტოპოლის დაცემა უფრო აფიქრებდა, ვიდრე ხელმწიფის სიკვდილი.

ქალაქში ათასნაირი ხმა დატრიალდა.

ჩურჩული და მითქმა-მოთქმა გახშირდა, რადგან ხმამაღლა ლაპარაკს ვერავინ ბედავდა.

გლოვის ძაძებით შემოსილ ქალაქში შიშმა დაისადგურა.

ხალხი დუმდა.

სამაგიეროდ, ეკლესიების ზარები რეკლენ დაუსრულებლად, განუწყვეტილი სრულდებოდა ღვთისმსახურების წესები.

ნიკოლოზ I-ის დაკრძალვის დღეს სამხედრო ტაძარი მღვდელმთავრებით, მღვდლებით, დიდკაცებით და დიდვაჭრებით გაივსო, ნემსი არსად ჩავარდებოდა.

ცხელოდა. ტაძარში აუარებელი კელაპტრები და სანთლები ბრდლვიალებდა. ძვირფასად შემოსილი მღვდელმთავრები და მღვდლები ხან ალისფრად ნათდებოდნენ, ხან წითლად, ხან იისფრად, ხანაც ცისფრად და ლილისფრად. გარდაცვლილ ხელმწიფეს თვითონ ეგზარხოსი უგებდა ანდერძს. მის ორსავე მხარეს გამნკრივებული იდგნენ ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები, არქიელები და დეკანოზები. ანაფორებით, სტიქარებით, ბისონებით, გინგლებით, ენქერებით, ფილონებით, ომოცორებით და ოლარებით.

უზარმაზარ, თვითმცყრობელობისა და მართლმადიდებლობის უძლეველობის სიმბოლოდ ნაგებ ტაძარში ტევა აღარ იყო. ბევრს პირველის გადაწერა უჭირდა. სოვდაგრის ცოლებში ჩაჭედილი მაიკო კურტანიძე ვერ მღვდელმთავრების ყურებით გაერთო, ერთი-ორჯერ ცრემლიც გადმოაგდო, მაგრამ მერე ისეთნაირად დასცხა, რომ კინაღამ გული შეუღონდა. ტუძუებში რძე მოადგა. პირი გაუშრა. შუბლზე ოფლის კოკრები დაასხდა. სახე ბრონეულივით აუჭრელდა და გაუნითლდა. თვალები მიეპნიდა. გულისპირი დაუსველდა. პირი უნებურად გააღო, რათა ჰაერი შეესრუტა. უცებ ისეთნაირად მოდუნდა, რომ გულის ნასვლის შიშმა შეიპყრო. წაქცევით ვერ ნაიქცეოდა, რადგან სოვდაგრის ცოლების იდაყვებს შორის იყო ჩაჭედილი. თავი როგორღაც შეიმაგრა და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა შვებით, როცა უკანა რიგები შეთხელდა.

ხანგრძლივი და გაბმული ღვთისმსახურება, როგორც იქნა, დასრულდა.

თბილისის გარშემო, მთებზე, ზარბაზნებმა დაიკრისალეს.  
ეგ ზარხოსმა ახალი ხელმწიფის მრავალუამიერი აღავლინა.  
ხალხი ნელ-ნელა დაიძალა.

ზემოურები თავიანთ კტლებში ჩასხდნენ.  
ქვაფენილზე, პოლიციელების ცოცხალი ღობის იქით მომდგარი ქვემოუ-  
რები ახლომახლო ქუჩებში, ქუჩაბანდებსა და შუკებში მიიფანტ-მოიფანტნენ.  
დოდვაჭრები კი თავიანთი ცოლებით იმ ქარვასლისაკენ გაემართნენ, სადაც  
1837 წლის იმპერატორის ულოზზე სისინი ზემით და შილინგებით მიჰკებებოდნენ.  
მაյკო ქურტანიძე ჯერ კუკია ზეგავარდა, აღმართი და თავისი სახლის ებე  
სირბილით აირბინა, ანაპოდისტეს ძუძუ მოანოვა, მერე სახლიდან ფაცაფუ-  
ცით გამოვარდა და შუაბაზრისაკენ აქლოშინებული გაიქცა.

#### 4. ძველი ქარვასლაში

ადლეგრძელეს ახალი იმპერატორი ფამილიონურო.  
გაზეთის ფურცლებიდან

დიდ დარბაზში ქელების სუფრა იყო გაშლილი.

სუფრას სოვდაგრები და მათი ჯალაბობა შემოუსხდნენ.

ტოლუმბაშად თამამშევი დააყენეს.

ძველი ხელმწიფის შესანდობარს ახალი ხელმწიფის სადლეგრძელო მოჰყვა.

შესანდობარის დროს სოვდაგრები ფეხზე იდგნენ და თავიანთ ბალდა-  
დებში ტიროდნენ, სადლეგრძელოს დროს კი ისევ ზეზე ნამოცვივდნენ, გა-  
ხარებულებმა „ურა“ ისე დასძახეს, როგორც ეს სოვდაგრებსა და ვაჭრებს  
ეხერხებოდათ.

მერე იხუვლეს და გულუხვი სუფრის ნაირ-ნაირ საჭმელებს მიესივნენ,  
სხვადასხვანაირი ფერის ლვინოებს მიეძალნენ.

თავები მსუნავად დახარეს.

თანდათან სახეები დაუწითლდათ.

ალაპარაკდნენ.

აყაყანდნენ.

ხელების ქნევა და ყურთმაჯების ფრილი დაინუეს.

აქა-იქ სიცილიც გაისმა.

ვიღაცამ გადაიხარხარა, მაგრამ არავის გაჰკვირვებია.

დასაძრახიარიყო. ძველ წესად და ადათად ითვლებოდა. იმ დროიდან მომდო-  
ნარებდა, როცა ქრისტეს ჯვარზე გაკვრის შემდეგ, გომბეჭო ლვითისმშობლის  
ნინ სასაცილოდ გადაგორდ-გადმოგორდა და მგლოვიარე მარიამი გაცინა.

სოვდაგრები არც იდაყვებს აჩერებდნენ, არც ყბებს.

ბართლომე ქურტანიძე ცოტას ჭამდა. კოვზით რაღაც გადაილო, რაღაც  
შეხერისა, რაღაც დაღეჭა, ლვინის ყლუპი გადაყლაპა და ჭამა დაამთავრა.

თავის საქმით გაერთო. გრძელ ერიალოსანს ხაფს უსწორებდა და უმა-  
გრებდა.

ლაშაზი ცოლის გვერდით გაუნდრევლად იჯდა. სერთუჟზე ხელმწიფის სამი  
მედალი უბრნყინავდა, მაგრამ თავს არ ინონებდა. ყურადღებად გადაქცეული  
და დამუნჯებული თავის სკამზე უფრო იდო, ვიდრე იჯდა.

მაიკო კურტანიძეს ჭამის თავი არა ჰქონდა. პირს არაფერს აკარებდა,  
ანთებული თვალებით გრიგოლ ზანდაროვის უკურებოდა.

ზანდაროვი ვიკრიკოვის ცოლსა და ასულს შორის ნებივრობდა (მისი მგლო-  
ვიარე ცოლი შინ იჯდა, მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, სოვდაგრის ცოლებს  
შორის მაინც არ გამოჩნდებოდა). ტანდაბალი ვიკრიკოვი ახოვანი ზანდარო-  
ვის გვერდით ძლივს ჩანდა, ხოლო მის ჩასუქებულ-ჩამრგვალებულ ცოლს  
გვერდს ერთი ბრგე და ახალგაზრდა ვაჭარი უმშვენებდა. ვიკრიკოვის ცოლი  
ზანდაროვს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ახალგაზრდა ვაჭარს ელაცი-  
ცებოდა. უკვე საქმაოდ შეზარხოშებული ღოღნოშოსფერ თვალებს ურცხვად  
აუჟუნებდა. მისი ასული გალურსული იჯდა, მაგრამ პირისახეზე ნარამარა  
ვარდისფერი ეფინებოდა. რაც უფრო ნითლდებოდა სოვდაგრის ასული, მით  
უფრო ედებოდა ბრინჯაოსფერი მაიკო კურტანიძის თაფლისფერ თვალებს.

სოვდაგრები თერებოდნენ.

ილეშებოდნენ.

მთვრალების ღრიანცელი ქარვასლის დოდი დარბაზის თაღებს აზანზა-  
რებდა.

ყურთასმენა აღარ იყო.

მხოლოდ ბართლომე კურტანიძე იყურებოდა ფხიზლად და ემმაკურად  
იღიმებოდა.

მისი ცოლი ისევ იქით იყურებოდა. ეჭვიანობა გულს უღრღნიდა და მოს-  
ვენებას უკარგავდა. მთვრალი სოვდაგრები გვიან დაიძალნენ.

მაიკო დაფაცურდა, რათა გრიგოლი არსად გასხლტომოდა.

გვიანლა იყო.

ვერც ქმარიდაითრია დროზე, ვერც სოვდაგრების სქელი ცოლების ჯვრი  
გააპო, თუმცა, ერთბაშად აჯილდად გადაქცეული, იდაყვებსაც ჩქარ-ჩქარა  
ამოძრავებდა და რაღაცნაირად აფორიაქებული დედაკაცებს მეერდით  
ეჯახებოდა.

— ქა, ესეც ვიკრიკოვის ცოლივით დამთვრალა.

თავს აქნევდნენ სოვდაგრების ჯალაბები.

ქარვასლის განიერ კიბეზე გრიგოლი ვიკრიკოვის ასულს ციმციმით მოა-  
ვენებდა.

ახალგაზრდა ვაჭარი ვიკრიკოვის ცოლს უფრო მოავორებდა, ვიდრე  
მოაბრძანებდა.

თვითონ ვიკრიკოვი მათ უკან ბარბაცით მოსდევდა.

მაიკომ გრიგოლისაუკუნია, მაგრამ ის სოვდაგრების და მათი ჯალაბის  
თავების მორევში დაიკარგა და გაუჩინარდა.

## 5. თაფლის ფერთვალება ანაპოდისტე

ყოველი გაზაფხულის სიტურის მოსპონ ზამთრის ხელმან და დაასო  
მას ზედ ბეჭედი სიკედილისა.  
გრიგოლ ორბელიანი, „ზამთრის ქარი გრიგოლებს“

შინ გულჯავრიანი და დაღლილი დაბრუნდა.

მაინც თავისებურად დატრიალდა.

ტანსაცმელი გამოიცვალა.

ხელები დაიკაპინა.

ჯვრ ანაპოდისტეს აკვანზე არტახები აუყარა და ძუძუ მოაწოვა, მერე ქმრის ოთახში გობი და ცივი ნყლით გავსებული სათლი შეიტანა. ფეხები გობში ჩააყოფინა. მუხლისთავებსა და წვივებზე საპონი წაუსვა. ტოლჩით წყალს უსხამდა და ისე ბანდა, როგორც ეკლესიებში მღვდლებს აღდგომის დიდხუთშაბათს მღვდელმთავარი გაშიშვლებულ ფეხებსა პბანს. უცებ თავი ჩაჰქინდრა, უშნოდ ჩამოცურდა ქმრის მუხლებზე, გობს თეძოთი დაეჯახა, ნახევრად ააყირავა და იატაკზე დაქცეულ საპნიან წყალში გაიშხლართა.

ბართლომე მძიმედ დაიხარა მისკენ, დააცეკერდა. მის ნინ მკედარი ცოლი ეგდო. მიიხედ-მოიხედა. მაგიდაზე გადაფენილ სერთუკსა და ბალდადს მია-ცეკერდა. ზლაზვნით წამოდგა. მაგიდასთან მივიდა. ბალდადი ყოყმანით აიღო ხელში. ისევ მიიხედ-მოიხედა. თვალებით ძველძველებს დაუწყო ძებნა. მერე ბალდადი მელავზე გაჭიმა, მიცვალებულთან დაიჩოქა, ორი თითით თვალები დაუხუჭა და ყბა ბალდადით აუხვია.

უფროს ბიჭს ჩურჩულით გადასცა ოჯახში დატრიალებული უბედურება.

რაეიმენისქვილის ნაბიჭვარმა მამას მწერალება არ შეატყო, არც თვითონ შეიცხადა დედის სიკედილი.

სამაგიეროდ, ზანდაროვის ნაბიჭვრები აღრიალდნენ. გულსაკლავად ბლაოდნენ, პირისახეს ითქვითვავდნენ და თავს ეედელს ურტყამდნენ.

კურტანიძეების ერთადერთი მოახლე მათი ცოდვით დაიწვა და თვითონაც აზლუქუნდა.

ბართლომემ შეულრინა და მეზობლების დასაძახებლად გარეთ გაავდო. ოსიძიძა კი მიცვალებულთან დატოვა, რათა კატა ან კარიდან არ შემოპარულიყო, ან გაღებული ფანჯრიდან არ გადმომძვრალიყო და მიცვალებულს არ გაჟარებოდა.

მენისქვილის ნაბიჭვარს თვალი უყო. სარდაფში ჩავიდნენ.

ბართლომემ ოთხი ფიცარი გადმოილო. თვალით გაზომა, ოთხ ადგილას გადახერხა და კუბოს ფიცრების გარანდვას შეუდგა.

პერანგის ამარა, ყველას მიერ მიტოვებული ანაპოდისტე აკვნიდან ვად-მოჩინდა, იატაკზე დაჯდა, ჯერ ატირდა, გაიჭაჭა, ჩაბუირდა კიდეც. მერე, როცა არავინ მიხედა, თავისთვის ლულუნი გააბა, თან იღიმებოდა, ტიტეველ მუცელზე ფუნჩულა თათებს იტყაპუნებდა და თაფლისფერ თვალებს მხა-რულად აფახულებდა.

# კარი ოცდამეთორმეტე

## 1. სალდაფონი

ცეკვის ოსტატი რამ გათქმევინათ!

ა. გრიბოედოვი, „ვაი ჭუისაგან“

ნატიფი ვორონცოვის მაგიერ მეფისნაცვლად დაყენებული ტლანქი და უხეში მურავიოვი თავისი ნინამორბედის ინგლისურ პოლიტიკაზე ზიზღით ლაპარაკობდა. არც მის ინგლისურად დაგეშილ ჯაშუშებს აფასებდა დიდად.

გაუთლელმა სალდაფონმა არც კავკასიის სამხედრო შტაბის ის ოფიცირები დაინდო, რომელნიც კონტრდაზვერვაში მუშაობდნენ.

სულ ცოფებსა ჰყურიდა და უძვერი სიტყვებით ლანძლავდა მათ იმის გამო, რომ ისინი რაიმონ დე კინტელში მხოლოდ ცეკვის მასნავლებელს ხედავდნენ, ნამდვილად კი ცრუქალაბიჭი არტილერიის ოფიცერი აღმოჩნდა.

მურავიოვი ღვარძლიანად იხერხებოდა და სალონების ტყულარჭია ქალი-ვით ენას იჩილექდა, რათა რაიმონ დე კინტო ეხსენებინა და ერთხელ კიდევ გაერა კლანჭი როგორც ვორონცოვისთვის, ისე ელიზავეტა ქსავერიევნასა და, განსაკუთრებით, შუაზელ დე გუფისთვის.

ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ეჭვექვეშ დააყენეს ყველა ცეკვის მასნავლებელი, ვინც კი სოლოლაკელი მდიდრების ასულებს პა-დესპანს ასწავლიდა.

მურავიოვმა თბილისში პოლიციელები და სალდატები გაამრავლა.

სალდატი სალდატურად იქცეოდა.

ყაზარმებსა და სატუსალოებს უფრთხილდებოდა, კლუბებსა და თეატრებს ემტერებოდა.

უყურადღებობისა და ხელმოკლეობის გამო დაიხურა ქართული დასი, სულს ღაფავდა რუსული დრამატული თეატრი. ქართველმა არისტოკრატიამ გული უურნალ „ცისკარზეც“ აიყარა, მხოლოდ ოპერაში ერთობოდა და ინონებდა თავს. თავადაზნაურთა საკრებულო ბანქოს მოთამაშეებით იყო გაჭედილი, სალონები — პრეფერანსის მოთამაშეებით. პოლიტიკასა და კულტურაზე აღარავინ ლაპარაკობდა. ზემოურები დროის შესაფერისად იქცეოდნენ. თუ გუშინ ვორონცოვის მზეს ლოცულობდნენ, დღეს მურავიოვს ფეხქვეშ ეგებოდნენ. ასევე იქცეოდნენ დიდვაჭრები, რომელთაც პოლიტიკური სიტუაციის არაჩვეულებრივი ალლოც ჰქონდათ და ახალ ქარზე იალქნების გამლის განმაცვიფრებელი უნარიც.

ომის დამთავრების შემდეგ ფეხსაცმელების ფაბრიკა ზანდაროვს დიდ მოგებას აღარ აძლევდა. ქალაქელების უმრავლესობა თათრულ ჩუსტებში

დადიოდა, ბატონიშვილის ულელში შებმულ გლეხებს ეი ქალამნები ეცვათ. ზემოურები პარიზულ ფეხსაცმელს ეტანებოდნენ, ხოლო უკვე საგრძნობლად გამრავლებული მოხელენი და მათი ცოლ-შვილი ზანდაროვის ფაბრიკის ფეხსაცმელს ჯერ მხოლოდ გემოს უსინჯავდნენ.

მოგებას ისევ ვაჭრული შუამავლობა, სატრანზიტო ვაჭრობა იძლეოდა.

სომებს სოვდავრებში ყველაზე წინ ვიკირიკოვი მიიჩნევდა, სულ უფრო და უფრო მდიდრდებოდა, ქარვასლებს ხელსა სდებდა და ვაჭრებს შორის პირველ კაცად ხდებოდა.

თუ ზანდაროვმა ფეხსაცმელების ფაბრიკა გახსნა, ვიკირიკოვმა თამბაქოს ფაბრიკა წამოჭიმა.

თამბაქოს ბევრიაბოლებდა: თავადიც, აზნაურიც, ბობოლაც, ნერილფეხს მოხელეც, გლეხიც და ხელოსანიც.

ვიკირიკოვის გამჭრიახი ჭკუა ზანდაროვმა ერთხელ კიდევ შეაფასა და თან შურით და ბრაზით გამწვანდა.

შურმა და ბრაზმა ისევ სოვდავრად აქცია, კვლავ ქარვასლებში დაატრიალა. გაფაციცებით დაინტყო გარშემო ყურება. სავაჭრო დეპოს, ქარვასლებს, დუქნებს, ბაზრებს, მაღაზიებს სულ გარშემო უტრიალებდა. ყურადღებად გადაქცეული ყველაფერს გულდასმით უკვირდებოდა, ზომავდა და წონიდა. შემოსავალი რომ არ დაშრეტოდა, სანდო კაცირუსეთის და დასავლეთ ევროპის ქალაქებში აფრინა, თან ავალებდა, ყველაფერი ეყიდა, ფუფუნების ყველანირი საგანი შეეძინა — ნელსაცხებლებიდან დაწყებული ფორტეპიანომდე.

ფეხსაცმელების ფაბრიკას წინდახედულად ბოქლომი დაადო, რადგან ბატონიშვილის გაუქმებაზე, მართალია, ახლა უფრო ხშირად ლაპარაკობდნენ, ვიდრე წინათ, მაგრამ მის გადავარდნას ჯერ ბოლო მაინც არ უჩანდა.

გუმინდელი ფაბრიკანტი ახლა ქორვაჭარივით გამოიყურებოდა.

ძველ ნაცნობებს იმისდა მიხედვით უკრავდა თავს, თუ ვის როგორი მდგომარეობა შეენარჩუნებინა, უფრო მეტად კი ახალსა და გავლენიან ნაცნობებს იჩენდა და მათ მოსახიბლავად ფულს დასახარჯად არ ზოგავდა.

უანგარიშოდ აღარაფერს აკეთებდა.

ხალხის ალაპარაკების აზრი და მნიშვნელობა კვლავ გაიხსენა.

ხალხის ასალაპარაკებლად ფირუზას და თეთრი ლიზას საფლავზე მდიდრული მატურიამართა. სიმდიდრით ყველგან განთქმულ ბართლომე ქურტანიძის ცოლის საფლავს უბრალო, ქმრის ხელით უხეშად გათლილი ლოდი ედო. მალე ეს ლოდიც მაღალი ბალახით დაიფარა, რადგან მისკენ მიმავალი გზა სამუდამოდ დაივინყა კურტანიძების ოჯახმაც და გრიგოლ ზანდაროვმაც.

ზანდაროვს გული რაღაცნაირად გაუქვავდა, უგრძნობელი გახდა, ცივი, გულგრილი. თუმცა გარეგნულად ხალისიანი და მხიარული ვაჟბატონის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ალბათ, იმიტომ, რომ სალმიან ლიმილს პირიდან არასდროს არ იშორებდა.

მასლაათს ზემოურებსაც უბამდა და ქვემოურებსაც.

არც ფერშანგოვებს და მამრაძეებს ივიწყებდა.

ახლა იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ ვინ როდის, სად გამოადგებოდა. ვახტანგ და ქრისტინე ტაშირელებს ვაუიანობა მიულოცა.

აღაშემნონ კენტერაძის უმუშევრად დარჩენილი სიძე თავის კანტორაში გადაშერად დააყენა. როინ ცალქალამანიდეს კალიგრაფის ხელი ჰქონდა და კარგი ორგანიზატორის ნიჭითაც გამოიჩინეოდა. თვითონ კენტერაძე კი ზანდაროვმა ტაქმასხარასავით აიყოლია. ყველგან თან დაათრევდა და ყველგან ამასხარავებდა.

მეფისნაცვალს და ევზარხოსს სახელგატებილი მსტოვარი არ სჭირდებოდა. ამიტომ თავადი კენტერაძე ახლა „სამმანათიანის“ „მაგიერ“ „ერთმანათიანს“ თხოულობდა. თან ყველას ერთსა და იმავეს ეუბნებოდა:

— სოფელში ბიძა მიკვდება, ბატონო. მემკვიდრეობას ვღებულობ. ერთმანათიანს ათკეცად მოგართმევთ.

ზანდაროვი ულვაშებში ილიმებოდა. სხვების გასაცინებლად „ჭორების ბოლინიას“ ეკითხებოდა:

— მართალს ამბობს ფაცუნი, მაჭატა?

— მაგისმა მზემ!

ისეთნაირად შელიდა ხელებს მაჭატა კენტერაძე, რომ გარშემო მყოფნი სიცილით იხოცებოდნენ.

მხოლოდ როინ ცალქალამანიდე ქმუხნიდა შუბლს სიმამრის მასხარაობისა და სიდედრის ოინბაზობის გამო. თქმით არასდროს არაფერს ამბობდა. გაჩუ-მებული მუშაობდა. დილიდან საღამომდე ზანდაროვის დავთრებს და ნუსხებს უჯდა. საღამოობით ცოლთან ერთად „ცისკრის“ კორექტურას ასწორებდა ან საქველმოქმედო საღამოს ესწრებოდა. კომედიებს აღარ ნერდა, მაგრამ ქმარ-შვილზე გადაგებულ ანას, რომელსაც პირზე ღიმილს აღარავინ ამჩნევდა, ღრმა რწმენით უმტკიცებდა, რომის სულ მაღლე კვლავ გაბრნყინდებოდა ქართული თეატრის სცენაზე.

## 2. პელაგია კურთანიძე

ქალი საჩეჩელთან, კიდობანთან და აკვანთან უნდა იჯდეს.  
ვაჭრული მუნასიბი

ზანდაროვს ვიკრიკოვის გამდიდრება ისე არა შურდა, როგორც ბართლომე კურტანიძის ნარმატება.

ბართლომეც ვიკრიკოვით მდიდრდებოდა.

ახლა მეტოქეობას ქალაქში ეს ორი ვაჭარი უნდა ერთმანეთს.

ბართლომე კურტანიძის დავთრების და ნუსხების ასავალ-დასავალი არც ახლა იცოდა ვინმემ, ისევ ჩუმად, თავისთვის საქმობდა და ხვეტდა ფულს. კვლავინდებურად ჩუმად მიღი-მოდიოდა, მაგრამ არასდროს არაფერი გა-

მოეპარებოდა ხოლმე. ყველაფერი იცოდა, სად რა ხდებოდა, საწყობში ვის რა საქონელი ენყოან რას რა ბაზი ედო და რომელი საქონლის მაზანდა მიიჩევდა მალუა თუ დაბლა. საამისოდ მრავლად ჰყავდა დამქაშები და მსტორები ქარვასლებსა და ბაზრებში, მსახურებად და ნოქრებად კი მხოლოდ იმერლები დაყენებული.

მისი საქონლის ქარავნები ერთმანეთზე იყო გაბმული რედუტ-კალება და ნიუნი-ნოვგოროდის გზებზე.

თვითონაც თავაულებლივ მუშაობდა, დროს უქმად არ აცდენდა. უკვე კარგად დაბერებული, მხნედ გამოიყურებოდა, მუხასავით მავარი და ჯანგაუტეხელი იყო.

რაკი მასაც და მის ოჯახსაც მომვლელი სჭირდებოდა, ცოლი შეირთო და ამის გამო მეორედ მოხვდა ეკლესიაში.

მისი ახალი ცოლი ორმოც ნელს გადაცილებული დედაკაცი იყო, ნაყვავილარი, ცხვირნის კარტა, მრუდეფეხებიანი, მაგრამ ძვალმისხვილი, ღონიერი და დაუზარელი.

დიდხანს შინაბერად ნამყოფი, საკუთარ ოჯახს ზედ დაჟეან კალებდა.

გარჯის მეტი სხვა არაფერი იცოდა.

მუხლს არც ზაფხულში ასვენებდა, არც ზამთარში.

ყოველ ცისმარე დღეს ხელსაფქვავს ატრიალებდა ან ავანდასტაში ნიორს ნაყავდა, რადგან კურტანიძეების ოჯახში ახლაც ხალიფაფას, სისირს, ცერცვს, ნივრიან დანდურს, მუხუდოს, მდუღარეში მოხარშულ სიმინდს, ჭინჭარსა და ფხალს უსხდნენ, უფრო ხშირად კი ხელში პურის ნაჭრები და ხახვის თავები ეჭირათ და მადიანად ილუკმებოდნენ.

მარტო ზამთარში, ქრისტეშობიდან დიდმარხვამდე, გამოიულევლად პქონდათ დაშამხული ხორცეული და ღორის ქონი.

უნათესაო და უთვისტომო პელაგია ბედს არ ემდუროდა.

პურის კიდობნისა და საკუჭნაოს გასაღებები მას ებარა, თავისებურად ქალბატონობდა, გერებთან დედინაცვლობდა, უცხვირპირო და ავადმზირალი, გულცივად ეპყრობოდა მათ. ქმრის რიდი სახეზე ენერა, მაგრამ დღენიადაგ ცხვირჩამოშვებული და პირუთქმელი დაიარებოდა.

მხოლოდ უძნოდ ანონილ და კომშივით გაყვითლებულ, მაგრამ დიდიაც რად მოპრანჭულ უფროს გერს ეგებოდა ფეხქვეშ. ის უკვე ცალკე ცხოვრობდა, შეძლებული რაჭველი მეიჯარადრის ერთადერთ ქალზე იყო დაჭირნინებული და მდიდრული მზითევით განებივრებული ზედსიც ცხვირანული დაბრძანდებოდა.

პერანგმემოხეული სალთი გერები კი, მისი ქმრის სახლში ფეხმოუცვლელად რომ ცხოვრობდნენ და მუქთად პურსა ჭამდნენ, ათვალნუნებული ჰყავდა, უბლვერდა და უსაქმოდ არ აჩერებდა მათ.

ისინიც ურჩობდნენ და იღრინებოდნენ.

გარჯა არ უყვარდათ და რას არ იგონებდნენ, რომ უსაქმოდ ელინცილათ და უთავბოლოდ ეტორლიალათ.

კალმით დახატული ბიჭები მეზობლების გოგოებთან დაძვრებოდნენ და შინ შესვლას აგვიანებდნენ.

მათ არც ბართლომეს მათრახის ეშინოდათ, არც დედინაცვლის ჩქმეტა-და-ტატანების.

კელაგია მხოლოდ უმრნემესი გერის დაჩაგვრას ახერხებდა.

კანანინა ანაპოდისტე დედინაცვალს სულ თვალებში შესციცინებდა.

ეზო-კარმიდამოში და კიბე-აივანზე გაოფლიანებული დაცუნცულებდა.

ნყალს ლიტრით მას აზიდვინებდნენ და ვინმეს დასაძახებლად ნარამარა ხან ქვევით გზავნიდნენ, ხან ზევით.

უკანალიც უჩანდა, კონკებიც ეკიდა, იღლებოდა კიდეც, მაგრამ სულ პირგალიმებული დარბოდა. ისეთი საყვარელი, გულმისასვლელი ბიჭი იყო, რომ ბევრი მეზობელი, განსაკუთრებით კი ის, ვისაც მაიკო კურტანიძე ჯერ ისევ ახსოვდა, ხელში იტაცებდა, ყელზე ეხვეოდა და თაფლისფერ თვალებს დიდხანს, დიდხანს უკოცნიდა.

ბართლომე სხვა მხრივაც იყო ქმაყოფილი.

მისი ახალი ცოლი მაიკოსავით არც ძვირფას ტანსაცმელს თხოულობდა, არც ფერ-უმარილს და არც ვარდისწყალს.

ცოლ-ქმარი ერთ ტახტზე იწვა, მაგრამ შრომით ქანცგანყვეტილებს მევ-დარივით ეძინათ.

ზანდაროვმა იცოდა, რომ ბართლომე კურტანიძეს ვერსაიდან ვერ მოუდ-გებოდა, ამიტომ ისევ ვიკრიკოვის ვაჭრობის დაზვერვა გადაწყვიტა და იმის სახლის კარს მიადგა.

### 3. სათენიკა

ახ, რა პასაჟია!

ნ. გოგოლი, „რევიზორი“

შინ არც ვიკრიკოვი დახვდა, არც მისი ცოლი.

კარი ვიკრიკოვის ასულმა გაულო, გასათხოვარმა სათენიკმა.

სოვდაგრის ქალმა ლამაზ ზანდაროვს შინაურულად შესცინა და ყველაზე განმარტოებულ ოთახში შეისატიუა.

ოსმალურ ტახტზე ჩამოსხდნენ და ერთმანეთს გაულიმეს.

ახლომახლო არავინ ჩანდა.

არც ფეხის ხმა ისმოდა, არც ლაპარაკი.

მთახლენი და მსახურები სადღაც გაკრეფილიყვნენ.

— მარტო ხარ, სათენიკ? — ყასიდად ჰერთხა ზანდაროვმა.

— მარტო ვარ, ბატონო გრიგოლ.

— მამაშენის ნახვა მინდოდა, სათენიკ. ვნანობ, რომ შინ არ დამხვდა.

— დასანანებელი რა არის? დედაც და მამაც ნათესავებში წავიდნენ, გვიან დაბრუნდებიან.

ზანდაროვმა კარგად მიიხედ-მოიხედა გარშემო.

სათენიკმა გაუცინა:

— თუ მე არ დავუძახე, აქ არავინ მოვა.

ზანდაროვი ჯერ ცნობისმოყვარეობით დააცემდა ჩასუქებულ გოგოს, მერე ნიკაპზე ორი თითი მოუცაცუნა. სათენიკმა არ იუცხვვა, არც შეერთა, არც დაიბნა, თვითონაც შესცინა და გაეთამამა, თავის ხალებიანი ლოყაუფრო ახლოს მიუშვირა, გრძელი მარგალიტის საყურე გამომწვევად შეათამაშა, დიდრონი ტუჩები ვნებიანად გახლიჩა.

ზანდაროვმა ხელი მოხვია და ხალებიანი ლოყა დაუკოცნა.

სათენიკმა სწრაფად გაიძრო ფოსტლები, ტახტზე მოიკეცა და ჯერ ისევ დინჯად მაცეერალ, მოლიმარ ზანდაროვს მიეკრო და მის ბაგეს მსუნავად დაენაფა, მერე თავის ცხელი, დიდრონი ტუჩები მისი მარჯვენა ყურისაკენ გააპარა, დაუკოცნავი არ გაუშვა არც მისი ლამაზი თვალ-ნამნამი, არც ნათელი შუბლი, არც მაგარი ქოჩორი, არც ღონიერი კისერი, მოეხვია და მიეტმასნა.

ზანდაროვს ბაგეზე ლიმილი გაუქრა, მაგრამ მყისვე მოაგონდა, რომ მდიდარისოდაგრის დედისერთა ასული ქალწული და გასათხოვარი იყო, უსიამოენო შედეგს, ხალხის დალდალანს და სოვდაგრულ შარს მოერიდა, თავს ლაგამი ამოსდო და მხოლოდ უბრალო ლაციცით დაკმაყოფილდა.

სოვდაგრის ასული კი სულ უფრო და უფრო ხელდებოდა, საყელო გადაიღელა, მუხლის თავები გაიშიშვლა და ტახტის ბალიშებსა და მუთაქებზე დაემვა.

ზანდაროვმა ხელი შეაშველა, ისევ თავისაკენ მიიზიდა, თავი დაახრევინა, ჟულულები გადაუნია და მის კისერს საკოცნელად დაეკონა.

ოდნავ გაკვირვებული სათენიკა გაინაბა, გრიგოლი მის კისერს ტუჩს აღარ აშორებდა, ნელ-ნელა ელამუნებოდა გატრუნულ ქალს, რომელიც უკვე უკამაყოფილობდ იშმუმნებოდა.

ასეთ ყოფაში დაადგა მათ თავზე ვიკრიკოვის ცოლი.

— ქა, ეს რა არის? — შესძახა ოჯახის დიასახლისმა ისეთნაირად, რომ მის ხმაში გაჯავრების ნატამალიც არ გაისმა, — ორთაჭალა სოვდაგრის სახლში გადმოიტანეთ?

თავზარდაცემულ ზანდაროვს მკლავი სოვდაგრის ასულის მხრებზე შერჩა.

— ახლავე აქედან დაიკარგე, შე დედ-მამის შემარცხევენელო, შენა! — გაუნყრა ქალს ვიკრიკოვის ცოლი.

სათენიკა ზოზინით ნამოდგა. ფოსტლები ფეხით მოძებნა, კაბის ჩამოვარდნილი უბე დაუდევრად გაისწორა, მხრები ოდნავ აიჩეჩა და ოთახიდან არხეინად გავიდა.

## 4. მიმოვის მამოვის უდეა

ვაჭრის ცოლი — ვაჭარია.  
გამრიელ სუნდუკიანი, „დაქცეული ოჯახი“

ვიკიკონკის ცოლი ტახტზე ზანდაროვის გვერდით ჩამოჟდა.

— რა იყო, გრიგოლ, რაზე გარჯილხარ?

გაკვირვებულმა ზანდაროვმა ხმა ვერ ამოიღო, ენა უარესად დაება.

არც უნცრებოდნენ, არც უჯავრდებოდნენ, საყვედურსაც კი არ ეუბნებოდნენ. პირიქით, მისი ყოფილი საყვარლის ხმაში რაღაცნაირი სილბო და თანაგრძნობის კილო გაისმა.

დუმილი ისევ ვიკიკონკის ცოლმა დაარღვია, არათრის მთქმელი საყველურით წარმოთქვა:

— შეკავ კაცო, პატარა ხომარა ხარ, ან მოახლეს უნდა მოერიდო, ან მსახურს!

ზანდაროვმა თავის გამართლება ვერ მოახერხა.

გაჩუმებული იჯდა.

ისევ ვიკიკონკის ცოლმა დაიწყო ლაპარაკი.

— ჩემი ლოთბაზარა ქმარი გამოთვრა და ნათესავებში დარჩა, მე იქ გული ალარდამიდგა და ადრე წამოვედი. სწორედ რომ დროზე მოვისწარით. ძალიან ხომ არ აჰყევით ერთმანეთს, გრიგოლ?

გრიგოლმა ყველაფერი დაიფიცა, რომ ასეთი რამ მას აზრიდაც და ფიქრადაც არ მოსვლია. მხოლოდ...

— კარგი, კარგი, — სიცილით შეაწყვეტინა ვიკიკონკის ცოლმა, — ამდენს რად ფიცულობ? მჯერა, განა არა მჯერა! ჭკვიანი კაცი ხარ, შარს ადვილად არ გადაეკიდები.

დაფიქრდა და განავრძო.

— თუმცა, თავისუფალი კაცი რომ იყო, სიძედ ვინ დაგინუნებდა? ჯანი გავარდეს, ქვრივი მაინც იყო.

— ეგ დმერთზეა დამოკიდებული! — დაუფიქრებლად ჩაილაპარაკა გრიგოლმა, — თუ დავეკრივდი, სათენიკა ხელიდან არ გავუშვებ.

— ვნახოთ, ვნახოთ! — სერიოზულად უპასუხა ვიკიკონკის ცოლმა, — აპრილი და აპრიპანი.

ზანდაროვი უცებ გონზე მოვიდა, მყისვე მიხვდა, რომ უნებურად რაღაც სისულელე წამოროშა და ამსულელურსად ნათესამის გამოსწორება მოინდომა.

— სათენიკა ხანი ემატება, შინ გიბერდებათ, რატომ არ თხოვდება ან არ ათხოვებთ?

ვიკიკონკის ცოლმა გულგრილად წარმოთქვა:

— ეგ არაფერი, მდიდარი სოვდაგრის ქალია, ბედი არ შეეკვრება. მაში ესეც იცოდე, გახვრეტილი მძივი ძირს არ დაეცემა.

ზანდაროვმა წარპი ასწია. ქარს გმულად წათქვამის აზრი მისთვის მყისვე გასაგები გახდა.

— უარს ვინ ეტყვის! — განაგრძობდა ვიკრიკოვის ცოლი, — ჯერ რად უნდა გათხოვება? ისიამოვნოს და გაიხაროს! მოსახდენი რომ მოგეხდინა, ეგეც არაფერი, სათვალავს სათვალავი მიემატებოდა. აი ნახავ, თუ ჩემმა ქალმა საყვედლური არ მითხრას, რომ შინ უდროოდროს დავბრუნდი. მაშ! მაშ! მოელმა დუნიამ რომ გაიგოს მაგის ამბავი, უარს მაინც არავინ ეტყვის, მდიდარი სო- უდაგრის ქალს ვინ დაინუნებს? ჩემი ქმარი ფულს ნვიმა-ნყალივით ეზიდება, მაგის დუქნებს, მაღაზიებს, სახლებს თუ სიმდიდრეს ვინ მოსთვლის? მაგრამ კაცმა რომ თქვას, სიძედ მაინც შენისთანა კაცი მერჩივნა.

ზანდაროვს ქება ესიამოვნა, მაგრამ ნათქვამიდან შორს დაიჭირა თავი.

— ქვრივიც რომ ვიყო, მაინც სათენიკას ყადრი არა ვარ, ხნიერი კაცი ვარ.

— აბა, ეგ რა მიზეზია, გრიგოლ? ჩემი ქმარი ჩემზე ოცი ნლით უფროსია. რა ვუყოთ მერე? განა კარგი ოჯახი არა გვაქვს? ეგ თუ არ გამომადგა, მე ხომ გამოვადექი სხვებს. ბეჭედს, თუ ძალიან არ დაგავინყდი, შენც დამიკრავ!

ორივემ გულიანად გაიცინა.

— ჩემი ქმარი რით არის დასაწუნი? ქმარი საყვარელი ხომ არ არის? კაცი, გრიგოლჯან, სახლის სტუმარია. უნდა მოიტანოს და ოჯახი გაავსოს. ეგ არის და ეგ! სოვდაგარ ვიკრიკოვის ამბავი კი ქალაქში ყველამ კარგად იცის. საქოს თუ ვინმე ნინ დაუდგება, ისევ იმერელი ბართლომე კურტანიძე.

ზანდაროვმა უკმაყოფილოდ შეჭმუხნა შუბლი.

— სომეხვაჭრებს მარტო იმერლების უნდა გვეშინოდეს, — განაგრძო ქადა- გად დაცემულმა ვიკრიკოვის ცოლმა, — ქართლელ-კახელები გუთანს თავსარ გაანებებენ, ურმიდან არ ჩამოვლენ, დახლში არ ჩადგებიან. იმერლებმა კი, არ ვიცი, სად ისწავლეს ვაჭრობა. რაღა შორს წავიდეთ, ბართლომე კურტანიძის მაგალითი ნინ არა გვაქვს?

— ეგ იგავები რად მოიტანე, ხანუმ?

— იმიტომ, რომ სოვდაგარ ვიკრიკოვის სახლში შენ ტყუილ-უბრალოდ არ მოხვიდოდი. მე რომ ალარ გახსოვარ, დიდი ხანია ვიცი. ერთხელ გაგავავრე, მაგრამ დათხოვნით როდის დაგითხოვე? სოვდაგრის ცოლი ვარ, ქმრის ქონებას კუთრთხილდები, შენ კი მამინ ჩემი ქმრის ხარჯზე შენი საქმის გამოსწორება მოინდომე. განა ასე არ იყო, გრიგოლ? ვიცი, ახლაც ეს გიდევს გუნებაში, მაგრამ ახლა ისევ ფეხზე დამდგარი კაცი ხარ, კოტრობა არ მოგელის. მადლობა ლმერთს, რომ აჩქარებამ მალე ჭუჟა გასწავლა. მართალია, შენი სიმდიდრით ვერც საქოვი- კრიკოვთან მოხვალ და ვერც ბართლომე კურტანიძესთან, მაგრამ მაინც მდიდარ კაცად ითვლები, არც ჭუჟა გაკლია და ამათ დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაეწევი. მეტი რა გითხრა? რისთვისაც აქ მოსულხარ, იმის პასუხი უკვე დაგახვედრე.

ზანდაროვი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა. არ უყვარდა, როცა მას ბართლომე კურტანიძეზე დაბლა აყენებდნენ.

— ჩემგან რა გინდა, ხანუმ?

ვიკრიკოვის ცოლმა სერიოზული გამომეტყველებით დაუბრუნა.

— არ გაგიგონია, ნათქვამია, მიმციას მამცია უნდაო?

- ვერ გავიგე?
  - გაუგებარი რა არის, გრიგოლ?
  - ერთი პირი უნდა გვქონდეს, სოვდაგარ ვიკრიკოვს მხარი უნდა აუბა, ბართლომე კურტანიძეს ერთად ძირი უნდა გამოუთხაროთ.
  - ბართლომე კურტანიძის წაქცევა ადვილი არ არის.
  - შენ რა გინდა? შენ ოლონდ საქოს მხარი მიეცი.
- ზანდაროვმა ითაკილა.
- შეგირდობა ჩემი ხელობა არ არის.
  - რა ვქნა, შეგირდობას ვინა გთხოვს? შენ რისთვისაც აქა ხარ მოსული, იმაზე ხელი აიღე! არ გამოვა! ძალიანაც რომ მოინდომო, სოვდაგარ ვიკრიკოვს ვერსაიდან ვერ მიუდგები. ისევ ისა სჯობს, ჩვენ მოგვიდგე და ბართლომე კურტანიძე საიდანაც არ მოთრეულა, ისევ იქით ნავაპრძანოთ! მაშ! მაშ! — ვიკრიკოვის ცოლმა გაიცინადა მხიარულად დაუმატა, — ამასობაში შეიძლება დაქვრივდე კიდეც, სათენიკას ცოტას კიდევ მოვაცდევინებ.
  - ტაში შემოჟრა და თავის ქალს გასძახა.
  - სათენიკ! გოგოს უთხარი ხილი, ყავა და ნუგბარი შემოგვიტანოს.
  - გრიგოლ ზანდაროვი შინ უგუნებოდ დაბრუნდა.

## 5. ზოგიერთი

ზოგიერთი განშორების წადილს აჩქარებს.  
ძველი რვეულიდან

მისი სახლის დიდ ბაღში ფანჩატურის მრგვალი ქვის მაგიდასთან ქალბატონი ზანდაროვი თავის ასულებთან ერთად იჯდა და რაღაცას ქარგავდა. მხრებზე თხელი და მსუბუქი ბიალონი წამოესხა, რადგან, მზიანი დარის მოუხედავად, საკმაოდ გრილოდა. ბავშვები დედოფალებს ეთამაშებოდნენ და თავისთვის ტიტინებდნენ. ქალბატონი ხელსაქმით იყო გართული და ეზოს უკვე ნაქარგ ხაზებს, გარდიგარდმოდ რომ იძლებოდნენ და კუთხეებში ხვიარასავით იყვნენ ჩანწერილი, გულმოდვინედ უკვირდებოდა. წითელი აგურის დანაყილ ხრეშზე ფეხის ხმა რომ მოესმა, თავი მაღლა აიღო, სახე გაუბრნყინდა, ზედ ბედნიერების ნათელი მოეფინა, ქმარს წვრილი მნვანე ფოთლებიდან შემოსცინა და ალერსიანად შემოსძახა:

— სადილად რად დააგვიანე, გრიგოლ? ყველას გული ლოდინით დაგველია და შიმშილი გადაგვივარდა.

გრიგოლმა ცოლს ხმა არ გასცა, დაფიქრებულმა განაგრძო გზა.

ოდნავ შემფოთთებული მანანა ფეხზე წამოდგა, ნაქსოვ-ნაქარგი, ყაისნალები და აბრეშუმის ძაფის გორგალი კალათიდან დაბლა დაუგორდა, ცალ მხარეზე ბიალონი უშნოდ დაეკიდა. ქმარს ჯერ გაკვირვებული უყურებდა, მერე უკან დაედევნა.

გრიგოლი სადარბაზო კარში გაუჩინარდა.

მანანას ფერმა გადასკრა.

ასე უკმეხად მისი ქმარი პირველად იქცეოდა.

ნაბიჯს აუჩქარა.

— უკან მას მორიდებით გაჟყვა ოთხი პატარა გოგონა, რომელთაც მამის ალექსი ენატრებოდათ და მის დანახვაზე რატომღაც შიშით კრთებოდნენ.

როცა გრიგოლ ზანდაროვმა მძიმე ნოხით დაგმანულ მარმარილოს განიერ კიბეზე ფეხი შედგა, ოქროსვარაყიან სურათებს, ბრინჯაოს ქანდაკებებს და ჭერამდე აზიდულ უშველებელ სარკეებს თვალი შეავლო, გული რაღაცნაირად შეეცუმშა.

„ვის დარჩება ეს სიმდიდრე?“ — ერთხელ კიდევ გაუელვა მას თავში.

უკან მოიხედა.

კიბეზე მისი ცოლი ჩქარი ნაბიჯით ამოდიოდა, თითქმის მორბოდა.

დედას უკან ოთხი დამფრთხალი გოგონა მოსდევდა.

„ამათ ქმრებს, ამათ ქმრებს“, — ჯოუტად გაიმეორა მან.

დაქვრივების აზრმა ელვასავით გაურბინა თავში და კიბეზე ამომავალ ქალს ზიზღით გადმოხედა.

ცოლი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა მას, შემქრთალი, ალელვებული და გაოცებული.

„მიმციას მამცია უნდა“, — გაახსენდა შუბლშეჭმუხნილ სოვდავარს ვიკრიკოვის ცოლის ნათევამი, — ამ ქალს კი ჩემთვის არაფერი არ მოუცია, სულ არაფერი. არც ბედნიერება, არც სიხარული, არც სიყვარული, ამოდენა სიმდიდრის მემკვიდრე, სულ არაფერი“.

შუბლის ნაოჭები ნელ-ნელა გახსნა, რათა ალელვებული ცოლისთვის ჩვეულებრივი, დიდი ხნის წინათ დაზეპირებული ღიმილი შეეგებებინა.

— რა იყო, გრიგოლ, რა მოხდა? — ჩახლეჩილი ხმით მიაძახა ცოლმა.

— არაფერი, სულო, დაღლილი ვარ და ძილისათვის თავი მიკვდება.

ქალბატონმა ზანდაროვმა ერთბაშად გამოიდარა. დავით გერმანოზიშვილის „სულოს“ ბატონი ზანდაროვი ისეთი ალერსით ნარმოთქვამდა ხოლმე, რომმისი განებივრებული ცოლი მასში იოტისოდენა სიყალბესაც ვერ ამჩნევდა.

## 6. ნვივა

— არა, არა, რა ვქნა, არ მახსოვს.  
იპოლიტ ნიერო, „ოთხმოცნელიანის აღსარება“

იმ დღეს ცოლ-ქმარი გაჩაღებული ბუხრის წინ დაბალ ფლორენციულ სკამებზე ისხდნენ.

მსახურს უნდოდა მაღალ ფანჯრებზე ფარდების ჩამოშვება, მაგრამბატონმა აუკრძალა და უბრძანა, შანდალზე სანთლებიაენთო და ბუხრის თავზე დაედგა.

გარეთ ბინდბუნდი დგებოდა.

ოთახში თანდათან ბნელდებოდა.

— ნურც სააქაოსა და ნურც საიქიოსო, — ნამონძახა მანანამ და მხიარულად მოლუდლუდე ბუხრისა კენ ხელები გაიშვირა. ხელისგულში დაამთქარა, პირჯ-ვარი სწრაფად გამოისახა, თავი ქმრის მარჯვენა მხარზე მისდო, თვალები მი-ლულა, ტანძი კატასავით აინურა და ლაშაზად მოქარგულ ქოშებში ნარდგმული კანსა ფეხები მოგიზვიზე ბუხრის ცეცხლს მოუშვირა; ყავისფერ მარმარილოსი მოშანდა კებულ ინგლისურ ბუხარში თუჯის მაღალი შავი მაყალი იდგა, ცხო-ველებისა და ურჩხულების ქანდაკებებით შემკული. ხმელი რცხილა საამურად ტუაცუნობდა და ცეცხლის ნითელი ალი, თუჯის მაყალს ირგვლივ რომ ეხვეოდა და ლოკავდა, მანანაზე დამამშვიდებლად მოქმედებდა და ოცნებას ულვიძებდა.

გარეთ კოკისპირულად წვიმდა.

დაღვრემილი ზანდაროვი წვიმის ხმაურს ყურს უგდებდა, შუბლშეერული ხან ბუხრის ცეცხლს აცქერდებოდა, ხან ცოლის ლამაზ ქოშებს.

გარეთ წვიმა მატულობდა და ზანდაროვის შუბლზე გრძელი ნაოჭი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, დიდდებოდა და ფართოვდებოდა.

ბნელი ღამე დაბმული მხეცივით ბობოქრობდა, მყუდრო ოთახში კიმაგიდის ძეელებური საათი ტიკტიკებდა და დროგამოშვებით წყნარად რეკდა.

მანანამ ტკბილად ჩასთვლიმა.

ანაზდად გრიგოლმა მარჯვენა მხარი დაბლა დასწია, თითქოს ცოლის თავმა დაუმძიმაო და ისე ლონივრად შეაქანა, რომ უცებ გამოფხიზლებულმა მანანამ განზე გაინია და შემკრთალმა ჰეითხა:

— რა ვქნა, რა დაგემართა?

— არაფერი, — მშვიდად მიუგო გრიგოლმა, — ფიქრმა გამიტაცა.

— რაზე ფიქრობდი?! — ნიაზით ჩაეეკითხა ცოლი.

— ძველ ამბებზე. ამაღამაც ისე წვიმს, როგორც იმ ღამეს წვიმდა, — გრი-გოლს ხმა გაებზარა, — სწორედ ისე, როგორც იმ ბნელ შემოდგომის ღამეს.

— რას ამბობ, რომელ ღამეს?

— ეს ოცდახუთი ნლის ნინათ მოხდა, შენ საიდან გეცოდინება?

— ოცდახუთი ნლის ნინათ, — ხანდაზმული დედაკაცის სინანულით ნარ-მოთქვა მანანამ, — მე ყმანვილი და ლამაზი ქალი ვიყავი.

ზანდაროვი ჯიქურად მოტრიალდა მისკენ.

ყოყმანი დასძლია და ცივად მიუგო:

— ვიცი.

— განა შენ მე მიცნობდი?

— ჰო. გიცნობდი.

ქმარმა ირიბული მზერით შეათვალიერა ცოლი და რატომლაც გაეცინა.

ეს მოულოდნელი სიცილი ცოლმა ალერსის გამოძახილად მიიღო. ცათა-ფრენა შეუდგა, რადგან მხოლოდ საკუთარ თავს უტყდებოდა, რომ ქმარი თავდავინყებით უყვარდა. გაელაციცა და თვითონაც გადაიკისკისა.

ერთხანს ერთმანეთს მხიარულად უყურებდნენ.

— სადა მნახე პირველად? — ჰეთხა ბოლოს ცნობისმოყვარეობით შეკ-  
ყობილმა ცოლმა.

— პირველად? ჰმ... პირველად?! ჸო, გამახსენდა. მამადავითის გალავანში,  
მაშინ შენ კენჭი მიაკარი ტაძრის ეედელს.

ცოლს თვალები გაუბრნყინდა.

— იმ დროს მე საბედოს ძებნაში ვიყავი. რას არ იზამს ყმანვილი ქალის  
ჭუა? ცისმარე დღეს ქალალდს ვაშლევინებდი გამდელსა და მარჩიელებს.  
მამადავითიც ამიტომ ავდიოდი, — მანანა ჩაფიქრდა და ქმარი ყურადღებით  
შეათვალიერა, — იქ ძალიან ბევრი ლამაზი ყმანვილო ვნახე, მაგრამ შენისთანა  
არც ერთი არ იყო... რა ვქნა, ვერ გიგონებ ან არ მაგონდები, — თქვა და აღტა-  
ცებით შესძახა, — შენ ძალიან ლამაზი კაცი ხარ, გრიგოლ!

გრიგოლმა ისევ გაიცინა. მანანამ კი კისკისით იკითხა:

— უკან ხომ არ დამედევნე?

— ამას ვერ გავძედავდი.

კბილებს შორის გამოცრა გრიგოლმა.

მანანამ ქმარს კილოს გამოცვლა ვერ შეამჩნია და კისკისითვე განავრძო:

— ოჟო! მორცხვობის გამო ხომ არა?! ეგ არის, დაგიჯერე! განა ერთხელ,  
ყველიერში მთელი დღე არ დამდევდი?

— არა, ამას ვერ გავძედავდი!

— რატომა? აზნაურობა გიშლიდა ხელსა?

— არა. ეს არ იყო მიზეზი.

— მაშ გულგრილად გამანებე თავი? — გაბუტვით ჰეთხა ცოლმა, — და-  
ვიჯერო, მეორედ აღარსად მნახე?

— როგორ არა. ცოტა ხნის შემდეგ ქუჩაში შეგხვდი.

— ქუჩაში?

— ჸო, ქუჩაში.

— ქუჩაში რა გინდოდა? რას აეეთებდი?

— კოკისპირულად წვიმდა. მე კი ქუჩაში თავდია ვიდექი და ვინუნებოდი.

— მერე რა ძალა გადგა? რაზე ინუნებოდი?

გრიგოლი გაჩუმდა. კვლავ ყოყმანი დაეტყო. ფანჯრისაკენ გაიხედა. მა-  
ლალი ფანჯრების მინებს წვიმის ჩქერები გაჩქარებით ესხმოდნენ ზედ და  
შემზარავად აზრიალებდნენ.

— უჟ! რანაირად წვიმს! — ნამოიძახა გრიგოლმა.

— რას ჩაცივდი ამ წვიმას?

გაბრაზებით შეაწყვეტინა მას სიტყვა გალიზიანებულმა ცოლმა და თან ში-  
შით შეათვალიერა, ჩემს ქმარს ძველმა ზნეშ ხომ არ მოუარაო, მაგრამ მაშინვე  
დამშვიდდა, რაკი მოაგონდა, რომ კნეინა გოსტამაბიშვილი მკვდარი იყო და  
იმის თილისმა მის ქმარს წვიმიან ამინდში დარდს ვეღარ აუმლიდა.

## 7. გლახა

მე ისიც კი არ ვიცი, ნამდვილად მას ეკუთვნის თუ არა სახელი,  
რომელსაც იგი ატარებს.  
უორუ სანდი, „ლეონე ლეონი“

გრიგოლ ზანდაროვს ამ დროს ფირუზას ფერხთით გავორებული ფერშან-  
გოები აგონდებოდა და ისეთი სახე გაუხდა, რომ მანანა კვლავ ყურადღებით  
დაცერდა და მზრუნველი ცოლის კილოთი უთხრა:

— რა გემართება? ეგრერად მიცერი? მითხარი, რა განუხებს, უფალოჩემო!  
თავის ან მუცლის ტკივილი ხომარაგივარდა? თუ ავათახარ, მითხარი, მსახურს  
ექიმთან გავგზავნი. ოჟ, რომ იცოდე, რანაირი სახე გაქვს და რა ფერი გადევს!

ზანდაროვმა ყურადღება არ მიაქცია ცოლის სიტყვებს, ზედაც არ შეხედა  
და დაბალი, ძალზე დაბალი, შემპარავის ხმით მარცვალ-მარცვალ წარმოთქვა:

— ეს წვიმა გონიერია მირევს... მინდა, ყური მოვუყრუო იმის ხმაურს, მაგრამ  
მანც მესმის... ვიცი, გაჩალებული ბუხრის ნინა ვზივარ, ცეცხლს ვუყურებ,  
მაგრამ წვიმა ზედ დამდის... მინდა დავემალო, მაგრამ ყველგან თან დამდევს...  
ოჟ, ნეტავი მსახურს რატომ ნება არ მივეცი ფანჯრებზე ფარდები ჩამოეფა-  
რებინა... წვიმა ლამის სახლში შემოგვივარდეს... წვიმა არ მასვენებს, წვიმა  
მტანჯავს, წვიმა იმ წყეულ ლამეს მაგონებს, როცა იმ ქალმა... გუშინდელი  
დღესავით მახსოვს იმ ქალის სიცილ-კისეისი, დამცინავი სიტყვები... აჩუ! აჩუ!

მანანას თვალები დაუდიდრონდა.

— ვინ ქალი? რომელ ქალზე ლაპარაკობ?

— ის ქალი შენა გგავს! — მიახალა უცებ გრიგოლმა

— მე?

— ჰო, შენ, შენა!

გრიგოლი სკამიდან წამოდგა და დაღლილივით კედელს მიეყუდა.

— ერთხელ, — განაგრძო მან გაბზარული ხმით, — მას შემდეგ ოცდახუთი  
წელიწადი იქნება გასული, კოკისპირულად წვიმდა. ქუჩები ტალახითა და ლა-  
ფით გაივსო. იმ ლამეს მეერთმალამაზმა და ყმანვილმა ქალმა დამიქირავა და  
თითქოს ცხენი ვყოფილიყავი, მხარზე შემაჯდა, რათა ფეხსაცმელები წვიმის  
ნყალში არ დასველებოდა.

— შენა? მილიონერი?

მანანას სასაცილოდ არ ეყო ეს ამბავი.

— ვითომ მონყალებას თხოულობდი? ქუჩა-ქუჩა დაწანწალებდი და გამ-  
ვლელ-გამომვლელს ხელს უშვერდი? უფალი ზანდაროვი მათხოვერის გუდით?  
ვის შეუძლია წარმოიდგინოს? ან ეგ ხუმრობა რად გჭირდება?

— დამიჯვერე, გლახა ვიყავი. იმ ლამეს მთანმინდის უბანში მოვხვდი და  
წვიმას თავი ერთი სახლის აივანთან შევაფარე. იმ სახლიდან ვიღაც კაცი  
გამოვიდა, ეტყობოდა მსახური იყო. მომიახლოვდა და მითხრა: „ჩემი ახალ-  
გაზრდა ქალბატონი როზენის სასახლეშიარის დაპატიუებული, შენ ის მხარზე

უნდა შეისვა და ვინძლო ალაგზე ისე მიიყვანო, რომ იმის ფეხსაცმელს ერთი ნინნკალიც არ დაეცესო". ძალლივით მშიოდა და დავთანხმდი. ის კეკლუცი ერთი აფიცირის დახმარებით შემაჯდა მხარზე, მაგრამ გზაში დაცინვით ამი- კლო და ისე მეპყრობოდა, როგორც პირუტყვს... აჩუ!

შესძახა გრიგოლმა და ცოლს გამომცდელად დააცქერდა. რაკი საბედისნე- რო ნაბიჯი უკვე გადადგმული იყო, ახლა მას მხოლოდ ის აინტერესებდა, როგორ იმოქმედებდა ეს მის ცოლზე. ამ ფიქრმა კვლავ თვალწინ დაუყენა ფირუზა ზანდაროვის ფერხთით გაგორებული ფერშანგოვი.

მისი ცოლი ჯერ ისევ ბედნიერი და უზრუნველი ქალბატონის იერით იჯდა, ქედმალალი, ნალოლიავები, ნაფერებ-ნაპატიები და გაკამკამებული, თუმცა ბედნიერების ღრმა რწმენით შექდაკრულ მის აღნაგობას უკვე შეშფოთების ჩრდილი ეფინებოდა და მის ტვინში სულ უფრო და უფრო იკვლევდა გზას საშინელი წინათვრძნობის ჯერ ისევ შეუცნობელი აზრი.

ნელან სახენათელი, ახლა ისე იცვლებოდა, როგორც მზით განათებული ამინდი ავდრით იცვლება, როცა კაშკაშა სხივებს მრუმე და ბნელი ფერები ერევა და უუფლება. სკამზე თანდათან შეშდებოდა, უცნაურად წელგალუნული და რაღაც მძიმე ფიქრებით დადრეკილი. სახეც რაღაცნაირად დაუგრძელდა, თვალები აულაპლაპდა, შუბლზე ოფლის პირველი კოკრები დააჯდა და ყელზე წითელი ლაქები გადაეფინა. გაშეშებული იჯდა და ქმარს თვალმოუშორებლივ უყურებდა. ბურანში ჩაძირულივით ვერ ერკვეოდა, გონზე ველარ მოდიოდა და მხოლოდ წამნამების აჩქარებულ ხამხამზე ეტყობოდა, რომ მთელი მისი არსება შინაგანი მღელვარებით იყო აფორიაქებული.

გრიგოლი ისევე იყო ყურადღებად გადაქცეული, როგორც ფირუზა ზან- დაროვი იმ დღეს ქარვასლაში, როცა ფერშანგოვს ელდას უმზადებდა და მხოლოდ მარჯვე მომენტს უცდიდა, რათა ეს ელდა მისთვის მოულოდნელად ისე მიეხალა, რომ მას წელი ველარ აეთრია. ამ მარჯვე მომენტზე იმ დროსაც და ახლაც ყველაფერი იყო შეგდებული. ოდნავი დაუდევრობა ან ვერავობის გაუთვალისწინებელი შედეგი დაბლა ფერშანგოვს კი არ დაანარცხებდა, არამედ ფირუზა ზანდაროვს. საკმარისი იყო ფერშანგოვს ამ ელდისათვის გაეძლო და გადარჩინილიყო, რომ ზანდაროვებს ყველაფერი დაეკარგათ, თუ ისინი თავის გამართლებას ვერ მოახერხებდნენ. ფირუზა ზანდაროვმა კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა, გრიგოლ ზანდაროვსაც ყველაფერი წი- ნასწარ ჰქონდა გაანგარიშებული, მოფიქრებული და ანონილ-დანონილი, მაგრამ თუ იქ ტყუილის მალემრნმენობის მოსაბაბებით შეიძლებოდა თავის რაღაცნაირად დაძვრენა, აქ ყველაფერი უნდა გათავებულიყო. ცოლ-ქმრის ერთად ყოფნა აღარ შეიძლებოდა.

გრიგოლმა იცოდა, რომ გულამაყი და თავმოყვარე მანანას საიდუმლოს გამხელა გულს სასტიკად განენონებოდა, მაგრამ გაუძლებდა თუ არა იგი ელდას?

გრიგოლი გამალებით მხოლოდ ამაზე ფიქრობდა და შუბლს თითოთ ის-რესდა.

გას იმის იმედიც ჰქონდა, რომ იმას, რასაც იგი ცოლს ეტყოდა, ის არავის გაუმხელდა, რადგან სირცხვილს დუმილს ამჯობინებდა.

ეს იმ შემთხვევაში, თუ ელდა თავის საქმეს არ გააკეთებდა.

მაგრამ გრიგოლს ელდის ისე სჯეროდა, რომ ყოველგვარი ყოყმანი დათმო და მტკიცედ გადაწყვიტა, ახლავე ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ დაემ-თავრებინა. დაკარგვით, ფიქრობდა იგი, უკვე აღარაფერი იყო დასაკარგი. ყველაფერი ისედაც დაკარგული იყო, რადგან მისი ქონების მემკვიდრედ ვაჟიშვილის მაგიერ ოთხი ასული იყო.

გამტკინარებულ მანანას წამდაუნუმ ფერფური მისდიოდა. ყვითლდებოდა და წითლდებოდა. მის მეხსიერებაში ერთბაშად აღსდგა ის წვიმიანი ღამე, როცა ბარონ როზენის სასახლეში მისმა ძმამ მართლაც გლახის მხარზე შესმული მიიყვანა. მაგრამ განა ეს იმდროინდელ თბილისში ყოვლად ჩვეუ-ლებრივი ამბავი არ იყო! სადღაც გონების სიღრმეში იმედის სხივმა გაუელვა, ოდნავ დამშვიდებულმა ქმარს ბაგეზე შეთამაშებული ლიმილით გადმოხედა და წყნარად უთხრა:

— რასაც კურტნიანი მუშები აკეთებდნენ, იმას მილიონერი არ იკადრებდა! ქმარმა ულმობლად მიახალა:

— შეიძლება ქალაქში ერთმა გროშმა յაცი ისე გაამდიდროს, რომ მასში ნათრევ-ნატანჯი გლახა ველარ იცნონ.

— რად მეუბნები მაგას, გრიგოლ? ან რად გჭირდება?

გრიგოლს კვლავ ფერშანგოვი მოელანდა, ულმობელმა ცოლს ტყვიასავით დაუშინა:

— როცა რუსული ტრუპის თეატრში გაგიცანი და სიყვარული აგიხსენი, მე უკვე ვიცოდი, რომ ის ქალი შენ იყავი!

— აჲ! — ცივი ხმით შეპერივლა მანანამ.

გრიგოლი დაიძაბა, ყურადღებად გადაიქცა.

უკანასკნელი ნახტომისათვის მოემზადა.

მანანას თავისი კივილის თვითონვე გაუკვირდა, უნებურად ხელები ყელის-კენწაილო, ეტყობოდა, რაღაც ავი ახრჩობდა, სუნთქვას უკრავდა და გონებას უბნელებდა. ოდნავ გონზე მოსულს სახეზე სირცხვეილის აღმურმა აჲკრა, მერე ჯერ დაბნეული იყურებოდა, ბოლოს თითებით საფეთქლებს მოეჭიდა. თვალთ დაუბნელდა, უცნაურად შეირხა, შეტორტმანდა, მუხლმოკეთილი წიაკეცა და გულშენუხებული ბუხართან გაიძხლართა. ცეცხლის აღმა წით-ჩაიკეცა და გაიცემა გრიგოლი სახე. გრიგოლი არ განძრეულა. პირზე ლად გაანათა მისი გაფითრებული სახე. გრიგოლი არ განძრეულა. კმაყოფილების ლიმილი გადაეფინა, შეებით ამოისუნთქა, წელში გასწორდა, კმაყოფილების ლიმილი გადაეფინა, შეებით ამოისუნთქა, წელში გასწორდა, მაგრამ მალე შეშფოთებით დააცქერდა გულწასულ ქალს და უსიამოვნოდ გაიფიქრა: „სულ ეს იყო? არა. არა. მოსულიერდება და ბედს შეურიგდება.

ჩემმა ოქრომეგ ძალლივით დააბა. მაშ, უარესი უნდა მივახალო, რომ ელდამ გული განუგმიროს. ეგ შებრალების ლირისი არ არის, რადგან ქალები შობა და ჩემს ქონებას მტრები გაუჩინა. მიმციას მამცია უნდა. ან ახლა, ან არასოდეს!“ მრავალტოტიანი შანდლიდან სანთელი ამოაძრო, ცოლისაკენ დახხარა, სანთლის ალი ცხვირის ნესტოებთან მიუტანა, ლოყაზეც სილა შემოჰკრა და ყურებიც მაგრად დაუსრისა. მანანამ ყრუდ ამოიკვნესა. თვალები გვიან გაახილა. ქმრის დანახვისთანავე, სამინლად დაემანჭა სახე, თითქოს გველს მოჰკრა თვალიო და კვლავ დახუჭა თვალები.

## 8. უპანასპელი ღამე

უფლის სიყვარული მას მხნეობას მატებს და ასუსტებს კიდეც, მაგრამ  
სულის სიმშვიდეს უნარჩუნებს.  
ძველი რვეულიდან

ცალ მუხლზე დაჩოქილი გრიგოლი ნიაზით ათვალიერებდა გერმანიზმიშვილების ასულის სახის მტკიცენეულ მოძრაობას. ანაზდად გაკვირვებისაგან კინაღამ შეხტა, რადგან მოულოდნელად მანანას დაშაშრულ ბაგეებზე ლიმილისმაგვარი რამ გამოკრთა. ეს ლიმილი ისე შემზარავი იყო განადგურებული ქალის ფერწასულ სახეზე, რომ ზანდაროვს სანთლიანი ხელი უნებურად აუკანეალდა. მას მოეჩენა, რომ მისი ცოლი გიუდებოდა. მანანა დიდხანს ეგდო ბუხართან თვალებდახუჭული, ბაგეებზე დაკერებული უცნაური ლიმილით და სახის კიდევ უფრო უცნაური გამომეტყველებით. გვიან კვლავ ფართოდ გაახილა თვალები მან. ოდნავ წამოიწია. აელვარებული მზერა ქმარს შეანათა და ისეთნაირის ხმით, რომელიც ერთდროულად სინანულსაც გამოხატავდა და ზიზღნარევ დაცინვასაც, ჰეითხა:

- ის ქალი მე ვიყავი?
- ჰო, შენ.

— ჰო, ის ქალი მე ვიყავი, — ბრაზით წარმოთქვა მანანამ. სახე რისხვით აენთო. ქმარს პირისახეში მიაფურთხა და მიაძახა, — მატყუარავ!

გრიგოლს სანთელი ხელიდან გაუვარდა. ცხელი ფურთხი ლოყაზე ცრემლივით ჩამოედინა. გაცოფდა. უნდოდა, ცოლისათვის სილა გაეწნა, მაგრამ მოქნეული ხელი ჰაერში გაუჩირდა, რისხვა ალაგმა და ტუჩები გაბრაზებით დაიკუნიტა.

- მატყუარავ! — კვლავ დაიყვირა გაკაპასებულმა ქალმა.
- გრიგოლმა დამცინავად გადმოუგდო:
- მატყუარა? მერე რითი მოგატყუე, კნეინავ?

— სიმდიდრით და სილამაზით! რა ვიცოდი, ვინ იყავი და ვინ ბრძანდებოდი? უკავშირო ჩემო! — დაინტენტირილი და მოთქმა გერმანოზიშვილების ასულმა, — როგორ მიყვარდა ეს წყეული მამაკაცი, როგორ მიყვარდა... ჩემი სალოცავი ხატი იყო... თაყვანსა ვცემდი... ვაღმერთებდი... თურმე ვისთვის ვდნებოდი სიყვარულის ალმი? ვის ფიქრში ვათენ-ვალამებდი? უმსგავსო კაცისათვის! სალახანისათვის! ამ ვიგინდარასათვის, ამ გლახისა და გლეხუჭასათვის! ფუჟ! ვიცი, რომ სირცხვილი მომკლავს... გველო, რად მომატყუე? — შეჰყვირა გამნარებულმა მანანამ და ხრინნმა ხელი შეუძლა მკაფიოდ გამოეთქვა სიტყვები, — რად გამაუპატიურე? რად შემარცხვინე? რად მომჭერი საქვეყნოდ თავი? რად ჩადექი ჩემს ცოდოში? მითხარი, ვინა ხარ? ჩემო ქმარო, ახლა მაინც მითხარი, ვინა ხარ?

გრიგოლს ისევ ფერშანგოვი მოელანდა, ცოლს გამომწვევად უთხრა:

- მე იოსები მქვიან.
- იოსები?
- ჰო, იოსები.

მანანამ ისე შეხედა, თითქოს ქმარს პირველად ხედავსო.

- მაშ, არც გრიგოლი ხარ?
- არა.

მანანამ წამოინია, ქმარს გაოცებით მიაშტერდა.

- არც ზანდაროვი?
- არა. არც ზანდაროვი.
- მაშ ვინა ხარ?
- ფანდურაშვილი.
- მაშ ზანდაროვი ვინ არის?
- ეგ ნაპოვნი გვარია.
- ვაი, ჩემი ბრალი!

გრიგოლს მობეზრდა ამგვარი ლაპარაკი, თან ცოლს ისიც შეატყო, რომ ის თანდათან ფხიზლდებოდა და გონებას იკრებდა, თავის გადაწყვეტილების დასაჩქარებლად მან ერთბაშად მოსჭრა:

- მე გლეხთაგანი ვარ, კნეინავ!
- ვაი, სირცხვილო!
- მე ყმა ვიყავი.
- ღმერთო, დიდებულო!
- ყმა ვიყავი, ყმა.

ჯოუტად გაიმეორა გრიგოლმა.

— მე კი ყმის ცოლი! — გამოიტირა თავისი თავი ამაყი გერმანოზიშვილების ამაყმა ასულმა. მერე მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო იკითხა, — უბედურო! ის მაინც მითხარი, ვისი ყმა იყავი... ვინ იყო შენი ბატონი?

- თავადი გერმანოზიშვილი.

— რაო? ეგ რა თქვი... მე ჩემი საკუთარი ყმის ცოლი... ხასა... ხარჭა...  
გრიგოლმა ცეცხლზე ნავთო დაასხა:

— მე იარაღ გერმანოზიშვილის ყმა ვიყავი.

— მამიჩემის... მამიჩემის... მა...

მანანა იხრჩობოდა.

გრიგოლმა ზედოზედ დააყარა.

— იარაღმა ნამუსი აპხადა ჩემს საცოლეს... საყდრიდან მომტაცა, თავისი  
ნადილი აისრულა... ნათია, არ გახსოვს ნათია, მანან?

— ააა...

მხოლოდ ახლა იცნო გერმანოზიშვილების ასულმა ფანდურაანთ ლამაზი  
ბიჭი, ნათიას ხან წყაროსთან, ხან საყდრის კართან ნირვაზე, ხან სასახლის  
ჭიშკართან რომ უხვდებოდა და ყველგან თან აჩრდილივით დასდევდა. იცნო  
და გახევდა.

— ცოდვათა ჩვენთათვის.. ცოდვათა ჩვენთათვის... — დაიწურჩულა მან  
და თვალები ზეცას მიაჰყრო.

ზანდაროვს მეტი აღარაფერი უთქვამს, ყველაფერი ნათქვამი იყო. ბუ-  
სართან ზურგით მდგარი, გულხელდაკრეფილი აუცილებელ დასასრულს  
უცდიდა და ცდილობდა, მეხსიერებაში აღედგინა, თუ როგორ გაგორდა  
ფერშანგოვი ფირუზას ფერხთით.

მანანა მუხლებზე დაჩოქილი დუმდა.

დუმდა.

დუმდა საშინელი დუმილით.

დუმდა.

დუმდა.

დუმდა.

უცებ მის სახეს ისეთი ნათელი დაადგა, როგორიც ლვთისმოსავ ქალებს  
ლოცვის დროს ადგებათ ხოლმე. ორივე ხელი მაღლა აღაპყრო, თვალე-  
ბი მსხვილი ცრემლებით გაევსო და გულმხურვალედ შეუდგა ლოცვა-  
ვედრებას.

გაშტერებულ ზანდაროვს ძლივს მოესმა მისი ჩურჩულით ნათქვამი:

— იესო ქრისტევ, უფალო ჩვენო მაცხოვარო... მე გარდამახდევეინე  
გერმანოზიშვილების ყველა ცოდვა... მიმილე შენს მხევლად... მადლისა და  
ბედნიერების კალთა გადმოჰყინე ჩემს ქმარ-შვილს...

რამდენიმე დღის შემდეგ გერმანოზიშვილების ასული ესტატე ბერმა  
გრიგოლ ზანდაროვის სახლიდან გამოიყვანა. შავებით შემოსილ ქალს  
სახეზე გრძელი რიდე ჰქონდა ჩამოფარებული. ბერს გვერდით ნელი  
ბორძისით მიჰყვებოდა. ბერმა ეტლში ჩასვა და დედათა მონასტერში  
ნაიყვანა.

ქალბატონ ზანდაროვის მონაზვნად აღევეცა არავის გაჰკევირვებია. ყველამ მისი ეკლესიებში სიარული და სასოებით ლოცვა-ვედრება გაიხსენა. ნაკრებინარი და ვაჭრის ნაცოლარი მონაზონი ჩალე გადაავინყდათ.

ნაცნობებს მხოლოდ ოთხი შვილის ამარად დაწინილი გრიგოლ ზანდაროვი ეცოდებოდათ.

## 9. განთიაზი

შაიტახტის ტერასაზე ვახტანგ და ქრისტინე ტაშირელები დასეირნობდნენ. ქმარი ცოლს ნარიყალის ციხის ისტორიას უყვებოდა. თუმცა რაღაცით იყო აღელვებული, მაინც გატაცებით ლაპარაკობდა.

ქრისტინე დუმდა. ხმას არ იღებდა. თვალი ფხიზლად ეჭირა პატარა ბიჭზე, რომელიც იქვე მნვანე ბალახებში პეპელას დასდევდა.

როცა ვახტანგ ტაშირელმა ნარიყალას ციხეზე ლაპარაკი მოათავა, ქალაქს გახედა. ჯერ ზანდაროვის ფეხსაცმელების ფაბრიკისკენ გაიმვირა ხელი, მერე ცოლს ზანდაროვის სიმამრის ვიკრიკოვის თამბაქოს ფაბრიკა დაანახვა, ცაში ახლად აზიდული ორიოდე სხვა ფაბრიკაც უჩვენა და მღელვარებით ნარმოთქვა:

— ისტორიას ახლა ამ ფაბრიკების პატრონები წერენ, მაგრამ გადამნებული სიტყვა მაინც ხალხს ეკუთვნის. ყოველთვის მნამდა და მჯეროდა, ქრისტინე!

ცოლმა ხელის ნელი მოძრაობით შეანებული ქმარს სიტყვა:

— შენ რაღაცას მიმალავ, ვახტანგ!

— არა, არაფერს. რას უნდა გიმალავდე, ქრისტინე?

— ამ სიძორეზე, ვიცი, გულის გადასაყოლებლად ნამომიყვანე, — უთხრა ცოლმა, — განა არ ვიცი შენი გულებეთილობის ამბავი? კონსტანტინესაგან დიდი ხანია წერილი არ მიგვიღია. იცი, რომ ვდარდობ. აქაც, კარგად ვხვდები, დარდის გასაქარვებლად ნამომიყვანე. შენც რაღაცნაირად ხარ აღელვებული. გატყობ, რაღაცას მიმალავ, — თვალებში მიაცერდა და ჰეითხა, — კონსტანტინეს ხომ არაფერი შეემთხვა?

ქრისტინე ვახტანგს ისეთნაირად უყურებდა, რომ ტყუილის თქმა შეუძლებელი იყო.

— კონსტანტინეს მეგობრები მნერენ, ქრისტინე, — თქვა ვახტანგმა, — სტუდენტების არეულობის დროს, უნივერსიტეტის სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად (წერილში მათი გვარებიც არის ჩამოთვლილი) კონსტანტინეც დაუპატიმრებიათ და პეტრე-პავლეს ციხეში ჩაუსვამთ.

ქრისტინეს ჯერ ფერმა გადაპერა, მერე ამაყად ასნია თავი, მტკიცე ხმით ნარმოთქვა:

— ასეთი ძმით ყველა იამაყებს, ვახტანგ!

ვახტანგმა ცოლის ხელს მაგრად მოუჭირა ხელი, დაღვრემილი სახე აღ-  
ტაცებისა და რწმენის სიხარულმა გაუნათა.

— არჩილ, კლდესთან ახლოს ნუ მიდიხარ, გადავარდები! — შესძახა ქრის-  
ტინემ და შვილისაკენ გაექანა.

მარტოდ დარჩენილმა ვახტანგ ტაშირელმა ისევ ქალაქს გახედა.

მზე მაღლა იყო ანეული.

ქალაქი ყრუდ ხმაურობდა.

მტკვარზე გადაკიდებულ აივნებს თანდათან ელვარება ეკიდებოდა.

# ლექსიკონი

ალავი — საჩუქარი  
ალაფი — მარცვლეულითა და ფქეილით  
ვაჭარი  
არიტანა — ლხინი, საერთო პურის ჭამა  
ასესორი — ჩინონერები  
აშეაზხანა — სასადალო  
გაჟაზი — ფართლეულის ეაჭარი  
გაჟაზხანა — ფართლეულის საეაჭრო  
ბაშუსტა — კარგი  
ბერცუნა — ველური მსხლის ჯიში  
ბიალონი — საზაფხულო თხელი და მსუბუქი  
ნამოსასხამი სამოსელი  
ბისონი — სამოსელი სამღედელო, ძაღი,  
ძონეული, მეფეთა და  
მღედელმთავართა ძეირფასი  
სამოსელი  
გაძეძავებული — უზომოდ დატეირთული  
განგლია — დასკრინის ორარი, მხარზედ  
გადასაჟიდებელი  
გობაჟი — ვერცხლს შამქრის ამობურცული  
ბურთოლები  
ფალალი — ეაჭრობაში შეუამავალი  
ფამი — ორთელი, სინოტივე  
ფასტანდაზი — მოაჯირი  
ფაფოლდება — ფასის დაწევა, გაუფასურება  
ფაქიმითებული — მშერი, დახარბებული  
ფალარა — მანანნალა, უბინაო  
ფედაზრდილი — ობობა  
ენგი-დუნია — სამყარო  
ენქერი — სასულიერო პირთა ტანსაცმლის  
ატრიბუტი  
ზარაუი — ფულის გამსესხებელი ან  
დამხურდავებელი  
თარჭი — სხეადასხეა ხილით სავეს მონაცელი  
თაბახი  
თასლიში — ლაპარაჟი  
იქითბაში — ამქართა გამგეობაში მდივანის  
თანამდებობის აღმისრულებელი  
კორიბზეობა — ამპარტავნობა  
კოტოში — რქა სისხლის გამოსაშეები  
ლაბლაბო — ხეიარა მცენარე, პარეოსანთა  
ოჯახიდან  
ლევანტი — მახლობელი აღმოსაელეოთის  
ქვეყნები  
ლილახანა — სამღებრი  
ლიფრი — თახედი, ურცხე, უტიფარი  
მალი და მახტა — გადასახადი  
მატურე — საფლავზე დადგმული ძეგლი,  
ქანდაკება, ძეგლი  
მეოხანა — სამიკიტნო  
ნატისუსალი — მატყლის, ბამბის და მისთ.  
ნამწვის სუნი  
ნალლი — ზღაპარი

ნიშატი — ხასიათი, თეისება, ზნე  
ნულლი — დაშარული ნუშის გული  
ომფორი — სასულიერო პირის სამოსელის  
ნაწილი  
რაბათი — გარეუბანი  
რახტი — ტონალობა  
სალო — მარტოხელა, კენტი  
სარისტიგანი — თადარიგიანი, გამჭრიანი,  
მოხერხებული  
სირაჩხანა — ღეინის სავაჭრო  
სისირი — მუხუდო  
უზალოვნი — ათაჟაჟიანი ვერცხლის ფული  
ულუპაპა — ნინაპარი  
ური — ბალახი  
ურჩხა — უგემური  
ფალასი — მატყლის ფარდაგი, კონკი  
ფანდი — თანაბარი  
ფარეზი — გაფრთხილება, ხელის შენყობა,  
სათუთა მოპყრობა, მოვლა  
ფარლალი — გულქანდი  
ფელდეიგერი — ჯარისკაცი  
ფილონი — მღვდლის ჩასაცმელი  
ფრთონა — ღელვა, თქარენი  
ფასტული — ხე  
ქერქეტა — მცენარე, რისგანაც მწნოლს  
აკეთებენ  
ქეთხუდა — ვაჭარი, პირველი მოქალაქე,  
გადატ. ხნიერი, პატიესაცემი  
დარბაისელი კაცი  
ქირმაშალი — ძეირფასი მატყლის ქსოვილი  
ჭულფათი — ოჯახი, ჯალაბი, ამალა  
ჭურქუჩი — მებენვეულე  
ლინჭილა — უღარუნა  
ყაზაზი — ყაითნის ბუზმენტის მქსოველი  
ხელოსანი  
ყაითანი — ზონარი  
ყაფანი — ბაზარი, სასწორი  
ყაჯრდუზი-ყაჯარი — უნაგირზე გადასაჟიდი  
მოქარგული ქსოვილი  
ყვიციანი — ყვითელი, ფერდაკარგული  
ყოში — მაჯის პირი გადაეცილი  
ჩათუექსანი — მოდარდიმანდო უსაქმური  
ჩალვადარი — პირი, რომელიც ცხენებს ქირაზე  
ატარებდა, ქარაენის ნინამძლოლი  
ჩასპანდი — დარდიმანდი, ცქვიტი  
ჩაქსაულა — ზოლიანი ქსოვილის ნაოჭიანი  
ჩაქებიანი კაბა  
ჩილინდარი — ზეინკალი  
ხომლი — ჭაღი  
ჯარდაგი — ორომტრიალი

შეადგინა ლიკ რუხაძემ



## გალერიან გაბაშვილის ცხოვრება (1911-1985)

მამაჩემი, გალერიან გაბაშვილი, დაიბადა 1911 წლის 9 აპრილს ციმბირში, მეფის რუსეთის მიერ გადასახლებული პოლიტიკატიმრის ნიკოლოზ გაბაშვილის ოჯახში. როდესაც ნამოვიზარდე, გავაცნობიერე, რომ თვით ამ ფაქტში ასახული იყო არა მხოლოდ ერთი ოჯახის ისტორია, არამედ საქართველოს მძიმე ხვედრიც. პაპაჩემი XX საუკუნის პირველი ნახევრის ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენის მონანილე იყო. 1917 წლის 22 ნოემბერს ეროვნულმა ყრილობამ ის ეროვნული საბჭოს ნევრობის კანდიდატად აირჩია. 1918-1921 წლებში იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ნევრი. ხშირად მიფიქრია, რომ სულ სხვანაირად ნარიმართებოდა მამას ცხოვრება, 1921 წელს ბოლშევკიების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, დედამისს მტკიცე უარი რომ არ განეცხადებინა მეუღლისათვის სამ შვილთან ერთად ემიგრაციაში წასვლაზე.

თავად ნიკოლოზ გაბაშვილი, მაშინდელი ხელისუფლების ნარმომადგენლებთან ერთად ბათუმში მყოფი, პარიზში აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ უკანასკნელ მომენტში გემიდან ნამოვიდა და ანტიკომუნისტურ მოძრაობაში ჩაება. ეს გადაწყვეტილება მას საბოლოოდ სიცოცხლის ფასად დაუჯდა, რადგან ყველაზე საშიშ ვითარებაშიც კი უკან არ დაუხევია და ბოლომდე იბრძოლა.

1924 წ. ნიკოლოზ გაბაშვილი დააპატიმრეს. დასახვრეტად გაჰყავდათ, როდესაც მოსკოვიდან ბრძანება მოვიდა დახვრეტების შენყვეტის შესახებ. ამ დროისათვის საქართველოს მრავალეროვან ბოლშევკიებს ბევრად გადაუტარდებიათ დასახული გეგმისთვის. მეფის რუსეთის გადასახლებაში ნამყოფი მრავლისმნახველი პაპაჩემი თავზარდაცემული გამოსულა ბოლშევიკების ციხიდან და კარგა ხანს გონის ვერ მოსულა. საათობით იჯდა თურმე გარინდებული და ღრმად ჩაფიქრებული. ცხადია, მან თვალნათლივ დაინახა, თუ რა ძალა მოვიდა საქართველოში და როგორი განსაცდელის ნინაშე დადგა ქვეყანა და ერი. მიუხედავად იმ შოკისა, რაც მან მიიღო და იმ ძალის რეალური შეფასებისა, საქართველოს რომ დაეუფლა, მას არ შეუნყვეტს

გრძოლა. ის ვერაფრით შეგუების ბოლშევიკების პარტაშესა და საქართველოს იუსტიციას. პაპა ყველგან ხმამაღლა გამოხატავდა პროტესტს, ბანდიტებსა და ქრიმინალებს უნოდებდა იარაღით მოსულ ხელისუფლებას და როგორც ჩანს, არალეგალურ მუშაობასაც ეწეოდა. მისი უმცროსი ვაჟი გორგი ლიმილით იტყოდა ხოლმე - როგორ მნირავდა მამაჩემი ამ ნაბოლარა შვილსო. იგი თურმე მას ნელზე ქამარს შემოარტყამდა, შივ რაღაც ნაწერებს ჩაუდებდა და აგზავნიდა ხალხთან, საიდანაც პატარა ფოსტალიონი, იმავე ნესით, საიდუმლო ინფორმაციით ბრუნდებოდა.

1942 წელს, როდესაც გერმანელები კავკასიას მოადგნენ, ნიკოლოზ გაბაშვილი დააპატიმრეს. ის, ნოე უორდანიას მთავრობის ნევრსა და ერთხანს იუსტიციის მინისტრ შალვა ალექსი-მესხიშვილთან ერთად, ერთ საკანში მჯდარა, რომელსაც ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჩვენები უნახავს და უამბნას პაპასთან გატარებულ მძიმე დღეებზე, მის საოცარ თავდაჭერასა, ვაჟუაცობასა და მოკრძალებაზე. ნიკოლოზ გაბაშვილი შეა აზიაში, ყარაგანდაში, გადაასახლეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. ასე დაასრულა თავისი სიცოცხლე ეიდევ ერთმა ნესიერმა, ნიგნიერმა და მშრომელმა ქართველმა, რომლის ერთადერთი დანაშაული სამშობლოს სიყვარული იყო.

მამაჩემს, როგორც რეპრესირებული ოჯახის შვილს, ხალხის მტრის შვილის მძიმე ხვედრი ერგო. დაეკითხვები და დევნა, მუდმივი ზენოლა და თვალთვალი. ჩვენს ოჯახში ჰყვებოდნენ, რომ მას დღედაღამ ყველგან აჩრდილივით დაჰყვებოდა ჩეუისტი. თურმე გასაქანს იმდენად არ აძლევდნენ, რომ ერთხანს თავის მოკვლაც კი უფიქრია. მას, როგორც ჩანს, სიკვდილი ერჩივნა მართვად ადამიანად გადაქცევას, რომელსაც ნებისმიერი დავალება უნდა შეესრულებინა თანამოძმისა და თვით სამშობლოს განადგურების ჩათვლით. ერთხანს ასპირანტურიდანაც დაუთხოვიათ, მაგრამ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ძალისხმევით აღუდგენიათ. მიუხედავად ამ ზენოლისა, ვალერიან გაბაშვილი თავისი პრინციპებისა და მამის ხსოვნის ერთგული დარჩა. ის არ გათქვეფილა იმ საზოგადოებაში, რომელსაც უკვე მორეული ჰქონდა ბოლშევიზმის სენი. იდგა ჩრდილში, ცხოვრების ამაოებისაგან შორს და ჭემარიტი მეცნიერისა და მოქალაქის ცხოვრებით ცხოვრობდა. მისი პიროვნება, საზოგადოებისთვის მისაბაძი, სისტემისთვის მიუღებელი იყო. ვალერიან გაბაშვილის მოულოდნელი სიკვდილიც მისი უკომპრომისობის, დაუცველობის შედეგი აღმოჩნდა. ეს იყო სისტემის ვერაგული შურისძიებაც, რომლის მსხვერპლიც მამამისი უკვე გამხდარიყო, ვის ხვედრისაც ის მთელი ცხოვრების მანძილზე მნარედ განიცდიდა და ვისი ხსოვნის აღსანიშნავად ლიტერატურულ ფსევდონიმად სახელი ნიკოლოზი აირჩია. ბავშვი ვიყავი, როდესაც პაპის რეაბილიტაციის ქალალდი მივიღეთ. მაშინ პირველად ვნახე მამაჩემის თვალებზე ცრემლი, რამაც შემძრა. ვფიქრობ, რომ მამის სახემ და შეა აზიას ტრამალებში ტრაგიკულმა აღსასრულმა, სამუდამო დაღი დაასვა ვალერიან გაბაშვილის ცხოვრებას. არც მამაჩემი და არც მისი და-ძმა არ შესულა კო-

მუნისტურ პარტიაში, მრავალი პრობლემის მიუხედავად, არ გამხდარა სის-  
ტემის მსახური. მათ ხსოვნაში სამუდამოდ აღიძეჭვდა მამის ერთი, უსიტყვო  
პროტესტი, რომელიც სახლში ხშირად მომისმენია და კინოკადრივით ჩამყვა  
მეხსიერებაში.

ვალერიან გაბაშვილის უმცროსი ძმა, თექვსმეტი წლის გიორგი, ახალ-  
გაზრდული დაუდევრობით დემონსტრაციიდან შინ საბჭოთა დროშით  
დაბრუნებულა. ლამაზი და მოხდენილი, ის ინდუსტრიულ ტექნიკუმს ნინ  
შოუდორდა, გამორჩეული, უკვე ლიდერი. შვილებს სამუდამოდ დაამახსოვრ-  
დათ მამის რეაქცია. მის თვალებში ჩამდგარი მრისსანება, ვეფხვივით ნახ-  
ტომი და ნამში გადამტვრეული დროშის ტარი. ვალერიან გაბაშვილმა, ის-  
ტორიკოსმა, იცოდა და არაერთგზის უთქვაშს, რომ ამ დროშასავით დაიმსხ-  
ვრეოდა კომუნისტური სისტემა. ის, მართალია; წარსულს იკვლევდა, მაგრამ  
მისი შრომები ქვეყნის მომავალზეც იყო გათვლილი. მასში ის სიბრძნე და  
გამოცდილება იდო, რომელიც თავისუფალ საქართველოს უნდა წადგომო-  
და. მკვლევარი რამდენად შორს იყურებოდა ჩანს იქიდანაც, რომ მან თავის  
შემოქმედებაში ქართული მინისმთლობელობის შესწავლის აუცილებლო-  
ბის საკითხი დასვა, ყურადღება გაამახვილა ქართული მინისმთლობელობის  
იმ ნესზე, რომელზეც როგორც საქართველოს არსებობის გარანტზე, ჯერ  
კიდევ იღია ჭავჭავაძე საუბრობდა. ვალერიან გაბაშვილმა მეცნიერულად  
დასაბუთა შეს საუკუნეების ქართული მინისმთლობელობის ის ძირითადი  
პრინციპები, რაც საქართველოს მტრებისგან დაცვისა და ქვეყნის გადარჩე-  
ნის საწინდარი აღმოჩნდა. მან ახსნა, თუ რით და როგორ შეინარჩუნა ქარ-  
თველმა ხალხმა საკუთარი მეურნეობა, პოლიტიკური ორგანიზაცია, ეულ-  
ტურა და იდეოლოგია. ეს ის პრობლემებია, დღესაც მთელი სიმწვავით რომ  
დგას როგორც ქართული სახელმწიფო ბრიობის, ქვეყნის გადარჩენის, მისი  
მომავლის საფუძველთა საფუძველი, და, რაც მეცნიერის ამ შრომებს კიდევ  
უფრო აქტუალურს ხდის.

ვალერიან გაბაშვილის ცხოვრება არ იყო იოლი. მისი დაბადება და სიკ-  
ვდილი თითქოს ჰეგავდა კიდევაც ერთმანეთს. მაგრამ ამ როგორ გზაზე მას  
მხარში ედგნენ დედა და მეუღლე, სილამაზით, კეთილშობილებით, სათნოე-  
ბით და ერთგულებით გამორჩეული ქართველი ქალები. არაერთგზის აღ-  
ნიშნულა მამის კოლეგებისა თუ ახლობლების მიერ — ვალერიან გაბაშვილს  
ისეთი მეუღლე რომ არ ჰყოლოდა, როგორიც მედეა მაკალათის იყო, ის ასე  
ნაყოფიერად ვერ იმოღვანებდა სამეცნიერო ასპარეზზე. თავიდან, დედა  
და ოჯახი ხელს უწყობდა ნიჭიერ ბავშვს ცოდნის დაუფლებაში, რომელიც  
უკვე სკოლაში რამდენიმე უცხო ენას ფლობდა და მსოფლიო ლიტერატურას  
დედანში კითხულობდა. სკოლაშივე სპორტული „მევარდენის“ ნევრი გამხ-  
დარა, დადიოდა მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში, გატაცებით უყვარდა  
ხალხური და კლასიკური მუსიკა. ბებია ელენეს მამაჩემი, რომელსაც სიყრ-  
მის შეილს ეძახდა და რომლის დაბადება მორეულ ციმბირს უკავშირდებოდა;

რაღაც კიდევ სხვა გრძნობით უყვარდა. ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ყმანვილი ქალი ყოფილა, როდესაც დიდი რეპრესიების შამს ციმბირში გადასახლებული მეულლისათვის ჩაუკითხავს. როდესაც კავკასიის ადმინისტრაციისთვის ნასვლის ნებართვა უთხოვის, გაკვირვება ვერ დაუმალავთ, ახალგაზრდა, გომხიბვლელი ქალის სახითათო გადაწყვეტილების გამო — ის ბანდიტი არ არის თქვენი ლირისი — უთქვამთ. იმპერიის ენაზე, პატრიოტი ხომ ბანდიტს ნიშნავდა. ბებია ოჯახს კი არ გაუცილებია, გამოუტირებია, ამ საშიშ გზაზე მიმავალის კვლავ ნახვის იმედი აღარ ჰქონიათ. მაგრამ ის მარტო არ ნასულა, გასთან ერთად სხვა ქართველი ქალებიც ყოფილან, რომლებიც ასევე ქმრებთან გადასახლებაში მიღიოდნენ.

წლების მერე, ჩემს შავშვობაში ზოგიერთი მათგანი უკვე მოხუცებული, ჩვენს სახლში სტუმრად მოსული, მეც მახსოვს. მაშინ კი ამ ახალგაზრდა ქალებს რუსეთის უკიდეგანო ტრამალებში რა სახის ტრანსპორტი არ გამოუცვლიათ, ბოლოს ტარანტასით უმგზავრიათ. უსიერ ტყეებს გადიოდნენ და უკაცრიელ ადგილებს. სოფლებში უცხო მგზავრების გამოჩენაზე მოსახლეობა გამოეფინებოდა თურმე და ერთმანეთს გადასძახებდა — ბოძები მოდიანო. ბევრი გვსმენია და დიდ პროპაგანდასაც უნევდნენ რუს დეკაბრისტ ქალებს, მაგრამ არაფერი ვიცოდით იმ ქართველ ქალებზე, რომლებმც შეიძლება კიდევ უფრო დიდი გმირობა ჩაიდინეს. რამდენადაც პარადოქსულად უნდა ჟღერდეს, ბებიას უყვარდა ციმბირის ამბების გახსენება. თითქოს იმ დროში ბრუნდებოდა, როდესაც ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე იყო და გვერდს მასავით მომხიბვლელი, ძლიერი მამაკაცი უმშვენებდა და სადაც პირველი ვაჟის დაბადების დიდი სიხარული განეცადა. ჩვენს ოჯახში ინახება ფოტოსურათი, რომელზეც ტაიგაში გადასახლებულთა პიენიკია აღბეჭდილი. პაპას გვერდით ლუნაჩარს კი და ზის, იქვე სმიდოვიჩი, რომლის სახელობის საბჭოთა გემიც მოვვიანებით ზღვებსა და ოკეანებს სერავდა. ეს იყო იმდროინდელი განათლებული საზოგადოება, საღამოობით რიგ-რიგობით ერთმანეთის ოჯახებში სამოვართან რომ იკრიბებოდა. პაპა თავისუფალ დროს ნადირობდა, საქართველოდან ამანათებს იღებდა ჩურჩხელებითა და კაკლის მურაბებით, რომელსაც რუსები, ჩვენების გულის გასახექთად, ჩაიში იყრიდნენ. პაპას, რომლის დაუდევარი სული ციმბირშიც ბობოქრობდა, ნიგნებსაც უგზავნიდნენ. ერთ ბარათში ის სპარტაკისა და საფრანგეთის რევოლუციის შესახებ დანერილი მისი უსაყვარლესი ნიგნის ერქმან-შატრიანის პოპულარული რომანის „გლეხიკაცის ისტორიის“ გამოგზავნას ითხოვს, რომლის ერთ-ერთი გმირის, ხალხისთვის შენირული შოველის ბედი ასე ჰგავს მისი ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულს. ციმბირშივე პაპამ აითვისა ინუინრის პროფესია და უკვე საქართველოში ეს ცოდნა ლუდის პირველ ქარხანასა და სხვა მშენებლობებს მოახმარა. ბებიას მიერ გადასახლების შესახებ მოყოლილ ამბებს მსმენელთა ყოველთვის ერთი და იგივე კომენტარი მოსდევდა ხოლმე. — აი, რატომ დაემხო ნიკოლოზი, ციმბირში კაკლის მურაბებს

რომ გიგზავნიდათო - სამაგიეროდ, სტალინმა ქმარი ხომ ვალში გაგიქროთ  
- ეტყოფნენ და გულისხმობდნენ სტალინის მიერ პაპაჩემისგან ნასესხებ  
ფულს, რომელიც მას არ დაუბრუნებდა. იმ შორეულ დროში კი სამშობლოზე  
ოცნებაში დღეებს მისდევდა, მინურა პაპაჩემის პატიმრობის ვადა,  
მოახლოვდა მისი განთავისუფლების უამი და ერთ მშვენიერ დღეს, ნიკოლოზ  
და ელენე გაბაშვილების ოჯახში დაუპატიუებელი სტუმარი მოვიდა, რომელ  
მაც მამაჩემის, სულ რამდენიმე თვის რომ იყო — ცხოვრების რადიკალური  
შეცვლა მოისურვა. ეს იყო უშვილო მილიონერი, რომელსაც დიდი მოკრძა-  
ლებით განუცხადებია — „ვიცი, რომ სამშობლოში ბრუნდებით, წინ დიდი გზა  
გიდევთ, ეს ბავშვი ამ მგზავრობას ვერ გადაიტანს, მაინც დაგელუპებათო.  
თქვენ ახალგაზრდები ხართ, კიდევ ბევრი შვილი გეყოლებათ, ამ ბავშვს კი მე  
გავზრდით“. — და დიდი ფულიც შეუძლევია. მერე იყო ხოლმე ჩვენს ოჯახში  
ამ თემაზე ერთი სიცილი და ხუმრობა. ბებია ელენეც გამხიარულებული, მა-  
მას იმ ფულს სთხოვდა, მილიონერისგან რომ არ აეღო.

მამაჩემი რომ დაბადებულა, მშობლებს პატარა ქალალდებზე სამი სახელი  
დაუნერიათ და კენჭის ამოსალებად თასზე დაუდვიათ. ეს იყო გიორგი —  
ქართველების უსაყვარლესი და უპირველესი სახელი. შოთა — რუსთაველი-  
სა და ვალერიანი — ცნობილი მსახიობის ვალერიან გუნიას საპატივცემუ-  
ლოდ, რომელიც, ამავე დროს, დიდი საზოგადო და ეროვნული მოღვაწეც იყო  
და რომლის მიერ შედგენილი საქართველოს კალენდარი, იაკობ გოგებაშვი-  
ლის ნიგნების შემდეგ, ქართველებში ყველაზე პოპულარული ყოფილა. ბებია  
ელენეს თასიდან დაკაცილი ქალალდი აულია და გაუშლია, მასზე სახელი ვა-  
ლერიანი იყო აღბეჭდილი. ასე რომ, მამაჩემის მშობლების სამივე სურვილი  
არ იყო შემთხვევითი, მათი ოჯახი უაღრესად ეროვნული და ტრადიციული,  
ტიპური იყო მაშინდელი საქართველოსთვის. პატიოსნება, შრომა, ცოდნის  
დაუოკებელი სურვილი ამოძრავებდათ. ცხოვრების ამაოებაზე მაღლა იდგ-  
ნენ და წუთისოფელს ქონების დაგროვებით არ იმნარებდნენ, სიცოცხლით  
ტკბობა იცოდნენ, დარდი არ აკლდათ და დარდს ლხინით იქარვებდნენ. ერთი  
დიდი, დახეული ხელსახოცი ჰქონიათ, ხუმრობით „ხამფერას ნიფხავს“ რომ  
ეძახდნენ, ქეიფის ბოლოს ვის ჯიბეშიაც აღმოჩნდებოდა, შემდეგში იმასთან  
სტუმრობდნენ და ისევ ჩამოჰკრავდა ბებია ელენე გიტარის სიმებს და რო-  
მანსს „აჲ, მთვარევ, მთვარევ, დამნვართ იმედოს“ დაამღერებდა. დედამისი  
ბაბალე დაირას შემოჰკრავდა, ბიძა და მამიდა ლეკურს დაუვლიდნენ. სუ-  
ფრასთან ხშირად სოსო გრიშაშვილიც იჯდა, ისხდნენ თბილისელი მოქალა-  
ქენიც, დარბაისელნი, ნიგნის მოყვარულნი, ქალაქური თავისებური მეტყ-  
ველებით, ზნეთი და ჩვეულებით, ნელ-ნელა, საუბრის, ლხინის ეშვები რომ  
შედიოდნენ. ეს იყო ძველი თბილისი, რომელსაც შემდგომ ასე ოსტატურად  
აღნერს მამა ნიკოლოზ გაბაონის ფსევდონიმით რომანში „აივნიანი ქალა-  
ქი“. მაშინ კი ის პატარა ბიჭი იყო და ხარბად აკვირდებოდა ირგვლივ ყველა-  
ფერს. ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ მისი რომანის პროტოტიპები, სუფრას-

თან ისხდნენ და ქეიფუობდნენ. ცოცხალი იყო ჩიხტიკუპიანი დიდედა ბაბალე, კულორიტული და კისკისა, დაირასა, თარსა თუ სხვადასხვა ინსტრუმენტზე დამკურელი, რომლის ბუნების მრავალი შტრიხი თეთრი ლიზას პერსონაჟში ასახა. ცისფეროთვალება სოსო გრიშაშვილი, რომლის შინაურული სახელი ფირუზა ერთ-ერთი გმირის სახელად იქცა, იმ გმირისა, ვისი როლის შესრულებასაც, როგორც ეს აკადემიკოს სერგი დურმიშიძის მოგონებების წიგნიდან გავიგე, სიცოცხლის ბოლოს ასე ოცნებობდა მსახიობი ეროსი მანჯგალაძე. თუმცა, თავიდან გრიგოლ ზანდაროვის სახეს მოუზიდავს, მაგრამ ბოლოს ფირუზა ზანდაროვი ამჯობინა. სერგი დურმიშიძესთან საუბრისას აღუნიშნავს: „იცით რაჭომ? არ მომწონს ყოფილი ფანდურაანთ იოსება: გამდიდრების შემდეგ იმდენად უსინდისო ხდება, რომ მე მისი როლის შესრულება გამიტირდებოდა: მსახიობის გარდასახვასაც აქვს თავისი ზღვარი, თანაც ფირუზა სიცოცხლის ბოლოს საოცრად მიზიდავს, ტრაგიკულია“.

იოსებ გრიშაშვილი ჩვენი ოჯახის ახლობელი იყო. მამას დიდედა — ბაბალე მეტეხელი, სანამ გურიიდან ქალაქში გადმოხვენილ, გალარიბებულ, კოხტა და კოპნია გურულ აზნაურის, ვასო მგელაძეს გაჰყვებოდა, პირველი ქორწინებით, გრიშაშვილის ბიძის ცოლი ყოფილა. როდესაც პატარა ფირუზა მარტო დარჩენილა — მამა გარდაცვლის, დედა კი გასთხოვებია. როგორც ბებიაჩემი ამრეზით იტყოდა, პირდაპირ სახლიდან ფლოსტებით მენახშირეს გაჰყვაო — ფირუზა უკვე მეორედ გათხოვილ ყოფილ ბიცოლას, მუდამ მხიარულ, სიკეთით აღსავსე ბაბალეს შეჰქედლებია. როდესაც გრიშაშვილი ცნობილი პოეტი გამხდარა, ახლა უკვე თავად დაუწყია ბაბალეს შვილიშვილებზე ზრუნვა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს ოჯახში ერთ კურიოზულ ამბავს ჰყვებოდნენ: მამიდაჩემი თურმე ფილოლოგის ფაკულტეტზე აბარებდა უნივერსიტეტში, მაშინდელი ნესისამებრ, მას ყველა საგანი უნდა ჩაებარებინა, მათ შორის ქიმიაც, რომელიც, ვგონებ, სულაც არ გაევლო სკოლაში. სოსო გრიშაშვილს უფიქრია: ჩემს ბაბალეს შვილიშვილს, მომავალ ფილოლოგს, მხარში ამოვუდგებიო და გამოცდაზე გაჰყოლის, სადაც გვერდიგვერდ მსხდარან. მაგრამ საქმეს ამისთვის არ უშველის და სოსო და მამიდაჩემი ქიმიაში ჩაჭრილან. ჩვენები ჰყვებოდნენ, რომ მამიდაზე უფრო გულშემოყრილი სოსო იყო, თანაც კოლეგებზე საშინალად ნაწყენი. მოკლედ, მომდევნო ნელს მამიდამ გრიშაშვილი იმით ანუგეშა, რომ ქიმიურზე ჩაბარა და პროფესიით ქიმიკოსი გახდა.

ჩვენს ოჯახში ხშირად დადოოდა ოჯახთან ნათელ-მირონით დაკავშირებული, სახალხო თეატრის პოპულარული მსახიობი ნიკო გოცირიძე, რომელზეც გრიშაშვილს მშენიერი მოგონება აქვს დაწერილი, ისევე როგორც ამ თეატრზე, რომლითაც ხალხი უზომოდ გატაცებული ყოფილა და რომლის თაობაზეც ბებიასაგან ბევრი რამ მქონდა მოსმენილი. მაგრამ ჩვენებს განსაკუთრებული სიყვარული და სიახლოვე მრეწველსა და მეცენატთან, „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელ გიორგი ქართველიშვილის ოჯახთან ჰქონდათ, მათ სიძესთან ეათოლიკოს-პატრიარქ ქალისტრატე ცინცაძესთან, რომელ-

მაც უზარმაზარი როლი შეასრულა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალუ-  
ის აღდგენის საქმეში; იროდიონ სონდულაშვილთან, ეროვნული სამუზეუმო  
საგანძურის — შემდგომში პარიზში რომ იქნა გატანილი, მცველსა და ერთ-  
ერთ გადამრჩენელთან; ისტორიულ მოსე ჯანაშვილთან, რომელიც მამაჩემს  
ბაბალეს ხელით წიგნებს უგზავნიდა და თანაც, უქებდა ნიჭიერსა და ცოდ-  
ნის ნეურვილით შეპყრობილ შვილიშვილს. ბებია ელენეს ბიძაშვილი იყო სო-  
ციალ-დემოკრატი ვლასა მგელაძე. 1918-1921 ნლების პარლამენტის ნევრი,  
ცნობილი ორატორი, რომლის სახელი მაშინ ქუხდა და ვისითაც ბებია ძალიან  
ამაყობდა. ვლასა მგელაძე ის პიროვნება იყო, ვინც 1918 ნლის 26 მაისს, სა-  
ქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, მთანმინდაზე აფრიკა  
და ზარების გუგუნით ამცნო ქვეყანას, ერს ამ ისტორიული მომენტის მშვე-  
ნიერება, რაც ამაღელვებლად აღნერა გრიგოლ რობაქიძემ.

ასეთ იყო მამაჩემის ბავშვობისა და ჭაბუკობის ატმოსფერო, იმ ადამიანთა  
გარემო, რომელთა ცხოვრების წესი — პატიოსნება, შრომა და სამშობლოს  
სამსახური იყო. სწორედ ისინი იყვნენ ახალგაზრდების მაგალითი და გეზის  
მიმცემნი. ისინი ზრდიდნენ იმ თაობას, რომელსაც მათი ტვირთი უნდა ეტვირ-  
თა და მათი შემცვლელი გამხდარიყო. ამ ახალ თაობას ვალერიან გაბაშვილიც  
ეკუთვნოდა. მაგრამ მოღვაწეობის რომელი სფერო უნდა აერჩია მრავალ-  
მხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ყმანვილს? სკოლაშივე კალამს მოჰკიდა ხელი  
და ძველი თბილისის მასშტაბური ტილოს შექმნა გადაწყვიტა. „აივნიანი ქალა-  
ქის“ პირველ ნაწერებს ქართულის მასნავლებელს, ცნობილ საზოგადო მოღ-  
ვანესა და „ახესალომ და ეთერის“ ლიბრეტოს ავტორს, პეტრე მირიანაშვილს  
უკითხავდა. თეატრისკენაც მოუნევდა გული, ის ხომ მაშინ დიდი ეროვნული  
ტრიბუნა იყო. რეუისორი კოტე მარჯანიშვილიც ის-ის იყო ქუთაისიდან თბი-  
ლისში გადმოსულიყო და დასს თბილისელებით ავსებდა. კარგი გარეგნობის,  
ლამაზი ჭაბუკი უმაღ მიიღეს. 1939 წ. გამოცემულ მარჯანიშვილის თეატრის  
საიუბილეო კრებულში, რომელიც თეატრის ათი ნლისთავს მიეძღვნა (1928-  
1938 წწ.), ვაჟ მსახიობებს შორის ვალერიან გაბაშვილიც იხსენიება, რომელ-  
საც აქ 1930-1932 ნლებში უმოღვანია. უთამაშია კოტე მარჯანიშვილის გახ-  
მაურებულ სპექტაკლ პოგდინის „ფოლადის პოემაში“, შალვა დადიანის პიესა  
„კაკალ გულში“ გერმანელის როლი, სადაც ფრიად შთამბეჭდავი დიალოგები  
ჰქონია სანდრიო უორუოლიანთან, რომელიც საბჭოთა აგენტს ასრულებდა და  
მაყურებლის გულიან სიცილს იწვევდა და სხვ.

მხცოვანმა ქართველმა რეუისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა სულ ახლა-  
ხან მოგონებების წიგნი გამოსცა, სადაც ცნობილ ქართველ მსახიობთა შე-  
მოქმედებითი პორტრეტებია მოცემული. საინტერესო ჩანახატია ვალერიან  
გაბაშვილზეც, რომლის თეატრში ყოფნასაც რეუისორმა დიდი სიცოცხლის  
პატარა, მაგრამ ლამაზი ეპიზოდი უნდა.

ამასნინათ, ბატონ ვახტანგს შევხვდი და გავიხსენეთ მამაჩემი. მან მითხრა,  
რომ თეატრში ის ყველაზე ახლოს ვალერიან გაბაშვილთან ყოფილა, რომელ-

საც მისთვის უცხოური ფურნალ-გაზეთები მოჰქონდა საინტერესო ინფორმაციით დასავლეთის თეატრალური ცხოვრების შესახებ — გაბაშვილის თეატრიდან ნასვლა კოტე მარჯანიშვილს და მთელს დასს გვეწყინაო — დასინა მან. მაგრამ ვალერიანი დიდი ინტელექტის, უაღრესად განათლებული პიროვნება იყო და ის აღბათ სწორად მოიქცა, რადგანაც დიდი მეცნიერი დადგათ. მამაჩემს პროფესიული ძიების პროცესი იმდენად როგორი ჰქონია, რომ ერთხანს, როგორც ჩანს, განმუხტვის მიზნით, უბრალო მუშადაც დაუნყოს ქარხანაში მუშაობა, რასაც ცოტა არ იყოს გაუოცების მისი ახლობლები. ივ. ჯავახიშვილთან შეხვედრამ საბოლოოდ გადაწყვიტა ვალერიან გაბაშვილის მომავალი. ამ დროს მას უკვე უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, რომელიც შემდგომ ძალზედ ნაადგა ისტორიკოსის მასშტაბურისა და ფართო ხედვაში, დიდსა და ზოგად განათლებასა და ენების კოდნასთან ერთად. ის ბედის განვებით, ივ. ჯავახიშვილის უკანასკნელი ასპირანტიც აღმოჩნდა, რომელსაც მასწავლებლის ნათელი ხსოვნა და მადლი ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა.

ვალერიან გაბაშვილმა შექმნა საერთაშორისო რეზონანსის მქონე ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის საისტორიო სკოლა. დატოვა დიდი სამეცნიერო მემკედრეობა შეუა საუკუნეების საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკის, სოციალურ-ეკონომიკისა და კულტურის სფეროში. მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი გაზიარდა, ენეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. რიგითი ლექციაც მისთვის უდიდესი მოვლენა იყო, რისთვისაც უთენია დგებოდა. ისტორიის საკითხებში კონსულტაციებს უნევდა ქართველ მწერლებს. ამ თვალსაზრისით, საინტერესო იყო კახეთის სამეცნიერო ექსპედიციაში მისი ლევან გოთუასთან თანამშრომლობა მწერლის „გმირთა ვარამზე“ მუშაობის დროს. სამეცნიერო წრეებში გაიცნო მან თავისი მომავალი მეუღლე, რომელიც ცნობილი ქართველი ეთნოგრაფის სერგი მაკალათიას ქალიშვილი იყო. მეუღლის ბიძები კი ლადო და ვახტანგ კოტეტიშვილები საზოგადო მოღვაწენი, მკვლევარი და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებები. ასე იკვრებოდა ოჯახთა ის ნრე, რომლებიც სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ, ბურჯად ედგნენ ქვეყანას და თაობიდან თაობას, ჭეშმარიტი ისტორიასთან ერთად, გადასცემდნენ ხსოვნას საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

XX საუკუნეში თავისუფლების სამინელი ხომ ჩემი პაპების ახალგაზრდობაზე და მამაჩემის ბავშვობაზე მოდიოდა. იმ დროისათვის, როდესაც მამა დაოჯახდა, ნიკოლოზ გაბაშვილი და ვახტანგ კოტეტიშვილი რეპრესირებულები იყვნენ. სერგი მაკალათია — ახალგამოსული ბოლშევიკების ციხიდან, მისი ძმა ნიკო კი დიდი ხნით გადასახლებული. პატარები იყვნენ და პაპა სერგისა და ბებიაჩემის — ივლიტას მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდნენ ლადო გისა და ბებიაჩემის — ივლიტას მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდნენ ლადო გისა და ვახტანგ კოტეტიშვილების დაობლებული შვილები. მაგრამ ამ ოჯახებში და ვახტანგ კოტეტიშვილების დაობლებული შვილები. მაგრამ ამ შიშისა და ტერორისა, რომელსიც ცხოცხლე გრძელდებოდა და მიუხედავად იმ შიშისა და ტერორისა, რომელ

შიც საბჭოთა სისტემა თაობებს აცხოვრებდა, მაინც ღვიოდა თავისუფლების სული. ახლა უკვე მამაჩემის თაობა იყო ის შუალედური ხიდი, რომელიც ძველსა და ახალ თაობას შორის გადებულიყო.

ჩვენს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მამას მეგობრები, ნათესავები და კოლეგები — ისტორიკოსები: შოთა მესხია, მამია დუმბაძე, დავით გვრიტიშვილი და სხვ. დედა კეთილი ანგელოზივით დატრიალებდა სტუმრებს. მამა სუფრასთანაც საოცრად მომხიბულები, საინტერესოდ, ბრნყინვალედ თამა დობდა. სუფრა კვლავ იმ ასპარეზს წარმოადგენდა, სადაც ელვარებდა მჭევრმეტყველება, გონებამახვილობა და ქართული ხიბლი. უამრავ საჭირობო როტო საკითხს ეხებოდნენ, მაგრამ მთავარი თემა მაინც საქართველო, მისი წარსული და ანმყო იყო. მაშინ ჯერ კიდევ ბავშვმა და უნებლიერ მსმენელმა ბევრი რამ გავიგე და გავაცნობიერე. პირველ რიგში კი XX საუკუნის ოციან ნლებში როგორ ქცეულა თავისუფლება რეალობად, აღელვებული ვისმენდი და თითქოს მეც იმ მოვლენების მონაწილე ვხდებოდი პაპის და მრავალი ქართველის სიცოცხლე რომ ემსხვერპლა. მოსმენილი არ ჰგავდა იმ ისტორიას სკოლაში რომ ჩამჩიჩინებდნენ, სადაც ზოგჯერ მოღალატეებს გმირებს ეძახდნენ და გმირებს — მოღალატეებს.

მამაჩემის თაობაც, წინაპართა მსგავსად, ასევე უზომოდ სევდიანი და ამავე დროს, ხალისიანი, მხიარული იყო. საუბრებს, გულს ლახვარივით რომ მესობოდა, მოპყვებოდა ხუმრობა, სიცილი. სუფრიდან უცბად აიძლებოდნენ. მამიდა სხვადასხვა ინსტრუმენტს ააუღერებდა, ქართულს ევროპული ცეკვები სცვლიდა, ევროპულს — ქართული. ბიძა და მამიდა, ერთ დროს ჯანო ბაგრატიონის ანსამბლის წევრები, ხელებს გაშლიდნენ. მკაცრი და მუდამ შებლშეკრული ბებია ელენე ქმარსა და პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ ცხრამეტი წლის ძმას რომ სიცოცხლის ბოლომდე მისტიროდა და მისი მშეიდობით დაბრუნებას ფიცულობდა, გაიღიმებდა, ხელებს გაშლიდა და საერთო ფერხულში ჩაებმებოდა. ელეგანტური წყვილები ტანგოს, ვალსსა და ბოსტონს ცეკვავდნენ, რაშიც დიდი იუმორით დაჯილდოებული ბიძები ცოტნე და ვიორგი ასევე შეუდარებელნი იყვნენ. მონუსხულივით შევცეკეროდი უცბად გარდაქმნილ, თითქოს ჯადოსნურ სპექტაკლად ქცეულ სანახაობას, სადაც მამაკაცები ჭეშმარიტი რაინდებივით ექცეოდნენ ქალებს. შემდეგ კვლავ სუფრას მოუსხდებოდნენ და გრძელდებოდა სჯა-ბასი და ლხინი. სუფრასთან დიდი კაცივით იჯდა ჩემი პატარა ძმაც, მუდამ წიგნებში თავჩარგული, მომავალში თავისუფალი საქართველოს მთავრობის წევრი (1990-1991 წწ.), პოლიგლოტი — ათი ევროპული და იაპონური ენის მცოდნე. ჩენი ოჯახის ამ საღამოებს აღტაცებით, აღფრთვანებით ხშირად ივონებს დღეს უკვე ხანძიშესული მაშინდელი ახალგაზრდობა.

ჩვენს აგარაკზე, მცხეთასთან, ნარეკვავზე მამას უყვარდა აივანზე ჯდომა. ხელმარჯვნივ, წინამური მოჩანდა, ხელმარცხნივ კი, შორს, პორიზონტზე — საგურამო. ფიქრებში წასული, დიდხანს გასცეკეროდა სივრცეს, მის ლურჯ თვალებში რომ ირეკლებოდა. მაღლად გავხედავდი ხოლმე, ვგრძნობდი,

როგორ დაძაბულად მუშაობდა მისი გონიება. იცოდა თქმა — ქალაქის ხმაურ-ში, ტრანსპორტში რომ ვზივარ, იქაც ვმუშაობო. აივანზე სამფეროვანი დიდი ეროვნული დროშა იყო მიყუდებული, რომელიც მამას უსაყვარლესმა შვილიშეიღომა ექვსი წლის ნიკოლოზ გაბაშვილმა, ჩვენდა გასაოცრად, დედამისს შეაკერინა და დასასვენებლად ამ დროშით ჩამოვიდა. ამ დროშითვე ის წინ გაუძლვა ქალაქში მიბრუნებულ ბარგით დატვირთულ მშობლებს.

მამას სიკვდილი მოულოდნელი აღმოჩნდა. ის ჯერ კიდევ მხნე, ნარმა-  
სადევი იყო. სიარულითაც ძველებურად დადიოდა, დინჯად და ქვეყნის ბა-  
ტონ-პატრონივით, საკუთარი ლირსების შეგრძნებით, რითაც ყველგან გა-  
მოარჩევდით ქართველს. მას ჯერ კიდევ ბევრი მეცნიერული ჩანაფიქრი და  
იდეა ჰქონდა. ივანე ჭავახიშვილსა და კოტე მარჯანიშვილზეც აპირებდა მო-  
გონებების დაწერას.

სოკედილის სარეცელზე, რომელსაც საოცრად ვაჟეაცურად შეხვდა, მისი გონიერი კვლავ დაძაბულად მუშაობდა. თითქოს არც ეი იმჩნევდა მოახლოებულ დასასრულს, ძველებურად მოძღვრავდა მოწაფეებს, კვლავ უშურველად გასცემდა თემებს და იმ მეცნიერულ რჩევებს იძლეოდა, რისთვისაც მასთან ნლების მანძილზე ვინ არ მოდიოდა. სამეცნიერო კრებულიდან, როგორც ეს ადრეც გაუკეთებია, თავისი ნერილის ამოლება ისურვა ახალგაზრდა, დამწყები მკვლევარის სასარგებლოდ.

სისტემის შურისძიებამ მისი სიკვდილის შემდეგაც იჩინა თავი. ბევრს კარგად ახსოვს, როგორ პრობლემად და სამარცხვინო ფაქტად იქცა მისთვის ჩვეულებრივ სასაფლაოზეც ეი ჩვეულებრივი საფლავის გამოყოფა, სადაც ის დღესაც განისვენებს.

მამას სიკვდილმა სახტად დამტოვა. ეს არ იყო მხოლოდ პირადი ტრაგედია. ეს იყო გაოგნებაც — ამხელა სამყაროს, ინტელექტის და ცოდნის ასე უბრალოდ ნასვლის გამო. დარგიდან მიღიოდა ლიდერი და ჩვენ ამ ჯარისკაცებს ვგავდით, მხედართმთავრისა და გეზის მიმცემის გარეშე რომ რჩება. მაგრამ ცხოვრება გრძელდებოდა და ჩემში, როგორც თავის დროზე მამების თაობაში, კვლავ თაობის ინსტიქტი ამოძრავდა. ახლა უკვე ჩვენ უნდა გვეზიდა მხრებით წინაპრების ტვირთი.

ମାନ୍ୟମା କାଳୀଶ୍ଵରି, 2001 ଫ.

Бабъ, която е земята, я заета?

Днес събъз аз я видях във меб.

Виждам земята събъз земята!

Виждам земята, която видях.  
Изглежда,

Виждам земята, която видях земята.

Виждам земята

Земята е земята, земята  
изглежда като земята!

Виждам земята, "зебрата"

Земята е земята, земята земята?

Виждам земята, "зебра" . . . "

ფოტომატიკე




თბილისის ხედი



ნარიყალა




ქარვასლები მდინარე მტკვარზე



მიხაილოვის (დღევანდელი საარბოიუკენის) ხიდი



სასტუმრო „კავკაზი“



ჭრელი (ორბელიანების) აბანო



„რიყის“ ქუჩა. 1896 წლის მაისის წყალდიდობა



მიძინების ჩიხი (დღევანდელი ასკანის) ქუჩა



ალექსანდრეს (დღევანდელი 9 აპრილის) ბაღი



პუსტარულ ნაკეთობათა სახელოსნო



ხალიჩების დუქანი თათრის მოედანზე



ხედი მეტეხიდან



ეკატერინე ჭავჭავაძე (სურათი დაცულია ქ. ზუგდიდში, დადიანების მეზეუმში)



გაიკო ორბელიანი